გურამ დოჩანაშვილი - სამოსელი პირველი

ნაწილი პირველი - სოფლად

თავი პირველი

ლტოლვილი მოვიდა

ჯერ კიდევ ძალიან ბნელოდა, მხოლოდ ერთგან, დასალიერზე, თითქოს ოდნავ გაბაცდა ცა. წვიმას ახლახან გადაეღო, წვეთები უხმაუროდ სხლტებოდა ერთი

ფოთლიდან მეორეზე და აკანკალებული, გალუმპული, ერთიანად სმენად გადაქცეული ლტოლვილი ყურს უგდებდა ამ ილაჯგამოცლილ ჩქამს.

ყოველნაირხმაურს აიტანდა იგი, გარდა ფლოქვების თქარათქურისა. წამდაუწუმ მდევარი ელანდებოდა და, ღონემიხდილი, ორივე ხელით ჩაბღაუჭებოდა სველ ტოტებს. აქამდე ვერავინ შენიშნავდა, ისე გატრუნულიყო, ხეს ჩახუტებული; ახლა კი, გათენებისას, როცა ძალიან აცივდა და შეწუხებული ლტოლვილი აწრიალდა, იმ გაბზარულ სიბნელეში აშკარად გამოირჩა მისი ჩაშავებული, მოძრავი სილუეტი.

საშინლად ეძინებოდა, ძლივს იმაგრებდა დამძიმებულ თავს. კიდევ კარგი, რომ იჯდა მაინც - იმოდენა აღმართის შემდეგ დაღლილ, გადატყავებულ ფეხებს ასვენებდა. აქ, ხეზე ამძვრალს, ძაღლებიც ვერ შესწვდებოდნენ. თუმცა, ყეფა არც გაუგონია. ცოტათი გამხნევდა და იქვე მოშივდა. უბეში ჩაიყო შეციებული თითები და პურის ყუა ამოაძვრინა. ნელა, აუჩქარებლად ილოღნებოდა - ასე იზოგავდა სიამოვნებას, მაგრამ ერთი ბეწო პური იყო და ჩქარა შემოეჭამა.

უფრო აეშალა საღერღელი, სოფელს მიაჩერდა, სადაც საჭმელი უნდა ეშოვა. ოდნავ გამოიკვეთა სახლები, ისევ შეათვალიერა მიდამო და უცნაურმა შიშმა შეიპყრო: მდევრებისა კი არ ეშინოდა, სულ სხვა რაღაცის - მაინც რა საოცრად, როგორ თენდებოდა!.. უნახავს კია როდესმე ისეთი უცნაური, მკვეთრად გამოხატული ფოთლები, ანდა ისეთი მყარი მესერი თუ უნახავს, იმ ბინდბუნდში თვალნათლივ რომ იკრეფდა ძალას...

როგორ მოცურავდნენ ხეები ძალიან შორიდან, ლოდებიც რა დინჯად ამოდიოდნენ მიწიდან, ისეთი საშიში სიოც თუ უნახავს სადმე, გამთენიისას რომ სცოდნია, და სიოს აყოლილი მკრთალი ჩრდილების მიწაზე ბოგინიც რა უცნაური და შემაშფოთებელი იყო...

ვეღარ გაჩერდა ადგილზე, ხიდან ჩამოხტა და მახლობელი სახლისაკენ გაემართა. ჭიშკართან შეჩერდა და, თავაწეული, ნესტოებდაბერილი, ეჭვით ყნოსავდა ჰაერს. ეზოში შეაბიჯა, თავლას ფრთხილად აუარა გვერდი. მერე რაღაც პატარა, ქვის შენობაში შევიდა და ისე უცნაურად დაგუდული მოეჩვენა იქაურობა, თავბრუ დაეხვა და იქვე პირდაპირ იატაკზე დაჯდა. სული რომ მოითქვა, მიმოიხედა - აქ ისე არა ციოდა, ოღონდ მუქი მინები ჩაესვათ სარკმელში და უცხოდ ბნელოდა.

ძალიან თუ შეშინდებოდა, იდაყვსქვემოთ და ნეკნებზე გაყინული ნემსები დაეძგერებოდა და ახლაც ასე მოუვიდა - თითქოს იქვე, სიბნელეში, ვიღაც სუნთქავდა. ჯერ ეგონა, თვითონ თუ იყო, მაგრამ მერე, დაღლილმა რომ ამოიოხრა და წამით გაიტრუნა, ისევ მოესმა სუნთქვა. შიშმა ერთიანად აიტანა, თვალები მოიფშვნიტა და იყვირა:

- ვინ ხარ!

- მე ვარ, მე.

მშვიდი ხმა იყო, დამაწყნარებელი; მაინც კედელთან მიჩოჩდა და ზურგით მიეყრდნო. ისე დაიძაბა, თითქოს ამ მყარი კედლის განგრევა სურდა; და თუმცა ვერაფერი გამოუვიდა, მაინც გამხნევდა და რაღაცა ძალაც იგრძნო. ფეხზე წამოსადგომად არ კმაროდა ეს ძალა, მაგრამ შეკითხვისათვის კი ეყო:

- ვინ შენ...

- ამ სახლის პატრონი.

- მერედა, აქ რას აკეთებ?

- ამას მე მეკითხები?

ლტოლვილმა ისე დაირცხვინა, ცოტათი დამშვიდდა კიდეც. ის კაცი მშვიდად, წყნარად ებაასებოდა და შემოხვეწილს გული აუჩუყდა:

- მე... - მკერდზე ხელი მიიდო ლტოლვილმა, - მე დიდი დამნაშავე ვარ, რომ შემოვედი, მაგრამ...

- არა უშავს. ალბათ გციოდა.

- დიახ, იცით, მე ძალიან მციოდა და...

- ჰო, ვიცი, მჯერა.

- იცით, მე... მე საერთოდ... მე დამნაშავე...

- კარგი, კარგი, - დაუყვავა კაცმა, - კარგი, გაჩუმდი.

შემოხვეწილს ძარღვებში სიხარულმა დაუარა, გააბრუა, მხარზე დაუვარდა თავი. ერთხანს თვალდახუჭული იჯდა, კედელს მიყრდნობილი. მერე ისევ აფორიაქდა - კიდევ რაღაც, რაღაც აუცილებლის მოსმენა მოუნდა, საბოლოოდ რომ დამშვიდებულიყო და იქითკენ გახოხდა, ხმა რომ მოისმოდა. მუხლებით ქვის იატაკს ეხახუნებოდა და სქელ კედლებს უმწეოდ აწყდებოდა ეს ხრეშისდამაგვარი ხმა, მერე კი, სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ლტოლვილმა ხელისგული მიადო კაცს მუხლზე, ახედა და შეევედრა:

- ნურაფრის მეშინოდეს?

კაცი დაფიქრებული დასცქეროდა, მერე თავზე დაადო ხელი და უთხრა:

- ნურაფრის გეშინია.

და უცებ ლტოლვილი პირქვე დაემხო და თითებით იატაკი მოხოჭნა. ხელები აუძაგძაგდა, მხრებიც, ზურგიც უცახცახებდა. ცრემლებს ყლაპავდა, სახეს უსვამდა იატაკს, ლოყას ადებდა, ყოველ კუნთს ჭიმავდა, სლუკუნებდა - ეს შვება იყო, კაცი მოთმინებით იცდიდა, როდის დაწყნარდებოდა ლტოლვილი. კედლისკენ შებრუნდა და სანთელი აანთო. რომ შემობრუნდა, ლტოლვილი თვალებს ახამხამებდა და სახემოთითხნილი შესცქეროდა სანთელს.

- ახლავე მოვალ, - უთხრა კაცმა, - ალბათ მოგშივდა.

- კი, ძალიან მშია, - თვალი არ მოუცილებია, ისე დაიქნია თავი ლტოლვილმა.

სანამ კაცი დაბრუნდებოდა, ლტოლვილმა სანთელს მიუშვირა დამზრალი თითები და გაუკვირდა - საოცრად გამჭვირვალე, ლამაზი ფერის თითებს ხედავდა. მერე ლოყა მიუშვირა, შუბლიც, შეთბა და მადიანი ზმორება აუტყდა, კედელთან დაჯდა, კისრის სახსრები აატკაცუნა. ვერც შეამჩნია, როგორ მიუახლოვდა კაცი და მისი ხმა რომ მოესმა, შეკრთა:

- ა!

- აჰა, მოგიტანე.

- რაა... ეს რაა...

- პური და ღვინოა.

- ო... - პურს წაეტანა ლტოლვილი, - ო, რა თბილია, - და კიდევ ერთხელ მუდარით შეხედა.

- ჭამე, შენია.

ლტოლვილი ერთხანს მადიანად ილუკმეზოდა, მერე თუნგს წაავლო ხელი:

- ჭამე, შენია.

- დავლიო?

- დალიე.

- თქვენ გაგიმარჯოთ, - თქვა ლტოლვილმა და ისევ აუჩუყდა გული: - თქვენ გაგიმარჯოთ, თქვენისთანა ადამიანი არ შემხვედრია ჯერ...

- შენც გაგიმარჯოს, მიდი, დალიე.

- ყველა თქვენიანს გაუმარჯოს, - ვედრებით შესცქეროდა ლტოლვილი, - შვილები თუ გყავთ...

- მყავს.

- რამდენი...

- ორი.

- ქალ-ვაჟი?

- ვაჟები.

- იმათაც გაუმარჯოთ, - თქვა ლტოლვილმა და ჯამი მიიყუდა, - ოჰ, რა ღვინოა, რა ჰქვიათ?

- დომენიკო და გვეგვე.

- რა უცნაური სახელებია, - გაუკვირდა ლტოლვილს, - დომენიკო და...

- გვეგვე.

- აჰ, რა უცნაურია, - დაფიქრდა ლტოლვილი და ჩუმად გაიმეორა, - დომენიკო... და გვეგვე... დომენიკო და...

გვეგვე

- ასე დიდხანს ნუ ატრიალებ, - თქვა პირველმა ყმამ, ბიბომ, - იმას ეგრე უყვარს.

- ოდნავ მაინც ხომ უნდა შეიწვას.

- ეყოფა-მეთქი, ნუ ატრიალებ.

- თქვენი ნებაა.

კოჭლმა შამფურზე აგებული კურდღელი შეათამაშა და სინათლისაკენ წავიდა. სახურავიდან წვრილი სხივი ჩამოდიოდა და მტვრის ნამცეცებს აბრჭყვიალებდა. სწორედ ამ განათებულ სვეტთან კოჭლობით მივიდა და სხივს გაფარჩხული კურდღელი შეუშვირა:

- ეყოფა ვითომ?

- დაყრუვდი თუ რა!! - დაიგრგვინა ბიბომ, - მაგიდაზე დადე და მომშორდი.

- ახლავე, ახლავე, - შეშინდა კოჭლი, - სხვა არაფერი?

- არაფერი, გადი და კართან დადექი. საზამთრო ხომ ჩააცივე...

- როგორ არა.

- მიდი-მიდი, გადი...

ის იყო კოჭლს სახელურისათვის უნდა წაევლო თითები, უეცრად სახეში აუტანელი ტკივილი ეძგერა - ეს გვეგვე შემოვიდა ოთახში და კარი შიგ ცხვირ-პირში მოხვდა კოჭლს. იმან სახეზე ხელები აიფარა და წაიკუზა, ცხვირიდან სისხლი წასკდა, თვალებში სიმწრის ცრემლები ჩაუდგა და შეშინებული დააცქერდა იატაკზე გაგორებულ მუქ წერტილებს, - მერე კი, სისხლი რომ შეეჩერებინა, უკან გადასწია თავი.

- მშია, - თქვა გვეგვემ.

- აგერ, მიირთვი, - ბიბომ მაგიდისკენ გაიშვირა ხელი.

- მე წავალ, თუ შეიძლება. - ითხოვა თავგადაწეულმა კოჭლმა.

- სად უნდა წახვიდე, - შეუღრინა გვეგვემ.

- სახეს დავიბან.

- ჰე, სახის დაბანა მომინდომა... - და უცებ იფეთქა, - რა უნდა დაიბანო, შენი პატრონი დედა!

კოჭლმა თვალებში შეხედა გვეგვეს, გულისპირზე სისხლი ჩამოეწვეთა; კარგა ხანს უყურა და მოულოდნელად ხმაში სუსხი დაეტყო:

- ჩემი პატრონი მამათქვენია.

ბიბო მოიკუნტა - ეგონა, მაგიდას თავზე გადაამტვრევდნენ კოჭლს, მაგრამ გვეგვეც შეშინდა:

- არა, არა, არ დავფიქრებულვარ, ისე ვთქვი... ისე ვთქვი, უბრალოდ, ხომ გესმის...

კოჭლი ჭერს ასცქეროდა.

- დაუფიქრებლად წამომცდა, უცაბედად... ხომ არავის ეტყვი?

- არა, ვის უნდა ვუთხრა.

- კარგი, კარგი; წადი ხელ-პირი დაიბანე, ძალიან გეტკინა?

- არა.

- წადი, წადი, ოღონდ... ვინმესთან არ დაგცდეს, გაიგე?

- არა, არა.

- დაიცა!.. თუ გინდა, ცოტა ხორცს გაჭმევ.

- რად მინდა, უმია, - გათამამდა კოჭლი.

- რაო, უმიაო? - გაიოცა გვეგვემ და ბიბოს ავად გახედა, - არ შეწვით?

- როგორ არა, რას ამბობთ, როგორ არა, - შეიცხადა ბიბომ, თქვენ რომ გიყვართ, სწორედ ასე...

გვეგვემ ჩაკბიჩა და თვალები მოჭუტა. მერე სახე გაუნათდა - კარგი ყოფილა, რა გინდა... ნიკაპი მკერდზე დაიბჯინა და საყელოში ჩაიცინა:

- როგორა თქვი, უმიაო? ესაა უმი? ჰე, ნახე, რა თქვა, უმიაო, გაიგე, ბიბო?

- ჰე!

- წადი, წადი, პირზე წყალი შეისხი, - და თვალი გააყოლა. კარი რომ მიიხურა, მაგიდას მიუჯდა, თეფშისაკენ გადაიხარა. მადიანად, ხარბად დაღეჭა ხორცი, ძვლები გამოტკვირა, თანდათან იმართებოდა წელში. მერე სკამის ზურგს მიაწვა, მუხლი გაშალა და საზამთროს დიდი ნაჭერი ყანწივით მიიყუდა. ახლა ისიც კოჭლივით ჭერს შესცქეროდა და დაშაქრულ, გრილ საზამთროს წუწნიდა, ალისფერი ზოლი ჩამოსდიოდა ნიკაპზე, ბიბო კი, ნერწყვმომდგარი, ჯიუტად ჩაჩერებოდა იატაკს.

გვეგვემ ნიკაპი მოიწმინდა და თვალი მილულა. სიამოვნებდა, თვლემა რომ ერეოდა და მაინც პირქუშად გამოიყურებოდა.

- მამათქვენმა ვიღაც ლტოლვილი შეიკედლა.

გვეგვემ თვალი გაახილა. ერთხანს უაზროდ შესცქეროდა, მერე უცებ გაბრაზდა:

- როდის!

- დღეს.

- ვინ ოხერია!

- არ ვიცი...

- რაღა მიჭირს! ერთი მუქთამჭამელით მეტი გვეყოლება... მაინც ვინაა, რა კაცია!

- არაფერი ვიცი.

- უ, მაგის... ახლა სადაა.

- ძინავს.

- ძინავს?

თითქოს რაღაცა წაართვეს, ალმური მოედო... მაგრამ უცებ ჩაიფერფლა - გამაძღარი იყო. ძლივს აითრია წელი, გაბრუ-ებული გავიდა ეზოში, ვაშლის ხის ძირას, ჭილობზე პირქვე გაიშოტა და დაიძინა.

გვეგვე რომ დაიბადა, თოვდა. ბებიაქალმა ერთი კი გაიკვირვა - არასოდეს მინახავს, ბავშვს დაბადებისას რომ არ ეტიროსო, და მეორე სოფელში წავიდა. გვეგვე აკვანში იწვა და ხშირ-ხშირად და ღრმად სუნთქავდა. არაფერი აწუხებდა - თუ არ ეძინა, თვალები გახელილი ჰქონდა, თუ ეძინა და ხომ მთლად კარგი. ძალიან ჯანმრთელი ბავშვი იყო, მაგრამ ფეხი გვიან აიდგა. ლაპარაკი სამი წლისამ ისწავლა, მანამდე სულ „ღღ, ღღ“ -ს იძახდა, ისიც რომ მოშივდებოდა, მხოლოდ მაშინ. ტანად დაბალი

გამოდგა, მაგრამ იმთავითვე გრძელი, ღონიერი ხელები ჰქონდა. ყმებს მუდამ უთვალთვალებდა, როგორ მუშაობდნენ. განსაკუთრებით ის უხაროდა, დიდ ხეს რომ წააქცევდნენ ხოლმე - ორი ყმა ხეს მიადგებოდა, ნაჯახს დაუშენდნენ და გვეგვეს მოლოდინი ახრჩობდა. მერე ყმები ხეს მიაწვებოდნენ და გაფაციცებულ გვეგვეს ძალიან სიამოვნებდა ჯერ ღრჭიალის, მერე კი ზემოდან აჩქარებით წამოსული შხუილის გაგონება. წაქცეულ ხეს მივარდებოდა და ზედ გაივლ-გამოივლიდა. ექვსი წლისა რომ გახდა, ერთი ჟანგიანი დანა იპოვა. იმ დანით ხეებს ჩორკნიდა და ნაცრისფერ მერქანს უსერავდა. ბაღჩაში საზამთროს რომ გადააწყდებოდა, მიმოიხედავდა და, თუ არავინ იყო, დანას ტარამდე ჩაარჭობდა ხოლმე.

დღესასწაულები არ უყვარდა. ხმაური, ხმამაღალი ვედრება და შეძახილები აშინებდა. უბრალოდ, სოფლელების ერთად დანახვაც არ სიამოვნებდა. იმათ სოფელში კი უცნაური დღესასწაულები იცოდნენ, რას არ ევედრებოდნენ ბუნებას: წვიმას, მზესა და ნაყოფიერებას. ცისკენ თავაწეულნი, ღრიალით ითხოვდნენ ყოველივე ამას და გვეგვე ტყეში მიდიოდა ხოლმე. ქვას ისროდა და რომელ ხესაც მოარტყამდა, დანას ჩამოუსვამდა.

უმცროსი ძმა რომ დაიბადა, რვა წლისა იყო. მას შემდეგ შინ გული აღარ უდგებოდა - მჩხავანა ბავშვს ქალები თავს დასტრიალებდნენ და მისადმი ასეთი ყურადღება აღიზიანებდა. აიღებდა და სოფლის განაპირას, ტბაში დაცურავდა ხოლმე. სწრაფად ცურვა არ ეხერხებოდა, სამაგიეროდ, ყველაზე დიდხანს ძლებდა წყალში.

დედა რომ მოუკვდა, თერთმეტი წლისა იყო. შავოსანი ქალები თმას იგლეჯდნენ, ლოყას იხოკავდნენ, კიოდნენ. მამასაც შავები ეცვა და, უზომოდ დაფიქრებული, მოწყენილი, კედელთან იდგა. უმცროსი ძმაც იცრემლებოდა. გვეგვე ბევრს ეცადა, მაგრამ მაინც ვერ იტირა.

მამის დიდი რიდი ჰქონდა, მაგრამ სიყვარულით ოდნავადაც არ უყვარდა - თავიდანვე, რაღაცნაირად, ეშინოდა, ერთხელაც არ გაუსწორებია მამისთვის მზერა, მალულად თუ შეათვალიერებდა. მამა მხოლოდ ერთხელ გაუჯავრდა - გვეგვე თოთხმეტი წლისა იქნებოდა, როცა მის უმცროს ძმას მოულოდნელად გვიმრის ბუჩქში ჩამხობილს გადააწყდა მამა. ბავშვი ერთიანად ძიგძიგებდა და მამამ წამოაყენა, თავი გადაუწია, თვალებში ჩახედა.

- მამა, მამიკო, მამა, - იძახდა აცახცახებული ბავშვი, - გვეგვემ ძაღლი მოკლა.

- რომელი ძაღლი.

- აი ის, ყავისფერი, უპატრონო...

- რატომ.

- რა ვიცი, მოკლა... მამა, მითხარი, მითხარი რაა, რატომ მოკლა...

ის ძაღლი კარდაკარ დაძრწოდა და ყმები პურს აჭმევდნენ. სასაცილო ძაღლი იყო, უკანა ფეხებზე დგებოდა და ასე იხვეწებოდა საჭმელს. არავისი ეშინოდა, გვეგვეს გარდა - იგი შეთხვევას არ გაუშვებდა, წიხლი რომ არ მიეყოლებინა გვერდებში და ერთხელ, ძმასთან ერთად რომ ბანაობდა, ჩრდილში მიძინებული ძაღლი შენიშნა, მიეპარა, მძიმე ლოდი გაჭირვებით ასწია და ზედ ძაღლზე დააგდო. მზის გულზე წამოწოლილი უმცროსი ძმა ვერაფერს ხედავდა, მაგრამ წკავწკავის გაგონებისთანავე წამოხტა, მიირბინა და უცნაურად თათებმოკეცილი, თავგაჭეჭყილი ძაღლი დაინახა, გვეგვეს კი, მის ძმას, მუხლისთავზე სისხლი ეცხო და პირზე ცუდი ღიმილი დასთამაშებდა.

- სადაა... - მოიქუფრა მამა.

- იქ, საბანაოზე...

მამის მისვლა გვეგვეს არ შეუმჩნევია - დანა მოემარჯვებინა, და, დაფიქრებული, ძაღლს ჩხვლეტდა. მერე მაჯაში ისეთი ტკივილი იგრძნო, თვალთ დაუბნელდა; მამამ კი წამოაყენა, შემოატრიალა და მაგრად გააწნა სილა. გვეგვეს ფეხები მოეკეცა და ძაღლს გადაემხო. მამამ დანა აიღო, მოიქნია და წყალში ისროლა, მერე გვეგვე აიყვანა, ტბაში შევიდა და სისხლი მობანა. გვეგვემ თვალი გაახილა და საჩქაროდ დახუჭა, კიდევ არ გამარტყასო. მამამ შინ წაიყვანა შვილები, მეორე დღეს კი გვეგვე უთენია გააღვიძა და ყანაში წასვლა უბრძანა. ჯერ ხელ-პირი დააბანინა, ასაუზმა, მერე თოხი მიაჩეჩა ხელში და ყანისკენ გასწიეს. მამა წინ მიდიოდა, გვეგვე კი, მთქნარეზაატეხილი, უკან მისდევდა. თენდებოდა, სხეულს სასიამოვნოდ წიწკნიდა დილის სიგრილე, მამლები ყიოდნენ, გზადაგზა ყმები ქუდს უხდიდნენ მამას, ის კი, დიდ ყანაში რომ შევიდა, გვეგვეს მიუბრუნდა და ერთხანს თვალებში უყურა, მერე ანიშნა, მომყევიო, და თოხნას შეუდგა. სიმინდის ყანა ჯერ დაბალი იყო, მკერდამდე სწვდებოდა მამას. გვეგვე უხეიროდ იქნევდა თოხს, თუმცა ძალიან კი ცდილობდა. შუადღისათვის თითებზე და ხელისგულზე ბებერები ამოებურცა, ტკივილმა სახე მოუღრიცა; მამამ შეხედა და ჩრდილში დაჯდომა უბრძანა, თვითონ კი თოხნა გააგრძელა. გვეგვე იჯდა, იჯდა, მოსწყინდა და იქვე, მის ფერხთით მოფარფატე პეპელას წაეტანა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა და რიდით შეხედა მამას. ის ზურგით იდგა და დინჯად, შეუსვენებლად მუშაობდა. მამა ყოველდღე მუშაობდა და ყველას

უკვირდა, ასეთი მდიდარია და ნეტავ რა ძალა ადგასო, იგი კი, მოღლილი, საღამოობით ბრუნდებოდა შინ, როცა სახლებისა და ხეების წაგრძელებული ჩრდილი თვალნათლივ ბაცდებოდა. ასე, მუშაობაში გადიოდა წელიწადის სამი დრო, ზამთრობით კი, როცა სალუქი თოვლი უშნოდ დაიტკეპნებოდა სოფლის გზაზე, მთებში კი რბილად ბრჭყვიალებდა მზეზე, მამა მრგვალ ბუხართან იჯდა და, თვალმოჭუტული, დიდხანს ფიქრობდა. მამასთან ხშირად დაიარებოდნენ ყმები, ზოგი რჩევასა სთხოვდა, ხან რას ეკითხებოდნენ, ხან რას, ხანდახან დანაშაულშიც გაუტყდებოდნენ და, თუ გაუჭირდებოდათ, ფქვილს ხმადაბლა სთხოვდნენ და არავინ იყო მთელ სოფელში, მამის უმადური რომ ყოფილიყო.

მეორე დღესაც წაიყვანა მამამ გვეგვე, მაგრამ ჩრდილში დაჯდომა უბრძანა - ხელისგულები და თითები გადაყვლეფილი ჰქონდა. მეხუთე დღეს კი, როცა გვეგვეს ნატკენი ადგილები გაუმაგრდა, თოხის აღება უბრძანა და მას შემდეგ ყოველდღე სამუშაოდ დაჰყავდა. გვეგვე მუშაობას ჩქარა შეეჩვია, ოღონდ ის აბრაზებდა, მამამისის ყმებსა და მას ერთ-ნაირად რომ უნდა ემუშავათ. რამდენიმე წელიწადი სულ ყანაში გაატარა გვეგვემ და რამდენჯერ, მარტო რომ იყო, გადაწყვიტა, მამისათვის განეცხადებინა, რომ საკმარისია, რაც იმუშავა, რომ იმის ნაცვლად, ერთხელ ლოდი რომ ასწია, ათასჯერ მეტი გამოსასყიდი მოძრაობა გააკეთა და ახლა ეყოფა მუშაობა, მითუმეტეს, რომ მის უმცროს ძმას ჯერ თითი არაფრისათვის დაუკარებია. საჭირო სიტყვებს დაეძებდა ხოლმე გვეგვე, რამდენიმე გეგმას აწყობდა, როგორ ეთქვა ეს ყველაფერი მამისათვის და როცა გახარებული საუკეთესო წინადადებას გულში ათასჯერ გაიმეორებდა, მამის დანახვაზე თავ-გზა ებნეოდა და ბეჯითად იქნევდა თოხს. კიდევ არაფერი, მარტოკას რომ ემუშავა, მაგრამ ხანდახან უზომოდ მოწყენილი უმცროსი ძმა შემოივლიდა ყანაში და ჩრდილში წვებოდა. გვეგვეს შუბლს უცვარავდა მლაშე ოფლი, თვალებში ჩასდიოდა, ლოყიდან მიწაზე ეწვეთებოდა, უმცროსი ძმა კი, ჩრდილში წამოწოლილი, მოწყენით ამთქნარებდა და არ იცოდა, რით შეექცია თავი.

გვეგვეს თიბვა სხვა სამუშაოზე მეტად ართობდა. სიამოვნებანარევი ბრაზით იქნევდა მზეზე ალაპლაპებულ ცელს და ჯიუტად მიიწევდა წინ, მარცხნივ კი მოცელილი, გრძელი ბალახი რჩებოდა. თუკი არავინ უყურებდა, უფრო ბრაზიანად იქნევდა ხელებს და ხმამაღლა ქშინავდა, მერე კი, მოღლილი, ამაყად მიიხედავდა ხოლმე უკან.

მამას ქვიან მიწასთან უყვარდა ჭიდილი - ნიადაგში ჩაფლულ ლოდებს ტეხდა, ნამტვრევებს აგროვებდა და მერე გვეგვესთან ერთად საზიდრით გაჰქონდა. ამ სამუშაოსაც არა უშავდა, ქვები ზღართანით ეცემოდა ხევში, მაგრამ ეს თოხნა, თოხნა...

ერთადერთი, რაც გვეგვეს მართლა ატკბობდა, ეს იყო შემწვარი კურდღელი და ჩაციებული საზამთრო, ანდა იმისი მურაბა, საღამოხანს რომ ელოდა.

ის იყო და ის, გვეგვეს შეგნებულად არაფერი დაუშავებია, ოღონდ უმცროსი ძმა, დომენიკო, ჭირის დღესავით შესძულდა.

ლტოლვილი და დომენიკო

ვიღაცამ თითქოს ხელისგული მიადო ლტოლვილს და, თუმცა ეძინა, სიამოვნებისაგან კიდევ უფრო გაიტრუნა. რაღაცა მსუბუქი, თბილი ელამუნებოდა ლოყაზე და ჟრუანტელმა დაუარა. უზომოდ მადლიერმა წამოიკვნესა და თვალი გაახილა თუ არა, მაშინვე შეშფოთებულმა სახე მოჭმუხნა და ხელით მოიჩრდილა - მზე დასდგომოდა სახეზე. ჯერ კიდევ ბურანში იყო, რაღაცა გაურკვეველი სილურჯე თანაბარი სვლით წამოვიდა მისკენ და თვალში რომ ჩაუჯდა, მერეღა გაარჩია - ღია ფანჯარაში ცა მოჩანდა. უცხო ოთახს თვალი მოავლო და, სანამ ძალიან გაოცდებოდა, ერთბაშად გაახსენდა ყველაფერი. თვალები დახუჭა და გულაღმა გადაწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო, დაიძაბა, სიამოვნებით გრძნობდა მხრებს, ბეჭებს, წელს, ფეხებს, და ისევ მიმოიხედა. ყურადღებით იცქირებოდა - სად არ უვლია, ამდაგვარ ოთახში კი მაინც არასდროს ყოფილა; ფრთხილად წამოდგა, გამხდარ, დაძარღვულ მკერდზე სასწრაფოდ ჩამოიცვა ხალათი, მაგიდასთან მივიდა. საჭმელი დახვდა და, სანამ დანაყრდებოდა, ფეხიდან ფეხზე ირწეოდა, საქმიანად ათვალიერებდა ოთახს. მერე ვიღაცის ნაბიჯები მოესმა და მკვეთრად შეტრიალდა კარისკენ, ლუკმა გაეჩხირა ყელში - ზღურბლზე პირველი ყმა, ბიბო იდგა და ისეთნაირად იღიმებოდა, კაცი ვერ გაიგებდა, რა ედო გულში.

- გამოიღვიძე? - ჰკითხა ბიბომ.

ლტოლვილმა თავი დაუქნია და ლუკმა ჩაყლაპა.

- შენთან გამომგზავნეს... ხომ იცი, ვინც?

საფეთქლებთან გარკვევით გაიჟრიალა შიშმა, ისე გლუვმა და მძიმემ, ისეთმა აშკარამ, რომ მოენდომებინა, გაყინული თითისწვერებით შეეხებოდა. უნებურად ხელადას შეავლო თვალი და მაშინვე გამოზომა, მოხერხებულად რომ ჩაბღუჯავდა თიხის გრძელ, ვიწრო ყელს. მერე უცებ გაუელვა: „არა, არა, მდევრები არ გამოგზავნიდნენ...“ და დამშვიდდა:

- ვიცი.

- ჰოდა, ასე დამაბარა, სადამდეც უნდა, იქამდე იყოსო, - და ამაყად დაუმატა, - საჭმელი არ მოგაკლდება და სასმელი, ლოგინიც გექნება, სხვა რა გინდა?

- არაფერი. შენ ვინ ხარ?

- ვინ ვიქნები, კაცი ვარ.

ლტოლვილი ფანჯარას შეაცქერდა, დაუფიქრებლად გადადგა ორიოდ ნაბიჯი, გარეთ გაიხედა და ხმა დაიდაბლა:

- აი... ამ სოფელში... ვინმე ხომ არ ამოსულა?

- როდის...

- გუშინ... დღეს...

- არა, ვინ უნდა ამოსულიყო - გზაზე არა ვართ.

- აა... - გაუხარდა ლტოლვილს, - გზაზე არა ხართ, არა?

- არა, ისე კი ამოდის რაღაც-რაღაც ბილიკები, მაგრამ...

- ძნელად მოსაგნებია, არა?

- მე აქ დიდხანს ვერ დაგიდგები, ჩემი საქმეებიც ბევრი მაქვს, - მოულოდნელად გამოაცხადა პირველმა ყმამ, - მოკლედ, სადამდეც უნდა, იქამდე იყოსო...

- დიდი მადლობა გადაეცი, დიდი მადლობა, - მკერდზე ხელი მიიდო ლტოლვილმა, - ეგეთი კაცი არ შემხვედრია ჯერ არსად, არასოდეს, - და უცებ გული აუჩუყდა, მაგრამ შემოსულს თვალი რომ გაუსწორა, ენაზე იკბინა, განზე გაიხედა და ჩუმად გაიმეორა:
- დიდი მადლობა გადაეცი.

პირველმა ყმამ დამცინავად მომუწა პირი და გავიდა.

ჭიშკართან ღელე ჩამოდიოდა, ლტოლვილმა განზე გადგა ფეხები, დაიხარა და ცივი, ყინულოვანი წყალი ორივე პეშვით რომ შეისხა, შვებით აფრუტუნდა - ძალიან ცხელოდა. სახე არ შეუმშრალებია, ისე დაადგა გზას. სოფლის განაპირას გაუწია გულმა. მშვენივრად იცოდა, სოფლის პატრონმა კარგად რომ მიიღო, მაინც ერიდებოდა მის ეზოში წრიალი და ტყისპირას ყოფნა მოუნდა - ყველგან, საცა კი ასეთი დიდი ხეები და ბუჩქნარი უნახავს, ასე ეგონა, რომ ხეები ყველასი იყო და იქითკენ მიიჩქაროდა. ხესთან რომ მივიდა, მომცრო ტოტი აახლიჩა, ფოთლები შემოაცალა და მაგრად დაიქნია, ზუზუნით გაიპო ჰაერი. ყური მიუგდო, ისევ ასწია

ხელი და შორიახლოს ყმაწვილი დაინახა, ხეს ბეჭებით მიყრდნობილი. ერთხანს ხელშემართული უყურებდა, მერე უხერხულად გაიღიმა, დაიხარა და ტოტი მიწაზე დადო, ისევ შეათვალიერა ყმაწვილი და, სხვა დროს იქნებ არც გაჰკვირვებოდა, მაგრამ ახლა, დამშვიდებულს, და გამაძღარს, თვალი გაუხარა ასეთი მშვენიერი, ფერმკრთალი ყმაწვილის დანახვამ. ისიც შესცქეროდა და ლტოლვილს გაუკვირდა - ეს ყმაწვილი სრულებით არა ჰგავდა აქაურს. არსად უნახავს, სოფლელი ბიჭი უქმად რომ მდგარიყო ხესთან, გულზე ხელებდაკრეფილი, ნაზი თითებითა და ფერმკრთალი სახით.

- შენ ლტოლვილი ხარ, არა? - ჰკითხა ბიჭმა. გამოთქმა მაინც სოფლელისა ჰქონდა.

- ჰო, - თავი დაუქნია ლტოლვილმა და გაუღიმა, - შენა, დომენიკო?

- საიდან იცით?

- ვიცი.

ერთხანს ჩუმად იყვნენ. ლტოლვილი მიწაზე დაჯდა, ბალახი მოგლიჯა და გადაყვლეფილ მუხლზე დაიყარა. ბიჭს გაუკვირდა, თვალი მოარიდა, უცებ ვიღაცა დაინახა და მიაჩერდა. ლტოლვილი არ წამომჯდარა. ბუჩქი გადასწია და დომენიკოს მზერას თვალი გააყოლა - თვრამეტი წლის გოგო გზაზე მიდიოდა. ლტოლვილმა ღიმილით ახედა დომენიკოს და გულაღმა წამოწვა.

თვრამეტი წლის გოგო კი გზაზე მიდიოდა. მაღალი, ჯიშიანი გოგო იყო, კაბა დავიწროებოდა და სიარულისას მკერდი უხტუნავდა. ძალიან ცხელოდა, ლოყები წითლად უღუოდა გოგოს, ზედა ტუჩი ოფლით დაცვაროდა, ტყისკენ მიიჩქაროდა. ტყეში რომ შევიდა, გემრიელი ჰაერი ჩაისუნთქა თვალი მილულა. ღელესთან მივიდა, ჩამოჯდა, პატარა ღელე იყო, კენჭებიც მოჩანდა ფსკერზე. პეშვით ამოიღო წყალი, სახეზე იპკურა. ესიამოვნა, სველი ხელი ყელზე ჩამოისვა, თმა გაიშალა, კისერზე მოიხვია, მერე სქელი, ფერადი წინდები გაიხადა და ფეხები წყალში ჩაყო. ერთხანს გატრუნული იჯდა. უკან გადახრილს, ხელისგულებს დაყრდნობილს და ნეტარებისაგან თვალდახუჭულს, ჩრდილისთვის შეეშვირა სახე. მერე ფეხები წყალში აადგაფუნა, იცინოდა და უცებ ტყისა შეეშინდა - დაძაბულმა მოავლო იქაურობას თვალი, მაგრამ შიშმა ჩქარა გადაუარა - წამოდგა და ფეხშიშველამ გაიარა ბალახზე. ჯერ თითის წვერებს დგამდა, წამით ყოვნდებოდა და მერე მთელი ფეხისგულით გრძნობდა მიწის სიგრილეს. ასე გაიარ-გამოიარა და გული რომ იჯერა, ისევ შეეშინდა. საჩქაროდ ჩაიცვა ჭრელჭრული, ნაქსოვი წინდები და ტყიდან გამოვიდა. გზაზე ძალიან ცხელოდა, სახეზე და ყელზე მაინც შერჩენოდა ტყის სიგრილე და

თამამად მიაბიჯებდა. სოფლის განაპირას ორიოდე წლით უმცროს ბიჭს მოჰკრა თვალი და ჩაიღიმა - მშვენიერი ბიჭი იყო, თანაც - უმცროსი, და თავისუფლად ემასლაათებოდა. ახლაც, პირდაპირ იმისაკენ დაადო თავი, იარა, იარა და ძალიან რომ მიუახლოვდა, ერთი კი გამომწვევად შეხედა, მერე მკვეთრად შეტრიალდა და ზურგით დაუდგა:

- ბიჭო, დომენიკო, - უთხრა გოგომ და თითები ზურგზე მოიპოტინა, - ემანდ ღილი გამხსნია, შემიკარი რაა...

- სადა, აბა... - წამით ლტოლვილისაკენ გაიხედა დომენიკომ, მაგრამ ვერ დაინახა, - ბუჩქი ეფარებოდა.

- აი, აქა... ვერა ხედავ?

- კი, - ხელებჩამოყრილი იდგა.

- რა იყო, ბიჭო, ხომ არ გრცხვენია? - მხარუკუღმა გამოხედა გოგომ.

- მე? მე რისა უნდა მრცხვენოდეს, ქურდი კი არა ვარ.

- ოო, ყოჩაღ... დიდი მადლობა, დომენიკო. ერთი წუთი დაიცა...

- რა იყო...

- დომენიკო, გოგოსთვის გიკოცნია?

- როგორ... - სუნთქვა შეეკრა დომენიკოს, - უბრალოდ, თუ...

- უბრალოდ კი არა... ისე, ნამდვილად თუ გიკოცნია...

- რა შენი საქმეა...

- არ მეტყვი და ნუ მეტყვი, ძალიანაც არ მინდა?! - მკვეთრად შეტრიალდა გოგო და თმა მხარზე ჩამოეშალა. ოდნავ რომ გასცდა, მიიხედა, და გაუღიმა. მერე ყველაფერი გადაავიწყდა, თამამად, ლაღად მიაბიჯებდა სოფლის გზაზე.

- ვინ იყო? - წამოჯდა ლტოლვილი.

- ერთია, ჩვენს მეზობლად ცხოვრობს.

- აა, - მიმოიხედა ლტოლვილმა, - მართლა, ეს რა მცენარეა?

- რომელი?

- ესა...

- რომელი, აბა...

- აი ეს, ყველგან როა...

- აჰ, ეგა? - მიმოიხედა დომენიკომ და ზიზღით დაუმატა, - გვიმრა.

- როგორ?

- გვიმრა.

- რა უცნაური მცენარეა, რამეში თუ გამოიყენება...

- არა, არაფერში... რამეში რომ გამოიყენებოდეს, ამდენი იქნებოდა?

- აჰ, არა, არა, ეგ არ გაიფიქრო, - ხელი გაასავსავა ლტოლვილმა, - რაღაი ამოდის, ალბათ გამოიყენება კიდეც.

- რაში?

- მე არ ვიცი, რაში... თქვენ უნდა იცოდეთ.

- არ გამოიყენება და რა ვქნა...

- შეუძლებელია, - განაცხადა ლტოლვილმა.

- აგერ, ვისაც გინდათ, იმას ჰკითხეთ...

- არა, მე კი მჯერა, რომ არ იციან... მაგრამ არ შეიძლება, რაიმე დანიშნულება რომ არა ჰქონდეს.

- რასა, გვიმრას? - აგდებულად გაიღიმა დომენიკომ, მაგას ღორებიც არა ჭამენ.

- ეგ არაფერს ნიშნავს.

- თხებიც არ ჭამენ, არც ცხვრები, შიმშილით რომ კვდებოდნენ, პირს არ დააკარებენ.

- მართლა? რა უცნაური მცენარე ყოფილა - დაინტერესდა ლტოლვილი და ერთი შტო მოწყვიტა, - ხედავ, როგორი ყოფილა?

- როგორი?

- აი, ერთად როცაა, ბუჩქად, მართლაც რომ შეუხედავია, მაგრამ აბა ერთი შტო დაიჭირე მაღლა და ისე გახედე, მშვენივრადა აქვს ასხმული ფოთლები... და ფოთლებიც რა უცნაურია... - ლტოლვილი ისევ წამოწვა, ხელში ატრიალებდა შტოს.

დომენიკო გაკვირვებული შესცქეროდა.

- და შენ კიდევ ამბობ, არაფერში გამოიყენებაო, არა?

- აბა რა!

- მაშინ რატომ არ ჭამენ ღორები?

- მე რა ვიცი.

- რაღაცა არის ამ მცენარეში ისეთი, რომ თხები და ღორები არ ჭამენ... შენ ალბათ ისიც არ იცი, გველის შხამით რომ მკურნალობენ?

- როგორ - მკურნალობენ?..

- ავადმყოფს არჩენენ.

- უხსენებლის შხამით? - დაეჭვდა დომენიკო, და მაშინვე ხელი ჩაიქნია, - რას ამბობთ, ეგ ხომ ადამიანს კლავს.

ლტოლვილი წამოჯდა და მიმოიხედა:

- რა, თქვენს სოფელშიც არიან?

- როგორ არ არიან... შავები.

- ჰოო? ბევრია?

- არც ისე... მაგრამ ერთი უხსენებელია, მტრისას... ნემსისხელაა, არც ჩანს, არც არაფერი, მაგრამ თუ ვინმეს უკბინა, იმწამსვე, მაშინათვე კლავს...

- მართლა? რა ჰქვია...

- პატარას? იირკოლა ჩი...

- იირკოლა ჩი... - გაიმეორა ლტოლვილმა, - მერედა, ბევრია?

- არა, ორ-სამ წელიწადში ერთხელ თუ უკბენს ვინმეს.

- ჰოო, ეგ კი ვერაა კარგი ამბავი... ისე კი, დომენიკო, მცოდნე ხალხი მაგ იირკოლა ჩის შხამიდან უებარ წამალს დაამზადებდა.

- მართლა?

- მართლა.

- თქვენ საიდანა ხართ, ბოდიში?

ლტოლვილმა არ იცოდა, სად დაიბადა. ისე კი, ბუნდოვნად ახსოვდა ის ადგილი - საითაც გაიხედავდი, ყველგან ზღვა ჩანდა, ალბათ კუნძული თუ იყო მისი სამშობლო. ნაპირთან უზარმაზარი, ყავისფრად აჩონჩხილი კლდე იდგა, მისი კენწერო ბუნებასა თუ ვიღაც ახირებულ მოქანდაკეს პეშვისათვის დაემსგავსებინა: პატარაობისას დიდხანს იდგა ხოლმე იქ. ზღვა ხშირად იცვლიდა ფერს, ხან მწვანე იყო, ხან მუქი ლურჯი. ხანდახან კი, როცა ძალიან ღელავდა, ყვითლად იმღვრეოდა და ელვა იგრიხებოდა ცაში, უზარმაზარი ტალღები მუქარით მოგორავდნენ, ხმელეთზე კი, გრიგალის ატეხისთანავე, მრისხანედ წამოიმართებოდა სამუმი და ეს უშველებელი, საზარალი სვეტი მწივანა სიმღერით დაალაჯებდა ნაპირზე. ყველანი გამორბოდნენ ბამბუკის სახლებიდან და ხეებს ეხუტებოდნენ, მაგრად შემოაჭდობდნენ მკლავებს, ლოყითაც კი ეკვროდნენ და ალბათ სწორედ აქედან დასჩემდათ ხის სიყვარული. ყველას ჰქონდა საკუთარი ხე - ზოგისთვის მხოლოდ მფარველი იყო იგი, ზოგიერთისთვის კი საქმრო და დანიშნული. ქალიშვილებს ლამაზ, ვერცხლისფერტანა ხეებს გაურიგებდნენ ხოლმე - როგორც კი თორმეტი წლისა შესრულდებოდა, თმაგაშლილი მიჰყავდათ ხესთან. იქ კი, ჯერ თაკარა სიცხეში დიდხანს უნდა მდგარიყო პატარძალი, თმაგაშლილი იდგა და თუმცა დოლები გაბმულად გუგუნებდა, მაინც ესმოდა საკუთარი გულისძგერა. მერე კი, თეთრწვერა ბერიკაცის ნიშანზე, ფრთხილად შედიოდა ხის ოდნავ მოცახცახე ჩრდილში და ვერცხლისფერ მერქანს სახეალეწილი ჰკოცნიდა. ლტოლვილსაც ეგულებოდა საკუთარი ხე - მას გრილი, მოტკბო ნაყოფი ჰქონდა. თავად ხე არც ისე მაღალი იყო, ძალიან უხეში, აქერცლილი კანით დაფარულიყო და გრიგალი რომ მიწყნარდებოდა, ლტოლვილს მთელი სხეული დაკაწრული ჰქონდა და სისხლი სდიოდა. ამ ხეს მამას ეძახდა ლტოლვილი.

- მამას? - გაიკვირვა დომენიკომ.

- ჰო, მამა არ მყავდა.

გორაკები კი მშვენივრად, ცხადად ახსოვდა, ოღონდ ისეთი უცნაური ფერები მერე აღარსად შეხვედრია - იქ ფოთლები მწვანე იყო, მაგრამ ისეთი მწვანე კი არა, ყველგან როა-ღია, ღია მწვანე. მიწაზე ჩამოცვენილი ფოთლები სწრაფად ჭკნებოდა, მაგრამ ისე კი არ ყვითლდებოდა, როგორც სხვაგან - ბაცი, ძალიან ბაცი ყვითელი დაჰკრავდა. სამაგიეროდ, შემოდგომისპირს წითლად ჩახჩახებდა იქაურობა და დაღლილი მზერა იქითკენ გარბოდა, სადაც ტალღები ჯიუტად ლოკავდნენ ყავისფრად აჩონჩხილ კლდეს.

- ეგეთი მაგარი წითელი იყო?

- ეგეთი მაგარი.

- დიდხანს ცხოვრობდით იქ?

ერთხელ, როცა დიდი გრიგალი დაატყდათ თავს, ის კი ახსოვს, თავის ხემდე რომ ვეღარ მიაღწია, სხვას ჩააფრინდა და მერე, თვალი რომ გაახილა, სქლად დაგრეხილი, ცისკენ მიმავალი თოკები დაინახა, მერე წვერმოშვებული, აგდებულად მომღიმარი სახეები შეათვალიერა და გაკვირვებული წამოჯდა - ირგვლივ ისევ ზღვა იყო, ლურჯი, დაწმენდილი, მზის სხივებით აბრჭყვიალებული, თეთრი ღრუბლები ალაგ-ალაგ ქათქათებდნენ ცაზე და ამ მშვენიერ, ლამაზ ფერებში მკვეთრად გამოირჩეოდა შავი დროშა.

- ვინ იყვნენ?

ახლაც არ იცის ლტოლეილმა, სადაური მეკობრეები იყვნენ - იმათი ენა არ გაეგებოდა. მერე კი, მეორე გემი რომ დაედევნა იმათსას, აიღო და წყალში გადახტა.

- რატომ?

ძალიან ცუდად ექცეოდნენ, საერთოდ, ძალიან ცუდი ხალხი იყო.

- გემი რა არის?

- გემი არ იცი?

- არა, - გაწითლდა დომენიკო.

- რაღას მალაპარაკებდი, - გაიღიმა ლტოლვილმა, - გემი ხის დიდი სახლივითაა, ზღვებზე დაცურავს.

- და... ზღვა რა არის?

- ზღვაც აღარ იცი? ზღვა ბევრი, ძალიან ბევრი, დიდი წყალია.

- აა...

- ეეჰ, დომენიკო, დომენიკო, - შეაცქერდა ლტოლვილი - ნეტაი შენ.

- რატომ?

- რატომ და ეგრე ჯობია.

- როგორ - ეგრე?

- ზღვა და გემი რომ არ იცი, ეგრე. შენ ალბათ, მტერიც არა გყავს.

- რად უნდა მყავდეს, ცუდი ადამიანი კი არ ვარ.

- ეეჰ, - გულიანად გაუღიმა ლტოლვილმა, თავი გვერდზე გადახარა და ისე შეხედა, - მართლაც რომ ნეტაი შენ, დომენიკო...

მამასთან ორი კაცი მივიდა

საღამო ხანს მამასთან ორი კაცი მივიდა. გამხდარმა, ჭორფლიანმა ყმაწვილმა ფრთხილად დააკაკუნა და სმენად გადაიქცა - ლოყა გრილ კარს მიადო და თვალები აახამხამა.

- შემოდით, - მოისმა მშვიდი ხმა, - შემოდით, ღიაა.

ჭორფლიანმა თანამგზავრს მიხედა და ორივემ ფრთხილად გადააბიჯა ზღურბლს. მამა ატკარცალებულ ბუხართან იდგა, სინათლე ეხახუნებოდა თავსა და ზურგზე, ჭორფლიანმა ყმაწვილმა ხელით მოიჩრდილა, მეორე კი, ჯმუხი და შუბლშეკრული კაცი, უფრო მოიღუშა.

- რისთვის მოსულხარ, ნანდუ?

ჯმუხი კაცი ქუდს აწვალებდა ერთხანს, თავი არ აუწევია, მერე თითქოს რაღაცის მოყოლა დააპირა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა:

- ჯერ მაგანა თქვას.

- თქვას.

- აი, როგორა ვთქვა, - ხელები გაშალა ჭორფლიანმა, - იმდენი არც არაფერი მომხდარა. მე წყაროზე ჩავედი და მაგისი ცოლი, რა ქვიან, კოკას ავსებდა. მე ავიღე და

დავეხმარე - კოკა შევუდგი მხარზე. ეგ თურმე ბუჩქებში დამალულიყო და ეგონა, რომ აი, როგორ ამბობენ... ვითომ მაგის ცოლს და მე... ვითომ რაღაცა გვქონდა ერთმანეთში.

- რატომ გეგონა ასე, ნანდუ?

- ეგრეა, - აღელდა კაცი, - აბა, როგორა ვთქვა... ეგრეა, ეგრე.

- რა იცის რომ ეგრეა, რა იცის?

- რა იცი, რომ ეგრეა, ნანდუ?

- რათა და, მაგან ისეთნაირად ჩაიცინა, რომ... აი ისე, რომ...

- ჩაღიმებას გააჩნია, არა?

- ხო! - გაეხარდა ჯმუხს, - ჩაღიმებას გააჩნია.

- სიცილი სიცილია, - იუარა ჭორფლიანმა, - ერთი გავიცინე, რა მოხდა...

- ახლოს მოდი, რესა.

ჭორფლიანმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა, ბნელოდა და საკმაოდ თამამად მიაჩერდა, მაგრამ მამამ თაროდან კვარი ჩამოიღო და სახესთან მიუტანა. ჭორფლიანს ფერი ეცვალა და თავი დახარა. თითქოს დამნაშავესავით იდგა, მაგრამ მაინც თითებს წელზე ითამაშებდა, მამას რომ არ დაენახა, ისე.

- შენ რომ დაიბადე, ღრუბლიანი დღე იყო, რესა. ცხელოდა და სუნთქვა ჭირდა, ნიავის ჭაჭანებაც არ იყო, სიო რომ სიოა, ისიც კი არ ქროდა. შენ ჩვრებში გახვეული იწექი, სახე გაგლურჯებოდა და კაცმა არ იცოდა, გადარჩებოდი თუ არა, ტირილის თავიც აღარ გქონდა. წყაროს წყალს გასმევდნენ ქალები, წლისა რო შესრულდი, ძლივს გამოიხედე. შენი ტოლები რომ თამაშობდნენ, ჩრდილში დაგსვამდა ხოლმე დედაშენი და მთელი დღე ასე იჯექი და პურს ლოღნიდი, რადგან წამოდგომაც არ შეგეძლო - ფეხებში ძალა არა გქონდა, რესა. ერთხელ კი, როცა ჩრდილმა გადაიწია და თაკარა მზეზე აღმოჩნდი, ვერავის გააგონე და ერთხანს საწყლად მოთქვამდი, მხოლოდ მე გხედავდი, მაგრამ არ მოვსულვარ შენთან, შორიდან გითვალთვალებდი - ვიცოდი, მზე რომ გჭირდებოდა. თქვენს ეზოსთან ვიდექი, ყანიდან წამოსული, დაღლილი, შენ კი, ტირილით დაოსებული, გულაღმა გადავარდი და შიშველ ფეხებზე მზე გაცხუნებდა. ცოტათი რომ აგრილდა და გონს მოეგე, თბილმა ჟრუანტელმა დაგიარა ფეხებში, ხელებით დაეყრდენ მიწას, წამოიწიე, წამოიწიე და

დადექი - სამი წლისა იყავი მაშინ, რესა. მას შემდეგ დრო გავიდა, მე ყველაფერი კარგად მახსოვს, ყოველთვის გაკვირდებოდი, შენ რომ არ იცოდი, ისე. პატარა ბიჭობაში საქონლის წვალება გიყვარდა, დიდი ანცი ბავშვი იყავი, სულ ტყუილსა და ეშმაკობაზე გეჭირა თვალი. ღინღლი რომ ამოგივიდა, სალამურზე დაკვრა ისწავლე და, რაც მართალია მართალია, ყველაზე კარგად უკრავდი. დამღერებაც კარგი შეგეძლო, მოსწრებული სიტყვა-პასუხიც კარგი იცოდი და ზოგ ქალს სხვა რა უნდოდა, ასე არ იყო, რესა? მე იშვიათად გხვდებოდი - სამუშაოდ რომ მივდიოდი, შენ ტკბილად გეძინა, ვენახიდან რომ ვბრუნდებოდი, სადმე, ტყისპირს, ვიღაცას ტყუილებით ხიბლავდი და მაინც, ათასში ერთხელ პირისპირ რომ შემეჩეხებოდი, ვითომ ვერცა მხედავდი, ამარიდებდი ხოლმე თვალს. საერთოდ, ჯანმრთელი ყმაწვილი კი დადექი, არაფერი გაწუხებდა, მაგრამ ერთხელ ცხენმა გადმოგაგდო და ფერდი და მუხლი ისე გტკიოდა, სულ იდაყვებს იკბენდი. რომ მოიკეთე, ერთი პირობა პატიოსნად ცხოვრობდი, იმ ტკივილებით ბუნდოვნად დაშინებული, მაგრამ მალე ისევ სიცრუე მოგადგა ენაზე, გაუტანლობა ჩაგეხვია გულში, რესა.

მამას ხელი გაეშვირა, მაგრად ჩაებღუჯა კვარი და ისე ლაპარაკობდა; მკრთალი სინათლე უფართხალებდა ჭორფლიანს სახეზე.

- ისე კი, ბევრჯერ გადარჩენილხარ, ეგ მაინც თუ გახსოვს, - ხანჯლით დაგდევნებიან, ისარი აუცდენიათ. ბევრი რამ საერთოდ ვერ გაუგიათ - ეგეც გადარჩენაა, ამასწინათ კი, მეზობლის ქორწილში მწვანე თასზე უარი რომ გათქმევინე, შიგ საწამლავი ესხა.

„იიჰ, - გაიფიქრა ჭორფლიანმა და შვებით ამოისუნთქა. მამამ კვარი მოაცილა.

ერთხანს გატრუნულნი იდგნენ, კრინტი არ დასცდენიათ.

ჭორფლიანმა მალულად ისევ აითამაშა წელზე თითები და ამის შემხედვარე ჯმუხი კაცი ისე ჩუმად განრისხდა, ფრჩხილები ჩაესო ხელისგულებში.

მერე მამა ბუხართან, სამფეხა სკამზე დაჯდა და ჭორფლიანს შეხედა.

- ეს ყველაფერი კარგი, აბა რამე დაგვიკარი, რესა.

- რომელი? - გამოცოცხლდა ჭორფლიანი, თითები უბეში ჩაიყო და სალამური ამოაძვრინა, - ძლივს არ ვიპოვნე? - წყაროსთან დამრჩენოდა. რომელი დავუკრა?

- რომელიც გინდა. შენ რაც გინდა, ის დაუკარი და ის დაამღერე.

ჭორფლიანმა ტუჩები წაიწვრილა და სალამური პირზე მიიდო. თითები კოხტად აათამაშა, თვალები მილულა, თამამად, ხალისით უკრავდა, მერე ხელები ჩამოუშვა და დაამღერა, თან სალამურს თეძოზე მსუბუქად ირტყამდა:

ორშაბათობით აშენდა

ციხე-ქალაქი მთაზედა,

ქვა შემოივლო გალავნად,

ცა დაიხურა თავზედა,

ჰე-ე, ჰეე...

ისევ სალამურს ჩაჰბერა, მხრები აათამაშა, მერე ღრმად შეისუნთქა:

ეს სალამური კოხტაო

რა კაი ხელში მოხვდაო,

ჰე-ე, ჰეე...

ხელიდან ხელში სავალო,

გამქარვებელო დარდისა,

მუდამჟამს უბით სატარო,

როგორც ფურცელო ვარდისა,

ჰე-ე, ჰეე...

გახარებულმა იტუცა პირში სალამური, მამა დაჟინებით მისჩერებოდა, მაგრამ თვალი ვერაფრით გაახელინა; მერე უფრო გაბედულ სიმღერაზე გადავიდა რესა:

ნეტაი ერთსა ღამესა

შენთან მქონიყო ბინაო,

ჩემი ნაბადი დაგვხურა

შენს მკლავზე დამაძინაო.

აღტაცებულმა, ტუჩზე იკბინა:

ლისო, ლისო ქარი ქრისო - ლისიმ

დალალეო,

შევარდენი ფრთასა შლისო - ლისიმ

დალალეო,

არიგებულ, ჩარიგებულ - რა

ტურფა რამ ხარო,

ქმარმძინარი, შენ მღვიძარი, -

რა ტურფა რამ ხარო,

ლისო, ლისო ქარი ქრისო - ლისიმ

დალალეო,

შევარდენი ფრთასა შლისო -

ლისიმ დალალეო.

მამას ყვრიმალები დაებერა, მაგრამ ბუხრისკენ ზურგით იჯდა და არაფერი ჩანდა, თანაც ჭორფლიანს თვალები მაგრად დაეხუჭა და ადგილზე ცმუკავდა, გახარებულმა, ერთი-ორჯერ ჩაბუქნა კიდეც:

შენისთანა სავსე ქალი

უნდა ჩავიგდო ხელშია,

ნეტავი ტუჩით შემახო

შენ რომ ვაშლი გაქვს მკერდშია,

ჰე-ე, ჰეე...

ჯმუხი იატაკს ჩაჩერებოდა და ხელისგულიდან სისხლი სდიოდა. ერთიანად დაჭიმულიყო, მაგრამ ზღართანი რომ მოესმა, შეკრთა და გაოგნებული დააცქერდა სოხანეზე გაშხლართულ მომღერალს - იმას მწვანე ლაქები დაჰყროდა გაყვითლებულ სახეზე.

- რა არი, რა მოხდა? - უნებურად იკითხა.

მამა ისევ სამფეხა სკამზე იჯდა, მშვიდი, გამართული, დაფიქრებული.

- რა მოხდა? - გაიმეორა ჯმუხმა და უცებ შეეშინდა, - მე... მე არაფერი, მე უდანაშაულო ვარ, მე არაფერი ჩამიდენია...

- შენ რა შუაში ხარ, - უთხრა მამამ. - აგერ, კვარი აიღე და დახედე.

ნანდუ კვარს წაეტანა და წაქცეულს სახეზე დაანათა. ტუჩიდან ნიკაპამდე წვრილი ზოლი შეამჩნია, ეს სისხლი იყო, მაგრამ შიგნით თითქოს რაღაც ირხეოდა. ხელით მოიჩრდილა და უფრო დააცქერდა, მერე კი, რომ გაარჩია, უკან გადახტა, კედელს ზურგით აეკრო და დაიყვირა:

- იირკოლა ჩი!

- იირკოლა ჩი... - წყნარად გაიმეორა მამამ. წაქცეული ახლა უფრო გრძელი ჩანდა.

- კი მაგრამ... აქ საიდან... აქ რა უნდოდა... შიგ ტუჩში უკბენია!

ალბათ სალამურში თუ შეძვრა... წეღან არა თქვა წყაროსთან დამრჩენოდაო.

- რა უცნაურია, რა უცნაურია, - წამოიძახა ნანდუმ და უცებ მოერგო თავს - ძველებურად ჯმუხი და სიტყვაძვირი გახდა.

მამა წამოდგა. წაქცეულთან დაიხარა და ჩხირი ჩამოუსვა სისხლის ზოლს, რაღაცა პატარა, წვრილი, მოძრავი, მაგრად ჩაესო ჩხირს, ეტყობა, სისხლით გაღიზიანებული გველი ჩხირსაც საკბენად ჩააფრინდა. მამა ბუხართან მივიდა, ხელი გაიქნია და ოდნავი ალი ავარდა ნაკვერჩხალს, თან წითლად გაიკლაკნა რაღაც და მერე ყველაფერი მიილია. მამამ კვარს დაავლო ხელი და კედელთან ატუზულ კაცს მიუახლოვდა:

- შემომხედე, ნანდუ!

მკრთალი სინათლე დაბორიალებდა კუშტ სახეზე, მერე კაცმა გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

- გაგეხარდა, არა, ნანდუ?

- არა, რასა ბრძანებთ, - შეკრთა კაცი, - ადამიანის სიკვდილი როგორ გამეხარდებოდა...

მამა ერთხანს ნაღვლიანად შესცქეროდა, კაცმა ისევ სცადა გაღიმება, მაგრამ ამჯერადაც არ გამოუვიდა.

- წადი, გამეცალე, - უთხრა მამამ და ზურგი შეაქცია, - ჩემს სახლში აღარ დაგინახო, წადი, წა...

...კარი რომ მიიხურა, მამა ფანჯრასთან მივიდა და მიმავალს გახედა:

...თვალები მოეჭუტა. დაფიქრებული, სიბრალულით გასცქეროდა ღამეში შემავალს და ბუხრიდან გამოვარდნილი, მოკიაფე სუსტი სინათლე ისევ ჯიუტად ეხახუნებოდა თავსა და ზურგზე. დრო გადიოდა...

ტყისპირი

ჭერამდე აბობღებული მძიმე ხალიჩის ნაცნობ, ტეხილ ხაზებს ზანტად მისჩერებოდა დომენიკო. ეზოში რახანია შეშას აპობდნენ, მაგრამ გამეტებით დაქნეული ნაჯახის მკვეთრი, მოკლე ხმა ხანდახან თუ ესმოდა გაბრუებულს, წამოდგომა ეზარებოდა და, კედლისაკენ პირშექცეული, ძალაუნებურად შესცქეროდა ხალიჩას. რამდენჯერმე ძალით დაამთქნარა, ეგება ძილი მორეოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაინც ეზარებოდა წამოდგომა და თვალგახელილი იწვა, მერე მოსწყურდა და იქვე, თავთით მიდებულ თუნგს დასწვდა, პირზე მიიყუდა და მაშინვე სახე მოეღრიცა - გამთბარიყო წყალი. საბანი ფეხით მოიშორა და წამოდგა. ფანჯარასთან ფეხშიშველი მივიდა, გვერდულად ადგამდა ტერფებს. ეზოში მისი კბილა ბიჭი შეშას ჩეხავდა. კი შეეძლო, დაეძახა და წყალი ამოეტანინებინა, მაგრამ, რაღაცნაირად, მოერიდა - ტოლები იყვნენ. საწოლთან დაბრუნდა, ზანტად დასწვდა პერანგს, თითქოს ისევ მოერია ძილი; თვალდახუჭული იდგა და ასე იცვამდა. ეზოში ჩასვლა ეზარებოდა, ერთხელ კიდევ გადაიხედა და ბიბო დაინახა, ჭიშკრისაკენ მიმავალი. პირველი ყმა არ უყვარდა და ამიტომაც გაუხარდა მისი დანახვა:

- ჰეი, ბიბო.

- რა იყო?

- წყალი ამომიტანე.

- წყალი? - დაეზარა ბიბოს და მაშინვე იაზრა, - ბიჭო, გაიქე, წყალი აურბენინე...

- ახლავე, - თქვა ბიჭმა, ნაჯახი დიდ მორზე დაასო და გაიქცა.

გუნება მოეშხამა. კიბე მძიმედ ჩაიარა, ეზოში აღარც ბიჭი ჩანდა, აღარც ბიბო. მორთან მივიდა და ნაჯახს წაავლო ხელი. მაგრად იყო დასობილი, ღონივრად დაეჭიდა, უცებ შემსუბუქდა, ნაჯახიანად უკან გადადგა ორიოდე სწრაფი ნაბიჯი და რაღაც მოხვდა წელზე. შებრუნდა და ბიჭი დაინახა, უხერხულად მომღიმარი, დოქზე

ხელისგულმიფარებული. დომენიკომაც გაუღიმა, ნაჯახი მარცხენაში გადაიტანა და დოქი პირთან მიიტანა, მაგრამ ცალი ხელით ვერ მოერია - დიდი დოქი იყო. ნაჯახი ფეხზე მიიყუდა, ათივე თითი მაგრად შემოაჭდო თიხის გრილ ჭურჭელს და ცივი, გემრიელი წყალი დალია. მერე ნაჯახი მოიმარჯვა, მაგრამ ბიჭმა უთხრა:

- ფეხზე არ მოირტყა.

დომენიკოს ეწყინა და გამომცდელად შეაცქერდა, მაგრამ დაცინვისდამაგვარი ვერაფერი შეამჩნია. მაინც ხასიათი წაუხდა და უგულოდ გაუწოდა ნაჯახი.

ეზოდან გავიდა. ისე ნელა მიაბიჯებდა, ერთი-ორჯერ მძიმედ დატვირთულმა ურემმაც კი გაუსწრო. არც იცოდა, სად მიდიოდა, სად წასულიყო, რითი გაერთო თავი. გზადაგზა ყანებსა და ვენახებში, გლეხები მუშაობდნენ - თოხნიდნენ, ბარავდნენ, ხელით იწმენდდნენ ოფლით დაცვარულ შუბლს, პატარა ხნით წელს ასვენებდნენ და ისევ თოხნიდნენ.

ჰო, მართლა, ლტოლვილი!

ის კი, ტყის პირას ჩრდილში შეყუჟული, თვალდახუჭული იწვა, მკლავი ამოედო თავქვეშ და თავისას ფიქრობდა.

ლტოლვილს სუნთქვა შეეკრა და წამოჯდა. დაფეთებულმა მიაგება მზერა მოსულს და, დამშვიდდა:

- შენა ხარ?

- ჰო, შეგეშინდა?

- არა, უცებ, ვფიქრობდი და... ამას რას ეძახით?

- პანტას.

- მსხალსა ჰგავს, არა?

- ჰო, ტყეში სავსეა.

- მსხალი ხომ მოდის თქვენს სოფელში?

- კი, გულაბი.

- ენაზე დნება, არა?

- კი, კარგია. აბა, მაგას რა მაჭმევს, მჟავეა, - სახე დაეღრიცა დომენიკოს.

- რატომ, კარგია. არა უშავს...

- კარგი რომ იყოს, ტყეში ამოვიდოდა?

- აბა რა, ტყეში ამოვიდა.

- მერე რა...

ლტოლვილმა გაიღიმა და უთხრა:

- ეეჰ, არ გვესმის ერთმანეთის მე და შენ, დომენიკო.

- რათა...

- რა ვიცი, რათა... - მხრები აიჩეჩა ლტოლვილმა და დაამატა, - ისე კი, ცუდ ხეს და მცენარეს ვერსად შეხვდები, დომენიკო...

- ვერსად? - დაფიქრდა და გაახსენდა. - აბა ეს გვიმრა რა ჯანდაბის მაქნისია?

- რას ჩააცივდი ამ გვიმრას, - გაიღიმა ლტოლვილმა, - თავისთვისაა.

დომენიკომ თვალი აარიდა, სოფელს გახედა. რომელიღაც გლეხი, შორიდან ვერ გაარჩია, ურუს იქნევდა, ხმა კი მოგვიანებით აღწევდა ტყისპირამდე. დომენიკომ უყურა, უყურა, მერე ცას ახედა, გემრიელად დაამთქნარა, მაგრამ ლტოლვილის გამოცვლილი ხმა რომ მოესმა, შეკრთა:

- იცი, საერთოდ, ხანდახან... - ძალიან აღელვებული ჩანდა ლტოლვილი, - აი, კარგად რომ დაუკვირდე, არა? ხანდახან ისეთი უცნაურია, რომ... აი, შენ ამბობ, გულაბი კარგიაო და პანტა ცუდი, თუმცა არა, არა, ასე ვერ აგიხსნი... შენ თუ გაგიგია, თუმცა არა, საიდან გეცოდინება, ისე კი, სხვადასხვა ადგილებში, უცნაური მტაცებლები არსებობს.

- ჩვენთანაც კია დათვები, მგლები...

- არა, ცხოველებზე კი არა, მტაცებელ მცენარეებზე ვლაპარაკობ, - ტუჩი აილოკა ლტოლვილმა, - ასეთი მცენარე თუ შეგხვედრია?

- არა. როგორ - მტაცებელი.

- ჩვეულებრივად... ის მცენარეები ბუზებით, კოღოებით და რა ვიცი, ათასნაირი მწერებით იკვებებიან.

- მცენარე? - უნდოდ გაიღიმა დომენიკომ.

- კი, მცენარე. - უფრო აღელდა ლტოლვილი, - არ გჯერა, არა? შენ რა გინახავს, არაფერი, უნდა დამიჯერო... - და შეაცქერდა, - ხომ არ გეწყინა?

- კარგი რა, დომენიკო, - მუხლზე ხელი დაადო ლტოლვილმა, - საწყენად არ მითქვამს. ისე არ გამიგო, თითქოს ჭკუით მომქონდეს თავი, არა, ჭკვიანი კაცის რა მაცხია, მაგრამ მე ბევრი, ძალიან ბევრი რამ მინახავს... რაც თავი მახსოვს, სულ აღმა-დაღმა დავეხეტები, იცი, მდევნიან ხოლმე, დომენიკო, მმტრობენ, არავის ვუყვარვარ კი არა, ნეტავ არასოდეს არავინ შემამჩნიოს, ჩემთვის ვიყო მინდა, გესმის, ადრე არ მინდოდა ასე, ახლა კი სულ ვიღაც მელანდება, ხეს ამოფარებული, ლოდს მიღმა გატრუნული, ჩირგვში ჩასაფრებული, კუშტად მზირალი, ცუდად მომღიმარე... ეს მცენარეებთან რა შუაშია, თუმცა, როგორ არა - ამდენ დაძაბულობისგან საოცრად მინდება დასვენება და ხანდახან, დომენიკო, როცა სადმე თითქოს საიმედოდ შევაფარებ თავს და პურის ნატეხიც მაქვს, წყალიც, ჩემდაუნებურად ვისვენებ რაღაცნაირად, ვდუნდები, ყოველივეს შემხედვარე - ხე იქნება, ბალახი თუ ხოჭო, მაგრამ ის მცენარეები რომ შევნიშნე, ისე იმოქმედა... იმდენი ვიფიქრე... გაუგებრად ხომ არ ვლაპარაკობ?

- არა, რატომ.

- ისე უცნაურია, - ხელი აიქნია ლტოლვილმა, - ვერასოდეს წარმოვიდგენდი, მცენარე მტაცებელი თუ გახდებოდა.

„ნეტა ვინმემ გამოიაროს“, - ინატრა დომენიკომ.

- თანაც, ერთი კი არა, ბევრნაირია, ხომ მისმენ?

- ა?

- ხომ მისმენ?

- კი.

- საერთოდ, მცენარე თურმე ჰაერითა და ნიადაგით იკვებება, უცებ დამშვიდდა ლტოლვილი, დინჯად, დალაგებულად ალაპარაკდა, - ნიადაგიდან ფესვებით იღებს საზრდოს, ჰაერიდან კი - ფოთლებით. ზოგი მცენარე კი, რომელსაც საზრდო არ

ჰყოფნის, მტაცებლად იქცევა. ერთი მცენარეა, ნეპენტესი - ფოთლებზე დოქის მსგავსი წანაზარდი უჩნდება. ეს დოქი სხვადასხვა ზომისაა, დომენიკო: ხან თითის სიგრძეა, ხანაც მკლავისა. მშვენივრადაა აჭრელებული და ნექტარსაც გამოჰყოფს. მწერი დოქზე დაფრინდება თუ არა, მაშინვე თავსახური დაეფარება, მწერი ვეღარ იკიდებს ფეხს დოქის შიგნითა, სლიპ კედელზე და ფსკერზე, სითხეში ვარდება, იქ კი მას მცენარე ინელებს.

- მართლა? - იკითხა დომენიკომ, მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია.

- მართლა. ერთია კიდევ, სარაცენია, ჭაობში იზრდება. მისი ათასფრად მოხატული, აჭრელებული ფოთლები საოცრად წააგავს ლამაზ, უცხო ყვავილს. გინდაც გამაძღარი იყოს მწერი, მაინც ამ ყვავილისაკენ მიუწევს გული, ისეთი ლამაზია... პატარა ხანს შორიახლოს უტრიალებს, მერე კი, მოხიბლული, მსუბუქად ჩამოჯდება ფოთოლზე და... ზოგიერთი მტაცებელი მცენარე შეუხედავია, ვიწრო ფოთლები ცისკენ თავწაწვდილი გველების ჯგროს მიუგავს, დაკლაკნილი, უშნო ღეროები აქვს, რომელზედაც დაღლილი მწერი ჩამოჯდება თუ არა, მაშინვე შემოეხვევა და მოგუდავს... ზოგიერთი კი, ცვრიანა, მაგალითად, შესახედავად ისეთი უწყინარი მცენარეა... მისი ფოთლების წვეროები ქინძისთავებჩარჭობილ პაწაწინა ბალიშს წააგავს, მშვიდად ირწევა, სიოს აყოლილი და მწერი დააჯდება თუ არა, მაშინვე ერთ-ერთ ქინძისთავისდამაგვარ წანაზარდზე ჩამოეგება. შეშფოთებული მწერი აფართხალდება, სხვა ქინძისთავებსაც ეხება და უფრო მაგრად გაებმება ხოლმე მახეში.

- და რომ არ აფართხალდეს?

- უნდა აფართხალდეს, დომენიკო, - ისევ აღელდა ლტოლვილი. - ასეთია წესი. მერე კი, მცენარე რომ იგრძნობს, მწერი მაგრად რომაა მიჯაჭვული, მოიკეცება და გასრესს. რამდენიმე დღის შემდეგ, მოშიებული, ისევ უწყინრად გაშლის ფოთოლს და ახალ მსხვერპლს დაელოდება, მონელებული მწერის ნარჩენები კი ქარს მიაქვს.

- ყოველთვის იჭერს?

- როგორ გითხრა... ალბათ, ხშირად იჭერს, მწერებით ცოცხლობს და... საქმე ისაა, რომ ეს მცენარეები არაფრით არ ჰგვანან ერთმანეთს - ზოგი მტაცებლის ფოთლები საოცრად სქელ, წებოვან სითხეს გამოყოფს, ზოგიც, რა ვიცი, ათასნაირადაა მოწყობილი, სულ სხვადასხვანაირად, ერთი კია, ყოველ მტაცებელს ნამდვილი, შედარებით დიდი, მოგრძო ყვავილი აქვს, რომელიც თავისი ფოთლების საქმეში არ ერევა, ყოველ შემთხვევაში, თვალით ასე ჩანს, ხანდახან ისეთი ლამაზი ყვავილია...

ლტოლვილი დადუმდა, დომენიკომაც თვალი მოაცილა და შვებით ამოისუნთქა. აქამდე ეუხერხულებოდა, ყური რომ არ დაეგდო, მაგრამ ლტოლვილმა იმდენი ილაპარაკა... სოფელს გახედა, უცქირა, უცქირა და უცებ გაახსენდა:

- აკი ცუდ ხეს და მცენარეს ვერსად შეხვდებიო? - და რადგან ლტოლვილს თავი არ აუწევია, გამარჯვებულმა გაიხედა სოფლისაკენ. მერე იგრძნო, სახელოზე რომ დაქაჩეს და გაკვირვებულმა შეხედა, ლტოლვილი კი ძალიან ახლოს მიჩოჩდა მასთან, თვალებში შეაცქერდა და ჩუმად უთხრა:

- ერთი იცოდე, დომენიკო: ის ნიადაგი, სადაც მცენარე-მტაცებელი იზრდება, ცუდია. მცენარის ბრალი კი არაა, მწერებს რომ ხოცავს და ისე იკვებება, ნიადაგის ბრალია, კარგად დაიმახსოვრე ეს, დომენიკო.

- აა, - ცივად გააგრძელა დომენიკომ და სახე მოარიდა, - გინდათ, შინ დავბრუნდეთ, მგონია წვიმას აპირებს.

- წავიდეთ, დავბრუნდეთ, - წამოდგა ლტოლვილი, - შეიძლება მართლა მოწვიმოს.

- თანაც, დილიდან არაფერი მიჭამია, - რატომღაც ამაყად თქვა დომენიკომ, - მოწყენილობაა აქ, არა?

- არა, რატომ... კარგია, მოუხდება მიწას.

- წვიმა, არა? კი, - და, თითქოს ლტოლვილის ნათქვამი გულს ჩაებეჭდაო, ისე იკითხა: - ესე იგი, მცენარეები ცუდ ნიადაგზე იზრდებიან, არა?

- ჰო, - სხვათა შორის თქეა ლტოლვილმა, - ჭაობში, სილაში, კლდეთა ნაპრალებში და ასე...

- უცნაურია, არა?

- კი, უცნაურია, - უგულოდ დაეთანხმა ლტოლვილი, ეტყობოდა, ახლა სულ სხვა რაღაცას ფიქრობდა.

დღესასწაული

გაზაფხულობით, როცა ხეების ფერადი კვირტები პაწია ნაყოფად გადაიქცეოდა, ხალხი ერთი ღამით ტოვებდა სოფელს. ჩაფიქრებული, მორჩილი სახეებით აიკრავდნენ გუდა-ნაბადს, ჩვილებს თბილად გაახვევდნენ, საქონელსაც მიერეკებოდნენ და ჯგუფ-ჯგუფად გადიოდნენ, სნეულნიც კი გაჰყავდათ ჩარდახიანი, უხალისოდ აღრჭიალებული ურმებით. რაღაც უცნაური წუხილი კი

მიჰქონდათ, მაინც უფრო დიდი სევდა რჩებოდა დაცარიელებულ, უადამიანებო სოფელში. ხორციელის ჭაჭანება აღარ იყო, ერთადერთი მამა რჩებოდა შინ, ქვის გალავანს მსუბუქად დაყრდნობილი. იგი გასცქეროდა სოფლელებს, რომლებიც მძიმედ ადიოდნენ აღმართში და მერე ბორცვს მიღმა უჩინარდებოდნენ. იქით, ბორცვს გადაღმა უნდა გაეთიათ დღესასწაულის წინა ღამე, კაცებს უნდა ეფხიზლათ და ვეება კოცონთან უხმოდ მსხდარიყვნენ. მამა მარტოდმარტო რჩებოდა იმ უჩვეულო სიჩუმეში, უძრავად იდგა, სანამ არ დაბინდდებოდა. შებინდებისას გაბრუებული ჩიტების ჟრიამული რბილად იკარგებოდა ჰაერში, საღამო ხანს თითო-ოროლა ფოთოლი წამით თუ აფრთხიალდებოდა ხეზე, მერე ისევ სიჩუმე, სიჩუმე, სიჩუმე ტლანქ, მძიმე სიშავედ იღვრებოდა სახლებსა და ეზოებში, გზებზე; თითქოს თვალნათლივ აორთქლებულ კუპრში დინჯად იძირებოდა ყველაფერი და, როცა შავად გაჟღენთილი, დამძიმებული ჰაერი ყოველივეს წაშლიდა, მამა კვარს ანთებდა და გზაზე გამოდიოდა ხოლმე. იგი მიაბიჯებდა წყნარად, უხმაუროდ, ღამენარევი იდუმალებით მოცული, და კვარის სუსტი, ოდნავ მოკიაფე სინათლე თანაბრად ირწეოდა ირგვლივ. მიწაზე მოცახცახე რკალი, წინ რომ მიუძღოდა მამას, ღობეზე სწრაფად აცოცდებოდა და ისევ მორჩილად მიცურავდა ბალახზე, მამის ფერხთით კიბეზე ტალღად გადადიოდა და მერე სუსტი ციმციმით ირწეოდა ოთახში - მამა დედაბოძთან ჩერდებოდა და მეზობლის სახლს ათვალიერებდა. კვარი მქრქალ სინათლეს ჰფენდა კუთხეში მიყრილ ქალამნებსა და ფერად წინდებს, ჭრელ ნოხს, თიხის ჭურჭელს, ხიდან გამოჩორკნილ კოვზებს, ყველაფერს აკვირდებოდა მამა, კუნჭულებში აბლაბუდასაც კი ამჩნევდა იმ დალეულ სინათლეში და ხელისგულს ადებდა კედლებს, სკამებს, მაგიდას, თითქოს ნივთების მდუმარებასაც კი უგდებდა ყურს. მთელ ოთახს მოივლიდა და მერე, სანამ გავიდოდა, ერთხანს უძრავად იდგა, კედელზე კი მისი წაგრძელებული, კუთხესთან თითქოს გადატეხილი ხელი ბარბაცებდა, კვარის სუსტ ციმციმს აყოლილი, მაგრამ თავად მამას მტკიცე, დაჭიმული მარჯვენით ეკავა კვარი და რაღაცას ფიქრობდა.

დინჯად, მძიმედ გადიოდა შავად დაგუდული ღამე, თითქოს ყოველივეს ეძინა, მაგრამ ღამესაც ჰქონდა თავისი ხმები, საიდუმლონარევი, შიშისმომგვრელი - სადღაც ეცემოდა წვეთი, ერთი ციცქნა და უკუნეთის წყალობით მაინც საოცრად მნიშენელოვანი, კედელს ავად ეხახუნებოდა გამხმარი მიხაკის გვირგვინი, სუსტად გაიჭრიალებდა ღობე და ხანდახან ძილგამკრთალი მწერიც ახმიანდებოდა, მაგრამ მამას ეს ხმები სულაც არ უშლიდა ხელს - სოფლელების სახლებში დაიარებოდა და დიდხანს, დაფიქრებული ათვალიერებდა ყველაფერს. მერე კი, ოდნავ რომ შემსუბუქდებოდა ცა, დასალიერზე ოდნავ რომ გაიბზარებოდა სიშავე, მამა კვარს აქრობდა და დიდ ლოდზე დგებოდა: ნელა, ძალიან ნელა თენდებოდა, მაგრამ ისე

აშკარად მატულობდა სინათლე... ყოველივე იწოვდა ბინდს, საიდანღაც ნიავი წამოუბერავდა, ხეზე დაიჭიმებოდნენ ფოთლები, სახლებიც დინჯად ამოტივტივდებოდნენ მიწიდან და რომელიღაც პატარა, სულელი, ყოჩაღი ჩიტი გალობას იწყებდა. ბუნდოვან ჰაერს მკვეთრად აპობდა ეს უზომოდ გახარებული ხმა, და მამა მღელვარებით უყურებდა შორეულ ბორცვს, იქიდან კი, უთენია, ხალხი მოდიოდა! მოდიოდნენ ფეხით, ჯერ კიდევ მოლურჯო ჰაერში აბრდღვიალებული ჩირაღდნებით, ჩვილებით ხელში, ჩარდახიანი ურმებით მოდიოდა ხალხი, დიდები, პატარები, მოხუცები, კეთილნი და ბოროტნი, გუგლრილნი, მაცდურნი, შეცდენილნი, - ხალხი მოდიოდა!

ისინი ქვემოთ მოაბიჯებდნენ, ერთმანეთის ახლობელნი, ნათესავნი, მძიმედ ჩამოდიოდნენ დაღმართში და ყოველი ნაბიჯი ნეკნებზე აწვებოდათ, მთელი სოფელი მოდიოდა - ზოგი დაბერილ ყვრიმალებში დაგუბებული, უთქმელი მტრობით, სხვა - გულგრილობის ჭიით გამოფიტული, მაგრამ იმ დღესასწაულით მაინც ოდნავ დაძაბული, ზოგიერთი რაღაც აუხსნელი, აუწერელი სიკეთით გულში, საბრალო და მართალი ღიმილით სახეზე, ხელიხელჩაკიდებული ბავშვები, დარიგებისას თავისას რომ ფიქრობდნენ, მორჩილი, ყავისფერხელება მოხუცები, რომლებმაც როდის ჩაუარეს რაღაც დიდსა და მნიშვნელოვანს გვერდი, არც კი იცოდნენ და ახლა მაინც საოცრად მშვიდნი, რაღაცა უმნიშვნელოს შეგუებულნი, ფრთხილად მოაბიჯებდნენ, საკუთარი თავით უზომოდ აღტაცებული ქალიშვილები და ადრე მოტეხილი ქალები, მაინც ჭრელაჭრულა თავსაფრებითა და მძივებით, ბრმები, საოცრად დაძაბული სიმშვიდით სახეზე, ბიბო, პირველი ყმა, აუღელვებელი, დალაგებული და მაინც გულის კუნჭულში მიმალული მტრობით, გვეგვე, უხალისოდ მომავალი, მისთვის უმიზნო დღესასწაულზე დუნედ გაბრაზებული, ლტოლვილი, უცხო ადამიანებით გარშემორტყმული, მოკრძალებულად მომღიმარი, დომენიკო, ნორჩი, გამოუცდელი, არმცოდნე, რესას შაოსანი დედა... ხალხი მოდიოდა!

ისინი დაღმართში მოაბიჯებდნენ, ლოდზე შემდგარ მამას უკვე ესმოდა მათი ფეხის ხმა, მოდიოდნენ ჯგროდ, არეულნი, ნაჯახებითა და ნედლი, დრეკადი რტოებით ხელში, ბღაოდა საქონელი, ურმებს გამობმული ძაღლები ჰყეფდნენ, ისინი კი ხმაგაკმენდილნი ჩამოდიოდნენ ბორცვზე და როცა დილის სუსტი და თვალისმომჭრელი მზე ირიბი სხივებით გაანათებდა ღამენათევ, ფერკმრთალ სახეებს, ყველანი მაღლა სწევდნენ ხელებს: უცნაური ტყე მოდიოდა მამისაკენ, არეული ტყე - რტოები, ხმლები, ნამგლები, ყვავილები, თოხები, ბარები, ჩვილები, ნაჯახები...

ხალხი, ხალხი მოდიოდა!

თავი მეორე

ბიბო შინ მივიდა და ცოლს გამოელაპარაკა. ერთმა გლეხმა მეორეს ამბავი უთხრა. სულ სხვა ამბავი

- წყალი მოიტანე, ქალო, - თქვა ბიბომ და შეიჭმუხნა.

ცოლმა დიდი კოკა შემოიტანა და გაუბედავად მიუახლოვდა.

- მიდი, - პეშვები შეაერთა ბიბომ, - უჰუ, ცივია...

მძიმე კოკა იყო, ქალმა მუხლი შეაშველა და ისევ დაუსხა წყალი; უცებ ხმაური მოესმა, მხარსუკუღმა სწრაფად გახედა ბავშვს, მაშინვე დამშვიდდა. სახეზე შეისხა წყალი, თვალები მაგრად დაისრისა:

- მიდი, დაასხი... მმ... მმ, დაასხი, რას გამოშტერებულხარ... მმ!.. მმ... მ... კარგი, გეყოფა, - ხელისგული ღონივრად ჩამოისვა ლოყებზე და შერჩენილი წვეთები ჩაიწურა, თვალები დახუჭა და განზე გაიშვირა ხელი, - ჩვარი მომეცი.

სახე შეიმშრალა და მაგიდას მიუჯდა. მწნილი ეგემრიელა, მაინც კრინტი არ დაუძრავს. ყველი მოიჭრა, ღვინო დალია, გათბა. რაღაცა გაულღვა კიდეც გუნებაში და თქვა:

- ის ღლაპი რაღაც ცუდად მიყურებს.

- რომელი, დომენიკო?

- ჰო.

ცოლმა დუმილი ირჩია, ბიბოც ჩუმად იყო, მერე, ცოლი რომ შეტრიალდა, ახედ-დახედა და ინანა, რამ ამალაპარაკაო, გაბრაზდა:

- რას დაბორიალობ აქეთ-იქით!

- რა? - ვერ მიხვდა ქალი.

- რა და, ვერ დაეგდები? რას დაეთრევი აქეთ-იქით!

- სადა...

- ჯანდაბაში და ოხრობაში, სადა... ლტოლვილს ხომ არ ჩამოუვლია.

- არა.

- რაო, რას ამბობენ სოფელში.

- რა ვიცი, იმის მეტს კაცს არ ელაპარაკება და...

- ჰოო, - გაიცინა ბიბომ, - ეს კი კარგადა თქვი, კაცს არ ელაპარაკებაო, დაუჯდეს იმ ბღარტს და იყოს... ოო, ეს კი კარგადა თქვი, რა ხარ, რა ხარ ვინც არ გიცნობს?!

პატარა ხნის შემდეგ კი, დიდი სიახლოვის წუთებში, აღელვებული და ტუჩებთან ნაოჭდაგროვილი, აქერცლილ მუშტზე თმაგადახვეული, ცოლს უჩურჩულებდა:

- იცოდე, არ გახდე, ქალი მსუქანი უნდა იყოს, ასე...

- კაცო, გავიხედე და, - ჰყვებოდა ამ დროს წყაროსთან ჩამომჯდარი ცალთვალა გლეხი, - ავდგები დილით, გადატეხილია სიმინდი, ხან ერთი, ხან ორი, გავბრაზდი, ვამბობ, ეს ოხერი რა არის ერთი და ორი სიმინდი-მეთქი, და წავალ, წამოვალ, დავიძინებ, გავიღვიძებ - გადატეხილია ისევ, ერთხელაც გავბრაზდი... დავავლე ხელი სახრეს და დავდექი, დავუდარაჯდი. სორო ვიცოდი, საცა ჰქონდა, გავიტრუნე... რო შესრულდა შუაღამე, გამოყო თავი და თხლაშ! - ვდრუზე.

- სადა, თავში?

- შიგ თავში. რა ვიცი, რა დაემართა, სოროში კი შევარდა, მაგრამ... რა ვიცი, მგონია, ვეღარ გამიფუჭებს სიმინდს და...

- პატარა იყო? - ჰკითხა მეორემ, თან ნამგალს ლესავდა.

- არც ისე, აი, ამოდენა იქნებოდა, - ხელისგულებში თითქოს წებო ესხა, ერთმანეთს ისე წვალებით დააშორა, დააშორა, მერე შეჩერდა და თითები დაძაბულობისაგან აუცახცახდა.

- დიდი ყოფილა, რა გინდა.

ჰო, რა ვიცი, - თქვა ცალთვალამ და ხელები მოუდუნდა თუ არა, დომენიკოს ეგონა, ასე წვალებით დაშორებული ხელისგულები ისევ ტკაცუნით შეეჯახებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ გლეხმა ორივე ხელი მშვიდად დაილაგა მუხლებზე და თავი ჩაღუნა. მოხრილი იჯდა, გვალვისაგან დამსკდარ მიწას მიუგავდა მოყავისფრო, დანაოჭებული კისერი.

- მართლა, ეს რანაირი დღესასწაული გცოდნიათ, - დუნედ გაიკვირვა ლტოლვილმა, - ვერაფერს მივხვდი.

- მითხარი, აგიხსნი.

- აი, მაგალითად... ხალხმა რომ ხელები ასწია და მამას მიუახლოვდა, იმან რატომ იკითხა, ვინმე ხომ არ დარჩაო.

- წესია ასეთი.

- როგორ, - ვინმეს სტოვებთ ხოლმე?

- არა, მაგრამ მამა ყოველთვის ეკითხება ხალხს, კიდე ვინმე ხომ არ მოდისო.

- ვერაფერს მივხვდი... შებინდებისას კოცონი რატომ დაანთეთ?

- რა ვიცი, ხალხს ჰგონია, ჩვენი წინაპრები ციდან ჩამოვიდნენ, ნაწილი კიდევ იქ დარჩაო და ცეცხლი მაღლა რომ აიწევს და ცისაკენ ენას აათამაშებს, ასე ჰგონიათ, თითქოს ცეცხლი იმათ ესაუბრებაო.

- ვინ იმათ?

- ცაში დარჩენილებს.

ოჰო, - ჩაიცინა ლტოლვილმა. - ეს როგორი დღესასწაულები გცოდნიათ.

- რა ვიცი, რაც თავი მახსოვს, სულ ასეა.

- რაც თავი გახსოვს? - შეხედა ლტოლვილმა. - რამდენისა ხარ...

- ჩქარა თვრამეტის გავხდები.

„აუჰ!“ - ჩაეცინა ლტოლვილს გუნებაში და მაინც სხვათა შორის იკითხა:

- მართლა?

- დიახ. წუხელ ყანაში, ერთ ცალთვალა გლეხს, თქვენ არ იცნობთ, მაჩვი მოუკლავს.

- რამ გაუფუჭა?

- სიმინდი?

- არა, თვალი რამ გაუფუჭა.

- რა ვიცი... წუხელის მაგან მაჩვი მოკლა.

- მაჩვი? რაა მაჩვი... მასაი ვიყავ! - ხელი მაღლა ასწია ლტოლვილმა, - ერთხელ ნამდვილი მასაი გავხდი.

- ეგ რასა ნიშნავს...

- ნამდვილი მასაი? - ამაყად იმეორებდა სიტყვებს ლტოლვილი, - ლომის მკვლელს ნიშნავს, ლომის მომკვლელს.

- ლომი... გამიგია. ცხოველთა მეფეა, არა?

- მეფეა, გინახავს?

- არა, საიდან.

- ო-ო, ღირს სანახავად - მზეზე გაფენილი ხორბლის ფერისაა, დიდი ტორები აქვს, ფაფარი, დინჯი მიხრა მოხრა, მაგრამ თუ გაბრაზდა... კამეჩი მაინც ხომ გინახავს, დომენიკო, იცი, როგორ ჰკლავს - ტორს დაარტყამს ხოლმე ქედზე და ხერხემალს ჩაულეწავს. მერე ყელს გამოღადრავს და თბილ სისხლს გემოზე სვამს, ნება-ნება... რომ დაიგრგვინებს, ფრინველები შხუილით აიჭრებიან მაღლა, ცაში, დაფეთებული ნადირი გარბის, იგი კი მდოვრედ დაიარება ტყეში და გრგვინავს - მეფეა, მეფე.

- და თქვენ მოკალით?

- მე მოვკალი, - მეორე ხელიც შემართა ლტოლვილმა, - შავ ხალხთან, მასაებთან მოვხვდი, შავი ხალხი თუ გინახავს, დომენიკო?

- შავი... შავგვრემანი?

- არა, - ლტოლვილმა ხელები დაუშვა და მერე მკერდიდან მუხლამდე ჩამოიცურა, - შავად მოლაპლაპე ხალხი, ფართო ნესტოებში გაყრილი რგოლებით, ათასფრად აჭრელებულნი, დოლების გუგუნს აყოლილნი და კუნთებაცახცახებულნი, თხის ტყავით იფარავენ სარცხვინო ადგილებს, ზოგიერთს კი ფარშევანგის ფრთებით მორთული მაღალი გვირგვინი ადგას თავზე, ესენი ნამდვილი მასაები არიან - ლომი ჰყავთ მოკლული. ისინი, ამ საოცნებო გვირგვინით თავზე, ამაყად დაიარებიან სოფლად და თუმცა არაფერს იმჩნევენ, მშვენივრად იციან, აღტაცებული და შურიანი მზერა რომ დაჰყვებათ.

- და თქვენც... მასაი გახდით?

- მასაი გავხდი, - ისევ აღმართა ხელები ლტოლვილმა, - პირველი თეთრი მასაი გავხდი.

დომენიკო დაფიქრდა.

- ეგეთი შავები არიან?

- ეგეთი შავები.

- გვეგვეზე უფრო?

- ჰე... გვეგვე იმათთან სპილოს ძვალია, მთის მდინარეში ჩაგდებული.

- როგორ მოკალით?

თეთრ-წითელ საღებავებით ტანმოხატული ბელადი ჰყავდათ, მკლავზე რგოლებშემორტყმული, იმასთან მივიდა. მიმქრალ ნაკვერჩხლებს გაბრუებული დასცქეროდა, ნელა ასწია თავი და ზანტად მიაჩერდა.

- მასაი უნდა გავხდე, ნამდვილი მასაი. - თვალებიდან ბინდი გადაეცალა - შეძლებ? - გაკვირვებულმა ამათვალიერა. - შევძლებ, - ვთქვი და ერთიანად ავთრთოლდი. ბელადმა ერთხანს მიყურა, მერე მძიმედ დამიქნია თავი. ოთხი მასაი მომიჩინა, ზვიგენივით ბიჭები იყვნენ, ჩამოსხმულნი, კუნთები ულივლივებდათ მთელ სხეულზე, მაგრამ სირბილისას კვამლივით ამჩატდებოდნენ ხოლმე. სქელი, დიდი შუბი მომცეს, ძლივს ავწიე, მკლავი მეტკინა, მაგრამ როგორც კი ჩავბღუჯე, მაშინვე გავიფიქრე, სწორედ ის ლომი, ამ შუბის წერა რომ უნდა გამხდარიყო, ახლა, ამ წუთას, ნამდვილად იყო სადღაც. ასე გავიფიქრე და შუბიც მემსუბუქა. დიდი ხე ძირში მოჩეხეს და მითხრეს, შუბი იმ დაბალ ჯირკში ჩამესო. მეც, ნამდვილი მასაი უნდა გავმხდარიყავ და დროს უბრალოდ არ ვკარგავდი - ათასჯერ მაინც ჩავაჭედე შუბი იმ ჯირკში და როცა აცახცახებული იარაღი ჰაერში გაიტრუნებოდა, წვალებით ამოვაძრობდი ხოლმე და ვგრძნობდი, ატკივებული კუნთების მიღმა, სისხლში როგორ მემატებოდა ძალა. მერე, ორი ნაბიჯის მოშორებით დამაყენეს, იქიდან ვესროდი ხოლმე ჯირკს, მერე სამ ნაბიჯზე, იქამდე ვტყორცნიდი, სანამ ჯირკისგან აღარაფერი რჩებოდა, ნაფოტები კი, იცოცხლე, ბლომად ეყარა ირგვლივ. შვიდი ხე მომიჩეხეს, დომენიკო, შვიდი უზარმაზარი ხე, და ყოველი მათგანის წაქცევისას მახსენდებოდა - ის ლომი, მე რომ უნდა მომეკლა, იმ წუთას ნამდვილად იყო სადღაც. საკვებად მხოლოდ რძეში გარეული საქონლის უმი სისხლი მქონდა, რომ დავიძინებდი, შუბი თავთით მედო, გავიღვიძებდი თუ არა, ხელში შევათამაშებდი, მოვიქნევდი და ზუზუნით მიფრინავდა მახლობელი ხისკენ. შავად ალაპლაპებული

ქალები ფართო, სქელი ტუჩებით მიღიმოდნენ, მე კი, უჩვეულო სიამაყითა და სიმკაცრით შეპყრობილი, არც ვუყურებდი მათ და ისევ და ისევ მიზანში ვისროდი მორჩილ იარაღს. მაგრამ ყველაზე ძნელი ის იყო, რომ მწოლიარე ლომის მოკვლა არ შეიძლებოდა, ნამდვილი მასაი რომ გავმხდარიყავ, კამარაშეკრული ლომისათვის უნდა მეძგერებინა შუბი. ამიტომ ოთხი მასაი დიდ კუნძს გააქან-გამოაქანებდა და მერე გამეტებით მესროდნენ, ჩემი დამჯერი იარაღი შუაგზაზე ჩაესობოდა კუნძს, მე კი რამდენიმე ნაბიჯს სწრაფად გადავდგამდი წინ და ზურგსუკან ყრუ ხმა მესმოდა. ასე გადიოდა დრო და ხანდახან, ხის ძირას მიძინებულს, მოულოდნელად, წყალს გადამასხამდნენ, თვალს ვახელდი, წამოვხტებოდი, მაშინვე შუბს ვბღუჯავდი და ვხედავდი, კუნძი უკვე რომ მოფრინავდა ჩემსკენ. მკლავი კი სწრაფი მქონდა და უტყუარი - მასაები მხარზე ხელს მირტყამდნენ კმაყოფილების ნიშნად. მერე შუბზე ზეთი დაღვარეს, ლომის დანახვაზე ხელისგულები ოფლით იცვარება თურმე და ამასაც უნდა შევჩვეოდი. მეც შევეჩვიე, რა თქმა უნდა, და ახლა ყოველთვის, მუდამ მახსენდებოდა, რომ ჩემი ლომი ამ დროს ნამდვილად იყო სადღაც. ნამდვილად იყო!.. ერთი სული მქონდა, მის საძებრად წავსულიყავი, მაგრამ მასაებში აკრძალული იყო უდანაშაულო ლომის მოკვლა.

დიდხანს ვიცადე, მერე კი, მოთმინება რომ აღარ მეყო, შებინდებისას, ყველასთვის შეუმჩნევლად, ერთ კამეჩს მათრახი დავცხე და სოფლიდან გავაგდე. მეორე დღეს, კი რა თქმა უნდა, ველზე იპოვეს, ქედჩალეწილი, ყელგამოღადრული, თითქოს და მშვიდად ვიწექი, ბამბუკის ქოხს კეფით მიყრდობილი, და მოუთმენლად ველოდი მაცნეს. იმანაც მოირბინა, ერთხმად აგუგუნდა დოლები და ბელადმა თავი ისე დამიქნია, მძიმე საყურეები აუთამაშდა. მე ხელი დავავლე ჩემს იარაღს. წამოვდექი და სოფლის მამაკაცების თანხლებით კვალს მხნედ გავუდექი, მაგრამ ხელისგულები მაინც გამიოფლიანდა. ჯერ არსად ჩანდა, სული მიკაწკაწებდა მოუთმენლობისაგან და ხანდახან ხელი ამითამაშდებოდა - ხომ ვიცოდი, ნამდვილად რომ იყო სადღაც. და როცა ბორცზე შევდექი და ქვემოთ გადავიხედე, აღტაცებისაგან შევკრთი - სილაზე წამოწოლილიყო და დილის მზეს ეფიცხებოდა, ზურგზე გადაკოტრიალებულიყო და წინა თათებით მზეს თუ ათამაშებდა თავისი ჭკუით, რა ვიცი... მასაები ბორცვზე გამწკრივდნენ, მე კი დინჯად დავეშვი ქვევით. შორიდან ისევ აღწევდა დოლების გაბმული გულისცემა. ოც ნაბიჯზე რომ მივუახლოვი, მეგონა, დამინახავდა, მაგრამ ძალიან იყო გართული, ჩშსსსს-ს, შევუსისინე და ხელად წამოხტა. რა მოუვიდა, ახლაც არ ვიცი, ცხოვლებისა რა გამეგება - არ ვიცი, დარცხვენილი იყო, ასე ლეკვივით მოთამაშეს რომ მივუსწარი, გამაძღარი იყო, წინათგრძნობა ჰქონდა თუ რა იყო, რა ვიცი, მაგრამ შეტრიალდა და გაცლა დააპირა, მერე ვინ - მეფემ! ავდექი და მარცხენათი ქვას დავწვდი, ვესროლე და ფერდში მოვარტყი, განრისხებული

შემოტრიალდა, წკაპუნით უკბინა ჰაერს, ჩაიბუხუნა, მაგრამ ჩემსკენ მაინც არ მოდიოდა. ავიღე და მივუახლოვდი - ფრთხილად ვადგამდი ტერფებს, რომ არ წამებორძიკა, თვალს არ ვაცილებდით ერთმანეთს, ათი ნაბიჯიღა რომ დამრჩა, შევდექი, სხვა გზა არა მქონდა, კამარაშეკრულისათვის უნდა მეძგერებინა შუბი. კარგა ხანს ვიდექი, იმას დიდი ტორები და მძლავრი ყბები ჰქონდა, მე კი წვერწამახული სიკვდილი მეპყრა ხელთ და ერთმანეთს შევცქეროდით. მერე კი, რა ვიცი, არც ერთი ლომი არ მოიქცეოდა ასე, უკანა ფეხებზე ჩაჯდა, ტორები გაჭიმა, უზარმაზარი, აფოფრილი თავი დადო ზედ და თვალმილულული შემომაცქერდა. მეც თვალი არ მომიცილებია, ისე დავიხარე, მარცხენათი სველი სილა მოვბღუჯე და სახეში ვესროლე. ეს კი, ეს, ვეღარ მოითმინა, ერთი დაიგრგვინა და საოცარი კამარა შეკრა. შეშინებაც ვეღარ მოვასწარ, ერთგული შუბი მისკენ რომ გაფრინდა და ჰაერში გაწოლილს ეძგერა, მე კი რამდენიმე ნაბიჯი წინ გავირბინე და გამიკვირდა, ზურგსუკან დაცემის ხმა რომ ვერ გავიგონე. შემოვბრუნდი და გავშრი - შუბი სწორ ხესავით ამოსულიყო სილიდან, შუბის თავზე კი გასაოცარ ნაყოფად გაფარჩხულიყო ლომი, გრგვინავდა და ბეჭებშუა წითლად შეღებილი, ორთქლადენილი რკინის წვეტი მოუჩანდა - სიკვდილის ყვავილი. თვითონ რაღაცნაირად წონასწორობას იცავდა, მერე, გაცოფებულმა ერთი კი გამომხედა და თვალები გადაუტრიალდა - ჰაერში მოკვდა! თავი როგორც ჩაკიდა, შუბი სწრაფად გადაიხარა და დაცემის ხმა რომ მომესმა, მეც ჩავჯექი - ხელისგული კი არა, მთელი სხეული სველი მქონდა, გასაწური ვიყავ. მასაების ყიჟინამ გამომაფხიზლა, ისინი ჯგროდ გამორბოდნენ ჩემკენ და, შიში რომ დამეფარა, ფეხთსაბური გავიძრე, თითქოს სილა გამოვყარე იქიდან, ისევ ჩავიცვი და წამოვდექი. ო, ეს მაინც საოცრად კარგად გამომივიდა - ვითომ სილამ შემაწუხა, ლომის მოკვლის შემდეგ. უნდა გენახა, როგორი ზარ-ზეიმით შემიყვანეს სოფელში: საკაცეზე დამსვეს და ასე ციმციმ ჩამატარეს ბამბუკის ქოხებს შორის, დიდიან-პატარიანად შემომეხვივნენ, ყველა მიღიმოდა, მგონი, მეც ვიღიმებოდი. მერე კი ბელადმა ფარშევანგის ფრთებით მორთული გვირგვინი დამადგა - ნამდვილი მასაის თავსამკაული.

- ო, - გაიკვირვა დომენიკომ და შეათვალიერა. ლტოლვილი წამოწვა და ხელები აათამაშა.

- აი, სწორედ ასე იქნევდა ტორებს. მოგეწონა ამბავი, დომენიკო?

- დიახ.

- დიდი უცნაური ამბავი იყო.

- და ის გვირგვინი რა უყავით?

- რა?!

მართლაც, უცნაური ამბავი იყო, - ერთი კაცი ძალიან ავიწროებდა ლტოლვილს, აგდებულად ელაპარაკებოდა, მოსამსახურესავით აგზავნიდა აქეთ-იქით, ბევრჯერ წამოურტყამს თავში. არადა, ლტოლვილზე მეტი არც ღონე ჰქონდა, არც შეძლება და ისიც მარტო იყო. სიცოცხლე გაუმწარა და ლტოლვილი შორს გადაიხვეწა, იარა, იარა და მასაებთან მოხვდა. იქ კი საოცარი სურვილით აღივსო და ბოლოს მართლა მოკლა კამარაშეკრული ლომი, დიდ პატივში კი იყო, მაგრამ მეორე დღესვე გამობრუნდა, იმ კაცისაკენ მიიჩქაროდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მომავალი შეხვედრისათვის ემზადებოდა და ყვრიმალებს ბერავდა, ღონივრად აუდ-ჩაუდიოდა მკერდი. და, როგორც იქნა, და იმ კაცამდე რომ მიაღწია, ამაყად დაიდგა გვირგვინი, ფეხები განზე გადგა და თვალებში შეაცქერდა. მაშინვე ინანა - კაცი გაკვირვებული ათვალიერებდა ერთხანს, მერე აგდებულად ჩაიცინა, მისკენ წამოვიდა და ლტოლვილმა უნებურად თვალები აახამხამა, ხელისგულები დაეცვარა, გვერდზე გადასწია თავი, მოიბუზა. იმ კაცმა კი ხელუკუღმა სთხლიშა და გვირგვინი გადაუგდო, ლტოლვილი ასაღებად დაიხარა, ამ დროს პანღურიც მოხვდა და სასწრაფოდ გაშორდა იქაურობას, სირბილით მიაღწია მახლობელ ტყემდე, ნაბიჯი შეანელა, შეჩერდა, ჩაბღაუჭებულ გვირგვინს დახედა, უყურა, უყურა და ღელეში ჩააგდო.

- რა?

- ის გვირგვინი რა უყავით?

- ის გვირგვინი... ის გვირგვინი ერთ ქალს ვაჩუქე.

- ქალს... ლამაზი იყო?

- ისე, რა... არა უშავს, - ჩაილაპარაკა ლტოლვილმა განზე გაიხედა და თვალები მოჭუტა: - აი, იქით, შორს რომ დგას, გადაღმა, ვინაა?

- გვეგვე.

- მართლა?

- კი, - თქვა დომენიკომ და ლტოლვილს დაეჭვებული მიაჩერდა.

გვეგვე წერაქვს თავსზემოთ სწევდა და ღონივრად, ქოშინით ურტყამდა მიწას. იქვე, ორიოდე ნაბიჯში ტყე იყო, ნაწვიმარ ხეებს მზე დასდგომოდა და მწვანედ ხასხასებდა, მაგრამ გვეგვე არაფერს უყურებდა, ვერც ფიქრობდა, მუშაობდა თავისთვის. ერთხელაც დაიქნია ხელები და წერაქვი ღრმად ჩაესო მიწაში. გამოსწია, მაგრამ

იარაღი არ დაემორჩილა; მერამდენედ მოსვლია ასე, ერთი პირობა მაინც გაუკვირდა; კიდევ დაეჯაჯგურა და მიხვდა: ქვა ყოფილა. მაინცდამაინც არცა სწყენია, პირიქით, გახალისდა. ჯერ ფრთხილად მოსინჯა ქვის სიდიდე - ტარს ორივე ხელით მსუბუქად დააწვა, მერე კი, ქვის კიდემ ოდნავ რომ ამობურცა მიწა, ამოვაგდებო, გაიფიქრა და ისევ ფრთხილად, ოღონდ უფრო ღონივრად დააწვა წერაქვს, კიდევ, ცოტა კიდევ, ცოტათი და... ტარი გადატყდა.

- ფუჰ! - ხელში შერჩენილ, ხმარებისაგან გაპრიალებულ ტარს გაბრაზებული დააჩერდა გვეგვე და შორს მოისროლა, - ფუ, შენი გამკეთებლის...

რაღა დარჩენოდა - ტყისკენ წავიდა. მიუახლოვდა ერთ ხეს, ახედა, წვრილი ტოტები ჰქონდა, არ გამოადგებოდა, მივიდა მეორესთან, აათვალიერა ისიც, არ ეჭაშნიკა... სხვა ხეს ააყოლა თვალი და ციყვი დაინახა, გაფაციცებული დაჰყურებდა გვეგვეს და თათები გაეფარჩხა.

- ფშტ! - შეშინება დაუპირა გვეგვემ, მაგრამ ციყვს ყურიც არ შეუბერტყავს. „ამას უყურე“, გაუკვირდა გვეგვეს და ქვას დაუწყო ძებნა. თითი ჩაასო რბილ, ნამიან მიწაში და ქვა ამოაგდო, მოიმარჯვა და ისევ ახედა, მაგრამ ციყვი აღარსად ჩანდა.

- ჰმ, შენი... - ხეს შემოუარა გეეგვემ, მერე ხელი ჩაიქნია და ერთი ტოტი მოეწონა - მშვენიერი სატარე იყო. ქამარში გარჭობილი ნაჯახი მოიმარჯვა და ერთი მოქნევით მოჩეხა ტოტი. ცალ მუხლზე დაიჩოქა, შტოები აასხიპა, თვალთან მიიტანა და გახედა - კარგა სწორი იყო, გამოადგებოდა, ცოტათი მსხვილი იყო, თორემ სხვაფრივ არა უშავდა. შეასწორ-შემოასწორა, ისევ მიიტანა სახესთან, გახედა და შორეულ ბორცვზე ორი ადამიანი ძლივს გაარჩია, დააკვირდა, უყურა და იცნო.

- რა ხელებს იქნევს, ოხერი, - გაბრაზდა გვეგვე.

- მასაი გავხდი, - ხელები შემართა ლტოლვილმა, - ვფიცავ, დომენიკო, გეფიცები, მასაი გავხდი, პირველი თეთრი მასაი ვიყავ!

როგორ მოვიდა შემდგომა

დღემ მოიმატა, დათბა.

ნაზამთრალ მიწას სახნისით გადაუსერეს მკერდი, ძალუმი ოხშივარი ავარდა ჰაერში, საკინძე შეიხსნეს გლეხებმა. კალთააკრეფილი, კოჭლი გლეხი რწევით მიმოდიოდა ხნულში და ხელის ყოველ მოქნევაზე თითო პეშვ ხორბალს აპნევდა - შემოდგომამდე ჯერ სად იყო, მაგრამ შემოდგომა სწორედ ახლა, გაზაფხულზე იწყებოდა. ბალისა და

ალუბლის კენჭივით მაგარ, ციცქნა ბურთულებს სითეთრე შეერია, ლეღვის ხაოიანი ფოთლების მიღმაც ალაგ-ალაგ შეიმჩნეოდა ნაყოფი, წითლად ასაჩახჩახებელი ბროწეულის ხეები ჩამწკრივებულიყვნენ ღობეების გასწვრივ, წვიმდა... თბილი წვეთები ეცემოდა გლეხებს, ზურგზე ეტმასნებოდათ ნაცრისფერი, გახუნებული ხალათები, ხის ძირას დგებოდნენ, ზოგი ამოზნექილ ფესვებზე ჯდებოდა, იცდიდნენ. ამდენი წვიმა არ გამიგიაო, ამბობდა ბიბო. მიწა იჟღინთებოდა, ლბებოდა, მერე თანაბარი, ჩუმი გუგუნი ცალკეული წვეთების ხმამდე დადიოდა, ნათდებოდა, მზე ამოდიოდა ცაზე, თავთავიანთ ყანას უბრუნდებოდნენ შარვალდაკარწახებული, ფეხშიშველა გლეხები, მძიმედ მიაბიჯებდნენ და ხანმოკლე დამღად აჩნდებოდა დამბალ მიწას მათი ფართო ნაფეხურები. მზე აცხუნებდა, ორთქლი ასდიოდა ბელტებს, უფრო მძიმდებოდა ისედაც გამაბრუებელი ჰაერი, მოკლე ბალახი ამოიზარდა, დამჭლევებულ საქონელს მზეზე ულაპლაპებდა მიწისაკენ დახრილი კისრები. გამოგაზაფხულდა, ცხენები აჭიხვინდნენ. მოიისფრო ბინდში ბრუნდებოდნენ სოფლად ნამუშევარი, მადააშლილი გლეხები, წვნიანით სავსე თიხის ჯამებში ხმელა პურს ჰყრიდნენ და პურითვე გულდაგულ ასუფთავებდნენ ჯამების გაცრეცილ ფსკერს, წვიმდა, ისევ წვიმდა... მსუბუქი, სველი თითები აკაკუნდებოდნენ სახურავზე, უფრო მოიბუზებოდა კიბის ქვეშ შეყუჟული ძაღლი, ფოთლები მძიმდებოდა, გუბეები ახამხამდებოდნენ შარაგზაზე, გვერდს იცვლიდნენ მძინარე გლეხები, წვიმდა... ღელეები ადიდდა, ყვითლად იმღვრეოდა ტბა, მერე ღრუბელშემოცლილი მზის სხივი ჯერ მსუბუქად ათამაშდებოდა ზედაპირზე, გაიკლაკნებოდა და, ძალმოცემული, ჯიუტად მიიწევდა ფსკერისაკენ: მიიწევდა და, როცა ბოლოს და ბოლოს საწადელი აისრულა, იმ ბიჭმა, სიცილისას ზედა ღრძილები უკლებლივ რომ მოუჩანდა, ტბაში პირველმა იბანავა, აძაგძაგებული ამოხტა, შეციებულ მკერდზე გადაიჯვარედინა ხელები და შეცბუნებულ გამვლელებს მორცხვად გაუღიმა. გაზაფხულდა, მერცხლები მოფრინდნენ... დაღლილი გლეხი, საღამო ხანს ხის ძირას დასასვენებლად მიმჯდარი და ხორკლიან მერქანს კეფამიყრდნობილი, ვერა და ვერ დგებოდა, კი ეძინებოდა, მაგრამ მაინც დაუდევრად შესცქეროდა აციაგებულ ფოთლებში ჩაბუდებულ ძველი მთვარის შუქს და გატრუნულიყო, იქვე კი, მის ფერხთით, ვეება ქოფაკი იწვა და დროდადრო სევდითა და შიშით ახედავდა პატრონს. გათენებისას, მაინც ციოდა, მხოლოდ თვალისათვის შესამჩნევი ზმუილით იწელებოდა ნისლი, ეზოებში გამოდიოდნენ სიცივისაგან მხრებაწურული გლეხები, ისევ ყიოდნენ მამლები, კარები ჭრიალებდა და დილაადრიან მოწყურებულმა, სახეშეშუპებულმა ყმამ მკვახე ალუჩა მოწყვიტა, დაეჭვებულმა უცქირა ერთხანს და მაინც ჩაკბიჩა. უთენია გაღვიძებულ ლტოლვილს ერიდებოდა ამ უცხო ხალხში გარევა და იცდიდა, სანამ მინდვრად არ გავიდოდნენ

გლეხები, მერე კი ტყისაკენ დაადებდა თავს და გზადაგზა რომელიმე ხესთან შეჩერდებოდა და ხელისგულს მიადებდა, ყველაზე გრილი ქერქი ბალსა ჰქონდა, დამწიფებული ნაყოფიც გრილი, დათაფლული იყო. მერე ალუბალიც შემოვიდა, ტკბილ-მომჟავო ხილს სიამოვნებისაგან სახეშეჭმუხვნილნი შეექცეოდნენ გლეხები, - უკვე ცხელოდა, მუშაობით დაღლილებს, პირი უშრებოდათ და მისწრება იყო ამ დროს ალუბალი. დაცხა, შარაგზა გაშრა და ამტვერდა, ტბაში შერბოდნენ სოფლელი ბიჭები, წუწაობდნენ, გარგარი და ქლიავი დამწიფდა, გაზაფხული დათბა, გახურდა, გავარვარდა და ზაფხულად იქცა, გამაგრებულ მიწას უფრო ღონივრად ურტყამდნენ თოხს თავწაკრული გლეხები, წვიმის მადლი მოაკლდა ნიადაგს, ნაყოფიან ხეებს აქა-იქ ფოთლები შემოაჭკნა, ბორცვებზე კი ჯიუტად, ღონივრად იზრდებოდა სარეველა ბალახი, ერთადერთი, გვიმრა შეყვითლდა... ცხელოდა, გათენებისასაც, მზე რომ ამოიწვერებოდა, უკვე სუნთქვა ჭირდა, შუადღით კი, შუადღით, მოკლე ჩრდილში თავშერგული, განრისხებული გვეგვე მთელს თვალსაწიერზე ალივლივებულ, ტორტმანა ჰაერს წარბშეკრული გასცქეროდა, გაბრუებული მიიყუდებდა დოქს და ზიზღით ემანჭებოდა სახე, - ფუი, გამთბარა ოხერი... დაკლაკნილ ღელეს მიუყვებოდა ლტოლვილი, გზადაგზა შეშინებული ბაყაყები წამით გაიჭიმებოდნენ ჰაერში და წყალში ადენდნენ ზღართანს, ლტოლვილი ტყის პირას დომენიკოს პოულობდა, ესაუბრებოდა და უკვირდა - იჰ, ეს რა სიცხეა, შენ იქ უნდა გენახა, მასაებთან, ეს რა სიცხეა...

არადა, ცხელოდა... ათასგან გაიბზარა მოწყურებული მიწა, დასკდა, მაგრამ მზესაც სწყუროდა, ყოველ ნასვრეტში ჩაებჯინა სხივები და ციცქნა სინედლეს შებინდებამდე წუწნიდა. ქანცგაწყვეტილი ყმების მხარდამხარ მუშაობდა მამა, თოხი ვეღარ ერეოდა გამკვრივებულ მიწას და ბარავდნენ; მერე ვეღარც ბარი შველოდათ - თუ არ მოწვიმა, დავიღუპებითო ნამდვილად, ამბობდა ბიბო, რაიმე უნდა ვიღონოთ, უნდა ვიღონოთო რაიმე... რაც კი თიხის ჭურჭელი ჰქონდათ, გარეთ გამოზიდეს და მიწაზე დაალაგეს გლეხებმა, ამომშრალ დოქებსა და ჯამებს ავედრებდნენ ზეცას, წვიმა რომ გამოეგზავნა; ყველგან, მთელ სოფელში, ჭურჭელი ელაგა, უცნაური სანახავი იყო მზის გულზე გახურებული ჭურჭლის ეს უტყვი ხვეწნა. ამან რომ არ გაჭრა, გასაოცარი ხერხი იხმარეს, ლტოლვილსაც კი არ ენახა ამდაგვარი რამ:

- კი მაგრამ, ის ქალი რატომ დასვით ბორცვზე?

- რა ვიცი, წესია ასეთი... ყველაზე ლამაზ ქალს ბორცვზე რომ დავსვამთ, ხალხი იძახის, მზე რომ ასეთ ლამაზ ქალს შიშველს დაინახავს, შეჩერება მოუნდება, ეს კი არ შეიძლებაო და გზა მშვიდად რომ განაგრძოს, ღრუბლებით დაფარავს იმ ქალსო,

ღრუბლებიდან კი, ვინ არ იცის, წვიმა მოდის... ეგება მოწვიმოსო, იმიტომ დასვეს ბორცვზე შიშველი ქალი...

- უცნაურია, უცნაური...

მაგრამ მამა იმავ დღეს მივიდა ქალთან და შინ დაბრუნება უბრძანა. დასიცხულ მხრებზე ცილა წაუსვეს, ქალი კვნესოდა, ღრუბელი კი არა და არ ჩანდა, არც მაშინ გამოჩნდა, წვიმის ღვთაება რომ გამოჩორკნეს ხისგან და მზეზე დადგეს, - ეგება თავად დასცხესო; მამას გაეღიმა, ხელის ზურგით მოიწმინდა ოფლი და ყანებს გახედა - ცოტაც, ცოტაც და ყველაფერი დაიღუპებოდა, წვიმა იყო საჭირო... ხის კერპი კი მზეზე ეგდო, ეგდო, და გამოხმა. აიღეს და შორს მოისროლეს, ორი დღეც და, ამბობდა ბიბო, ორი დღეც და დავიღუპებით.... სიცხე არ უნახავთ ამათ, ფიქრობდა ლტოლვილი, ნამდვილი სიცხე არ უნახავთ, ისე, მდევარს კი დაეზარება ამ მტვრიან გზებზე წანწალი... გლეხები ეზოებში დაბორიალობდნენ და თავპირზე წყალს ისხამდნენ, ქარმა მაინც წამოუბეროსო, ნატრობდნენ... მაგრამ ქარი სწორედ მაშინ ამოვარდა, ორიოდე ღრუბელი რომ მოგროვდა ცაზე და შორს გადარეკა. დაძინების წინ უიმედოდ მოათვალიერეს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, გათენებისას კი, ძილ-ღვიძილში, ჩუმი გუგუნი მოესმათ, გრილოდა, საბანი წაიფარეს და მაშინვე მიხვდნენ, - წვიმდა! ქალამნებში ფეხი წაყვეს, აივანზე გამოვიდნენ, ხელისგულებით დაეყრდნენ მოაჯირს და, გაბრუებულებმა, დინჯად მოავლეს თვალი იქაურობას, - წვიმდა, წვიმდა! მსხვილი წვეთები ათრთოლებდნენ მტვერჩამორეცხილ ფოთლებს, ყანა დამძიმდა, დამსკდარი მიწა გადაიგლისა და ატალახდა, მხოლოდ სოფლის განაპირას, უზარმაზარ გამოქვაბულში იყო სიმშრალე და გლეხებმა იქ მოიყარეს თავი - თითო ხელადა ღვინო, პური, კაკლის ფოთლებში გამოხვეული ყველი და მწნილი მოჰქონდათ, მიწაზე დაალაგეს, ჯამები ჩამოირიგეს, სუფრის თავში ბიბო დაჯდა, ხუმრობდა: - სულ ქათამს არა ჰგავს, ჰა? გლეხები დინჯად იღიმებოდნენ, ღვინო ჩამოასხეს. ცოტათი რომ შეთვრნენ, სიჩუმე ჩამოვარდა, ერთმანეთს გადახედეს და სამი გლეხი წამოდგა, გამოქვაბულის გლუვ კედელთან მივიდნენ, თავი მიადეს ერთმანეთს, ჯერ საიდუმლოდ წაიღიღინეს, მერე გაიმართნენ და ერთმა წამოიწყო: - მი-მი-ნო მყვა-ნდა, მიყ-ვარდა... დანარჩენები მიწაზე ისხდნენ, მომღერლების უზომოდ მადლიერნი, მაინც თვალს არიდებდნენ, - ეხამუშებოდათ პირში ცქერა და სავსე ჯამებში იყურებოდნენ, სამი გლეხი კი მთელი ხმით ამღერდა და გამოქვაბულის კედლებში ღონივრად დატრიალდა სიმღერა, ჯერ სამთავე ღელავდა, მერე ორს გადაუარა. ყველაფერი დაივიწყეს, თვალები დახუჭეს და ისე მღეროდნენ, მესამეს კი თითებში ჩაებღუჯა სუფრიდან შემთხვევით გამოყოლილი პურის ყუა და ხელი უკანკალებდა. მერე პირველმა ღრმად შეისუნთქა და თავი გააქნია: მამიკლეს

ჩემი მიმინო! ის ორი დინჯად, ნაღვლიანად, ღირსეულად აჰყვა: მა-მი-კლეს ჩე-მი მი-მი-ნო, მა-მი-კლეს ჩემი მიმინოო, ჰეე... - კარგი იყო, კარგი, დაიძახა ბიბომ და ჯამი ასწია, - კარგა ვიყოთ, ეს გაუმარჯოს...

მიწა სუნთქავდა. ძალამიცემული და ორთქლადენილი, ყოვლისშემძლე, მკერდში ჩაბღაუჭებულ ფესვებს წყალს აწვდიდა; ახლა, პირქვე გაწოლილ, თავაწეულ ლტოლვილს ისიც ეგონა, რომ ჰაერში მოტივტივე ღონიერ ხეებს ნიადაგში ჩასობილი კლანჭებით ეჭირათ მიწა, მაგრამ თვითონაც მშვენივრად იცოდა, ასე რომ არ იყო, თავი ჩაღუნა და აფორიაქდა, მაინც რა იყო ეს მიწა - ასეთი ტრიალი, გადაშლილი, ხრამად ჩაქცეული, მთად აღზევებული, უკიდეგანო, უფსკერო, ხანდახან პეშვში გამომწყვდეული, სარეველათა და ვაზის დედა, მადლიანი, ყოველივეს ამტანი, ნაჯიჯგნი, ბევრისგან გადათელილი, შერყვნილი და მაინც მარად შეურყეველი, ერთგული, დალოცვილი, დალოცვილი: მაინც რა იყო ეს მიწა, ყანით გვიმრით, ბალახ-ბულახითა და უსახელო ყვავილებით დაფარული, ახლა, შემოდგომისპირს, აღარც ჩანდა, მაგრამ ეს წვნიანი, ბუსუსებიანი ატმები, დახლეჩილი ბროწეულები, შეთვალული, ჯგროდ ასხმული ყურძნის მარცვლებიც ხომ მიწა იყო, მორჩილებაში მყოფი ხისა და გამოზოგილი წყლის მადლით დაპურებული, ხომ მიწა იყო!

ბიბო კი არხეინად მიმოდიოდა სოფლად და ამბობდა: - ცოტაც, ცოტაც და შემოდგომა მოვა...

ტბასთან. და კოშკი

მარჯვედ გასროლილი ქვა სამჯერ აისხლიტა წყალმა, მერე კი იქიდან, სადაც უკანასკნელად გაკრთა, ფართო წრე გაიშალა.

- ოჰ, ყოჩაღ, - გაიკვირვა ლტოლვილმა, - მოდი, მეც ვისვრი.

- ბრტყელი ქვა უნდა შეარჩიოთ, აი, ეს კარგია.

- აბა, ვნახოთ...

ლტოლვილმა ღონივრად მოიქნია ხელი, მაგრამ ქვა მაშინვე ირიბად ჩაესო წყალში.

- ეგრე კი არა, - თქვა დომენიკომ და გადაიხარა, - აი, ასე...

ქვა ხუთჯერ აისხლიტა წყალმა.

- ბრავო, - მხარზე ხელი დაჰკრა ლტოლვილმა, - ბრავო, დომენიკო.

- რა თქვით?

- ბრავო-მეთქი.

- ეგ რანაირი სიტყვაა.

- იმდენი არაფერი, თქვენებურად ბარაქალას ნიშნავს.

- მართლა? მე არ გამიგია.

- ჰო, შენ საიდან გაიგებდი, მაგ სიტყვას მხოლოდ ქალაქელები ხმარობენ.

- რომელ ქალაქში...

- თითქმის ყველგან, აი, თუნდაც ლამაზ-ქალაქში, წამდაუწუმ მაგას გაიძახიან.

- ეგ რანაირი ქალაქია...

- ოო, - ლტოლვილმა თავი გადასწია, თვალები დახუჭა და სადღაც შორს გადაიხვეწა: - ლამაზ-ქალაქში ჭრელი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ მაინც ერთმანეთს ჰგვანან.

- რატომ?

- ქალაქელები არიან.

- როგორ - ქალაქელები.

- როგორ და... ასე რანაირად აგიხსნა, დომენიკო.

- ისე... დიდია?

- რა თქმა უნდა. რაღა თქმა უნდა, დომენიკო. ფერად-ფერადი სახლები დგას, მოცისფრო, ვარდისფერი... ისე კი, ამიერიდან იცოდე, რომ ქალაქი იმიტომაა ქალაქი, რომ დიდია. პატარა რომ იყოს, ქალაქი აღარ იქნებოდა - მიმიხვდი?

- დიახ.

- იქ რომ მოგახვედრა, - მუხლზე წკიპურტი დაირტყა ლტოლვილმა, - ხომალდს ნახავდი, ლამაზ ქალაქთან დიდი ტბაა, ასეთი კი არა, - ხელი გაიშვირა, - ხეზეც რომ ამვრე, თვალს ვერ გაუწვდენ. იმ ტბაზე ხომალდი დაცურავს და მგზავრები გადაჰყავს.

- ბევრი?

- ჰეე - რამდენიც გინდა.

ლტოლვილი ქვას დასწვდა, ჰაერში აისროლა და მარჯვედ დაიჭირა თუ არა, თქვა:

- შენ იქაური ქალები უნდა ნახო, ზოგი ისეა მოვლილი... სოფლელებივით მზეზე კი არ იხრუკებიან, თეთრები არიან.

დომენიკო გაინაბა.

- იმდენი ხალხია, - არხეინად განაგრძობდა ლტოლვილი, - გიჟი ხომ გიჟია, ოთხი ჰყავთ. აქ არ არიან?

- გიჟები? არა. ოღონდ ერთი იყო, თმაში ყვავილებს იწნავდა.

- კაცი?

- არა ქალი.

- კიდევ რას აკეთებდა.

- არაფერს, მაგრამ თმაში ყვავილებს იწნავდა.

- ჰეე, - ხელი აიქნია ლტოლვილმა, - რეებს იძახი, ასე რომ წახვიდე, მთელი ლამაზ-ქალაქის დედაკაცობა გიჟი გეგონება - მერე რა, ყვავილს თუ იწნავდა, ა, დომენიკო?

- რა ვიცი, მაგრამ არც დღესასწაული იყო და არც არაფერი.

- დიდი ამბავი.

- თანაც უკვე გათხოვილი იყო.

- მერე რა, ქალი ქალია.

- რა ვიცი, აბა, სოფელში კი ასე ეგონათ და....

- რაო, გიჟიაო? არ დაიჯერო, დომენიკო, ლამაზ-ქალაქში ერთი ქალია, ღამ-ღამობით თეთრ საღებავს ისვამდა სახეზე, მაგრამ გიჟს კი არ ეძახდნენ, ყველას მოსწონდა.

- და ეგრე დაიარებოდა?

- არა, რას ამბობ, დაძინებამდე ისვამდა ხოლმე.

- თქვენ საიდან იცით?

- ვიცი, - გაამაყდა ლტოლვილი და თვალები ეშმაკურად მოჭუტა, - ვიცი.

* * *

სოფლის განაპირას, კოშკში, სამოსელი პირველი ინახებოდა. მამა ადიოდა ჩირაღდნით ხელში, ციცაბო კიბეზე, ნესტიან, სქელ კედლებს შორის მიაბიჯებდა. მიდიოდა მძიმე ურდულით დახშულ კართან და თითების მსუბუქად შეხებისთანავე ამაზრზენად გაიჭრიალებდა კარი. მრგვალი ოთახის შუაგულში მკრთალად აბჟუტებულ სამოსელს ზღურბლიდანვე დაფიქრებული შეაცქერდებოდა. ხის დაბალ ტახტზე უძვირფასესი კაბა იყო გაფენილი. მამა მძიმედ უახლოვდებოდა, ჩირაღდანს დაანათებდა და სამოსელიდან უამრავი კამკამა სხივი ჟღრიალით იწელებოდა ბნელში. იისფრად ციაგებდა დიდი ამეთვისტო, მინანქრით მოჭედილ საყელოსთან მიბნეული, მწვანედ ლივლივებდნენ ზურმუხტები, მთელი კაბის სიგრძეზე მწყობრად დატანებულნი, ყოველ ზურმუხტს შორის ლურჯად კამკამებდნენ საფირონები, გვერდით კი ყოველ ქვას წყვილი მარგალიტი ებნია. მთელი კაბა ოქრომკერდით იყო მოჭედილი, ცივი, ყინულოვანი ციმციმით თითქოს ერთმანეთში ხრაჭუნით იფშვნებოდა უამრავი ყვითელი ნამცეცი, სინათლე ლივლივებდა მთელს სამოსელზე და იქვე, ტახტის ფეხთან მოწყობილ ორ ხამლზე წყვილი ალმასი კაშკაშებდა, ხარის თვალის ოდენა. სამოსლის მინანქრით მოჭედილ ქამარზე ბეჭედი იდო, ყვითლად შემოჯარულ ოქროში ავად კიაფობდა თლილი ბრილიანტი.

ჩირაღდანს კედელზე ამაგრებდა მამა, გულხელს დაიკრეფდა, ასე მიმოდიოდა ოთახში და მერე ისევ სამოსელთან ჩერდებოდა. ალი თრთოდა და ფერადი გველები იკლაკნებოდნენ ჰაერში, მხოლოდ დიდი ამეთვისტო ციაგებდა იისფრად, მკრთალად. დაფიქრებული დასცქეროდა მამა სამოსელს. მიმოდიოდა, ისევ დასცქეროდა. მერე დინჯად ახედავდა ჩირაღდანს და უცნაურად აწეწილ, გასუსულ ალს თვალებმოჭუტული უყურებდა. მერე კი დიდხანს ზურგშექცევით იდგა ტახტთან, მძიმედ შემოტრიალდებოდა, სამოსლისაკენ დაიხრებოდა, გაშლილ ხელისგულს ნაზად დაადებდა დიდ ამეთვისტოს და სხვა ყველაფერს კი უცნაურად შესცქეროდა, - რაღა არ ჩანდა მამის თეალებში - რისხვა, სიბრალული, ზიზღი... ყოველ ქვას უბაცდებოდა თამამი კაშკაში და მხოლოდ დიდი ამეთვისტო გრძნობდა დაკოჟრილი ხელისგულის სითბოს...

მამა წელიწადში ერთხელ ადიოდა კოშკში, გვიანი გაზაფხულის რომელიმე დღეს.

თავი მესამე

ფერადი ამბები

ისინი დილაუთენია ამოვიდნენ სოფლად. წითელ-ყვითლად მოხატული ჩარდახიანი ურმით ამოვიდნენ და კოჭლმა ყმამ დაფლეთილ პირსახოცში ჩარგული თავი ასწია, გაიხედა და, აღტაცებულს, პირსახოცი დაძაბულ, მოკაუჭებულ თითებზე გადაფენილი შერჩა. ისინი კი მოდიოდნენ სატკაცუნებლებით, ამოდიოდნენ ეჟვნებისა და ზანზალაკების წკრიალით, საღებავებით აჭრელებულ ხარებსაც რქებზე უხვად ეკიდათ ეჟვანი, და ყმები ზემოდან დასცქეროდნენ, როგორ ამოდიოდა მიმოხვეულ აღმართში ჭრელი, აწკარუნებული მდინარე, ატივტივებული ჩარდახით, რომელზედაც უზომოდ მომღიმარი სახეები ეხატა. დოლის უთავბოლო ფეთქვა დაღლილი ურმების გულისცემას ჰგავდა და აბრეშუმის ფერადი ბაირაღიც გაბმულად ცახცახებდა ქარში. და მერე, რომ ამოივაკეს, გამხდარი, თვალებჩაცვენილი, ძალიან ლამაზი ყმაწვილი ერთ ხარს ზურგზე მოახტა და მეორეს კი მსუბუქად დაჰკრა წითლად შეღებილი ჯოხი. ჭროღათვალება, ზოლებიან ტანსაცმელში გამოწყობილი, თეთრად სახემოთითხნილი კაცი, წოწოლა ქუდით, ჩაფიქრებული უკრავდა სპილენძის გრძელ, უცნაურ სალამურზე, ტუჩზე ირიბად რომ მიედო, ხოლო უზარმაზარი, წითელლოყება, ოთხკუთხა კაცი მიამიტად იღიმებოდა და მრგვალთავა ჯოხს უბოროტოდ ურტყამდა ფეხებშუა მომწყვდეულ დიდ, ფერად დოლს, თავზე კი მჭიდროდ შემოტმასნილი ქუდი ეხურა და ზედმეტად არ ირჯებოდა, რადგან სწორედ ამ ქუდზე ნახევრადშიშველი ლამაზი ქალი თეთრი მბზინავი ფეხებით იდგა და ხელთ კი დაირა ეპყრა და აჩხაკუნებდა. ჯამბაზები მოვიდნენ!

გვეგვე, თვალებშეშუპებული და ნერწყვგამშრალი, სახედაჭმუჭვნილი, პირმოკუმული, მოთოკილი მთქნარებით ეზოში გამოვიდა, და ურმის დანახვაზე პირი დააღო. მერე კი, უმოწყალოდ თეთრფეხა ქალის შემყურემ, მაგრად დამუწა ტუჩები, თვალებად გადაიქცა, და ხელში ფრთხილად ეჭირა ერთადერთხელ ჩაკბეჩილი მსხალი... და კოჭლსაც ისე ფრთხილად, ისე სათუთად გადაეფინა მაჯებზე პირსახოცი...

ახალგაზრდა ჯამბაზმა კი ხარს ქედზე ხელისგულები დააბჯინა, მკლავებს ძალა დაატანა, დაიძაბა, დაიძაბა და ყირა რომ გაჭიმა, ხელებშუა თავი გამოყო, მიმოიხედა და თქვა:

- მგონი, მართლა არ მოუკრეფიათ.

- ხომ ვამბობდი, - ჩაიღრინა წოწოლაქუდიანმა ჯამბაზმა, მერე ღრმად შეისუნთქა, გაბრაზებულმა თქვა: „აქ მთაა, მთა...“ და ტუჩზე ისევ ირიბად მიიდო უცნაური საკრავი.

- არა უშავს, - თქვა ოთხკუთხა კაცის თავზე შემდგარმა ქალმა, უეცრად შეტორტმანდა და ხელების მკვეთრი აქნევით ისევ დაიცვა წონასწორობა, მერე ხალხს ფართოდ, უგულოდ შესცინა და ღიმილსშუა ჩუმად გამოსცრა: - როგორმე გამოძებნიან დროს.

- და ყურძენს მოუვლელს დატოვებენ, არა? - საკრავს ტუჩები წამით მოაცილა წოწოლაქუდიანმა და, ქალი ისევ რომ არ შეტორტმანებულიყო, ოთხკუთხა ჯამბაზმა ძალიან გამოზომილად, ტუჩების ფრთხილი მოძრაობით თქვა:

- ჩვენც ავიღოთ და საღამოთი გავმართოთ.

- სწორი ხარ, ბემფი, - ლაღად ჩამოსძახა ქალმა და ფეხისგული ნაზად გადაუსვა თავზე, - და მე მიხარია, რომ მყავხარ ასეთი ღონიერი და ჭკვიანი ქმარი.

ოთხკუთხა კაცი წამოწითლდა და დოლს ძალიან ნაზად შემოჰკრა მრგვალთავა ჯოხი, მაგრამ ამ სუსტმა ხმამ თვალგაშტერებული ბიბო მაინც შეაკრთო, და, გამოფხიზლებულმა, გლეხებს გადახედა, მაგრამ ვის ეცალა მისთვის - ყველა ქალს შესცქეროდა, ისიც, ის ცალთვალა გლეხი... „ჰაი, დედასა, - გაიფიქრა ბიბომ, - დასახოცები ხართ ყველანი, უ...“ და ისევ ქალს მიაჩერდა. იმან კი მაჯის კოხტა მოძრაობით პატარა, უხილავი წრე შემოხაზა ჰაერში, ლამაზი თითები ჯგროდ აიშვირა ცისკენ და, ხალხის დასანახად გაღიმებულმა, ჩუმად ასე თქვა:

- ოჰ, ტბაცა ჰქონიათ.

გვეგვე კი, მუშტებშეკრული, ნესტოებდაბერილი, ისე ფართოდ თვალებგახელილი - წარბების ტკივილამდე, ყვრიმალებამობურცული, თეთრ ფეხებზე შესცქეროდა ქალს და ვერც გრძნობდა, სახეზე მწვანე ბუზი არხეინად რომ დაუდიოდა.

მერე ურემს ერთიანად აედევნენ და სოფლის განაპირას რომ აღმოჩნდნენ, ქალი მსუბუქად დახტა ურემზე, ლამაზად ჩამოშლილ თმას ნელა მადიანად ჩამოაყოლა ხელის ზურგი, თვალები დახუჭა, რაღაც გაახსენდა და იმოდენა ხალხის თვალწინ თითქოს სადღაც გადაიკარგა, მაგრამ ხელად გამოფხიზლდა, თავი გაიქნია და, ორად მოხრილი, ჩარდახში შევიდა. სქელი ჯამბაზი მაინც ძველებურადვე ფრთხილად, გასუსული იდგა, ამასობაში თეთრად სახემოთითხნილი კაცი მიწაზე დახტა, ხელი გულუხვად გაიქნია და გამოაცხადა:

- მოგესალმებით, ჩვენ ამოვედით თქვენთან, რომ მოვილხინოთ და თქვენც მოგალხინოთ, ერთხელ ერთი კაცი მოდიოდა გზაზე და ძალიან უნდოდა, ტანსაცმელი რომ არ გასვროდა, - აქ ახალგაზრდა ჯამბაზმა სასაცილოდ ჩაუარა - მაგრამ მას დაეწია მეორე კაცი და, - აქ მოლაპარაკემ სარმა გამოსდო ახალგაზრდა ჯამბაზს, ხელიც ჰკრა და წააქცია, - კვანტი გამოსდო და ლაფში ჩააგდო. სულმთლად ამოთხუპნა!

ახალგაზრდა ჯამბაზი წამოდგა და, ვითომ ტირილით, ჩამოუარა ხალხს. გლეხები დაძაბულად, რაღაცნაირად უნდოდ იღიმებოდნენ, თან ცალი თვალი ჩარდახისაკენ ეჭირათ, მაგრამ იქიდან არავინ გამოდიოდა.

- ნება მომეცით წარმოგიდგინოთ ყმაწვილი, რომელიც ამოისვარა, - და საზეიმოდ, მძიმედ გამოაცხადა, - ახალგაზრდა ჯამბაზი, ჩიპო!

და ისიც უეცრად მაღლა შეხტა, მერე გაქანდა და ყირამალა გადავიდა - ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ძალიან მაღლა ახტა, ჰაერში ამოტრიალდა და ხელებგაშლილი ერთბაშად გაქვავდა გლეხების წინაშე და ურემზე მდგარმა ოთხკუთხა კაცმა ძალიან ღონივრად დაჰკრა ჯოხი აჭრელებულ დოლს.

- ჩვენი მთავარი ჯამბაზი, ძალ-ღონით განთქმული მედოლე, ბემფი, - გამოაცხადა წოწოლაქუდიანმა და ცისკენ ამოტრიალებული ხელისგული ოთხკუთხა ჯამბაზს მიაშვირა. იმანაც მრგვალთავა ჯოხი ფეხზე მიიყუდა, სახელოები დინჯად დაიკაპიწა, მკლავები რიგრიგობით მოხარა და ამობურცული კუნთები უჩვენა გლეხებს. კუნთების დაჭიმვისას ერთხანს უმიზეზოდ გაბრაზდა კიდეც, მაგრამ ჩქარა გადაუარა და რომ გამოერკვა, ხალხს მორცხვად გაუღიმა და, წამოჭარხლებული, თავის ჯოხს დასწვდა.

- და მისი მომხიბვლელი მეუღლე, ანა, - ჩირაღდნების ათამაშების უბადლო ოსტატი და ამასთანავე... - ურმისაკენ მიიხედა წოწოლაქუდიანმა ჯამბაზმა და ჩაფიქრებულმა დაამატა, - და ამასთანავე გაჭენებულ ცხენზე წამოწოლაც შეუძლია.

ახლა კი მართლაც სუყველა ერთად ნიავზე მსუბუქად აცახცახებულ ფერად ჩარდახს შესცქეროდა. და ბევრს არც გაუგია, სახემოთითხნილი კაცი რომ შემობრუნდა, თითი მკერდზე მიიდო და თქვა:

- და მე, - ყველაფრის მცოდნე ჯამბაზი, - ზეზუხბაია...

- გამარჯობათ, - უთხრა პირველმა ყმამ, თავი დაუკრა და ხელისგულები მუცელზე მიიდო, - რაღაცა უნდა მეთქვა თქვენთვის და თუ არ გამიწყრები, შენი სახელის ჭირიმე, გეტყვი...

ბილიკად მიდიოდნენ - დაფიქრებული, კუშტად თავდახრილი მამა - წინ, ბიბო კი არეული ნაბიჯით მისდევდა.

- გითხრა?

- თქვი, გისმენ.

- ბოდიში, მაგრამა... მაგრამ... ასე არ შემიძლია შენი სახელის ჭირიმე...

მამა შეტრიალდა და უეცრად მოკუნტულ პირველ ყმას დააცქერდა. იმან კი, დამფრთხალმა, აქეთ-იქით მიმოიხედა, ხელში დაჭმუჭვნილი ქუდი გაასწორა, თითები გადაუსვა, მერე უცებ ისევ დაჭმუჭნა, გაბედულად გაიმართა, მამას ახედა და უთხრა:

- ცოდოა ბიჭი.

- ვინ ბიჭი.. - შეიჭმუხნა მამა, - გვეგვე?

სხვაგან იხედებოდა.

- დიახა... - შეგულიანდა ბიბო, - გვეგვე, მაშა... თქვენ რომ გენახათ, არა, რო გენახა, რანაირად უყურებდა იმ ქალსა, ქალი კი არა, წყეული იყო, ურცხვი, თქვენ რომ წამობრძანებულიყავით და გენახათ, არა? რო მობრძანებულიყავით, აი როგორ გიბრძანოთ და არა, ე რა ვთქვი, გიბრძანოთ კი არა, როგორ გითხრა-მეთქი უნდა მეთქვა, როგორ გითხრა-მეთქი, ეე, ისე უყურებდა - ა, - სულ თვალებითა სჭამდა... ვინ იცის, როგორ იტანჯება, რაებსა ფიქრობს, ცოდოა ბიჭი... მე რო მაგის ხნისა ვიყავი, ორი შვილი მყვანდა - ცოდოა... აი, რო გენახათ, არა? გაგიჟდაო, იფიქრებდი...თ! მართლა, აი, გეგონებოდათ, გაგიჟდაო, მართლა.

მამა ისევ განზე იყურებოდა და ერთბაშად შეეჭვებულ ბიბოს მაშინვე დაეკარგა ლაპარაკის ხალისი, ისევ ქუდს მიუბრუნდა და მოჭმუჭნა.

- მერე, - იკითხა მამამ, - მერე?

- რა და, - გამოცოცხლდა ბიბო, - თუ თქვენი ნებაც იქნება, აი, ის მინდოდა მეთქვა, ვინმე ქალი ხომ არ გაგვერიგებინა-მეთქი, თქვენს ოჯახს რომ ეკადრება, ისეთი - წესიერი, ლამაზი, რიგიანი, პატიოსანი...

მამამ შეხედა და უთხრა:

- შენი ნებაა, ბიბო.

ასე გადაწყდა.

- ი ბიჭი რაღაც არა ჩანს, ჩვენი დომენიკო, - გვარიანად რომ შეღამდა, უთხრა მამას ოდნავ შეთამამებულმა პირველმა ყმამ, - რა იქნა ნეტა, იმ შემოხიზნულსაც არ უნახავს, ვკითხე და...

- არა უშავს, - თქვა მამამ და ზურგი შეაქცია, - იქნება სადმე.

შემცბარი პირველი ყმა ფეხის წვერებზე შეტრიალდა, აძურწული მივიდა კართან, სახელურს ნაზად შეავლო ხელი, და ისე ფრთხილად გადაალაჯა, თითქოს ზღურბლზე სქლად დაგრაგნილი, მძინარე მახრჩობელა წოლილიყო.

* * *

თეთრად სახემოთითხნილი ჯამბაზი, რომელსაც ახლა, სიბნელეში ნაცრისფერი დაჰკრავდა, მიწაზე იჯდა, ხელები მოხრილ ფეხებზე შემოეხვია, ზურგმორკალული, ნიკაპით მუხლებს ეყრდნობოდა და ქალს შესცქეროდა, ის კი საოცრად ამაყად იდგა, ოდნავ უკან გადახრილი, ცალფეხმოდუნებული და ხუთ აალებულ ჩირაღდანს ჰაერში რიგრიგობით ისროდა და ისევ იჭერდა; ამ სიბნელეში, კუნაპეტში, უცნაურად განათებული ლამაზი ქალის მოლივლივე, ნახევრად შიშველ სხეულზე ჩრდილები სხლტოდნენ და ახტუნავებული სინათლეების რომელიმე ნაუცბათევი ტალღა დროდადრო იქვე მოკუნტულ ჯამბაზსაც სწვდებოდა, და იქვე, შორიახლოს, თხრილში გატრუნული დომენიკოც ქალს შესცქეროდა, მოდუნებულ ფეხზე.

- რა ლამაზი ხარ, ანა, - უთხრა მზერააპყრობილმა ჯამბაზმა და ქალმა ოდნავ, მსუბუქად გაიღიმა.

- მხრებიც ისეთი გლუვი გაქვს, მარმარილოსავით, ხანდახან ისეა... სრულებით, რადგან... - აირია ჯამბაზი, - რომ არ არის და როცა... ნუ, ერთის სიტყვით... ხომ არ დაიღალე?

ქალს თავიც არ გაუქნევია, ბნელში ჩირაღდნებს ისე ისროდა. ნიკაპაწეულმა ჯამბაზმა ერთხანს უყურა, უყურა და პასუხის იმედი რომ გადაუწყდა, თავის საკრავს დასწვდა და ტუჩზე ირიბად მიიდო. ღამის იდუმალ, ამოუცნობ ხმებს ფლეიტის ხმაც შეერია, ცივად მოტივტივე, მსუბუქად გამჭოლი... რაღაცა ცუდი, ავისმომასწავებელიც ერია ამ

სიფრიფანა ხმაში, მერე კი ჯამბაზმა მიწაზე მიაგდო საკრავი, მუშტები შემართა და განრისხებულმა დაიძახა:

- აღარ შემიძლია!

ქალმა ჩირაღდნები ზედიზედ დაიჭირა, ხუთივე შეაერთა და კაცს შეუტია:

- გაჩუმდი, სულელო, ბემფი გაიგებს.

- ფეხებზე მკიდია ეგ შენი ბემფი, - მკერდზე მუშტი ორჯერ მიიბაგუნა კაცმა, - აღარ შემიძლია, გესმის, შენ იცი, რა არის აღარ შემიძლია?

- ერთი ნაბიჯიც, და სახეზე მოგადებ, - უთხრა ქალმა და ჩირაღდნები თვალებთან მიუტანა, - აბა, რად გინდა, სახე რომ დაგეწვას, მაინც არაფერი გამოგივა და სახე კი დაგეწვება, აბა, რად გინდა...

კაცი მუხლებზე იდგა, დაბნეული, გაოგნებული და თვალებში ცეცხლი უკიაფებდა, ერთხანს უაზროდ შესცქეროდა ჩირაღდნებს, მერე კი, სიმხურვალემ საღებავიც რომ გაუდნო, გამოერკვა, თავი გაიქნია და ბალახს ორი თეთრი წერტილი რომ დააჩნდა, თქვა:

- მაშინ, ვილაპარაკოთ.

- ვილაპარაკოთ, ზეზუხბაია, - გულზე მოეშვა ქალს, - რამდენიც გინდა, იმდენი ვილაპარაკოთ.

- დაჯექი... მაშინ.

ქალი ლამაზად დაეშვა მოკეცილ ფეხებზე და მრგვალ, გადიდებულ მუხლისთავებს გაოცებული შეაცქერდა დომენიკო. ჯამბაზიც ისევ მუხლმოყრილი იდგა, მერე კი თითქოს დადაბლდა - უკან-უკან გადაიხარა და ქუსლებზე დაჯდა. ერთხანს ასე ისხდნენ, გაყუჩებულნი, თავ-თავისთვის, და უცებ ჯამბაზი მოკლე, ძლიერი ბიძგით ისევ მუხლებზე დადგა, მომუშტული ხელები განზე გაშალა, თვალები დახუჭა, ნიკაპი ქალს მიაშვირა და ყელდაჭიმულმა ასე თქვა:

- მე აღარ შემიძლია, ანა, იცოდე, აღარ შემიძლია, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, აღარ შემიძლია, გესმის?

როგორ ლაპარაკობდა...

- დღედაღამ შენთანა ვარ, შენს გვერდით - ერთად გამოვდივართ, ვჭამთ, ვსვამთ და ღამღამობითაც ჩარდახიდან შენი მშვიდი, უდარდელი ფშვინვა მესმის და ვეღარ ვიძინებ - აღარა მძინავს. აი, ასე ვწევარ, შემომხედე, - მიწას ლოყა დაადო კაცმა, - აი, ასე ვწევარ მოკუნტული, ხან ხელებს თავქვეშ ამოვიდებ და ცას მივაჩერდები, ხან ლოყას ხელისგულზე დავიდებ და დიდხანს აღარ შევიცვლი გვერდს, მაგრამ მაინც ვერ ვიძინებ და ბოლოს, გამწარებული, აი, ასე, პირქვე გავიშოტები და ფრჩხილებით მიწას ვფხოჭნი, აი, ასე ვფხოჭნი, ხომ ხედავ, შენ კი... ჰეე, შენ ისე არხეინად ფშვინავ... და, ჯანდაბას, ღამეს კიდევ არა უშავს, ბოლოს და ბოლოს, მაინც ჩამეძინება, - თვალი მილულა კაცმა და წამით გაყუჩდა, - ცალ ლოყაზე მიწა აჰყოლოდა, - მაგრამ დღისით! - თავი მკვეთრად გაიქნია და მრისხანედ მიაჩერდა ქალს, - დღისით რა გიყო, როგორ არ შეგხედო, როგორ არ გისურვო - ირგვლივ ტრიალებ მუდამ ასეთი. ნახევრად შიშველი ... მთელი დღე თვალწინ მყავხარ, მთელ დღეს შენი სურვილი მაწვალებს, ისიც კი მინდა, აღარ შეგხედო, აღარ გისურვო, გადაგივიწყო, მაგრამ როგორ - ხალხის წინ, მუდამ ახალი უცნობების თანდასწრებით, და შენი მოსულელო მეუღლის, დოლთან გაჯგიმული ბემფის თვალწინ ხელები ცივად უნდა შემოგხვიო წელზე, მაღლა, ჰაერში აგიყვანო და მერე მხარზე შეგისვა, გადაგივიწყო - ადვილი სათქმელია... და შენიანად მაღლა კიბეზე უნდა ავიდე და ჩამოვიდე, შენ კი ფერადი, სულელური რგოლები მოხერხებულად უნდა ათამაშო, ხალხს ეს უკვირს და, ის რომ იცოდნენ, როგორ მინდიხარ და თავს როგორ ვიკავებ, ეს რომ იცოდნენ... იქვე, ლოყასთან, შენი მკვრივი, ქათქათა ბარძაყი მაქვს, და თეთრ საღებავსაც ყოველთვის იმიტომ ვისვამ, ლოყით რომ არ მიგეხუტო ფეხზე, რადგან მერე, ოოო, მერე, ვეღარაფერი ვერ შემაჩერებს, ვეღარაფერი, ანა, იმსიმაღლიდან გადმოვარდნისას აი, მაგ ტუჩებზე დაგაკვდები და, სანამ მიწაზე დავეცემით, მანამდე ამოგხდი სულს და რომ იცოდე, აი, ახლაც როგორ მსურხარ, როგორ მინდიხარ, შენ რომ იცოდე, ანა!

და მოიხარა, შუბლი მუხლს დააბჯინა, ბრაზიანი ჩურჩულით გაწელა: ჰხაა.. ჰა! და ისევ მიაჩერდა.

სახეგანათებულ, გვერდზე თავგადაწეულ ქალს საჩვენებელი თითი მსუბუქად დაებჯინა მიწაზე და არც ეტყობოდა, ფიქრობდა თუ ჭრიჭინას უგდებდა ყურს - ღამის იდუმალების გულუბრყვილო, ჯიუტ მაცნეს.

- ხანდახან მგონია, არვინ მიყურებს-მეთქი და უეცრად მაინც შევტრიალდები, - თქვა ქალმა და ოდნავ გაიქნია თავი, - და თურმე იქვე ბემფი დგას, ეს-ესაა თავჩაქინდრული, დამორცხვებული და თითებით კი დიდ თეთრ ღილს აწვალებს. რა აქვს დასარცხვენი - ქმარია ჩემი, მაგრამ მუდამ მორიდებული ღიმილით მიყურებს, აი, როგორ გითხრა... სულ სხვანაირი თვალებით და რომ გაიცინებს, ორივე ლოყაზე

პაწაწინა, სასაცილოდ შეკეცილი ფოსოები უჩნდება. მე მართლა მიყვარს ბემფი, რადგან ის კეთილია, ღონიერი და თანაც ქმარია ჩემი, შენ კი, ზეზუხბაია, შენ, ვერასდროს ვერ შეგიყვარებ, რადგან რაღაცნაირად... როგორ აგიხსნა?! რაღაცნაირად, სხვანაირი ხარ - ამდენი ხანია, ერთად დავიარებით და გაღიმებული არ მინახიხარ, ტირილიც არ შეგიძლია, გულით ხომ ვერასოდეს გაიცინებ და, საერთოდაც, ვერაფერს გააკეთებ გულით...

- ვერაფერს, არა? - განრისხდა კაცი და გრძელი ყვრიმალები ამოებურცა, - გინდა, კბილები დავაღრჭიალო?

- რად მინდა, - გაიკვირვა ქალმა, - ეგ არც ტირილია და არც სიცილი, რაში მარგია... აბა, თუ გაიცინებ.

კაცი ერთხანს შეფიქრიანდა, მერე თითქოს დაიძაბა, მაგრამ სახე მოეჭმუხნა და თქვა:

- რა გამაცინებს, ცეცხლი მიკიდია.

- აი, ხომ გითხარი, გაცინებაც კი არ შეგიძლია, გაცინებაც.

- შენ კარგად იცი, რაც შემიძლია, - თვალებში მიაჩერდა კაცი, - ორი სოფელი ხელებზე მოარულს გამივლია. მაგ ხუთ ჩირაღდანს ცალი ხელით ავათამაშებ, კბილებით ლურსმანს გავღუნავ, ჩვენი ურემიც ბევრჯერ გადამიტარებია მკერდზე და ყოველივე ამასთან ერთად... - ღირსეულად წარმოთქვა კაცმა და ამაყად შემართა თავი, - ფლეიტაზე, უსათუთეს საკრავზედაც ვუკრავ.

- ბემფიც კი უკრავს, - თქვა ქალმა და თვალი აარიდა, - დოლზე.

- ჰე, - ხელი აიქნია კაცმა, - დოლი რაა...

- საკრავი ყველა ერთია, სუყველა, - ჰაერში ჩირაღდნებით წრე შემოხაზა ქალმა და ირგვლივ ჯერ სწრაფად ატორტმანდა ჩრდილი, მერე კი ზლაზვნით და უხალისოდ, - დოლი რა, ცუდად გუგუნებს?

- ჰე, - ისევ აიქნია ხელი კაცმა, - დოლი რა საკრავია...

- ცუდი კაცი ხარ, ზეზუხბაია, - ზიზღით მიაჩერდა ქალი, - ისიც არ იცი, რომ ვისაც არ უნდა შეედარო, შენ მაინც იგივე იქნები, რაცა ხარ, ზუსტად იგივე. გაუგებრად ხომ არ ვლაპარაკობ?

- არა, არა... სწორი არა ხარ, თორემ გაუგებარი რაა...

- არაფერი, არა?.. და რომ იცოდე, საერთოდაც, შენი თვალები არ მომწონს, გაყინული, მომწვანო-მონაცრისფრო, და სახელიც, სახელიც ისეთი გაქვს, ჰეჰ - ზეზუხბაია...

როგორ ლაპარაკობდნენ.

- მე კიდევ ის შემიძლია, - გაახსენდა კაცს, - მაღალ ტოტს კბილებით ჩავეჭიდო და ისე ვიქანაო, უხელებოდ... კარგად მისმინე, ანა, ქალო - ხომ წარმოგიდგენია სურვილი იმ კაცისა, ვისაც ასეთი რამ შეუძლია... დიდი ამბავი, მომწვანო თვალები თუ მაქვს, ასეთ თვალებს აქებენ კიდეც... რაზე ფიქრობ?

- და სახელიც, სახელიც ისეთი გაქვს, - თქვა სიბნელეს მიშტერებულმა ქალმა, - ზეზუხბაია... ზეზუხ-ბაია... თითქოს გველი შევარდაო ბუჩქებში.

- რეებს სულელობ! - ხელის ზურგი ტუჩებზე აიფარა კაცმა და წამით ძალიან განაწყენდა, მაგრამ იქვე გადაიფიქრა, ქალისაკენ გადაიხარა და ფრთხილად, ჩურჩულით ჰკითხა: - მერედა, არ გინდა, გველივით მჭიდროდ შემოგეხვიო? თბილი გველივით...

- მართლა ეგეთი სახელია, - თავისას განაგრძობდა დაფიქრებული, სიბნელეს მიშტერებული ქალი, - აბა, ნელა და ჩურჩულით თქვი... აი, ასე - ზეზუხ... ბაია, თუმცა, თუგინდ ხმამაღლა და სწრაფად წამოიძახე - ზეზუხბაია!.. მართლა ისეთია, თითქოს გველი შევარდაო ბუჩქებში, რა უცნაურია... - და გულწრფელად, ალერსით დაუყვავა, - იცი რა, ზეზუხბაია, წადი აქედან...

- შენ არაფერი არ გწამს, - ფეხზე წამოდგა ამ დაყვავებით განრისხებული კაცი და ფართო საყელო აიწია, - შენ არაფერი არა გწამს, ანა, - აბა, მიმოიხედე, სუყველას დააკვირდი და მითხარი, თუ გეგულება ვინმე ისეთი, ჩემსავით ბევრი რამ რომ იცოდეს, ანდა, საერთოდ, სად შეგხვედრია ჩემისთანა ჯამბაზი!

- ნამდვილ ჯამბაზს, - ჩაილაპარაკა ქალმა და შეფიქრიანდა, - ნამდვილ ჯამბაზს, რაც მთავარია, თვალებში ყინული და წებო კი არა, ნაღვლიანი საიდუმლო უნდა ჰქონდეს...

- ოო, ესე იგი ნამდვილი ჯამბაზიც არ ვარ, არა? მე, არა, ანა? - აღშფოთდა კაცი, - ეს მე, ვისაც ყოველდღე შეიძლება ხერხემალი გადაელეწოს, ნამდვილი ჯამბაზიც არა ვყოფილვარ, ძალიან კარგი, კაარგი, ძალიან კარგი...

- მაგით ვერ გამაკვირვებ, - მშვიდად უთხრა ქალმა, - ყოველთვის, ძალიან მაღლა რომ ადიხარ, მხარზე გაზივარ...

- მაშინ, ის მაინც მითხარი, - სული ძლივს მოითქვა კაცმა, - ის მაინცა თქვი, თუ მოიძებნება ვინმე ისეთი ჩემსავით რომ უკრავდეს, ანდა, საერთოდ, - და გაამაყდა, - სხვაგან სად გეგულება ჭეშმარიტი მუსიკოსი.

- ბემფიც კი უკრავს, დოლზე, - ხმადაბლა თქვა ქალმა, თავი ჩაღუნა და ფრჩხილით მიწა მოჩიჩქნა.

- ჰე, დოლი რა ინსტრუმენტია, - ხელი აიქნია კაცმა, - ჩიპო რომ ჩიპოა, ისიც დაუკრავს... - და შემპარავად ჰკითხა: - ეგებ არ გესიამოვნათ ჩიპოს ხსენება, ა, ქალბატონო? განრისხებულ ქალს ჩირაღდნებიანი ხელი მაღლა აუხტა, მაგრამ თავი შეიკავა, თითქოს დამშვიდდა და, სიძულვილისაგან მაინც თვალებმოწკურულმა, მძიმედ, მკაფიოდ უთხრა:

- ნაგავი ხარ შენ, ზეზუხბაია...

როგორ ლაპარაკობდნენ!

* * *

ერთ მშვენიერ დღეს, სამუშაოდან მობრუნებულმა გვეგვემ ერთი პირი რომ გამოიძინა და ჭილოფზე გაბრუებული წამოჯდა, ახალ შარვალ-ხალათში გამოწყობილი ბიბო ეზოში შემოვიდა, გვეგვეს შორიდანვე გაუცინა, ორიოდე ნაბიჯზე დაუდგა და ძალიან მეგობრულად, ხაზგასმული სიყვარულით თამამი სიტყვები უთხრა, თან კი, გზადაგზა, ერთთავად იღიმებოდა.

- ადე, შე ცუღლუტო, შენა, ბიჭო, სადამდე უნდა იწვე და იძინო, ადექი, ქვეყანა გაკეთდა, - და გვეგვეს განსარისხებლად გამზადებულ სახეს თვალი რომ შეავლო, საჩქაროდ დააყოლა, - ისეთი კარგი რამე უნდა გითხრა, ბიჭო, ისეთი კარგი რამე-ე... გესმის? ადექი, გენაცვალე.

- რა იყო, - თქვა გვეგვემ, თვალები მაგრად დახუჭა და ძალისძალათი გაიზმორა.

- ადე, ბიჭო, რო გეუბნები, როდისმე მომიტყუებიხარ განა? ადე, ადე... ფიე, რა ცუღლუტი ხარ, შე დაუდეგარო შენა... მოდი აქ, ბიჭო. შენ! - გასძახა უცებ კოჭლს. - მოდი, გან-გან რო დაეთრევი დილიდან საღამომდე.

- რა გინდა, - უთხრა კოჭლმა და შორიახლოს გაჩერდა.

- მოდი, რო გეუბნებიან! გამოადგი ფეხი!

- აჰა.

- კიდე!

- აჰა!!

- ეგრე. წადი ახლა და დოქით კარგი ცივი წყალი მოიტანე.

კოჭლმა ყმამ თავით ფეხებამდე ზიზღით აათვალიერა და წავიდა. „ი, როგორ ამხედ-დამხედა, - გაიფიქრა ბიბომ, - ეს როგორ ამხედ-დამხედა, უნდა დამეყვირა, არა? მაგრამ არაფერი რომ არ უთქვამს... და როგორ უნდა მეყვირა, ჰა?“ და შეფიქრიანებულს, ბუნდოვნად ისიც გაახსენდა, რისთვის მოვიდა აქ და ჭილოფზე მჯდარ გვეგვეს დაუდევრობით თავზე დაადო ხელი. იმან კი თავი ისე მკვეთრად გაიქნია და ისე წამოხტა, შემკრთალი ბიბო მაშინვე გამოერკვა, საწყლად, შიშნარევი სევდით მიაჩერდა გვეგვეს უხეშ, მზით გარუჯულ სახეზე და - განრისხების მრავალსაფეხურიან კიბეზე წყრომის ერთი გადადგმული ნაბიჯი - უეცრად მოკუმული ტუჩები რომ დაინახა, მაშინვე შეაგება:

- ქალი უნდა შეგრთო, ბიჭოო, ქალი.

- ჰა, - შეკრთა გვეგვე და აშკარად დაიბნა, - რათა.

- როგორა?

- რათა...

- როგორ თუ რათა, შე ცუღლუტო, - გამოცოცხლდა ბიბო და ეშმაკურად წაუმღერა, - რათა და იმა-თა, იმათაა...

- ვინ ქალი, რა ქალი... - მიაჩერდა გვეგვე და უცებ თვალი აარიდა, - აბა, რას ამბობ, რეებს ლაპარაკობ, ბიბო...

- ჰეე, ბიბოს არ იცნობ შენა, - გაიჯგიმა პირველი ყმა, - ისეთი ქალი შეგრთო, შენი მოწონებული...

- მართლა?

- მართლა.

- ჰიი, - ნიკაპი მკერდზე მიიბჯინა და საყელოში ჩაიცინა გვეგვემ, - რას ამბობ, ადამიანო.

- რასაც ვამბობ, ის მე ვიცი, - დააიმედა ბიბომ, - წადი ეხლა შენა, ხელ-პირი კარქა დაიბანე, ახლები ჩაიცვი, მოემზადე მოკლეთა და ისეთ ადგილას წაგიყვანო, უკეთესი

რო აღარ იქნება. აჰა, ესეც მობრძანებულა დოქითა, ჯერ პირზე წყალი შეისხი, მერე ჩაიცვი, კარქი?

- კარგი.

- მერე თმაც დაივარცხნე, ჩემი ხათრი თუ გაქვს.

- თმა რათა...

- ბიჭო, დაივარცხნე-მეთქი, რა იყო, თმის დავარცხნასაც რამე უნდა? ჰა?

- ვნახოთ, ვნახოთ, - თქვა გვეგვემ.

- მე კიდევ, სანამ შენ გაემზადები, ჩემსას მივალ და მოვალ... ანდა, რომ ჩამოივლი, ერთი შენებურად კოხტად შემომძახე და ხელად გამოვალ, კარქი?

- კარგი.

ნახირი ბრუნდებოდა სოფლად. ვიწრო ორღობეში სწრაფად მიმავალი ბიბო წამდაუწუმ ფერხდებოდა, მერე ძროხას გაბრაზებული აუვლიდა გვერდს, ერთი-ორს იდაყვიც კი გასცხო, „რამდენნი ხართ მაინც, უ, თქვენი...“ ბინდდებოდა, ჯერ კიდევ უჩინარი შავი წერტილები შეერია ჰაერს, და დაღლილ დღეს ჰაეროვანი სხეული მსუბუქად დაუბუჟდა თითქოს - აგრილდა. დიდი, ფერადი ძროხები ორღობით ბრუნდებოდნენ სოფლად, გვერდებგამობერილნი, სავსე ცურებით, და ეზოებში დაბმული ხბოები ჭიშკრისაკენ იწევდნენ, თოკები დაიჭიმა, ხეზე მიძვრებოდნენ თვლემამორეული ქათმები, ჩიტების აჟივლებული გუნდიც ერთბაშად მიჩუმდა და ორღობეში მიმავალ ბიბოს აღიზიანებდა სიჩუმე - თითქოს, ვიღაც შესცქეროდა. ყოველივე ააშკარავებდა სიჩუმეს - შეჩვეულ ჭიშკარს მიმდგარი ძროხა მაღლა აპყრობილ თავს ღონივრად გაიქნევდა და მერე დაჭიმული კისრით, თვალებდახუჭული შეჰბღავლებდა ბინდში ჩამუქებულ სახლს - მ-მუუ... რძე ჯიუტად ჩხრიალებდა კასრში, სადღაც კარი ჭრიალებდა, სკივრი ხმაურით იკეტებოდა, სარკმლებში ზოგან სუსტად ციაგებდა სინათლე... ვიღაცა უყურებდა!

იქაც კი, საკუთარ ეზოში.

- მოდი აქ, ქალო, - გასძახა ცოლს, - ისინი მოამზადე, მივდივართ.

დოქი ფრთხილად მიიყუდა, ხალათი რომ არ გასვროდა. პირი მაჯით მოიწმინდა, მერე ცოლს თვალი გააყოლ-გამოაყოლა და გაბრაზდა:

- რა დედოფალივით გამართული დადიხარ, შენი...

ქალმა მოუყრუა.

- ერთად გადააბი როგორმე, ერთ თოკზე, გესმის?

- კარგი.

- სადაა... „ის სად არი, ვაიმე, თუ დავკარგე, - გაიფიქრა ბიბომ და სკივრს თავი ახადა, - არა, აქა ყოფილა, კიდევ კარგი, უჰ...“

ეზოში ჩასულს, ცოლმა გრძელი თოკის ბოლო გაუწოდა. ბიბომ გამოართვა და თოკზე გამობმულ საქონელს გადახედა:

- ის ბურვაკი ხომ არ დაგავიწყდა!

- არა.

- ცხენი ხომ უნაგირითაა...

- კი.

- ხბო რამდენია, ორი?

- ორი.

- დაბნელდა და... თხებიც აქაა, არა?

- თხებიც.

- აბა, წავედი, - თქვა და ერთხანს შეიცადა. ზურგსუკან ცოლი ეგულებოდა, ბიბო იდგა და რაღაცას უცდიდა. მერე უცებ შეტრიალდა და აღრიალდა:

- ეგება გავგიჟდი! იქნებ ჭკუიდან გადავცდი, ან რამე, და ამოდენა საქონელი რომ მოვიყვანე და ისევ მიმყავს, არ უნდა მკითხო, სად მივდივარ? ჰა!

ქალმა შეხედა და მშვიდად ჰკითხა:

- სად მიდიხარ?

- რა შენი საქმეა! - იფეთქა ბიბომ, - რა შენი საქმეა, შე ტლუ... - და თავისთვის ჩაილაპარაკა, - აბარე ამას ანგარიშები, არ დადის გაჭიმული?

- ბიბო, - მკაცრად გაისმა სიბნელეში.

- ჰო, მოვდივარ გვეგვე, მოვდივარ, გენაცვალე, - გაეპასუხა და ცოლს მიუგდო, - დაიცა, დავბრუნდე, მე შენ გაჩვენებ...

- გვეგვე არა ვარ, - გაისმა ისევ, - არ მოვდივარო, გვეგვემ.

- რაო? - შეიცხადა პირველმა ყმამ, - ვითომ რათაო... პირი ხო დააბანინე...

- კი.

- თმა თუ დაივარცხნა.

- ივარცხნიდა, ჰო.

- ჰოდა, ისე წამოვა, შენი მოწონებული.

და მართლაც, ათიოდე წუთის შემდეგ, ჩაბნელებულ შარაგზაზე ბიბო საქონელს მიერეკებოდა. ცალ ხელში თოკი ჩაებღუჯა, მეორეთი კი ფეხებთან კვარს უნათებდა გვეგვეს და მოხრილი ემასლაათებოდა:

- იცოდე, კარგად აათვალიერე, ჩაათვალიერე, ყურება ფული კი არა ღირს, ჩუმ-ჩუმად შეხედე... აჰა, ეს ქამარი გაიკეთე, ვერცხლისაა, არა ფუჭდება... მამაშენმა გამოგიგზავნა... აბა შენ იცი, როგორ დაუკვირდები, ეგება მე ვცდები, ხომ შეიძლება - კაცნი ვაართ, მაგრამ შენ არ უნდა შეცდე, მაგრა დაუკვირდი, მაგრა. იცოდე, ქალს ორი რამ უნდა ჰქონდეს კარგი - ტან-ფეხი და სახე. გაიგე?

- მაშ, აბა ტყუილად ხომ არ გისმენ. - თავი გამოიდო გვეგვემ.

* * *

- საათობით შეეძლო თავგადაწეული მდგარიყო და ცაში ეცქირა - ჰეე, დიდი უცნაური წინამძღოლი გვყავდა. წვიმიან დღეს, როცა მთელი ლაშქარი ხეებქვეშ შეიყუჟებოდა, რჩეულნი კი ფერად კარვებში მხარ-თეძოზე წამოწვებოდნენ, წინამძღოლი გარეთ გამოდიოდა, ცას უყურებდა და, რომელიღაც უცნობი ბედნიერებისაგან თვალებმოჭუტულს, სახეზე აწვიმდა. საავდრო ღრუბლებს, უხმო ზმუილით რომ იწელებოდნენ ნაცრისფერ ცაზე, აღტაცებული მისჩერებოდა. დიდი უცნაური კაცი იყო - მზიანი დღითაც სწორედ ასე შესცქეროდა კამკამა ქულას. ღამღამობითაც დიდხანს მდგარა სიბნელეში, ამორჩეულ ლოდზე ამაყად გახევებული, გულზე მკლავებგადაჭდობილი და მძიმე, სქელი მოსასხამი კუპრის ტალღასავით მდოვრედ ჩასდევდა ტერფებამდე. იდგა, ფიქრობდა... - უცნაური წინამძღოლი გვყავდა. იმისთანა მეომარი კი - ოო, იმისთანა მეომარი არსად მინახავს

და ვეღარც შევხვდები - შენ რომ გენახა, დომენიკო, მშვილდს როგორ ხმარობდა, ხმალს როგორ იქნევდა... სიმაგრეების აღება უყვარდა, გაფაციცებით შესცქეროდა, სქელ კედლებს როგორ ვანარცხებდით უზარმაზარ ლოდებს, აღტაცებული უსმენდა ბუკსა და ნაღარას, ყალყზე შემდგარი ცხენების ჭიხვინს და იმათ ფეხებთან ავარდნილ მტვერსაც ამჩნევდა - ყოველივეს აღფრთოვანებული შესცქეროდა: ბრძოლის ჟინით შეპყრობილი, აცახცახებული იდგა და ითმენდა, ლაშქარი კი აალებულ ისრებს სტყორცნიდა სიმაგრეში, ისინი კი, ისინი, ალყაშემორტყმულნი, განწირულნი, წიოდნენ და მდუღარეს გვასხამდნენ თავზე, მაგრამ დიდი, ტყავგადაკრული ფარი ყველას გექონდა და კედლებისაკენ გავრბოდით - მთელი ხმით გავყვიროდით და ისე. საგულდაგულოდ გაწვრთნილებმა კარგი სირბილი ვიცოდით, მაგრამ ხანდახან რომელიმე ჩვენგანი უეცრად შეჩერდებოდა, ადგილზე შეტრიალდებოდა, და, გაჭიმული კეფით ენარცხებოდა მიწას და თავი გვერდზე გადაუვარდებოდა, ღია თვალებს კი თითქოს იმ ადგილს არიდებდა, საიდანაც ეს გაშეშებული ისარი ისროლეს, ახლა მკერდიდან უმოწყალოდ რომ ამოზრდოდა. წინამძღოლს კი არც ისარი ეკარებოდა, არც შუბი და ხმალს ხომ ვერავინ აძგერებდა - ვის გაიკარებდა შორიახლოს. და ადგილს რომ მოსწყდებოდა, უნდა გენახა, კედლისაკენ როგორ გარბოდა, როგორ ადიოდა კიბეზე, თავზე ფარგადახურული და რაღაცნაირად მორიდებულად იღიმებოდა - ფარს რომ იშველიებდა, ცოტათი იმისა რცხვენოდა; ეს ახოვანი, ბრგე კაცი მოხდენილად ადიოდა კიბეზე, ფარზე კი გამუდმებული, მრისხანე კაკუნი ისმოდა - არა, არ შეიძლებოდა, ფარი რომ არ ეხმარა. და როცა ქონგურს მიაღწევდა,ზედ კედლის თავზე ამაყად გაიმართებოდა და მერე დაბლა ხტებოდა. ხმლით გაპობილი ჰაერის სისინი და ჭახაჭუხი გვესმოდა, სანამ კიბეზე ავრბოდით, მერე კი ერთბაშად თავზე ვახტებოდით წინამძღოლის ირგვლივ შემოჯარულ მეციხოვნეებს და პატარა ხანში ჩახტომაც არ გვჭირდებოდა, რადგან ქონგურებიდან პირდაპირ დახოცილ მეომართა გროვაზე ვაბიჯებდით. კედლებთან ბრძოლა რომ შეწყდებოდა, წინამძღოლი ისარს გადმოიღებდა და იმ დაძაბულ სიჩუმეში სიმაგრის კუნჭულებს ათვალიერებდა. რომელიმე გამწარებული მეციხოვნე, ვისაც ძმა მოუკლეს, შვილი ან მამა, ყოველთვის იყო სადღაც მიმალული და ისრისა თუ შუბის ტყორცნას რომ დააპირებდა, წინამძღოლი მაშინვე თვალს მოჰკრავდა და იმის დანახვა რაც იყო, ალბათ მიხვდები, დომენიკო - იმავე წამს ყელში ისარი ჰქონდა გარჭობილი. ყველაფერზე მეტად ეს უყვარდა - სიჩუმეში ხიფათის დაცდა და მოლოდინი, მე მგონი, ამისთვის იღებდა კლდეზე მიშენებულ სიმაგრეებს, ამისთვის ადიოდა ოკრობოკრო კიბეზე, ჰე, უცნაური წინამძღოლი იყო... ისე კი, უდანაშაულო კაცის მოკვლა არ სჩვეოდა, არც დანებებულთ სჯიდა სიკვდილით, ხელგაშლილი, მწყალობელი, დიდსულოვანი, ამაყად დაიარებოდა

სიმაგრეში და, თუ გაწვიმდებოდა, სხვა ხომ აღარაფერი უნდოდა რა... რომელი ციხე არ აუღია, სად არ ასულა მსუბუქი კიბით, ფარგადახურული და მორცხვად მომღიმარი, რომელ კუნჭულში არ უპოვნია ჩასაფრებული შურისმაძიებელი... სად არ ვყოფილვარ მასთან ერთად, ქვეყანა მოვიარეთ - ის, წინამძღოლი, უშიშარი, მკლავუტყუარი, ახოვანი, ცხენზე იჯდა და წინ მიგვიძღვოდა, ჩვენ კი, ჩვენ, ქვეითები, არეული ნაბიჯით მივდევდით... სად არ ვყოფილვართ, ზამთარ-ზაფხულ მივაბიჯებდით. ბევრი ვიარეთ, რა არ გადაგვხდა, იმ ქვეყანაშიც აღმოვჩნდით, დიდი ყინვები რომ სცოდნია და თავპირახვეულნი მივლასლასებდით გაჩხიკინებულ ხეებს შორის, მკვდარი, გაყინული ჩიტები კი ქვებივით ცვიოდნენ ირგვლივ და მოყინულ თოვლზე პაწია ღრმულები ჩნდებოდა. იმ უსაშველოდ გრძელ, გაჭიმულ ღამეებში ცეცხლთან ვწრიალებდით და, სახეზე გინდაც წარბები შეგვტრუსოდა, ზურგზე მაინც გვციოდა. ბეჭებს თუ მივუშვერდით ცეცხლს, სახეზე კლანჭებად დაგვეტაკებოდა სუსხი და მთელ ღამეს ასე ვძაგძაგებდით, კოცონთან თოვლი იტკეპნებოდა. ბედს ვიწყევლიდით და ჩუმად, ძალიან ჩუმად ვკრუსუნებდით, წინამძღოლი კი, მხრებში აწურული - იმიტომ კი არა, რომ ციოდა, არა, შეუმჩნევლად უნდოდა ჩავლა - მხრებაწურული მიიპარებოდა ცეცხლს იქით, გაძარცულ ტყეში, უფრო იქით კი, ველზე გავიდოდა და მოწიწებით იყურებოდა. რას ხედავდა და... თხელი ღრუბლების მიღმა აბჟუტებულ მთვარეს, საკუთარი სინათლის ლბილი შარავანდედით მოსილს, შორს, სიღრმეში ჩამუქებულ თოვლს, გზადაგზა რომ ბაცდებოდა და მის ფერხთით იისფერდებოდა; და თუ თოვდა კიდეც და მკრთალ შუქზე აკვესებული მსხვილი, მსუბუქი ფანტელები თვალს აუჭრელებდა, სხვა ხომ აღარაფერი... არ უნდოდა რა... ჩვენ კი ისევ თავ-ბედს ვიწყევლიდით და მზე, აჰ, მზე გვენატრებოდა, ყოველნაირი: გინდა - თეთრი, აალებული, თუგინდ წითელი, ზღვაში ჩასვლისას როა ხოლმე და თუნდაც მოყვითალო, ჩვეულებრივი, მზე გვენატრებოდა. და ისიც, ისიც საკმაოდ ვიხილეთ - დაბზარული მიწა, შენ თუ გინახავს, დომენიკო, ერთიანად დამსკდარი, მწყურვალი, ხახადაფჩენილი მიწა, იჰ, ეს რა სიცხე იყო, დომენიკო, იქ უნდა გენახა - ჩრდილიდან ჩრდილამდე ძლივს გადავდიოდით, მისავათებულნი, მძიმედ ვქლოშინებდით, და თვალზე ბურანი ჩამოგვაწვა, სანამ მდინარე ჩამოდიოდა, კიდევ არა გვიშავდა - დღედაღამ წყალში ვეყარეთ, თავს ჩავრგავდით დალოცვილ სიგრილეში და, გახარებულნი, ვჭყუმპალაობდით კიდეც, წინამძღოლი ღიმილით შემოგვცქეროდა. მერე კი, დომენიკო, მდინარე რომ დაშრა, სულ რომ დაშრა, აღარ ვიცოდით, საით წავსულიყავით და ჩრდილს შევაფარეთ თავი, არაქათგამოცლილებს, არაფრის თავი არა გვქონდა, მიწაზე ვეყარენით და იმ მღოღავ ჩრდილსაც კი ძლივს მივდევდით, ტუჩები დაგვისკდა, მერე - ხელები, ენა დაგვისივდა, ძლივს ვლუღლუღებდით, პირქვე ვიწექით დამსკდარ მიწაზე და, თავს თუ წამოვწევდით, იმ

დიდ, უმოწყალო სინათლეში ისე აშკარად ჩანდა ყოველი ფოთოლი... მერე უფრო დაცხა. ქანცგაწყვეტილებს სულ ნიავი გველანდებოდა, რადგან გავარვარებული ჰაერი ლივლივებდა და ფოთლებსაც უფრო ახტუნავებდა. ფორთხვით მივყვებოდით ახლა უკვე სწრაფად გაქცეულ ჩრდილს და, ვინც ვერ მოასწრებდა, ვაი იმისი ბრალი - იქვე რჩებოდა... ასე ვბობღავდით, დომენიკო, მთელი ლაშქარი ხეების ირგვლივ ბობღავდა, წინამძღოლი კი, მკერდზე ნაღვლიანად მკლავებგადაჭდობილი და მომლოდინე, მარმარილოს გლუვად აელვარებულ კედელს მიყრდნობილი, მწუხარედ შემოგვცქეროდა და ხმას არ იღებდა... საქონელი კი ისევ იქ იწვა, სადაც ადრე გრილი მდინარე მოდიოდა და, მშვიდად მოკეცილნი, მორჩილნი, სადღაც შორს, მდინარის სათავისაკენ ნაღვლიანად იყურებოდნენ. სვავების გუნდი დასტრიალებდა მივარდნილ ნახირს და სულთმობრძავ ძროხებს ზურგს უკორტნიდა. მოკაუჭებულ ნისკარტს სისხლში აწობდნენ, მაღლა აღაპყრობდნენ თავს, მერე ავად გაიხედ-გამოიხედავდნენ განზე და ისევ ჩააწობდნენ ნისკარტს... მერე უფრო დაცხა. წყალი კი არა, სუნთქვაც ჭირდა და, ღონეს ოდნავ თუ მოვიკრეფდით, თავს გაჭირვებით წამოვწევდით და თითქოს ზანტად ვიყეფებოდით - ასე ვეძებდით დაღებული პირით სულ მცირე ჰაერს - სად იყო, თორემ კი. მერე, უფრო დაცხა. ახლაც არ ვიცი, საიდან გაჩნდა იმდენი ღამურა, დღისით, მზისით, ღამურები მოედვნენ იქაურობას და საზარელი წრიპინით, შავად დაფარფატებდნენ ალივლივებულ ჰაერში... გველებიც გვკბენდნენ! ისე მომრავლდნენ... ერთი ჩემს წინ რწევით აღიმართა, თავბრტყელი, ენამოქიცინე, ასისინებული, და უცებ განზე დაესო და გახევდა, ნიკაპქვეშ მუშტი ამოვიდე და ისე დავაცქერდი - ბრტყელი თავი მიწაზე ჰქონდა მილურსმული, წვალებით ავიხედე და წინამძღოლი დავინახე, მშვილდით ხელში, მარმარილოს კედელთან მდგარი, მშვიდად მიღიმოდა. ახლაც არ ვიცი რამდენ დღეს ვიყავით ასე, ხანდახან რომელიმე ჩვენგანი წამებით დგებოდა ფეხზე, სადღაც მიბარბაცებდა ლუღლუღით - წყალი, წყალი... და ეცემოდა. ერთხელ მეც დავინახე გუბე, ოღონდ, კიდევ კარგი, იქვე, ტუჩებთან. დავეწაფე და დამსკდარი ტუჩები მტვრით ამეგლისა, არადა, ისე ნაღდად, ისე აშკარად დავინახე... მერე კი, მერე, სულ ბოლოს, დომენიკო, პირქვე ვიწექით, ხელებგაშლილნი, ბედნიერები, დაპურებულნი - წვიმდა! ღონემოკრეფილნი, ზურგზე გადავტრიალდით, თავ-პირზე გვაწვიმდა! მდინარეც მოვიდა, ჩვენი გრილი, დიდი მდინარე, ტანსაცმლიანად შევვარდით, თავი ჩავრგეთ მის ამოზნექილ ტალღებში და დიდხანს ვსვით წყალი, დახეთქილი, გამხმარი კანი დაგვილბა და ნეტარებისაგან ვკრუსუნებდით, ჰეე, ვჭყუმპალაობდით, მხიარულად გავყვიროდით, წინამძღოლი კი, ერთიანად გალუმპული, თავგადაწეული, ბორცვზე იდგა და, ბედნიერს აწვიმდა.

ჩვენც, აღფრთოვანებულთ, როგორც კი დამსკდარი კანი მოგვიშუშდა და ტუჩებზე ფრთხილად ავისვით ენა, ვინ იცის მერამდენედ შევვარდით მდინარეში და მერე, ნაპირზე არხეინად წამოგორებულნი, მხიარულად ვბაასობდით და დროდადრო თუნგს ვიყუდებდით პირზე. ყველგან სიცილი გაისმოდა, მხიარული შეძახილები, ყველაფერზე ვხარხარებდით, ბედნიერნი, და უცებ ვიღაცამ ისე, სხვათა შორის, თქვა: „ჰეე, რა კარგი იქნებოდა, სიკვდილი რომ არ იყოს...“ „სიკვდილი რომ არ იყოს, - გაისმა იქვე, სიბნელეში, - წინამძღოლი დაგვდგომოდა თავს და წამოხტომა რომ დავაპირეთ, ხელისგული გვიჩვენა და შეგვაჩერა, - არა, თუ იცით, რა იქნებოდა, სიკვდილი რომ არ იყოს...“ რა უნდა გვცოდნოდა, ჩვენ არაფერი ვიცოდით, სიმაგრეების აღების გარდა, გავინაბეთ და სმენად გადავიქეცით, ის კი, წინამძღოლი, ერთხანს ჩუმად იყო, მერე უცნაურად ალაპარაკდა, მაგრამ ჩვენ კი არ მოგვმართავდა, სადღაც შორს, გადაკარგულში იყურებოდა. „სიკვდილი რომ არ იყოს, - ასე თქვა წინამძღოლმა, - აღარ იქნებოდა ამქვეყნად გულადი და ლაჩარი, მდიდარი და მონა, თვით სიკეთე და ბოროტებაც არ იქნებოდა, სიკვდილი რომ არ იყოს. არ დაგჭირდებოდათ არც ბრძოლა და ერთმანეთის ჟლეტა, მაგრამ არც მოსავლისათვის მიწის დაბარვა დაგჭირდებოდათ. არც ოსტატური სიტყვა-პასუხი, არც ვისიმე შიში არ გექნებოდათ და არც კეთილები იქნებოდით და არც ბოროტნი, არც ბედნიერნი და არც უბედურნი - აღარაფერი არ ვიქნებოდით, ვიღა გაგვარჩევდა, სიკვდილი რომ არ იყოს... მთელი ის ჩვენი უსასრულო სიცოცხლე აღარაფერი არ იქნებოდა, ახლა კი ახლა, სიკვდილი რომ არის, სიცოცხლე - სიცოცხლეა, მაშინ კი, მერწმუნეთ, დამიჯერეთ, თავად წვიმაც და თავად ჰაერიც აღარაფერი არ იქნებოდა, აღარაფერი, ჰეე, სიკვდილი რომ არ იყოს...“ ასე ილაპარაკა! მერე დადუმდა, ერთხანს აღტაცებული იყურებოდა ჩვენს მიღმა, ღონივრად სუნთქავდა, უზომო ბედნიერებისაგან ყვრიმალებდაბერილი, აღზევებული, მერე უნებურად ჩვენს გაკვირვებულ სახეებზე გადაიტანა მზერა და შეკრთა. წინამძღოლი შეკრთა! ბევრჯერ გვინახავს იგი განრისხებული. ბედნიერი და დაღონებული, ღრმად ჩაფიქრებულიც ბევრჯერ გვინახავს, მაგრამ შემკრთალი? - არა, არასოდეს, ახლა კი, ჩვენს დანახვაზე, საბრალობლად მოუდუნდა სახე, თვალები მოჭუტა და, შეშინებული, თითქოს იხვეწებოდა - „არა, არაფერი მითქვამს, არა, არ უნდა მეთქვა“... შეტრიალდა და გაგვეცალა. მართლა ამას ფიქრობდა, რადგან ღამით მის კარავთან შუბით მოდარაჯეს, ერთი-ორჯერ მკრთალად ჩამესმა - „არა, არ უნდა მეთქვა...“ მცველიც არასდროს დაუყენებია კარავთან, იმ ღამით კი აუარება ხალხს ფხიზლად ყოფნა გვიბრძანა, ანთებული მაშხალებით - დაბნეულნი შევცქეროდით ერთმანეთს. დღითაც კარგახანს ვიდექით, შუადღე იყო, კარვის შესასვლელი რომ გადაიწია და ფერმიხდილი, აფორიაქებული წინამძღოლი გამოჩნდა, ერთხანს ეჭვით

გვათვალიერა, მერე ვითომ გაგვიცინა, ტანსაცმელი მუხლთან ხელის დაკვრით ისე გაიწმინდა, ზედაც არ დაუხედავს, თვალებს აცეცებდა. არასოდეს გვინახავს ასე ამჩატებული, რაღაცნაირად ზედმეტად ირჯებოდა. თითქოს გვიცინოდა, მაგრამ უეცრად შეტრიალდა და ხმალზე იტაცა ხელი, მაგრამ ზურგსუკან არავინ დახვდა, ისევ გაგვიცინა... მერე ყველანი შეგვათვალიერა და ერთ ბრგე, ლოდივით მეომარს ნაძალადევი ხალისით უთხრა: „მიმღერე რამე“ „მე, წინამძღოლო? - გაიკვირვა იმან, - და რომ არ ვიცი?“ - „როგორც იცი, - თქვა წინამძღოლმა, - როგორც იცი ისე იმღერე“. „არასოდეს მიმღერია და...“ - ჩაფიქრდა მეომარი. მერე თავი ამაყად შემართა და ჰკითხა: „ჩემს ენაზე რომ ვიმღერო, შეიძლება?“ „შეიძლება, შეიძლება, - თავი დაუქნია წინამძღოლმა, ყველაფერი შეიძლება, ოღონდ იმღერე“. მეომარი კიდევ უფრო გაიმართა; ბრგე, მკვრივი, უშველებელი, აღელდა და მომწყვდეული ნადირივით გვიმზერდა, მერე თვალები დახუჭა, პირი დააღო, თავი უკან გადააგდო და წამოიწყო: „დილმუნ ქი ქუგამ დილმუნ სიქილაამ, დილმუნ სიქილაამ დილმუნ ზალაგ ზალაგა-ამ...“ საზარელი ხმა აღმოაჩნდა, თითო ამოსუნთქვაზე სამი გოდორი ხმა იფრქვეოდა უზარმაზარ ხახიდან და შემკრთალი, ცაში ისრად აჭრილი ფრინველები ფრთების ფართქუნით დაგვტრიალებდნენ თავს. იგი კი, თავგადაწეული, პირდაღებული და ტუჩნიკაპათრთოლებული, მუშტებშეკრული, თვალებდახუჭული, ასე მღეროდა: „უბა მუშ ნუგალამ გიირ ნუგალა-ამ ქა ნუგალა-ამ ურმახ ნუგალააამ...“ კი არ მღეროდა, ერთი ბგერა ამოიჩემა და იმ ერთადერთ ბგერაზე აღრიალებდა უცნაურ სიტყვებს - „გი-ირ ნუგალა-ამ ურმახ ნუგა-ლააამ...“ „კარგი, კარგი“, - შეიჭმუხნა წინამძღოლი და რომ ვერ გააგონა, ორიოდ ნაბიჯი გადადგა, მხარზე ღონივრად დაჰკრა ხელი და, უეცრად სიმღერაშეწყვეტილ, გაოგნებულ მეომარს ასე უთხრა: „კარგი, გეყოფა“. „რატომ მბრძანებელო? - გაიკვირვა იმან, - კიდევ გიმღერებ...“ „არა, არა, - წარბები შეჰკრა წინამძღოლმა და ხელი ასწია, - ისიც მეყოფა, რაც მოვისმინე...“ და უჩვეულო სიცბიერით დაამატა: „კარგი სიმღერა კი გცოდნია...“ „მართლა? - გაუხარდა მეომარს და მჯიღი გულზე მიიდო, - არასოდეს მიმღერია, პირველად ვცადე...“ და მერე ხარბად, იმედით დაეკითხა: „გნებავს, კიდევ?“ „აჰ, არა, არა, - თავი გაიქნია წინამძღოლმა, - ხომ იმღერე უკვე“. „მაშინ, - შეევედრა მეომარი, - პატარა ხნით სადმე წავალ, რა?“ „წადი, წადი. - უთხრა წინამძღოლმა, - საცა გსურს, იქ წადი და, თუ გინდა, მობრუნებას მაინცდამაინც ნუ იჩქარებ...“

გაკვირვებულნი შევცქეროდით ბრგე მეომარს, უცნაური რწევით რომ ადიოდა აღმართზე და თავი რატომღაც უკან ჰქონდა გადაგდებული, მერე კი, თვალს რომ მიეფარა, წინამძღოლი უეცრად განზე გახტა და ხმალი იშიშვლა. რა მოელანდა, ახლაც არ ვიცი - არავინ იყო. ერთხანს თითქოს აწითლდა კიდეც, მერე ისე გაფითრდა და თვალი აგვარიდა, ქარმა დაჰბერა და ნაგლეჯ-ნაგლეჯ მოგვესმა: „ანგალთ

ქიგალშეე... გეშთუგანი ნაანგუბ...“ მღერის, - გაიღიმა წინამძღოლმა, - ისევ მღერის“ „ალბათ ჭალაშია, - თქვა მეომარმა, რომელსაც აღვირით ეკავა დამფრთხალი ცხენი, - ჭალაში წასულა საყვირლად...“ წინამძღოლმა მხრები აიჩეჩა და კარავში შებრუნდა. იმ ღამითაც ვდარაჯობდით კარავთან და შორიდან განუწყვეტლივ მოისმოდა „უბა მუშ ნუგალამ გირ ნუგალაამ ქა ნუგალამ ურმახ ნუგალაამ...“ რამ აამღერა არ ვიცი, ისე კი, დღედაღამ იმისი ღრიალი მოისმოდა, და როცა მთელი ლაშქარი აიყარა, წინამძღოლი შუაში ჩაგვიდგა და ფეხით გასწია სიმაგრისაკენ. კარავი რომ გავუშალეთ და ბანაკად დავდექით, ოც რჩეულ მეომარს ისევ ფხიზლად ყოფნა უბრძანა და მაინც მთელ ღამეს წრიალებდა, კარავი შუბით დაცხრილა და ხან რომელი ჭუჭრუტანიდან გამოიხედავდა, ხან რომელიდან...

მეორე დღეს კი, ორომტრიალში, როცა აალებული ისრები მრავლად ვტყორცნეთ სიმაგრეს და კვამლი ცისაკენ აიზიდა, კიბე მივადგით სქელ კედელს და წინამძღოლისაკენ მივიხედეთ, იმან კი რამდენიმე ნაბიჯი კოჭლობით გადადგა, პირი აგვარიდა და თქვა: „დღეს არ შემიძლია, ფეხი ვიტკინე... რაღას მიყურებთ!!“ სიმაგრისაკენ გავიქეცით, ფარგადახურულნი, კიბე ავირბინეთ და გამეტებით ვიქნიეთ ხმალი, მერე კი, აქლოშინებულნი და სისხლში ამოთხვრილნი, გამარჯვებულნი, ისევ ქვემოთ ჩავედით და წინამძღოლს დავუწყეთ ძებნა, ჰოიი - ხეს ეფარებოდა! სიმაგრეში ასვლა შევთავაზეთ, ეჭვით შეგვაცქერდა და გვკითხა: „არავინ დარჩა?... ყველა მოკალით“? „ყველა, ვისაც კი იარაღი ჰქონდა...“ „ისე ხალხი... - ნერწყვი გადაყლაპა წინამძღოლმა, - ისე ხალხი თუ დარჩა.“ „ორი მოხუცია, წინამძღოლო, - ვუთხარით, - ერთი საოცრად შეჭმუხვნილია, მეორე სულ იღიმება...“ „ორნიო, ამბობთ? - დაფიქრდა და ხელი განზე გაიშვირა, - ფარი მომეცით“. ფრთხილად ადიოდა კიბეზე, საფეხურებს მკერდით ეკვროდა, ფარგადახურულს, ხელი უკანკალებდა. სიმაგრეში რომ ავიდა, ფარსზემოთ გაიხედა და იკითხა: „ესენი არიან?“ „ეგენი, წინამძღოლო...“ - თავი დავუქნიეთ ჩვენ. სიმაგრის შუაგულში, დომენიკო, ორი მოხუცი დაინახა. პირველი ერთთავად იღიმებოდა, მშვიდად მოკალათებულიყო მიწაზე და გვერდით კი ტიკი ეგდო, წყლით სავსე. მეორე მოხუცი ფეხზე იდგა, ამაყი, ჭაღარააფოფრილი და სვავივით იყურებოდა განზე. წინამძღოლი შემკრთალი მისჩერებოდა იმათ და უწყინარ, გაღიმებულ კაცს უფრო დიდხანს შესცქეროდა. მერე დაიხარა და შიგ თვალში ჩააშტერდა, თითქოს გაუღიმა კიდეც, მაგრამ ხმლის ვადა მაინც მაგრად ჩაებღუჯა. ცისფერთვალება მოხუცი იყო, რაღაცნაირად, ძალიან მშრალი და სუფთა. „უბა მუშ ნუგალა-ამ გი-ირ ნუგალამ ქა ნუგალა-ამ“, მოისმა შორიდან და წინამძღოლი წელში გაიმართა. შეტრიალდა თუ არა, მოხუცი ტიკს დასწვდა, წინამძღოლი მობრუნდა, ხმალი იშიშვლა და პირზე ტიკმიყუდებული მოხუცი თუმცა კი შერკთა, მაინც მშვიდად მიაჩერდა თავზე

წამომდგარ ხმალამოწვდილ კაცს, წინამძღოლი კი ერთხანს ხმალშემართული იდგა და სიწითლე რომ წამოაწვა, განრისხდა და ხელი ღონივრად დაიქნია...

ყველამ თვალები დავხუჭეთ და განზე მივაბრუნეთ თავი - რაღაცნაირად, მშრალი და სუფთა მოხუცი იყო, ცისფერთვალება... ეს პირველი უდანაშაულო კაცი იყო, წინამძღოლის ხელით მოკლული. ისევ ისმოდა მომაბეზრებელი „გიირ ნუგალამ ურმახ ნუგა-ლა-ამ...“ „ის კაცი გამიჩერეთ, - იყვირა წინამძღოლმა, - ის კაცი გააჩერეთ, თორემ...“ „ურმახ ნუგალაამ“, - დინჯად მოისმოდა შორიდან. „ყური დამიგდე, - თქვა უცებ მეორე მოხუცმა და წინამძღოლისაკენ მიატრიალა თავი, - ხვალ მოსაღამოვებულს, როცა იმ ხის ჩრდილი ამ სიმაგრესთან მოცოცდება...“ და შეჩერდა, ო, ისე უყურებდა... „მერე, მერე? - ცბიერად დაეკითხა წინამძღოლი, - როცა იმ ხის ჩრდილი ამ სიმაგრესთან მოცოცდება, მერე?“ „მოკვდები, - უთხრა მოხუცმა და ცალი წარბი თვალზე ჩამოეფარა, მერე კი რკალად აეზიდა შუბლზე, - მოგკლავენ.“ „რაო? - უნდოდ აათვალიერა წინამძღოლმა, - მომკლავენ?“ „მოგკლავენ, - ჯიუტად გაუმეორა კაცმა, - ცოტაც მოითმინე და დარწმუნდები.“ „რა იცი, - ჰკითხა წინამძღოლმა და დამცინავად შეაცქერდა, - რა იცი მეთქი?“ „ვიცი,“ - გაიმეორა იმან და განზე ამაყად გაიხედა. ერთხანს დაბნეულმა წინამძღოლმა უცებ იფეთქა, ხმალი შემართა და ბრაზით სახედაღმეჭილი დაეკითხა: „შენ, შენ როდისღა მოკვდები, გლახავ!“ „ახლავე, - უთხრა კაცმა, - აი, მაგ ხმალს დაიქნევ და მოვკვდები“. წინამძღოლმა კინაღამ ისიც შუაზე გააპო, მაგრამ თავი შეიკავა, ხელი მძიმედ ჩამოუშვა და უთხრა, - „აი, ხომ ხედავ, არაფერი გცოდნია.“ „მე ის ვიცი, - თვალი გაუსწორა კაცმა, - რომ ხვალ მოგკლავენ.“ „მაინც ვინ მომკლავს?“ „შავ მოსასხამში იქნება გახვეული, სახეზე ნიღბით, ხმლიანად ამოვა კიბეზე და...“ „და მომკლავს?“ „მოკვდები, - გაუმეორა კაცმა, - შენივე კარავთან სულს გაგაცხებინებენ“. სიჩუმე ჩამოვარდა და ერთხანს უხმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს. მერე ნიავმა ისევ მოიტანა გაუგებარი „გი-ირ ნუგალა-ამ, ურმახ ნუგალაამ...“ „ის გიჟი გამიჩერეთ, - საოცრად წვრილი ხმით დაიძახა წინამძღოლმა, - ის კაცი გამიჩერეთ, თორემ...“ და თითქოს გონს მოეგო და თქვა: „ეს ბებერი გააცილეთ... ვინმემ თითი რომ დააკაროს, თავს წაგაცლით, იცოდეთ... - და მოხუცს დამცინავად ჩაეკითხა: - აკი ახლავე მოვკვდებიო, ყბედო?“

ღამით ისევ კარავთან ვიდექით და გვესმოდა, ბოლთას როგორ სცემდა. მძიმედ სუნთქავდა. ხვნეშოდა, გამწარებული იმეორებდა - „მომატყუა, მომატყუა, რომ არ მომეკლა, იმიტომ მიპასუხა ასე, გამექცა, რატომ არ ავჩეხე, როგორ მომატყუა...“ თვლემა მოგვერია, მესამე ღამეს ვათევდით კარავთან და უამინდობაც დაგვერთო, ის კი, წინამძღოლი, უთენია გამოვიდა გარეთ და საოცრად დაინტერესებული, მოთვალთვალე, აფორიაქებული იხედებოდა ირგვლივ - წვიმდა. წვიმდა, ნესტოები

უთრთოდა, უცნობი ბედნიერებით შეპყრობილს, აღარაფერზე ფიქრობდა, თავი უკან გადაეგდო, ხელები განზე გაეშვირა, თავგადაწეულს, სახეზე აწვიმდა, წვიმდა... სახეზე თქეში ჩამოსდიოდა, ტანსაცმელი მჭიდროდ მიეტმასნა და გოლიათური სხეული აშკარად გამოეძერწა, იღიმებოდა და ენის წვერით ილოკავდა სველ ტუჩებს, ბარბაცებდა, ნეტარებისაგან იზმორებოდა, წვიმდა... როდის-როდის გამოერკვა, შემოგვხედა და ხელისგულით ჩამოიწურა სახეზე შერჩენილი წვეთები, ჩვენც, მობუზულნი, გავიმართეთ და გახარებულნი შევაჩერდით - ადრინდელი წინამძღოლი იყო. „უჩემოდ ხომ არ გაგიჭირდათ?“ - გვკითხა და ცას მალულად ახედა. „გაგვიჭირდა, წინამძღოლო, - ავხმაურდით ჩვენ, - გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ“. რაღაც გაახსენდა, დიდხანს ფიქრობდა, ახლა თავდახრილს აწვიმდა, მერე თავი ასწია, ჩვენს მიღმა გაიხედა და თქვა: „ის კაცი არ უნდა მომეკლა, არა?“ ვერაფერი ვუთხარით, დიდხანს ვიდექით ჩუმად, ისევ ფიქრობდა. „ერთი იცოდეთ, - თქვა წინამძღოლმა და ამაყად გაიმართა, - ყველაფრის გამოსწორება შეიძლება. ხომ ასეა?“ „ასეა, წინამძღოლო, - ვთქვით ჩვენ და მე გავიფიქრე: „იმ კაცს რაღა გააცოცხლებს...“ კარავში შებრუნდა და გახარებულმა გავაყოლეთ თვალი - დინჯად, ძველებურად ირჯებოდა. ყურიც მივუგდეთ, ღრმად და თანაბრად სუნთქავდა, ჭუჭრუტანაში შევიხედეთ, მშვიდად იდგა და რაღაცას ფიქრობდა. „მეომარი ვიყავი, - ჩუმად თქვა წინამძღოლმა, - მეომარი ვიყავ და, რა მექნა...“ მერე საჩქაროდ გავხტით უკან, რადგან შესასვლელისაკენ გამოემართა. „ყური დამიგდეთ, - გვითხრა წინამძღოლმა, - ახლა წადით და მოისვენეთ, საღამომდე არ გამეკაროთ, საღამოსაც ნურავინ შემოხვალთ, ნურც დამიძახებთ, ხომ იცით, შავმოსასხამიან, ნიღაბაფარებულ კაცს ველი და ვინმე თავს თუ შემოყოფს ჩემს კარავში, მაშინვე ისრის წერა გახდება. თუკი კიბეს ამოჰყვება, ჩემამდე ნუ მოუშვებთ, გზაში მოჰკალით. გამიგეთ თუ არა?“ „გავიგეთ, წინამძღოლო“, თავი დავუქნიეთ. „და ისიც გახსოვდეთ, - ყველანი შეგვათვალიერა წინამძღოლმა და დინჯად, დამარცვლით გვითხრა: - რომ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება“. მშვენიერ ხასიათზე ჩანდა და ვეღარ მოვითმინე: „იმ კაცს რაღა გააცოცხლებს, წინამძღოლო?“ დიდხანს მიყურა და მოიწყინა: „იმას ვერაფერი, ვერა, მაგრამ ჩემი საქციელის გამოსწორება შეიძლება. გესმის?“ „მესმის, წინამძღოლო“, - ვუთხარი და ფართოდ გავუღიმე, ვერაფერი გავიგე, მაგრამ მაინც.

და საღამო ხანს, მთელი დღე არხეინად რომ გვეძინა და გამოვშუშდით, სიმაგრიდან გადავიხედეთ და კედლისაკენ შეუმჩნევლად მცოცავ ხის ჩრდილს შევაცქერდით. ხმაგაკმენდილნი, იმ ჩრდილს დაძაბულნი მივჩერებოდით და შორიდან ისე ჯიუტად, ისე ახირებულად მოისმოდა - „გი-ირ ნუგალა-ამ ურმახ ნუგალაა-ამ“... კარვიდანაც ჩამიჩუმი არ ისმოდა. ყველანი სულგანაბულნი ველოდით საფრთხეს. და როცა ჩრდილი ძალიან ახლოს მიცოცდა კედელთან, შორს, ჭალის მიღმა, ვიღაც ახოვანი,

შავწამოსასხამიანი კაცი შევნიშნეთ, სიმაგრისაკენ ხმალამოწვდილი გამორბოდა და, რომ მოგვიახლოვდა, ნიღაბიც დავინახეთ. ახლა ვიღას ახსოვდა ჩრდილი, მშვილდები მოვიმარჯვეთ და გამეტებით ვტყორცნიდით მისკენ ისრებს, მაგრამ დიდი ფარი ეპყრა ხელთ. მსუბუქად, სწრაფად ამორბოდა კიბეზე, შუბიც მრავლად ვტყორცნეთ, მაგრამ ფარზე ყრუ ჟღარუნის მეტს ვერაფერს მივაღწიეთ. და კედელზე მთელი ტანით რომ გაიმართა, მეც გამეტებით ვესროლე მძიმე შუბი, მაგრამ მსუბუქად ჩაიმუხლა და აიცდინა, მერე კი პირდაპირ სიმაგრეში ჩამოხტა. მთელი ლაშქარი მიესია, ერთმანეთს ხელს ვუშლიდით, მაგრამ ათამდე მეომარი მაინც უქნევდა ხმალს, ის კი, სწრაფი, მოქნილი, უშიშარი, მოხდენილად ტრიალებდა ჩვენს შორის და, ვისაც მოახელთებდა, ხმალს ბრტყლად დაჰკრავდა მაჯაზე და განაიარაღებდა, ამან მთლად გაგვაცოფა - ამოდენა ლაშქარს შეგვება და, თანაც, გვზოგავდა. გამწარებულნი დავესიეთ. კარვისაკენ მძიმედ მიიკაფავდა გზას, ყოველი ნაბიჯი ძვირად უღირდა - სიცოცხლის ფასად, მაგრამ მაინც ახერხებდა და წინ მიიწევდა, ჰეე, იმისთანა მეომარი მანამდე მართლა არსად მენახა, თვით წინამძღოლსაც კი შეშურდებოდა მისი. და კარვამდე ორი ნაბიჯი რომ დარჩა, ყველანი შესასვლელს ავეფარეთ და, ხელი რომ აიქნია, უეცრად ხმალშემართული გახევდა. ჯერ ვერაფერს მივხვდით, გაკვირვებულნი, მერე კი იმან ორიოდე ნაბიჯი რაღაცნაირად უცნაურად გადმოდგა, შებარბაცდა და პირქვე დაემხო, - რბილად დაეცა ნაწვიმარ მიწაზე, ზურგში კი ისარი ჰქონდა გარჭობილი. ჩუმად დავაცქერდით, გაოგნებულნი - საოცარი მეომარი იყო. ჩუმად დავაცქერდით და ისევ მოგვესმა, - „გი-ირ ნუ...“ გამოვერკვიეთ და ავხმაურდით, კარვისაკენ ვიბრუნეთ პირი და ვღრიალებდით, - „მოვკალით, წინამძღოლო, აგერ აქვე გდია, აღარაფერი გემუქრება, დახედე, წინამძღოლო...“ ის კი ხმას არ იღებდა. ერთხანს შევიცადეთ და მერე ისევ მხიარულად შევძახეთ: „მოვკალით, წინამძღოლო, მკვდარია, მკვდარი, ის ღრჯუ ბებერი მატყუარა ყოფილა“. მაგრამ ხმას არავინ იღებდა. მერე იყო და, წამოწვიმა. „გამოდი, წინამძღოლო, წვიმს!“ - დავიძახეთ და მაინც არავინ გვიპასუხა. მაშინ ფრთხილად შევიხედეთ კარავში, მერე სწრაფად შევაბიჯეთ - არავინ დაგვხვდა. „ეე, დამალულა, - გავიფიქრეთ და შეგვზიზღდა, - რის ეშინოდა, ამოდენა ლაშქრის პატრონს“. და ყოველი კუნჭული, - ყოველი საფარი მოვინახულეთ, მაგრამ წინამძღოლი არსად ჩანდა. „დაგვტოვა, მიგვატოვა,“ - ვფიქრობდით და რისხვით ავივსეთ, - დაგვტოვა, მიგვატოვა“, და უცებ ერთმა მეომარმა შეჰყვირა, თვალებზე ხელი მიიფარა და მეორე ხელი კი, გაფარჩხული თითებით, გვამისაკენ გაიშვირა. გაოცებულნი, შემკრთალნი მივაჩერდით, იმან კი რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ჩაიჩოქა, შავმოსასხამიანი კაცი ზურგზე გადაატრიალა, ნიღაბი ჩამოგლიჯა და სუყველამ შევყვირეთ და სახეზე ავიფარეთ ხელი, - წინამძღოლი იყო.

- წინამძღოლი?

- ჰო, დაღლილი და მოსვენებული სახე ჰქონდა, აწვიმდა, ჩვენც გვაწვიმდა, ვიდექით, ვიდექით. და უცებ კიბის თავზე ის ბრგე, ლოდივით მეომარი წამოიმართა - გალუმპული, აღგზნებული, წინამძღოლს დასცქეროდა. მერე დაღონდა და მძიმედ ჩამოხტა სიმაგრეში, უზომოდ მოწყენილი, დარდიანი. ჯერ ჩვენ მოგვავლო მრისხანე მზერა, მერე წინამძღოლს სიბრალულით დააცქერდა და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა „უბა მუშ ნუგალამ... გი-ირ...“ „ჩვენს ენაზე თქვი, - გავბრაზდით და იარაღი ავაჟღარუნეთ, - ჩვენს ენაზე თქვი, თორემ...“ და თუმცა ოდნავადაც არ შეშინებია, ფეხები განზე გადგა და იმ თავსხმაში ასე დაიგრგვინა:

ოდეს გველი არ იყო, მორიელი არ იყო,

აფთარი არ იყო, ლომი არ იყო,

ძაღლი არ იყო, მგელი არ იყო,

შიში არ იყო, ძრწოლა არ იყო,

კაცთა მოდგმას მტერი არ ჰყავდა, -

მაშინ შუბურის მთები, ხამაზის ქვეყანა,

შუმერის მხარე ტკბილმეტყველი,

დიადი ქვეყანა დიდებულ წესთა,

ურის ქვეყანა მქონებელი ყოველთა სახმართა,

ამურუ სვებედნიერად დავანებული,

მთელი სამყარო, მორჩილი ხალხი,

ენლილს ერთ ენაზე ადიდებდა.

აი, ასეთი ლექსი თქვა. მოგეწონა ამბავი, დომენიკო?

- კი. ენლილი ვიღაა?

- ღვთაებაა რაღაც. მართლა მოგეწონა?

- კი.

- მდინარის პირას დავასაფლავეთ...

* * *

- კარგი დიასახლისობაც ეტყობა, რა კარგად ტრიალებს, - თქვა ბიბომ, - ბარაქალა, ბარაქალა...

სუნთქვაშეკრული გოგო იატაკს დააჩერდა. იმ სტუმრებისა ისე არა რცხვენოდა, როგორც მშობლების - დედას კიდევ რა უშავდა რა, მკერდზე მუჭებმიხუტებული, უაზროდ, გაუთავებლად იმეორებდა - „შვილო, შვილებო, თქვენი ჭირიმეთ, შვილო...“ დიდი მოხუცი გლეხი კი, ყავისფრად ხელებდალაქული, უმძრახად იჯდა და ხანდახან ძალისძალათი ამბობდა: - მიირთვით, მიირთვით... - და განზე იხედებოდა.

- მივირთმევთ, რატომ არა, - თქვა ბიბომ, - ლხინის სუფრაა, ჭირისა კი არა... ერთი აბა გარეთ გადი, გოგო...

გოგო შეწითლდა, თავი მკვეთრად გაიქნია და ნაწნავები ზურგზე გადაიყარა. კარი როგორც კი მიიხურა, ბიბომ ხნიერ გლეხს მუხლზე დაუკაკუნა თითი და უთხრა:

- ხო მიხვდი, რაზეც მოვედით, ჰა?

- მივხვდი.

- ჰაე, რას არ მიხვდებოდი?! - გაიხარა ბიბომ და ხუმრობის გუნებაზე მოვიდა, - რას არ მიხვდებოდი, შენ იმისთანა ხაარ რომა... - არა, მართლა მიხვდი?

- ჰო.

- ხოდა, შენც კარგად იცი, ამისი მამა ვინც არი... რა სათქმელია, მაგრამ, ხომ ხედავ, რა ძღვენი მოგიტანე - ხარ-კამეჩი გინდაო, ძროხაო, ცხენიო, თხა... რეები არ მოგიტანე, გაიცინე კაცო. რას გაჩუმებულხარ...

- მართლა იმან გამოგატანა?

- რა, საქონელი? არა, მე მოგართმევდი, როგორ არა, დიახ...

- არა, თვითონ იმან გამოგატანა?

- არა, მაგრამა, მითხრა, როგორც წესი და რიგიაო...

- ჰოო, - გულზე მოეშვა გლეხს, - ჰოო...

- კაცო, რა ჰოჰოებს იძახი აქა, შენ ისა თქვი, თანახმა ხარ თუ არა, ჰა?

გლეხს ისევ ღრუბელი ჩამოაწვა.

- მიდი, ჰა! ე რანაირი კაცი ყოფილხარ, ეე...

- ბავშვია ჯერა, - თქვა გლეხმა და თავი ჩაღუნა. ხელები ერთხანს გულზე გადაიჯვარედინა, მაგრამ მერე ჩამოუშვა და გაუბედავი დოინჯი შემოიყარა, ეს დოინჯიც ეუხერხულა და, ბოლოს, მუხლებზე გაუბედავად დაილაგა ხელისგულები. დილიდან საღამომდე დგომასა და მუშაობას შეჩვეული, ახლა უხერხულად იჯდა და იღლებოდა.

- რაო, ბავშვიაო? - შეიცხადა ბიბომ, - რის ბავშვია, აბა, რას ამბობ, ე რა თქვა, ბავშვიაო... ბავშვი არა, ისა! ერთი ეს ბიჭია ბავშვი და მეორე ეგა... აბა, ვნახოთ ერთი, აბა... გოგო! გოგო, ერთი ის ცოცხი მომაწოდე... აბა, ეს არის ბავშვი? რას ამბობ, კაცოუ, რაღა დროის ამისი პატარაობაა, აბა შეხედე... შეხედე კარქათაა. არ მინდა გოგო ე ცოცხი, ისე გითხარი...

შეწითლებულმა გოგომ ცოცხი ფრთხილად მიაყუდა კედელს და მხარი ლოყაზე მიიდო.

- აბა ჰა, ყაბული ხარ? თქვი, შე კაი კაცო, ბედი კარს მოგდგომია და...

- თქვენი ჭირიმეთ, თქვენი ჭირიმე... - იმეორებდა დედაკაცი და ოდნავ შემკრთალ, ღვინით გაამაყებულ და ძალიან გაჭიმულ გვეგვეს წამდაუწუმ თვალით ზომავდა.

- თქვი, ჰა, რას გაჩუმებულხარ... ხომ შეხედე, ჰა, აკი დაუკვირდი...

მაგრამ გლეხს ერთხელაც არ შეუხედავს შვილისათვის, თავდახრილი იჯდა და განზე იყურებოდა.

- ბიჭოს, რა დაგემართა - ენა ჩაყლაპე? თქვი, ჰა, რას გაჩუმებულხარ.

- ეგრე იყოს, - თქვა გლეხმა და მაშინვე ყელში რაღაცამ წაუჭირა, ძლივს გადაყლაპა ნერწყვი და ჩუმად დაამატა:

- ბუნების წესია.

დიდი, ყავისფრად დალაქული ხელები ჰქონდა.

თავი მეოთხე

ეს დომენიკოს ბალღობისდროინდელი თამაში იყო - სადღაციდან დაბრუნება.

როცა მთელი დღე სირბილსა და ორღობეებში ჯოხის ცხენის ჭენებაში გაივლიდა, ანდა ტბიდან მობრუნებული, სველ თმაზე დაუდევრად ჩამოიფხატავდა ქუდს, როცა კოჭლი ყმა მოუხეშავი ხელით ნაზად, მოფერებით ჩამოჰბანდა დაკაწრულ ფეხებს, ექვსი წლის ბიჭი პურის დიდ ლუკმას მოშიებული იტენიდა პირში და უცნაური გარდატეხა შიმშილსაც კი ავიწყებდა - საღამოვდებოდა, ბნელოდა. უეცრად გახევებული, პურით გამოტენილი ლოყებით, გაოგნებული მისჩერებოდა ღამეს - დუმდებოდა სოფელი, ის შეჩვეული, ნაცნობი ხმები აღარ ისმოდა, ლოდი აღარ იყო ლოდი, აღარც ხე იყო ხე, ზვინი ხომ სულ აღარ ჰგავდა ზვინს და მთვარის ფარფატა შუქზე ცვალებად საგნებს დიდხანს შესცქეროდა - დაუნდობელ, უცნაურ ღალატს ჰგავდა ყოველივე ეს. და მაინც, ღამით მშვიდად ეძინა, ხელისგულზე ლოყადადებულს, დილით კი, უთენია, გაბრუებული მოავლებდა ოთახს თვალს და საგანთა ერთგულებას რატომღაც ამპარტავანი სიხარულით ხვდებოდა - ჩვეული საკუთრება იყო დღე. ერთხანს მორიდებით დააბიჯებდა, უეცრად დავიწყებული სიზმრით მაინც შეფიქრიანებული და დაშინებული, მერე კი, მაღლა რომ ამოიწვერებოდა მზე, ტყისპირისაკენ გარბოდა და რომელიმე ხეს მთელი იმ თავისი გამოგონილი სიმამაცით უქნევდა ჯოხს. აცოცდებოდა გრილ ხეზე და მაღლიდან სხვაგვარი ეჩვენებოდა სოფელი: ტბასთან ჩარბოდა და დიდი ლოდიდან ხელებგაშლილი ხტებოდა ბალახზე, იქამდე ხტუნავდა, სანამ ძალიან არ მოსწყინდებოდა და მერე, აუხსნელი სევდით შეპყრობილი, დაძაბული, პირაღმა წვებოდა მიწაზე და დიდხანს იწვა, გულაძგერებული და მომლოდინე - ვითომ მოკვდა, თვალებდახუჭული, რაღაც უცხოსა და ამოუცნობს სიამოვნებანარევი შიშით დაეძებდა გატრუნულ ხელებში, ფეხებში, მხრებზე. მერე წამოხტებოდა და ხტუნვა-ხტუნვით გარბოდა ტბისაკენ, წყალს აშხეფებდა, ჭყუმპალაობდა. შინ მიბრუნებული, ფერდებზე შერჩენილი სიგრილით, ღობეზე მოკლე თოკით მიბმულ ცხვარს, რომელიც ჯიუტად არიდებდა მზერას, შეაცქერდებოდა და მერე, მოწყენილი, კამკამაქერქიან ხეს ახედავდა და, გახალისებული, წამსვე კენწეროზე მოექცეოდა - ტყეუპ ბალს ყუნწი ჰქონდა, საფეთქელზე და ყურსუკან გრილ მარცვლებს გრძნობდა და ამ ტკბილი საყურეებით, უცნაურად გაჭიმული, ისევ ამაყად დასცქეროდა მაღლიდან სოფელს. მიწაზე დამხტარს, ისევ ერთგული საგნები ხვდებოდა და, გულდამშვიდებული, არხეინად დააბიჯებდა სოფლად და მერე... საღამოვდებოდა. ისევ ის გატრუნული, ჩაშავებული ჩრდილები, ხანდახან ავად რომ შეირხეოდნენ... ისევ ის სიჩუმე, ჭრიჭინათი სუსტად გაბზარული... ვიღაცის უხილავი თვალი, კეფაზე

ჯიუტად მიბჯენილი და სხეულში ჟღრიალით დარწეული სუსხი... ლოგინის სიგრილე, მერე ბეჭებზე სითბო. ვიღაც შავი, დიდთითება, ზანტი მუქარით მომავალი, ბედისწერასავით აურიდებელი, ჯიუტი მადევარა... და მერე ისევ დილა, მზიანი და ნათელი, გამჭვირვალე. მხარზე თოხგადებული გლეხები, კოჭლი ყმა, დიდი ცოცხით ხელში... და შუადღით სოფლის განაპირას მოწყენით მზირალი ექვსი წლის ბიჭი, დომენიკო... იმ ერთ შუადღეს კი, გასაოცრად, თითქოს ღამე იყო - ისევ ის მკრთალი, შუქი, ისევ ის ჩრდილები, იდუმალი ზვინი, ჭრიჭინობელა, ჩაშავებული მთა და - სულ სხვა დომენიკო, თვალებგაფართოებული, დაძაბული, აღზევებული, ტყისპირიდან სოფლისაკენ გოროზი ღრუბლები ფთილად დაძრული - ვითომ შინ ბრუნდება, ბრუნდება დიდი განშორების შემდეგ... ნაბიჯი - მძიმე, შებოჭილი და მაინც გასაქცევად გამზადებული... ვითომ ტანსაცმელშემოფლეთილია, გაძარცული და დამცირებული, ყველასაგან მიტოვებული, დასისხლიანებული, ვითომ ბრუნდება, ბრუნდება დიდი განშორების შემდეგ და ხეებს ებღაუჭება, მუხლი ეკეცება, მოდის, მაინც მოდის...

ეს დომენიკოს ბალღობისდროინდელი თამაში იყო - სადღაციდან დაბრუნება.

* * *

- შენ იმასთან გაიქეცი, რა ჯანდაბა ჰქვია... დაბალი როა, დაფეხვილი.

- ჰო.

- ხოდა უთხარი, ოცი ჭედილა გამოგატანოს, მთელი სოფელი უნდა გაგაძღოთ, თქვენი გაჩენის საათი... წადი, ჰა! ბიჭო, შენ კიდევ ის ხარები მოიყვანე, გაიგე? ეს არ ეყოფა... წადი, არა - დაიცა, დაიცა, რაღაცა უნდა მეთქვა... ჰო, შენ არა, ეე! მოდი აქა, აი, ეს სალესი, და ეს დანები ისეთი ბასრი გახადე, ისეთი, ბნელში ბრწყინავდეს, თორემ მე ვიცი შენი ბრალი, სულ კამკამი გაჰქონდეს... მთვარესავითა.

- მთვარესავითა?!

- რაო? რა ენა გადმოგიგდია, წადი და გალესე, თორემ... სუ შენთან სალაპარაკოდ მცალია, აი... ბიჭოუ! წყალი მოზიდეთ კოკებითა, იმდენი იყოს, ტბასავითა, გაიგეთ?... შენ კიდე, გაიქე და აიმ ქვებთან ისეთი ცეცხლი გააჩაღე, ცასა სწვდებოდეს.

- ცასა?

- ვაჰ! რაღა დღეს ალაპარაკდით, თქვე ოხრის შვილებო, მუქთა ქორწილი უნდა ჭამოთ და კიდე რა გულზე არიან, ამათი... ქალო! წაიყვა შენი ჯამაათი და ჯამ-ჭურჭელი ისე

გააკრიალეთ, შიგ თქვენი მახინჯი თავები დაინახოთ... შენა, ბიჭო, წაიღე ის ჩვრები, ხო იცი საცა დევს და ოთახები ისე დარეცხე, ისე, თაგვს ფეხი დაუცდეს... იცოდე, ამოვალ და ვნახავ. კიდე რაღაცა მავიწყდება... ჯერ შენ მოდი აქა! გამოადგი ფეხი, აჰა, ეს გამომართვი.

- რად მინდა.

- რათა და იმათ! აჰა, ეს დანა და ძროხები დაკალი.

- ვერ დავკლავ.

- რაო?

- ვერ დავკლავ, - ჯიუტად გაიმეორა კოჭლმა.

- დაკალი-მეთქი!

- ვერა.

- მაშ ვერ დაკლავ, არა?

- ჰო.

- ჰოდა დაკალი, აჰა, გამომართვი.

- არა-მეთქი.

- აბა ჰო რომ თქვი?

- ჰო, ვერ დავკლავ-მეთქი, ეგ რა ჰოა.

- ჰოა თუ ბოა, მოკიდე ამ დანას ხელი და დაკალი, თორე...

- ვერა.

- ვის ეუბნები შენ ვერასა, ჰა? ვის ეუბნები, შენა იცი, ეს საქმე ვინ დამავალა?

- ვინა.

- ვინა და, გვეგვეს მა-მა-მაა. თავისი პირით მითხრა, მე არ ჩავერევი, შენზედ იყოს ქორწილის საქმეო.

- ისიც გითხრა, რომ ძროხები მე დავკლა?

- მამა გიცხონდა, მაგდენ ლაპარაკს დამიწყებდა.

- ჰოდა, არ დავკლავ.

- არ დავკლავო? - შეიცხადა პირველმა ყმამ, - როგორ თუ არ დაკლავ, შე დაბრეცილო, ხორცს ხო კარგად მიირთმევ, შე...

- რას მივირთმევ, დიდი-დიდი თვეში ორჯერა ვჭამო. შენსავით კი არა ვარ.

- რაო? დაიცა ერთი, დაიცა, რაებს მიბედავს, ის სახრე რა იქნა, რა იქნა, - მიწაზე დაიხედა და, თავი რომ ასწია, უცებ სახე გაებადრა, - ვაჰ სიძე, ამას ვის ვხედავ, რას ჩაფიქრებულხარ ბიჭო?

- ბიჭოს მოგცემ მე შენა...

- იჰ, ბიჭი ხარ, მა რა ხარ, საქორწილო, მშვენიერი... იცოდე, გვეგვე, კარგა დაისვენე, მოისვენე, მძიმე რამე არ ასწიო. წელი არ აიტკივო, თორე, ხო იცი, დასვენება გინდა, შე ცუღლუტო, შენა... ვახ! - და ყბაზე იტაცა ხელი, - რა დაგემართა, შე კაი კაცო, შენთვის ამდენსა ვწვალობ და ხუმრობა აღარ შეიძლება? არა, ეს რა მაგარი ხელი გქონია, სიძე, ჰა? - მოფერებაზე გადავიდა პირველი ყმა და მერე, ეტყობა, სილა მაინც ემწარა და ჩაილაპარაკა... - რა არი კაცო,რასა ჰგამს ესა...

- მე ვიცი, რასაცა ჰგავს, - თქვა გვეგვემ და მუქარით შეხედა, - კიდე ხო არ მოგინდა.

- არა, არა, რათ მინდა, ერთხელ ხო ვიხუმრეთ, - გული გაიკეთა ბიბომ, - ერთხელ ხომ უკვე ვიხუმრეთ და მთელი დღე რომ ვიხუმარაოთ, ამდენ საქმეს ჩემს მეტი ვინ აუვა, ჰა? არა, გვეგვე?

- ჰო, ჰო.

- რაღაცა მინდოდა და... - თითი შუბლზე მიიდო პირველმა ყმამ, - უი, ჰო, - პური, მართლა. პური არ მავიწყდებოდა? წადი მაშინ შენა, შე მეორე ფეხმოსამტვრევო და თონე გაახურე, პურის გამოცხობა ხომ მაინც იცი...

- ვიცი.

- ხოდა, წადი, ეგ საქმე მაინც გააკეთე, შე ამოსაგდებო... პური მაინც ყოველთვის ხომ საჭიროა, ჰა? - დაფიქრდა პირველი ყმა და მაშინვე გამოერკვა, - ბიჭო! მოდი აქ, შე ოხერ-ტიალო და აჰა, ეს დანები და...

* * *

...ის ზევით იდგა და ნიშნისგებით მომღიმარი თვალს არ მაცილებდა, სხვები კუშტად დამცქეროდნენ. ასე დაუნდობლად გამომწყვდეული, უიარაღოდ, ლოდებსაც კი ვეჯაჯგურებოდი, მაგრამ ძალა აღარ შემწევდა. შავები ეცვათ, მდუმარედ დამყურებდნენ, მერე გლუვ კედელზე აფოფხებაც ვცადე, მაგრამ ამაოდ. ის კი თანდათან მიახლოვდებოდა, დინჯად, რწევით, კვამლი სახეში მცემდა, თვალები მეწვოდა, ტანსაცმელზე ცეცხლი წამეკიდა, შემოვიფლითე და გამწარებულმა ვესროლე იმათ, ზემოდან უხმოდ რომ დამცქეროდნენ, მაგრამ ვერ მივაწვდინე, რაღა თქმა უნდა. ის ისევ მოიწევდა, გულგრილი, დაჯერებული და გინდაც იმისი რისხვა როგორმე ამეცდინა, და იმ სლიპ კედელზე ავცოცებულიყავ, ზევით მაინც ბევრნი იდგნენ, გახევებულნი, მდუმარენი, შავ წრედ შეკრულნი, და იმედი რომ გადამიწყდა, ოფლად გაღვრილი, მისავათებული, ზურგით ავეკარ იმ წყეულ კედელს და... როგორ გგონია შეიძლებოდა ჩემი გადარჩენა?

- დიახ.

- საიდან, როგორ... დაიბნა ლტოლეილი, - ყურს არ მიგდებდი?

- როგორ არა.

- და შეიძლებაო, ამბობ?

- დიახ.

- როგორ, მაინც როგორ? - ეწყინა ლტოლვილს, - როგორ!

- ახლა აქა ხართ.

ლტოლვილი შეკრთა და გაოცებული მიაჩერდა. დიდხანს უყურა, მერე სახეზე აიფარა ხელები. დაფიქრებულმა, თვალები მოიფშვნიტა, თავი ჩარგო, მიწას დააცქერდა, ფეხზე წამოდგა, გაიარ-გამოიარა, ხიდან ფოთოლი მოწყვიტა და ზედ არც დაუხედავს, ისე გაწიწკნა, დომენიკოს მიუბრუნდა და, აღელვებულმა, რაღაცას მიმხვდარმა, ჰკითხა:

- ახლა აქა ვარ... არა?

- დიახ, - მხრები აიჩეჩა დომენიკომ.

- და ამიტომაც გადავრჩებოდი, არა?

- დიახ... რა ვიცი.

- ახლა აქა ვარ... - ჩუმად გაიმეორა ლტოლვილმა, ცას ახედა. თვალი მოავლო ტყეს, სოფელს, ვენახსაც გადახედა და ისევ მძიმედ ჩაილაპარაკა: „ახლა აქა ვარ, აქ ვარ... და იმიტომ....“ მერე დომენიკოს შეხედა და, მადლიერი, დიდხანს შესცქეროდა. დომენიკოს ეხამუშა და თვალი აარიდა. მკაფიოდ ჩანდა სახლი, ეზოში ვიღაცეები დაფუსფუსებდნენ, შორს, სახლს გადაღმა, ფერდობზე, ძროხები ბალახობდნენ. უფრო იქით კი, ბორცვზე, კოშკი მოჩანდა. ძერა ტივტივებდა ჰაერში, უხილავ წრეს ავლებდა სოფლის თავზე, ფრთაგაშლილი, ჰაერზე გულით დაწოლილი... მხარზე აცახცახებული თითები იგრძნო დომენიკომ, შემკრთალმა ახედა.

- მე მგონი მივხედი, დომენიკო, - ეუბნებოდა აფორიაქებული ლტოლვილი, - მე მგონი რაღაცას მივხვდი... ჯერ უნდა ვიფიქრო, დრო უნდა გავიდეს, საბოლოოდ რომ დავიჯერო, მაგრამ მაინც მგონია, რომ უკვე მივხვდი, ეს შენ, შენ მიმახვედრე, დომენიკო, უცაბედად....

- რას მიგახვედრეთ? - შეაცქერდა დომენიკო და გაუკვირდა, რადგან ლტოლვილმა ხეს მიაყრდნო შუბლი და ასე იდგა, ხელებჩამოყრილი, წინგადახრილი და ხეს შუბლით მიყუდებული, - რას მიხვდით?

- ჯერ უნდა ვიფიქრო, დომენიკო, რაღაც-რაღაცეები გავიხსენო და მერე... - მერე ყველაფერს გეტყვი, - ამბობდა ლტოლვილი, - ჯერ უნდა ვიფიქრო...

შორს, ორღობეში, პატარა ბიჭს კოკა მიჰქონდა. გადაღრეცილი, დაძაბული, ჩქარ-ჩქარა ადგამდა ფეხს და მერე კოკა ძირს დადგა, ისვენებდა. ფერდობზე ისევ ბალახობდნენ ძროხები, შორიდან ყრუ, მოგუდული კაკუნი ისმოდა - ვიღაცა ხეს ჭრიდა ტყეში.

- ლამაზ-ქალაქში... - ჩუმად თქვა დომენიკომ, - მდინარე არის?

- რა? მდინარე, მდინარე... - უგულოდ გაიმეორა ლტოლვილმა, ისევ თავისას ფიქრობდა, - მდინარე... კი, არის, ჭალასთან, ქალაქის განაპირას.

- იქაურებმა... ცურვა იციან?

- ცურვა? რა ვიცი. ზოგმა ჰო, ზოგმა არა.

დომენიკომ კიდევ დააპირა რაღაცის კითხვა, მაგრამ ვერ გაბედა; ისევ სოფელს დააცქერდა უნებურად და პატარა ბიჭი კოკას დასწვდა, დაიძაბა, მიწას ააცილა და ისევ გადაბრეცილმა წაიღო. თავისუფალი ხელი ჭიშკარს ჰკრა, შეაღო და ეზოში დადგა თუ არა, „ლამაზ-ქალაქში, - იკითხა დომენიკომ, - როგორი სახლებია...“

- სახლები როგორია? დიდი, ორსართულიანი... სამსართულიანიც კია, ერთი... ესე იგი, ახლა აქა ვარ, არა?

- დიახ... სამსართულიანი?

- ჰო... და ამიტომაც უნდა გადავრჩენილიყავ, არა?

- რა ვიცი. სამსართულიანი სახლი რად უნდათ.

- რატომ არ უნდათ... ბაღებიც აქვთ და ყველაფერი.

- რა მოჰყავთ?

- სადა?

- ბაღში.

- ბაღში? არაფერი.

- როგორ - არაფერი...

- იჰ, ისეთი ბაღები კი არა აქვთ, შენ რომ გგონია, - ლამაზ ხეებს რგავენ, გრძელი მერხები დგას, ცისფრად შეღებილი, ბუჩქები, პატარ-პატარა შადრევნები.

- რა?

- შადრევნები. აუზში თევზები დაცურავენ, ბაღში ქალები გამოდიან და ჩანგზე უკრავენ, მღერიან...

- ლამაზ-ქალაქში... - დაიწყო დომენიკომ, თვალი აარიდა და შეისუნთქა, - ქალები არიან?

- ჰეე, რამდენიც გინდა - ყრიან... - და ლტოლვილი რომ ჩაფიქრდა, დომენიკოს ეგონა, რომ ისიც ანასთანა ქალებზე ფიქრობდა, მაგრამ ლტოლვილმა უცებ მუხლზე ღონივრად დაირტყა ხელი და წამოდგა:

- მე მივხვდი, მივხვდი, - ამბობდა სახეარეული ლტოლვილი, - შენ მიამიტად თქვი, მაგრამ მე მაინც მივხვდი, რატომ არ დამგესლა გველმა, იმდენი შუბი და ისარი რატომ ამცდა, მეკობრეებმა გემზე რად ამიყვანეს და ლომს რომ მოვერიე, იმასაც მივხვდი, დომენიკო, ხანდახან ვხვდები, ყველაფერს ვხვდები და მერე ისევ დამავიწყდება, მაგრამ ახლა, აი ახლა, ვიცი, მერწმუნე, რამ გადამარჩინა...

- რამ...

- რამ და აი, აქ უნდა ვყოფილიყავი, აქ, სოფელში უნდა ამოვსულიყავ, ჰეე, დომენიკო, ეგებ ვერც გამიგო, მაგრამ აქ უნდა ვყოფილიყავ, აი, აქ უნდა დამებიჯებინა, აქაც, აქაც... - ბალახს ტკეპნიდა ლტოლვილი - შენთან უნდა მესაუბრა, აუცილებლად უნდა მესაუბრა, მამაშენი უნდა მენახა, აი, აქ უნდა დამებჯინა თითი, - დაიხარა ლტოლვილი და უცებ ბალახზე გაიშოტა. - აი, აქ უნდა წამოვწოლილიყავი, მერე ისევ უნდა ავმდგარიყავი, მე ვიცი, დომენიკო, ყველაფერი ვიცი, მაგრამ ისიც ვიცი, ახლა რომ უნდა წავიდე და გაგეცალოთ, გული ასე მიგრძნობს, უნდა წავიდე, ესეც კარგად ვიცი, ესეც...

- სად უნდა წახვიდეთ... - შეკრთა დომენიკო, - სად უნდა წახვიდეთ, დღეს ქორწილია.

- სადმე... სადმე წავალ. აი აქ, სამი ბილიკია... ცუდად არ გამიგო, მე ისე მადლობელი ვარ თქვენი, მაგრამ ახლავე უნდა წავიდე, მარჯვნივ რომ მიდის, იმ ბილიკს გავყვები, შენ კი, ვინმე უცხომ რომ გკითხოს საით წავედი, მარცხენას დაადგა-თქო, ხომ გესმის, დომენიკო, მარცხნივ-მეთქი, მე კი მარჯვნივ წავალ...

- ლამაზ-ქალაქში მიდიხართ, არა?

- აჰ, არა, არა, ლამაზ-ქალაქში არ მიმესვლება, ბევრი ხალხია... გაიგე, როგორ უნდა უპასუხო, ვინმემ რომ...

- კი. და ლამაზ-ქალაქში რომელი გზა მიდის...

- აი იქითა, კოშკს უკან როა... ჩემი ბილიკი არ აგერიოს!

- არა. და ის ბილიკი რომ გათავდეს, მერე?

- მერე სულ დაღმართში უნდა იარო, სულ დაბლა და დაბლა. ბორცვი თუ შეგხვდეს, არა უშავს რა, გადაიარე, ოღონდ მერე ისევ დაბლა, ქვემოთ უნდა ჩაუყვე და დიდ შარაგზას რომ დაადგები, იკითხე და ყველა გასწავლის.

- ვის ვკითხო... არავინ რომ არ შემხვდეს?

- მაგის დარდი ნუ გექნება - დიდ შარაგზაზე მუდამ დადიან.

- ვინ?

- რა ვიცი, ვინ, - გაღიზიანდა ლტოლვილი, - არეული ხალხი... ჰეე, ორი დრაჰკანი რომ მომცა...

- მოგიტანთ, - აფორიაქდა დომენიკო - დაიცადეთ და მოგიტანთ...

- არა, არა, ახლა უნდა წავიდე, ახლა... მარცხნივ-თქო, დომენიკო, ხომ გაიგე, - აბა, როგორ ეტყვი?

- მარცხნივ წავიდა-მეთქი.

- ოო, ეგრე, ეგრე, კარგია... წადი ახლა და გიყურებ, წადი.

- სად.

- რა ვიცი, სადაც გინდა... შინ დაბრუნდი, ხომ ქორწილია, შინ წადი, გიყურო მინდა.

- ნახვამდის.

- კარგად იყავი, დომენიკო, ისე მადლობელი ვარ თქვენი, წადი, წადი. ხომ არ მოიხედავ...

- არ მოვიხედო?

- არა.

- კარგით, მივდივარ...

ლტოლვილი ხეს ამოეფარა და განაბული, აცახცახებული, იქამდე უყურებდა დომენიკოს, სანამ თვალს არ მიეფარა, მერე ცოტა ხანს ისევ შეიცადა, შემდეგ კი სამი ბილიკის გასაყარს მიუახლოვდა და, შუათანა ბილიკს, პირდაპირ რომ მიდიოდა, აჩქარებული გაუყვა...

ლტოლვილი წავიდა.

დომენიკო შეჩერდა. უკან მიიხედა, არავინ ჩანდა. ბორცვის თავზე მდგარი ხე სუსტ ნიავზე იშმუშნებოდა. მიტრიალდა და სოფლისაკენ ნაბიჯი გადადგა თუ არა, შორიდან ყვირილი მოესმა. ყური მიუგდო, თითქოს იმისი სახლიდან ისმოდა. ჰო, მართლა, ქორწილი იყო... „მოდიან, მოდიან“, ყვიროდა ბიბო და გლეხებიც, მორცხვად ატუზულნი, ბიბოს ნიშანზე ჩუმად, მორიდებულად იმეორებდნენ - „მოდიან, მოდიან...“ ეს გვეგვე შემოდიოდა ეზოში, თავისი სახეალეწილი პატარძლით, ბიბომ ისკუპა და ყანწი ღვინით გაავსო, გვეგვეს მიაწოდა. იმანაც ერთი მიიხედ-მოიხედა და პირზე მიიყუდა. „გაუმარჯოს, გაამოს, გაგიმარჯოთ“, აყვირდა ბიბო, გლეხებმაც ჩუმად გაიმეორეს - „გაუმარჯოოს...“ მერე ახალგაზრდა ყმებმა შეფოთლილი ტოტები გადააჯვარედინეს, სუსტად ეხლებოდა ტოტები ერთმანეთს და ამ აცახცახებული

ფოთლების ქვეშ, მწკრივში, გვეგვემ და თავჩაღუნულმა პატარძალმა გაიარეს. ერთი სიმაღლისანი იყვნენ, ოღონდ გვეგვე, მსხვილი და ჩასკვნილი, უფრო დაბალი და ღონიერი ჩანდა. მწკრივიდან რომ გამოვიდნენ, ბიბომ თიხის უზარმაზარი გობი მაღლა ასწია, თვალები დახუჭა და გამწარებულმა ისე დაანარცხა ლოდს, ნაღდად რომ გატეხილიყო. მერე კი, იქვე მიმოფანტული ნატეხების დანახვაზე, გვეგვეს შესცინა და უთხრა: - თქვენი ჭირი წაეღოს, სულ იმხიარულეთ და იბედნიერეთ... - და უცებ შესძახა. - ჰოუ!

ხის დაბალი, გრძელი მაგიდები ეზოში გაეშალათ. ყველანი სამფეხა სკამებზე დასხდნენ. პატარა ბიჭები დოქებიანად გარბი-გამორბოდნენ, ბიბოს დიდი ჯამი შეუვსეს და იმანაც გრძელი სადღეგრძელო თქვა, ენაწყლიანობდა - დღეგრძელობა, მზეგრძელობა, რამდენი წვეთიცაა... - ამისთანაებს იძახდა. გლეხებიც რიგრიგობით ფეხზე დგებოდნენ, მხოლოდ „გაგიმარჯოთ“-ს ამბობდნენ, ფრთხილად სვამდნენ, ღვინო გულისპირზე რომ არ ჩამოღვროდათ. ჯერ იყო და, მხოლოდ პურს ილუკმებოდნენ, მერე მწვანილიც მიაყოლეს, სამი ჯამი რომ გამოცალეს, სუფრას მოავლეს თვალი, რომელიღაცა მოხარშულ ხორცს დასწვდა, მეორეც დასწვდა და მარილშიაც ჩააწო, კიდევ შესვეს და მოშიებულებმა, შემწვარი ქათმები შუაზე გაგლიჯეს, ღონიერი ყბებით კბეჩდნენ, იღეჭებოდნენ, ძვლები გამოხრეს. ვიღაცამ იხუმრა კიდეც, შრიალა სიცილმა გადაუარა სუფრას, „მიდით, მიდით“, იძახდა ბიბო. მერე იმ სამმა გლეხმა სიმღერა თქვა: „შენი ქება შემომესმა...“ კიდევ შესვეს, უფრო მოზრდილი ჯამით და ბიბომ ტუჩები იდაყვით შეიმშრალა თუ არა, მაშინვე აყვირდა - „აკოცონ, ერთმანეთს აკოცონ...“ „აკოცონ“, გაიმეორა ყმამ, საოცრად გაბანჯგვლული სახით, მხოლოდ თვალები მოუჩანდა და, ეტყობა, გაიღიმა, რადგან შუქი ჩაუდგა თვალებში და ისე კარგად შეიცვალა: მერე ცალთვალა გლეხს მხარზე დაჰკრა ხელი - „აკოცონ, არა?“ „ჰო, ჰო“, თავი დაუქნია იმანაც, ყველა გამოცოცხლდა, გამხიარულდნენ, მხოლოდ სუფრის კუთხეში პატარძლის მამა იჯდა მოწყენილი, თავჩაქინდრული - დიდი, სევდიანი გლეხი. ვიღაცა კი ისეთი გამყინავი ხმით გაიძახოდა: - „აკოცონ, აკოცოონ...“ პატარძალი, ეტყობა, თანახმა იყო, დამორცხვებულს, გვერდზე გადაეხარა თავი და მორჩილად იცდიდა, გვეგვე კი, ერთხანს დაბნეული, გამოერკვა და ბიბოს თვალები დაუბრიალა, იმანაც დიდხანს აღარ აცქერინა, ხელისგული გაიშვირა და გლეხებს შეუძახა: „გაჩუმდით, თქვე... აბა, ცეკვა!“ შავტუხა ყმამ იღლიაში გამოიმწყვდია დოლი და ერთი ხელი ღონივრად დასცხო, მეორე კი თანაბრად, გამოზომილად. მკვეთრმა, გუგუნა ხმამ კიდევ უფრო აუბორგა სისხლი შემთვრალ გლეხებს, ვიღაცა დედაკაცმა სულ გოგმანით დაუარა ეზოს და მერე, ახმახი ყმა საცეკვაოდ რომ გადმოხტა, წინსაფრის ბოლოთი შეიმშრალა თვალის უპეები და განზე მიდგა. პატარა ხანში ყველა ცეკვავდა - ბუქნავდნენ,

ხტოდნენ, ზოგი ძალიან ამაყად ირჯებოდა, სხვები დაუდევრად, მოფლაშულები ცეკვავდნენ, ფართო ნაბიჯით, გულიანად უღიმოდნენ ერთმანეთს, ორი ყველაზე კარგი მოცეკვავე კი, ქამარში ცერებჩაწყობილი, მხრებს დინჯად ათამაშებდა, დინჯადვე დგებოდნენ ფეხის წვერებზე და ამასთანავე ერთმანეთს მკაცრად ადევნებდნენ თვალს, ცალთვალა გლეხი გაღიმებული უკრავდა ტაშს და ყველა გამხიარულდა, როცა პატარძლის მამა ძალისძალათი წამოაყენეს და საცეკვაოდ გაიწვიეს. გვეგვე გაამაყდა, პატარძალმა ისევ ჩაღუნა თავი, დიდმა გლეხმა კი უნდილად გაშალა ხელები, ერთი-ორჯერ ადგილზე უხერხულად შეითამაშა და მერე ისევ თავის სკამზე დაჯდა, უფრო მოწყენილი. „კარგია, გეყოფათ, - დაიძახა ბიბომ და ჯამი ასწია, - კიდევ დავლიოთ...“ აქლოშინებული გლეხები სკამებზე დასხდნენ, ქალებმაც თავიანთ სუფრას მიაშურეს, ერთბაშად შემწყდარი დოლის ხმა აღარ ისმოდა და გლეხებმა წეღანდელი ცეკვა-თამაშისათვის ცოტათი დაირცხვინეს. „ეს გაუმარჯოს...“ წამოიწყო ბიბომ.

დომენიკო უახლოვდებოდა ეზოს. სულ სხვა დომენიკო - თვალებგაფართოებული, დაძაბული, აღზევებული - ვითომ ბრუნდება, ბრუნდება დიდი განშორების შემდეგ. აი, სახლიც, ეზო, ჭიშკარი, ვიღაცეები ცეკვავდნენ - იცეკვონ! ვერ ამჩნევენ - ნუ ამჩნევენ. კიბეზე ადის, სისხლში ამოთხვრილი, გაწამებული, მოაჯირს ებღაუჭება, ცოტაც, ცოტაღა დარჩა, კარს აღებს...

ქვით ნაგებ, დაგუდულ შენობაში მამა იდგა, კედელს მიყრდნობილი, პატარა ხანს დომენიკოსათვის იყო სიჩუმე, მხოლოდ სიჩუმე და კვარის სუსტი ალის რწევა, მერე კი, შემცბარმა, ფეხზე დაიხედა და საკინძე შეიბნია...

- სად იყავ.

- მე? ლტოლვილი წავიდა.

- ეზოში ჩადი, ხალხში დაჯექი. იქ უნდა იყო, ძმაა, სირცხვილია.

ბიბო სადღეგრძელოსთვის მოემზადა და მიმოიხედა, კიბეზე დომენიკო ჩამოდიოდა, არეული, დარცხვენილი, მზის შუქზე თვალებმოჭუტული, კიბეზევე შემოესმა: „ოო, ეს ვინ მოსულაა, მოდი, მოდი, ხომ დალევ...“

ყველანი მისჩერებოდნენ. დომენიკოს ჯამი ემძიმა, პატარძლისაკენ გაიხედა და თქვა: „გაგიმარჯოთ...“ მერე, უნდოდ მომზირალი მოქეიფეების დანახვაზე, ღვინოს დაეწაფა და, ყველას ჯინზე, ბოლომდე შესვა.

- ერთსაც ხომ არ მიირთმევ, - ცბიერად დაეკითხა ბიბო და ყური მიუშვირა, - ჰა?

დომენიკომ შეხედა და ჯამი გაუწოდა.

- ოო, კარგია, კარგი... დაუსხი, ბიჭო!

ყელი დაეძაბა, ძლივს ყლაპავდა. მერე დაუცლელი ჯამი ტუჩებიდან მოიცილა და მაგიდას გამწარებულმა დახედა.

- გეყოფა, გეყოფა, ნუღა დალევ, - უთხრა ბიბომ და სუფრას ამაყად მოავლო თვალი. გლეხები მშვიდად ისხდნენ, მხოლოდ ერთი შესცქეროდა ნაძალადევი ღიმილით პირველ ყმას. დომენიკომ თავი გაიქნია და არ დამჯდარა, ისე დასწვდა პურს, ჩაკბიჩა. მადლი მოეფინა სახეზე, დამშვიდებულმა, ღრმად შეისუნთქა, დინჯად გამოსცალა ჩარჩენილი ღვინო და სასმისი პირქვე გადააბრუნა.

- ოო, ყოჩაღ, - შეაქო ბიბომ, - ესეც გაუმარჯოს...

დომენიკო ვეღარ უსმენდა, ამაყად იჯდა. ღვინის გემო მანამდეც იცოდა, მაგრამ იმოდენა ჯამი პირველად დაცალა. სუფრას დახედა და ერთი ჩვეულებრივი, პატარა ბოლოკი როგორღაც ეუცნაურა. დაიძაბა და ისე დააცქერდა - არა, არა, ჩვეულებრივი ბოლოკი იყო. მერე ხორცი გადაიღო, მოშიებული მიეძალა. მარილისაკენ გადაიხარა, მაგრამ გაწვდილმა ხელმა კინაღამ გადაძლია და სუფრაზე გადაწვა, ძლივს შეიმაგრა თავი. მიმოიხედა, ბიბო რაღაცეებს ამბობდა. ვიღაცამ დოქი წააქცია და ყველა იცინოდა. მესამე ჯამი რომ გამოცალა, ცრემლები მოაწვა, ყელზე ძარღვი დაებერა, მაგრამ ისევ პურმა უშველა. გაკვირვებულმა გაარჩია, რომ ვიღაცა კაცი რატომღაც ხტოდა, ხელებს იქნევდა და ბოლოს მიხვდა - ცეკვავს, ჰო... მაგიდას დაეყრდნო, ვიღაცამ რაღაცა უთხრა, ძლივს ასწია თავი და მიაჩერდა - ჰა? იმან კიდევ უთხრა რაღაც, დომენიკომ უგულოდ ჩაიღიმა და ზურგი შეაქცია. მერე მეოთხე დალია. ბიბო თურმე ორი იყო. ერთი, რომელიც ლაპარაკობდა, და მეორე - რომელიც ზურგს უკან ედგა და პირველს ყოველ მოძრაობას აჯავრებდა. მერე იმღერეს. დომენიკომაც სცადა. კოვზი. ცალთვალა გლეხი ორივე თვალს აფახულებდა, ვიღაცა ბიბოს კი ორი ნიკაპი ჰქონდა. კი, კი, მაგიდა. ძალიან ცხელოდა, ძლიერ. საკინძე ჩამოიგლიჯა, პირი დააღო და ხელით მოინიავა. რას უშველიდა, ვერ უშველა, ძალიან ცხელოდა, გან-სა-კუთ-რებულად! ლტოლვილი წავიდა, წავიდა... მაგრამ არა-უშავს, ჰე! მეორე ბიბოს შორიდან გაუღიმა და მაშინვე თვალები დაეხუჭა - არა, არა, მაშინვე გაახილა. ყოველივე კარგი, დღეგრ... როგორ ცხელოდა! ტყეში გრილა. ტყეში ძალიან გრილა, ძალიან... თუთ! ჭიშკარი ღიაა. აი, ეს არის ქვა. ღობე. თავი მძიმეა, კიდევ ღობე. მწვანე, მწვანე, შეჩერდა. - ბალახი. მწვანე, მწვანე, - შეჩერდა. - ხომ ვთქვი ბალახია. მწვანე, მწვანე...

საღამო ხანს, გლეხები რომ დაიშალნენ, დომენიკო ტყეში პირქვე იწვა და ეძინა.

გლეხები თითო-თითოდ, ორ-ორნი გაიკრიფნენ ეზოდან. არეული ნაბიჯით, ბანცალით გადიოდნენ ჭიშკარში, ხელებგადახვეულნი, პირმობრეცილნი, თვალებს ჭუტავდნენ, ენას ძლივს აბრუნებდნენ, ნიკაპი მკერდზე უვარდებოდათ. ჩაძინებული ახმახი კოჭლმა ყმამ ძლივს წამოაყენა, მხარში შეუდგა და შინისაკენ წაიყვანა. მერე დაღლილი მობრუნდა და გაუკვირდა - გვეგვე და პატარძალი ისევ სუფრასთან ისხდნენ. კაცებიდან მხოლოდ კოჭლი ყმა იყო ფხიზელი და ქალებს სუფრის ალაგებაში მიეშველა, რწევით მიჰქონდა ახოხოლავებული ჯამები და ხის კოვზები. მერე მაგიდაც გაიტანეს; დაღამდა, გვეგვე და პატარძალი, გასუსულები, მაინც ეზოში ისხდნენ. ბნელოდა, ქალები რომ წავიდ-წამოვიდნენ; მერე კარი ჭრიალით გაიღო და პატარა, უკბილო, ტუჩებშეკეცილმა დედაბერმა თავი გამოყო, მოკაუჭებული თითით მოუხმო გვეგვეს. პატარძალიც წამოდგა და მხრებაწურული გვეგვეს მიჰყვა. ოთახში შევიდნენ, ფართო ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. დედაბერმა ღიმილით ახედა პატარძალს, მერე განიერ ტახტთან ჩქარ-ჩქარი, მოკლე ნაბიჯებით მივიდა, საბანი ისე გადმოკეცა, პატარძლისათვის თვალი არ მოუცილებია, ქათქათა ზეწარს ნელა ჩამოაყოლა ყავისფერი, დამჭკნარი ხელი და ფეხაკრეფით გავიდა. სიჩუმე იყო, ხანდახან ცეცხლი თუ გაიტკაცუნებდა. გვეგვე ბუხართან იდგა და კედელზე მისი მძიმე ჩრდილი ხტოდა. პატარძალმა თავი ასწია და ნელა მოიხსნა თეთრი თავსაფარი, თავი ოდნავ გაიქნია და გრძელი თმა ზურგს უკან გადაიყარა. ნაზად მიაჩერდა გვეგვეს, და ის რომ შემობრუნდა, შეცბა და უკან დაიხია - ავად უყურებდა გვეგვე, რაღაცა მტრობა ჩაებუდებინა თვალებში. ბუხრისაკენ ზურგშექცეულს, სახე კარგად არც უჩანდა, მაგრამ ისე მიდიოდა, ისე გაეფარჩხა თითები... თმაგაშლილი პატარძალი ისევ უკან იხევდა, მერე ზურგით, კეფით, წვივებით, ხელისგულებით კედელს აეკრა და დაიძაბა. გვეგვე მიუახლოვდა, და შეშინებულმა ქალმა ჯერ ხელისგულები აიფარა სახეზე, მოიკუნტა, მერე კი თითები გულზე მიიხუტა და დაიძახა: „ჯერ ერთხელ მაკოცე, ჯერ ერთხელ მაინც მაკოცე, გვეგვე...“

მაგრამ გვეგვეს ერთხელაც არ უკოცნია, ისე აისრულა საწადელი.

* * *

ბნელოდა. თავატკივებული წამოჯდა, თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა, გაიზმორა. კისერში რაღაცამ გაიტკაცუნა, და თვალი გაახილა. ბნელოდა, სიგრილე ესიამოვნა და ხელისგულებით ნესტიან, ბალახოვან მიწას დაეყრდნო, თავი უკან გადააგდო, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები სუსტად ფეთქდებოდნენ ცაზე. პირი უშრებოდა, ღრმად შეისუნთქა გრილი ჰაერი, სადღაც იქავე ღელე შრიალებდა. ტუჩებზე აისვა

ენა, ისევ გაიზმორა. ღამის ნიავმა წამოუბერა და მკრთალი ლანდები ოდნავ შეირხა ტყეში, „სადა ვარ...“ ხეზე ჩამოცურებული ჩრდილი... ფეხზე წამოდგა. თითქოს შებარბაცდა, მაგრამ თავი შეიმაგრა და მიმოიხედა, ბნელოდა, ბნელოდა, და მაინც ღამეულ წყვდიადში იმოდენა რამ გატრუნულიყო... თვალები მოისრისა და სიბნელეს ჯიუტად შეაცქერდა - სადღაც ღამის ფრინველმა დაიწივლა. ავად შრიალებდა ღელე. და უცებ დაზრინა - სიჩუმე იდგა. უშველებელი, ერთიანი... სიჩუმეში ყველაფერი იყო - იყო ღელის დუდღუნა ხმა და იყო ნიავი, ფართო და უზარმაზარი, გაუვალ ტყეში მაინც მსუბუქი და მოსხლეტილი გველივით რომ დაძვრებოდა ტოტებსშუა, იყო ქუხილი, ყველაფრის მძლე, მრგვინავი, გამაყრუებელი, იყო მუქარაც, უხმო სიშავედ მხრებს დაწოლილი, მაგრამ ყველაფერზე მეტად ამაზრზენი იყო სიჩუმის გულგრილობა - საზარელი, ამორჩეული არცოდნა.

ხეს მიეყრდნო, ერთხანს ასე იყო, ოდნავ მოღონიერდა თითქოს, მაგრამ უეცრად შეკრთა - ხის უკან ვიღაცა იდგა. ჯიუტად მომლოდინე! ვინ იყო - ვეღარ გაბედა დაენახა, უკან-უკან იხევდა, ფეხისგულებს შიშით ვერ აცილებდა მიწას. ისევ მიჩოჩდა უკან, სხვა ხეს მიეყრდნო, შეტრიალდა და გაშრა - იმ ხის უკანაც იდგა ვიღაც - ყოველი ხის უკან ვიღაცა იდგა!

მომცრო, ჩამუქებული მოლის შუაგულში გავარდა, ხეებისაგან შორს; მაინც ალყაშემორტყმული, წინგადახრილი, ერთიანად ცახცახებდა, მხრები, ხელები, მუხლები უთრთოდა, ყველაზე მეტად კი მორკალულ ხერხემალს ეშინოდა. ჩაშავებული კენწეროებიდან რაღაცეები დასცქეროდნენ, და მძიმედ მოიწევდნენ დაბლა. ვეღარ გაძლო და ადგილს მოსწყდა, ღელისაკენ გაიქცა, წყალში შეტოპა, ფსკერზე თეთრი ქვა გაარჩია, ეამა და სანამ გახარებას მოასწრებდა, გაიხედა და გაშრა - ღელეში ჩაგდებულ ფესვებგაფარჩხულ კუნძზე, თავმომწონე მაჯლაჯუნასავით რომ გაეშვირა ირგვლივ ნაზად დარხეული მახინჯი მკლავები, შიშველი ქალი იჯდა, ქათქათა ტანზე იისფერი გადასდიოდა და თმას ივარცხნიდა, და რაც ყოველივეზე საშიში იყო, თვალებში უყურებდა, საოცრად მკაფიოდ და ბუნდოვნად მოუჩანდა გაღიმებული, ოდნავ განზე მიქცეული ტუჩები და თვალებიდან მომწვანო-მოყვითალო მზერა გაყინული შუქივით უკამკამებდა. გაოგნებულს, ზურგზე ვიღაცამ ჯერ ცივი თითები მსუბუქად დაჰკრა და მაშინვე ფერდებში ისე დაზრინა, თითქოს იმ ვიღაცამვე გაყინული ხელები სტაცა და აყვანა დაუპირა. გაუძალიანდა და ერთხანს დაუსხლტა, მერე კი ის ყინულოვანი თითები უზარმაზარ, თითქოს საკუთარ ნეკნებად გადაექცა და ისე შემოეჭდო, ისე შემოესალტა, ისე ხუთავდა... ნაპირზე ამოხტა, ფეხი დაუსხლტა, კინაღამ წაიქცა, პირველსავე ხეს მივარდა და ჩაეხუტა; აქლოშინებულმა, სიგრილე იგრძნო, ესიამოვნა, უფრო ჩაეხუტა, ფეხებიც

შემოხვია, გრილოდა, უფრო აგრილდა, შესცივდა და უკან გახტა - ვიღაც ისევ იდგა... ყოველი ხის უკან ვიღაცა იდგა! ისევ მოლის შუაგულში გავარდა, და მაინც იქვე შორიახლოს, ირგვლივ, რაღაც საზარელი ამოდიოდა, მოდიოდა, იზრდებოდა, ხეებს მიეყრდნო, მიეძალა, გაფართოვდა, გაიბერა, შეიკრა, ამოიზარდა, ეს შიში იყო - ღამის ყვავილი. მუხლებზე დაეცა, გადაიხარა, სახე ბალახში ჩარგო, ფეხები გაშალა და პირქვე გაწვა თუ არა, ბალახი გამწარებულმა მოგლიჯა, მერე ნედლ მიწაში ჩაასო თითები, ღონივრად მოფხოჭნა და შორს მოისროლა, მიწას გახელებული თხრიდა, ორმოში ჩამალვა უნდოდა, მერე თავი ასწია - შორიდან, ტყიდან მისკენ სინათლე მოირწეოდა.

„ის მოდის, მოდის...“ გამწარებული, ლოყით გაეხახუნა მიწას, ისევ გამალებული თხრიდა, მერე გაიხედა და უფრო ახლოს დაინახა სინათლე - „მოდის... ის მოდის...“ ვინ ის, არ იცოდა, მანამდე არნახული, საზარელი რამ არსება ალბათ, „მოდის, ის მოდის!“ პირქვე განერთხო და თავზე ხელები შემოიხვია, ახლა ყველაზე მეტად კეფას ეშინოდა. „მოდის, მოვიდა, ისიც მოვიდა...“ ხელები ჩამოუვარდა და მთელმა სხეულმა შეწყვიტა ცახცახი, მკვეთრად ჩაესმა ნაბიჯები, დამძიმებული, პირქვე იწვა სასტიკი, გამათავებელი დარტყმის მოლოდინში და ეს მოლოდინიც გაქრა, მიილია ერთხანს, მერე მაინც შიში დაეხმარა და ისევ იგრძნო კეფა, კვლავ ბურანი ჩამოაწვა და მიდიოდა, დნებოდა, უმწეოდ მივარდნილი სხეული აჩიჩქნილ მიწაზე რჩებოდა, თვითონ კი სადღაც შორს, ძალიან შორს მიდიოდა... ტკბილი იყო ეს წასვლა და შვების მომგვრელი, მაგრამ მაინც გონს მოეგო და შიშმა ისევ რკინად უქცია სხეული, რომელზედაც ორად-ორი სიტყვა ჟრიალით გადასდიოდა, „მოვიდა, მოვიდა, ისიც მოვიდა...“ თავის აწევა უნდოდა და ვერა ბედავდა, ისევ პირქვე იწვა... იგი კი მართლა მოვიდა, თავს დაადგა და ასე თქვა:

- მე ვარ, დომენიკო.

მამა იყო.

- გეძინა მეგონა, - უთხრა მამამ, - ადექი, წავიდეთ.

დომენიკო თავჩაქინდრული იჯდა. მერე ახედა, ხელისგულებს დაეყრდნო და ძლივს აითრია წელი.

- დაიღალე, დომენიკო? - ჰკითხა მამამ, კვარი მიანათა და სახიდან მიწის ნამცეცი მოაშორა, - ეგება აქ დავრჩეთ?

- არა, წავიდეთ...

- სად გინდა, სოფლად?

- ჰო.

- არა, აქ დავრჩეთ, - თქვა მამამ. ხელი დაიქნია და კვარი ჩააქრო, - გათენებამდე.

თეთრი ნაბადი გაშალა, ორთავეს ეყო. პირაღმა იწვნენ, დომენიკო ხეთა კენწეროებს შესცქეროდა. მერე განზე, ღელისაკენ გააპარა მზერა - არა, არაფერი... აღარ ეშინოდა.

მაინც ბნელოდა...

მამა გულაღმა იწვა, მშვიდი, თანაბარი სუნთქვა ესმოდა დომენიკოს.

ღამე ბაცდებოდა; გვერდი იცვალა და მამას ზურგი შეაქცია.

კარგა ხანს იწვა, მერე მკრთალად ჩაესმა:

- გძინავს, დომენიკო?

- არა.

მოერიდა და ისევ გულაღმა გადმოტრიალდა, ხელებს ადგილი ვერ მოუძებნა, მერე უხერხულად დაილაგა მუცელზე. მამა ჩუმად იყო, იწვა.

- შენ... მდიდარი ხარ? - ხმადაბლა ჰკითხა დომენიკომ.

- კი.

- ძალიან?

- ხომ არა გცივა, დომენიკო?

- ა?... არა.

დაბზარული ღამე ჩუმად ჟრიალებდა და ლურჯ, დაბუჟებულ ნამცეცებად იბნეოდა ჰაერში, - თენდებოდა.

- შენც მდიდარი ხარ, დომენიკო, - თქვა მამამ. ისევ გულაღმა იწვა, - ჩემი სამკვიდრებლის ნახევარი შენია.

- ჩემი?

- შენია, შვილი ხარ.

- და... დანარჩენი...

- გვეგვესი.

- ნახევარი... მე და დანარჩენი გვეგვესი?

- ჰო.

- და შენი? - გაოცდა დომენიკო, - შენი რაღაა.

- ჩემი - ორივე ნახევარია.

- ორი სამკვიდრებელი გაქვს?

- არა, ერთი.

- მაშინ... როგორღა, მაშინ...

- რაც ჩემია, - თქვა მამამ და შეხედა, - ის თქვენია, და თქვენი კი - ჩემი, მიხვდი, დომენიკო?

- კი, - და გაიფიქრა, - „როგორ?“

- როგორ და, თქვენ შვილები ხართ, მე - მამა.

ხეებს უკან აღარავინ იდგა, ხმამაღლა თქვა:

- მაშინ... ნახევარი მართლა ჩემია?

- შენია, შენი, - დაუყვავა მამამ, - რად არ გჯერა?

- და როგორც მინდა, ისე მოვიხმარ?

- ჰო, ლტოლვილმა გითხრა?

- კი.

ვარსკვლავები ძლივსღა ჩანდნენ ცაზე, აჟივჟივებული ჩიტების ხმა სიჩუმეს კენკავდა.

- როგორც მოისურვებ, ისე მოიხმარ, - თქვა მამამ. - გინდა, გაიმრავლებ, თუგინდ - ღარიბებს დაურიგე, ანდა მდიდრებს მიართვი, თუ მოისურვებ - წყალშიაც შეგიძლია ჩაჰყარო და, თუ არ გინდა, თითსაც ნუ დააკარებ... არ გინდა?

- მინდა, - ჩუმად თქვა დომენიკომ, - მაგრამ როდის მომცემ?

- როდესაც იტყვი.

- და... როგორ?

- სამოსელ პირველს გავყიდი და მოგცემ.

- იმას ვინ იყიდის...

- არ მოეწონებათ?

- არა, ვისა აქვს იმდენი ფული...

- ქალაქში გავატან ვინმეს, იქ გავყიდი.

- რომელ ქალაქში?

- და ფულს შენ მოგცემ.

- მე?

- ჰო. გინდა?

- მინდა.

- რად გინდა? - ჰკითხა მამამ. მშვიდად უყურებდა.

- გათენებულა, - თქვა დომენიკომ და წამოდგა, - შინ დავბრუნდები.

- წავიდეთ, - მამა ფეხზე იდგა, - წავიდეთ. დროა.

- გზა ხომ აქეთაა... - მიიხედა დომენიკომ.

- მანდეთაა, კი.

ატამი, რა ხანი იყო, მოილია. გვიანი ვაშლებიღა ესხა ხეს. ყურძენს, საცა იყო, დაკრეფდნენ და ყოველი მარცვალი გლუვად კრიალებდა - რაღაც ლამაზი მტვრისდამაგვარი ედო.

- კარგად ასხია, არა? - მიიხედა დომენიკომ, - მართლა, ნაბადი რა იქნა?

- დამრჩა.

- სადა, ტყეში?

- ტყეში.

- წავიდე, მოვიტანო?

- არ გინდა, იყოს.

„რა უჯიშო ძროხაა, რასა ჰგავს, ნახევარი მართლა ჩემია?“

„კი“.

- და როგორც მინდა... ისე, არა?

„როგორც გინდა, კი.“

„ჰე... ის სამოსელი რა ეღირება?“

„ასი დრაჰკანი მაინც“.

„ასი? ასი კარგია... აგერ ლტოლვილი ორ დრაჰკანს ნატრობდა. ეე, როგორ დამიბარა, მარჯვნივ წავიდა, მარცხნივ წავედიო, ასე თქვიო“.

„ეგება ორასიც მომცენ.“

„ორასი?“

„რა იცი, ეგება მოგვცეს“.

„ისე, გვეგვეზე ასიც ბევრია“, - არა?

არავინ იყო.

„რა იქნა, - გაუკვირდა დომენიკოს, - უკან მომდევდა და...“

„არა, მართლა რა იქნა?.. ვისიმე ეზოში თუ გადაუხვია...“

ჭიშკარი ღია იყო, დაეჭვებულმა შეაბიჯა. დაგუდულ, პატარა შენობისაკენ მიდიოდა, „რა მინდა!“ მძიმე კარს ფრთხილად მიაწვა, ისიც ღია იყო. საამო, უცნაური სურნელი ტივტივებდა სიგრილეში, ფერადი სარკმლებიდან გზადაგზა მტვრის ნამცეცებით იჟღინთებოდა ლურჯ-მოწითალო შუქი და მერე იატაკს მძიმედ ებჯინებოდა. მომცრო სინათლეებიც ციაგებდა, კედელთან, ზურგშექცეული, მამა იდგა.

დომენიკომ შუბლზე გადაისვა ხელი, თავი მძიმედ მოაბრუნა მამამ. თვალის კუთხით დაინახა და უთხრა:

- რა გინდა, დომენიკო.

ფერადმა კედლებმა აისხლიტა მზერა, მერე ჭერმა, თლილი ქვით ნაშენი კედლები იყო, ლურჯ-წითლად შეღებილი მტვრის ნამცეცები მძიმედ დაცურავდნენ ფარფატა სვეტებში.

- რა გინდა-მეთქი, დომენიკო.

პირი გაუშრა. დაგუდული შენობა იყო, კარგა ხანს ბუბუნებდა კედლებში გამომწყვდეული ხმა. დომენიკომ რომ აიხედა, მამა ისევ ზურგით იდგა, ოღონდ თავი ჰქონდა მისკენ ოდნავ მიქცეული და ელოდა, ორივე მუხლზე დაჩოქილმა დომენიკომ კი ძალიან მაღლა ახედვა რომ ვერ გაბედა, შიშველ ფეხებზე მიაჩერდა და უცებ რაღაც საოცარი, უცნობი, მჟღერი სიტყვები მუხლმოყრილმა თქვა:

„მამაო, მომეც მე, რომელი მხუდების ნაწილი სამკვიდრებლისაი“.

და მამამ მძიმედ, ოდნავ დახარა თავი.

* * *

კოჭლმა ყმამ შეუკაზმა ცხენი. დინჯად, აუჩქარებლად ირჯებოდა - უნაგირი რწევით მიიტანა ულაყთან, გულამდე ასწია, შეჩერდა, ღრმად შეისუნთქა და ერთბაშად თავს ძალა რომ დაატანა და ზურგზე დაადო, შვებით ამოისუნთქა. მერე მოსართავები მოუჭირა, ლაგამი ამოსდო, აღვირი თავსზემოთ გადაუგდო, უნაგირს დაეჭიდა, შეასწორა, ისევ დაეჭიდა და მერე, ხელებჩამოყრილი, დომენიკოს მიაჩერდა. ის ქვემოთ იყურებოდა, დაღმართისაკენ.

- მზადაა.

- მზადაა? - სწრაფად შებრუნდა დომენიკო, - ყოჩაღ, კოჭლო.

- სულ კოჭლი კი არ ვიყავ... - თქვა იმან.

- ჰო? ის სადაა...

- აქვეა, მოგცემ.

- მომეცი.

- ჯერ უნდა გაგაცილო.

- გამაცილო? რათ მინდა...

- მეც არ მინდა, მაგრამ... იმან ასე თქვა.

- იმან? ახლა სადაა.

- აიი, სარკმელი რო ჩანს.

- იქაა?

- იქაა, გიყურებს.

ცოტათი შერცხვა და გაბრაზებულმა უნაგირს ჩასჭიდა ხელი. ზურგზე მოევლო, უზანგში ფეხი გაისწორა. მარდი ცხენი იყო, თავაწყვეტა უნდოდა, მაგრამ ისე ნელა, ისეთი მძიმე რწევით მიჰყვებოდა კოჭლი... ერთხანს იცდიდა, მერე კი ველარ მოითმინა, მიუბრუნდა და გასძახა:

- სად დაგელოდო!

- სოფლის ბოლოს, კოშკთან.

- კარგი, იქ მოდი, - თქვა და ცხენს მათრახი მსუბუქად დაჰკრა. შორეული კოშკიც კი შეხტა და იმ უქარობაში ქარიც აწივლდა, გახარებულმა, ღონივრად გადაუჭირა მათრახი ცხენს და მუხლები შემოაჭდო, სიხარულით ერთიანად ატანილს, ჭენებისას თვალზე მომდგარი ცრემლი ეუცხოვა - ჰაერი სახეში სცემდა.

„ეგება ორასიც მოგვცენ“, გაახსენდა და ისევ დაჰკრა ცხენს მათრახი, მაგრამ მაშინვე ლაგამი ღონივრად მოზიდა - კოშკთან იყო, დაღმართი იწყებოდა. დინჯად ჩამოვიდა ცხენიდან - კოჭლი ყმა შორს ჩანდა.

იქითა მხარეს, გადაღმა, ტბა ლაპლაპებდა. შეხედა და თვალი აეწვა - ჭენებისას რაღაც ნამცეცი ჩაუვარდა. ჯიუტად ახამხამებდა წამწამებს, არაფერი გამოუვიდა - თვალი ისე აეწვა, ერთხანს ველარც გაახილა. მერე თითქოს გადაუარა და გაიხედა - შოორს, ვიღაცა გლეხი, უკან გადახრილი, ალბათ წყალს თუ სვამდა - უზარმაზარი მუჭი დაედო პირზე, კოკა იქნებოდა. სახლები ძლივს მოჩანდა მოძალებულ სიმწვანეში. გლეხები მთელ დღეს მიწაზე იდგნენ და მუშაობდნენ, იატაკადაც სოხანე ჰქონდათ. ის კაცი, კოჭლობით რომ უახლოვდებოდა, პატარაობისას ფეხებსა ჰბანდა, „მერე რა...“

გვეგვე სადმე ყანაში იქნებოდა, იმისი დარდი სულ არა ჰქონდა. გაიხედა, გამოიხედა, ისევ ტბას მიაჩერდა. ბიბო ალბათ ვინმეს უკიჟინებდა, რესას დედას ისევ შავები ეცმეოდა, სულ, სიკვდილამდე, ასეთი იყო წესი.

„წესი, - ჩაეღიმა, - ნეტა რამდენია, რო...“

ისევ აეწვა თვალი, გაბრაზებულმა მაგრად მოისრისა. კოჭლმა ყურით ერთხელაც ჩაუნისკარტა ჰაერს და შეჩერდა. მძიმედ ახედა და გაუხარდა:

- ტიროდი?

- ვტიროდი არა... - აიმრიზა დომენიკო, - თვალში რაღაცა ჩამივარდა.

- ჰოო, - გააგრძელა კოჭლმა და მოზრდილი ტომარა გაუწოდა, - აჰა, ექვსი ათასი დრაჰკანია.

- რამდენი?

- ექვსი.

ძლივს ამოცურდა ზედაპირზე, ჰაერი რის ვაი-ვაგლახით ეყო. სული მოითქვა და ფრთხილად იკითხა:

- ათასი თუ ექვსი...

- ექვსი ათასი დრაჰკანია.

- საიდან, როგორ... - დაიბნა დომენიკო.

- სამოსელი პირველი გაყიდა. არა, - თავი გაიქნია კოჭლმა, - სამოსელი პირველი მთლიანად კი არა, თვალები დააძრო და ისინი გაყიდა.

- ყველა?

- ჰო, ყველა. მხოლოდ ერთი ქვა დატოვა.

- რომელი...

- დიდი ამეთვისტო.

- რატომ?

- მე რა ვიცი, რატომ...

- მაგდენი რათ მინდა...

- რა ვიცი, ალბათ გინდა...

- ამას რა გამოლევს, - თქვა დომენიკომ და ტომარაში სიამოვნებით, თვალდახუჭულმა ჩაყო ხელი.

- გამოილევა, - თქვა კოჭლმა, - რა იცი, ეგება სულაც გზაზე ვინმე დაგიხვდეს და...

- არა, - შეკრთა დომენიკო და მერე ჯიუტად გაიმეორა, - არ დამხვდება.

- იმანაც ეგრე თქვა, - არ წაართმევენო.

- რა იცის...

- რა ვიცი, ეგრე კი თქვა და...

მძიმე ტომარა იყო და, გახარებულს, ემსუბუქა. უნაგირზე დიდხანს ამაგრებდა, თოკით მიაბა, მერე შესამოწმებლად დაეჭიდა და ზურგიდან ნაღვლიანად შესცქეროდა კოჭლი. მერე თვალი აარიდა და ისე, უგულოდ უთხრა:

- თუ გინდა, ერთი დრაჰკანი დამიტოვე.

- ერთი? რატომ...

- ამობრუნება რომ შეძლო.

- რისთვის.

- იმ ერთი დრაჰკანისათვის.

- ამას რა გამოლევს, - თქვა დომენიკომ და ტომარას დაადო ხელი.

- დატოვებ თუ არა.

- არა, რაღას ამოვალ.

- ისე, მართლა აღარ უნდა ამოხვიდე.

- რატომ, - ეწყინა დომენიკოს.

- ვინც სამკვიდრებლის ნახევარს წაიღებს, აღარ მიიღებენ.

- და თუ უკან მოიტანს?

- უკან თუ მოიტანს, კი, - და ჯიუტად გაუმეორა, - ერთი დრაჰკანი დამიტოვე.

- ამობრუნებით აღარ ამოვბრუნდები, ისე, ათ დრაჰკანს გაჩუქებ, თუ გინდა.

- არ მინდა, - თავი გაიქნია კოჭლმა, - ფულთან საქმე არა მქონია.

- მოგცემ, მოგცემ, - ტომარას ხელი წაატანა დომენიკომ, - ისედაც ბევრია და...

- არ მინდა, - უკან გადაიხარა კოჭლი, - შენ უფრო გამოგადგება.

- ამდენი არც მინდა, მოგცემ...

- არ მინდა-მეთქი, - ხმას აუწია კოჭლმა და უცებ მოიწყინა, - რომ არ გდომებოდა, სოფლიდან წახვიდოდი?...

- არ გინდა, ნუ გინდა, - და ხელი ჩაიქნია; კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ კოჭლი სოფლისკენ არც მიტრიალებულა, უცნაურად აიშვირა თითი, სახე ისე დაეძაბა, თითქოს რაღაც შორეულს ყურს უგდებდა და უთხრა:

- ისევ გიყურებს.

დომენიკომ გაიხედა და სარკმლის მიღმა ძლივს გაარჩია რაღაც. თვალი ისევ ეწვოდა, ის ნამცეცი სტანჯავდა და თვალები გამწარებულმა რომ დახუჭა, კოჭლი მიუახლოვდა და სილა გააწნა.

- გაგიჟდი? - გაოგნებული მიაჩერდა დომენიკო და იფეთქა, - ხომ არ გაგიჟდი.

- რა ვქნა, ჯერ არავისთვის არ გამირტყავს, მაგრამ... - მორცხვად თქვა თავდახრილმა კოჭლმა, - ასე მიბრძანა... იმან.

ლოყაზე ხელი მიიდო. ისევ შეაწუხა თვალმა.

- ცრემლი გდის. გტკივა?

- არა, ცოტათი...

- დაიხარე, მოგაცილებ, დაიხარე, რამსიმაღლე ხარ... კიდევ, კიდევ...

დომენიკომ ვეღარ მოითმინა და ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, კოჭლმა სახეზე შემოაჭდო სქელი, დაკოჟრილი, გლეხური თითები და თავი გადაუწია. მერე თვალი ფართოდ გაუხილა, ძალიან ღრმად შეისუნთქა და ფრთხილად, გამოზოგილი სიამოვნებით შეუბერა სული.

- აბა, შემომხედე.

დომენიკომ ახედა და კოჭლის მოშავო თვალის გუგაში საკუთარი თავი დაინახა, ოღონდ რაღაცნაირად გლუვი და წაგრძელებული, უსიამო.

- კიდევ გაწუხებს?

- არა, - თქვა დომენიკომ, ირგვლივ მიმოიხედა და წამოდგა, - არა, არა.

- წადი, - უთხრა კოჭლმა და ხელი ასწია, - წადი და კარგად იყავ, დომენიკო.

- ჯერ შენ წადი.

- არა, შენ წადი, ასე თქვა, იმან...

მარცხენათი მოზიდა აღვირი, დაღმართისაკენ შეაბრუნა ცხენი. ფრთხილად ჩადიოდა, მერე გაივაკა და გაჭენება სცადა, მაგრამ დომენიკომ აღარ მიუშვა. თავი შეატრიალა, სოფელს გახედა, სადღაციდან კვამლი ამოდიოდა, კოშკთან ისევ იდგა კოჭლი ყმა, ტბა აღარ ჩანდა. „სად მივდივარ! - გაუელვა და მაშინვე ჩაეღიმა, - ლამაზ-ქალაქში“. ცხენს ქუსლები ჩაასო ფერდში და იმასაც სხვა აღარა უნდოდა, გაჭენდა. მერე ჭალა იყო, დაბალტოტებიანი ხეებით და ისევ შეაჩერა ცხენი, ფრთხილობდა - თავს დაბლა ხრიდა და ტოტებს ერიდებოდა. ერთიც მიიხედა - აღარც კოშკი ჩანდა, აღარც კოჭლი ყმა. ისევ დახარა თავი, ტოტს ჩაუარა და გამართვა რომ მოინდომა, ვეღარ შეძლო - ვიღაცამ ღონიერი ხელი ჩასჭიდა საყელოში, დაითრია, კინაღამ ცხენიდან გადმოაგდო და ახლოს მიუტანა სახე:

- საით წავიდა!

ხმა ვერ გაიღო, შიშმა ისევ წაავლო გაყინული თითები და ისევ ნეკნებად შემოესალტა, ხუთავდა, მერე, კიდევ კარგი, იმ კაცს ნაცნობი სახე ჰქონდა და ცოტათი გამხნევდა:

- ვინ... ვინ სად წავიდა...

- ლტოლვილი!

„ლტოლვილი! მარჯვნივ წავიდა, მარცხნივ თქვიო, თუ, მარცხნივ და, მარჯვნივო...“ აირია დომენიკო და დაბნეული მიაჩერდა. იმან კი ღონივრად შეაჯანჯღარა და საგულდაგულოდ, უნამუსოდ ალესილი დანა ყელზე მიადო და მუქარით უთხრა:

- საით წავიდა-მეთქი!

- პირდაპირ წავიდა...

იმან კი, მდევარმა, დანა მაშინვე სადღაც შეინახა, მხრები ისე შეუტოკდა, ალბათ, სიამოვნებისაგან გააჟრჟოლა, ხელები კმაყოფილმა მოიფშვნიტა და უთხრა:

- კარგად იყავი.

ვიღაცას ჰგავდა, სადღაც ენახა. გასუსულმა შეაბრუნა ცხენი, ისევ ჭალას გაუყვა. ჭენება მოუნდა, მაგრამ ვერა ბედავდა, მერე, შორს რომ ჩამოიტოვა ჭალა, მიიხედა - აღარავინ ჩანდა. ტომარას დახედა, ადგილზე იყო.

ვიღაცას ჰგავდა, ადრეც ენახა სადღაც. არადა, სოფლელებს ყველას იცნობდა. ვინ იყო... აჰ, სად ენახა...

ჩაფიქრებული, კინაღამ ტოტს წამოედო და, თავი რომ დახარა და ცხენის გრილ კისერს ლოყით მიეკრო, შეკრთა და გაახსენდა:

„ზეზუხბაია!“

კი, კი, თეთრად სახემოთითხნილი ჯამბაზი იყო.

* * *

- მამიდა არიადნა, ჩქარა მოვა ლანდო?

- რა არის, კონჩეტინა, - მკაცრად შეხედა ქალმა, - მერამდენედ უნდა მკითხო, და, საერთოდაც, ლანდო მოვა მაშინ, როცა ეს საჭირო იქნება და არა მაშინ, როცა... ვთქვათ, როგორც ეს შენ გინდა.

- მე ხომ უბრალოდ ვიკითხე, მამიდა არიადნა!

- და საერთოდაც, ასე ხშირად არ უნდა ახსენებდე ჩემს სახელს, იქნებ არ მინდა, ამოდენა უცხო ხალხში ყველამ გაიგოს ჩემი სახელწოდება, - თქვა მამიდა არიადნამ და მერე ყველას თავაზიანად გაუღიმა.

- კარგით... აღარ ვიტყვი.

- კეთილი, ჩემო პატარავ, კეთილი, - თქვა ქალმა და მგზავრებს გადახედა, - შენ მშვიდი და თვინიერი ხარ, რადგან სხეულში კარრასკოების წმინდა სისხლი გიჩქეფს.

დომენიკომ ქალიშვილს შეხედა - ვარდისფერი კაბა ეცვა, ლამაზი იყო, ოღონდ რაღაცნაირად უმიზეზოდ გაკვირვებული. მამიდა არიადნას თეთრი, ფოჩებიანი ქოლგა ეკავა, ისე იცდიდა. ყველანი მოსახვევისაკენ იხედებოდნენ, მაგრამ ხმაურზე შემოტრიალდნენ და მამიდა არიადნამ თქვა:

- ასეა. ლანდო ყოველთვის საპირისპირო მიმართულებიდან მოდის.

- ჩვენი როდისღა მოვა?

- ისევ? ისევ, კონჩეტინა?

„პატარა ოთახი ყოფილა, რვა ცხენზე გამობმული“, - გაიფიქრა დომენიკომ.

ლანდომ ხტუნვა-ხტუნვით ჩაიარა და კოფოზე მჯდარმა გრძელმათრახიანმა კაცმა აგდებულად გადმოხედა ყველას.

- უზრდელი, - თქვა მამიდა არიადნამ, - რომელი იყო, ველარც ვიცანი.

- მე რომ ოცი წლისა ვიყავი, - წამოიწყო უცებ მწვანებოხჩიანმა ქალმა, - ერთი კაცი რას არ მპირდებოდა, სიმდიდრეს, ქონებას...

- გატყუებდათ ალბათ, - შეიჭმუხნა მამიდა არიადნა.

- აი, ყური დამიგდეთ - რას არ მპირდებოდა, ფეხქვეშ მეგებოდა ფიანდაზად და მე კი არა მჯეროდა.

- სავსებით კარგად მოქცეულხართ.

- მაგრამ მერე იმან თქვა: თუ ჩემი არა გჯერა, მე აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე.

- ჰმ, ცრუპენტელა!

- მისმინეთ, ქალბატონო, - და რომ მან ასე თქვა, მე ვუთხარი: დაე... დაე... ნუ... მოკლედ, ვუთხარი, რომ თანახმა ვარ.

- არ უნდა გეთქვათ, იგი ხომ გატყუებდათ, ეს თქვენი სიტყვებიდან აშკარაა.

- და როცა იგი ჩემი ქმარი გახდა, მე ვერც კი წარმოვიდგენდი, თუკი შეიძლებოდა ქვეყნად არსებობდეს ისეთი მეუღლე.

- სიცოცხლე გაგიმწარათ, არა?

- რას ბრძანებთ, ქალბატონო. წარმოუდგენელია ისეთი კარგი ქმარი.

- კარგი გამოდგა?

- ძალიან, მშვენიერი.

- აკი გეუბნებოდით, - თქვა მამიდა არიადნამ და ქოლგა მოინაცვლა, - ხანდახან ქმრებშიაც კი შეიძლება გამოერიოს კარგი ადამიანი, მაგრამ ნამდვილი მამაკაცი მაინც იშვიათად...

- სიმართლე რომ ითქვას, მე არც შემხვედრია ნამდვილი მამაკაცი, - თქვა ბოხჩიანმა ქალმა.

- არცაა გასაკვირი - ისინი ხომ ძალიან ცოტანი არიან.

- საერთოდ კი არიან?

- ვასკო ნამდვილი მამაკაცი იყო, - თქვა მამიდა არიადნამ, - ვასკოსთანა მამაკაცები ახლა აღარ არიან.

- სად არის, რა იქნა? - დაინტერესდა ბოხჩიანი ქალი.

- სადღაც წავიდა. გვიანი შემოდგომა იყო, ნაწვიმარ ქუჩაზე ფოთლები ეყარა. მაგრამ მე ვიცი, რომ დაბრუნდება.

- ვინ?

- ვინ! - ვასკო.

დომენიკომ ფრთხილად მოინაცვლა ფეხი.

- ვასკო ისეთი კი არ იყო, როგორც ყველანი, - ნაღვლიანად თქვა მამიდა არიადნამ, - სხვები რომ იტყოდნენ - „კი“, ვასკო ამბობდა - „არა“ და როცა სხვები ვასკოს წამხედურობით იტყოდნენ - „არა“, ვასკო ამბობდა - „კი“. და როცა ერთხელ ზოგი „ჰო“-ს ამბობდა, ზოგი კი „არა“ -ს იცით, რა თქვა ვასკომ?

- რა თქვა? - იკითხა ბოხჩიანმა ქალმა და თმაზე გადაისვა ხელი.

- ვასკომ თქვა: „ოღონდაც...“ - არავინ იცოდა, რას იტყოდა ვასკო.

- იცით, მე იგი უკვე წარმომიდგა.

- ჰეე, ძალიან ძნელი საქმეა ვასკოს წარმოდგენა, - ჩაფიქრდა მამიდა არიადნა, - ძალიან ძნელი, ენის გარდა, სხვა რამეებიც, ეე, ესე იგი სხვა თვისებებიც, შესანიშნავი ჰქონდა. იგი ნამდვილი მამაკაცი იყო, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

- ოჰ, ლანდოც გამოჩნდა, - შესძახა კონჩეტინამ და მამიდა არიადნას გახარებულმა შეხედა.

- ოღონდაც, ოღონდაც, - თქვა მამიდა არიადნამ, - ერთ საათში ლამაზ-ქალაქში ვიქნებით.

ნაწილი მეორე

ლამაზ-ქალაქი

თავი პირველი

პირველი დღე

პირველი დღე

სახლიდან კაცი გამოვიდა, თეთრ ხელთათმანებში თითები გაჭიმა და თან ცას ათვალიერებდა; მერე მოკირწყლულ ქუჩას გაუყვა. მეორე სახლიდან ბავშვი გამოვარდა, მაგრამ თმააფოფრილი ქალი დაეწია, ხელი სტაცა და ეზოში შეათრია. ბავშვი ერთხანს გაძალიანდა და სახელურს ჩააფრინდა, მაგრამ მაინც შეათრიეს. დიდი ღრიალი გაისმა და უცებვე მიწყდა. ვიღაცამ, სწორედ თავსზემოთ, აივანზე ნოხი გადმოფინა, კეტი დასცხო და ბუღი დააყენა. ქუჩა ხტუნვა-ხტუნვით გადაჭრა შუბლზე თმაჩამოშლილმა ბიჭმა, შეჩერდა, წვივზე დაიხედა, მერე ორიოდ ნაბიჯი გადადგა, ისევ წვივზე დაიხედა, ჯიბიდან კანაფის მომცრო გორგალი ამოიღო, დააცქერდა, მოისროლა და ისევ ხტუნვა-ხტუნვით გაუდგა გზას. კუთხეში რომ შეუხვია, იქიდან მაშინვე ახალგაზრდა ქალი გამოვიდა, თეთრი, კოჭებამდე კაბით, ჯერ ლაღად მოდიოდა, მერე კი, დაჟინებული მზერა რომ იგრძნო, თავი მკვეთრად აიქნია და აწოწილი ვარცხნილობა რომ არ ჩამოშლოდა, ხელი ფრთხილად დაიდო თავზე, მერე ნაბიჯს აუჩქარა, უფრო აუჩქარა და ფეხი რომ აერია და კინაღამ წაიქცა, წყენით შეხედა დომენიკოს. ის ვარდისფრად შეღებილ კედელთან იდგა და ხელში მძიმე ტომარა ეჭირა; ორმა ყმაწვილმა ჩაუარა ქალს, ერთმა თვალი გააყოლა, მეორემ კი პირველს ხელი ჰკრა; პირველი მიუბრუნდა და იმანაც ხელი წაჰკრა, ოღონდ უფრო მორიდებულად, მეორემ აიღო და თითქოს ხელი მოუქნია, მაგრამ საბოლოოდ პანღური ამოარტყა. პირველი ყმაწვილი გამოეკიდა, ფეხი მოუქნია და ვერ მისწვდა, მაგრამ ამითაც დაკმაყოფილდა; მეორე ღრეჭით მიუახლოვდა, რაღაც შემრიგებლური უთხრა, ხელი გაუწოდა, იმანაც ჩამოართვა და ხელიხელგადახვეულებმა გზა განაგრძეს. გაოცებულმა დომენიკომ თვალი გააყოლა ორივეს და ვერც შეამჩნია კაცი,

რომელიც საგულდაგულოდ აკვირდებოდა სახლებს, ფეხის წვერებზეც კი შედგა ერთხანს, გაიხედა, გამოიხედა, მერე კედელთან ატუზულ დომენიკოს მიუახლოვდა და ჰკითხა:

- ბოდიში, ხომ არ იცით, ანტონიო სად ცხოვრობს?

- არა.

- ისე ხომ იცნობთ?

- არა.

- ასეთი კაცია, - ხელი ასწია გამვლელმა, - მაღალ-მაღალი. მსუქანი...

- არ ვიცი.

- არა? ეგება ვინსენტეს იცნობთ - იმის დის ქმარია, სიძე.

- არა, არ ვიცნობ.

- როგორ, არც იმას?

- არა.

- აჰა, - თქვა კაცმა. დაეჭვებულმა შეათვალიერა და წავიდა.

მაგრამ დომენიკოს იმისი თავი არა ჰქონდა, - ძალიან შიოდა. დიდხანს იარა დაღმართში, სანამ ლანდომდე მიაღწევდა. მიწაზე ეძინა, ტყეში პანტას ჭამდა. დაღმართი რომ დამთავრდა, ცხენიც გაექცა - კიდევ კარგი, გადმოვარდნისას ტომარას მოებღაუჭა და რომ დაეცა, ხელთ შერჩა. იმ აივნიდან, ნოხი რომ გაბერტყეს, შემწვარი ხახვის საამო სუნი გამოდიოდა, მაგრამ საიდანღაც, შორიდან, შეთხელებულ, უხილავ კვამლად სცემდა შემწვარი ხორცის სუნი და პირს ნერწყვით უვსებდა. ნესტოებდაბერილი, იმ სუნისაკენ წავიდა, იმ კაცს გადაასწრო, ვიღაცას რომ დაეძებდა და ძველებურად ფეხისწვერებზე შემდგარი ათვალიერებდა სახლებს. მერე გვერდზე გაუხვია, მდინარის პირას აღმოჩნდა, აქ უფრო იგრძნობოდა სუნი. არადა, მხოლოდ ერთი სახლი იდგა, ხის, მწვანედ შეღებილი. ფართო აივანზე დაბალი მაგიდები იდგა, ვიდაცეები ისხდნენ, კოხტა ჭიქებს იყუდებდნენ პირზე. იქვე, პატარა ეზოში, ჯოხზე წამოცმულ ხორცის ნაჭრებს წვავდნენ. კვამლისაგან თვალცრემლიან კაცთან მივიდა და უთხრა:

- ხორცი მინდა.

- კიდევ რა გინდა, - შეუღრინა იმან.

- პური.

კაცმა ცრემლები შეიწმინდა, ტანსაცმელი შეუთვალიერა, მერე ტომარასაც ამრეზილმა შეხედა და უთხრა:

- მიდი-მიდი, აქ საშენო ადგილი არაა.

- რატომ...

- რატომ და, შენც უცებ, დრაჰკანი არ ამოიღო.

- რომ ამოვიღო...

- მიდი-მიდი, გადი...

- მოდი, აქ, შე ვირო, - დაუძახა აივნიდან ვიღაცამ იმ თვალცრემლიან კაცს.

- რა იყო, სენიორ, - ასძახა იმანაც.

- ვეღარ შეწვი? ტულიო იცდის.

- ახლავე, ახლავე.

- ეგ ბიჭი ვიღაა.

- რა ვიცი, მათხოვარია ვიღაც...

- მათხოვარი არ ვარ, - თქვა დომენიკომ.

- აბა რა გინდა, - ზემოდან დააცქერდა კაცი.

- ხორცი მინდა.

- ვაა, კიდევ რა გინდა...

- პური.

- გადი-გადი...

- რატომ.

- შენც უცებ, დრაჰკანიანი არ დააძრო.

- რომ მქონდეს... რომ მქონდეს, მაშინ?

- დრაჰკანი რომ გქონდეს, - დააკვირდა კაცი, - ეგრე ჩამოძონძილი ივლიდი?

- და რომ მქონდეს, - ჯიუტად გაიმეორა დომენიკომ და ცრემლი მოადგა, - და რომ მქონდეს, მაშინ?

კაცმა აათვალიერა და უცებ ხელით ჰაერი მოიხვეტა, - მობრძანდით, მობრძანდით, ბატონო.

დომენიკო კიბეს აუყვა. დაძაბული ადიოდა, კაცს ჯერ ქვემოდან უყურებდა, მერე კი, უკანასკნელი საფეხური რომ აიარა, ზემოდან დააცქერდა.

- არა, მართლა გაქვს?

- კი.

- მობრძანდით, ბატონო, აგერ აქ დაბრძანდით...

- ხორცი... სადაა?

- ახლავე იქნება, ბატონო. ეე, ბიჭო!! - გაცოფებული შეტრიალდა და უცებ ცხვირწინ რომ დაინახა კვამლისაგან თვალცრემლიანი კაცი, მაშინვე დაშოშმინდა, - შეიწვა უკვე?

- დიახ.

- გადაუღე აბა ამას და მერე ტულიოს მაგიდაზე მიიტანე. ორი წიწილაც შეწვი.

ხორცს ცოტათი აკლდა ცეცხლი, უფრო სიამოვნებდა. ღონივრად ღეჭავდა, ერთი-ორჯერ თვალებიც მოჭუტა, მერე უმი ხახვი დააყოლა, სიამოვნებამ აიტანა, აღარაფერი აწუხებდა. ჰო, მართლა, ტომარა! ფეხებშუა გამოიმწყვდია.

მეზობლად, დიდ მაგიდასთან, ძალიან მხიარულობდნენ.

- მერე, შენ რა უთხარი, თქვი რა...

- კარგი რა, ტულიო.

- თქვი, თქვი, რა მოხდა, სულ შინაურები ვართ.

დომენიკო ახლა აუჩქარებლად იღეჭებოდა, ნება-ნება.

- გვითხარი მართლა, რა მოხდა... - შეეშველა ვიღაც ტულიოს.

- რა მოხდა და... - უგულოდ ამოღერღა თმაგაპრიალებულმა, - ის ლენჩი დამხვდა, ზეწარგადაფარებული...

ამის გაგონებისთანავე ტულიო სკამის ზურგს მიეხალა, თავი უკან გადააგდო და ახარხარდა. მშვენიერი კბილები გამოუჩნდა და თხელი, ხარხარისას მკრთალად ათრთოლებული ნესტოები: - გაიგეთ, გაიგეთ? - მისუსტებული იძახდა.

„ეს ალბათ ძალიან დიდი ფულია, - გაიფიქრა დომენიკომ და აწრიალდა, - რა ვუყო?“

- არა, არა, დალაგებულად გვიამბე, - სული მოითქვა ტულიომ და მსუბუქად ჩაიცინა, - როგორც იყო, ისე გვიამბე, დალაგებულად...

- ეგრე იყო და...

- ეგრე კი არა... გინდა, მე მოვყვე, როგორც იყო?

- როგორ მოჰყვები, - გაფითრდა თმაგაპრიალებული ვაჟი, - იმის სახელს ხომ არ იტყვი!..

- არა, არა, გაგიჟდი? - დაამშვიდა ტულიომ, - იმის სახელს როგორ ვიტყვი.

- მოჰყვეს, რა, მოჰყვეს...

- ჯანდაბას, მოჰყვეს.

„ერთ დრაჰკანს ასე ახსენებენ და... ექვსი ათასი რომ იცოდნენ... „

- ჰოდა, - დაიწყო ტულიომ, - წაგვივიდა, მოკლედ, ვაჟბატონი ხელიდან, სულ ქალებში გადავარდა...

- ყველაფერი ყველაფერი და შენ ეს არ უნდა გიკვირდეს.

- მოიცათ, ჰო! ხოდა, დღე არ იყო, ვინმესთან პაემანი რომ არ ჰქონოდა. წავიდოდით საქეიფოდ, დავსხდებოდით კოხტად, ეს ჩვენი ყმაწვილი კი ახედავდა საათს და იტყოდა „აბა, წავედი“, და მიდიოდა... საად? - გლახა ქალებში.

„რა ვქნა...“

- ჰოდა, ერთხელაც დაუბარებია ერთი ქალი, ქმრიანი, არა, არა, არ ვიტყვი, ხომ გითხარი - არ გეტყვით, რომელი ქალი იყო. ისე, ყველანი იცნობთ და, მოკლედ,

დაუბარებია ეს ქალი და არიქა, ვისა გაქვთ ცალკე ოთახი, ვისა გაქვთო - ზამთარი იდგა. ახლავე მოგიტანო, უთხრა სერვილიომ და წავიდა, სწრაფად მობრუნდა და ჩხიკ - გასაღები მისცა.

ყველანი გაფაციცებულნი უსმენდნენ, ვინ შეამჩნევდა, დომენიკომ ისარგებლა და ტომრიდან ერთი დრაჰკანი ამოაძვრინა.

- მიდიან თურმე ის ქალი და ეს ვაჟბატონი ოთახისაკენ - ეს წინ, ის უკან და რომ შეიპარნენ დერეფანში, ქალი შედგა და ეჩურჩულება თურმე, - მოდი, დავბრუნდეთ, ვიღაცა დაგვინახავს და თავი მომეჭრებაო, თანაც ძალიან კარგი კი ხარ, მაგრამ ქმრის ღალატი მაინც ძალიან ცუდიაო - და ეს კი ეუბნება თურმე, რას ამბობ, ვინ დაგვინახავსო, თანაც, რა მოხდა, ქმარს ერთხელ თუ უღალატებ, იმას რა დააკლდება, თანაც - ამქვეყნად ერთხელ მოვდივართო, ბოლოს მაინც ყველანი მოვკვდებითო, და, თუ მართლა მოგწონვარ წავიდეთ, შევიდეთო... მართლა მოგწონვარო? კიო, ქალმა; ხოდა, შევიდეთო... მოკლედ, დაითანხმა ის ქალი და...

დომენიკო ფრთხილად ჩადიოდა კიბეზე, ყოველი საფეხური თანაბრად ჭრიალებდა. სქელ კაცთან მივიდა და დრაჰკანი გაუწოდა.

- სად მიხვალთ, სენიორ... ხურდა რომ არა მაქვს?

- ახლავე მოვალ.

- წიწილა მოგართვათ?

- რა ვიცი... ჰო, ჰო, სულერთია.

იქვე, მდინარესთან, ჭალა იყო. მაგრად ჩაებღუჯა ტომარა - „ექვსი... ათასი...“ არა, ერთი დრაჰკანი აკლდა, ეგ არაფერი... მიიხედა, სქელი კაცის სახლი აღარ ჩანდა, ხეები გახშირდა, „სად ჩავფლა...“ გადაჭრილ ხესთან შეჩერდა, მიმოიხედა, ერთადერთი იყო გადაჭრილი ხე...

- ჰოდა, დაეთანხმა ბოლოს ის ქალი და გადაატრიალა ჩუმად გასაღები, შევიდნენ ფრთხილად ოთახში და კარი რომ მიხურეს, ჩაკეტეს და შვებით ამოისუნთქეს, გაიხედეს და რას ხედავენ - ვიღაცა არ ზის მაგიდაზე, ზეწარგადაფარებული?

- აუუ, - თავზე ხელი იტაცა ერთმა და ატყდა ხარხარი. ყველანი აჰყვნენ, მხოლოდ ის თმაგაპრიალებული ოდნავ მორცხვად და თან ერთგვარი სიამაყით იღიმებოდა.

- მერე, მერე? - სუსტად იკითხა ერთმა, სიცილით დაოსებულმა.

- მერე, გავარდნილა გიჟივით ის ქალი, ეს კიდევ იმ ზეწარგადაფარებულს მივარდნია და რას ხედავს - მაგიდაზე ედმონდო არ წამოსკუპებულა? ისიც შეშინებული - ვინ იყო, რა იყო, რამ იკივლაო... თურმე, - განაგრძო ტულიომ, სიცილი რომ მიწყდა, - რომ წასულა სერვილიო გასაღების მოსატანად, შეხვედრია ის ვაჟბატონი ედმონდო და შეუთავაზებია, როგორც იცის - ვიმეგობროთო. კარგიო, სერვილიოს უთქვამს, იმ გაიძვერას; ოღონდ ხომ იცი, მეგობარი მეგობრისთვის რააო; კიო, ვიციო - ყველაფერიაო; ხოდა, თუ მეგობარი ხარ, წამოდი და პატარა ხანს მაგიდაზე დაჯექი, ზეწარგადაფარებულიო; რატომო; მეგობრები მეგობრებს არ ეკითხებიანო; კარგი, მოგყვებიო... ხოდა, მერე, ჩაკეტა იმ ოთახში, ამას გასაღები მისცა და მერე, ზედ მაგიდაზე დასცხეს თურმე ერთმანეთს ედმონდომ და ამან. ეს კი იძახის, მე გავლახეო, მაგრამ მე მგონი ედმონდო მოერია.

- კი, - როგორ არა, - დაემანჭა თმაგაპრიალებული, - ეგღა მაკლია, ედმონდო მომერიოს.

- რატომ, ხომაა ღონიერი.

- ჩხუბს ღონე არ ჰყოფნის, მოხერხებულობაცაა საჭირო.

- ეგ კი, ეგ კი, - თქვა ტულიომ და მაშინვე წამოიწყო, - ნეტავი ჩი-იტად მააქ-ცია-ა!

- ტად მაქ-ცი-აა, - აჰყვა თმაგაპრიალებული.

- ქვე-ყანას გადა-ავიფრე-ნდი-ი...

- უაა, - აჰყვა ბანი.

მერე სამივემ ერთდროულად დაამღერა:

- დავინახავდი ლამა-ზსაა-ა! ი-იმის კალ-თაში ვისტვენდი-ი“...

- უაა...

- კარგი იყო, კარგი, - შესძახა ტულიომ და ჭიქა ასწია, - მოდით რა, ეს იყოს სიმღერის გრძნობის სადღეგრძელო...

დომენიკო ამოვიდა. თავის მაგიდას სახეალეწილი მიუახლოვდა - იგრძნო, როგორ გააყოლეს თვალი. მაგიდაზე წიწილი დახვდა, მიწიანი ხელები ჰქონდა, მაგიდის ქვემოთ მუხლისთავებზე ღონივრად გადაისვა ხელისგულები და დაიბნა - ისევ შეჰყურებდნენ. თავჩაღუნული იჯდა, წიწილის გახლეჩას ვერა ბედავდა.

- აგერ, აიი, ეს დავაამხანაგოთ ედმონდოს, - ჩაიქირქილა ტულიომ, - არსად მინახავს, მარტო კაცი პურის საჭმელად დამჯდარიყოს.

- ეგება შია.

- თუ შია, ეყიდა და წასულიყო სადმე, ჭალაში, იქ მიერთვა.

- გინდა, დავუძახოთ?

- ა? დავუძახოთ, დავუძახოთ, ვნახოთ ერთი, რა კაცია, - წამოდგა ტულიო და თითით მიიხმო, - მობრძანდით, ბატონო!

დომენიკომ უკან მიიხედა, მაგრამ იქ არავინ იჯდა. თითი გულზე მიიდო და გაოცებულმა იკითხა:

- მე?

- შენ, - თავი დაუქნია ტულიომ, - მოდი, დაგვეწვიე... რა გქვია?

- დომენიკო.

- მე ტულიო ვარ. აი, ეს, - თმაგაპრიალებულისკენ თავი გაიქნია, - ჩემი ამხანაგია, ცილიო, ეს, - ნიკაპი გაიშვირა, - ვინსენტეა, ეს კიდევ - ანტონიო, მაგისი ტკბილი ცოლისძმა და ჩვენი ძმა და სიყვარული.

ანტონიოს სიძე, ვინსენტე, დაეჭვებული მიაჩერდა ტულიოს, მერე წამოდგა, დაიხარა და დაბალის ხმით განზე გაიხმო - ერთი გამოდი აქეთ, ტულიო...

აივანთან თავდახრილები მივიდნენ - ორივე თავისას ფიქრობდა. მერე ვინსენტემ მწყრალად უთხრა:

- რამდენჯერ მითქვამს, ანტონიოზე ნუ იხუმრებ-მეთქი.

- რა ვიხუმრე? - მიამიტად იკითხა ტულიომ და მხრიდან რაღაცა მოიცილა.

- რა ძმა და სიყვარული აგიტყდა. უბრალოდ ვერა თქვი, ანტონიოაო?

- კაცო, შენი ვერ გამიგია, - გულზე მოეშვა ტულიოს, - როგორ, შენი ცოლისძმა განა ჩვენი ძმაცა და სიყვარული არ არის?

- არ გინდა-მეთქი, ხომ გითხარი.

- კარგი, კარგი - არ მინდა, ნუ მინდა. ისე შე ეშმაკო, - გაუღიმა ტულიომ და ვინსენტესაც წამით ცელქმა ღიმილმა გაჰკრა, - სანამ ცოლისძმა გახდებოდა, სანამ დამოყვრდებოდით, ძალიან რომ ამასხარავებდი?

- რაც იყო, იყო, - თბილად შესთავაზა ვინსენტემ, - ნუღარ იტყვი, კარგი?

- კარგი, კარგი, აღარ ვიტყვი, წამო, დავბრუნდეთ, რა გამოშტერებულები დგანან, ვერა ხედავ? აგერ, მგონი, ის ჩამოძენძილიც რაღაცას ეუბნება... - და ჩაიქირქილა, - ეგეც თუ ეხუმრება, ჰა?

- ვიღაცა გეძებდათ... თქვენ ანტონიო ბრძანდებით, არა?

- დიახ, - გაიკვირვა იმან, - ვინ მეძებდა, როდის?

- საათი იქნება. ანტონიო ხომ არ იცით, სად ცხოვრობსო.

- რა ეცვა...

- დავსხდეთ, დავსხდეთ, ისე ვილაპარაკოთ, - თქვა მობრუნებულმა ტულიომ და გასძახა, - არტურო, ერთი ჭიქაც მოიტანე, - და დომენიკოს მიწიანი ხელები სწრაფად რომ შეუთვალიერა, ჩაეღიმა და ისევ პირი იბრუნა, - ოღონდ კარგად გამორეცხე, სუფთა ბიჭი ჩანს...

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი ქალაქი, ოღონდ ხანდახან არც ვიცით ხოლმე.

ორსართულიანი სახლები, მოკირწყლულ ფერდობზე ნაბიჯ-ნაბიჯ აყოლილნი. ქალაქი, ქალებითა და კაცებით, ბავშვებით სავსე. ლომის ხახიდან გადმომდინარე წყალი, პეშვით დალევისას უფრო რომ გემრიელდება. ჰეე, ქალაქი, წითელი კრამიტით მოფენილი, დანაოჭებული სახურავებით, ზემოდან თუ დავხედავთ; რკინის მილები, ავდრისას წყალი რომ მოჩხრიალებს და მძიმედ აორთქლებული ქალაქი ნაწვიმარზე. მინის მიღმა დანახული ყალბი თოვა და ნამდვილი თოვლი, სახეზე რომ გადნება; დიდი აუზი ქალაქის შუაგულში, ღონიერი შადრევნით და, ზაფხულის ისევ ცხელ საღამოობით სიგრილეს მონატრებული ლამაზ-ქალაქელები, აუზის ირგვლივ ჩამოსკუპებულნი და ახალი ამბების მოლოდინში გატრუნულნი. ლამაზ-ქალაქი, ხელოსნებისა და კანტიკუნტა მდიდრების ბუდე და კიდევ იმათი, ვინც ახლობლობით ხელოსნების ვიწრო და მოკლე ჯიბეს შეჰკედლებია. ჩვენი ქალაქი, ცისფრადა და ვარდისფრად შეღებილი სახლებით, ღამღამობით რომ შავდება და, უამრავი ზარის რეკვისას, ყოველი საათის გასვლისთანავე რომ აჟღრიალებს ჩადედებულ ჰაერს, ღამის დარაჯის, მატყუარა ლეპოლდინოს უგულო შეძახილი:

„ღაამის ამდენი და ამდენი საათია და ყველაფერი რიგზეა-ა...“ გამჭვირვალე ნისლი გათენებისას, ხასხასა ფერები, ტირიფებიანი ეზოები, ვარდებითა და გეორგინებით და რომელიღაც უსახელო ყვავილებით ქალაქის განაპირას, ჭალაში...

- ვინსენტეს გაუმარჯოს, - ჭიქა ასწია ტულიომ, - ვაჟკაცს, ამხანაგს. ცოლის შერთვას გილოცავთ, კარგად იყავი, მშვენიერ ჯულიასთან და შენს ახლობლებთან ერთად. გემრიელი ბიჭი ხარ და ყველას გვიყვარხარ.

- წლისთავზე ვაჟი მოგველოცოს, ატ, შე ეშმაკო!

ვინსენტემ გაღიმება ირჩია.

- ბოლომდე იყოს, - გამოაცხადა ტულიომ, ჭიქა მიიყუდა და მერე გადმოაპირქვავა, - აი, ასე...

ისევ შეავსო და თქვა:

- ამ მეორე ჭიქით ანტონიოს გაუმარჯოს, - და გამოცალა.

- ერთი წუთით, ტულიო, - ისევ განზე გაიხმო ვინსენტემ. აივანთან მივიდნენ ჩაფიქრებულნი, ვინსენტე ხმას არ იღებდა.

- რა იყო? - ვეღარ მოითმინა ტულიომ.

- რა და, გეთქვა ერთი-ორი სიტყვა, რა მშრალად შესვი, რა მოგივიდა...

- ბიჭოს! - გულზე მოეშვა ტულიოს, - შენი ვერაფერი გამიგია. რამეს ვიტყვი და - რატომ ხუმრობო, და თუ არ ვიტყვი და...

- ვინსენტე! - სუფრიდან გამოსძახა ცილიომ. - გაგიმარჯოს, ყოველივე კარგს... ანტონიოსაც, შენთან ერთად... - და ჭიქა რომ მიიყუდა, უნებურად შორს გაიხედა და მაშინვე ხელი ჩაიქნია, - ჯუზეპე მოდის!

- მართლა? - შეკრთა ტულიო, - აქეთ მოდის?

- კი, აქეთ, - და ცილიომ ისევ ჩაიქნია ხელი.

- ნასვამი ხომ არაა?

- რა ვიცი, შორიდან კი არა, ორ საათს რომ ელაპარაკო, მაინც ვერ გაიგებ.

- ეგ კი, ეგ კი, - ნაღვლიანად გაიღიმა ტულიომ, - არტურო, არტურო!

- რა იყო, ბატონო.

- რვა მწვადი გაამზადე.

- რამდენი?

- ჯუზეპე მოდის...

ქალაქთან მუდამ მდინარე ჩადის. ხეები, ხეები მდინარის პირას, მიწაში ღონივრად ფესვებგადგმულნი და შორიდან კი გაფოთლილი ტოტებით ჰაერს მსუბუქად ჩამოყრდნობილნი, ჰაერში მსუბუქად მოტივტივე. ხის ძირას - მადლიანი ჩრდილი, და კიდევ ბალახი, წვნიანი, რძიანი, ლორთქო. ზაფხულის ცხელ, გრძელ, უსაშველო დღეებში ქალაქგარეთ, მდინარის პირას გასეირნება და საღამო ხანს ნაპირთან ჩაციებული ღვინო, და ყველი, პური და მწვანილი, სოფლელებს ქალაქში რომ ჩამოაქვთ და გაყიდვამდე გასაცოცხლებლად წყალს რომ აპკურებენ. ტოტების ჩრდილით შეფერილი, გამუქებული წყალი და ცოტა იქით კი ლაპლაპა, მზეზე მოკამკამე.

- აუ! - იყვირა ჯუზეპემ, ანტონიოს უზარმაზარი მარჯვენა გაუწოდა, მაგრამ, სანამ ის მოწიწებით ჩამოართმევდა ხელს, უცებ ცილიოს შარვალში კოხტად ჩატანებულ პერანგს ეძგერა და ამოუჩაჩა, - როგორა ხარ, ცილიო, შე ქალების წუწკო!

- კარგად, ჯუზეპე, - მიუგო იმან, შებრუნდა, შარვალი შეიხსნა, ფეხები განზე გადგა, შარვალი რომ არ ჩავარდნოდა, პერანგი ისევ კოხტად ჩაიტანა, და სანამ ღილებს შეიბნევდა, მხარუკუღმა თავაზიანად ჰკითხა:

- თავად როგორა ხართ, ჯუზეპე?

- არაა შენი საქმე, კარგად ვარ, - მერე ნაბიჯი გადადგა და ხელები გაშალა: - მე მიყვარხარ შენ, ტულიო.

- ვიცი, ჩემო ჯუზეპე, ვიცი, - და ერთმანეთი გადაკოცნეს. ტულიო თხელი, მაღალი ყმაწვილი იყო, მაგრამ ჯუზეპეს საკოცნელად ფეხის წვერებზე შედგომა დასჭირდა, ჯუზეპე კი დაიხარა და ისე ჩაბუბნა.

- ახლა ვინსენტეს სადღეგრძელოა, - მეგობრულად უთხრა ტულიომ, - ცოლიც შეირთო, ანტონიოს და, ჯულია.

- ოო, ყოჩაღ, ყოჩაღ, ჯულია კაი გემრიელი ქალი ჩანს, - აღნიშნა ჯუზეპემ, - კარგად იყავი, ვინსენტე, აბა შენ იცი არ გაანაწყენო, გული არ დასწყვიტო. ქალს ხომ იცი, რაც

უყვარს და აბა შენ იცი. გაუმარჯოს ყველა ნაღდ მამაკაცს, თუ ეგეთი ხარ, ვინსენტე, გაგიმარჯოს, თუ არა და, ამ ჩემ ფეხებს... და შესვა.

- რამე მიატანეთ, ჯუზეპე, მიატანეთ რა რამე... - სთხოვა ცილიომ.

- რა მივატანო, არაფერი გაქვთ - ჩაფიქრდა ჯუზეპე. მოკლესახელოებიანი, მხრებამდე სახელოებაკაპიწებული პერანგი ეცვა და ფიქრისას უზარმაზარი კუნთები ძალიან დაებერა. და ფიქრი არ შეუწყვეტია, ისე გასწია ხელი განზე და ცილიოს პერანგი ამოუჩაჩა, - არტურო სადაა, ის...

- ახლავე მოვა, ხორცს წვავს, - ძალიან მხიარულად უთხრა ტულიომ, მაგრამ მაშინვე მოიწყინა.

- კარგია, კარგი, მწვადი ცვრიანი უნდა იყოს, კარგი, გემრიელი, როგორც კარგი ქალი, არა, ვინსენტე?

ანტონიოს სიძე გაქვავებული იჯდა.

- აი, ვინსენტეც ამ აზრისაა. ისე, ცოლი არასოდეს არ უნდა მოიყვანო კაცმა, რადგან ყველა ქალი იმნაირია. არა, ცილიო? - და შეუყვირა, - ჰა-მეთქი!!

ცილიო ისევ ზურგით იდგა, შარვალს იბნევდა, - აბა რა, რა თქმა უნდა...

- ხედავ, შენს ცოლზე რეებს იძახის? - ვინსენტეს გახედა ჯუზეპემ, - იმნაირიაო... შენს ადგილას, სიმართლე გითხრა, ვერ მოვითმენდი. მე ახლა გავალ და ხელათ მოვალ, არ მოიწყინოთ.

დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ვინსენტეს თითებს შესცქეროდა, ჭიქაზე ღონივრად შემოჭდობილსა და აცახცახებულს.

- კარგი რა, ხომ იცი, უზრდელია.

- მოვკლა, როგორ მოვკლა - ორმოში ჩამსვამენ, - კბილებშუა გამოცრა ვინსენტემ და ცახცახს უმატა, - არ მოვკლა - როგორ არ მოვკლა, რაებსა ბედავს.

- კარგი რა, დაწყნარდი, - სთხოვა ცილიომ.

- რა დამაწყნარებს, - მიუბრუნდა ვინსენტე, - პერანგი ორჯერ ამოგიჩაჩა და მე კი დავწყნარდე?

- თავი არ უნდა გაუყადრო, - ურჩია ტულიომ, ხორცის ნაჭერს ხახვი დაადო და ჩაკბიჩა, - შენ ცოლის პატრონი ხარ, მარტო კი არა ხარ, და რომ მოკლა, ორივენი

დაიღუპებით - შენ ორმოში ჩაგსვამენ, უიმისოდ, უჯულიაოდ, ის კი უშენოდ დარჩება და, ხომ იცი, ათასი ოხერი... განა ეს კარგია?

- არა, მაინც როგორ ამოუჩაჩა ცილიოს პერანგი, ა? - იკითხა ვინსენტემ, - ნამდვილი... ეეე... კამბეჩია.

- ნამდვილად, - შეიჭმუხნა ანტონიო და ხმას დაუწია, - ჩუმად იყავით, მოდის... სხვა რამეებზე ვილაპარაკოთ.

- ნეტა რომელი საათია, ჰა? - ხმამაღლა იკითხა ვინსენტემ.

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი ქალაქი, და ვისაც გვიყვარს, საღამოობით მოლურჯო გორაკზე ავალთ, ჩამოვსხდებით, ფეხებმოკეცილნი, ნიკაპს დავაყრდნობთ მუხლს და, ხელებჩამოყრილნი, ზურგმორკალულნი, უხმოდ შევაცქერდებით, იმ ჩვენს ქალაქში როგორ ღამდება, სად აინთება პირველად შუქი, ფერადი ფანჯრიდან სუსტად მოციმციმე - ჰოო, აგერ იქ. ჯერ არცა ბნელა და, ძნელად შესამჩნევია, მაგრამ თანდათან მკაფიოვდება. მერე სხვაგანაც, ზედიზედ აინთება ორი ფანჯარა და ფარდის მიღმა ძლივს მოჩანს შუქი, მკრთალი, უმწეო, და ვისიმე ვეება ჩრდილი გოროზად აეფარება ბნელში ალიცლიცებულ ფანჯარას. იმ ჩვენს ქალაქში წყვდიადი დგება, ფერადი ფანჯრებით მრავალგან დაბზარული: სიმღერის ნაგლეჯს ვიღაც უშნოდ წამოიღრიალებს და მიჩუმდება, სადღაც კარი იღება, ზღურბლზე უმწეოდ იფართხალებს სინათლე და კარის დახურვისთანავე გალღვება - ეგება სადღაც მიდიან სტუმრად, ან მარტოხელა კაცი იძინებს, ან ერთმანეთის ნაადრევი სურვილი აიძულებთ, ანდა ეგება სულაც ფარანში ჩადგმული კვარი მიილია.

- არტურო, მოგვინათე ერთი.

- ახლავე, ბატონო.

და როცა ცხელა, ჩვენი ქალაქის ფერად კედლებზე აშკარად მოჩანს ყოველი ბზარი, და თუ ქალაქი გვიყვარს, თითს სინანულით ჩამოვაყოლებთ დაბზარულ კედელს, მერე ზურგით მივეყრდნობით და მადლიან ჩრდილს შევეფარებით, მთელი სხეულით ავეკრობით მაინც გრილ კედელს და საღამოს ვუცდით, ოდნავ რომ აგრილდება; თვალს გავაყოლებთ დიდ, რვაცხენიან ლანდოებს, რომელშიც თექვსმეტი ლამაზ-ქალაქელი ზის და კაცმა არ იცის, საით მიეშურებიან, და პატარა ლანდოს, ორადგილიანს, გრძელკაბა, ხელქოლგიან ქალებს რომ დაასეირნებს, ისეთი ამპარტავნებით რომ დააქვთ დიდი, განიერი, ფოჩებდაკიდებული ქუდი; მერე კი მართლა აგრილდება, როცა მატყუარა ლეპოლდინო ზარების რეკვის ატეხისთანავე

ქუჩაში გამოვა და უგულოდ დაიძახებს - ღამის პირველი საათია და ყველაფერი რიგზეა...

- როგორ, უკვე პირველია? - გაიკვირვა ტულიომ.

- ჰო, ბიჭებო, - ნაზად თქვა არტურომ. - ეგება დაიშალოთ, ჰა?

- რამდენია ჩვენზე...

- ეს ახალგაზრდა ხურდას თუ არ მოითხოვს, გადახდილია. ყველაფერი.

- არ მინდა, - წამოიძახა დომენიკომ, - არ მინდა, გადახდილი იყოს...

- და მცირე ხურდა ხომ არ მოგართვათ, ორმოცი გროში?

გამომცდელად შესცქეროდნენ, და მიხვდა:

- შეიძლება, დაგიტოვოთ?

- როგორ არ შეიძლება... - დაიმორცხვა არტურომ.

- მაშინ, თქვენი იყოს.

- დიდი მადლობა, სენიორ.

ჯუზეპემ კი შეათვალიერა, თქვა: - ეს კარგი ბიჭი ჩანს, ვიღაცაა... - და ცილიოს ისევ ამოუჩაჩა პერანგი.

- ღამის გასათევი თუ გაქვთ, სენიორ? - ჰკითხა არტურომ.

- არა.

- ჩემთან წამობრძანდით.

- თუ დაღლილი არა ხარ, ჩემთან წამოდი, - ხმადაბლა უთხრა ტულიომ, - გლახა ქალებში წავიდეთ.

- დომენიკოს ეგონა, ჯუზეპემ ყელში სტაცა ღონიერი ხელი, მაგრამ ჯუზეპე შორს იდგა.

- არა.

- წავიდეთ, ჩემო კარგო, - მიეალერსა არტურო, - აქვე, ახლოს ვცხოვრობ.

მართლაც, იქვე ცხოვრობდა. ყვითლად შეღებილი ჭიშკარი შეაღო, ხრეშით მოფენილ ბილიკზე გაატარა, მეორე სართულზე აიყვანა და უთხრა: - აქ, აივანზე მომიცადეთ, სენიორ, ახლავე, ამ წუთში....

...ოთახიდან ქალი გამოვიდა. თვალები დახუჭული ჰქონდა, კარს მხრით დაეჯახა, მაგრამ არც გაუგია. დიდი ლეიბი, საბანი და ბალიში ჩაეხუტებინა და ასე, თვალდახუჭულმა, ზეზეურად მძინარემ, აივანი გაიარა და კიბეს ჩაუყვა.

- ეს ჩვენი უსაუკეთესოესი ოთახია, მობრძანდით, მოისვენეთ, - უთხრა არტურომ, - აი ამ საწოლზე დაიძინეთ, ახალთახალი თეთრეული დაგიგეთ, ბინის ქირაზე, იმედია, მოვრიგდებით, ძილი ნებისა, სენიორ.

დომენიკო სიბნელეში იდგა. მერე ჩამოძენძილი ტანსაცმელი ფრთხილად გაიხადა, თერთმეტი დრაჰკანი რომ არ აჟღარუნებულიყო - დანარჩენი მიწაში ჩაფლა, გადაჭრილ ხესთან - და დაწვა. ქათქათა თეთრეულს საამო სუნი ასდიოდა, გაინაბა, და უეცრად შეკრთა: „სადა ვარ!.. რა მინდა...“ წამოიწია, იდაყვს დაეყრდნო, თვალები მოჭუტა და სახედამანჭული მიაჩერდა სიბნელეს. მერე წამოჯდა, ჯიბეში ფრთხილად ჩაიყო ხელი, თერთმეტი დრაჰკანი ამოაძვრინა და ბალიშის ქვეშ შეაცურა.

„არ მომკლან!“

ერთი დრაჰკანი ისევე ჯიბეში ჩააგდო, „ეგება დასჯერდნენ...“ კარს უკან თითქოს ვიღაცა იდგა, სუნთქვაშეკრული. დომენიკოს ქათქათა საბანი თვალებამდე აეფარებინა, ფრთხილად სუნთქავდა. როგორ არ შეშინებოდა, რა ადვილი იყო ყველაფერი - კარის გაღება, მის საწოლამდე ფეხაკრეფით მისვლა, დანიანი ხელის ერთხელ ღონივრად დაქნევა და მორჩა - არა, არა... ვიღაც იცავდა!.. ანდა, დანა სულაც არ უნდოდათ, სისხლით დალაქავდებოდა საწოლი - ღონიერ თითებს ყელში წაუჭერდნენ, მეორე ხელით კი ბალიშს დაასრესდნენ ცხვირ-პირზე, მუხლსაც დააბჯენდნენ, სწრაფად რომ გაგუდულიყო - არა, არა, ვიღაცის იმედი ჰქონდა. არა, ის არ გასწირავდა... ანდა დიდი, წვეტიანი ქვის მოქნევა და საკუთარი თავი დაინახა, გაპობილი ადგილიდან ავად იმზირებოდა ჭრილობა, დანაოჭებული ტვინის ცივი, გლუვი თვალებით - აჰ, არა, არა - ვიღაცა სწყალობდა, ის ვიღაც დაიცავდა... დამშვიდდა, მიეშვა, მთლიანად მიენდო იმ ვიღაცას და მაშინვე იგრძნო, როგორი დაღლილიც იყო. ახლა უკვე ნებიერად იწვა, მოჩვარული, დამძიმებული. ძილის საამო მარწუხები იგრძნო სახეზე, თვალები დაეხუჭა, ნიკაპი მკერდზე დაუვარდა. ერთხანს მაინც სუსტად ფხიზლობდა. მერე კი კედლისაკენ იქცია პირი... სიამოვნებდა სუფთა ლოგინი, ნეტარებისაგან მსუბუქად ამოიოხრა და ლოყა ხელისგულზე რომ დაიდო, მშვიდად ჩაეძინა.

...ვიღაცას უყვარდა.

ლამაზ-ქალაქში ღამღამობით კაცი დადიოდა. ძალიან დაბალი, მოკლეხელება, მთრთოლვარე ალიან ფარანს ხან გაჭირვებით ასწევდა გულამდე და თვალმოჭუტული იცქირებოდა, ხანაც ქვაფენილს დაანათებდა, რამეს პოვნის იმედით, მერე კი გაიმართებოდა და დიდი, სამადლოდ ნაჩუქარი ფეხსაცმლის ფრატუნით გზას განაგრძობდა. ზამთრობით თავის სახელდახელო, სიფრიფანა ფიცრულში შეიყუჟებოდა, ანდა შორიახლოს ცეცხლს დაანთებდა და გახეშეშებულ თითებს ითბობდა, ხანდახან ზურგსაც მიუშვერდა. წვიმიან ღამით თავ-ზურგზე ტომარას გადაიფარებდა და ასე, მოხრილი დაიარებოდა, დროდადრო თავის ფიცრულში შეივლიდა, სილის დიდ საათთან ფარანს მიიტანდა და წვიმით ბუნდოვნად აციაგებულ ქუჩებს ძახილით დაივლიდა: ღა-ამის ორი საათია და ყველაფერი რიგზეა-ა... ზაფხულობით კი მთელ ღამეს ქუჩებში ატარებდა, ღია, ჩაბნელებულ ფანჯრებს რიდით შესცქეროდა, სიბნელეში მკაფიოდ აჟღრიალებული სხვისი საათის ხმას რომ გაიგონებდა, ფარანს გააქან-გამოაქანებდა და იძახდა: ღა-ამის ოთხი საათია და ყველაფერი რიგზეა-ა... მაგრამ რომელიღაც სარკმლიდან ქალის მოგუდული სლუკუნი ისმოდა, ალბათ, ბალიშში თუ ჩაერგო თავი და ისე ტიროდა, ხანდახან ყვირილი და ჭურჭლის მტვრევაც ატყდებოდა; სუსტად მოლიცლიცე სარკმლის მიღმა, ავადმყოფი ბავშვის საწოლთან ბოლთას სცემდა ვიღაც და წაგრძელებული აჩრდილი დროდადრო მთლიანად აეკრობოდა ფარდას; ვიღაც კვნესოდა, ლეპოლდინო კი, ღამის მატყუარა, შორეული ზარის აწკრიალებისთანავე თავის სილის საათს შეხედავდა, ტუჩებს მორკალულ ხელისგულებში გამოიმწყვდევდა და მორცხვად დაიძახებდა: ღა-ამის სამი საათია და ყველაფერი რიგზეაა... ხანდახან რომელიმე მთვრალი ჩამოივლიდა, თავჩაკიდებული, მოქანავე, ლეპოლდინო მახლობელ სახლს ამოეფარებოდა და ფარანს გრძელი ჩამოფლეთილი ხალათის ქვეშ მალავდა... მერე სიბნელით შეშინებული, რომელიმე ისეთი ქალი პაკაპუკით ჩაივლიდა, ლამაზ-ქალაქში გლახა ქალს რომ ეძახდნენ და კაცებს იმათთან ყოფნა ძალიან რომ უყვარდათ... ლეპოლდინო იმათაც ერიდებოდა, ფარანს არ მალავდა, მაგრამ თვალს კი აუცილებლად აარიდებდა... მერე თენდებოდა... ლამაზ-ქალაქი იმ მთელი თავისი ავ-კარგით მჟღავნდებოდა, ცისფერ-მოვარდისფრო სახლებიანი და ლეპოლდინო, შეციებული და მოთენთილი, მაინც ერთგვარი გამოუცნობი სიხარულით შესძახებდა: დი-ილის ექვსი საათია და ყველაფერი რიგზეაა-ა... და ქალაქგარეთ, თავის პატარა ფიცრულში მიდიოდა და მაშინ იძინებდა, სხვები რომ ზანტად იშმუშნებოდნენ და თვალს ახელდნენ...

„სადა ვარ“!

არტუროს ოთახი იყო.

მეორე დღე

არტუროს ოთახში იყო. დიდ, განიერ საწოლზე გაშოტილიყო, გაკვირვებულს, ახლაღა ეუცხოვა რბილი, ზამბარიანი საწოლი. ნებივრად გაიზმორა და შეკრთა; წამოიწია, ბალიშის ქვეშ შეაძვრინა ხელი და დამშვიდდა - ათივე იქ იყო. მერე შარვალს შეავლო თითები, ის ერთიც იქ ეგდო, ჯიბეში. კმაყოფილი იჯდა საწოლზე, სისხამი დილა მსუბუქად იწიწკნებოდა, ისევ დაწვა და მხრებზედაც დაიფარა საბანი. ოთახი მოათვალიერა, ჭერზე რაღაც ლაქა იყო, უყურა, უყურა და თითქოს ვიღაცის სახე ამოიცნო - ცხადად ჩანდა თვალები, წვერი, ცხვირი, ტუჩებიც შეიძლებოდა ასეთი ჰქონოდა, მოკუმული... ფანჯარას რაღაც მწერი გამეტებით მიეხალა და იქით მიიხედა, მერე ისევ შეაცქერდა ჭერს და იმ ლაქიდან ვეღარ გამოარჩია სახე, კარგახანს ეწვალა, ვერაფერს გახდა. „ღრუბელი ხომ არაა, შეცვლილიყო...“ გაიფიქრა და კვლავ ჯიუტად შეაცქერდა, მაგრამ სხვა ვერაფერი ამოიცნო, ერთი უთავბოლო ლაქის გარდა.

წამოდგომა უნდოდა, ვერ გაბედა - მასპინძლებს, ალბათ, ეძინათ, ჩამიჩუმი არ ისმოდა. არადა, მობეზრდა წოლა. უცხო ნივთებს ათვალიერებდა, სოფელში არსად ენახა ასეთი სკამი, კოხტა მაგიდა, ვერცხლის ლამაზი ფიალა გამოსაჩენ ადგილას იდო... იატაკი წითლად ლაპლაპებდა, აღარ შეეძლო ასე გასუსულს წოლა...

ესეც ბავშვობისდროინდელი თამაში იყო - წვიმიან დღეს, როცა კოჭლი ყმა ეზოში სათამაშოდ არ უშვებდა, ფანჯრის რაფაზე მოკალათდებოდა და ატალახებულ ეზოს შუშის მიღმა გასცქეროდა. და როცა ერთხელ ძალიან დაწყდა გული, იყურა, იყურა, ცრემლები მოიწმინდა და გამოსავალი იპოვნა - თითქოს ეზოში დააბიჯებდა, გუბეებში ფეხებს აბათქუნებდა, და, რაფაზე წამოსკუპებული, აღტაცებული შესცქეროდა ნანატრ ორეულს, ვის ფეხქვეშაც ტალახი ჭყაპუნებდა. ახლაც, წამოწოლილი, ვითომ წამოდგა, თამამი ბრახუნით მოიარა ოთახი, ყვირილი მოუნდა - დაიყვირა, მაგიდაზე ახტა, ჭერზეც კი გაიარა თავქვედაკიდებულმა და უცებ ლაქიდან კუშტად გამომზირალი სახე დაინახა. დაიბნა და ისევ დაჟინებით მიაჩერდა, მაშინვე გაქრა თვალებიცა და ცხვირიც, წვერი, მოკუმული ტუჩები... არა, აღარ შეეძლო წოლა, წამოდგა და ფეხშიშველა მივიდა კართან, ფრთხილად მიაყურა, ხმაური მოესმა, ჭუჭრუტანაში გაიხედა - არტურო სულგანაბული იდგა და კარს მისჩერებოდა, აიღო და ჩაახველა.

- გაიღვიძეთ, სენიორ? - ხმადაბლა იკითხა არტურომ.

დომენიკო ლოგინში შეხტა და გასძახა:

- დიახ, რა ხანია...

- მე კი ფეხის წვერებზე დავიარებოდი, რომ არ გამეღვიძებინეთ, - მხიარულად დაიყვირა არტურომ, როგორც კი კარი შეაღო, - როგორ გეძინათ, მშვენივრად, არა? საუზმე ლოგინში მოგართვათ, თუ...

- არა, არა, - აწითლდა დომენიკო, - ავად კი არა ვარ.

- თქვენი ნებაა, სრულიად თქვენი, ჩემო ახალგაზრდა, საუცხოო სენიორ, - თავი დაუკრა არტურომ, გაღიმებული შეაცქერდა და დომენიკომ შარვალ-ხალათი რომ ჩაიცვა და დაგლეჯილ ქალამანში ჩაყო ფეხი, პირზე შეაცივდა ღიმილი.

დომენიკომ შეხედა და არტურომ თუმცა მაშინვე თვალი აარიდა, ყველაფერს მიხვდა.

- აქ, ამ ქალაქში... - ჩუმად თქვა დომენიკომ, - ტანსაცმლის შოვნა თუ შეიძლება.

- აჰ, როგორ არა, - გამოცოცხლდა არტურო, - დრაჰკანები კიდევ თუ გაქვთ, ტანსაცმელს კი არა, ჩიტის რძის მაწონს გიშოვნით...

- რამდენი ეყოფა...

- საშუალო ტანსაცმელს ერთი ცალი თავისუფლად ეყოფა, აი, როგორიც ყოველ წესიერ მოქალაქეს აცვია, ისეთს... და კიდევ ორსაც თუ მომცემთ, იმისთანა ტანსაცმელს მოგართმევ, ბრმამაც თვალი გაგაყოლოს.

- არა, ეგეთი არ მინდა, - თავი გაიქნია დომენიკომ, - ახლავე ჩამოვალ, სად ვისაუზმებთ?

- თუ გინდათ, ქვემოთ. გნებავთ, აქ ამოვიტან...

- არა, ჩამოვალ.

არტურო რომ გავიდა, ბალიშის ქვეშ შეაცურა ხელი, ფული ჯიბეში ჩაიჩხრიალა. აივანზე გავიდა და, თვალმოჭუტულმა, ლამაზ-ქალაქს გახედა - მზიანი დილა იდგა, დაღმართში, რაკარუკით მიგორავდა ლანდო. კიბე ჩაიარა, ოთახში შევიდა და ქათქათა სუფრაზე კოხტად გაწყობილი ჭურჭლის დანახვა ესიამოვნა.

- ოო, მობრძანდით? ეს ჩემი ცოლია, ეულალია.

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, - თქვა ქალმა, გრძელ კაბაზე ხელები წაივლო, ოდნავ გაშალა და წამით მსუბუქად ჩაიმუხლა.

- გამარჯობათ, - თქვა დომენიკომ.

ქალი შეცბა. არტუროს შეხედა და მერე ოთახიდან ამაყად თავაწეული გავიდა.

- არა უშავს, არა უშავს, სენიორ, - სკამი გამოსწია არტურომ, - დაბრძანდით. თქვენ ალბათ, არ იცოდით, არა უშავს...

- რა არ ვიცოდი...

- არაფერია, არაფერი, ჰე, ეს წვრილმანები... არცა ღირს სალაპარაკოდ, რა სათქმელია.

- რა წვრილმანები...

- აი, ქალი რომ მოგესალმებათ, სამაგიეროდ, ქუსლი ქუსლზე უნდა მიაბაკუნოთ და თავი დაუკრათ, არაფერია, არაფერი...

დომენიკო აირია.

- მე... მე არ ვიცოდი.

- ვიცი, სენიორ, ვიცი... არა უშავს, სხვა დროს, როგორმე...

- ახლავე მივალ და... როგორ უნდა?

- აიი - ასე. არა, ახლა ნუ გახვალთ, დაბრძანდით... აგერ, კარაქი წაისვით, ყველი, თაფლი... კვერცხი მაგრად მოხარშული გირჩევნიათ თუ თოხლო?

- სულ ერთია.

- მაშ ორივენაირი მიირთვით. აი, აქ ჩადეთ, საგანგებოდ კვერცხისთვისაა, ხელი დაკავებული რომ არ გქონდეთ... - და მოულოდნელად ძალიან ხმამაღლა დაამღერა: - ში-იმშილობისას რად გინდა ოოქრო და ვეეერცხლი! - მაღლა ასწია ხელი, - უფრო საჭიროა მო-ოხარშული კვეეერცხი, - ღრმად შეისუნთქა და მაღალ ბგერაზე დასჭექა. - ااا!!!

დომენიკო გაოცებული შეჰყურებდა, არტურომ კი, თითქოს არაფერიო, ხელი მაგიდისკენ გაიშვირა, - აგერ, თბილი რძეც აქაა... მიირთვით, მიირთვით, ეჭვი არ მეპარება, რომ ფასზე აუცილებლად მოვრიგდებით, წინასწარ არცაა საჭირო, ფულზე

საუბარი მადას აფუჭებს... ინებეთ, კოვზი. ეეჰ, ახალგაზრდობაში მართლაც კარგი რამ ხმა მქონდა.

მადაწამხდარმა დომენიკომ პურზე ყველი დაადო და ძალისძალით ჩაკბიჩა, მაგრამ ეუგემურა - პური თხლად იყო დაჭრილი, სოფელში გემრიელად მოტეხილ ყუას სხვა ფასი ჰქონდა.

- ხელ-პირის დაბანა სად შეიძლება?

- აჰ, უჭკუო ყეყეჩი, - თავზე ხელი შემოირტყა არტურომ, - რამ გამომაშტერა, მობრძანდით, მობრძანდით, აგერ, აი, თუ გნებავთ, ისიც... ხოლო ეს ჩემი ვაჟია, ჯანჯაკომო, შეხედეთ, რა კარგად ვზრდი, ხომ ხედავთ როგორი წითელი ლოყები აქვს, ხომ ხედავთ? მაგრამ საჭმელში, ეჰ, იმდენი ფული მიდის, ეჰ...

ოთახში რომ შებრუნდნენ, დომენიკო მაგიდას მიუჯდა, არტურომ კი თქვა:

- და თუ გნებავთ, სენიორ, ორი დრაჰკანი მომეცით და, სანამ ისაუზმებთ, ტანსაცმელს მოგართმევთ.

დომენიკო უკან გადაიხარა, სკამის ზურგს მიებჯინა, მარჯვენა ფეხი გაშალა და ჯიბეში ჩაიყო ხელი.

- ახლავე, ახლავე, ზომას აგიღებთ, - თქვა არტურომ და ჭრელი ყუთიდან კანაფის გორგალი ამოაძვრინა, - აქვე ცხოვრობს, გადავირბენ და წამში გადმოვიტან, ოღონდ ერთი წუთით წამოდექით...

კანაფი კისერზე მიადო, კოჭებამდე დაუშვა, განასკვა, მერე წელი გაუზომა, მკერდიც, ისევ განასკვა და ხელისგული აჩვენა, - ახლავე მოგიტანთ, სენიორ, უჰ, ფეხის ზომა გადამავიწყდა...

ამ დროს კარში იმ კაცმა შემოყო თავი, ხორცს თვალცრემლიანი რომ წვავდა.

- წავიდე, გავაღო? - ჰკითხა არტუროს.

- აბა რა უნდა ქნა!! - ისე დასჭექა არტურომ, დომენიკო შეკრთა, - აბა რა უნდა ქნა, შე ვირო, შენ!

არტუროს კრძალვით შეაცქერდა დომენიკო - სულ სხვა კაცად იქცა მასპინძელი... და რომ მოიბუზა, არტურო მისკენ შეტრიალდა, გაუღიმა და ნაზად ჰკითხა, - ესე იგი, ორდრაჰკანიანი, არა?

- კი, - თავი დაუქნია დომენიკომ, - ორი ეყოფა?

- რა თქმა უნდა, ახლავე მოვიტან, როგორ არ ეყოფა... - და გაიხუმრა, - არ ეყოფა რა, განა თავისი ნებაა?

ლამაზ-ქალაქში კოხტა, წვეტიანსახურავებიანი სახლები იდგა, ცისფერი, ვარდისფერი... მზიანი დღე იყო, ოდნავ გამჭვირვალე კაბაში გამოწყობილი ქალები ფერადი, მსუბუქი ქოლგებით დასეირნობდნენ, ხელიხელგაყრილნი, ზოგს თეთრებში ჩაცმული ბავშვისთვის ხელი ჩაეჭიდა. ქუჩაში კაცები იდგნენ, კედელს მიყუდებულნი, ზანტად ათვალიერებდნენ ქალებს, ქვაფენილზე მწვანილით სავსე ურიკას მიაგორებდა გრძელხალათიანი კაცი, და მწვანე ხახვისა და ქინძის დანახვაზე დომენიკოს გული მოეცა... ქუჩაზე გადმოკიდებულ კოპწია აივანზე სქელი დედაკაცი ჩექმას წმენდდა და თან ღიღინებდა. ყოველ კართან ენიანი ზარი ეკიდა, გამვლელები ხანდახან ფეხს შეიწმენდნენ კართან დაგებულ ტილოზე და რეკავდნენ. კეფაზე ქუდმოგდებული, შემთვრალი კაცი შუა ქუჩაში იდგა და რაღაც პრიალა, სიმებიან საკრავს საამოდ აჟღარუნებდა, ნიავზე სუსტად შრიალებდა აივნიდან გადმოფენილი სარეცხი; მშვენიერ ქალს, მაღალვარცხნილობიანს, აივნიდან ვარდი ესროლა ვიღაც წელსზემოთ შიშველმა, გაბანჯგვლულმა კაცმა, იმან კი, ამაყმა, ზედაც არ დახედა ყვავილს, თავისი გზა ისე განაგრძო, კაცმა მოიწყინა, ნაღვლიანად დაამთნარა და ჩაფიქრებულმა მოიფხანა მკერდი. ჭრელ ღობეებზე ტირიფის ტოტები გადმოფენილიყო, დიდი აუზის შუაგულში ქვის ლომი იდგა, ცისკენ თავაშვერილი და ხახიდან ღმუილის ნაცვლად შადრევნად ჩქეფდა წყალი. წითელკაბიან ქალს თოკზე გამობმული შავი, ხუჭუჭა ძაღლი მიუძღოდა, შორს მდინარე ჩანდა, აბრჭყვიალებული...

- მოგწონს? - ჰკითხა ტულიომ.

- რა...

- ჩვენი ქალაქი.

- ძალიან, კი.

აუზის კიდეზე ჯუზეპე ჩამომჯდარიყო, თავი ჩაეკიდა და, ალბათ, რაღაცას ფიქრობდა, რადგან ძალიან დაჰბეროდა კუნთები.

- შშ, - ტუჩებზე თითი მიიდო ტულიომ და წასჩურულა, - ჩუმად, გავეცალოთ, მაგისი თავი არა მაქვს...

ფეხაკრეფით გასცდნენ და უეცრად შემოესმათ:

- ოო, ხომ გიპოვნე, ხომ ჩამივარდი ხელთ!

ჯუზეპეს თხუთმეტიოდე წლის ბიჭი დასდგომოდა თავს, ხელში მოკლე ჯოხი მოემარჯვებინა. იქვე შეშინებული მოხუცი ქალი იდგა.

- ვინაა, - გაოცდა დომენიკო.

- ახალგაზრდა გიჟია, უგო, - ჩაიქირქილა ტულიომ, - ჯუზეპეს აცოფებს ხოლმე.

ბიჭი ლაპარაკისას ხელებს ამპარტავნად შლიდა, ტუჩებს წამდაუწუმ ენით ილოკავდა. ძალიან მსუქანიც არ იყო, მაგრამ საოცრად ფომფლო ხორცი ჰქონდა, სახით ორმოცდაათი წლის ძალიან ლამაზ ქალს ჰგავდა, მაგრამ იმ ხნის ბიჭისთვის საზარელი იყო ასეთი სილამაზე, დიდი, ირიბი, ნაცრისფერი, გაოცებამდე მშვენიერი თვალები ჰქონდა, მაგრამ ხანდახან მზერა გაუშტერდებოდა და ბინდნარევი ყინული ჩაუდგებოდა თვალებში, მერე კი ნაცრისფერი, ბრჭყვიალა თევზი თითქოს კუდს ზანტად მოიქნევდა და თვალის გუგიდან რომ ვეღარ გამოაღწევდა, გამწარებული აფართხალდებოდა.

- აჰაა, - იძახდა ახალგაზრდა გიჟი, უგო, - ხომ ჩამივარდი ხელთ? - და ნეტარებისაგან თვალებს მაგრად ხუჭავდა, - ახლავე ანდერძს აგიგებ, აბა, რა გეგონა - დამემალებოდი, გადამეკარგებოდი?

- გადი აქედან, შე ლაწირაკო...

- აჰაა, დიდედა, ხომ გესმის, ხომ გესმის, ნუთუ ამ სიტყვების შემდეგაც არ დაიმსახურა სიკვდილი? ნუთუ არაა ღირსი, ბეჭებშუა რომ ჩავცე ალესილი დანა...

- გაათრიე აქედან ეგ წვინტლიანი, თორემ წიხლით შევდგები...

- რას გვემუქრები, შვილო, - საბრალობლად თქვა მოხუცმა ქალმა, - ხომ იცი, როგორიცაა...

- არაფერი არ ვიცი მე!.. თუ არაა ხალხში გამოსაყვანი, დაგემწყვდიათ და ის იქნებოდა...

- რა ვიცი, ზოგს სულაც არ ერჩის, შენს დანახვაზე გადაირევა ხოლმე...

- ჩემს დანახვაზე, კი! ყველასთან ასე არაა? იმ დღეს ცილიოსაც ასე არ ეუბნებოდა?

- შენს ნაწლავებში ქარქაში მეგულება, ჯუზეპე, და ამ კამორულ ბებუთსაც ნელა, დინჯად შევაცურებ ქარქაშში, ნეტავ, მაშინაც ასეთი მრისხანე თუ იქნები, მუცელზე ხელებს რომ იტაცებ და ორად მოიკეცები, ჯუზეპე...

- გადი აქედან, შე ჩვარო... მაგ ხის დანით, არა?

- შენ არხეინად იყავი, ნამდვილ დანასაც გიშოვნი, - ტუჩები აილოკა ბიჭმა, - მერე ბევრი აღარაფერი დამჭირდება - ერთი ხელის მოქნევა მხოლოდ... და ყელზე ღონიერი თითების წაჭერას იგრძნობ, დიდი ძარღვი დაგებერება, და ელდანაცემი, ხახაგამშრალი, პირში ნერწყვს ვეღარ მოიძებნი, მერე კი დიადი, ტკივილის ალმური მოგედება და უდღეურ ღელესავით დაგწრეტს, ჯუზეპე...

- ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ძალიან გთხოვთ...

- მაგისი არ მეშინია მე! არ მეშინია!.. მაგრამ რაღაცა აბდაუბდა სიზმრებს ვხედავ და თავიდან მომწყდი, თორემ იქით მოგკლავ, იცოდე!

- კარგად დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები, ჯუზეპე, სულ ასეთი დანა კი არ მექნება...

- ბავშვია, აპატიეთ, სენიორ ჯუზეპე...

- და თუ გამთენიისას - ღამის გარდაცვალების ჟამს - გამთენიისას, - ამაყად გაიმართა ბიჭი, - პირქვე არხეინად გაწოლილი და დილის საამო ძილს მიცემული, კისერში საშინელ ტკივილს იგრძნობ და შიშისგან წაგრძელებული ყოველი სისხლის წვეთი ხეში ჩასობილი ისარივით აგითრთოლდება, სანამ საბოლოოდ დაკარგავ გონებას, თუ გინდა რომ არ შეცდე, გაიფიქრე რომ ეს მე ვარ, მე, უგო, ჯუზეპე...

დაბალი, ფერადი მაგიდები პირდაპირ ქუჩაში იდგა, ბამბუკის მაღალზურგიანი სავარძლები სუსტად ბზინავდა. ტანადი, სახელოებდაკაპიწებული ქალი მხრით კედელს მიჰყრდნობოდა და, თვალმოჭუტული, ოდნავ მომღიმარე, გამვლელებს შესცქეროდა - მზის სხივი ურტყამდა სახეში.

- რას დალევ? - ჰკითხა ტულიომ, - ყველაფერი აქვს.

- რა ვიცი... ჯერ არ მწყურია და...

- დალევას მოწყურება რად უნდა, - გაიღიმა ტულიომ, - ხომ არ უნდა?

- არა.

- მაშინ, დავსხდეთ, ნახე რა ქვრივია...

ტულიომ ფეხი არხეინად გადაიდო ფეხზე, დომენიკო დაძაბული იჯდა. ქალი რაღაცნაირი ლამაზი ბიძგით მოსცილდა კედელს და შიშველი მკლავების დიდებული რხევით წამოვიდა. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ოდნავ გვერდზე იზნიქებოდა და საოცრად რბილი, საამო ხაზი ჩამოსდევდა თავითფეხამდე. მაღალი მკერდი ჰქონდა და მკერდზე, ღილებთან გადასკდომამდე დაჭიმული კაბა. ნიავმა მაღალ, თეთრ ყელზე მბზინავი შავი თმა შემოახვია, დაუჯერებლად გრძელი თითებით თმა მოიცილა, თავი გაიქნია და ზურგს უკან გადაიყარა. ოღნავ მოიხარა, მაგიდას თითის წვერებით მსუბუქად დაეყრდნო, ამპარტავნად გაიღიმა და იკითხა:

- რას დალევ, ტულიო...

- ქაფქაფას. ახალია?

- გუშინდელი.

- ძალიან კარგი. ჯერ ორი მოგვიტანე... ხომ დალევ, დომენიკო?

- კი.

- რა ჰქვია? - დაინტერესდა ქალი.

- დომენიკო.

ქალი მოურიდებელი ღიმილით ათვალიერებდა. ტულიოსკენ არც მიუხედავს, ისე იკითხა:

- საიდანაა, აქაურია?

- ჯერ მეც არ ვიცი. სადაური ხარ, დომენიკო...

- სოფლიდან ჩამოვედი.

- ფერმკრთალი რომ ხარ? - ალერსით ჰკითხა ქალმა, თაფლივით სქლად გადმოეღვარა დაბალი, საამო ხმა.

დომენიკომ დუმილი ირჩია.

- ახლავე მოვალ, - თქვა ქალმა და შებრუნდა.

- მაღალი ჭიქები მოგვიტანე, ტერეზა, - მიაძახა ტულიომ.

ქალს არ გამოუხედავს, ისე დახარა თავი.

- მგონი, მოეწონე... ფუჰ!

- ჯუზეპე მოდის? - შეკრთა დომენიკო.

- იიჰ! ჯუზეპეზე უარესია.

- გამარჯობათ, - თქვა ედმონდომ, სკამი გამოსწია და დაჯდა.

კარგა ხანს ჩუმად იყვნენ. ტერეზამ მაღალი ჭიქები მოიტანა, მაგიდაზე დადგა. დომენიკოს გაუღიმა, შეაცბუნა და მერე ორი ბოთლი მოიტანა. ქარვისფერი სასმელი იყო, წყურვილის მომკლავი და მადისამშლელი. ახლადშემოსწრებული ედმონდო, თითქოს ჩაფიქრებული იჯდა, მაგრამ ფიქრისას ისე გამართულნი არ არიან ხოლმე. შავი თმა ჰქონდა, შავი წარბები, ძალიან გრძელი, მაგრამ სწორი წამწამები. დიდი დაცქვეტილი ყურები ყოველგვარი ჩურჩულის მოსასმენად მოემარჯვებინა; საკვირველი იყო, ყურებს რაღაცნაირად მეტი სიმკვირცხლე ეტყობოდა, ვიდრე მის შავად ამღვრეულ თვალებს. თუკი განზე გახედვას დააპირებდა, ჯერ თავს შეატრიალებდა. მზერა კი ისევ ძველ წერტილს ზანტად ებჯინებოდა, მერე კი, უკვე თავშეტრიალებული, თვალებს დუნედ გადააადგილებდა და მერეღა შეაცქერდებოდა იმას, რაც დააინტერესებდა. საშუალო ტანისა იყო, მაგრამ ახლა, რომ იჯდა, დომენიკოზე მაღალი ჩანდა - მოკლეფეხება იყო. სიარულისას ცდილობდა კოხტად ევლო, და ერთთავად იძაბებოდა. ახლა იჯდა, მაგრამ მაინც ისეთი დაძაბული იყო, ერთხანს დანარჩენებსაც გადაედოთ.

- შენც ხომ არ დალევ, ედმონდო? - უგულოდ იკითხა ტულიომ.

- მე კი.

- ერთი ჭიქაც, ტერეზა.

ისევ ჩუმად ისხდნენ, მერე ედმონდომ აღნიშნა:

- მარჯვენა ყური ძალიან მიხურს მე.

- ჰოო? - ყასიდად გაიკვირვა ტულიომ და სავარძელზე გადაწვა. - ალბათ ვიღაცა გჭორავს.

მართლა ჭორავდნენ. ქალაქგარეთ, ჭალაში წამოგორებული, თმაგაპრიალებული ცილიო სულელურად მომღიმარე ქალიშვილს ეუბნებოდა:

- ის შტერი ვეღარ მოვიცილე. დღესაც დილაადრიან მომადგა და გინდა თუ არა, ვიამხანაგოთო.

- რა კარგი დღეა, რა კარგი დღე... - იძახდა ქალიშვილი, - გინდა, ბალახებში ვირბინოთ?

- ყური რომ მიხურს, - დაინტერესდა აქეთ, ქალაქში, ედმონდო, - ესე იგი, მჭორავენ მე?

- რა ვიცი, ეგრე კი ამბობენ და... - თავი გაიქნია ტულიომ და ჭიქები შეავსო, - აბა, გაგვიმარჯოს...

ედმონდომ ორი მომცრო ყლუპი დიდის მღელვარებით შესვა და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

- არა სვამ?

- არა. საერთოდ სასმელს ვერიდები მე.

- რატომ ერიდები სასმელს... შენ? - ჰკითხა ტულიომ და თვალები გაუეშმაკდა.

- რა ვიცი... რა ვიცი მე.

- ესეც, ედმონდო, გაგიმარჯოს შენ, - თქვა ტულიომ და შესვა, - აუჰ, კარგია...

- მადლობელი ვარ მე.

- ვინ?

- მე.

- გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, - მოიწყინა ტულიომ და ცას ახედა, - ცხელა... უი, მართლა, ცილიო გეძებდა.

- როდის? - გამოცოცხლდა ედმონდო.

- ახლახანს ჩაიარა; ედმონდომ, აუცილებლად მნახოსო.

- მართლა? სადაა... - წამოდგა ედმონდო.

- ჭალაშია, გიცდის...

- დიდი ბოდიში, მაპატიეთ, კარგი იყო თქვენთან ყოფნა...

- კარგად იყავი, კარგად, შენ... - მიაძახა ტულიომ და გემრიელად ამოისუნთქა, - ძლივს არ მოვიცილე? - და უცებ ხარხარი აუტყდა, - ცილიო გაგიჟდება ნაღდად... ეგაა, ზეწარგადაფარებული რომ დახვდა...

„დროა, - გაიფიქრა ცილიომ, წამოჯდა და ჭალა მოათვალიერა, - დროა...“ და მხარზე დაადო ხელი.

- სასიამოვნო ამინდია, არა? - რაღაცნაირად ორაზროვნად იკითხა.

ქალმა უცებ ისე უადგილოდ გადაიკისკისა, ცილიოს გულმა რეჩხი უყო.

- აი, შენ ახლა იცინი, როზინა, - ნაღვლიანად წარმოთქვა ცილიომ, - შენ იცინი და, თუ იცი, რა არის ჟამთა მსვლელობა?

- არა, არა, რა საინტერესოა, ცილიო, მიამბე რა, მიამბე, შენ ისე კარგად ჰყვები...

- არის წელიწადში ოთხი დრო, - დაიწყო ცილიომ და წელზე მოხვია ხელი, გვერდიგვერდ ისხდნენ, - ზაფხული, შემოდგომა...

ყვითელი, შემჭკნარი ფოთოლი ზედ მაგიდაზე დაეცა, ტულიომ მსუბუქად გაჰკრა ხელი. მერე დომენიკოს შეხედა და თქვა:

- შუშხუნა თუ დაგილევია?

- არა.

- გინდა?

- რა ვიცი.

- ტერეზა, - გასძახა ტულიომ, - ორი შუშხუნა მოიტანე, ოღონდ თბილი არ იყოს, იმდღევანდელივით...

- და მერე, ცივი ზამთარი რომ გალღვება, მოდის გაზაფხული, - მგზნებარედ წარმოთქვა ჭალაში ცილიომ, - ასე ტრიალებს გრძელი ჟამთა სვლა, და წელიწადის ყოველი დრო კარგია, კარგი, ხომ კარგია?

- კი, - თქვა როზინამ, - ოღონდ ხელი აიღე.

- რატომ? - ლამაზად გაღიმებას შეეცადა ცილიო და საჩქაროდ დაეკითხა: - არ გაინტერესებს ამბავი?

- და ხელი რაღა შუაშია?

ცილიომ ხაზგასმული სევდით ჩაიცინა:

- ჰმ... ახლავე, აგიხსნი. ჟამთა მსვლელობა კარგია, ჩემო ტკბილო როზინა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამასთანვე დრო გადის. ვერც კი გავიგებთ, ისე მოგვიხტება ის გარდუვალი სიბერე და მერეღა მივხვდებით, რომ არასწორად ვიქცეოდით, როცა ვამბობდით: „ხელი აიღე!..“

- ჰა? - ჩაფიქრდა როზინა.

- ამან ცუდი სიმთვრალე ხომ არ იცის? - იკითხა ტერეზამ და ორი ბოთლი მაგიდაზე დადო.

- არა. ცუდი სიმთვრალე ხომ არ იცი, დომენიკო?

- არა.

- კარგი ბიჭი ჩანს, - გაიღიმა ტერეზამ, - ახალთახალი ტანსაცმელი აცვია, მაგრამ მწვანე რად უნდა, მაგას ლურჯი უფრო მოუხდებოდა.

- რატომ?

- ფერმკრთალია. რამდენი წლის ხარ?

- ცხრამეტის გავხდები.

- ჯერ სულ ბავშვია. დედამ მარტო როგორ გამოგიშვა?

- დედა არა მყავს.

- არა გყავს? - შეწუხდა ტერეზა და თავზე დაადო ხელი, - არ ვიცოდი, მაპატიე.

დომენიკო გასუსული იჯდა, გრძელი, მოქნილი თითები ელაგა თავზე.

- საბრალო ბიჭი, - ჩუმად თქვა ქალმა, - აბა, ვინა გყავს?

- მამა.

- ერთად ჩამოხვედით?

- არა, მარტო...

- აქ, ამ ქალაქში თუ გყავს ვინმე...

- აქ არა. არავინ.

- საბრალო ბიჭი, - თქვა ტერეზამ და თავზე გადაუსვა ხელი. მერე მეორე ხელი ნიკაპზე მოჰკიდა, თავი აუწია, თვალებში ჩახედა და ჰკითხა: - გინდა, გაკოცო? ოღონდ ლოყაზე...

- ხელი აიღე-მეთქი! - ხმა დაუწვრილდა როზინას, - არა გრცხვენია? მე კარგი ადამიანი მეგონე შენ, ცილიო...

- წავა, ეს შემოდგომაც წავა, - თქვა ცილიომ და გაიფიქრა, - „გათხოვილი ქალები გაცილებით უფრო შეგნებულები არიან...“ - ეს შემოდგომაც წავა და ზამთარი რომ მოვა, ისიც წავა, და მერე მოვა გაზაფხული, მჩქეფარე და ხასხასა, აფეთქებული, და ეს მინდორიც მოიფინება ფერადი, უსახელო-უსახელო ყვავილებით...

- უსახელო-უსახელო ყვავილებით? - დაინტერესდა როზინა.

- ჰო, ჩემო კარგო. შენ გიყვარს ისინი?

- კი. რა კარგად თქვი, - უსახელო-უსახელო ყვავილები?

- კი. მაგრამ ისინიც წავა.

- სად წავა? - შეშფოთდა როზინა და გაიფიქრა, - „რა კარგი ტუჩები აქვს...“

- ჟამთა მსვლელობაში წავა. ყველანი წავალთ და ახლა ერთი რამ უნდა გკითხო: ვერ მიტან? გეზიზღები?

- არა, რატომ. ნუთუ ჩვენ მართლა წავალთ, ა, ცილიო, მე არა მჯერა, არა, და არც მინდა მჯეროდეს...

- მაშინ, თუ არ გინდა გჯეროდეს, თვალები დახუჭე და აი, ნახავ, მუხთალი ჟამთა მსვლელობა თუ არ დატკბება...

- მაშინ ჯერ ცოტათი გამამხიარულე... შენ ისე დამაშინე, რომ...

- უსახელო-უსახელო ყვავილები... - სახე ახლოს მიუტანა ცილიომ და წელზე ფრთხილად შემოხვია ხელი.

- აჰ, კარგია, - თქვა როზინამ და თვალები დახუჭა.

იმან კი ჯერ ფრთხილად აკოცა. მერე ორივე ხელი შემოხვია და უფრო მაგრად აკოცა. როზინამაც შემოხვია ხელები კისერზე და ცილიომ მესამედაც რომ აკოცა, ზურგზე

თითების მსუბუქი კაკუნი იგრძნო. წაქეზებად ენიშნა და ისე ძალიან მაგრად აკოცა, რომ როზინამ ცალი თვალი გაახილა და უცებ საზარლად, წვრილი ხმით შეჰკივლა, თავი გაინთავისუფლა და იმ კაცის დასანახად, ზურგზე რომ უკაკუნებდა აღფრთოვანებულ ყმაწვილს, სწორედ იმ კაცის დასანახავად ცილიოს კარგა მაგარი სილა გააწნა. წამოხტა, გრძელი კაბა კოჭებს ზემოთ აიწია და უშნო ფართხაფურთხით გაიქცა. დაბნეული ცილიო კი შებრუნდა და ახლადმოსულს ისე მიაჩერდა, თითქოს პირველად ხედავდა.

არადა, ედმონდო იყო.

- მოგწონს შუშხუნა, დომენიკო?

- კი.

- მე არ მოგწონვარ? - ჰკითხა ქალმა და დოინჯი ლამაზად შემოიყარა.

დომენიკომ თავი ჩაღუნა.

- ჰეე, - გაიოცა ტულიომ, - რა ბედი გეწვია და პასუხსაც არ აძლევ? მთელი ქალაქი მაგას ვუტრიალებთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა.

- თქვენ აბეზრები ხართ, ეს კარგი ბიჭია.

- ცოტათი მორცხვია, მაგრამ არა უშავს. გუშინ ნასვამი იყო და გლახა ქალებში მაინც არ წამომყვა.

- მართლა? - კარგი ბიჭია-მეთქი, ხომ გეუბნებოდი. გლახა ქალებში კარგ ბიჭს რა უნდა. აბა, შემომხედე!..

ტერეზა ისევ დოინჯშემოყრილი იდგა, მზეზე თვალმოჭუტული, სუსტი ღიმილით ბაგეგაპობილი, დომენიკოს ზემოდან დასცქეროდა.

- აღარ მომეშვები, შე ვირო?

- მე... მე მითხრეს, რომ შენ მეძებდი მე.

- რა ჯანდაბად და ოხრობად მინდიხარ... რა გინდა ბოლოსდაბოლოს ჩემგან, რა! - შეჰყვირა ცილიომ, - რა გინდა!!

- ტულიომ მითხრა, ჭალაში გიცდისო.

- უ, მაგის... და შენც დაიჯერე, არა, შე ვირო?

- მე ვირი არა ვარ... - ხმადაბლა თქვა ედმონდომ და თავი რომ დახარა, დუნედ ამღვრეული მზერა ერთხანს ცილიოს სახეზე შერჩა, - მე ვირი არ ვარ... მე შენთან ამხანაგობა მინდა...

- შენი ამხანაგის და შენი...

ტერეზამ უცებ გადაიფიქრა:

- ეგ ბიჭი მომაცილე, ტულიო, მეშინია.

- მაგისი გეშინია, რატომ?

- რა ვიცი, ისე... - მართლა შეშფოთებული ჩანდა.

- გაგიჟდი, ტერეზა? ცუდი სიმთვრალე არ იცის და არაფერი...

- არა, მაგისი კი არ მეშინია.

- აბა?

ქალმა გაიღიმა, ისევ შეათვალიერა დომენიკო, შიშველ მკლავებზე სახელოები ნელა ჩამოიწია და იმ თავისი საამო ხმით ჩუმად თქვა:

- ჩემი თავის.

* * *

და დუილიო, როგორიც იყო, მოსაღამოვებულზე შინიდან გამოვიდა. დუილიო, ლამაზ-ქალაქელთაგან უსასიქადულესი მოვალეობის აღმსრულებელი - მოქალაქეთა მთავარი მრჩეველი - ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი, იღლიაში ამოჩრილი კოხტა ჯოხით, შინიდან გამოვიდა სწორედ ისეთი, როგორიც იყო. ჰო, მართლა, როგორი იყო? არა, მაინც რა უცნაურია - ნეტავ როგორი უნდა ყოფილიყო დუილიო? ოო, რთული ამბავია - ხომ შეიძლება ითქვას, რომ დუილიო იყო პატარა და სქელი, მაგრამ... არა, არა, ასე ხომ სასაცილო გამოვა, და სრულებითაც არაა საჭირო, დუილიო სასაცილო იყოს. და მაშინ რომ ვთქვათ, დაბალი და გამხდარი? - არა, მაშინ დუილიო პატარა გამოვა, და იოტისოდენაც არაა საჭირო, დუილიო პატარა რომ იყოს. და ბარეღამ რომ ვთქვათ, მაღალი და მსუქანი? - არა, მაშინ იგი შეიძლება დიდი გვეჩვენოს, და განა მხოლოდ გარეგნულად, არამედ გადატანითი მნიშვნელობითაც, რადგან ჩვენ ყველასა გვაქვს რაიმე დაფარულის აღმოჩენის წრიალა სურვილი, და ის რომ ითქვას, მაღალი და გამხდარი იყოო, ასეთი არ იყო და არც პატარა იყო და მით უმეტეს, არც საშუალო, და მაშინ, რანაირიღა იყო და როგორ გგონიათ, არსებობს კია

ისეთი სიტყვები, რომლებიც მაინც ზუსტად აგვიწერენ ქალაქის მეორე მოქალაქეს? რა თქმა უნდა, სიტყვები ყოველთვის არსებობენ. „როგორი იყო დუილიო?“ - „როგორიც იყო“ - აი, პასუხი. ყოველ შემთხვევაში, ზუსტი. ახლა კი მივყვეთ, თორემ საცაა, ქუჩის კუთხეს მიეფარება და ეძებე მერე. მაშ ასე, განვაგრძოთ - და დუილიო, როგორიც იყო, მოსაღამოვებულზე შინიდან გამოვიდა და მთავარ ქუჩას დინჯად გაუყვა. გამვლელები პატივისცემით ესალმებოდნენ, ქუდსაც უხდიდნენ, თუკი ეხურათ; ქალები თავაზიანად, მაგრამ რაღაცნაირად უგულისყუროდ უღიმოდნენ, დუილიო კი ირგვლივ მეგობრულ მზერას ურიგებდა ყველას, და მიდიოდა. ყვავილების გამყიდველთან შეჩერდა, იმან ალერსიანაღ ამოურჩია თეთრი ვარდები, დუილიომ ჯიბე მოიქექა და ასევე ალერსიანად გაუწოდა გროშებით მოფენილი ხელისგული, გამყიდველმა დოქში ჩააჩხრიალა ფული და ორი ვარდიც თავისი მხრიდან დაუმატა. დუილიომ მომხიბვლელი ღიმილით გადაუხადა მადლობა, გამყიდველმაც მადლობა უთხრა და აღტაცებული მზერა გააყოლა. ის კი, თეთრი ვარდებით ხელში, მამიდა არიადნას სახლისაკენ გაეშურა, სადაც ცელქი კონჩეტინას ხათრით სტუმრები დაეპატიჟებინათ - კონჩეტინაობა დღე იყო. ლამაზ-ქალაქში განა ბევრს ერქვა ეს სახელი, როზინაობა დღეს კი თითქმის ყველა ქეიფობდა - ზოგი სად, ზოგი სად... უამრავი როზინა იყო. ახლა კი, კონჩეტინაობა დღეს, მხოლოდ რჩეულნი თუ მოხვდებოდნენ სახელგანთქმული კარრასკოების ჩამომავლებთან, ძველებური ჭურჭლითა და ავეჯით მორთულ სასტუმრო ოთახში, სადაც მამიდა არიადნა უკანასკნელად ამოწმებდა დაპატიჟებულთა სიას იმის შიშით, რომ ვინმე ღირსეული მოქალაქე არ გამორჩენოდა და გაბოლილ სამზარეულოში წამდაუწუმ ამოწმებდა ჯერ შეუბრაწავ ვაშლის ნამცხვარს. სტუმართაგან არავინ ჩანდა, თუმცა ღამის დარაჯმა, ლეპოლდინომ, ახლახანს დაიძახა ნამძინარევი ხმით: „სა-აღამოს ცხრა საათია და ყველაფერი რიგზეა-ა“ - ლამაზ-ქალაქში უზრდელობად ითვლებოდა წვეულებაზე დროით მისვლა. მამიდა არიადნა ცოტათი შეფიქრიანდა კიდეც, მაგრამ მაშინვე გაისმა ზარის მხიარული რეკვა - კონჩეტინას მეგობრები, სილვია და როზინა, აი ის, ჭალაში რომ იყო, კისკისით შემოცვივდნენ ოთახში და ჯერ მამიდა არიადნას აკოცეს, მერე იმის ძმისწულს და მიხაკები ლამაზ ლარნაკებში გააწყვეს. საუბრობდნენ და თან კისკისებდნენ, ირწმუნებოდნენ, რომ ძალიან მოსწონთ კონჩეტინას ახალი, საგანგებოდ ამ დღისთვის შეკერილი ჟოლოსფერი კაბა, განსაკუთრებით სილვია მხიარულობდა, როზინა კი, აი ის, ჭალაში რომ იყო, ხანდახან ცოტათი შეფიქრიანდებოდა. მერე გაისმა ზარის დინჯი წკარუნი და შემოვიდა სენიორ ჯულიო, სიდარბაისლით ცნობილი ლამაზ-ქალაქელი, მამიდა არიადნას სიყრმის მეგობარი და მეზობელი, და გახარებულმა მამიდა არიადნამ ჯილდოდ ტუჩებთან მიუტანა ხელი. ის ღირსეულად ეამბორა მანდილოსნის ხელს, თუმცა, სიმართლე რომ

ითქვას, ზედ ბეჭედზე მოუვიდა კოცნა და რაღაც უგემური კვალი შერჩა ტუჩებზე. პატარა ხანში ანტონიო და მისი საყელოშებნეული სიძე ვინსენტეც მოვიდნენ, რომელმაც თავაზიანად გაიხმო გვერდზე მამიდა არიადნა და თავისი ახლადშეძენილი მეუღლის, მშვენიერი ჯულიას მობოდიშება დაბალის ხმით გადასცა - ახლადდაქორწინებული თურმე ცოტათი შეუძლოდ იყო და მამიდა არიადნას ასაკისდაშეუფერებელ, ეშმაკურ გამოხედვაზე აირია და თქვა, რომ არა, არა, ჯულია ნამდვილად გაციებულია. მერე ცელქი ხბოებივით შემოკუნტრუშდნენ კონჩეტინას კარგი ნაცნობები, სამი გოგონა, რომლებმაც ქალებთან კოცნა-კოცნითი მისალმების შემდეგ ანტონიოს შეხედეს, ერთმანეთს საოცრება გადაულაპარაკეს: ჩიესჩიტუჩიტუჩიციცჩიმოჩისუჩილა და სიცილისაგან კინაღამ გაიგუდნენ. ანტონიომ საბრალობლად გახედა ვინსენტეს, იმან კი ვითომ ვერაფერი შეამჩნია, ყელზე სადაფის ღილი შეიხსნა და ერთიანად გამოიცვალა. და ქუჩაში რომ გაისმა - „სა-აღამოს ათი საათია და ყველაფერი რიგზეა-ა“, შემოვიდა კაცი, რომელსაც წინა კბილები არა ჰქონდა და ამიტომ ისე იღიმებოდა, ტუჩებს არ აცილებდა ერთმანეთს, რაღაც უცნაურად, უგერგილოდ, ერთი სიტყვით, დახშულად იღიმებოდა, თუკი ამის აუცილებლობა შეიქმნებოდა. და ყველანი პატივისცემით აღიჭურვნენ, როცა ოთახში მოკლე-მოკლე, მაგრამ ძალიან მხნე ნაბიჯით შემოვიდა დუილიო, როგორიც იყო, და კონჩეტინას ვარდები გაუწოდა.

- აჰ, რა კარგი კონაა, - შესძახა კონჩეტინამ და ლარნაკისკენ გაიქცა.

- სალამი, დუილიო, - ნაზად უთხრა მამიდა არიადნამ და გაიბადრა, როცა საპატიო სტუმარი ხელზე ემთხვია, - ეს ძალიან კარგი კონა მოგიტანიათ, მე ძალიან მიყვარს ვარდების კონა.

- თქვენთვის ცოტაა ასეთი კონა, მე უნდა მომეტანა უფრო დიდი კონა.

- რას ამბობთ, დუილიო, რაღა უნდა იყოს ამაზე დიდი კონა.

- ნამდვილად, - ჩაურთო საყელოგაღეღილმა ვინსენტემ. ყაჩაღსა ჰგავდა.

მერე მოვიდა ცილიო და საჩუქრად წითელი მიხაკები მოიტანა. როზინა, აი ის, ჭალაში რომ იყო, გაწითლდა და სილვიასაკენ იქცია პირი, მაგრამ ის დაუფარავი აღტაცებით შეცქეროდა ცილიოს; როზინა გაბრაზდა და შემოსულს ჯიუტად მიაჩერდა, იმან კი პრიალა თმაზე ფაქიზად გადაისვა ხელი. მამიდა არიადნამ დიდის ზარ-ზეიმით შემოიტანა ვაშლის ნამცხვარი და გასაციებლად ფანჯარასთან დადო. მერე მაღალყელიანი, გამჭვირვალე სურები გააწყო მაგიდაზე, დინჯად მობაასე ჯულიოსა და დუილიოს გზადაგზა ეუბნებოდა: - ეს ალუბლის ნაყენია... აი ეს,

პიტნისა... ოო, აი ეს კი სურნელოვანი ატმისა, ძალიან მაგარი გახლავთ... ტკბილი წყალივით ისმევა, მაგრამ... - და ხმამაღლა შესძახა - ჩემო ახალგაზრდებო! თქვენს გასაგონად ვამბობ: - ნაყენის სმას სიფრთხილე მართებს...

სუფრას მხიარულად რომ შემოუსხდნენ და კონჩეტინას სადღეგრძელო ის-ის იყო უნდა შეესვათ, ზარი აწკარუნდა და ტულიო მოვიდა, ლამაზ-ქალაქელთა საყვარელი, ონავარი ახალგაზრდა კაცი; თვით გამოცდილი, მრავლისმომსწრე მამიდა არიადნას აზრით, ქალაქის პირველი სასიძო, და მოიყვანა ვიღაც მწვანე ტანსაცმელში გამოწყობილი მაღალი, ფერმკრთალი, გაუბედავი ყმაწვილი დომენიკო, რომელმაც ქუსლი ქუსლს უხერხულად მიარტყა და თავი დაუკრა ყველას. ტულიო აწითლებული იყო, „კარგია, არა, კარგი, შუშხუნა?“ - ეშმაკურად ჰკითხა ვინსენტემ, პასუხის მოლოდინში ოდნავ წინ გადაიხარა და ყური მიუშვირა, - ჰა?“„აბა რა... - მხიარულად თქვა ტულიომ, - შუშხუნასთანა სასმელს, ტყუილია, ვერაფერი შეედრება... - და სუფრას თვალი რომ მოავლო, დაამატა: - ალუბლის ნაყენის გარდა...“ „ოჰ, ტულიო, ტულიო შე ცელქო!“ - შესძახა მამიდა არიადნამ და ვარდისფერი მარაო მსუბუქად დაჰკრა მხარზე.

მერე კი, სად იყო, სად არა, ედმონდოც მოვიდა. დანაღვლიანებული მზერა წვალებით მოავლო ყველას და კონჩეტინას ცისფერ ქაღალდში საგულდაგულოდ გახვეული საჩუქარი - ლამბაქი და ფინჯანი მიართვა. „რატომ წუხდებოდით, ედმონდო, ვინ გითხრათ, რომ ვიკრიბებოდით, - თქვა კონჩეტინამ, ფანჯარაში გაიხედა და დაამატა, - ჩქარა ზამთარი მოვა.“ და ამ სიტყვების გაგონებისთანავე როზინამ მღელვარედ გაუღიმა ცილიოს, იმან კი ნაღვლიანად, მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა და ორჯერ მძიმედ დაუქნია თავი.

კონჩეტინას სადღეგრძელო დიდის ამბით შეისვა, რა არ უსურვეს - ყოველივე კარგი, დიდად ენაწყლიანობდნენ, მხოლოდ უკბილო კაცმა და იმ მწვანეტანსაცმლიანმა, დომენიკომ, თითო სიტყვა თქვეს - გაგიმარჯოთ... დალიეს მარად უბერებელი მამიდა არიადნას სადღეგრძელოც, რომელიც, სენიორ ჯულიოს სიტყვით, „მარადიული ახალგაზრდობის ნიშნით იყო ქვეყანაზე გაჩენილი“. ტულიომ კი გახედა ერთს, მეორეს, და მოიწყინა. ერთხანს მთქნარებაატეხილი დასცქეროდა ნამცხვრებსა და ყვავილებიან ლარნაკებს, მერე თვალები გაუბრწყინდა და ედმონდოს ხმადაბლა უთხრა:

- ცილიომ, ვაწყენინეო.

- ვის? - შეძლებისდაგვარად გამოცოცხლდა ედმონდო და სუფრას მზერა ააგლიჯა, - მე?

- ჰო. ქალთან რომ დამინახა, ვერ მოიცადაო? ახლა კი ძალიან დარდობს - აღელვებული ვიყავი, სახედარი ვუწოდეო.

- მართლა დარდობს? - იკითხა ედმონდომ და ნამცხვრის მივიწყებული ლუკმა, ჩაფიქრებისა გამო დიდხანს რომ ედო პირში, გადაყლაპა, - მართლა?

- მართლა. აბა, საიდან ვიცი?

- ჰოო. მართლა უთქვამს. მერე?

- მერე, თვითონ ძალიან დამორცხვებულია, ვერ გიბედავს... ისევ შენ მიდი და უთხარი, კარგი, ვიამხანაგოთ-თქო.

- როდის ვუთხრა?

- როდის და... როცა გინდა, დროს როგორც შეურჩევ, მაშინვე უთხარი. ანდა, ნიშანი მიეცი რაიმე...

- ჰოო, - კმაყოფილად გააგრძელა ედმონდომ, - მაშინვე ვეტყვი ან ნიშანს მივცემ... მე.

მერე შეისვა ლამაზ-ქალაქის სადღეგრძელო, წვეტიანსახურავებიანის, ცისფერ-მოვარდისფრო, სუროაყოლილი სახლებიანის, აუზიანის, კარგმოქალაქეებიანი, დუილიოიანი ქალაქის სადღეგრძელო, რომელიც, როგორც სადღეგრძელოებიდან გამოირკვა, ყველას უყვარდა. ოდნავ შეთვრნენ, როცა დუილიომ აიღო სიტყვა და პიტნის ნაყენით ქალაქის ყველა მკვიდრი ადღეგრძელა, დაწყებული, რა თქმა უნდა, სხვა ქალაქში მცხოვრებ მარშალ ბეტანკურით, და ადღეგრძელა ლამაზ-ქალაქის „ყოველი მკვიდრი“, სიკეთე და ჯანმრთელობა უსურვა დიდ-პატარას, ყველას, სუყველას და, როგორც ხაზგასმით აღნიშნა, „ალექსანდროსაც კი“. ალექსანდროს ხსენებამ ერთობ დიდი ჟრიამული გამოიწვია, დუილიო კი, მომცრო ჭიქით ხელში, ამაყად იდგა.

- ეგ ალექსანდრო ვიღაა? - ჰკითხა ტულიოს დომენიკომ.

- არ იცი? ოო, ეგ გიჟი ქადაგია, სულ ორი გიჟი გვყავს - ეგა და უგო. ქადაგი ხომ იცი, რასაც ნიშნავს?

- კი. ქადაგად დავარდაო, რომ იტყვიან... არა?

- ჰო, - თქვა ტულიომ და გაახსენდა, - არა, როგორ მოეწონე ტერეზას, ა? ეგეთი ქალი ხელიდან არ უნდა გაუშვა, ნაღდად მოეწონე, - და წამოდგა, - ეს გაუმარჯოს...

მერე ფანტობანა ითამაშეს. დუილიოს პრიალა, მაღალ ქუდში ყველამ ჩაყარა თავისი ფანტი, ანუ, უბრალოდ, რაიმე მომცრო ნივთი. მამიდა არიადნამ საგვარეულო ბეჭედი ჩააგდო, დარბაისელმა სენიორ ჯულიომ - ორგროშიანი, ცელქმა კონჩეტინამ - ვარდის ფოთოლი, ტულიომ მედალიონი შეიხსნა, დუილიომ - თავისი სახლის უზარმაზარი გასაღები, როზინამ კოხტა, ბრჭყვიალა სავარცხელი, მხიარულმა ქალიშვილებმა მიხაკს ღერო მოაწიწკნეს, ედმონდომ დიდი ყავისფერი ღილი, ცილიომ ვერცხლის ძეწკვი, და სხვა, და სხვა, და მწვანეტანსაცმლიანმა ოდნავ დაბნეულმა ახალგაზრდა კაცმა, ვერაფერი რომ ვეღარ მოიფიქრა, ჯიბიდან დრაჰკანი ამოიღო და ჩააგდო, რითაც ყველას შურნარევი პატივისცემა გამოიწვია.

ცილიომ დრო იხელთა, როზინას ზურგსუკან ამოუდგა და ჩასჩურჩულა: „რად გამიჯავრდი, პატარავ? და პასუხის მოლოდინში ფრთხილად მოავლო თვალი ყველას... ედმონდო შესცქეროდა! ნირწამხდარი ცილიო როზინას მოსცილდა და ისევ შეხედა ედმონდოს, იმან კი, შერიგების ნიშნად, მძიმედ დაუქნია თავი... პირველი, რაც წარმოიდგინა ცილიომ, იყო წებოვანი ვაშლის ნამცხვარი, ედმონდოს ცხვირ-პირზე მთელი ძალღონით მიჭყლეტილი, მაგრამ... არა, არა, სახელგანთქმული კარრასკოების ჩამომავალთა ოჯახში არ შეიძლებოდა ჩხუბისა და აყალ-მაყალის ატეხვა. არადა, რა ექნა! ისევ შეხედა ედმონდოს და იმან ისევ მძიმედ, შემრიგებლურად დაუქნია თავი. გაცოფებულმა, ზურგი შეაქცია, სხვაგვარად შეუძლებელი იყო თავშეკავება, აცახცახებული თითებით ცხვირსახოცი ამოაძვრინა ჯიბიდან და, ისე ღონივრად ჩამოისვა, კინაღამ სახე გადაიყვლიფა.

ამასობაში სავარძელში კოხტად მოკალათებული მამიდა არიადნას მუხლებზე შუბლი ჩამოდო დაჩოქილმა ტულიომ, მამიდა არიადნამ ფანტებიანი ქუდი მსუბუქად დააბჯინა კეფაზე, ხელი დაადო პირველსავე ფანტს და საზეიმოდ იკითხა: - აამის პატრონმაა, რა ქნას?

- მაგის პატრონმა, - წამოიძახა თვალდახუჭულმა ტულიომ, - ლექსი თქვას.

ფანტი ერთ-ერთი მხიარული ქალიშვილისა აღმოჩნდა. იმას ბევრი აღარ უფიქრია, თავისი საყვარელი ლექსი თქვა, რომელშიც ერია სიტყვები „თვალებზე," „რული," „მწვავს," „სიყვარული," „ტანჯვა" „კრული" და თავდებოდა გამოთქმით „მუდამ შენია ეს ჩემი გული."

ლექსმა ტაშისცემა დაიმსახურა. მამიდა არიადნამ თითით მიიხმო მხიარული ქალიშვილი და ნიკაპზე ხელი მოუთათუნა; მერე სენიორ ჯულიოს გახედა და თქვა:

- კარგი გოგონაა.

ცილიო კი ისევ ზურგს უკან ამოუდგა როზინას, გადაიხარა და ხმადაბლა უთხრა:

- მოგეწონა ლექსი?

მაგრამ როზინას არ უპასუხია, მხოლოდ თავის ნერვიული, მკვეთრი მოძრაობით თმა შეისწორა.

- რა იყო, პატარავ... ხომ არავინ... - და გაშრა - ედმონდომ შორიდან ისევ მრავლისმეტყველად დაუქნია თავი.

- აბა-აბა, ტულიო, ამის პატრონმა რა ქნას? - მოჩვენებითი სიცბიერით დაეკითხა მამიდა არიადნა.

მაგის პატრონმა ხუთი დიდი ჭიქა წყალი დალიოს, - თქვა ტულიომ და მაშინვე სიცილმა იფეთქა: - ფანტი თვით ტულიოსი აღმოჩნდა. „ოო, ოოო, - შესძახა ერთბაშად გამხიარულებულმა ვინსენტემ და დოქი მოურბენინა, - აბაა, ყმაწვილო.“

ტულიომ ორი ჭიქა ისე შესვა, იხტიბარი არ გაუტეხავს - „მაინც მწყუროდა...“ მესამე ჭიქის დაცლამდე ყლაპვისას ცოტათი შეფიქრიანდა, მეოთხე ჭიქის მიყუდებამდე კი ქოშინით თქვა: „ჰმ, ჩემი ენა რა ვთქვი...“ - რამაც საერთო მხიარულება გამოიწვია. მერე ტულიომ დამსწრე საზოგადოებას სთხოვა, მეხუთე ჭიქის გამოცლა პატარა ხანს ედროვებინათ, ცალ მუხლზე დაჩოქება გაუჭირდა და თავი ძლივს დაადო მამიდა არიადნას მუხლს, რომელიც მაშინვე გამომწვევად დაეკითხა:

- დაა, ამ ფანტიის, პატრონმაა... რა ქნას?

- მაგ ფანტის პატრონმა... - შეფიქრიანდა ტულიო, გაბრაზებული იყო, - მაგ ფანტის პატრონი სკამზე აძვრეს და სამჯერ დაიყვიროს: „ვირი ვარ და ვყვირივარ...“

- ოოჰ, შენ რა გითხარი, - მარაო მსუბუქად დაჰკრა მამიდა არიადნამ, - ვისია? გადამავიწყდა...

ორგროშიანი სენიორ ჯულიოსი აღმოჩნდა.

- ოჰ, არა, არა, - ხელი გაასავსავა შემცბარმა ტულიომ, თუმცა ცოტათი ეშმაკურად კი ეღიმებოდა. - თქვენ როგორ გაკადრებთ ამის თქმას, აჰ, არა, არა, ცოცხალი თავით...

- თამაში თამაშია, - ღირსეულად წარმოთქვა სენიორ ჯულიომ, - რადგან აგყევით, ახალგაზრდებს, კიდევაც უნდა ვაგო პასუხი.

- ეგ ხომ პასუხი არაა - მაგის დაძახება. - წაეშველა ტულიოს კონჩეტინა.

- სწორედაც რომ მაგ თამაშის პასუხია, - ბუნდოვანი ორაზროვანებით წარმოთქვა სენიორ ჯულიომ. ნაწყენი ჩანდა.

- მაშინ ერთხელ თქვით, ბიძია ჯულიო, - ხალისიანად შესთავაზა ტულიომ. - სამჯერ რა საჭიროა...

- აგრე იყოს, - დაეთანხმა ჯულიო და სკამზე ფრთხილად შედგა, - ერთხელ ვიტყვი.

და სამარისებურ სიჩუმეში სენიორ ჯულიომ დინჯად, ამაყად თქვა:

- სახედარი ვარ... და ვყვირივარ.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

„ღა-ამის თერთმეტი საათია და ყველაფერი რიგზეა-ა“, - მოისმა შორიდან.

- აბა, აბა, განვაგრძოთ, - ხალისიანად შესძახა მამიდა არიადნამ - ამ ფანტის პატრონმა... არ გამოიხედო, შე ეშმაკო... რა ქნას?

- მაგის პატრონი... მაგის პატრონი მაგიდის ქვეშ გაძვრეს.

დრაჰკანიანი იყო. მწვანეტანსაცმლიანმა უმწეოდ შეხედა ყველას, მერე მუხლებზე დადგა, მოიკეცა და მაგიდის მეორე მხარეს რომ ამოყო თავი, დიდი მხიარულება შეიქმნა - ოო, ოოო...

- და ამის პატრონმა რაღა ქნას? - ძველებურად, ცბიერადვე დაეკითხა მამიდა არიადნა, - ნუ იყურები-მეთქი, ახლავე დახუჭე თვალები!

- მაგ ფანტის პატრონმაა...

- აჰ, შეიცადე, შეიცადე, სდექ, ეს ხომ პატივცემული დუილიოს ფანტია, ხომ თქვენია, მითხარით, მითხარით, მიპასუხეთ რაა...

- დავუშვათ, დავუშვათ, - გაიბადრა დუილიო.

- ჰოდა, - მამიდა არიადნა ისე სწრაფად წამოდგა, ტულიომ კინაღამ ბრაგვანი მოადინა, - პატივცემულმა დუილიომ რაიმე ამბავი უნდა გვიამბოს...

- ნამდვილად, ნამდვილად, - შესძახეს მხიარულმა ქალიშვილებმა.

- კი, მაგრამ... ასე როგორ, - ოდნავ გაჭირვეულდა დუილიო, - ასე საგანგებოდ... უფანტოდ.

- თქვენ ფანტი რად გინდათ, თქვენ ისეთი არაჩვეულებრივი ამბები იცით...

- გვიამბეთ, გვიამბეთ, დუილიო, - ღირსეულად წარმოთქვა სენიორ ჯულიომ, - თქვენ ისე შესანიშნავად ჰყვებით...

- კი მაგრამ, ყველა თანახმაა? - იკითხა დუილიომ და მუჭში საგანგებოდ ჩაახველა.

- ყველანი, ყველანი თანახმანი ვართ - შესძახა მკერდზე ხელებმიხუტებულმა მამიდა არიადნამ, - ოღონდ რაიმე ისეთი, თვალზე ცრემლი რომ მოგვადგეს...

- უბედური შემთხვევა? - გაიკვირვა დუილიომ, - ასეთ საზეიმო ვითარებაში? აჰ, არა, არა...

- აჰ, არა, არა, - ხელები გაასავსავა მამიდა არიადნამაც, - რაიმე კეთილშობილური - ისიც ხომ ცრემლს გვგვრის... სიხარულისას.

- სწორია, სწორია, - წარმოთქვა ჩაფიქრებულმა დუილიომ და უცებ გახარებულმა ასწია თავი, - ოო, ერთ დამაფიქრებელ, კეთილშობილურ ამბავს გიამბობთ...

- დიახ, დიახ, უმორჩილესად გთხოვთ, - წამოიძახა ვინსენტემ, საყელო შებნეული ჰქონდა.

და დუილიომ, როგორიც იყო, ოთახში გაიარ-გამოიარა, მოჭუტული, შთამაგონებელი მზერა ფანჯარას მიაპყრო და იმ სიჩუმეში ასე დაიწყო:

- ნამდვილი ამბავი. რამდენი რამაა ხანდახან თითოეულ წინადადებაში - სიკეთე, ბოროტება, სასოება - ყოველ წინადადებას ჩაკვირვება უნდა, რაოდენი რამ იმალება უბრალო სიტყვების მიღმა. აი, თუნდაც გამოთქმა, „ვერ იმღერებს ყვავ-ყორანი იადონის ხმაზე“ - ამ წინადადებაში ნებისმიერი სიტყვა უბრალოა, სამაგიეროდ, რამდენ რაიმეს მიგვანიშნებს, ყოველნაირ ადამიანს მიუდგება. თუმცა, მთავარი ამბიდან გადავუხვიე. მაშ ასე - რამდენიმე ხნის წინათ, გაზაფხულზე, როცა ხეები თეთრად და ვარდისფრად საამურად აფეთქდნენ, ერთ ქალსა და ერთ კაცს ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი. ისინი დაახლოვდნენ, ჩამოსხდებოდნენ ხოლმე ღელის პირას, ქორფა და ხასხასა მდელოზე, და ამ ანკარა ნაკადულის ჩუხჩუხში კაცი ქალს სიყვარულს ეფიცებოდა. იგი კი... იმას კი ღაწვები შეუფაკლდებოდა და ასე უსმენდა, მერე წამოდგებოდნენ და ქალაქში ბრუნდებოდნენ. თუკი შეიძლება ასე გამოითქვას.

- როგორ არ შეიძლება, როგორ არ შეიძლება, - შესძახა მამიდა არიადნამ, - განაგრძეთ რაა, დუილიო...

- ქალაქში თავიანთ სახლებში მიდიოდნენ და გულის ფანცქალით ელოდნენ გათენებას. დილით კი ხელ-პირს დაიბანდნენ და მერე ისევ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბოდიშს ვიხდი გამოთქმისათვის, მაგრამ უნდა ვთქვა - კაცი ისევ უამბობდა მას თავისი გრძნობების შესახებ და ქალიც უსმენდა, შემდეგ კი ისინი დაქორწინდნენ. ორივე კარგი ადამიანი იყო.

- შესანიშნავია, შესანიშნავია, - წამოიძახა მამიდა არიადნამ, - მერე, მერე?

- და სწორედ ამ ქალს ძალიან უყვარდა თავისი კანონიერი მეუღლე. სიამტკბილობაში გავიდა რამდენიმე დრო, მეუღლე კარგი ჰყავდა და ქალი ძალიან ამაყობდა ამ გარემოებით, მაგრამ უეცრად ქალმა თანდათანობით შეატყო, რომ ქმარს სხვა უყვარდა. ყოველი შემთხვევისათვის, ქალმა მაინც დააზუსტა ეს მეტად სასოწარმკვეთი ამბავი და, რომ დარწმუნდა მისი ეჭვი საფუძველს არ იყო მოკლებული, აღარ იცოდა რა ექნა... მეუღლის თანდასწრებით იგი არაფერს იმჩნევდა, მაგრამ მარტოდ რომ დარჩებოდა, სულ მდუღარე ცრემლებით ტიროდა. სახლის წინ კი, ბაღში, გრილი შადრევანი ჩქეფდა, ისინი ძალიან კარგად ცხოვრობდნენ; სხვათა შორის, მშვენიერი ბაღი ჰქონდათ, ჩვიდმეტი ბროწეულის ხე და ოცდათერთმეტი ნუშისა. და ქალი...

- რამდენი და რამდენი?

- ჩვიდმეტი და ოცდათერთმეტი.

- აჰ, რა კარგი რიცხვებია, - შესძახა მამიდა არიადნამ, - მერე, მერე? განაგრძეთ...

- და ქალი ხშირად ტიროდა. ამას დაემთხვა თავის ტკივილები. უძილო ღამეები...

- საშინელებაა...

- არადა, ხედავდა რომ ქმარიც იტანჯებოდა - იგიც პატიოსანი ადამიანი იყო, სინდისი ჰქეჯნიდა. და დაფიქრდა კეთილი ქალი: „ორივენი ვწვალობთ... რატომ უნდა ვიწვალოთ ორივემ... დაე, იწვალოს მხოლოდ ერთმა...“ და იცით, როგორ მოიქცა?

- არ ვიცი, არა, ჩქარა გვიამბეთ, დუილიო ჩქარა გვიამბეთ...

- ეს ისტორია მე ტყუილად კი არ დავიწყე იმით, რომ ქალს ძლიერ უყვარდა თავისი კანონიერი მეუღლე. და აი, რა ჰქმნა: მივიდა ქმართან და ეუბნება - ტყუილს, რა თქმა უნდა, - აღარ მიყვარხარ, მე აღარ შემიძლია შენთან ცხოვრება, მე სხვა მიყვარს... და წავიდა, გაეცალა... სხვა ქალაქში. წარმოგიდგენიათ?

- ეს გმირობაა, - თქვა მამიდა არიადნამ და თვალები ვარდისფერი ცხვირსახოცით შეიმშრალა, - მხოლოდ, ქალს შეუძლია გაიღოს ამდაგვარი რამ.

- ეს ადამიანობაა, - დააზუსტა დუილიომ, - ნამდვილი, რთული და მაინც უბრალო ადამიანობა - იგი ისე მოიქცა, რომ საყვარელი ქმარი იმ ქალთან დატოვა და თანაც ისე მოიქცა, რომ ქმარი სინდისსაც არ დაექენჯნა - სხვა მიყვარსო, ასე თქვა მან.

- შესანიშნავია, შესანიშნავი ამბავია.

- რა თქმა უნდა, - დაემოწმა დუილიო, - მეტად საგულისხმო ამბავია და განა ყოველი ქალი შეძლებს ამას? განა ყოველ ქალს მიუწვდება ასეთი საქციელის ჩასადენად ჭკუა, გონება და ჯანმრთელობა? ამიტომ ამ ისტორიის დაწყებამდე ტყუილუბრალოდ კი არ გამახსენდა გამოთქმა: „ვერ იმღერებს ყვავ-ყორანი იადონის ხმაზე“.

- ნამდვილად, ნამდვილად - სტუმრებს აღტაცებული მზერა მოავლო მამიდა არიადნამ და იმ უკბილო კაცის დანახვაზე, ხანდახან დახშულად რომ იღიმებოდა, განცვიფრდა, - რა მოწყენილი სახე გაქვთ, ნუთუ არ მოგეწონათ ამბავი?

იმან გაუბედავად შეხედა და მხრები აიჩეჩა.

- როგორ, - განცვიფრდა მამიდა არიადნა, - არ მოგეწონათ?

კაცი შეწუხდა, თავი ჩაღუნა და თქვა:

- რაღაცნაირად, ყურს არ გიგდებდით.

- ჰმ... - გულმოსულად ჩაიცინა მამიდა არიადნამ და წვრილი წარბები აწკიპა, - უცნაურია, უცნაური - ყოველდღე კი არ გვესმის ამდაგვარი გამორჩეულად ამაღლებული რამ, - და ერთიან ღიმილად გადაიქცა, - დიდი მადლობა, პატივცემულო დუილიო, დიდი მადლობა...

- არაფრის, არაფრის...

- ახლა კი განვაგრძოთ, განვაგრძოთ, არა? მოდი აქ, შე ეშმაკო... დამადე თავი... და ამის პატრონმა რა ქნას?

- მაგის პატრონმა ედმონდოს აკოცოს! - სწრაფად დაიძახა ტულიომ.

ფანტი, რა თქმა უნდა, ცილიოსი აღმოჩნდა.

- კაცმა კაცს რომ აკოცოს, რა დიდი ამბავია? - იკითხა მხრებაჩეჩილმა მამიდა არიადნამ, - მოდით, სხვა რამე ჩავუთქვათ...

- აღარ შეიძლება, - მკაცრად თქვა სენიორ ჯულიომ, - სხვას თუ არ გადაუთქვით, ეს ცილიო რაღაა...

- ნამდვილად, - დაემოწმა დუილიო, როგორიც იყო, - ვაჟკაცთა კოცნა იშვიათად მინახავს, ხოლო, ბატონებო და ქალბატონებო, ქალისა და ვაჟის კოცნის მოვლენას კი ინტერესი დაეკარგა, ისეთი ხშირ-ხშირი ხასიათისაა. ჰა-ჰა...

- ოჰ, რა კარგი იუმორის გრძნობით თქვით, - გადაიკისკისა მამიდა არიადნამ და, სული რომ მოითქვა, დაამატა, - მე ისე ძალიან მიყვარს იუმორის გრძნობა...

- აბაა, ცილიო...

და უცებ იმან დაიღრიალა:

- არ ვაკოცეებ!!!

- რა გაყვირებს, ცილიო, რა დაგემართა?

- რა დაემართა... რაშია საქმე?

- არა, არა, თავი დამანებეთ!! სადაა ჩემი ქუდი!

გაკვირვებული ანტონიო თავის სიძეს მიაჩერდა, მაგრამ ვინსენტეს იმისთვის სად ეცალა - ისიც გაკვირვებული იყო.

- რა მოხდა, რაშია საქმე? - ხელები გაშალა სენიორ ჯულიომ, - ასეთი უმიზეზო ყვირილი ნამდვილად არ შეშვენის ნამდვილ მამაკაცს.

აქ კი მამიდა არიადნამ ჭერისაკენ აღაპყრო მზერა და თქვა:

- ვასკო ნამდვილი მამაკაცი იყო.

- არ ვაკოცებ, არა, არა, - ხელ-ფეხს უცნაურად ასავსავებდა ცილიო - მაგან სიცოცხლე გამიმწარა, მომშხამა, გაამიმწარა, გადამეკიდა, მომსპოო!!

- რა დაემართა...

- წყალი,წყალი!

- არიქათ, წყალი! წყალი ასხურეთ!!!

- დამანგრ-დამაქცია! არც ქუდი მინდა, არც არაფერი, ოღონდ გამიშვით, გა-ამიშვით-მეთქი!!

ედმონდო ჩაფიქრებული იდგა.

- სულ პიტნის ნაყენის ბრალია, - აღნიშნა სენიორ ჯულიომ, - ახალგაზრდაა, ალბათ, ზედმეტი მოუვიდა.

- წვეთი არ ჩამსვლია პირში! - იყვირა ცილიომ და ჭრელი ყელსახვევი ჩამოიგლიჯა, - არ ვაკოცებ, არა, გამიშვით, არა-მეთქი!

და უცებ ედმონდომ ვაშლის ნამცხვარს დააბჯინა მზერა და თქვა:

- პირობას ვდებ, დღეის შემდეგ ხმას აღარ გავცემ.

- ჰა? - იკითხა ცილიომ და ფართხალი შეწყვიტა.

- დღეის შემდეგ ხმას აღარ გაგცემ.

- მართლა, ედმონდო? - ორი ნაბიჯი გადადგა ცილიომ.

- მართლა, - უპასუხა ედმონდომ და მზერა ძლივს ააგლიჯა ნამცხვრის წებოვან ზედაპირს, - მართლა.

- შენ გაიხარე, ედმონდო, - შესძახა ცილიომ, ხელები გაშალა, გადაეხვია და აკოცა, - აჰათ, - საზოგადოებას მიუტრიალდა, - აჰათ, ხომ ავასრულე ჩემი ფანტი?

- კი, კი, ცილიო, ყოჩაღ...

საყელოგაღეღილმა ვინსენტემ ვეღარ მოითმინა და აღტაცების ნიშნად ორი თითი ჩაიდო პირში და ისე საზარლად დაუსტვინა ყურებზე ხელი იტაცეს. სტვენა საერთოდ უზრდელობად ითვლებოდა ლამაზ-ქალაქში და დამორცხვებულმა ვინსენტემ თავისი ღილი შეიბნია, წამსვე შეიცვალა, თავი ჩაღუნა და დაბალის ხმით თქვა:

- მომიტევეთ, უღრმეს ბოდიშს ვიხდი.

საკვირველი იყო, ისე სწრაფად იცვლებოდა - ღილშებნეული სულ სხვა იყო, საყელოგაღეღილი - სუუულ სხვა.

- და რახან ცოტათი გავჯიუტდი, - გამოაცხადა ედმონდოს პირობით აღფრთოვანებულმა ცილიომ, - აჰათ, დამატებითაც...

და დამატებით რომ აკოცა, ედმონდომ თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

- ერთი კოცნის შემდეგ, პირობისამებრ, ხმას არ გაგცემდი, მაგრამ ახლა მეორედაც, ესე იგი შესარიგებლად რომ მაკოცე, მე წინააღმდეგი არ ვარ: და გინდა, ვიამხანაგოთ კიდეც?

- არაა, - თქვა ცილიომ და თითები მკერდზე ბრაზიანად აითამაშა, - აა... ააარრაა...

- კარგი, დამშვიდდი, რა გაცახცახებს, - უთხრა ტულიომ, - ამხანაგი ვის არ ჰყოლია.

- სუფრასთან, სუფრასთან, - გამოაცხადა დუილიომ, როგორიც იყო, - თითო სადღეგრძელოც შევსვათ და ისე განვაგრძოთ...

დარბაისელი სენიორ ჯულიოსი თქვეს. დიდის მოწიწებით და პატივისცემით, სიყვარულით შეისვა სადღეგრძელო და ვინსენტემაც მშვენივრად დაიწყო:

- დიდ ბოდიშს ვიხდი, ერთის წუთით ბატონებისა და ქალბატონების ყურადღებას ვითხოვ, - ასე დაიწყო ვინსენტემ, ღილი შებნეული ჰქონდა, - უანგარო სიყვარულითა და მოკრძალებით მსურს შევსვა ღრმად პატივცემული სენიორ ჯულიოს სადღეგრძელო, - დიდება და გამარჯვება, იმდენად, რომა... - მაგრამ აქ ღილი შეიხსნა, თითებით მოისრისა დაბუჟებული ყელი, ღრმად შეისუნთქა, მერე ხმაურით ამოისუნთქა და განაგრძო, - მოკლეთ, გაგიმარჯოს ჯულიო, კარგა იყავი, კამეჩის ჯანი მოგცეს...

მამიდა არიადნამ საჩქაროდ თქვა:

- ეე, ხომ არ... ეე, ეგება განვაგრძოთ ფანტის თამაში, ჰა?

- დიახ, დიახ, - ტაში შემოჰკრა ერთ-ერთმა ცელქმა ქალიშვილმა, - ეს ისეთი კარგია...

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა - თან ნამცხვრები ვჭამოთ და თანაც დრო გავატაროთ, არა? გთხოვთ, გთხოვთ...

- მე რომ არ დამილევია? - იკითხა ანტონიომ, გვარიანად შეწითლებული იყო. დიდი, მრგვალი, გამობურცული თვალები სენიორ ჯულიოს მიაპყრო და უთხრა: - ეს გაგიმარჯოთ, ჯულიო ბიძია, კაი ბუღას ჯანი მოგცესთ...

- ვასკო ნამდვილი მამაკაცი იყო, - თქვა შეფიქრიანებულმა მამიდა არიადნამ, - ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობითაც... აბა, ტულიო, მოდი აქ - ამ ფანტის პატრონმა, - რა ქნას?

- მააგ... ფან... ტის პატ... რო... ნნ... მა - დაფიქრდა ტულიო, - მაგ... ფან... მაგიდაზე იცეკვოს!

- შესანიშნავია, შესანიშნავი! ვისია?

ანტონიოსი აღმოჩნდა.

- მაგიდა მოასუფთავე, კონჩეტინა, - დაიძახა მამიდა არიადნამ და გაკვირვებულმა მოავლო თვალი ოთახს, - კონჩეტინა, კონჩეტინა! ნეტავ რა იქნა...

მწვანეტანსაცმლიანი დომენიკო, გაოცებული შესცქეროდა ყველას. თავი დაუმძიმდა. თვალებს ძალას თუ არ დაატანდა, ყოველივე ორდებოდა. დიდხანს იფხიზლა, მერე დაიღალა და ჩათვლიმა. მხიარულმა შეძახილებმა შეაკრთო, თავი ასწია, და ის თმაგაპრიალებული დაინახა - ვიღაცას ჰკოცნიდა, ჰო, ედმონდო ერქვა. თავაზიანმა ყმაწვილმა საყელოზე ღილი შეიხსნა და ერთიანად გამოიცვალა, მერე კონჩეტინა, კონჩეტინაას ძახილი ატყდა და საიდანღაც ნაზი, გამხდარი ქალიშვილი გამოიყვანეს, ნამტირალევი სახე ჰქონდა და ყველა მიესია, ის კი იძახდა - „არა, არა, არაფერია...“ მერე სუფრაზე შეხტა ვიღაც დიდთავა, მრგვალთვალება, ჰო, ანტონიო და იმ თავისი მოუქნელი, უშნო ხტუნვით იატაკზე ჩამოდებული ჭურჭელი ააცახცახა, ვინსენტემ ღილი შეიბნია და მკაცრად შესთავაზა მაგიდიდან ჩამოსვლა, ანტონიო ერთხანს უაზროდ მიაჩერდა - თვალები უელამდებოდა. მერე იცნო და ჩამოხტა, დომენიკოს გვერდით დაჯდა და ერთმანეთს გაკვირვებულებმა შეხედეს; ანტონიომ უყურა, უყურა, რაღაც წაილუღლუღა, ნიკაპი მკერდზე ჩამოუვარდა და დაიძინა. აი, ის, ვის ქუდშიაც ფანტები ეყარა, უთუოდ ღირსშესანიშნავ ამბავს ჰყვებოდა, რადგან დარბაისელი სენიორ ჯულიო დიდის გულისყურით უსმენდა, მერე ყველამ ტაში დაუკრა, მამიდა არიადნა კი ამაყად იღიმებოდა, თავს უკან სწევდა და დაჭიმულ ყელს მარაოთი ინიავებდა.

მერე იყო და, საოცრება მოხდა, - აი, იმ უკბილო კაცმა, დახშულად რომ იღიმებოღა, რაღაც მრგვალი და გრძელყელიანი საკრავი გულზე მიიდო, თავი უკან გადააგდო, თვალები დახუჭა და სიმებს ფრთხილად ჩამოაყოლა თითი. ჰაერი ათრთოლდა, ყოველივეს ნაზად მიეხალა რაღაც უხილავი, გაბრუებული დომენიკო ვეღარაფერს გრძნობდა, გარდა აუარება უცნაური ხმისა, და როცა კაცებმა წელზე ხელი მოხვიეს გრძელკაბიან ქალებს და ოთახში დაბზრიალდნენ, გაოგნებული შესცქეროდა ყველას და უკვირდა, როგორ შეიძლებოდა ასე სახალხოდ, ასე საქვეყნოდ ქალისთვის წელზე ხელის მოხვევა და ის კაცი კი, საკრავმიხუტებული, ვერც ვერაფერს ხედავდა ალბათ, რადგან თავი ისე უკან ჰქონდა გადაგდებული და თვალებიც ისე მაგრად, ისე ღონივრად დაეხუჭა და მერე კი, ეშხში უფრო რომ შევიდა, ყოველივე გადაავიწყდა, ტკივილამდე მიღწეულმა ნეტარებამ მთელი სახე დაუმანჭა, ტუჩებიც გაეწელა და

წითელი ღრძილებიც კი გამოუჩნდა, მაგრამ მაინც არ იყო მისი დანახვა უსიამო, ის კი არადა, სასიამოვნოც გახლდათ - რაღაცნაირად, მართალი იყო.

იმ საკრავს სულად ფრინველი ჰყავდა - ხან დიდ ფრთებს გაიქნევდა ოთახში, ჰაერში გოროზად ტივტივებდა და მაღლიდან ამაყად ასცქეროდა ყველას, მერე პატარა, შემცივნებულ ბეღურასავით მოიბუზებოდა და მოწყენილი, კუთხეში საბრალობლად მიიყუჟებოდა, უცებ იმ ფრინველად გადაიქცეოდა, ყველაზე უცნაური ფრენა რომ იცის - ყორნად, და ზანტი ფრენისას თავხედურად დასცქეროდა ყველას, მერე ოთხკედელშუა გამომწყვდეულ, დაფეთებული მერცხალივით თავით ეხლებოდა ფანჯარას, მაგრამ ვერას ხდებოდა, სანამ ყველაზე ნამდვილ ფრინველად - წეროდ არ გადაიქცეოდა და ისარივით გაჭიმული, ზუზუნით არ გააპობდა ჰაერს. ჰეე, უცნაური ფრთოსანი იყო - ხან მძიმედ დაბაჯბაჯებდა, ლურჯ-მწვანედ აბზინებული, დიდებულად გაშლილი კუდით, ხან თეთრ, გრძელყელა გედივით მსუბუქად იჯდა წყალზე, ხან გამალებული იკენკებოდა და შიშით აცეცებდა თვალებს, მერე ყველას ფერხთით მლიქვნელად დაბზრიალდებოდა და თითქოს მორჩილი, გაუბედავი, წამსვე შხუილით აიჭრებოდა მაღლა - თვალთმაქცი, თვალთმაქცი! დაფეთებული აწყდებოდა დახშულ ფანჯარას, იქვე კი, გვერდით, ღია სარკმელს ვერ ამჩნევდა და გამწარებული დაბორიალებდა ოთახში - სულელი, სულელი! და როცა ძალგამოცლილი ხმები ბრმასავით აფათურებდნენ საგნებს, და წამიერი სიჩუმის დროსაც კი, სადღაც შორს, ძალიან მაღლა, სანამ ფრთებს ისევ დაიქნევდა, უხმო ირაოს ავლებდა ტორტმანა ჰაერში და უცებ ზედ სახეში მიაფრინდებოდა ყველას - თავხედი, თავხედი, და იმ თვალებდახუჭულ, თავგადაგდებულ, ტკივილნარევი ნეტარებისაგან სახედაღმეჭილ კაცს დიდი, მოკაუჭებული ნისკარტით ღონივრად კორტნიდა - ველური, ველური!

დომენიკო ქუჩაში მიდიოდა, აქა-იქ სუსტად ბჟუტავდნენ ფარნები. არტუროს სახლი სადღაც იქით იყო, სახე უხურდა. მაგრამ გაუბედავად მიაბიჯებდა და შესცივდა, გააჟრჟოლა, განათებული სახლი დაინახა შორს, ოო, ჰო არტუროსას ჰგავდა... იქითკენ წავიდა. გზად სხვა სახლი გადაეღობა, ფრთხილად აუარა და ისევ დაინახა სინათლე. ახლა უკვე ახლოს იყო, დამშვიდდა და ჭიშკარს რომ მიადგა, ვიღაცა ადგილს მოსწყდა და სიბნელეს შეერია. უკან დაიხია, კედელს მიეყრდნო, გული შიგ ყელში უბაგუნებდა. ჭიშკარს შეაცქერდა, სად წასულიყო... ეგებ სხვაც იყო ეზოში, ბუჩქებს ამოფარებული, გატრუნული, მომლოდინე, საით წასულიყო... ზურგს უკან ლამაზ-ქალაქი იყო, ჩაბნელებული, ავად მთვლემარე... იქაც, ჭალაშიაც საშიში იყო ასვლა, არა, არა, ჭალა ყველაფერზე მეტად იყო საშიში... აქ, ამ ეზოშიაც ვეღარ შებედავდა, ვინ იყო, ვინ იყო... ოდნავ გადაიხარა, თვალებგაფართოებული მიაჩერდა ეზოში

ჩამოწოლილ სიბნელეს და ისევ მოესმა ნაბიჯების ხმა. კედელს აეკრო, ვიღაცა კაცი მოდიოდა. ზედ იმ ჭიშკარს მიადგა და ფრთხილად კი არა, ხმაურით შეაღო კარი - ეგება არტურო იყო! კი, კი, ნაღდად იმას ჰგავდა... კედელს ბეჭებით უბიძგა და შუა ქუჩაში გამოვიდა. კაცმა მოიხედა, მერე ნიავზე დარწეული ფარნის შუქმაც გადაუარა ორივეს და მაშინვე იცნო:

- შენა ხარ, დომენიკო?

- კი.

- შენს საძებნელად წამოვედი, - და გაიღიმა, - აქამდე სად იყავი?

- ტულიომ წამიყვანა, კონჩეტინაობა იყო.

- კონჩეტინაობა... როგორ, კარრასკოებთან იყავ?

- კი. აქ ვიღაცა იყო... ბნელში გაიქცა.

- გაიქცა? - გაუკვირდა არტუროს, - როგორ თუ გაიქცა...

- რა ვიცი... უცებ გაიქცა.

- და სულ არაფერი უთქვამს?

- არა.

- უცნაურია, - შეფიქრიანდა არტურო, - არ შეიძლება, რამე რო არ ეთქვა.

- რატომ... ვინ იყო!

- ჩვენი უგო, საწყალი... რომელიმე სახლს ამოიჩემებს და შორიდან გვემუქრება.

- კი მაგრამ...

- დიდი ამბავი - შეჩვეულები ვართ, მაგრამ შენ რატომ არ გითხრა არაფერი...

- რა უნდა ეთქვა.

- რა ვიცი, ათასი სისულელე - დანის წვერზე აგაგებო და ამისთანები...

- რატომ უნდა ეთქვა?

- მე საიდან უნდა ვიცოდე, - მხრები აიჩეჩა არტურომ, - იმას მოჰკითხე... რა ვიცი, გიჟია. არა, მართლა თვითონ გაიქცა, თუ... ხომ არ გალახე?

- არა, არა, რას ამბობთ.

- უცნაურია, უცნაური, - გულით გაიკვირვა არტურომ, - ეგ არავის გაურბის ხოლმე, პირიქით, ყოველთვის სხვებთან შეხვედრას ცდილობს.

- ეგებ სხვა იყო.

- ვინ იქნებოდა.

- რა ვიცი, ვინმე...

- არა, არა, შენს მოსაძებნად რომ გამოვედი, ერთი-ორჯერ მომაძახა, შენი დღეც დადგა, არტურო, შენი დღეც დადგაო... ეგება შენდაუნებურად შეაშინე, თუმცა, მაგას არაფრის და არვისა ეშინია - და, ისევ გაუკვირდა, - მართლა გაიქცა?

- კი, კი, აბა რა...

- უცნაურია, უცნაური, - თავი გვერდზე გადახარა არტურომ და, რომ გამოერკვა, თქვა: - შინ შევიდეთ, აქ როდემდე უნდა ვილაპარაკოთ... - ცოტათი უხეშად მოუვიდა და მაშინვე დააყოლა, - სენიორ.

მესამე დღე, გასეირნება

ძალიან სტკიოდა თავი. ყელი გამშრალი ჰქონდა, თითქოს გვალვისგან დახლეჩილი. კიდევ კარგი, მაგიდაზე სავსე დოქი იდგა. წამოდგა და პირზე მიიყუდა, მაგრამ ჭერიდან კუშტად დააცქერდა ნაცნობი ლაქა. წყალი გადასცდა, ხველა აუტყდა და მაშინვე არტურომაც თავი შემოყო - გაიღვიძე, სენიორ?

- კი. ახლავე ჩამოვალ.

- გიცდით, გი-იცდით, - ალერსიანად გაჭიმა არტურომ.

რაღაც ესიზმრა, ეეღარ იხსენებდა, კანაფის თავი რომ მოეძებნა და თითები ჩაევლო, მაშინვე გახსნიდა იმ აწეწილ გორგალს, მაგრამ ვერაფერს ჩასჭიდა ხელი. ის ბიჭი გაახსენდა, ბნელს შერეული, არა, არა, ის სიზმრად არ იყო... დაფიქრებული იცვამდა, კოხტა, ახალი ტანსაცმელი სიამოვნებდა, ეგ კი იყო, წვალებით იკრავდა ღილებს. მწვანე ტანსაცმელი, მწვანე... „ამას ლურჯი უფრო მოუხდებოდა“, - ასე თქვა დოინჯშემოყრილმა ქალმა, ტერეზა ერქვა... როგორ დადიოდა!

„გინდა, გაკოცო? ოღონდ ლოყაზე...“

კი, ასე ჰკითხა... რად არ მიუშვირა ლოყა! არა, არა სირცხვილი იყო - თუმცა, თვითონ რა - იმ ქალს უნდა შერცხვენოდა. არა, არა, მაინც სირცხვილი იყო...

აილეწა, დოქი ისევ მიიყუდა პირზე. თვალები დახუჭა, ის გამაღიზიანებელი ლაქა რომ არ დაენახა, დოქიდან წყალი გადმოიღვარა, საკინძეში ჩაუვიდა, მუცლამდე ჩაუღოღდა სიცივე. გააჟრჟოლა, ხელისგული აისვა გარედან, ტანსაცმელზე. გათბა, დაწყნარდა, რაღაც სიამოვნებდა, ჰო - „გინდა, გაკოცო? ოღონდ ლოყაზე...“

ლამაზად სიარულს ცდილობდა, კიბე ჩაიარა, ოთახში შევიდა.

- გამარჯობათ, - უთხრა არტუროს ცოლმა, ეულალიამ, გრძელ კაბაზე ხელები წაივლო, ოდნავ გაშალა და მსუბუქად ჩაიმუხლა.

მაშინვე გაახსენდა და ქუსლზე მაგრად მიირტყა ქუსლი, - გამარჯობათ, ქალბატონო...

მსუქანი ქალი იყო, არტუროსავით წითელლოყება. შვილიც ფრიად ჯანმრთელად გამოიყურებოდა - ნორჩი ჯანჯაკომო.

- როგორ გეძინათ, მშვენივრად გამოიყურებით...

- ეე... - დაიბნა დომენიკო, - აა...

- „გმადლობთ, კარგად“ უნდა თქვა, - შეაშველა არტურომ.

- გმადლობთ, კარგად.

- ხომ არა გწყინს, აქაურ წესებს რომ გასწავლი?

- არა, რას ბრძანებთ... მე რომ ხანდახან რამე გკითხოთ, თუ შეიძლება?

- როგორ არა, როგორ არა, ჩემო... მართლა, სახელი არც ვიცი შენი...

- დომენიკო... - და გაეხარდა: „გინდა, გაკოცო? ოღონდ ლოყაზე“.

- მშვენიერი სახელია, მშვენიერი, კარგი...

რა ქალი იყო.

ჩაფიქრებული იღეჭებოდა.

ნასაუზმევი, ქუჩაში გავიდა, ისე აღარ სტკიოდა თავი, ჯიბეში რვა დრაჰკანი ედო, კარგა ხანს ეყოფოდა. „ექვსი ათასი, ექვსი...“ - სიამოვნებით გაიფიქრა და მაშინვე ჭალისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. მთვრალის ნაკვალევივით ბილიკი იყო,

მიხვეული, მოხვეული. გადაჭრილი ხე შორიდანვე შენიშნა, თვალი აარიდა - „არავინ მიხვდეს.“ ირგვლივ თუმცა ადამიანის ჭაჭანება არ იყო, მაინც... ფრთხილად ჩაუარა, კარგა ხანს იარა, მერე შემობრუნდა, შორიდან უცქირა, დატკბა. მწვანე ხალათზე დაიხედა, გაიფიქრა - „ჰა?“ - და უცებ გაწითლდა - „არა, არა, მაშინვე მიხვდება...“ მაინც წასძლია სულმა, არტუროს სახლისაკენ გაემართა, ჭიშკართან იწრიალა, „მიხვდება, დამცინებს...“ და მაინც ჭიშკარს უცებ ფეხი ჰკრა, კარიც ხმაურით შეაღო, ყურადღებადქცეულ არტუროს ორი დრაჰკანი გაუწოდა და ასე უთხრა:

- თუ შეიძლება, ლურჯი ტანსაცმელი მომიტანეთ.

- ასეთი თუ... ყველაზე კარგი?

- არა, ასეთი.

- ასეთი რაღად გინდა. შეგვეღება და ის იქნებოდა...

- არა, ახლა მინდა... ახლავე.

- შეგვეღება, რა იქნებოდა. ისე კი, როგორ გითხრათ, - ოდნავ აირია არტურო, - ჩემს ცოლს თავის ტკივილები... დიახ, ტკივილები აწუხებს და, თუ შეიძლება, ჩვენში წინასწარობა რა სათქმელია, მაგრამ ერთ დრაჰკანს თუ მომცემთ, შეგიღებავთ კიდეც და თქვენც ფულს გამოზოგავთ და ის იქნებოდა...

- არა, არა - უთხრა დომენიკომ, ფული პეშვში ჩაუდო, მერე ვიწრო ჯიბეში წვალებით ჩაიყო ხელი და უთხრა: - ჰა შენც, დრაჰკანი...

ტულიოს გვერდით მიაბიჯებდა, ისევ მწვანე ტანსაცმელში გამოწყობილი. ლურჯი სამოსი თავის ოთახში მოირგო და უცნაურად გაიარ-გამოიარა, მაგრამ მერე მაინც გადაიფიქრა და ისევ მწვანე ტანსაცმელში ამოყო თავი. ლამაზ სახლებს შორის მიმავალი, ძალიან ღელავდა, ტულიო კი გუშინდელი მაგიდებისკენ არხეინად მიაბიჯებდა და გამვლელ-გამომვლელს ღიმილით უწევდა ხელს.

ქალს განზე გაედგა ფეხები, ღონივრად იდგა და ცისფერ სუფრას თავს ზემოთ იფრიალებდა.

- გაგიჟდი, ტერეზა? - გაუკვირდა ტულიოს, - რა დღეში ხარ...

- ჩქარა მინდა გაშრეს... ოჰ, მოიყვანე?

- კი. ისევ მოგწონს?

- არა, ცოტათი გადამიარა.

- მატყუებ, არა?

- გატყუებ, ჰო. ახლა რომ დავინახე, ისევ მომეწონა. როგორა ხარ, დომენიკო...

- მე, კარგად... გმადლობთ, კარგად.

ქალმა გაიცინა - მოიხარა, ხელი მუხლს ზემოთ დაირტყა და წამში გაიმართა. ისე ლამაზად გამოუვიდა...

- დღეს გასწავლეს, არა?

- რა...

- ეგ პასუხი.

- დიახ.

- ჰეე, შტერო, - მიეალერსა, - სულელი...

გენაცვალეებს სჯობდა. მაინც ვინ იყო - ყველაფერი უხდებოდა. მერე ისიც სკამის კიდეზე ჩამოჯდა, დომენიკოს უყურა, ღიმილით შეუთვალიერა შუბლი, თხელი ცხვირი, ტუჩებიც მზერით შემოუხაზა, მერე თვალებში რაღაც სიცელქემ გაუელვა და ალეწილი დომენიკო მაშინვე მიხვდა, რაღაც საშინელს რომ ჰკითხავდა...

- შენ თუ მოგწონვარ?

- მე?

- შენა, ჰო...

- რა ვიცი... არ ვიცი, - და თვალი აარიდა.

- მოგწონვარ! - გაუხარდა ქალს და ცისფერი სუფრა თავსაფარივით შემოიხვია. ყელთან კოხტად ამოიკეცა, წარბზე გაისვა ხელი, თავი ამაყად შემართა და გაღიმებულმა, ფართო, ლამაზი კბილებით დაიტყვევა უდარდელი, ხმამაღალი სიცილი, - ასე უფრო არ მოგწონვარ?

- დიახ... - თავი დაიქნია დომენიკომ.

- და... - ფეხზე წამოდგა ქალი, ხელები განზე გაშალა, - ასე?

სუფრა წელზე მიიდო, ხელის ერთი მცირე, მკვეთრი მოძრაობით ვარცხნილობა ჩამოიშალა და მხარზე მოიგდო სქელი, მძიმე თმა, უფრო გაიმართა და თვალებივით მიაბჯინა ორი წვეტიანი, საოცნებო ბორცვი, - და ასე?

ძლივასღა იჯდა. ერთხანს კინაღამ წამოხტა და გაიქცა, მაგრამ ამისი თავიც აღარა ჰქონდა. მერე ტერეზას ვედრებით ახედა და ქალი შეცბა:

- კარგი, კარგი, აღარაფერს გეტყვი... მაპატიე.

ერთხანს ტულიოს უყურა და ირიბად ახლეჩილ, მწვანე თვალებში შუქი ჩაუქრა, მერე კი ოდნავ აუბჟუტდა - მალვით გახედა დომენიკოს.

- რა მოგართვათ, ტულიო...

- ორი შუშხუნა, იფ...

- ორიო, შენ ამბობ? - იკითხა და ისევ აუკიაფდა მზერა. იმან კი, თავჩაქინდრულმა, თქვა:

- მე დღეს ვერ დავლევ.

- რატომ? - გაუკვირდა ტულიოს.

- თავი მტკივა და...

- თავი გტკივა? - შეწუხდა ქალი, - ძალიან გტკივა?

- არა, ისე...

- წამალი გინდა?

- არა.

- გძულვარ, დომენიკო?

- არა, რას ამბობთ...

- კარგი, ჰო, კარგი ნუ გააგიჟე...

- მართლა მეყოფა, - თქვა ტერეზამ, - თორემ გლახა ქალი ვეგონები. ერთი შუშხუნა... სხვა?

- სხვა არაფერი... ამას ერთი ქაფქაფა მოუტანე, მოარჩენს, მადლია... ისე, ტერეზა, არ იფიქრო, შური მალაპარაკებდეს - რატომ მოგეწონა?

- რად მომეწონა? - დაფიქრდა ქალი, თან დომენიკოს სწრაფად დახედა, - რატომ და... რატომ და... ახლავე მოვალ.

ისე უცებ გაგულგრილდა, დომენიკოს გული ჩაწყდა. ქალი შებრუნდა, გამართულმა, ამაყად დარწეულმა გადადგა ორიოდ ნაბიჯი და უცებ სიარულზევე შეეტყო, სახე რომ შეეცვალა, მერე მხარუკუღმა სწრაფად გამოიხედა და დომენიკოს ორივე თვალი ერთდროულად, ალერსით დაუხუჭა. იმან კი მაშინვე აარიდა მზერა და ტულიოს უთხრა:

- ახლავე მოვალ.

საით წასულიყო, არც იცოდა. არადა, აღარ შეეძლო იმ ქალთან ყოფნა, სადღაც წყალი ხმაურობდა, იქითკენ წალასლასდა. აუზთან შეჩერდა, ის ბიჭიღა აკლდა - ახალგაზრდა გიჟი, უგო. ბიჭი ვიღაცას ემუქრებოდა, მაგრამ უცებ შეკრთა და დომენიკოს შეხედა. მაშინვე აიძურწა და მოკლე ჯოხიც კი, დანასავით რომ ეჭირა, იქვე დააგდო და მხრებაწურული გაეცალა იქაურობას. მოსახვევთან შეჩერდა, ერთხელ კი გამოხედა და მაშინვე გაუჩინარდა.

გუნება წაუხდა. ბიჭის თვალებში ისე უსიამოდ გაიკლაკნა დონდლო, ნაცრისფერი თევზი... დაფიქრებული შებრუნდა და მოსახვევთან ტულიოს წააწყდა.

- წამო, წამო, - ქალაქგარეთ მივდივართ... - და ამაყად გაიმართა, - დანახარჯი მე გადავიხადე.

- სად?

- ქალაქგარეთ, სასეირნოდ... ტერეზას მამა ცუდად შეიქნა, ალაგებულია ყველაფერი.

- ბევრნი მიდიან?

- ისე, რა... ზოგიერთს იცნობ - კონჩეტინასთან იყვნენ.

- მეც... წამოვიდე?

- აბა რა, - გაიკვირვა ტულიომ, - შენ ამ ქალაქში უცხოდა ხარ და... როგორ იტყვიან? ჰო, ინტერესს წარმოადგენ.

- მართლა? - შეაცქერდა დომენიკო - მართლა წამოვიდე?

- ჰე! - ხელი აიქნია ტულიომ, - როგორ თუ მართლა... თვით დუილიოც კი მოდის, ახალგაზრდების ხათრით.

და, შეფიქრიანებულმა, დაამატა:

- ტერეზა მართლა გლახა ქალი არ გეგონოს, ყველანი ვუტრიალებდით, არაფერი გამოგვივიდა.

დომენიკო გაიტრუნა.

- ცილიოს წარბთან რომ ნაჭდევი აქვს, შეგიმჩნევია?

- არა.

- მაგან ჩაარტყა.

- ეგრე მაგრა?

- ჭიქა ჩაარტყა. თუ იცი, რატომ...

- არა.

- თვალი ჩაუკრა მხოლოდ.

- მხოლოდ - მაგიტომ? - ეგ... ეგეთია?

- აუჰ! - ხელი აიქნია ტულიომ, - უბედურის ერთია, უბედურის...

- აქვე, ახლოს უნდა იყოს წყარო, ბატონებო, - თქვა ვინსენტემ, საყელო შებნეული ჰქონდა, - დიაღაც რომ გემრიელი და სასიამოვნო წყალი გელით.

- მშვენიერია, მშვენიერი, - გადაიკისკისა სილვიამ, - წყალს არაფერი სჯობს.

- თუკი გვწყურია, - დააზუსტა დუილიომ, როგორიც იყო. ფოთოლცვენა დაწყებულიყო. მზიანი დღე იდგა, მშრალი ფოთლები ჰაერში ყოვნდებოდნენ, სვენებ-სვენებით მოფარფატებდნენ დაბლა, უზარმაზარი, ყვითელი ფიფქებით თოვდა ტყეში. კენწეროებზე ჩიტები ხმიანობდნენ, წმინდა ჰაერში ზვირთებად იმსხვრეოდა ჟღურტული, მაგრამ ერთი უხილავი ჩიტი ნაღვლიანად უხმობდა სხვას, ავად დადუმებულიყო ჩაშავებული ფუღურო, ხავსშემორკალული.

- აიი, წყაროც, - შედგა ვინსენტე, - ვიღაც მადლიანს ჭიქა დაუტოვებია.

- შესანიშნავია, შესანიშნავი - წამოიძახა რომელიღაც ცელქმა ქალიშვილმა, - ისე მწყურადაააა...

- ჯერ თქვენ შესვით, ბოლოს დავლევ მე, - თქვა ედმონდომ.

- აი, ნამდვილი ამხანაგი, - გამოაცხადა ტულიომ, - წარმოდგენა არა მაქვს, ცილიოსთან რა გამონახე საერთო...

ედმონდომ ამაყად ჩაქინდრა თავი. მერე ფოთოლს ძლივს ააგლიჯა მზერა და ტულიოს მიმართა:

- თუ გინდა, ვიამხანაგოთ შენ და მე.

- არა, არა, რა შენი ღირსი ვარ, - თავი მოიკატუნა ტულიომ, - შენ ცილიოსათვის ხარ შექმნილი.

- შენ უფრო მომწონხარ.

- რა მოსაწონი მე ვარ, დღედაღამ შუშხუნას სუნი ამომდის.

- გამოგასწორებ.

- თავი დამანებე, ვიღაცა ხარ, - მობეზრდა ტულიოს და ჩაეცინა, - მომწონხარო... არ დამიწყო არშიყი? ტყეში...

პირი რომ გაისველეს, მხიარული ქალიშვილები ერთბაშად გამკაცრდნენ და საქმიანად ამოალაგეს ჭრელი, ლამაზი ჩანთებიდან საუზმე. მოლზე ფერადი სუფრა გაფინეს, ზედ დაალაგეს ცივად მოხარშული ხორცი, ყველი, მწვანილი, ათასნაირი ნამცხვარი, შემწვარი ქათმები, „იფ, იფ, - იძახდა ტულიო, - ყველაფერსა სჯობს...“ ვაჟები და დუილიო გემრიელად იღეჭებოდნენ, მხიარული ქალიშვილები კი ნაზად, ნეკა თითებაბზეკილნი იციცქნებოდნენ ნება-ნება. ერთმა უცნობმა ჯეელმა კი, რომელიც ძალით მიეტმასნა საზოგადოებას, და რომელსაც კუმეოს ეძახდნენ, სულ მოასუფთავა ყველაფერი, სადამდეც ხელი მიუწვდა. ხარბად, თქლაფათქლუფით საუზმობდა და ტულიო სხვაგან გადაჯდა, ყველა ინტერესით შეაცქერდა, იცოდნენ, აუცილებლად რომ იხუმრებდა და ტულიომაც თქვა: „მაგის გვერდით ჯდომა საშიშია, შეიძლება უცაბედად მკლავი მომაჭამოს.“ ყველამ გაიცინა, კუმეომაც ძალუმად გადაიხარხარა, მერე მუხლებზე დადგა, გადაიწია, გადაიზნიქა და შემწვარი ქათამი ორი თითით დაითრია. დუილიოს მომცრო ჭიქა პიტნის ნაყენით შეუვსეს და იმანაც საზეიმო ხმით შესვა შორეული მარშალ ბეტანკურის სადღეგრძელო, ადამიანისა, „ვისი ფიქრი და ოცნება მუდამ თავს ევლება ჩვენი მიტოვებული ქალაქის

ხალხს“, ხოლო გამძღარმა კუმეომ უცებ ერთ ჩაფიქრებულ ქალიშვილს წვივზე სტაცა თითები და ძაღლივით, საზარლად შეჰყეფა. გულგახეთქილ ქალიშვილს წყაროს წყალი აპკურეს და ძლივს მოიყვანეს გონს, დუილიოს კი სახე გაუნათდა და, ეტყობა, სულ სხვას ფიქრობდა, რადგან თქვა „წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებ!“

- შესანიშნავია, შესანიშნავი, - შესძახა სილვიამ, - ეს ხომ ნამდვილად ერთსტრიქონიანი ლექსია.

- თანაც კეთილშობილური მიზნით, - დააზუსტა კონჩეტინამ.

- გმადლობთ, კონჩეტინა, ჩემო პატარავ, - თქვა დუილიომ, - შენ კარგად ჩასწვდი ამ ლექსის არსს: კეთილმა ადამიანმა სხვების საკეთილდღეოდ წყაროსთან ჭიქა დატოვა, სხვათა საამებლად, ჩვენ კი, ჩვენც კეთილები, ჭიქას კი არ გავტეხთ, არ დავამსხვრევთ, და მითუმეტეს, კი არ მივისაკუთრებთ, არამედ ვიტყვით: „წყაროდან ჭიქას... ნუ წამოიღებ!“

- აჰ, კარგია.

- კარგია, კარგი.

- მართლა კარგია.

- როგორ თუ „მართლა?“ - ეწყინა სილვიას.

- მართლა, აბა ტყუილა? - გასერიოზულდა კუმეო.

მერე შეისვა მარადუბერებელი მამიდა არიადნას სადღეგრძელო, ვინც ასაკისა გამო ტყეში სასეირნოდ წამოსვლა ვერ შეძლო, მაგრამ კონჩეტინას მშვენიერი ნაყენები გამოატანა. შეისვა სხვა სადღეგრძელოებიც, ყველა არხეინად სვამდა, მამაკაცთაგან მხოლოდ დუილიო იკავებდა თავს. ოდნავ შეხურდნენ და კონჩეტინა უცებ ატირდა. „რა იყო, რა იყო, ჩემო კარგო“. - უთხრა სილვიამ და ვარდისფერი ცხვირსახოცით შეუმშრალა ღაწვი, ანტონიომ იმ არწამოსაღები ჭიქით მიურბენინა წყალი, ყველა შეშფოთდა, „რა იყო, რა მოხდა,“ კონჩეტინა კი, თვალებზე ცხვირსახოცაფარებული, ნაზად იძახდა: „არა, არა, არაფერია...“ მერე ტულიომ ხელი ფაქიზად ჩამოაშვებინა სახიდან და ისე სასაცილოდ დაეჭყანა, კონჩეტინამ გაიღიმა და გახარებულმა ტულიომ თქვა: „თან ტირი და თან იცინი... მზე პირს იბანს.“ „აჰ, პოეტური იყო, - აღნიშნა დუილიომ, - ყოჩაღ, მე მუდამ მჯერა ახალგაზრდობის.“ ყველა კარგ გუნებაგანწყობაზე დადგა, კუმეომ ნამცხვრის დიდი ნაჭერი გაიქანა პირში, და მზერაამღვრეული ანტონიოც საცეკვაოდ განემზადა, მაგრამ კონჩეტინამ მოითხოვა:

„დუილიო ბიძია, გვიამბეთ რა, რამე...“ ხოლო დუილიომ, როგორიც იყო, თქვა: „არა სჯობია, შეკითხვები დავსვა?“ და ყველამ უპასუხა: „დიახ.“

დუილიო, ჩაფიქრებული, ერთი ხიდან მეორემდე ბოლთასა სცემდა და დამჭკნარ ფოთლებს აშარიშურებდა, სხვები მოუთმენლად ელოდნენ შეკითხვებს, კუმეოს გარდა, რომელიც ისევ იღეჭებოდა; დუილიო კი მხარ-თეძოზე წამოწოლილ ახალგაზრდებს მიუახლოვდა და იკითხა:

- აი, თქვენ, თქვენ, ანტონიო - გიყვართ თუ არა თქვენი საქმე? გგვრით თუ არა იგი სიამოვნებას? და თუ არა - რატომ?

- მე ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, - თქვა ანტონიომ, - ჩავაგდებ თეთრ პერანგს ქვაბში, ვადუღებ, ვადუღებ - წითელი ამოდის. მერე ჩავაგდებ ყვითელ ხალათს სხვა ქვაბში, დუღდება, ვადუღებ, ამოვიღებ - ცისფერი ამოდის. ჩავაგდებ...

- რატომ ტიროდი? - ხმადაბლა დაეკითხა სილვია კონჩეტინას.

- არავის ეტყვი?

- არა.

- მე მგონი, ვინსენტეს ვუყვარვარ, ის კი ცოლიანია და მისი ცოლი მეცოდება.

- რა იცი...

- რა, რა ვიცი...

- რომ უყვარხარ.

- ნამცხვარი შემომთავაზა.

- და გუშინ რატომღა ტიროდი?

- ანტონიოსაც ვუყვარვარ.

- რა იცი?

- რა, რა ვიცი?

- რომ უყვარხარ...

- ცეკვა არ იცის და ჩემი ხათრით მაინც იცეკვა.

- შესანიშნავია, შესანიშნავი, ყოველი საქმე მშვენიერია, - თქვა დუილიომ, როგორიც იყო, - და სიამოვნებას რატომღა გგვრით?

- პურს მაგითა ვჭამ. თანაც, ბევრი მუშაობა კი არ უნდა, - გამხიარულდა ანტონიო, - ჩააგდებ, ამოიღებ, მზად არი, ჩააგდებ, ამოიღებ, მორჩა - თავისით იღებება.

- ჰოო, - დაფიქრდა დუილიო, - ვისაც თავისი საქმე უყვარს, იგი შესანიშნავ წარმატებებს მიაღწევს, ხოლო ეს - კარგია. აბა, ახლა - შენ, ვინსენტე - რა ოცნება, მიზნები და მისწრაფებანი გაქვს მომავლისათვის?

- მე მინდა, - ამაყად შემართა თავი ვინსენტემ, - ყოველთვის გახლდეთ თან მდიდარი და თანაც კულტურული ინტელიგენციის წარმომადგენელი.

- ხომ ვთქვი, ვუყვარვარ-მეთქი, - წასჩურჩულა კონჩეტინამ მეგობარს.

- მშვენიერია, მშვენიერი, - აღნიშნა დუილიომ, - ოღონდ ფულს ხომ კეთილშობილურ მიზანთა მისაღწევად გამოიყენებ?

- დიახ, დიახ, უცილობლად, - თქვა ვინსენტემ, ღილი შეიხსნა და დაამატა, - კარგია, მა რა...

- კარგი, - ჩაფიქრდა დუილიო, - აბა, ახლა შენ, ჩემო პატარა კონჩეტინა, - ვინ მიგაჩნიათ თქვენი იდეალების გმირად და რატომ?

- ჩემი იდეალების გმირად, - თქვა კონჩეტინამ, - მე მიმაჩნია მამიდა არიადნას მეორე ქმარი - ბიძია ვასკო. შეიძლება ავხსნა - რატომ?

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, კონჩეტინა, - მიუგო დუილიომ. ცო-ოტათი ნაწყენი ჩანდა.

- მე თუმცა არასოდეს მინახავს იგი, რადგან მაშინ არც ვიყავი ამქვეყნად მოვლენილი, მაგრამ ბევრი მსმენია მასზე. თურმე, როცა ყველა ამბობდა: „კი“, ბიძია ვასკო იტყოდა: „არა“, ხოლო, როცა ყველა აღნიშნავდა: „არა“, ბიძია ვასკო მიუგებდა: „კი“, და, საერთოდაც, თურმე იგი ნამდვილი მამაკაცი იყო.

- ჰოოო, - გააგრძელა დუილიომ, - თუმცა მეც არ ვიცნობდი სენიორ ვასკოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იგი ნამდვილად თავისებური ადამიანი იყო, ხოლო ეს კარგია. ჰოო... აი, თქვენ, თქვენ, ედმონდო, რომელი საკაცობრიო იდეალები გხიბლავთ ყველაზე მეტად?

- ყველაზე მეტად ამხანაგობა მხიბლავს მე, - თქვა ედმონდომ.

- შესანიშნავია, შესანიშნავი, - ენერგიულად დაეთანხმა დუილიო, აღფრთოვანდა, - ამხანაგობას ხშირ შემთხვევაში მოჰყვება ურთიერთსიყვარულის ატმოსფერო და სერიოზული ვალდებულებანი. მე მყავდა ერთი ამხანაგი, რომელიც ამასთანავე ხელოვანი იყო, და ეს თანამეგობრობა ახალი შემოქმედებითი გამოცდილებით გამდიდრდა. ჩვენი ამხანაგობა მძლავრი ნაბიჯებით მიდიოდა თვალსაჩინო მიღწევებისაკენ. ჭეშმარიტი ამხანაგობა შორს გაიგდებს სახელს და მეგობრობის შუქით გაცისკროვნდება. და, საერთოდაც, ადამიანთა მეგობრობას მოჰყვება დადებითი შედეგები.

- ხოლო მე არ მიყვარს იგი, - ისევ წასჩურჩულა სილვიას კონჩეტინამ.

- ახლა კი, თქვენ, არა, თქვენ კი არა, არა, თქვენ, არამედ თქვენ, - თითი მიაბჯინა დუილიომ კუმეოს, რომელიც ემალებოდა, - რას უფრო აფასებთ თქვენი თანატოლების ბუნებაში: ფიზიკურ ძალას, გონებრივ მონაცემებს, რაც საწინდარია ღირსშესანიშნავი გამარჯვებებისა, უჰ, დაცხა, ხო იცი, თუ ნამდვილ ადამიანობას, ანუ პირდაპირობას, რომელიც ჩვეული ოსტატობით ძერწავს სათქმელს?

- მე, არა? - თითი მიიდო გულზე კუმეომ. უცებ შეიცვალა, გაამაყდა, - მე მგონია, რომ ადამიანი უნდა იყოს ჭკვიანი, გონიერი, პირში მთქმელი, და თუ ღონიერიც იქნება და ფულიც ექნება ჯიბეში, ამით არაფერი დაშავდება.

- ააჰა, - კიდევ უფრო გაიმართა დუილიო, - ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ ადამიანი უნდა იყოს ბევრი დადებითი თვისებებით შემკული?

- დიახ, შემკული.

- თქვენ გინდათ თქვათ, რომ შემკულ-აღჭურვილი, არა?

- დიახ, დიახ.

- შესანიშნავია. კარგი ადამიანი მუდამ გვხიბლავდა და მომავალშიც გაგვახარებს.

- ისე კი, მე არ შემხვედრია ნამდვილად კარგი ადამიანი... - ისევ წასჩურჩულა სილვიას კონჩეტინამ.

- არა? და დუილიო ვიღაა მაშინ...

- ეგ კი, ეგ კი... მაგრამ ხნიერია. მე ახალგაზრდებზე ვამბობ.

- აჰ, ეგრე ამბობ? ჰო... ისე კი, ახალგაზრდები ასაკში რომ შევლენ, შეიძლება მერე ისინიც კარგები გახდნენ...

- ეს კი, ეს კი...

ისხდნენ, საუბრობდნენ.

არადა, შემოდგომა იდგა, ტყიური, გაჩახჩახებული.

ღამის დარაჯი, მატყუარა ლეპოლდინო, ქუჩაში ფეხაკრეფით მიიპარებოდა. დაჟანგული ფარნით ხელში, მოუსვენრად აცეცებდა თვალებს, ყურდაცქვეტილი, ყოველ ჩქამზე გაიტრუნებოდა და ფარანს დაფლეთილი მოსასხამის ქვეშ მალავდა. ჯერ ლამაზ-ქალაქის შადრევანთან უნდა მისულიყო და პირველად იქიდან დაეყვირა: „ღამის სამი საათია და ყველაფერი რიგზეა-ა...“ ეჰ, ყველაფერი რიგზე რომ არ იყო, კარგად იცოდა, მაგრამ რა ექნა - სწორედ ამაში უხდიდნენ ყოველ შემოდგომაზე ერთ დრაჰკანს - ოქროს მრგვალ, მომცრო ფულს, რომელიც მთელი წელიწადის სიგრძეზე პურად და ხახვად უნდა გაწელილიყო. ყველას წინაშე დამნაშავედ გრძნობდა თავს - ლამაზ-ქალაქელები ღარიბად არ ცხოვრობდნენ, მაგრამ სად არ ავადმყოფობენ და ხანდახან, რომელიმე აივნიდან მძიმე, სამგლოვიარო ფარდას რომ გადმოჰფენდნენ, სირცხვილისაგან აწითლებული, მობუზული ლეპოლდინო მორიდებულად შესძახებდა: „ღა-ამის პირველი საათია და ყველაფერი რიგზეა-ა...“ და მხრებაწურული, მოკლე ნაბიჯით მიეშურებოდა თავისი ფიცრულისაკენ, მაგრამ ერთ სახლთან ყოფნა ყველაფერს ერჩია. ახლაც შეჩერდა, ფარანი დამალა და გახევდა - წინა კბილები რომ აკლდა და მუდამ დახშულად იღიმებოდა, იმ კაცს არ ეძინა - მკრთალი სინათლე ლიცლიცებდა ოთახში. ღამის სიჩუმეში სუსტი შრიალი მოესმა, თითქოს ვიღაცა მასავით ფეხაკრეფით დადიოდა, ქვიშაზე - კაცი თავის საკრავს, რომელსაც სულად ფრინველი ჰყავდა, ხავერდის ნაჭრით ფაქიზად წმენდდა. მერე იწყებდა დაკვრას, ძალიან ჩუმად, ფრთხილად, მძინარე მეზობლები რომ არ შეეწუხებინა, სადღა იყვნენ ის გოროზი და ლაღი ფრინველები - ღამღამობით იმ კაცს ერთადერთი პატარა ჩიტი რჩებოდა, და რაგინდ პაწია ყოფილიყო და წყნარი, ლეპოლდინო მაინც მოჯადოებული უგდებდა ყურს ხელისგულში გამომწყვდეული ბეღურას ჩუმად აღელვებულ გულისძგერას, რამდენი რამ იყო - შეკეცილი ფრთების აფრთხიალების შიში, ტოტიდან ტოტზე გადასკუპების ნატვრა, ფრენა, რაც მთავარია, ფრენა... ყოველნაირ ფრთოსანს მონატრებული კაცი ძლივს იკავებდა თავს, თვალდახუჭული უკრავდა და ხმებიც უსინათლოს თითებივით დაფათურობდნენ საგნიდან საგანზე, ოდნავ არხევდნენ ჰაერს, თვალდახუჭულ კაცს კი სურვილისაგან ეღრიცებოდა სახე, აჟრჟოლებდა და, გათენებამდე, ერთი სული ჰქონდა, როდის გადააქცევდა იმ ციცქნა ბეღურას ღრუბლებში ისრად გაჭრილ, კისერწაწვდილ წეროდ; მაგრამ ახლა ღამე იყო და ბნელოდა, და მისი სახლის კედელს მიხუტებული ლეპოლდინოც გრძნობდა, კაცს რომ ერიდებოდა ხმამაღლა, თავისუფლად დაკვრა,

ღამღამობით მისთვისაც კი, გასაოცარი დამკვრელისათვის, არ შეიძლებოდა ეს. თვითონ კი, თავად ლეპოლდინოს, თავისი ჟანგიანი ხმით აუცილებლად უნდა შემოეძახა მთელი ქალაქის გასაგონად: „...და ყველაფერი რიგზეა-ა...“ იმ მოგუდული დაკვრის გაგონება უფრო მტკივნეული იყო ლეპოლდინოსთვის, ვიდრე აივნიდან გადმოფენილი შავი ფარდის დანახვა, მაგრამ მაინც ქურდულად მიეშურებოდა მოედნისაკენ, ღრმად შეისუნთქავდა, თვალებს დახუჭავდა და, ალმოდებულ ბრმასავით ეხლებოდა ლამაზ-ქალაქის კედლებს: „ღა-ამ-ის ოთხი საათია და...“

...და ალექსანდრო

- ეს, ყველაფერი კარგი, - თქვა მაღალმა, - მაგრამ საღამომდე რა ვქნათ? დათრობა არ იქნება.

- რატომ?

- რატომ და, ისეთი სანახაობა გველის.

- მერე, პატარა რომ დავურტყათ, რა იქნება?

- არ შეიძლება, - თითი აიშვირა მაღალმა, - არაფერი არ უნდა გამოგვეპაროს.

- ბოდიში, რა სანახაობაა? - იკითხა დომენიკომ.

შადრევანთან იდგა და ტულიოს უცდიდა.

- არ იცი? მთელი ქალაქი ემზადება - ალექსანდრო გამოდის საჯაროდ.

- რატომ გამოდის...

- სათაური აქვს...

- რა სათაურია...

- „ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობისათვის!“

- აუფ! - სახე გაუბრწყინდა დაბალს, - მართლა არ შეიძლება დათრობა.

- აბა რა... მაგრამ მანამდე რა ვქნათ?

- კაცო, - არ იშლიდა დაბალი, - პატარა დაგვერტყა, თითო შუშა, რა იქნებოდა?

საუბრის დაწყებას ხუთიოდე წუთი აკლდა. ნორჩ ჯანჯაკამოს უფრო დაბრაწოდა ლოყები, რადგან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა: - მხოლოდ ორი გროშიი!

საუბარს ამაღელვებელ თემაზე - „ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობისათვის“ - წაიკითხავს სენიორ ალექსანდრო. შეკითხვის დასმა შეუძლია ყველას, პასუხობს - მხოლოდ ალექსანდრო! - ვიწრო, მაღალ შესასვლელში არტურო იდგა და საუბარზე დასწრების მსურველთ ორ-ორ გროშს ართმევდა. დომენიკოს გაუღიმა და უთხრა: „მოდი, მოდი, შენ უფასოდ...“ მაგრამ დომენიკოს ტულიოსთვის ხურდა არა ჰქონდა, ტულიოს კი არტურომ უეცრად გაუხეშებული სახით გამოართვა ორი გროში.

გრძელი, დიდი ოთახი თითქმის სავსე იყო, არტურო დროდადრო დაფარული კმაყოფილებით თვალს შეავლებდა დარბაზს.

- გასასვლელთან დავსხდეთ, - უთხრა ტულიომ, - რახან არ დაიშალე, იმიტომ შემოგყევი, თორემ...

- რატომ?

- რა ვიცი... მაგის საუბრებს ხანდახან ჩხუბი მოჰყვება, იცოდე, ჩხუბი თუ ატყდა, მაშინვე გავიდეთ, კარგი?

- კარგი.

მთელი დარბაზი შეივსო, ზოგიერთები ფეხზე იდგნენ. ახლა უკვე თითო გროშად უშვებდა ხალხს არტურო. აქა-იქ ქალებიც ჩანდნენ და ბიჭბუჭობასთან ერთად რამდენიმე დარბაისელი მოქალაქე მოსულიყო.

ვიღაც ყმაწვილი წამოხტა, ხელი ხელს შემოჰკრა და ყურადღება რომ მიაქციეს, თქვა:

- მოდით, ნუ გავაწყვეტინებთ ხოლმე... თავისით გაგიჟდება.

- სწორია, სწორი... - მოეწონა ხალხს.

ვიღაც მთვრალი წამდაუწუმ იძახდა:

- სად არის, სადა, აღარ იწყებს? მაგის...

- ძალიან სულელური შეკითხვები არ მისცეთ, თორემ მიხვდება... აი, ისეთი რამეები ჰკითხეთ, რომ დაიბნეს...

- მაგას რა დააბნევს...

- დარდი ნუ გაქვს, დაიბნევა...

- მაინც რა უნდა ჰკითხო ეგეთი...

- ეგ მე ვიცი. კაცო, სუზანას ფეხი მოუტეხია.

- მართლა?

- კი. აბა ალექსანდროს კი არ დაემართება რამე...

- ეჰ, - ჩაიცინა მაღალმა, - ამაზე მეტი რა უნდა დაემართოს...

- ეგ კი, ეგ კი...

წინა რიგში ვიღაცამ შუბლზე იტკიცა ხელი: - აუჰ! დღეს ხუთშაბათია, არა?

- ხუთშაბათია.

- უჰ!

- რა იყო?

- არა, არაფერი...

და უცებ ფარდა გაიხსნა და სცენაზე გაბედული, თამამი ნაბიჯით შემოვიდა თვით ალექსანდრო.

ატყდა ტაში, შეძახილები, აქა-იქ ღონივრად დაუსტვინეს, ალექსანდრო ავანსცენაზე დადგა, ხალხს ხელისგული აჩვენა და ყველა ეშმაკურად გაინაბა. ალექსანდროს ეტყობოდა, ლაპარაკის დაწყება რომ უჭირდა, მაგრამ ხალხს რომ მოავლო თვალი, ყველა იცნო და რიხიანად თქვა:

- გამარჯობათ, ადამიანებო.

- ოო, ალექსანდროს გაუმარჯოს, - ატყდა მხიარული შეძახილები, - როგორა ხარ. ხომ კარგად, როგორ ბრძანდებით, ალექსანდრო ბიძია... ახალს რას გვეტყვი!

- ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობისათვის!

- მიდი, მიდი! დასცხე შენებურად!

- სიჩუმეს ვითხოვ და ყურადღებას, - ისევ ხელისგული აჩვენა ხალხს ალექსანდრომ, პირველ რიგში ვიღაცამ ვერ მოითმინა, წამოდგა, ალექსანდროს ხელისგულზე დააკვირდა და უმკითხავა:

- ამ ერთ თვეში დაბრმავდები.

- აბა, რა მომივა თქვენს შემხედვარეს? - ხელები გაშალა ალექსანდრომ და ჩაიცინა, - კმარა, დავიწყოთ, თქვენ ბოროტად იხუმრეთ, მე - კეთილად, ახლა კი გვეყოფა, ვიწყებთ!

ჩაფიქრებულმა გაიარ-გამოიარა.

- სიმართლე რომ გითხრათ, - ასე დაიწყო ალექსანდრომ, - ძალიან ბევრი ვიფიქრე, როგორ მელაპარაკა თქვენთან - ზოგადად, დაწვრილებით, უბრალოდ, მაღალფარდოვნად თუ როგორ... და მაინც მგონია, რომ შინაურული საუბარი აჯობებს - რაც არ უნდა იყოს, ერთმანეთს მშვენივრად ვიცნობთ!

- მიდი, მიდი! - შეუძახა მთვრალმა.

- ჩვენ, ადამიანები, - დაიწყო ალექსანდრომ, - თუმცა კი ვითომ კარგადა ვართ ერთმანეთთან, მაგრამ სრუულიად ადვილი შესაძლებელია, უფრო უკეთესად ვიყოთ.

- სწორია! - დაიღრიალა მთვრალმა და მისკენ უნებურად შეტრიალებულ, შემკრთალ ქალს თვალი ჩაუკრა.

- ადამიანთა ურთიერთობა უკეთესობისაკენ მიდის, - დამაჯერებლად განაგრძო ალექსანდრომ, - ჩვენი უძველესი წინაპრები თურმე ერთმანეთს ჭამდნენ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ახლა კი, ამდაგვარი შემთხვევები აღმოიფხვრა. ხოლო ეს, - კარგია.

- ვაშაა!! - დასჭექა კუმეომ.

- ადამიანის გზა, - ჩუმად თქვა ალექსანდრომ, - ეს უნდა იყოს გზა უკეთესობისაკენ. ხოლო მე გეკითხებით, - ხალხისკენ გაიშვირა ხელები, - რა მიგვიყვანს უკეთესობისკენ:

- ჭეშმარიტება! - წამოიძახა ვიღაცამ და სიცილით კინაღამ გაიგუდა.

- უფრო ზუსტად! - მოითხოვა ალექსანდრომ.

- საპონი! - იოხუნჯა ვიღაცამ.

- პირველი ასო სწორია! - გაეხარდა ალექსანდროს.

- ს?.. სკამი!

- არა! - თქვა ეშხში შესულმა ალექსანდრომ და უცებ ძალიან გაუკვირდა, - რა შუაშია სკამი?

- სათნოება?

- უფრო ზუსტად! - იმედი მიეცა ალექსანდროს.

- რაინდული კეთილშობილება!!!

- სად არის მანდ ს?

- აბა რა, რა, ალექსანდრო?

- რა და... - ალექსანდროს რაღაც რბილმა და ნაზმა დაუარა სხეულში, ისე უცნაურად მოეშვა, ისე ჩამოყარა მხრები; თვალები კი ზემოთ, დარბაზის ჭერისაკენ აღაპყრო, ცალი ხელი ნელა, ნელა ასწია მაღლა და თქვა: - სიყვარული...

დიდი მხიარულება ატყდა: - ოო, ო, შეყვარებული ყოფილა!

მთვრალი წამოხტა, შუბლზე მიიდო თითი და ატინგიცდა: - სიყვარული რას არ შვრება, რას არ შვრება, რას არ შვრება!..

- არა, ყმაწვილო, ეს მხოლოდ ის სიყვარული არაა, შენ რომ გულისხმობ, - ნაღვლიანად შეაცქერდა ალექსანდრო, - მე უფრო დიდ, უფრო კარგ სიყვარულზე მოგახსენებთ.

- რა იცი შენ სიყვარული რაა! - გაბრაზდა უცებ ვიღაც დარბაისელი კაცი, - ცოლი შენ არ გყავს და შვილი!

- შენ თუ ცოლი გყავს, და ნამდვილი სიყვარულიც იცი, იმიტომაც არ დაძვრები როზალიასთან! - არანაკლებ გაბრაზდა ალექსანდრო.

კაცი გაშრა. ყველამ მისკენ მიიხედა, აჭარხლებული კაცი ერთხანს თითქოს სკამში ჩაიმალა, მაგრამ მერე წამოხტა და ალექსანდროს ფერდაკარგულმა დაუღრიალა: - შტერი ხარ, შტერი, ყეყეჩი... რა უნდა გელაპარაკო!!!

- აი, სიძულვილი, - უთხრა ხალხს ალექსანდრომ, - განა ეს კარგია?

- მოვკლავ, მაგ... მაგ... - სიტყვა გაუწყდა კაცს, - მაგ ღორს, მაგ ვირზე უარესს, მაგას!

- იცი, ჯულიო, ახლა რას გეტყვი? - ღიმილით ჰკითხა ალექსანდრომ. სწორედ ის ჯულიო იყო, დარბაისელი, მამიდა არიადნას სიყრმის მეგობარი.

- რას მეტყვი! მითხარი, აბა, აბა, გაბედე რამე, მითხარი, აბა!

- მე შენ მიყვარხარ, ჯულიო...

- გადი აქედან, შენ და შენი სიყვარული, შე ძროხა, შე... - შეათვალიერა ჯულიომ, - შე მჭლე ძროხა, შენ!

- როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე!

გაცოფებულმა ჯულიომ სხვა რომ ვერაფერი მოიხელთა, ფეხსაცმელი გაიძრო და ესროლა, მაგრამ ააცდინა. ალექსანდრო დაიხარა, თავისი ცხვირსახოცით გაწმინდა ფეხსაცმელი და პირველ რიგში მჯდარ ახალგაზრდას გაუწოდა: - აი, ესაა ნამდვილი სიყვარული, მიუტანე, გეთაყვა...

- მაგას როგორ ჩავიცვამ, მაგის ხელში გამოვლილს, მაგ მუდრეგის ხელში, მაგ...

- აი, ეგაა სიძულვილი, - ჯულიოსაკენ გაიშვირა ხელი ალექსანდრომ, მერე კი მკერდზე ჩამოისვა, - ხოლო ეს - სიყვარულია, ა, რომელი სჯობს? მაინც მიყვარხარ, ჯულიო...

- ამდენი ხალხი იმიტომ მოვედით, თქვენს არშიყობას რომ ვუყურეთ? - წამოიძახა ვიღაცამ და მთელი დარბაზი ახორხოცდა. ჯულიოსაც ჩაეცინა. ხელი ჩაიქნია, თქვა: „ეჰ, რა ველაპარაკო, შტერია...“ და დაჯდა.

- რაც გინდა ვიყო, - დანაღვლიანდა ალექსანდრო, - გინდა შტერი, გინდა პირიქით, მე თქვენ მიყვარხართ...

მე გული მტკივა, თქვენ რომ შეგცქერით, ოო, ისე მწყინს თქვენი ყოველი უმსგავსობა. მაგრამ მაინც მიყვარხართ, ეჰ, რა კაარგი, რა შესანიშნავი გრძნობაა, რომ იცოდეთ... მეც თქვენსავით ვიყავი ერთხანს, მხოლოდ ჩემიანები მიყვარდა, და მერე, ჩემთვის მოულოდნელად, სულში გამეფურჩქნა უცნაური, სიყვარულის მცენარე - აბა, თუ მიხვდებით, რომელი?

- ყაყაჩო!

- არა, - ჩქარა ჭკნება...

- ენძელა!

- ნაზია ძალზე...

- გეორგინი!

- გაფოფრილია...

- ვარდი!!

- შაბლონურია...

- აბა რა?!

- და უცებ სულში გამეფურჩქნა უცნაური მცენარე, - განაგრძო ალექსანდრომ, - სიყვარულის კაქტუსი - ეკლიანი და ეკლებიანი, ოღონდ საოცრად ტკბილი იყო მისი ყოველი ჩხვლეტა, და აი, ახლაც, თქვენ რომ გიყურებთ, ახლაც, მჩხვლეტს...

- ყურადღებას ნუ მიაქცევ, ალექსანდრო!

- როგორ არ მივაქციო. - გაიკვირვა ალექსანდრომ, - მჩხვლეტს...

- არ დაიჯერო ეგ.

- და რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ, روووგორ - ვერ წარმოიდგენთ... - და უცებ შეიცვალა, - ამეებს რომ ვიძახი, არ გეგონოთ, თითქოს მომწონდეთ, აჰ, არა, არა, მშვენივრად ვიცი, რაცა ხართ, რასაც წარმოადგენთ, მაგრამ მაინც... აი, აქ, ამ დარბაზში, მეხუთე რიგის, - და გადათვალა - ორი, ოთხი, ექვსი - მეცხრე სკამზე რომ ზის, ყველამ მშვენივრად ვიცით, რა კაციცაა, მაგრამ მე მაინც მიყვარს იგი...

ის კაცი გაიტრუნა და არ იცოდა, რაიმე ეთქვა, თუ გაჩუმება სჯობდა. უკანა რიგებიდან წამოდგნენ, იმ რიგსა და სკამს ეძებდნენ, მაგრამ ალექსანდრომ ახლა სხვაგან გადაუტანა ყველას მზერა:

- აიი, ხალხო, შეხედეთ, შეხეთ, აქ ერთად მოვიდა ორი კაცი. ორი ჭაბუკი - ვინსენტე და ანტონიო. დასამალავი არაფერია - ამ ორ ადამიანს ადრე ერთმანეთი ძალიან სძულდა. ვინსენტე დარწმუნებული იყო, რომ გაცილებით მაღლა იდგა ანტონიოზე, ანტონიო კი ვინსენტეს ქედმაღლობის გამო ვერ იტანდა. მოკლედ, ისე იყვნენ ერთმანეთთან, როგორც ცუდი ძაღლი და ცუდი კატა, მაგრამ ცხოვრებაში, - უცებ გაუხარდა ალექსანდროს, - რა არ ხდება და ახლა, ხომ ხედავთ, განუყრელნი შეიქმნენ - ვინსენტეს ანტონიოს და - მშვენიერი ჯულია შეუყვარდა და ცოლადაც შეირთო. ამრიგად, ისინი დანათესავდნენ, ვინსენტე შეიცვალა ანტონიოს მიმართ, უუუფრო თავაზიანი და მეგობრული გახდა, ბუნებით მოყვარული ანტონიო კი სულ დადნა მის ასეთ საქციელზე და ყველანი მოწმეები ვართ, რა მშვენივრად არიან ახლა ისინი, როგორ დაახლოვდნენ, ერთად სვამენ, ქეიფობენ, ქაღალდს მხოლოდ გასართობად თამაშობენ, გროშებზე კი არა... აი, რა შეუძლია უნებურ, მისჯილ ახლობლობასა და

სიყვარულს, თუმცა ეს უნებური სიყვარული ვერ მივა, ვერა, საყოველთაო, გაბატონებულ სიყვარულთან, ვერ მივა, ჩემო ძვიიირფასო ადამიანებო, და მათ ერთმანეთს გაუღვივეს ყოველივე კარგი თვისება, სულ დათმობაზე მიდიან... - და ალექსანდრო ისევ შეიცვალა - ეს ყველაფერი, დავუშვათ, ძლიერ კარგია, მაგრამ ახლა მე გეკითხებით - ამ ჩვენს ვინსენტეს თავისი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად რომ არ ამოერჩია მშვენიერი ჯულია, ახლაც ხომ ისევ ძაღლი-კატასავით იქნებოდნენ? ხომ ვარ სწორი, ვინსენტე?

- კბილებს ამოგამტვრევ...

- დაწყნარდი, ვინსენტე, დაწყნარდი, ხომ იცი, - გიჟია, - დაამშვიდა ანტონიომ.

- კბილებზე გამახსენდა, - გაახსენდა ალექსანდროს, - ნუ სჭამთ ერთმანეთს, ნუ, იყავით ისე, როგორც ახლა ეს ორი კაცია ერთმანეთის მიმართ. გუგულებივით... ხომ ხედავთ, როგორი სიყვარულით შეჰყურებს სათნო ანტონიო გულფიცხ ვინსენტეს? აი, მშვენიერი სანახაობა იქნებოდა, ვინსენტეც რომ ალერსით შესცქეროდეს კეთილ ანტონიოს, იგი კი ამის ნაცვლად მე მიბღვერს, მე კი - იგი მიყვარს, ისევე, როგორც ყოველი თქვენგანი. ნუ იჩხუბებთ, ნუ, ერთმა ბრძენმა თქვა, როცა ორი კაცი ჩხუბობს, ორივე დამნაშავეაო. ეს ჭეშმარიტებაა, ძვირფასებო, და ხანდახან უნდა აპატიოთ ხოლმე ერთმანეთს დანაშაული. თქვენ კი მაშინვე მუშტიკრივზე გადადიხართ, განა ეს კარგია? მოდით, დამპირდით, რომ აპატიებთ ერთმანეთს, ხომ აღმითქვამთ, ადამიანებო?

- აღგითქვამთ, აღგითქვამთ, - იცინოდა ხალხი.

- აჰაა, იცინით? - დაფიქრდა ალექსანდრო, და უცებ ვიღაცას მიაბჯინა თითი:

- აი, შენ, მიქელე, შენც ხომ აღმითქვამ?

- აბა, რა, - გაიკრიჭა ახოვანი ჯეელი.

- შემომფიცე.

- სულითა და გულით გეფიცები.

- მე მჯერა შენი და ახლა ერთ პატარა საიდუმლოებას გაგიმჟღავნებ. ხომ აპატიებ დამნაშავეს?

- კი, კი, - დაინტერესდა მიქელე, - ხომ შემოგფიცე.

- კარგი, მიდი მაშინ ახლა კუმეოსთან და ხელი ჩამოართვი.

- რატომ?

- ჯერ ჩამოართვი ხელი და მერე გეტყვი.

კუმეოს ფერმა გადაჰკრა და შეშინებული უყურებდა ახოვან მიქელეს, რომელმაც ხელი ჩამოართვა და ადგილზე დაბრუნდა, - აჰა, მითხარი.

- რადგან შენ დიდსულოვნება გამოიჩინე, გეტყვი, - საზეიმოდ გამოაცხადა ალექსანდრომ, - ამ ორი დღის წინათ ქუჩაში მთვრალს რომ გეძინა, შენი ოქროს ძეწკვი სწორედ მაგ კოხტა კუმეომ ამოგაცალა.

- რას მეუბნები, - უცნაურად გაიღიმა მიქელემ და კუმეოს გახედა, - ახლა, ხომ ვიქნები ჩემი ფიცის ერთგული, რომ მივიდე და ვაკოცო?

- შენ ამით ამაღლდები, ძვირფასო ადამიანო, მიდი, მიდი, აკოცე...

- არ მინდა, არა ნუ მაკოცებს! - შეშფოთდა კუმეო.

- უნდა გემთხვიო, საყვარელო... ხომაა კოცნის ღირსი? - ხალხს მიუბრუნდა მიქელე.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, აუცილებლად! - დაიძახა რამდენიმე ცნობისმოყვარემ.

- არა, არა! - იყვირა ვინსენტემ (კუმეოს ბიძაშვილი იყო).

- არა, არა და არა! - მიემხრო ანტონიო.

- აკოცოს, აკოცოს! - ყვიროდა უმრავლესობა და მიქელე კუმეოსთან მივიდა, ყურებზე ხელისგულები ჯერ ისე ნაზად მიადო, ყველა განცვიფრდა - ეგონათ, მართლა აკოცებდა, და რომ გაიკვირვეს, სწორედ მაშინ მიქელემ კუმეოს შიგ ცხვირ-პირში თავი სდრუზა. კუმეო რიგებს შუა ჩავარდა და მიქელემ ორი წიხლის მიყოლებაც მოასწრო, მესამეზეც არ იტყოდა უარს, მაგრამ ფიცხმა ვინსენტემ ვიღაც-ვიღაცეების თავ-მხარზე გადაირბინა და ზემოდან დაახტა. ორივენი კუმეოს დაეცნენ, იმ სივიწროვეში ხელს ვეღარ გაარტყამდნენ ერთმანეთს, ამიტომ ვინსენტემ ლოყა ჩამოაფხაჭნა.

- ფიცი, ფიცი, - იძახდა ალექსანდრო, - მიქელე, სადაა შენი ფიცი, მიქელე!

ჯუზეპესაც სხვა რა უნდოდა - მოჩხუბრებთან მიიჭრა, პირველივეს დასწვდა, ასწია და ოთხი რიგის მიღმა ისროლა, ეს ვინსენტე იყო - ვიღაც ქალს შეენარცხა და სკამიანად ააყირავა, იმ ქალის გამწარებულმა ქმარმა კი ფართო ქამარი შეიხსნა და ვინსენტეს სახეზე გადაუჭირა. გაცოფებულმა ვინსენტემ სულ სხვა ადამიანს წიხლი

ამოარტყა და იმ ადამიანს ანტონიოც ერთგულად მივარდა. ამ დროს ვიღაც ტანმომცრო ბიჭმა გზა გაიკვლია ჯუზეპესაკენ და ყბაში ისე კოხტად ამოჰკრა, გონდაკარგული ჯუზეპე იქვე ჩაიკეცა. ეს სასწაულს უდრიდა, მაგრამ ვის ეცალა გასაკვირვად - არეულობით მშვენივრად ისარგებლა როზალიას ქმრის ძმამ - დარბაისელ სენიორ ჯულიოს მიეპარა და უკანიდან მუშტი ხეთქა, მთვრალი ადამიანიც წამოდგა, მიმოიხედა, იქვე მდგარი კაცის ქუდი არ მოეწონა და თავში ჩააფარა. იმ კაცმა მეზობელს ყავარჯენი გამოსტაცა და მთვრალს მოუქნია, მაგრამ უცაბედად სხვას მოახვედრა, რომელმაც ჯერ გამწარებულმა დაიღრიალა, მერე კი ყბაში სილა სტკიცა. ქალები აკივლდნენ, შედარებით გონიერებმა გასასვლელს მიაშურეს, მთვრალმა ახლა სხვას ჩააფარა თავში. „რატომ არ დავლიეთ დილით, რატომ არ დავურტყით პატარა“ - იყვირა უცებ დაბალმა და მაღალს მუცელში ატაკა თავი. მაღალმა ცალი ხელი ქეჩოში ჩასჭიდა, მეორე ხელი კი მოუქნია და ლოყაში ხეთქა. მერე ისევ დაარტყა და ამ დროს ვიღაც გამწარებული დაეძგერა - ეს უკვე არტურო იყო, - „ვის ურტყამ, ვის ურტყამ, შე...“ ჩხუბის ეშხში შესულმა მაღალმა არტუროსაც გაულაწუნა და მაშინვე საშინელი ყვირილით - „მამი, მარჩენალო, მაამი!“ - ნორჩი ჯანჯაკომო გამოქანდა. არეულობით ყველამ ისარგებლა და, ვისაც ვისი ჯავრი ჰქონდა, ერთმანეთს დაერივნენ და დიდი, მასობრივი, გრანდიოზული ჩხუბი გაიმართა.

- ადამიანებო! - სცენიდან ყვიროდა ალექსანდრო, - ნუთუ ასე იმოქმედა თქვენზე ჩემმა დამაყვავებელმა საუბარმა, ადამიანებო!

მერე ყველაფერი აირია, დიდი უცნაური ამბავი მოხდა - თითოეული მათგანი ყველა დანარჩენის წინააღმდეგ ჩხუბობდა. ვისზეც ხელი მიუწვდებოდათ, განურჩევლად ყველას სცემდნენ, ასე განსაჯეთ, დასისხლიანებულ ვინსენტეს თვით ანტონიო მოეგდო ფეხქვეშ და გამოზოგილი სიამოვნებით და გემოვნებით ურტყამდა.

- რამ გაგაგიჟათ, ადამიანებო, - ისევ ყვიროდა ალექსანდრო, - ბოლოსდაბოლოს, თქვენ ხომ გასართობად მოხვედით აქ, ადამიანებო!

- აქ, ამ ქალაქში... - დაიწყო დომენიკომ და აირია, - ბოდიში, სხვანაირად არ მიიღოთ, მაგრამ... ისე, მაინტერესებდა, ქურდობა თუა?

- სად, აქ? არა, რას ამბობ, - გაიკვირვა ტულიომ, - ათასში ერთხელ...

- და იმ კაცმა რომ თქვა, კუმეომ მოიპარა ოქროს ძეწკვიო?

- კუმეოსთანა რას არ იკადრებს, - აღშფოთდა ტულიო და იქვე დაწყნარდა, - მაგრამ ეგ გამონაკლისია. აბა, სად გაგიგონია, რომელიმე ქალაქს თითო-ოროლა ეგეთი რეგვენი რომ არ არცხვენდეს?.. - და შეფიქრიანდა, - შენ რა, ფული გაქვს?

- არა, არც ისე...

- რამდენი გაქვს მაინც?

- სამოცი... დრაჰკანი.

- სამოცი? - გაუკვირდა ტულიოს, სად იშოვე...

- ეგ რა... ბევრია?

- ჰე! - ხელი აიქნია ტულიომ, - ბევრიაო? ბევრიცაა და ცოტათი უფრო მეტიც... თავიდან რამდენი გქონდა?

- თავიდან... ეე, სამოცდაათი.

- და ათი დრაჰკანი უკვე დახარჯე? რაში, დომენიკო...

- ორი ხელი ტანსაცმელი ვიყიდე...

- ეგ ერთი დრაჰკანი... კიდევ?

- ერთი რატომ...

- აბა?

- ოთხი...

- რვა ხელი იყიდე?

- არა, ორი.

- მერე, ეგ ერთი დრაჰკანი ღირს.

- მართლა? - გაოცდა დომენიკო, - მართლა?

- აბა რა... შენ რა, რამდენი გადაიხადე.

- მე? მე ოთხი...

- ვინ გადაგახდევინა, არტურომ?

- ჰო.

- უ, მაგის... უხ, მაგისი, - და უცებ გაახსენდა, - დომენიკო, ტერეზამ თუ იცის, მაგდენი ფული რომ გაქვს...

- არა, არ იცის, საიდან უნდა იცოდეს?

- მართლა არ იცის? - დაფიქრდა ტულიო, - უცნაურია, რად მოეწონე... ისე, ტერეზა არაა მაინცდამაინც ფულის გიჟი, მაგრამ მაინც... არა, სხვანაირად კი არ გამიგო, გარეგნობით არა გიშავს რა, მაგრამ ისე უცებ მოეწონე, ისე უეცრად...

- აქ, ამ ქალაქში, - თქვა დომენიკომ, თვალებში უყურებდა - ქურდობა, ესე იგი, არაა, არა?

- არა, რას ამბობ... ვინმე თუ მოგატყუებს, არტუროსავით, თორემ ჯიბიდან არავინ ამოგაცლის და ძალითაც არავინ წაგართმევს. და შენი ბედი, კამორაში რომ არ მოხვდი - იქ უკვე ყელგამოჭრილი ეგდებოდი სადმე.

- სად, კამორაში? რა ქალაქია...

- ჰეე, ასე უცებ როგორ აგიხსნა... ისე კი, ნამდვილად გამოგჭრიდნენ ყელს.

- რატომ... რისთვის... არაფერი დამიშავებია და...

- ჰეე, - პირი დააღო ტულიომ, - კამორელებისთვის რა მნიშვნელობა აქვს, დაუშავებ რამეს, თუ არა...

- ნამდვილად გასაძევებელია ეგ წყეული ალექსანდრო, - თქვა მამიდა არიადნამ, თევზებს აქვარიუმში საჭმელს უყრიდა, - ჯერ ეგ ერთი, ბატონ ჯულიოს როგორ დასწამა როზალიასთან იმნაირი ურთიერთობა, მე ხომ კარგად ვიცი, რომ ჯულიოს არავითარი იმნაირი დამოკიდებულება არა აქვს როზალიასთან - ჯერ ეს ერთი, მეზობლები არიან და როგორ შეიძლება სენიორ ჯულიო იყოს ისეთი ვერაგი, რომ მეზობელთან იმნაირი დამოკიდებულება და ურთიერთობა გააჩაღოს? მეორეც, მე ხშირად მინახავს ისინი ერთად, საზოგადოებაში, და მსგავსი არაფერი შემიმჩნევია, ხოლო რაიმე იმნაირი რომ მომხდარიყო მათ შორის, აუცილებლად შევამჩნევდი, რადგან ქალსა და კაცს, რომელთაც ერთმანეთში იმნაირი ურთიერთობა ჰქონიათ, ყოველთვის, პატარა, რაღაც, სადღაც, ყოველთვის ეტყობათ. ხომ არ მოგბეზრდათ ჩემი ლაპარაკი?

- არა, არა, რას ბრძანებთ, მე ძალზე მიყვარს ლაპარაკი, - მიუგო დუილიომ, - ოქროს იღებენ მიწის წიაღიდან, ხოლო ცოდნას - ლაპარაკიდან.

- რა შესანიშნავად თქვით, რა შესანიშნავად, - შესძახა მამიდა არიადნამ, ხელისგული მოისუფთავა და აქვარიუმს მოსცილდა, - ხომ მართალი ვარ, ბატონ ჯულიოს ინტერესებს რომ ვიცავ?

- რა თქმა უნდა, ოღონდაც, ოღონდაც, - თქვა დუილიომ, როგორიც იყო, - სენიორ ჯულიოს საჭიროების შემთხვევაში მრავალი დადებითი ღირსება ახასიათებს.

- ნამდვილად ღირსეული ადამიანია, უიშვიათესი.

- დიახ, დიახ, - ცოტათი ეწყინა დუილიოს, მაგრამ არ შეიმჩნია, - კარგი ადამიანია... მაგრამ მე თუ მკითხავთ, ბუნებაში იშვიათად მოიძებნება უნაკლო ადამიანი, ძალზე იშვიათად.

- რა თქმა უნდა, - საჩქაროდ დაეთანხმა მამიდა არიადნა და იქვე შენიშნა, - ისე კი, ბატონო დუილიო, სენიორ ჯულიოს ცოტათი ამღვრეული გამოხედვა აქვს.

- ეგ კი, ეგ კი...

- ხანდახან ისე ამხედ-ჩამხედავს ხოლმე... ჩემისთანა ხნოვან ქალს, წარმოგიდგენიათ?

- რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, თქვენ მარადიული ახალგაზრდობის ნიშნით ბრძანდებით გაჩენილი, ეგ აღარ ბრძანოთ, აღარა თქვათ, აჰ, აღარ გამაგონოთ, კარგი?

- კარგი, - აღფრთოვანდა მამიდა არიადნა და საკოცნელად უბოძა ხელი, - კონჩეტინა! სურნელოვანი წყალი მოგვიტანე. აი, ის, ყვითელი... ბატონო დუილიო, ძალიან გთხოვთ აღწეროთ ნამდვილად კარგი ადამიანი.

- ახლა? აქავე?

- დიახ, დიახ, ძალიან გთხოვთ...

- ეს ძნელი თემაა, - წამოდგა დუილიო, - მაგრამ მე მაინც შევეცდები... გმადლობთ, კონჩეტინა... მშვენიერი წყალია, აჰაა... ესე იგი, ნამდვილად კარგი?

- დიახ, დიახ, უმორჩილესად გთხოვთ.

- მე ვიცნობდი ერთ ნამდვილად კარგ ადამიანს, - დაიწყო დუილიომ, როგორც იყო, - ჩვენ ერთმანეთს გულთბილად და გულისხმიერად ვექცეოდით, ადამიანური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა. ჩვენ ჩვენი ადამიანობით ჩამოვიცილეთ ძირითადი

მეტოქეები, რამაც საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ჩვენ მუდამ ვიცავდით წინაპართა საუცხოო ტრადიციებს და დიდი ყურადღება დავუთმეთ აგრეთვე მრავალ დადებით ადამიანურ ღირსებას, რაც საწინდარი გახდა ჩვენი უზადო გამარჯვებებისა. მე მაშინ, - თვალები ჭერისაკენ აღაპყრო დუილიომ, - სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსე ჭაბუკი ვიყავი, ჩემი სულიერი ტკივილებითა და აგრეთვე ორივეს გვქონდა, ბოდიშს ვიხდი გამოთქმისათვის, კეთილშობილური ბუნება, აგრეთვე ჩვეული ოსტატობით შეგვეძლო გამოგვეძერწა ჩვენი სათქმელი, ხოლო ეს - კარგია. და თუ ადამიანში უცილობლად კარგ, სასარგებლო თვისებებს შევამჩნევდით, ჩვენ მხურვალედ მივესალმებოდით ამ წამოწყებას.

- აჰ, თქვენ ისეთი დადებითი ხართ, ისეთი დადებითი, - თვალზე ცრემლი მოადგა მამიდა არიადნას, - ხოლო ეგ, ხოლო ეგ - ისე კარგიაა...

- ოო, - ფიქრებში ჩაეფლო დუილიო, - დადებითი ადამიანის განსახიერება დიდ ოსტატობასა და ღრმა ფსიქოლოგიურ აზროვნებას მოითხოვს.

აქ კი როზინას, აი, სწორედ იმას, ჭალაში რომ იყო, თმაგაპრიალებული ცილიო გაახსენდა და აფორიაქდა.

- ხშირად შემოიარეთ ხოლმე ჩვენთან, ხშირად, სენიორ დუილიო, - გადაჯვარედინებული ხელები მკერდზე მიიხუტა მამიდა არიადნამ, - თქვენი საუბარი მუდამ საუცხოო მოგონებებს აღმიძრავს.

- და თუ თქვენი გული მზადაა მშვენიერებისადმი შესახვედრად, - გაიბადრა დუილიო, - მაშინ მოდით და ვიმღეროთ კარგი და ლამაზი სიმღერები.

- ოღონდაც, ოღონდაც, ვიმღეროთ, აკი ვამბობდი, - შესძახა მამიდა არიადნამ და უცებ გაშრა, - რა იყო, რა დაგემართა, კონჩეტინა?

კონჩეტინა კი ცხარედ ტიროდა. „რა იყო, პატარავ“, - იკითხა დუილიომ და მხარზე დაადო ხელი, „ნეტავ, რომელმა ცუდმა ადამიანმა აწყენინა“, - გაუკვირდა სილვიასაც და ნაზად აკოცა ლოყაზე. „ მითხარი, მითხარ, - აღშფოთდა მამიდა არიადნა, - ვინ ამიტირა სახელგანთქმულ კარრასკოთა შთამომავალი, მიპასუხე, მითხარი“. კონჩეტინა კი სუსტად ამბობდა: „აჰ, არა, არა, არაფერია...“

და რომ დამშვიდდა, მამიდა არიადნამ თვალები მოჭუტა და იკითხა: „რაღაცა კარგი უნდა გვექნა, რამ დამავიწყა, რაღაც მიხაროდა და...“ „უნდა გვემღერა, ჩვენო კარგო, - მიუგო დუილიომ, - უნდა გვემღერა კარგი და ლამაზი სიმღერები, რომლებიც...“ „სწორია, სწორი, უნდა გვემღერა, აკი ვამბობდი, - ტაში შემოჰკრა მამიდა არიადნამ, -

მე ისე მიყვარდა ერთი უწყინარი სიმღერა...“ „ეგ რომელი - „გული თვალია ჩვენი?“ „აჰ, არა, არა, სიმღერა ბენზე...“ „გთხოვთ, გთხოვთ, ყველანი გთხოვთ...“ - მხურვალედ სთხოვეს დანარჩენებმა, ხოლო მამიდა არიადნამ თმა ფაქიზად შეისწორა, მალულად გახედა შორეულ სარკეს, და ათრთოლებული ხმით ასე დაამღერა:

ნეტავ რა უნდა ბენს?

რა ადარდიანებს ბენს?

რა?

რაა?

რა და ლამაზი ენატრება ბენს,

კოშკში რომ ცხოვრ-ოოოობს...

* * *

შორიდან კუნძი მიწაზე გატრუნულ, ნახტომისათვის გამზადებულ კაცს ჰგავდა. მშვენივრად იცოდა, კუნძი რომ ეგდო, მაინც იქითკენ წავიდა და, ყოველი შემთხვევისათვის, შესამოწმებლად ფეხი წაჰკრა, მერე ზედ შედგა. რაღაცნაირად უხერხულად ჩამოხტა და ფეხი გადაუბრუნდა. წამით თითქოს დანა დაუსვეს წვივზე, გამწარებულმა ნიკაპი მაღლა ასწია და მაშინვე გადაუარა. ღრუბელს ახედა, იმ ლაქას ჰგავდა. ფრთხილად გაემართა გადაჭრილი ხისკენ, მიმოიხედა. არავინ ჩანდა, ძეხორციელი, მაინც უნდო იყო ღამე... ცალ მუხლზე დაიჩოქა, მიწა რბილი იყო, ნაწვიმარი, მოკლე ჯოხით ადვილად იჩიჩქნებოდა. პირველმა დრაჰკანმა რომ გაიბზინა, მეორე მუხლზეც დაიჩოქა და, გადახრილი, იმ ციცქნა ორმოს მთელი ტანით გადაეფარა. ზურგმორკალული, ათივე თითს ოქროს ფულში თვალდახუჭული ურევდა, მერე ორ-ორად ამოიღო, ბეჯითად ითვლიდა: „ორი, ოთხი, ექვსი...“ ოცი დრაჰკანი რომ შეაქუჩა, ისევ მიწა დააყარა დანარჩენს და ხელისგულებით სახელდახელოდ დატკეპნა, მაინც ოდნავ შემაღლებული ჩანდა ამოვსებული ორმო. ცალი პეშვი მიწით აივსო, მეორეში დრაჰკანები ეკავა. ძლივს ეტეოდა ხელისგულზე, მუცელზე მიეხუტებინა. ის ზედმეტი მიწა ახლოს არ დაყარა - ყოველი შემთხვევისათვის, ვინმე რაიმეს არ მიმხვდარიყო... ათიოდ ნაბიჯი გადადგა და მერეღა მოიქნია ხელი. დრაჰკანები კი ფრთხილად ჩაიდო ჯიბეში და, რომ არ აეჟღარუნებინა, ხელისგული მიიკრა ბარძაყზე, ჩაბნელებულ ხის სახლს ჩაუარა, მოქეიფენი აღარ ჩანდნენ, გვიანი იყო.

ქალაქში რომ შევიდა, ქვაფენილიდან ყრუდ არეკლილი საკუთარი ფეხის ხმა არ ესიამოვნა; მიმოიხედა. ვიღაც პატარა, მოკუნტული, კედელს აჰკროდა და ისე შესცქეროდა. დაგლეჯილი ხალათიდან სინათლე ბჟუტავდა. ვინ იყო, რა იყო, ვერაფერს მიხვდა... მხოლოდ ის იგრძნო, გაქცევა რომ არ შეიძლებოდა და, უეცრად შიშით გათამამებული, პირდაპირ იმ კაცისაკენ გაემართა. კაცი ერთხანს უფრო მოიკუნტა, მაგრამ მერე ადგილს მოსწყდა და, ცალ ხელში ანთებული ფარნით, სადღაც გაიქცა, ფარნის წყალობით კედელზე აფართხალებულ უზარმაზარ ჩრდილებს გაურბოდა თითქოს, დომენიკოც გაიქცა, ოღონდ არტუროს სახლისაკენ, ჯიბეზე ხელმიკრული, ქოშინით მიადგა ჭიშკარს, ცალი ხელი ჩასჭიდა, დაეყრდნო და, სანამ სულს მოითქვამდა, მძინარე ქალაქს შეშფოთებულმა დაუგდო ყური, და საბოლოოდ დამშვიდდა, როცა შორიდან მოესმა შეშინებული ძახილი: „ღა-ამის ორი სა-ათია და ყველაფერი რიგზეაااა...

სეირნობის საათი

მთავარ მოედანზე, აუზის ირგვლივ, ლამაზ-ქალაქელები ისხდნენ და ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდნენ - შადრევნებიდან ღონივრად ჩქეფდა წყალი. გვიანი შემოდგომა იდგა, დროებითი მადლი მომატებოდა მზეს. თხელი, მოხდენილი კონჩენტინა ახალთახალ, წითელ ტანსაცმელში გამოპრანჭულ ტულიოს ესაუბრებოდა და გვიან შეამჩნია დომენიკო, რომელიც იქვე იცდიდა და მისალმების ნიშნად მსუბუქად ჩაიმუხლა, დომენიკომ კი, თუმცა ნატკენი ფეხი აწუხებდა, ქუსლი მიირტყა ქუსლზე და თავი დახარა - ამჯერად მშვენივრად აღასრულა ლამაზ-ქალაქელთა წესი, არავის გაღიმებია. საყელოშებნეულ ვინსენტეს დინჯად, ამაყად მოჰყავდა ხელმკლავით ახალშერთული ცოლი, მოხდენილი ღიმილით ესალმებოდა ნაცნობებს. სეირნობის საათი იყო, და მარტოხელა ედმონდოს ვერაფრით გადაეწყვიტა, ვის ასდევნებოდა - ხან რომელს მიაბჯენდა წებოვან მზერას და ხან რომელს, მაგრამ ყველანი თვალს არიდებდნენ. კოხტად, მოკლე ნაბიჯით მოსეირნე დუილიოს კი ყველა ალერსიან ღიმილს უძღვნიდა. დუილიომ კი, როგორიც იყო, თქვა: „წყაროდან ჭიქას... ნუ წამოიღებ!“ „აჰ, არა, არა, არ წამოვიღებთ,“ - ყველას სახელით მიუგო ვინსენტემ და დარბაისელ სენიორ ჯულიოს პატივისცემით დაუკრა თავი. აჰ, რა დღე იყო, და კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, რამდენიმე ლამაზ-ქალაქელს ჩალურჯებული რომ არ ჰქონოდა სახე. „უჰ, ეგ წყეული ალექსანდრო, - თქვა მამიდა არიადნამ და გაიკვირვა, - აგერ არ მოდის?“

მთელი ქალაქი დასეირნობდა, ქოლგიანი, მარაოებიანი ქალები და დარბაისელი მამაკაცები ღირსეულად ესალმებოდნენ ერთმანეთს, გალიებში ჩიტები სტვენდნენ, ნიავს მოჰქონდა იმ საკრავის ხმა, სულად ფრინველი რომ ჰყავდა და უპატრონო,

დაჩაჩანაკებული მოხუცის დანახვაზე კუმეოს თვალები ავად გაუბრწყინდა, მერე მიეპარა, ქუდი მოხადა და აუჯში ჩაუგდო. მოხუცი გამწარდა, უღონოდ მოუქნია აცახცახებული ხელი, მაგრამ კუმეო ღრეჭა-ღრეჭით გახტა განზე და შეჰყვირა: „აბა, აბა, ტაშ-მაიმუნ, ტაშ-მაიმუნ...“ აქ კი ვინსენტემაც ვეღარ მოითმინა, საყელო გაიღეღა და შესძახა: „ტაშ, ტუშ, მაიმუნ, ტაშ, ტუშ, მაიმუნ...“ მაგრამ მეუღლის საყვედურით აღსავსე მზერა იგრძნო, ისევ შეიბნია საკინძე და უნაკლოდ დაუკრა თავი რომელიღაც ღირსეულ მოქალაქეს. ალექსანდრომ კი მხრები აიჩეჩა და გაკვირვებულმა ჩაილაპარაკა: „უცნაურია, უცნაური, მე - გიჟი და ესენი - ჭკვიანი?!“ მზიანი დღე იდგა და სეირნობდნენ ლამაზ-ქალაქელები, თმაგაპრიალებული ცილიო, დიდი წითელი მიხაკით ხელში, ჭალელ როზინას ესაუბრებოდა და ზურგით იდგა სილვიასთან, რომელიც დობილს უცდიდა. როზინა თავდახრილი იდგა და ხანდახან უარის ნიშნად ოდნავ გაიქნევდა თავს, და როცა ცილიომ მკლავზე წაავლო ხელი და ყურში მწველი სიტყვები ჩასჩურჩულა, როზინამ საკმაოდ უხეშად გამოსტაცა მკლავი. ცილიო ერთხანს დაიბნა, მაგრამ სწრაფად მოიკრიბა გამბედაობა და უცებ სილვიას მიუბრუნდა, რომლის წინაშეც აქამდე ზურგით იდგა და უთხრა: „ამასთან ლაპარაკში თქვენ შემიყვარდით. გნებავთ, გავისეირნოთ სადმე?“ „რა თქვით, ცილიო?“ - ვითომც ვერ გაიგო სილვიამ და თან ეტყობოდა, რაღაცას გამალებული რომ ფიქრობდა. სადღაც შორიახლოს, გამხმარ ფოთლებს წვავდნენ, კვამლის ტკბილ-მომწარო სუნი მოჰქონდა ნიავს, ფიქრებში ჩაფლულ ალექსანდროს მზისთვის მიეშვირა ლოყა და მთვლემარე მზერა გააყოლა ხელიხელგაყრილ, ჭალისაკენ მიმავალ ცილიოსა და სილვიას, მერე დაინტერესებულმა შეხედა ბრაზისაგან სახედაღმეჭილ როზინას და მაშინვე მიხვდა, სამუდამოდ რომ ჩაიშალა ყოველნაირი სასიკეთო ურთიერთობა იმ ორი ახალგაზრდა ქალიშვილისა, რომელთა მეგობრობაც სამაგალითოდ ითვლებოდა ლამაზ-ქალაქში, ხოლო როცა გამოჩნდა უგო, ახალგაზრდა გიჟი, და როცა იმან ვიღაცას მუქარით აღსავსე სიტყვები უთხრა, აქ კი ალექსანდრო გამოცოცხლდა, მხნე, ჯანღონით აღსავსე კაცად წარდგა უგოს წინაშე:

- აბა, დაფიქრდი, აბაა, ჩემო კარგო, ჩემო ბიჭუნავ, კარგად დაფიქრდი, რას ამბობ, - დაუყვავა ალექსანდრომ, იცი თუ არა შენ, რომ ეს - ცუდია?

- დავკლავ, დავკლავ, კამორული დანით...

- ასე არ შეიძლება, უგო, როგორ შეიძლება ასე? - უსაყვედურა ალექსანდრომ, - აბა, დაფიქრდი, რაებს იძახი?

- წვრილი, წვრილი დანით, - თქვა უგომ და ხალხს მოავლო ამღვრეული მზერა, - წვრილი დანა უფრო ღრმად ჩადის...

- გამოფხიზლდი, გამოფხიზლდი, უგო, - შეკრთა ალექსანდრო, - შენ ისეთივე კარგი ხარ, როგორც ყველა, მაგრამ ისევე დაბინდული გაქვს გონება, როგორც ყველას, ოღონდ სუუულ ცოტათი უფრო. მთავარია, რომ შეიგნო შენი შეცდომა და ყველაფერი რიგზე იქნება, დარწმუნებული ვარ. ცოტათი ჯიუტი კი ბრძანდები, მაგრამ არა უშავს, გიშველი - შენთან დაძაბული მეცადინეობა აუცილებლად გამოიღებს სასურველ ნაყოფს. ფუჰ, რა სულელური გამოთქმაა, მაგრამ ახლა ამის დრო არაა, აბაა, თანმიმდევრულად დავიწყოთ, ხომ გაგიგია, თანმიმდევრობა წარმატების საწინდარიაო. აღარ მახსოვს, მე ვთქვი პირველად ეს, თუ ვინმე სხვამ, ისე კი, ორივე შემთხვევაში, საკმაოდ ბრიყვული გამოთქმაა, მაგრამ ეს ჩვენ ხელს არ შეგვიშლის, აბა, ჯერ იქიდან დავიწყოთ, რომ შენ ასე უნდა თქვა: „მოგატ-ყუეთ, მოგატ-ყუეეთ, - გაჭიმა სიტყვები ალექსანდრომ და უცებ სხაპასხუპით დაუმატა: - არავისაც არ გამოვჭრი ყელს!

- ისეც ალესილს, ისედაც მბზინავს, უფრო ავლესავ...

- შეიძლება თამამად ითქვას, რომ შენ აშკარად ვერ გამიგე, უგო; აბა, კარგად დამიგდე ყური, აი, ასე უნდა თქვა: - და ოდნავ წაუმღერა: - არ გამოვჭრიი ყელს.

- ღამით, გზააბნეული, მოსახვევში გადამაწყდება...

- უგო, უგო, ეგრე კი არა, არამედ, აი ასე: აბა, მოდი, ერთად დავფიქრდეთ, ვიკითხოთ, - და ხმა დაიწვრილა, - ვის რა დაუშავებია ჩემთვის? - და ბოხი ხმით უპასუხა თავისივე შეკითხვას: - არავის, - მერე კვლავ წვრილი ხმით იკითხა: - ჰოდა, რატომ უნდა მოვკლა ვინმე? - არ უნდა მოვკლა, - ისევ დაიბოხა ხმა და მერე ჩვეულებრივად ალაპარაკდა: - ახლა ხომ გასაგებია, ჩემო ბიჭუნავ, ხომაა გასაგები? დაა, აბაა, გასაგები თუაა, გაიმეორე: არავისაც არ გამოვჭრი ყელს.

- შიგ ბეჭებში, შიგ ბეჭებში... - მუქარით თქვა უგომ და მწვანე თვალებში ნაცრისფერი თევზი გაეკლაკნა, - მერე კი გულში, შიგ გულში, გულში...

- შიგ გულში, არა? - იწყინა ალექსანდრომ, - აბა, რას ამბობ? რეებს იძახი? ეგ ხომ აშკარად ეწინააღმდეგება იმას, რაც მე დაგარიგე... - და მაინც თავი გაიმხნევა, - არა უშავს რა, ბოლოს მაინც გამოგასწორებ...

- თქვენისთანა ადამიანები ვერავის გამოასწორებენ, - ვეღარ მოითმინა დუილიომ, რომელიც იმათ საუბარს სხვებთან ერთად თავშესაქცევად უგდებდა ყურს, - თქვენისთანა ადამიანებმა შეიძლება მხოლოდ დააბნიონ და გზა აურიონ სხვა ადამიანებს, ეს ცხადია.

- ოჰ, შენც აქა ხარ? - აგდებულად შეათვალიერა ალექსანდრომ და გვერდზე გადახარა თავი, - როგორ ბრძანდებით, დუილიო, პატარავ, ხომ კარგად გეძინათ წუხელ?

- არა შენი საქმე! - გაცხარდა დუილიო, - თუ შეიძლებოდეს, ზრდილობიანად ილაპარაკეთ.

- არაფერი მიკადრებია, ბატონო, ცუდი, - ვითომ შეეშინდა ალექსანდროს, - თუმცა, მართალი ბრძანდებით, მისალმება დამავიწყდა, მაგრამ, არა უშავს რა, ახლავე გამოვასწორებ, - და მდაბლად დაუკრა თავი, - გამარჯობათ, პატივსაცემო დუილიო... ხომ კარგად გეძინათ წუხელ, თუ... - და ვითომ შეშფოთდა, - თუ... გაწუხებდათ შავბნელი სიზმრები?

- არაა შენი საქმე... გამარჯობა, - მაინც დაიცვა წესი დუილიომ, - სისულელეებს ჩმახავ და კიდევ უფრო უმღვრევ გონებას საბრალო ჭაბუკს...

- ეგებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე? თქვენთვის ხომ რჩევა არაფერია...

- როგორ და... როგორ და... - ფიქრებში ჩაეფლო დუილიო, - ჯერ ეგ ერთი, უპირველეს და უწინარეს ყოვლისა, მაგისთვის მთავარია დიეტა და რეჟიმი.

- ხომ ვერ დააზუსტებთ?

- სიამოვნებით, - ეშხში შევიდა დუილიო, - ჩვენ ყველამ ვიცით, რაოდენ სასარგებლოა კომბოსტო. უგოს ულუფაში კომბოსტოს თვალსაჩინო ადგილი უნდა ეკავოს.

- გიყვარს კომბოსტო, ჩემო კურდღელო? - ნაზი ღიმილით შეაცქერდა დუილიოს ალექსანდრო, - მაშ, კომბოსტო, კომბოსტო, კომბო-სტო, არა?

- კურდღლები და ოფოფები მაგ შენ თავქარიან თავში მოიკითხე! - გაბრაზდა დუილიო, - როგორ მიბედავ!!

- კარგი, კარგი, ნუ ხართ ასეთი ფიცხი, დუილიო, და ნუ მაშინებ, ძალიან მეშინია, - თავი მოისაწყლა ალექსანდრომ, - რაღაცაო, რეჟიმიო, რაღაცას კიდევ ამბობდი.

- დიახ, რეჟიმი! - ამაყად განაცხადა დუილიომ და ხალხს მოავლო მზერა, - წესიერმა ადამიანმა უნდა დაიძინოს გარკვეულ დროს, გაიღვიძოს აგრეთვე გარკვეულ დროს და...

- და თუ უწესრიგო ადამიანი თავის დროზე ადრე გაიღვიძებს, თავი უნდა მოიმძინაროს? - დაინტერესდა ალექსანდრო.

- არაა შენი საქმე! და არ უნდა ილაპარაკოს შენსავით სულელურად - მისი სიტყვა უბრალო და ცხადი უნდა იყოს, როგორც ნაკადულის ფსკერზე დაგდებული კენჭი.

- როგორ?

- როგორ და, ჩემი სიტყვები საჭიროების შემთხვევაში კიდევ უფრო შთამბეჭდავსა და მისაწვდომს ხდიან რთულ ფსიქოლოგიურ ამბავს.

- იფ, იფ, რა მარტივად თქვა?! - გაიოცა ალექსანდრომ.

ხალხი წრედ შეიკრა, წრის შუაგულში დუილიო, ალექსანდრო და უგო იდგნენ. ბიჭს არ ესმოდა, რას ლაპარაკობდნენ და, თავის ამღვრეულ ფიქრებში ჩაფლული, მოკლე ჯოხს თითებს უჭერდა და ჩურჩულებდა: „გულში, შიგ გულში, მუცელში, ყელში“...

- ეგებ ლაპარაკიც დამიწუნო, - აგდებულად შეათვალიერა დუილიომ, - ეგებ ამბის მოყოლაშიც გამეჯიბრო, თავხედო...

- რატომაც არა, - არ დაიხია ალექსანდრომ, - კი ბატონო, გავეჯიბროთ... არსებობს ერთი, არც თუ ისე სულელური, გამოთქმა - „ცდა ბედის მონახევრეაო“ - შევეცდები მეც...

- აი, თავხედი! - ხალხს მიუბრუნდა დუილიო, - ნუთუ ვერ ხვდება, რომ ყოველთვის დავამარცხებ, ყველგან, ყოველნაირ ამინდში...

- და... - ცას ახედა ალექსანდრომ, და თითით უხილავი თაღი გადაივლო თავზე, - და ზუსტად ასეთნაირ ამინდშიც?

- დიახ, დიახ. კი!

წრის შუაგულში ორნიღა იდგნენ - უგო ჯერ შეკრთა, მერე თავი ასწია და დომენიკოს შეხედა; უეცრად შეშინებულმა, დაბნეულმა, თავი ჩაქინდრა და, მხრებაწურული, ფეხის წვერებზე ფრთხილად მიმავალი, შეუმჩნევლად გავიდა წრიდან.

- აჰ, ის გვიამბეთ, ის ამბავი, კეთილშობილ ქალზე, - შესძახა მამიდა არიადნამ, - მე ისე მიყვაარს...

- ეგ რომელი, წყალში რომ ჩავარდა?

- არა, არა, - მარაოიანი ხელი გაასავსავა მამიდა არიადნამ - აი, ის, ქმარს რომ სხვა შეუყვარდება და...

- ჰო... ჰო, აი, თუნდაც ეგ ისტორია... როგორი ამბავია?

- იგი სწორედ ისე მოიქცა, რომ საყვარელი ქმარი იმ ვერაგ ქალთან დატოვა და თანაც სწორედ ისე მოიქცა, რომ ქმარი დაუდგრომელ სინდისსაც არ დაექენჯნა - სხვა მიყვარსო. ასე თქვა მან.

- აგაშენა ღმერთმა, - შეაქო ალექსანდრომ, გამარჯვებული ღიმილით სახეგაბადრულ დუილიოს მხარზედაც მოუტყაპუნა ხელი და უცებ დაამატა: - მაგრამ ტყუილია...

- ჰა... - დაიბნა დუილიო, - როგორ თუ ტყუილი...

- როგორ და, ჩვეულებრივად - ტყუილია, ტყუილიი...

- ვის უბედავ! - გაბრაზდა დუილიო, - მე ხომ ისტორიის დასაწყისშივე აღვნიშნე, ნამდვილი ამბავია-მეთქი...

- ტყუილი კია და...

- როგორ, როგორ თუ... ხედავთ, რას ლაპარაკობს? არა, რას ლაპარაკობს, ხედავთ?

- და გინდაც ნამდვილი ამბავი იყოს, ვთქვათ, დავუშვათ, არა? - მაინც ტყუილია, - თქვა ალექსანდრომ, - ტყუილია და რა ვქნა, დუილიო, პატარავ... ხდება ხანდახან ისეთი ნამდვილი ამბებიც, რომლებიც ტყუილია...

- ხედავთ, ხედავთ, რაებს იძახის, - აღშფოთდა დუილიო, - როგორ შეიძლება, ნამდვილი ამბავი იყოს ტყუილი?

- მშვენივრად შეიძლება, მშვენივრად, პატარავ... და, შენ წარმოიდგინე, ისიც შეიძლება, ტყუილი რომ მართალი იყო, ხომ არ დაგაბნიე, თუ იქნებ გამიგე, დუილიო, ხომ გამიგე, ტკბილო? - და თავზე გადაუსვა ხელი.

- ხელი აიღე! - გაწიწმატდა დუილიო, - ვის უბედავ, თუ იცი! არა, შენ თუ იცი, ვის უბედავ!

- შენ გიბედავ, შენ, დუილიო, პატარავ, ტკბილო... - ალერსიანად შეაცქერდა ალექსანდრო, - და თუ გაინტერესებს, გინდა, ისეთ ტყუილს გიამბობ, მართალი რომ იყოს, გინდა, დუილიო?

- როგორ არა, როგორ არა, დავიჯერე, კი... - დაემანჭა დუილიო.

- თუ არ გინდა, ნუ გინდა, - ზურგი შეაქცია ალექსანდრომ, - აბა, წავედი.

- დაიცა, დაიცა, - შეშფოთდა დუილიო, - გვიამბე, კარგი, შენი ტყუილი, დიახ...

- ჰოო, როგორ არა - დიახ, - გამოაჯავრა ალექსანდრომ, - მართლა გიჟი კი არა ვარ, ისეთი კარგი ზღაპარი ყველას ერთად რომ გიამბოთ - აგერ, კუმეოს შეხედე, ერთი სული აქვს, რაიმე უხამსობა დაიძახოს. ეს ჩვენი ვინსენტეც ჩემი ზღაპრის დაწყებისთანვე საყელოს გაიღეღს და ისეთს იტყვის, ისეთს რომ - მტრისას, და ანტონიოც მაშინვე აჰყვება და ჩვენი მხიარული ტულიოც გადაბჟირდება სიცილით... ადამიანებო! ყველას გიამბობთ იმ ზღაპარს, „ზღაპარს ბალახისფერ კაცზე“... მაგრამ, ნურას უკაცრავად, ბოოოდიში, ეს ის საუბარი კი არაა - „ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობისათვის..... - იოტისოდენადაც არ მინდა, ამ ზღაპრის გამო ერთმანეთს რომ დასცხოთ და ამიტომ ცალ-ცალკე, სათითაოდ ყველას გიამბობთ, სუუულ ყველას, ახლა კი, ახლა კი, დუილიო, შინ უნდა წაბრძანდეთ, ხომ ხედავთ, როგორ მოიღრუბლა, მგონი, კიდეც წვიმს, ჰოო, წვიმს, წვიმს, - და ხელისგული ცას შეუშვირა, - აჰაათ, წვიმს, ხო-ხო, როგორ დაუშვა?

აღარავინ უსმენდა, შინისკენ გარბოდნენ.

ბურუსი

სანამ ბურუსი ჩამოწვებოდა, ლამაზ-ქალაქში ნისლიანი დღეები იდგა. წვრილად, უგერგილოდ ცრიდა, მუქი ღრუბლები იწელებოდნენ ცაზე, გზები ატალახდა, ღრმა კვალს ტოვებდა მიწაში ლანდო. ქვაფენილები ერთხანს ბზინავდა, მაგრამ იქაც შეაღწია მოსიარულეთა ფეხზე აკრულმა ტალახმა, ყოველივე დანესტიანდა, შეფუთვნილი მამიდა არიადნა შინიდან აღარ გამოდიოდა, უმძრახად დაიარებოდა ქუჩებში ხალხი, აჟრიალებდათ, წებოვან მიწას ძლივს აცილებდნენ ფეხს. ქალაქი ჩაკვდა, გაიჟღინთა, აღარ ისმოდა შეძახილები, მეეტლეებიც კი არ უწყრებოდნენ ცხენს, ტოტები დაუმძიმდათ გალუმპულ ხეებს, ყივილს უმატეს მოწყენილმა მამლებმა. „ხოხოხო, ბიჭო, რა საქეიფო ამინდია?“ - აღფრთოვანდა ტულიო და ქალაქგარეთ, არტუროს შენობისაკენ გასწიეს. დომენიკოს მაღალი ჩექმები ეცვა. მუხლს ზემოთ მთელი მტკაველით ადიოდა მაღლა, წვრილ წელზე მჭიდროდ შემოეჭირა ფართო, ვერცხლისბალთიანი ქამარი, განიერფარფლებიანი ქუდი წარბებამდე ჩამოეფხატა და ლურჯი ხავერდის მძიმე, ლამაზი მოსასხამი მოეგდო ბეჭებზე, ჯიბეში ოცდახუთი დრაჰკანი ედო. - „წამოდით, წამოდით, ნუ გეშინიათ, - იღიმებოდა ტულიო, - დომენიკო გვპატიჟებს...“ კიბეზე ფეხები ააბაკუნეს, საფეხურებს შეახოცეს ტალახი. სახეგაბადრული არტუროს დანახვაზე ტულიომ თავისი მწვანე მოსასხამი კოხტად მიაგდო შორს, ოთახის კუთხეში დადგმულ სკამზე და სანამ სახეს ცხვირსახოცით შეიმშრალებდა, თქვა: „აბა, ჩქარა, რაც კარგი გაქვს - საჩვენო...“ არტურომ კუთხეში მიძინებული ორი თანაშემწე სულ კინწისკვრით წამოაგდო, და დაფაცურდნენ... თავები დასჭრეს ქათმებს, ყელი გამოღადრეს

აჭყვირებულ გოჭს, ერთიანად დამბალ ხეზე მოკლე თოკით მიბმულ ცხვარს გულში ატაკეს დანა, ეზოში სისხლი დააჩნდა ატალახებულ მიწას და ნაფეხურებში წითლად ამღვრეული წყალი ჩადგა. ფაციფუცობდა სახელოებდაკაპიწებული, იდაყვამდე სისხლში მოთხვრილი თანაშემწე, მეორე - ცეცხლთან ჯახირობდა, აივანზე გადმომდგარი არტურო კი, ქოლგით ხელში ბრძანებას ბრძანებაზე იძლეოდა და დროდადრო ალერსიანად შეეხმიანებოდა სტუმრებს, რომლებსაც ნახევარ წრედ შემოეწყოთ სკამები და აგიზგიზებულ ბუხართან თბებოდნენ.

ოთახის შუაგულში კი სუფრა იშლებოდა - ჯერ თეფშები მოარბენინეს, მერე პური, მწვანილი; ყველიც მოიტანეს, ჭაშნიკად ორი ხელადა მიართვა არტურომ, ტულიომ ორივედან მოსვა რიგრიგობით, მოწრუპავდა და თავაწეული, თვალმოჭუტული, სასმელის გემოზე გულდასმით ფიქრობდა, მერე ერთერთი აირჩია და მაშინვე მაგიდას შემოუსხდნენ. „ოჰოჰო, ჰოჰო, ნაღდია, ნაღდი“, - ხელისგულები სწრაფად გაუხახუნა ერთმანეთს ტულიომ და სქლად დახვეული მწვანილი მარილში ჩააწო; ანტონიომ შუაზე გადატეხა ახალგამომცხვარი პური და აორთქლებული ნაჭერი თავის სიძეს, ვინსენტეს გაუწოდა. ცილიომ საათი იკითხა, მერე მწვანე წიწაკა მოითხოვა და აცრემლებულმა მიატანა პური; ჯამები შეავსეს, „ჯერ ამით დავურტყათ ერთი-ორი, - გაეხარდა ტულიოს, - მერე კი ჭიქებით, პატარა ჭიქებით შევუყვეთ, დიდხანს ვსვათ, დიდხანს...“ პირველი, ნახევრად შემწვარი ქათამი რომ მოიტანეს, მართლაც მომცრო ჭიქებზე გადავიდნენ, მერე უმი ხორცი ეუგემურათ და კვამლისაგან აცრემლებულ თანაშემწეს უკანვე გაატანეს. პატარა ხანს უმძრახად ისხდნენ, ზიზღი აღბეჭდოდათ სახეზე, მაგრამ იქვე გამხიარულდნენ, კოხტად დაბრაწული ვარიკას დანახვაზე, რომელსაც ანტონიომ მაშინვე ბარკალი აახლიჩა და მზრუნველად გაუწოდა ვინსენტეს, „მჟავე მოიტანე, არტურო, მჟავე“, - გასძახა ტულიომ და მაშინვე ედმონდომაც შემოაბიჯა. „გილოცავ, გილოცავ, მრავალს დაესწარი, - გადაიხარხარა ტულიომ და ცილიოს მუხლზე დაჰკრა ხელი, - ამხანაგი მოგივიდა, ხედავთ?“ ქეიფის გუნებაზე იყვნენ, ხუმრობას ცდილობდნენ; თუ მაინცდამაინც ვერაფერიშვილი ოხუნჯობა გამოუვიდოდათ, ნაძალადევად იცინოდნენ და გულიანი ხარხარი ატყდა, ცილიომ საათს რომ ახედა და წასვლა მოისურვა, ტულიომ კი ედმონდოს უთხრა: „აბა, შენ იცი, გადაიფარე ზეწარი და მისდიე კუდში...“ ცილიოსაც კი გაეღიმა, ხოლო დამორცხვებულმა ედმონდომ თეფშს დააბჯინა ისეთი მძიმე მზერა, არავის გაუკვირდებოდა, თეფში რომ გაბზარულიყო. ცილიო არაფრისდიდებით არ გაუშვეს. „რა გინდა, ბიჭო, ახლა ქალებში. ბრრ, ისე ცივა...“ „სიცივეშია კარგი...“ - შეფიქრიანდა ცილიო, მაგრამ ტულიომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: „იცოდე, ახლა თუ წახვალ, სამუდამოდ დამკარგავ, იცოდე... - და მაშინვე ეშმაკურად დაამატა - შე კაი კაცო, ამხანაგს გვიტოვებ?“ ცილიოს გაეღიმა,

ხელი ჩაიქნია, თქვა: „ეჰ...“ - და დარჩა. კმაყოფილმა ტულიომ ორი ჯამით შესვა წვიმის - საქეიფო ამინდის სადღეგრძელო, და ახლად შემოტანილი ღორის მწვადი დააყოლა; ალბათ, ძალიან, ძალიან ესიამოვნა, რადგან თვალმილულულმა თქვა: „აჰ, დნება, დნება...“ და ყველანი მადიანად მიაძღნენ ხორცს.

მერე შემოემატათ დინო, სწორედ ის, ჯუზეპეს რომ გაარტყა და სკამებშუა მიაწვინა, და თვითონ დინოსაგან დიდი კმაყოფილებითა და გაკვირვებით შეიტყვეს ჯუზეპეს მეორედ გალახვის ამბავი, „კი მაგრამ, როგორ მოერიე?“ - აღფრთოვანებული დაეკითხა ტულიო. დინომ მხრები აიჩეჩა, პატარა ყმაწვილი იყო, მაგრამ საოცრად ყოჩაღი, მკვირცხლი. „მაგრად დათეთქვე?“ - ჰკითხა ვინსენტემ და შეშინებულმა ყბაზე მოისვა ხელი, „ოო, იცოცხლე...“ - ჩაიცინა დინომ. ვაჟკაცობისა შესვეს, ანტონიოს დიდი, მრგვალი თვალები გაუელამდა, ტუჩები მაგრად მომუწა და ღონივრად ქშინავდა, სხვები კი უფრო გამხიარულდნენ. მერე კი, პატარა ხნით სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ედმონდოსაც მოუნდა თავის გამოჩენა და თქვა:

- კამორაში... თურმე... ერთხელ ერთმა კაცმა ცოლი მოიყვანა და იგი კი ქალიშვილი არ აღმოჩნდა.

- მერე? - გამომწვევად იკითხა ტულიომ და ბოლოკი ჩაკბიჩა.

- მერე - არაფერი... ქალიშვილი არ აღმოჩნდა.

ოო, დიდი სიცილ-კისკისი ატყდა: „მერე რა, შე ბლუ, დიდი ამბავი,“ „მოჰყვა რა, ესეც, ამბავს...“ „ხოხო, რა გვიამბო, ბიჭო?“ ყველა ხორხოცებდა, ხმაურზე თავწამოყოფილი ანტონიოც გაელმებული თვალებით იღიმებოდა, და, ხარხარი რომ მიწყდა, ისევ ჩამოდო მაგიდაზე თავი. ტულიომ მჭექარე ხმით შესვა ვაჟკაცობის სადღეგრძელო, სუყველამ შესვა, მძინარე ანტონიოსა და დომენიკოს გარდა, და დინო, თუმცა შეიჭმუხნა - თითქოს არ სიამოვნებდა ქება - მაინც, სადღაც, ეტყობოდა, რომ გულის კუნჭულში უნებურად სიამოვნებდა ყოველივე ეს. დიდი ლხინი და ცეკვა-თამაში გაჩაღდა - ვინსენტემ სკამზე ააბაგუნა ხელისგულები, ტულიო კი მაგიდაზე შეხტა და კოხტად იცეკვა, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ შეიკავა თავი და ზედ ანტონიოზე დაეცა, რომელმაც გაიღვიძა და, როგორც ჩანს, კარგად გამოიძინა, რადგან არ იყო მაინცდამაინც მთვრალი, კუთხეში მიდგმული დოქით წყალი შეისხა, მერე ერთი ჯამი გამოცალა, გამხიარულდა და თქვა: „თქვენი ჭირიმე, თქვენი, ჭირიმეთ, ეს რა კარგი ბიჭები შევიკრიბენით, თქვენი კი ჭირიმე, კიდევ კარგი, არც ერთი ხეპრე და უზრდელი რომ არ შემოგვერია, თორემ კუმეოს, ანდა ჯუზეპეს აიტანდა კაცი?“ ამაზეც ერთობ დიდი სიცილი ატყდა, „სულ, სულ ეძინა? ამდენი ხანი?“ - გადაფიჩინდა ტულიო. ვინსენტემაც ხარხარით აღნიშნა: „არა, ძმაო, ეს მართლა

ბრიყვია...“ ხოლო კმაყოფილმა ცილიომ, რომელიც სიფხიზლეში მუდამ მალავდა სატრფოს ვინაობას, წამოაყრანტალა: „მართლა, რა კარგი ვქენი, სილვიასთან რომ არ წავედი...“ და ტულიოსაც სხვა რა უნდოდა, მომეტებულად ახარხარდა: „გაიგეთ, გაიგეთ? არ გაყიდა თხასავით?“ გაკვირვებული ანტონიო კი ისე საბრალობლად ახამხამებდა თვალებს, და ისე საწყლად გამოიყურებოდა, რომ ედმონდომ მდგომარეობით ისარგებლა, ის თავისი მძიმე მზერა ზედ გადაბმულ წარბებშუა მიაწება ანტონიოს და შესთავაზა: „გინდა ვიამხანაგოთ?“ ამაზე ხომ სულ გადაირივნენ, „ვაიმე, ვაიმე, აღარ შემიძლია მეტი, - იძახდა დაოსებული ტულიო, - რაღაც ცუდი თქვით, თორემ დავიხრჩვი, დავიხრჩვი, აღარ შემიძლია მეტი...“

და დომენიკომ პირველად გაიღიმა.

ლურჯი ხალათი ეცვა, ლურჯივე შარვალი, მაღალყელიან ჩექმებში ჩატანებული, ჯიბეს დრაჰკანები უმძიმებდა, ფართო ქამარი შემოერტყა წელზე, სიამოვნებდა, დაგემოვნებით გამოცალა ჯამი, ესიამოვნა ღვინო, გაიმართა... მერე წამოდგა, ოთახში ამაყად გაიარ-გამოიარა, მუხლი გაშალა. ეს მხიარული, უდარდელი ჭაბუკი, გაცინებისას ლამაზ კბილებს რომ აჩენდა, მისი ამხანაგი იყო. „დილამდე ვსვათ, დილამდე. - გაიძახოდა ტულიო, - ახლა კი ვიმღეროთ, ერთიც, აჰა, ჰა, ჰათ... კარგია!“ ოო, მაგრად დათვრნენ - ცილიოს შუბლზე ჩამოეშალა კოხტად დავარცხნილი ქოჩორი, ჭიპამდე საყელოჩაღეღილი ვინსენტე კი ისეთ სიტყვებს იძახდა, აუუჰ - მტრისას, ანტონიომ კიდევ სამი პირი გამოიძინა, და დომენიკოსაც, აბარბაცებულს, თავდამძიმებულს, კისერი მოსწყდა... მერე, დილა იყო... ხახაგამშრალმა ძლივს გაახილა თვალები, და გაოცების თავი რომ ჰქონოდა, გაოცდებოდა - ყველაფერი ზმუოდა ირგვლივ: დოქები, ჭიქები, აყირავებული სკამი... ბუხართან ტულიო იდგა, ჭიქით ხელში, სვამდა... ანტონიო საკმაოდ ყოჩაღად გამოიყურებოდა, ცილიოს რაღაც ლაქა გულდასმით ამოჰყავდა ხალათიდან. ვინსენტეს იატაკზე ანტონიოს მოსასხამი გაეფინა, ზემოდან - თავისი გადაეხურა და ეძინა, ფშვინავდა. საყელო გაღეღილი ჰქონდა და სიზმარშიაც ალბათ უწმაწურად იქცეოდა - გამომეტყველება ჰქონდა რაღაცნაირი, ისეთი... ედმონდო ჯიქურ მისჩერებოდა ცილიოს, კუმეო კი ვინ იცის, საიდან შემოტორღიალებულიყო და ახლა, კუთხეში მიმჯდარი, ქათმის ძვლებს ღრღნიდა - ყველა, ყველაფერი ზმუოდა თითქოს!

დარეტიანებულმა დომენიკომ ძლივს აითრია წელი, და მაშინვე მხიარული შეძახილებით მიეგებნენ - ოო, ოოო... და ყველამ ხელი ჩამოართვა. „აბა, შეუვსეთ, - თქვა ტულიომ. დომენიკოს კი ერთი სული ჰქონდა, ხელები მაგრად დაებანა - კუმეოს თითებიდან აყოლილი ქონი რომ მოეცილებინა. ამასობაში დიდი, აორთქლებული ქვაბით შემოვიდა არტურო და, სახედაბუჟებულმა, ღამენათევმა, ჩაჟამებულმა,

მხიარულად თქვა: „აბაათ, ბიჭებო, დილის წვნიანი...“ მადისამშლელი კერძი იყო, ორთქლში მძიმედ გაჟღენთილიყო ნივრის სუნი, „ოჰოჰო, ჰოჰო - ნეტარებისაგან თვალები დახუჭა ტულიომ, - სულ მზრინავს, მზრინავს...“ დომენიკომაც, ორიოდ კოვზით რომ დაითუთქა პირი, ერთბაშად საოცარი შიმშილი იგრძნო და მადიანად მიაძღა იმ დილის წვნიანს. ერთადერთი, ვინც თავს იკავებდა, ცილიო იყო, და ტულიო მეორე მათლაფას რომ შეუდგა, მერეღა გაახსენდა და ჰკითხა: „ალბათ, სილვიას სულაც არ უყვარს ნივრის სუნი, არა?“ ყველამ ეშმაკურად გაიღიმა, ცილიომ ერთხანს აღშფოთება დააპირა, მაგრამ გაახსენდა, თვითონვე რომ წამოროშა ეს საიდუმლო და მორცხვად ჩაქინდრა თავი. ვინსენტე კი წამოდგა და თქვა: „უნდა წავიდე, ცოლი მიცდის...“ „ცოლს ნუ გაითამამებ, - ხუმრობით უთხრა ტულიომ, - თუმცა, ახალი ცოლია, კარგი, წადი, მაგრამ ჯერ ორიოდ ჭიქა შესვი...“ „მხოლოდ ორი, - თქვა ვინსენტემ, საყელო შებნეული ჰქონდა, - შენც წამომყვები ანტონიო?“ „მაშ როგორ...“ თქვა ანტონიომ და მხარზე გადახვია ხელი, ვინსენტე კი წამოდგა, გაიარ-გამოიარა და დაჯდა. ორი ჭიქა რომ შესვეს, არტურომ წუხანდელი ღორის მწვადები შემოიტანა, აშიშხინებული, „ოჰ, ოჰ, დნებოდა, დნებოდა“, - თქვა ტულიომ და ხორცის ნაჭრებს ამოსარჩევად დააშტერდა. სვამდნენ, მღეროდნენ, ვინსენტემ ისევ მოინდომა ცოლთან წასვლა, მაგრამ ერთის დალევაც სთხოვეს. იმანაც დალია და, შეეტყო, სმის იშტაზე რომ დადგა, რადგან გამოსათხოვებლად კიდევ ერთი ჭიქა ისურვა, მერე - კიდევ ერთი, და უცებ საყელო შეიხსნა და თქვა: „ცოლი არა, მოლი - ვრჩები“. დიდი მხიარულება ატყდა, გულიანად იცინოდნენ, ანტონიოს გარდა (ანტონიო ხომ ცოლისძმა იყო მისი), და ვინსენტემ წყენა რომ შეამჩნია, ხუმრობით შუბლზე წკიპურტი დაჰკრა და ანტონიოც ისეთ მშვენიერ გუნება-განწყობილებაზე დადგა, რომ კიდევ ორი ჭიქის შემდეგ დაბარბაცდა და შიგ მუხლებში ჩაუვარდა ედმონდოს, რომელმაც მყისვე დაბალის ხმით ამხანაგობა სთხოვა.

მერე იყო და, გაკვირვებულნი შეაცქერდნენ ფანჯრებს - ბურუსი იდგა. ასეთი რამ ჯერ არ ენახათ, ცივად აორთქლებულ რძეში ჩაძირულიყო ლამაზ-ქალაქი, აღარაფერი ჩანდა. აივანზე მორიდებულად, ფეხაკრეფით გავიდნენ, ვეღარ ხედავდნენ ერთმანეთს, ერთმანეთს კი არა, საკუთარ სხეულსაც ვეღარ არჩევდნენ იმ უცნაურ სინათლეში. გაოცებულნი აკვირდებოდნენ ერთურთს, მკრთალ და ბუნდოვან ჩრდილებად ქცეულთ, და, შემცბარებმა, მხარსა და შუბლზე მოისვეს ხელი, და ასე იდგნენ, სანამ ტულიომ ნაძალადევად მხიარული ხმით ისევ ოთახში დაბრუნება არ მოისურვა, დომენიკომ კი, გაბრუებულმა, მძიმედ ჩაიარა უხილავი კიბე. ეზოში შედგა, ძლივს გაიხსენა, საით უნდა ყოფილიყო ჭიშკარი, და, ხელგაშვერილმა, იქით გასწია. ლამაზ-ქალაქში, უცხო ქალაქში მიაბიჯებდა, იმ სქელ ბურუსში ხელგაშვერილი და ხანდახან ვისიმე ხელგამოწვდილი აჩრდილიც მძიმედ

ჩაცურდებოდა გვერდზე, ახლა სუყველას ერიდებოდა ერთმანეთისა და ისე უცნაურად, ისე საეჭვოდ გაისმა უცებ ღამის დარაჯის შეძახილი: „დიილის რვა საათზე მეტია და ყველაფერი რიგზეაა...“ „მძიმე მოსასხამში გახვეული, თხელ, მაღალ, ჩამოსხმულ ფეხებს ისეთი რიდით დგამდა, თითქოს თეთრი ტბის ფსკერზე დაიარებოდა. გვერდით ისევ მძიმედ მიცურავდნენ ხელგაშვერილი, ცალფარფლიანი ადამიანები, და კიდევ კარგი, რომელიღაც ჩაძირული გემიდან იმ საკრავის ფრთხიალი აღწევდა, სულად ფრინველი რომ ჰყავდა და მიდიოდა, მიდიოდა, სად - არც იცოდა და ვიღაცის ლამაზ, მოხდენილ აჩრდილს თვალი რომ მოჰკრა, შედგა, გაირინდა. ის უცნაურად - თან მძიმედ და თან საოცარი სიმსუბუქითაც მიუახლოვდა, მის წინ შეჩერდა, ხელგაშვერილი. ასე იდგნენ და თითქოს მოჩანდა მწვანე, დიდრონი, წარბის ნაზი დაბოლოებისკენ ახლეჩილი ირიბი თვალები. იმან კი ერთადერთი ნაბიჯიც მსუბუქად გადმოდგა, მძიმე ბურუსი მოხდენილად გაარღვია, მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

- დომენიკო, შენ?

ტერეზა იყო.

- მე... - თქვა დომენიკომ, - მე, და...

- საით ყოფილხარ...

ცივი ბურუსი მაშინვე გაიჟღინთა მისი დაბალი, სასიამოვნო ხმით და ისე ახლოს მიუტანა სახე, დომენიკომ მართლაც გაარჩია მისი თვალები, მწვანე შუქით აბზინებული და, ძალიან რომ დააკვირდა, შეცბა - დანაღვლიანებული იყო ქალი.

- მე არტუროსთან... მე არტუროსთან ვიყავი.

- მე კი, აი, წამალი მიმაქვს, - ხმადაბლა თქვა ტერეზამ, - მამა მყავს ავად.

ვერ უპასუხა, ანდა, რა ეთქვა... ლურჯები ეცვა, მაგრამ არ ჩანდა, ეჰ, ნისლი, ნისლი... და უცებ გაახსენდა, დილის წვნიანი რომ ჰქონდა მირთმეული და ნივრის სუნისა ძალიან შერცხვა, პირი აარიდა.

- შინ ვბრუნდები და... ვერ გამაცილებ? - ჰკითხა ტერეზამ, - წინ გამიძეხი.

- გზა რომ არ ვიცი...

- მე გიკარნახებ. აბა, შებრუნდი, - და, შებრუნებულს, უეცრად მხარზე დაადო ხელი, მსუბუქ კლანჭებში მოექცა თითქოს, და იმ ნატიფი თითების სიგრძეს აალებული მხრით კარგად გრძნობდა... - პირდაპირ წადი...

ხელგაშვერილი, მძიმედ მიარღვევდა ბურუსს, მხარზე ტვირთი ედო, ოო, ისეთი, ო, იმისთანა... საჭედ კი დაბალი, რბილი ხმა ჰქონდა: „ახლა, აქ - მარჯვნივ, ცოტაც, ცოტათი...“ დიდხანს იარეს. და ისედაც რბილი, ბურუსით გაჟღენთილი გრძელი მოსასხამი უცნაური, ჯერ არნახული სიამითაც გაეჟღინთა. ერთხელ კი, როცა წაიბორძიკა, მართლა კლანჭების სუსხი იგრძნო მხარზე და კოხტა, მსუბუქი ჩაცინება...

- აი, მოვედით, - ხმადაბლა თქვა ქალმა, - ახლა სად წახვალ... შემოდი, გინდა?

- იქ მიცდიან და...

- გზას ვერ გაიგნებ. მიგიყვან, გინდა?

- არა, რას ბრძანებთ.

ისევ გაახსენდა დილის წვნიანი და განზე რომ გაიხედა, ქალმა მაშინვე ჩურჩულით ჰკითხა:

- გინდა, გაკოცო? ოღონდ ლოყაზე...

- კი.

და, თვალდახუჭულს, ტერეზა დინჯად მიუახლოვდა. ცალ ლოყაზე მშრალი, თბილი ხელისგული იგრძნო, წაწვეტებული თითები კი საფეთქლამდე აუყვა, თმაში... მეორე ლოყაზე კი უცნაური შანთი დაადეს - რბილი და ნაზი. თხელკანიანი, ცხელი... და უნებურად სულ მიავიწყდა ნიორის სუნი, თავი შეაბრუნა და ხელისგულზე მაგრად, ისევ თვალდახუჭულმა აკოცა; იმან კი, ქალმა, ორჯერ მსუბუქად მოუთათუნა ხელი ლოყაზე - ორი უნაზესი სილა - და უთხრა:

- კარგი ბიჭი ხარ. ახლა კი წადი.

რაც იმათ შესვეს... აღელვებული, აღფრთოვანებული დომენიკო ჭიქას ჭიქაზე იყუდებდა, ტულიოს მხიარულებასაც აღარ ჰქონდა საზღვარი, ცილიო, ვინსენტე, კუმეო, დინო, ყველანი სვამდნენ, სვამდა ედმონდოც, ამხანაგობაზე ხელჩაქნეული და ის ვიღაც კაციც, ერთი დრაჰკანის საფასურად დომენიკო არტუროს შენობაში გახარებულმა რომ მიიყვანა... სვამდნენ თასებით, გლუვი ჯამებით, დოქს

იყუდებდნენ პირზე და ღვინით საკინძედასველებულნი, ახორხოცებულნი, დარწეულნი, ბოლოს ფეხზე იდგნენ და სვამდნენ და სვამდნენ... და როცა ფეხაკრეფით შემოსულმა არტურომ კისერი ბეჭებში ჩაიძვრინა და საწყლად, ცბიერად მოითხოვა ექვსი დრაჰკანი, დომენიკომ მაშინვე ჯიბეზე გაიკრა ხელი და, რაც კი ამოჰყვა, ამაყად მისცა... და აბარბაცებული ანტონიოს დოქს საჩქაროდ შეუშვირა ფართო, ლამაზი, კრიალა თასი...

თავი მეორე

პოეზიის საღამო და ზღაპარი ბალახისფერ კაცზე

- მე მაინც მგონია, - განაგრძო დარბაისელმა სენიორ ჯულიომ, - რომ ქმარი უფროსი უნდა იყოს ცოლზე.

- არა, რატომ... - თქვა მამიდა არიადნამ.

- იმიტომ, რომ ქალი უფრო ადრე ბერდება... აჰ, არა, არა, თქვენ ეს არ გეხებათ, - თქვენ მარადიული ახალგაზრდობის ნიშნითა ხართ გაჩენილი.

- ჯულიო, შე ცელქო... ისე კი, სადაც ნამდვილი და ამაღელვებელი სიყვარულია, ასაკი რა მოსახსენებელია.

- მე, მაგალითად, - თქვა დუილიომ, - ვიცნობდი ერთ შესანიშნავ წყვილს, სადაც ქალი თორმეტი წლით უფროსი იყო მამაკაცზე. მამაკაცზე კი არა, ბიჭზე.

- და ხომ კარგად იყვნენ?

- მშვენივრად, - აღნიშნა დუილიომ, - ცოლი ყოველ დილით ადრიანად წამოდგებოდა, წინსაფარს უკეთებდა და ვერცხლის კოვზით აჭმევდა საუზმეს. დიდ ლანდოში როცა ჩასხდებოდნენ, ბიჭი ფანჯარასთან ჯდებოდა, რადგან ახალგაზრდა იყო და უხაროდა თვალწარმტაცი გარემოს თვალიერება.

- და განა შედარებით უფროსებს არ უხარიათ თვალწარმტაცი სანახების თვალიერება? - გაიბუტა მამიდა არიადნა.

- როგორ არა, როგორ არა, თქვენ მარადიული...

- მე კონჩენტინასაც ლანდოს ფანჯარასთან ვსვამ, და განა ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ქმარია ჩემი? აჰ, რა სისულელე გამოდის...

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა...

- ეს - ერთი. და, მეორეც, ვასკო რამდენადმე ახალგაზრდა იყო ჩემზე, და ეს სრულიადაც არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ იგი ჭეშმარიტი მამაკაცი იყო.

- მშვენიერებაა, მშვენიერება.

- და თუ თქვენი გული მზადაა მშვენიერებისადმი შესახვედრად, - აღფრთოვანდა მამიდა არიადნა, - მაშინ მოდით და ვიმღეროთ კარგი და ლამაზი სიმღერები.

- ნამდვილად, ნამდვილად, უდავოდ, - თქვა ვინსენტემ და საყელო შეიხსნა, - კარგი ხარ, არიადნა!

მამიდა არიადნა კი შეიჭმუხნა და თქვა:

- თუმცა, ჯერ პიტნის ნაყენი დავლიოთ. მიირთვი, ტულიო, და შენს მეგობარსაც შესთავაზე... მშვენიერი ჭაბუკი ჩანს, მორცხვი, რა ჰქვია? დამავიწყდა...

- დომენიკო.

- გთხოვთ, გთხოვთ, ყმაწვილო!

- მიდი, დაურტყი, - ჩუმად უთხრა ტულიომ, - ნამთვრალევზე კარგია... სამიოდ ჭიქა.

- აგერ, ზამთარიც მოვიდა, წელიწადის ყველაზე ცივი დრო, - აღნიშნა ფანჯარასთან მდგარმა ცილიომ და როზინას, აი, სწორედ იმას, ჭალაში რომ იყო, გადახედა, - თოვს.

ლამაზ-ქალაქში წვრილად, უსუსურად თოვდა.

- ბიძია დუილიო, - ძალიან სერიოზულად მიმართა ანტონიომ, - აი, ახლა თოვს და ვერ დებს, და რომელი უფრო სწორი გამოთქმა იქნება - თოვლი დადო თუ თოვლმა დასდო?

- ეე... თოვლი მოვიდა, - თქვა დუილიომ, როგორიც იყო.

- აა... - თქვა ანტონიომ.

- ჩვენთან კი თბილა, მაინც თბილა ზამთრობით, - ფიქრებში წავიდა დუილიო, - ჩვენი ქალაქი მე ისე მიყვარს...

- მე მგონი, იმ მდიდარ სულელსაც... ჰო, დომენიკოს... მგონი იმასაც ვუყვარვარ, სილვია, - წასჩურჩულა კონჩეტინამ მეგობარს, - და იცი, როგორ შევატყე?

- არა?

- დაბნეულია ხოლმე ჩვენს სახლში.

- დუილიო, დუილიო, - შესძახა უცებ მამიდა არიადნამ, - იცით, რა აზრი მომივიდა?

- რა...

- მოდით, ამ კარგ საღამოს პოეზიის ენით ვილაპარაკოთ.

- აჰ, - რა კარგია, - ტაში შემოჰკრა კონჩეტინამ, - მე ისე მიყვარს პოეტურობა...

- მამიდაშენის ძმისშვილი ხარ და იმიტომ - მოეფერა სენიორ ჯულიო.

- რა თემაზე? - განემზადა დუილიო, - თემებს შერჩევა უნდა.

- მოდით, თოვლზე ილაპარაკეთ.

- თოვლზე? და ჯერ ხომ ვერ დადო...

- ციდან ხომ მოდის... ესეც კარგია!

- ჩვენი ქალაქი... - გამოაცხადა დუილიომ.

- თოვლზე რომ გვეთქვა...

- ორივე შედის.

- მაშ ჯერ პირი გაისველეთ, აგერ, დუილიო, აგერ, ვარდისფერი წყალი იგემეთ... ააბა, გისმენთ!

და, მოისმინეს:

ჩვენთან, ლამაზ-ქალაქში, თოვლის ბაბუა

ქურქის გარეშე შემოდის,

მთებში კი შეუძლებელია უქურქოდ,

მაგრამ ყველგან ერთნაირად კარგია,

როგორც ჩვენს ლამაზ-ქალაქში, ასევე სხვაგანაც,

შენ კი, ჩემო დედა, დედი,

ჩემზე ნუ დაიდარდებ,

ზოგიერთი ადამიანი კარგია.

- არ გაგიარა თავის ტკივილმა? - წასჩურჩულა ტულიომ, - ერთიც დალიე, დომენიკო...

- ცოტა მიშველა...

- მშვენიერი ლექსია, ურითმო, - აღნიშნა მამიდა არიადნამ, - განაგრძეთ, განაგრძეთ...

- აჰ, რა კარგი ფიფქები დატრიალებენ, ჰაერში,

და განა ცოდვა არ არის,

სილამაზის მუზეუმში რომ არ არიან ისინი?

- მართლაც, საცოდაობა... - თქვა კონჩეტინამ და მხარზე დაიდო ლოყა.

- შესანიშნავია, შესანიშნავი...

- ხომ გაგიარა?

- კი.

მაგრამ გათენებისას ისევ სტკიოდა. ჰაერი არ ჰყოფნიდა, ყელზე მოისვა ხელი. საწოლთან მდგარი დოქი ხელის ფათურით მოძებნა. პირზე მიიყუდა, ისევ ის ლაქა! წამოდგა, ლურჯ ხალათში თავი ამოყო, ჭერიდან კუშტად დასცქეროდა ვიღაც. საფეხურები ფრთხილად ჩაიარა, არტურომ მაინც გამოყო თავი, - მოდით, მობრძანდით, დომენიკო...

- არაფერი არ მინდა.

- გაწყენინეთ რამე? - შეიცხადა არტურომ.

- არა, საქმე მაქვს...

აღარა თოვდა. მიწა სველი იყო, ჯიუტად ჟინჟღლავდა. გადაჭრილ ხესთან მიმოიხედა, ჩაცუცქდა, ადვილად ითხრებოდა დამბალი მიწა, ხელებზე სციოდა მხოლოდ. ჯიბეები ამოივსო; ისევ დაფარა ტომარა მიწით, თითებზე შერჩენილი ტალახი მოზილა, ააგორგოლავა, მოიცილა. მშრალი თითები ჯიბეში ვეღარ ჩაიყო - სავსე ჰქონდა. მაგრად შეიფუთნა მოსასხამში, ჭალას გაუყვა - აღარავისი დანახვა სურდა. დიდხანს იარა, მოსასხამი დაუმძიმდა, სახეც დაუსველდა...

დიდი, უზარმაზარი ტბა მოჩანდა და დაბალ, ნაცრისფერ ღრუბლებში იკარგებოდა. ნაპირთან იდგა, მოსასხამში გახვეული, თვალებზე ქუდჩამოფხატული, მხრებაწურული. წვიმდა. ტერეზა გაახსენდა, თამამი ქალი. ლოყაზე მოისვა ხელი. და უცებ მოესმა:

- ეჰ, ეეს კი დაუნგრევიათ, მაგრამ არა უშავს.

ალექსანდრო იყო. ფიცარზე იჯდა, წყალს გასცქეროდა. დომენიკო შეკრთა - დანისლულ ტბასთან, მარტოდმარტოს, გიჟიღა აკლდა.

- მართლა გიჟი კი არა ვარ, - თქვა ალექსანდრომ, წყალს გაჰყურებდა. - დომენიკო გქვია?

- ჰო.

- კარგი სახელია.

უნებურად ჯიბეზე მოისვა ხელი და გამხნევდა - ოქროებით პირთამდე იყო სავსე.

- ამ ფიცრებს ხედავ? - თქვა ალექსანდრომ და დომენიკომ ბევრგან დაკერებული მოსასხამი რომ შეუთვალიერა, უფრო გამხნევდა.

- ვხედავ, აბა რა.

- დაუნგრევიათ, მაგრამ არა უშავს, ალბათ, ვინმე მთვრალი თუ იზამდა; აბა ფხიზელი კაცი რატომ გააფუჭებდა იმას, რაც შეიძლება დასჭირდეს - ხომალდს რომ უცდიან, წვიმაში ამ ფიცრულს აფარებენ თავს. ახლა კი, ხედავ, დაუნგრევიათ.

და შეფიქრიანებული დომენიკო რომ აათვალიერა, საჩქაროდ დაამატა, - დარდი ნუ გექნება, ახალს ავაშენებ. ისე, როგორ მოგწონს ჩვენი ქალაქი?

- რა ვიცი, კარგია. - უგულოდ უთხრა დომენიკომ. - აწვიმდა.

- აჰა, გამომართვი, - ქოლგა გაუწოდა ალექსანდრომ, - აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე. მართლა, მეც გავშლი... დაჯექი... დაჯექი, კაცო.

სავსე ჯიბეები უშლიდა, ძლივს დაჯდა ფიცარზე და ფეხები გაშალა. კმაყოფილმა, ამაყად დაიჭირა ქოლგა, კარგა ხანს ჩუმად იყვნენ, მერე ალექსანდრომ ჰკითხა:

- ხომ არ მოგბეზრდა ჩემი ლაპარაკი?

- არა, რატომ.

- მე ძალიან მიყვარს ზღაპრები, - გამოაცხადა ალექსანდრომ, ქოლგა ზედ თავზე დაიდო და ხელები გაინთავისუფლა, - თუ გინდა, ერთ ზღაპარს გიამბობ.

- მიდი, - და თანხმობის მიზეზიც აუხსნა, - სხვა საქმე მაინც არაფერი გვაქვს და...

გვერდიგვერდ ისხდნენ, ნისლში არეულ ტბას გასცქეროდნენ.

- იცი რა, - თვალები მოჭუტა ალექსანდრომ, - ზღაპარში რაც ითქმევა, ყველაფერი ზუსტად ისე კი არ უნდა მიიღო, ყველაფერში რაღაც სხვა, უფრო დიდი რამ

იგულისხმება, ზღაპრის ყველაფერი აი, როგორ ამბობენ... - ჰო - გადატანითი მნიშვნელობისაა!.. მაგრამ ეს სულ, სუულ სხვაა, აქ ყველაფერი პირდაპირაა ნათქვამი, და, სხვათა შორის, უბრალოდ. მაშ ასე, ვიწყებ... სათაურია „ზღაპარი ბალახისფერ კაცზე“... მოგწონს სათაური?

- კი.

- ჰოდა, სანამ ბალახისფერი კაცი კარაველებთან მივიდოდა, ორი დღით ადრე ყველაზე კარგი მოქალაქე გააძევეს. ყველაზე პატიოსანი კაცი იყო და გაძევება მიუსაჯეს, წარმოგიდგენია? ასეთი რამეებიც ხდება... აღარ იკითხავ, რატომ აითვალწუნეს? კარაველებმა ერთხელ დიდ თავშეყრაზე - ნადირობის დასაწყისში აღნიშნეს, რომ იმათი ქალაქი ყველასა სჯობს... იმ კაცმა კი თქვა, რომ ალუბლის ქალაქი უფრო კარგია. ჩვენ შორის დარჩეს, დომენიკო, და ეს მართლაც ასე იყო და მით უფრო აეწვათ კუჭი, მის საწინააღმდეგოდ ამხედრდნენ, ცილი დასწამეს, რომ მას არ უყვარდა თავისი ქალაქი და ამიტომაც არ იყო მათთან ყოფნის ღირსი, და გაძევება მიუსაჯეს. დიდმა კარაველმა... კამორელში არ შეგეშალოს, დიდმა კარაველმა თოფი შეათამაშა და თქვა: „თუ შენ ახლავე არ დატოვებ ჩვენს საყვარელ ქალაქს, მაშინ მე გესვრი...“ კაცი შეაცქერდა, რამდენჯერმე ნელა, საყვედურით დაიქნია თავი და წავიდა. ეს, რა თქმა უნდა, საბაბი იყო, მიზეზი კი სუუულ სხვა რამ გახლდათ: კარაველებს არ მოსწონდათ პატიოსანი კაცი. ბევრს კი არაფერს აშავებდა - ვინმე რამე ცუდ საქმეს რომ ჩაიდენდა, პააატარა, მცირე საყვედურით შეაცქერდებოდა ხოლმე. ეს იყო და ეს, იმ დღეს კი, ალბათ, ვეღარ მოითმინა და იმიტომაც თქვა, აბა, ყურადღებით თუ მისმენდი, რომელი ქალაქი სჯობსო?

- ალუბლის ქალაქი.

- ოო, სწორედ ეგრე თქვა, ყოჩაღ.

...რაღა დარჩენოდა, - აიღო და წავიდა. მესამე დღეს კი, ზუსტად თერთმეტის ნახევარზე, ქალაქს მეორე მხრიდან სწორედ ის ჩვენი ზღაპრის გმირი - ბალახისფერი კაცი მიადგა. ქალაქში როგორ შემოვიდა, არავის დაუნახავს, რადგან კაცები სანადიროდ იყვნენ წასულნი, ქალები კი მორევთან შეკრებილიყვნენ და კამათობდნენ, დიდი კარაველის ცოლს მაღლა აწეული ვარცხნილობა უფრო უხდებოდა თუ მხრებზე დაყრილი თმა. ბალახისფერი კაცი კი აუზთან მივიდა და რამდენიმე პეშვი წყალი დალია. ეტყობოდა, რომ არ სწყუროდა, მაგრამ მაინც სიამოვნებდა ის წყალი. მერე ქალების ხმა მოესმა და იმათკენ გასწია. ფრთხილად მიაბიჯებდა, რომ არ შეენიშნათ, მაგრამ ნაცრისფერი კედლების ფონზე აშკარად გამოირჩეოდა, თავით-ფეხამდე ბალახისფერი იყო, მწვანე შარვლის გარდა, არაფერი

ეცვა და, ფეხშიშველი, ფრთხილად მიაბიჯებდა. მორევს რომ მიუახლოვდა, შვებით ამოისუნთქა და ბალახზე გაწვა - ასე ვერავინ შეამჩნევდა. მხოლოდ თვალის გუგები უელავდა. ქალების საუბარს ნაღვლიანად უსმენდა და თან სუულ ცოტათი იღიმებოდა, თეთრი კბილები რომ არ გამოსჩენოდა. და უცებ ისეთი რამ მოხდა, ყველა ქალმა გაკვირვებით მიმოიხედა - რაღაცნაირად ისე დაემთხვა, რომ ორიოდ წუთით სროლის ხმა შეწყდა. კარაველების ქალაქში ეს დიიიიდი უცნაური შემთხვევა იყო - იქ ყოველთვის გაისმოდა სროლა - თუ არ ნადირობდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სროლაში, ანდა ისე, უმიზეზოდ ისროდნენ. ღამითაც არ ჰკარგავდნენ დროს - რომელიმე კარაველი შუაღამისას თუ გაიღვიძებდა, იქვე, თავთით მიყუდებულ თოფს ასწევდა და ღია ფანჯარაში გაისროდა - ისე, ტყუილუბრალოდ, მეზობლების გასაგონად. სანამ სხვები გამოეპასუხებოდნენ, ოთხივე ლულას დატენიდა, თავს ბალიშზე დადებდა და მაშინვე იძინებდა და აი სრულიად შემთხვევით, უცებ კარგა ხანს მიყუჩდა სროლის ხმა, გაკვირვებულმა ქალებმა თავი ასწიეს და შველებივით ყნოსავდნენ ჰაერს, „რატომ არ ისვრიან? - იკითხა დიდი კარაველის ცოლმა, - ნეტავი რაიმე უბედურება ხომ არ მოხდა. ჰა...“ და რამდენიმე ნაბიჯი დაუფიქრებლად გადადგა. შეშფოთებული იყურებოდა ირგვლივ და უცებ, ზეედ ცხვირწინ, ბალახისფერი კაცი არ წამოხტა?.. ქალმა იგი ჯერ მწოლიარე დაინახა, თვალებში შეაცქერდა და მერე, ბუნდოვნად რომ გაარჩია ცხვირი, შუბლი, შიშისაგან უცებ თვალთ დაუბნელდა და ზუსტად ისევე სწრაფად ჩაიკეცა, როგორც ის კაცი წამოხტა. ამასაც კარგა მაგრა შეეშინდა - კლაკნილად გარბოდა, რადგან ქალებსაც დაჰქონდათ მსუბუქი იარაღი, მაგრამ არავის აზრადაც არ მოსვლია სროლა, ისეთი გაკვირვებულები იყვნენ - იმგვარი ცხოველი არსად ენახათ. ამასობაში სროლაც განახლდა, დიდი კარაველის ცოლმა თავი წამოსწია, მიმოიხედა და გაიღიმა, - „გესმით, ისვრიან, - და უცებ გაახსენდა, - ვაი! ის რა იყო, რა?“

ნადირობიდან რომ დაბრუნდნენ და ახალი ამბავი შეიტყვეს, კაცებმა აგდებული ღიმილით შეათვალიერეს აფორიაქებული ცოლები, ცალი ყურით მოუსმინეს და მერე ალმაცერად გახედეს ერთმანეთს, რაც ნიშნავდა: „ყოველი ქალი სულელია.“ მაგრამ მეორე დღეს, ნადირობისას, როცა ბუჩქებში გატრუნული კურდღელი შენიშნა ერთმა კარაველმა, მეორეს იდაყვი გაჰკრა და ჩუმად უთხრა - აი, აქ არის... ჩქარა გატენე... - განზე კი იყურებოდა, მაგრამ უცებ, იქვე, მწვანე კაცი წამოხტა და გაიქცა. მონადირეებმა თოფის გატენაც ვერ მოასწრეს, რაც, უსათუოდ, დიდ გაკვირვებასთან იყო დაკავშირებული. ხომ არა გცივა?

- არა.

- სხვებმა რომ გაიგეს ეს ამბავი, ამაყად გადახედეს ერთმანეთს: „ზოგი მამაკაციც სულელია...“ იმ ორს სახელი გაუტყდა, რადგან მთელი ერთი კვირა არავის უნახავს ბალახისფერი კაცი... ერთ მშვენიერ დღეს კი, დიდ დღესასწაულზე, როცა კარაველებმა ნაირფრად შეიღებეს სხეული და, შუაღამისას კოცონის პირას ცეკვა და ყვირილი ატეხეს, მათი ყურადღება მიიქცია ერთმა მწვანედ შეღებილმა კაცმა, რომელიც უცნაური აღგზნებით ცეკვავდა და თავდაუზოგავად იგრიხებოდა. ყველა შეჩერდა და გაკვირვებულნი შესცქეროდნენ - არც ერთს არ ეცნაურა. ყველა გახევდა, მხოლოდ ის კაცი ცეკვავდა თვალდახუჭული და, უზომოდ გატაცებულმა მედოლემაც რაღაც იგრძნო იმის დანახვაზე და დაკვრა შეწყვიტა. დოლი მიჩუმდა თუ არა, იმ კაცმა ერთი კი მოავლო ყველას თვალი და უცებ გაიქცა. ყველა მამაკაცი იქ იყო, კოცონთან, ასე რომ, ვერავინ გაბედავდა იმის თქმას, რომ „ყველა კარაველი სულელია...“ ბრაზისაგან ვერაფერი ამოღერღეს, დიდმა კარაველმა კი სიმწრით მხარზე იკბინა. იმ ღამით სროლა არ შეწყვეტილა, ისე იყვნენ განრისხებულნი, რომ ერთმა ჭაში ჩაცალა შვიდი ტყვია და, აცახცახებული, ყოველ გასროლაზე იძახდა - „ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი...“ მეორეს რაღაც ფაჩუნი მოესმა, იქითკენ გახოხდა ცალხელაწეული - თოფი მიჰქონდა - და, კიდევ კარგი, რომ არ ისროლა - ძმა მიხოხავდა მისკენ. ხომ არ გადაიღო? - ხელისგული შეუშვირა წვიმას ალექსანდრომ.

- არა.

- მეორე დღეს კი დიდი კრება მოიწვიეს. რაც კი დოლი იყო, ყველა ერთად აგუგუნდა, ხალხი მაშინვე შეიკრიბა, დოლები მაინც კარგა ხანს გუგუნებდნენ, დიდი კარაველი ხალხის წინ, კასრზე იდგა, განრისხებულს, ჩანაცრისფერებული ძარღვი მოუჩანდა ყელსა და შუბლზე და მძიმედ სუნთქავდა. ყველანი გაცოფებულნი იყვნენ, თოფს მაგრად უჭერდნენ თითებს, მეორე ხელს კი მკერდზე იბაგუნებდნენ. მერე ორმა შიკრიკმა მოიყვანა ბრძენი კარაველი, რომელიც ჭკუითა და საზრიანობით იყო განთქმული და ხალხის წინ დააყენა.

ბრძენი კარაველი ხალხის წინაშე წარდგა და ისეთი რამ სიტყვა თქვა, თითქოს ყოველი მათგანისათვის სილა გაეწნას:

- ერთმა ბალახისფერმა კაცმა ასეთ დღეში ჩაგაგდოთ, ნეტავ, რა გეშველებოდათ, რომ მოსულიყო ორი ბალახისფერი კაცი?

დიდმა კარაველმა კბილები გაახრჭიალა და თქვა:

- სანამ არ მოვკლავ, ცოლს არ გავეკარები.

სუუულყველამ დაიჯერა მისი აღთქმა, მაგრამ დიდმა კარაველმა მაინცა ბრძანა კოშკის აგება; შიგ დაამწყვდიეს ქალი. ის ბალახისფერი კაცი კი ამ დროს ნაყოფს აგროვებდა ტყეში. კაკალი დაბერტყა და საიმედო ადგილას გადამალა. კარგად იცოდა, რაც მოელოდა, თუკი შენიშნავდნენ. ისიც იცოდა, ადრე თუ გვიან ნაღდად რომ მოკლავდნენ და მაინც არ მიდიოდა. ყველაფერზე მეტად წვიმისა ეშინოდა - დიდ ფუღუროში შეძვრებოდა ხოლმე და გახევდებოდა, წყვილად უელავდა თვალი. დარი თუ იყო, მთაზე ადიოდა და იქიდან დასცქეროდა ქალაქს. იგი უყურებდა კარაველთა ფუსფუსს დღესასწაულების დროს, აინტერესებდა, პირველი ვინ გამოვიდოდა სახლიდან გამთენიისას, საღამოობით ფანჯრებში მკრთალად მოციაგე სინათლეებს შესცქეროდა და ასე იწვა, გახევებული. მერე მთაზედაც ვეღარ ადიოდა: ერთმა მონადირემ შენიშნა და მყისვე დიდ კარაველთან გაიქცა - იმას ძალიან ეწყინებოდა, სხვას რომ მოეკლა ბალახისფერი კაცი. დიდი კარაველი შინ არ დახვდა, ამ დროს იგი ერთ ლამაზ ქვრივთან იჯდა და ბეწვის ქუდი თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული, რომ არ ეცნოთ. ნელა წრუპავდა ფიალიდან ბადაგს, ქალი კი დაბალის ხმით უმღეროდა საყვარელ სიმღერას... მეორე დღეს კი, ნაშუადღევს, დიდი კარაველის მეთაურობით ყველა მონადირე ავიდა მთაზე და იმ ადგილს, სადაც წინადღით ბალახისფერი კაცი იწვა, ბრაზიანად დაახალეს უამრავი ტყვია. ის უცნაური კაცი კი იქვე, მაღალი ხის ტოტზე იდგა, მწვანე ფოთლებში შეყუჟული. კარაველებს იმედი მოეცათ, რომ შენიშნავდნენ მას, დღედაღამ ტყეში დადიოდნენ და ეძებდნენ. დიდ კარაველს ბრძენი დაჰყვებოდა და განზრახ იძახდა: აი, ხედავ, სადა ყოფილა?

- სად! - თოფიანი ხელი მაღლა აუხტებოდა ხოლმე დიდ კარაველს.

- არა, ისე ვიძახი... თუ ახლომახლოს იმალება, მაშინვე წამოხტება.

- აა.

და რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მოწყენილმა ბრძენმა გულგრილად თქვა: „აჰაა, ხედავ, სადა ყოფილა?“ - უცებ ხიდან ბალახისფერი კაცი ჩამოხტა. მუხლამდე დაფენილ ყვითელ ფოთლებში გარბოდა და მიზანში მშვენიერი ამოსაღები იყო. როგორ გგონია, დომენიკო, მოარტყამდნენ?

- რა ვიცი... მოარტყეს?

- კი, დიდმა კარაველმა კარგად იცოდა თავისი საქმე.

მერე ალექსანდრო დაფიქრდა, გაყუჩდა, მოიწყინა და უცებ ჰკითხა:

- აბა, თუ მიხვდები - ვინ იყო ის ბალახისფერი კაცი?

- რა ვიცი, - გაიკვირვა დომენიკომ, - საიდან უნდა ვიცოდე...

- როგორ თუ საიდან... - იწყინა ალექსანდრომ, - მაგას ვერ უნდა მიხვდე?

- არა, მაინც როგორ უნდა მივხვდე! - იწყინა დომენიკომაც და შეაცქერდა. ალექსანდრო ბრაზნარევი მუდარით უყურებდა, დომენიკოს კი ახლაღა მოესმა, როგორ ხმაურობდა ქოლგებზე წვიმა. მერე ალექსანდრომ გადაწყვიტა, აეხსნა:

- რაც გიამბე, მართალია, ზღაპარია, მაგრამ კარგად დაფიქრდი, განა შეიძლება არსებობდეს ნამდვილად ბალახისფერი კაცი... ა? ა?... სხეული უნდა შეე... შეეღე... შეეღება, არა? აბა, ახლა კარგად დაუკვირდი, ვის დასჭირდებოდა ქალაქში ასე მალულად შემოსვლა... ა? ჰა? - ერთხანს შეიცადა, - აბა, პირველ ასოს გეტყვი და მაშინაც თუ ვერ მიხვდები, სუულ დამეკარგება შენზე წარმოდგენა, - და საზეიმოდ გამოაცხადა - „პ!“

- პ? - დაფიქრდა დომენიკო, - პ...

- ჰო, - შეაცქერდა დაინტერესებული ალექსანდრო, - ეჰ, რაც არის, არის - „პა?“

- პა?.. პატარა?

- ფიი, შენ რა გითხარი... პატიოსანი კაცი იყო, ყმაწვილო, პატიოსანი, აიი, რომ გააგდეს, ის... ალუბლის ქალაქს ისევ თავისი ოხერი ქალაქი ერჩია...

- მართლა? მერე, როგორ უნდა მივმხვდარიყავი? - მხრები აიჩეჩა დომენიკომ და უცებ გაახსენდა, - თქვენ არა თქვით, ქალაქს სუუულ სხვა მხრიდან მიადგაო?

- ეს იმიტომ ვთქვი, ცოტათი რომ გაგძნელებოდა გამოცნობა, მაგრამ საერთოდ თუ ვერ გამოიცნობდი, არ მეგონა. ჰეე, რა კაი ბიჭი ხარ, - გამხიარულდა ალექსანდრო, - აბა, რომ მეთქვა, ის კაცი საიდანაც გავიდა, იქიდან შემოვიდა-მეთქი, ხო მაშინვე მიხვდებოდი?

- მერე რა...

- რა და, ზღაპარს ინტერესი დაეკარგებოდა.

- ეე, - ხელი აიქნია დომენიკომ, - ვითომ ეგეთი კარგი ზღაპარია?

- ეჰჰ, - ეწყინა ალექსანდროს, - რას იზამ... მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ პატარა, სუულ პატარა სარგებლობა მაინც მოგიტანა ამ ზღაპარმა. გაიხსენებ როდესმე. ისე კი,

სხვა ჩემს ადგილას გაბრაზდებოდა და თავს გაგანებებდა, მაგრამ მე მაინც მოკლედ დავამთავრებ - წვიმამ რომ წამოუშინა, იმ კაცს სულ ჩამოეცალა მწვანე საღებავი და ყველამ იცნო, საღამოს კი, დოლების გუგუნში, დიდ კარაველს თავისი ცოლი მიჰგვარეს - კოშკიდან გამოიყვანეს, ტახტრევანზე დასვეს და ციმციმ მოჰყავდათ. ყველას საზეიმო იერი დაჰკრავდა, ქმარს მონატრებული, თმაჩამოშლილი ქალი კი ლამაზად იჯდა ტახტრევანზე, ფეხებმოკეცილი, ხელები ქმრისაკენ გაეშვირა, დიდი კარაველი კი ამაყად ათვალიერებდა ყოველივეს და სიამოვნებისაგან ყვრიმალებს ათამაშებდა.

- გათავდა? - უგულოდ იკითხა დომენიკომ.

- ეეჰ, მართლა არა ხარ ღირსი, მაგრამ მაინც დავაბოლოვებ - იმ ადგილას, სადაც მწვანე კაცი მოკვდა, ფიჭვი ამოვიდა.

ალექსანდრო წამოდგა, შარვლის ტოტებიდან წყალი ჩამოიფერთხა და წასვლისას უთხრა:

- შენ ალბათ ისიც არ გაგახსენდა, ფიჭვი რომ მარადმწვანეა.

ზამთრის თამაშები

ლამაზ-ქალაქში დაკეტილი ფანჯრებიდანაც ხშირად მოისმოდა სიცილი, მაგრამ სწორედ იმ ღრუბლებჩამოწოლილ საღამოს რატომღაც ყველა გაღიზიანდა. თავ-თავიანთ სახლებში ისხდნენ, არავინ წასულა სტუმრად. ვახშამსაც აღარ ჰქონდა გემო, წრიალებდნენ. იმ საღამოთი ვინსენტე პირველად შეუწყრა ცოლს, და ანტონიოს ცრემლნარევი მზერა რომ იგრძნო, მაგიდაზე ცერით უხილავი ჭიანჭველა მიასრისა თითქოს. მეზობელ სახლში კი დიდი ხნის ცოლ-ქმარი უფრო თამამად ჯაჯღანებდა - კაცმა განჯინა გამოაღო და რაღაც რომ გადმოვარდა, მაშინვე ცოლს დაეტაკა: „რაა, ქალო, ამ ოხერ სახლში ყველაფერი უნდა ცვიოდეს?..“ „საჭიროა ალბათ...“ - განრისხებული ზელდა ცომს ქალი. „რაა საჭირო...“ „რაც მანდ აწყვია. მშვენივრად ხედავ...“ „რომ არ ეტევა! ათასი ნაგავი...“ „მეორე იყიდე, არავინ გიშლის...“ „რითი ვიყიდო!! რითი ვიყიდო, მე თქვენი...“. ტულიოსაც კი აღარ უნდოდა სმა, იქით არტურო უბღვერდა ცოლ-შვილს: „ჰმ, ერთი გროშიც არ გიშოვნიათ... რა გენაღვლებათ რა - დაგიღიათ პირი...“ კონჩეტინამ ფიალა მიიტანა პირთან და მამიდა არიადნამ მაშინვე დააყვედრა: „არ გამიგია ასე მოწყურება...“. სხვაგან კი კაცი ასე ცხარობდა: „რამდენს ტირის ეს ბავშვი, რა ხდება ბოლოს და ბოლოს!“ „ყველა ასეა...“ „სულ ასე ღნავილი მაინც არ გამიგია...“ „ყველა ასეა. შენც ასე იყავი...“ „რა იცი შენ! რა იცი-მეთქი, მიცნობდი თუ რა! მაშინ მიცნობდი? - და დააყოლა, - შენი გაცნობის დღე

და საათი...“. დარბაისელი მარტოხელა სენიორ ჯულიო თითებს ნერვიულად იკაკუნებდა მკერდზე და დუილიოს, როგორიც იყო, ერთხელაც არ გახსენებია თავისი საყვარელი „წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებ...“ და, გინდაც გახსენებოდა, მერე, პირიქით, ასე გაიფიქრებდა: „მივამტვრევ, დავფშვნი...“. ცილიო როზინას (აი, სწორედ იმას, ჭალაში რომ იყო) გინდაც შეხვედროდა, ალბათ, თვალს აარიდებდა და ედმონდოსაც კი შედარებით სწრაფად გადაჰქონდა მზერა კედლიდან კედელზე. ფარნების სუსტი შუქიც აღიზიანებდათ, იმ საღამოთი ყველანი ადრე დაწვნენ, პატარა ხანს ვერ დაიძინეს, მხარი იცვალეს, წრიალებდნენ, და მერე, რომ გაყუჩდნენ, ვინმეს რომ შეეჭყიტა ლამაზ-ქალაქის გახევებულ სახლებში, განცვიფრდებოდა - ყოველ მოსახლეს პირქვე ეძინა!

ღამის დარაჯი კი, ლეპოლდინო, პირველ თოვლზე მიაბიჯებდა. და როგორც იქნა, ნაშუაღამევს, ნამდვილი თოვლიც მოვიდა, ქვაფენილთა სითბოს მომრევი, რბილად ბრჭყვიალებდა ფარნის შუქზე. ჯანსაღი ჰაერით სუნთქავდა მხრებაწურული, მოკუნტული ღამის დარაჯი. თოვლი, ისეთი თეთრი, აბზინებული იქვე, მის ფერხთით. თოვლი, სიბნელეში ლურჯი, ლურჯი და იქაც, ძალიან შორს, თითქოს მუქი და სპეტაკნარევი, მაინც სპეტაკი, და ირგვლივ - ბარდნა... აჰ, როგორ თოვდა ლამაზ-ქალაქში, მსუბუქად იდო სახურავებზე, თეთრად აჩენდა აქა-იქ ხეებს, პეშვზე ლოყა ედოთ ლამაზ-ქალაქელებს, ეძინათ. ერთადერთი ლეპოლდინო დაიძურწებოდა მიმოხვეულ ქუჩებში, ჰაერი იყო ისეთი ლაღი, ისეთი კრიალა, ვეღარ იძახდა იმ თავის სიტყვებს: „ღა-ამის...“. იმ კაცის სახლიდანაც კი არ ისმოდა საკრავის ხმა, სულად ფრინველი რომ ჰყავდა, სადღაც შეძურწულიყვნენ თოვაში ჩიტები, მძიმედ, მსუბუქად, უხვად ბარდნიდა. სიჩუმე იდგა პირველი თოვლის და მხოლოდ ერთგან, მკრთალად განათებული ფანჯრიდან გამოსულ შუქზე თითქოს ოდნავ შრიალებდნენ ნათელი, გადიდებული ფიფქები... თოვდა! თოვდა, პირმოკუმული დაიარებოდა ლეპოლდინო, უცხო სიმართლე ფარფატებდა ირგვლივ, პირველი თოვლის თეთრი სიმართლე და ლეპოლდინომ, ღამის მატყუარამ, საათს დროულად დახედა და მაინც კრინტი არ დასცდენია. ეჰ, კარგი იყო, და მაინც ჰქონდა თოვლს მისი სევდა, ფიფქებით შეკოწიწებული, თეთრი, უთქმელი... მარტოკა იყო ლეპოლდინო მორთულ ქალაქში და ფარანი დაუშვა. თავის ნაფეხურს, იმ ფაფუკ თოვლში ღონივრად ჩაჭედილს, ოდნავ ნაცრისფერს, დააცქერდა და, რომ გაიმართა, მხრებიც გაშალა. ეულად დააბიჯებდა სილამაზეში, და გაამაყდა. თავი გადასწია, სახეზე ათოვდა. მხნედ, თამამად დაიარებოდა გათენებამდე, ყოველივე თეთრად გამჟღავნდა, და თითქოს ალაგ-ალაგ დაბზარული ბინდის გასაფანტავად, ლეპოლდინომ ფარანი მოისროლა, ხელები გაშალა, ღრმად შეისუნთქა ლაღი ჰაერი და თვალდახუჭულმა, უცებ იყვირა: „ააგერ, გათენდა და... თოვლი მოვიდაა!“

უცნაურ შვებას გრძნობდნენ ბუნდოვანი, თეთრი სიზმრებიდან თავდაღწეული ლამაზ-ქალაქელები: თვალს ახელდნენ და მაშინვე ფანჯრისკენ გაურბოდათ მზერა - უცხო სინათლე იდგა ოთახში, ფეხშიშველნი მიდიოდნენ ფანჯარასთან პერანგისამარა ქალები და თოვლის დანახვაზე თითქოს უმკვრივდებოდათ გამჭირვალე პერანგებიდან გამომზირალი მადლიანი ნაკვთები - თოვლი მოსულა! უცებ, ერთბაშად იღვიძებდნენ და ლამაზ-ქალაქში ათასგან თეთრად ფეთქდებოდა გაოცებულ თვალებში თოვლი, მაგრად შეფუთვნილი, თოთო ბავშვებიც მიჰყავდათ დედებს ფანჯარასთან და ისინიც თვალდაჭყეტილნი შესცქეროდნენ უცნობ სითეთრეს და გაოცებისაგან პატარა თითებს აღარ ლოღნიდნენ - ზოგი ახლაღა ხედავდა პირველ თოვლს, ზოგიც, ვინ იცის, მერამდენედ და ყველას უხაროდა... აჩქარებულნი საუზმობდნენ და ქუჩაში გარბოდნენ, ბევრს ლუკმაც არ ჩასვლია პირში, ისე გამოვიდა ლამაზ-ქალაქში, ვიღაცას მოხვდა ვინსენტეს ხელით ნასროლი გუნდა, მამიდა არიადნამაც კი ვადაზე ადრე გაიღვიძა - გაკვირვებულმა, ვადაზე ადრე დააფახულა სქლად შეღებილი წამწამები და ნეტარებით თქვა: „აჰ, ბრრ...“ ისევ, კვლავ თოვდა! დღის სინათლეზე ხალისიანად ეშვებოდნენ დიდი, დაჩვრეტილი, მსუბუქი ფიფქები და ისეთი ლაღი, ისე თამამი გუნდაობა გაიმართა! დარბაისელ სენიორ ჯულიოსაც ზედ კინკრიხოში მოხვდა გუნდა და წოწოლა ქუდი გადაუვარდა. მაგრამ ჯულიოს არა სწყენია, ცილიო მოხდენილად სტყორცნიდა პაწია გუნდებს მხოლოდ ლამაზებს, ანტონიოსთვის ერთი იყო ყველა და ჯუზეპემაც, გახარებულმა, მთელი პეშვი თოვლი იტუცა პირში. ციგებით მოსრიალებდნენ ლოყებაწითლებული ბავშვები, და საეჭვო დაღმართთან მდგარმა მამიდა არიადნამ ნაზად ითხოვა: „გეთაყვათ, დუილიო, მომაშველეთ რაა, მკლავი...“ მაგრამ დუილიო თავად წაიქცა, თოვაში გაწკრიალდა კონჩეტინას ლაღი სიცილი, იღიმებოდა ედმონდოც, ერთთავად ჩაფიქრებული და შეწუხებული, „გამიკეთეთ, რა, გუნდა, ხელები გამეყინა,“ იხვეწებოდა ვიღაც ქალი და ალექსანდრო გახარებული შესცქეროდა ბედნიერ, სახეგაბრწყინებულ ლამაზ-ქალაქელებს, და მხოლოდ კუმეომ, ბრიყვმა, მოუშხამა გუნება - იმან ქვა ჩადო გუნდაში და მთელის ძალღონით ესროლა როზინას. და, კიდევ კარგი, ააცდინა და გაბრაზებულმა დინომაც მაშინვე ისე აუწია ყური, კუმეოს სახე მოეღრიცა და წვრილი ხმით პატიება ითხოვა.

გორაკებისკენ გაემართნენ, მაღალ ფიჭვებზე სქლად იდო თოვლი, დიდიან-პატარიანად, ციგებით ეშვებოდნენ, და ისე ბედნიერად, ისე ძალუმად გაისმოდა აყირავებულთა სიცილი... დინო მოქროდა თვალმოჭუტული, ერთიანად აწურული, ყველაფრისადმი მზადმყოფი, გზადაგზა მოხერხებულად იცდენდა გუნდებს, თოკგამობმული ციგებით დაასეირნებდნენ ჯერ ფეხაუდგმელ ბავშვებს, მომცრო ხეებს აჯანჯღარებდნენ და თოვლს აყრიდნენ ერთმანეთს თავზე, იმ თეთრი

ბედნიერებით პირთამდე ბედნიერნი, და მხოლოდ სასეირნოდ გამოყვანილი უგო, თხუთმეტი წლის გიჟი, სიძულვილით შესცქეროდა ყველას და ხმადაბლა ბუტბუტებდა: „წითელი სისხლი... წითელი, თოვლზე...“ მაგრამ მისი ხმა არც გაუგიათ, ჟრიამულობდნენ... და დომენიკოს დანახვაზე უგო მაშინვე აიძურწა და ფეხაკრეფით გაიპარა შინ, დომენიკო კი მოდიოდა, გაბრუებული იმ წმინდა ჰაერით, მის სოფელში რომ იცოდა და, ლურჯ მოსასხამში გახვეული, თხელი, მაღალი, უცხო ქალაქში პირველ თოვლზე მიაბიჯებდა. „შეხეთ, შეხედეთ, რა ლამაზად ეშვებიან ფიფქები, - იძახდა დუილიო, - განა საცოდაობა არ არის, სილამაზის მუზეუმში რომ არ იმყოფებიან ისინი? - და დააყოლა, - წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებ!“ „ამან რომ არ ჩაგვამწაროს...“ - აიმრიზა ალექსანდრო, ნორჩი ჯანჯაკომო კი, აწითლებული, სადღაც მღელვარედ იყურებოდა და იქითკენვე იყურებოდა ცილიო, მსუნაგი, აკრეფილი. ტერეზა მოდიოდა.

ის მოდიოდა ლაღი, თამამი, და რაღაც სიცელქე აშკარად ჩაეხვია გულში - მწვანე თვალები ისე უბზინავდა. დათოვლილ გორაკზე ადიოდა ტერეზა, ოდნავ წინგადახრილი, ცალი ხელით დოინჯი შემოეყარა, მეორეს კი ლამაზად არწევდა ყოველი მოხდენილი ნაბიჯისთანავე. გრძელი ქურქი ეცვა, დიდი, მამისეული ტლანქი ჩექმები და მაინც ისე მოხდენილად, ისეთი რწევით ამოდიოდა... სქელი თავსაფარი მაგრად გაენასკვა ყელზე, ტუჩებმოკუმული, ღიმილს ძლივსძლივობით იკავებდა და პაწია ფოსო ჯიუტად აჩნდა მხოლოდ ცალ, სუსხით ნაზად შეფერილ ლოყაზე, თხელი, ფაქიზი ნესტოები სიცივეში თითქოს უთრთოდა.

ტერეზა ამოდიოდა გორაკზე, ტერეზა, თავით-ფეხამდე ქალი, ლაღი, თავნება და ქალურობით მაინც ტანსაცმლიანად გაჟღენთილი, უცნაური, ახირებული მოძრაობები თითქოს აშიშვლებდნენ გაოგნებული მამაკაცების თვალში და უუ, როგორ სძულდათ სუყველაფერი, რაც კი ტერეზას იმ სუსხიან დილით ეცვა. ქალი ამოდიოდა თოვლში, ახალგაზრდა, ბედნიერი ქვრივი, და არაფრისა დარდი არა ჰქონდა, მოაბიჯებდა. ის გორაკი რომ ამოიარა, შედგა, უნებურად წრე შემოარტყეს, ტერეზამ კი თავსაფარი შეიხსნა, ქურქი მოიღეღა, ჩექმიანი ფეხი ღონივრად დაჰკრა თოვლზე და ხელი შემართა. გაოცებულნი უმზერდნენ, ტერეზამ კი ფეხები აათამაშა თოვლზე, შეჩერდა და... თეძოზე დაირტყა ხელი. მერე შებრუნდა, მხარი ლოყამდე აზიდა, ხელები განზე გაშალა, ფეხის წვერებზე აიწია და, უეცრად მკერდზე ხელებმიხუტებული, ადგილზე გაქვავდა. და სანამ გაოცებილი ლამაზ-ქალაქელები დაჭყეტილ თვალებს დაახამხამებდნენ, ტერეზა ოდნავ, მსუბუქად შეხტა და ყველანი ერთად მიხვდნენ - ცეკვავდა ქალი. ტერეზა ცეკვავდა პირველ თოვლზე, მხოლოდ მისთვის გასაგები ბედნიერებით ბედნიერი, ტერეზა ცეკვავდა რომელიღაც უცნობ,

სახელდახელოდ გამოგონილ ცეკვას, გრძელი თმა უფრიალებდა, უცახცახებდა მხრები, ერთიანადაც ცახცახებდა და გამწარებული იღიმებოდა ცეკვისას თვალდახუჭული ქალი და ირგვლივ - თოვდა... დიდი ჩექმებით ტკეპნიდა თოვლს აცეკვებული ქალი - ტერეზა და ის არნახული ხელების ქნევა სხვას თუ სასაცილოს გახდიდა, ტერეზას უცნაური, ყოვლის მომრევი სისასტიკით ამშვენებდა, ქალი ცეკვავდა მათ თვალწინ, წრეში, გამაღიზიანებელი, ჩასაქოლი და მაინც თითს ვინ დააკარებდა - ყველას უყვარდა, და სძულდათ კიდეც - ცეკვისას ისე უცნაურად ამაღლებული და მიუწვდომელი, ის კი შეჩერდა, ოდნავ უკან გადაიხარა, მოქანცულმა, მარცხენა ხელი თითქოს ძლივს ასწია, გრძელი, მოქნილი, წვეტიანი თითები დომენიკოსკენ გაიშვირა და იმისთვის ზედაც არ შეუხედავს, სიჩუმეში ხალხს იმ თავისი ლამაზი, დაბალი ხმით ასე უთხრა:

ეს ბიჭი მომწონს...

ნაშუადღევს კი, ქალაქის განაპირას, დიდი შეჯიბრი გაიმართა.

ჯერ იყო და, თოკის გადაზიდვა მოაგონდათ, მშვენიერიაო, შესძახეს, მაგრამ თოკი ჯიბეზე არავის ჰქონდა. ხათრიანმა ანტონიომ მაშინვე ითავა თოკის მოტანა, სიძის გამამხნევებელი ღიმილიც გულს მოეფინა და თავქუდმოგლეჯილი დაეშვა სახლისაკენ. ისე იყო მონდომებული, დაღმართში ორჯერ ჩაკოტრიალდა, ვინსენტეს ხათრით შეუმჩნევლად, საყელოში ჩაიცინეს. სანამ მობრუნდებოდა, განაწილდნენ - ყოველ გუნდში სამ-სამი კაცი შედიოდა. იყო ერთკაციანი გუნდიც - ეს ჯუზეპე გახლდათ, ვეება, ღონიერი. სანამ თოკს მოიტანდნენ, ერთი სული ჰქონდათ, აღარ იცოდნენ, რითი გაერთოთ თავი, ცილიო ფრთხილად მისრიალებდა ციგით და ქალიშვილების დასანახად აქაოდა ქარი მაწუხებსო, ეშხიან თვალებს აჟუჟუნებდა. კუმეომ თავის საყვარელ გასართობს მიმართა - ვიღაცას წვივზე ხელი სტაცა და ძაღლივით შეჰყეფა, შემხტარი ქალის დანახვაზე ძალიან გამოუკეთდა გუნება, მაგრამ, დინომ ამისათვის პანღური რომ ამოარტყა, დიდად არ ესიამოვნა - ადამიანი იყო ისიც. წამდაუწუმ იცინოდა ტულიო, თავს უკან გადაიგდებდა და გემრიელად ხარხარებდა, დაფიქრებული ედმონდო კი თოვლს ვეღარ აცილებდა თვალს, „იცი რა, სილვია?! - წასჩურჩულა კონჩეტინამ დობილს, - მე ერთი ბიჭი მიყვარს...“ „რას ამბობ, მართლა? - შეიცხადა სილვიამ და ერთმანეთს საჩქაროდ აკოცეს, ლაპარაკი მაშინვე რომ გაეგრძელებინათ, - ვინა, ტულიო? მხიარულია, ლაღი...“ „არა, არა, ტულიო, არა...“

ამასობაში მხიარული შეძახილები გაისმა, რადგან გორაკზე ქშენით ამომავალი, გახვითქული ანტონიო დაინახეს, მაგრამ იმან ჩაქუჩი და ლურსმნები მოიტანა, თოკის

ნაცვლად - შეშლოდა ყმაწვილს. ფუუიო, თქვეს. გამწარებული ვინსენტე მზად იყო, შუაზე გაეგლიჯა ცოლისძმა, რომელიც იქვე, ორიოდ ნაბიჯზე, საცოდავად იდგა, ტულიომ კისკისი ატეხა, მტრისას - ერთიანად გადაფიჩინდა, ედმონდო კი თანაგრძნობით შეჰყურებდა გაწითლებულ, დარცხვენილ ანტონიოს, ვისთანაც მეგობრობა ახლაც კი, ახლაც, გულით უნდოდა. „ააა, მივხვდი, - თითი დაუქნია სილვიამ დობილს - სერვილიო, არა? საზრიანია, მოხერხებული...“, „აჰ, არა, არა, იმას რა შემაყვარებს, - ხელი გაასავსავა კონჩეტინამ, - იმას ხომ კამორელებთან აქვს საქმე...“, „ააბა... - დაფიქრდა სილვია და აფორიაქდა, - ცილიო ხომ არ?“, „აარა, არა... შენ შეგეცილები?“ და ერთმანეთს ისევ აკოცეს, ანტონიომ კი ისევ ჩაიარა აღმართი, თავჩაქინდრული მიაბიჯებდა და ახლა აღარავის ეპარებოდა ეჭვი, თოკს რომ მოიტანდა და, მართლაც, ანტონიომ ბოლოს და ბოლოს, შეასრულა დავალება, ოღონდ მეორე ცდაზე - თოკი მოიტანა და ერთ ბოლოს ტულიო, აღელვებული დომენიკო და ცილიო დაეჯაჯგურნენ, მეორეს კი - მხოლოდ ჯუზეპე და მაინც სამივე გადმოიზიდა. ტაში ატყდა, მტრედები აუშვეს თოვაში, „ეს ბიჭი ხომ არა, ჩამოსული, დომენიკო?“ „არა, ეგ არა, ცოტათი გლეხია.“ „ფერმკრთალი როა?“ „დიდი ამბავი...“ მერე ვინსენტემ აიღო თოკი, იმას წელზე მოეხვია მოყვარული ცოლისძმა - ანტონიო და ანტონიოს კი ამხანაგთმაძიებელი - ედმონდო მაგრად ჩაეხუტა, ხოლო ჯუზეპემ დაიქშინა, ერთი კი მოქაჩა და სამივენი მის ფეხებთან გაგორდნენ. ახლა შედარებით მცირე ტაში გაისმა, რადგან ჯუზეპეს ძალღონისა შეშურდათ, ხოლო როცა ჯუზეპემ ოთხი კაცი - მიქელე, დინო, დარბაისელი სენიორ ჯულიო და დუილიო, როგორიც იყო, - გადმოიზიდა, კრინტი არავის დასცდენია და ჯიბიდანაც არ ამოუღიათ ხელები. ახლად წაქცეულები სწრაფად წამოდგნენ, თოვლზე კი დარჩნენ მანამდე წაქცეული ანტონიო და იმას ჩახუტებული ედმონდო, მაგრად მიჰკვროდა უწყინარ მღებავს ამხანაგთმაძიებელი, წამოდგომას არ ანებებდა და ხან ერთ, ხან მეორე ყურში, მწველად ჩასჩურჩულებდა: „ვიამხანაგოთ, რა, ვიამხანაგოთ, რაა...“ ყველას დაეკარგა თოკის გადაზიდვის ხალისი, ჯუზეპე კი, დიდთავა, მკერდგანიერი, მხარბეჭიანი, ძალუმად ისუნთქავდა ჰაერს. „ჯუზეპე ხომ არა? მძლავრია, წარმოსადეგი...“ „გაგიჟდი, სილვია? - შეიცხადა კონჩეტინამ, - მაგ კამეჩს რა შემაყვარებდა... მართლა მკითხე, თუ?“ „არა, რას ამბობ... და დინო ხომ არა? მოხერხებულია, ცქვიტი...“ „აბა, რას ამბობ, სილვია, - უსაყვედურა კონჩეტინამ, - ჩემზე დაბალი მამაკაცი როგორ შემიყვარდებოდა?“

მერე იყო და, დიდი ციგაობა გამართეს. შარვლიანი ქალიშვილებიც უშიშრად მისრიალებდნენ ქვევით, მაგრამ წონა არა ყოფნიდათ და მათი ციგა ნელინელ ეშვებოდა დაღმართში, იქაც ჯუზეპემ აჯობა ყველას - მძიმე იყო და თორმეტ დათვლაში ჩასრიალდა, სხვები კი თხუთმეტ, ოც დათვლასაც კი უნდებოდნენ.

დამთვლელს კი, აბა, ვინ არ დაუჯერებდა - დუილიო გახლდათ. ვინსენტემ და ედმონდოსაგან თავდაღწეულმა ანტონიომ საერთოდ ვერ ჩააღწიეს დაბლა, რადგან იმ გრძელ ციგას დაეჯახნენ, სამი მხიარული ქალიშვილი რომ იჯდა - იმათ ციგის მართვა არ იცოდნენ და ვერ ჩამოეცალნენ, ციგები აყირავდა. ერთმანეთში გადაიხლართნენ გოგო-ბიჭები, კისერზე, თავდაყირა მდგარ ვინსენტეს ღილი ააწყდა, თბილი ყელსაბურიც მოეღეღა და ამ არეულობაში ვინსენტემ ისარგებლა და ვისაც მისწვდა, გარკვეულ აღგილას ძალიან უბწკინა, მაგრამ, ბედი არ გინდა? - ყველანი რომ წამოდგნენ, მხიარული ქალიშვილები არხეინად იბერტყავდნენ თოვლს, და მაინცდამაინც ანტონიო გამწარებული ისვამდა ხელისგულს ერთ ადგილას, - და მხიარულ ქალიშვილებს ეჭვით შესცქეროდა.

„არ გამაგიჟო, კონჩეტინა, - შიშით შეაცქერდა სილვია, - ვინსენტე? ის ხომ ცოლშვილიანია...“ „აჰ, არა, არა, რას ამბობ, ცოლშვილიანია...“ „ჰო, მეც არ გამიკვირდა?! - გაუკვირდა სილვიას, - ის ხომ ცოლშვილიანია... და ანტონიო?“ „გაგიჟდი, სილვია? ეს როგორ იფიქრე, მე და... ის ბოთე? ასე მიყურებ?...“ „არა, არა, რას ამბობ, არა...“ - წამოიძახა სილვიამ და ერთმანეთს აკოცეს.

მერე იყო და, ლამაზ-ქალაქელი ჭაბუკები სირბილში გაეჯიბრნენ ერთმანეთს, პირველობა აქაც ჯუზეპეს დარჩა - უზარმაზარი, მძლავრი ნახტომებით მიიჭრა დათქმულ ხესთან, სამგზის გამარჯვებული, გაამაყებული, ზემოდან დასცქეროდა ყველას და, დინო რომ მოხვდა თვალში, გახსენებამ ყბა აუხურა - როგორ გაუბედა! მთვრალი იყო მაშინ, თორემ, ეს ცეროდენა... დაფეხვილი!.. განრისხებული, სულ თვალებითა ჭამდა, აუარა, ჩაუარა. გაცეცხლებულმა, ის თავისი რკინის იდაყვიც გაჰკრა, დააზანზარა, ჯერ მედიდურად შეაცქერდა, მერე - დაცინვით, ზიზღით, დინომ კი არხეინად უთხრა:

- რა იყო, ძიაჯან, რას იბღვირები...

- არაა შენი საქმე, შენს თავს მიხედე შე... - მიუგო ჯუზეპემ და დააყოლა, - ლაწირაკი.

- ბოდიში მოიხადეთ, სენიორ, - თავაზიანად ურჩია დინომ, - დრო კიდევა გაქვთ.

- რაო? ბოდიშს მოგცემ მე შენ...

და მოუქნია, მაგრამ დინომ აიცდინა და...

ჯერ შუბლზე დაადეს თოვლი, მერე კი, გაშხლართულს, მრავლად დააყარეს თავსა და ყელზე. ძლივს წამოსვეს და, უგონოს, თავჩაქინდრულს, კისერშიაც კი ჩაუგდეს ორიოდე მოზრდილი გუნდა, მაგრამ აჰ, არა, არა, აპაპაპაპა - ჯუზეპეს სიცოცხლის

ნასახიც არ ეტყობოდა. შუბლი რომ გაუგრილეს, მერე მაგრად დაუზილეს საფეთქლები... ვერაფერმა უშველა და ბოლოს არტურო მოვიდა, შეშინებულმა წრე გაარღვია, თქვა: „ეს გამოაფხიზლებს“, და სილა რომ გაულაწუნა, ჯუზეპემ მართლაც გაახილა თვალი და არტუროს საპასუხო სილა მკვირცხლად ხეთქა, რის შემდგომადაც მომსულიერებლები არტუროზე გადავიდნენ, ხოლო შორიდან ნორჩი ჯანჯაკომო შეძახილით „მამილო, მარჩენალო, მაამი“, გამოქანდა და ხალხის გარღვევას ლამობდა. მამიდა არიადნა კი ოდნავადაც არ შეწუხებულა არტუროს ბედით, და თუ სასურველი ლამაზ-ქალაქელის მზერას დაიჭერდა, ანიშნებდა - შენ - თითს მიაშვერდა, ჩემთან - იგივე თითს მკერდზე მსუბუქად იკაკუნებდა, ორ საათზე მოდი - ორ თითს აჩვენებდა, მიუხედავად იმისა, უკვე სამი საათი რომ იყო. მამიდა არიადნამ მშვენივრად იცოდა დრო და ისიც, რაღა თქმა უნდა, იცოდა, ლამაზ-ქალაქში უზრდელობად რომ ითვლებოდა მასპინძლის ოჯახში დაუგვიანებლად მისვლა. ასე, ოთხიდან ხუთამდე მოვიდოდნენ, ალბათ, სტუმრები და მამიდა არიადნაც მანამდე მშვიდად, არხეინად გაშლიდა სუფრას, ხოლო არტუროს ისევ საკუთარმა მეუღლემ უშველა, ეულალიამ - არავითარი თოვლი და დაზელა, - არტუროს ჯიბეში ქურდივით ჩაუცურა თითები, იმანაც წამსვე თვალები დააჭყიტა და ჯიბეზე იტაცა ხელი, - გადარჩა კაცი.

* * *

ქალი, ტერეზა... საწოლზე პირქვე იწვა დომენიკო. საბანი მაგრად ჩაებღუჯა, ბალიშს ჩაჰკვროდა, ქალი, ტერეზა - როგორი რხევით დადიოდა, როგორ დაჰქონდა მაღალი მკერდი... ოდნავ გვერდზე გადახრილი თავი, მაღალი ქალის რაღაცნაირად საოცრად მშრალი, ძალიან მშრალი თმა, ქარში რომ ფრიალებდა... ყელი, მაღალი, ყელი, ქათქათა, ყელი - დაჭიმული და გამოძერწილი ყვრიმალის ძვალი, ისეთი ნაზი, ისე მკაფიო... და, ეშმაკურად დოინჯშემოყრილს, გაღიმებისას - პაწია ფოსო, მხოლოდ ცალ ლოყაზე... დიდი, ლამაზი, ფართო კბილები, გაღიმებისას - ჭიშკარი თეთრი... მისი ტუჩები, დასკდომამდე სავსე, დაბერილი, მისი ტუჩები - მზაკვარი და მომლოდინე, მისი ქვედა ტუჩი, გამობურცული და თამამი, გამომწვევი, წებოწასმული თითქოს - ტერეზას ბაგე... და ნაზი, ნაზი ლავიწის ძვალი, ოდნავ, სულ ოდნავ გამოხაზული და ზევით, იქვე, განივი ორმო - წყარო დასაწაფებელი, ტერეზა, ქალი... და ხელი, ხელი, მოქნილი ხელი, გველივით მკლავი, და გრძელი, წვრილი, მუქარითა და სინაზით სავსე მისი თითები - ხუთი განსხვავებულად მოშიებული, ლამაზი მახრჩობელა, და თხელი ქალის მუქარით დატენილი მკერდი - მისკენ უნდობლად დამიზნებული... ქალის ხმა - ნაზი, დაბალი, ლბილი, ალუბლის გემო,

თაფლის სურნელი ტერეზას ხმაში, ეჰ, ფიჭა, ფიჭა... მისი თვალები, ხან მოალერსე, თბილი და ამო, ხანაც - უნდობლად აკვესებული, ქალი, ტერეზა...

მისი სახლისკენ მიდიოდა დომენიკო.

- ზუსტად, დროულად ნათქვამი ჭკვიანი სიტყვა შემდგომი ამაღლების საფუძველია, - განაგრძო დუილიომ, - ჩემი უბრალო-ქმედით სიტყვები და აგრეთვე... დიდი მადლობა, ქალბატონო არიადნა, სიამოვნებით გიახლებით, რადგან კომბოსტო მრავალი წლით შეგვინარჩუნებს გონებრივ სიმხნევესა და ფიზიკურ სრულყოფილებას. იმას ვამბობდი, - უბრალო - ქმედით სიტყვებს ძალუძთ დადებითი როლი გაითამაშონ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

- ვასკოსაც ძლიერ მოსწონდა კომბოსტო, - მოიწყინა მამიდა არიადნამ, - თქვენც გადაიღეთ, სენიორ ჯულიო.

- კარგია, კარგი.

„წიწაკა არ სჯობს?“ გაიფიქრა ცილიომ და ფანჯარასთან მდგარ როზინას (აი, იმას, ჭალაში რომ იყო), მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

- მართლა კარგი კი მართლა ისაა, რომ ადგილი აქვს მაღალი დისციპლინისა და ურთიერთმომთხოვნელობის წრფელ ატმოსფეროს, - განაგრძო იმან, - აი, მაგალითად, დღეს ჩვენს წრეშია ალექსანდრო, კაცი, რომელიც თავშეუკავებლობითა და დაუფიქრებლობითაა სახელგავარდნილი, მაგრამ რომელსაც მაინც ფაქიზი გული ჰქონია ხანდახან - სწორედ ამას და სხვას რას უნდა ნიშნავდეს ის მშვენიერი სათამაშო-საჩუქარი, რომელიც მან დღეს ჩვენს მარადუბერებელ ქალბატონ არიადნას მოუტანა საკუთარი ხელით და ხელიდან ხელში გადასცა? რა მშვენივრად რეკს...

- თუ რეკავს? - იკითხა ალექსანდრომ.

- მაგას არა აქვს მნიშვნელობა, ისედაც ხომ მიხვდით. რა საჭიროა ზედმეტი ხმოვანი, თუკი ისედაც მივხვდებით, არა? ჰა, ალექსანდრო?

- სწრიხრ, - დაეთანხმა ის.

- რაო...

- სწორი ხართ-მეთქი.

- ო, რა თქმა უნდა... ყოველთვის შეიძლება სიმართლის მყარად დადგენა, სიმართლე - საზღვარივითაა.

- ყოველთვის? მუდამ?

- რაღა თქმა უნდა.

- რაღაც რომ გითხრათ, უკან არ დაიხევთ?

- არასგზით, არა.

- აი, ვთქვათ... როდესაც ორი ადამიანი ჩხუბობს, ერთი ქერა, მეორე კი შავგვრემანი, რომელია დამნაშავე? - და უცებ ალექსანდრომ ისე დაიყვირა: „ჰოპ!!!“ - შემკრთალ სენიორ ჯულიოს სასმისიც კი გაუვარდა ხელიდან, გალიაში შეიფრთხიალა მამიდა არიადნას ხუთივე იადონმა, და ალექსანდრომ თავაზიანად დააყოლა, - ბოდიში, მაგრამ, იაფფასიანი ეფექტი ყურადღების დედაა. მაშ, რომელია დამნაშავე?

- ორივე კაცია? მამაკაცი... მოჩხუბარი? - თქვა დუილიომ, ძლიერ შეშინებული იყო.

- დია-ახ!

- ის შავგვრემანი... ძალიან შავია?

- შავტუხა, კუპრი...

- მაშ, შავგვრემანი, რაღა თქმა უნდა.

- რატომ?

ტერეზას სახლთან არავინ იყო. მაღალ აივანს, დახშულ ფანჯარას, მწვანე ფარდას აჰყურებდა დომენიკო. სახლს ფეხაკრეფით შემოუარა - მარტივი ქურდი...

- იმიტომ.

- იმიტომ - რატომ? რატომ იმიტომ?

- იმიტომ, რომ შავი - შავია, ქერა კი - თეთრი.

- აჰ, რა კარგად თქვით, - ტაში შემოჰკრა კონჩეტინამ და სილვიას გადაულაპარაკა, - ის, მე ვინც მომწონს, ქერაა; თეთრი...

- ქერაა, ქერა?

- მთლად კი არა, მაგრამ მოყავისფრო თმა აქვს, ისეთი კარგი, ისე ჯაგარა...

- ქერა რა - აუცილებლად კარგია? - გაოცდა ალექსანდრო...

- შავთან - რა თქმა უნდა... და თანაც, ყველაფერსა და ყოველივეში არის რამ კარგი, თუკი გულისყურით ფხიზლად იქნება და ჩემი უბრალო სიტყვები კიდევ უფრო შთამბეჭდავსა და ადვილმისაწვდომს ხდიან რთულ ფსიქოლოგიურ ამბავს.

- იფ, იფ, რა მარტივად თქვა? - თავი გაიქნია ალექსანდრომ. - ისე კი, რომ იცოდე, ორივე დამნაშავეა, ოჰ, შე პატარა, აჰ, შე პატარა, ჩემო ყურცქვიტა...

ქალი არ ჩანდა. ნამდვილი ქალი... გრძელ, ვიწრო სარკმელს მისჩერებოდა დომენიკო, ურჩად, ჯიუტი ჩურჩულით იხვეწებოდა: „გააღე, მოდი...“ ხანდახან ისეც ეჩვენებოდა, თითქოს განზე იწეოდა მძიმე მწვანე ფარდა, მაგრამ არა, არა, ეჩვენებოდა... კვლავ ჩურჩულებდა, „გააღე, მოდი...“ გამწარებულმა ძირს დაიხედა - თოვლზე იდგა... პირველ თოვლზე იდგა და დაიხარა, გაოფლილი თითებით დასწვდა, ესიამოვნა, შუბლზე მიიდო... ისევ აიღო პეშვით თოვლი, დააგუნდავა... თოვლს დააცქერდა, გუნდის წაგრძელება სცადა, ჩაეფშვნა ხელში... მერე შეასწორ-შემოასწორა, ცერით ავლებდა კვალს და პაწია გუნდა დაადო, გვერდებზედაც შეასწორა რაღაც - აჰ, არა, არა, არად ვარგოდა ეს თოვლის ოღროჩოღრო ქალი... ცივი იყო და ერთნაირად თეთრი, უშუქო, სითბო არ ჰქონდა... რაღაც გაახსენდა, დაიხარა ისევ...

- მე ყურცქვიტა არა ვარ, თუ შეიძლებოდეს! - განრისხდა დუილიო, - განა მარტო საქციელს, არამედ სიტყვებსაც შერჩევა უნდა!

- კარგით, კა-არგით, დუილიო, მოფერებით გითხარ, კარგი, კარგი, ტკბილო, საყვარელო, მშობლიურო, კეთილო, ყურუმსაღო, გონიერო, მოყვარულ-დადებითო...

- ვინაა შენი ყურუმსაღი! ამას ვერ ხედავთ. - წამოხტა დუილიო, - მე!.. მე... წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებთ, სადაა ჩემი მოსასხამი!

- კარგი რა, დუილიო, ცხრა სიტყვაში რვა მოსაფერებელი გითხარი და ერთი ყურუმსაღი უცაბედად გამომერია, რაღა იმ სიტყვას ჩააცივდი...

- დამშვიდდით, დუილიო, ყურადღებას ნუ მიაქცევთ... ხომ იცით, და...

- ვინაა მაგის ყურუმსაღი!

- კარგით რა, დუილიო, დამშვიდდით, დამშვიდდით, ძალიან გთხოვთ, - სთხოვა ალექსანდრომ, - რვა ქერა სიტყვაში ერთი შავგვრემანი უცაბედად გამომერია, შევცდი, რა მოხდა...

- შეცდა, რა იყო, აპატიეთ, სენიორ დუილიო, მაგან ისეთი კარგი საჩუქარი მომიტანა, აპატიეთ, აპატიეთ, კეთილო. - დაუყვავა მამიდა არიადნამ და ფიქრებში წავიდა, - ეჰ, ეგ კი არა, ვასკოც ცდებოდა ხანდახან... საღამოობით...

- ჩემი ოცნების ჭაბუკი კი არასდროს არ ცდება, - წასჩურჩულა კონჩეტინამ სილვიას, დობილს, - რადგან ის - უშუალოა.

თოვლი გაქექა დომენიკომ, ჩაცუცქული, შემცივნებული თითებით რაღაცას ეძებდა... მაჯამდე ჩაყო თოვლში ხელი, მაინც ვერ ჩასწვდა, სახელო დაიკაპიწა და მერე, როგორც იქნა, რაღაც ცივსა და მაგარს მიაგნო - ღრმად იყო თოვლში... თითებით მოფხოჭნა, თითები იტკინა... ქამარი შეიხსნა და ვერცხლის დიდი ბალთით ამოჭრა ცოტაოდენი მიწა, ისევ მოჩიჩქნა, კიდევ და კიდევ... ნელა წამოდგა, გაიმართა, მიწა ჰქონდა ხელთ... მაგრამ მაგარი იყო და ის თოვლის უსწორმასწორო პატარა ქალი ხელისგულში მიწასთან ერთად მოიმწყვდია, დაადნო, იმით დაასველა მიწა... რუხი წვეთები დაეცა თოვლზე, მიწა კი დალბა, ატალახდა, და მის პეშვებში გამომწყვდეული, თითქოს შეთბა კიდეც...

- მაპატიეთ, სენიორ დუილიო, მაგრამ ის უნდა მეთქვა, რომ... აიი, სწორედ ის, რომ... დიახ, აი, თქვენ, მაგალითად, ყოველთვის იმას ამბობთ, თუ როგორი უნდა იყოს კარგი მამაკაცი, ხოლო, რაც შეეხება კარგ ქალს, ქალი როგორი უნდა იყოს, ამას არ ამბობთ...

- ხედავთ, ეს რა თქვა? - თქვა დუილიომ და მიმოიხედა, - არა, თქვენ ხედავთ, ეს რა თქვა? და განა მე არ გიამბეთ იმ შესანიშნავად უმწიკვლო ქალის ნაღვლიანი ისტორია, რომელიც ქმრის კეთილდღეობისა გამო იგივე ქმარს დიდსულოვნად გაეყარა?

- აჰ, მახსოვს, მახსოვს, როგორ არ მახსოვს, - ხელები მკერდზე მიიკრა მამიდა არიადნამ, - მხოლოდ ქალს შეუძლია გაიღოს ამდაგვარი რამ მსხვერპლი...

- ის ხომ ტყუილი იყო, ნუ გეწყინებათ, მაგრამ, სენიორ დუილიო...

- როგორ თუ ტყუილი. - განრისხდა დუილიო, - ვინაა შენი მატყუარა! სადაა ჩემი...

- კარგი, კარგი, დამშვიდდი, - სთხოვა ალექსანდრომ, - დამშვიდდი და გვიამბე, რა უნდა ჰქონდეს ქალს კარგი.

- ქალს? - ოდნავ ჩაფიქრდა დუილიო და მაშინვე წარმოთქვა: - ქალს სამი რამ უნდა ჰქონდეს კარგი - ხასიათი, ტან-ფეხი და სახე.

- რაღა ახლა მოგინდა სიმარტივე, - ეწყინა ალექსანდროს, - თუმცაღა, სწორი კია...

ერთი პეშვი ტალახი ეპყრა ხელთ, თოვლით გაჟღენთილი, დარბილებული, თბილი... ხელში მოსრისა, ტალახიანი თითებით დააგუნდავა, ჯერ სხეული გამოძერწა, სასაცილო და ამაზრზენი, სქელი ფეხები გამოუკვეთა, მხრები გადაუგლისა, ორი პაწია ბორცვი ამოუზნიქა, მიწის ქალს ძერწავდა დომენიკო... სავსე თეძოები დაუმრგვალა, ფრთხილად მიაბა ორი მახინჯი ხელი, პაწია თავი დაადო, შეასწორა, როგორც შეეძლო, შეალამაზა და სამი თითით - ცერით, საჩვენებლითა და შუათითით, ფრთხილად აიყვანა პეშვიდან, ფრთხილად ასწია, შეაცქერდა... ეს მცირე მიწის უსწორ-მასწორო ქალიც კი რაღაც სანუკვარი იყო და, ქალი ნამდვილი, ქალი, ტერეზა...

- ეგრე თუა, უფრო მარტივად უნდა გეთქვათ.

- როგორ მაინც?

- როგორ და: ხასიათი და გარეგნობა. თუმცა „ტან-ფეხი“ გარეგნობაზე მოკლე სიტყვაა... ასოების მხრივ... - აღიარა ალექსანდრომ, - მაინც არ ვარგა... უი, ჰო, სახე რომ დამავიწყდა?

- მაშინ, თქვენ სცადეთ... აი, ხედავთ, თქვენობით რომ ველაპარაკები?

- მე ვცადო? - გაეხარდა ალექსანდროს, - ვცადო, როგორი უნდა იყოს ქალი?

- სცადეთ, ჩვენ გისმენთ...

- ნამდვილ ქალს... - დაფიქრებული იღიმებოდა ალექსანდრო, - ნამდვილ ქალს... მისი გამოჩენიდან დავიწყებ, კარგი... ნამდვილი ქალი ფეხაკრეფით უნდა დაიარებოდეს... ოღონდ უნებურად.

- ფეხაკრეფით?

- კი. როგორც დევნილი... ან, მდევარი.

მიწის ქალით ხელში, ისევ იმ სარკმელს აჰყურებდა და იხვეწებოდა, „გააღე, მოდი...“ თვალს არ აცილებდა მწვანე ფარდას, ისევ ჩურჩულით იხვეწებოდა, მაგრამ აქ მხარზე მსუბუქად დაუკაკუნეს. შეტრიალდა და, ელდანაცემმა, მუჭში დამალა ის მიწის ქალი, ისე ღონივრად ჩაბღუჯა, ტალახმა თითებშუა იპოვნა გზა და წვრილად გამოიბურცა - ტერეზა იდგა მის წინ, ტერეზა, ქალი. ოღონდ ამჯერად არ იღიმებოდა, თავი ოდნავ გადაეხარა, და დაკვირვებით, თვალმოჭუტული შესცქეროდა.

საღამოვდებოდა.

- და როცა მოვა, - ძაან ხმადაბლა თქვა ალექსანდრომ, - როდესაც მოვა, და შემოგხედავს, რაღაცას მაშინვე უნდა მიგახვედროს - დუმილის დროსაც, მუდამ რაღაცას უნდა ამბობდეს ნამდვილი ქალი.

- ეს როგორ... - გაუკვირდა დუილიოს.

- ზურგიდანაც რომ აათვალიერო, მაინც უნდა მიხვდე - მხარი, კისერი, ნამდვილი ქალის წელი, ხელები, მუდამ ამბობენ...

- რას ამბობენ...

- არ იცი ის შენ... და თუ პირისპირ დგას და გიყურებს, მაშინ... ო, მაშინ...

საღამოვდებოდა და მუქი მწვანე თვალებით მშვიდად შეჰყურებდა. წამალი ეკავა ხელთ - ისიც მუქი მწვანე, თვალებისფერი... და უცებ აუჩქარებლად, მსუბუქად და ფეხაკრეფით, გაქვავებულ დომენიკოს ირგვლივ შემოუარა, თვალს არ აცილებდა. ისევ პირისპირ დაუდგა, ჩაფიქრებული და გამართული, მერე კი ღრმად, ძალიან ღრმად ჩახედა თვალებში და, ოდნავ შემკრთალი, სახლისკენ გაემართა. სამი პატარა საფეხური აიარა, სახელურს ჩასჭიდა ხელი და, სანამ კარს შეაღებდა, ერთიც მოხედა... მაგრამ სხვაგვარად, სულ სხვანაირად. შეშინებული, მაინც შეყოლას სთხოვდა... შეშინებული - ეს წუთიც დადგა.

- თვალებით ყველაფრის თქმა უნდა შეეძლოს, დუილიო, კეთილმოუბარო სენიორ... ყველაფერს მიგანიშნებს, და, რაც მთავარია, უნდიხარ შენ, თუ არა...

და სულ, სულმთლად ღია დატოვა კარი. იქითაც კიბე იყო, ოღონდ მაღალი, ვიწრო, ბნელოდა... ხელი აიშვირა, ანთებული ფარანი ჩამოიღო, მაღლა ასწია, მეორე ხელით კი, წამლიანი ხელის ნეკით, გრძელი კაბა მუხლთან ჩაბღუჯა და ცოტათი ასწია - მაღალ საფეხურებზე ოდნავ გვერდულად, დაძაბული ადიოდა ქალი, ტერეზა, მაღლა ადიოდა ხელფარნიანი ქალი და შავ, მუქ ტალღად მისდევდა ყოველ საფეხურზე რბილად დატეხილი გრძელი მოსასხამი, მკრთალ სინათლეზე, კედელზედაც ყველაფერი იდუმალებით მეორდებოდა, და მისი ჩრდილიც მოხდენილი იყო, დარწეული და აცახცახებული. ქალის შეშინებული ღიმილი გაახსენდა უცებ დომენიკოს და სამ საფეხურზე ერთბაშად ახტა. კიბეს ახედა - მობრუნებული ქალი, ტერეზა, უყურებდა კი, მაგრამ სახე არ უჩანდა. გაოგნებული შედგა დომენიკო, აღარ იცოდა, აეარა ეს მძიმე, ძნელი საფეხურები, თუ გაბრუნებულიყო, და მაღლა მდგარი ქალიც წამსვე მიუხვდა, ფარანი სახესთან მიიტანა, გაინათა და დომენიკომ მაშინვე დაინახა მისი ღიმილი, სულ გამოცვლილი, ახლებური, ავაზაკური... ტერეზამ

სწრაფად აიარა დარჩენილი ორი საფეხური და ფარანი კიბის თავში დადგა. რბილ საფეხურებს აუყვა, დომენიკო, იმ სიბნელეში ჩაყურყუმალავებული, განათებული, ზედაპირისკენ ამოტივტივდა. ცალი ხელი დაავლო ფარანს, მეორეში კი ისევ ის გასრესილი მიწის ქალი ეჭირა, და ოთახი მოათვალიერა, ნესტოებდაბერილი ყნოსავდა ჰაერს. გრილი, დაბალი ოთახის შორეულ კუთხეში შავად მოჩანდა ქალი, ტერეზა...

- სახის ჩრდილები, - თქვა ალექსანდრომ, - ყველაფერსა აქვს თავისი ჩრდილი, - შუბლს, თმას, ცხვირს, ტუჩებს...

და თუმცა გამართული იდგა, თვალები ძირს დაეხარა, წამწამთა ჩრდილი გადაჰკვროდა მწვანე თვალებზე, ფარანი ქალის სახესთან მიეტანა დომენიკოს, და, მზერადახრილს, გაფაციცებული შესცქეროდა... მაგრამ ტერეზამ თვალებში შეხედა და მერე მის მიღმა გადაიტანა თამამი მზერა... დომენიკომაც მიიხედა და უცნობი ნივთები დაინახა - სკამი, მაგიდა, სკივრი, საწოლი... რაღაც თოჯინა, მაღალ თაროზე... ჭიქა და თუნგი, ტაფა, კოკურა... ნაცნობი ნივთები დაინახა და გათამამდა უცებ ტერეზა, დომენიკო კი, უცხო, სტუმარი, დაბნეული იდგა... მაგრამ ხელთ მიწის ქალი ეპყრა, უკვე გამთბარი, გაოფლილ თითებში ისევ ტალახად აზელილი და რომ მოიცილა, იატაკზე ყრუდ რომ დააგდო, მაშინვე თამამად მიუბრუნდა ქალს, თითქოს რაღაც კუთვნილ სანაცვლოს მოითხოვდა მიწის ქალის ნაცვლად და ეს ნამდვილი ქალიც მაშინვე თვალნათლივ გატყდა - მოიბუზა და თვალები დახუჭა, და მერე მაინც გაიმართა, თვალდახუჭული. გამართული იდგა და ელოდა... დომენიკომაც საჩვენებელი თითი და ცერი მწარედ გაუხახუნა ერთმანეთს, ამ ორად-ორი თითის წვერიდან ტალახი საჩქაროდ მოიცილა და თავიდან გადახადა შავი თავსაბური... მერე მოსასხამს დასწვდა იმ ორი თითით და სკივრზე მიაგდო... კაბაში იდგა ქალი, ტერეზა... ახლა რაღა ექნა, აღარ იცოდა, თვალდახუჭული უცდიდა ქალი... და მერე თავი მკვეთრად შეარხია და მაღლა აწოწილი ვარცხნილობა რაღაცნაირად ნელა, ძალიან მძიმედ ჩამოეშალა - კუპრი დაცურდა თითქოს თეთრ ყელზე, და თითქოს შვიდივე ნაზ სიმს დინჯად ჩამოაყოლეს ცერი - ისე თანდათან ჩამოიშალა... კაბაში იდგა. რა, რაღა ექნა, აღარ იცოდა, ფარანი ისევ მაღლა ასწია, და გაპობილი ოდნავ ტუჩები კი, მომლოდინე რომ დაინახა, ყველაფერს მიხვდა... ქალმაც ოდნავ გადახარა თავი, თვალდახუჭული, იდგა, იცდიდა და წყალს დაეწაფა ყმაწვილი მგზავრი, უცხო, დომენიკო... ხელფარნიანი, სვამდა და სვამდა. და სიბრძნეს ჰგავდა ქალის ტუჩები, რაც უფრო სვამდა, უფრო იცოდა, უფრო ხვდებოდა, წამით მოსცილდა და იქვე, ლურსმანზე ჩამოჰკიდა აკვიატებული ფარანი, მერე ხელების მოხვევა მოუნდა, მაგრამ გაახსენდა, ტალახი რომ ეცხო და გაზნექილი მაჯები მიადო მხრებზე,

მიიზიდა და სვამდა, კვლავ სვამდა... უძრავად იდგა თვალდახუჭული ქალი, ოღონდ თავი გადაეგდო უკან და დომენიკომ ის წყაროც დაინახა, ლავიწის ზემოთ, ოდნავ ჩაღრმავებული, ამოუშრობი, დასაწაფებელი... იმასაც სვამდა და ტალახიანი თითებით ტერეზას ზურგზე ფრთხილად ეძებდა ღილებს, საკინძეს, ისევ თვალდახუჭულმა ქალმა კი მწარე სიამით გაიღიმა, ნაზად, მსუბუქად მოიცილა, ზურგს უკან - ლამაზად ისე! - წაიღო ხელები, რაღაცას მისწვდა, რაღაცა გახსნა, მერე მკლავები სახელოებიდან სხეულისკენ ჩაიძვრინა, მოღელილ საყელოში გაჭირვებით ამოყო, მაღლა ასწია თეთრი, შიშველი ხელები, სახე აღარ უჩანდა, კაბა ჰქონდა თავზე ხელებაწეული, ცოტა ხანს ასე იდგა, იდგა, ფიქრობდა და, საბოლოოდ რომ გადაწყვიტა, ერთი კი ლაღად, ჯიუტად შეიფრთხიალა და იქვე, მის ფერხთით მკრთალ წრედ დაეცა ლამაზი კაბა. ახლაღა გაახილა თვალები და სწორი, მაღალი, ქათქათა ფეხი წრიდან გადმოდგა, თავი უკან გადააგდო და, ხელებგაშლილი, დომენიკოსკენ წამოვიდა...

- ქალი საჭიროების შემთხვევაში უნდა იყოს თავაზიანად მოსაუბრე და საინტერესო მსმენელი, - აღნიშნა დუილიომ, - და, რა თქმა უნდა, სასარგებლო კერძებსაც ამაღლებული შექების ღირსად უნდა ამზადებდეს.

- არა, ეს მაინც რა უბედური გამოთქმა იყო, - თქვა ალექსანდრომ, - ტან-ფეხი...

საწოლზე იჯდა ტერეზა, ქალი, წელამდე ზეწარაფარებული. წელსქვემოთ კი მოქნილი თითებით ჯერ თეძოებიდან მოიცილა რაღაც თხელი ზღუდე, ზურგმორკალულმა, სიავემდე ნაზი ხახუნით მკვრივ გზას გააყოლა თლილ ტერფებამდე, ორიოდ ტალღა დაეტყო ზეწარს, მერე გაიმართა, ხელები ზურგს უკან წაიღო, ფარნის სუსტ შუქზე გლუვად უბზინავდა მხრები და მკერდიდანაც უცებ შემოიხსნა ერთმანეთს მოკლედ გადაბმული ორი თბილი ბუდე...

- თქვენ ბრძანეთ უკეთ, თუ შეგიძლიათ... ჩვენ მოსმენაც კი შეგვიძლია მოთმენით, დიახ, უკიდურესი აუცილებლობის გამონაკლის შემთხვევებში.

- ეს ერთადერთია, როცა ვიბნევი, - თქვა ალექსანდრომ, - არ შემიძლია...

- რატომ? - დაინტერესდა მამიდა არიადნა.

- რატომ და, - ალექსანდროს ნაცვლად უპასუხა დუილიომ, - მას არ ძალუძს სიტყვით მოიაროს ქალის კარგი სხეულის ღირსშესანიშნავი ადგილები.

- არა, არა, მაგიტომ არა...

- აბა, რატომ?

- რატომ და ვიბნევი, - თავიდან რომელს მივადგე, რომელი ერთი...

და მართლაც, მართლაც, რომელი ერთი... ვიღას ახსოვდა ტალახიანი თითები - იმათი იყო მხრები, ხელები, წელი და ზურგი, და მკერდი, მკერდი... მაგრამ ორად-ორი ხელი ჰქონდა, მხოლოდ ორი და აღარ იცოდა, რას მოჰფერებოდა - რომელი ერთი... და, კიდევ კარგი, ტუჩებიც ჰქონდა, და მკერდზე კოცნამ ის საიდუმლოც მყისვე ასწავლა - ყველაზე დიდი, ყველაზე მარტივი და მთელმა სხეულმა ბედნიერ თითებს აყოლა ისურვა - შორს მოისროლა თავისი დიდბალთიანი, ფართო ქამარი, ლურჯი მოსასხამი... ახლა ყოველივე ერთმანეთს გრძნობდა, და მაინც, მაინც, რომელი ერთი... რბილი მუცელი და დაჭიმული ყელი, ტუჩები - მუდამ მომლოდინე, წელზე მორკალული ტალახიანი ხელი და ამოზნექილი ქალი, ტერეზა, ნამდვილი ქალი, და მისი ოდნავ შორეული ნეკნების თითებში ყოფნა, ყმაწვილი მგზავრის, დომენიკოს შიშველი სხეულის ყველაზე ბედნიერი ნაწილი - თითები და მერე უცებ მთელი სხეული, ყოველი ნამცეცი, თითებზე საზარლად უფრო ბედნიერი გახდა - მიწა კი არა, თავად სხეული, სხეული იძრა და თანაც სადღაც დაკარგვას ჰგავდა... რომ მიიკარგა, ერთი მსუბუქად ამოიოხრა, შვების ოხვრასა ჰგავდა და მომჩვარულმა, უცხო ღრუბელში პირქვე გაწოლილმა, სახე მოუთვალიერა და, ბედნიერმა, მადლობის ნიშნად ლოყაზე აკოცა, რა უცნაურად უმზერდა ქალი. ისევ უყვარდა! ისევ და ისევ სვამდა და სვამდა, რა გამოლევდა ამ ქალის წყაროთ - რომელი ერთი...

- აი, ვთქვათ, - თქვა ალექსანდრომ, - თუნდაც... აი, ვთქვათ...

დაწაფებული, მკერდზე ჰკოცნიდა. და რაღაც გემო, ისე ნაცნობი... თავი აიღო, დააცქერდა - ეს მიწა იყო, ქალის სხეულზე ტალახად მიკრული, და მიწის გემომ ერთხანს რომ შეაკრთო, მერე, რაღაც უცნაურს ბუნდოვნად მიმხვდარი, ქალის სხეულზე მიწას ლოკავდა და თვალდახუჭული ტერეზაც თითქოს მიუხვდა, რომ ეს ყველაფერი, სუყველაფერი - „რომელი ერთი“ - სულ მიწა იყო, მიწა და მიწა, დროებით მკერდად, თემოდ ქცეული - რომელი ერთი... დროებით სხეულს, მაგრამ რა სხეულს - ამჟამად ლამაზს, ახლა - გაფურჩქვნილს, მიწიანი გემოთი ტუჩზე, დახარბებული ჰკოცნიდა მგზავრი...

- აი, თუნდაც ხელისგული, - თქვა ალექსანდრომ.

- რაო? - გაიკვირვა მამიდა არიადნამ და მალულად დაიხედა.

- თქვით, ჩვენ მოგისმენთ, - თქვა დუილიომ, - ოღონდ არა თქვათ მტკნარი სიცრუე.

- ჰო, ხელისგული, - დაფიქრებულმა გაიმეორა ალექსანდრომ, - ნამდვილი ქალის ხელი აიღეთ, ვიწრო ხელისგულს დახედეთ და ნაზ, მშრალ ხაზებს დიდხნას უცქირეთ... მერე ფრთხილად ჩამოაყოლეთ სამი თითი და თვალებში შეხედეთ - მაშინვე მიხვდებით, ნამდვილი ქალი თუა... ანდა, საკუთარი ხელისგული დაადეთ და მაშინვე რაღაცას იგრძნობთ - რაღაც შორეულს, რაღაც ბუნდოვანს, ყოველთვის გეტყვით ქალის ხელისგული... და თუ უყვარხართ, თუ უყვარხართ, მაშინ მხარზედაც, ჩაცმულსაც კი რომ დაგადოს ის ნაზი ხელი...

- დიდი ამბავი... - თქვა დუილიომ.

გულაღმა იწვა დაპურებული, დაღლილი მგზავრი. და ბედნიერი ისევ სხეულის მთელ სიგრძეზე გრძნობდა მხართეძოზე გაწოლილ, მჭიდროდ მიტმასნილ ნამდვილ ქალს, ხელისგულით რომ ეფერებოდა შუბლზე, თვალებზე და ყურში გაფაციცებული ეჩურჩულებოდა: „არ დაიძინო, ჯერ არ დაიძინო, მოგწონვარ, არა? არ დაიძინო, კარგი ვყოფილვარ? მარტო აღარ ხარ ლამაზ-ქალაქში... საბრალო ბიჭი, სულ მარტო იყო, ხომ, ხომ მოგწონვარ...“

- ხელისგული, ხელისგული, - გაბრაზდა დუილიო, - დიდი ამბავი...

- ეჰ... - ხელი ჩაიქნია ალექსანდრომ.

- ვასკომ სრულებითაც არ იცოდა ხელისგული-ბრელისგული, მაგრამ ჭეშმარიტი მამაკაცი იყო, - განაცხადა მამიდა არიადნამ. აქ კი ალექსანდრომ ველარ მოითმინა და თქვა:

- მაინც რა იყო ეს ვასკო, თქვენისთანა მრავლისმნახველი დედაკაცი რომ გადარია.

ხოლო აქ მამიდა არიადნამ თქვა:

- წყალი.

მგზავრს, დომენიკოს, მკლავზე ეძინა. რა მკლავზე მერე...

ასე დაიწყო ლამაზ-ქალაქში ზამთრის თამაშები. რაღა თქმა უნდა, მხოლოდ გაზაფხულამდე გაგრძელდებოდა ეს, რადგან გაზაფხულს თავისი თამაშები ჰქონდა, ჟრიალით სავსე. შუადღისას თუ გამოჩნდებოდნენ გაყინულ აუზთან ქალაქელები, თავაზიანად მოიკითხავდნენ ერთურთს, ყლაპავდნენ ჰაერს, ზამთრისას, ჯანმრთელს, დასეირნობდნენ; ანტონიოს სახელოსნოში კი მრავალგან გიზგიზებდა ცეცხლი, - დიდ ქვაბებში ტანსაცმელს ღებავდა უწყინარი ოსტატი, ვინსენტეს ცოლისძმა. თავად ვინსენტე კი ხან ალერსით ეპყრობოდა მშვენიერ ჯულიას, ხანაც კი

ძლიერ უწმაწურად - ყოველივე იმაზე იყო დამოკიდებული, საყელო შებნეული ჰქონდა თუ არა; ხშირად კი არტუროს დუქანში, ძმაბიჭებთან ქეიფობდა და იმათთან ერთად რამდენჯერმე იყო თვით სერვილიოც, დუილიოს ერთადერთი ვაჟი, ვისაც კამორელებთან რაღაც საქმე ჰქონდა და მხოლოდ ზამთრობით ბრუნდებოდა ლამაზ-ქალაქში. სუფრასთან ხშირად იჯდა სულ გამოცვლილი ფერმკრთალი უცხო, დომენიკო, ფულიანი და ახლა გაცილებით ხშირად იღიმებოდა, მხიარულობდა კიდეც, მაგრამ შემთვრალებს ქალაქის განაპირას, გლახა ქალებთან არ მიჰყვებოდა - სოფლური რიდი... დარბაისლურად, როგორც შეჰფეროდათ, დასეირნობდნენ თეთრ, მიმოხვეულ ქუჩებში ორი ღრმად პატივცემული მოქალაქე - ჯულიო და დუილიო, ყველას თავაზიანად უკრავდნენ თავს, ლამაზ-ქალაქში გიჟად წოდებული ალექსანდროს გარდა, რომელიც დუილიოს დანახვისთანავე აუცილებლად შესძახებდა: „ოო, დუილიოს სალამი, ხელში - კალამი: ძვირფასი აზრები შთამომავლობას რომ არ დაეკარგოს“. და შემცბარ დუილიოს დინჯად ამშვიდებდა დარბაისელი სენიორ ჯულიო - „ხომ იცით, არანორმალურია...“ კოხტა, ცქრიალა კონჩეტინა კი, შეყვარებული, დადარდიანებული იჯდა ფანჯარასთან, ხანდახან ვითომ გაიცინებდა, გაცილებით ხშირად კი უადგილოდ ტიროდა - როგორ არ მიუდგნენ, მაგრამ ვერაფრით გაიგეს, თუ ვინ იყო სახელგანთქმული კარრასკოების ერთადერთი გასათხოვარი ნაზი ასულის ეგრეთწოდებული გულის ჭაბუკი. ყველას თავისი საქმე ჰქონდა, სპილენძის თასებს უკაკუნებდა მიქელე, ლაპარაკისას თბილ წინდებს ქსოვდნენ ერთიმეორესთან სტუმრად მისული ქალები; ამზადებდნენ ბრჭყვიალა ფოლაქებს, ბალთებს, ტყავის ფეხსაცმელს ჰკერავდნენ და მაგიდებს, სკამებს, სკივრებს ყურადღებით აჭედებდნენ ლურსმანს, თავისთვის მუშაობდნენ ლამაზ-ქალაქელი თერძები, დურგლები და მეწაღეები; ფართო, უზარმაზარ ქუდებზე აბრეშუმისა და ატლასის ფერად ყვავილებს ამაგრებდნენ ხელმარჯვე ქალები. ღიმილით ამზადებდა თავის კოპწია სათამაშოებს გიჟად წოდებული ოსტატიც - ალექსანდრო, ხალიჩებს ქსოვდნენ, მინის ჭურჭელს ბერავდნენ, თიხის ფერადი დოქები ამოჰყავდათ... და ყველაფერი მიჰქონდათ ახლო სოფლებიდან კვირაობით ჩამოსულ გლეხებს, ლამაზ-ქალაქში კოპწია ნივთების სანაცვლოდ საჭმელ-სასმელი რომ ჩამოჰქონდათ.

არ მუშაობდნენ მხოლოდ შეძლებული ოჯახის შვილები, ასეთები კი ბევრნი არ იყვნენ - ცილიო, ედმონდო, ტულიო, ვინსენტე, სამიოდ სხვა კიდევ... რიგიან გასამრჯელოს იღებდა ჯუზეპეც, რომელსაც ახირებული დიასახლისების თხოვნით მძიმე ავეჯი წამდაუწუმ ერთი ოთახიდან მეორეში გაჰქონდა. იყო ღატაკი უსაქმურიც - კუმეო, მაგალითად, რომელიც წვეულებებზე დაუპატიჟებელი სტუმრობით ირჩენდა თავს, იმ ნეტარ დღეს ხომ ერთი კვირის საჭმელ-სანოვაგით ამოიყორავდა

მუცელს, მეორე დღეს კი სუფრიდან შეუმჩნევლად წამოღებული ქათმის ბარკალი, ანუ როგორც თვითონ მოფერებით ეძახდა - „ქათმის წიხლი“, ანდა ხბოს ცივი ხორცი დაანაყრებდა. უსუფთაოსა და უზრდელს, მთელი ქალაქი ერიდებოდა, ხანდახან პანღურს თუ ამოარტყამდნენ მისი ბრიყვული ხუმრობით გულმოსული ამპარტავანი ბიჭები. მაგრამ კუმეოს ცოტაოდენი ფული ყოველთვის ეგულებოდა ჯიბეში - ლამაზ-ქალაქელთა მრჩეველი, დუილიო ტკბილი საუბრით ხშირად შეარიგებდა ხოლმე წაჩხუბებულ ცოლ-ქმარს, ან და-ძმას, დედა-შვილს და, რადგან ქედმაღალი დუილიო ხელიდან ხელში გასამრჯელოს არაფრის დიდებით არ აიღებდა, კუმეოს გაატანდნენ ხოლმე ჰონორარს მადლიერი ლამაზ-ქალაქელები და აშმორებულ მოციქულს სულგრძელი დუილიო რამდენიმე გროშს ამაყად მიუთვლიდა ხოლმე. საღამოობით უფრო მკაფიოდ მოისმოდა იმ უკბილო კაცის დახშული ფანჯრიდან საუცხოო დაკვრა, ყოველთვის იდგა მის ფანჯარასთან რამდენიმე გრძნობებაშლილი ლამაზ-ქალაქელი, ოღონდ ვერ არჩევდნენ, რომელი უკრავდა, მამა თუ შვილი. იმ უკბილო კაცს თურმე ქალიშვილიც ჰყავდა, სახელად ანა-მარია, და ისიც მამაზე არანაკლებ უკრავდა თურმე. და თუ ცისფერი ფანჯარა დუმდა, ყველამ იცოდა, რომ სამსიმიან, მარტივ საკრავს სოფლელებისათვის მისაყიდად ამზადებდა უკბილო კაცი - იმასაც სჭირდებოდა საარსებო ფული - ლამაზ-ქალაქში ვის ეყოფოდა მხოლოდ მუსიკა... იმ რამდენიმე ყმაწვილის გარდა , მაგრამ ისინი სულ ვერ უკრავდნენ.

საღამოობით ტერეზას სარკმელს ასცქეროდა დომენიკო, მაგრამ დათქმული ფარანი ჯერ არ ბჟუტავდა და უქმად დაყიალობდა ლამაზ-ქალაქში, მიმოდიოდნენ გვიანი მგზავრები, ბინდდებოდა და აგერ, შემცივნებული ლეპოლდინოც მორიდებით დაიყვირებდა - „სა-აღ-ამოს რვა საათია და ყველაფერი რიგზეაა...“ ქალის სახლთან დაწრიალებდა დომენიკო... და ის ფარანი, დათქმული შუქი... მაღალი კიბე და მაშინვე ზამთრის გრძელი, ვრცელი ღამის თამაშები... საღამოობით დიდ, თბილი წყლით სავსე კასრში იჯდა ხოლმე ქალი, ტერეზა. დასაპნული მხრები უბზინავდა, ახალდაბანილი, ჯერ კიდევ სველი თმა მაღლა ჰქონდა ხან ნაცრისფერი, ხან ვარდისფერი და ხანაც - ლურჯი თავსაფრით აკრული, მკლავებს იბანდა, ეშმაკური ღიმილით შესცქეროდა სიცივიდან შემოსულ, შიშველი ქალის დანახვაზე დაბნეულ ყმაწვილს და რომ გაიღიმებდა, ცალ ლოყაზე უჩნდებოდა პაწია ფოსო - „ჰა, როგორა ხარ, როგორ, დომენიკო?“ „კარგად“. „ჰეე, - იცინოდა ქალი და იმ თავის ყელზე თითებს ისვამდა, - მაშ, კარგად, არა?“ „კარგად, - ამბობდა დომენიკო და უილაჯოდ იღიმებოდა, - გაჩერდი, თორემ...“, „გაწყენინეთ რამე, დომენიკო?“ შეიცხადებდა ტერეზა, თვალთმაქცი. „არა“. „მართლა გიყვარვარ?“ მაშინვე თავს მორჩილაღ დაიქნევდა დომენიკო - მართლა უყვარდა. „საბრალო ბიჭი - თითქოს გული აუჩუყდებოდა ტერეზას, ვინ გაუგებდა, ხუმრობდა თუ არა, მით უმეტეს ახლა,

კასრში შიშვლად მჯდარს, სახეგასაპნულს, ცალთვალმოჭუტული რომ შესცქეროდა - რას გაუგებდა, - საბრალო ბიჭი, არავინ ჰყავდა... დღეს ისადილეთ? მიირთვით რამე?...“ „კი“, „რა, დოუმენიკოუ?“ - უცნაურად წარმოთქვამდა სახელს. „სულერთი არაა...“ „არა მპასუხობ?“ - გამკაცრდებოდა ქალი. „წვნიანი და ტოლმა.“ „ოო, ეგ კარგია, კარგია, ყოჩაღ, - არა, ნამდვილად ემასხარავებოდა, - მარილის მოყრა ხომ არ დაგავიწყდა?“, „არა“. „და იმისი კიდევ... ეე... - მაღლა იყურებოდა, ჩაფიქრებული ისვამდა ხელისგულს მხარზე, - და ეე... მწვანილი ხომ მიატანე, მწვანილი, სასარგებლოა ისიც.“ „კარგი რა, მოდი...“ „რა დროს მოსვლაა, პირველში ვზივარ...“ სამი დიდი კასრი გვერდიგვერდ იდგა, მეორე კასრში საპონი უნდა მოეცილებინა, მესამეს - გასახვანჩალებელს ეძახდა: „ეგება მოსასხამი სკამზე გადაგეფინა, ა, ოღონდ ფრთხილად, ოოო, ასე, აჰ, რა ქამარი გაქვს, ნამდვილი გმირი ხარ... - და დროს არ ჰკარგავდა, გამალებული იზელდა გვერდებს, მაგრამ საპნიან წყალში არაფერი ჩანდა, - არ შემომხედო!.. იცი, რა გითხრა?“, „რა...“, „რა და... ეეე... რა და...“ „რა...“ - სული ელეოდა დომენიკოს; „რა და მიტრიალდი, მეორე კასრში უნდა გადავიდე.“ „გადადი, მერე რა...“ „არ მინდა, რომ შემხედო...“ „ა, რატომ?“ „იმიტომ. შენ ახლა კიდევ მეტყვი - რატომ, მე ისევ გეტყვი - იმიტომ, მერე შენ მეტყვი - რატომ იმიტომ, და ბოლოს მე მაინც გეტყვი იმიტომ და რატომ, მიტრიალდი რაა, დომენიკო...“ „არა“, „კარგი რა, შენ ხომ დამჯერი ბიჭი ხარ, მე რომ გთხოვ... - იატაკზე მოავლებდა თვალს და უცებ ისე შეშინებული შეჰკივლებდა, - ვაიმე, თაგვი!“ „სადაა“, - შეკრთებოდა დომენიკოც. „აიი, კუთხეში... აიი, იქ, შენც ხომ არ გეშინია, კაცებს თაგვისა არ ეშინიათ, აი, ეს დაარტყი, აიი, ტაფა“. და ტაფით ხელში დომენიკო ბნელი კუთხისკენ დაძაბული გასწევდა, მაგრამ შუა გზაზე ქალის კისკისი ესმოდა, მოიხედავდა - მეორე კასრში იჯდა ტერეზა, - „ჰეე, სულელი... ხომ მოგატყუე?“ „კაარგი, კარგი, - ბრაზდებოდა დომენიკო, - ახლა მოვალ და...“ „არ მომეკარო, - შეშფოთდებოდა ტერეზა, - არ მომეკარო, თორემ ვიკივლებ! - მაშინვე ღრმად შეისუნთქავდა ჰაერს, თვალებს გამწარებული დახუჭავდა და პირს ისე დააღებდა, შეშინებული დომენიკო უკან იხევდა, - კარგი, ჰო, კარგი...“ „აიი, ასე... - გამარჯვებული ღიმილით ათვალიერებდა ქალი. - კარგი ბიჭი ხარ, - თვალთმაქცი იყო, - ძალიან კარგი, - და მოიწყენდა, - მაგრამ თუ იცი, დღეს რა საწყენი რაღაც შემემთხვა?“ „რა...“ „რა და, დღეს ვიღაც კაცი ამეკიდა, შინ მოვდიოდი...“ „მერე, რა გითხრა...“ „პირდაპირ თმაში ჩამავლო ხელი“. „რა... თმაში?“ „ჰო, და მთელი დღე ჩემს სახლთან იდგა... მერე ამომძახა, ვივახშმებ და ისევ მოვალო, გარეწარი! - ძალიან არ მენაღვლება იმის ვახშამი? ისევ მოვალო... ის წავიდა და შენც ამოხვედი. ვაითუ, ეგებ... კამორელია, აჰ კიდევ კარგი, ერთმანეთს რომ არ შეხვდით, - შეშინებული ამბობდა ქალი, - ალბათ ისევ დგას, არ გაიხედო...“ „როგორ თუ არ...“ „არა რა, კარგი, ქვა რომ გვესროლოს?“ გაბრაზებული დომენიკო (ლამაზ-ქალაქში

უკვე რჩეული ძმა-ბიჭები ჰყავდა) ფანჯარასთან მიდიოდა და განრისხებული იყურებოდა სიბნელეში, ქალი კი ეძახდა „დოუმენიკოუუ! ნახე, სადა ვარ?“ ჭყუმპალაობდა, მესამე კასრში არხეინად იჯდა. „მომატყუე, არა?“ - უხაროდა დომენიკოს. „დიდი ძნელი მოსატყუებელიც შენა მყავხარ...“ ზეიმობდა ქალი. და მერე უცებ ისეთი წრფელი ალერსით, ისეთი სიყვარულით მიაჩერდებოდა - „მაგიტომ მიყვარხარ“. ვინ იცის, რა დაეჯერებოდა... „და მხოლოდ... მაგიტომ, არა?“ „არა, არა, კარგი ბიჭიც ხარ... მაღალი, თხელი... რაღაც ნაღველით შებოჭილი... დაბნეულიც ხარ... ბოთე კი არა, ისე, უბრალოდ, ცოტათი დაბნეული... გაკვირვებულიც... და მოწყენილი.... რაღაცა გელის... კარგი ბიჭი ხარ...“ - გულით ამბობდა, ისეთი სევდით შესცქეროდა, ისე დარდიანად ლაპარაკობდა, და მყისვე შეიცვლებოდა, გაღიმებული, თვალმოჭუტული უმზერდა, - „ახლა კი, რადგან მეოთხე კასრი საუბედუროდ აღარ გვაქვს, მოიხურე ეგ შენი სულელური მოსასხამი და წადი.“ „რატომ...“ - გული ეკუმშებოდა დომენიკოს, ყველაფერი იყო ამ ქალისაგან მოსალოდნელი. „რა, წასვლა არ გინდა?“ „არა... არა, რად მინდა!“ „მაშინ, მაშინ... - და შეუწყრებოდა, - გაიხადე ეგ შენი მართლა სულელური ლურჯი სამოსი და ლოგინი გამითბე“. „შენც ნუ შემომხედავ, - ეუბნებოდა გახარებული დომენიკო და აღარ იცოდა, სად დაედო ფართო ქამარი. „ეგ ჩემი საქმეა, რას ატრიალებ...“ დომენიკო კი ბეჭებზე საბანს მოიხურავდა, ისე იხდიდა, „გამჭვირვალეა“, - იცინოდა ტერეზა. დომენიკო კი ცივ ლოგინში ძაგძაგებდა. მერე თბებოდა და ლოგინსაც ათბობდა - შორით მოსული, გამოუცდელი მგზავრი. ტერეზა კი წელამდე ამოიმართებოდა კასრიდან, დიდი პირსახოცით საჩქაროდ იმშრალებდა ზედატანს და, მსუბუქი ბაგაბუგით გამორბოდა საწოლისკენ. სველი ფეხებიდან წვეთები სცვიოდა, წვიმასავით გამორბოდა ქალი, ტერეზა და ნახევრად სველი, აკანკალებული, გამთბარ ლოგინში შემოუხტებოდა, ჩახუტებულნი, გასუსულნი იწვნენ და დომენიკო გრძნობდა, როგორ თბებოდა სხვისი სხეული, დიდი იისფერი საბანი გადაეხურათ თავზე და ერთმანეთის სუნთქვა ათბობდათ, და იმ ნელინელ მოძალებულ სითბოში იფურჩქნებოდა თითქოს ტერეზა...

ზამთრის თამაშები...

თმაზე უსვამდა ნაზ, მოქნილ თითებს, ეფერებოდა... „დედა არა გყავს? საბრალო ბიჭი... სამი წლის იყავ?... და სულ არ გახსოვს?“ - ნაუცბათევად, წარბზე ჰკოცნიდა. და დომენიკოც, პირთამდე მადლიერი, ჯერ კიდევ გრილ თმაში ჩარგავდა სახეს და რა უცნაური იყო ამ შუა ზამთარში მოთიბული ბალახის შორეული სუნი... როგორ უყვარდა!

და სიბრძნის წყარო, ლავიწის ზევით...

ამ დროს კი მამიდა არიადნა ბებრულ მუხლებზე თავდადებულ ტულიოს ძალიან ცელქად ეკითხებოდა: - დაა, ააამ ფაანტის პააატრონმა... რა ქნას?

ზამთრის თამაშები...

მაგრამ ვერაფრით დაადგინეს, თუ ვინ იყო კონჩეტინას „გულის ჭაბუკი.“ ვინ არ ახსენეს, რომელი ლამაზ-ქალაქელი გინდა, არ ჩამოეთვალათ, სენიორ ჯულიოსაც კი მიადგნენ, დუილიოსაც, იმისი ვაჟიც - სერვილიო შიშით მოიხსენიეს - იმას ხომ კამორელებთან ჰქონდა საქმე - მაგრამ არა, არა, ვერავითარი შედეგი... „ნუთუ ლამაზ-ქალაქელია?“ - გაკვირვებულნი ეკითხებოდნენ. „კი, კი,“ - ტიროდა კონჩეტინა. „მერედა, გვითხარი, გვითხარი, შვილო...“ „და უარი რომ მითხრას, ხომ გავგიჟდები... თავს არ ვიცოცხლებ!“ „წყალი მოიტანეთ... არიქათ, წყალი...“ საქმე იქამდეც კი მივიდა, ღამის დარაჯი, ლეპოლდინო ახსენეს, მაგრამ არა, გაგიჟდით, არა, ედმონდო? არა, ლენჩია, ლენჩი, ჯუზეპე? არა, კამეჩი, დინო? აჰ, დაბალია, ტულიო? არა, ის არა, ცილიო? რას ამბობთ, სილვიასია, ანტონიო? არა, ბოთეა, ვინსენტე? რას ამბობთ, ცოლ-შვილიანია, არ გამაგიჟო? მაშ, ალექსანდრო? არა, გიჟია, და ანტონიო? არა, ეგ ხომ თქვით... ანტონიო კი არა, მთელი ქალაქის მამაკაცები ჩვიდმეტ-ჩვიდმეტჯერ ახსენეს, და ბოლოს თავში შემოირტყეს ხელი - ნუთუ უგო, ახალგაზრდა გიჟი? აჰ, არა, არა, - და, როგორც იქნა, გამოაცხადა: „მე მიყვარს კუმეო, რადგან იგი უშუალოა.“

აქ კი მამიდა არიადნამ ვეღარც თქვა: „წყალი“ - გულაღმა გადავარდა და თავის სიცოცხლეში დღისით პირველად შეუწუხდა გული.

დუილიომ კი გადაწყვიტა, კარგი ქალის მისეული პორტრეტი შეექმნა, ზოგი რამ თავად მოიგონა, ზოგიც - სხვისგან გაიგო და დაიმახსოვრა, „კარგი ქალი? - ამბობდა დუილიო, - სადაფივით უნდა იყოს: მთვარეზე - ბზინავდეს, მზეზე - ბრწყინავდეს...“ „სადაფივით კი არა, სარდაფივით, - უსწორებდა ალექსანდრო, - ზამთარში - თბილი, ზაფხულში გრილი...“ „შესანიშნავი დიასახლისი იყო, - ექსპრომტად ამბობდა დუილიო, - ფქვილიდან, ნახერხიდან და ცოტაოდენი ნიგვზიდან შეეძლო დაემზადებინა... ეე... ერბო-კვერცხი“. „ოჰ, უნდა დაგსვას კაცმა და გაგაძღოს მაგით. - ბრაზდებოდა ალექსანდრო, - იქნებ ეგ კერძიც, შენი თავიან-ფეხებიანა ნათელი პიროვნებისა არ იყოს, ადამიანთა შემდგომი დონის შეუნელებელი ზრდის ამაღლებაა?“ „მე არაფერს გეტყვი, მაგრამ იცოდე, კუმეოს ფეხი ამ საუკეთესო შარავანდედით მოსილ ოჯახში და ჩემი სიკვდილი ერთი იქნება. კიდევ კარგი, რომ ჯერ არ გადაშენებულა ამ ქვეყნად ბასრი სამართებელი... არაფერს ვამბობ, მაგრამ, იცოდე, ასე იქნება“. „მამიდავ, მამიდავ - და მე რომ მიყვარს იგი?“ „რატომ, რისთვის... ნამდვილად გავგიჟდები, რატომ!“ „მე მიყვარს იგი, რადგან იგი - უშუალოა“.

„ფიზიკურ ნაკლზე მიუთითეთ, - არიგებდა დუილიო დამარტოხელებულ მამიდა არიადნას. - კონჩეტინას ბედის უზრუნველი ყოფა მოითხოვს ჩვენს ერთობლივ მეცადინეობას, და აი, გირჩევთ - მიუთითეთ გამოუცდელ ქალიშვილს მისი გულის ჭაბუკის ფიზიკურ ნაკლზე, რაც ზემოდდასახელებულ ჭაბუკს მრავლად გააჩნია“ - „ღა-ამის პირველი საათია და...“ - ყვიროდა ლეპოლდინო. ხველა ახრჩობდა შორეულ ოთახში ტერეზას მამას, გატრუნული უგდებდა ყურს ქალი... მგზავრს, დომენიკოს, პირქვე ეძინა, ქალი კი კაბაში იჯდა და ავადმყოფი მამის ოთახში შესვლამდე მოსასხამსაც კი მოიგდებდა მხრებზე, ისე შედიოდა - „ხომ არაფერი...“ „არ მინდა, შვილო...“ „სულ უმიზეზოდ, სულ უმიზეზოდ რომ იკრიჭება, იმას მაინც ვერ ატყობ? რამ დაგაბრმავა, ჰა, კონჩეტინა...“ „რა კბილები აქვს - რკინასაც გაკვნეტს...“ „და მერე, მერე, არ გეშინია?“ „რკინა კი არ ვარ, მამიდა არიადნა, - ნაზდებოდა კონჩეტინა, - ქალი ვარ, ქალი...“ „არიქათ, წყალი“, - ყვიროდა დუილიო. „წადი შვილო, ამხანაგებთან, შინ რად ზიხარ, - ეუბნებოდა ჩაფიქრებულ ედმონდოს დედა, - წადი, ამხანაგებში გაიარ-გამოიარე...“ „სადაა თორემ კი...“ უფრო დარდიანდებოდა ვაჟი. „კონჩეტინა, ერთი წუთით მოიხედე, კონჩეტინა, ბოდიშს ვიხდი თქვენთან, სენიორ ჯულიო, გამოთქმისათვის, მაგრამ როგორ ჭამს იგი, კონჩეტინა - სწორედ, სწორედ ეს შავგვრემანი სიტყვაა მისთვის შესაბამისი და არა სიტყვა „მიირთმევს“ - როგორ ჭამს, რა უსაზიზღრესი ხმაურით, რა ხარბად... ნუთუ ესეც კი არ შეგიმჩნევია, კონჩეტინა?“ „შია და რა ქნას... - ცხარობდა ქალიშვილი, - შია და თქვენსავით კი არაა, მოჩვენებითი თავშეკავებით წაიციცქნოს, რადგან იგი - უშუალოა.“ მაგრად საყელოშებნეული ვინსენტე კი, ოჯახის მამა, რბილ სავარძელში ბუხრის წინ იჯდა და ცეცხლს ამპარტავნად შესცქეროდა, ტკბებოდა ცეცხლით, მაგრამ მოყვარული ანტონიო გვერდით რომ მიუჯდა, ვინსენტემ ერთხანს ითმინა, ითმინა, მერე კი, გაბრაზებულმა, საყელო მოიღეღა და ცეცხლში მრისხანედ რომ ჩააფურთხა, წამოდგა და შემკრთალ ანტონიოს ვითომცდა უცაბედად ღონივრად გაჰკრა ფეხი. „მერე და, ადამიანის გაჯავრებაც კარგია განა? - განაგრძო მამიდა არიადნამ, როცა მოასულიერეს, - აი, როზინას უკანიდან ფეხში რომ სტაცა ხელი და ძაღლივით შეჰყეფა, კინაღამ გული გაუხეთქა.“ „რა კარგად აჯავრებს...“ - თქვა აღფრთოვანებულმა კონჩენტინამ, ტაშიც შემოჰკრა ნაზი ხელებით. „რა? - გადაირია მამიდა არიადნა, - ადამიანის გაჯავრებაც მოგწონს? სისხლისმსმელი გახდი? როგორ თუ კარგად აჯავრებს...“, „არა, ძაღლს რა კარგად აჯავრებს-მეთქი. - აუხსნა კონჩენტინამ და თვითონაც სცადა. - ჰავ, ჰავ...“, „დავიღუპე ქალი...“, „უშველეთ, წყალი! - წამოვარდა დუილიო, - წყალი საჭიროების შემთხვევაში ძალიან...“ ახალგაზრდა გიჟი კი, უგო, მიფარებულში იდგა და ჩურჩულებდა: „თოვლიან ღამით... შიგ გულში დანა...“, „სა-აღამოს შვიდი საათია და...“, „წამოდი, შვილო...“

დაკვრა ისმოდა იმ ფანჯრებიდან, წყნარი, მოგუდული... „მამილო უნდა გიყვარდეთ, შვილო, - არიგებდა საღამოობით არტუროს ცოლი, ეულალია, ჯანჯაკომოსა და პატარა გოგოს - მამა გაცმევთ, გაჭმევთ, შრომობს მამა... აი, შენ, შენა, მაგალითად, - ეუბნებოდა ჯანჯაკომოს, - აი, ეგეთი წითელი ლოყები რომ გააქ, ვისი ამბავია თუ იცი ეგა შენა...“ „რა ვიცი აბა, დედი...“ - მორცხვად ამბობდა ჯანჯაკომო. „ვისი და, შვილოო - მამიშენისა. ის გაჭმევს, გაცმევს, ჩაცმა-დახურვაო, მე შენსავით ქალაქში კი არ ვცხოვრობდი, შვილო, სოფელში დავიბადე და შენაა... არ იცი, რამდენი მუშაობა უნდა“ „ვისა, მამილოსა?“, „დიახა“. „ბევრი უნდა, დედი?“, „დიაღ, - ახლა უკვე ქალაქურად უქცევდა დიასახლისი, - შრომობს, იტანჯება, თქვენ რომ კარგი ადამიანები დადგეთ, დიაღ, - და უცებ შეშინებული ემუდარებოდა, - ერთს გთხოვ, ჯანჯაკომო, ვინმე კამორელმა შემთხვევით ჩვენს ქალაქში რომ გამოიაროს, არ უპასუხო, არ შეხედო, პირდაპირ შინ გამოიქეცი...“ „ვე, - უკვირდა ჯანჯაკომოს, - თუ არ შევხედავ, როგორ მივხვდები, კამორელია თუ არა.“ „მიხვდები, ჯანჯაკომო, როგორ ვერ მიხვდები - ყოველ კამორელს რაღაც სუსხი დასდევს“. „აიი, ჯანდაბას იმათი თავი და ტანი, - დასძენდა კუთხეში მიმჯდარი არტუროს დედა, ყოჩაღი მოხუცი სივილლა, - კიდევ კარგი, მთელ ზამთარს არ გამოჩენილან.“ „რად გამოჩნდებოდნენ, - თავს იმშვიდებდა ეულალია, - გადასახადს ყველანი დროზე ვუგზავნით და...“, „ის ბიჭი ნეტავ სად დაიკარგა ამდენ ხანს, ა...“ - ამბობდა მოხუცი. „ვინ ბიჭი...“ „არტურო, ვინა...“, „ჰოო, - ეღიმებოდა ეულალიას, - მეც არ გამიკვირდა?... თქვენთვის ბიჭია, აბა რა... დუქანში იქნება“. „ამდენ ხანს, ქალო?“, „ახლა ზამთარია, დედა*, ადრე ღამდება, თორემ გვიანი კი არ არის...“

სამ გრძელ დღეს უნდა მოეთმინა უტერეზობა. ახალ წელიწადს კი ერთად უნდა შეხვედროდნენ და არტუროს საჩუქრად ულამაზესი კაბა აშოვნინა, თორმეტდრაჰკანიანი, ოქრომკედით ამოქარგული, აბრჭყვიალებული... ბალიშის ქვეშ ინახავდა, წამდაუწუმ გაშლიდა და დახედავდა ხოლმე კაბას, რომელიც ნამდვილ ქალს, ტერეზას უნდა შეევსო, ისე საამოდ უნდა გამოებურცა... ორი დღის შემდეგ ნამცხვრების სუნი დატრიალდა ლამაზ-ქალაქში, დიდი ფაციფუცი იყო, ვაშლის ნამცხვარი, ნუშის ნამცხვარი, ღვინო და ქადა, ათასი რაღაც... დიდის ამბით ემზადებოდნენ მეკვლეები, სასურველ ოჯახში ნიღაბაფარებულნი უნდა მისულიყვნენ, მისალოცი, საზეიმო სიტყვა უნდა წარმოეთქვათ, მერე მასპინძლებს უნდა გამოეცნოთ, ვინ იყო მეკვლე... წესი იყო ასეთი, თორემ, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი წინასწარ იცოდნენ... ერთ-ერთ მეკვლესთან დაკავშირებით მეორე დილით, დიდი მხიარულების ჟამს, დუილიოს მხოლოდშობილი ვაჟი - სერვილიო მოსაკლავად დაეძებდა ერთ ლამაზ-ქალაქელს, თუმცა, იმას აზრადაც არ მოსვლია დამალვა... მაგრამ სერვილიოს გაგულისება მეორე დილით მოხდა, ახლა კი,

საღამოხანს საოცარი ფასი დაედო ლეპოლდინოს ძახილს: „სა-აღამოს რვა საათია და...“ საათი კი ყველას ჰქონდა, მაგრამ ეს შეძახილი ლამაზ-ქალაქელთათვის, რაღაც უფრო ზუსტი, საერთო დრო იყო, ახლა, ამ საღამოს, განსაკუთრებით ჟღერდა... და გაამაყებული ლეპოლდინოც სხვა ხმით იძახდა: „სა-აღამოს ცხრა...“ და თერთმეტი საათი რომ გახდა, დომენიკო საუკეთესო ორადგილიანი ლანდოთი გაეშურა ტერეზას სახლისკენ. იქვე, ორიოდ ნაბიჯზე იყო მისასვლელი, მაგრამ ლანდოთი რამდენიმე ბოთლი შუშხუნა, ტკბილეული და თავად არტუროს ხელით შემწვარ-მოხარშული ხორაგი მიჰქონდა, იღლიაში ამოედო ფრთხილად დაკეცილი, ლამაზ ქაღალდში გახვეული კაბა და სიხარულისაგან გაოგნებულ მელანდოეს მუჭში ჩაუდო მთელი დრაჰკანი. ვიწრო სარკმელს კი ერთბაშად სამი ფარანი ანათებდა, ცასწეულ მელანდოეს თვითონ უნდოდა საჩუქრების ატანა, მაგრამ დომენიკომ არ დაანება და მაღალ კიბეზე ოთხი გზა გააკეთა, და რომ მიუბრუნდა, განრისხებული უმზერდა ქალი - „რაა, ეს რაა“. დაბალ, პატარა მაგიდაზე მცირე ტკბილეული ელაგა, მოხარშული ქათამი, ყველი, მწვანილი, ორი ბოთლიც - შუშხუნა... „მეორედ არ გაბედო, - უთხრა ტერეზამ, - შენცა და შენი საჩუქრები...“ რა განრისხება სცოდნია მაინც, მაგრამ საჩუქრებისკენ თითი რომ გაიშვირა, ისე ლამაზად, ისე მშვენივრად გამოუვიდა - განრისხებული იდგა, თავშემართული, ოდნავ უკან გადახრილი, მშვენიერი თვალები უელავდა და გრძელი, მოქნილი, წვეტიანი თითი საჩუქრებისკენ გაეშვირა - ყველაზე ლამაზი მრისხანება იყო, ჯერ არნანახი... „რატომ, ტერეზა...“, „იმიტომ, რომ საჩუქარი ყველაფერს აფუჭებს, - განრისხებული მიმოდიოდა ოთახში ქალი, სწრაფად, ამაყად ტრიალდებოდა კედელთან და აფრიალებული კაბის კალთები წვივებზე მსუბუქად ეხვეოდა, გაბრაზებული, ცალ მკლავს მოხდენილად იქნევდა, ყელზე მიედო მეორე ხელი, - შენი არაფერი მინდა...“, „რატომ, ტერეზა...“, „ისე ვარ შენი, - შედგა ტერეზა, - ისე, უსაჩუქროდ...“ ვერაფერს მიხვდა დომენიკო, მაგრამ იღლიაში ამოდებულ კაბას, რაღა თქმა უნდა, მაინც ვერ აჩენდა - ეს პურმარილი ორიოდე დრაჰკანის თუ იქნებოდა, ლამაზი კაბა - თორმეტი ღირდა. დოინჯშემოყრილი ტერეზა კი მრისხანედ განაგრძობდა: „ეგ ყველაფერი, გესმის, სულელო, რაგინდ ტკბილი და კარგად შემწვარი იყოს, მაინც ფულია, შენი ფული კი რა ჯანდაბად მინდა, გლახა ქალი ვარ?“ განრისხებული, შემართული, შუა ოთახში იდგა, ფარანს დასწვდა და სახესთან მიიტანა, თავი გაინათა და ისევ დაეკითხა: „გლახა ქალი ვარ?“, „კარგი ქალი ხარ...“ - თქვა დომენიკომ და აქ ტერეზას უნებურად გაეცინა, ისე გულით თქვა ეს დომენიკომ, ისე ხმადაბლა და თავდახრილმა. - „ჰო, კარგი, კარგი, ამოალაგე, სხვა დროს კი...“ სარკის წინ დიდის ამბით ემზადებოდა დუილიო, მთელი ქალაქის საოცნებო მეკვლე, და ლომის ნიღაბი წამდაუწუმ სახესთან მიჰქონდა. მამიდა არიადნასთან კი საჩქაროდ შეირბინა ედმონდოს დედამ

და ძალიან სთხოვა, იხვეწებოდა: „თქვენი ჭირიმეთ, თქვენთან შეხვდება ახალ წელს ჩემი ვაჟი, ამხანაგი არ ჰყავს და...“, „რა სათქმელია, ჩემო კარგო, აბა. რა სათქმელი ეგ არის, იმიტომ არ შეგატყობინეთ, რომ მისი სტუმრობა თავისთავად იგულისხმებოდა - მოვიდეს, ველით...“ ვინსენტემ კი საყელო შეიხსნა და ბავშვთან მარტოკა დატოვა თვალცრემლიანი მეუღლე - ჯულია, ხოლო ქუჩაში გამოვიდა თუ არა, ყელი შეიფუთნა და დარბაისლურად გაუყვა გზას მამიდა არიადნას გაჩახჩახებული სახლისაკენ, იმას კი, რაღა თქმა უნდა, მოყვარული ანტონიოც კვალდაკვალ აედევნა, გზადაგზა იკრავდა შარვალზე ღილებს და, კიდევ კარგი, ჯულიასთან მშობლები მივიდნენ სტუმრად - გათხოვილ ქალიშვილს მონატრებული სითბო ისე ლამაზად, ისე ბუნებრივად და უთქმელად შეაწიეს... ღამის თორმეტი საათი ახლოვდებოდა. „მამასთან შევალ, და იქ შევხვდები, - უთხრა ტერეზამ, მხარზე დაადო ხელი, - ხომ არ გეწყინება...“ „არა“, „ჩქარა გამოვალ...“, „ჩქარა გამოდი...“ მამიდა არიადნასთან თორმეტის ნახევრისათვის ყველა სტუმარი შეიკრიბა - შვიდზე იყვნენ დაბარებულნი. შუშხუნა-ბოთლები და შუშხუნა-ცეცხლი მოამზადეს, მაშხალები მოიმარჯვეს ხელში... თორმეტი გახდა, ღამის დარაჯი კი ჯერ არ ყვიროდა. მცირედ შეშფოთებულებმა, საათები შეამოწმეს, კი, კი, თორმეტი უკვე იყო, და სანატრელი დაძახილის მოლოდინში ფანჯრებს მიადგნენ, ღამის დარაჯი კი, ლეპოლდინო, ქალაქის მთავარ მოედანთან ავი ღიმილით სახეზე, იდგა, იდგა და დაძახებას განზრახ აგვიანებდა. ეს ერთადერთი წუთი იყო, როცა ლეპოლდინო თავს კაცად გრძნობდა - ყველას ახსოვდა, ყველა უცდიდა, და ჩამოძენძილი ღამის დარაჯი, წელიწადში ერთხელ მნიშვნელობამინიჭებული, ამაყად გაჯგიმული, ყვრიმალებდაბერილი, თავის შეძახილს აგვიანებდა და ღონივრად აუდ-ჩაუდიოდა მკერდი; აუზთან იდგა ლეპოლდინო, გატრუნული და მომლოდინე, ლამაზ-ქალაქის წუთიერი განმგებელი და, საკუთარი ღირსებით თრობა ორიოდ წუთით რომ იგემა, დიდის სიამოვნებით დაიძახა: „ღა-ამის ზუსტად თორმეტი საათია და ყველაფერი რიგზეა-ა,“ - შუშხუნა ცეცხლი აუშვეს ცაში, სატკაცუნებლებს ახმაურებდნენ, შუშხუნას ბოთლები ხათქახუთქით გახსნეს, „მრავალ ახალ წელს, ჩემო ჰორტენზია“, ტუჩებში კოცნიდნენ ლამაზ-ქალაქელები ერთმანეთს, მარტოკა იდგა მგზავრი, დომენიკო, და კონჩეტინამ სტუმრად მიწვეულ კუმეოს (მაინც თავისი გაიტანა და...) პირველად აკოცა. კუმეომაც დიდი წკლაპუნით ჩაპრიშტნა, მამიდა არიადნამ კინაღამ არ თქვა: „წყალი“, მაგრამ ახალი წლის ხათრით გადაიფიქრა, ბედნიერი, სახეალეწილი კონჩეტინა კი შუშხუნით ხელში სტუმრებს დაფრთხიალებდა და მაღალ ჭიქებს ყველას უვსებდა. ახალი წელი დადგა, ფრთხილად ჰკოცნიდნენ მძინარე ბავშვებს, ბროლის ჭიქები წკარუნებდა. ჯერ კიდევ ისროდნენ დაგვიანებულ შუშხუნებს ცაში, „ასე ტკბილად, ტკბილად“, გაისმოდა ყველგან, „აჰ, ასე ტკბილად,“ - გატაცებით თქვა მამიდა

არიადნამ და უეცრად, დაკრეჭილი კუმეო რომ დაინახა, გულს შემოეყარა, მაგრამ ამჯერადაც არა თქვა: „წყალი“ - მეკვლეს ელოდა, და მერე, როგორს...

ლამაზი ჭიქით ხელში, ისევ მარტოკა იდგა მგზავრი, დომენიკო... სოფელში ახლა სანთლებით ხელში, კარდაკარ დადიოდნენ! უხერხულად გაუღიმებდნენ ერთმანეთს და თიხის ჯამებით სვამდნენ ღვინოს... მამის ხელი გაახსენდა, მხარზე მძიმედ მოალერსე... ჭერს ახედა და... ვიღაც უყურებდა! მუდამ დასცქეროდა ვიღაც - ვისაც უყვარდა... ამ სიბნელეში მარტოკა მდგარი, ვიღაცას უყვარდა! მაგრამ ისეთი იდუმალი იყო ეს სიყვარული, რომ სიხარულზე მეტად შიში ახლდა, ეს მაინც შიში იყო - უცნაური და ახლობელი, მფარველისადმი შიში... მაგრამ ტერეზა რომ შემოვიდა, დიდი ლამაზი ფარანით ხელში, და მოხდენილად რომ დაიხარა და ფარანი იატაკზე დადო, და დომენიკოს მსუბუქი კოცნით რომ მიულოცა ახალი წელი, ყოველივე გადაავიწყდა და საჩქაროდ გახსნა ცივი შუშხუნა... მიაჭახუნეს, ბოლომდე გამოცალეს ჭიქა, დომენიკომ დაასწრო და თავგადაწეულ ქალს მერამდენედ შეუთვალიერა ქათქათა ყელი - რა კარგი იყო, როგორ უყვარდა!.. „მრავალ ახალ წელს, დომენიკო, - გაუღიმა ქალმა და დაბალ სკამზე ჩამოჯდა, მუხლებზე მშვიდად დაილაგა ხელები, თვალი მოჭუტა, - უბეში რა გაქვს...“ დინჯად უღიმოდა მამიდა არიადნას სენიორ ჯულიო, ხანდახან თუ ააცმაცუნებდა ტუჩებს, სავსე ჭიქით ხელში, ლაღად კისკისებდნენ მხიარული ქალიშვილები, მამას ეხვეოდა ნორჩი ჯანჯაკომო, ყველგან, ყველანი მხიარულობდნენ, დაღონებული, მხრებჩამოყრილი ღამის დარაჯი კი თავისი ფიცრულისაკენ მიიძურწებოდა - მომავალ ახალ წლამდე... და დიდად რომ შეაქეს უამხანაგებო ედმონდოს საახალწლო საჩუქარი - ფინჯანი და ლამბაქი, კუმეომ დრო იხელთა და ქათმის მეორე ბარკალიც უბეში გაიქანა, სწორედ ამ დროს კი მამიდა არიადნას სახლში მეკვლე შემოვიდა - ცოტათი ადრე მივიდა, ეტყობა, ვეღარ მოუთმინა გულმა - დიდის ჟივილ-ხივილით მიესალმნენ, მაგრამ მეკვლეს ნიღბის ნაცვლად თავზე უზარმაზარი ქათქათა ზეწარი გადაეფარა, თავით ფეხამდე დამალული იყო, მხოლოდ ორი პაწია ნასვრეტიდან ათვალიერებდა საზოგადოებას და, რა თქმა უნდა, ალაპარაკდა:

- ახალ წელს გილოცავთ, უძვირფასესო მეგობრებო, და მე იმიტომ არ მოველ თქვენთან ლომის ნიღბით, რადგან ცხოველმყოფელურ სიძლიერეს უკანასკნელ მომენტში ფაქიზი ზეწარი ვარჩიე, სისხლსავსე უმანკოებისა და დიდმნიშვნელოვანი სასიკეთო ძვრების ფერი...

- ბარაქალა, ბარაქალა, რა კარგად თქვი, დუი... - და მამიდა არიადნამ დროზე შეიკავა თავი - მეკვლეს სახელი არ უნდა გაემჟღავნებინათ, ვითომც არ იცოდნენ, ასეთი გახლდათ წესი.

- ამ კეთილ, მარადსასურველ დღეს ბევრი კეთილი და უნიჭიერესი სიტყვის თქმა შეიძლება, - განაგრძო მეკვლემ, - და ვილაპარაკოთ კარგად, კეთილად, რადგან სიბოროტე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ახლა, როდესაც კარგი მეკვლეები ცხოვრების შუაგულში ტრიალებენ, ზოგიერთ უარყოფით ადამიანს არც კი სიამოვნებს ეს, ხოლო ეს - ეს ხომ მისი მხრიდან მორალური ძარცვა-გლეჯის ასპაარეზია, დაე, ახალ, მომავალ ნათელ წელს კი მოსახდენ დიდმნიშვნელოვან სასიკეთო ძვრებს გაუმარჯოს!

- გაუმარჯოს, - შესძახა მამიდა არიადნამ და სხვებიც აჰყვნენ.

- მაგრამ როგორ დავიცვათ ეს გზები, ეს უფაქიზესი ბილიკები, როგორ მივანიჭოთ მათ შეუქცევადი მტკიცე ხასიათი - როგორ? როოგორ?.. როგორ და ადამიანის შინაგანი ვითარების გაჯანსაღების გზაზე თანმიმდევრული წინსვლა უნდა აღვჭურვოთ მთავარი ყურადღებით, რაც ხანდახან არ ხორციელდებოდა გასული წინა წლის განსაკუთრებით მეორე ნახევარში, მაგრამ ახლა, მომავალ ახალ წელს კი, პირობას გაძლევთ, რომ თავდაუზოგველი განსაკუთრებული ადამიანების ზრუნვის მეშვეობით - გან-ხორ-ცი-ე-ლ-დ-ება!

- ვაშა, დუილიო! - შესძახა მამიდა არიადნამ, ვეღარ მოითმინა, - ისეთ მჭევრმეტყველ კაცსაც კი, როგორიც ეს თქვენა ხართ, ჯერ არ ულაპარაკნია ასე კარგად, ასე ბრწყინვალედ, ოჰ მეკვლევ, გმადლობთ...

- არ იფიქროთ, რომ ეს არაა ძნელი, ესაა შემხვედრი მიზნები ადამიანთა გაკეთილშობილების ვარდფენილ გზაზე, ხოლო რა არის აუცილებელი დადებითი თვისებებით ადამიანის აღჭურვისათვის? - საამო სიტყვა... და თუ არ თვით საამო სიტყვა, სხვა რა დააჩქარებს ადამიანის ერთპიროვნული სიკეთის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს; მე კი მოგიგებთ: - სხვა? - არაფერი...

- რა კარგი იყო, რა კარგი, - ამბობდა სახეგაბრწყინებული მამიდა არიადნა.

- რა მნიშვნელოვნად ჩაახვია თამამი აზრი...

- რაც შეეხება...

„უბეში რა გაქვს... რამდენჯერ გკითხო...“ „არა, არაფერი ისეთი... - აირია დომენიკო, - რაღაც მინდოდა მეჩუქებინა...“ „მართლა?.. თუმცა, კარგად იქცევი, რომ არ მაჩვენებ... აი, როდესმე, რომ მოგბეზრდები, - საოცრად გამართული იჯდა, - გლახა ქალებში წახვალ და იმათ აჩუქე. სიხარულისგან სულ აგლოკავენ...“, „არ წავალ, არა“, - თქვა დომენიკომ. „მართლა? - შეაცქერდა ქალი, - აბა, შემომხედე... მართლა არ წახვალ?“

- ხოლო რაც შეეხება საკითხს, თუ როგორ უნდა შესრულდეს ადამიანთა გულებში ჯანსაღი ატმოსფეროს მყარად დასადგურება, ჩვენ ამთავითვე უნდა დავსვათ საკითხი, რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება. მაღალმნიშვნელოვანი საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ განვიცადოთ ბედნიერებისაგან გამომავალი არსებითი ცვლილებები.

- რა მშვენივრად ლაპარაკობთ, აჰ, რა მშვენივრად... დღეს თქვენ თავის თავს გადააჭარბეთ, ძვირფასო მეკვლევ...

- ახლა კი, ახლა, როდესაც ჩემი დადებითი სიტყვების მეშვეობით დაჩქარებული ტემპით ვითარდება...

„ვის აშოვნინე...“, „არტუროს“. „საიდან მოგართვა...“ - დაგემოვნებით სვამდა შუშხუნას, ნელა წრუპავდა. „არ ვიცი“. „რა გამოგართვა...“ „თორმეტი დრაჰკანი.“ „რაო? - შეიცხადა ქალმა, - რამდენი... სამკაულია?“ „არა, არა, კაბაა რაღაც...“

- ...დაჩქარებული ტემპით ვითარდება და შემდგომი ამაღლების ზრუნვით არის განმსჭვალული ჩემი ამჟამად განვითარებული ენა და ამასთანავე ამ კეთილშობილურ მიზანში ჩაბმულია და ასევე შემდგომ ვითარდება ჩემი საქციელი - ეს თქვენთვის, თქვენთვის ვლაპარაკობ მე - მოამაგე, წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებთ, წყარო - ჩვენია!

- ჩვენია, ჩვენი!!

- რა დიდებულად ლაპარაკობს, რა დიდებულად...

- კარგია, კარგი!!

- ძალიან კარგი!!

- თამამი აზრი რა მნიშვნელოვნად ჩაახუჭუჭა!..

- და არსებითი ცვლილებები რომ განვიცადოთ...

„როგორ მოუტყუებიხარ... - ნაღვლიანად შეაცქერდა ქალი. - ყველამ შენ უნდა მოგატყუოს...“ „რა იცი, ხომ არ გინახავს...“ „არ შეიძლება, კაბა თორმეტი დრაჰკანი ღირდეს...“ სამოსელი პირველი! - ექვსი ათასი დრაჰკანი ღირდა... სოფელში ახლა თიხის ჯამებით, თიხის დოქებით სვამდნენ კამკამა ღვინოს, და პირს დიდი მაჯებით იმშრალებდნენ. „რამ ჩაგაფიქრა... მაჩვენე აბა...“

- ...მაშინ ღრმად უნდა გვქონდეს შეგნებული ბევრი სასიხარულო სიახლე და თვალსაჩინო წარმატებებს რომ მივაღწიოთ, განსაკუთრებით დიდია ადამიანთა

გონების გავარჯიშების როლი, და აბა, სანამ მე ვლაპარაკობ, ჩემო ანტონიო, აიღე ბატის ფრთა და ქაღალდი და დაიანგარიშე, რამდენი იქნება 511-ს რომ გამოვაკლოთ 42... ტვინი, გონება უნდა გავავარჯიშოთ... თორემ დავკარგავთ წყაროსთან ჭიქას!

- აჰ, რა კარგად თქვა...

რა კაბა იყო! ორივე ხელზე გადაეფინა, და ფარნის შუქზე აბრჭყვიალებულ კაბას ალაგ-ალაგ აფეთქებული ზოლი ჩამოსდევდა, მოულოდნელად აკიაფდებოდა რომელიმე ნამცეცი, ხელებზე ტალღები გადასდიოდა ტერეზას, ოქრომკედით მოქარგულ კაბას დასცქეროდა ქალი... მერე თქვა: „კარგი, ერთხელ ჩავიცვამ...“ და მეორე ოთახში გავიდა.

- და სანამ ჩვენი გულითადი, სიძის მოყვარული ანტონიო დაიანგარიშებს, კიდევ ერთ რამეს მიგანიშნებთ: ჯერ ასეთი სახის შეკითხვას დავსვამ - ვინაა ბედნიერი?.. ის, ვინც იცინის... რატომ იცინის? - ბედნიერია, და, მეგობრებო, ერთად რომ შევსვათ სიამის თასი, მოდით, ვიცინოთ... ერთი ორი და...

აჰ, იცინოდნენ... კისკისებდა კონჩეტინა, მართლაც ბედნიერი, ხითხითებდა ცილიო, ფანჯარასთან მდგარი, თავშეკავებული იღიმებოდა დარბაისელი სენიორ ჯულიო და ედმონდომაც დააშორიშორა მიწებებული ტუჩები; ხარხარებდა ტულიო, მუდამ უდარდელი და ჭიხვინებდა კუმეოც, გამძღარი და ორი დღით მაინც დანაყრებული, მხიარული ქალიშვილები ხომ სულ გადაფიჩინდნენ.

ტერეზა შემობრუნდა ოთახში, ნელა, ჭრიალით გაიღო კარი, თმაც სულ სხვაგვარად დაევარცხნა, ნელა გადმოდგა ნაბიჯი და მთელი ფეხის ჩაყოლებაზე აფეთქდა მბზინავი კაბა; მეორე ფეხი გადმოდგა მერე, და იმ ტალღამაც გადაინაცვლა... მკერდზე უწესრიგოდ ფეთქდებოდა სინათლეასხლეტილი ნამცეცები; და, ერთიანად ასაფეთქებლად გამზადებული, თავით ფეხამდე ბჟუტავდა ქალი... ისევე, როგორც ყოველ ნამდვილ ქალს, კარგად ახსოვდა, რა კაბა ეცვა... მუდამ ახსოვდა ყოველი კაბის ფერი, წინწკლები, და მისი ყოველი მოძრაობაც საოცრად ეხამებოდა იმ ფერს, იმ წინწკლებს. მწვანე, უბრალო კაბას თუ ჩაიცვამდა, სიმწვანის ნიშნის ქვეშ ხდებოდა ხელის აქნევა, ღიმილი, სიარული; თუ ლურჯი ეცვა, თავით ფეხამდე სილურჯისა იყო და ახლა, ამ დედოფლურ კაბაში, დომენიკოს უცებ ისე დიდებულად უცხო, ისე შორეული, მიუწვდომელი ეჩვენა ქალი; მაგრამ ის ქედმაღლურად მიუახლოვდა თუ არა, მუხლებზე დაუჯდა, კისერზე აუჩქარებლად შემოხვია ხელი, ლოყაზე აკოცა, უთხრა: „მართლა კარგია... მადლობთ, დომენიკო“.

- და ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს... უნდა გვიყვარდეს ის უგოც, გიჟი, და მეორე გიჟმა, უტიფარმა ალექსანდრომაც რა დააშავა - თავისი უბედურებაც ეყოფა, ხომ გიყვართ, ხომ გიყვართ-მეთქი ერთმანეთი!

- კი, გვიყვარს, გვიყვარს, ძალიან გვიყვარს, - შესძახა ცილიომ და როზინას გადახვია ხელი.

- ხელი აიღე! - შესძახა მეკვლემ, - ეგ სხვანაირი სიყვარულია, - ფაქიზ სიყვარულს ვგულისხმობ მხოლოდ, და რომ ამის ბრწყინვალე მაგალითიც მოგცეთ, აბა, კუმეო, სკამზე შედექი!

- ასე?

- ჰო, ასე, ახლა კი თქვენ, ჩვენო უსაყვარლესო, უფაქიზესო ქალბატონო არიადნავ, ჩვენო კეთილო, ხომ ვიცი, რომ გულის უკუნჭულეს სიღრმეებში არ გიყვართ კუმეო, მაგრამ სიყვარულის, ერთიანი სიყვარულის სახელით მუხლმოდრეკილი, გთხოვთ, თქვენც შედგეთ სკამზე... იქვე, მის გვერდით!

- თქვენ ისე მნიშვნელოვნად ლაპარაკობთ, დუილიო... ისე საამოდ. აი, შევდგები - გთხოვთ, მომეხმაროთ, სენიორ ჯულიო...

- ახლა კი, ერთიანი სიყვარულის სახელით, გთხოვთ ჩვენსკენ გადმოისროლოთ თავით-ფეხებამდე შეიარაღებული თქვენი ძალუმი სიყვარული და კუმეოს აკოცეთ! ჩქარა, ჩქარა, სანამ ანტონიო დაიანგარიშებს...

- აჰათ, მე ვკოცნი! - შესძახა მამიდა არიადნამ და გაკრეჭილ კუმეოს ლოყაზე ეამბორა.

- ეს ყველააფერი ამ ფერმა შექმნა, - განაგრძო მეკვლემ, - ვადაზე ადრე იმიტომ მოველ, რაც შეიძლება უფრო ადრე გამეღვიძებინა თქვენში სიყვარული, და რა კარგი ვქმენ, ლომის ნიღბის ნაცვლად ეს ზეწარი რომ გადავიფარე - სისხლსავსე უმანკოების ფერი...

- კი, კარგი ჰქენით, აჰ, და რა კარგი.

- ხოლო ეს ზეწარი უბრალო არ გეგონოთ, ადამიანებო, სასწაულმოქმედია, აბაა, ზეწარო, თეთრო, ქათქათავ, ბრშშ, შშ-შ!.. - ამამაღლე! ამამაღლე-მეთქი!!

და საოცრებავ, მეკვლე ამაღლდა.

- ხომ ვილაპარაკე დღეს ყველაზე კარგად! - იძახდა ამაღლებული მეკვლე, - ჩემს საკუთარ თავს დღეს ხომ თვითონვე გადავაჭარბე!

- კი, როგორ არა!.. - გადააჭარბეთ!.. დიახ, როგორ არა!.. - შესძახა გაოცებულმა საზოგადოებამ.

- ხოლო ბოლოს იმასაც დავსძენ, რომ ამ სასწაულმოქმედ ზეწარს ისიც კი შეუძლია, რომ მე, კეთილმოაზროვნე დუილიო, უბრალო გიჟად გადამაქციოს, აბა, გადამხადეთ! შენ გადამხადე, ბიჭო, კუმეო!

კუმეო სკამიდან ჩამოხტა, ზეწარი გადახადა და...

ალექსანდრო იგდა!

ყველანი გაშრნენ... მხოლოდ მამიდა არიადნამ, რომელიც ისევ სკამზე იდგა, არ გაიტეხა იხტიბარი:

- რანაირი ხართ, იცი, დუილიო? ისევ დაბრუნდით... თავს დაუბრუნდით...

- აღარ გამოდის, - თქვა ალექსანდრომ, - გადავიხადე.

- მაგ თეთრი ზეწრით თუ არ გამოდის... ანტონიო, შავად შეღებილი ზეწარი ხომ არ გაქვს? შენ გეუბნები, ანტონიო, რა მოგივიდა!

ანტონიო გამოერკვა და თქვა:

- სამას სამოცდა ცხრა.

- მაგდენი რად გვინდა, ერთიც გვეყოფა...

- არა, სამას სამოცდა ცხრა, 511-ს რომ გამოვაკლოთ 42.

- ვგიჟდები... მგონი...

ხოლო აქ კარი გაიღო და ვიღაც ლომისნიღბიანი შემოვიდა: - ახალ წელს გილოცავთ, უძვირფასესო მეგობრებო...

- ვაიმე, მგონი, მართლა ვგიჟდები, - თქვა მამიდა არიადნამ, - რომელი, რომელი ხართ...

- მე - მე ვარ, - დაამშვიდა ალექსანდრომ, - ეს კიდევ - ის... ვიხუმრე, რა მოხდა...

- პატარა რომ ჩანდა! - იყვირა ცილიომ.

- მოკუნტული ვიდექი.

- და ხმა... როგორ მიამგვანეთ ხმა, ლაპარაკი!

- აჰ, არტისტიზმი... - თქვა ალექსანდრომ, - ძლიერ კარგია. და რაც მთავარია, ხომ მშვენივრად ვილაპარაკე? - წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებთ!

- ჯერ ეს ერთი, - თქვა ლომისნიღბიანმა, - ეგ ჩემი სიტყვებია...

და უცებ მამიდა არიადნამ შუბლზე იტკიცა ხელი:

- კუმეოსთვისაც რომ მაკოცნინა...

- დიდი ამბავი...

აქ კი მამიდა არიადნა სკამიდან ფრთხილად ჩამოვიდა, სავარძელში მიესვენა და მერეღა თქვა:

- ვარდისფერი წყალი...

* * *

ზამთარი იდგა ლამაზ-ქალაქში, დიდი იანვრის თვე. ნაცრისფერ ღრუბლებს მიღმა მიკარგულიყო მზე, თოვლი ანათებდა ქალაქს. საღამოობით ბუხართან ისხდნენ, ნიკაპთან საბანამოკეცილებს, რაღა თქმა უნდა, ეძინათ ღამით, შემცივნებულნი დგებოდნენ დილით, ხელებს იქნევდნენ, და ეკლიან წყალს ისხამდნენ პირზე. შუადღისას კი სუფთა, გემრიელი ჰაერი და ერთმანეთი ენატრებოდათ, შეფუთვნილნი გამოდიოდნენ გარეთ. თბილი მოსასხამის კალთები რბილად მისრიალებდა თოვლზე, ისევ ისმოდა ნაგვიანევი „მრავალ ახალ წელს, აჰ, მრავალ, მრავალ“, საღამო ხანს კი, იისფერ ბინდში, ისე ლამაზად თოვდა და თოვდა... დათვის დიდ ტყავზე, ბუხართან მხართეძოზე იწვა ქალი, ტერეზა, მკლავებქვეშ მუთაქაამოდებული, და მეორე ხელის ნაზი, წვეტიანი თითებით მის კალთაში თავმიდებულ მგზავრს, დომენიკოს, თმას უვარცხნიდა - „როგორ გაგაფუჭე...“. მამამისის ფულით მოზიდულ სურსათ-სანოვაგეს მამისადმი პატივისცემის ურღვევი გრძნობით შეექცეოდა ლოყებღაჟღაჟა ჯანჯაკომო, დინჯად მარცვლავდა კრიალოსანს დარბაისელი სენიორ ჯულიო, სიცივეში რაღაცნაირად მფრთხალად კისკისებდნენ მხიარული ქალიშვილები და უგო, ახალგაზრდა გიჟი, ნაცრისფერი დონდლო თევზებით თვალში, ჩურჩულებდა: „სუყველას სისხლი... ყველასი, თოვლზე...“ ლამაზ-ქალაქელთა ცნობილი მრჩეველი, დუილიო კი ისევ დაეძებდა მოხდენილ გამოთქმებს ძალიან კარგი ქალის თაობაზე და ერთხელ, აუზთან, ასე წარმოთქვა: „მე სულაც არ მჯერა ადამისა და ევას შეთითხნილი ამბავი, მაგრამ უმწიკვლო ქალმა,

ყოველი შემთხვევისათვის, მაინც არ უნდა ჭამოს ვაშლი. რამდენი ხილია სხვა - ატამი, მსხალი, ქლიავი, მაგალითად, ალუჩა...". კონჩეტინას ქორწილი ახლოვდებოდა... დიდად ღელავდნენ ლამაზ-ქალაქში - ვის დაპატიჟებდნენ და რომელს - არა, რამდენიმე ღირსეულსა და შეძლებულ მოქალაქეს კი თავი ქუდში ჰქონდა - იგივ დუილიოს, მაგალითად. ასევე ღრმად იყო დარწმუნებული, ოღონდ დაუპატიჟებლობაში, თვითმარქვია მეკვლე, ალექსანდრო, მაგრამ მაინცდამაინც არც ედარდებოდა - „მთვრალებს რა უნდა გავაგებინო...". ქორწილის ზედ წინადღეს კი კონჩეტინამ აიხირა - „უუძვირფასესი შარვალ-ხალათი უნდა შევუკეროთ!" „პირველსავე ღამით მაინც გაეყრები და რად გინდა, შვილო", - არწმუნებდა თვალცრემლიანი მამიდა არიადნა, კონჩეტინამ კი: „გავეყრებიო? როგორ შეიძლება გაეყარო გულსა და სულს..." „რა ნახე, შვილო, მაინც რა ნახე ასეთი..." „უშუალოა იგი, - თქვა კონჩეტინამ, სარკეში დაძაბული იცქირებოდა, - ვაითუ, სხვა ქალი შეიყვაროს... ჩემზე ლამაზი!" ოთხი ცნობილი მკერავი დაეხვია იმავ საღამოს ფართო საწოლზე გაშხლართულ კუმეოს, ტან-ფეხის ზომას უღებდნენ საკუჭნაოდან ათასნაირი შემწვარ-მოხრაკულის სუნით ნერწყვმომდგარი თერძები. მთელ ლამაზ-ქალაქს აინტერესებდა, თავს გაართმევდნენ თუ არა ასეთ ძნელ სამუშაოს - უძვირფასესი შარვალ-ხალათის ერთ ღამეში შეკერვას, ხოლო მეორე დღეს, დიდი ქორწილის დღეს ყვავილებით, ძვირფასი ფინჯან-ლამბაქებით, ვერცხლეულით, ქსოვილებითა და მზა-ტანსაცმლით მისულმა სტუმრებმა დაასკვნეს - ვერ მოუსწრიათ... მაგრამ ცდებოდნენ - პირიქით, თერძებმა გათენებისთვის მოასწრეს ახალი სამოსის შეკერვა, საუბედუროდ, ვადამდე ხუთიოდ საათით ადრეც, რადგან გამოწყობილი კუმეო ამ დროის განმავლობაში ჯერ იყო და, უცაბედად ვაშლის ნამცხვარზე დაჯდა, მერე მუხლებზე უნებურად დაიქცია ვარდისფერი წყალი, პატარა, ხანში ცხარე საწებელაამოვლებულ „ქათმის წიხლიც" მკერდზე დაუვარდა, მერე კი ძვირფასი ხალათის კალთებზე შეიწმინდა ღორისქონიანი თითები, „უშუალოა - იძახდა გახარებული კონჩეტინა, - ტანსაცმელს არად აგდებს, სხვა კი, სხვა მაგის ადგილას, დაჰკანკალებოდა იქნება, ეგ კი - უშუალოა". მაგრამ უძვირფასეს შარვალ-ხალათთან დაკავშირებული ფათერაკები ამით არ დამთავრებულა - იგივ ხუთ საათში მეორე საუზმისას კუმეო თაფლიან ლამბაქს დაეყრდნო იდაყვით, ხოლო ამ წებოვანი ლაქის მოცილება ფქვილიანი თითებით სცადა. შემდგომ ძველი ჩვეულების თანახმად გულის ჯიბეში იტუცა მჟავე კიტრი და პამიდორი, რომლებიდანაც სითხემ გარეთ, ზედ გულზე მიბნეულ მიხაკთან გამოჟონა. დროდადრო ყოველივე ეს განელებული იყო წვრილ-წვრილი ფათერაკებით, როგორიცაა ორიოდ წვეთი მომწვანო და მოყვითალო წყალი, კირიან კედელზე გახახუნება, ვარდისფერი წყლით გაჭყეპილს, შარვლის ღილების შეკვრის დავიწყება და ასე. ასე რომ, თუმცა საზეიმო სუფრასთან

შეკრებილ ლამაზ-ქალაქელებს ეგონათ, რომ თერძებმა თავი ვერ გაართვეს, საქმეს, სინამდვილეში კუმეო ახალ, უძვირფასეს შარვალ-ხალათში გამოწყობილი იჯდა, ამბობდა: „მადლობა, მადლობა, დიდი მადლობა“, და საჩუქრებს დიდი ჭაღის ქვეშ, სინათლეზე ათვალიერებდა.

სუფრის ხელმძღვანელად შვილიანი ახალგაზრდა კაცის არჩევა სიმბოლურად განიზრახეს - ვინსენტესი, ხოლო საპატიო ხელმძღვანელად დარბაისელი სენიორ ჯულიო დაასახელეს, რომელსაც ვინსენტეს ნათქვამი სადღეგრძელო პირველს უნდა გაემეორებინა - ასეთი იყო წესი, სულ ბოლოს კი ჭიქა უნდა აეწია დუილიოს - დამაგვირგვინებელს, - ვერ დააგვირგვინებდა, თუ რა. აჰ, რა არ გახლდათ - კალაბრიული ხბო და გოჭები, ძროხა და ცხვარი, ათასნაირად დამზადებული, შემწვარ-მოშუშულ-მოხარშული, მრავალგვარი საწებლით, ღვინო და შუშხუნა, ნაირ-ნაირი ფერადი წყალი, და რა ნამცხვრები - ოთხი სახელოებდაკაპიწებული, ამ საქმეში სახელგანთქმული დედაკაცის ხელით მოზელილ-ათქვეფილი, შემკულ-შელამაზებული, ზედ კრემით გამოყვანილი კონჩენტინასა და მისი გულის ჭაბუკის პროფილით. „ბატონებო და ქალბატონებო, ეს გაუმარჯოს...“ - ამბობდა ვინსენტე. პირველი სადდეგრძელო - ახალგაბედნიერებულთა - საყელოშებნეულმა, სუფრის ხელმძღვანელმა თანაბარი რიხითა და მოწიწებით შესვა, და საპატიო ხელმძღვანელთან დიდ სასმისს ამ სიტყვებით გადავიდა: „უმორჩილესად გთხოვთ, მიირთვათ თქვენ, ჩვენო უპატივისმცემლესო, დარბაისელო სენიორ ჯულიო“. სულყველამ შესვა, რაღა თქმა უნდა, დუილიომაც, როგორიც იყო, დააგვირგვინა. მეორე სასმისით მარადუბერებელი ქალბატონის სადღეგრძელო ასწიეს, და თვალცრემლიანს, მაინც ძალიან ესიამოვნა იმდენი ქება, ხოლო ვინსენტემ ასე მიმართა საპატიო ხელმძღვანელს: „უმორჩილესად გთხოვთ, თქვენ, ჩვენი პატივცემულო სენიორ ჯულიო.“ სახეალეწილი კონჩეტინა ბედნიერად უღიმოდა ყველას, და შეყვარებულ მზერას დროდადრო გულის ჭაბუკისაკენ გააპარებდა ხოლმე, რომელიც თავის მხრივ ღიმილსა და თავის ქნევაში არ ჰკარგავდა დროს - ჭამდა. მხიარულობდა ტულიო, ოხუნჯობდა, მთელ სუფრას აცინებდა. დაღონებული იღეჭებოდა ედმონდო, ბოლოკზე მზერამიწებებული. ნაზად წიწკნიდნენ ვარიებს მხიარული ქალიშვილები, სილვიას გვერდით მოკალათებული ცილიო როზინასაკენ (აი, იმისკენ, ჭალაში რომ იყო) აპარებდა თვალს, სტუმრებს ათვალიერებდა მგზავრი, დომენიკო. დუილიო კი, ჰქუხდა... ახლადგაბედნიერებულთ დროდადრო ამ შუა იანვარში დანასისხლად ნაშოვნ ვარდებსა და მიხაკებს აყრიდნენ თავზე. მაგრამ კონჩეტინამ შეშინებულმა წამოიძახა: „ვარდები მხოლოდ მე დამაყარეთ, ამას - მიხაკები!“ „რატომ, კონჩეტინა...“ - შეკრთა მამიდა არიადნა. „იმიტომ, რომ ვარდი - ეკლიანია, და სახე რომ არ გაეკაწროს!“ კონჩეტინას არწმუნებდნენ, რომ არ

შეიძლებოდა ეს, რომ ასეთი იყო წესი, რომ „შეუძლებელია“, რომ „კუს ჯავშანს რას დააკლებს პაწია ეკალი“, მაგრამ კონჩეტინამ მაინც თავისი გაიტანა, კუმეომ კი არეულობით ისარგებლა და ხბოს ხორცი გაიქანა უბეში. მესამე სადღეგრძელოს შემდეგ ვინსენტეს წინადადებაში სიტყვა „უმორჩილესად“ შეიცვალა სიტყვით „ძალიან“ - „ძალიან გთხოვთ, თქვენ, ჩვენო პატივცემულო სენიორ ჯულიო...“ მეოთხე მიმართვაში ამოვარდა სიტყვა „სენიორ“ - „გთხოვთ, თქვენ, ჩვენო პატივცემულო ჯულიო...“ მეხუთე სადღეგრძელო ტულიოს სიმღერამ „ნეტავი ჩიტად მაქცია“-მ დაამშვენა, მეშვიდე სადღეგრძელოს წარმოთქმისთანავე სკამზე იცეკვა თვალებამღვრეულმა ანტონიომ, კბილებში დანაგაჩრილმა, ვინსენტე კი მერვედ ასე გადავიდა სასმისს - „გთხოვთ, თქვენ, ჩემო ჯულიო...“ მეცხრე საღღეგრძელოში დიდის მოწიწებით მოიხსენიეს კარრასკოთა მთელს სახელგანთქმულ გვარში გარდაცვლილთა ხსოვნა, მაგრამ დააყოლეს შეუფერებელი სიმღერა: „გოგო მიდის მოხვეულში...“ საყელოგაღეღილმა ვინსენტემ მეათედ ასე იყვირა: „ააბა, ჯულიო, თქვენ ჩემო...“ მეთერთმეტე - „ჯულიო, შენ ჩემო...“ მეთორმეტეზედ კი პერანგი ჭიპამდე ჩაიხსნა და, სასმისი დიდის წვალებით რომ გამოცალა, საპატიო ხელმძღვანელისაკენ ისროლა, კინაღამ თავში მოახვედრა დიდი ფიალა და შეუძახა: - ვოეე, ჯულიო! შე ჩემა!! - მერე კი ვინმე გრაციაზა მატირელის ძალიან უბწკინა.

სუფრა აირია. იქვე, მაგიდაზე ეძინა კბილებში დანაგაჩრილ ანტონიოს, ედმონდო კი ყურში ჩასჩურჩულებდა - ვიამხანაგოთ, მოდი, ვიამხანაგოთ, რა... ერთმანეთს ჰკოცნიდნენ აბარბაცებული მამაკაცები, ყველა მღეროდა თითქმის, ვისაც როგორ შეეძლო და გალიის კედლებს აწყდებოდნენ მამიდა არიადნას დამფრთხალი იადონები. კუმეომ პატარძლის დიდი კალათა მოატანინა, ხარბად მოათვალიერა სუფრა... ცილიომ დრო იხელთა და როზინას [(აი, იმას, ჭალაში რომ იყო). არ გავუჭირეთ საქმე ამ ერთი ჭალაში ყოფნით?!] წასჩურჩულა - „რატომ აყოვნებ, აი, ხომ ხედავ, იანვარიც დადგა, ჟამთასვლის ყველაზე ცივი დრო...“ ვიღაცა ცუდად გახდა, სასწრაფოდ გაიყვანეს, უშუალო კუმეო კი ელვისებურად ალაგებდა საუკეთესო ნაჭრებს კალათში, ქალთაშუა დაბორიალებდა ვინსენტე, რომელიღაც ქედმაღალმა სილაც გაულაწუნა, მაგრამ ვინსენტე ვერაფერს მიხვდა, დაილოცა და საწებელა მიიყუდა პირზე, მერე ტუჩები ცოტათი შეეჭვებულმა მოიწმინდა და მძინარე ცოლისძმის - ანტონიოს თმაზე შეიხოცა თითები - აჰ, დიდებული ქორწილი იყო, და, მასპინძელთა სასახელოდ, სუყველა დათვრა! დუილიოც კი ვეღარ აბამდა ურთულეს წინადადებებს თავს, მხოლოდ იძახდა: „წყაროდან ჭიქას... ჭიქას... დაამტვრიეთ, მაგის ოხერი...“ ვიღაც სულწასული დაუპატიჟებლად შემოეხეტა და იკითხა: „ბოდიში, ხომ არ იცით რომელი საათია? უხ, ქორწილი ყოფილა? წავალ, წავალ...“ „აჰ, არა, არა, დაბრძანდით, დაბრძანდით, სად იყავით აქამდე...“ „ჯარიმა მაგას!“ - ქუხდა ვინსენტე.

„იცი, რა კარგი ამბავი მოგიყვე? თურმე ერთმა... - ეჩურჩულებოდა მძინარე ანტონიოს გამოცოცხლებული ედმონდო, - ხოლო იგი სულ გადაიკარგა გაიგე? ხედავ? წარმოგიდგენია?“ ვიღაცა მთვრალმა დომენიკოს ქონიანი ტუჩებით ყელზე აკოცა და მერე მდიდრულ, ძველებურ, უზარმაზარ კარადაში შევიდა - კარები აერია და, შარვლის ღილებზე ხელებწატანებული, დროით გამოათრიეს. ხოლო როცა რომელიღაც პატივცემულ ლამაზ-ქალაქელს მარადუბერებელმა ქალბატონმა ჰკითხა: „არაფერი გადაგიღიათ... მშიერი დარჩით არა?“ - იმან ზეზრდილობიანი აღშფოთებით პასუხის გაცემა სცადა, რაც სიტყვებით ასე გამოიხატა: „როგორ გეკადრებათ, ჰიკ!.. როგორ არ გადავიღე, რას მიჰქარავთ, ქალბატონო...“ ბევრმა თვალებგაელამებულმა ლამაზ-ქალაქელმა გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ კუმეოს ტყუპის ცალი ჰყოლია, და, ჰოი, სიმთვრალის დუნე საკვირველებავ - ყველას ჰყოლია თურმე ტყუპისცალი - მერე რა, დიდი ამბავი... და როცა ახალგაბედნიერებულთა განმარტოების ჟამმაც მოაღწია - „საღამოს თერთმეტი საათია და...“ - უბედნიერესი კონჩეტინა გულის ჭაბუკის მარცხენა მკლავს დაეყრდნო, მეორე ხელით კი ნეფეს საწოლ ოთახში ხორაგით სავსე კალათა მიჰქონდა. და როცა კარი მიიხურა, მამიდა არიადნამ თავში ფრთხილად შემოირტყა ხელი და წარმოთქვა: - ჰოიი, განგებავ! ეს უპირუტყვესთაგანი - თვით დიდი ბენჯამინო კარრასკოს სარეცელზე!!

ქორწილი დამთავრდა.

* * *

იმავე ღამით დომენიკო ტერეზას სახლთან მიბარბაცდა, დიდხანს აბრახუნა, მაგრამ ქალმა მაინც არ გაუღო კარი. მთვრალმა, არტუროს სახლისკენ ქანაობით გასწია, დღისით - ბევრი არაფერი ახსოვდა, მხოლოდ ცოტათი სტკიოდა მხარი. გაბრუებულმა, წყალი შეისხა პირზე, გააჟრჟოლა. „მამილომა, რამე თუ მოუნდეს, უკვე დუქანში ვაარო“, - გადასცა ჯანჯაკომომ. ჩამწვარ ყელს ისე მოუნდა შუშხუნა, სურვილისაგან დაბურძგლა კიდეც. მაშინვე მხრებზე მოიგდო ლურჯი მოსასხამი, ტულიოსკენ გაემართა, ის კი გზად შეხვდა, „კარგია, არა, ახლა შუშხუნა? - ჰკითხა ტულიომ, - ფული რომ არ მაქვს“. „მე მაქვს, წამოდი...“ „ოოო, ოო - ხელები მოიფშვნიტა ტულიომ, - წავიდეთ, ჩქარა...“ ამ ზამთრის დილით, დილაადრიან, სუსხიანი ქარი დაეხეტებოდა ლამაზ-ქალაქის დაკლაკნილ ქუჩებში; თვალმოჭუტულნი, გამალებით მიაბიჯებდნენ არტუროს დუქნისაკენ, მაგრამ უეცრად წინ ვიღაც გადაუხტათ:

- გამარჯობათ, ადამიანნო...

თავი ასწიეს - ალექსანდრო გახლდათ. „იჰ“, - ხელი ჩაიქნია ტულიომ და აუარა, მაგრამ ალექსანდრომ მაშინვე დაადევნა:

- ამ ქუჩის ბოლოს სამი კამორელი დგას.

- ვინ? - მყისვე შედგა ტულიო და დომენიკოსაც ხელი სტაცა.

- კამორელებია. ერთი - მასიმო, ორი კიდევ სხვა.

- ფუი, მაგათი... - ძალიან ხმადაბლა, ფრთხილად ჩაილაპარაკა ტულიომ, - სად მივეფაროთ.

- აგერ, აქ დავდგეთ, ადამიანებო, - ურჩია ალექსანდრომ - ათიოდ წუთში სერვილიო შეგროვილ ფულს მიურბენინებს და წავლენ.

- როგორ გავიგოთ... რა დროს ეგენი იყვნენ!

- რა იყო, გეჩქარებოდა სადმე?

- შუშხუნა უნდა დაგველია.

- ნუ გეშინია, მაგასაც მოესწრები. იმათ წასვლასაც მაშინვე გავიგებთ - ლანდოთი არიან.

- ჰო, მართლა, - გაუხარდა ტულიოს, - თუ აქვე დგანან, ლანდოს ხმას მაშინვე გავიგებთ.

- ჰოოდა, იდექი... იცი, ტულიო, რაა საჭირო? - პირდაპირ საქმეზე გადავიდა ალექსანდრო, - თუ გინდა, ვინმე ძნელ პიროვნებასთან რაიმეს მივაღწიოთ, მესამე კაცია საჭირო.

- ვინ მესამე...

- აამ შემთხვევაში - შენ.

ტულიომ ალმაცერად ახედა.

- ჰო, ჰო, რას მიყურებ, მესამე კაცია საჭირო. შენ და ეს ბიჭი, ასე თუ ისე, ძალიან საშიშარნი არ ხართ და მესამე კაცად კი იმიტომა ხარ საჭირო, ვინმე ბნელ პიროვნებას შენი მეშვეობით ის დიდი ამბავი რომ ვუამბო. თქვენ კი ყური უნდა დამიგდოთ, იმასთან ერთად - არც თქვენ არ გაწყენთ.

- მომეშვით ერთი, თუ კაცი ხარ... ფუჰ, როგორ ცივა.

- ყურს თუ არ დამიგდებ, ისეთ ყვირილს გავაბამ, ისეთს, სამივე აქ გაჩნდება, - დაემუქრა ალექსანდრო, - ახლა ხომ მაინც გამოგიჭირე. ჰოოდა, მაშინ, რომელიმე ძნელი პიროვნება დამისახელე.

- რინალდო გამოგადგება?

- დიახ.

- რინალდო!

- კი, ბატონო, რინალდო იყოს - მაგაზე კარგს, ესე იგი - ოხერს, სხვას ვის მეტყოდი, ნამდვილად დასალაპარაკებელია, გაფუჭებულ-გათახსირებული. ახლა, ალბათ, ისიც ჩვენსავითია გატრუნული სადმე, მაგრამ მერე, ლანდო რომ წავა, ოჰოჰო, როგორ გაიბღინძება?! ოხერი კია, დიდი ოხერი... ჰოდა, ვცხოვრობთ მე და რინალდო ერთდროულად, ამ მრავლისმომსწრე დედამიწის ზურგზე და, რამდენიც არ უნდა ვეჩიჩინო, ის მაინც ისეთი იქნება, როგორიც არის - ქაღალდის მოთამაშე, ქალების მუსუსი, ორპირა და გაიძვერა, თანაც გაბღენძილი. როგორც არ უნდა ვექაქანო, ჩემს დარიგებას ერთ ყურში შეუშვებს და მეორეში გამოუშვებს - წავა, ითამაშებს, ან მოიგებს, ან წააგებს, უფრო, რა თქმა უნდა, მოიგებს - გაქნილია, ოხერი და ჰერიი! გაისეირნ-გამოისერნებს გლახა ქალებში. ახლა, ვთქვათ შევხვდი მე რინალდოს და ვეუბნები, როგორც წესი და რიგია: გამარჯობა, რინალდო. იგი დამცინავად ამათვალიერებს და მეტყვის - ო, ბატონ ალექსანდრო ბიძიას სალამი და გამარჯვება, ქეიფში როგორ ბრძანდებით? მე ცოტათი ნაწყენ სახეს მივიღებ და ვეტყვი: გაჩერდი, რინალდო, ხომ იცი, რომ არა ვსვამ... ოჰ! - გაიცინებს იგი - პატარა დალიე, არაფერი გიჭირს, ქვეყანა სვამს და შენ რა დაგემართა, ცოტა სასმელი მარგებელია. წარმოგიდგენიათ, ტულიო და ეე... დომენიკო? აქეთ დამიწყებს ჭკუის დარიგებას. ნუ, მოვიყრუებ და ვეტყვი - მოოდი, რინალდო, ბაღში შევიდეთ, ვილაპარაკოთ, ვისაუბროთ, წავიბაასოთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვიჭუკჭუკოთ, წამოდი რაა?! - შევეხვეწები. იგი კი მეტყვის: - ოჰ, ალექსანდრო ბიძია, რომ არა მცალია? ქალს უნდა შევხვდე და ქალაქში გავასეირნო, რომ არ მივიდე, ქვეყანას დააქცევს ტირილით... წამოდი, წაამოდი, რინალდო, დავუჩემებ მე, შენ ისეთი ყაიდის ადამიანი ხარ, დღისით ქალს ქუჩაში არ გაასეირნებ, ღამე რომ იყოს და ბნელ ოთახში შეიყვანო, იცოცხლე, დაგიჯერებ, მაგრამ ახლა... წამოდი, რინალდო, წაამოდი... არ მოგბეზრდა ამდენი ფულზე თამაში? გაეთრიე აქედან შე ვირო ვირიშვილო, - მომიგებს ამაზე გაცხარებული იგი, - ჩქარა გამეცალე, მინამ ლამაზი ხარ... და თვითონვე წავა. მე კი ადგილზე მყარად დავრჩები და მივაძახებ - ნუ მიდიხარ, ნუ-უ, რინალდო, რად

გინდა სხვისი ფული... რინალდო მომიყრუებს, ძალიან გაბრაზდება და მერე მაინც ღიმილით გაიფიქრებს - თქვა რა - ფული ყველა სხვისია... და თვალს მიეფარება. ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, ამ ბრუნდე და გამოუსწორებელ ქვეყანაზე ჯერ არ გამოუგონიათ ისეთი ფული, რომელიც ვინმესი იყოს. და, მითუმეტეს გათამაშებული: მოიგებ - სხვისია, წააგებ და - ხომ სხვისია და სხვისი. და, საერთოდაც, ქვეყნად არსებულ ხელშესახები ნივთებიდან ძალიან ცოტა, შეიძლება ითქვას სუულ არაფერია ისეთი რამ, ვინმესი იყოს... მაგრამ ძალიან ცოტამ ვიცით ეს. დიდი ბოდიში, რომ გადავუხვიე, ახლა კი, ტულიო ჩემო, ვთქვათ, სწორედ შენა ხარ ზემოაღნიშნული მესამე. დიდხანს ვიფიქრე და დავასკვენი, რომ მესამე კაცი აუცილებელია. შენ ახალგაზრდა ხარ, ლამაზი, მოქნილი, წარმოსადეგი, ადამიანმა რომ შეგხედოს, - გაუხარდება, სუფრაზე კოხტა სიმღერა იცი, სიტყვა გიჭრის, ფულიც გაქვს ჯერჯერობით და ყოველივე ამ სისულელეების გამო ლამაზ-ქალაქში დიდად გაფასებენ. შენ ახლოსა ხარ რინალდოსთან, ყური დამიგდე - მიხვალ იმასთან და ეტყვი: წამოდი, რინალდო, დიდ ბაღში შემწვარი წაბლი ვჭამოთ. სწორედ აგრე უთხარ, მარტივი დაკვირვების შედეგად მე შევამჩნიე, რომ რინალდოს უყვარს შემწვარი წაბლი. იგი წამოგყვება, ბაღში გრძელ მერხზე დასხდებით, მუხლს გაშლით, სუფთა ჰაერით ისუნთქებთ, შემწვარ წაბლს მიირთმევთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, კარგ ხასიათზე დადგებით, სწორედ ამ დროს გამოვჩნდები მე - ვიიითომ სულ სხვაგან მივდივარ, შენ კი, თითქოსდა უნებურად, თვალს მომკრავ და დამიძახებ, მე თქვენსკენ წამოვალ, რინალდო კი გეტყვის - გადააგდე აქედან, მაგისი ოხერი... შენ მსწრაფლ მიუგე - რა მოხდა, მოვიდეს, ნუ გაუწყრები, თავისი გაჭირვებაც ეყოფა... სხვათა შორის, ეგ გამოთქმა ძალიან ურბილებს ადამიანს გულს - „თავისი გაჭირვება ეყოფა...“ მე მოვალ, თავაზიანად მოგესალმებით, როგორც წესი და რიგია, მერე კი შენ მკითხე: რას გვეტყვი ახალს? მე იქვე მოგიგებ - ახალი არაფერი ვიცი, თუ გინდა, ძველს გეტყვი... მიდი აბა, გისმენთ, დასცხე, მითხარი შენ და მაშინვე დავიწყებ... თუ გინდა დროდადრო თვალიც ჩაუკარი, ასე ინტერესი უფრო გაუღვივდება. შევთანხმდით, ტულიო? ა, მესამე კაცო...

- თავი გამანებე ერთი...

- ჩვენში ესე? - გული დასწყდა ალექსანდროს.

- „ჩვენში“ რა - რომელი ძმაკაცები ვართ მე და შენ.

- ძმაკაცებზე მეტი არა ვართ? - ადამიანები ვართ... ეეჰ, ტულიო, ტულიო, - თავის კანტურს მოჰყვა ალექსანდრო, - ოღონდ ეს საქმე გამიკეთე და აი, ამას გაჩუქებ.

- ოოჰ, ვისია? - აღელდა ტულიო.

- ჩემია, ვისი იქნება.

საოცრად ლამაზი სათამაშო გახლდათ - მინის მომცრო ბურთში პაწია ირემი, შველი და სამი ნაძვი იდგა. ბურთს თუ შეარხევდი, ფსკერზე დალექილი თეთრი ნამცეცები ზემოთ აიჭრებოდნენ, მერე კი ძალიან ნელა ეშვებოდნენ დაბლა და ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ლამაზად თოვდა.

- ზაფხულში მეტი ფასი ექნება - შეაგულიანა ალექსანდრომ, - აჰა, აიღე, ვინმეს აჩუქებ. რინალდოსთან ხომ მალაპარაკებ...

- კი.

- ეჰ, - მოულოდნელად მოიწყინა ალექსანდრომ, - შენისთანა მესამე რა ვთქვი, მაგრამ რა გზა მაქვს... ისე კი, ნამდვილად არასწორი გამოთქმაა, რომ მითხარი ვინაა შენი ამხანაგიო და...

სანამ ტულიო ნათქვამს გაიაზრებდა, ალექსანდრომ თქვა:

- აიი, ის რომ აქ იყოს, ჩემი უფროსი ძმა, ო... იმისთანა მესამე საერთოდ არ დაბადებულა. მე რომ ასეთი დადებითი ვარ, მერე სად - თქვეენში, სულ იმის დამსახურებაა. მე არაფერ შუაში ვარ. ისე კი, ერთი სული მაქვს, ახლავე გიამბოთ ის ამბავი, მაგრამ მერე ჯობს, რინალდოსთან ერთად რომ ვიქნები... უნდა მოვითმინო, რა ვქნა - მოთმინება წარმატების დედააო და... ეს თუმცა საკმაოდ ბრიყვული გამონათქვამია, მაგრამ მაინც ასეა... ხანდახან. ოჰ, დომენიკო, - და თეთრი ძაფი ააცალა მხრიდან, - ვიღაც თოვლისფერი გოგო დაგდევს, ფრთილად იყავი, ბი-ჭი-კო...

* * *

კალაბრიელ გლეხს დიდი ტომარა გაედო მხარზე და მძიმედ მიაბიჯებდა. ხუთიოდე წლის ბიჭი მისდევდა, შვილი თუ შვილიშვილი. თავისთვის მიდიოდნენ, მაგრამ ქუჩის თავში სამი კაცი ატუზულიყო. ცოტათი ნასვამები იყვნენ, ორ დაბალ კაცს უფრო დასტყობოდა სასმელი, მესამე კი, საოცრად ლამაზი, ახალგაზრდა კაცი, ფეხზე მყარად იდგა. კალაბრიელი გლეხი შეჩერდა, მაგრამ ისინი მაშინვე ფეხაკრეფით წამოვიდნენ მისკენ. სოფლელს რომ გაუსწორდნენ, ერთ-ერთი დაბალი ტომარას სწვდა და შეაჯანჯღარა. გაკვირვებული სოფლელი უცნობს შესცქეროდა. იმან კი აიღო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაარტყა. სოფლელი დაბარბაცდა, შემკრთალმა ბავშვს მოხვია ხელი, გაცლა დააპირა, მაგრამ მეორე დაბალმა სოფლელი გააჩერა და მრისხანედ შეაცქერდა პირველს:

- რა გინდოდა, რას ერჩოდი, მიდის კაცი თავისთვის, თავის გზაზე...

სოფლელი მადლიერი სახით შესცქეროდა.

- ასეთი მძიმე ტვირთი მიაქვს და... ტომარაში რა გაქვს? ბამბა? სხვა არაფერი?.. ჰოდა, რას ერჩოდი, მიდის კაცი თავის გზაზე და შენ რაღაც ორი ჭიქა დალიე და ვერ მოგინელებია. იცნობ, გიცნობს, თუ რა? მაინც რა დაგიშავა, ასე უმიზეზოდ, რომ... - და უცებ მოლაპარაკე მკვეთრად შეტრიალდა, ხელი ღონივრად გააქნია და სოფლელს გაარტყა. დარტყმა ძალიან მოულოდნელი და ძლიერი აღმოჩნდა. სოფლელმა თავი მიანარცხა კედელს და იქვე ჩაიკეცა. ბავშვი ღრიალით გადაემხო, საბრალობლად ტიროდა და დროდადრო ამოხედავდა სამთავეს. ლამაზი ახალგაზრდა კი გაფითრდა, ცხვირსახოცი წყალს შეუშვირა და სახე დაუზილა სოფლელს. თვალი გაახელინა თუ არა, ახალგაზრდა დამშვიდდა, სული მოითქვა, მერე მეორე დაბალ კაცთან მივიდა და საყელოში ისე მაგრად ჩასჭიდა თითები, ღილები დააწყვიტა.

- ნაგავო! - უთხრა ახალგაზრდამ და საოცრად მოუხდა, ძალიან რომ გაფითრდა, - ყველაფერის ნება გაქვს, იცოდე, ყველაფრის, მაგრამ ადამიანს რომ შვილი ახლავს, ისიც მცირეწლოვანი, მართლა მხეცი უნდა იყო, ასე მუხანათურად რომ გაარტყა. თანაც უმიზეზოდ...

სოფლელი კედელს მიჰყრდნობოდა და თვალებს თუმცა უაზროდ ახამხამებდა, მაინც შეეტყო, ახალგაზრდის ნათქვამი რომ ესიამოვნა.

- ის კაცი შევარცხვინე, ვინც თქვენთან ერთად კიდევ დალიოს, თქვე... - და, საჭირო სიტყვა რომ ვეღარ მოძებნა, დაიხარა, გაცრეცილი, ღარიბული ქუდი აიღო და თავზე დაადო სოფლელს.

- ეჰ, ბიძაჩემო, ეს თითისტოლა ბავშვი ამოდენა გზაზე რატომ წამოიყვანე...

- ცოლი ავად მყავს... ვერავის დავუტოვე... კვდება... - ძლივს თქვა სოფლელმა.

- რას ამბობ, კაცო... და ნუთუ ვერავის დაუტოვე? არავინა გყავს? და ამ ქალაქში რაღა გინდოდა, ხომ იცი, აქეთ რა ხალხია - ათასი ოხერი... ყველაფერს უნდა მოელოდე ადამიანი ქალაქელების ხელში...

და უცებ იმანაც გაარტყა.

სოფლელი გულაღმა გადავარდა, დაბლებმა ტაში შემოჰკრეს და წაქცეულს ინტერესით რომ დააჩერდნენ, ახალგაზრდა კაცმა ისარგებლა და თითებიდან

შეუმჩნევლად ჩაიძრო ნახვრეტებიანი რკინა. სოფლელს ლოყა გაპობილი ჰქონდა, სისხლი სდიოდა.

- მართლა რა მაგარი ხელი გქონია, ძმაო, - თქვა მეორე დაბალმა.

- რა, აქამდე არ იცოდი? - ხმამაღლა ჰკითხა პირველმა, - ჩემ მტერს მოხვდა ამისი ხელი.

ახალგაზრდა თავშეკავებულად იღიმებოდა. მერე სამივე წავიდა, ისევ ქუჩის თავში დადგნენ.

პატარა ბიჭმა ქუდი წყლით აავსო და მამას სახეზე დაასხა. სოფლელმა ძლივს გაახილა თვალი. გაჭირვებით წამოჯდა, ხელისგული მიიდო ლოყაზე და თვალდახუჭული აკვნესდა. პატარა ბიჭმა ისევ მიუტანა წყალი, ჩუმად ზლუქუნებდა და მხრები უძიგძიგებდა. სოფლელი კარგა ხნის შემდეგ რის ვაივაგლახით წამოდგა და გაბრუებულმა, დასისხლიანებულმა განაგრძო გზა, მხრებზე ისევ დიდი ტომარა ედო. პატარა ბიჭი ერთიანად კანკალებდა და დროდადრო შიშით იხედებოდა.

ლამაზ, მაღალ ახალგაზრდა კაცს მასიმო ერქვა.

კამორელები იყვნენ.

- ისე კი, ამ სათამაშოს მერე მიიღებ, - გადაიფიქრა ალექსანდრომ, - ჯერ რინალდოს დამალაპარაკე და...

- რა, არა გჯერა ჩემი?

- რა თქმა უნდა - არა. მერე კი აუცილებლად მიიღებ...

- კი მაგრამ, ამ შუა ზამთარში ბაღში რა დამსვამს...

- ახლა გაგახსენდა, არა, სათამაშო რომ გამოგართვი... თბილი დღე შევარჩიოთ, ახლავე დავთქვათ - პირველსავე თბილ დღეს, ზუსტად ორ საათზე, ბაღთან... მოვიდე?

- კარგი, - თქვა ტულიომ და ყურები დაცქვიტა. - აი, მიდიან!

სადღაც აგრუხუნდა ლანდო, მერე კი თანდათან მიწყდა.

- ძლივს არ წავიდნენ? აიი, ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი - სულ გადამეწვა ყელი. წამო, დომენიკო... ოჰ, სერვილიო, რა ქენი, გაისტუმრე?

- კი.

- ისევ ხომ არ მობრუნდებიან?..

- არა, ჯერ არა - გაზაფხულამდე.

- მართლა? თუმცა რაღა დარჩა... წამო, სერვილიო, შუშხუნაზე დაგვეწვიე.

- სიამოვნებით... თქვენი სამი დრაჰკანი არტურომ გადაიხადა.

- ჩემი? - გაოცდა დომენიკო.

- დიახ.

- ჩემი... - მე რატომ... რა შუაში ვარ... არა, ფული კი არ მენანება, მაგრამ... რაღაც შეცდომაა.

- აჰ, ჯერ არ იცის?

- არა, არ იცის, დუქანში ავუხსნათ... წავიდეთ, მოვკვდი... - თქვა ტულიომ და აფორიაქდა - რაღას ვუდგევართ, წავედით, რაღა...

ხანდახან თოვდა ლამაზ-ქალაქში, და ფარნის შუქზე აკვესებულ ფიფქებს დაუდევრად ათვალიერებდა დომენიკო. დაფიქრებული, ამ უცხო სახლში, უცხო ქალაქში ფანჯარასთან იდგა... მკრთალად ბჟუტავდა ვიწრო ფანჯრები, საკვამურიდან ცისკენ ხრჩოლავდა, საღამოობით მსუბუქდებოდა ცისფერი ბოლი... საღამოობით, დიდი ბუხრის წინ იჯდა, ცეცხლისკენ გადახრილი, და ცეცხლმოდებულ, სიმხურვალით გაჟრიალებულ ტოტს შესცქეროდა, და ნაკვერჩხლებიც დროდადრო იშმუშნებოდნენ ალში. ამ გრძელ, გაჭიმულ საღამოობით რაღაც უნდოდა, რაღაცა სურდა, იმ ტერეზაზე ვრცელი და მეტი... და არ იცოდა რა. ფარნის მკრთალ შუქზე იმ ბუნდოვანი სურვილის გამო ერთხელ დოქი გადააადგილა, თავდაყირა დადგა ჭიქა, წყალი დაღვარა თეთრ სუფრაზე, უღიმღამო ნაცრისფერი ლაქა, მაგრამ ისიც კი, ისიც, რაღაცას ჰგავდა... დილდილაობით ნათელი იდგა. ნორჩ ჯანჯაკომოს ამოჰქონდა შეშა, ხმელი ტოტებით ცეცხლს აჩაღებდა, სითბო დატრიალდებოდა ოთახში, ცეცხლზე ტანსაცმელს უთბობდა ჯანჯაკომო, ცოტათი რცხვენოდა, დომენიკოსაც რცხვენოდა ცოტა, მაგრამ ლოგინში ჩამთბარ ბეჭებზე იმ გაყინულ ხალათს რა ჩააცმევდა... ხანდახან ქალაქგარეთ, მდინარისპირა ჭალაში ქურდულად მიიპარებოდა, მომცრო ნიჩბით ხელში, და დრაჰკანებით ივსებდა ჯიბეს. ქორწილსა თუ დღეობაში ბუნდოვან სიამაყეს გრძნობდა - საჩუქრად მუდამ ჰქონდა დრაჰკანი. სასურველი სტუმარი იყო, ოჯახში შესულს, თავაზიანად უღიმოდნენ, ტულიო

ყველგან დაატარებდა. მაგრამ რაღაცის მძაფრი სურვილი, დროდადრო ამაფორიაქებელი, დაობებული, ზედაპირის მოშორებას ცდილობდა და ზამთრის გრძელ, ბნელ საღამოობით უფრო აწვალებდა. რაღაცას ჰგავდა - თიხისგან ცხვრისა თუ ცხენის გამოძერწვას, რადაც უცხო ხმებს, თუ არ მსგავს სიტყვას, მღვრიე დინებას, რაღაცას ჰგავდა... და იმ მხიარულ ღვინის სმაშიაც მოწყენილი იჯდა, რაღაც უცხოდ გარიყული, გრილი სიმარტოვის დამღით, და კიდევ კარგი, ტერეზა ჰყავდა. ასე, სამიოდ დღეში ერთხელ, ისე ღონივრად, ისე ძლიერად ბრდღვიალებდა სუსტი ფარანი. იმ მაღალ კიბეს აივლიდა, „მოდი, ცილიო, მოდი, - ამბობდა ქალი. სარკის წინ ივარცხნიდა გრძელ, ჩანჩქერივით თმას, - ოღონდ ჯერ სარკმლის ფარანი ჩააქრე, ი ბიჭიც არ მოვიდეს, სოფლელი დომენიკო...“ ელდანაცემი, ღია კართან შეჩერდებოდა და გაოგნებული შესცქეროდა ზურგშექცეულ ქალს, „წუხელ ისევ სილვიასთან დაგინახე, რანაირი ხარ, ცილიო, იცი? აკი მხოლოდ შენო, რად არა მკოცნი..“ გაშტერებული დომენიკო ყურს არ უჯერებდა. „სილვიას თავს თუ არ დაანებებ, აღარ მოგიშვებ, იცოდე, მართლა; ჰო, მართლა, სადღაც კუთხეში შუშხუნები დგას, სოფლელმა მომართვა, გახსენი ერთი... - და არც გამოიხედავდა, ისე დააყოლებდა, - გახსენი, ჰო, ჰო, გახსენი, შენ გეუბნებიან, შტერო, დომენიკო...“ - და შემობრუნდებოდა, სკამზე ერთს კი შეიფრთხიალებდა, სწრაფი, მსუბუქი ნაბიჯით მიაფრინდებოდა, კისერზე ჩამოეკიდებოდა, აკოცებდა და თან კისკისებდა: „ხომ გაგაგიჟე, ბიჭო, დომენიკო...“ ჯერ კიდევ გაოგნებულს, თვალებში ჰკოცნიდა, ქუდს გადაუგდებდა თავიდან, რბილ თმას უწეწდა - „სულელი, შტერი...“ და საბოლოოდ მიმხვდარი დომენიკო გაღიმებულ ქალს, იმ საოცარი ღიმილისას, მხოლოდ ცალ ლოყაზე რომ უჩნდებოდა პაწია ფოსო, უბედნიერესი საყვედურით მიაჩერდებოდა, - ქალი, ტერეზა, თვალთმაქცი გახლდათ.

„ღა-მის ორი საათია და...“

ჩვილი ბავშვები ნაშუადღევს სასეირნოდ გამოჰყავდათ, სეირნობდა უგოც, ხის მოკლე დანით ხელში, ისევ მზერაამღვრეული, აბუტბუტებული, თბილ დღეს უცდიდა ტულიო და წამდაუწუმ ის მშვენიერი სათამაშო ახსენდებოდა, ხოლო კარრასკოების ოჯახში მისული სტუმრები კუმეოს რომ მოიკითხავდნენ, მამიდა არიადნა ამბობდა: „ისვენებს, ისვენებს, ახლავე გამოვა...“ ლოყებზე ხელისგულებმიხუტებული კონჩეტინა კი ყავისფერ ოცნებებში წასულ მხიარულ ქალიშვილებს ასე ეუბნებოდა: „აჰ, სიყვარული!.. ეს რა ყოფილა... გათხოვდით, გათხოვდით, გათხოვდით, ჩქარა!“ და მხიარული ქალიშვილებიც ისე ძალიან დაინტერესდნენ, რომ ანტონიოს მშობლებმა მდგომარეობით ისარგებლეს და თავიანთ ერთადერთ ვაჟიშვილს ორიოდ კვირაში შერთეს ერთ-ერთი მხიარული ქალიშვილი.

კალაბრიული გოჭი და ცხვარი, ხბო, თხა, წიწილა... და ნათესაური გრძნობით აღვსილმა ვინსენტემ საყელო კარგად შეიბნია, ზედ კარებთანვე ხვდებოდა სტუმრებს. თითო ფინჯანი, ჭიქა, ლამბაქი, ვერცხლის თასი და ქუდი - საჩუქრად. ხუთი დრაჰკანიც! მთელი ქონება - ტულიოსა და დომენიკოსგან.

მილოცვისას მამაკაცები უფრო პატარძლის კოცნას ლამობდნენ, მხოლოდ ედმონდო ემთხვია გრძელი, წებოვანი კოცნით ნეფეს. მეხუთე სასმისზე „ნეტავი ჩი-ტად მაქცია“ დასჭექეს და ძია დუილიოს გრძელი, ვრცელი, მრავალაზროვანი დალოცვა „ახლადშესაღები“ ცხოვრების კართან... იმდენ ხალხში მხოლოდ ნეფე, დუილიო და ვინსენტე არ სვამდნენ. ერთი პირობა ჯუზეპემ აურია ცოტა, მაგრამ დინომ შეხედა თვალში. სხვები კი დათვრნენ, ალიაქოთი, აურზაური შეიქნა, ედმონდოსაც კი ორჯერ აკოცეს, ძვლებს თვალდახუჭული ღრღნიდა კუმეო, გოჭის თავს კბილებით ჩაფრენილი, კონჩეტინა კი წამდაუწუმ უვსებდა ჭიქას ვარდისფერი წყლით, თეთრ ხორცს ციცქნიდა მამიდა არიადნა, უბერებელი, ხოლო როდესაც ვასკო გაახსენდა, ცხარე საწებელა გადაიღო თეფშზე, რაღაცას ჩალიჩობდნენ ერთმანეთს მიკრული სილვია და ცილიო, თავშეკავებულად იღიმებოდა გაღიზიანებული ვინსენტე, „რატომ არავინ არ გასინჯეთ ფხალი“, დაუსრულებლივ გაიძახოდა დიასახლისი - ანტონიოს დედა, შემთვრალ სტუმრებს კი შეუმჩნევლად გაეპარა დარბაისელი სენიორ ჯულიო, რომელიც დიდის მოწიწებით გააცილა ვინსენტემ, ოჯახის ახლო ნათესავმა, სიძემ. ყაყანი იდგა, ხოლო როცა ახალგაბედნიერებულნი საწოლი ოთახისაკენ გაეშურნენ, ქეიფის ბოლო მონაკვეთში ორიოდ ჭიქით ოდნავ, სულ ოდნავ შემთვრალმა დუილიომ, როგორიც იყო, ნეფეს მკლავში გამოსდო მკლავი, შეაჩერა, თავი დაახრევინა, ფეხისწვერებზე აიწია და რაღაცა უთხრა ყურში. თავდახრილი ანტონიო დიდის გულისყურით უსმენდა, მერე უცებ გაიმართა და აღუთქვა: „არა, არა, დუილიო ბიძია, მხეცი კი არ ვარ...“ „ჰოო, ეგ ერთი, და სავსებით მოულოდნელად თუ...“ განაგრძო მრჩეველმა, ანტონიომ ისევ დახარა თავი, დუილიო კი კვლავ ფეხისწვერებზე შედგა. რაღაცას ეჩურჩულებოდა ყურში: დაძაბული ანტონიო სრულებით ვერ აღიქვამდა სკამზე მიყუდებულ ვიღაცის ჭრელ ქოლგას, მოხრილი, თვალებგაფართოებული, უნებურად რომ მისჩერებოდა, თავითფეხამდე - ყურადღება იყო და უცებ მაღლა ასწიეს თავი, ერთმანეთს შეხედეს: „აჰ, არა, არა, პირუტყვი კი არა ვარ...“ „დაიცა, კიდევ...“ - განაგრძო წინასასარეცელო დარიგება სენიორ დუილიომ, ისევ დაახრევინა თავი. „აჰ, არა, რა თქმა უნდა, არა, - იძახდა ანტონიო, - მაგას როგორ ვიზამ, ნადირი კი არა ვარ...“ „ჰო, მართლა, და აი, კიდევ როცა... ვთქვათ, მოულოდნელად...“ და ისევ უნებურად შესცქეროდა ქოლგას ანტონიო, ისევ ფეხის წვერებზე შემდგარი ჩასჩურჩულებდა რომელიღაც საწინასარეცელო დარიგებას დუილიო, და უცებ რაღაც ისეთიც უთხრა, ანტონიო

მშვილდივით გაიმართა და თითქოს ოდნავ შეხტა კიდეც, - „აჰ, არა, არა, როგორ გეკადრებათ, დუილიო ბიძია, ცხოველი კი არ ვარ...“ მაგრამ აქ პატარძალი მაინც შეშინდა, გაფითრებული იდგა ერთხანს, მერე კი ისკუპა და სულ სხვა კარისაკენ - ქუჩაში გასასვლელი კარისკენ თავგვირგვინმოგლეჯილი გაიქცა. მაგრამ ნათესავები დროულად გადაეღობნენ, იმ გაწამაწიაში ღილაწყვეტილმა ვინსენტემ თმაში სტაცა ხელი...

ზამთრის თამაშები... დიდი ზამთარი იწურებოდა.

და აფორიაქებულმა დომენიკომ, როგორც იყო და რომ მოახერხა, ტერეზას უთხრა: „ცოლად წამომყევი, კარგი?“ ის კი დომენიკოსაკენ შემობრუნდა, ცალი ხელით დოინჯი შემოიყარა, უკან გადაიხარა, მეორე ხელი კი განცვიფრებულმა მიაშვირა და შიშითაც კი წამოიძახა:

- გაგიჟდი? ძალიან გინდა, ერთმანეთი დავკარგოთ, ბიჭო?!

თავი მესამე

გაზაფხულის თამაშები

ამბავი თერთმეტი წლის მკვლელზე

- ხანდახან დიდი უცნაური ამბები ხდება, რინალდო-ჩემო, დიიდი უცნაური... - თქვა ალექსანდრომ. პირველი თბილი დღე იყო. ბაღში, გრძელ მერხზე ისხდნენ, ალექსანდრო კი იდგა, საუბრობდა და მთქნარებაატეხილი ტულიოს დასანახავად დროდადრო ჯიბეზე მიიტყაპუნებდა ხელს, რომელშიაც ის სათამაშო იდო.

დომენიკო პირველად ხედავდა ამ ყმაწვილს - რინალდოს. გარეგნობით თითქოს არა უშავდა რა: კოხტად გადავარცხნილი ქოჩორი, სწორი ნაკვთები, პირის კუთხეებთან ოდნავ ჩამოგრძელებული წვრილი ულვაში, საშუალოზე მაღალი ტანისა გახლდათ, გაქათქათებული სამოსი ეცვა, მზეზე კრიალი გაჰქონდა ჩექმებს, მაგრამ თვალები... რა გამოხედვა, როგორი დაუნდობელი გულგრილობა ჩამდგარიყო რინალდოს თვალებში, ასეთი თვალების პატრონს არავინ და არაფერი უყვარდა ალბათ, სხვისი ფულის გარდა. შეხედავდი და... შეგცივდებოდა. საკუთარი თავი კი მთელ იმ გულგრილობას უნაზღაურებდა - აჰ, საკუთარი თავი ძლიერ უყვარდა. პეწიან ტანსაცმელზეც ეტყობოდა ეს, ერთი ხელის თითებით მეორე ხელს ეფერებოდა, დროდადრო ხელისგულს ნაზად ჩამოისვამდა ლოყაზე - ამ სულელურ ლაპარაკში წვერი ხომ არ ამოუვიდა? მზრუნველად ისწორებდა ულვაშს, მერხზე დაფენილ ცხვირსახოცზე იჯდა.

- იმას ვამბობდი, - განაგრძო ალექსანდრომ, - ხანდახან დიდი უცნაური ამბები ხდება-მეთქი, რინალდო, საოცრად მოულოდნელი, დაუჯერებელი ამბები, რომელთაც კიდევ უფრო საკვირველი შედეგი მოსდევს ხოლმე. მაგრამ კაცმა არ იცის - ის, რაც მოხდა, კარგია თუ არა... სინამდვილეში, რაღა თქმა უნდა, ის ყოველივე, რაც კი მოხდება, ზოგიერთისთვის კარგია, ზოგიერთისთვის - ცუდი. მაგრამ უუფრო რომელია, ჰეე, ვინ იცის... ხანდახან, გგონია, რომ კარგი მოხდა, სავსებით შესაძლოა სინამდვილეში ცუდი აღმოჩნდეს, ხანდახან - პირიქით... - გაუგებრად ხომ არ ვლაპარაკობ?

- ძალიან, - შეიჭმუხნა რინალდო, - თუმცა, სულერთია...

- გიჟი თავისუფალია, არა? - საყვედურით დაეკითხა ალექსანდრო, - ეჰ, თქვენთან მაგალითის მოყვანის გარეშე, ესე იგი - უმაგალითოდ, შორს ვერ წავალ... აი, ვთქვათ, რინალდო, შენ მოიგე ოცი დრაჰკანი, განა ეს კარგია?

- ჰე! - ჩაიცინა რინალდომ, - აბა, ცუდია?

- არა, პასუხი გამეც - მე გეკითხები, კარგია?

- შენზე უარესი სულელი ვარ, ფუჰ!!. რას გელაპარაკები, ადე, წავიდეთ სადმე, ტულიო.

- არა, დაიცათ, დაიცათ, კარგი, მაგას თავი დავანებოთ, საერთო ჯამში ცუდია თუ არა ფულის მოგება. სხვას გეტყვი - აგერ ერთმა ჩემმა ნაცნობმა მართლა მოიგო ერთხელ ოცი დრაჰკანი, მოგებული ფულის ნაწილით დათვრა, მაგრად შეხურდა, გაგრილება მოუნდა და ტბაში გადაეშვა. ზამთარი იყო* და ცივ წყალში გული გაუსკდა, ახლა თქვენ გეკითხებით - განა არ ერჩია, სულაც რომ არ მოეგო ის ფული? არა? ეს ძალიან, ძაალიან სულელური მაგალითი იყო, მაგრამ თქვენისთანებზე ასეთები უფრო სჭრის ხოლმე, მაგრამ მე ერთი ამბავი ვიცი, ჰეე, ის კი მართლაც წარმოუდგენლად საინტერესოა - არა, არა, მაინც ვინ იფიქრებდა, ის ამბავი ასე თუ შეტრიალდებოდა, რა უცნაური დამთხვევაა, აჰ... ბევრი ღირსშესანიშნაობანი გამიგია, მაგრამ ეგეთი? აჰ, არა, არა...

- წამოდი, კაცო, წავიდეთ ერთი...

- დაიცა რა, რინალდო, - უთხრა ტულიომ, ალექსანდროს გამობერილ ჯიბეს უყურებდა, - ვინსენტემ უნდა გამოიაროს, გადაუდებელი საქმე მაქვს, მანამდე კი, რა გენაღვლება, მოჰყვეს იმ ამბავს, თავისი გაჭირვებაც ეყოფა.

- ჯანდაბას, მოჰყვეს.

- კი, ბატონო, სიამოვნებით, რახან ასე გსურთ... - და საზეიმოდ გამოაცხადა - ნამდვილი ამბავი.

მერე ძალიან მოიწყინა, დაფიქრებული მიმოდიოდა გრძელი მერხის წინ, ჩუმი ხმით მოჰყვა:

- ერთი საბრალო ქალი დაქვრივდა და ექვსი წლის ბიჭი დარჩა. ქალი შრომობდა, როგორც შეეძლო - მთელი დღე სხვის თეთრეულს რეცხავდა, ხელები ერთთავად საპნიან წყალში ჰქონდა და მხრით იწმენდდა ხოლმე თვალის უპეებში ჩამდგარ ოფლს... ძალიან იღლებოდა, მაგრამ მაინც ქალი იყო და ერთი კაცი, ეე, როგორ

გამოვთქვა... დაიახლოვა. ის კაცი დიდი უხეში ვინმე ყოფილა, აყლაყუდა და ტლანქი, ხშირადაც სვამდა, ქალს ფულსა სთხოვდა, სად ექნებოდა იმ გაჭირვებულ დედას ფული, უყვიროდა, ემუქრებოდა და ქვრივის ბავშვს ძალიან სძულდა იგი. ბიჭი თერთმეტი წლის რომ გახდა, უკვე მშვენივრად აპობდა შეშას, დედას წყალს უზიდავდა, ყოველნაირად ეხმარებოდა დედას, მოწყენილი შესცქეროდა აქაფებულ წყალში ნაღვლიანად მაცქერალ ქალს და, რა თქმა უნდა, მშვენივრად ხვდებოდა, ლუკმა-პურისთვის როგორ შრომობდა და იტანჯებოდა დედა - ერთადერთი ადამიანი, ვინც ეფერებოდა ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს კი, თუმცა რაღა მშვენიერს, შეშას რომ ჩეხავდა, შინიდან კივილი მოესმა და საჩქაროდ შევარდა ოთახში - იმ კაცს იატაკზე წაექცია დედამისი, ნარეცხი წყალი თავზე გადაექცია ქალისათვის და ახლა წიხლებით სცემდა. როგორც იმ ბავშვმა დიდი ხნის შემდეგ თქვა, თვითონ არაფერ შუაში იყო - არც არაფერი დაუპირებია, არც განუზრახავს, მაგრამ ჩაწიხლული დედის დანახვაზე თითებს მაგრად ჩაუბღუჯიათ ოთახში შეყოლილი მძიმე ნაჯახი და ხელებს ღონივრად მოუქნევიათ. ამას თურმე საშინელი ხმა მოჰყვა - ყრუ, დაგუდული, თანაც, თითქოს რაღაცამ გაიღრჭიალა და კეფაგადახსნილი კაცი იქვე ჩაიკეცა და ვერავინ მიხვდებოდა, მანამდე საპნიანი წყალი თუ იყო დაქცეული იატაკზე - სულ სხვაფრად შეღებილა თურმე იატაკი. შეძრწუნებული ქალი მალე გამოერკვა, რადგან მის შვილს ნაღდად არ შეარჩენდნენ მოკლულის ნათესავები, იმ ადგილებში, სადაც ეს ნამდვილი ამბავი მოხდა, სისხლის აღება, ეს უგუნური წესი, აუცილებლობად და ვაჟკაცობადაც კი ითვლებოდა - ბავშვს ხელი ჩასჭიდა და მაშინვე დატოვა სოფელი. წასვლისას კარი გამოიკეტა, ასე რომ, იმ კაცს ერთი კვირის შემდეგ თუ მოიკითხავდნენ, - ნასვამი, ხშირად იკარგებოდა ხუთიოდე დღით. დედა ერთხანს მარჯვედ მიდიოდა, მაგრამ უცებ დაიღალა - ფეხმძიმედ იყო. ალბათ, მიხვდით, იმ კაცისაგან. აღარ იცოდა, რა ექნა, თანაც ახალგაზრდა მკვლელი აღიზიანებდა, რადგან იგი გაუბედავი ღიმილით ერთთავად შესცქეროდა დედას - წარმოდგენა არა ჰქონდა, რა ჩაიდინა. შეძრწუნებული ქალი კი ვეღარ უბრუნებდა ღიმილს. ტყეში შემოაღამდათ, ქალმა ბილიკიდან გადაუხვია, მიწაზე დაჯდა და გრილ ხეს ზურგით მიეყრდნო. ბავშვი იქვე, მის ფერხთით წამოწვა და კალთაში ჩაუდო თავი, სუსტად გაიღიმა და მაშინვე ჩაიძინა. არასოდეს ისე არ დაბნეულა საბრალო ქალი, ადარ იცოდა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო - ხან სიბრალულით დასცქეროდა დაღლილ, მოჩვარულ ბავშვს, რომელსაც ხუთიოდ დღეში მოსაკლავად დაუწყებდნენ ძებნას დიდი და ტლანქი, დაუნდობელი კაცები, ხან ზიზღით მიატრიალებდა სახეს გაპობილი თავის გახსენებაზე, მერე ისევ დედასავით დასცქეროდა, მერე კი სხეულს უწვავდა ახალგაზრდა მკვლელის კეფა და სწორედ ამ დროს, თქვენ შეიძლება არც დაიჯეროთ, სწორედ ამ დროს მეორე ბავშვმა, მუცელში

პირველად გაიფაჩუნა. ის ნელა და რაღაცნაირად მხიარულად უკაკუნებდა დედას, შეშფოთებული ქალი დაწყნარდა, თან სასიამოვნოდ აფორიაქდა და, გაღიმებული უგდებდა ყურს... მეორე დილით ვიღაცის ეტლი წამოეწიათ. დედამ მეეტლეს მისცა მთელი თავისი მცირე ქონება, ბოღჩაში გამოკრული; ბეჭედიც წაიძრო და იმ შორ გზაზე დამდგარმა კაცმა ერთი კვირის შემდეგ მგზავრები ისეთ ქვეყანაში ჩაიყვანა, სადაც სუულ სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. და კიდევ კარგი, სარეცხი ყველგან რომ ირეცხება, - ქალი ყოველდღე შოულობდა იმდენს, შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, მერე კი მეორე ვაჟი შეეძინა. დედა თითქმის მთელი დღე რეცხავდა, ბავშვს უფროსი ბიჭი კარგად უვლიდა, ეფერებოდა, უყვარდა როგორ, და თითქოს გადაავიწყდა, რაც ჩაიდინა, მაგრამ ძალიან დადარდიანდებოდა, როცა ერთადერთი მესაიდუმლის - დედის ცივ მზერას წააწყდებოდა ხოლმე. ყოველდღე, როცა დედის რომელიმე დავალებას პირნათლად შეასრულებდა, გახარებული ბრუნდებოდა შინ და, დაძაბული გასაღიმებლად მომზადებული შეაცქერდებოდა დედას, მაგრამ ბავშვის დაძაბულ, მომლოდინე და სევდიან ნაკვთებში დედას მკვლელი ახსენდებოდა და ცივად არიდებდა თვალს. არადა, როგორ გავბედო ამის თქმა, მაგრამ ბიჭი იმ დროს რომ არ შევარდნილიყო ოთახში, ნაჯახით ხელში, ის კაცი აუცილებლად მოჰკლავდა დედას, თანაც, დედა მაშინ ორი იყო.

- როგორ თუ ორი? - გაიკვირვა რინალდომ და იქვე მიხვდა, - აა...

- უფროსი ბიჭი თვრამეტისა რომ გახდა, ვეღარაფერზე ფიქრობდა, იმ საბედისწერო შემთხვევის გარდა, ვთქვათ, ვინმე ჩამოსულს რომ ეკითხა - „შადრევნებისკენ როგორ წავიდე?“ - გზას, რა თქმა უნდა, მიასწავლიდა და მერე, თვალს რომ გააყოლებდა, ასე ეგონა, ჩამოსულს მისი წარსული რომ სცოდნოდა, ალბათ არც ჰკითხავდა არაფერს. ამგვარ წუხილებს კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ ერთ ღამით უცებ ის კაცი დაესიზმრა - თვალებამღვრეული, წვერმოშვებული და სისხლში ამოთხვრილი. ლაპლაპა დანით ხელში, მისკენ მიიწევდა და კბილებს აღრჭიალებდა. ბიჭს გაქცევა მოუნდა, მაგრამ ადგილზევე უსხლტებოდა ფეხი, კაცი კი მოდიოდა, მოდიოდა, უახლოვდებოდა... შეძრწუნებულს გამოეღვიძა, საწოლზე წამოჯდა და გათენებამდე ვეღარ დაიძინა; იჯდა სიბნელეში და ეშინოდა... მერე, ნაცნობი ნივთები რომ განათდა, ცოტათი გული მოეცა და თითქოს ყველაფერი გადაავიწყდა, მაგრამ შებინდებისას ისევ მოიწყინა, დადარდიანდა, დედაც არიდებდა თვალს... ერთხანს მშვიდად ეძინა, მერე კი ისევ დაესიზმრა კაცი - ტლანქი და მოუქნელი, დანაჩაბღუჯული მოიწევდა მისკენ, მეორე ხელი კი, ნიჩაბივით ფართო ხელისგულით, ერთხანს ნება-ნება ქანაობდა, მერე კი თითქოს კბილთა ღრჭიალს აჰყვაო, ისე აქანავდა; ბიჭი გაქცევას ლამობდა ამ საზარელი, გადახსნილი, წითლად ამოფურჩქვნილი ჭრილობისა და დაუნდობელი

მზერის დანახვაზე, მაგრამ სისხლში უსხლტებოდა ფეხი; კაცი კი უახლოვდებოდა, უახლოვდებოდა... უახლოვდებოდა! ოფლში გაწურულს გამოეღვიძა, იმ სიბნელეში გარეთ გავარდა, მომცრო ღელესთან ჩაირბინა და იქღა იტირა, ფუმფულა ხავსში ცხვირპირჩარგულმა... მერე კი, გული რომ იჯერა, წამოდგა და შინისაკენ გაემართა... უცნაური შესახედი იყო - თუმცა ტირილი ადამიანს ამშვიდებს ხოლმე, იმას - პირიქით, ქვა-ბოროტება შიგანში გაუჯდა და, ამ უცნაურ, პირქუში გრძნობით გატრუნულს, თვალები გაუყინა. სახეზედაც რაღაც უცხო კმაყოფილებამ გადაურბინა, მერე ყველაფერი გადაივიწყა თითქოს, სანამ უმცროსი ძმის მიამიტი სახე არ ეცა თვალში. ნაცნობი საძულველი ნაკვთები - დანაჩაბღუჯული კაცის ნაკვთები ამოიცნო მისივე შვილის სახეზე, დიდხანს უყურა, რაღაცეები აწონ-დაწონა გუნებაში და მერე ხელი ღონივრად შემართა და, გაარტყა. გაოცებულ ბავშვს ენა ჩაუვარდა, მაგრამ მეორედაც რომ გაარტყეს, აღრიალდა. იმან კი, უფროსმა ძმამ, ერთი წიხლიც მიაყოლა გვერდებში და ცუდად, ძალიან ცუდად ჩაიღიმა. შებინდებამდე კმაყოფილი და მოსვენებული იყო ამ უცნაური შურისძიებით, მერე კი, შებინდებისთანავე, შიშად გადაექცა ეს კმაყოფილება და ისევ მოვიდა სიზმრად ის კაცი, უწინდებურად გაცოფებული და დაუნდობელი, უფროც კი, უფრო... ის კი ყოველდღე ღამინდელ ჯავრს უმცროს ძმაზე იყრიდა, ვისი სახეც ასე აგონებდა იმ კაცის სისხლით გათხაპნილ სახეს... ყოველდღე მთელი ძალით ურტყამდა და ხელისგულები რომ ასტკივდა, მერე, წაქცეულს, წიხლებით სცემდა, მშვიდად, გულგრილად, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი... ჰო, იმ დროს დედა აღარ ჰყავდათ... უმცროსი ძმა ემალებოდა და მთელ ჭალაში დაეძებდა, რომ იპოვიდა, გატრუნულსა და ხეს ამოფარებულს, გულს იჯერებდა იმისი ცემით. მიბრუნდებოდა, მაგრამ ისევ ბოღმიანად ენატრებოდა ხოლმე ძმა და ჯიუტად დაეძებდა. კარგა ხანს გრძელდებოდა ასე და ყოველღამე ბოროტების წვეთი ემატებოდა სულში, და თვით უმცროსი ძმა, სულ რვა წლის ბავშვი, გაუთავებელი ცემის, შიშისა და შურისძიების წყურვილის გამო, არანაკლებ გაბოროტდა... ახლა აღარც ტიროდა, როცა ურტყამდნენ, თვალანთებული, ტუჩმოკუმული შესცქეროდა და შურისძიების ველურად გამყინავი, წივანა სიმღერა არ ასვენებდა. მხოლოდ ერთხელ მოიოხა გული, ისიც ცოტა ხნით - ძველი შენობის ნანგრევებში ღამურას წააწყდა და ფრთები აახლიჩა, აწრიპინებულს, ქვით გაუსრისა თავი. ამასობაში უფროსი ძმაც თავზე დაადგა და იმასაც მოუნდა ღამურას პოვნა, ეძება, ეძება, ტყუილუბრალოდ გაისარჯა და, გაბრაზებული, ძმას მიუბრუნდა და ხელი გაარტყა - სულ დაავიწყდა, ძალიან რომ სტკიოდა, გამწარებულმა, ფეხი ამოარტყა მუცელში და წაქცეულ ძმას წიხლებით შესდგა. და როდის როდის, ძლივს დაიღალა, შინისაკენ გაემართა ოფლში გაღვრილი - უკვე ბინდდებოდა. და სწორედ იმ დღეს, გამთენიისას, ისევ ესიზმრა ის ტლანქი კაცი, ოღონდ... მომღიმარე,

სახეგანათებული, მშვიდი და უწყინარი, კეთილი ღიმილით ბაგეზე, თავშეხვეული, ალერსით უმზერდა და შერიგებას სთავაზობდა თითქოს - გაოცებული შესცქეროდა ამ უცნაურად გამოცვლილ სახეს და ერთხანს დაეჭვებული მისჩერებოდა. მერე კი, აშკარად გულწრფელი ღიმილი რომ შეიცნო, სიხარულისაგან გამოიღვიძა... აფორიაქებული გავიდა გარეთ, ეზოში, და თავის ცხოვრებაში პირველად შეიცნო გათენების ნელი, ჩუმად გაწელილი სილამაზე. მთელი დღე წრიალებდა, გაბრუებული მიმოდიოდა ჭალაში, ერთხელ ხეზეც კი აძვრა და მოუთმენლად უცდიდა დაღამებას, კიდევ რომ ენახა ის მომღიმარი, სათაყვანო, გაძვირფასებული სახე. და როგორც კი თავი დადო ბალიშზე, ჯერ - დამძიმდა და მერე ამსუბუქდა, ძილშიაც იმ კაცის მომღიმარი სახის დანახვის სურვილმა შეიპყრო და გათენებამდე ასე ეძინა, მოლოდინში. და როგორც კი ოდნავ გაბაცდა ღამე, ის კაცი დაესიზმრა, ისევ ალერსიანი, მომღიმარე... გახარებულმა ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა, მდინარესთან ჩავიდა, სილაზე პირქვე გაწვა და როცა მზე ამოვიდა და გაათბო, მადიანი ზმორება აუტყდა, სილაში სახეჩარგულს; მერე კი, ძალიან რომ დაცხა, მდინარეში თავით გადაეშვა და გაგრილდა. შინ რომ დაბრუნდა, სველი თმითა და მხიარული, ბედნიერი სახით, უმცროს ძმას კარებში შეეჩეხა და განცვიფრდა - იმან გარტყმის მოლოდინში ბოროტად შეანათა თვალები. მაგრამ უფროსმა ძმამ გაუღიმა და უმცროსს ერთხანს ეჭვი შეეპარა იმის ღიმილში, მერე კი, კარგად რომ დააკვირდა, თავადაც შეეცვალა სახე - წრფელი ღიმილი ყველაფერზე მეტად გადამდებია, მთქნარებაზეც კი... ერთხანს შორიშორ იდგნენ და ოდნავი შერხევისაც კი ეშინოდათ, რადგან აშკარად გრძნობდნენ, გატრუნულნი, როგორ ამოდიოდა მათ სხეულში უცნაური, მჩხვლეტავი მცენარე - სიყვარულის კაქტუსი.

- სულ ეგ იყო? - იკითხა რინალდომ მცირე დუმილის შემდეგ.

- არ მოგეწონა? ცოტათი დაკვირვებაც უნდა, ადამიანებო...

- არა უშავს რა, მაგრამ ტყუილია.

- ტყუილიაო... ვინ მოგახსენა.

- ეტყობა ამბავს.

- ერთ-ერთი ძმა რომ პირზე დაგაყენო, მაშინ რაღას იტყვი?

- ვერ დამაყენებ.

- რატომ.

- რატომ და ტყუილია.

- აქა ვარ! - წარდგა ალექსანდრო.

- დიდი ამბავი. მერე რა...

- როგორ თუ რა - ერთ-ერთი ძმათაგანი ვარ, - საზეიმოდ გამოაცხადა ალექსანდრომ.

- თქვენ? თქვენ რომელი ხართ... - გაოცდა დომენიკო.

- აბა, თუ მიხვდებით... - თქვა ალექსანდრომ და ტულიოს ის ლამაზი სათამაშო მისცა.

- ისაა... ე... უფროსი.

- აჰ, - იწყინა ალექსანდრომ, გულზე მიიდო ხელი და საყვედურით მიაჩერდა, - კაცისმკვლელს რა მიგავს, ა, დომენიკო?

შეყვარება

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი ქალაქი, ოღონდ ხანდახან არც ვიცით ხოლმე... თვალებზე ქუდჩამოფხატულნი, მხრებაწურულნი მივიპარებით - ვინმემ არ გვიცნოს... ჩვენი ქალაქის, ლამაზ-ქალაქის მოცისფრო და ვარდისფერი სახლები, ჯერ კიდევ ნედლი, მზეზე ორთქლადენილი კრამიტის სახურავები - თოვლი რომ დნება... ნაუცბათევი გაზაფხულის ამღვრეული სითბო, და მსუბუქად თავბრუდახვეული ლამაზქალაქელები... უჩვეულოდ აფორიაქებული დარბაისელი სენიორ ჯულიოც კი, და უგო, ახალგაზრდა გიჟი, კედელს მიყრდნობილი, ლოყამიშვერილი გაზაფხულის მზეს... უმიზეზოდ აღრენილი ვინსენტე, გაოგნებული ახმახი - ჯუზეპე და იმას საყვედურით მიჩერებული ალექსანდრო - „ეჰ, ახლა ხუთოყიან თოხს უნდა იქნევდე სადმე, სოფელში, შენ კი სადა ხარ...“ იმ დღით მადადაკარგული კუმეო, „ავად ხომ არ გამიხდი... მეც მტკივა თავი“, - მზრუნველი მეუღლე კონჩეტინა... გატრუნული და მიყუჩებული ხეები მზეში... საოცრად აბზინებული, გამოცოცხლებული ქერქი... ჩრდილში, სახლს უკან ჩარჩენილი დაუმდნარი თოვლი, ჭუჭყიანი ნამცეცებით დაჭორფლილი... ჩვენი ქალაქი, პირველი თბილი დღით არეული, დარეტიანებული ქალაქელები - ლანდოს კოფოზე ჩაძინებული ულვაშა კაცი, „აი, გაზაფხულიც მოვიდა, წელიწადის მთავარი დრო, - ცილიო ფიქრობს, - რას მოვაყოლე...“ - აღარც კი ახსოვს, მთელი ქალაქი - არეულია, და ჩაცმულობას ხომ ნუღარ იკითხავთ, ზოგი - ისევ თბილი მოსასხამითაა გამოსული, ზოგი - ხალათით, და ორიოდ უზომოდ შეხურებული მოქალაქე - თეთრი პერანგისამარა!.. ქვაფენილზე კი ისე მძიმედ დაიარებიან, თითქოს გადახნულ მიწაზე მიაბიჯებდნენ, მიწის სუნი დგას, რა უცებ

დათბა... ასეთ სითბოში სოფლად პირველი ბანაობდა ბიჭი, შემცივნებულს, ნაძალადევი ღიმილისას ღრძილები რომ მოუჩანდა, და ხეებს ლოკავდა დამჭლევებული საქონელი... ქალებს ტუჩები გამოებურცათ. სარკის წინ ისხდნენ, მაგრამ დაუდევრად იცქირებოდნენ იქით, სარკის მიღმა, ღია ფანჯარაში... „წყაროდან ჭიქას ნუ წამოვიღებთ... თუ წამოვიღოთ?! ა, წამოვიღებთ?!“ ის ედმონდო კი, საბრალო ჩვენი, მთლად გზააბნეული დააბოტებდა ლამაზ-ქალაქში, ჩექმა ჩააგდო შესაღებად ქვაბში ანტონიომ, ფეხზე კი ვიღაც ლამაზი მუშტრის კაბა შემოიხვია, - რა უცებ დათბა, ეს რა ხდებოდა - სულ მიებნიდა სახე როზინას, ნორჩი ჯანჯაკომო კი მთლად გაღაჟღაჟდა, სულშეხუთული, ტახტზე გორავდა. და ერთადერთი ქალი, ტერეზა, მსუბუქად იარებოდა ლამაზ-ქალაქში, რადგანაც თავად გაზაფხულს ჰგავდა. თვლემამორეულ რინალდოს ფულისადმიც კი გაუქრა ეშხი. ტულიო კი, თავისი უეცარი უმძრახობით შემკრთალი, ძალისძალით ისეთ, ისეთ სისულელეს მოჰყვა... მორცხვად მიიძურწებოდა სადღაც დაბალი მაწანწალა ძაღლი.. ეს უცნაური, ეს გიჟი მარტი - გაზაფხულის თამაშობანი იწყებოდა, მოსარიდებელი, უნდო...

იქვე მომცრო დუქნის წინ, ხეს ზურგით მიჰყრდნობოდა დომენიკო. გამვლელებს ათვალიერებდა, ბევრს უკვე იცნობდა და ესალმებოდა - კაცებს მეგობრულად უწევდა ხელს, ქალების დანახვაზე - თავს დახრიდა და ყოჩაღად მიიბაკუნებდა ქუსლზე ქუსლს. ჯუზეპემ ჩამოიარა - სახელოები ძალიან მაღლა, თითქმის მხრებამდე აეკაპიწებინა და კუნთებდაბერილი, სუნთქვაშეკრული მოდიოდა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, სადმე ნემსი რომ გეჩხვლიტათ, მაშინვე დაიჩუტებოდა და საწყალი კაცი შეგრჩებოდათ ხელში, მაგრამ ჩხვლეტას ვინ გაუბედავდა. დომენიკოს ისე მძიმედ აუწია ხელი, თითქოს ორფუთიანი სჭეროდეს. დომენიკო თავაზიანად მიესალმა და ძალაუნებურად სიყვარულითაც გაუღიმა - როგორი ხეპრეც არ უნდა ყოფილიყო, საშიში კაცი გახლდათ, ღონიერი, და იმასთან „სიყვარულობანა“ და „პატივცემულობანა“ უფრო გამოადგებოდა. დომენიკოს შიოდა, მაგრამ დუქანში ეულად შესვლისა ერიდებოდა - მარტოკა კაცის სადილობა უაღრეს სირცხვილად ითვლებოდა ლამაზ-ქალაქში.

- დომენიკო, - დაუძახა ვაღაცამ, - ტულიო ხომ არ გინახავს.

-არა.

- რომ ნახო, მოედანზე ჩამოდი-თქო, კარგი?

- კარგი.

თვალი გააყოლა და რატომღაც, უცებ, ძალიან აღელდა. თითები მომუშტა, ღრმად შეისუნთქა ჰაერი, მერე ისე ღონივრად ამოისუნთქა, თითქოს სანთლის ჩაქრობა სურდა. დიდმა საათმა ნაზად ჩამოჰკრა ექვსჯერ, რეკვა რომ შეწყდა, გაღიზიანდა და, დაძაბულმა, თვალი მოავლო იქაურობას. ტულიო გაღიმებული მიუახლოვდა, მაგრამ დომენიკოს იმისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისევ ვიღაცას გააყოლა მზერა, და ისიც რომ თვალს მიეფარა, მერეღა შეკრთა - არავინ ჩანდა, მაინც შემკრთალი მისჩერებოდა ქუჩის იმ კუთხეს, გააჟრჟოლა - ისე იცდიდა, და ის გამოჩნდა - გრძელ, თეთრ კაბაში ჩაცმული ქალი. გამართული მოდიოდა და მაინც ფრთხილად, ოდნავ მომღიმარე, დაფიქრებული სახე ჰქონდა, თითქოს რაღაცისა ეშინოდა. ერთხანს გაოგნებული შესცქეროდა ამ უცნაური სიამაყით დამფრთხალ ქალს, რაღაცნაირად, უმწეო ჩანდა ეს ნაზი ქალი, და მაინც უცხო, შორეული, სიამაყით სავსე; რაღაც ეტკინა თითქოს დომენიკოს, შეძრწუნებული, გაოგნებული, კინაღამ არ აედევნა, მაგრამ გაახსენდა, პირველად რომ ხედავდა, თუმც არა, არა, სადღაც ენახა... თანაც, ტულიომ მკლავზე წაავლო ხელი, ის კი ისევ აფორიაქებული, ქალს შესცქეროდა, ვისი სითეთრეც ისე ნათლად გამოირჩეოდა ნაცრისფერ კედელზე. სული მოითქვა:

- ვინაა ეს ქალი...

- ესა? ერთია რა... აქაურია, ანტონიო ხომ არ გინახავს.

- კი, რა ჰქვია?

- ვისა...

- ამ ქალს - ვის...

- მაგას? ანა-მარია, სადა ნახე?

- აქ არ ჩამოიარა?

- არა, ანტონიო სადა ნახე...

- ვინა?

- ანტონიო.

- ჰო. მოედნისკენ მიდიოდა. რამდენი წლისაა, ხომ არ იცი...

- რა ვიცი, აბა, ხომ არაფერი უთქვამს.

- ვის, ანტონიოს?

- ჰო.

- ჩამოვიდესო.

- სადაო...

- მოედანზეო... ღმერთო, ვინ იყო.

- მარტო იყო?

- არა, ვიღაცა ახლდა... - სად ცხოვრობს, ხომ არ იცი?

- ვინ, ანტონიო?

- არა, ეს... - და პირველად თქვა: - ანა... მარია...

- აიი, იქით... იმ კაცის შვილია, კარგად რომ უკრავს... და მეორე ქერა კაცი ხომ არ იყო, დაბალ-დაბალი?

- არა.

- შავგვრემანი კაცი ხომ არ იყო, დაბალ-დაბალი?

- არა. გათხოვილია?

- მოგეწონა? - ახლაღა მიუბრუნდა ტულიო, აქამდე გან-გან იცქირებოდნენ, - მართლა მოგეწონა?

- მართლა.

- ძალიან?

- ძალიან.

- ძალიან-ძალიან?

- მეტი რომ არ იქნება, - თითქოს ხუმრობით იღიმებოდა დომენიკო, მაგრამ საოცრად სიამოვნებდა, ისე აშკარად რომ ამბობდა იმას, რაც წესით თითქოს უნდა დაემალა... მერე კი ეს თქვა:

- ხომ არ გაგიჟდი, ისე ვიკითხე.

- არა, გაუთხოვარია. ზოგი იძახის, მამამისზე უკეთ უკრავსო. ისე, ზოგს მოსწონს, მაგრამ მე არა...

- ეგ არაფერი... - თქვა დომენიკომ.

- ხომ არ უთქვამს რამე?

- რა უნდა ეთქვა...

- რა ვიცი, შემთხვევით...

- რატომ მეტყოდა, ჯერ ხომ არ ვიცნობ...

- ვის, ანტონიოს? არ გამაგიჟო, ანტონიოს არ იცნობ?

- აჰ, ანტონიოს? მოედანზე ჩამოვიდესო...

რის გაზაფხული, რა გაზაფხული, ისევ ზამთრის პირი იდგა. მაგრად შეიფუთნა მოსასხამში და ქალაქგარეთ წავიდა, რაღაც ტკბილმომწარო სუნი სცემდა - ხმელ ფოთლებს წვავდნენ, სადღაც სხეულში კი უცნაური, მჩხვლეტავი მცენარე იფურჩქნებოდა, ოჰო, - კაქტუსი! ბინდდებოდა და ფართო ქუდი წარბებამდე ჩამოიფხატა, ყველას, ყველაფერს ემალებოდა, რომ ვეღარ ეცნოთ - ტრიალ მინდორში! - ქარის შრიალზე მაგრად ბღუჯავდა დაშნას. უცხოდ სისინებდნენ ქარით შემკრთალი წოწოლა ძნები - შებინდების ჟამს, უცნაური ძილ-ღვიძილი იდგა და სულ უფრო მცირედ გამოირჩეოდა ლურჯი ჰორიზონტისაგან დომენიკოს მუქი სილუეტი. შეთქმულივით ფრთხილი, გარინდული; მაინც ცდილობდა ლამაზად გადაედგა ფეხი - ეამაყებოდა თავისი თხელი, მოქნილი ტანი და ჩუმად ხმიანობდა დაძაბულ სხეულში ეს სიხარული. ძნას მხარი გაჰკრა, შეშინებულმა ააყოლა თვალი, წინ გაიხედა, ნახევრადდანგრეულ, პირქუშ შენობას მოჰკრა თვალი; იმ მომცრო ქვის კიბეს სულ სამი საფეხური ჰქონდა, მაგრამ პირველ საფეხურზე გველი იწვა და ძალიან ღონივრად, მაგრამ რაღაცნაირად შებოჭილი იკლაკნებოდა - იზმორებოდა ალბათ. დომენიკომ გადააბიჯა, მძიმე კარს ფეხი ჰკრა და ბნელ შენობაში შევიდა. ხელგაშვერილი, ფრთხილად მიაბიჯებდა, მეორე ხელით დაშნა ამოაცურა ქარქაშიდან და დაძაბული მიიწევდა, ხელგაშვერილი, ყრუდ გაისმოდა ჩაბნელებულ შენობაში მისი ფეხის ხმა. და უცებ დაჭიმული თითებით რაღაც მკვრივს, გლუვსა და ცივს წაეპოტინა. წყვდიადში ერთხანს გაშეშებული იდგა და თითებით იწოვდა იმ გლუვ სიცივეს, მერე ლურჯ-წითელი მინით აჭრელებული სარკმელი ოდნავ, ბუნდოვნად განათდა - ყვითელი, გაცრეცილი დისკო გარედან მოადგა სარკმელს. ლურჯი, იდუმალი სინათლე კი, საოცრად მსუბუქი, ჰაერში მოტივტივე, შენობაში ფარფატით გაიჟღინთა და დომენიკომ გაარჩია, რომ თითებით მარმარილოს სვეტს ეხებოდა. უცხო მცენარე, უცხოდ მჩხვლეტავი - ოჰო, კაქტუსი გაეშალა და ამ

დიდებულ განათებაში, ისედაც უჩვეულო სიხარულით აღვსილმა, მაგრად შემოხვია მარმარილოს სვეტს მარცხენა ხელი, მარჯვენაც, დაშნიანი ხელიც შემოაჭდო, მაგრად მიეხუტა, ლოყაც მიადო და, ათრთოლებულმა, გაიმეორა: ანა-მარია... ანა-მარია... ა...

- ა...

- დიდი ხანია?

- რა... რა - დიდი ხანია...

- რაც ჩაიარა.

- ვინ...

- ვინ - ანტონიომ!

- ჰო... იქნება ასე... არა, არ ვიცი.

- საათზე მეტი ხომ არ იქნება...

- არა, საათზე მეტი არა... - და გულში ისევ დინჯად, მძიმედ გაიმეორა. „ანა-მარია, ანა-მარია... ანა... მარია...“

ანა-მარია ქალი იყო, მაგრამ შველს ჰგავდა.

ახირებული გასეირნება

ჩემო მოცლილო, როგორც ერთმა თქვა, და მოწყენილო...!?!!! - ხომ არ შეგეშინდა... აი, ასეთი უნიჭო ხუმრობაც კი ვიცი. ძალიან მიმძიმს, ხელი რომ არ ჩაგჭიდო და კარგად არ გიგრძნო. შენ მუდამ მხედავ, მუდამ მიყურებ, მე კი არ ვიცი ვინ ხარ, სადა ხარ, ისე კი, ადვილად რომ დაგიყოლიო, ვის არ შეუსვამს ორიოდ ჭიქა და დავლიოთ ერთი ჩვენც! ჩვენ რა დავაშავეთ ვითომ... რა მოურიდებლად გელაპარაკები, არა? აღარ იქნება... მოდი, ჩემო კარგო, და, არა - მოდით, ჩემო ბატონო, და დავლიოთ ეს პირველი სიჩუმის დიდი ჭიქით, აგერ ა, მანდეთაა, გამორთე ეგ ოხერი, გამოთიშეთ, თუ შეიძლება... მიირთვი, ეს - ერთი ახლა, ჩემო კარგო მეგობაროო, ფუჰ, ისევ ვხუმრობ, მე არ მეცინებოდეს, მეტი არაა... ახლა კი, ბოდიში და მეორეც დავურტყათ, მარტოობის უზარმაზარი ჯამით, რაღაცა ახატია ფსკერზე - მარტოები ვართ ახლა შენ და მე... თქვენობით იმიტომ არ მოგმართავთ ახლა, მარტოკინა ხარ ჩემთვის და ისე, თუ გნებავს, ავურიოთ ეს შენ-თქვენობითი - შენ ბრძანეთ მაშინ, რაც გინდათ შენ - მაინცდა მაინც, თუ არ გნებავთ, გნებავთ კი არა, ასეა თითქოს მიღებული და ხანდახან მოვიშველიებ გამოთქმას „ჩვენ“ - მეცა ვარ შიგნით და თქვენ ხომ ორმაგად - შენც და

თქვენც... ხომ სიჩუმეა... და მარტოობა... პატარა შევთვრეთ... შენი ჭირიმე, არ დაიყვირო, ჩვენ არ ვიყვირებთ, არსად, არასდროს, შევთანხმდით, არა? ყური მომეცით, რაღაცას გეტყვი... თითოც დავლიოთ. მგონი დაგვათრობს, მისაყოლებელი მაინც არ გვაქვს და... ეს წახემსება ხომ არ ითვლება. ახლა კვლავ ჯამით, მარტოკინობის... შენი არ ვიცი, მე კი ვბანცალებ... ჩემსავით სწრაფად არავინ თვრება... დიდი ამბავი, ენა და სახე თუ არ მერევა, და ნაფეხურზეც ვერავინ მატყობს... აქამდე მაინც... ყური დამიგდე, რაღაცას გეტყვი: ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი ქალაქი, ოღონდ ხანდახან არც ვიცით ხოლმე და, თუ არ გამთქვამთ, ბატონო ჩემო, შეღამების ჟამს ამ ჩვენს ქალაქში ერთი გავიარ-გამოვიაროთ... ოღონდ სუ, ჩუმად, და ფეხაკრეფით, აჰ, - ფრთხილად; ფრთხილად; ქუჩებში როგორ მივიძურწებით - ჩვენი ქალაქი არ იყოს თითქოს... ეგებ არ გნებავთ, ან არ გცალიათ, ვერ დაგიჩემებთ, სხუმის ვიაროთ, და თუ წამოხვალ, მოდიხაართ, არა, ტყუილუბრალოდ კი არ გაკადრეთ, მოცლილო-მეთქი, თუ წამოხვალ, ხომ - ძაალიან კარგი... ოღონდ ჩუუ, ფრთხილად, მაინც რანი ვართ - არავინ გვინდა, რომ დაგვინახოს, გვინდა, არავინ არ დაგვინახოს, რომ დაგვინახოს არავინ, გვინდა, გვინდა, რომ არავინ დაგვინახოს და ჩვენ კი, თავხედნი, ცნობისმოყვარე, მხრებაწურულნი დავიპარებით... ფანჯარას ხედავთ? ხედავთ ფანჯარა როგორ ლიცლიცებს, გაინტერესებთ, იქ ვინა ცხოვრობს, გაინტერესებთ? კიბე არ გვაქვსო - რად გინდა კიბე, აგერ არა ვარ, მოდი, მობრძანდით, ჩემი თავი და თქვენი ფეხები - ჯერ აქ დამადგით ეგ თქვენი ლანჩა - ხომ ასე ჰქვია - ოო, სწორედ აქ, ხელისგულებზე, ახლა კი თმაში ჩამჭიდეთ ხელი, მხრებზე დამადექით ტალახიანი ტერფებით, ნუ გერიდებათ, რაა სასირცხვო, შეჩვეული ვარ მტვერსა და ტალახს, ახლა კი კედელს მიეყრდენით და გაიმართეთ. ფანჯარას მისწვდით? ცოტა გაკლიათ? ო, კი, ბატონო, თავზე დამადგით ეგ თქვენი ფეხი, ეგ არაფერი - ოღონდ კი რამით მომიხმარეთ და... ხანდახან მინდა, მარტო არ ვიყო... და მარტოობის დიდ-ჯამით შევსვი... სწორედ ამიტომ - უცნაურია? აჰ, სულაც არა, დამადგი ფეხი... ახლა კი, კედელს ხომ მიეყრდენით, და გაიმართეთ... თქვენც გიჭირთ ცოტა, ფეხისწვერებზე... აჰ, მარტოობის უძირო ფასი... მე - ქუჩისაკენ პირითა ვდგავარ, თქვენ კი ჩემს თავზე და ფანჯარაში ხომ იცქირებით - დუნედ თუ ხარბად? ნუ გეშინიათ ვერვინ შეგამჩნევთ - მე ხომ ქუჩისკენ პირითა ვდგავარ, მიდით, იყურეთ, და თუ ვიღაცა გამოჩნდა შორით, ხელს მაღლა ავწევ და კოჭზე ორჯერ მსუბუქად მოგიკაკუნებთ - მშვიდად იყურეთ... მშვიდად კი არა, ეს რა ვთქვი, ღმერთო, დე ყოველივე დაგუფლებოდეთ, სიმშვიდის გარდა, აფორიაქდით? ეგ ტულიოა, ლხინის ყმაწვილი, როგორ იცინის, იცინის როგორ... ხომ არ შეგშურდათ? აჰ, არა, არა... აგერ, თუ გნებავთ, ედმონდო ვნახოთ, ამხანაგს ეძებს... მოწყენილია, შეგეცოდათ, ხომ; ხომ შეგეცოდათ, მოწყენილია, ეგ არაფერი, ეგებ... ეგრე სჯობს... ეგრე სჯობს ეგებ...

ცოტათი აქეთ გავისეირნოთ, აჰ, არა, არა თქვენ ნუ ჩამოხვალთ, იდექით თავზე, ეს - მე წაგიყვანთ, ო, რა მძიმე ხართ, თან რა მსუბუქი, მსუბუქი როგორ, ამ კაცს ხომ ხედავთ, გიჟი არაა, არა, რას ბრძანებთ, უბრალოდ, საკუთარ სხეულს მიხრა-მოხრას ასწავლის და სარკეში სწორედ ამიტომ იქნევს ხელებს და საუკეთესოდ იღიმება - დუილიოა, მათი მრჩეველი... რა უნდა უთხრას? რა ვიცი, აბა. იმათ მოსწონთ და, ფუჰ, მომეკიდა, ძაან დიდია ის სავსე ჯამი, ხედავთ ჯულიოს? ჯულიოს ხედავთ? დარბაისელია, ამაყი, დინჯი, მაგრამ ხანდახან მაინც ბითურდება, ცხოვრება რაა... რაა ცხოვრება?! ცოტა - ფანჯრები... ეს ვინსენტეა, რას ლაპარაკობს? დაიმახსოვრეთ, საყელო შებნეული აქვს თუ არა, და მერე გეტყვით თავ-თავის დროზე... ეგ ტერეზაა, ვიღაცას უცდის? არა, არ მივა - ცვლილებებია. ისე, ხომ მოგწონთ? აჰ, რა ქალია, ეჰ, მეც კი მომწონს... აქეთ წავიდეთ, იმ ფანჯრისაკენ, გესმით ეგ, ხმები? გესმით, უკრავენ... გესმით? ხედავთ, ვინ უკრავს... ხედავთ? - სხვისია... ხმათა მეუფის, შეხედეთ ხელებს, სიმებს კენკავენ, შეხედეთ სახეს, გაქვავებაში ამოძრავებულს - მეუფისაა. ვისია მაინც, ნაზი, უხეში, ქალი დაკვრის ჟამს, აღზევებული, თუკი უკრავს და სხვაფრივ - უმწეო... ისე, თუ გიყვართ? ეეჰ, მეც მიყვარს, თქვენ გესმით? - ვტირი... აი, ეს ქალი მეც კი მიყვარდა და იმას კიდევ, მგზავრს, დომენიკოს, იმას ნუ ვნახავთ, ნუ ვნახავთ იმას, არა აქვს აზრი, აქ, ამ ხალხიდან, სუყველასა აქვს თავისი სახე, მხრები, ხელები, მზერა, საყელო, და ამა თუ იმ საგანზე აზრი, ამას კი, ჩემს მგზავრს, მგზავრს - დომენიკოს, ჯერ არაფერი ხომ არ ეტყობა? ხომ არ ეტყობა ჯერ არაფერი... არაფერი ხომ არ ეტყობა ჯერ, რადგან ასე მსურს - ცომია, ცომი, როგორ დავთვერი... მაგრამ მოივლის კიდევ ქვეყანას, ნახავს კამორას, კანუდოსს ნახავს და მერე, მერე - ვიცი ყოველი, წინასწარ ვიცი, ხომ არ ვღრიალებ?... დიდი ბოდიში, გავერთე ცოტა, დიდ ბოდიშს ვიხდი... მაგრამ იმას ჯერ ნუ, ნუ შეხედავთ, აგერ ეს სახლი, სახლი ცისფერი, რა ავეჯია, რა ჭურჭლეული, აქეთ მობრძანდით, არა, მიგიყვანთ, შესწვდით ფანჯარას? რაიმეს ხედავთ? არა, ეგენი ცოლ-ქმარი არ არიან, როგორ გეკადრებათ, ეს ქალი - ცოლის მამიდაა მისი, ძმისშვილი შეუძლოდა ჰყავს, მიზეზობს ცოტას და ძმისშვილისავე თხოვნით სიძეს ზურგსა ჰბანს - რას არ შესწვდება ქურდული თვალი, რა და რა ჰქვიათ? კუმეო და მამიდა არიადნა. და ამ ჯეილის ცოლიც თუ გაინტერესებთ, აქეთ წავიდეთ, ამ ფანჯრისაკენ, მობრძანდით აქეთ, ეს მშვენიერი ახალგაზრდა კი სწორედ ცქრიალა კონჩეტინაა, მჟავეს რომა ჭამს... ხომ არ დაიღალეთ ამდენი ფეხზე დგომით, თანაც, ვიწროდ ხართ - სულაც არა მაქვს ვეება თავი... კიდევ კარგი რომ, ტალახი გახმა - ნაკლებად გიცურთ ფეხი, არა? ეს კი ცილიოს ოთახია, და თუმცა ბნელა, ორნი არიან, აჰ, არა, არა, ახლა მანდ ცქერა არ შეიძლება, საინტერესო კია, იცოცხლე, და უხერხულია მაინც... ერთხელ ხომ ვიყავით უკვე, ოღონდ სულ სხვაგან, გახსოვთ, ვიყავით?.. იმ ორთან, ორნი... იმ ნამდვილ ქალთან... სხვაგან

წავიდეთ, ვიბოდიალოთ, ჩვენ ხომ, მოცლილებს, სხვა საქმე არ გვაქვს... ისე კი გეტყვით, თუ არსად გამთქვამთ, მგზავრს, დომენიკოს, დრაჰკანებიანს, დამკვრელი ქალი მე შევაყვარე, ქუჩაში იდგა, მე კი, ბატონო, მონა-მორჩილმა, ანა-მარია ჩამოვატარე... რა ძალა მადგა, ერთი ხომ ჰყავდა - ტერეზა, ქალი... ასეა, ასე, ჩვენით ვირთულებთ მუდამ ყველაფერს და, წარმოგიდგენიათ, ბატონო ჩემო, ასე განსაჯეთ, რომ შეიძლება, შეიძლება, რომ მესამეც მოჰყვეს... ძირითადგანი, თორემ ისე კი, იცოცხლე, ჭრელჭრულაებს ბევრს შევახვედრებ... კამორას ნახავს, ნახავს კანუდოსს... რა მატლიკინებს, ხელს ხომ არ გიშლით? აჰ, ანტონიოც, ჩვენი მღებავი, და მხიარული ქალიშვილები - ორნიღა დარჩნენ, გაუთხოვარნი, ეს მესამე კი ცოლია მისი, ვეღარ იცინის კვლავინდებურად, რა სხაპასხუპით მოგაყარეთ, ხომ? ხანდახან აზრი გადამცდება და ამიტომაა, რომ სხაპასხუპით... ეგ არაფერი, თქვენ, თქვენ - იყურეთ... ოღონდ იყურეთ - თქვენი თვალები და ჩემი თავი - ოღონდ იყურეთ და, თუ მოგწყინდათ, - თქვენი ხმალი და ჩემი კისერი - აგერ არა ვარ, წამსვე დამხურეთ... მე კი, მანამდე, შევითამაშებ, არ ჩამოვარდეთ, ჰეჰ! - მხიარული მეომარი, მანუელო კოსტა! ჰოპ! ხომ არ ტორტმანებთ, ისიც დაგვიცდის, იის, მიჩინიო... და დონ დიეგო, ვჩურჩულებ გესმით, ამ უცხო სახელებისა ნუ გერიდებათ - დიდი ამბავი! დოონ დიეგო, დონ... და ვაკეირო, გულადი მწყემსი ძლიერ უბრალო სახელით - ზე ერქვა მხოლოდ... ცოლ-შვილი ჰყავდა... ცოტა დავლიე, არა მიჭირს რა, თქვენც ყლუნწეთ, არა? საკვირველია, ასე ნასვამნი, ფეხზე რომ ვდგავართ, თანაც თქვენ - თავზე... ეს ყველაფერი, ძალიანა გთხოვთ, ხუმრობაში ჩამომართვათ მხოლოდ და ახლა - დროებით, ჩვენ-ჩვენი გზა გვაქვს, გვაქვს ჩვენ-ჩვენი გზა, გზა გვაქვს ჩვენ-ჩვენი და არ გეწყინოთ კი, რომ მე უთქვენოდაც შემიძლია ფანჯრებში ცქერა... რაღაც უხეში გაკადრეთ, მგონი - ხომ არ გეწყინათ, ჩემთვის რომ საჭირო არაა თქვენს თავზე ფეხის შედგმა... ცოტას კი ვნანობ, რაღაცეები რომ წამომცდა და, რა ვუყოთ მერე... ორი სასმისით ნასვამი გახლდით, თანაც, საღამო, მოგეხსენებათ, საღამო ჟამი და თუ არ გჯერათ, რომ საღამოა, აქვე ვიყვირებ: „სა-ღამოს რვა საათია და ყველაფერი...“ ყველაფერი კი, ვითომ?

აჰ, ცვლილებანი...

ანა-მარია!

და ფიქრი, ფიქრი, სათაურით - „ვთქვათ...“

ანა-მარია, ვთქვათ, ქუჩაში მიდის, უმწეოდ იღიმება... ის თეთრი კაბა, სადა კაბა აცვია თეთრი, ქუჩაში მიდის, ფეხს ფრთხილადა დგამს, ნაფეხურები - ვთქვათ და თოვლია... არა, თუკი თოვს, მბზინავ მოსასხამში შეფუთვნილს, შავი თვალ-წარბი

მოუჩანს მხოლოდ, და, შემცივნებულს, ნიკაპი მკერდზე დაუბჯენია, თბილ ყელსახვევში სუნთქავს და სუნთქავს, თბილი ჰაერით ნოტიოვდება გრილი ტუჩები, სპეტაკ სახეზე ისე ვარდისფრად გამოხაზული, თავდახრილს ათოვს, გათენებულა... არა, არ უნდა მგზავრს, დომენიკოს, წამოდგომა და პირის დაბანა, გამოფხიზლება არა სურს, არა, ისე სჯობს, ასე, ზარმაც თვლემაში ფიქრი და ფიქრი, ის ჯიუტი „ვთქვათ“ - ეს რა სიტყვაა, ყველაფრის შემძლე, ყოვლისმომცველი...

- ხომ არ ისაუზ...

- არა, არა.

- კეთილი, სენიორ.

ფუჰ, ჩაუშალა... რას შემოეთრა, ვინმე თუ მოვა, ასე ცოცხალი, წითელლოყება, მერე ძნელია, ძნელი - უკარებაა ვთქვათ... უხ, ეს ნივთებიც, ასე ნამდვილი, ისეთი ცრუ... საბანი წაიფარა თავზე, მოიკუნტა და ნელა, მძიმედ ატივტივდა იმ გამთბარ სიბნელეში მისი უსასწაულმოქმედებულესობა - ვთქვათ - ანა-მარია დიდ ველზე მიჰყავს. რაღა თქმა უნდა ველი მწვანეა, თუმცაღა - არა, არა, ვინ მოგვისაჯა ველთა სიმწვანე - იისფერ ველზე ორნი მიდიან... სულ სხვა ფერები: ლურჯ მდინარეზე - ყვითელი ხიდი, ამოზნექილი და მოქანავე, გადასასვლელი, ხელზე ეყრდნობა მშვიდად დამფრთხალი, უმწეო ქალი...

ამ დროს ედმონდოც თავის ოთახში ტახტზე იწვა და მუცელში რაღაც ჯიუტად, მოურიდებლად ღრღნიდა. იმანაც რამდენჯერმე დააპირა წამოდგომა, მაგრამ გადაიფიქრა. მერე მაინც წამოჯდა, მსუბუქად დაეხვა თავბრუ, გაკვირვებულმა, მუცელზე მიიდო ხელები - დანა ატაკეს... მოეჩვენა, რა თქმა უნდა, ნამდვილად კი არა - ესეც „ვთქვათ“ გახლდათ - ოთახში მარტოდმარტო იყო, ისე კი, დანის ტაკებას ძალიანა ჰგავდა. ტკივილმა რომ გადაუარა, სქელი წინდები ჩაიცვა, ჩექმებში ჩაყო ფეხი, ისევ დაეხვა თავბრუ, ფეხებშიაც ღრღნიდა, წელათრეული, ფანჯარასთან მივიდა. გაზაფხულის ძალიან თბილი დღე იდგა, ქუჩებში გამოფენილიყო ხალხი... მოღონიერებული მზისკენ აეშვირათ სახე, იღიმებოდნენ. ვიწრო ოთახისა შეეშინდა ედმონდოს, ქუჩა მოუნდა. წვალებით შეიკრა თეთრი ხალათის ღილები, თავბრუ დაეხვა...

დომენიკო კი ისევ იწვა. იწვა - ნებივრობდა - ანა-მარია წვიმაში მოხვდა, ვთქვათ. უცებ რომ დასცხებს, მხიარული შხაპუნით, ისეთში... ხისკენ მიაშურებს, ოღონდ სირბილის რატომღაც რცხვენოდა და ოდნავ აჩქარებული ნაბიჯით, სახეალეწილი, გაფოთლილ ტოტებქვეშ შეაფარებს თავს, სახეალეწილი - დომენიკოც იქვე დგას,

რადგან... თავის მოსასხამს მოარგებს მხრებზე, თვალებში შეხედავს, განზე და დაბლა იყურება ფერმკრთალი ქალი, ერთიანად აკრეფილი და თხელი, ჯიშიანი ნესტოები უთრთის, ლამაზად ინაცვლებს ფეხს, ლამაზია და აშოლტილი, სუსტიც, უმწეო, უნებური სიამაყითა და სევდითაც სავსე - ანა-მარია ქალი იყო, მაგრამ შველს ჰგავდა...

- ეე, ბოდიში... ავად ხომ არ ხართ?

- არა. არა, კაცო, არა, „შემიკლა ხელში! მაინც არ მომასვენებს... ქუჩაში ხომ არ გავსულიყავი... ეგება შემხვდეს“.

ათიოდ სახლს იქით, არც თუ ისე შორს, ედმონდო კიბეზე ჩამოდიოდა. სახელურისთვის ჩაეჭიდა ხელი, ფრთხილად ჩადიოდა, მაგრამ ტკივილმა ორად მოხარა. ხელები ისევ მუცელზე იტაცა, მოიკაკვა, ძლივს ამოისუნთქა, ოდნავ ეშველა, ორივენი გაყუჩდნენ, ისიცა და ჩასაფრებული ტკივილიც თითქოს ღონეს იკრებდა, ხელის ზურგით მოიწმინდა ოფლით დაცვარული შუბლი, კიბე ჩაიარა, კედელს გაუყვა. თავბრუ რომ დაეხვეოდა, მხრით ეყრდნობოდა კედელს და ასე იდგა, თვალს არიდებდნენ... და მწვანე, მრგვალი ჭიანჭველები...

ის ოხერი არტურო მაინც არ მოასვენებდა; გაბრაზებულმა, ფეხი კრა საბანს, იატაკზე გადმოაგდო. ხალათს დასწვდა და ისე ღონივრად ჩამოიცვა ტანზე, კინაღამ გაფხრიწა. „ეგება შემხვდეს...“ და ამაყად ჩაირბინა კიბე, ანა-მარიაზე ფიქრისას რატომღაც მოუნდა, ლამაზად ემოძრავა, ამაყად და კოხტად, ვიღაც ჯიუტად უთვალთვალებდა და დახვეწილ მოძრაობებსა სთხოვდა; რა იყო მაინც, ეს რა ხდებოდა... ეზოში დოქს წაატანა ხელი და წყალი ცალი პეშვით სამჯერ იპკურა. ლამაზ-ქალაქის ბინადარნი ქუჩა-ქუჩად გამოფენილიყვნენ, დიდიან-პატარიანად და, გაზაფხულით გაბრუებული, უგოც კი აღარ იმუქრებოდა, მაგრამ დომენიკოს მოჰკრა თუ არა თვალი, ისე შეშინდა, გაფითრდა კიდეც და თვალს მიეფარა. „რა ემართება ჩემს დანახვაზე... უცნაურია...“

ედმონდო კი მხრით მიჰყრდნობოდა კედელს, ცისფერი საღებავით ამოთხვრილიყო. თვალს არიდებდნენ, მაგრამ იმას მაინც არავისი დარდი არა ჰქონდა - გაღონივრებულ გულისცემას ყურს უგდებდა, გაკვირვებული. რაღაცას იმუქრებოდა განრისხებული გული, ჯერ სხაპასხუპით აბორგდებოდა, მიჩუმდებოდა მერე, მაგრამ ეს გატრუნვა უფრო საშიში იყო და ამაზრზენი, გულისა ისევ მუქარა სჯობდა და ედმონდო გაკვირვებული, აუზისაკენ მიიკვლევდა გზას და გული რომ არა, არც გაუძნელდებოდა მისვლა - გზიდან ყველანი ეცლებოდნენ. მეუღლიანა სასეირნოდ გამოსულმა ანტონიომაც საჩქაროდ აარიდა თვალი, ცილიომ წამით ზიზღიანად

შეავლო მზერა და პირი იქცია. „აუჰ, გამობრძანებულა ესეც, - მხიარულად გაიფიქრა ტულიომ, მიმოიხედა და - შორს დომენიკოს მოჰკრა თვალი, - ოჰო, ვინ მოდის... ორი შუშხუნა...“ ედმონდო კი აუზთან მივიდა, ძალიან მოუნდა თავისი ქალაქის წყალი, მაგრამ ქვის ლომთან თვით დუილიო და დარბაისელი სენიორ ჯულიო იდგნენ, თავაზიანად უსმენდნენ აღშფოთებულ მამიდა არიადნას:

- გაიგეთ? წუხელის თურმე ვიღაც ორი სალახანა დაიარებოდა ლამაზ-ქალაქში, ერთი მეორის თავზე იდგა და ფანჯარაში ჩუმად იცქირებოდნენ. ვინ იყვნენ მაინც, კაცმა არ იცის. კეთილინებეთ და ამიხსენით - ეს რა წესია? სალახანები!..

- ქურდულად ცქერა - გაიძვერობის საწინდარია...

შიგ ყელში მძლავრად ურტყამდა გული. ერთი წაქცევა ქვეყანას ერჩია, მაგრამ აქ, ხალხში, მისთვის უკარება ხალხში ერიდებოდა. და ჭალისაკენ დაადო თავი, აბარბაცებულს, სუნთქვა ეკვროდა, რკინად ქცეული ჰაერის ჩაკბეჩა სურდა... მთელ თავის მოკლე ცხოვრებაში ამხანაგთმაძიებელს, აღარავისი დანახვა სურდა... სადმე შორს მარტო... დომენიკომ კი უხეშად მოიცილა ტულიო და თეთრხალათიანს აედევნა, ზედ ჭალის პირთან დაეწია, აჰ, სხვა ყოფილა, მაგრამ ნაბიჯი, უზომო და არეული... რა დაგემართათ... შენ ხარ, ედმონდო? ედმონდო, გესმის?.. იმან კი ხელისგული აჩვენა, სუსტი ბრძანებით გააქვავა ადგილზე, რა იდუმალი ძალა ჰქონდა მაინც თვალებში - მწვანედ უკიაფებდა მზერა, უცნაურად განათებული მწვანე იყო - ჭაობისფერი, მზე რომ ყვითლად ააკიაფებს და სწორედ იმ გადაჭრილ ხესთან წამით ჩამოჯდა თუ არა, მაშინვე წამოიჭრა ზეზე, იმ გაჭრილ ხეს გაეცალა და აღტაცებული, გახევებული, რაღაც შორეულს, ყურით კი არა, მთელი სხეულით უსმენდა ედმონდო, ცალხელგაშვერილი, მეორე კი ყელზე მიედო. გამწარებისაგან გადაქანცულ, აბორგებულ გულთან, ორიოდ წამს ასე იდგა, ისმენდა იმას, როდესაც თურმე მთელი ცხოვრება გაგახსენდება - ორიოდ წამში - დაეცა მერე... ჯერ ჩაიჩოქა, პირქვე დაემხო... ფხვიერ მიწაში თითებჩასობილს, ზურგზე დაეტყო, მადიანად იზმორებოდა...

და აცახცახებული, არეული დომენიკოს სიტყვების გაგონებისთანავე ლამაზ-ქალაქელები ჭალაში რომ მიცვივდნენ და ედმონდო პირაღმა გადმოაბრუნეს, გაშრნენ - ამაყი იწვა, არვინ უნდოდა...

და მაინც, ტახტზე რომ დაასვენეს, ვერავინ სცნობდა - ყველასათვის უცხო, ამაღლებული, თავისუფალი იწვა - არავინ სურდა!

დედას კი თუმცა არ უყვირია, არც ჭაღარა არ დაუგლეჯია, ლოყებიც არ ჩამოუხოკავს და თავშიაც არ წაუშენია ხელი - ყველანი მიხვდნენ, როგორი ყოფილა ჭეშმარიტი

გლოვა: იმან, მოხუცმა, უბედურებით გაკაჟებულმა, ცივ ხელზე დაადო ხელი და, დიდებულს, ამაყს, უსაყვარლესს, მხოლოდ ეს უთხრა, გაოცებულმა ესა თქვა მხოლოდ:

- რად არ უყვარდი არავის, შვილო.

ეჰ, სხვისი ჭირი...

პატრიცია, სასაცილო ქალი

ჭალაში ფერად ნოხებზე ისხდნენ. ლამაზ-ქალაქის რჩეული ახალგაზრდობა, შუახნის კაცთან - მიტმასნილ ალექსანდროსთან ერთად, გაზაფხულის თბილ, მზიან დღეს ქალაქის განაპირას, ჭალაში ატარებდა, და თუმცა მხიარულ ქალიშვილებს ერთი სული ჰქონდათ, აკისკისებულიყვნენ, დროსტარება ვერ აეწყო რაღაც, დაღვრემილები ისხდნენ. რა მოხდებოდა, ანა-მარიაც რომ ყოფილიყო, მხოლოდ იქ მოჰკრა გუშინწინ თვალი, ლამაზ-ქალაქის სასაფლაოზე.

- შენ მაინც რამ დაგაღონა, ალექსანდრო?

- თქვენს ხელში... რა ვიცი, აბა, ცილიო-ჩემო.

- ტულიოს ბრალია, - ცოტათი გაიბუტა კონჩეტინა, - ეგ რომ მოიწყენს, ყველაზე გადადის ხოლმე.

ტულიოს ესიამოვნა, მაგრამ არ კი შეიმჩნია.

- კი ბატონო, - გაკაპასდა კონჩეტინა, - ვიჯდეთ ასე... ოო, ვინ მოდის.

- ვინ? - თავი ასწია ანტონიომ.

- პატრიცია, ტიპუსი. ახლა კი ვიცინებთ, იცოცხლე - შტერი, შტერი, მეტი რომ არ შეიძლება. ახლახან ქმარს გაჰყრია, კუმეო, ცხვირსახოცი არ ამოგივარდეს, ცუნ-ცულა, და ნახეთ, რეებს მოვაყოლებ.

- რეებს? - დაინტერესდა ტულიო, - ახალგაზრდა ქალი ძალიან მიმზიდველი ჩანდა, - ჩვენთან მაინც არ გადაგიშლის გულს. მე, მაგალითად, საერთოდ არ ვიცნობ.

- არც მე.

- არც...

- მაგას არა აქვს მნიშვნელობა, ეგ ისეთი სასაცილოა, ისეთი მიმნდობი. საწყალი, ასე გაზარდეს და რა ქნას, ახლა კი, ნახავთ, ნახავთ, რა იქნება, კარგი რა, კუმეო, სირცხვილია... პატრიცია!

ქალი შეჩერდა და ერთხანს დიდის გაკვირვებით შეაცქერდა კონჩეტინას, მერე კი ღიმილმა გაუნათა სახე: - ოჰ, შენ?

- სალამი, სალამი, გამარჯობა, გენაცვალე, - გადაკოცნა კონჩეტინამ, პატრიციამაც თვალები დახუჭა და ისე აკოცა - როგორა ხარ?

- ეეჰ, ცუდად, ცუდად, ჩემო... იცი, შენი სახელი დამავიწყდა.

- კონჩეტინა.

- ცუდად ვარ, ცუდად, ჩემო კონჩეტინა, ეეჰ, რა ცუდად გავთხოვდი.

კონჩეტინამ გამარჯვებული მზერა მოავლო საზოგადოებას:

- რას ამბობ, მართლა? აჰ, რა ცუდია, ჩამოჯექი, ჩემო პატრიცია, აგერ დაჯექი და გვიამბე.

ყველანი შესცქეროდნენ ქალს - ძალიან ლამაზი იყო, ოღონდ სახეზე უჭკუობის დამღა აჩნდა.

- ეეჰ, რა ცუდად გავთხოვდი, - დაიწყო პატრიციამ, - მე კი იგი ინტელიგენტი მეგონა. ხომ იცით, განათლებული კაცი, ნაკითხი, და მე, გამოუცდელი გოგო, ისე მომაჯადოვა... ერთხელ დიდ ბაღში დავუნახივარ, ვარდების ბუჩქთან და ასე უთქვამს თავისი მეგობრისათვის: „ვინ არის ნეტავ ეს გოგო?“ მე მას თავიდან მოვეწონე, მაგრამ რად გინდა... შენ მაინც ხომ იცი, კონჩეტინა, თუ როგორი ოჯახია ჩვენი, დედა როგორია, მამა... თავიდანვე ისე იქცეოდა, ჩვენს ოჯახში რომ შემოვიდა, რომ.. როცა სადილად მოდიოდა, ყველანი ვკანკალებდით. მაგიდაზე აბრეშუმის ხელსახოცები უნდა ყოფილიყო, თორმეტი ცალი, და ძვირფასი სუფრა, ამოქარგული, იძახდა, ინტელიგენტი ვარო. მეც ასე მეგონა... რომ ისადილებდა, სუფრაზე შავ ღვინოს აპკურებდა, ვახშმადაც ეს სუფრა არ შემომაპაროთო... მოვკვდი რეცხვით, კონჩეტინა, მოვკვდი... ბალიშისპირზე ერთხელ თუ დადებდა თავს, მეორე დღეს როგორ იკადრებდა. ის კი არა, ღამით თუ გაეღვიძებოდა, გვერდით ახალი ბალიში ედო და იმას იდებდა თავქვეშ - სახეზე ნაოჭები აღარ გამიჩნდებაო. შენ მაინც იცი, კონჩეტინა, როგორ მზრდიდნენ, დიდედა განა რამეს დამავალებდა? გაგიჟებული მიყურებდა და მეუბნებოდა, ო, პატრიცია, შენ უნდა დადგე და აუთოვო? განა

ამისთვის ისწავლე ლირაზედ დაკვრა? არა, ის ნამდვილად დესპოტი იყო და სადისტი, ფული... ფულზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. უმაღლეს საზოგადოებას ხომ ვერ ჩამორჩებოდა - ქაღალდს თამაშობდა, წარმოგიდგენიათ? ვალი როცა ჰქონდა, ჩემ ზურმუხტის ბეჭდებს ვყიდდი და ფულს ვაძლევდი, აბა, რა მექნა. პურის ფული რომ პურის ფულია, ისიც კი არ მოუცია თავის სიცოცხლეში. არა, უბრალოდ ბოროტი ადამიანი იყო, მე კი იგი ინტელიგენტი მეგონა. როცა ფეხმძიმედ ვიყავი და, ვთქვათ სამზარეულოში იდო ყურძენი და ძალიან მომინდა, არა? - მე ხომ ფეხმძიმედ ვიყავი - არ შემეძლო ამის თქმა, ვერ გავბედავდი.

- რატომ?

- რა ვიცი, რატომ. აი, ვერც კი გავბედავდი ამის თქმას - ოთახიდან სამზარეულოში ვერ გავიდოდი.

- რატომ, პატრიცია?

- აი, რა ვიცი, რატომ, უბრალოდ, ასე იქცეოდა... მე კი იგი ინტელიგენტი მეგონა. იმან ნამდვილად თავგზა ამიბნია, თორემ სულაც არ ვაპირებდი გათხოვებას. აი, ახლაც სადმე რომ შემხვდება, მაჯადოებს და სასწრაფოდ გავეცლები ხოლმე, კიდევ რომ არ მომაჯადოვოს და არ შემირიგოს. იმისი ცოლობა კი საშინელება იყო - კვირაში რამდენიმე ღამეს სულაც არ მოდიოდა სახლში, მეუბნებოდა, დედაჩემი უჩემოდ ვერ იძინებსო. დღეს დედასთან უნდა დავრჩეო და ისე კი, როგორც წესი, ღამის ორ სათამდე არ მოდიოდა. რომ ვკითხავდი, სად იყავ-მეთქი, დედას ვაძინებდი, დედიკო ისე არ დაიძინებდა, ხელზე თუ არ ვეამბორეო. ისე კი, სინამდვილეში, თურმე გლახა ქალებში დადიოდა, წარმოგიდგენიათ, როგორი საზიზღრობაა?

ტულიომ ამაყად გაიღიმა და, ხალიჩაზე წამოწოლილმა, თითები აითამაშა მუხლზე.

- მაშინ ვერაფერს ვხვდებოდი, ბავშვი ვიყავი; და თურმე ისე სასტიკად მატყუებდა, მე კი, სულელს, ინტელიგენტი მეგონა. თანაც, ხომ იცი, ქალებს რატომღაც მოსწონთ ასეთი ტიპები, წარმოგიდგენიათ? თუმცა, რაღა შორს წავიდე, მეც ხომ მომწონდა... მართლა, წლოვანებას აღარ იკითხავ? ახლაც არ ვიცი, ზუსტად რამდენისაა. როცა შევცდი და მივთხოვდი, ასე ამბობდა, ოცდათორმეტისა ვარო, მოწმეებს ხომ არ მოვთხოვდი, სიტყვაზე ვენდე, სინამდვილეში კი ორმოცდაერთი წლისა ყოფილა, ორმოცდაერთისი, მე კი იგი ინტელიგენტი მეგონა. არა, ნამდვილად მომაჯადოვა, რაღაც ჯადო იხმარა, თორემ როგორ გავყვებოდი, მე სულაც არ ვაპირებდი გათხოვებას და, წარმოგიდგენია ჩემო, ეე...

- კონჩეტინა.

- წარმოგიდგენია, კონჩეტინა, რა დღეში ჩამაგდო?

- ასეთი საზიზღარი კაცი იყო? ჰმ, საზიზღარი...

- სწორედ ასეთი, ჩემო კონჩეტინა, მე კი იგი...

„ქალი სულელი უნდა იყოს, - ფიქრობდა აღფრთოვანებული ტულიო, - ისე არაფერი უხდება, როგორც სისულელე, ღმერთო, რა მშვენიერია...“

- ახლა კი წავალ, ჩემო კონჩეტინა, ბავშვი ჰაერზე უნდა გავიყვანო, გაიღვიძებდა.

- გყავს ბავშვი?

- კი, სამი წლის გოგო, ისეთი კარგია, - პატრიციას თვალები აუცრემლდა.

- კარგად იყავი, ჩემო კეთილო.

- ბოდიში, თუ შეიძლება, ერთის წუთით, - წამოდგა ცილიო, - ნუთუ ის მართლა ისეთი საზიზღარი მხეცი იყო, რომ ქარვისფერ ყურძენსაც კი ვერ მიირთმევდით თქვენ - ასეთი შესანიშნავი არსება, და თანაც, თა-ანაც, თქვენს იმ მდგომარეობაში?

- რა მდგომარეობაში.

- აი.... - თქვა ცილიომ და თვალები ერთბაშად აუციმციმდა, - ფეხმძიმედ რომ ბრძანდებოდით... აჰ!

- აბა?! იმ მდგომარეობაშიც კი... - თქვა პატრიციამ და კონჩეტინას მიუბრუნდა, - რა კარგი ბიჭი ჩანს, მშვენიერი ყმაწვილია, რა ჰქვია?

- ცილიო.

- კარგი სახელია.

მაგრამ ყოველივე ეს ისე გულგრილად, ისე დაუდევრად თქვა, ცილიოს ერჩია, მკლავზე მსუბუქად, ოდნავ ვერაგულად რომ შეხებოდა და იმას კი სილა გაეწნა. იქვე ჩაჯდა. ახლა უკვე სისულელე იყო გაცილებაზე ფიქრი.

- ეგება დარჩე?

- არა, კონჩეტინა, ბავშვი ჰაერზე უნდა გავიყვანო. ერთი დღეც რომ გავუცდინო, მაშინვე ფერს ჰკარგავს. ნახვამდის, კონჩეტინა, - და ლამაზად წავიდა.

ტულიომ კი თვალი გააყოლა და მტკიცედ გადაწყვიტა ერთი რამ.

პატარა ხანს ჩუმად იყვნენ, კონჩეტინა გამარჯვებული შესცქეროდა ყველას.

- ვა, რა მაზალო ტიპი იყო, არა! - დაიყვირა კუმეომ და მხიარული ქალიშვილები წამსვე აკისკისდნენ.

- ხომ გითხარი, ცუნ-ცულა, აკი გეუბნებოდი.

აქ კი ალექსანდრომ ვეღარ მოითმინა და სიტყვა აიღო:

- რაღაც უნდა გითხრა, კონჩეტინა. რომელი ყოფილხართ კალაბრიაში?

თურმე არც ერთი.

- კალაბრიაში კლდოვანი, ძალიან ძნელად, უუძნელესად დასამუშავებელი მიწაა - შორიდან წამოიწყო ალექსანდრომ, - რკინის მძიმე, წვეტიანი ლომი უნდა ურტყა, დამუშავებას თუ მოისურვებ. ყოველი გოჯი - ეს წამებაა, შენ კი, კონჩეტინა, ახლა რომ გიყურებ, აბა, ცოტათი შეატრიალე თავი... ჰო, აი ასე - შენს თავს რომ ვაკვირდები, მიუხედავად აფუებული ვარცხნილობისა, მაინც ვხედავ, შიგნით რა ხდება. შენ ნაზი ტვინი გაქვს, კონჩეტინა, აქა-იქ ნაოჭებით მკრთალად გადახაზული, მაგრამ შენი თოთო ტვინი გაცილებით უფრო ძნელი დასამუშავებელია, ვიდრე კალაბრიის მიწა!

ასეთი გაბრაზებული იქამდე არავის უნახავს.

- ერთი ბეწო რაიმე ადამიანური რომ შეგაგნებინოთ, რკინის ლომიც კი არ მიშველის, აგერ, გრძნობაზე ხართ და შენ კი, კონჩეტინა, მართლა სულელივით რომ აპარპალებ თვალებს, რკინა რომ ჩაგცხონ, ღმერთმა დაგიფაროს და, გულწასული მიხვდები რამეს? არადა, ლაპარაკი თქვენ არ გესმით, არც დარიგება, ადამიანებში ხომ ვერ ერკვევი და ვერ ერკვევი და სხვა რა გიყო, რომელი მხრიდან მოგიდგე, კონჩეტინა, ბრიყვო? რაღა გაკადრო სხვა...

- ამაზე მეტს რაღას აკადრებ, ალექსანდრო, - ყალბად გაუღიმა ტულიომ და დააყოლა, - უყურეთ, გაბრაზებაც რომ სცოდნია ამ მათხოვარს...

- მათხოვრის ხმა მესმის! - დაიგრგვინა ალექსანდრომ, - ნამდვილი მათხოვრის ხმა - წამო, შუშხუნას დაგალევინებ... თქვენ არც კი იცით, ვინ იდგა თქვენს წინ, ბევრი კი გეგულებათ ასე მიმნდობი, ისეთი სათნო?

და უცებ კონჩეტინა გაკაპასდა, წამოხტა და ქუსლი დაჭრა მიწას. ალექსანდროც განრისხებული გახლდათ და მოკლე-მოკლე წინადადებებს ისე სტყორცნიდნენ ერთმანეთს, თითქოს შუბს ასობდნენ ხეში:

- რით დამიმტკიცებთ!

- რას!

- სულელი რომ ვარ!!

- მაგას რა დამტკიცება უნდა!

- სცადეთ, აბა!

- ვცადო?

- დიახ!

- საბუთი გნებავთ?

- კი!

- კი ბატონო!

და ალექსანდრომ უცებ საშინლად დაიღრიალა:

- აღსდექ, კუმეო.

აგურის მომცრო, პატარა სახლი

ლამაზ-ქალაქში ვარდისფრად და მოცისფროდ ღებავდნენ სახლებს, ის კი, ის ერთი, აგურის სადა, უბრალო სახლი, ანა-მარიასი... სევდანარევი ბურუსით მოცული სამფლობელო... ღამის დარაჯი, ლეპოლდინო, არასგზით აღარ აივლიდა აგურის სახლთან, რადგან ღამ-ღამობით, მამლის ხმობამდე, ვიღაც შავმოსასხამიანი, თვალზე ქუდჩამოფხატული ადამიანი იდგა - ის ჩვენი მგზავრი, ყრმა, დომენიკო. სამნი ცხოვრობდნენ პატარა სახლში - უკბილო კაცი და მისი შვილი, უმწეო ქალი, და კიდევ ერთი - ხმათა მეუფე. დომენიკო, გრილ კედელს მხრით მიყრდნობილი, უცნაურ ხმებს სულგანაბული უსმენდა. რა იყო მაინც, რა სული ედგა ხმათა მეუფეს, გამოუცნობი - თავი და თავი ფრინველი იყო, მერე ზღვა, ბნელში აქაფებული... მიწის სუნი და უცხო ფერებით, მომფერებელი, მესაიდუმლე... ამაყი ტანჯვის მომგვრელი ხმები... უცხო ქვეყანა, მონატრებული, ხმათა დუღაბით აგებული და მსუბუქი, რბილი... უსწორმასწორო, დაბალი საფეხურებით ტალღად დარწეული კიბე, ხან

ზევით, ქვევით, ზევით, კვლავ ქვემოთ და მაინც მაღლა, სულ მაღლა, მაღლა - მეუფისაკენ... ორნი უკრავდნენ, მამა და შვილი, ოღონდ - ცალ-ცალკე, არასდროს ერთად... და რომელიღაც უკეთ უკრავდა... რას ანიშნებდნენ მაინც ეს ხმები - ფერად-ფერადი, უცხო, ნატიფი - ღრუბლებში წოლას? რიჟრაჟის სიზმარს, გაუხსენებელს? უცხო ბუხარში რაღაც იწვოდა, სველი შიშინით, და მხურვალე კი არა, მოთბო ალი ჰქონდა, ამ უცხო სითბოში იდგა აგურის კედელს აკრული მგზავრი, დომენიკო, და სევდანარევი ბედნიერება, ეს თბილი ალი - თვით სულს ათბობდა!

ნაშუადღევს კი, მოდი და უგდე ყური - „წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებ!“ იქაურობა - ისე ნამდვილი, ისეთი ყალბი, უინტერესო და უნამუსო სინათლით გაშუქებული, ეეჰ, საღამომდე... ახლა კი: „ოოჰ, ქაფქაფა... დამეწვა ყელი...“ მაინც მიჰყვებოდა, სვამდნენ... ჯუზეპე როხროხებდა, ჯუზეპე, სამგზის გალახული... კმაყოფილი ცილიო ეშმაკურად ნაბავდა თვალებს, - „არა, არა, ისე, უბრალოდ გავისეირნეთ“. „თუთ, მელაკუდავ, - უღიმოდა ტულიო, - იმ ოთახში რომ შეიყვანე, ჭუჭრუტანიდან გიყურებდით და ყველაფერი დავინახე“, „ყველაფერი?“ „დიახ“. „რა ყველაფერი...“ „რა და... რაც მოხდა“. „ყველაფერი, რაც მოხდა?“ „დი-ახ“. „ჰეე - უკვირდა ცილიოს, - ყველაფერი, რაც მოხდა, მე თვითონაც კი ვერ დავინახე და...“ „ოხოხო, რა ხარ“, - თავს გადასწევდა ტულიო, ლაღი, ახარხარდებოდა, თხელი ნესტოები უთრთოდა. „სანამ პირში სული მიდგას, უბადლო ჭეშმარიტების მსახური და უკვდავ სიბრძნეთა უმარტივესი სიტყვებით მქადაგებელი ვიქნები, - ეუბნებოდა მკერდზე მუჭებმიხუტებულ მამიდა არიადნას დუილიო, როგორიც იყო, - მაგრამ როცა მოვკვდები, დაე, საფლავზე დადგან ტირიფი და ალვა, რადგან ალვა - ეს მე ვიქნები, ტირიფი კი - მხრებჩამოყრილი ზოგადი კაცი, თუმც არა, არა, მრავალი ტირიფი დადგან ჩვენმა შვილთაშვილისშვილებმა და შუაში კი კენტი ალვა - ასე უფრო გამოჩნდება ჩემი შეუვალობა“, - და აქ ხასიათი უფუჭდებოდა, რადგან ალექსანდრო შეუძახებდა, - სამგზისი ვაშა, დუილიო - მხურვალე სალამი, ხელში კი - კალამი, ეგ უსათუთესი აზრები შთამომავლობას რომ არ დაეკარგოს. ისე კი, ტირიფს კი არ დგამენ, არამედ - რგავენ...“ „დიდად საკვირველია, რად შეიყვარა, - ეუბნებოდა კონჩეტინასა და კუმეოს დანახვაზე საყელოშებნეული ვინსენტე ცილიოს, ის კი, პასუხად: „მამაკაცადაც დიდი ვერაფერიშვილი რომ არ ყოფილა?“ „რა იცი“... „აგერ, ლუარას ვთხოვე და გამიგო...“ „ეგებ იმ ერთხელ ხასიათზე არ გახლდათ.“ „მეც ეგრე ვიფიქრე, მაგრამ ჯანეტმაც დამიზუსტა“. ხოლო კონჩეტინა ლორთქო ბალახივით ეფერებოდა გულის რჩეულის ეკლოვან თმას - „ცუნცულ, გიყვარვარ?“ „რო არ მიყვარდე, - ამაყად მიუგებდა კუმეო, - ცოლად წაგიყვანდი?“

ღამღამობით კი, აგურის სახლთან, დღით მოწყენილი სული თბებოდა... უცხო ენაზე საუბრობდა რაღაც საკრავი, გაბმული ხმოვანებითა და იდუმალი, ღამეულ ტყეში დაბადებული თანხმოვნებით სავსე... თოვა, ფიფქები... თოვს და კვლავ თბილა... წკრიალა ღელე, მოძრავი ჩიტი და მოვარდნილი უცებ ხალისი, რაღაც დაიქცა! აწყვეტილი კვიცი, თოკის ნაგლეჯით კისერზე და უხვად ბოძებული საკენკი - ბეღურათა გუნდს... და მაინც სევდა, რაღაცა სევდა - შორია მუდამ ხმათა მეუფე, გინდ ლაღი იყოს, გინდ - ბედნიერი... და თუ მოიწყენს, რა შეედრება - უნაყოფო ხე? ჭა ამომშრალი? თუ დიდი ველი, მიტოვებული, გადაუხნავი მიწა, ეჰ, უპატრონო მიწის სევდა, სევდა - სახნისად მოკიდებული უცხო მგზავრის სულს, და უმწეო ქალის უხილავი თოკით დაბმული მგზავრი, ხელებშეკრული, გაკოჭილი, პირში გორგალგაჩრილი, და მაინც სული - თავისუფალი, ატკივებული, თავისუფალი სული, ოო, უკრავდნენ, ოო, ეს ბგერები, ეს ხმები, ხხმები...

ნაშუადღევს კი... რა ქნას, რაღა ქნას, აივანზეა, ჰაერი უნდა თავისი წილი. ფარდის იქით კი, არტუროს ოთახთან, რაღაცას ჩურჩულებდნენ... ბევრნი არიან, ალბათ... გულზე ხელებდაკრეფილი, კეფით მიყრდნობოდა სავარძელს... ცუდი დღეც იყო, განათებული, მზიანი, ბურუსი ერჩია... და ის მშველელი, ყოვლისშემძლე „ვთქვათ“ - თვალი დახუჭა, ღამეა, ღამე, რა სიმშვიდეა, ინატრე, რაც გსურს, მაგრამ, დასწყევლოს... იქ, ფარდის უკან, უშნოდ გაისმის სისინ-შიშინა თანხმოვნები, მერე ჩურჩულმა იმატა, არტუროს მოკეთეები უნდა ყოფილიყვნენ, შორი სტუმრები, უნებურად, ყველაფერი ესმის: „არა, ეგრე არ გამოვა...“ „არ გამოვა, მეც მანდა ვარ...“ „უნდა ვთხოვო, ყველამ უნდა ვთხოვოთ.“ აივნის კარმა გაიჭრიალა: „როგორაა საქმე, ისევ ისე?“ „ეჰ, ჩემო რუჯიერო...“

- ისევ ისეა, იძახის - არ გადავიხდიო.

- გაგიჟდა? ორმოში ჩასვამენ.

- მარა...

- მაინც რამდენი უნდა გადაიხადოს... რას ამბობ, ათი?

- ათი, მაშ.

- რა მოხდა მერე... არა, ეგ კი კარგი ფულია, მაგრამ მაინც, არტუროსათვის... ჯერ არც კი ვიცი, რატომ უნდა გადაიხადოს.

- რატომ და, ეგ დარბაზი ხომ ჯაკომო მენიჩელიმ ააგო, აქეთ მოიწი... მარშალ ბეტანკურის კაცია. ორას სამოცი ადგილია და დიდძალი ბილეთებიც დაუტოვა,

ყველას რომ გაყიდი, ექვსი წილი მე და ერთი წილი შენო, მერე მოდი და ახალ ბილეთებს მოგცემო. ჩვენი არტურო, რა თქმა უნდა, კი ყიდდა ბილეთებს, მაგრამ ისე არა, როგორც უთხრეს. აი... აი, ესე ორ-სამ კაცზე ერთ ბილეთს ჰყიდდა, დანარჩენ ფულს კი ჯიბეში იდებდა. არა, კი არ ვამტყუნებ, ოჯახის კაცია, სახლი, ცოლ-შვილი... ჯაკომო მენიჩელიმ იცადა, იცადა თავის კაი გაწყობილ ბინაში, კამორაში ზედ ქალაქგარეთ ცხოვრობს, და გულმა რომ უთხრა, არტურო ბილეთების გაყიდვას აგვიანებსო, თავისი კაცი გამოგზავნა შესამოწმებლად... ჰოდა, სწორედ გუშინწინ, აი, ტინგიც-ჯამბაზებმა წარმოდგენა გამართეს, არტურო შესასვლელში იდგა და ერთმა ოცი გროში რომ გაუწოდა, არც შეხედა, გამოართვა და უთხრა - გაიარეო. იმ კაცმა რომ არ გაიარა, ახედა და ვაჰ! - მასიმო არ შერჩა?! - ვაჰ... აბა, მე შენ გეკითხები და მიპასუხე, მითხარი - როგორ არ შეხედა, ჰა? მერე იყო და მასიმომ დარბაზში გაიარ-გამოიარა, ბილეთები შეამოწმ-გამოამოწმა, ორ-სამ კაცში ერთსა ჰქონდა, ჰოდა, ამ ჩვენს არტუროს - ვაჰ, აღარ მოდის? რა იქნა... - და ჩვენ არტუროს პირობის დარღვევისათვის ათი დრაჰკანი დააკისრა...

- ვაჰ!.. მერე, არტურო რას იძახის? ვაჰ!

- არ მივცემო.

- არ მივცემო?

- მაშ!

- მერე, იმ კარგი დედ-მამის შვილმა, არ იცის ჯერ კბილებში რომ სცემენ და მერე ორმოში ჩასვამენ და მერე სახლიდან რაც კარგი რამეა ყველაფერს წაიღებენ და რასაც არ წაიღებენ, იმასაც დასწვავენ? კამორელებია, ძმაო...

- განა არ ვიცით, ვიცით.

- ჰოდა, უნდა გადაიხადოს.

- ეჰ, შენა გგონია არ გადაიხდის?

- არა, არ გადაიხდის, ამაყია! - დაიკვნესა ეულალიამ, - და ორმოში ჩამისვამენ!

- ისე გადაიხდის, შენი მოწონებული... ეგა, იცი, რატომ იძახის არ გადავიხდიო? თქვენი რცხვენია, თქვენი ერიდება - მაგას რომ ცოტა ანგარიშიანად გაეყიდა ბილეთები, თქვენც მოგებას ნახავდით ბოლოს და ბოლოს და კამორაშიც აღარ დაეჭვდებოდნენ. ახლა კი, საქმე რომ ჩააფლავა, თქვენი რცხვენია და იძახის არ გადავიხდი, არ გადავიხდიო, მაგრამ მართლა გიჟი კი არ არის, ორმოში რომ ჩასვან -

მაგას უნდა, თქვენ კი არ დატუქსოთ, არამედ უთხარით: გადაიხადე, არტურო, შემოგევლე, დაგენაცვლე, ჩემო კოკობო-თქო და დიდი ხვეწნის შემდეგ დაგთანხმდებათ, ეულალია, ჩემი ღვიძლი და ხარ და ამიტომ გეუბნები ამას, მინდა, ტყუილად არ იჯავრო. ისე, რომ მოვა, მაინც ალერსიანად მოექეცი. კარგი?

- რა თქმა უნდა. - ნამტირალევი ხმა მოესმა დომენიკოს, - იგი ხომ ოჯახის ბურჯია.

- ძალიან კარგი. არა, მაინც იმ მასიმოს როგორ არ შეხედა...

- იცი, ჩეზარე, კიდევ რატომაა გაბრაზებული? - გამოცოცხლდა ეულალია, - არტურო იძახის, რომ შენობის დარაჯმა და დამლაგებელმა ორ-ორი დრაჰკანი უნდა გადაიხადონო.

- იმათ თუ უყოფდა მოგებას, მაშინ კი...

- არა, არ უყოფდა.

- რა იცი...

- ნამდვილად ვიცი...

- აბა, რატომ უნდა გადაიხადონ?

- რა ვიცი... მეო, იმათი უფროსი ვაარო და...

- არა, არა, ჩემო ეულალია, ეგ ვერ უთქვამს კარგად.

- მე კიდევ მიკვირს, იმ მასიმოს როგორ არ შეხედა...

- მაშ? როგორ არ შეხედა...

- ბილეთებს მაინც შეამოწმებდა.

- არა, მაინც რატომ არ შეხედა, უნდა შეეხედა... ჰო.

- ჩუუ, მგონი მოდის, აბა გახედე, ჰა, ჯანჯაკომო...

დომენიკოს საფეხურების ჭრიალი მოესმა - ნორჩმა ჯანჯაკომომ ჩაირბინა, ამოირბინა და თქვა:

- მოდის, დედილო...

მძიმე, დარბაისლური ფეხის ხმა გაისმა, მერე სკამი გააჩოჩა ვიღაცამ და პატარა ხნით ყველა მიჩუმდა. ალბათ, წარბშეჭმუხვნილ არტუროს თუ შესცქეროდნენ.

მერე არტურომ თქვა:

- ახ, ნეტავი მკლავებში მამაგდებინა?!

- ვინა, მასიმო? ხომ არ გაგიჟდი...

- არა, სხვა.

- მაშ ვინა...

- მაურიციო!

- ეგ ვიღაა...

- დარაჯი.

- აა...

კარგა ხანს დუმდნენ. დომენიკო იცდიდა, რას იტყოდნენ და, მოლოდინში მთებს ააყოლა თვალი.

- ღორივით დავკლამ! - თქვა მერე არტურომ.

და უცებ ლაპარაკში სრულიად უცხო ხმა ჩაერია, რომლის პატრონმაც ძალიან ცუდად იცოდა გრამატიკა:

- ვთქვათ, შენ მოკალი იმ კაცმა... შენც მოგკლამენ...

- არ ვიცი, არა, დავკლამ...

- ჰოდა, ჩასვამენ...

- რაც უნდათ, ის უყონ...

- არა, შენ ჩასვამენ... - აუხსნა კაცმა, რომელმაც რიგიანად ვერ იცოდა გრამატიკა.

- მეცა მღუპავ, მამი? - საწყლად თქვა ჯანჯაკომომ და დომენიკოს მაშინვე მისი დაბრაწული ლოყები გაახსენდა.

- არაფერი არ ვიცი, აი, ახლა ავდგები, წავალ და დავკლამ...

მაგრამ იატაკი არ ჭრიალებდა, ეტყობოდა არტურო მაგრად იჯდა სკამზე.

- კაცო! - წარმოთქვა გრამატიკის ცუდად მცოდნემ, - შენ ისეთი ბრაზიანობა ხარ, მართლა არ მოკლა იმ კაცმა... არ უნდა მოკლა, თორემ შენც მოკლამენ კანონმა, არ უნდა მოკლა, ეგეთი ბავშვობა იქნება?... - და მერე საიდუმლოდ დაამატა: - წინასწარ მაინც ნუ ამბობ.

- შე კაი კაცო, - თქვა ეულალიას ღვიძლმა ძმამ, - ბავშვებსა ღუპავ? ამ ბავშვებს? შეხედე, რა კარგ ფერზე არიან, ესენი უნდა უმამოდ დასტოვო?

- კარგი, რა, კარგი, გულს ნუ მიწვავ, ნუ, - ცოტათი დანებდა არტურო.

- მერე, შე კაი კაცო, ორი დრაჰკანი ფულია, დარაჯს მაგდენი სად ექნება, ერთი დრაჰკანი სთხოვე, ეგება მოგცეს.

- შაურს არ იძლევა, შაურს!! - იფეთქა არტურომ, - შაურს არ იძლევა... იცი, შაურ-კაპიკი რა არი? იმასაც არ იძლევა.

- ვითომ რატომაო.

- რა ვიცი. არ იძლევა და მორჩა.

- არა, მაინც როგორ არ შეხედე.

- როგორ არ შევხედე, სულ თვალებითა ვჭამ.

- არა, მასიმოს რათ არ შეხედე-მეთქი.

- ეჰ...

პატარა ხანს მიჩუმდნენ, მერე ეულალიამ თქვა:

- ვითომ ის რომ სამსახურში დამდგარა, სამსახურში დასადგომად ორასი გროში მიუცია ამისათვის.

- დავკლამ.

- მამი, მღუპავ, მამი? - გული ამოუჯდა ჯანჯაკომოს.

- არაფერი არ ვიცი, დავკლამ!

- მამი, არ გეცოდები? აბა შემომხედე, მამი...

- რა ვქნა, შვილო, აბა რა ვქნა, ჰა...

- კაცო, ორმოში რომ ჩაგსვამენ, ხომ საქვეყნოდ გამაიმუნდები?

- ამაზე მეტად რაღას გავმაიმუნდები - ჩემი ჯიბიდან ათი დრაჰკანი ამოვიღო და სხვის ჯიბეში ჩავდო, არა? არ ჩავუდებ, დავკლამ!

- ვისა, კაცო, მასიმოს? მასიმოს დაკლამ?

- არა.

- აბა...

- მაურიციოს!!

- აი, დამიჯერეთ, - ჩაერია საუბარში არტუროს დედა, ყოჩაღი მოხუცი სივილლა, - გული მიგრძნობდა, ვეუბნებოდი, ამ კვირაში ნურაფერს ნუ გააკეთებ, წესიერად გაყიდე-მეთქი ბილეთები, მაგრამ არ, დამიჯერა - ფიცხია.

- ის საათიც მოვა... - დაიწყო არტურომ, მაგრამ გააწყვეტინეს.

- ორმოში რომ ჩაგსონ, შენი შვილებმა რა ქნან, ნახე, ვახ, რა კარგები არიან, ჰა? ჰა?

- რა ვუყო... აქამომდის გამოვზარდე და...

- ქვეყანა ეგრეა, ჩემო არტურო, - ერთ დღეს იგებენ, მეორე დღეს აგებენ.

- ფული რომ მივცე, არა? - პირველად დაუშვა ეს აზრი არტურომ, - მაურიციოს მერე თანამდებობიდან ეგრევე მოვხსნი. გავაგდებ!!! დავ...

- ეგრე, რა, შე კარგო ადამიანო... - გაეხარდა ყველას.

- მამი, გენაცვალე, შენს ხელში არ არის გაგდება და მიღება?

- ჯერ ეს საქმე უნდა გასწორდეს და მერე რაც გინდა, გააკეთე.

- თორემ რაც დამსახურება გაქვს, წყალში ჩაგეყრება...

- კაცო, ხომ იცი, ზოგი ჰარამზადა...

- იცი, არტურო, რას გეტყვი? - გაისმა ნაცნობი ხმა, - ის კაცი და გრამატიკა ერთმანეთში ძაღლი-კატასავით იყვნენ, - აი მე, გაის-შარშან, ორი წლის უკან, რაღა, სხვა ქალაქში ვმუშაობდი. იმ ქალაქში ქუჩების მაგივრად წყალმას არხებია და ჩემი

კოხტა ნავი დამყავს და თურმე, ბავშვი არა ცურაობს, კაცო?! ყვირილი რომ გავიგე, გვიანმა იყო - ეს ამოდენა ნავი მხარში დასტაკებია, მაშ. ჯერ ვიფიქრე, მოდი გავიქცევი-მეთქი, მაგრამ მერე ეჭვი შემეპარა - იქნებ ვინმე მხედავს-მეთქი, და ნამუსიანად მოვიქეცი - ბავშვი ნავზე ავიყვანემ და პირდაპირ შიგ ექიმს მივადექი. თურმე, მხარის ძვალი გატეხილი არა ჰქონდა, მთელი ჰქონდა, ისე რა, უბრალოდ გადაყვლეფილი ჰქონდა. მერე ვეუბნები, დედაშენი სად მუშაობს-მეთქი. იმან მეუბნება, შიგ ქარვასლაში მუშაობსო. მე მივედი. დედას ვეუბნები, აი, ამ ბავშვი ცოტა მხარი იტკინა, ჰო, ექიმსაც ვეუბნები, შენ ჯერ ნურაფერი დასწერამ-მეთქი... ცალკე გავიყვანე, ისე ვეუბნები, ესე ესე, პატივისცემა, შენ ნუ დასწერამ. ვისა? - ქაღალდი. იმან მეუბნება - კარგი...

ეხლა ისეთი ცოცხალი ბავშვია, ისეთი... - განაგრძო კაცმა, რომელიც მწყრალად იყო გრამატიკასთან, - ბავშვი კი უთხრა, აი, ამ ძიას ნავის ქვეშ ჩავვარდი... ერთი სიტყვით, ქალი ბავშვის დედა იყო, ძალიან კარგი ქალი იყო. გიჟი კი არ იყო. ეხლაა, წავედი, ეს ქალი, რაღა, ნუ... ნუ, აი, ეს ქალი ვუთხარი, ესე იყო, ისე იყო, ერთი სიტყვიით, რაღა, წამოვედი რაღა, ქალი მითხრა, ჩემი ქმარი ცუდი არის. მე ვუთხარი, ბავშვმა თქვას, ვითომ სხვაგან ჩავარდი, ჩივილი, რამე, საჩივარი, რამე, რათ გინდათ, რამე, ბავშვი არაფერი აქს, გიფსი დაადო, ხუთი დღე ეგრე იყოს, მერე წავიდეს თავის ოსტატთან - შეგირდი იყო, დედა კი არა, ბავშვი. დედაც შეგირდი იყო. ხელათ ბაზარში გავიქეცი, ხილი, რამე, ვარიები, ერთი-მეორე... ხვალ შენ ქარვასლაში-მეთქი, ვია-რეცოზე მოვალ-მეთქი და ფული მოვიტან-მეთქი, მერე კი ვნახოთ... - კაცი, რომელიც კარგად ვერ ფლობდა გრამატიკას, ერთხანს შეჩერდა, - აი, მივედი მეორე დღეს, - განაგრძო კაცმა, რომელმაც ზედმიწევნით ვერ იცოდა გრამატიკა,-გავიხედე, მამა იქ არი, მეზობელს უთქვია, ამას კიდევ არაო. უთქვია ქალსა, ფუნდამენტში ჩავარდა. მაშ ეს ნავის ნომრები რაღა არიო და ისე ეცემნა, ვაჰ... ისე მცემაო, ვაჰ, მეზობლებმა ძლივს გამომართვესო...

ეხლა, მე აქედან წავიყვანე ჩემი ბიძაშვილი და იმისი ქვისლი ჯოვანი და იმისი ქვისლი ჯოვანის ამხანაგი სევერინო და ერთიც კიდევ რაღაც ამხანაგი, რაღა, ხმას არ იღებდა... წავიდეთ, რამე, კიდევ კარგი პრავიზია ვიყიდე, ვარიები, რამე, ხილი, ვიტამინები, რამე, ამ კარგი ქალმაც ქათამი დაკლა, ცოტა ბებერი იყო, არა, ქალი ახალგაზრდა იყო, ქათამი ბებერი იყო, ძალიან კარგი ქალი იყო, პურმარილი გაშალა, აქეთ, იქით. ნავზე დავჯექით, ერთად წამოვედი, ის მამა ორი დრაჰკანი მივეცი, ჯერ ეს იყოს-მეთქი, არაო, ამბობს, სულ ერთად იყოსო... ჯოვანიმ ეუბნება, ბავშვი არაფერი არა აქვს, ორი დრაჰკანი გაძლევს. სხვა რა გინდაო... მეო მინდაო - არ შაგეშინდეთ - მეო მინდაო ოცდაათი დრაჰკანიო, ვაჰ!... ბიჭო, რაში გინდა ოცდაათი დრაჰკანიო... მე

აქაური ექიმები არ ვენდობიო, პომპეაში უნდა წავიყვანო და იქ უნდა ვუწამლოო. ჰაი აქეთ, ჰაი, იქით, მაშო, თუ ოცდაათი დრაჰკანი არ იძლევითო, გრაფის პოლიციაში უნდა წავიდეო, ბავშვი ნავი დარტყა და აი, ვნახოთ, ნიჩაბი თუ არ ჩამოგართვანო და, თუ არა და, ჩვენ ჩვენით ვიცით გასწორებაო... რანაირადო, ჯოვანიმ... ბიჭო, ზარბაზანი რომ გეჭიროს მაგ ხელშიაო, მე ვერ მამასწრებო, გაგხლიჩამო, მაშ? - ჯოვანმა... ეხლა იმან წამოხტა და როგორი აქტი დაწერეთო, ნავის ქვეშ არ ჩავარდაო, ფუნდამენტში ჩავარდაო, შენ ნიჩაბი წაგართმევენ და ექიმი კიდევ - ფონედოსკოპიო, ვეუბნებით, კაცო, ექიმთან რა გინდა, ჩვენ გველაპარაკებიო? - ჩვენ გველაპარაკეო... წადი, არაო, წამოდი გრაფთანაო... - აქ კაცმა, რომელიც გრამატიკით ვერ დაიკვეხნიდა, სული მოითქვა, - ჰჰაი აქეთ, ჰაი იქით, ერთი დღე წავიდა, მეორე დღე წავიდა, მესამე დღეც ჰა, ჰა, საცაა წავიდა და საღამოზე ზედ შიგ იმ ცოლის უფროსთან ვაი-რეცოზე მივედით... ისიც კარგი ქალი იყო, რომ მივედით, არა? - დიდი ქვა ეჭირა და კაკლებს ამტვრევდა. ვეუბნებით, აი ასე, ისე... კაკლები ჭამს, გვისმენს. კაკლები შეჭამა ეგრევე დაუძახა იმ ბიჭის მამა... ბიჭს შახედა, ხედამს, კარგად არი... ჰაი აქეთ, ჰაი იქით, იმ ბიჭის მამას უთხრა, აი, შე გათახსირებულო, რა აქს შენი შვილსა, ათას-ათასებად რო ყიდი, შე უსვინდის-ნამუსო, შენაო... ოცდაათი დრაჰკანი ეგრევე ჩამოიყვანა ხუთ დრაჰკანზე - კარგი ქალი იყო, მაშ, ის ქალის უფროსი ქალი... ალალია იმაზე სამი დრაჰკანი... ხელათ იმ კაცს ხელწერილი დააწერინა, რომ ჩვენთან არაფერი საქმე აღარა აქს... ავიღე და მივეცი...

ხუთი დრაჰკანის ხსენებაზე დუმილი ჩამოვარდა. მერე იმ კაცმა, სრულყოფილად რომ ვერ იყო დაუფლებული გრამატიკას, თქვა: - ფაიფორი ეყიდნათ.

ატყდა სიცილი - ვინ იცის იმ ბავშვს ეხვეწება, წადი და კიდევ ნავს დაეჯახეო... ბედი მაგათ ჰქონიათ... ვაჰ, ჯოვანის რა უთქვამს, ჰა? შენი ბედი კარგი ხალხი შეგხვედრია...

- იცით, მთავარი რა არი? - აღნიშნა კაცმა, რომელიც ვერ იყო გრამატიკაში ძლიერი, - მზიანმა დღე რომ არ ყოფილიყო, აი... თვალებში მირტყამდა... შენ მაინც როგორ არ შახედე, კაცო... რომ შაგეხედა, არხეინს ხელიდან არ გაუშვებდი.

- რასა? - დაინტერესდა არტურო.

- არხეინს... ჰო, ხეირს, რაღა.

არტურომ მხრიდან რაღაც მოიცილა, წკიპურტით გადააგდო და თქვა: - ჯანი გავარდეს, მივცემ...

„ოო, საღოლ, საღოლ, არტურო, - გაისმა მხიარული შეძახილები, - კაცი ხარ კაცური! შენი ხელგაშლილობის ჭირიმე... როგორ არ შახედა... მადლობთ, მამიჯან, მადლობთ... როგორ არ შეხედე... სწორია, სწორი...“

- სწორია, მა რა, - შეიფერა არტურომ, - მაშ ეს ბავშვები უმამოდ დავტოვო? ნახე, რა კარგ ფერზე არიან, - და მუნდშტუკი შეირჭო პირში.

- აი, როგორ უყვარს ბავშვებმა, - დასძინა კაცმა, რომელიც გრამატიკაში მოიკოჭლებდა.

ამისთანები, ეეჰ... და გვიან, ღამით, ის თბილი ცეცხლი, მართობელა „ვთქვათ...“ აგურის კედელს მხრით მიყრდნობილი, გრილ ზღვაში შედის. ღამეა, მთვარე გაცვეთილი, ღამეულ ზღვაში გიცურავიათ? აჰ, სილამაზე, და შიში, შიში... და თავს აღაღებ, რა სიბნელეა, და სილამაზე, თითებიდანაც წვეთები ცვივა, თვით სავსე მთვარით განათებული, და სილამაზე, წყეული შიშის ერთადერთი მომრევი, ჩვენთანაა და ვინ ჩვენ? ჩვენ ორნი, ორნი, მე და თქვენ, ლამაზ-ქალაქში სალახანებად წოდებული ორი მაწანწალა, ღამღამობით ფანჯრებიდან რომ ვუთვალთვალებთ ადამიანებს, ხომ გახსოვთ, გახსოოვთ, თავზე რომ მადექით და სხვა საქმე რა გვაქვს, აქაც მივდიოთ, ცურვა ხომ იცით? ეგ არაფერი, ნავში ჩაბრძანდით, მე კი, თქვენი ერთგული, მონა-მორჩილი, ყელზე შევიბამ ნავის უხეშ თოკს და ეგებ იმდენიც შევძლო, რომ ცურვა-ცურვისას თქვენი ნავიც მომყვეს, და არა, არა, ნიჩბების მოსმას როგორ გაკადრებთ, თანაც, არა გაქვთ... ოღონდ სუუ, ფრთხილად, ეს მეუფეა, მეუფე ხმათა, ის გვასწავლიდა ღონივრად სუნთქვას, გახარებისას დიდის ხმით ყვირილს - პირველ სიმღერას, გამოქვაბულში ცეცხლთან გვეძინა და მდინარის ხმა, ყრუც, გარკვეულიც, მეუფის იყო... გახსოვს? ვუყვარდით, და ჩრდილებს ხეთა აცახცახებდა გაბმული ქარი, ო, ე რეები გამოვიგონე... მეტს აღარ ვიზამ. ჩვენ სულ გვესმოდა მეუფის ხმები... წვიმაში მიწას აჩურჩულებდა... დათვის ბღავილი, ბრდღვინვა ლომთა და მიყუჩებისას, ჩიტები სტვენდნენ, აჰ, ეს ჩიტები - ეგეც საქმეა... ვით დავანებო ამ თეთრ ლექსს თავი? მარტივი წყობით? კი, ბატონო: თუ გნებავთ, წავიდეთ აქედან, წა, მეც კი მაქვს თავშესაფარი და თქვენ - მით უმეტეს, ამ შუა ღამით რა გვაბოდიალებს, რა გვაცურავებს, შენ ხარ ჩემი ბატონი და წავიდეთ ჩვენ-ჩვენ სახლებში, მაინცდამაინც სასიამოვნო არც ნავშია ჯდომა და ამ თოკმა ხომ სულ გადამიყვლიფა კისერი. წავიდეთ და დავიძინოთ, როგორც ყველა სხვამ და გავიღვიძოთ მერე ჩვენც, გვარიანად რომ გათენდება... წავიდეთ სამუშაოზე, ბატონო, ნურავის გავუჩერდებით გზაში, სალამი ვთქვათ ორი-სამი, ასე, დავბრუნდეთ მერე სამუშაოდან, წვრილ საქმეებზე ვისაუბროთ ოჯახში და დავიძინოთ ისევ და გავიღვიძოთ მერე, როგორც სხვამ და... მაგრამ ეს ხმები, ხმები, ეს ხმები... ტყე რა

კარგია დღისით და მზისით, რა კარგია ტყე... ამწვანებული, რბილი, ხასხასა და შენს მტერს ღამით - ეს გაფარჩხული რაღაც კუნძები და ვერაგობა, გატრუნული და ყელში საწვდომად გამზადებული, იიჰ, არარაა, მაგრამ ეს ხმები, ღამეული ტყის მზაკვარი ხმები, შიში - ისაა, და მზე! სინათლე! ღრუბლებში წოლა! გამოუცნობი ბედნიერება, შიშიც, სინათლეც, ეს - მუსიკაა.... მეფე... მუსიკა... აგურის მომცრო, პატარა სახლში ისევ უკრავდნენ...

მგზავრი, დომენიკო, მხრით მიყრდნობოდა კედელს... მგზავრი თბებოდა.

* * *

გიჟივით იყო: შუშხუნებზე რომ გაგზავნა ტულიომ, მოსახვევში ვიღაც ქალს ისე დაეტაკა, გულაღმა გადააქცია. შეწუხდა და ჩაიჩოქა. ფრთხილად წამოაყენა, ბოდიშს უხდიდა, ხელზეც აკოცა, ქალი ამბობდა: „არაფერია... რა უჭირს, შვილო“. იქვე, ფარდულში, ნაადრევი ვარდები იყიდებოდა, რასაც მოერია, იყიდა და ქალს მიაჩეჩა, მერე არტუროს საჩქაროდ ჩაალაგებინა დიდ კალათში შუშხუნები, კალაბრიული ქათმები და ხორცი, მოსეირნეებს ქალაქის განაპირას დაეწია. თითო-თითოდ მიუყვებოდნენ ვიწრო ბილიკს, მწკრივში მეექვსე - ანა-მარია იყო!

- მაჩვენე, აბა - კალათაში ჩაიხედა ტულიომ, - ყოჩაღ, კარგად გიყიდია.

ნაცრისფერი კაბა ეცვა ტილოსი, სადა...

- კარგად. კი...

- მომეცი, წამოვიღებ, შენ არ გატეხო... და დანაპირები? ხომ შემპირდი, თუ...

ათი დრაჰკანი გადათვალა, ტულიოს მისცა და რაღაც უსიამომ გაჰკრა:

- თვითონ უთხარი?

- არა, სილვიას წამოვაყვანინე.

- ამხანაგია?

- არა - უბრალოდ, მეზობელია და...

- მაშინვე დათანხმდა?

- ეგ არ მიკითხავს, ისე კი, რაც თავი მახსოვს, სასეირნოდ არ წამოსულა. და ამხანაგიც არა ჰყავს.

- და არც ჰყოლია?

- არასდროს, არა... ძალიან გიყვარს?

მაგრამ აქ ქალმა დომენიკოსკენ გამოიხედა. წამით შეავლო თვალი, ისევ შებრუნდა და მაშინვე, იქვე, მეორედ გამოხედა, ოღონდ ამჯერად გაკვირვებული შეაცქერდა. და თითქოს რაღაც გაუხარდა, ოღონდ სევდანარევი, დუნე ტკივილი შემოაწვა; უცნაურად უმზერდა ქალი. და დომენიკოს თვალი არ მოუცილებია, ტულიოს ისე უთხრა:

- ძალიან მიყვარს. და კიდევ უფრო.

ხმადაბლა უთხრა, სხვა ვერავინ გაიგონებდა. ქალი შებრუნდა, მაგრამ ისე მიაბიჯებდა... სიარულზე კი არა, წაბლისფერ, ოდნავ აბზინებულ თმაზედაც კი ეტყობოდა რაღაცნაირად, დომენიკოს დანახვამ როგორ ჩააფიქრა.

- ხვალ თუ დამპატიჟებ, რაღაცეებს გასწავლი - ახლავე... გინდა?

- რას...

- დამპატიჟებ? - ტულიო ხუმრობდა ვითომ.

- ჰო, ჰო.

- ქათინაურები უყვართ. სუყველა ქალი ერთნაირია. ფანტს ვითამაშებთ, ისე მოვაწყობ, მარტოებს დაგტოვებთ და...

დომენიკოს შიშით გააზრიალა.

- და მაშინვე რაიმე შეუქე, სხეულის რომელიმე ნაწილი, ოღონდ ფრთხილად, გამოზომილად, ასე უთხარი, რომ... ვთქვათ, რა შესანიშნავი თვალები გაქვთ, ანა-მარია, არსად შემხვედრია ასეთი თვალები, თვალები მართლა კარგი აქვს, თუმცა, თვალებზე ნუთუ შეიძლება ითქვას - არსად შემხვედრია?! რა ვიცი, ან - რა ხავერდოვანი ხმა გაქვთ, თუმცა, არა, ეგ ხმას არ იღებს ხოლმე, ჰოო, უთხარი: რა შესანიშნავი თითები გაქვთ, მაგ თითებს, ალბათ, ყველაფრის დაკვრა ძალუძთ... ხომ კარგი იყო, ა, - ეს მესამე ყველაფერს სჯობდა, აუ, რა კარგად გამომივიდა... ხომ დამპატიჟებ?

ქალის მხარს, ნაზ მხარს, დაჭიმულ კისერს ახლა მარჯვნიდან შეჰყურებდა დომენიკო - ბილიკი უხვევდა. ფრთხილად მიდიოდა ქალი, დაფიქრებული, ვიწრო გზას დასცქეროდა. თვალს ვეღარ აშორებდა დომენიკო, უყურებდა და სული სტკიოდა - რა

უცხო იყო ეს უმწეო, ჩაფიქრებული ქალი, მიუწვდომელი, გაუგებარი, ყველასათვის უცხო...

- ანდა, დომენიკო, ღელე როცა იქნება გადასასვლელი, მკლავში წაავლე ხელი და მიეშველე. ოღონდ ისე კი არა, სილა რომ გაგაწნას, აარა - ფრთხილად წაავლე ხელი, მაგრამ ამასთანავე, მამაკაცი უნდა იგრძნოს, ვიღაც ამბობდა ამას, დუილიო მგონი... და, საერთოდაც, დარბაისლური სიტყვა-პასუხი გმართებს, დინჯი მიმოხრა, მამაკაცს არ შეფერის აცეტება და მიკიბულ-მოკიბული სიტყვა-პასუხი, თუ არა გჯერა, დუილიო აქ არ არის? მიდი და ჰკითხე. მაგაზე უკეთესს... ხვალ ხომ დამპატიჟებ?

- კი, კი.

- მომეხმარე, ცუნცულა, - მიმართა კონჩეტინამ მეუღლეს და ყელზე შემოხვია ხელი, - ღელეში ფეხი არ დამისველდეს.

- მოდი, ჰო! - უთხრა კუმეომ და ღელეზე გადაახტუნა.

- ცოტათი ფრთხილად არ შეიძლებოდა,-ოდნავ გაიბუტა კონჩეტინა და მუცელზე მიიდო ხელი, - ა, ცუნცულ?

აქ კი კუმეომ ჩაფიქრებულ დარბაისელ სენიორ ჯულიოს წვივზე სტაცა თითები და ძაღლივით შეჰყეფა! სენიორ ჯულიო მოულოდნელობისაგან ძლიერ შეხტა ჰაერში, მერე ღელეში შევარდა, აშხეფებულმა წყალმა ოდნავ გამოაფხიზლა, სახეარეულმა მიიხედა უკან და ძაღლის ნაცვლად დაკრეჭილი კუმეო შერჩა.

- ჯანდაბა და ოხრობა შენ, შე ვირო! შე ვირის მოდგმავ... ოჰ, მაპატიე, შვილო კონჩეტინა.

- არა უშავს, ჯულიო ბიძია, - გაამხნევა კონჩეტინამ, - ჩვენ, კარრასკოებს ლაღი ხუმრობა ოდითგან გვიყვარს.

- ვირს რაღას ერჩოდა, - გაიოცა ალექსანდრომ, - მშვენიერი ცხოველია, უწყინარი, სათნო...

კუმეოს გაოგნებული შესცქეროდა ანა-მარია, დამფრთხალი ქალი. ისე გაოცებით ათვალიერებდა, ვერ გარკვეულიყო, მართლა მოხდა თუ არა ეს - ისე შორს იყო ყოველნაირი სიბრიყვე ამ უმწეო, დამფრთხალი ქალისაგან, გასუსული, ღიმილგადაკრულ მოსეირნეებში იდგა, ჰეიი, ხმაურობდნენ:

- კუმეო, შე ძველო! - მხარზე ხელი მოუტყაპუნა ვინსენტემ.

- რა ხარ, ა, რა ხარ!

- აიი, სადაცაა გაზაფხულიც წავიდა, - ჩასჩურჩულა ჭალელ როზინას ცილიომ, - წელიწადის ყველაზე ანცი დრო. მოდი, მოგეშველო, - და ღელეზე გადაახტუნა.

- მიდი ჰა, ბიჭო... დომენიკო, ბიჭო, - იდაყვი წაჰკრა ტულიომ - მიდი, უშველე...

- არ შემიძლია.

- მიდი, შე ლაყე, - ისევ უბიძგა - ფიიჰ, შე უშნო...

ალექსანდრომ კი საიდანღაც ფიცარი მოიტანა, ღელეზე გადო და ანა-მარიას უთხრა:

- გადადი, შვილო...

ანა-მარია შეკრთა, მერე გაუღიმა და, ფეხის წვერებზე შემდგარმა, ეს მოკლე ხიდი გადაიარა.

ოცი წლის იყო და ამ ხნის ქალი შინაბერად ითვლებოდა ლამაზ-ქალაქში. არავინ სურდა, არვინ უნდოდა, უბრალოდ, არც კი დაფიქრებულა ამაზე... საქმრო კი არა, მეგობარი გოგონებიც არ ჰყავდა და ახლა, სასეირნოდ პირველად გამოსული, იმ თავისი ოთახის გარეთ, იმ ოთახისა, მეუფეს რომ ეკუთვნოდა, ამ თამამ ხალხში დაბნეული იდგა, ყველასათვის უცხო და შორეული... და ერთადერთი გაუღიმარ ყმაწვილს, დომენიკოს, დროდადრო თვალს შეავლებდა.

- აქ მოვკალათდეთ, - თქვა დუილიომ, როგორიც იყო, - ღელე გადავლახეთ და მდინარეც - აქვე, ტყეების ნაყოფიერი ჩრდილი - აქვე და სუფთა ჰაერიც - აქვე, ბუნების წიაღში შესვლა დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმსა და საერთო ჯანმრთელობაზე, მოდით, დავსხდეთ, აქ, როგორც ბუნების წესია და რიგი და მოვყვეთ ამაღლებულ შემთხვევებზე.

- დუილიო, - დაუძახა ალექსანდრომ.

- რა გნებავს...

- ფშტ!

მაგრამ დუილიომ ყურადღება არ მიაქცია:

- ქალაქელთა მეგობრობა ქალაქელთა შორის ჯანსაღი დამოკიდებულების უპირველესი საწინდარია, და თუნდაც საერთოდ არ იცნობდე მეგობარს. იგი დაღლილი, მოწყურებული, უმძიმესი ტვირთით ზურგზე, რასაც მეგობრობა და

გატანა ჰქვია, თავანკარა წყაროსთან შეჩერდეს ეგებ და, ყოველ შემთხვევაში, წყაროდან ჭიქას... ნუ წამოიღებ! ანდა, თუნდაც ასეთი გამოთქმა...

ანა-მარია გადაჭრილ ხესთან იჯდა! მუხლზე ელაგა ნაზი, სიფრიფანა, ყოვლისშემძლე თითები და გვერდზე ოდნავ გადაეხარა თავი, ბალახს დასცქეროდა. მერე თვალები ოდნავ, სულ ოდნავ გაუელამდა - ფიქრში წავიდა. რა, რას ფიქრობდა! რას გაუგებდი - ანა-მარია ქალი იყო, მაგრამ შველს ჰგავდა... თმა ლამაზად ჰქონდა შეკრეჭილი, და ყვრიმალის ნაზ, უნაზეს ხაზთან უმთავრდებოდა. ცხელოდა უკვე, და ჭალაში სასიამოვნო ნიავი დროდადრო წამოუბერავდა, ანა-მარიას ფერმკრთალ ლოყაზე უცახცახებდა თმა, თავისთვის იჯდა. ფიქრობდა, სადღაც შორს იყო, რას გაუგებდი... და უცებ შეკრთა, იქაურობას თვალი მოავლო, თმა შეისწორა - გასაოცარი მოძრაობა იყო, თითქოს ნაზ ღაწვზე დაუკრეს რაღაც... და წაბლისფერი თმაც, უამრავი სიმი, უხმოდ აჟღერდა გრძნეულ თითებქვეშ...

- აბა, რას ნიშნავს? - საზეიმოდ იკითხა დუილიომ და მიმოიხედა.

- მე გეტყვით, გინდა? - დაეკითხა ალექსანდრო.

- თქვას, - რატომღაც ტულიოს მიმართა ლამაზ-ქალაქელთა მრჩეველმა, და ალექსანდრომ თქვა:

- რას ნიშნავს დაა, დუილიო, დუილიოო... ფშტ!

- აღარ მინდა, აღარ მინდა! ვინ წამოიყვანა! სადაა ჩემი ქუდი!!

- დაბრძანდით, დაბრძანდით... არავის წამოუყვანია, თვითონ წამოვიდა... თავზე არ გახურავთ?

- მეტს აღარ ვიზამ, - აღუთქვა ალექსანდრომ და დაფიქრდა, - წარმოიდგინეთ, ეგეც კი მიყვარს, ეგეც კი...

- ვინაა მაგის კი! კის კი არა, გაჩვენებ მე შენ, კი როგორც უნდა! კიიო... ჰმ!!

- აგერ, საუზმე, სენიორ დუილიო... ფანტიც ვითამაშოთ, არ სჯობს?

- დიახაც რომ კარგი თამაშია, - აღნიშნა ერთბაშად დადარბაისლებულმა დუილიომ, როგორიც იყო, - შესანიშნავი თამაშია, ბედისწერული.

- აბა, აბა, ფანტებს ჩამოდით, - თქვა ტუილიომ და დომენიკოს ჩაუკრა თვალი, მაგრამ ის ისევ ქალს შესცქეროდა.

ოდნავ გამოხაზული, მკვრივი ნესტოებით სუნთქავდა, მკრთალად აუდ-ჩაუდიოდა მკერდი. გაყუჩებული, მიმნდობი და ერთდროულად მფრთხალი, თავადაც უცხო, უცხოებში იჯდა და წაწვეტებული თითებით ახლა ბალახიც ააჟღერა - ჩაფიქრებული, ბალახს ვარცხნიდა, და უცებ შეკრთა - სადღაც, ჭალაში, ჩიტი უსტვენდა. თავი შემართა, თვალები წამსვე გაუფართოვდა, და შინაგანად ერთიანად აფორიაქდა, ამოძრავდა, დიდი მეუფის ამ მარტივ ძახილს გახარებული ისმენდა, „სტვენს, სტვენს, ხომ გესმით," იღიმებოდა, ოღონდ იმ მცირე ღიმილით, როცა კბილები არა ჩანს ხოლმე, და ისევ შეკრთა - წვრილი ხმით კასკასებდა სილვია - ეს რა თქვი, რა თქვი, შენ რა გითხარი... და კონჩეტინამ ტულიოს თავში ხუმრობით რომ წამოარტყა ხელი, ისევ მოიბუზა ანა-მარია, გაოცებული, თვალს არიდებდა. ფანტი მოთხოვეს. უარის თქმა ვეღარ გაბედა, წამოწითლდა და მიმოიხედა, მგზავრს, დომენიკოს ტკივილი ღრღნიდა... როგორ უყვარდა! ერთად-ერთხელ ხელისგულის დადება თავზე, და ტუჩებში კი არა - თლილ შუბლზე კოცნა... ანდა, თვალებში დიდხანს ყურება, ჭროღა გუგების თვალიერება - თვით დიდ ქალს, ტერეზას, თავიან-ფეხებიანა სჯობდა - მხოლოდ თვალებში რომ ჩაეხედა...

ჰოიი, ცხელოდა, და თხელ მაჯაზე სუსტად მფეთქავი, მკრთალი ცისფერი ძარღვი რომ დაუნახა, წამოდგა და რამ აიძულა, როგორ გაბედა - ფეხთ გაიხადა, შარვალი მუხლამდე დაიკაპიწა, და მიწის სიგრილე რომ ეცოტავა, კოჭებამდე შევიდა მდინარეში. მღვრიე მდინარე იყო, სადღაც შორს, მთაში დანაწვიმარი, და გრილ ალერსს გრნობდა, და მთელი ტანიც, მთელი სხეული ალერსს ითხოვდა და, ჰაერი რომ დამძიმდა, აუტანელი რომ გახდა სიცხე, სული შეეხუთა, და გაოცებული მოსეირნეებისკენ არც მიუხედავს, პერანგი ისე გადაიძრო, ზურგს უკან მოისროლა და უცებ გადახტა, მდინარეში მოადინა ზღართანი, „აჰ, გავიწუწე," - შესძახა კონჩეტინამ, სხვები ისევ დაბნეულები შესცქეროდნენ. დომენიკო პირქვე გაწოლილიყო მდინარეზე და ხელ-ფეხს ღონივრად ურტყამდა წყალს. ირგვლივ შხეფები ცვიოდა, დომენიკოს ირგვლივ თითქოს წყალი დუღდა, ხანდახან რომელიმე ავარდნილ წვეთში პაწია ცისარტყელა გაიელვებდა და პირდაღებული მოსეირნენი კვლავ შესცქეროდნენ, წყალს როგორ ურტყამდა ხელ-ფეხს დომენიკო, გამწარებული, მდინარეს სცემდა, მაგრამ მდინარეს გალახულისა რა ეტყობოდა, ნელა მიაგორებდა ამღვრეულ ზვირთებს და დომენიკომ, განრისხებულმა, მისი ორიოდ ყლუპიც იგემა და გულს მოეფონა, ჩაყვინთა კიდეც, თვალგახელილმა, და დაკლაკნილი რაღაც ხაზები ყვითლად, მორუხოდ აუჭრელდა და ამოტივტივდა, ნაპირისაკენ გამოცურდა და ხაოიან შლამზე რომ დადგა ფეხი, წამწამებში ჩაგუბებულმა წვეთებმა ყოველივე გააბუნდოვანა, სახეზე ჩამოისვა ხელი და ნელა, მძიმედ გამოვიდა მდინარიდან, წურწურით ჩამოსდიოდა წყალი. ძალიან ცხელოდა, ის კი, გაგრილებული, ისე

ველურად დარწყულებული, უხერხულად შესცქეროდა მოსეირნეებს, ასე რომ გააკვირვა. მერე კი, ანა-მარიას სახეზე რაღაცნაირი სათნო სიმშვიდე და ღიმისმაგვარი ამოიკითხა და გულიანად გაიცინა. ყველას უღიმოდა და, რაც უნდა ყოფილიყო, სასიამოვნო გახლდათ ამ გაგრილებული, თავით-ფეხამდე სველი ყმაწვილის ყურება, წელს ზემოთ შიშველს, თეთრ, გლუვ სხეულზე წვეთები უციმციმებდა, ნიკაპი მზისკენ გაეშვირა და მაღალ ყელზე ჯიუტად უფეთქავდა ცისფერი ძარღვი. გახარებული, ღონივრად სუნთქავდა და თვით საოცრად სწორად ჩამოსხმული სილვიაც კი შურით შესცქეროდა მის წვივებსა და გრძელ ფეხის თითებს.

- პერანგი მოიხურეთ, ყმაწვილო, სიფრთხილე ჯანმრთელობის საწინდარიაო თავდაპირველი.

- რა გააციებს, სოფლელია.

ტულიომ ბრძანა. შუბლი ოფლით დასცვაროდა და აგდებულად ნათქვამი რომ შეერბილებინა, თითქოს სიყვარულით გაუღიმა დომენიკოს. იმანაც, რა თქმა უნდა, ღიმილი დაუბრუნა. პერანგი ჩაიცვა, ზურგზე ლაქებმა გამოჟონა, შარვალს ღონივრად ჩააყოლა ხელისგულები, წყალი ჩაწურა. გაიმართა და შეცბა - მადლობელი უმზერდა ქალი.

- და... ამის პატრონმა... ამის პატრონმა რა ქნას? - გამომწვევად იკითხა სილვიამ და მის კალთაში თავჩარგულ ტულიოს ოდნავ აჰკრა მუხლი.

ანა-მარიას ფანტი იყო, მოშავო კენჭი.

- მაგის პატრონი... ეე... მაგის პატრონი... ჰო - დომენიკოსთან ერთად, წავიდეს და ფიჩხი მოაგროვოს, - და თავი გაიმართლა, - ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შეიწვას ხორცი, ვისი ფანტია, შენი, კუმეო?

- არა, კაცო. ჩემი შაქარყინული იყო და კენჭს რა შემაჭმევს.

- აბა რა, აბა რა, ხომ გაგიტეხავს მაგ კბილებს, ცუნცულ.

- აბა, ვისია?

თვალთმაქციც გახლდათ ლხინის ყმაწვილი.

ფიჩხს აგროვებდნენ. „თქვენ არა, თქვენ ნუ...“ - უთხრა. შორიდან ხანდახან სიცილი ისმოდა, გაბმულად ჭიხვინებდა კუმეო, „რაღა ეს სიტყვები ვუთხარი პირველად, - გაიფიქრა დომენიკომ, - „თქვენ არა, თქვენ ნუ...“ ანა-მარია ფრთხილად ჰკრეფდა

შემხმარ ტოტებს, ერთად აწყობდა. ასეთ მცირე მუშაობასაც კი შეუჩვეველს, ლოყები წითლად უღუოდა, დომენიკოს კი, ჯერაც შეუმშრალს, მსუბუქად აჟრიალებდა, რა უნდა ეთქვა... სიტყვებს ეძებდა, არ ვუთხრა? ვუთხრა? რა უნდა ეთქვა, არც კი იცოდა, თვითონ ვერაფერს მოახერხებდა, შველა უნდოდა, სად იპოვიდა ჭალაში მშველელს...

- დაგცხათ?

- ცოტათი...

- ახლავე მოვალ.

თავის მდინარესთან მიირბინა, ხელები ჩაყო, მერე პეშვი შეაერთა და ფრთხილად ამოიღო წყალი. ფრთხილადვე გაეშურა ქალისაკენ, დაუფლებული მდინარიდან მცირე წილი, ორიოდ პეშვი წყალი გაუწოდა და უთხრა - „თუკი ინებებთ... გაგრილდით ცოტა...“ ანა-მარია უყურებდა, ასეთი ცქერა წარმოუდგენლად გულუბრყვილოებმა იციან მხოლოდ და დომენიკოს ისე შეეკუმშა გული, ის კი არა და, გორგალიც გაეჩხირა ყელში, როგორ უყვარდა... ქალმა კი თავადაც შეაერთა ხელისგულები, დომენიკომ ბოლო წვეთამდე ჩაუღვარა პეშვებში წყალი და ანა-მარიამ სახე გაიგრილა - შუბლი, ღაწვები... ყელზეც მოისვა. თვალდახუჭული, მზის გულზე დადგა, მზეს შეუშვირა სახე და ისევ იმ მკრთალი, მცირე ღიმილით, თავგადაწეული, თვალდახუჭული, მზეს უსმენდა თუ რაღაც ამგვარი... ახლა უნდა ეთქვა, ახლავე უნდა ეთქვა, მაგრამ რა, რა - მშველელს უხმობდა არეული მგზავრი, ვისთვის ეთხოვა გუნებაში, ტულიოსათვის? აჰ, არა, არა, თვალთმაქცი იყო, დუილიოსთვის? არა, არ სურდა დათაფლული და გაპრანჭული სიტყვების ფრქვევა, ალექსანდროსთვის? ყურს ვინ უგდებდა, ცილიოსთვის? ფუჰ, ყალბი გახლდათ, კუმე... აჰ, არა, არა...

თავგადაწეული იდგა ქალი, აგრილებულ სახეს მზეზე იშრობდა და, თვალებდახუჭულს დომენიკომ მცირე, ძლივს შესამჩნევი ჭორფლი შეამჩნია, სულ ოდნავ რომ დაჰყროდა ღაწვებზე, და თუმცა დედაკაცი კი არ უყვარდა ამ სათუთ ქალში, არამედ სულ სხვა, ამოუხსნელი და გამოუცნობი, ამაღლებული, ჭორფლის დანახვაზე კი მაინც გაიფიქრა: „ალბათ სწორედ ამ ფერის კერტები გაქვს, ანა-მარია“, მხოლოდ გაიფიქრა, მაგრამ შემკრთალმა ქალმა მაშინვე გაახილა თვალი, შიშით შეაცქერდა, ცოტაც, ცოტაც და ყველაფერი დაიღუპებოდა, ისე უყურებდა; რა უნდა ეთქვა, მშველელს უხმობდა, ეგებ კოჭლი ყმა? ბავშვობაში ტანს ჰბანდა ხოლმე და ერთხელ თავზე აკოცა... არა, სხვა, კიდევ სხვა... ვიღაცა იყო... ვიღაცას უყვარდა! გვეგვე? აჰ, არა, არა... და რაღაც უცნაურს მიმხვდარი, გრძნობდა, არაფერი რომ არ ეთქვა, არ შეიძლებოდა და ახლა, ჭალაში, თვალთმაქცურად

დამარტოხელებულისათვის, რომ ეთქვა, ესეც არ იქნებოდა და გაახსენდა - მამა, ჰო, მამა!.. მიშველე, მამა, მამავ, მიშველე... და ქალიც გრძნობდა, რაღაც რომ უნდა ეთქვა დომენიკოს, და იმასაც გრძნობდა, მარტოკასათვის რომ ეთქვა, შეურაცხყოფდა, ის კი, ის, მგზავრი, იხვეწებოდა: „მიშველე, მამა, მამავ, მიშველე“, და სასწაული მოხდა: „ტულიო, ტულიო, - აღრიალდა დომენიკო, - ჩქარა, აქეთკენ, შეენც, დუილიო, სენიორ ჯოვანიი, კუმეო, კონჩეტინა, ბიძია ალექსანდრო, სილვიაა, ვინსენტე, ყველანი მოდით, ჩქაარა, მოდით“ და აქოშინებული ტულიო პირველი მოიჭრა, მერე - ცილიო, ალექსანდრო. ყველა შეგროვდა, გველმა ხომ არ უკბინა, შეშფოთდა მოგვიანებით მოსული კონჩეტინა, დომენიკომ კი ანა-მარიასთან ჩაიჩოქა, ფეხებზე შემოხვია ხელი, ლოყა მიადო მუხლზე და დაიყვირა: - ეს ქალი მიყვარს!

ანა-მარიამ მხარზე დაადო ხელი, წამოაყენა, თვალებში უყურა, უყურა, და გასუსულ მგზავრს, დომენიკოს, ლოყაზე აკოცა უცებ...

უბრალოდ მოხდა.

თავი მეოთხე

ზაფხულის თამაშები

- როდის დავნიშნოთ, - თქვა დუილიომ და მიმოიხედა, - აჰ, ხვალ ხომ არა? ამინდს კარგი პირი უჩანს, ზაფხულის თამაშების ჩასატარებლად... კარგი რა, უგო.

მჭევრმეტყველებით გატაცებულს, ახალგაზრდა გიჟი ხის დანით უტრიალებდა და ეუბნებოდა: „წითელი სისხლი, მწვანე ბალახზე...“ დუილიო კი საზოგადოებასთან ზაფხულის თამაშების დანიშვნაზე ბჭობდა: - ვგონებ, ზეგ აჯობებს, ყველგან უნდა გაისმას ქალიშვილთა კისკისი და ჭაბუკთა ღიმილი.

- ზეგ იყოს, სენიორ, - წარმოთქვა საყელოშებნეულმა ვინსენტემ, - დიახაც რომ.

- სხეულის გაკაჟება-განვითარება გონებას შეუფერხებლივ აწვდის ახალახალ სასიცოცხლო ძალებს, - აღნიშნა დუილიომ, როგორიც იყო - ხოლო ეს - დიაღაც რომ კარგია. უჰ, რა ქორწილი იყო?

- აბა?!

- მაშ!

- რა ღვინო, რა გოჭი!.. თევზი ხურავდა.

- ის კაცი რაღა იქნა...

- ვინა, უკბილო? სადღაც წავიდა.

- საად, სხვა ქალაქში?

- რა ვიცი, სადღაც გადაიხვეწა.

- და სულ მარტოები დატოვა, არა, აგურის სახლში? რად არ ღებავენ, ნეტავი... ახლა კი ნამდვილად გაავარდისფერებენ - დომენიკოს ფულები აქვს ბევრი...

- არა, ფულზე არაა... ფული ქალის მამასაც ჰქონდა, მაგრამ არ ღებავდნენ.

- მაგათი გემოვნება მომცა და, - იხუმრა ტულიომ, - ჩამომკიდა ხეზე.

- ისე, კარგი გაძლება მისცა, - გაიცინა ანტონიომ, - სულ დაკვრაა, დაკვრაა...

- ახლა მაინც შეეშლებათ დაკვრაში ხელი - მოგეხსენებათ, ახალი ქმარი...

- შიგ ყელში ჩაგცემ, დუილიო, შუაგულ ყელში, აი, ყლაპვისას რომ აგიდ-ჩაგიდის, იქ, სწორედ იიქ,-ამბობდა უგო და თვალებში ისევ ის ძველი ბინადარნი - მწვანე თევზები ეკლაკნებოდა, - ილაპარაკე მერე... ყელგადახსნილმა, წითლად გულისპირშეღებილმა, საკუთარი სისხლით...

- კარგი რა, უგო, კარგი, დაწყნარდი, - ურჩია დუილიომ, - აღარ მოგბეზრდა?

- ისე კი, რა აზრი აქვს ზაფხულის თამაშებს, - ოდნავ მოიწყინა ცილიომ, - ჯუზეპე მაინც ყველას გვაჯობებს.

- არა, არა, ცილიო - თუკი გონება ნაყოფიერ მუშაობას გასწევს, ყოველთვის შეიძლება მახვილგონივრული გამოსავლის პოვნა და აჰათ, ინებეთ - მოდით, ჯუზეპეს გამარჯვებებს ნუ ჩავთვლით ხოლმე.

- ხომ დაგვამტვრია!

- არა, ჩვენთვის, ჩუმ-ჩუმად, საიდუმლოდ...

- შენი ოჯახი აშენდა, დუილიო...

- კაცი კი არა, ტვინია ცარიელი...

- ჭკუაა, ჭკუა...

- სწორედ მაგ თავში, ჭკვიან თავში ჩაგიშვებ დანას, - ჩურჩულებდა უგო, გამწარებული, ცეცხლმოდებული, - ორივე ხელით ჩავბღუჯავ დანას, და აი, მაშინ დიდი ტკივილით ყოველივე გაგინათდება...

- რაა ბოლოს და ბოლოს! გააჩერეთ ეს ბავშვი! არ წაიღო ტვინიი, უჰ!

- ის დომენიკო მაინც გამოჩნდებოდეს...

- რად გინდა...

- ეს გაიპარება მაშინვე. იმის დანახვაზე...

- იმის დანახვაზე ჰო, მართლა, ეშინია. - რატომ?..

- რა ვიცი, რატომ... ერიდება და...

ანა-მარიას დიდ, ფართო საწოლზე მოკუნტული ეძინა. ზაფხული იდგა ლამაზ-ქალაქში, სითბო შემოდიოდა ღია ფანჯრიდან, ანა-მარიას თხელი ზეწარი

გადაეფარებინა და ორი თეთრი ტალღა გადასდიოდა - თეძოსთან და მხართან. როგორ იცვლებოდა ძილში - სადღაც შორს, შოორს, გადაკარგულში წასული, დაკვრით დაღლილი და გატანჯული, ძილში ისე უცნაურად, დაუჯერებლად იცვლებოდა - არხეინდებოდა თითქოს... უსუსური მანამდე ქალი, შორეული ხმების ეს სათნო მონა, მიიძინებდა თუ არა, შვებით ღვივდებოდა თითქოს და უდარდელი, ბედნიერი ღიმილიც კი აუბჟუტდებოდა სახეზე, და დომენიკოს ეჭვი ღრღნიდა - ვიღაც სხვას, სულ სხვას უღიმოდა იმისი ცოლი... ორნი ცხოვრობდნენ აგურის მომცრო, უბრალო სახლში, და მაინც, ყველგან, ყოველთვის ტრიალებდა ვიღაც სხვა, სულ სხვა... როცა უკრავდა, იმ სხვასთან იყო, თუ არ უკრავდა, იმ სხვასთან სურდა... ახლა ეძინა და მკრთალად იღიმებოდა სადღაც შორს, რბილად მოხეტიალე სიზმრის იისფერ სარდაფებში...

ლამაზი იყო. შვლის თვალები ჰქონდა, შვლისავე მზერა... ნაქორწილევს, მეორე დილით, როცა დამორცხვებულ ქალში კუთვნილი ახლობლობა მოიძია და გამამხნევებელი ღიმილით შეხედა თვალებში, შეკრთა - მაინც სხვისა იყო მასთან პირველად ღამენათევი ქალი, სუუულ სხვისა... აირია და, გაბრაზებულმა, შუბლზე აკოცა, იმან კი შეხედა, წამით დაუბრუნდა, გაუღიმა და ისევ წავიდა, ისევ განერიდა იმ სხვასთან, სხვასთან... სხვისკენ წავიდა! ახლა ეძინა, ხელისგულზე ლოყადადებულს, იღიმებოდა...

- ან ბეჭებშუა, დუილიო, ბეჭებში ჩაგცემ, გული ზურგიდან უფრო ახლოა...

- რა იცი, ბიჭო, შენ! - გაიკვირვა დუილიომ და ნათქვამი სასწრაფოდ გამოასწორა, - რა იცის ამ ჭაბუკმა ესოდენ საგულდაგულო ამბები...

- ფშტ!

- გშურს, ალექსანდრო? გშურს, არა, ასე გულდასმით რომ ვლაპარაკობ? და იმიტომაც მაწყვეტინებ, ეს ჩემი სიტყვიერი წარმატებანი კი ერთის მხრივ იმანაც განაპირობა, რომ...

- ფშტ!

- გამიშვით, მოვკლავ! ფშტებზე გადავიდა, სანამდე მივიდა, გამიშვით მალე, ახლავე ავკუწავ მილანური ხანჯლით... სულ ნაწილ-ნაწილ!

- გაგიჟდი, დუილიო? - ხელი მიიდო მკერდზე მამიდა არიადნამ, - რა უგოსავით ლაპარაკობ შენ...

საცოდაობა იყო, როგორ ამზადებდა სადილს... ხახვს როგორ ჭრიდა, თვალები როგორ ეცრემლებოდა... მწვანილის დიდ კონაში ამაოდ დაეძებდა რეჰანს, უმწეო, მფრთხალი, დამნაშავესავით მიაჩერდებოდა დომენიკოს და ისიც მაშინვე, კალათით ხელში, არტუროს დუქნისკენ გარბოდა... და, მიბრუნებული, შეცბა - ქალი უკრავდა, გრძნეული ქალი, თავით-ფეხამდე - სხვისი და თავად მეუფეს დედოფლად ჰყავდა; რა არ უბოძა: ზღვა, ბნელში ავად აქაფებული, სისხამი დილის ჰაერი, წმინდა, ყველა ფრინველის თამამი სული, რაც მთავარია, მარადიული საიდუმლოებანიც უწყალობა და უცხო, შორეული, ბურუსით მოსილი ქალი, ქალი, - მბრძანებელი, ამ დამჯერ, გახედნილ, დაოკებულ, თავაშვებულ ხმათა მბრძანებელი, ქალი უკრავდა, მერე - რა ქალი, იმ თავის უცხო ქვეყანაში რა გაბედულად დააბიჯებდა, ფრენა იცოდა, ყოვლისშემძლემ და მიუწვდომელმა, იცოდა გლოვაც, მიწაზე ფორთხვა და უცებ - მაღლა, სულ მაღლა, მაღლა და უბირ ქვეყანას ისე ზემოდან დასცქეროდა, ღრუბლებიღა თუ შეუშლიდა ხელს, მთა, დათოვლილი, და სიხარული სწორედ მთასავით ვარდებოდა, შუაგულ ზღვაში... და ახლა წყლის მთა ამოიზრდებოდა მაღლა, დიდებულად მრისხანე, ღონივრად აიზიდებოდა, უზარმაზარი ყვავილი ადიოდა ცისკენ, ეს - ქალი იყო, რა ძალა ჰქონდა იმის ნაზ თითებს, მბზინავ კლავიშებს ჭანგებს ასობდა, ფრთაგაშლილი სვავივით კორტნიდა სიმებს. სიმებსვე ქამანჩას შოლტივით სცემდა, ნუთუ ის იყო, უმწეო ქალი, და, საოცრებავ, ისე უეცრად, ისე ერთბაშად განაზდებოდა, ბალღი ფშვინავდა ახლა ოთახში, უცოდველი, წმინდა... ბავშვი დარბოდა მაღალ ბალახში, და ყველაფერზე მეტად ბაცი ხმა - თითქოს ბალახი იმართებოდა... შემცივნებული, მზის გულზე იწვა, იზმორებოდა, ოო, სითბო, სითბო, მზე მოყვარული... წყალი, ჰაერი - ბედნიერება... ბალახის მჭახე, უმანკო სული, ჭა - ავსებული, პირთამდე სავსე, ზედაპირზე კი - ის ძველი მთვარე, ისე ნაცნობი, მთვარე, ის ძველი... დიდი, გოროზი გამოქვაბული, სიპ ქვებს მიმწყდარი ნაბიჯების ხმა, და დღისით, მზისით, ვიწრო წყვდიადში მუცელზე ხოხვა, ცალთვალა შიში, დაბადებამდე, და უილაჯოდ ქვითინებს ვიღაც, ჩვენს გულგრილ მხარზე თავმიდებული. ის კი, ჯიუტი, გაუტეხელი, სადღაც შორსაა, ერთგულად იცდის, ვინ ის, რომელი, სადაურია, რამდენი დედა არსებობს ქვეყნად, ის ისევ ტირის, და მზე, სინათლე, ბედნიერება - ჰაერი, წყალი, ფიჭვები ტყეში, კარგია, არა? - უ, რა კარგია, მართლა კარგია, და ზანტი თვლემა, ცოტაც მაცალეთ, ეს წყალობაა, ვრცელი და ნაზი - პაწია, ბავშვის ფეხისგულივით, ხმაა ყოველი, ღიმილიც - ხმაა, ქალი უკრავდა, ლამაზი ქალი - თხემით-ტერფამდე - სხვისი, სულ სხვისა, და, კიდევ კარგი, დაბნეული მგზავრი მის ზურგს რომ ხედავდა მხოლოდ, ჩვენ კი, ჩვენ - მე და თქვენ - ესე იგი, ლამაზ-ქალაქში სალახანებად წოდებულმა ორმა მაწანწალამ, ხომ ვიცით, ვიცით, ვის შესცქეროდა თვალდახუჭული, გრძნეულთითება ქალი, ვის უღიმოდა, აჰ,

ჩვენ ხომ ვიცით, დომენიკომ კი, გაბრაზებულმა, კალათი მოისროლა და ყრუ ხმაურზე ანა-მარიამ შემკრთალმა გამოიხედა, გაოცებული შეაცქერდა და ძირს, იატაკზე, შორეულ კუთხესთან ძლივას მიგორდა დიდი წითელი, წვნიანი, უბრალო ვაშლი...

- ახლა, როდესაც ზაფხულის თამაშების მოახლოებულმა სუნთქვამაც კი განვლო და სწორედ ამ დღეს - დასაწყისია, მსურს შეგახსენოთ ის დიდი მოღვაწეობა, ზაფხულის თამაშებს რომ კვალდაკვალ მისდევს, - წამოიწყო ბორცვზე შემდგარმა დუილიომ, როგორიც იყო, - და რა, თუ არ ზაფხულის თამაშები, გონებას შეუფერხებლივ აწვდის ახალ-ახალ სასიცოცხლო ძალებს. გაიმარჯვებს ის, ვინც დაძაბული და მიზანდასახული ვარჯიშით სიცოცხლე შთაბერა თავის კუნთ-მკლავებს. დიახაც, რომ ასეა მუდამ ეს. ჯერ სირბილში გაეჯიბრეთ ერთმანეთს, ჩემო გონივრებო, აქედან უნდა გაიქცეთ აიი, იმ ხესთან, ხელი დაარტყათ, შემოურბინოთ და ისევ დაბრუნდეთ, გასაგებია? შეკითხვები თუ არის...

- შეიძლება?

- ბრძანეთ.

- სენიორ დუილიო, ხეს მარჯვნიდან შემოვურბინოთ თუ მარცხნიდან?

- სულერთია. თუმცა, არა, მარცხნიდან შემოურბინეთ. კიდევ თუ არის შეკითხვები...

- რომელი ხელი დავარტყათ ხეს...

- ხელი? ხელი - მარჯვენა. კიდევ თუ არის შეკითხვები...

- არის. შენ თუ კაი კაცი ხარ, შენი შვილი რას დაძრწის წამდაუწუმ კამორაში? - შეეკითხა ალექსანდრო.

- რა შუაშია! რა შუაშიაა-მეთქი!! - იყვირა დუილიომ, - ჯერ ეს ეგ ერთი, ბავშობის ამხანაგები ჰყავს იქ, ეს კი მეტად სათუთი, კეთილშობილური გრძნობაა, რაც დიდად უწყობს ხელს ადამიანების ურთიერთობის გაკეთილშობილებას, რაც... ეს - ერთი. და მეორეც ეს ეგ ერთი...

- გაჩე-გაჩე... - შეაწყვეტინა ალექსანდროშ, - ფშტ!

როგორ უყვარდა... შორიდან თუ მოჰკრავდა თვალს, მაშინვე შეეძლო მოფერებოდა, შორიდანვე თავზე გადაესვა ხელი, და მისი სავალი გზაც ხელისგულებით გაესუფთავა - სიყვარულს გრძელი, რბილი ხელები ჰქონდა.

- შენ... და ხომ არ გყავს, ანა-მარია?

- არა.

- სულ არ გყოლია?

- არა. ერთი ვარ.

- მართლა ერთი ხარ, - გაუღიმებდა, - უცნაურია... სადღაც, როდესღაც...

- რა...

- შემხვედრიხარ თითქოს...

დაფიქრებული იღიმებოდა. ყველაზე დიდი სილამაზე - ამაღლებული უბრალოება... სადღაც ენახა...

- იქნებ ბავშვობაში სადმე წაგიყვანეს...

- სად...

- სოფლად.

- თქვენკენ არასდროს... და შენ ხომ არ ჩამოუყვანიხარ ქალაქში მამას?

- არა, ძალიან შორს ვართ, - და გაოცებული ეუბნებოდა, - მიყვარხარ როგორ...

იღიმებოდა, სიამოვნებდა. იქვე, მის გვერდით დაჯდებოდა ხოლმე დომენიკო, და უცხო სიყვარულისაგან დაბუჟებული თითებით უვარცხნიდა თმას, საფეთქელთან ჩამოცურებულ ზვირთს შეუსწორებდა, ხელს შემოხვევდა მხარზე, ლოყაზე კოცნიდა. გაიტრუნებოდა ხოლმე არეული ქალი...

- ოო, ჯუზეპემ გაიმარჯვა, ჯუზეპემ - აღნიშნა დუილიომ და ვინსენტეს თვალი ჩაუკრა, - პირველი ჯილდო ჯუზეპინოს ეკუთვნის - ბრავისსიმო, ბრავო... ისევე, როგორც სირბილში, სიგრძეზე ხტომაშიც დიახაც რომ შესაშური შედეგი აჩვენა - სწორედ ორმოცდაცხრა გოჯი.

მაგრამ, როცა უკრავდა... დილაადრიან ესმოდა ხმები - მეუფის ენა და ძილ-ღვიძილში ბედნიერებით ივსებოდა, მაგრამ უეცრად ფხიზლდებოდა და, განრისხებულს, ეჭვები ღრღნიდა - ვინ იყო მაინც ეს აბეზარი, ანა-მარიას უტყვი მბრძანებელი, ეს სხვა - მესამე, ანა-მარიას ქმარზე მეტად რომ უყვარდა, სულს რომ ერჩია... და იმ ოთახში რომ შედიოდა, ანა-მარია მაშინვე შეწყვეტდა ხოლმე დაკვრას და დამნაშავესავით,

წასწრებულივით, თავს დაბლა ხრიდა... და დომენიკოც, შეწუხებული, სულო ცოდვილო, ლოყაზე შემოაჭდობდა, თითებს, თავს გადაუწევდა, თვალებში ჩახედავდა, მზერას არიდებდა ქალი, დომენიკო კი მაგრად, მაგრად შემოხვევდა ხელებს და ჩაიკრავდა გულში, თვალებში ჰკოცნიდა, გორგალი ებჯინებოდა ყელში, სული სტკიოდა... თვალდახუჭული ჰკოცნიდა ყელზე და გრძნობდა, როგორ თბებოდა მომლოდინე, მადლიერი ქალი, ისე მადლიერი, გაამაყებულ მგზავრს ცრემლმორეული თვალების დანახვა მოუნდებოდა და, რომ შეხედავდა, - აჰ, სხვისი იყო, მაინც სუულ სხვისი... სხვას ეკუთვნოდა!

და, ქუჩად გასულს, გამარჯვებული მეუფის მაინც სევდიანი ხმები ესმოდა...

- ამ სახეობებშიც აღიარებულმა ჯუზეპემ გაიმარჯვა, ბარაქალა მას! შენ რა მოგივიდა, დინო, რად არა სტყორცნე?

- კუჭი მტკივა და... სენიორ დუილიო.

- რა გტკივა? - დაინტერესდა ჯუზეპე.

- კუჭი.

- დიდი ხანია?

- არის აგერ... ორი თვე.

- და აღარ ვარჯიშობ?

- ვვარჯიშობ კი არა, ძლივს ვდგავარ ფეხზე.

და აქ ჯუზეპეს კარგად გაახსენდა, დინოს ოთხჯერ რომ ჰყავდა გალახული. მაინც დააზუსტა:

- ნამდვილად გტკივა?

- უჰ... წყალს ვერ ვსვამ ჩემით, - ძლივას ახედა მოკუნტულმა, მუცელზე ხელისგულმიხუტებულმა დინომ.

- მერე და, შენ როგორ გამიბედე იმ დღეს, ა? დუქანში, ა!

- კარგი რა, ჯუზეპე, - საცოდავად აწრიპინდა დინო, - როცა ჯანმრთელად ვიყავი, მაშინ უნდა გადაგეხადათ, აბა ახლა რომ გამლახოთ, დასუსტებული, რა ვაჟკაცობაა.

- რა და, ხომ ვაჯობე ყველას სირბილში, ხტომაში... სიმძიმეების აწევაში, ეე... ეე, ტყორცნებში, ეე...

- კი, მაგრამ...

- ვინაა შენი მაგრამ... ლაწირაკი!

და აქ ჯუზეპემ მძლეთამძლე მკლავი მოუქნია. მაგრამ ჭახანი მაშინვე არ გაისმა. ჭახანი გაისმა მხოლოდ მას შემდეგ, როცა დინომ დარტყმა კოხტად აიცდინა და მოკლედ გაიქნია ხელი. მერე კი პირაღმა გაშხლართულ ჯუზეპეს დახედა და მხიარულად თქვა: - მოტყუვდა, აი, კუჭი არა, მუჭი...

მაგრამ იმისთვის არა სცხელოდათ:

- არიქათ, წყალი... უშველეთ, წყალი...

ჯერ ჩვეულებრივი წყალი აპკურეს, მერე ვარდისფერი წყალი მოარბენინეს, მერე - წითელი, სულ ბოლოს - მწვანე, მერე კუმეო გაგზავნეს ყვითელ წყალზე, მაგრამ იმან გზაში დალია და ქაფქაფაც კი სცადეს, ვერაფერმა უშველა, და არტურომ დამაჯერებლად თქვა: „მიმიშვით, მე ვიცი მაგის წამალი. მიმიშვით.“ და ლოყაზე მოუთათუნა ხელი. ჯუზეპემაც მაშინვე სთხლიშა. სანამ არტუროს მოასულიერებდნენ და დააშვიდებდნენ ნორჩ ჯანჯაკომოს, ჯიქურ მოჭრილს ყვირილით: „მარჩენალო, მამი“, დინო თავს დაადგა მიწაზე ბრიყვულად წამომჯდარ გოლიათს და ჰკითხა:

- სირბილში ვინ გაიმარჯვა?

- მე, სენიორ, - მორცხვად მიუგო ჯუზეპინომ.

- სიმძიმეების აწევაში?

- მე, სენიორ დინო.

- და ხტომა-ტყორცნებში?

- მე.

- მაგრამ ჩხუბი სიმძიმეების აწევა, ხტომა და ტყორცნა არ არის, ჯუზეპე, და შენ წარმოიდგინე, კრივიც კი არაა ჩხუბი, - უთხრა დინომ და თვალთმაქცურად გაუღიმა, - ჩხუბი სულ სხვა რამეა, ჩიტო.

- ვიცი...

- იცი, აბა რა...

- რაღა ახლა მოგინდათ ჩხუბი და ალიაქოთი, ამ უცხო ხალხში, მოგვეჭრა თავი, შეგირცხვათ თავი.

- ვინ უცხო ხალხია...

- ორი მოგზაურია, ქართველები.

- სადაურები?

- არის ასეთი ხალხი... მაგათი ენა მაინც ვიცოდე. დიდი ბოდიში, ქართველებო, მაგრამ ჩვენი ქალაქი თუ მოგწონთ, აა?

პირველმა ქართველმა ვერაფერი გაიგო, მხრები აიჩეჩა, მეორეს მიუბრუნდა:

- Mi sembro che offronoi appartamenti1.

და მეორე ქართველმაც დასძინა:

- Vave a dire avaveno i grandi temperamenti2.

- ვინაა ეს ხალხი, - დაინტერესდა მოსულიერებული არტურო.

- მოგზაურებია, რაღაც-რაღაცეებს იხატავენ გზაში.

- ისე, სახით კი გვგვანან ჩვენ.

- ყველანი ადამის შვილები არ ვართ?

- ნეტავი ჩვენსავით მდიდარი ენა თუ აქვთ, - დაინტერესდა ალექსანდრო, - აი, თუნდაც ჩვენი სიტყვა ავიღოთ - კოცნა... რამდენნაირად გამოითქმება... და მოგზაურებს მიუბრუნდა, - კოცნა - ქართველლო... როგორ გამოითქმება, ქართველლო, - და ჰაერს აკოცა.

- Beh che vogliono... - გაიოცა პირველმა ქართველმა, - Mi chiano Hainrich, mio amico Dragomiro3.

- ორად ორი შესატყვისი ჰქონიათ, - დააზუსტა ალექსანდრომ, -ჩვენ კი, ჰეე, რამდენი...

- რამდენი მაინც... - შეეკითხა დუილიო.

- რამდენი და, რა ვიცი, რამდენნაირად აღარ გამოითქმება - აკოცა, ეამბორა, ემთხვია, ბაგე ბაგეს დააწება... ბაგეზე დაეწაფა... მტლაშამტლუში... დალოშნა... ჩარპოშტნა...

-კუჭის წვენი ამოუღო, - შეეშველა კუმეო.

-ფუჰ... ქალის ჭკუა რა ვთქვი, - შეიჭმუხნა ალექსანდრო.

თხელი ზეწარი ეფარა მხოლოდ... თმა ჩამოშლოდა ანა-მარიას, კედლისკენ ექცია პირი, ეძინა. თავს დასდგომოდა დომენიკო, გატრუნული შესცქეროდა ულამაზეს ტალღას, ტალღისავე თმით რომ მთავრდებოდა. ღია ფანჯრიდან დილის სიგრილე შემოდიოდა, ზეწარი ნიკაპქვეშ ამოეკეცა ქალს. იმ თმის ქვეშ, ალბათ, მკრთალად იღიმებოდა. და არეულ მგზავრს იმისი სახის დანახვა სურდა, მაგრამ ეს უნაზესი, ჰაეროვანი სიმძიმით ჩამოშლილი თმა რომ გადაეწია, მაშინვე გაიღვიძებდა ქალი - ისეთი ფრთხილი ძილი იცოდა, გაღვიძებული კი, კიდევ უფრო სხვისი გახდებოდ, და დომენიკომ მიმოიხედა... ერთიანად აიწურა, ფანჯარასთან ფრთხილად ფეხისწვერებზე შემდგარი მივიდა, მაგრად ჩარაზა. მერე კარისკენ გაეშურა, ისევ სუნთქვაშეკრული, ფრთხილად გააღო, ეზოში გავიდა. მომცრო ფარდულში ხმელი ტოტები ამოარჩია, ხელებზე დაილაგა, ჩვილი ბავშვივით შეიტანა ოთახში შეშა. ბუხართან ჩაიჩოქა, კოხტად შეაწყო, ცეცხლი დაანთო, ფრთხილად უბერავდა სულს. ფიჩხის ტკაცუნზე გული ეკუმშებოდა, შიშით გახედავდა ქალს, იმას კი ისევ ეძინა, და სითბო რომ დატრიალდა, სიმხურვალე აუტანელი რომ შეიქნა, ისევ ქალთან აიტუზა დომენიკო... ანა-მარია შეიშმუშნა, მძინარემ ზეწრიდან ხელი ამოაძვრინა, თმა გადაიწია სახიდან, ზედა ტუჩი ოფლით დასცვაროდა. ხელები უკან, თავსზემოთ გადააგდო, დაჭიმულ იღლიას მკვრივი ბორცვის კალთაც აჰყვა; გულაღმა იწვა ახლა ქალი და ამ შუა ზაფხულში ლამაზ-ქალაქის ერთადერთ ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, როგორ ცხელოდა, და ანა-მარიამ ზეწარი დომენიკოს ფერხთით, იატაკზე გადმოაგდო. შიშველი იყო და, სიცხისაგან გაბეზრებულმა, ძილში ღრმად, მძიმედ ამოიკვნესა. გვერდზე გადაეგდო თავი, დომენიკოსკენ, ის კი მოჯადოებული დასცქეროდა უმწეო ქალის ღონიერ სხეულს, ანა-მარია, თავისუფალი და უდარდელი, თავს ზემოთ ხელებგადაგდებული, მკრთალად იღიმებოდა თითქოს, მაინც რა ფერისა იყო, როგორი რბილი ხაზები ჰქონდა, და ამ სიცხეში გაღვივებული მისი სხეული, ოდნავ, სულ ოდნავ, ბაცად სავსე, რის მარმარილო - თავად სხეული და დომენიკომ მუხლთ მოიყარა, დაჩოქილი მძინარე ქალის წინაშე, იმ სალუქ სხეულს დასცქეროდა... და, როგოოც მოსაღამოვებულს, ცის დაჟინებული თვალიერებისას მკთალად, ბუნდოვნად გაიკიაფებს უსახელო ვარსკვლავი. მხოლოდ ასეთი დაჟინებული მზერის შემდეგ ქალის სხეულზე დომენიკო ხედავდა მკრთალად ცისფერ ძარღვებს, ცისფერიც არ ეთქმოდა, მოჩვენებას ჰგავდა, მხოლოდ ყელთან

მოუჩანდა ოდნავ მკაფიოდ. სისხლი ბრუნავდა ნატიფ სხეულში, უხვ სხეულს ვიწრო მდინარე რწყავდა, ისე ერთგულად, ისე თანაბრად, და მაჯაზედაც მკაფიოდ უფეთქავდა, ქვაზე გადავლილ ნაკადულივით, და დომენიკო, გამოუცდელი, მგზავრი, ისე მადლიერი იყო იმ ყველაზე ჩვეულებრივ, ყველაზე უცნაური ძალისა, სიცოცხლე რომ ერქვა - სისხლს რაც აბრუნებდა, ჰაერს რაც აწვდიდა მშვიდად ასუნთქებულ სხეულს, რაც აღამებდა და ათენებდა, და ეს მაინც რა იყო - ტანი და სახე, ხელები, ფეხი... და ორი ბორცვი, აჰ, რა სიმაღლე, და დომენიკო, გახარებული, იმ ცისფერ ძარღვს დაეწაფა, ყელთან რომ აჩნდა ქალს, და იმანაც ძილშივე იცნო, ხელები მოხვია, თვალი გაახილა, და ახლა თვალდახუჭული დომენიკო ჰკოცნიდა და მკერდზე ადებდა ყურს, გახარებული, გულისცემას უსმენდა და ტუჩებში რომ ჰკოცნიდა, სიხარულად ელამუნებოდა ლოყაზე ანა-მარიას სუნთქვა - ცოცხალი იყო, კი, კი, ცოცხალი, და ხელისგულზე მისი წელი ედო, ამოზნექილი, ნაზი... თვალდახუჭული ჰკოცნიდა ისევ, და გლუვ მხრებს ტუჩით ეფერებოდა, მერე სხეულზე ისევ დახედა, მუხლზე აკოცა და იმ უცნაური ხუმრობით გულმოცემულმა, თვალებში ღიმილით ჩახედა და გაშრა - მაინც სხვისა იყო...

- ჩემი დედას ერთი ქალიშვილი ყვანდა, იმას კიდენ ბიჭი ყვანდა, მოკლედ რომ ვთქვათ, დიშვილი მყვანდა, - თქვა კაცმა, რომელიც გრამატიკას დიახაც რომ კარგად ვერ ფლობდა, - ჰოდაა, ცოლის მოყვანა დააგვიანა, არ მოყავს ცოლი, უკვე ულვაში ქონდა, წვერი ქონდა, ერთი, მეორე, ყველაფერი ქონდა, მოუყვანეთ ცოლიი. ეს ბიჭი ცოტა ხერხემალი გაღუნული ქონდა როცა ცოლი არა ქონდა, და როცა ცოლი უკვე ქონდა, ხერხემალი მაინც გაღუნული ქონდა.

ჰოდა, ეს ცოლი ქორწილზე ვერაფერი შეამჩნია; ერთი დღე გავიდა, ვერაფერი შეამჩნია, ხუთი დღე, ათი დღე, ათი კვირა გავიდა, ვერაფერი შეამჩნია, ძალიან კარგი ბიჭი იყო, თვეში ხუთი-ექვსი დრაჰკანი გამოდიოდა. ჰოდა, ერთხელ ბანაობს რა, იმაში, აი... აი, იმაში, აი... ვაჰ, კასრს რა ქვიან.

- კასრი ჰქვია...

- ჰო? ვა... ჰოდა, ბანაობს ერთხელ ეს ბიჭი კასრში, და ეს ქალი უკანიდან შეხედა და თრახ! - ხედამს, ხერხემალი გაღუნულია, ვაჰ, უფრო კარქა შახედა, ხედამს, მაინც გაღუნულია და ერთი ფეხი რომ იქ დაკრა, პირდაპირ ჩემთან მოვიდა, და ზედ შიგ პირში მეუბნება, რათ გამირიგე, ეს რა ქენი, რატომ ქენი, ხერხემალი გაღუნული ჰქონია და ისე შემომაპარეთ, რატომ აქამდე არ მეუბნებოდი, ეს ხომო... აი, ხომო... ვაჰ, ჰოდაა... თვალთმაქცობას რა ქვიან?

- თვალთმაქცობა ჰქვია...

-ჰო? ვა... ჰოდა, ამბობს, ეს თვალთმაქცობა რათა ქენი, რისთვის ქენი, მოკლედ ეს ქალი იქით გაიწია, არა, იქით კი არ გაიწია, პირიქით აქეთ გაიწია, მე ვიცდი, ვიცდი, ეგებ თავისით შარიგდნენ-მეთქი, ახალგაზრდები არიან-მეთქი, ჯერ არაფერი ვამბობ, ვიცდი, არა რიგდებიან, რაღა, ვიცდი, ბრაზიანობენ, ხო იცი ახალგაზრდების ამბავი, ვიცდი. ჰოდა... ანგარებას რა ქვიან?

- ანგარება ჰქვია...

-ჰოდა, მე ავიღე, პირდაპირ მივედი იმ ქალთან, ვეუბნები - რა აქს დასაწუნი ჩემი დედას შვილი და კიდევ იმისიც შვილი, ჩემი დიშვილი რაღა-მეთქი, საყვარელო შვილო-მეთქი, ქალი ხომ არ არის, მაგისი სილამაზეს რომ დასდევ-მეთქი, მშვენიერი მოყვარული ქმარია-მეთქი, სმითაც ბევრი არა სვამს-მეთქი, აბა, ლოთი შაგხვედროდა-მეთქი, თვეში შვიდი-რვა დრაჰკანი გამოსდის-მეთქი და სხვა რა გინდა-მეთქი. ჰოდაა, ამ ქალსა მე ეს ყველაფერი რომ მეთქი, ისევ შაუყვარდათ ერთმანეთი, მაშ?! მთავარია, დროზედ უთხრა ადამიანს ყველაფერი.

- ეჰ, ვასკო ნამდვილი მამაკაცი იყო, - ამოიოხრა მამიდა არიადნამ, - ხერხემალიც სწორი ჰქონდა და ყველაფერი.

აგურის მომცრო, უბრალო სახლის მთავარ ოთახში ფეხის წვერებზე შემდგარი, ფრთხილად დაიარებოდა. სწორედ ის ოთახი იყო, საკრავებით სავსე. რამდენი იყო მაინც, რამდენნაირი... ანა-მარია სადღაც წავიდა, წვრილმან სასყიდლებზე, მომავალი ვაჭრობით წინასწარ დაბნეული. რა ვაჭრობა ეთქმოდა - რასაც ეტყოდნენ, იმას იხდიდა, ოღონდ ერთიმეორისაგან ვერ არჩევდა გროშსა და დრაჰკანს... და დრომოხელთებული დომენიკო იმ საკრავებში თავისი მაღალი მტრის, მეუფის გატრუნულ სულს ჯიუტი მზერით დაეძებდა. ამ დღისით, მზისით, ფანჯრებზე დარაბააფარებულ ოთახში ფათურით დაეძებდა და ვერ პოულობდა; ისე კი, გრძნობდა, სუყველგან იყო მუსიკა, მეფე, სიამაყენარევი იდუმალებით გასუსული... ხელი შეახო სიბნელეში საკრავებს და აფორიაქდა, სული გაეკაწრა - რაღაცა იგრძნო, რაღაც მოესმა თითქოს, შორეული... ბუდიდან ფრთხილად ამოიღო სიმებიანი, გრძელკისერა, უცხოური რამ ნივთი და ყურზე მიიდო. რაღაც ისმოდა, რჩეულთათვის მისაწვდომი მხოლოდ, ვერა ხვდებოდა, ვერაფრით ჩასწვდა და, როგორც იქნა, გაბედა და წვრილ სიმს ფრთხილად გამოჰკრა თითი... და სიმმაც მოკლედ გაიჟღრიალა, ეს უბირი ხმაც მეუფის იყო, ოღონდ მხოლოდ მისი ფერხთა მტვერი... ანა-მარიასათვის ბოძებული ხმები კი თავად მეუფის ვრცელი სულის ბგერები გახლდათ, ანა-მარია - რჩეული იყო, მაღალი დედოფალი, და დომენიკო, იმისი ქმრობით გულმოცემული, მხოლოდ იმ ფერხთა მტვერითაც კი წამით

ბედნიერი, აგურის სახლის მთავარ ოთახში, იმ სიბნელეში, ყოველ საუნჯეს ტლანქად სინჯავდა...

- ძველ რომაელთაგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, - აღნიშნა დუილიომ, როგორიც იყო, - ჩვენი ნათელი გონება და მიზანსწრაფვები ერთად, ეს ბეღელია, სახელოვან კამორელთა... ეე, სახელოვან ლამაზ-ქალაქელთა დასაპურებელი. (აქ ალექსანდრომ ჩაახველა) და ამიტომაცაა იგი ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი, ხოლო ჩვენი პირადული ბეღელის გარდა, სიბრძნის პურეული ძველ რომაელთა თვალუწვდენელი ბეღლიდანაც უნდა ამოვხაპოთ.

- რით ამოვხაპოთ, მაგ შენი ქუდით? - ჰკითხა ალექსანდრომ.

მაგრამ დუილიოს რატომღაც არა სწყენია, პირიქით, გახარებულმა მიუგო:

- თუნდაც, ჰო, თუნდაც, ჩემო ალექსანდრო...

- გვიამბეთ, რაა, გვიამბეთ, რაა, რაიმე ძველ რომაელთა ცხოვრებიდან, - შეევედრა დუილიოს მამიდა არიადნა და იმას სენიორ ჯულიოც დარბაისლურად აჰყვა: - ბრძანეთ, ჩვენ გისმენთ.

- ერთ ძველ რომაელს მიმინო ჰყავდა, ფრთაგაშლილი, - ეგრევე დაიწყო დუილიომ, - სახელს არა აქვს მნიშვნელობა...

- მიმინოს სახელს?

- არა, ძველი რომაელისას. ეს უხუცესი დიდად შრომობდა მიმინოს მოვლის საქმეში და მიმინოს სწრაფად ფრენის საქმეშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მანვე. ძალიან უყვარდა კოხტა, პატარა მიმინო, როგორც არწივი, ისე, მიმინო მსწრაფლ იჭერდა მისთვის მწყერებს, მომცრო კურდღლებს, კაკბებს, და კიდევ ათასგვარ სურსათ-სანოვაგეს, ხოლო, როცა მიმინო სიბერის გამო ვეღარ იჭერდა მავნებლებს, ძველმა რომაელმა გაიფიქრა: „რაში მარგია? ამის მოვლა არ გინდა?“ და, დასუსტებულს, ყოველდღიური საკენკი დაუნიშნა, თანაც, სხვა მიმინოებს რომ გაეგოთ მისი უგულისყურობის ამბავი, აღარ მოემსახურებოდნენ მავნებელი სურსათ-სანოვაგის დაჭერაში და ძველი რომაელი დიახაც რომ კარგად უვლიდა ახალგაზრდა მიმინოების დასანახად, არ გადაყარა წყალში ხნიერი მიმინოს ამაგი, წყალუხვ ტინგროსში არ გადააგდო.

- დიდად ამაღლებულია, სენიორ, - აღნიშნა საყელოშებნეულმა ვინსენტემ.

- და თქვენი აზრი როგორიღაა, ალექსანდრო? - თავაზიანად დაეკითხა დუილიო.

- ჩემი აზრი კი ისეთია, რომ ვერც ერთი მტერი ვერასოდეს ვერ დაგიშავებს იმდენს, რასაც საკუთარი თავი, - გამოთქვა აზრი ალექსანდრომ და იქვე ახსნა: - რომ მჯდარიყავი შენთვის, ჩუმად, რა დაშავდებოდა... ჩინ-მენდლები ჩამოგერთმეოდა თუ რა...

ახალგაზრდა გიჟმა, უგომ, ჭალაში გრძელი და ვიწრო დანა იპოვა. თავისი ხის დანა ტოტზე შემოსკუპებულ ბეღურას ესროლა, ააცდინა და ხის დანის ასაღებად რომ დაიხარა, გაშრა - იქვე, - ორი თითის დადებაზე, ნამდვილი, ალესილი დანა იდო. გაოცებული დაჰყურებდა სანუკვარ ნივთს, აქამდე ყველა რომ უმალავდა. ტუჩები ენით აილოკა, ახალგაზრდა გიჟი, უგო, ალესილ დანას მოჯადოებული დასცქეროდა. უგო ძალიან მსუქანი არ იყო, მაგრამ საოცრად ფომფლო ხორცი ჰქონდა, სახით ორმოცდაათი წლის ულამაზეს ქალს ჰგავდა, მაგრამ იმ ხნის ბიჭისათვის საზარელი იყო ასეთი სილამაზე; დიდი, ირიბი, ნაცრისფერი, გაოცებამდე მშვენიერი თვალები ჰქონდა, მაგრამ ხანდახან მზერა გაუშტერდებოდა და ბინდნარევი ყინული ჩაუდგებოდა თვალებში, მერე კი ნაცრისფერი, ავად ბრჭყვიალა თევზები თითქოს კუდს ზანტად მოიქნევდნენ და თვალის გუგიდან რომ ვეღარ გამოაღწევდნენ, გამწარებულნი აფრთხიალდებოდნენ. დანას დასცქეროდა უგო.

ანა-მარია, რჩეული, უკრავდა... თავი უკან გადაეგდო, თვალები დაეხუჭა და ქუჩიდან შეჰყურებდა ფანჯარაზე აბობღებული, გამწარებული დომენიკო. პირველად ხედავდა დაკვრისას ანა-მარიას სახეს, მოღალატე ცოლს შესცქეროდა განრისხებული მგზავრი - იმას მეუფე ეფერებოდა... თავზე უსვამდა უხილავ თითებს, ტუჩზე ჰკოცნიდა, უკრავდა ქალი... ნეტარებისაგან თვალდახუჭული, ნეტარებისაგან უხმოდ კვნესოდა, ანა-მარია, შუამავალი მეუფესა და საკრავებს შორის, იმ დიდი შრომის, დაკვრა რომ ერქვა, ჯილდოს იღებდა - თავად მეუფე ეფერებოდა, ნეტარებისგან კვნესოდა ქალი... თავგადაგდებულს ყელზე ჰკოცნიდნენ, და თვითონ ქალიც ტუჩებს სიხარულით აწვდიდა მეუფეს... რა დაინახა, რა, რას ხედავდა! მიწაზე დახტა, გაოგნებული, და პირველივე, რაც გაიფიქრა - „ტერეზასთან... ტერეზასთან წავალ“. მაგრამ ის, ალბათ, არც მიიღებდა... და თვითონაც არა სურდა ნამდვილი ქალი, და მოიფიქრა - „ოო, კარგია, მე შენ გაჩვენებ, ღალატი როგორ უნდა...“ ხმაურით გაღებული ფანჯრიდან კი ეძახდა:. „დომენიკო, დომენიკო...“ არც შებრუნებულა, „მე შენ გიჩვენებ...“ და აქლოშინებულმა ტულიო მოძებნა, „ერთი თხოვნა მაქვს...“ „რა იყო, ბრძანე...“ „გლახა ქალებში წამიყვანე რა...“ „შენ გაგახარა... ძალიან მინდოდა, ფული თან თუ გაქვს...“ „კი, კი.“ უცნობ ქუჩაზე მიაბიჯებდა, „ხომ გადაგიხდი, - ფიქრობდა მგზავრი, - შენ თუ თავად მეუფეს მანაცვალე, მე გლახა ქალებში გაგცვლი...“ სახლში შევიდნენ, „აბა, შუშხუნა! - შესძახა ტულიომ, - ჩქარა, ორნი ვართ“ და ორი ქალი გამოვიდა, „იცნობდე,

დომენიკო, ყველაზე კარგი გლახა ქალებია - ლაურა და ტანგო“. ლაურამ თვალები ააჟუჟუნა, სტუმარს გულიანად გაუღიმა და უცებ მოიწყინა, ფიქრებში წავიდა, მერე ისევ გაიღიმა, ტანგო კი მაღალფარდოვნად წრუპავდა სასმელს.

- რომელი გირჩევნია, ჰა! - მუხლზე დაარტყა ხელი ტულიომ.

ტანგო რაღაცნაირად ამაყი იყო, ისევ ლაურა ერჩივნა - უფრო გლახა, გლახა ქალი.

- კი ბატონო, - თქვა ტულიომ.

- მე? - იკითხა გახარებულმა ლაურამ, გაუღიმა და ისევ გაგულგრილდა.

დომენიკო მორცხვად იჯდა. ტულიო კი, აჰ - თევზი წყალში. „ყოჩაღ, დომენიკო,“ შეაქო და სიმღერა დასძახა:

კარგი ქალი ლაურა,

ჩიმ-ჩაირა ჩაირა.

ყველაზე კარგი გლახა ქალი

ლაურა,

ჩიმ-ჩაირა, ჩაირა.

ჰატ!

ტაშიი!

და მერე, ლაურასთან დამარტოხელებული რომ იჯდა მგზავრი, და რომ აღარ იცოდა რა ექნა, როგორ დაეწყო, ქალი განაწყენდა და თქვა:

- შენ მე უსაქმო ხომ არა გგონივარ, ვიღაცა ხარ... - სიფრიფანა ხალათი ეცვა მხოლოდ.

ახალგაზრდა გიჟს, უგოს ბალიშის ქვეშ ხელშეყოფილს ეძინა. ბალიშის ქვეშ გრძელი, ვიწრო, ნამდვილი დანა ეგულებოდა.

და ღამის დარაჯმა, ლეპოლდინომ მორცხვად რომ დაიძახა - „ღა-ამის სამი საათია და ყველაფერი რიგზეაა“, დომენიკო აგურის სახლში მხრებაწეული, დარცხვენილი დაბრუნდა. ტახტზე იჯდა ანა-მარია, და ტანსაცმლიანს ჩასძინებოდა და დომენიკომ თუმცა ფრთხილად შეაღო კარი, მაშინვე თვალი გაახილა, წამოდგა და ქმრისკენ გამოემართა. რა ქალი იყო, შველს როგორ ჰგავდა... და დომენიკოს შემოხვია ხელი,

ლოყაზე აკოცა. პირველი არასოდეს აკოცებდა ხოლმე, და მაინც მაინც ახლა, გაბინძურებულს, თავითფეხამდე გაჟღენთილს ლაურათი ლოყებზე და შუბლზე ჰკოცნიდა, ბავშვს რომ აკოცებენ, ისე...

- უგუნურებო, ყური დამიგდეთ, - დილაადრიან ბობოქრობდა ალექსანდრო, - ეჰ, თქვენ რა იცით თვით ჭიდილის ფასი, ეს გონივრული გრძელი ჭიდილი, თავისი მიღწევებითა და ჩავარდნებით, ო, ეს ჭიდილი თუ იცით, რაა... ბევრგან ყოფილხართ? რა მოგივლიათ... თქვენ არც კი იცით, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მიწასთან არავითარი ბრძოლა არაა საჭირო - არც მორწყვა, არც დამუშავება, იციით, იქ როგორი ზარმაცი, არხეინი და ამიტომაც გონებაჩლუნგი ხალხი ცხოვრობს? და ის ქვეყნები თუ გინახავთ, სადაც თითქმის არაფერი ხარობს და საზრდოსათვის დღედაღამ შრომობენ და იმ მიწაზე გაზრდილნი - მკაცრი და თავისთავში ჩაკეტილი ადამიანები თუ გინახავთ... მაგრამ ისევ ესა სჯობს, ადამიანებო, წარმოიდგინეთ... ახლა კი კარგად დამიგდეთ ყური - კალაბრიაში ხომ თავსაყრელად აქვთ ხორცი და ფული, და როცა მოესურვებათ, რომ იყიდიან ნებისმიერ ხილს, მაგრამ შრომობენ, რადგან თავიანთი ხილი უნდათ - კალაბრიაში ხე არის ერთი, პატარა, სურნელოვანი ნაყოფი აქვს, დეკემბრის დამდეგს მწიფდება მხოლოდ, დიდხანს მწიფდება და პაპას ხილს ეძახიან კალაბრიელები. სანამ იმ ხეს დარგავენ, რკინის გრძელი, წაწვეტებული იარაღით ამტვრევენ კლდოვან მიწას, ღონივრად ურტყამენ, ბზარავენ, აქუცმაცებენ ლოდს, გააქვთ და პეშვით აგროვებენ შორიახლო მიწას, ნერგს რომ ჩაატანონ. მერე კი, ადამიანებო, შორიდან ეზიდებიან წყალს და ფრთხილად უსხამენ, ფაქიზად რწყავენ, წყალმა მიწა რომ არ გაიყოლოს. ასე მწიფდება პატარა, სურნელოვანი ნაყოფი - პაპას ხილი. იმ ხილს სხვაგან ვერ წაიღებენ, ვერ გაყიდიან, იმ ხილის მომყვანი ვერა, ვერასდროს გაყიდის იმ პაწია ნაყოფს, იმდენი შრომისას და ნაჯაფისას, ადამიანებო, აბრძანდით ერთხელ კალაბრიაში, იმათ უყურეთ, და მცირე მზეში დამწიფებული ის ხილიც იგემეთ, გეთაყვათ, და ეგებ თავადაც ისწავლოთ იმ ხილის მოყვანა და, რაც არ უნდა გაგიძნელდეთ, ის პაპას ხილი გახსოვდეთ მუდამ - იმ ძნელ ხეს სულში ამოყვანა უნდა, ადამიანებო, თქვენს კლდოვან სულში - და გაკვირვებულ ლამაზქალაქელებს დაემუქრა, - პაპას ხილივით მოგიყვანთ ბოლოს!

უგო ქუჩებში დაიარებოდა, პერანგის ქვეშ ხელშეყოფილი, მკერდზე მიეხუტებინა დანა. ცივი კი იყო, მაგრამ ჟრუანტელს ჰგვრიდა და ჟრუანტელი ისე ათბობდა... მოსეირნეებს აკვირდებოდა, „იმას? ხომ არ... ა?“ აღელვებულ ალექსანდროს შეავლო თვალი, არა, არა, გაგულისებულიგახლდათ... ჯუზეპეს, კუნთებდაბერილს? შიგ ყელში, ყელში... არა, კატასავით მიახრჩობდა ჯუზეპე. და ანტონიოს, ძროხისთვალებას? არა, ვინსენტეს ახლდა, ორნი იყვნენ... ახლა, საქმე საქმეზე რომ

მიდგა, ყველაფრის აწონ-დაწონა სურდა, მაგრად ჩაებღუჯა ნამდვილი დანა, შეკრთა - ისიც ხომ არ იდგა იქ, უცნობი მგზავრი, ვისაც რატომღაც ერიდებოდა - არა, არ ჩანდა... და, დუილიოს? პირდაპირ მუცელში... არა, არა, მთელი ხალხი დაესეოდა, დუილიო ხომ კერპი გახლდათ და დარბაისელ სენიორ ჯულიოს? არა, დუილიოსთან ამხანაგობდა და დინოს? აჰ, ვერა, ვერა, ცქვიტი იყო, მოქნილი, სწრაფი, და არტუროს ხომ...

მთავარ ოთახში დაწრიალებდა დომენიკო.

არა, არა, არტუროს არა, ნათესაობა ეხვია და ის მოხუცი? არა, აჰ, არა, შვილები ჰყავდა, ნორჩ ჯანჯაკომოს? არა და არა, ნათესაობა იმასაც ჰყავდა, და მამიდა არიადნას, იმ გაღეღილ, შემჭკნარ მკერდში? არა, არავინ აპატიებდა სახელოვან კარრასკოსთა ჩამომავალის სიკვ... და კუმეო რომ... არა, ერთგული ცოლი შურს იძიებდა და თვით ცოლი რომ... არა, ისიც ხომ კარრასკოსთა ჩამომავალი იყო, და ტულიო ხომ არ...

შეშფოთებული დასცქეროდა საკრავებს დომენიკო.

არა, ტულიოს არა, მთელი ქალაქის რჩეული ჭაბუკი იყო, და რომელიმე უპატრონო გლახა ქალი? არა, არა, დროებითი პატრონები იმათაც ჰყავდათ, ქუჩას გაუყვა დანის სიცივით გამთბარი უგო - ფეხისწვერებზე მიაბიჯებდა, და გრძლად, გაბმულად ისრუტავდა დაბერილი ნესტოებით ჰაერს, და ცილიო რომ... არა, იმისი ძმაბიჭები არ შეარჩენდნენ, და ედმონდო რომ - ხელმოცარული ამხანაგთმაძიებელი! მაგრამ ის ხომ უკვე მიწაში იწვა და პატრიცია? სასაცილო ქალი... არა, იმასაც ვრცელი ნათესაობა ჰყავდა, და არტუროს თანაშემწე, კვამლით აცრემლებული კაცი? არა, იმას ერთთავად შამფური ეკავა. და ღამის დარაჯი, ლეპოლდინო? ღამით კოხტად დადარაჯება, მაგრამ ის ისეთი ფრთხილი იყო, და იმისი მოკვლისას მაინც ვერაფერს დაინახავდა - როგორ გაიკრუნჩხებოდა, და როგორ დაღვრიდა სისხლს. და ტერეზა? ლამაზი იყო, და მეტი გემო ექნებოდა იმის წივილ-კივილს, მაგრამ არა, არა, ის ხომ არც დაიკივლებდა და ყოჩაღი იყო, ვაითუ სულაც წაერთმია დანა, და სერვილიო? აჰ, არა, არა, საშიში გახლდათ, კამორაში დაიარებოდა, იქით ჩასცემდა დანას კისერში და ვინმე მოხუცი? ვთქვათ...

და წყაროსთან დარჩენილ სალამურში პაწაწკინტელა, წვრილი გველი შეცოცდა - იირკოლა ჩი... სატუჩეში გაიტრუნა, ისედაც ციცქნა, ორად მოიკეცა და კუდი ამოიდო თავქვეშ, და გველის თვალები მიმოაცურა ხვრელს... მაგრამ რესა დამნაშავე იყო...

ხალხიან ქუჩას გაერიდა უგო, იქ ბევრნი იყვნენ... წყნარი, დაკლაკნილი ქუჩა ამოირჩია, მოსახვევთან დადგა, გაიტრუნა... მომლოდინე, ფრთხილად სუნთქვასა ცდილობდა, მაგრამ ისე უცემდა გული...

შორიახლოს, სამი ქუჩის იქით, ანა-მარიას მომცრო კალათით საუზმე მიჰქონდა. გაოცებული, გახარებული, შეშინებული, ახალ, სულ სხვაგვარ ხმას უგდებდა ყურს - გულის ქვეშ ბავშვი უკაკუნებდა...

და ნაპოვნი სალამური უბეში ჩაიდო რესამ, არხეინი სტვენა-სტვენით გაეშურა შინისაკენ. სქელი პერანგი ეცვა და თავის ჟამს უცდიდა გველი... მაგრამ რესა დამნაშავე იყო. აქ კი კედელს აჰკვროდა უგო, მკერდზე მიეხუტებინა მბზინავი დანა, ნაბიჯების ხმა ისმოდა თითქოს... გაოგნებული დომენიკო ამაოდ შეეხო სიმებს - რომელი ერთი არა სცადა და, ვერცერთს გააღებინა ხმა... „უბა მუშ ნუგალამ გი-ირ ნუგალაამ“, მღეროდა ბრგე მეომარი და წინამძღოლი იჭმუხნებოდა, ქუჩად მიდიოდა დამფრთხალი ქალი, ანა-მარია, მეუფის ტოლი, - თავის ოთახში, მაგრამ აქ, გარეთ, სუსტი, უმწეო და დაბნეული, თან ეს კაკუნი... ისეთი წმინდა... მოსახვევში იდგა უგო, სუნთქვაშეკრული, ირგვლივ კი სისხლის სუნი იდგა - ისეთი მწკლარტე... მომღერალმა კი, რესამ, სალამური მიიდო პირზე, და ზანტად, ცივად აღელდა გველი, პაწია ტანი გაშალა, პაწაწკინტელა კუდით დაეყრდნო აჟღერებულ ხეს, და ოდნავ მოირკალა, „ო - ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი მთაზედა, ჰეე, ქვა შემოივლო გალავნად ცა დაიხურა თავზედა, ჰეე, ჰე...“ - არხეინად მღეროდა რესა, მაგრამ ის დამნაშავე იყო. მეორე ქუჩაზე მოაბიჯებდა ქალი, ამაოდ კენკავდა სიმებს შინდარჩენილი დომენიკო... და მტაცებელი მცენარეები, აფართხალებულ მწერებს რომ ნთქავდნენ, „გი-ირ ნუგალაამ, ურმახ ნუგალაამ...“ „შენისთანა სავსე ქალი უნდა ჩავიგდოო ხელშია, ნეეტავი ტუჩით შემახო შენ რომ ძუძუ გაქვს მკერდშია, ჰეე...“ - დაამღერა რესამ და ისევ იტუცა პირში სალამური, მაგრამ ის დამნაშავე იყო, და დამნაშავევე იყო წინამძღოლი, გაფითრებული, წვიმადავიწყებული, კარავში წრიალებდა, და მთავარ ოთახში წრიალებდა დომენიკო, რად არ ესმოდა სიმების ჟღერა, ეგებ - დაყრუვდა, და ფეხი დაჰკრა იატაკს, მკაფიოდ ჩაესმა ბრაგუნი, და ჭაობებში მტაცებელი მცენარეები იდგნენ, მიამიტ მწერთა მოლოდინში, და თრთოდა უგო, ფრთხილ ნაბიჯთა ხმით ათრთოლებული, სისხლი ესმოდათ მისი თვალების ბინადართ - თევზებს, ღონემოცემულნი, ახალის ძალით რომ იკლაკნებოდნენ, და გამწარებულმა დომენიკომ ისე ღონივრად ამოსწია სიმი, რომ გაწყვიტა და ახლაღა მოესმა განწირული, მაბეზღარა ხმა, და ქუჩაში გავარდა, მოშორებით კი პირისპირ შეჩეხილი, შველივით ქალის დამფრთხალ, უმწეო თვალთა ყურებით უგო, ახალგაზრდა გიჟი, ძალას იკრეფდა, და მამის ფერხთით დაეცა გამწვანებული რესა,

მაგრამ ის - დამნაშავე იყო, „ოდეს გველი არ იყო, მო-ორიელი არ იყო“, თავის ენაზე ღრიალებდა ბრგე, ზორბა მეომარი, შეწყნარებას ივედრებოდა დიდი, ლამაზი, ირიბად ახლეჩილი თვალებით ანა-მარია, მაგრამ გულმოცემულმა უგომ, თექვსმეტი წლის ურჩმა, მაღლა შემართა ხელი, და გაახსენდა - „გული ზურგიდან უფრო ახლოა,“ ზურგს უკან მოუარა, და ანა-მარია, აკაკუნებული ბავშვით, ვერც შეირხა და საუზმიანი კალათი გაუვარდა მხოლოდ და თვალს ნუ დახუჭავთ, ვიცი, ძნელია, ძალიან ძნელი, მაგრამ ჩვენ, ორმა, ლამაზ-ქალაქში სალახანებად წოდებულმა ორმა უხილავმა მაწანწალამ, ხომ ვიცით, ვიცით, ყოველი ვიცით, რა ღრმად შეისუნთქა მწკლარტე ჰაერი ხელებშემართულმა უგუნურმა, უგომ, და რა ღონივრად ჩასცა ორივე ხელით ნაპოვნი დანა... ნამდვილი დანა, მარცხენა ბეჭში... და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა, ოღონდ დროდადრო უკან იხედებოდა, და ერთხელაც რომ მიიხედა, თავმიბრუნებული, ვიღაცას დაეტაკა გზად, განრისხებულმა ახედა და შეკრთა - დომენიკო იყო... და, ერთმანეთს რომ გაოცებულნი შესცქეროდნენ, იქით, სამი ქუჩით იქით ანა-მარიამ სული დალია... და შეძრწუნებული უგო რომ გაეცალა, დომენიკომ გაიფიქრა, „რად მერიდება, ნეტავ“, - და ისიც გაიქცა, ოღონდ ანა-მარიასაკენ, და პირქვე ჩამხობილს რომ გადააწყდა, და გულაღმა რომ გადმოატრიალა ეს ყველაზე დიდი, დადუმებული სიმი, გაშრა:

სულ სხვისა იყო!

უცხო ქალაქისკენ, გზად...

ისევ თქვენა ხართ? შეწუხებული... ერთი მეც მკითხეთ... და მაინც, მოდით, ჩამჭიდეთ ეგ უნდო ხელი და ლამაზ-ქალაქი მიმოვიაროთ - ჩქარა დავტოვებთ, უბედურ მგზავრს ავედევნებით. ყვავილდაყრილი მომცრო გორაკი, ქალაქის განაპირას, ტყესთან... ლოგინზე პირქვე დამხობილი დომენიკო, და მის თავთით დაყუდებული, სიკეთითა და თანაგრძნობით უნებურად დამნაშავე ხალხი - მარტოობა უყვარს გლოვას. გულაჩუყებულნი, მხარზე ადებდნენ ხელს, იმას კი ბალიშში ჩაერგო თავი... ანა-მარიას თმის შორეული, მოთიბული სუნი... მიწაში იწვა! იქ რა უნდოდა! მთელი სიცხადით - რაც მოხდა... მოხდა! მერე ბურუსი და დამძიმება, ვიღაცის ხელი, „რა უბედურებაა, აჰ“, „საბრალო ქალი...“ აუარება ყვავილის სუნი, ანა-მარიას თმას რომ ახშობდა, და ისევ სხვისი „აჰ“, სხვისი „ეჰ“, გულწრფელად წუხდნენ ორიოდე დღით ამაღლებული ლამაზ-ქალაქელები, მაგრამ ჭეშმარიტი გლოვა მაინც სხვა იყო - თანხმოვნები არ ერია... ყველაზე დიდი უბედურება - ხმოვნებია, სად „უხხ, ახხ,“ და სად გამწარებული სულის ღრიალი - იაიაუოოუუ... ეგდო, გლოვობდა. ვინ რა იცოდა, როგორ უყვარდა... და თუმცა ერთხელაც არ მოსვლია აზრად თავის მოკვლა -

მაინც სოფლიდან გახლდათ ჩამოსული, იქ კი კლდესავით გლოვა იცოდნენ - სხვისი ხელიდან სიკვდილი მაინც ძალიან სურდა...

და ავაზაკთა ქალაქში გადაწყვიტა წასვლა - კამორა...

არტურომ პირი დააბანინა, ჭიშკართან იცდიდა ლანდო. ჭალაში უნდა მისულიყო, გადაჭრილ ხესთან. ახალი ტომარა მოატანინა ჯანჯაკომოს, შებინდებას უცდიდა, რადგან არავის დანახვა არ შეეძლო. ფული თავისთვის არცა სურდა, მაგრამ იცოდა, დრაჰკანებისთვის უფრო ადვილად რომ მოკლავდნენ - ეეჰ, ისევ თავისთვის უნდოდა ფული... როგორც იქნა, დაბინდდა, მაგრამ ოთახში ალექსანდრომ შემოაბოტა - მეორე გიჟი... ოო, გამწარდა:

- არა მცალია!

- ყური დამიგდე, დომენიკო, - თქვა ალექსანდრომ და მიუახლოვდა, - ერთი საათი მაინც მოგაგებინე და დამითმე, რა იქნება ხუთიოდ წუთი...

- რა ერთი საათი...

- აი, შენი დრაჰკანები მოგიტანე...

- და თქვენ... იცოდით?

- რაღა თქმა უნდა.

- და არ აიღეთ?

- მგლოვიარედ რომ არ იყო, სილას გაგაწნავდი, - უთხრა ალექსანდრომ, - რანაირიღა შეურაცხყოფა არ მიმიღია, მაგრამ ასეთი? არასდროს, არა... ყური დამიგდე. გადაჭრილ ხესთან ათასი დრაჰკანი დავტოვე, აუცილებლაღ დაგჭირდება, ოღონდ მერე, ესენი რომ შემოგეხარჯება - აქ ოთხი ათას რვაასამდეა. ნუ გეწყინება, შენი საიდუმლოებები რომ ვიცი - რა ვქნა, სუყველას გაკვირდებოდით... და ასეც განვაგრძობ. ისიც ვიცი, კამორაში რომ გინდა წასვლა. იმასაც ვხვდები, რატომ...

- თქვენ... - აირია დომენიკო, - თქვენ... გიჟი არ ხართ?

- არა, გაგიჟდი? - გაეღიმა ალექსანდროს, - არა, ზედმეტად დალაგებულნი, ხანდახან ასეც გამოვიყურებით. თავის ქებაში არ ჩამომართვა, რადგან ჩემი დამსახურება არაა ეს - უბრალოდ, ასეთი გავჩნდი, ახლა - საქმეზე... მე ერთი ძმა მყავს - შეიძლება გახსოვდეს, ერთხელ გიამბე - თერთმეტი წლის მკვლელი. ახლა ის შუახანს გადაცილებული კაცია, მაგრამ ასაკს ვერ გაუგებ - არიან ხოლმე ასეთები. ყური

დამიგდე - მე და ჩემი ძმა სწორედ ერთ საქმეს ვემსახურებით, თუ გახსოვს - კაქტუსს... მაგრამ მე თუ საჭიროებისდამიხედვით აყრანტალებული და დასაცინი ვარ - ასეა ამ ქალაქში საჭირო - ის, ოო, ის - შენიღბულია, და მერე როგორ, უნდა მაპატიო, დომენიკო, ვერ გეტყვი იმის სახელს... მაგრამ იცოდე, უჩინარ მხსნელად გეყოლება. და უკვე იცის, იქ რომ მიდიხარ. ამ ქალაქიდან კამორაში მხოლოდ ორსა გვაქვს ფარული კავშირი - დუილიოს და მე. ოღონდ იმას - გარეწრული... გარეწარი ხომ იცი, რასაცა ნიშნავს...

- ვიცი.

- ყური დამიგდე. თავს ტყუილად ნუ შეიწუხებ, მაინც ვერ გაიგებ, ჩემი ძმა რომელია. თვით ეგრეთწოდებულ „დიდ მარშალში“ - ედმონდო ბეტანკურშიაც კი შეიძლება შეგეპაროს ეჭვი, იმის ძმობას კი ვერც გაივლებ გულში, რადგან ადვილი შესაძლებელია, საერთოდ ვერც გაიცნო. ბევრნაირი ავაზაკი შეგხვდება, მაგრამ ვიმედოვნებ, გადარჩები და დიდებულ ქალაქს - კანუდოსსაც ნახავ.

თვალებში უყურებდა.

- და ის ჩაფლული ათასი დრაჰკანიც იქ დაგჭირდება. კარგი საქმისთვის. თუ დაიღუპები - მე მოვახმარ იმ საქმეს. აქამდე ცომი იყავ, დომენიკო, არ გეწყინოს კი და კამორაშიც ცომი იქნები, ოო, დაგზელავენ... და მხოლოდ კანუდოსში თუ მიხვდები რაიმეს და, ბოლო-ბოლო, შეიძლება გამოცხვე კიდეც. ახლა კი, არტურო მოგიცდის ალბათ ნახევარ საათს, წამო, ერთ ამბავს მოგასმენინებ...

კრავივით გაჰყვა.

- ახლოს ნუ მოხვალ, ამ ხეს ამოეფარე, - წასჩურჩულა ალექსანდრომ, - მგლოვიარედ ხარ და შენი მოერიდებათ, თამამად ვერ ილაპარაკებენ... - და კოცონს მიაშურა, - ოო, ადამიანებს გაუმარჯოს, ადამიანებს, რასა იქმთ, ადამიანებო?

- ოჰ, მოვიდა მშვიდობის მაძიებელი, - მხიარულად შესძახა კოცონთან მოკალათებულმა ტულიომ. - ისე, ვსაუბრობთ...

- საუბრობთ თორემ, თქვენც ძველ ენაზე არ ილაპარაკოთ.

- რა ძველი ენა, გიჟია ოხერი! - გაიკვირვა საყელოგაღეღილმა ვინსენტემ.

- ძველი ენა კარგი და საფუძვლიან-მართებული რომ ყოფილიყო, არ დაძველდებოდა, - აღნიშნა დუილიომ, როგორიც იყო.

- ვითომ რატომ, - შეეპასუხა ალექსანდრო, - რითია ცუდი, მაგალითად... ეე... - მამასა ვისმე ესხნეს ორი ძე...

- ესხნეს არა ფლავი... - შეაწყვეტინა ვინსენტემ.

- თქვენ როგორ იტყოდით, დუილიო.

- მამას ორი შვილი ჰყავდა. დიახაც, რომ.

- და ამას? - „და ჰრქუა უმრწემესმან მან მამასა თვისსა: მამაო, მომეც მე, რომელი მხუდების ნაწილი სამკვიდრებელისაÿ, და განუყო მათ საცხოვრებელი იგი."

- ამის თქმას რა უნდა - თავისი წილი გაიტანა.

- ვითომ?

- ოღონდაც, ოღონდაც, - აღნიშნა ახლად საყელოშებნეულმა ვინსენტემ და მოყვარული ცოლისძმის - ანტონიოს ალერსიან გამოხედვაზე შეიჭმუხნა.

- კაცო, რათ გინდა ამდენი ჰაი მამა ყვანდა, ჰაი შვილი ერთი-ორი ყვანდა, იქნებ საქმე-საქმეზე სულაც არა ყვანდა? - დაეჭვდა კაცი, რომელიც გრამატიკაში მოიკოჭლებდა, - ვერა, ვეღარ იხილავდა გრამატიკის სიღრმეებს - უკვე ხანში შესული იყო.

ალექსანდრო გამოტრიალდა, წყნარად აედევნა დომენიკო.

- რაღაც ჩამივარდა თვალში.

- აბა, მაჩვენე.

ბნელოდა. თავი მთვარისკენ შეუბრუნა, ქუთუთოები გადაუწია, ღრმად ჩახედა თვალში და ფრთხილად, გამოზოგილი სიამოვნებით ჩაჰბერა სული.

- თუ გაგიარა.

- კი.

და უცებ... საკვირველებავ, სილა გააწნა.

- გაგიჟდი? თუ რა!..

- არა, დომენიკო, ასე იყო საჭირო... მაპატიე - და თავზე აკოცა, - აბა, შენ იცი... და ძველ ამბებსაც ნუ შევიძულებთ, არის რაღაც სათნო, რაღაცა კარგი, უბრალოდ რომ ვთქვათ... ჩემი ძმაც გახსოვდეს, - და ღიმილით დაამატა, - კაქტუსოვანი... მე -

გაყიდული სიკეთე ვარ, იმან კი სულ სხვა გზა აირჩია - შენიღბულია, და მერე როგორ... არტურო ქალაქიდან ორიოდ საათის სავალზე ჩამოგსვამს, რა თქმა უნდა, ღამით. უფრო ახლოს შიშით ვერ მივა, გამობრუნდება, ვერც გაამტყუნებ... მიმოიხედე, და ჩამუქებულ მთისკენ იარე - კამორა შორიდან ასე მოჩანს ღამით... ნუ შეგეშინდება, შედი - ჩემმა ძმამ უკვე ყველაფერი იცის... ალბათ, ვერც დაინახავ, მაგრამ ნუ გეშინია. ჩუმად გიპატრონებს... - შეჩერდა, სათქმელი ენაზე ადგა, მაგრამ უჭირდა, თავი დახარა, - და, მაპატიე, დომენიკო, ანა-მარია უნდა ვახსენო - იდარდე, იგლოვე, რამდენიც გინდა, მაგრამ ისიც იცოდე, ბევრს არ უცოცხლია ქვეყნად ისე ფაქიზად, და იმ სიმართლით... და ვითომ... ვითომ, უბედურია? ეეჰ, სიღრმეები... აბა, შენ იცი, წადი.

და კიდევ ერთხელ აკოცა თავზე.

სულ სხვა ქალაქი

სიბნელეში, ავად ჩამოღვრილ მდუმარებაში ყველაფერი ჟრიალებდა თითქოს, სახლებს ვერ არჩევდა კამორაში შუაღამით შეპარული მგზავრი. კედელ-კედელ იარა ერთხანს, ხელის ფათურით მიჰყვებოდა ყრუდ, მაგრად ჩარაზულ სახლებსა და ჭიშკრებს... - სიკვდილს ეძებდა ავაზაკთა ქალაქში მგზავრი. მერე შეჩერდა, კედელს მიკრული, ცახცახებდა - დრაჰკანებით სავსე ტომრით ხელში, უცხო ქალაქში სიკვდილი სურდა, და საოცრად ფრთხილი, უხმაურო სირბილით უახლოვდებოდა ვიღაც. ტომარა დაუვარდა, თვალი დახუჭა, ის კი, შავად მოკუნტული უცხო, მივარდა და უფრო დიდი ტომარა მიაჩეჩა, სხაპასხუპით მიაყარა - ეს დამიჭირე, ჰალე, თუ ძმა ხარ, ჰალე, შენ იქით გაიქეცი, მე აქეთ გავიქცევი, კვალს ვერ აიღებენ. ჰალე, ოთხი შვილი მყავს, ამასაც შვილივით ვუვლიდი... - და გაიქცა. გაოგნებული დომენიკო პირველად ხედავდა ახტუნავებულ ტომარას, უნებურად ჩაებღუჯა და პირდაღებული დასცქეროდა, სანამ ხელს სტაცებდნენ - ახტუნავებული ტომარა გამოგლიჯეს, „ოოო, ხალე, მოდი აქ, ხალე, აბა, ერთი მიანათეთ, ოჰო! აქაურს არ ჰგავს, წაამო, ბიძია, წამოდი, ხალე, ესეც შენია?“ დრაჰკანებიან ტომარას გაჰკრა ფეხი. მოჩვენებებს ჰგავდნენ - ხის შავად შეღებილი მოსასხამები წამოეხურათ, საკვირველებავ, და ხისავე ქუდები ეხურათ, სახეზეც - ხის ნიღაბი, თვალებთან და პირთან ოდნავ, წვრილად გაჭრილი. „წამოიღე ეგ პატარაც, ხალე...“ დაგუდული, სისინა ხმები გამოდიოდა ნიღბებიდან, ფეხშიშველნი იყვნენ, დომენიკოსაც გახადეს მაღალი ჩექმა, სადღაც მიარბენინებდნენ, მოსახვევთან ჩერდებოდნენ, ნიღაბის ქვეშ შეიყოფდნენ საყვირს, წყვეტილად ჩაჰბერავდნენ, მერე ისევ მიარბენინებდნენ, ახალ მოსახვევამდე, ჩაჰბერავდნენ... ძალიან უცნაურად დააკაკუნეს, სადღაც შეიყვანეს, ფარნები ენთო, რბილ ტახტრევანზე მხართეძოზე წამოგორებულიყო ვიღაც,

მთქნარებაატეხილი, მოწყენილი კაცი; და თვალებში რომ შეხედა, დომენიკო კინაღამ ჩაიკეცა - აქვთ ხოლმე ხანდახან ასეთი თვალები... შესულებმა ხის ნიღბები მოიხსნეს, მოსასხამებიც კუთხეში მიაყუდეს და მარწუხებით გულგრილად ამოაძრეს ხიდან წვრილი დანები. „ვინაა?“ - უგულოდ იკითხა წამოწოლილმა. „სასიკვდილეა, - მიუგეს, - აი, ეს დავუჭირეთ ხელში, - ახტუნავებულ ტომარას გაჰკრეს ფეხი, - თანაც, აქაური არ უნდა იყოს...“ „კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, უცხოებმაც თუ დაიწყეს ღამით ბოდიალი. თანაც, ამით... აბა, გახსენი“. რაები ხდებოდა, იმ ახტუნავებული ტომრიდან პირაკრული კატა ამოიყვანეს. „ბრჭყალებიანია ხომ? „აუჰ, სულ ჭანგებივითა აქვს, ჰალე... ოთხიანია“. „აქაური არა ხარ, ბიჭო?“ „არა.“ „დაა... - აქ კი კაცი წამოდგა და უცებ თავაზიანად ჰკითხა - და ნათესავი ხომ არ გყავთ ვინმე ზედა უბანში, პატივცემულო?“ „არა.“ „სულ-სულ არავინ, ჰალე?“ „არა.“ „და დავალება ხომ არა გაქვთ რაიმე, პატივცემულო, ა, ჰალე?“ „არა“. „აბა რაღას მოგყავდათ, - თქვა კაცმა და ისევ წამოწვა, - წაიყვანეთ, წაიყვანეთ, ოღონდ ცოტა შორს გამოსჭერით ყელი... ჩემი ღილი მაინც ვერ იპოვეთ, ხომ?“ „ვერა, ჰალე... ხევში ჩავაგდოთ მერე?“ „საცა გინდათ, იქ ჩააგდეთ... კარგად ვერ ეძებეთ, ალბათ“. „ნამდვილად კარგად ვეძებეთ, ჰალე, ტანსაცმელი გავხადოთ, თუ...“ „რა ვიცი, რა აცვია... ეგებ ამ ტახტის ქვეშ შევარდა.“ „მანდ ვნახეთ, როგორ არ ვნახეთ, ჰალე...“ და დომენიკოს ფარანი მიანათეს, - „უიმე, ჰალე, მშვენიერი კარგი ტანსაცმელი აცვია, ჰალე...“ „მართლა? - დაეჭვდა კაცი, - კარგია... და იმ ტომარაში რა აქვს...“ „ჯერ არ ვიცით, ჰალე...“ „ჩახედე აბა, ჩიჩიო...“ ყველაზე დაბალმა კამორელმა კოხტად, წამში გახსნა ყულფი, ტომარაში ჩაიხედა, ჩააცქერდა, თითებიც შეავლო და გაშრა, - „დრაჰკანებია, ჰალე!“ „რას ამბობ, ჩიჩიო...“ - დაიბნა კაცი, ფრთხილად გადადგა ორიოდ ნაბიჯი, ტომარას პირი გაუფართოვა, და ჩახედა... „გვაპატიეთ, სენიორ...“ - მუხლებზე იდგა!

და დომენიკო მაშინვე მიხვდა, რომ კუდამოძუებული სიკვდილი მაგრად ჩარაზული ოთახიდან სადღაც სხვაგან წავიდა.

- გვაპატიეთ, სენიორ, - უთხრა მუხლმოდრეკილმა - მაპატიეთ, გვაპატიეთ, რას ვიფიქრებდი... თქვენ ისე უბრალოდ გეჭირათ თავი. მაპატიებთ, ხომ?

დომენიკოს დანა პირს არ უხსნიდა.

- რამდენია, სენიორ?

- ოთხი ათას რვაასამდე.

- რა-აო? ოთხი ათას რვაასჯერ იდღეგრძელეთ, ჰალე, - და უნებართვოდ წამოდგა, მუხლისთავები დაიფერთხა, - ალბათ, მარშალის ბრძანდებით რამე... დიდი მარშალის, ესე იგი...

უმძრახად იდგა.

- ეს კატიანი ტომარა... მართლა თქვენი იყო?

- არა.

- აბა?

- სხვამ შემომაჩეჩა.

- და გამოართვით? აუჰ, ვაჟკაცი ესა ყოფილა, ჩიჩიო, ა? როგორ აუღია თავის თავზე ამოდენა დანაშაული, მაგრამ მარშალის ნათესავი იქნება და... რა გენალვლებათ, არა, ჰალე? - ალერსიანად დაეკითხა, - უმოსასხამოდ მაინც რამ გაგაბედინათ, ჰალე...

ხმა არ გაუცია. აქ, ამ ავაზაკებში უცებ ანა-მარია გაახსენდა, ელდა ეცა და ერთხანს დააპირა ყველაფერი ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა - ხორცი ტკბილია.

- ბინა თუ გაქვთ შეპირებული, ჰალე?

- არა.

- გადი, გააცილე, ბიჭო... შენ გეუბნები, ჩიჩიო... ჩემსას მიიყვანე, თუმც, არა, არ მელოდებიან, მორიგე მყავს მარჯვე... რა ვქნა... სკარპიოზოსთან მიიყვანე, ჰო! - გაუხარდა, - ამაღამ მიცდის. მეხუთენაირად დაუკაკუნე, გესმის? კარგი მოსასხამი ააფარე, ქუდიც, ნიღაბიც... ერთი წყალი დამალევინე, ჩიჩიო... - მოსწყურებოდა, ადამიანი იყო ისიც, - მეხუთენაირად, ხომ გესმის...

- აბა არ მესმის, ჰალე?

ისევ კედლებს მიუყვებოდნენ. დაბალი ჩიჩიო - წინ, ის კი, ხმელი, მაღალი, კვალდაკვალ მისდევდა. ორი ნიღბოსანი მიიძურწებოდა ღამეულ კამორაში. „აუჰ, მარშალის სახელი დამავიწყდა, თქვენ ხომ არ გახსოვთ?“ - ჰკითხა ჩიჩიომ. „არა“ „რამ დამავიწყა. - მოისმოდა ნიღბიდან დაგუდული, სისინა ხმა, - იმას და პოლკოვნიკს სეზარს ერთი სახელი არ ჰქვიათ, ჰალე?“ „არ ვიცი“, „როგორ - არც ერთს არ იცნობთ, ჰალე?“ ხმა აღარ გასცა დომენიკომ.

მიდიოდნენ და ჩქამიც არ ისმოდა - ფეხშიშველნი იყვნენ, დომენიკოს ჩექმები ხის მოსასხამის ქვეშ, იღლიაში ამოედო მეგზურს - პატივსა სცემდა.

- ეს კატა რას ნიშნავს...

- აუჰ, ეგეც არ იცით, ჰალე?

- არა.

- არავინ გაგვიგოს და... ყურში გეტყვით, ჰალე...

და, საიდუმლოდ რომ გადაიხარა, დაბალმა კამორელმა დომენიკოს უეცრად ხის მოსასხამი გადაუგდო და მუცლისკენ გაუქანა დანიანი ხელი, მაგრამ დომენიკოს ზურგს უკან ვიღაცამ მარჯვედ ჩაარტყა ჩიჩიოს მაჯაში დანა.

- აუუჰ... ვაიმე, ჰალე... - წამოიძახა ჩიჩიომ, - კაცი თუ გახლავთ, ვერ მითხარით, ჰალე? ეგ რომ მცოდნოდა, ვინ გაგიბედავდათ, ვინ ოხერი...

დომენიკომ მიიხედა, მაგრამ აღარავინ ჩანდა.

- ასე შეიძლება? - უსაყვედურა ჩიჩიომ, ხელს ყურადღებით იხვევდა, - სულ უცოდინრად მომაჩვენე თავი და... ასე უნდა დასცინოთ უბრალო ადამიანს? ასე არ ვარგა, ჰალე...

ვინ იხსნა, ნეტავ... და გაახსენდა - ალექსანდროს ძმა!

- ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ჰალე, კატა არ შეიძლება არაფრით ჩვენში, ბრჭყალებიანი ხომ - არავითარ შემთხვევაში!

- რატომ...

- ნოხებს გარეთ ვფენთ ღამღამობით, აივანზე, ჰალე, ასეთია წესი. აგერ, აივანზე აიხედეთ, ყველგან ნოხია, ხედავთ?

არაფერი ჩანდა.

- ჩვენ-ჩვენი ქონება რატომ უნდა დავუმალოთ ერთმანეთს, ჰალე, და ძვირი ნოხები გადმოფენილი გვაქვს მუდამ. სამი კაცი ერთმანეთს რომ დაადგეს, მაინც ვერ მისწვდება და ვერც ერთი ჭანგი იმას ისე კოხტად ვერ ჩამოიღებს, როგორც კატა. ავუკრავთ ხოლმე კატას პირს, ჰალე, გამოვაბამთ თოკს და ნოხიც ჩვენი არაა, ჰალე?

- და ამიტომაა კატა აკრძალული?

- აბა!

- კლანჭებიანი?

- კლანჭებიანიც და უკლანჭებოც. მხოლოდ მარშალ ბეტანკურსა ჰყავს კატები, ჰალე.

- ჰალე რას ნიშნავს?

- არაფერს, ისე...

- როგორ თუ ისე...

- კიდევ მაბითურებთ, ჰალე?.. არაფერს არ ნიშნავს.

- მართლა?

- მართალს გეუბნებით, ჰალე.

- აბა რატომღა ამბობთ?

- ისე უბრალოდ... მასალაა სიტყვის.

ღამეულ კამორაში ორი ნიღბოსანი მიაბიჯებდა.

- აჰ, იმის კატა რომ ნახოთ თქვენ... ისეთი დიდია, კოხტა, ცხრიანია, ფუმფულა, მოვედით მგონი...

და ძალიან უცნაურად დააკაკუნა. მაშინვე გაიღო კარი.

- არ შემოხვიდეთ!

- რატომ, ჰალე?

- შევალ ოთახში ჯერ.

- რა, არ გვენდობი? მე ვარ, ჩიჩიო...

- რა გამახარე, ბიჭო? - ჩაიქირქილა მასპინძელმა და სადღაც მიიმალა. მერე მოესმათ: - აგერ, იმ ოთახში შედით.

-საიდან იცი, რომ ორნი ვართ?

-ვიცი!

- საიდან იცი?! ვისი კაცია თუ იცი!

- ვიცი.

- ვისი, აბა?

- მარშალ ბეტანკურის.

-კი მაგრამ, ვინ გითხრა...

- რა ვიცი მე... ვიღაცამ მეხუთენაირად დამიკაკუნა, თქვენსავით, და მითხრა.

- ვინ იყო.

- რა ვიცი... უნიღბოდ იქნებოდა ამ შუაღამით, შენი ჭკუით?

- აჰ, არა, არა...

ალექსანდროს ძმა!

ოთახში შევიდნენ, და უცებ საშინელი ჭახანი გაისმა.

- ვაიმე, ჰალე, აქაც გყავთ კაცი, ჰალე? ვაიმე, ჰალე, ჩამიმტვრია ყბა...

ჩიჩიო წრიპინებდა.

- ვერ მითხარით, ჰალე? გეთქვათ და, ვინ ოხერი დაგიპირებდათ მეორედ... ასე არ ვარგა, ჰალე. ერთი დრაჰკანი მაინც მომეცით...

- ხვალ მოგცემ, - უთხრა დომენიკომ, - წადი, გამეცალე.

- მართლა, კარგი ქალი ხომ არ გნებავს, ჰალე?

- წადი დამეკარგე!

- აგერ გასაღები, ჰალე, შიგნიდან ჩაკეტე, ჰალე, აგერ, მე რომ გავალ, ამითაც გადარაზე, შენ რომ რამე მოგივიდეს, ალბათ ყველას ამოგვხოცავენ, ჰალე.

მარტოკა იყო. საგულდაგულოდ დახშულ ოთახში, საწოლზე იწვა. არც მოსასხამი მოუშორებია და არც ნიღაბი, სახე გაუოფლიანდა, მარტო იყო და მაინც გრძნობდა, იმ სიბნელეში მაინც ამჩნევდა ჭერზე რაღაც უფორმო, უსახურ ლაქას, მარტო იყო და მაინც იცოდა - ვიღაცას უყვარდა! ეს ალექსანდროს ძმა არ იყო, არც ალექსანდრო, უფრო სხვა, ვიღაც...

პირაღმა იწვა, ესეც, კამორა... ორი დღის ნამგზავრს, კისერი სტყდებოდა, მაგრამ მაინც ვერ იძინებდა. საწოლზე გაშოტილიყო ახალი ნიღბოსანი.

და კამორაშიც ყოფილა თურმე ღამის დარაჯი, ოღონდ ლეპოლდინოსავით მორიდებული და დაშინებული კი არა - აჰ, ისე მჭახედ, ისე ღონივრად მოისმა უცებ:

- ღა-ამის სამი საათია და ყველაფერი გეენიიაალურაადაااა!

ნაწილი მესამე

კამორა

თავი პირველი

ნაცნობობანი

გათენებისას მძიმედ ამოტივტივდებოდა ხოლმე დიდი, ნაცრისფერი, გლუვი ქალაქი - კამორა.

გისოსებიან ფანჯრებში ფარდები საეჭვოდ შეირხეოდა, ყველა ფარდაზე უამრავი თვალი იყო ამოჭრილი და ირგვლივ ლამაზად ამოქარგული; ფრთხილი მასპინძლისათვის მისწრება იყო ეს - რომელიმე ნასვრეტიდან იჭყიტებოდა და სახლის წინ მტერი რომ ატუზულიყო, ვერც გაიგებდა, ფარდიდან უთვალთვალებდნენ თუ არა. მზის ამოსვლამდეც აბჟუტდებოდა ხოლმე მკვრივი კედლები, მთელ კამორაში - მარმარილოს სახლები იდგა. საგულდაგულოდ ჩარაზულ კარებზე მრგვალი, კუშტი სახელურები ეკიდა - დასაბრახუნებელი. სხვისთვის თვალშეუვლები სიმდიდრე საიმედოდ გამოეკეტათ შინ, მხოლოდ დიდი, სქელი ნოხები გადმოეფინათ მაღლა, აივანზე. ღამის ამაყი დარაჯი, მაღალი, ხმელი კაეტანო, ჯავშანთორიანი, რკინის ბადეშემოვლებული, მძიმედ დააბიჯებდა ქუჩებში და გალიიდან მხოლოდ რკინის ხელი გამოეყო, დანაჩაბღუჯული. რკინის ნიღბით ყელგაშეშებული, გოროზად მიიწევდა ქუჩაში და დროდადრო რკინისავე ხელთათმანში ჩადებულ საათს თუ მიიტანდა ორგან გაჭრილ ნიღაბთან; ისევ მძიმედ ჩამოუშვებდა ხელს. შეშინებული უსტვენდა ჩიტი, უცნაური მწკლარტე სუნი იდგა, საზარლად მოტკბო, აქა-იქ მოკლედ ყიოდნენ მამლები. ეს სუნი იდგა იქაც, ოთახში; ძილში წრიალებდა მგზავრი და რაღაც მშობლიურად უსიამო ტუჩზე ჰკოცნიდა - გულაღმა იწვა, ტუჩებზე თბილ, გაბმულ სუნთქვად ჩამოსდიოდა აუტანელი სუნი, მერე ყელიც კი სქლად დაუსველდა, შემკრთალმა გაახილა თვალი, პირზე იტაცა თითები - ორივე ნესტოდან სისხლი სდიოდა. შეშინებული წამოხტა, გულისპირზე დაიხედა და იატაკზედაც მალიმალ ატკაპუნდა მძიმე წვეთები. წამოწვა და თავი ისე ძალიან გადააგდო უკან, თვალის უპეებში ჩაეღვარა სისხლი. არაქათგამოცლილი,

ახლა ჭერს შესცქეროდა, და რაღაც ლაქა, ისე ნაცნობი... ძველისძველ ლაქას მუდარით ასცქეროდა დომენიკო, თავგადაწეულმა მიაშურა მაგიდას, დოქი იპოვა სისხლიანი ხელისგულების ფათურით, ცხვირსახოცი ამოაძვრინა, დაასველა, ცხვირზე მიიდო, წამოწვა ისევ. ესეც კამორა... აქ რა ელოდა!

სარკმლისაკენ გაიხედა, თვალებამოქარგული ფარდიდან ჭრილობებივით შემოდიოდა დილის სინათლე, ამოძრავებული სიჩუმე კუშტად დაცურავდა უამრავ ირიბ სვეტში. აქ რა ელოდა - მუცელში დანა? თუ სისხლი, სისხლი... ან ბეჭებშუა ცეცხლოვანი ყინულის კოცნა - კამორული ფრთიანი დანა... ეგება - ყელში, და უკანასკნელ გულისცემასთან ამონაფეთქი სისხლი ამოდის, ლავიწის ორმოში გროვდება; ივსება, დაცურებული, ნეკნებს გადივლის და თვალებატრიალებული, გდია, იიქ გდია... სწრაფად წამოდგა, ისე დაზრინა, სისხლისდენაც კი შეუჩერდა შემცივნებულს, და ფარდას აეკრო, აესუსა, ერთ თვალს მოარგო თავისი თვალი, გადაიხედა. დამრეც ქუჩაში არავინ ჩანდა, მხოლოდ მოპირდაპირე სახლში, ფარდის მიღმა, ავად შეირხა ვიღაცის ჩრდილი. სარკმელს მოსცილდა, დაიხია, კედელს აეკრო, თვალდახუჭული. ზურგმიყრდნობილი, იდგა და იდგა, და, კიდევ კარგი, კეფა და ზურგი მაინც მშვიდად იყო ახლა და ოღონდ სციოდა, ყელზე - არც ისე - ნიკაპი დაებჯინა მკერდზე, ყელს იფარავდა, ყავისფრად დალაქულ ბალიშსა და ზეწარს შიშით დახედა, მფარველ ჭერისკენ აიხედა ისევ და სანამ რაიმეს გაარჩევდა, „დი-ილის რვა საათია დაა, - ომახიანად გაისმა სადღაც, - სუყველაფერი გეენიიაალურაადااااა...“ მერე რაღაცა მოკლედ აჟღარუნდა, სხვაფრივ - სიჩუმე იდგა და ჟღარუნი რომ მიილია, მაშინვე აბაკუნდა ქუჩა, ხმაური ატყდა მარმარილოს ქალაქში, ოღონდ რაღაცნაირად უხიფათო, მშვიდი, ისევ ფარდასთან მიიპარა და გაიხედა - სარკმელს აღებდნენ ყველგან, მოპირდაპირე სახლიდან არხეინად გამოვიდა ვიღაცა კაცი, ჩვეულებრივ ადამიანს წააგავდა შორიდან. იღეჭებოდა კიდეც, იქითა სახლში აივნის ნოხს დიდი კეტი დასცხო ვიღაც თავწაკრულმა ქალმა, გამწარებული სცემდა და სცემდა. შორიდანაც აღწევდა ეს ყრუ ბრაგვანი, მრავალგან ბერტყავდნენ ალბათ ხალიჩებს. თითქოს მიენდო ამ უწყინარ ხმებს, მოეშვა თითქოს... აქ კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.

მაშინვე გაახსენდა, სადაც იყო, და ყველაზე მეტად ზურგს შეეშინდა, მხრების ხახუნით გაუყვა კედელს, კარსაც ზურგით აეკრო და, თავმიქცეულმა ჩურჩულით ჰკითხა:

- ვინ ხარ...

სხეული თითქოს დაეშალა, და ყოველ ნაფლეთს თავისი დარდი ჰქონდა.

იქიდანაც წაიჩურჩულეს:

- გღვიძავს, გაიღვიძე?

- ჰო, ვინ ხარ...

დახშულ კარს აქეთ-იქით აკრულნი, ჩურჩულით საუბრობდა სტუმარ-მასპინძელი:

- მე ვარ, მე...

- ვინ შენ...

- ვინ ვიქნები! - ხმამაღლა მოისმა უცებ და ისევ საიდუმლოდ დადაბლდა ხმა, - ქალი ხომ არ გინდა?

- ჰა!! - ჩურჩულით შეკრთა დომენიკო.

და ისევ ჩუმად, სულწასულად მოისმა:

- დილის ქალი ხომ არ გინდა-მეთქი, ჰალე?

- ვინა ხარ-მეთქი, კაცო...

- ვინ ვიქნები, - გაგულისდა კარსიქითა ხმა, - ამ სახლის პატრონი ვარ, სკარპიოზო, სხვა ვინ ვიქნები, ჯერ არ გამიღია მთავარი კარი.

- მერე, რა გინდა...

- შენ თვითონ რა გინდა, ვერ გამიგია, რატომ არ გამოდიხარ კარში!

- რა ვიცი, ისე...

- არ იცი წესი?

- ა... არა, არ ვიცი.

- დილით ყველამ უნდა გავიაროთ ქალაქში და თუ გავლა არ გინდა და დილის ქალი გინდა, გიშოვი საპატიო ტალონს.

-რას?

- ორ ტალონს, ჰალე.

„დამშვიდებათა ნავთსაყუდარი, სწორუპოვარი მარშალი ედმონდო ბეტანკური მშვიდობის დღეებს გისურვებთ ყველაას“ - საზეიმოდ იყვირეს სადღაც.

- ახლაც არ გჯერა?

- რა...

- რომ რო გაიღო მთავარი კარი!

- ვისი...

- მთელი ქალაქის, ვისი... მშვიდობის საათები დაიწყო.

- სადამდე...

- საღამოს რვამდე... ვითომ არ იცი, არაა, ჰალე? - და უცებ შეშინდა, - შენ ისე მიამიტად მელაპარაკები, ალბათ რაღაცას მიპირებ, ჰალე, რა დაგიშავე ასეთი, რა, ჰალე...

და ერთბაშად გაღიზიანებულმა დომენიკომ გასაღები გადაატრიალა, ურდულიც ამოაგდო, ღონივრად მიიზიდა მძიმე კარი და მის დანახვაზე დუნედ დაინტერესებულმა მასპინძელმა უდარდელად ჰკითხა:

- დაჭერი თუ გაასაღე, ჰალე?

- ჰა!

- ხეელისგულეეებს,-ეშმაკურად წაუმღერა მასპინძელმა, - დააბანვა უნდა�ა, ჰალე.

- წყალი მომიტანე.

- ახლავე, ტკბილო.

ყვრიმალებდაბერილი, მკაცრად, თამამად შესცქეროდა - ვიღაცას უყვარდა.

დიდი ვარცლი შემოარბენინა მასპინძელმა, ორ სკამზე დადო, ვერცხლის თუნგით დაუსხა წყალი, აღარაფრისა ეშინოდა, ბრაზიანი ფრუტუნით იბანდა პირს, მაგრამ ქვემოთ რომ დააკაკუნეს, ძალიან შეკრთა, მყისვე გაიმართა წელში.

- ვინ ხარ! - დაიძახა მასპინძელმა.

- ჩიჩიო ვარ, ჰალე...

- რა გამახარე?! რა გინდა მერე...

- კარგი დილის ქალი ხომ არ გინდათ, ჰალე...

- გად-დაიკარგე იქით...

- ოთხია, იცოდე, ჩემი... შემომიშვი, რა...

- ოთხი, აბა კი...

- სკარპიოზო, სამს არ გაუვა წყალი...

- ორი, თუ გინდა...

რას ლაპარაკობდნენ...

- ერთი რა არი... - გულდაწყვეტილად მოისმა ქვემოდან.

- ასეთია წესი.

- ძალიან წესის კაცი არ ხარ?

- წადი, მიჩივლე...

- გიჩივლებ იცოდე, ჰალე...

- ჰოდა, შენს წილს მაინც ის წაიღებს, ვისთანაც იჩივლებ და შენ მაინც შენი დაგრჩება და მომჩივანის სახელი კი გაგივარდება. აბაა, ჰალე...

რეებს ამბობდნენ...

* * *

მომავალი კანუდოსელი, ზე მორეირა, მარმარილოს ქალაქიდან შორს, სერტანაში ცხოვრობდა.

დილაადრიან იღვიძებდა მწყემსი, ფეხზე დგებოდა. მაღალი ფეხები ჰქონდა ზეს, ტყავის ფართო ქამარს ზედ ნეკნებთან შემოიჭერდა, ტყავისავე შარვალ-ხალათი ეცვა, ფოჩებიანი. ბამბუკის ქოხში ცხოვრობდა მამაცი ვაკეირო - მწყემსი, ძლიერ უბრალო სახელი ერქვა, - ზე. ქოხის კუთხესთან, ორი ბალღის შუაში, იმისი ცოლი, მარიამი იწვა. გამრჯე ქალი კი გახლდათ, მაგრამ ასე, ზესავით, გაღვიძებისთანავე არ შეეძლო წამოხტომა - დიდ, აფუებულ თმას სახეზე ჩამოიშლიდა და ვიწრო ნაპრალებიდან უჭვრიტინებდა ზეს - რაღაცნაირად, ფარულად უყვარდა.

მარიამს უყვარდა მალულად ცქერა, როგორ ამოჰყოფდა ტყავის ხალათში თავს ზე, როგორ მოირგებდა დაკუნთულ მხრებზე, და როგორ გამოიკვეთებოდა ქამრით მისი დაუჯერებლად თხელი, ვიწრო წელი; თავქვეშ მკლავამოდებულ მარიამს უხაროდა, როგორი ბუნდოვანი სიამაყით, როგორ ლამაზად მიმოდიოდა ქოხში ზე და მერე კუთხეში, სკამზე ჩამომჯდარი, როგორ სვამდა რძეს და ხმელ პურს როგორ ატანდა. მერე ზე წამოიმართებოდა და ქოხიდან გასვლამდე, მარიამს შეკავებული ღიმილით დასცქეროდა. მარიამი კი, ერთხანს დაძაბული, თავს მოიმძინარებდა და მერე უცებ გაიელვებდა თეთრი კბილები, გულიანად გაიცინებდა, ზე მუხლზე დგებოდა, თმას შემოაცლიდა სახიდან და ძილისაგან ოდნავ გაფუებულ ტუჩებზე ორჯერ ჰკოცნიდა.

მერე ცხენთან მიდიოდა ზე, ხელისგულს რბილად ჩამოუსვამდა კისერზე - ცხენის ენა მშვენივრად იცოდა - და შეუდარებელი პატრონის მოფერებით განაბულ ცხენს მაშინვე ზურგზე მოექცეოდა - სკუპ ერთი! - და მორჩა, გამართული იჯდა უბელო ფაშატზე მოხდენილი ვაკეირო, ზე...

უცნაური ადგილი იყო სერტანა, ალაგ ქვიშიანი, გველებითა და თაგვებით სავსე, ალაგ - გაუვალი ტყით დაფარული, ბალახოვანი, თხებზე ნადირობდნენ აფთრები. ქვიშრობზე დინჯად მიარონინებდა ცხენს, დამფრთხალი ხვლიკები თავით ჩაიგრიხებოდნენ ქვიშაში, მზერად გადაქცეული გველისკენ დამუხტული მიიძურწებოდა თაგვი, მომნუსხველ მზერას რომელიღაც ამაზრზენი კანონით დამორჩილებული.

მაღალ, გარინდულ კაქტუსებსა და საოცრად ეკლოვანი ბუჩქნარის - კაატინგას შორის მიდიოდა ცხენი, ცოტათი იქით კი, მოლზე, ტყისპირას, ზეს მიბარებული ნახირი ბალახობდა. მომცრო ტანის ძროხები მშვიდად იცოხნებოდნენ, თავისუფლებას შეჩვეული, ავი ხარები კი დროდადრო თავს შემართავდნენ და მრისხანედ ყნოსავდნენ ჰაერს. ზე დიდად სცემდა პატივს თავისუფლებას და ნახირს ძაღლებს არ აკარებდა. ძაღლებით მოსვლა მხოლოდ ნახირის პატრონთ, კამორელებს სჩვეოდათ - წელიწადში ერთხელ მთელ სერტანას იკლებდა ყეფა და წკავწკავი, ისე კი, იმოდენა ნახირთან მარტოდმარტო იყო ზე, ერთგული ცხენის ანაბარა. ჩორთით შემოუვლიდა სამწყსოს, პირუტყვს ათვალიერებდა. შორიდანვე ამჩნევდა იარას, კაქტუსისა თუ კაატინგას ეკლები რომ უჩენდა საქონელს. ძროხა თუ იყო, არა უშავდა, იოლად წაასმევინებდა მალამოს, ხარი კი ზეს მიახლოებისთანავე თავს დაღუნავდა და მოლზე გავარდებოდა. ცხენს დაადევნებდა მხედარი, მაგრამ ხარი ჭალაში შევარდებოდა, და შხუილით წამოსული ტოტების ასაცდენად ზე ხან ერთ გვერდზე გადაიხრებოდა, ხან მეორეზე, ხშირად კი ძალიან დაბალი ტოტის ასარიდებლად გაჭენებული ცხენიდან ჩამოხტებოდა, ცალ ფეხს მიწაზე დაჰკრავდა და წამსვე ისევ

ამხედრდებოდა უმაყურებლო, უაპლოდისმენტებო, ჭეშმარიტი ეული ჯამბაზი, ზე. ისე ლამაზად - ყოველივე ეს... დაბალ ხარს ტყეში უფრო ეხერხებოდა სრბოლა, მერე კი, ისევ ველზე რომ აღმოჩნდებოდნენ, ცხენი იმარჯვებდა და ზეც უცნაურად გადაწვებოდა, თავქვედაკიდებული, კუდში ხელს სტაცებდა დევნილს, დაქაჩავდა, და წაქცეულ ხარს კისერზე პირდაპირ ცხენიდან ახტებოდა. რქებში ჩასჭიდებდა ხელს, და გააფთრებული, დუჟმორეული ხარის ქშენა სახეში სცემდა, დაგრეხილი კუნთები ებერებოდა ვაკეიროს, და უჩვეულო ძალის შეგრძნებით გაოგნებული პირუტყვი მორჩილად იწვა გვერდზე. ცალი ხელით ისევ ხარის რქა ეჭირა, მეორეთი ეკალს ამოუღებდა. მერე ჩექმის ოთხკუთხა ჯიბიდან მალამოს ამოაცოცებდა და წყლულზე უსვამდა. ერთხელაც გულდასმით შეათვალიერებდა და მერე იქვე მორჩილად მდგარ ცხენთან, ხარს თვალს რომ არიდებდა, მიდიოდა და, სკუპ ერთი! - ლაღად ამხედრდებოდა. გაბრუებული და დარცხვენილი ხარი საითკენმე გასწევდა, ზე კი ახალი, იარიანი პაციენტის საძებრად მიეშურებოდა.

და მთელი დღე ასე...

მაგრამ ხანდახან ისეც ხდებოდა, ძროხას ცალფეხა ჭინკა - სასი წაიყვანდა ხოლმე. იქაურობას გადაატრიალებდა ზე, ძროხა არ ჩანდა, „აჰ, სასი, შენი ცოლ-შვილი“, უბოროტოდ გაიფიქრებდა ზე. მერე ძროხის ნაკვალევს მაინც იპოვიდა, ჩამოქვეითდებოდა და პაწია ღრმულში ორ გადაჯვარედინებულ ჩხირს ჩადებდა - სასის ძალიან ეშინოდა ჯვრისა. ზე ნაკვალევს მეზობელი ვაკეიროს საზღვრამდე გასდევდა, იქით კი უხერხული იყო გადასვლა, უნდობლობას ნიშნავდა - მეზობელი ისედაც მოუყვანდა ძროხას, ერთიმეორის დამღას ყველა სცნობდა - ვაკეიროთა პატიოსნება ეჭვმიუტანელი იყო. თვით კამორელებსაც კი სჯეროდათ მათი.

შუადღით, სადმე ხის ძირას ჩამოჯდებოდა, დიდ, განიერ, ორკუთხა ქუდს მოიხდიდა, გრძელ ფეხებს გაშლიდა, და მარიამის ბოსტანში მოყვანილ კომბოსტოსა და სტაფილოს ლეოპარდებზე სანადირო გაღუნული დანით - მაჩეტეთი ჭრიდა და ასე კურდღელივით იცუცნებოდა სრულიად სერტანის უსახელო, მიკარგული გმირი - ზე.

შებინდებისას კი, შინ მობრუნებულს, კედლის ჭუჭრუტანიდან სიხარულით აღვსილი უთვალთვალებდა ცოლი, მერე კი - მალულად უყვარდა - ცეცხლზე შედგმული ქვაბისკენ შეტრიალდებოდა და მხარზე რომ იგრძნობდა უეცრად განაზებულ დაკოჟრილ ხელს, თითქოსდა უგულისყუროდ იტყოდა - აა, მოხვედი?.. ერთად ვახშმობდნენ, ღარიბზე უფრო ღარიბი იყო ზე, თუმც მის ცოლს

ლეოპარდების ტყავი ემოსა - გროშებს უხდიდნენ, და ბალღების ხათრით ორიოდ ნაჭერ თხის ხორცს პირს არ აკარებდა.

შუაღამით კი უხვ მარიამში იძირებოდა ზე, უთქმელი იყო, მოფერება არ შეეძლო და ჩუმად, გულში იმეორებდა - მარიამ, გვირილა...

ზე წელიწადში ერთხელ ჩადიოდა ქალაქად, ბაზრობაზე, და იქ მიხაკებიანი და ვარდებიანი ქალები რომ ნახა, უცებ კი მოეწონა, მაგრამ რაღაც სიცივეც იგრძნო, მარიამი გაახსენდა, - ერთის შეხედვით ყველაზე უბრალო ყვავილის სახელი საიდუმლოდ შეარქვა და მას შემდეგ, მის თმაში სახეჩარგული, სულ ჩუმად, ჩუმად იმეორებდა:

„მარიაამ, გვირილა...“

ზე ერთ-ერთი იყო იმ რჩეულ ხუთთაგან, ვინც შემდგომ დიდი კანუდოსელი გახდა.

* * *

- აბა ასე ქუჩაში ვერ გამოხვალთ, მშვიდობის საათებია და თუ გიჭყავით ფული, მშვენიერ ტანსაცმელს მოგართმევთ.

- რამდენი უნდა.

- ოცი გროშიდან დაწყებული, სამოც დრაჰკანამდე, ჰალე.

- რა ამბავია...

- რა - ოცი გროში?

- არა - სამოცი დრაჰკანი.

სკარპიოზომ მზერა ფრთხილად მოუცურა სახეზე და თავი თითქოს მორცხვად ჩაღუნა:

- მთლიანად სამოცი კი არ ღირს...

- აბა?

- ორმოცდაათი.

- და - სამოციო?

- მერე მე ფეხის ფული არ მინდა, ჰალე?

- რა ფეხის ფული...

- მაგდენ ფულს მიტანა არ უნდა თერძთან?

- რა, ასე მძიმეა?

- მამასხარავებთ, ხომ? - ყელი რომ გამომჭრას ვინმემ, მამაცი გაბედულების საფასური ფული არ მინდა?

- აკი მშვიდობის საათებიაო?

- რომელ მშვიდობას არა სჯობს სამოცი დრაჰკანი, ჰალე? - გაუკვირდა მასპინძელს, - როგორ ბავშვივით ლაპარაკობთ თქვენ...

სკამზე ჩამოჯდა დომენიკო. ესეც, მშვიდობის საათები...

- თქვენ რომელს მირჩევთ?

- მამასხარავებთ კიდევ, ხომ? სამოციანი, რა თქმა უნდა, - და დააყოლა, - ხომ გაგიგიათ, ცხოველი ბეწვით ფასდება და ადამიანი ტანსაცმლით, ჰალე!

- ქვემოთ დამიცადეთ, ახლავე მოვალ.

მძიმე ურდულით ჩარაზა კარი. ტომარა გახსნა, დრაჰკანები საწოლზე პეშვით დაყარა, ჯერ სამოცი დრაჰკანი გადაარჩია, მერე - თოთხმეტი, ბალიშის ქვეშ შეაცურა. თავწაკრული ტომარა ისევ საწოლის ქვეშ შეაგდო, მერე ურდულს ხელისგული აჰკრა და გასძახა:

- მობრძანდი, ჰალე.

ეს რა წამოსცდა - უცნობი სიტყვა! შემკრთალი იდგა...

- მოვედი, ჰალე! - უთხრა იმანაც.

- აჰა, სწორედ სამოცი დრაჰკანია.

აქ მასპინძელი მართლა გამწარდა - მხრები აზიდა, გულზე აიბაგუნა ხელები, თვალები გადმოქაჩა, საკვირველებავ, მუხლებზე დადგა:

- მართლა უნდა გამატანო ამდენი ფული ქუჩაში, ჰალე? ვითომ არ იცი ვაჭრობის წესი, არა? რა დაგიშავე ასეთი, რა! არ იცი, არა, მესამედი რომ უნდა მომცე? და მარტო ოთხი დრაჰკანი რომ დამრჩება, არ იცი, არა?

- კი მაგრამ, რამდენი მოგცეთ?

- ყველაფერი იცი შენ! თავს იკატუნებ მხოლოდ! რა მიამიტი ბიჭი ხარ, ხო-ხოო, ბიჭო! ჯერ იყო და, ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, ღამით გამოხვედი ქუჩაში და თვით ზედამხედველ ნავოლეს კაცმა მოგიყვანა. მერე იყო და იმას შენთვის დანის დარტყმა უნდოდა და ვიღაცა იყო შენი კაცი - აშენდა იმისი ოჯახი - ჩიჩიოს ხელში ჩაარტყა დანა, მერე იყო და, საიდან და როგორ მოახერხე, პოლკოვნიკი სეზარიც კი ვერ მიხვდება ამას და ღამით ჩემს მთავარ კარს საიდუმლო გასაღები მოარგე და გაიპარე და ვიღაცა დაჭერი თუ მოკალი. უფრო მოკლავდი ალბათ და ისევ არხეინად დაიძინე. და მე რომ ლაპარაკში განგებ ბითურობა გადავწყვიტე, შენ მაინც მაჯობე განგებ ბითურობაში და, თუ გინდა, მომკალი და გამათავე, მაგრამ თქვენი შესაძლებლობების კაცს ჩემი მოკვლა ეკადრება, ჰალე?

აჰ, ეს სად მოხვდა, გაოგნებული იდგა დომენიკო; მაგრამ მასპინძლის ასეთმა შეშფოთებამ მაინც გაამხნევა და ოცი დრაჰკანი ამაყად ჩაუთვალა, - აჰა, მიყიდე. შენ - ოთხი გრჩება?

- მე არა, ჰალე, - ფეხზე წამოდგა სკარპიოზო, ხელისგულით ჰაერი მოინიავა, - აქედან ორი დრაჰკანი მარშალ ბეტანკურისაა, ერთი-პოლკოვნიკ სეზარისა და ერთიც ჩიჩიოსი...

- რა, ისიც დიდი კაცია?

- არა, მაგრამ... აქ რომ მოგიყვანა.

- შენ რაღა გრჩება...

- იმდენი იმას გვერდები არ აუდგა, თექვსმეტი დრაჰკანი არ მივცე.

- ვინ იმას?

- ვის - მკერავს, ჰალე.

ერთხანს ჩუმად იდგნენ, გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ერთურთს.

- და ეგ მარშალი რაღა შუაშია?

- აჰ, - შეკრთა მასპინძელი და პირზე მიიფარა ხელი, - არავინ გაგვიგოს, დავიღუპებით, ჰალე...

- რა ვთქვი ასეთი...

- ისევ იკატუნებთ თავს, ხომ? ვითომ არ იცით, თავისი წილი რომა აქვს ყველაფერში მარშალს... ჩვენი ქალაქი კარგად რომ წარმართოს და სამართლიანი იყოს, ადამიანს ბევრი, ძალიან ბევრი ფული უნდა უჭყაოდეს. ჰალე, ბრძნულია წესი. მერე გახდება სამართლიანი, აბა რას იზამს, ჰალე...

ვერაფერს მიხვდა და დაბნეულმა თუნგს წაატანა ხელი. პირზე მიიყუდა, თავი გადასწია, აჰ, ძველი ლაქა - კუშტად მზირალი. მაინც გამხნევდა:

- წადი, ჰო, წადი, რაღას უდგახარ.

- მივდივარ, ჰალე.

- დაიცა! ზომა რომ არ აგიღია?

- როგორ არ ამიღია, - გაიკვირვა მასპინძელმა, - ამდენი ხანია გზომავ და გზომავ თვალით!

- კარგი, ჰო, წადი.

სკარპიოზომ კარი რომ მიიხურა, არაქათგამოცლილი, სკამზე ჩამოჯდა. ათასი ფიქრი ეწეწებოდა თავში, ხანდახან რაიმე საშინელება გაუელვებდა, ჯოხის დარტყმასა ჰგავდა და ის ულმობელი სახრე ფიქრებს მატყლივით წეწდა - რომ მომკლან! თუ არა, არა, ღამით გადავრჩი... ეგებ მეორე გასაღებიც აქვს? აჰ, არა, არა, ვერ შემობედავს, მკვლელი ვგონივარ... და სხვამ რომ მომკლას! არა, მშვიდობის საათებია... არაფრად უღირთ ეს საათები! თუმცა აქ ფულით აფასებენ და ფული კი ჰეე, მაქვს...

ის მორჩენილი ორმოცი დრაჰკანი ორივე პეშვით აიღო, საწოლთან მივიდა, ზეწარზე დაყარა, ცალ მუხლზე დაიჩოქა და ტომრის გამოსაწევად ცალი ხელი საწოლის ქვეშ შეჰყო; ვერ მისწვდა, გადაიხარა, ლოყა დააბჯინა საწოლს, უფრო ღრმად შეჰყო ხელი, მოაფათურა და უცებ მაჯაზე მარწუხი იგრძნო. ჯერ, რა თქმა უნდა, აფართხალება მოუნდა, მაგრამ ვერ შეძლო - წამსვე დაზრინა და დამძიმებული, დარბილებული, გვერდზე გადაგორდა, და თვინიერი სიამით გაიჟღინთა, ოჰო, ღრუბლები - ღრუბლებში იწვა. ერთიანად შიშველი, ლბილი ქულებით შემოფუთული, ნეტარებისაგან დაბუჟებული, იისფერ ღრუბლებში იწვა, მაგრამ უხეში თითებით საფეთქლებს უზელდნენ, სილაც გააწნეს, კოჭლი ხომ არა, აჰ, არა, არა, უღონოდ ფიქრობდა დომენიკო, აქ სჯობს, აქა სჯობს, ცოტა მაცალეთ, ოო, კარგია, რა კარგია, არაფრის დარდი, დამაცათ ცოტაც, იმ აბეზარმა კი წყალი დაასხა თავზე, სახეზეც აპკურა, უკმაყოფილოდ გაახილა თვალი და საზარელი ნიღბოსნის დანახვაზე აიღო და ისევ ღრუბლებისკენ დაადო თავი, მაგრამ იმან თქვა:

- ყური დამიგდე. მე ალექსანდროს უფროსი ძმა ვარ.

საწოლზე იწვა. როგორ აღმოჩნდა... უმწეოდ დამშვიდებული, ღამინდელ მხსნელს ასცქეროდა, ის კი ნიღბის ვიწრო, ირიბი ჭრილიდან ესისინებოდა:

- კარგად დამიგდე ყური. ბევრი დრო არ გვაქვს. არ დაიჯერო, რომ სკარპიოზოს მართლა ავაზაკი ჰგონიხარ. მშვენივრად იცის, მისი სახლის მთავარი კარი ღამით რომ არ გაღებულა. და, ზედა ტუჩზეც გემჩნევა სისხლი. ახლა ცოტა ხანს შეაგვიანებს, რადგან ჯერ ის უნდა გაიგოს, მართლა ხარ თუ არა მარშლისა ან პოლკოვნიკის ნათესავი. მერე ტანსაცმლისთვის შეივლის და მოზომვისას ოდნავ დიდი თუ მოგივიდა, იცოდე, მოსაკლავად წაგიყვანს სადმე - იმ ტანსაცმელს კი გაგხდის და თვითონ ჩაიცვამს - შენზე ცოტათი სრული კაცია. ყური დამიგდე, არც ისე ბევრი დრო გვაქვს... - ნიღბოსანი კართან მივიდა, გამოაღო, ხის მოსასხამიდან ციცქნა ნაჯახი და რაღაც ხელსაწყოები გამოაძვრინა, კლიტე გამოიღო ბუდიდან, - ტყეში წაგიყვანს ალბათ და ვინმემ რომ არ დაინახოს შენი დამარხვისას, ჯერ რაიმე ტყუილს გეტყვის და საფლავის წინასწარ გათხრაში მოგიხმარებს, გათხარე, არა უშავს, მაგრამ შაშვის ჭახჭახს როგორც გაიგონებ, სკარპიოზოს დასანახად რომელიმე ხისკენ სამჯერ დაიქნიე ხელი. არ შეგეშინდეს, ზურგსუკან მე გეყოლები, მაგრამ ჩემს გამოსაცნობად თუ გაბედავ და თავს მოაბრუნებ, მაშინვე ყელში ჩაგესობა ჩემგნით ნასროლი დანა... - რაღაც მოარგო კარს, ხელი კი უტყუარი მაქვს, დანას ჩემსავით ვერავინ ისვრის...

როგორ სისინებდა!

- ღამით შენი საწოლის ქვეშ მეძინა - თამამად შეიძლებოდა, სკარპიოზო შემოპარულიყო, მოეკალი და შენი დრაჰკანებიანად სადმე გადაკარგულიყო. არა, ვერ გადაიკარგებოდა, მაინც იპოვიდა ზედამხედველ ნავოლეს ხალხი, მაგრამ მაგდენი ფული მაინც გონებას დაუბნელებდა. ამიტომ დავრჩი, ახლა კი, - კარი მიხურა ნიღბოსანმა და დომენიკოს მიუახლოვდა, - კლიტე გამოვცვალე, ჰა შენ, გასაღები, ოთახიდან გასვლისას შენ თავად დაკეტე კარი, სკარპიოზო ვერაფერს შეამჩნევს, იმის კლიტეს ჰგავს. მერე კი, უვნებლად რომ მობრუნდები, სკარპიოზო თავისი გასაღებით შეეცდება კარის გაღებას, მაგრამ ვერ შეძლებს, შენ კი, ჰა, ეს გამომართვი, - გასაღები ჩაუდო ხელში, - და გააღებ. ეს საბოლოოდ დააშინებს - და დააყოლა, - გამიგე, არა?

- გავიგე, ჰალე, - უთხრა მადლიერებით აღვსილმა დომენიკომ.

- ჰალეს მოგცემ შენ, - ბრაზიანად წაისისინა კაცმა, - აღარ გავიგო შენგან ეს სიტყვა. მაგით დაიწყებ, და მერე თანდათან ისე აგიყოლიებენ, როოო... - ალექსანდროსავით გაწელა.

- და თქვენ ახლავე წახვალთ? ბოდიში...

- არა, დავრჩები.

- და კარი რომ უნდა დავკეტო? როგორ გამოხვალთ...

რაღაცნაირად ნიღაბზეც დაეტყო, რომ გაიღიმა, ალერსი შეერია სისინს, - მეორეცა მაქვს.

- ვიწრო ნახვრეტიდან თბილად შეჰყურებდა თითქოს, - მაშ ასე, შაშვის ჭახჭახზე მაღლა ასწიე ხელი და სამჯერ ღონივრად, სწრაფად დაიქნიე. რომელიმე ხისკენ... გამიგე?

- დიახ.

- აჰა, ეს დანები გამომართვი. ტანსაცმელს რომ მოგიტანს, აქაური წესისამებრ, ხუთგან იქნება ჩატანებული დანა. ოღონდ ხუთივე ალბათ ყალბი. და ამეებით შეცვალე, ორი - ჩექმის გარეთა, ვიწრო ჯიბეში, ორიც, ქამარში და ერთიც - მოსასხამის საყელოში. გაიგე?

- დიახ.

- ახლა მიბრუნდი, ისევ საწოლის ქვეშ უნდა შევძვრე, ოღონდ იცოდე, დანები არ ამოაძრო ხიდან. იმასაც არ გააბედინო.

- დამიჯერებს კი?

- კი.

- და ახლავე, რომ გასულიყავით და... იქ დაგვლოდებოდით, ტყესთან?

- არ შეიძლება. ჯერ ერთი, შეიძლება აქვე გაგათავოს, არა მგონია კი და, მეორეც მაინტერესებს, როგორ მოიქცევა, რანაირად ილაპარაკებს.

- და თქვენ... როგორ გაიგებთ...

- რას.

- აი... რაიმეს თუ დამიპირებს...

- ეტყობათ ხმაზე. მიბრუნდი-მეთქი... იატაკზე გაწოლილი არავის ვუნახივარ.

შეტრიალდა და იდგა, იცდიდა... ზურგს მაინც ეშინოდა.

სკარპიოზომ მოწიწებით შემოიტანა ხელებზე გადაფენილი სამოსი. მშვენიერი შარვალ-ხალათი იყო, მოსირმული, იღლიაში ამოჩრილ მაღალ ჩექმებსაც გვერდზე ოქროსფერი ზოლი ჩასდევდა. ქათქათა პერანგი ცალ მხარზე ჩამოჰფენოდა, მრგვალი, ფუმფულა საყელო ჰქონდა.

- აგერ, გაიზომეთ, ჰალე, ყველაფერია აქ, - სკამზე სასოებით გადაჰფინა, - აგერ, ბატონო, შარვალი, ხალათი, აჰ, რა პერანგი, ახ... აგერაა, აქვე, ქამარი და ჩექმა, შიგნითა პერანგი და იმისი საუკეთესო ამხანაგი, წინდა, შენ ხარ ჩემი ბატონი... - და შესცინა, - ყველაფრის ღირსი ბრძანდებით თქვენ.

- მარტო დამტოვე, - თქვა დომენიკომ.

- ხომ გამოისეირნებთ, მერე ტყეში, ჰალე? - მომხიბლავი ღიმილით დაეკითხა მასპინძელი, - ჰაერი არის სუფითა.

- თუ არ მომცილდებით, კი.

- აჰ, როგორ გეკადრებათ, თქვენ მოგცილდებით? როგორ იფიქრეთ... ყველაფერს რომ მოირგებთ, ჰალე, სამჯერ შემოჰკარით ტაში.

დომენიკომ სისხლიანი პერანგი კუთხეში მიაგდო, ქათქათა გადაიცვა, მერე შარვლის ტოტში გაჰყო ფეხი, ხალათში ამოჰყო თავი, სუყველაფერი სრულად ადგა, გააჟრჟოლა, ყალბი საოცრად დრეკადი დანები ამოაძვრინა ჩექმებიდან, ქამრიდან, საყელოდან, ბალიშის ქვეშ დამალა. ტანსაცმელზე დატანებულ უცნაურ ქარქაშებში კი ნიღბოსნის დანები ფრთხილად ჩააცურა, საწოლზე მორიდებით ჩამოჯდა და ჩექმაში რომ ჩაჰყო მეორე ფეხიც, შეკრთა - კოჭზე დაუკაკუნეს:

- ტყეში ერთხელ მაინც რომ მოტრიალდე, დანა არ აგცდება ყელში.

და თავად ნიღბოსანმა სამჯერ ღონივრად შემოჰკრა ტაში.

ვიწრო ქუჩებში მიაბიჯებდნენ, მოღრუბლული დღით ნაცრისფრად ჩამუქებულ მარმარილოს სახლებს შუა. მთელ გზაზე, ძვირფას კედლებს მიყრდნობილნი, კამორელები იდგნენ! რიდით ათვალიერებდა ავაზაკთა ქალაქის მკვიდრთ დომენიკო - შორიახლოდან, ასე, ჩვეულებრივ ადამიანებს წააგავდნენ - ორ-ორი ხელი, ფეხი, თვალ-ყური ჰქონდათ. ხმელი, მომაღლო ხალხი იყო, აქა-იქ თუ გამოერეოდათ ვინმე მსუქანი. მაგრამ თვალებში რომ შეგეხედათ... გინდა, შევხედოთ, შევხედოთ, გინდა? მივუახლოვდეთ, ჩვენ, უხილავებს, ორ სალახანას, დაუკითხავად რომ ვბოდიალობთ, ვერავინ გვამჩნევს, მხარზე დამადეთ ეგ თქვენი ხელი, მომყევით, ოჰო, წარბებამდე

ჩამოუფხატავთ განიერი ქუდი, და მოჭუტულ თვალებში რაღაც უბზინავთ, რაღაც სურვილი - რაღა რა რაღაც, ალბათ მიხვდებით, ფულიანი კაცის დანახვაზე რასაც ფიქრობენ... ქამრის მიღმა ჩაუყვიათ ცერა თითები, სწორედ იქ, სადაც გრძელი, წვრილი დანები ეგულებათ, და, კიდევ კარგი, ჯერ რომ აქ მოვხვდით, ეს კამორელთა შუა ქალაქია, ზედა და ქვედა ქალაქში კი ჰეე, ამათზე შვიდჯერ უარესი ხალხი ბუნაგობს... მაგრამ ესენიც, ოო, ესენი... ერთი სული აქვთ, ჩვენს მგზავრს ესროლონ მწივანა დანა, მაგრამ ასე იძახის მისი მეგზური და მასპინძელი - თვით პოლკოვნიკთან მივდივართ, ჰალე... ეს კი ჩიჩიოა, ქვედა ქალაქიდან ახლად გადმოწინაურებული, ქვედა ქალაქი არ იცით, რაა? ყველას აგიხსნით, აგიხსნით ყოველს თავ-თავის დროზე... ჰოდა, ჩიჩიო უახლოვდებათ:

- მშვიდობის საათებს გილოცავთ, ჰალეებო... გუშინღამ რომ დრაჰკანს დამპირდით, ჰალე? ეგებ მიბოძოთ...

დომენიკომ კი ზიზღით შეხედა:

- რატომ გიბოძო... მოკვლას რომ მიპირებდი ორჯერ?

აქ ჩიჩიომ ოდნავ, სულ ოდნავ დაირცხვინა, წამით თავიც კი ჩაღუნა, მაგრამ მერე გულმართლად შეხედა თვალებში და დაანამუსა:

- და თქვენ როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილას, ჰალე?

ხომ ისევ აქ ხართ, დაიმახსოვრეთ - იშვიათად, რომ შუა კამორელმა პირდაპირ თვალში შეხედოს ვინმეს. ხან ცხვირზე შეაჩერებენ ხოლმე მზერას, ხანაც - წარბებზე, ხელებზე, შუბლზე, ყურსა თუ ტუჩზე, თვალებში კი - არა, არაფრით, უნებლიეთ შეხედავენ ერთმანეთს და წამსვე აუსხლტებათ ვერაგი მზერა - ასეთია მათი დაუკანონებელი, უნებური წესი - სულაც არ უნდათ ტანში დაზრინოთ. და საკუთარი თვალებიც რომ არ გაახსენდეთ - რაც გინდა იყოს, სუყველამ ვიცით. რას წარმოვადგენთ და სარკეშიაც, წვეულებამდე გაკოხტავებისას, წვერის პარსვისა თუ თმის დავარცხნის დროს, მორჩილ ორეულს თვალს არიდებენ.

- აჰა, აიღე, - თქვა დომენიკომ და ქვაფენილიდან დრაჰკანი წკრიალით ახტა, მაგრამ მეორედ აღარ დაცემულა - წახრილმა ჩიჩიომ დაუჯერებლად სხარტად მოიქნია ხელი და იმავ მოქნევით დრაჰკანს სადღაც გულის შიგნითა, საიდუმლო ჯიბეში ჩაუძახა, - მშვიდობის საათები გაგგრძელებოდეთ, ტკბილო...

სკარპიოზო კი, თვალარიდებულთ, ყველას ამცნობდა: - თვიით პოლკოვნიკთან მივდივართ, ჰალე... ვინც აგვედევნება, თვიით პოლკოვნიკთან ექნება საქმე, ჰხალე!

თვალანთებულნი, ნერწყვგამშრალნი მისჩერებოდნენ ზურგზე... უძრავად იდგნენ.

- ცოტა დიდი მაქვს შარვალ-ხალათი, - თქვა დომენიკომ.

ტყედ მიდიოდნენ.

- უნდა გაგასუქო, ჰალე, - შესცინა მასპინძელმა, - აბა რაა, ასეთი გამხდარი რომ ხარ მაგისთანა ფულის პატრონი კაცი. მუცელზედაც კი უნდა ეტყობოდეს ადამიანს კაცობა, აბა? შემწვარ-მოხრაკულ-დაბრაწულებს მოგართმევ სულ.

- გასამრჯელოზე რატომ არ მელაპარაკები, ჰალე, - ჰკითხა დომენიკომ, და „ჰალეს“ თქმაზე ისე შეშინდა, ენაზე იკბინა და კინაღამ მიიხედა.

- რა გვეჩქარება, ჰალე.

მერე სკარპიოზო შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა და თქვა:

- აქ შენ უცხოდ ხარ... ამ ქალაქში და კეთილის გულით რაღაცას შემოგთავაზებ, თუ არ დამიწუნებ და თუკი მიკადრებ, ჰალე.

- ბრძანე, - უთხრა დომენიკომ. მუხლები უკანკალებდა, და მაინც ღირსეულად ეჭირა თავი.

- რა და... ძმადნაფიცები გავხდეთ, თუ გინდა, ძმადნაფიცობას რა სჯობს ცხოვრებაში. ხომაა კარგი?

- კი.

მიდამოს ათვალიერებდა სკარპიოზო, არც უყურებდა, ისე ლაპარაკობდა:

- ხოდა, თუკი მიკადრებ, დავძმადნაფიცდეთ, ჰალე! რაა ამისთვის საჭირო, თუ იცი...

- არა.

- არ იცი წესი?

- არა.

- რა იყო და, ტკბილო, მიწაა ყველაფრის თავი და თავი, ჰალე! ხომ გაგიგია, მიწა ვართ და მიწად ვიქცევითო, წამია წუთისოფელი და ამ ერთ პატარა მონაკვეთში პატიოსნების გარდა რა დაგვრჩენია, ჰალე? ვინ რას წავიღებთ იმ ქვეყნად, სამოთხეში, ტკბილო, სიკეთის გარდა... ჰოდა, ძმადნაფიცობას მიწაში ღრმად, ორმოში ეფიცებიან

ერთმანეთს, თავი და თავი მიწის წიაღშია, აგერ, ამ ფუღურეში მაქვს დამალული წერაქვი და ნიჩაბი... მუშაობა თუ შეგიძლია, ჰალე?

- ისე, ცოტათი.

მზე გამოვიდა, აუარება წვრილი ნამცეცი გამჟღავნდა და აბრჭყვიალდა ხეებიდან გამოსხლეტილ ცახცახა სვეტში.

- ძა-ალიან კარგი, ძლიერ. ჰოდა, ჩემო მშვენიერო, აგერ, წერაქვით იმუშავე შენ და მიწის ამოყრაში ნიჩაბით მე მოგეხმარები, აბა ჰა, დასცხე...

დომენიკომ მიწაზე მიაგდო მოსასხამი და ხალათი, რაებიც ტოტზე მაშინვე მზრუნველად ჩამოჰკიდა სკარპიოზომ. დომენიკომ თვალი გააყოლა, მერე ფართო ქამარი ოდნავ შეიხსნა, გააგანიერა, და წერაქვი გამეტებით მოიქნია.

- დაიცა პატარა ხანს... - შეშფოთდა სკარპიოზო, - აქ ნათხარი ჩანს მიწა, - და ჩაეღიმა, - აქ უკვე დაძმადნაფიცებულან, ჩვენ ჩვენი ორმო ამოვთხაროთ, სხვისი არაფერი უნდა გვინდოდეს ცხოვრებაში, არაა ასე?

სამიოდ ნაბიჯით გადაინაცვლეს, პირველმა სკარპიოზომ დაიქნია წერაქვი, მერე დომენიკოს გაუწოდა: - აჰ, ეს მშვენიერი კარგი ადგილია, ჰალე.

დომენიკოს მსუბუქად უძიგძიგებდა მუხლები, ღონივრად იქნევდა წერაქვს. საფლავს ითხრიდა... ის კი, სკარპიოზო, ირგვლივ მოთვალთვალე, ნიჩბის ტარს მსუბუქად დაყრდნობოდა და ემასლაათებოდა:

- აბა უძმადნაფიცოდ რა გაგვაძლებინებს აქ... შენი მტერი - ჩემი უსასტიკესი მტერი იქნება და მოკეთე ხომ მთლად მოყვარე იქნება ჩემი შენი, ჰალე... გამოდი აბა, ახლა მე ამოვყრი მიწას...

დიდის მონდომებით შრომობდა. დომენიკო ხესთან, ჩრდილში იდგა და შესცქეროდა. ბევრი რამ ვერ გაეგებოდა მასპინძლისა. მერე კი, როგორც იყო, ყველაფერს თითქოს მიხვდა - ოთახში რომ მოეკლა მასპინძელს, და ტომრით დაენახათ იმ ვიღაც ზედამხედველის ხალხს, გათავებული იყო საქმე - ტომარასაც წაართმევდნენ და ალბათ; მოკლავდნენ კიდეც... არავინ რომ არ ადევნებოდათ, თითქოს პოლკოვნიკთან მიჰყავდა ახლა... მერე კი, ორმოში ღრმად ჩამდგარს რომ მოკლავდა, სასწრაფოდ უნდა ამოევსო საფლავი და ქალაქში დაბრუნებულიყო, ვითომ პოლკოვნიკს ჩააბარა მგზავრი და ზედამხედველის ხალხი ყურადღებას რომ მოადუნებდა, ტომრიანად დააპირებდა ქალაქიდან გაქცევას, ალბათ თამამი განზრახვა იყო... სკარპიოზომ კი

ოფლი მოიწმინდა, მცირე ორმოდან ამოვიდა, სანამ მიწაზე დაჯდებოდა, თქვა: - შრომის ფასი რაა ცხოვრებაში, ჰალე? შევარცხვინე მე არამი ლუკმა... ტანსაცმელი არ გაისვარო, ჰალე, ძვირფასია.

რა ეღიმებოდა, მაინც ჩაიცინა დომენიკომ.

- დაჰკარი, დაჰკა, - წააქეზა სკარპიოზომ, - თუ გინდა, გიმღერებ რამეს, სიმღერა რომ გესმის, უფრო ადვილად მუშაობს კაცი... გინდა?

- კი.

- ერთი ორი სამი ოთხი, ერთი ორი სამი ოთხი, ვააჰ, დედას ცუდი მშრომლისა რა ცუდი გაუზრდიაოოოუ-ოოო-უ, ჰეეეე, ჰეე... - წამოიწყო სკარპიოზომ - კარგ კაცის გულსა ვახარეებთ ცუდისა დაგვილპიაოოოუ, ოოო-უ, ჰეეე, ჰეე... ხომ მოგწონს, ბიჭი?

- კი.

- მიდი-მიდი, დაჰკა! ცუდისა კა-აცის მზესმზირას არა გამოოდის ზეთიაااა, ცუდსა დაახვდება აფთრები, კაარგსა - აპლოდისმენტიააოოოუ, ოოო-უ, ჰეეეე, ჰეე... ამოდი ახლა, მე გადავყრი მიწას, ჩქარა წავა საქმე... რა უკან-უკან დადიხარ, ბიჭი?!

იმიტომ იხევდა უკან-უკან, სადმე მიმალულ ალექსანდროს ძმისკენ რომ არ გაეხედა. სკარპიოზომ კი, პირიქით, დომენიკოს წინა ხეებზე აიღო ეჭვი და გველივით მზერას იქითკენ აცოცებდა. ორმოში წელამდე იდგა, ქშენით ამოყარა მიწა. მერე ოფლი მოიწმინდა, ორმოდან ამოძვრა და უთხრა - ერთიც და... ეყოფა მერე, მგონია, ბატონო, - და უსაყვედურა, - მაგ შარვლით მიწაზე როგორ დაჯექი, არ გეცოდება მატერია, ჰალე?

ისე იყო დაღლილი, სიმღერის თავიც აღარა ჰქონდა, ღიღინებდა მხოლოდ:

უუუ-ო, ჰეეე, ეე... მმუუუ-ო, ჰეეე, ეე... მაგრად დაჰკარი, ჰალე... დაძმადნაფიცებას რა სჯობს ცხოვრებაში, ჰალე, ოოო-უ, უუუ-ო, ჰეეე, ე... ერთი-ორჯერაც და... ამო, ამოვყრი, ბოლო ჯერია, - და ისევ მიმოიხედა, - თუ, ეგება, შენ ამოყარო, ახალგაზრდა ძმადნაფიცი ხარ და...

მაგრამ დომენიკო მიხვდა და თქვა:

- არა. შენ ამოყარე.

სკარპიოზო ეჭვით შეაცქერდა, მერე ნიჩაბს წაავლო ხელი: - ისე, რომ იცოდე, ქვედა და ზედა ქალაქშიც სისხლით ნათესავები მყავს, ჰალე და სიტყვაზე, მე რომ ვინმე

უგუნურად თავზეხელაღებულმა რამე დამიპიროს, აუუჰ, გაგიჟდებიან ნაღდად, წამში დაესევიან მტარვალს. აბაა?! - ორმოში ჩახტა, - ძნელია, ძნელი, ასე ქვემოდან მიწის ამოყრა, - და გაიკვირვა, - რამდენი შრომა გიწევს კაცს ძმადნაფიცობისათვის, ჰალე?

მერე გაჭირვებით ამობობღდა ორმოდან, მძიმედ ხვნეშოდა, სთხოვა: - ცოტას დავისვენებ, კარგი?

მხარ-თეძოზე იწვა, იქვე მდგარ დომენიკოს მიწის ნამცეცებს აშორებდა მუხლიდან და თან ემუსაიფებოდა: - დაძმადნაფიცების წესი ასეთია, ტკბილო - ჯერ უმცროსი საძმადნაფიცო უნდა ჩახტეს ორმოში და მერე კი უფროსს ერთგული ხელი შეაგებოს. რამდენი წლის ხარ?

- ოცის.

- ჰოოდა, ჰალე, აგერ, ორმოცდასამის ვარ მე და შენ გიწევს წესით. დავისვენე უკვე, ხო იცი, - წამოდგა, - ეს სურდო ვერ მოვიცილე ვერაფრით, აჰ! - უკანა ჯიბეში ჩაიცურა ხელი, - დღეში სამი ცხვირსახოცი მინდა, ჩახტი აბა, ჰალე...

აქ უცებ შაშვმა დაიჭახჭახა. და დომენიკომ პირველსავე ხისკენ სამჯერ ღონივრად დაიქნია ხელი. სკარპიოზოს სახე ეცვალა, ხეს დააკვირდა. სამი წვრილი დანა თრთოდა ხეში, ერთ წერტილში იყო ჩასობილი სამთავე, ოღონდ ორი - ოდნავ ირიბად. სამ დანას კი არა, ისრისწვერს ჰგავდა.

- ახხ! - შესძახა სკარპიოზომ და ორსავ მუხლზე დაეცა, - ოღონდ ნუ გამათავებ და... რა გინდა ჩემგან, ახხ! თქვენისთანა მსროლელი, ჰალე? ან... თქვენი შესაძლებლობების კაცი! რა ვიცოდი მე შტერმა, არნახულ ვაჟკაცსაც რომ შეიძლება წამოუვიდეს ცხვირიდან სისხლი! ბუნების წესია ეგ... პირიქით, იტყვიან, კარგია ეგო, ზედმეტი რაცააო, ცუდი... ხომ შემიწყალებთ, ჰალე! ცოლი მყავს მოსაყვანი, ბავშვები გასაჩენი, ბავშვები ხომ გიყვართ, ჰალე, რაა ცხოვრებაში სხვა?!

დომენიკომ კი მკაცრად მიუგდო:

- ადექ.

- ავდგები კი არა, მეორედა ვარ დაბადებული, ჰალე... აჰ ის კი არა, ყალბი დანები შეგაპარეთ ტანსაცმელში და ნუ მიწყენთ მაგას, ხომ იცით ახლა, რასაც გიპირებდით გამოუცდელობით და...

და უცებ მიხვდა, რომ სკარპიოზო აღარ ტყუოდა, ისევ შეავლო მარჯვედ ნასროლ დანებს თვალი.

ახლა ისევ უძიგძიგებდა მუხლები დომენიკოს, ოღონდ - სიძულვილით, შუა კამორელს ზიზღით შესცქეროდა.

- ყალბი არაა.

- როგორ არაა, ჩემი ხელით არ ჩავაცურე შიგ?!

- მოდი, გასინჯე.

სკარპიოზომ მოსასხამის საყელოს შეავლო თითები და ვიწრო, ალესილი დანა ამოაძვრინა:

- ამას რას ვხედავ, ჰალე, მოხარშულს მიცნობ თურმე, ტკბილო... ერთი დანაც გაქვთ მანდ, ჩექმაში?

- არა.

- აბა, არც ერთი? - იკითხა სკარპიოზომ და ოდნავ შეეცვალა სახე.

- ხუთივე ადგილზეა, ის სამი დანა ხელში მეჭირა.

- სულ ეს მთელი დრო?

- კი. ხომ შეიძლებოდა, ვეღარ მოგეთმინა.

- აუუხ, ჰალე! - აღფრთოვანდა სკარპიოზო, - წინდახედულება - აიი, მესმის... - და მუდარით შეაცქერდა, - ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან!

- რა გნებავს.

- დავძმადნაფიცდეთ, ჰალე...

- გადი აქედან... - თქვა დომენიკომ, ხალათს იცვამდა.

შუა ქალაქში ისევ ტყით დაბრუნდნენ, ბილიკებს ერიდებოდა სკარპიოზო. წინ მიუძღოდა, და დომენიკოს უტყუარ მკლავს უქებდა. ქალაქში რომ შევიდნენ, თვალზე ქუდჩამოფხატულ, თვალარიდებულ კამორელთაგან, ერთ-ერთს უთხრა: - ეს ჩვენზე მაგრის ერთი არ ყოფილა?! აბა!..

და ზღურბლს რომ გადააბიჯეს, კიბეს აუყვნენ, სკარპიოზოს გაახსენდა: „ის ძვირფას-ძვირფასი დანები რომ ჩაგვრჩა ხეში?“ „აღარ იქნება“, თქვა დომენიკომ. „თქვენ ამოიღეთ უჩუმრად, ჰალე?“ „კი.“ „აუჰ, რა კაცი...“ და სკარპიოზომ კარის გაღება სცადა, და კარგა წვალების შემდეგ გაოცებული რომ მიუბრუნდა დომენიკოს და იმან კი ჯიბეში ჩაიყო ხელი, გასაღები ამოაძვრინა და კარი გააღო, მასპინძელი მთლად გადარია: - ასე უჩუმრად შემიცვალეთ გასაღები, ხომ! - და გახარებულმა იღრიალა, - ააა, მივხვდი! კაცი მოკალით და მერე ზედა ტუჩზე განგებ წაისვით სისხლი! აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე, აუუჰ, დაბერდი, არა, სკარპიოზო, შე უბედურო... - შუბლზე იტკიცა ხელი, - შე ლაყე, ლაყე... - და დომენიკოს მიუტრიალდა, - ახალი ხერხი, ახალი ხერხი! არაა ასე, ჰალე?

და იმანაც დინჯად, მძიმედ დაუქნია თავი.

იმავ საღამოს სკარპიოზო თავად პოლკოვნიკ სეზარის წინაშე წარსდგა და მოახსენა:

- მშვენივრად გამოიყურებით; თქვენი მეგობრობის ღირსია ნამდვილად, გრანდჰალლე. როგორც მსროლელი, იშვიათია და ფული აქვს ბევრი - ოთხ ათასამდე, თუ, მგონი, მეტიც... იმედია, მცირედს მიწყალობებთ, თქვენს მონა-მორჩილს. ყოველმხრივ საჭირო კაცია თქვენთვის - ხუმარაცაა დიდი და სანამ ფულს მოუგებთ, უშიშრად შეიკედლებთ თქვენს ნათელ ჭერქვეშ და მერე, გამოუშვით ჩვენთან, ძალიან გთხოვთ, ასე, ორას დრაჰკანამდე რომ დარჩება, - და კმაყოფილება რომ შეამჩნია, შეეთამამა. - თქვენ რა გესწავლებათ ჩემგან, კულტურულად გაატყავებთ, გრანდ-ჰალლე!

და რადგან ღამით მაინც საშიში იყო შუა ქალაქიდან ზედაში ჩასვლა (ზედა ქალაქი უფრო ქვემოთ მდებარეობდა), სკარპიოზოს სახლთან ღამე თეთრად გაათია ზედამხედველ ნავოლეს თორმეტმა რჩეულმა კაცმა - ცოტათი ავი ტაროსი დაემთხვათ - და, ნიღბიანხისმოსასხამიანა აძაგძაგებულნი, დანაჩაბღუჯულნი, მოუთმენლად უცდიდნენ ღამის დარაჯის, კაეტანოს ომახიან შეძახილს: - დიილის რვა საათია და ყველაფერი გეენიიალურადააააა!!!

რა მშვენიერი ტყე იყო, ისე...

* * *

მომავალი კანუდოსელი, მანუელო კოსტა, მარმარილოს ქალაქიდან შორს, სერტანაში ცხოვრობდა.

უცნაურად იღვიძებდა ვაკეიროთაგან ყველაზე მხიარული - თვალს გაახელდა თუ არა, იღიმებოდა. სულელის ღიმილს არ წააგავდა მისი სიხარული, უცნაური რამ ბედნიერება სჭირდა მანუელო კოსტას - ყოველივეთი აღფრთოვანებულს, კოშკივით სული ევსებოდა და მხიარულად დასდევდა დუჟმორეულ ხარებს. როგორც ყოველმა ვაკეირომ, იმანაც მშვენივრად იცოდა თავისი საქმე და სუულ ცოტათი - უფრო. თვით დიდ მწყემსს, ზე მორეირასაც კი უახლოვდებოდა მამაცობითა და ღონით, ოღონდ მარიამისთანა ცოლი არ ჰყავდა და ქალაქში ხშირად დაიძურწებოდა ხოლმე, სიხარულს წინასწარატანილი. გარეგნობითაც ყმაწვილი გახლდათ, ჰეე... როგორ უყვარდა თავისი ცხენი... და თუ ყოველი ხე, უკანასკნელ ფოთლიანა, ჟრუანტელს ჰგვრიდა, უდაბნოში პეშვით აღებულ სილასაც იგივ სიყვარულით დასცქეროდა, ვინ რას გაუგებდა - მარტოკინა იყო. მანუელო კოსტამ იცოდა ყოველივე დაფარულის ფასი და უცნაური სიყვარული სჭირდა - მისი ორი ლამაზი თვალიდან გამომჭვირვალი მზერის შეხებისას რომელიმე უბირი ბუჩქი მაშინვე მანუელო კოსტას ბუჩქად გადაიქცეოდა და - ბაობაბივით დიადდებოდა - ლამაზდებოდა, იფურჩქნებოდა, რა უცნაური მწვანე ეფინებოდა, რას არა გავდა, ცად აზიდული - მანუელო კოსტა ცხენიდან მსუბუქად ჩამოხტებოდა და შუაგულ ბუჩქში გულაღმა წვებოდა - ცამდე ამაღლებდა. მთელი ქვეყანა - ღატაკ მანუელოსი გახლდათ, ისეთი ცქერა იცოდა - საცა კი თვალი მიუწვდებოდა, სუყოველივეს ითვისებდა, ყოველივეთი იჟღინთებოდა ვაკეიროს ტევადი სული და, ბედნიერად აღზევებული, გაღიმებული დააგელვებდა მშვენიერ ულაყს ერთცხენიანი მეფე - მანუელო კოსტა და გაკვირვებული უჭვრიტინებდა დიდ ხეს ამოფარებული ცალფეხა ჭინკა, სასი - ასეთი ვაკეირო არსად ენახა. და თვით კაატინგაც კი, დაუნდობელი, ეკლოვანი ბუჩქი, ისე უცნაურად გაიტრუნებოდა მხიარული ვაკეიროს ჩავლისას... მაგრამ მანუელო კოსტას ცოცხალი, აშოლტილი ქალი ყველაფერს ერჩია. ორიოდ დღეს მხიარულად ითმენდა, მერე ორი თითით ყელს მოიწიწკნიდა და ასე სთხოვდა თავის მეზობელს, ზე მორეირას, ნახირისათვის ერთი დღე ეპატრონა, მერე კი უსაგზლოდ მოახტებოდა ცხენს და ქალაქისაკენ გასწევდა. მთელ ღამეს ძილგამკრთალ, სადღაც განაბულ ლეოპარდებსა და ქურციკებს შორის მიარონინებდა ცხენს მანუელო კოსტა, დილაადრიან კი, უთენია, ქალაქად შედიოდა ულაყის ფერდებს მუხლებით მიწებებული მოხდენილი ვაკეირო და, ცხენს საოცრად შეჩვეული, ცოტათი დაუდევრად ირწეოდა და ახალგაღვიძებული ქალები სარკმელებიდან უჭვრიტინებდნენ - იმისი ცხენის კაკუნა ფეხის ხმას სუყველა სცნობდა. მანუელო კოსტა კი ორიოდე გროშით ისე ისაუზმებდა, ცხენიდან არც ჩამობრძანდებოდა, ხანდახან კი ვაკეიროთა ორკუთხა ქუდზე თითებს წაივლებდა, მოხდენილად დაიქნევდა უზანგამდე და ქუჩებში ვითომცდა შემთხვევით გამოსულ, აჭარხლებულ

ქალებს ასე ეტყოდა: - ვერონიკას ვახლავარ... როგორ გიკითხოთ კოლომბინა... ისე კი, სახელები ხშირად ეშლებოდა. დიდი ამბავი - ქალებს ისედაც მოსწონდათ მწყემსი. და სადმე, ქალაქის განაპირას, უკაცრიელ ტყეში, შუაგულ მზეზე ჩამოსვამდა თავის დამძიმებულ ულაყზე შესკუპულ ქალს, თვითონაც რაღაცნაირად უცნაური ხრიკით ჩამოხტებოდა, ფართო ქამარს მორჩილი ცხენის ზურგზე გადაფენდა, მერე კი ჭრელაჭრულებით შემკულ ქალს შეწუხებული ეუბნებოდა - რა როგორ იხსნება, ვეღარ ვისწავლე, და თუმცა ქალი ბუჩქებისაკენ გამალებული იწევდა, მოხდენილი მწყემსი მაინც მზის გულზე აწვენდა და მერე, სახეგანათებულს, მოხიბლული დასცქეროდა, და ის კი, ქალი, უცნაური მწყემსით აღზევებული, ბედნიერებით გაკვირვებული, მხოლოდ ამის თქმასრა ახერხებდა: მანუელო კოსტა, მანუელ...

მანუელო კოსტა ერთ-ერთი იყო იმ რჩეულ ხუთთაგან, ვინც შემდგომ დიდი კანუდოსელი გახდა.

* * *

და კაეტანომ თავისი რკინის გალია და ნიღაბი ჟღარუნით რომ დააგდო ფილაქანზე, ზედამხედველ ნავოლეს თორმეტმა კაცმაც მაშინვე მოიცილა ხის მოსასხამი. მთელი კამორაც აბაკუნდა, დაგმანულ კარებს აღებდნენ მეზობლები; ფართოდ, მხოლოდ პირით უღიმოდნენ ერთმანეთს, თვალები არ ეცვლებოდათ და მერე ეჭვით ახედ-დახედავდნენ ერთმანეთს ზურგზე. იმ თორმეტ კაცთაგან ყველაზე უკეთ ჩაცმულმა, ბრჭყვიალაღილებიანმა, სკარპიოზოს სახლს მიაშურა და მაღალ სახელურზე დაკიდებული ბრინჯაოს რგოლით ღონივრად დააბრახუნა კარზე.

- რომელი ხარ, ჰალე! - მოისმა სკარპიოზოს მჭახე ხმა.

- მე ვარ, ელიოდორო.

- აჰ, ჩემო კაპრალო, - დატკბა სკარპიოზო, - ახლავე გაგიღებთ, ჰალე.

კაპრალმა ელიოდორომ როგორც კი გადააალაჯა ზღრუბლს, თქვა:

- დამშვიდების საათებს გილოცავ, ჰალე. კაცს უბრალოდ არ გამოვჭრი ყელს, მაგრამ რაიმე თუ დამიშავა? აჰ, ჩემს მტერს, მტრისას... დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი.

- მაღალბედნიერი ყოფილიყოს დამშვიდების ნავთსაყუდარი, ჰალე. თქვენ ვინ სულელი დაგიშავებთ რამეს.

- ახლა სადა გყავს...

- იმ ოთახშია.

- როგორ ეძინა?

- არა ყვიროდა.

- ძალიან კარგი.

ფეხისწვერებზე აიარეს კიბე. კართან შეჩერდნენ, კაპრალი ელიოდორო ჭუჭრუტანისკენ გადაიხარა და, ჭერისაკენ თვალაპყრობილი, ერთხანს რაღაცას გასუსული უგდებდა ყურს, მერე ხის დიდი მოსასხამი მოიმარჯვა, ფეხაკრეფით დაიხია უკან, ფრთხილად შეისუნთქა ჩახუთული ჰაერი და ექვს მხლებელს რაღაც ანიშნა. ისინიც ფრთხილად ჩამწკრივდნენ, სახელურებიანი, რკინის ვეება მილი ჩაბღუჯეს, გამოქანდნენ და კარს შეანარცხეს. მერე მილი დააგდეს და აქეთ-იქით გახტნენ, კედელს ამოფარებულმა კაპრალმა კი გამონგრეული კარის ადგილას უცებ ხის მოსასხამი გაჰყო, ორიოდ წამს გააჩერა, მერე კი სამკლაურიანი ხელი მყისვე გამოსწია, განზე გახტა და ხის მოსასხამს დახედა - არც ერთი დანა არ იყო ჩასობილი. სკარპიოზოს გაოცებულმა შეხედა, ისიც დაბნეული შეჰყურებდა. ექვსივე მხლებელიც გაკვირვებული ახამხამებდა თვალებს.

- ეს ან დიდი შებერტყილი უნდა იყოს, ან წარმოუდგენელი ბითური, - თქვა კაპრალმა ელიოდორომ და ხის მოსასხამს ისევ დახედა.

- ბითური რანაირადაა, - გაიკვირვა სკარპიოზომ, - გუშინ არაფრით არ მომაკვლევინა თავი.

- მაშინ რა რჩება?

- დიდი შებერტყილი.

- სწორია. ისე, გვიცდიდა?

- გვიცდიდა, დიახ.

- მომეცი მაინც ეგ მოსასხამი.

და კაპრალი ელიოდორო ხის მოსასხამიან-ნიღბიანა წარსდგა გაფითრებული დომენიკოს წინაშე და მოახსენა: - პოლკოვნიკ სეზარს დაძმაკაცება სურს, თქვენთან, გრანდჰალე. მოგეხსენებათ წესი და რიგი, ხელი მიბოძეთ.

საიდანღაც წვრილი თოკი გამოაძვრინა და სამი ყველაზე მოქნილი თითი - ცერი, საჩვენებელი და შუათითი მაგრად შეუკრა. მერე მეორე ხელიც დაულუქა, პაწია ტომრები ჩამოაცვა მაჯებამდე, მაგრად გაუნასკვა, ტანსაცმლიდან ყურადღებით ამოუცოცა დანები და უთხრა:

- როგორ არ გენდობით, მაგრამ წესია ასეთი და რიგი... გთხოვთ, წამობრძანდეთ. ეს ტომარაა?

- კი.

- თქვენ წამოიღეთ. მკერდზე მიიხუტეთ და ისე. ალბათ, ლეიტენანტი ნავოლეც გვიცდის.

ზედამხედველი ნავოლე, როგორც ყოველთვის, პირღია იყო, ოღონდ დოყლაპია, რაღა თქმა უნდა, სულაც არ გახლდათ. უბრალოდ, პირით სუნთქავდა, ცხვირში ლაპარაკობდა, თითქოს ცხვირპირმა ერთმანეთის საქმეები გაცვალესო. ისე კი, საჭმელს მაინც პირითა ჭამდა და მრისხანედ გამობურცული თვალებით შესცქეროდა დომენიკოს.

- არც ერთი დანა არ ესროლა მოსასხამს, ჩემო ლეიტენანტო, - მოახსენა კაპრალმა ელიოდორომ.

- ნრაო? - გაიოცა ზედამხედველმა ნავოლემ და დააყოლა, - ვითომ, ბითურია, ნჩემო კანპრალო?

- პირიქით უნდა იყოს.

- ნდიდი შენბერტყილი ნსჩანს, - დასძინა ზედამხედველმა ნავოლემ.

- ნამდვილად ასეა, ჩემო ლეიტენანტო, და თანაც ძილში არა ყვიროდა.

- თითებს ნრკარგად რომ შეუკრავდი, არც გეკინთხები ამას... - თქვა ზედამხედველმა ნავოლემ და გამომცდელად შეაცქერდა.

- ჭეშმარიტება ღაღადებს თქვენი პირით, ჩემო ლეიტენანტო.

არადა, ნავოლე ცხვირში ლაპარაკობდა.

- ნრკარგით, წავიდეთ, ნჩემო კანპრალო.

მარმარილოს სახლებს შორის, ფერდობზე მწკრივად ჩადიოდნენ, თვალს რაღაც აკლდა - არცერთი ხე არ იდგა ქუჩებში, ჰო. შუა ქალაქის კამორელები ტომარას

თვალანთებულნი მისჩერებოდნენ, და ხანდახან გაფითრებულ პატრონზე გადაჰქონდათ მზერა - ყოველი თვალი იწიწკნებოდა. შორით ზღვა ჩანდა, მზისგან ირიბად გადასერილი. უცნაური და შეუსაბამო იყო შუა კამორასთვის მზიანი დღე - ყველას, ყველაფერს მიმალვა სურდა, თვალმოჭუტულნი, თვალებს მალავდნენ, ცერი ქამარში ჩაეყოთ და როგორც კი ვინმეს მზერაში აკაწკაწებულ სულს ამოიკითხავდა ელიოდორო, მაშინვე მუქარით შეაგებებდა - „დიდი მარშალი, ედმონდო ბეტანკური დამშვიდების საათებს გილოცავთ ყველას“. ქვემოთ და ქვემოთ, ზედა ქალაქისკენ უფრო დიდი, შავი მარმარილოს სახლები იდგა და უფრო სქელი, უფრო ჭრელი ნოხები გადმოეფინათ აივნებზე, უკეთესადაც ეცვათ, ეს - უკვე ზედა კამორა იყო, და იქაური კამორელები თვალანთებულნი კი არა, თავაზიან-მოეშმაკო ღიმილით ხვდებოდნენ მწკრივს, მერე კი, დომენიკოს ზურგზე ჩაფიქრებულ მზერას აწებებდნენ და ყვრიმალები ებერებოდათ. ზედა ქალაქელთ - მოსირმულ შარვალ-ხალათიანებს, იმ სიცხეში ძვირფასი ბეწვის ქუდი ეხურათ, თავაზიანად ესალმებოდნენ ერთურთს - „დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი...“ ძალიან მაღალ, მარმარილოს გრძელ კედელს მიუყვებოდნენ, ზედამხედველმა ნავოლემ ცხვირში იყვირა: - ნდღეგრძელი იყოს ნდიდი მარნშალი ედმონდო ბეტანკურიი... - და ხელი როგორც დაიქნია, მწკრივმაც იფეთქა: „გრანდისსიმოო-ბრავო!!! კედელს გადაღმა უტყვი მისალმების ნიშნად მწვანე მაშხალა შიშინით აიჭრა ჰაერში, კმაყოფილმა ნავოლემ გაღიმება სცადა, ისევ ბუნდოვან გზას დაადგა მწკრივი. დიდი კედელი როგორც მოთავდა, იქვე, ოციოდ ნაბიჯზე, სხვა კედელი წაგრძელდა, ოღონდ შედარებით დაბალი - თორმეტი ხილული კაცი ერთმანეთს ჩვენსავით მხრებზე რომ დადგომოდა, ალბათ, მეთორმეტე თუ შეძლებდა კედლის მიღმა გადახედვას, კედლის თავზე კი ალაგ-ძვირფასი ნოხები ეფინა, ალაგ - შუშის ნამსხვრევები ჩაესოთ. დიდ, უცხოდ მოხატულ, ზეიმნარევ ჭიშკართან შეჩერდნენ, და ზედამხედველმა ნავოლემ იყვირა - შვინდჯერ ოთხი ათიაა!

ალბათ ამ დათქმულ შეძახილს ფხიზლად ელოდნენ, მაშინვე უხმაუროდ გაიღო ჭიშკრის გვერდით კედელს საიდუმლოდ დატანებული ვიწრო კარი. სათითაოდ შეაბიჯეს, დომენიკო მეექვსე კაცად შევიდა და საოცარი ბაღი იხილა - გვიანი ოქტომბერი იდგა, შემოდგომის თვე; მაღალ კვიპაროსებს აჰყოლოდა შავი ყურძენი, მაგრამ საზარლად შემოხვეოდა ვაზი მერქანს, გასუსულიყო ხე, ავად ბზინავდნენ წითლად დახლეჩილი ბროწეულები... მაგრამ დომენიკოს აღარ დასცალდა - შავზოლებიან, წითელ ხავერდში გამოწყობილმა მცველებმა თვალები აუხვიეს ყველას, ზედამხედველ ნავოლესაც კი, რომელმაც მცველების უფროსს ქამარში ჩასჭიდა ხელი, ნავოლეს - კაპრალმა ელიოდორომ, ელიოდოროს დომენიკო ამოუყენეს, ხელის ცეცებით ძლივს იპოვა მისი ქამარი, დომენიკოსაც ვიღაცა

ჩაებღაუჭა და მცველების თვალხილულმა უფროსმა სხვა საიდუმლო კარით შეიყვანა თვალახვეულთა მწკრივი სადღაც, ჯერ ორიოდ უმიზნო წრე დაარტყმევინა, მარცხენა ხელისგული წინ გაეშვირა ოთხივეს, იღლიაში ტომარაამოჩრილ დომენიკოსაც კი, მუხლებში მოხრილნი დაბორიალობდნენ. ყოველ ნაბიჯზე თავღია ჭა ეჩვენებოდათ და ფეხის დადგმისას შვებით გრძნობდნენ მარმარილოს იატაკს, მერე შვიდ კიბეთაგან ერთ-ერთს მიადგნენ და მცველმა დაბალი საფეხურებით აიყვანა დროებითი ბრმები, რომელიღაცამ წაიბორძიკა და ტალღა გადაევლო მწკრივს, საითკენღაც წატორღიალდნენ, უკანა კაცის თითები უთრთოდათ წელზე, სადღაც შეუხვიეს. და მერე რიგრიგობით შეხსნეს ყველას შავი თვალსახვევი - დიდ, უზარმაზარ სავარძელთან წარმოსადეგი, აელვარებულ-ტანსაცმლიანი კაცი იდგა, და დაკვირვებით შესცქეროდა პატივნაცემ სტუმრებს - ეს ყმაწვილია? - თქვა.

- ენგ განხლავთ, გრანდჰალლე, - მოახსენა ზედამხედველმა ნავოლემ.

- ეგ ტომარაა? - იკითხა ბრჭყვიალა მასპინძელმა და საოცრად მსუბუქად, ფეხაკრეფით გაიარ-გამოიარა.

- ნდიაახ, გრანდჰალლე.

- ძალიან კარგი, ჩემო ლეიტენანტო, - რბილად წარმოთქვა პოლკოვნიკმა სეზარმა და სავარძელში ჩაეფლო, ფეხი გადაიკვანტილა ფეხზე, ეპოლეტები უბზინავდა? - აჰჰ... დომენიკოს ერთხელაც დაკვირვებით შეხედა. თავით-ფეხებამდე აწიწკნა მზერით და თავშეკავებული ღიმილით მიუგდო ნავოლეს: - როგორც თქვენა თვლით, დიდი შებერტყილია, არა?

- ნდიდად შებერნტყილი გახლავთ, ნგრანდჰალლე...

- ძალიან კარგი... - თქვა პოლკოვნიკმა სეზარმა და ახლა კაპრალს უწყალობა: - თითები შეუხსენით.

- სახიფათოა, დღეგრძელი იყოს მარშალი ბეტანკური.

- შეუხსენით-მეთქი, მაღალბედნიერი ყოფილიყოს დამშვიდების ნავთსაყუდარი.

ძლივას აამოძრავა დაბუჟებული თითები. თავი დახარა, ყველას არიდებდა მზერას - ყოველი თვალი ისუსხებოდა, სეზარის - უფრო.

- მოანგარიშეს დამიძახეთ.

აქ, საკვირველებავ, თხემით-ტერფამდე შიშველი კაცი შემოვიდა, თმაც კი გადაეპარსა თავზე.

- დათვალე, ანისეტო.

ხომ არ ეჩვენებოდა! - ისე უშუალოდ იქცეოდა შიშველი კაცი.

- ეს ტომარაა? ხომ კი ეგაა, დიდება სწორუპოვარ მარშალს?

- ეგაა, კი.

ანისეტომ პირი გამჭვირვალე ქსოვილით აიკრა, ხელი ტომარაში ჩაჰყო, თვალნათლივ შეკრთა, გააჟრჟოლა, ბუსუსები დაეტყო მკლავზე, მეორე ხელიც ჩააძვრინა, ტომარა ყრუდ ააჟღარუნა, თითები აურ-დაურია და თავგადაწეულმა თქვა: - საიდუმლოებაში გადადის, ჩემო პოლკოვნიკო.

- ყველანი გადით... მხოლოდ ანისეტო და... - თქვა პოლკოვნიკმა სეზარმა და ისევ ცბიერი ღიმილით დაამატა, - და დიდი შებერტყილი დარჩნენ. ჰო, მართლა, მიჩინიოს დამიძახეთ.

- ნჩემო პოლკოვნიკო, ნგრანდჰალეე, - მუხლთ მოიყარა ნავოლემ. - ცალი ნთხოვნა მაქვს - გამოუშვით რაა, ჩემები...ხომ ნდროულად ჩაგაბარეთ, ნზუსტად...

პოლკოვნიკმა ჭერს მიაპყრო თვალები, რაღაცები აწონ-დაწონა და თქვა:

- თავდებში მყოფნი გამოუშვით, ამისი ცოლი და შვილები - და ამაღლებულად წარმოთქვა: - ბავშვების ფასი რაა ამქვეყნად, გიბრუნებ, ჰალე.

- ნდიდი მადლობა, ნდიდი მარშალის მარჯვენა მკლავო, - აღფრთოვანდა ნავოლე და კაპრალმა ელიოდორომაც დაამატა: - თქვენისთანა სწორუპოვარი? აჰ არა, არა... დაა... ჩემო ლეიტენანტო, თქვენც ხომ თქვენის მხრივ დამიბრუნებთ ცოლ-შვილს?

- რაღა ნთქმა უნდა, ჩემო კანპრალო, უნდობლობა და - ნჩვენში?

- შენ გაიხარე, ჰალე... მეც დავუბრუნო მხლებლებს ცოლ-შვილი?

- აქ, ჩემს დარბაზში თათბირობთ ამას? - სუსხიანად იკითხა პოლკოვნიკმა სეზარმა და თავი შემართა. - რაღაცა გველის დაეტყო თვალში.

- აჰ, არა, არა, გვაპატიეთ, გრანდჰალლე, სვებედნიერად ბრძანდებოდეთ, მზემდე ამაღლდეს დიდი მარშალი.

სამნიღა დარჩნენ. პოლკოვიკი წამოდგა, და უცნაურად გაიარა, ისე რბილად, ისე ფეხაკრეფით - ბამბად აქცია მარმარილოს იატაკი, თვალმოჭუტულმა, ცბიერად ჰკითხა:

- რა გქვია, ბიჭი...

- დომენიკო.

და თვალი არ მოუშორებია, ისე იკითხა:

- მართალს უნდა ამბობდეს, არა, ანისეტო?

- კი. - ოდნავადაც არ დაფიქრებულა და თვალებითაც არ უყოყმანია, - დაეთანხმა შიშველი კაცი. პირი ისევ გამჭვირვალე ქსოვილით აკრული ჰქონდა.

- კედლისაკენ შეტრიალდით.

დომენიკო მაშინვე შებრუნდა, და შიშველი კაცის დარცხვენილი ხმა მოესმა: - ასე ზურგით როგორ დავდგე თქვენთან...

და ისიც მაშინვე სწრაფად შებრუნდა, ეტყობა, მოიღუშა ბრჭყვიალა პოლკოვნიკი.

რაღაც ჭრიალი გაისმა, მერე ისევ, ბრძანებაზე შემოტრიალდნენ, პოლკოვნიკ სეზარს ვერცხლის ლამაზი სურა ეკავა, აპრიალებული, მაგიდასთან მივიდა და ძვირფასი თვლებით მოჭედილ ჭიქაში ალისფერი სითხე ჩაასხა, თან დომენიკოს უყურებდა.

- მობრძანდით და მიირთვით, ჰალე.

რა, ეს რა იყო!.. და უცებ მიხვდა - აჲამათ ხელში საწამლავი ყველაფერს სჯობდა. ძლივს გადადგა ორიოდ ნაბიჯი, ფეხები უკანკალებდა, უცნაურად ისე - ხან ბარძაყში გაუჯდებოდა სუსხი, ხან - წვივზე, მერე ფეხისგული გაენასკვა, მოეკუნტა, საბრალო მგზავრი, და თითებიც გაეყინა; სიკვდილი რომ მონატრებოდა, თვალებშიაც კი შეხედა პოლკოვნიკს, მაინც ძლივს წაავლო სასმისს ხელი და, ალბათ ჭიქის აწევის თავიც აღარ ჰქონდა - მაგიდას ვერ ააცილა. დაეჯაჯგურა და პოლკოვნიკის მსუბუქი სიცილი მოესმა - აჰ, არც ეგ იცი, არა, ბიჭო, ჰალე?

რა უნდა სცოდნოდა, გაოგნებული მისჩერებოდა მლიქვნელურად ახითხითებულ ანისეტოს. პოლკოვნიკი კი გულიანად იღიმებოდა:

- დიდი შებერტყილი ვარო, მართლა შენ უნდა დაიკვეხო. ეგეც არ იცი, ასეთი ძვირფასი ჭიქები მიხრახნილი რომ გვაქვს ზედა კამორაში? გინდა, გაჩვენო, თუ

როგორა ვსვამთ... - მაგიდაზე მიგდებულ ფერად ჩხირთაგან ერთ-ერთი ამოარჩია, კბილებით დაიჭირა, გადაიხარა, ჭიქაში ჩაჰყო და დომენიკოსთვის თვალი არ მოუცილებია, ისე ამოწუწნა ალისფერი სითხე, საზარლად სვამდა! მერე იკითხა:

- ჰა, რამდენია ანისეტო?

- ოთხი ათას რვაას თორმეტი დრაჰკანი გახლავთ, ჰალე, ყველა საღია.

- როგორ აღელდა, ხომ ხედავ, ბიჭი? ჰალეც მიწოდა... ნუ აკანკალდი, ჩემი რამდენი გამოდის...

- ათას ექვსას ოთხი დრაჰკანი, გრანდჰალლე.

- იმასაც ვერ მიხვდებოდა, ასე გვიან რატომ ვიკითხე ეს, - და ანისეტოს ცბიერად გაუღიმა, - სიამოვნებას ვიზოგავდი, ჰალე. ალბათ ისიც არ იცი, მოანგარიშე შიშვლად რადა დგას - ფული რომ არ ჩაიცუროს სადმე. კედლისაკენაც, ჯერ ერთი, შესამოწმებლად ვაქნევინე პირი და, მეორეც, არავინ იცის ჩემი საიდუმლო განჯინები როგორ იღება, სასმელს იქ ვინახავ ხოლმე - სიფრთხილე საჭიროა მაინც. შენც ხომ გაგახსენდა, ა, საწამლავი? ეს რას გაბედავს, ან მოპარვას და ან ჩემს მოწამვლას, აჰ, ზღაპარია, მაგრამ მაინც ყოველი წარმოუდგენელი შემთხვევისათვის, არა, სწორი არა ვარ, ა, ანისეტო?

უცნაური ჩვევა ჰქონდა - ვინმეს რაიმეს თუ ეტყოდა, სხვას შეაქერდებოდა ხოლმე. ახლაც ანისეტოსთან რომ მივიდა, ზედაც არ შეუხედავს, ისე გაარტყა უცებ ხელუკუღმა და ჰკითხა: - ხომ არ გეტკინა, ა, ანისეტო? - არადა, დომენიკოს უყურებდა.

- არა, გრანდჰალლე, - მხიარულად მიუგო ანისეტომ, ცხვირპირიდან სისხლი სდიოდა. მოშავოდ შეეღება გამჭვირვალე პირსახვევი.

- სადაა აქამდე მიჩინიო... - თქვა ჩაფიქრებულმა პოლკოვნიკმა სეზარმა და კიდეც მოისმა:

- აქა ვარ, ჰალე.

ასეთი მაინც ჯერ არაფერი გაკვირვებია - დარბაზში მეოთხე ადამიანი იდგა. და, შეხედა და... ჯერ ხომ იყო და, მისი ხმის გაგონებისთანავე ისე დაზრინა, ტანსაცმელიც კი შეეყინა, და, რომ შეხედა... თითისწვერები დაუბუჟდა, საფეთქლებს რაღაც უკორტნიდა, და ისე მძლავრად, ისე ღონივრად ახტუნავდა გული, ყელის გამოგლეჯას ლამობდა, ამ განათებულ, კრიალა დარბაზში ღამის ყვავილად

ამოიზარდა - შიში. ვინ იყო მასთან ან პოლკოვნიკი, ანდა ნავოლე და ელიოდორო, არსად ენახა მსგავსი რამ სახე, ვინ იყო მაინც, რა დაგრეხილი ყვრიმალები ჰქონდა, რა ფერის თვალები, ნამდვილი ნაცრისფერი, მთლიანად ნაცრისფერი, ჭრილით ჭრილამდე, გუგასაც კი ვერ გამოარჩევდა, და, მხოლოდ შიშით ვეღარ მოსწყვიტა მზერა, წარბებიც თითქოს სხვადასხვანაირი ჰქონდა, ერთი - თვალზე რკალად ჩამოზიდული, მეორე - საფეთქლისკენ ისრად გაფენილი, და შეძრწუნებული, მონუსხული მგზავრი ამ საზარელი თვალებისკენ დაიძრა, ნაცრისფერ თვალებში ალაგ-ალაგ ნაკვერჩხლები უბჟუტავდა, მერე კი, საიდანღაც თვალების სიღრმიდან, რაღაც ავმა ქარმა წამოუბერა და მხურვალება მოემატა ნაცარს, თვალები - ეწვოდა! ავად დაღებულ, გატრუნული პირისაკენ მიიძურწებოდა თაგვი, მაგრამ უეცრად ცეცხლი გაფერმკრთალდა, მოდუნდა, ორივე წარბიც გაუსწორდა - თურმე დაკვირვებით რომ ათვალიერებდა მგზავრს, იმიტომ გადასხვაფერებოდა და დომენიკოც ოდნავ დამშვიდდა, მაგრამ ისევ შეხედა და თითქოს ნაცარი შეეყარა წამსვე - თვალები დაეხუჭა, თავი დაუვარდა და იქვე, იატაკზე ჩაჯდა. ერთხანს ასე იყო, თავჩაქინდრული, ხელებჩამოყრილი, აღარაფერი ახსოვდა და მერე ოდნავაც არ დაძაბულა, საკვირველებავ, რაღაცნაირად თავისით წამოდგა, ტანი გამართა და ისევ რომ შეხედა, გააჟრიალა - თურმე იმისი თვალების ბრძანებით ამართულიყო ტანი, და უღონო სხეული წაქცევას აპირებდა ისევ, მაგრამ უცხოს თვალებში კვლავ იფეთქა ცეცხლმა, ადგილზე გააქვავა, და მერე შებრუნდა, თავი მიანება, არხეინად ითვალიერებდა ფრჩხილებს.

- წადი, ანისეტო, - თავჩაღუნულ დომენიკოს უთხრა სეზარმა, - აჰ, ცხვირ-პირზე ეს რა დაგმართნია, ჰალე?

- კედელს მივარტყი, გრანდჰალლე.

- წადი, კეთილო. ფრთხილად იარე.

ანისეტომ კი ენით აილოკა სისხლიანი ტუჩი, თქვა: „დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი“, და წავიდა.

- მართლა ბითურების ხელში ვართ, ჩემო მიჩინიო, - თქვა პოლკოვნიკმა სეზარმა და სავარძელში ჩაეფლო, - ეს მომიყვანეს და დიდი შებერტყილიაო. აბა?!

- რეგვენებია, - თქვა მიჩინიომ, ისიც სავარძელში ჩაჯდა. რატომღაც უბრალოდ ეცვა.

- მაგარი ხალხი კი გვყავს, არა? თუმცა, ეგება ასეც სჯობდეს, მაგრამ ოხრის ერთია მაინც ყველა... - და, გამოცოცხლდა, - ჩემი წილი ათას ექვსასი დრაჰკანი გამოდის. ხომ არა უშავს?

- დიდებულია, ჰალე.

- ამას რა ვუყოთ?

- მერედა, სად იშოვა... სად იშოვე, ბიჭო!

- მე... მამამ მომცა.

- მოკალი?

- არა.

- თავისით მოგცა? აქაურია? - დაინტერესდა პოლკოვნიკი და მიჩინიოსკენ გადაიხარა.

- სოფელში ცხოვრობს.

- რომელ სოფელში...

- ამას რა ვუყოთ, - თქვა მიჩინიომ და ვერცხლის სურიდან ჭიქაში ჩაასხა ალისფერი სითხე - როგორ წამოდგა, მაგიდასთან აღმოჩნდა როგორ! ვერც დაინახა... ჩხირი კბილებით დაიჭირა, საშინელებავ, ისეთი თეთრი კბილები ჰქონდაა...

- თუ გინდა, შენ გაჩუქებ, ჰალე, - უთხრა სეზარმა და გაუღიმა, - მაგრამ შენთვის ძალიან წვრილი ყელი აქვს.

- მართლა? - უგულოდ იკითხა მიჩინიომ და თავჩაქინდრულ დომენიკოს უთხრა: - აბა თავი გადასწიე, ბიჭო.

დომენიკომ ჭერისკენ მორჩილად აღაპყრო მზერა, ჭიანჭველები დაესივნენ გადაჭიმულ ყელზე, და - ისევ ის ლაქა! ისე ნაცნობი! ამ გაკრიალებულ, მდიდრულ დარბაზის ჭერზე... ისევ ის ლაქა!

- მე რა - ქათმების გამსაღებლად გადაგყავართ, ჰალე?

- არა, აჰ, არა, მიჩინიო-ჩემო, - დაუყვავა პოლკოვნიკმა, დომენიკოს უყურებდა - იქნებ გაგვესუქებინა-მეთქი ჯერ და მერე... ისე...

- ამას რა გაასუქებს,-თქვა მიჩინიომ, თავგადაწეულ დომენიკოს შესცქეროდა, - სისხლიც არ ექნება ბევრი, ფერმკრთალია... ერთხელ ფეხს გაიქნევს და მორჩა.

- არა, რა ვუყოთ, მარცხენა ხელო.

- დამწყებ კარისკაცს გაასაღებინე. ან ქვედა ქალაქში მივყიდოთ ვინმეს, ანდა, უბრალოდ, ზღვაში ჩაგვეგდო...

- მაინც გამორიყავს. ვერ ვიტან გაბერილებს.

- მაშინ... - ჩაფიქრდა მიჩინიო, - გამოიხედე, ბიჭო... აჰ, ერთი აზრი მომივიდა.

- რომელი, ჩემო.

- ერთის წუთით, ჰალე...

წამოდგა და დომენიკოს შემოუარა. ზურგს უკან დაუდგა, ახლა ორივენი დომენიკოს მისჩერებოდნენ და კეფა, კეფა უფრო ეწვოდა. მიჩინიოს ისევ კბილებით ეჭირა ჩხირი, კბილებდახშული უცნაურად ლაპარაკობდა:

- ყური დამიგდეთ, ჩემო პოლკოვნიკო, კარგად დამიგდეთ ყური. ამისი მოკვლა რა არის, ჰალე, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი, ერთხელ ხელის გაქნევა და მორჩა. და რადგან მსგავსი ბითური ჯერ არ შეგვხვედრია, ერთ აზრს მოგაწვდით, ჰალე, - და გამოთქმაზე მაშინვე შეეტყო, ჩხირი რომ გამოიღო პირიდან, - დაიტოვეთ ისე, როგორც სათამაშო.

- როგორ სათამაშო... - გაუკვირდა სეზარს.

- ჩვეულებრივად, ჩემო პოლკოვნიკო. გყავდეთ გასართობად. ბავშვობას დაგიბრუნებთ, ბავშვობის ფასი რაა ამქვეყნად, ჰალე.

- ა? აა? ვითომ - დაინტერესდა პოლკოვნიკი, მაგრამ იქვე გადაიფიქრა, - არა, რას ამბობ, მარცხენა ხელო, საქმეების მეტი რა მაქვს...

- სწორედ მაგიტომ, ბევრი საქმეები რომ გაქვთ, ჩემო პოლკოვნიკო, - იმასაც კი ბოროტად მიეალერსა მიჩინიო, - გართობისთანა დასვენება სხვა რაა, ჰალე...

- ა? აა? ვითომ - ახლა კი მართლა ჩაფიქრდა პოლკოვნიკი.

- თქვენთვის ვამბობ, თორემ ამას ორი თითით მოგიგუდავთ ახლავე, ჰალე. მე რა, კი არ მეზარება.

ვეება კაცი იყო. მსუბუქი, ტლანქიც...

- და მერე რა ვუყოთ? როგორ ვათამაშოთ...

- თამაშის მეტი რაა ქვეყნად, ჰალე, გნებავთ, ჩვენი ნამოქმედარიდან რაიმე ვკითხოთ ხოლმე, ისე სულელურად აგვიხსნის, სიცილით დავიხრჩობით, ჩემო პოლკოვნიკო, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი.

- მაღალზედნიერი ყოფილიყოს დამშვიდების ნავთსაყუდარი, მაინც რა ვკითხოთ, ჰალე?

- აიი, თუნდაც... - და დომენიკომ ზედ ყურთან იგრძნო მისი საზარელი სუნთქვა, ყინულეთივით დაუნდობელი, - აბა, თუ მიხვდები, ბიჭო, რატომ მიწოდა გრანდჰალლემ მარცხენა ხელი? აბაა!.. არ იცი?

- არა.

პოლკოვნიკმა კი გულიანად გაიცინა და მიჩინიოს უთხრა:

- რატომ და, ცაცია ვარ, ბიჭო. რა ბითურია, ჰეე... - და უცებ მოიწყინა, - ეგ ყველაფერზე არ ვიცი-ს გვეტყვის.

- რატომ, პატარ-პატარა გავანათლოთ გზადაგზა, გზაში... აი, ხომ ხედავთ, პირველსავე შეკითხვაზე როგორ გაგაცინათ და მერე და მერე... თავისი ჭკუით ჭკუას რომ მოიკრეფს... გნებავთ, ერთი თაროც გავუკეთოთ და შემოვსვათ ხოლმე ზედ...

და დომენიკო იატაკს დაენარცხა, ფრჩხილებით კრიალა იატაკის მოფხოჭნას ლამობდა, გამწარებული, თავს ურტყამდა მარმარილოს, ბრაზით აცახცახებული, იატაკზე გორავდა და ყვიროდა: - მომკალით, თქვენი... თქვენი ავაზაკი... არ მეშინია... მომკალით, თქვენი... - და დაიბღავლა: - აანა... მარიაააა!!

და ამ სახელმა მთლად გააყუჩა, მიიზიდა და გულგრილად იწვა ულმობელი დარტყმის მოლოდინში, მაგრამ აქ მიჩინიოს ხმა შემოესმა:

- ამაზე კარგი სათამაშო? მომკალითო, თქვა. ადექ, პატარავ... ადექი, შე ლაწირაკო.

გაოცებული იმით, ასეთი მჭახე სიტყვები რომ შერჩა, წამოდგა და სუულ ცოტა, ცოტათი, ოდნავ, ამაყად იდგა.

- არა, ეს რა მართლა მშვენიერი აზრი მოგივიდა, ჰალე... - და პოლკოვნიკი წამით დაფიქრდა, - ამას ისე კოხტად გამოვიყენებ, რომ, აჰ, ერთი აზრი მომივიდა...

- რომელი აზრი, ჩემო პოლკოვნიკო.

- ხვალ არისტოკრატ ქალებში წავიყვან და რაღა იქნება ამაზე კარგი? ჰეე, არისტოკრატი ქალები და ეს... წარმოგიდგენია? აჰ, ეს რა მითხარი, მიჩინიო.

- ისე, ცოტა ჯიბის ფულიც დაუტოვეთ, თავმოყვარეობისთვის, ჰალე... - ჩაეღიმა, - კაცად რომ იგრძნოს თავი, უფრო გასასაცილოვდება, არა, გრანდჰალე?

- სულ მივცემ იმ ფულს, - თვალები გაუბრწყინდა სეზარს, - და ყველგან ამას დავაპატიჟინებ თავს. სათამაშო-ყულაბა იქნება, მიჩინიო, არა? - დომენიკოს შესცქეროდა.

- დიდებული აზრია, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი.

- ამ ორ მესამედს კი დღესვე მივართმევ დიდ სწორუპოვარს, სვებედნიერი ყოფილიყოს დამშვიდობების დედა, ვრცელი მარშალი.

- რომ გამოუზოგოთ, ვითომ არა სჯობს? უფრო ხშირ-ხშირად ასიამოვნებდით მაშინ დიდ სწორუპოვარს.

- ეგეც სწორია, ბრავო, კარგი ხარ.

თავი ასწია, აღარსად ჩანდა ნაცნობი ლაქა. მაინც ახსოვდა... ახსოვდა როგორ!

- ისე კი, თავი თუ შეგაწყინოთ, მე მისაჩუქრეთ. სანამ დავკლავდე, კარგად გავირთობ მეც თავს, ჰალე.

- სიტყვა სიტყვაა, მარცხენა ხელო, - თქვა პოლკოვნიკმა სეზარმა და მერე დომენიკოდან მიჩინიოზე გადაიტანა მზერა: - დაჯექი, ბიჭი...

* * *

მომავალი კანუდოსელი, ჟოაო აბადო, მარმარილოს ქალაქიდან შორს, სერტანაში ცხოვრობდა.

უჟმური იყოო - მტრისას... დილაადრიანვე ჯაჯღანებდა, „ეს აქ რატომ დევს, სკამს იქ რა უნდა, სადაა კოვზი... როგორი ამინდია, ხომ არ წვიმს...“ „არ ვიცი“, - ბურანში ამბობდა თვალდახუჭული ცოლი და ჟოაო გულმოსული დუდღუნებდა, - არაფერი ამათ არ იციან, არაფერი... „ვითომ არ გესმის, წვიმის ხმა რომ ისმის, არა? შარვალი რატომ არ დამიკერე...“ „როგორ არა, გავკერე...“ „კი, კი, ახალთახალს დაამსგავსებდი...“ დახედავდა შარვალს. კოხტად გაკერილი იყო, ღარიბ ოთახს

მოავლებდა თვალს, „სადაა მაკრატელი...“ „რად გინდა...“ „რა შენი საქმეა, მჭირდება ალბათ. იმას კი არ გეტყვიან, სადაა, ყოველთვის სხვას გიპასუხებენ, - რად გინდაო, ჰმ!“ „აიმ ყუთში დევს, როგორც ყოველთვის...“ „როგორც ყოველთვის, - გამოაჯავრებდა ჟოაო, - როგორც ყოველთვის! და როცა ვხმარობთ, მაშინაც ყუთში დევს? ა? მაშინაც ყუთში დევს, არა, ყოველთვის, არა?“ და მაკრატელს არც ამოიღებდა, ახლა ყუთი ააჯაჯღანებდა, - „რატომ არ გადაწმინდე მტვერი, ა? - აბუზღუნდებოდა, - მთელი დღე - მტვერში, საღამო - მტვერში, სახლში მოხვალ და - მტვერში და დამმარხეთ ცოცხლად ბარემ... კი დამმარხავდით, მაგრამ მარჩენალი გჭირდებათ და მოსამსახურე გინდათ, არა? კარგია, არა, მოსამსახურე, არა?“ „კარგი, რა, ჟოაო, - ფრთხილად დაუყვავებდა ცოლი, - რა გაბუზღუნებს, კარგი რა, ხომ არ დაბერდი, ჩემო პუმპურიკა“. ამ უცნაურად მოსაფერებელ სიტყვაზე სასიამოვნოდ შეუკრთებოდა გული, წამით გაიტრუნებოდა, მაგრამ რას დაიმჩნევდა, რა ჩიტი იყო? - პირიქით, უფრო იფეთქებდა: „დავბერდები, აბა რა იქნება კაცი თქვენ ხელში - სულ მოიტაა, მოიტაა, ერთხელ წაიღეო არ გეტყვიან...“ „აგერ, საგზალი წაიღე, პუმპურიკ...“ „პუმპურიკს მოგცემ მე შენ, - გაბრაზდებოდა ჟოაო, განმეორებული მოფერება აღარ მოსწონდა, სხვა მოთბო სიტყვაც თუ უნდოდა ალბათ... - საგზალი თორემ, შენც შემწვარ-მოხრაკულებს ჩამიწყობდი“. „თხის ხორცია შემწვარი, ნახშირზე შევწვი, ჟოაო...“ აქ კი დაირცხვენდა, ქვაბში ჩაიხედავდა, ოჯახში თურმე აღარაფერი რჩებოდა, ბოსტნეულის გარდა და, სიწითლემორეული, თხის ხორცს აბგიდან ქვაბში გადასდებდა და კომბოსტოსა და სტაფილოს წამოავლებდა ხელს - „არ გაგირეცხია, არა?“ „როგორ არა, ჟოაო...“ „ჰო, ჰო, სულ როგორ არა იძახე და წინ წავა საქმე“.

როგორც ყოველი ვაკეირო, ისიც ხმელი და მაღალი იყო, ოღონდ საოცრად მსხვილი ძვლები ჰქონდა. ორმოცდახუთისა გახლდათ, თორმეტი წლის ცხენზე იჯდა - ტოლები იყვნენ. სხვა მეგობარი ჟოაოს არ ჰყავდა. კისერზე მალულად ეფერებოდა, ვინმეს სიყვარული რომ არ შეემჩნია და თუკი სადმე მეზობელი ვაკეირო შემოხვდებოდა, მათრახს ღონივრად მოიქნევდა და ვითომ მტკივნეულად გადაუშხივლებდა ცხენს - მაგრამ ფეხს უკან სწევდა, ჩექმაზე ირტყამდა. მტერიც ერთი ჰყავდა - ცალფეხა ჭინკა, სასი. სასი თუ დიდის მოწიწებით შესცქეროდა დიდ ვაკეიროს - ზეს, და მხიარული მწყემსი - მანუელო კოსტა თუ აღაფრთოვანებდა, და თუ ყოველ ვაკეიროს უნებურად პატივს სცემდა, ჟოაო აბადოს, უჟმურს, ხშირად აცოფებდა ხოლმე და იმის ჭვრეტისას უხმო სიცილით გადაფიჩინდებოდა ხოლმე. დაღლილი ჟოაო შუადღისას ჩრდილში ჩამოჯდებოდა, გაოფლილი თავიდან ორკუთხა ქუდს მოიხდიდა, გვერდით დადებდა და, თვალდახუჭული, ცოლ-შვილზე ფიქრობდა. „რას გადავეკიდე იმ ქალს, რას ვერჩი, - დარცხვენილი მსჯელობდა ჟოაო, - საჭმელი იმას არა აქვს ჩემს ხელში, სახლი და ქონება, ტანსაცმელი... ზოგი

ქალაქელი როგორ არჩენს ცოლ-შვილს და მე... მე თხის ხორცს ვამადლი... არა, კი არ ვამადლი, მაგრამ... ისე გამოდის. საწყალი ქალი...“ აქ სასი ფიქრებში გართულს უხმაუროდ მიუჩოჩდებოდა და განზე მიგდებულ ქუდს ჰპარავდა. „რამდენჯერ უტირია, გაძვალტყავებული ბავშვების შემხედვარეს, ეეჰ, შე ბრიყვო! - თავს შეუძახებდა ჟოაო, თან კომბოსტოს ფცქვნიდა, - და კიდევ ჩემი საყვედურები აკლია საწყალს? რა არის მაინც მისი ცხოვრება... წვალება, ტვირთი... და - ჯერ მშვიდად გაიფიქრებდა, - ხომ შეიძლება, თავიც მოიკლას?! - და უცებ, ერთბაშად აფორიაქდებოდა, ჩუმი პანიკიორი გახლდათ, - ხომ შეიძლება, მოიკლას თავი!“ - წამოხტებოდა, ქამარს საჩქაროდ ისწორებდა, ქუდისკენ დაიხრებოდა - სადღა იყო ქუდი, თორემ კი... „ი, აქ არ დავდე? იი, აქ არ დავდეე... - მიმოიხედავდა, გაოცდებოდა, - იიე...“ სასი ფუღუროდან უჭვრიტინებდა, უყურებდა, უყურებდა, კვდებოდა სიცილით... ჟოაო კი ირგვლივ ყველა ბუჩქს გადაქექავდა, თავზეც ერთი-ორჯერ მოისვამდა ხელს, ტოტებსაც კი ააყოლებდა მზერას, და რომ მოტრიალდებოდა, განცვიფრდებოდა - ადგილზე არ იდო თურმე, ქუდი? ჯერ თვალდაჭყეტილი დასცქეროდა, მერე განრისხდებოდა - „უუუხ, სასი, შე ცალფეხმოსამტვრევო, მე შენი... კი...“ გადაბჟირებული სასი ახლა ხის კენწეროდან დასცქეროდა, ფოთლებთან ერთად აცახცახებული, გახარებული. ჟოაო კი ცხენს მოახტებოდა და თავისი ქოხისკენ გამწარებული მიაგელვებდა. შორიდანვე მოჰკრავდა თვალს ბოსტანში მოფუსფუსე ცოლს, მშვიდდებოდა, „თავი მოიკლას კი არა ერთი... და გაბრაზებული უხსნიდა: „მალამო დამრჩენია... გამიბამ ხოლმე დილაუთენია საუბარს და დამრჩება რამე, რა იქნება აბა... დილაობით ხმა აღარ გამცე, იცოდე...“ „კარგი ჟოაო...“ - მორჩილად აღუთქვამდა ქალი, განზე ეღიმებოდა - როგორც ყოველი ცოლი, ქმარს ისაც მშვენივრად სცნობდა. ჟოაო კი კოპებშეკრული ჩაიდებდა მალამოიან ბოთლს ჩექმის დიდ ჯიბეში, ძველ ბოთლს - ხალათის ქვეშ მალავდა და ნახირისკენ მიეშურებოდა. „რა სისულელე მომივიდა, - ფიქრობდა გზაში, - ქალს როგორ უნდა აჰყვე...“ საოცრად ლამაზად იჯდა ცხენზე, ვაკეირო იყო - უკან გადახრილს, დაუდევრად ერწეოდა ტანი, - „ისევ ესა სჯობს, გაჭირვება... - ფიქრობდა ჟოაო, - ქონებამ გადარია მთელი კამორა... და დროსტარებამ... ისევ ესა სჯობს, გაჭირვება და... პატიოსნება და უმძრახობა... მსახიობობამ დაღუპა ხალხი...“ ისევ შეჰყრიდა წარბებს, საყვედურების ხასიათზე მოდიოდა, აიღერღებოდა, გვერდით ჩავლილ ვაკეიროს თვალს არიდებდა - არავის ესალმებოდა ჟოაო, თვლიდა, რომ „ნაცნობობანამ“ დაღუპა ხალხი... აიმრიზებოდა, მერე წაქცეულ ხარს შიშველი ხელებით მოთოკავდა და, გაყუჩებულს, იმასაც კი ებუზღუნებოდა: - თვალები სადა გქონდა, ოხერ-ტიალო, ამხელა თვალები გადმოგიყვლეფია და კაატინგა ვეღარ დაინახე?.. უჰ, ფიჰ, უჰ - ბრიყვი...

საღამოობით კი ქალაქისკენ თავდაღერებულ მანუელო კოსტას დანახვაზე ტუჩებს უსიამოდ მომუწავდა - „დარდიმანდს დამიხედეთ - ქალაქისკენ მიბრძანდება ყმაწვილი... ჰმ!..“

ჟოაო აბადო ერთ-ერთი იყო იმ რჩეულ ხუთთაგან, ვინც შემდგომ დიდი კანუდოსელი გახდა.

* * *

- მე მაინც ვგონებ, - განაგრძო ბრჭყვიალა პოლკოვნიკმა, - ფერწერაში ხაზია მთავარი. ორი

- რას ბრძანებთ, ჩემო პოლკოვნიკო, - აღნიშნა ქალმა, - ფერთა შეხამებას რა შეედრება. ოცდახუთი.

- რატომ, გრეგ რიკიო ავიღოთ თუნდაც, - თავაზიანად შეესიტყვა პოლკოვნიკი სეზარ, - როგორ საოცრად წამოსწია ხაზი. ოთხი.

- რას ბრძანებთ, პოლკოვნიკო, უბრალოდ იმან რაკურსის შერჩევა იცოდა კარგი, კი, ეს პროცესი, ოცდაორი.

მდიდრულ, სვეტებიან ოთახში ისხდნენ, უზარმაზარი შავი ტახტი იდგა კუთხეში. სქელი, ფუმფულა ნოხის სიღრმეში ჩაძირულიყო მომცრო მაგიდის მორკალული ფეხები, ყვითლად აპრიალებულ სუფრაზე ოთხი გახსნილი შუშხუნა იდო. რბილ სავარძელში გადაფლულიყო პოლკოვნიკი სეზარ, სვეტის გვერდით იჯდა და ფეხი კოხტად გადაედო ფეხზე, სვეტისთვის ხელი ისე ნაზად შემოეხვია, თითქოს ქალის წელს გრძნობდა მშრალი ხელისგულით, დიდსაყურება, ჭრელად მორთული ნასუქი ქალი კი მის პირდაპირ იჯდა, თვალებს უჟუჟუნებდა, დროდადრო კოხტა, მომცრო ბოთლიდან უცხო რამ გამომწვევ სურნელებას აფრქვევდა ოთახში, და ორიოდ წვეთს ყელსა და ყურების უკან ისვამდა. უსახელოებო კაბა ეცვა, თეთრი, სავსე მკლავები ჰქონდა. ცალი ხელი განზე გაეშვირა და ოდნავ მაღლა, მაგიდაზე ჩამოედო, დროდადრო იღლიაში მზერას შეუცურებდა პოლკოვნიკი და საკუთარ ბარძაყს უნებურად ეფერებოდა. ქალს თითქოს არაუშავდა რა, მაგრამ დიდი ლაშები ჰქონდა და სადღაც, სახეზე, მოზრდილი ხალი, და ისე უცნაური, ისეთი ხაზგასმული სინაზით იცინოდა რომ სადღაც, ტანზე, ნაიარევი უნდა ჰქონოდა. პოლკოვნიკი მეორე არისტოკრატ ქალს უმზერდა და ისე ებაასებოდა პირველს, მეორე ქალი კი ქედმაღლური გამოწვევით შესცქეროდა თავჩაღუნულ დომენიკოს და პირველი წყვილის მაღალფარდოვანი საუბრის დამთავრებას სულმოუთმენლად უცდიდა -

ასეთი იყო წესი - ჯერ ერთნი უნდა მორიგებულიყვნენ, და მეორენიც ალაპარაკდებოდნენ მერე... იქვე, დომენიკოს ფერხთით, დრაჰკანებიანი ტომარა იყო.

- ისე კი ნუ გამიგებთ, მაღალო ქალბატონო, თითქოს ფერთა მნიშვნელობა არ მესმოდეს, მაგრამ თვით სახელწოდება ფერწერაც ხომ ფერიდანაა წარმომდგარი, მაგრამ წერა, ა, ფერებს წერა არ უნდა, აიი? შვიდი.

- რაღა თქმა უნდა, ჩემო პოლკოვნიკო, მაგრამ ფერწერა თავის პროცესით როგორი ღრმაა და შემზღუდველი. აი, თუნდაც არქიტექტონიკა, - აღფრთოვანდა ქალი, თვალები ნაზად დახუჭა, სანთლების შუქი აუციაგდა საყურეებსა და ლურჯად შეღებილ ქუთუთოებზე, - არქიტექტონიკა - ეს ხომ მთელი ორგანიზაციაა, დაა, კოლორიტი? ექსპოზიციასაც ვერ გამოვტოვებთ. ოცი.

რაღაცა ხდებოდა.

- ოღონდაც, ოღონდაც რომ, მაღალო ქალბატონო, - დაეთანხმა პოლკოვნიკი სეზარ, - უბრალოდ, ჯერი არ მიმდგარა კომპოზიციაზე, თორემ ვინ უარყოფს, ვინ თავზეხელაღებული. შვიდი. აი, იმ ტომრიდან მიირთვით.

- და თქვენ ფაქტურაც დაგავიწყდათ, ჩემო პოლკოვნიკო, ფაქტურა, - ორაზროვნად გაუღიმა ქალმა, - და იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, სინათლე საიდან ეცემა ნახატს. თვრამეტი.

- შვიდი.

- თვრამეტს არ გაუვა წყალი. - გაკეკლუცდა ქალი.

- შვიდი-მეთქი!!! - იფეთქა პოლკოვნიკმა და წამოხტა, ყველანი გაშრნენ - სხვა კაცი იყო თითქოს ოთახში, აბრიალებული, მწარე, - შვიდი დრაჰკანი-მეთქი, სამჯერ გითხარი უკვე, შე დამპალო, შენ...

- კარგი რა, პოლკოვნიკო, - გულზე ხელი მიიფარა ქალმა, - შენობით ნუ მელაპარაკები, რაც არ უნდა იყოს, არისტოკრატი ვაარ და... - ფრთხილად, შემპარავად უღიმოდა, - როგორ გიხდება განრისხება, ტანსაცმლიანა - მამაკაცი ხარ, განგებ გაგაბრაზე. ასე არაფერი მხიბლავს შენში, ჯანდაბას, შვიდი იყოს. შენ თვითონაც ხომ მოგწონს ვაჭრობის პროცესი...

- მერე სამჯერ რომ გაგიმეორე...

- გავახანგრძლივე პროცესი, კარგო, - წამოდგა ქალი, და სქელ ხავერდში გამოხვეული მსუყე ტანის რხევით გაემართა დაბალი კარისაკენ.

-რაიმე ამაღელვებელი! - შეუძახა პოლკოვნიკმა სეზარმა და ქალი შეჩერდა, ვერცხლის სახელურს შეავლო თითები, პატარა ხანს იდგა, მუზას თუ უცდიდა ალბათ, მერე მხარუკუღმა გამოხედა, თვალდახუჭულმა გასჭიმა, - ჰხაა, - ოდნავ გაშალა ხელები, ცალი თვალით გამოიჭყიტა, მთელ ტანში მსუბუქად გააძიგძიგა თითქოს, დიდი სქელი ქვედა ტუჩი კბილებშუა მოიმწყვდია, მსუბუქად იკბინა, თავი გადააგდო, თქვა: - აჰ!! - და ღია კარში შევარდა.

პოლკოვნიკიც მსწრაფლ შევარდა ყუჩ ოთახში და კარი ჯახუნით მიხურა.

ორნიღა დარჩნენ. რა, რას ეტყოდა...

ქალი ერთაზროვანი ღიმილით ათვალიერებდა, მერე უთხრა:

- თუ შეიძლება, შუშხუნა დამისხით.

დაბურძგვლული ბროლის ჭიქა მიაწოდა მგზავრმა.

- გიყვაართ ფერწერა? ხაზი გირჩევნიათ თუ ფერი?

- მე... ფერი.

- შესანიშნავია, - თქვა ქალმა, წამოდგა და კისერში ჩაუყო ხელი, - გრეგ რიკიო ხომ მოგწონთ? გრეგ რიკიომ დიახაც რომ იცოდა საგნების ფასი - ქმნილებაში „ძებნა“ სკივრთან დახრილი ქალის ფიგურა პირდაპირ ცხოვრებიდანაა აღებული. მე თუ მოგწონვართ?

- არა.

- შევცდი, - აღიარა ქალმა, - ვუალი უნდა გამეკეთებინა. პირბადე ქალს მეტ იდუმალებასა და ამიტომ მიმზიდველობას ანიჭებს. შუშხუნა მიირთვით, აღმგზნებადია. ისეთად დუუუღს...

გაქვავებული, კრიჭაშეკრული იჯდა.

- ჰმ, - ეშმაკურად გაუღიმა ქალმა და კარზე ანიშნა, - ჰმ... - და მაშინვე დასძინა: - გრეგ რიკიომ მშვენივრად იცოდა ექსპრესიის ფასი, მისი მეომრები პირდაპირ ბრძოლის ველიდანაა აღებული. გაინტერესებთ?

- არა.

- და ნაწიურმორტებს აღარ იკითხავთ? ლეღვი იქნება, კიტრი თუ ვაშლი, პირდაპირ ხიდანაა აღებული. რად არ მოგწონვარ?

ხმას არ იღებდა.

- არ მოგწონვარ, არა?! დაა, პინკურიკა, მხატვრობა თუ არა, მუსიკა მაინც ხომ ალბათ გიყვართ? მუსიკა ისე ამაღლებულია, ისე დიადი და ყოვლისმთქმელი... აჰ, ვინც კი უკრავს, ბედნიერია, რა შეიძლება იყოს უკეთესი, ინსტრუმენტს ფლობდე, ეს ხომ ნამდვილი ჯადოქრობაა... რა დაგემართათ!

ტიროდა მგზავრი.

- რა დაგემართა, ჰალე!

გამართული იჯდა, და, გაქვავებულს, არაფერი შეტოკებია სახეზე, ოღონდ ცრემლები ჩამოსდიოდა.

- და ასე გიყვართ ნუთუ მუსიკა? წარმოგიდგენიათ, - მიმართა ქალმა ახალშემოსულ, თმააწეწილ პოლკოვნიკ სეზარს, - მხოლოდ სიტყვით ვახსენე და როგორ ატირდა, ხედავთ?

- რა ახსენე? - დომენიკოს შეაცქერდა მსუბუქად დაბნეული პოლკოვნიკი.

- სახელწოდება მუსიკა... და ატირდა.

- სხვა არაფერი?

- არაფერი სხვა.

- და ასე უბრალოდ იტირა? ზედაპირული ჰანგებისათვის? ააბა, გამოვცადოთ, - და ფეხაკრეფით შემოუარა, რბილ ნოხში ეფლობოდა ფეხი, ჩასჩურჩულებდა, - მუსიკა... დომენიკო, მუსიკა... მართლაც ასეა. ცრემლმა უმატა, - და გაიბადრა - სათამაშო და - ამისთანა? ასეთი კარგი... მოტირალი...

- როგორ იქცევა? - იკითხა მიჩინიომ, საიდან გაჩნდა, როგორ შემოვიდა...

- მშვენივრად - ტირის... - თქვა პოლკოვნიკმა, - რამდენი ხანია, ცრემლი აღარ მინახავს, ვიღას აატირებ ახლანდელ დროში... ეს რა კარგი რამ გამოიგონე, მარცხენა ხელო...

უილაჯოდ იცრემლებოდა გასუსული მგზავრი.

* * *

მომავალი კანუდოსელი, მოხუცი, სანტოსი, მარმარილოს ქალაქიდან შორს, კალაბრიაში ცხოვრობდა.

იმათ სოფელში ორ კაცსა ჰქონდა ეს გვარი და, საუბრისას ერთმანეთში რომ არ არეოდათ, სოფლელები ჩვენს სანტოსს თავდაპირველად ახალგაზრდას ეძახდნენ, რადგან ათიოდე წლით მოგვარეზე უმცროსი იყო - ორმოცისა გახლდათ. იმ ამბის შემდეგ კი თმაც გაუთეთრდა, წარბებიც, წვერიც და იმას გადაარქვეს მოხუცი - ჩვენს სანტოსს. ცალი ყბა ჩანგრეული ჰქონდა; დაბალი, ჩასკვნილი, ლოდივით გლეხი იყო, ჩვეულებრივი. იმ უბედურების შემდეგ კი ღონის დაგროვებას გამწარებული შეუდგა - გლეხკაცს საქმეს რა გამოულევდა, მაგრამ თავისუფალი დრო მაინც რჩებოდა და სანტოსს ქალაქელივით არ შეეძლო, ტყუილუბრალოდ რკინა აეწია, ანდა ხელებგაშლილს ჩაებუქნა და სიგრძეზე გადამხტარიყო - მეზობლებს მძიმე სამუშაოზე ეხმარებოდა. გამრავლებულ ოჯახებს ახალი სახლისთვის საძირკველს უმზადებდა დიდი, მძიმე, წვერწამახული რკინით - კლდოვანი იყო კალაბრიის მიწა და გამეტებით იქნევდა ღონიერ ხელებს, კლდეს აქუცმაცებდა. მხარსა და ცალ ხელისგულზე დაიდებდა ლოდს, მეორე, თავსზემოთ მორკალული ხელით ლოდის წონასწორობას იცავდა და ტაატით მიდიოდა უფსკრულისაკენ, მერე გამოზომილი ბიძგით იცილებდა ლოდს და მხოლოდ ოთხი ამოსუნთქვის შემდეგ აღწევდა ყრუ, მოგუდული ხმა და ხმასთან ერთად წივანა ლოდით შემკრთალი ფრინველებიც ამოიჭრებოდნენ ხოლმე. ხის მოჭრასაც არავის ანებებდა - სანტოსი სქელტარიანი ნაჯახით მიადგებოდა დიდი ხნის მუხას, მაღლა ამართავდა ხელებს, შეისუნთქავდა და ღრმად ესობოდა ალესილი პირი ხეში, მერე ყუას ჩაასობდა მარწუხებივით თითებს, გაბზარული მერქნიდან ამოგლეჯდა, მერე ისევ შემართავდა ხელებს და ისეთი გამეტებით დაიქნევდა, თითქოს ხის ნაცვლად იმ კაცს უქნევდა, ვინც დააქცია და გააუბედურა - ლამაზ-ქალაქში მაღალმა, მოხდენილმა კამორელმა რკინა რომ დაარტყა ყბაში, ავადმყოფი ცოლისკენ წამლებიანად მიმავალს, და ერთადერთი ვაჟით - გვერდზე, ამას კიდევ აიტანდა გლეხი, მაგრამ შეშინებული ბავშვი იმავ საღამოს ისე გაყვითლდა, თავბრუდახვეულ სანტოსს რეჩხი უყო გულმა და ატატებული ბავშვით ხელში აიარა კალაბრიის ვრცელი აღმართი, მოწმენდილ ღამეში მთებისკენ ამავალი, ვაჟს შიშნარევი, უილაჯოდ გამამხნევებელი ღიმილით დასცქეროდა და ხანდახან წამით თუ შეაბრუნებდა თავს - პირი ევსებოდა, სისხლს აფურთხებდა და მერე ისევ ორ გაფართოებულ, შეშინებულ თვალს თავადაც შეშინებული დასცქეროდა - ფოთოლივით გაფითრებულიყო ბავშვი, სრულიად ყმაწვილს, გვიანი შემოდგომა სჭირდა და შეძრწუნებული სანტოსი თვალებს ხუჭავდა

- ვინ ვინ და, გლეხმა იცოდა გვიანი შემოდგომის ზნე. შინ რომ შევიდა და თავგადაგდებული, ხელებჩამოყრილი ბავშვი ტახტზე დააწვინა, შეძრწუნებული ქალი ძალიან სწრაფად წამოჯდა საწოლზე, ბავშვს შეხედა, მერე მოკლედ, მკვეთრად შეისუნთქა და ლოგინზე გადავარდა. სანტოსმა აკანკალებული ხელებით წყალი აპკურა, საფეთქლები დაუზილა, თვალი გაახელინა და უთხრა: „რამ შეგაშინა, არაფერია, დაეძინა, მირცა...“ „და ფერი... ფერი... - ჩურჩულებდა ქალი, - რა ფერი ადევს...“ „რა უჭირს მერე... - გაამხნევა სანტოსმა, მუხლები უკანკალებდა - დაისვენებს და...“ „შენ რაღა მოგივიდა...“ „დავეცი ქვაზე...“ „მაშინ თვალები რატომ აქვს ღია...“ - თქვა ქალმა და დინჯად, ღონივრად, საზარლად ჩამოიხოკა ლოყა. სანტოსი ბავშვთან მივიდა, თავს დაადგა, ხელი დაადო შუბლზე, სისხლით პირავსებულმა, ძლივს უთხრა: „შვილო...“ ბავშვს არაფერი ესმოდა, ერთადერთ სიტყვას კვნესოდა მხოლოდ: „არა... არა, არა... არა,“ მამა ერთადერთხელ აღიქვა ნისლმორეული თვალებით, მაგრამ ნაგვემი სახის დანახვაზე უფრო გაახსენდა ყველაფერი, ისევ აკვნესდა: „არა... არა რა, არა... არა რა, ბიძიებო, არა...“ სანტოსი მაშინვე გამოიჭრა გარეთ, წყალი შეისხა, სისხლი მოიბანა, შავი ქოჩრიდან მტვერი მოიცილა, და ერთადერთი ხელი ახალი ტანსაცმელი ჩაიცვა - უსისხლო. გონს მოსული ქალი წამოწევას ცდილობდა, მაგრამ ისევ უვარდებოდა თავი და იმავ ღამით, როცა გულშემოყრილი ქალი სუსტად, უღონოდ ებრძოდა სიკვდილს, გონებაარეული ბავშვი კი დიდი თვალებით ეხვეწებოდა ჭერს - „არა... არა რა, არა...“ - სანტოსმა ახლო-ახლოს მიაჩოჩა იმათი ტახტები, თვითონ შუაში, სამფეხა სკამზე დაჯდა და ორივეს ხელი აიღო ხელში, სახეზე რიგრიგობით შესცქეროდა. მერე ტახტების შუა გაუშტერდა, გაუქვავდა მზერა, მაგრამ ორთავეს გრძნობდა თვალის კუთხით, ახლობელთ ისე... გამართული იჯდა და ცხელი თითები ეპყრა ხელთ, ხელებზე ცხელოდა, და ერთხანს ვეღარცა გრძნობდა - საკუთარი ხელების სითბოსთანა ეჭირა და მერე აუგრილდა დაკოჟრილი ხელები გლეხს, ორი უნაზესი ხელი შეეყინა ხელებში, ერთი - უფრო მომცრო... მთელ ღამეს გამართული იჯდა სანტოსი, უძვირფასესი, ყინულივით თითები ეპყრა ხელთ; არც ერთს არ შესცქეროდა, დროდადრო სისხლს თუ ჩაყლაპავდა, სხვა - არაფერი, ისიც გაყინული, გამართული იჯდა სამფეხა სკამზე. იჯდა და თეთრდებოდა. და როცა დილით მეზობლის ქალი ამბის გასაგებად შემოვიდა, ორთქლადენილი რძის კასრით ხელში, ჯერ ვერც ერთი ვერ იცნო - გაციებული, შიშით სახემოღრეცილი, თვალღია დედა-შვილი და თეთრი სანტოსი, მერე კი კასრი გაუვარდა და ღია კარისკენ წაწვრილდა თეთრი, თხევადი გველი - აკივლდა ქალი.

დედა-შვილს სანამ გორაკზე დაასაფლავებდნენ, სამიოდ დღეს სანტოსის ქოხში უხერხულად ინაცვლებდნენ ფეხს კედელთან აყუდებული გლეხები. ხმა არ გაუღიათ,

ანდა, რა ეთქვათ... ერთმა მოძრავმა ქალმა ხმით დატირება სცადა, მაგრამ სანტოსმა ისე შეხედა, მაშინვე ხმა გააკმენდინა. მირცა მთელი სოფლის სიამაყე ქალი იყო და ვერავინ მიხვდა, რად გაჰყვა სანტოსს - გარეგნობა იმას არ უვარგოდა, ქონება, და ვერც სიტყვა-პასუხით დაიკვეხნიდა. ვერავინ ხვდებოდა, მხრებს იჩეჩავდნენ, ისე კი, მირცა ალბათ ის იშვიათი ქალი იყო, მომავალი დამსახურებისათვის რომ შეუძლიათ შეიყვარონ არაფრით გამორჩეული, უბირი გლეხი - იმას თუ გრძნობდა, სანტოსი მერმე დიდი კანუდოსელი რომ გახდებოდა. მერე რა, მისი სიკვდილის შემდეგ რომ მოხდებოდა ეს, და თავად კანუდოსიც არ არსებობდა... რა ცოლი ჰყავდა, როგორ უყვარდა, როგორ იცოდა ქმრის შეგებება, ლაღი სიცილი... კუბოში იწვა. და იქვე, მომცრო კუბოში იწვა თავი და თავი, მზე, მთვარე, წვიმა... თავად ქვეყანა, ქვეყანა ვრცელი! მომცრო გორაკი რომ აიარეს, სანტოსმა ცოლს სადღაც ლოყაზე აკოცა, და, ყბაჩანგრეულმა, შვილს ვერ შებედა სახეზე კოცნა, მუხლზე დაადო ლოყა, თვალდახუჭული, გაიტრუნა და მძიმედ წამოდგა მერე და განზე მიდგა. ოდნავ შორიშორს დაასაფლავებინა სანტოსმა ცოლ-შვილი, შუაში ერთი საფლავისხელა ადგილი დაატოვებინა. „თავისთვის შუაში სდომნია, ქაა... „ - წაიჩურჩულა მოძრავმა ქალმა, მაგრამ სანტოსს ძალიან შორს, ჯერ არარსებულ კანუდოსში ეწერა სიკვდილი, თუმც ის მორჩენილი ადგილი სიცოცხლეშიაც გამოადგა - მეორე დღეს მარტო ავიდა სასაფლაოზე, წერაქვითა და ნიჩბით მხარზე, წელამდე ორმო ამოთხარა, შიგ ჩადგა, ცალი ხელი ერთ ბორცვს დაადო, მეორე - მეორეს და ასე, ვიწრო საფლავში ცოცხალი იდგა, და ორი ბორცვის შეყინულ სითბოს ხელისგულებით ისმენდა. მესამე დღეს კი ლამაზ-ქალაქში ჩავიდა და პირველსავე ლაღ, თავის ტოლ მოქალაქეს ჰკითხა: „კამორელთაგან მაღალს რა ერქვა“. „მასიმო, ძია“, „მასიმო, ძალიან კარგი“, - თქვა სანტოსმა და კალაბრიაში აბრუნდა. გზად ფიქრობდა და უთენია ეზოში რომ შევიდა, პირდაპირ ბოსელს მიაშურა, ხბოს ხელები შემოაჭდო და შეშფოთებული მაღლა ასწია.

ის დღე იყო და, ღონის დაგროვებას შეუდგა მოხუცი სანტოსი. ხბოს ყოველ დილა-საღამოს სწევდა, მორებს ხერხავდა, კუნძებს უპობდა მოტეხილ ქვრივებს. ყველანი რიდით უმზერდნენ, ხმას აღარავის სცემდა, მაგრამ ერთი უცნაური რამ უბედურება დასჩემდა - კალაბრიაში ყოველ ნაბიჯზე სილამაზე აღმოაჩინა და თუმცა თვალის არიდებას ცდილობდა, მაინც ხიბლავდა თავისი მხარე, გოროზი მთები, ღრიალა მდინარე, ხშირი ტყეები და ვრცელი სათიბები, და ყოველივე ამის უნებურად დამნახავს ერიდებოდა ცოლის და შვილის, ვერაფერს რადგან ვეღარ ხედავდნენ, და, უნებლიე დამნაშავე, სანტოსი, ყოველ საღამოს, მიყუჩებისას, თავის საფლავში ჩადგებოდა და, ორ ძვირფას ბორცვზე ხელებდადებული, როგორც შეეძლო, ისე ჰყვებოდა. ხანდახან უცნაურად ამოდიოდა მზე - მთის გადაღმიდან, ღრუბლებიდან

ვიწრო სვეტად ამოხეთქავდა, ისე მსუბუქი, ძლიერი ისე, და შუა ცაზე დაკიდულ მუქ ღრუბელს თვალისმომჭრელად გაანათებდა. ჯერ კიდევ ამოუსვლელი, ღონივრად დააბუჟებდა ამოჩემებულ ღრუბელს, ჯერაც უხილავი, ჟინიანი სინათლით ანამცეცებდა, თავად მახარებელი - ამოიწვერებოდა და გრძელსხივება, შუქთამფენი, თავის ფერხთით ჩამოგორობებულ, დათოვლილ ქედს - ნაჰლას, ააბრჭყვიალებდა. უცნაური სანახავი იყო ქედი - კალთებზე შეფენილი სიმწვანე ოდნავ ზემოთ ბაცდებოდა, მერე მუქდებოდა ისევ, სილურჯეში გადადიოდა, მერე რბილად თეთრი იყო და კენწეროზე - ვარდისფრად ააბრჭყვიალებდა მზე, მაგრამ დილაობით აღტაცებულს, საღამოთი, თავის საფლავში მდგარს, თუმცა არაფერი ავიწყდებოდა, ამის თქმასღა ახერხებდა მხოლოდ: „დღეს მზე ამოვიდა, მირცა...“ მერე მარჯვნივ შეატრიალებდა თავს: „მზე ამოვიდა, შვილო“. - რა ექნა, არ ეხერხებოდა სანტოსს ლაპარაკი.

სქელ კუნძებს ორად ჰკვეთდა მოხუცი, და თუ ერთის დარტყმით ვერ გააპობდა, სანახევროდ გაბზარულ კუნძს ღონიერ თითებს ჩაავლებდა, დაიძაბებოდა, თითქოს გამაუბედურებლის, მასიმოს ხახას ჩაფრენოდა ზედა კბილებსა და ნიკაპში, შუაზე ხლეჩდა დამაქცეველს შურისმაძიებელი, და მრავლისმომსწრე გლეხებს მსგავსი ღონის პატრონი ჯერ არ ენახათ.

„ისეთი კოკისპირული იყო, ისეთი... მირცა... - ჰყვებოდა საღამოობით ბორცვებზე ხელისგულდადებული სანტოსი, - თქვენც გაიგებდით ალბათ... თქვენამდეც კი ჩამოჟონავდა, ვაიმე, შვილო“.

ახლა უკვე ხარს სწევდა დღეში ორჯერ სანტოსი, და ბოჩოლობიდან მიჩვეულ პირუტყვს აღარ უკვირდა ჰაერში ყოფნა, არხეინად იცოხნებოდა.

„პაპას ხილი მოგიტანე, შვილო, შენ რომ გიყვარდა... პაპას ხილი მოგიტანე, მირცა... - ამბობდა სანტოსი და გულისპირში ჩაყრილ, თავის კუნთებადქცეული სხეულის სითბოგამოყოლილ პაწია მარცვლებს ბორცვებზე დებდა, - ჩიტებს აჭამეთ... მართლა, გალიით ჩიტი გიყიდე, შვილო... და შენს სახელზე გავუშვი... ჰოჰოჰო, ჰოჰოო - რა შეიფრთხიალა?“ - იღიმებოდა, იდუმალ ბორცვებს გულს უკეთებდა ვითომ.

მაგრამ ბნელი ღამით, როცა ყბებზე სხვადასხვაგვარად ებერებოდა ყვრიმალები, ჩამტვრეულზე - უფრო, დაძინებამდე, დიდ მორს, რომელსაც მასიმო დაარქვა, თითებს წაუჭერდა და ახრჩობდა, გუდავდა... მერე და მერე, მკრთალ წრედ დაეტყო მორს მისი ღონიერი ნათითარები, და არსად რომ არ გაქცეოდა, მასთან ერთად წვებოდა და მოხდენილი, ავთვალება ჭაბუკის დასიზმრებისთანვე ძილშივე

ფათურით პოულობდა მორს და თითებს უჭერდა... და რამდენიმე ხნის შემდეგ მოხუცმა სანტოსმა შური იძია, მტრისას...

მოხუცი სანტოსი მეოთხე იყო იმ რჩეულ ხუთთაგან, ვინც შემდგომ დიდი კანუდოსელი გახდა.

* * *

ეს ერთადერთი სამალავი იყო, რომელიც მისმა ცოლმა, მერსედეს ბოსტონმაც კი არ იცოდა, კედლიან-იატაკიანა ფილებით მოჭედილ ოთახში, მარტოდმარტომ, საიმედოდ ჩარაზული კარი ერთხელ კიდევ შეამოწმა და, ფარნით ხელში, კედელს მიუახლოვდა. ერთ-ერთ ოთხკუთხა ფილასთან შეჩერდა, სავარძელი მიიჩოჩა და ზედ შედგა, უჩინარ ღილაკს დააჭირა თითი, მერე ჩამოქვეითდა, კედელს გაუყვა, მეორე ღილაკი მოხრახნა, გრძელი, ფრთიანი ჩხირი შეყო ხვრელში და ზურგს უკან, იატაკზე, უხმაუროდ ამოიბურცა ნოხი. წელს ზემოთ შიშველი იყო კაცი, და ასაკი ოდნავ, სულ ოდნავ შეპარვოდა შემჭკნარ მკერდსა და ოდნავ სავსე წელზე, რომ დაიხარა, ძუძუსთავები მცირედ ჩამოეკიდა, ფერადოვანი ნოხი ფაქიზად გადაახოხა ამოზნექილ ფილას. ხელი ჩაყო და ჯერ მომცრო რამ ქილა ამოაძვრინა, სქელი წებოვანი სითხით სავსე. ფრთხილად ასწია, მუცელზეც კი მიიხუტა გრილი შუშა და გააჟრიალა, მაგრამ არა, არა, ოთახში თბილოდა, მაღალ ბუხარში მაღალი ცეცხლი ენთო, წრიალა ბინდი დაფათურობდა ოთახში. სამიოდ ფრთხილი ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა, ხელი წასწია, ფარანი სარკის რაფაზე დადო, უცნაურად განათებულ, საკუთარ თვალებს გახედა მალულად, მხარზემოთ ცეცხლი მოუჩანდა, ბუხარში ავად აწრიალებული, და ის სინათლეც სარკიდან ეცემოდა. ქილას თავი ახადა და მწვანე წებოს მაგვარი ძალიან სქელი სითხე შემჭკნარ სხეულზე ალაგ-ალაგ მუქ წერტილებად დაიმჩნია. შარვლის ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოაცოცა, გაასწორა და ფარნის გვერდით, რაფაზე დადო, სამალავთან მიბრუნდა ისევ, შავ ხავერდში გახვეული მეორე ქილაც ამოაძვრინა, ორგან შეუმჩნევლად დასვრეტილი, ხუფი ახადა და მკერდზე მიიდო. მერე განაბული იდგა სარკესთან, თვალდახუჭული, მწარე სიამით მომლოდინე და, როგორც იქნა, გააჟრიალა. მაშინვე მოიშორა ქილა, თვალმოჭუტულმა ჩახედა სარკეს, კი, კი, ის იყო - ზედ შუა მკერდზე ირიბად გასუსულიყო ხვლიკი და, სიბნელიდან ამომძვრალი, ამ მკრთალად ათამაშებულ შუქზე ყურადღებადქცეული კუსავდა თვალებს. მერე იყო და, მობუზულმა, გაბედა - ოდნავ გაასისინა კუდი, ერთ-ერთ მწვანე ლაქას მიუახლოვდა, ავად გაფარჩხული პაწაწკინტელა ბწკალებით დაეყრდნო შემჭკნარ სხეულს და ვიწრო ენით მალიმალ ალოკა სქელი სითხე. კაცს სახე მოეღრიცა, კანკალმა აიტანა, ქაღალდს დახედა, თქვა: - თუ ვინმემ რაიმე გაივლო გულში, გაივლო-მეთქი, გაბედვაზე ხომ აღარას ვამბობ,

რადგანაც მტკნარი უაზრობაა - ჩემი გრძელი და მიმოხვეული ნესტარი არ ასცდება... შხამში ამოვლებული! - ლაპარაკისას, გაფაციცებული იმახსოვრებდა საკუთარ სახეს - ხვლიკის მსუბუქი, საშინლად ნაზი კბენით დაძაბულსა და უცნაურად განრისხებულს, - საკუთარ სახეს იმახსოვრებდა, ახალ მუქ წერტილს დაეძებდა მადააშლილი ხვლიკი, მკვეთრი ბიძგებით დასრიალებდა ცივი, მოქნილი, გაიყინებოდა ხოლმე, ისევ მიმოხვეული ბიძგით წაიწევდა და ეხიცინებოდა კაცს, ზიზღით იცინოდა, წაიკითხავდა - ჭეშმარიტ მეგობრობას რა სჯობს... ადამიანთა მეგობრობას მოყვება დადებითი შედეგები... - ხვლიკით ბოძებული სიცილით მზაკვრულად იცინოდა, იმახსოვრებდა საკუთარ სახეს, მერე კი ხელისგულები კეფაზე შემოიჭდო და დიდი, მწვანე ლაქები მის იღლიებში იპოვა უნებურმა, უცნაურმა მწვრთნელმა. მიეძალა და - ოჰოჰო, ჰაჰა, - ახითხითდა კაცი, - შემოწმებას და ყურადღებას მოაქვს ბედნიერება, ბედნიერება იქნება, კი, კიი, როგორ არა, - უჰ, იცინოდა, - ბედნიერება იქნება, და აი, ასე ვიცინებთ ხელიხელჩაკიდებულნი ყველანი... მააგრამ, თუკი...“ და სარკიდანაც ჯერ ავად უცინოდა ტორტმანა ჩრდილდაფენილი ორეული, და ერთმანეთსაც თვალებით ჭადნენ, ხვლიკი კი ისევ დაცოცავდა და, ხომ ისევ აქ ხართ, შეგზიზღდათ, არა? შეგზიზღდათ როგორ... მე მაპატიეთ, რა ვქნა, ასეა... ასე სჭირდება, თვისი მიზნისთვის, ამით აჯობა ბარე ერთი-ორს, და აქ, ამ ოთახში საიდუმლოდ დამარტოხელებული, მომეცადინე, თქვენთვისაც რომ არ მეჩვენებინა, ვეღარ შევძელი - სულწასული ვარ... და მაინც, ორ კაცს, ორად-ორ კაცს დაგიმალავთ კარგა ხანს, გვიან გაგიმხელთ, ერთი - ალექსანდროს უფროსი ძმაა, მეორე - მეხუთე დიდი კანუდოსელი; და ამ ბოლო ადამიანზეც რომ არ შეიტანოთ ჩემგნით დაფარვის რაიმე ეჭვი, აქავე მოგახსენებთ, რომ სწორედ ის კაცი, ტანხვლიკიანი, თავად დიდი მარშალი ედმონდო ბეტანკური იყო...

აქვე მთავრდება თავი პირველი - „ნაცნობობანი“.

თავი მეორე

დროსტარებანი

ერთადერთი, ვინც დიდი ვაკეიროს, ზე მორეირას ცოლს, მარიამს სერტანელთაგან ჭირის დღესავით ეზარებოდა, ერთის შეხედვით გასაკვირია და, მხიარული მწყემსი მანუელო კოსტა გახლდათ, „ცოლი მაგას არ ენაღვლება და შვილი, - დილაადრიან ებუზღუნებოდა უცნაურად მოთენთილ ზეს მარიამი და თანაც გულის კუნჭულში უხაროდა, მისავათებულს, ამისთანაებს რომ უბედავდა, - დაიარებოდა ვაჟბატონი ქალაქის შეღებილ ქალებში, შენც გამოძებნე, რაღა, ამხანაგი, იფ, იფ... იმას რომ რაიმე მოუვიდეს, ვის რა ენაღვლება, ცოლი აუტირდება თუ შვილი, შენ, შენ იკითხე, შენ“... „კარგი... ჰო, კარგი...“ - უნიათოდ ჩაიბუზღუნებდა ზე, ახლა, თავატკიებული, სულ სხვა კაცი იყო. მარიამმაც მშვენივრად იცოდა, ზეს შეპასუხების თავიც რომ არა ჰქონდა და სხაპასხუპით აყრიდა: „და მერე კიდევ. ისიც იცოდე...“ საქმე კი იმაში გახლდათ, რომ მანუელო კოსტა და დიდი მწყემსი ისე რა, ხანდახან, ასე, თვეში ერთხელ მანუელოს მცირე ეზოში მაღალ ფეხებს მოირთხამდნენ და ცეცხლივით სითხეს რიგრიგობით სვამდნენ. კი, კი, მშვენივრად იცოდა მარიამმა, მისთვის ამ საზარელი დროსტარების წამომწყები მხიარული მწყემსი რომ ბრძანდებოდა და, გაგულისებული, როგორც კი ზეს შეაგვიანდებოდა, მანუელო კოსტას წყევლით იოხებდა გულს. ნაშუაღამევს, ძილ-ღვიძილში შორიდანვე მოკრავდა ყურს ფლოქვების ნაცნობ ხმას, გარეთ გამორბოდა და, გულაფანცქალებული, ქოხის უკანა კედელთან დგებოდა. ზე უდარდელად მოარონინებდა ცხენს, თავჩაქინდრული, ცუდად ირწეოდა, აღვირიც კი არ ეპყრა ხელთ, ცალი ხელისგულით ცხენის კისერს დაყრდნობოდა და ორკუთხა, განიერი ქუდი ცხვირზე ჩამოეფხატა. „რა მშვენიერია,

ყმაწვილი, იფ...“ - გაბრაზებული ფიქრობდა მარიამი და თავისი ღრიჭოდან გამალებით იცქირებოდა. ცხენი მორჩილად შედგებოდა ეზოში, ზე დაუდევრად, ძალიან მაღლა ასწევდა თავს - ქუდი უშლიდა - თავის უბადრუკ ქოხს, რაღა თქმა უნდა, სცნობდა და უცებ წარმოუდგენლად მაღლა აიქნევდა ცალ ფეხს, ცხენს თავზე გადაავლებდა და მიწაზე ისე მსუბუქად, ისე სხარტად ხტებოდა, გაოცებული მარიამი გაიფიქრებდა: „მაინც მარჯვეა, ოხერი...“ და გაინაბებოდა. ზე კი ბანცალ-ბანცალით მიმოდიოდა ეზოში, ცხენს აღვირს მოხსნიდა, შეინახავდა, მერე თოკს შეაბამდა ფეხზე ერთგულ ფაშატს, წყალს დაუდგამდა. „არაფერი რომ არ ავიწყდება მაინც, ჰმ...“ - რატომღაც ბრაზდებოდა მარიამი და ახლა უკვე სუნთქვასაც ფრთხილობდა, რადგან ზე ქოხის შუაგულში იდგა, ირწეოდა და მთვრალი კაცის უცნაური, სამაზროვანი ღიმილით ათვალიერებდა კუნჭულებს - სად წავიდა, ა... უ... ო... ზლაზვნით შეიხსნიდა დიდ, ფართო ქამარს, იქვე დააგდებდა, უცებ თავს შემართავდა და ხმამაღლა ამბობდა: „მარიაამ... მოდი“. მაგრამ ნურას უკაცრავად - მარიამს ისე არაფერი ეზარებოდა ქვეყნად, როგორც მთვრალი ქმრის ალერსი, სუნთქვაშეკრული, ახლა ზურგით აკვროდა კედელს, ნახევრად მშიერს, ლეოპარდების ტყავი ემოსა. „მოდი, ო“, - ხმას აუმაღლებდა ზე და ქოხში დაბოდიალებდა. ისეთი მთვრალი გახლდათ, ხანდახან გადაავიწყდებოდა კიდეც, ვის, რას ეძებდა, ოღონდ ის მაინც ახსოვდა, რაღაცას რომ ეძებდა და, ასე განსაჯეთ, ხანდახან ქვაბსაც კი ახდიდა ხუფს. და რომ გაახსენდებოდა - „მარიაამ... მოდი“, მაგრამ მარიამი ყურსაც არ უგდებდა, ისე გატრუნულიყო და ზეც ტყავის ხალათს თავზე გადაიძრობდა, მაღალ ჩექმებთან ერთად კუთხეში მოისროდა, მაჩეტეს კი ნაზად ამოიდებდა თავქვეშ და იმწამსვე აფშვინდებოდა - ვითომ ეძინა; მაგრამ მარიამმა კარგად იცოდა იმისი ხრიკები და ისიც, რაღა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა, რომ ზეს ორიოდ წუთში მართლა ჩაეძინებოდა და მერეღა შედიოდა ქოხში, ფრთხილად, უხმაუროდ წვებოდა. დილაადრიან კი, თავთით რომ დაადგებოდა, ზე ბურანშივე იგრძნობდა მომავალ ბუზღუნს, და როგორც კი შეიშმუშნებოდა, მარიამიც მყისვე აგებებდა - „ვისთან ბრძანდებოდი“. „ვისთან ვიქნებოდი...“ - ჯერ კიდევ თვალდახუჭული, უღონოდ ამბობდა ზე. „იმ ყმაწვილთან ბრძანდებოდი, არა?“ ზე აღარ უპასუხებდა, გაბრუებული წამოჯდებოდა, ტანსაცმელს მოჭუტული თვალებით მიმოიძებნიდა და, მერე მაღალ ფეხებზე წამოიზრდებოდა და კუთხეში მიყრილ სამოსს დასწვდებოდა. მერე ზედ ნეკნებთან შემოიჭერდა ქამარს, იმსიმაღლიდან დაიხრებოდა და ბალიშის ქვეშ შეაცურებდა ხელს, ჩაეღიმებოდა. ჯერაც დახრილი, მარიამს ახედავდა, ნელა წამოიმართებოდა და სახეზეც ნელინელ ეფურჩქნებოდა ღიმილი. ისე კი, იშვიათად, - მაგრამ თუ გაიღიმებდა... ცხელ წყალსა სვამდა, სულს უბერავდა, დოინჯშემოყრილი უმზერდა მარიამი. მერე ზე ცოლისკენ ისე გაიშვერდა ხელს, ზედაც არ შეხედავდა და

მხოლოდ ამას იტყოდა: „მაჩეტე“. „რა ვიცი მე, - ყალბად აბუზღუნდებოდა მარიამი, - შენს თავს მოჰკითხე. მაჩეტე კი არა, თავი რომ არ დაკარგე. არ გიკვირს? რა ნახე საერთო იმ ვიგინდარასთან, რა...“ „არაა ცუდი ბიჭი“. „რაარ? აიი, ცუდი და ჯანდაბა მაგის მაწანწალა თავსა და ტანს, დანა რომ დაგაკარგინა, ლეოპარდები რომ დაგსხმოდნენ, ეგეთ მთვრალს, ბავშვებს ვიღა არჩენდა მერე!“ „მაჩეტე“, - ისევ ამბობდა განზე ხელგაშვერილი მწყემსი, მეორეთი ცხელ წყალსა სვამდა. „რა ვიცი მე, აგერ, მეორეც ხომ გაქვს, დაკარგე ბარეღამ ისიც...“ აქ კი ზე ცოლს თვალებში შეხედავდა და თუმცა ისევ წყნარად იტყოდა - „მაჩეტე“ - მარიამი სასწრაფოდ მივარდებოდა კუთხეში მიყუდებულ, გაფუებულ ცოცხს და იქიდან გაღუნულ დანას გამოაძვრენდა. ზე საქმიანად გამოართმევდა, ჩექმის ჯიბეში სანახევროდ ჩააცურებდა და ცხენს სანამ აღვირს მოარგებდა, თვალნათლივ ემატებოდა ღონე. „სად წახვალ აბა ასე, სად, მთელი ჯოგი დაგეფანტება“, - აბუზღუნდებოდა მარიამი, ზე კი - სკუპ ერთი! - და უბელო ფაშატზე არხეინად იჯდა. მარიამი საუზმეს აწვდიდა, თავისი ჭკუით აბრაზებდა: „ასე დარეტიანებული, გადმოვარდები“, ზეს კი ჩაეღიმებოდა, ქუსლებს ოდნავ მოუჭერდა ცხენს და ისიც, ყალყზე შემდგარი, წამით გაქვავდებოდა, მერე კი ისკუპებდა და პირდაპირ ჭენებით გავარდებოდა ველზე. ზე ორკუხა ქუდზე წაივლებდა თითებს და გამთენიის მწიწკნავ ჰაერში რონივრად, ირიბად, ხელუკუღმა ისროდა, ჭენებით ეწეოდა და, ჰაერშივე კოხტად იჭერდა, ქუდიან ხელს ამაყად დაიქნევდა და მერე ცხენს შეაჩერებდა, წინ, შორს გაისროდა მძიმე ქუდს, განზე მისრიალებდა გველი, და ისევ გაქანდებოდა ფერდებში ქუსლებჩასობილი ფაშატი და თავქვედაკიდებული ზე ქუდს ყოჩაღად სტაცებდა თითებს, მერე გაიმართებოდა და, მარიამისკენ მობრუნებული, ორკუთხა ქუდს თავს ზემოთ განივრად შემოივლებდა - სალამს უძღვნიდა, აქ კი აღტაცებულ მარიამს ყველაფერი ავიწყდებოდა, ის თავისი ამოჩემებული, ფარული სიყვარულიც და ზეს ჰაეროვან კოცნას თვალებდახუჭული უგზავნიდა.

„რამ აატინგიცა ეს დევივით ვაჟკაცი, ლაზღანდარა“, - ბრაზიანად გაიფიქრებდა ჟოაო, ერთთავად მოღრუბლული, ჰეეი, უჟმური იყოო, მტრისას, ხეს ამოფარებული სასი კი, ცალფეხა ჭინკა, დიდ მწყემსს აღფრთოვანებული შესცქეროდა.

მაგრამ სიმართლე - სიმართლედ და გულის სიღრმეში ჟოაო დიდად აფასებდა ზეს - ვაკეიროთაგან უპირველესი, აღიარებული გახლდათ - ერთადერთი იყო, ვისაც სერტანაში გაცოფებულ ხართან შებმა ძალუძდა; რაღა თქმა უნდა, მუდამ იმარჯვებდა, თორემ ცოფშეყრილ ხართან დამარცხება რასაც უდრიდა, ყველამ მშვენივრად იცოდა, და ერთადერთი გასამრჯელო, რასაც ზე სანაცვლოდ ითხოვდა, ის გახლდათ, რომ მარიამისთვის ესე ამბავი არავის ეთქვა.

ისე კი, კაცი ვერ იტყოდა, მარიამს უფრო ეჯავრებოდა მანუელო კოსტა, თუ ჟოაო აბადოს. მხიარული მწყემსი მარიამს თავს თუ არიდებდა, ჟოაოსთან შეხვედრა მაინც უწევდა და როცა უნებურად შეეჩეხებოდნენ ერთურთს, წინასწარ სიცილით იგუდებოდა სასი. როგორც კი გაუსწორდებოდა, მანუელო მაშინვე თავაზიანი ღიმილით ეტყოდა: „გამარჯობათ, ჟოაო ბიძია“. ჟოაო კი, ერთიანად დაძაბული, მისი ხმის გაგონებისთანავე იფეთქებდა: „ვინაა შენი ბიძია, ვინ! შენ დაბადებულიც არ იყავ, მე რომ ვმწყემსობდი... აბა!“ „ჰოდა, სწორედ მაგიტომ - უფროსი ბრანდებით და იმიტომ გიწოდეთ, ჟოაო ბიძია.“ აქ სრულიად სერტანის მთავარი უჟმური ხვდებოდა, დამაყრუებელმა სიძულვილმა რომ შეაცდინა და უმძრახად გაეცლებოდა, სასისაც სხვა რა უნდოდა, ფეხებში გაებლანდებოდა ცხენს, წააფორხილებდა და ჟოაო თავს ძლივს იმაგრებდა, უდარდელად გაიღიმებდა მანუელო კოსტა, უცნაურად ლამაზი, შემართული, მხიარული მწყემსი.

შორს კი, სერტანიდან ძალიან შორს, ჯერ იმ სავაჭრო - ბაზრობათა ქალაქის გავლით, ზე - იშვიათად და მანუელო კოსტა ხშირად რომ ჩადიოდა და მერე ლანდოთი ორკვირიანი ჩაქჩაქის შემდეგ, კამორასაც უვნებლად თუ გააღწევდა კაცი, იქიდან კი ორდღიანი მგზავრობის შემდეგ ლამაზ-ქალაქს არხეინად თუ მოინახულებდა და მერე მთელ დღეს აღმართში ეარა, ასულიყო კალაბრიაში და იქ კიდევ ერთი სევდიანი ბორცვი აეარა, შეღამებისას ნახავდა კუნთებადქცეულ, ლოდივით მოხუც სანტოსს, თავის საფლავში გულამდე მდგარს, ხელები რომ დაედო ორ მომცრო გორაკზე და ამბობდა: „დღეს ჩვეულებრივად გათენდა, მირცა... ისეთი არაფერი მომხდარა, შვილო, მსხალი მოგიტანეთ“.

ასე და ამგვარად ატარებდა ხანდახან დროს მომავალი ოთხი დიდი კანუდოსელი - ზე მორეირა, მანუელო კოსტა, ჟოაო აბადო და მოხუცი სანტოსი. რჩეული მეხუთე კი ჯერ არსად ჩანდა, და ჯერ არც იყო აგებული თავად კანუდოსი, თიხის უბრალო, დიდი ქალაქი.

2

ერთადერთი სიხარული გათენებას ახლდა.

გამთენიისას, როცა მძიმედ ამჩატებული, მოიისფროდ დაბუჟებული სხეული მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გაბრუებული ახელდა თვალებს, გამთენიისას, როცა პირველი სიხარულით ძალას იკრებდა გასაგოლიათებელი დღე, გამთენიისას, როცა სინათლის მადლით გულმოცემული მცირე ჩიტები ღამის მუქ სიზმრებს მხიარულად ჰყვებოდნენ, მგზავრი იღვიძებდა. ბურანში იშმუშნებოდა, უცნაურ სიხარულს ატანილი, დილა იყო, დღე... რაღაც იდუმალს, ვინმე უძლეველს თუ უღიმოდა

გამოუცდელი... ზმორებაატეხილი სხეულის ყოველი ნამცეცი სასიამოვნოდ იწიწკნებოდა, და მაინც, უცებ, შიშით ახელდა თვალებს - ვაიმე, აქ ვარ... კამორაში გახლდათ, შეძრწუნებულს, მიჩინიოს საოცარი თვალები ახსენდებოდა, ჭრილით-ჭრილამდე ერთიანად ნაცრისფერი, სუსხი დაუვლიდა ტანზე და ზიზღით ახსენდებოდა ჯუჯა უმბერტო, რომელმაც ორიოდ დღის უკან უთხრა: „სალამ-გამარჯობა, ჰალე, მე მომაგრებული ვარ თქვენზე...“ ახლაც, მაიმახს, იქვე ეძინა... კარგად იცოდა დომენიკომ, ძვირფასი საბნიდან ფეხს გამოყოფდა თუ არა, უმბერტოც მაშინვე თვალს დააჭყეტდა და ეტყოდა: „სალამ-გამარჯობათ, ჰალე, დღეგრძელი იყოს...“ მერე შეიყვანდნენ მიჩინიოსთან, ყოველი შემთხვევისათვის, მთელი დღით რომ გაჰყოლოდა მორჩილება და შიში, და მიჩინიო ბევრს კი არაფერს აშავებდა, უბრალოდ, მის დასანახად ერთ ნაჭერ პურს ჭამდა, მაგრამ ისე რომ, მაგრამ, აჰ, ისე... ძვლებამდე გრძნობდა მის მჭახე კბილებს, პურს შეექცეოდა მიჩინიო, დომენიკო ძრწოდა.

- სალამ-გამარჯობა, ჰალე, დღეელი იოს დიი მარშალი.

- გამარჯობათ.

უმბერტო, ჯუჯა, საქმიანად იცვამდა, და დროდადრო სარკისაკენ აპარებდა შეყვარებულ მზერას.

- ნაშუადღევს გრანდჰალე პოლკოვნიკს მიღების საათები აქვს და თქვენც უნდა დაესწროთ, ჰალე.

- რა საჭირო ვარ...

- რა და მითითებაა ასეთი, ცოტათი უნდა გაიქექოთ, ჰალე.

- რატომ?

- როგორ თუ რატომ - რატომ და გაქექილი რომ მივიღოთ თქვენგან, ჰალე.

კედლებიან-ჭერიანა ყავისფრად გაკრიალებულ ოთახში პოლკოვნიკი სეზარ რბილ სავარძელში გადაფლულიყო და ჰოი, საკვირველებავ - ვიღაცა კაცი მსუბუქად ულაწუნებდა ყბაში.

- ოო, სათამაშოც მოსულა ჩემი, ჰა, როგორა ხარ, - უმბერტოს შესცქეროდა პოლკოვნიკი.

- კარგად, - თქვა დომენიკომ და მძიმე ტომარა მოინაცვლა. პოლკოვნიკმა ახლა დომენიკოზე გადაიტანა მზერა და იკითხა:

- შენ რაღასა იქმ, ჩემო დევგმირო?

- გმადლობთ, გრანდჰალე, - თავი მოწიწებით დახარა უმბერტომ და ქვემოდან ასცინა.

დიდად უცნაური ექვსეული შეკრებილიყო: სავარძელში გადაწოლილი, ალერსით შენიღბული მრისხანე პოლკოვნიკი და ვიღაცა უცხო, თავად გრანდჰალლეს მსუბუქ სილებს რომ უტკაცუნებდა; გულზე ხელებგადაჭდობილი, საზარელი მიჩინიო, ძალზე გადაზნექილი, მხრით მიყრდნობილი კედელს; ტიტლიკანა, პირახვეული ანისეტო; მოწიწებით თავდახრილი ჯუჯა და კამორაში გაჩხერილი ყმაწვილი მგზავრი, გამოუცდელი, ეგრეთ წოდებული დიდი ბითური დომენიკო, მძიმეტომრიანი.

- მაშ კარგად, არა, კარგად, ჰა, არა, დომენიკო? - ჯუჯას დაეკითხა პოლკოვნიკი.

- არა მიშავს რა.

- თუ არა გიშავს, დომენიკო-ჩემო, აგერ იმ თაროს ხომ ხედავ, ტკბილო?

გულმა რეჩხი უყო.

- ჰოდა, თუ ხედავ, - ისევ უმბერტოს შესცქეროდა პოლკოვნიკი, - ანისეტო, უთხარ, თაროზე შემოსკუპდეს, - და გაიბადრა, - ჩე-ემი სათამაშო...

- თრზეშშმმჯქხ, - თქვა ანისეტომ. პირი ახვეული ჰქონდა.

- არა.

აქ პოლკოვნიკმა ანისეტოზე გადაიტანა მზერა და თქვა:

- მაშინ შენ უთხარ, მარცხენა ხელო.

მიჩინიოს არაფერი უთქვამს, მაგრამ შეხედა...

თაროზე იჯდა!

პოლკოვნიკმა ახლა მიჩინიოს გადახედა და ბრძანა:

-აეგ ტომარაც გვერდით მოიდგი. ასე.

მერე პოლკოვნიკი წამოდგა, ჭერში აიხედა და თქვა: - ცოტათი უნდა გამოვქექოთ. ააბა, დომენიკო, ვინაა ეს კაცი?

- არ ვიცი.

- ეგეც არ იცის, - ახლა იატაკს შესჩივლა გრანდჰალლემ, - უნდა მიმხვდარიყავ კი - სხვას ვინმეს ამას გავაბედინებდი? - მემასსაჟეა ჩემი.

ბოლთასა სცემდა.

- მნახველებს მშვენივრად რომ წარვუდგე, კარგად მაინც ხომ უნდა გამოვიყურებოდე და კარგად რომ გამოვიყურებოდე, აუცილებელი პირობაა სახის მასსაჟი. ჩაჰხვდი?

- კი.

- ამ კაცმა ფრიად მშვენიერი სამსახური გამიწია, დომენიკო, ხედავ - ვღაჟღაჟებ, ეს ერთი, მაგრამ მეორეს მხრივ, ამას შევარჩენ თუნდაც სამსახურს? ვის კანს შეეხო! - მშვიდად აიმაღლა ხმა პოლკოვნიკმა და უცნობს მუშტი ხეთქა. კაცი წაიქცა და აყაყანდნენ: - აჰ, რა ხელი გაქვთ, გრანდჰალლე, აჰ, რა ოქროს ხელი გქონიათ, გრანდჰალლე... დუმდნენ მხოლოდ დომენიკო, და მიჩინიო, რომელიც წაქცეულს უცნაური ზიზღით დასცქეროდა, ნაღვერდალი გამორეოდა თვალებში. წაქცეულიც აღფრთოვანებული იძახდა - ეს რა კოხტად მომდეთ, რა კოხტად, თქვენი ცაციის ჭირიმე, გრანდჰალლე.

- კარგი, ჰო, წადი, - თქვა პოლკოვნიკმა და ყველაფერზე მეტად საკვირველი ის იყო, რომ წაქცეულმა ანისეტოს სამი დრაჰკანი იქით ჩაუჩხრიალა, მერე მდაბალი თაყვანი სცა ზურგშექცეულ პოლკოვნიკს და ოთახიდან დიდად კმაყოფილი გავიდა.

- ეს მისი შემოსავლის ნაწილია, ჩემო თოჯინავ, - თქვა პოლკოვნიკმა, - მოგეხსენება, რომ შემოსავლის... - და ერთბაშად მობეზრდა, - კარგით, გვეყოფა. აბა, დავიწყოთ! - და დაიძახა: ექვსჯერ სამი შვიდიაა!..

ზღურბლზე მსახური იდგა, თვალებში შესციცინებდა, პოლკოვნიკმა კი ანისეტოს ჰკითხა:

- პირველი ვინაა, ჩემო სერჟანტო?

- კაპრალი ელიოდორო გახლავთ, გრანდჰალლე.

- შემოიყვანეთ.

მენდეს მასიელი ბაზრობათა ქალაქში უჩვეულო მხრიდან მოვიდა - სწორედ იქიდან, სადაც გაუვალი ბუჩქნარი, კაატინგა იდგა. ორმა სერტანელმა მწყემსმა შორიდანვე შენიშნა უცნაური, გრძელტანსაცმლიანი მომავალი. ორი ვაკეირო - გრეგორიო პაჩეკო და სენობიო ლუოსა ნახირთან იდგნენ. თვალზე ქუდჩამოფხატულნი, ცალფეხმოკეცილნი მიყრდნობოდნენ კედელს და ხელები გადაეჯვარედინათ გულზე. ბაზრობაზე ჩამოსულ კამორელთა დანახვა არ სიამოვნებდათ და ვაკეიროთა ორკუთხა ქუდი ჩამოეფხატათ თვალზე, მაგრამ უეცრად ორივემ ერთდროულად ასწია თავი და კაატინგას მოახლოებული უცხო დაინახეს. თვალმოჭუტულნი, უნდოდ შესცქეროდნენ - მიბრუნება ეწერა მგზავრს, იმ ბუჩქნარს ვინ გაივლიდა, ზაფხულის სიცხით გამწარებული, ღრჯუ კაატინგა მოწყურებულ კაციჭამიას ჰგავდა - ვინმე თუ გაეკარებოდა, მაშინვე ჩაასობდა აუარება მარწუხს, ტანსაცმელს შემოაფლეთდა, შეძრწუნებულ მგზავრს ხორცის ნაკუწების ფასად თუ გაუშვებდა, თავად კი, სისხლნაპკურები, მადიანად იშმუშნებოდა და სანამ ხორცსა და სისხლს შეიწოვდა, ერთი-ორჯერ რომელიმე დახვეულ ჭანგს გაისროდა შორიახლოს აკვნესებული მგზავრისაკენ, თუ მისწვდებოდა, ისევ წააგლეჯდა ხორცს და შეძრწუნებული მსხვერპლი გატკეპნილი გზისკენ გარბოდა; ხანდახან გამოერეოდა ისეთი გონებადაბინდულიც, ტკივილით გამწარებული კაატინგას ფეხებით ცემას რომ დაუწყებდა, მაგრამ... ბრჭყალები ტანზე, ჭანგები - ყელში და თვალებგადმოკარკლული, თავზარდაცემული მგზავრი ერთიანად იძირებოდა ამ მომაკვდინებელ ალერსში და მის ირგვლივ ჩახვეული კაატინგა მეორე დილით მზეს თვალთმაქცურად რომ შეეგებებოდა და ამაყად აღაწვდიდა ნასისხლარ მკლავებს, დაფხაჭნილ ძვლებს თუ გამოაგდებდა, სხვა - არაფერი.

რა დააბნევდა მრავლისმომსწრე მწყემსებს, მაგრამ გრეგორიო პაჩეკო და სენობიო ლუოსა გაოგნებულნი იდგნენ. მხოლოდ კედელს მიყრდნობილი ფეხი ჩამოუშვეს და მკერდზე გადაჯვარედინებული ხელები ჩამოეყარათ, სხვა - ვეღარა მოახერხეს რა, გამაფრთხილებელი შეძახილიც არ დასცდენიათ - რაღაცნაირად გოროზად მოდიოდა მგზავრი. და მომაკვდინებელ ბუჩქნარში კუშტად რომ შემოაბიჯა, დიდად განცვიფრდნენ, არც ერთ ვაკეიროს არ ენახა ამდაგვარი რამ - კაატინგას ბუჩქნარი გადაიწია, გადაიშალა და განზე განერთხო, და თუმცა გრძელი ტანსაცმლისა გამო ფეხები არ უჩანდა მენდეს მასიელს - მგზავრს, მაინც ეტყობოდა, რომ ისე ამაყად, ისე გაბედულად მოაბიჯებდა, და გრეგორიო პაჩეკომ და სენობიო ლუოსამ ისღა მოახერხეს, დიდი ორკუთხა ქუდები მოიხადეს და, მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრულებს, დაჭმუჭნილები ეკავათ ხელში...

- ცოტათი უხერხული თხოვნა კია დიდი, - წამოიწყო კაპრალმა ელიოდორომ, - გრანდჰალლე.

- თქვი, ჩემო კაპრალო, - უთხრა უმბერტოს ბრჭყვიალა პოლკოვნიკმა, - შენ ცუდ საქმეზე არ მოხვიდოდი.

- რა სათხოვარია პატარა უხერხული დიდი და, გრანდჰალლე, ცოლი მინდა გაახლოთ, - რიდით უმზერდა ელიოდორო, კაპრალი, - მუცელი ეძრა და ხალხი მაინც ბრძენია, იძახის ხალხი, ხომ იცით ნათქვამია, ვისაც ქალი პირველად შეხედავს, იმას დაემგვანება ბავშვიო და, თქვენზე უკეთეს, თქვენზე მშვენიერს, გრანდჰალლე...

- ძალიან გინდა, მე დამემგვანოს? - იკითხა ნასიამოვნებმა პოლკოვნიკმა.

- ძლიერ ძალიან, კი, კი, გრანდჰალლე...

პოლკოვნიკმა კი ჯერ გაიარ-გამოიარა და მერე თქვა:

- ასე თუ გინდოდა, შე კაი კაცო, მიგეშვი ბარეღამ თავიდანვე მე. ჰა-ჰა...

- ჰა - ჰა-ჰა, ჰაჰა, - შესცინოდა ხუმრობით ნასიამოვნები კაპრალი ელიოდორო.

- ხედავ, დომენიკო, - კაპრალს გაუღიმა პოლკოვნიკმა სეზარმა, - ხედავ, რა სანუკვარი პატრონი გყავს?! ახლა სადაა.

- მოსაცდელში მყავს თვალახვეული...

- შემოვიყვანოთ? ჯერ მომისმინე... - სარკეს მიუახლოვდა პოლკოვნიკი, თმას ისწორებდა, ხუმარაობის გუნება-განწყობაზე ჩანდა, - ისე კი, დაბადებისას მაინც ანისეტოს დაემსგავსება.

- სახით, გრანდჰალლე? - იკითხა შეშფოთებულმა ელიოდორომ.

- ტანსაცმლით, ჰალე, - ისევ იხუმრა პოლკოვნიკმა, - ოღონდ, ალბათ პირი არ ექნება აკრული, იჩხავლებს და იჩხავლებს. - და დიდად სერიოზულად დაამატა, - ბავშვზე კარგი რაა ამქვეყნად, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი.

- დღეგრძელი ყოფილიყოს სამფენოვანი კამორას მზე.

- და სათამაშოს საყიდლად თუ გახვალ, ჯერ ამას შეხედე და ისე წადი, - დიახაც იხუმრა კვლავ პოლკოვნიკმა, შემობრუნებულმა, დომენიკოსკენ გაიშვირა თითი.

თაროზე იჯდა!

- ამას რა ვუყოთ, გრანდჰალლე. - ანისეტოსკენ გაიქნია თავი კაპრალმა ელიოდორომ, - ხომ იცით, ქალი მაინც ქალია და მაგისკენ რომ გაექცეს თვალი, ხომ დავიღუპე...

- შენ რას გვირჩევდი.

- ზურგით რომ დადგეს?

- არა. ეგრე არა, ჩემო კაპრალო, ასე უფრო ვაჟკაცურია.

- და გვერდულად რომ...

- აჰ, არა, არა, ეგ ყველაფერზე უარესია.

- გვერდულად რომ დადგეს და ჩვენკენა ფეხი ოდნავ წამოსწიოს, გრეგ რიკიოს ნახატებში უხერხულობის დასაფარავად რომაა, ისე?

- არც ეგ ივარგებს, გრეგ რიკიომ კი დიახაც რომ იცოდა რაკურსის ფასი.

- ნამდვილად, თქვენ რას მირჩევდით?!

- მგონია, რომ აჯობებს, ჩაიცუცქოს... ხომ კი აჯობებს?

- დიახ, გრანდჰალლე.

- ცუცქ, ანისეტო, - თქვა პოლკოვნიკმა და გასძახა: - ექვსჯერ სამი შვიდიაა!

- გისმენთ, გრანდჰალლე, - ზღრუბლზე წამოჭიმულიყო ცქვიტი სერჟანტი.

- თვალახვეული ქალი შემოიყვანე, ნორბერტო, - დომენიკოს უთხრა პოლკოვნიკმა, კმაყოფილი ათვალიერებდა, - სულ, სულ ცოტათი, არ გაიქექე?

და უცნაურმა მგზავრმა გახევებულ მწყემსებს როგორც კი ჩაუარა, ოდნავ განზე შემართა თავი და გრეგორიო პაჩეკო და სენობიო ლÿოსა უნებურად კვალდაკვალ მიჰყვნენ. გამართული მიდიოდა უცხო, ყოველივეს მრისხანედ შესცქეროდა, დაგუბული ბრაზით აკიაფებული მზერა გადაჰქონდა მწყემსიდან მწყემსზე, და ყველა შეკრთა. კამორელებს კი თვალს არიდებდა, კუშტად ჩაუვლიდა და თვალის კუთხით მაინც თუ აღიქვამდა იმათ მოსირმულ, ჭრელაჭრულა, მბზინავ ტანსაცმელს, ისეთი ღონიერი ზიზღით ეწელებოდა ტუჩები, კისერიც კი ეძაბებოდა. თავშიშველი იყო, მხრებზე დაჰფენოდა თმა, გრძელი, განიერი სამოსით შარაგზას ამტვერებდა. ბაზრობაზე ახლად ჩამოსული სერტანელები რიდით შესცქეროდნენ, ფეხები მისკენ ეზიდებოდათ, მაგრამ ადევნებას ვერა ბედავდნენ და მხოლოდ ორნი - გრეგორიო პაჩეკო და სენობიო ლÿოსა მისდევდნენ მგზავრს. ბაზრობათა ქალაქში ჩამოსულ

კამორელთაგან როგორღაც არც ერთს შეუმჩნევია იგი, მენდეს მასიელმა კი დუქანს შემოუარა, მოფარებულში მიმჯდარ კაცს, უშფოთველად რომ მარცვლავდა კრიალოსანს, თავთ დაადგა და ჰკითხა:

- მენდეს მასიელი ხარ?

იმას არც აუხედავს, უთხრა:

- კი.

- აქ რას აკეთებ.

- არაფერს. ვიცდი.

- რას უცდი.

- არაფერს, - თქვა მენდეს მასიელმა.

მგზავრი ერთხანს კუშტად დასცქეროდა, მერე უთხრა:

- ნათესავთაგანი თუ გყავს ვინმე.

- არავინ. არა.

- რატომ.

- ყველა ამოხოცეს.

- ვინ.

- არაუჟოებმა, არაუჟოთა გვარმა.

- ღირსნი თუ იყვნენ.

- ვინა, ჩემები?

- შენიანები, ჰო.

- არა, რას ამბობთ.

მიწას ჩასცქეროდა.

- შური იძიე?

- აჰ, ვერა, არა...

- რატომ? - მკაცრად დაეკითხა კაცი.

- მეც კი მომკლავდნენ, - თქვა მენდეს მასიელმა.

აქ მგზავრმა გრძელი სახელოები დაიკაპიწა და უთხრა:

- კარგად შემომხედე. მეც მენდეს მასიელი ვარ.

და კრიალოსანი მტვერში რომ ჩავარდა, უკვე ფეხზე იდგა, სანატრელი მგზავრის პირისპირ.

- შენ... სად იყავი... - ჰკითხა.

- უდაბნოში.

- რას აკეთებდი.

- დიდხანს ვფიქრობდი.

ტყუპებსა ჰგავდნენ!

- ბევრი იფიქრე?

- ძალიან ბევრი.

- და... მოიფიქრე?

- კი.

- რა.

- კარგად შემხედე.

ხელები განზე გაშალა უცხომ, მენდეს მასიელმაც, მონუსხულმა, განზე გაშალა ორივე ხელი. გრეგორიო პაჩეკო და სენობიო ლÿოსა უცხოს სახეს ვერა ხედავდნენ, ქალაქელი მენდეს მასიელი კი ისე კუშტად, ისე მრისხანედ მიუახლოვდა მგზავრს, და შუბლზე მიადო შუბლი. და ასე იდგნენ, ხელებგაშლილნი, თავფეხიანა ერთმანეთს მიწებებულნი, მუხლი მუხლზე მიებჯინათ, და ისე ჯიუტად, ისე მრისხანედ ჩასცქეროდნენ ერთმანეთს თვალში. და შორით მოსული უცხო კაატინგას თუ ჰგავდა, რადგან ქალაქელი მენდეს მასიელი დაპატარავდა, დაკნინდა და დაიწრიტა, ოღონდ ბოლომდე მრისხანე ჰქონდა თვალი, და უცნაურმა მგზავრმა მთლიანად რომ შეისრუტა ბაზრობათა ქალაქის მენდეს მასიელი, ძვლებიც არ

გამოუყრია მზეზე ისე, გაოგნებულ გრეგორიო პაჩეკოსა და სენობიო ლŸოსას მიუბრუნდა და უთხრა:

- დღეის ამას იქით კონსელეირო დამიძახეთ. კონსელეირო მრჩეველსა ნიშნავს.

ხოლო როცა დიდად კმაყოფილი კაპრალი ელიოდორო და იმისი ცოლი ზედა კამორას ამოსცდნენ, ქალი შეჩერდა, მიმოიხედა, მერე განზე გადგა ფეხები, ხელი კაბის ქვეშ შეიყო და, თვალდახუჭულმა წვალებით გამოიძრო მომცრო ბალიში.

- სახლამდე ვეღარ მოითმენდი? - შეიჭმუხნა კაპრალი ელიოდორო და იმანაც მიმოიხედა.

- რა ვქნა, ოდორო, შემომასკდა კაბა, - შესჩივლა ქალმა, მერე სახელოდან ცხვირსახოცი გამოიღო, დანერწყვა და ცხვირპირიდანაც საგულდაგულოდ მოიშორა მოყავისფრო ლაქები.

- წესი წესია, - აღნიშნა კაპრალმა ელიოდორომ.

- წესი, თორემ შენც... მაინც მშვენივრად მიხვდებოდა.

- რას.

- რა ფეხმძიმეც ვარ.

- მიხვდებოდა და ძალიანაც კარგი. გრანდჰალეს სულაც არ მოსწონს, ხარკს უმიზეზოდ როცა უხდიან ხოლმე.

- რამდენი მიეც.

- რამდენი - სამი თვის.

- თორმეტი დრაჰკანი, არა, ოდორო?

- კი, - და იხუმრა, - აჰ, შენი მათემატიკა მომცა?!

სერტანული ღამე

მოსაღამოებულს, ნაღვლიანად რომ აბღავლდებოდა ვრცელი ნახირი, და ჯერაც სუსტად ფეხადგმული სიბნელით მხოლოდ ვარსკვლავები რომ გამომჟღავნდებოდნენ ცაზე, ზე მორეირას, დიდ მწყემსს, ჩვეული დარდი იპყრობდა. ვინ-ვინ და ზემ კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა მიწად დავარდნილი პაწია ჩიტის ეს უცნაური გახევება, უღონოდ ჩამოვარდნილი ფრთითა და ხანაც - რომელიმე

პირქვეჩამხობილი ვაკეიროს დაკრუნჩხული, უჩვეულო მახედქცეული თითების გაშეშებული ელდა - ზე მორეირამ კარგად იცოდა სიკვდილი, აქ, სერტანაში, კიდევ მეტად თვალშისაცემი, სერტანა ხომ უთანაბრო ცხოველთა მხარე იყო და ისღა უკვირდა, როგორ მიიძურწებოდა მზერადქცეული გველის დაღებული ხახისკენ ბეწვებაჯაგრული თაგვი. ზეს ხშირად უნახავს, როგორ აცხრებოდა დამფრთხალ შველს დიდი კონდორი და თვალებგაფართოებული, უმზერდა, საბოლოოდ როგორ აიქნევდა უკანა ფეხს მსხვერპლი, რაღაცნაირად მადიანად და ამაზრზენად, კი, კი, ზე მორეირამ სიკვდილი მშვენივრად იცოდა და დღისით ამაყს, დღისით გაბედულს, სრულიად სერტანის უპირველეს მწყემსს, მოსაღამოებულს, ჩვეული დარდი იპყრობდა - როგორც ყველა, ისიც, კი, ისიც მოკვდებოდა და ზე მორეირა, უმაყურებლო, ამაყი ჯამბაზი იმასაც გრძნობდა, რომ არაა თავისუფალი. მოსაღამოებულს გაუჯდებოდა ეს მწარე ფიქრი ყველაზე დიდი ნახირის, პოლკოვნიკ სეზარს რომ ეკუთვნოდა, ამ დინჯად ჩაუქ მწყემსს; დღისით სულ არარა აწუხებდა - უცნობი დამქირავებელი, პოლკოვნიკი სეზარ გახსენებისასაც კი მაღალ ფეხებზე ეკიდა და გაუხსენებლად - უფრო, დღით ყოველივე, რაც სერტანაში ბუდობდა, გან-გან გაურბოდა, მოსაღამოებულს თუ აშარიშურდებოდნენ და აყმუვლდებოდნენ და ზე მორეირასაც ძილის წინ, მცირე გარდაცვალებამდე, აუყმუილდებოდა ჩვეული დარდი - რომ თავისუფალი არაა, არა. ასე ეგონა, საფლავებზე გადადიოდა და ფრთხილად დაარონინებდა ცხენს ხმელი, სევდიანი ვაკეირო და, კიდევ კარგი, ასე, თვეში ერთხელ, მხიარული მწყემსი მანუელო კოსტა ლაღად გამოაჭენებდა მისკენ ცხენს, პატივისცემანარევი ღიმილით შეაცქერდებოდა და უხმო კითხვით თვალებში, ჩექმის ჯიბეზე დაიდებდა ხელს, იქ კი დიდ თეთრ ბოთლში ცეცხლივით სითხე ესხა, ბაზრობათა ქალაქის რომელიმე გულაჩუყებული ქალის ნაჩუქარი, და ზეც, ყველაფრის დავიწყებას მონატრებული, ოდნავ დაუქნევდა თავს. არაფერი სხვა... ამპარტავნობით არ მოსდიოდა ეს - უნებურად ამაყი გახლდათ, უცნაური ძმაბიჭობა ჰქონდათ, იშვიათად თუ გასცემდნენ ერთმანეთს ხმას. მანუელოს ფარღალალა ქოხისკენ თავს დაადებდნენ და მხიარული მწყემსის ცხენს პატრონივით ეჩქარებოდა, უკაწკაწებდა სული და ჭენებას ლამობდა, მხედარივით დანაღვლიანებული ზეს უბადლო ფაშატი კი დინჯად, თავჩაღუნული მიდიოდა, გზად ერთი-ორჯერ მარიამის სახე ამოუტივტივდებოდა ზეს, წარმოუდგებოდა მისი ღამეული დამალვა, სადილანდელო ბუზღუნი და დამნაშავესავით, წინასწარ, უილაჯოდ იჭმუხნებოდა.

მანუელო კოსტა ყოჩაღად გადმოხტებოდა თავის ეზოსთან, ბოთლზე ხელისგულმიდებული; სევდიანი ზე კი დინჯად ჩამოქვეითდებოდა. „აგერ, აქ ჩამოჯექ“, სამფეხა სკამს მიუჩოჩებდა მანუელო და მომცრო აბგიდან ყვავილმოხატულ ნამცხვრებს იღებდა, გულაჩუყებული, შეყვარებული ქალების

სიხარულით აკანკალებული ხელით გამომცხვარს. ზე დიდის უნდობლობით დასცქეროდა რომელიმე დაუჯერებელ ნამცხვარ-ყვავილას და მანუელოც მხიარულად კვერს უკრავდა: „აბა, ქალებს ჭკუა ააქვთ?“ მომცრო ჭიქები გამოჰქონდა მხიარულ მწყემსს, ხის ძირას ჯდებოდნენ. რაღად უნდოდათ სკამი, ზე ღამეული, მცირე ჟრჟოლით აგრილებულ მერქანს ზურგით ეყრდნობოდა, გრძელ ფეხებს გაშლიდა, თავისი აბგიდან ბოსტნეული ამოჰქონდა და ჭრელაჭრულა ნამცხვრების გვერდით ფრთხილად დებდა. მანუელო მომცრო ჭიქას შეავსებდა და ჯერ ზეს გაუწვდიდა, ცუდგუნებაგადაყრილი დიდი მწყემსი აუჩქარებლად გამოცლიდა სასმისს, აუჩქარებლადვე დაუშვებდა ხელს და თუმცა ყელი ძლიერ ეწვოდა, მშვიდად იტყოდა:

- ეს ერთი.

და მანუელო კოსტაც გადაჰკრავდა:

- ერთი, ჰჰუ, ერთი... ოჰო, რა ცხელია?!

ზე უგულოდ ღეჭავდა სტაფილოს, მანუელო კოსტა კი მორიდებით დახედავდა ნამცხვრებს და ფრთხილად იკითხავდა: „ამეებს ხომ არ გასინჯავდი, ზე?“ „არა“, - თავს გაიქნევდა დიდი მწყემსი.

ერთი სული კი ჰქონდა, ზეს ერთი სული ჰქონდა, ეს საამოდ სუნადენილი, სუნაჟღერებული ნამცხვარი გაესინჯა, მაგრამ ნახევრადმშიერი ცოლ-შვილი ახსენდებოდა და ნუგბარის მირთმევისა რცხვენოდა. მანუელო კოსტასაც რცხვენოდა, ეულად ჩაეტკბარუნებინა პირი და ზე რომ იტყოდა - „ეს ხუთი...“ - მანუელო კოსტა, ნამცხვრის სუნით გაღიზიანებული და გაღიზიანებული იმითაც, რომ ამაყ ზეს ნამცხვრების შინ წაღებას ვერ შესთავაზებდა, უცებ გამხიარულდებოდა და შორიახლოს აკივლებული ტურებისაკენ გატყორცნიდა ქალთა სიყვარულჩატნეულ ნამცხვრებს. ატყდებოდა ერთი წივილ-კივილი, სერტანელ წუწკთა ჩხუბი და აყალმაყალი და შორს, ბაზრობათა ქალაქში, ალბათ უსიამოდ იშმუშნებოდა ძილში რომელიმე აფუებული ქალი. მანუელო კი კომბოსტოს არხეინად შეექცეოდა და მერე, უცებ, გახევდებოდა, იძაბებოდა, თვალებგაფართოებული, ნესტოებდაბერილი, სულ იცვლებოდა კაცი. სერტანული ღამე...

მთვარის როყიო, სიფრიფანა და მაინც მსუყე შუქში ფარული სევდით ჟღრიალებდა სერტანა, ეკლიან ალერსად აღწვდილიყვნენ გარინდული კაქტუსები, ნათელი ადგა შორეულ გამოფიტულ კლდეს, გლუვად ელვარებდა ხავსმოდებულ ნაპრალებში მთვარის რბილი შუქი... დიდ ფუღუროში სასის ცოლ-შვილს ეძინა, მცირედ

ჩაცურდებოდა ერთი პეშვი სილა, და ფლოქვდადგმული ბალახი იმართებოდა. ციცქნა სიოთი ოდნავ კრთებოდა რომელიმე ფოთოლი და მთვარის შუქი ქვემოთა, მანამდე მოფარებულ ფოთოლზე მდორე სიმსუბუქით ჩაიღვრებოდა, ისევ ატივტივდებოდა მაღლა, გველივით დაძვრებოდა ფოთლებშუა სიო. მსხვერპლს ალალბედზე, ფათურით დაეძებდა ბრმა კაატინგა, ჰაერს ფხაჭნიდა, მაგრამ მანუელო კოსტას ტევად თვალებში ეს ყოველივე ლამაზდებოდა, ლამაზი იყო და გამხმარ ხესაც კი ისე სათუთად ალიცლიცებდა ღამე სერტანული, სერტანული ღამე... და რადგან ყოველივე ღატაკ მანუელოსი გახლდათ, მხიარული მწყემსი ვეღარ უძლებდა ამდენს და ღამღამობით უცხოდ სევდიანობდა, ცხენის გავაზე თავქვე მიბმულ გიტარას ჩამოიღებდა,. ტვინს თავის ჭკუაზე აუწყობდა, ყელზე შემოაჭდობდა თითებს, ზურგით მკერდზე მიიკრავდა, ფერდზე იდაყვს დააბჯენდა და ექვსსიმა ტანჯვას თავის სანდო ხმას შეუერთებდა, მთელს სერტანაში დაუძველებელ, ცნობილ სიმღერას ხმადაბლა ღიღინებდა მანუელო, ამჟამად დანაღვლიანებულ- მხიარული მწყემსი: „მასიელების ურიცხვი, ურიცხვი გვარი...“ გატრუნულიყო ხეს ზურგით მიყრდნობილი ზე, თავისუფალი არ იყო, არა, „ერთი ციცქნა მიწისთვის, მიწისთვის, - მღეროდა თვალდახუჭული მანუელო კოსტა, თვალებდახუჭული, სერტანულ ღამეს რომ არ გადაებირებინა, - ქვედა კამორელებს გააჟლეტინეს, გააჟლეტინეს მასიელები...“ წამოიწეოდა ზე, დაძარღვული სხეული ეძაბებოდა, „სულ ერთი ციცქნა, ერთი ციცქნა მიწისთვის, მიწისთვის“, - მღეროდა მანუელო კოსტა და სადღაც იქვე აბუზღუნდებოდა ჟოაო აბადო, უჟმური, „მთლიანად გაჟლიტეს, გაჟლიტეს, რა უნამუსოდ გაჟლიტეს...“ მაჩეტეს ჩაბღუჯავდა ზე, რა ტარი ჰქონდა მაინც, როგორ უძლებდა, „ღამით შეცვივდნენ მასიელებთან, ღამით შეცვივდნენ, - მღეროდა დამწუხრებული მწყემსი და სინანულით აკანტურებდა თავს ხეს ამოფარებული ცალფეხა ჭინკა, სასი, - „ყველა დახოცეს, კამორული წვრილი დანებით ყველა დახოცეს...“ „არ გააჭირა საქმე?! ტინგიცა...“ - უგულოდ ბუზღუნებდა სადღაც ახლოს ჟოაო აბადო, ძალიან შორს კი, კალაბრიაში, მოხუც სანტოსს მორი ჩაებღუჯა და ერთ-ერთი კამორელის სახელით გულში, ისე გუდავდა, ისე ახრჩობდა... „ერთი გადარჩა მასიელთაგან, ერთი გადარჩა“, - მღეროდა მანუელო და ზე ბოღმიანად ავსებდა ჭიქას - „ეს ცხრა“ - და სვამდა, მშვენივრად იცოდა, რასაც დააყოლებდა მანუელო კოსტა - „ძილში საწოლქვეშ შეგორებული, შემთხვევით შეგორებული გადაურჩათ ბავშვი...“ ყვრიმალებდაბერილი შესცქეროდა შორეულ მთებს ზე, სადღაც იქ, იქით, კამორა იყო. „თორემ მოკლავდნენ, თორემ მენდეს მასიელსაც კი, კი, მოკლავდნენ“, მღეროდა მანუელო კოსტა და თვალებს ახელდა, სინანულით ამთავრებდა ცნობილ სიმღერას, - „მაგრამ მენდესი რომ გაიზარდა, ლაყე აღმოჩნდა, ლაყე აღმოჩნდა...“ მრთელი გული ეტკინებოდა ზეს, ტარზე შეადუნდებოდა თითები, აჰ, არა, არა, თავისუფალი არ იყო,

არა, „უნდა ეძია ბოლო მასიელს შური და შური, - მღეროდა დადარდიანებული მხიარული მწყემსი, მანუელო კოსტა, - მაგრამ მენდესი, მაგრამ მენდესი...“

მაგრამ იქ, სერტანასა და კამორას შორის, ბაზრობათა ქალაქში, შავტანსაცმელაფრიალებული მენდეს მასიელი უკვე დიდ კასრზე იდგა და ძალიან ხმამაღლა ასე ამბობდა:

- ძმებო! ძმებო, შორსაა ჩვენგან დიდი მიწები - რომი, ბაბილონი, პომპეა და რიო დე ჟანეირო, მაგრამ...

3

ხომ ისევ აქ ხართ, არ მიგვავიწყდეს ყმაწვილი მგზავრი... ერთი შეხედეთ, კარგად შეხედე, როგორ ჩურჩულებს... უმბერტო, ჯუჯა, დომენიკოს დარბაისლურად მიუძღოდა და თანაც ხმადაბლა, გამოზოგილი სიამოვნებით ღიღინებდა: „ვაჟკაცი დააჩეხილი სჯოობს, ქალი რაც უფრო თეთრიაა, - ამაყად დასცქეროდა ეკლით გაკაწრულ ხელზე სიფრიფანა ნაიარევს: - ჰეე!“ - გრანდჰალლეს ბაღში დასეირნობდნენ. ვარდი და ტიტა, იასამანი... ნატიფად თლილი მარმარილოს აუზები, ალისფერი, ზანტად დარხეული თევზებით ფსკერზე და ზედაპირზე კი - ნესვი და მსხალი ტივტივებდა. გაკრეჭილ ბუჩქებში აქა-იქ - მარმარილოს სვეტები, გლუვად აბზინებულნი, სუროაყოლილნი, და მცირე მოლზე უცებ - ბუხარი; ზორბა კაკალი, ტოტებზე ვერცხლის კოხტა შანდლებით. ტბაში ჩაწვდილი ტირიფის ნაზად მორკალული რტოები და ოქროსფრად შეღებილი ტყუილი ნამდვილი გედები ტბაზე... ვიღაც ქედუხრელის პაწია ქანდაკებანი ხეხილის რტოებზე - ჩიტებივით მრავლად და ერთიც დიდი იგივ ქანდაკება ტბის პირას, ფერხთით მიხაკმოყრილი, „დიდი მარშალი, ბეტანკურია“, - მხარუკუღმა უთხრა უმბერტომ. სველდრუნჩა შვლები მარილმოყრილ ბალახს წიწკნიდნენ, ზურგზე კოტრიალობდა ხეზე გრძელი ჯაჭვით მიბმული ბელი... და ერთგან, ხილად, ასკილის ბუჩქი, რტოებზე ფერადბაფთებიანი კვიპაროსებზე ახვეული სქელი ვაზი და ხის კენწეროზე - მძიმე ყურძენი, მუქ-იისფერი, გრანდჰალლეს ბაღი, საზარელი ბაღი.

და, კიდევ კარგი, მარმარილოს მაღალი ღობის კუთხეში ჭინჭარს და გვიმრას შესცქეროდა, ზიზღნაჭამს, ნერწყვით ევსებოდა პირი, და, კიდევ კარგი, შემოღობილ კუთხეში ჭინჭარს და გვიმრას შესცქეროდა, ისე ჯიუტად, ისე ნამდვილად ამოსულთ ჩრდილში... და, სითბოდავლილს, ნერწყვი გაუქრა, ყელგამშრალს, შორეული ბედნიერებით გულმა რეჩხი უყო, მაღლა აიხედა და ნაძვის ტოტებზე მბზინავი სათამაშოები რომ დაინახა, ისევ ჭინჭარსა და გვიმრას მიატანა თვალი.

- მოდი, აქ დავჯდეთ, - შესთავაზა უმბერტომ და ვარდებთან მოირთხა ფეხი, დომენიკოც ნელინელ დაეშვა უხვად ნიჟარებმოყრილ მიწაზე, ფრთხილად იკითხა:

- რაა, ის რაა...

- აა, ეგენი? - ამპარტავნად ჩაიცინა უმბერტომ, - ეგ ნაყარნუყარი მცენარეები თვალსაჩინოებისთვისაა, ჰალე.

- რისთვის?

- თვალსაჩინოებისთვის, ჰალე, - კიდევ უფრო რომ გაბრწყინდეს ბაღი.

- ნაყარნუყარი... რატოა... - თქვა დომენიკომ, მაგრამ უმბერტო, ეტყობა, სულ სხვას ფიქრობდა, რადგან ფიქრში წასულს, თვალები გაელამებოდა და ამბობდა: - რა ქალი იყო? მაღალიც იყო და ყველაფერი, ქვემოდან ავცქეროდი. ყველაფერს მიჯერებდა, სულ თვალებში ჩამომყურებდა... - და გაუკვირდა, - რა თეთრი იყოო?!

ფეხმორთხმული იჯდა, და თავისსავე მუხლს ეფერებოდა, საღამოვდებოდა ბაღში.

- ჩვენთან, სოფელში, - თქვა დომენიკომ, ღობის კუთხისკენ იყურებოდა, - გაზაფხულობით მთელი სოფელი აიყრება, ერთი კაცის გარდა და ბორცვს გადაღმა ერთი ღამით ბანაკდებიან, ავადმყოფებიც გაჰყავთ. და გარიჟრაჟზე ვბრუნდებით ხოლმე, რტოებითა და ნაჯახებით ხელში.

- სახეზე უცებ ვერც შეატყობდი, ისეთი თეთრი რომ იყო; მერე, დამჯერი? - ნუღარ იკითხავ. - მუხლს ეფერებოდა უმბერტო, - რომ მეთქვა, აგერ აქ, ოთხზე დადექი და ეს ბალახი მოძოვე-მეთქი, ის აღარ ვიცი, სულ თუ მოძოვდა, მაგრამ ცდას კი არა, აჰ, არა, არ დააკლებდა... რა ქალი იყო?!

- მეორე დღეს კი, განთიადისას, სოფლად ვბრუნდებოდით, ხელებაწვდილნი, სახეში მზე გვირტყამდა. ბორცვს ჩავივლიდით და ის ერთი კაცი გვეკითხებოდა - ყველანი აქ ხართ? კი, კი, ყველანი, - ვამბობდით ჩვენ და ის კაცი კი მაინც გვკითხავდა - ვინმე ხომ არ დარჩა? არა, არავინ, - ვამბობდით და ის კი მაინც თვალს შეავლებდა შორეულ ველს და მერე ამბობდა - დამილოცნიხართ...

- რა ტანი, რა ფეხი, - შარვალი მუხლამდე აეკარწახებინა და საზარელი, დამჭკნარი ხელისგულით საკუთარ, მოკლე წვივებს ეფერებოდა ჯუჯა, უმბერტო, - ფეხის თითები ყურძნის მარცვლებს მიუგავდა, გრძელი რომაა, აი, იმას, ჰალე, რა ქალი იყოო - ჩასატკბარუნებელი. ვუყვარდი, მა რა - აბა თვეში სამი დრაჰკანი რა სახსენებელია?

საღამოვდებოდა, და ღამის კუშტი დარაჯი - გოროზი კაეტანო შუა კამორაში უმ კვერცხებს საქმიანად ყლაპავდა, ოციოდ წუთში ომახიანად რომ დაეძახა სამფენოვანი ქალაქის ყოველი მცხოვრების გასაგონად: - სა-აღამოს რვა საათია და ყველაფერი გენიიალურააადااااა.

- ლირაზედ-ც უკრავდა... - აღნიშნა უმბერტომ.

- საღამოობით კოცონს ვაჩაღებდით, - გამუქებულ გვიმრას შესცქეროდა დომენიკო, - წრეს ვარტყამდით, და უძრავად ვიდექით, სანამ კარგად არ ااალდებოდა. მერე კი, რომ ატკაცუნდებოდა და აგუგუნდებოდა ცეცხლი, რიგრიგობით ვუახლოვდებოდით, ტანსაცმლის კალთიდან მომცრო ნაჭერს ჩამოვიხევდით და კოცონზე ვყრიდით - ასე ამბობდნენ, თითქოს ჩვენ, იმსოფლელები, დიდი ხნის წინათ ციდან ჩამოვედით და წინაპრები კი იქ დარჩნენო და ტანსაცმლის ნაგლეჯს ჩვენი ამბებიც სხეულიდან შეჰყვებაო და სხეულის სითბოგამოყოლილი ნაგლეჯის კვამლიც ხომ მაღლა ადის, და ცადდარჩენილებს ჩვენი ამბავიც კვამლად აუვათო, ასე ამბობდნენ...

- ნკვამლად არა, ნფლავი, - გაისმა უცებ, ორივე შეხტა, მუქი ვარდების ორმაგი წყება კი მიწიანად ამოიზნიქა, აიზნიქა, ყალყზე შედგა და მერე ადამიანი გამოჩნდა, ზურგიდან მიწას ხელუკუღმა იფერთხავდა. ვარდები კი საიმედოდ დაემაგრებინა ტანსაცმელში, არხეინად იბერტყავდა და ამბობდა: - აუვათ, არა, ისა... ნკვამლად არა, ნფლავი...

ზედამხედველი ნავოლე გახლდათ.

- ნდამსხდარხართ აქა ორი ნსანთამაშო და ნსისულენლეებს იძახით, - ზომიერად გაწყრა, - აბა, ნვაჟკაცო, მნიშანი მითხარ.

- ცხრაჯერ ოთხი ექვსია - არ დააყოვნა უმბერტომ.

- ნსწორიაა, - გააგრძელა ნავოლემ და ალერსიც კი გაირია დაგუდულ ხმაში, - ნწადით ახლა, ნმოფსით და დაიძინეთ.

- წესიერად ილაპრაკეთ, თუ შეიძლებოდეს, - მკაცრად მიუგო უმბერტომ და გაიჯგიმა, - პოლკოვნიკს ვუცდით.

- ნგრანდჰალლეს თქვენთვის აღარ ნსცალიაა, - კვლავ დაუყვავა ზორბა ნავოლემ, დიდ თვალებს ნაზად აბრიალებდა, - მე დამაბარა, ერთხანს ნთვალყური ადევნე, რამე არ დაიშავონო და ნწადით, ჰა, მალე... ნპოლკოვნიკი, ა, არ მომინდომეს?

პოლკოვნიკი კი დიდი მარშალის მისაღებში გაჭიმულიყო და თვალებში შესცქეროდა.

პოლკოვნიკი სეზარ მარშალ ბეტანკურის მისაღებ ოთახში გაჭიმული იდგა, დიდი მარშალი ედმონდო ბეტანკური კი ერთხანს სახეაქავებული უმზერდა, იშმუშნებოდა, თითქოს ხვლიკი რამ დაუძვრებოდა ტანზე და შემდგომ თითქოს გადაუარა, და, შიშნაჭამ გრანდჰალლეს შეკავებული ალერსით უთხრა:

- დაბრძანდით, ჩემო პოლკოვნიკო.

- გმადლობთ, გრანდისსიმოჰალლე, - თქვა პოლკოვნიკმა და დასაჯდომად განემზადა. მაგრამ დიდი მარშლის ხმამ შეაჩერა, - მანდ არა, არა, მეორეზე დაჯექ!

- გმადლობთ, გრანდისსიმოჰალლე, - სამიოდ ნაბიჯი ფეხისწვერებზე გადადგა პოლკოვნიკმა და სავარძლის კიდეზე ფრთხილად ჩამოჯდა. მარშალმა ედმონდო ბეტანკურმა კი გაიარ-გამოიარა, შედგა, კედლისაკენ იქცია პირი, გვერდზე გადაიხარა, ოდნავ გააჟრჟოლა კიდეც და მერე ქუსლებით ღრმად რომ ჩაეფლო ნოხში, იკითხა:

- შუა ქალაქში რა ამბებია.

- თქვენის შეწევნით, არა უშავს რა, გრანდისსიმოჰალლე.

დიდი მარშალი შემობრუნდა და, ტუჩებგაწელილმა, თვალმოჭუტულმა, ჰკითხა:

- რაღაც ყვირილი მომესმა ღამით.

- გრეგ რიკიოს ვაშინებდით წუხელ.

- ვითომ, უნდოდა?

- იმას? აჰ, არა...

- იმას კი არა, საქმეს... - ჩაეღიმა მარშალ ბეტანკურს.

- რა ვიცი, როგორ მოგახსენოთ... რაც არ უნდა იყოს, მაინც... ყოველშემთხვევისათვის, გრანდისსიმოჰალლე, - რიდით შეაცქერდა პოლკოვნიკი.

ედმონდო ბეტანკურმა კი გულზე ღონივრად შემოიჭდო ხელები, დარაბააკრული ფანჯრისკენ ცალთვალმოჭუტულმა გაიხედა, დაინტერესდა:

- ის თუ გაასაღეთ.

- კი, როგორ არა, გრანდისსიმოჰალლე.

და საქმიანად, სხაპასხუპით ალაპარაკდნენ:

- სად გადააგდეთ.

- საერთოდ დავწვით.

- ვის შეაწერეთ.

- კაპრალ ელიოდოროს.

- როგორი კაცია.

- კარგი ბიჭია.

- ძალიან კარგი, - თქვა მარშალმა ბეტანკურმა, - ყოჩაღ.

შექებით აღფრთოვანებული პოლკოვნიკი სეზარ მადლობის სათქმელად წამოდგომას აპირებდა, მაგრამ მარშალმა წამით აჩვენა ხელისგული, შეაჩერა და ჰკითხა:

- კაეტანოს მცირედ რაიმე ხომ არ დაურღვევია - ნორმის ფარგლებში...

- ორგზის, გრანდისსიმოჰალლე.

- ერთი ალბათ იქ, მეორე, ჩემო?

- პეტე-ექიმი მიჰყავდა ფეხმძიმესთან. მშვიდობით მოარჩინა...

- ძალიან კარგი. გასამრჯელო თუ გადაიხადა? - იხუმრა კიდეც მარშალმა ბეტანკურმა.

- აბა რა, ჰალ... - და ხმა ჩაუწყდა, ფრთხილად გადაყლაპა ნერწყვი, - დიახ, გრანდისსიმოჰალლე...

- სწორად მოქცეულა, - აღნიშნა ედმონდო ბეტანკურმა; ერთიანად დაძაბული, თითქოს სხეულით რაღაცას უცდიდა, მერე ისე თვალნათლივ გააჟრჟოლა, პოლკოვნიკიც შეაცბუნა და ძვირფას ხალათში შეიყო ხელი. პოლკოვნიკმა თავი ჩაღუნა, მარშალმა კი მომუჭული თითები ვიწრო ჯიბეში წვალებით ჩაიყო, დაწყნარდა, მაღლა შვებით აიხედა, ჭაღის ორი ერთნაირი ბურთულა აწონ-დაწონა თვალით, ერთ-ერთი მეტად შეაფასა და თქვა:

- ძალიან კარგი. ბავშვზე უკეთესი რაა ამქვეყნად.

- მეორე ბავშვი.

მარშალს გამონათქვამი მოეწონა და ღიმილით დაეკითხა:

- დაა, მეორე ბავშვზე უკეთესი?

- კიდევ სხვა ბავშვი.

აქ კი თამაშის იშტაზე დამდგარ მარშალ ბეტანკურს გამოსაცდელის ჩაჭრა მოუნდა და ჰკითხა:

- და ყველა ბავშვზე უკეთესი?

მაგრამ პოლკოვნიკმა ყოჩაღად შეაგება:

- თქვენი გვრიტები, გრანდისსიმოჰალლე!

მარშალ ბეტანკურს ჯერ ოდნავ, სულ ოდნავ გაუკვირდა კიდეც მისი მოხერხებულობა, მაგრამ მაშინვე მიხვდა: - წინასწარ მოიფიქრე, არა?

- რა? - გულუბრყვილოდ იკითხა პოლკოვნიკმა.

- აეგ პასუხი.

მკაცრად უმზერდა.

- დიახ, გრანდ...

- მაინც კარგია, - რბილად წარმოთქვა მარშალმა ბეტანკურმა და თავისივე ხმა რომ ეუცნაურა, მაშინვე ტახტზე გადაწვა, თავჩაღუნული პოლკოვნიკის უჩუმრად ფეხი გაშალა, ვიწრო ჯიბიდან ხელი ამოაცოცა და მუნდირქვეშ რაღაც შეიძვრინა, მკაცრად თქვა: „პოლკოვნიკო!“ „დიახ გრანდისსიმოჰალლე!“ „ლმობიერი ვარ, - აღნიშნა მარშალმა ბეტანკურმა, - შენც კარგად იცი, ლმობიერი ვარ“.

თვალები ავად უბრწყინავდა, გაჟრიალებისგან სასწაულით იკავებდა თავს, სხეულის ნაცვლად თვალები უჟრიალებდა და სანამ პოლკოვნიკს ცივი ოფლი დაასხამდა, დიდმა მარშალმა შემპარავად თქვა: - მოოდი, არუფა!

ფარდა შეირხა და საოცრად გრძელბეწვიანი, ფუმფულა კატა ფეხაკრეფით მიუახლოვდა, რბილ თათებში შეემალა გრძელი ჭანგები; მარშალის ფერხთით შეჩერდა, თვალებში შეაცქერდა და მერე მსუბუქად ახტა, კალთაში გაუწვა და ბეტანკურმაც ნაზი სიავით შეუცურა ბეწვში თითები, იმ თავის შეკავებულ ჟრუანტელს კატასაც გადასცემდა თითქოს, მსუბუქად უწიწკნიდა ყელს. აკრუტუნებული კატა ახლა ზურგზე გადაგორდა, და ისე რბილად იკლაკნებოდა,

თითქოს მის მუცელზე დაღოღავდა ხვლიკი. მარშალს კრიალოსანი დაუვარდა ნოხზე, პოლკოვნიკი მსწრაფლ წამოიჭრა, დაიხარა და ქვემოდანვე მოხრილმა ააწოდა, შეცბუნებული უმზერდა. ედმონდო ბეტანკურმა თვალით ანიშნა იგივ სავარძელზე და კატას დაფიქრებული უხიცინებდა. მერე იქვე, მაგიდაზე, ძვირფას ნიღაბს ცალი ხელით გადასწვდა, ცალი ხელითვე მიიმაგრა სახეზე. „ლმობიერი ვარ, - ძალუმ კრუტუნში ძლივსღა ისმოდა მარშლის წყნარად შემპარავი ხმა, - დიდად ლმობიერი, განა არ ვიცი, სტელლას ყოველ ნაბიჯზე რომ ღალატობ, მერედა ვისთან... იცოდე ეგრე არავინ მიყვარს დისშვილებში. ჩემი გაზრდილია... მაგრამ გპატიობ - საქმეებით გადაქანცულს, ვიცი, გჭირდება დასვენება და ამიტომ გპატიობ მეუღლისადმი ორგულობას, თანაც, შენისთანა საპასუხისმგებლო სამუშაოიანი კაცისთვის აუცილებელია სხვადასხვანაირი ქალი და ეგ არაფერი, ნაირ-ნაირ დედაკაცებში რომ დაძრწი... ისე, ხომ იცი, ჩემს ხელთ რომა ხარ... - და შეუძახა, - ეგება არა!“ „კი როგორ არა, დიახ, გრანდ...“ მაგრამ მარშალმა გააწყვეტინა - ჯერ ხელისგული აჩვენა, მერე კი ისე, კატის ალერსი არც შეუწყვეტია, მომცრო ბალიში ისროლა პირველ სავარძელზე და მოკლე ტკაცუნით სავარძლის ზურგიდან წვერწამახული ხიშტი გამოვარდა და გაიყინა, სად იყო მაინც ჩამალული, და პოლკოვნიკმა განცვიფრებისგან პირი დააღო. „აი, ხომ ხედავ, ჩემო გრანდჰალლე, - რბილად მიმართა ნიღაბაფარებულმა მარშალმა, - რომ დამჯდარიყავ, რაც მოხდებოდა... მაგრამ მიყვარხარ, როგორც ერთგული“. და რადგან გაოცებული პოლკოვნიკი სავარძელს თვალს ვეღარ აშორებდა, იქვე აუხსნა: „ეგ რაა, არაფერი, ხომ არ გგონია უფრო დიდ მთავარ საიდუმლოებებს, მე რომ მრავლად მაქვს, იმათგან რომელიმეს გავთქვამდი, რაა, ეს რაა, სხვები რომ იცოდე... ჰეეეე?!“

და ისევ კატას ეფერებოდა, სულიც კი შეუბერა, ასე ჩაასუნთქა: - ჰუუ-უ, არუფაა. ქვედა ქალაქში რა ამბებია.

- კარგი, მარშალო, ერთმანეთს კლავენ.

- ძალიან ხომ არ შეთხელდნენ.

- არა, გრანდისსიმოჰალლე... ისე, ზომიერად. რაც არ უნდა ხოცონ ერთმანეთი, სამაგიეროდ, კარგად მრავლდებიან... ვირთხებივით, გრანდისსიმოჰალლე.

- აეგ კარგია, - თქვა ბეტანკურმა და გულისპირში შეიცოცა ხელი - და ჩვენი ძალა მაგათშიცაა, იცოდე, სეზარ...

- დიახ, მარშალო.

- რიგო რასა იქმს, ჩვენი რიგობერტო, ისევ პირველობს?

- დიახ, გრანდ...

- და ისეთივე ამაზრზენია?

- ძალზე საშიში გახლავთ, გრან...

- გავასაღებინებდით ვინმეს, მაგრამ სხვა ვინ იპირველებს ქვედა ქალაქში, - ჩაფიქრდა დიდი მარშალი, - სულ აირ-დაირევიან. არა, გრანდჰალლე?

- დიახ, მარშალო.

- ყური დამიგდე. დილის ქალთაგან ერთ-ერთს დაავალეთ, რიგოს ნაყოფი შეინარჩუნოს. ყველაფერი აქვს მაგ ადამიანს, რაც საჭიროა ჩვენთვის, გარდა ერთისა - ხელაღებულია. თავზეხელაღებული ყველა კია ქვედა ქალაქში, მაგრამ ის შენ წინაშეც კი არ დაიხევს - სულზეხელაღებულიცაა, გრანდჰალლე. და შეიძლება ცოდვაც იტვირთოს - შენზეც ასწიოს ის გამრჯე ხელი და შვილი რომ შეეძინება, უკან დახევასაც შეძლებს - ხომ იცი, შვილი - სიყვარულია, სიყვარული კი - ტვირთი... პატარა შიშიც შეეპარება, სულ, სულ პატარა, ძალიან მცირე, ჩვენ რომ გვაწყობს, აიი, ისეთი... ბავშვი სირბილეს გაუჩენს გულში, თოთო ხელებით, და ნედლი თავით... შეუყვარდება, ჩემო გრანდჰალლე, ბავშვზე უკეთესი რაა ამქვეყნად, მძევლადაც დავიტოვებთ ხოლმე და რიგოსთანა თავსულზეხელაღებულსაც კი შეგვირბილებს ერთი რაღაც ფსლიკიანი, ბავშვზე უკეთესი რაა ამქვეყნად...

- ჭეშმარიტება ღაღადებს თქვენი პირით, დიდო მარშალო.

- ძალიან კარგი. სათამაშო რომ გაიჩინე, რად არ მითხარი.

- ჯერ გაწვრთნა უნდა.

- გაუწვრთნელადაც მაინტერესებს. იმ კვირას მომგვრი, მერსედესის დაბადების დღეს.

- აუცილებლად, დიდო მარშალო.

- მადლობელი ვარ დაპირებისათვის, - დასცინა კიდევ მარშალმა ბეტანკურმა, არუფას პირში ჩაუყო თითი, - და სამწვანეთში რა ამბებია?

- კვლავ, ისევ უყვართ იქაურობა.

- ძალიან უყვართ?

- დიახ, მარშალო. იმდენად უყვართ, დედასამშობლოს ეძახიან.

- მაგათ, მე მგონი, ერთმანეთიც არა სძულთ, - დაფიქრდა მარშალი ბეტანკური, - რაღაცნაირად, თბილად არიან ერთმანეთში და ეგ კი ვერაა კარგი ამბავი. უნდა დავქსაქსოთ. არადა, ძალით - უხერხულია. და ულამაზო. ტყე გავუჩეხოთ, ვითომ გვჭირდება, მერე კი ვიღას ენდომება ხრიოკი სამშობლო... ტყე გავუჩეხოთ, პოლკოვნიკო, ტყე გავუჩეხოთ და გადაგვარდებიან...

- აგრე იქნება, დიდო მარშალო.

- ოღონდ ერთბაშად ნუ მიადგებით - შენ გულფიცხი ხარ. ისე, თანდათან... თანდათანობით... და მიეჩვევიან. გადასულთ კარგი პირობები შეუქმენით, და სერტანაშიაც უბოძეთ ათიოდ ფეხი საქონელი. და სერტანაში როგორ არიან...

- კარგად, მწყემსავენ.

- ტბიან სოფლებში რა ამბებია...

- ეჰ, ისევ ისე - ჭკუით არიან. ცა და ქვეყანა აინტერესებთ. ვარსკვლავებს სჭვრეტენ. ბალახს სწავლობენ, აკვირდებიან...

- ეგ არაფერი - ისევ ისე გამხდრები ხომ არ არიან?

- დიახ, მარშალო. და ცოტა არ იყოს, გაბედული ხალხიცაა...

აქ კი მარშალმა ედმონდო ბეტანკურმა არუფას მუხლები აჰკრა, რბილად დაეცა კატა რბილ ნოხზე, დიდმა მარშალმა კი ძვირფასი ნიღაბიც მოიხსნა, პოლკოვნიკს დაკვირვებით შეაცქერდა, თვალი გაუყარა თვალში:

- ერთი იცოდე, ჩემო პოლკოვნიკო, ერთი იცოდე - მაგათი წამალი სიმსუქნეშია. ჩემო გრანდჰალლე, საუკეთესო მზარეულები გაუგზავნე, ღორის ხორცის კარგად შეკმაზვა რომ იცოდნენ, სწორედ ისეთები - და ჩემი საწყობებიდან მჟავეს და ცხარეს ნუ დაინანებ, წყალსაც აწყურებს ეგეთი ხორცი, ღვინოს ხომ - უფრო, და რადგან ყველა რაღაც გარკვეულ სიამოვნებას წიწკნის ამა ცხოვრებას, ცისა და ქვეყნის გაგების სურვილი ძღომის სურვილად გადაექცევათ და აეს სიმსუქნე იმითაცაა კარგი, გაბედულებასაც დაუკარგავს - ადამიანს ხორცი ხომ უყვარს, და თავისი - უფრო და, რამე იყოს, მსუქანი ხალხი წინააღმდეგობასაც ნაკლებად გასწევს - ვერ გაბედავენ, ვეღარ გაბედავენ, მაძღარ თვლემაში, გესმის, გრანდჰალლე?

- დიახ, გრანდისსიმოჰალლე.

და აქ მარშალმა ისე მოულოდნელად უთხრა, პოლკოვნიკს ჯერ ეგონა, მომესმაო. - ახლა კი წადი.

- რა... გრანდისსიმოჰალლე?

დიდმა მარშალმა კი ღონივრად შემოიჭდო გულზე მოკლე თითები და გაუმეორა:

- ნახვამდის, წადი.

როგორ უმზერდა!

4

მძინარე ცოლ-შვილს დაბნეული დასცქეროდა დიდი მწყემსი, ზე, იმ სიყვარულით უსუსურად ხელებჩამოყრილი. ეს მარადშემართული დიდი ვაკეირო, ზე, მხოლოდ მძინარე ცოლ-შვილის დანახვაზე მოიკუნტებოდა და, დარბილებულს, რა არ უტრიალებდა გულში, და უმთავრესი, რომ თავისუფალი არაა, არა. რომ მის ლამაზ ცოლს, ახლა მცირედ აფუებულს, ძილში, თავისუფალი ქმარი არა ჰყავს, და რომ - ცოდვაა, რომ აგერ, მის ბიჭს, მამის მაჩეტეთი ხისგან გამოჩორკნილი ცხვრები რომ გაუმწკრივებია თავთით, ნეტა რა ელის - მასაც მწყემსობა ალბათ და მამამისივით, ისიც თავისუფალი, ეჰ, არ იქნება, არა... და მის ლაღ გოგოს ახლა ისე ლამაზად რომ გადაუგდია თავსზემოთ ხელები და სძინავს, სძინავს, აჰ, როგორ სძინავს, სიყვარულისგან მრავალეკალნაძგერები სხეული აებურძგლებოდა ზეს, ოჰო - კაქტუსი, ხოლო ის ჩვეული ტანჯვა, რომ თავისუფალი არაა, არა, გულსა და ყელს უკუმშავდა ზეს, და დიდი არხეინი მანუელო კოსტაც კი გრძნობდა მთვარის ბაცად ჩამომწვდომ შუქზე, რაღაც რომ აკლდა, მიბნედილი ქალების, ჩაუქი ცხენისა და გიტარის გარდა, და ამასვე გრძნობდა ჟოაო აბადო, იგივ ნაღველით გულში და მოხუცი სანტოსიც, ძილშიც, გულზე აიბაგუნებდა ღონიერ მუშტებს... რაღაც სწყუროდათ მომავლ რჩეულთ, და მანამდე კი თავ-თავიანთ დარდს სულ სხვანაირად, სხვადასხვანაირად იკლავდნენ. თვალებამოღამებული მოხუცი სანტოსი მთელ თავის სოფელს ყოვლად უფასოდ შეშას უპობდა, ღონივრად დაიქნევდა იმ ძალუმ მკლავებს და რა კუნძი უნდა ყოფილიყო ქვეყნად ისეთი, შხუილით წამოსული მისი ნაჯახისათვის რომ გაეძლო, „ჰახ!“ - დააყოლებდა კამორელთა ჟლეტის წარმოდგენით ეშხში შესული მოხუცი სანტოსი, ახალ კუნძს შეარჩევდა, ისევ მრისხანედ შემართავდა ხელებს. მერე იმდენად დაჩვეულ ხარს, აწევისას ისევ რომ იცოხნებოდა, დილა-საღამოს მიწას ღონივრად ააცილებდა და მსუბუქადვე მიწაზე აბრუნებდა, და მთელი სოფელი მალულად, მორიდებით ათვალიერებდა ამ კუშტ მოხუცს, მოსაღამოებულზე კი, უცნაურად განაზებული სანტოსი თავის საფლავში

ჩადგებოდა, ფრთხილად მიაწყობდა მცირე ბორცვზე პატარა მოსაკითხს და, იმ გრძნობით გულში, დაკნინებულად ტანჯვა რომ ჰქვია, ნაზად ამბობდა -„დღეს... დღეს ისეთი არაფერი, მეზობლის ძროხამ დღეს ხბო მოიგო, მსხალი მოგიტანე, მირცა... მსხლები მოგიტანე, შვილო...“ და ძილში, ძილში, მორს მარწუხივით თითებჩაფრენილი, უუ, კვნესოდა როგორ: „მასსიმო, შენი...“ - თავისუფალი არ იყო, არა. და თავისუფალივე არ იყო ჟოაო აბადო, სრულიად სერტანის პირველი უჟმური, იმ წყეულ შეგრძნების გასაფანტავად დილიდან საღამომდე, თუკი ეცალა, ცოლ-შვილს რომ გაუთავებლად ეჯაჯღანებოდა: „ეს სად დაგიგდიათ, ამას იქ რა უნდა, სადაა თოკი...“ ბუზღუნ-ბუზღუნით მიმოდიოდა თავის ღარიბ ქოხში და, იიჰ, ეგ არაფერი, - თავისუფალი არ იყო, არა! და, გამწარებულს, ესღა ამშვიდებდა - გაუთავებელი „სადაა“, „რისთვის“, „როგორ თუ...“, „რატომ...“ და თუ, მსუბუქი შარის მოდებაში ფრიად გამოცდილს, ფაქიზი ცოლის გულმოდგინეობისა გამო სასაყვედურო მაინც შემოაკლდებოდა, ჰოი, სირცხვილო, - ჟოაო აბადო რაიმე ნივთს სადმე კუნჭულში გადამალავდა და მერე ცხარობდა: „სადაა კოვზი... ის ჩემი კოვზი სადაა მეთქი!“ სრულიად სერტანის უპირველესი მწყემსი კი, დიდი ზე, ხიფათიან ჭიდილში დროებით თუ პოულობდა გამოსავალს - ხანდახან მარცხენა ხელს ზურგს უკან, ქამარში ჩაიყოფდა და ასე, ცალი მკლავით იმორჩილებდა ღონიერ ხარებს. და თუ სერტანაში რომელიმე ცხოველი გაცოფდებოდა, ნახირს შემოღობილში შერეკავდნენ მწყემსები და ზესთან გარბოდნენ. ზე დინჯად წამოიმართებოდა მაღალ ფეხებზე, სხვადასხვანაირი რამ იარაღი მიჰქონდა - თუ ლეოპარდი ან გარეული კატა იყო, შუბით მიალურსმავდა სილაში ან ხეზე, თუ ძაღლი იყო, შუბისთვის შინ არც შეივლიდა, უბრალოდ, კეტს დაავლებდა ხელს და თუ კამეჩი გაცოფდებოდა, ზე მორეირა ძალიან გრძელ, წვერწამახულ სამღარიან მახვილს, ტარისკენ ოდნავ რომ მსხვილდებოდა, მეზობელს გამოართმევდა, ალესვა თუ აკლდა, უმალ ააბზინებდა და მეორე ხელში კი გრძელი ჭოკით, მიწაზე თითქოსდა არხეინად რომ მიაჩოჩიალებდა, სერტანის გაშლილ, ვრცელ ქვიშრობზე გავიდოდა და იქ, მარტოდმარტოს, ჩამოქვეითებულს, მხოლოდ მანუელო კოსტა, ერთადერთი ძმაბიჭი, ამხედრებული მიჰყვებოდა, ორი მძიმე შუბით ხელში, სხვები შორიახლოს დიდ ხეებზე აძვრებოდნენ ხოლმე. „კარგი, არ გინდა, რომ...“ - ეუბნებოდა ზე, და მანუელოც ვერ ამთავრებდა წინადადებას“ „როგორ არ...“ რა ძნელი იყო გაცოფებული კამეჩის მოკვლა - ისედაც ძლიერს, ღონიერს ისეც, ძალა და მრისხანება ემატებოდა. მანუელო კოსტა ხეების ფონზე დგებოდა, ჯერ ის რომ არ შეემჩნია კამეჩს, რადგან ცხენიანა კამეჩთან ვერაფერს გახდებოდა, მერე კი, ფეხოსან ზესკენ რომ გავარდებოდა დაოთხილი, მძიმე დუჟდაკიდებული ცხოველი, მანუელოც მაშინვე დეზებს ჩაასობდა ცხენს და ზეს დასახმარებლად გაჭენდებოდა. დიდი ველი იყო. ზესკენ

თავჩაღუნული, რქებდამიზნებული მოჰქროდა უზარმაზარი შავი ძალა და ზე, აწურული, შემართული, დაძაბული, ახლა, ამჟამადაც ყველაზე მოხდენილი მწყემსი, კამეჩს ასიოდ ნაბიჯზე რომ დაიგულებდა, თვითონაც სირბილით გაიჭრებოდა მისკენ; ჭოკი წინ გაეშვირა, და მარჯვენათი ჭოკთან ერთად ის გრძელი მახვილიც ღონივრად ჩაებღუჯა. ეს ბევრად უფრო ძნელი რამ გახლდათ, ვიდრე მასაის შუბით ლომის მოკვლა - მხოლოდღა შუბით ვერაფერს დააკლებდა და გინდაც მარჯვედ ეძგერებინა, მაინც გადაიქელებოდა, უფრო რამ მეტი, სულ სხვა ხრიკი ესაჭიროებოდა დასამარცხებლად ამ სწრაფ შავ ძალას და მხოლოდ ამგვარად - ჭოკითა და მახვილით თუ დაამარცხებდა, და ზე სირბილისას სასურველ მანძილს რომ დაიგულებდა, გაქანებული, ჭოკის გაშვერილ, შორეულ წვერს ათიოდ ნაბიჯით წინ დაასობდა, მთელი თავისი მოსხლეტილი ტანით უბიძგებდა მშობლიური სერტანის მიწას და ჭოკის კენწეროზე მოქცეული, ამაღლებული, ჰაერში სასწაულით ყოვნდებოდა და ჭოკს რომ დაეძგერებოდა ის შავი ძალა, ზე მთელი თავისი სიმძიმით მაღლიდან ეცემოდა და იმ გრძელ მახვილს ქედიდან მუცლამდე ჩააჭედებდა კამეჩს და მოვარდნილი მანუელო კოსტაც - ზეს კამეჩისთვის რომ აეცდინა მომაკვდინებელი დარტყმა, - მანუელო მაშინვე შუბს აძგერებდა და ცხენდაცხენ გამოიტყუებდა კამეჩს, შუბით ეგება ორიოდ წამს მაინც შეეჩერებინა რაღაც იდუმალებით გამოწვეული შავი ცხოველის ეს მრისხანე ამბოხი და - არა, არა, დუჟმორეული, მორჩილად იწვა, დიდთვალებჩაფერფლილი, კი, კი, სერტანელებმა კარგად იცოდნენ, რასაც ნიშნავდა ეს გახევება, რაღაც პირქუშადაც კი ეცოდებოდათ, და მერე ზეს გამბედაობით აღფრთოვანებული რომელიმე მწყემსი პირველ ვაკეიროს თუკი ეტყოდა: „შენ გაიხარე... რა გინდა ჩვენგან“, ზე ყოველთვის ერთსა და იმავეს უპასუხებდა: - მარიამს არ უთხრათ (რადგან დაიწყებდა ის: ეს რა გიქნია, რამე რომ მოგსვლოდა, ზე, მე კარგი, ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ შვილებს ვის, ვის უტოვებდი, როგორ გაბედე, სხვას გაებედა, ეს რა გიქნია...). და თუკი ვინმე გაიოცებდა: „ვერ გამიგია, რატომ უმალავ, სხვა შენს ადგილზე იტრაბახებდა“, ზე ერთს კი შეხედავდა ამის მთქმელს თვალში, და მარიამმა, რაღა თქმა უნდა, არაფერი იცოდა. ვაკეიროთა ცოლებიც არასოდეს ჭორაობდნენ - საქმე ისედაც თავსაყრელად ჰქონდათ და... ზე ჩუმად მადლობელი იყო მანუელო კოსტასი, მასავით თავდადებული მწყემსის, ის კი, ახლა ოდნავ, სულ ოდნავ მხიარულად გაამაყებული, ლაღად იცინოდა... მარიამს კი, ეეჰ, მარიამს ასეთი ძმაბიჭობისა რა გაეგებოდა, მისთვის მთავარი ის იყო, ზე და მანუელო ხანდახან ერთად რომ სვამდნენ და მხიარული მწყემსის დანახვაზე, მისი მოსხლეტილი სახელის გაგონებისთანავე სასტიკად იწყევლებოდა. ყველანი ფარული კრძალვით, ჩუმი აღტაცებით შესცქეროდნენ ზეს, და ერთადერთი: „სულაც არ იყო ის კამეჩი გაცოფებული, ტყუილად რატომ მოაკვლევინეთ“, - ბუზღუნებდა ჟოაო. აი, ასე

და ამისთანებში იკლავდა უმთავრეს ჯავრს დიდი ვაკეირო - რომ თავისუფალი არაა, არა...

მანუელო კოსტა კი, მხიარული მწყემსი, ლაღად დააჭენებდა სერტანაში ცხენს, ლაღადვე მიემგზავრებოდა ბაზრობათა ქალაქში, ნატვრად დავარდნილ ქალთა გული საამოდ რომ აეჩქროლებინა, ჰოჰოო, მანუელო კოსტას გამოჩენისთანავე რაღაარანაირ მიმოქარგულ საყელოებს იბნევდნენ ყელზე, მანუელოს კი ტანსაცმლისა დარდი რამ, როგორც ასეთი, ოდნავადაც კი არა ქონდა. პირიქით, სრულ ზედმეტობადაც მიაჩნდა და, მეორე დილით ღიღინ-ღიღინით ბრუნდებოდა ძროხასა და ცხვარში. უცნაური რამ ბედნიერება სჭირდა მანუელო კოსტას - ისეთი ცქერა შეეძლო, ყოველივეს ალამაზებდა და მთელი ფერადი ქვეყანა ღატაკ მანუელოსი გახლდათ - უცნაური, სუყოველივეს ამთვისებელი თვალი ჰქონდა. ან როგორ ბინდდებოდა, ან როგორ თენდებოდა მძიმედ ჭრელ სერტანაში, როგორ ლღვებოდა ზამთრობით ღამე, მზეც რო აშრობდა ნაწვიმარ ჭალას და მანუელოს თამამი სულიც, დანაწვიმარი, მაღლა, ცისაკენ ორთქლდებოდა და - ყველაზე კარგი მპყრობელი გახლდათ. ყოვლად უმსგავსი რომელიმე ქვა მანუელოსთვის - შვება იყო და, ხელში თბებოდა, იდუმალი ხაზებით ნაცრისფრად დაჭირხლული, და თუ იმასაც წარმოვიდგენთ, რომ, ხანდახან, ცაზე, კიდით-კიდემდე თავად ცისარტყელა გადაიჭიმებოდა, ან ჩამავალი მზით როგორ შუქდებოდა აწეწილ-დაწეწილი მოთბო ღრუბელი, რა ლურჯი იყო სერტანული ცა, თავისკენ როგორ ავი ვედრებით უქნევდა გამოწვდილ ბრჭყალს შიმშილით ზმორებაატეხილი კაატინგა - მოდი, აქ მოდი - ეცინებოდა, რა მიიყვანდა, კაატინგაც კი ღიმილსა ჰგვრიდა; ფერთა ჩუმი წვა შემოდგომობით, ეს გაცრეცამდე ნატიფი ალი, და მოვარდნილი გაზაფხულობით ადიდებული მჭახე მდინარე თავისუფლების სიმღერას ჰგავდა და მანუელო კოსტა, უეცრად მოწყენილი და დადარდიანებული, უნაგირზევე მოდუნდებოდა - თავისუფალი არ იყო, არა. თავისუფლება ხომ - სულს ერჩია, უბირი ქოხი და ნახირის ნამატის მეოთხედი რაღა ჯანდაბად უნდოდა, მთელი ქვეყანა იმისი იყო, მაგრამ თავისუფალი ვერ გახლდათ, არა... ქალებში ხანდახან კი ავიწყდებოდა ეს, მაგრამ... ჩემს მტერს, სულ ქალი, გაღიზიანებული ფიქრობდა და მთვარის ბაც შუქზე, გახევებული, მოწყენილი მანუელო ღამესთან იჯდა, თავი ჩაექინდრა და დადარდიანებულ მხიარულ მწყემსს გაკვირვებული შესცქეროდა ხეს ამოფარებული ცალფეხა ჭინკა, სასი, ცოლშვილიანი, ამ შუაღამით სერტანაში მცირე საშოვარზე გამოსული... ეჰ, მანუელოც კი, ქვეყნის პატრონი, ცისა და მიწის მქონებელი, თავისუფალი არ იყო, არა, როგორც სანტოსი, როგორც ჟოაო და დიდი მწყემსი, ზე მორეირა, მაგრამ ბაზრობათა ქალაქში დიდ კასრზე უკვე შემდგარიყო შავტანსაცმელაფრიალებული მენდეს მასიელი, რომელსაც

უკვე ორი მიმდევარი - გრეგორიო პაჩეკო და სენობიო ლУოსა ჰყავდა, და გაოცებულ ბრბოს ასე უხმობდა:

- ძმებო! ძმებო, შორსაა ჩვენგან დიდი მიწები - რომი, ბაბილონი, პომპეა და რიო დე ჟანეირო...

* * *

- ყური დამიგდე, ჩემო დომენიკო, - წამოიწყო პოლკოვნიკმა, აფორიაქებული ჩანდა. და რადგან მხოლოდ ორნი იყვნენ, კედელზე აკრულ ვიღაც ამაყის პორტრეტს შესცქეროდა, - ერთადერთი ხარ, ვისაც გენდობი, მხოლოდ შენ, ბითურს, შემიძლია ბოლომდე გენდო, ყური დამიგდე, - ჭაღზე გადაიტანა მზერა, - შენ ხომ არ გრცხვენია ჩემი?

- არა.

- ჰოდა, მაშინ მე რატომ უნდა მრცხვენოდეს შენი და არც მე არა მრცხვენია და, დომენიკო, კარგი ბიჭი, ჩემს ძვირფას ბაღში პაემანი მაქვს, ოღონდ - ფარული. სადაც გიბრძანებ, იქ უნდა დადგე და ჩემი სათაყვანებელი მეუღლე თუ გამოჩნდება, ვარდს დაგაკავებინებ ხელში და მაშინვე ცხვირთან მიიტანე, გესმის? ხომ გესმის?

- თქვენს ცოლს არ ვიცნობ.

- ცოლი კი არა, ჯერ ეს ეგ ერთი, მეუღლეა და იმის გამოცნობას არაფერი უნდა - მოახლეთაგან ჩაცმულობით გამოარჩევ, ხრონწ ნათესავთაგან - ახალგაზრდობით. ისე კი, მაინც რომ იცოდე, ახლა, საღამოს, თმა მხრებზე ექნება ჩამოშლილი, მაგრამ, არ ვიცი, ამ საღამოთი რაფრად შეიღებავდა და საერთოდ კი, თხელი ქალია, ძალიან თხელი, მაგრამ დიდი, ძროხასავით მკერდი აქვს, ვენაცვალე.

- არც ისე დიდი ჰქონია.

- ძალიან დიდი, აი აქამდე... აკი გითხარი, ძროხასავით-მეთქი.

- მკერდი ხარს მეტი აქვს.

- აჰ, გადატანითი მნიშვნელობით გითხარ, აბა, იმ სიტყვებს ხომ არ გეტყოდი, როგორ ვერ მიხვდი, - გაიღიმა პოლკოვნიკმა, ახლა ისევ ამაყ პორტრეტს შესცქეროდა, - ხართან და კამეჩთან შედარება როგორ შეიძლება, თუმცა კამეჩი შეიძლება მდედრობითიც იყოს, აჰ, მაწონი აქვს კარგი, დანით იჭრება, მოკლედ, ჯანდაბას - აშკარად ღელავდა გრანდჰალლე, - და სტელლამ რომ ჩამავლოს, აჰ, მტრისას,

მტრისას, საკუთარ ბაღში? აჰ, მტრისას, მტრისას... სწორიც იქნება, რადგან გარე-გარე ყველაფრის უფლება ბოძებული მაქვს. არაოფიციალურად, ჰალე. ამას იმიტომ გიხსნი, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა რომ იგრძნო და, რომ იცოდე, შენ გარდა მსგავს შემთხვევაში ვერავის ვენდობი, ყველა შებერტყილია, და შეიძლება გრანდისსიმოსთან დამაბეზღონ, ოჯახი გაიბზარაო, დიდი მარშლისა კი მკვიდრი დისშვილი გახლავს ჩემი სანუკვარი მეუღლე სტელლა, ის ძაღლისშვილი, და მოკლედ, შენ ერთი მყავხარ სანდო, ბითური, ჩემო ჰალეკო, ჰალე, და თუ ისე არ მოიქცევი როგორც საჭიროა, საკუთარ ხელით გამოგჭრი ყელს. ხომ დამიჯერებ!

- კი.

- მიჩინიოსთან შეგაგდებ ოთახში, ჰხალე!

ისე დაზრინაა...

- წამოდი, წამო.

ხელი ჩაკიდა; უსუსურსა და დაბნეულს, საითღაც მიუძღოდა. და დომენიკოს რაღაც უკვირდა - ჰო, შიშს არ გრძნობდა... გზაში რატომღაც შიშს ვერა გრძნობდა, გზა მაინც სხვა, იყო, გზა ყოველთვის რომ სულ სხვა რამეა, ჰეჰ! მაგრამ პოლკოვნიკმა კართან შეაჩერა და გვერდითა კედელთან სახით დააყენა, და უცებ დომენიკოს თვალწინ, საკვირველებავ, კედლის ნაწილი მძიმედ შეიღო, და პოლკოვნიკმაც ზურგში უბიძგა: - წადი, ჰა, წადი... - და გადაასწრო.

გაოგნებული მიჰყვებოდა - ის კედელი კარი ყოფილა და ნამდვილ კარს რომ ჰგავდა, ის ალბათ - კედელი... თუმცა, ვინ იცის, ეგება ისიც კარი იყო და... რას გაიგებდა.

- აქ დამიცადე. ახლავე მოვალ.

პოლკოვნიკმა სეზარმა მომცრო კიბე მსუბუქად ჩაირბინა, ოღონდ მარმარილოს ბოლო საფეხურს გადაახტა, ორჯერ შემოჰკრა ტაში, მერე ბნელ, ძვირფას ბაღში თამამად შეაბიჯა და ერთ-ერთ ვარდთან მიწას ღონივრად დაჰკრა ფეხი. ვარდების წყება მაშინვე ყალყზე შედგა და ზედამხედველი ნავოლეც აღმოცენდა - ნგისმენთ, ნგრანდჰალლე...

- ორი საათით სააღლუმოს იატაკქვეშ დაწვები. ანისეტო და ელიოდორო ისაუბრებენ. ყველაფერს თუ ვერ დაიმახსოვრებ, ვაი შენი ბრალი, იცოდე. იცოდე, ქაღალდზე დაწერილი საუბარი ექნებათ, ჩემს მიერ შედგენილი, შევამოწმებ, და...

მაგრამ ნავოლე მაინცდამაინც არ შეწუხებულა - ალბათ იმასაც ჰქონდა ქაღალდი.

- ჩემ გარდა ვერვინ გამოგიძახებს, ნიშანი ასეთი იქნება - ხუთჯერ ექვსი ერთია. მე კი მანამდე - დომენიკოსკენ გაიშვირა თითი, - სათამაშოს გავასეირნებ ბაღში, ჰაერზე. გაიმეორე.

- ნსანთამა...

- ბრიყვო! ნიშანი...

- ნხუნთჯერ ენქვსი ერნთიაა, - თქვა ზედამხედველმა ნავოლემ, წიხლით ნატკენ გვერდს ნაზად იფხანდა.

- წადი, ჰა, წადი, ნუღარ აყოვნებ... ჩემო ლეიტენანტო. ხომ არავინ შეგინიშნავს ბაღში.

- არა, რას ამნბონბთ.

- კარგი, ჰო, წადი.

და თვალი რომ გააყოლა, ჩაილაპარაკა:

- ჩემი ხელით ხარ ყელგამოსაჭრელი, მაგრამ რას ვიზამ - ასე მაწყობს და... თუმცა მევე მოგატყუე და, რას შენიშნავდი, - და დომენიკო სისინით მიიხმო, - სულ ბოლო საფეხურს ნუ დააბიჯებ... - კიბეს ჩაუყვა მგზავრი, ხელთ ვარდი შეაჩეჩეს: - აი, აქ დადექ და თუ მეუღლე გამოვა, მაშინვე ცხვირში იტკიცე, გესმის?

„მეუღლე, ქალი... ცოლი, მეუღლე... აანა... მარი...“

- რას გამოშტერდი... - რისხვით შეუსისინა პოლკოვნიკმა.

- დიახ, გრანდჰალლე.

- ეს რა წამოსცდა, აკრძალული სიტყვა, და გაახსენდა - ალექსანდროს ძმა! - მიმოიხედა, ვაითუ აქაც იყო, გააზრიალა - ბაღის კედელთან ვიღაცა იდგა... ალექსანდროს ძმა? - დიდი, განიერი ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა, მოსასხამში შეფუთნილიყო, და დაშნის ტარიც მოუჩანდა და სწორედ მისკენ ფეხისწვერებზე გაემართა პოლკოვნიკი სეზარ. ძალიან ფრთხილად კი უახლოვდებოდა, მაგრამ, ეტყობა, მიწაზე დაგდებული მოსასხამი ვერ შეამჩნია მღელვარებისგან და წაიბორძიკა, გახევდა, შიშით მოიხედა უკან. მერე ისევ იდუმალი გზა განაგრძო და იმ ვიღაცას მოუახლოვდა, უთხრა: - სად დაგიყრია... - ხელები შემოხვია და, იმანაც მკლავები შემოაჭდო და, აქ კიი, დაიბნა დომენიკო - ისე ჰკოცნიდნენ ერთმანეთს ორნი...

- ვინ მოგიყვანა...

- ელიოდორომ...

ქალის ხმა იყო!

- სუზანნა, ჩემო ყველავ...

- უმამაცესო...

მაგრამ პოლკოვნიკს სუსხი დაეტყო ხმაში:

- რამ მოგიყვანა!

- მე აღარ შემიძლია, ფედერიკო, აღარ შემიძლია, გესმის? - ჩიოდა ქალი, კაცურად ეცვა, - მე აღარ შემიძლია ასე.

- როგორ თუ ასე...

- როგორ და... მშვენივრად იცი, რაც მინდა.

- რა გინდა, სუზზი...

- მე სახიფათო სიყვარული მწამს...

- სახიფათო არაა, შენთან ღამღამობით რომ დავიპარები? ამ წოდების კაცი...

- არაა სახიფათო - შენ ყველაფერი მუდამ გაანგარიშებული გაქვს, ფედერიკო...

- მერე, ცუდია?

- ცუდია, დიახ... აეს ვინაა...

- ჩვენი ბიჭია... რატომაა ცუდი, სუზანნა... - ნაზად დაეკითხა პოლკოვნიკი და ისევ მაგრად ჩაიკრა გულში.

- მე სახიფათო სიყვარული მწამს. სწორედ ასეთი... და კიდევ უფრო...

მერე ძალიან აიხლართნენ ერთმანეთში, ვეღარაფერს არჩევდა დომენიკო.

- სუზანნა, სუზი...

- ფე... ფფედერიკო...

- სუზზი, მსხმოიარევ...

- მანდ ნუ მაკოცებ, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი...

- გრეგ რიკიო ხომ არ უარყოფს და...

და გალიაშემოვლებულმა კაეტანომაც სადღაც შუა ქალაქში სჭექა: - ღა-ამის პირველი საათია და ყველაფერი გეენიალურააადااااა!

მერე კი, როცა პოლკოვნიკმა სეზარმა ხის მოსასხამსა და ნიღაბში საიმედოდ შეფუთნა დაჭმუჭნილი ქალი, პირველ საფეხურზე შედგა და მაშინვე იქვე გაჩენილ ელიოდოროს უთხრა: - გააცილე, - და დომენიკოს მრგვალი თავის დაჯერებული მოძრაობით ანიშნა კიბეზე ასვლა, სათამაშომ თქვა:

- ერთი თხოვნა მაქვს.

- თხოვნა? თქვი, გისმენ... უჰ, კარგი იყო.

- თუ შეიძლება, მე... თუ ნებას დამრთავთ...

- თქვი, ჰო... მიდი, ჰა...

- და ხვალ რომ გათენდება, დღისით, - როგორ ღელავდა, - თქვენი ბაღის ერთ კუთხეში შემიშვით, რა... გთხოვთ.

- რომელ კუთხეში, უჰ, კარგი იყო...

- თვალსაჩინოებისათვის რომაა...

- ჭინჭარ-გვიმრაში?

- დიახ, გრანდჰალლე.

ტუჩზე იკბინა, მიმოიხედა - არავინ იყო...

- კი ბატონო კი, - თქვა პოლკოვნიკმა, - მაგრამ რად გინდა...

- რა ვიცი... მინდა.

- მითხარი-მეთქი!

- მიყვარს მე... გვიმრა.

აქ პოლკოვნიკმა წამით სახეზეც კი მოუცურა მზერა:

- ხუმრობ თუ... ჰალე?

ხოლო ოთახში, როცა მომლოდინე დომენიკო - დამდაბლებული პირველად სული - დიდ მადლობასა და ქებას უცდიდა, პოლკოვნიკმა თქვა: - არავის უთხრა, შე ნაბიჭვარო.

- მე ნაბიჭვარი არა ვარ.

- მა რა ხარ - არავინა გყავს.

- მამა მყავს.

- სადა გყავს, აბა, - უმბერტოს თვალები მოუჭუტა პოლკოვნიკმა.

- მაღლა მყავს, სოფლად. მაღალ სოფელში...

- სოფლად არა, ის... არავისი ხარ, მამა არა გყავს.

- მყავს.

- სადა გყავს, აბა, სადაა მამა?! - და რატომღაც ღონივრად გამწარებული პოლკოვნიკი ტახტის გადასაფარებელს დასწვდა, მოისროლა, დაიხარა, და ტახტქვეშ შეიხედა მერე განჯინა გამოაღო, თაროებზე ააფათურა ხელი, საწოლი აანგრია, სავარძელს ფეხი ჰკრა და ააყირავა, უმბერტოს ჯიბე ამოუტრიალა, გამჭვირვალე ტოლჩაშიაც კი ჩაიხედა და გამწარებული დაცინვით ასე იძახდა, - სადაა, აბა? სადაა მამა! მამა არა, ის... სადაა, აბა? მამაშენი არ არსებობს, არა, ჰო, არა, გესმის?

მაგრამ დომენიკო თავგადაწეული იდგა და ჭერს შესცქეროდა.

* * *

ხომ არ დაგღალეთ ასე წანწალით, ხან - კამორაში, და ხან აქეთ, იქით. სერტანა მიყვარს, მატყობთ ალბათ, ხომ? სერტანელებიც... კარგი, ვაჟკაცი, ბრიყვი ხალხია - სხვას მსახურებენ. მაგრამ მენდესი გახსოვთ? იქა დგას... თუ დომენიკოს ხანდახან ვკარგავ, არა უშავს რა - ისაა მაინც ჩვენთვის მთავარი, გიკვირთ არა, ხომ? სულ ბოლოს ვნახავთ, როგორც იქნება... და უჰ, ეს რა ვთქვი, უნახავს კია ვინმეს ამბავი, რომ ჰქონებოდეს ოდესმე ბოლო? აჰ, არა, ვერა... გამოსავალი მაინც არსებობს, როგორი? - ვნახავთ; კი, ვნახავთ, ვნახავთ, ჯერ ვიწანწალოთ... რა ცბიერი ვარ ხანდახან, არა? თქვენც - არანაკლებ, და ვიწანწალოთ... ვეღარ ავუბი ამ თეთრ ლექსს თავი - თქვენ, ჩემო ბატონო, რა, გიჭირთ, რა, შეგიძლიათ დამხუროთ, მაგრამ მე ჩემით რომ დავიხურო, დავიღუპები - წერასა ვარ ატანილი და მე, ეგრეთ წოდებულ სალახანას, ამდენი ხალხი ვინ ჩამაბარა... ჩვენ მხოლოდ თვალთვალი და ჩუმად

ჭვრეტა გვსურს და ჭორაობით გულს ვერ მოვიფხანთ - ჭორაობისას, ვითომ გულდაწყვეტილნი, თანამგრძნობი, გახარებით რომ აისავსავებენ ნერწყვმომდგარ ტუჩებს, დაკვირვებიხართ? - სადღაცას, განზე იხედებიან - ახლის სურვილით... ჩვენ კი, ბატონო, სულ ერთმანეთის პირისპირა ვართ, მე ფერად ამბებს თქვენთა ფერხთა ქვეშ ნოხივით გავშლი - გადაიარეთ, თქვენ კი, დამყოლი, ჯიუტი როგორ, სულში ჩამყურებთ... და რაგინდარა უნდა მოხდეს რომ, თვალი აგარიდოთ... ვერა, ვერ შევძლებ, თქვენი ვარ, შენი... ხანდახან ისეც კი მომინდება, მხარზე მოგხვიოთ დაღლილი ხელი, მაგრამ აჰ, არა - მთელ ამ ამბებში მხოლოდ თქვენ ვერ გცნობთ და, სამაგიეროდ, როგორ ჩამყურებთ - პირდაპირ სულში, და უნებურად ცბიერი გავხდი... უცნაურია, ყველას მონა ვარ, მაგრამ - ნებაზე მიშვებული და ერთიღა მმართავს - ის უცნაური, უსახური ჭერისა ლაქა... ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენ-ჩვენი ლაქა, ოღონდ ხანდახან არ ვიცით ხოლმე... და ცაც რა ღრმაა, მოღრუბლულშიც კი, გონების თვალით... ახლა გაგიმხელთ - იციით, სამნი ვართ... მე მუდამ მადევს მხარზე ვიღაც ვეება უსინათლოს ხელი, არავინ იცის, მე დამყავს იგი თუ ის დამატარებს, ისე მძიმეა მისი თითები, და ისე ნაზი მისი დაკოჟრილი ხელისგულების უსიტყვო გლოვა. ხელს მხარზე მადებს, და გაქვავებულ ქალაქებში ადამიანთა გასაცოცხლებლად დავიარებით, ცოტა - ძნელია და თქვენც მადგახართ ხანდახან თავზე და ამდენი ხნის ნაცნობობას ხომ არ შეეძლო, უქმად ჩაევლო - მოდით, ჩამჭიდეთ ეგ უნდო ხელი და სერტანეთი, ჩვენი სერტანა მიმოვიაროთ - დღესასწაული იცოდნენ ერთი, მთვარიან ღამეს... დიდ, განიერ ქუდს დაიხურავდა ზე, სკუპ ერთი! - და იჯდა, ფაშატის ფერდებზე წვივებმიკრული; მერე გადმოიხრებოდა, მარიამს წელზე შეავლებდა მარწუხა თითებს და იმასაც ცხენზე შემოისვამდა, მომცრო ფეხისგულებს ტყუპად აბჯენდა მარიამი ცალ, განთავისუფლებულ უზანგს, დიდ მწყემსს კისერზე შემოაჭდობდა ორივე ხელს, ზე კი ცდილობდა, ამ უჩვეულო, ხალხისათვის თვალშისაცემი ახლობლობით გამოწვეული მღელვარება დაეფარა და, შუბლშეჭმუხვნილი, თავზე ქუდჩამოფხატული, ამაყად იჯდა. ჩუმი ეკლოვანი, მჩხვლეტავი ვედრებით ცისკენ აღწვდილ კაქტუსებს შორის მიდიოდა დამძიმებული ფაშატი, და შორიდანვე მოჩანდა საღღესასწაულოდ აგიზგიზებული, ზეზეურად ჩამომხმარი ხე. ყოველი მხრიდან დინჯად მოარონინებდნენ ცხენებს სერტანელები, აალებული ხის ირგვლივ იყრიდნენ თავს და ცოლებს მიწაზე რომ ჩამოსვამდნენ, თავად ამხედრებულნი რჩებოდნენ, თუმცა, რაღა ამხედრება ერქვა - ცხენებზე გაზრდილთ, სულ არარაობად მიაჩნდათ ეს და უცნაურად მოფლაშულები, დაუდევრად ისხდნენ. და გრეგორიო პაჩეკო, დოლის ჯადოქარი, მუხლებშუა მოიმწყვდევდა ერთის შეხედვით მარტივ, ტლუ საკრავს და, თვალდახუჭული, ჯერ გაბმულად ააჩურჩულებდა - ფრთხილად უსვამდა ხელისგულს მშრალ ზედაპირზე,

მაგრამ... კოჟრები ჰქონდა, და უხეშად ნაზ ხახუნში იკრიბებოდნენ სერტანელები, და ამ უცხო შარიშურს აყოლილი, შორიდან ფრთხილად იცქირებოდა კოცონისაკენ კისერწაწვდილი გველი, და ჯამისაკენ გველივით გადაეხარა შორს, კამორაში, თავი კადიმას, ცხელ წვნიანს ჭამდა. პურის ფინჩხებს ააგორგოლავებდა, აწვალებდა, სრესდა, მერე ორთქლადენილ ჯამში აგდებდა - ძალიან ცხელი წვნიანი უყვარდა კადიმას, პირი მოკალული თუ ჰქონდა, ის სიმხურვალე ღონეს მატებდა და, კბილა ნიორს გვერდულად, ღრმად იდებდა პირში. და ენას მაინც უთუთქავდა იმდენი ნიორი, კადიმა გრძელ, ვიწრო ენას გამოაგდებდა და ჰაერში აასავსავებდა, მერე კი გაცრეცილ ტუჩებს მოამრგვალებდა და იქვე აწელილ სანთელს სულს უბერავდა, იკლაკნებოდა ალი, და წამომართული კადიმაც საძულველ სინათლეს მთელი ტანით გამოაჯავრებდა, - ისიც ირხეოდა, ირწეოდა, იკლაკნებოდა, და თუ ნიორი ებევრებოდა, იქვე მდგარ ქილაში მოქნილ, უძვლო თითებს ჩაჰყოფდა და კომშის მურაბას მუჭით იდებდა პირში, ნიკაპზე თუ ჩამოეღვრებოდა, ეგ არაფერი, ან გრძელი ენით ჩაილოკავდა, ან - ხელის ზურგით შეიწმენდდა და გაწებილ თითებს სიამოვნებისაგან თვალმილულული უგლასუნებდა ერთმანეთს, მკრთალად აბჟუტებულ ოთახში მადიანად იზმორებოდა - ფეხზე იდგა და, თხემით ტერფამდე, იკლაკნებოდა, და მთელ სხეულზე, დაბლიდან მაღლა, ნელი, დაგუდული ტალღა ამოსდევდა, ძვლები არ ჰქონდა ტანში კადიმას და მოძულებულ სანთელს ალის საწამებლად ისევ რომ შეუბერავდა სულს, უფრო დიდი და ტეხილი რხევით იმეორებდა მის ყოველ მოძრაობას საზარელი აჩრდილი. გაწებილ თითებს მომუშტავდა, და მუშტებს ზედ ბეჭებამდე აიგორებდა, უცნაური რამ ეპოლეტები ედო მხარზე - დახვეული მკლავები - ძვლები არ ჰქონდა, და პირგაწეწილს, ღიმილისას ყვითლად მოუჩანდა ორად-ორი ფართო კბილი, მერე უეცრად გახევდებოდა, და ამაზრზენი დაჟინებით მიაშტერდებოდა იატაკთან, ხვრელს დანაყრებული კადიმა, ხვრელიდან თვალებით რაღაცას ისრუტავდა, და ნოტიო რამ წერტილი თუ გამოჩნდებოდა, უფრო ეყინებოდა მზერა, და იმ ყინულეთში რაღაც ავი ცეცხლიც ბჟუტავდა, და ამ ყინულოვან ბრძანებად გადაქცეული თვალებისაკენ რომ გამოეშურებოდა ბალანაჯაგრული თაგვი, კადიმა იქვე, ტახტზე მდგარი გალიისაკენ გააცოცებდა ხელს და დიდჭანგებიან კატას უშვებდა. და ისე უხმაუროდ, თბილი თათების ორიოდ დაკვრით მივარდებოდა კატა ხვრელით გამოყვანილ მსხვერპლს, ზურგში კლანჭებს ასობდა და კლანჭებსვე გრძნობდა ზურგში, იქით, ათიოდ სახლს მიღმა კედელს აკრული კაცი, ვინმე დემეტრიო, სახეზე გაოფლილი ხელისგულები აეფარებინა, „სხვა გზა არ არის, დემეტრიო, უნდა გაიქცე... - ტიროდა ქალი, - უნდა გაიქცე!“ „ეგებ არ გამცეს...“ „ვინა, ჩიჩიომ? აბა რას იზამს...“ „დღესვე, ამ ღამით გავიქცევი... კაეტანოს მოვისყიდი, რიგრიგობით გაგვაპარებს, ნათესავადაც ცოტა

გვერგება“. „როგორ გენდობა იმ საიდუმლო გზის ჩვენებას...“ „თვალებს ამიხვევს ალბათ, და ისე...“ უფრთხიალებდა, საცოდავს, გული, და შოორს, შორეულ სერტანაში, დოლის ჯადოქარი გრეგორიო პაჩეკოც მსუბუქად აკაკუნებდა თავის საკრავზე დაკოჟრილ თითებს, თვალები უციმციმებდათ ცეკვის ეშხით ჟრჟოლამოგვრილ მწყემსებს, და დოლის მსუბუქად აცელქებულ ხმას უცებ ფლოქვების თქარათქური ფარავდა, ეს - მხიარული მწყემსი, მანუელო კოსტა მოჭენაობდა ბაზრობათა ქალაქიდან, ყოვლად უმაქნისი ნამცხვრებიანი აბგით ზურგზე და, აალებულ ხესთან ცხენს რომ გააქვავებდა, დიდ ორკუთხა ქუდს ლამაზად მოიხდიდა, მდაბლად მიესალმებოდა ყველას, და მარიამი საოცარი ხაზგასმით მიაბრუნებდა თავს. მანუელო კი თვალს ჩაუკრავდა ზეს, ძმაბიჭს, და უილაჯოდ იღიმებოდა. ვრცელი სერტანის ერთიან გულად გადაიქცეოდა გრეგორიო პაჩეკოს დაკოჟრილი ხელისგულების წყალობით დოლი, სერტანასავით ხან იდუმალად აჩურჩულდებოდა, ხან კი, სერტანასავით ხიფათიანი და მოულოდნელი, მძლავრ გულისცემად გამჟღავნდებოდა, ღონივრდებოდა, და ავისმომასწავებლად ახმიანდებოდა მერე - ეს ხომ აფთარი ეპარებოდა ქურდულად მსხვერპლს და, განაბული, ისკუპებდა მერე, მაგრამ სერტანაში - ხმელი, გულადი, პირდაპირი მამაკაცები ცხოვრობდნენ და მათ სადიდებელს აგუგუნებდა გრეგორიო პაჩეკო და სერტანელებს, აგიზგიზებულ ხესთან ამ საყოველთაო გულისცემით გაერთიანებულთ, უთქმელთ და უმძრახთ, ერთიმეორისათვს ხელების ჩაჭიდება და ფერხულად დატრიალება სურდათ - ახლობლობასა გრძნობდნენ... და დაოკებულ წრიალა სურვილს, იმდენად ძლიერს და საგრძნობს ისე, ზმორებამდეც კი მიჰყავდა მთელი სხეული და დოლის ეშხით აძიგძიგებული გრეგორიო პაჩეკო ქვედა ტუჩს კბილებშუა გამოიმწყვდევდა და, თავგადაგდებული, თვალებდახუჭული, გამეტებით რომ ააგუგუნებდა ღონიერ საკრავს, მანუელო კოსტა დეზებს ჩაასობდა ცხენს და აალებული ხის ირგვლივ შემოაჭენებდა; ორიოდ წრეს რომ შემოიფრენდა, უნაგირის წინა ქიმს ჩაეჭიდებოდა ათივე თითით, გადმოხტებოდა, წამით დაჰკრავდა მიწაზე ფეხებს და მაშინვე ისევ ამხედრდებოდა. შეაჩერებდა ცხენს, და რიგრიგობით ყველა სერტანელი იგივ ადვილ ილეთს ძალადაუტანებლად იმეორებდა. და მხოლოდ სამი ვაკეირო არ აჰყვებოდა ხოლმე შეჯიბრს - გრეგორიო პაჩეკო, ჟოაო აბადო და ზე. პირველს - რა ექნა, სერტანელთა დიდ, მრგვალ, ერთიან გულს წარმართავდა, მეორე - დიდი უჟმური გახლდათ და მესამეს კი, დიდი მწყემსის კვალობაზე, არ ეკადრებოდა ეს. და ისევ ჭენებით შემოურბენდა იმ უზარმაზარ სანთლად დანთებულ ხეს მანუელო კოსტას სულსწრაფი ცხენი, მისი ჩაუქი პატრონი კი ამ ფრენია ჭენებისას გადაიხრებოდა, გადაიხრებოდა, ცალი ხელით უზანგს ჩაბღაუჭებული, ცხენს მუცელქვეშ მოექცეოდა, თავქვედაკიდებული, ღონიერ თითებს მეორე უზანგს

ჩასჭიდებდა, მერე - უნაგირს, ამოტივტივდებოდა და ისევ გამართული იჯდა თავის ცხენის ირგვლივ ჩალიჩა წრეშემორტყმული მხიარული მწყემსი, „ფიიჰ, ტინგიცა“, აბუზღუნდებოდა ჟოაო აბადო. და იგივ ილეთს სუყველა მწყემსი იმეორებდა, ისევ იმ სამი ვაკეიროს გარდა, და გამეტებით დასცხებდა დოლს სრბოლის იშტაზე მოსული გრეგორიო პაჩეკო, და სხაპასხუპით ნათქვამ სიყვარულს ჰგავდა ყრუ, დაგუდული ეს გულისცემა, სერტანა ჩვენი, ერთფეროვანი... და ტკაცუნებდა ლამაზად განწირული აგიზგიზებული ხე, მაგრამ გრეგორიო პაჩეკოს გრძნეული დოლი ყოველივე სხვა ხმას ჰფარავდა, და მანუელოც, უცნაური ხრიკების იშტაზე დამდგარი, მიჭენაობდა და მერე, უცებ, უნაგირზე თავდაყირა იდგა! „ფიჰ, ქარაფშუტა,“ - შეიჭმუხნებოდა ჟოაო, მაგრამ სერტანელთა უმრავლესობა იგივ რთულ ილეთს იმეორებდა და მოუსვენრად ცმუკავდა ცხენზე თავის ახალ ჯერს მომლოდინე მხიარული მწყემსი. დოლის გუგუნი მძლავრად ისმოდა მთელ სერტანაში, თვალებს აფახულებდნენ შეშფოთებული ტურები, გამალებული წყევლიდა უპატრონოდ მიტოვებულ ძროხებს ცალფეხა ჭინკა, სასი, სერტანელები კი გრძლად ჩამწკრივდებოდნენ, ერთიმეორისაგან სამიოდ ნაბიჯზე იდგნენ, ხელთ - აალებული მაშხალები ეპყრათ, და ურთულესი ხრიკის შესასრულებლად ემზადებოდა მანუელო, ჩამოქვეითდებოდა. მღელვარებით აღვსილი, ცხენის სადავეს რომელიმე სერტანელს ჩააბარებდა და ლიცლიცა მწკრივის შუაგულისკენ გამართული მიაბიჯებდა. შედგებოდა და იღიმებოდა, და მერე - როგორ; სხვაგვარად როგორ! ხელს ასწევდა და მისკენ გამოჭენდებოდა სულსწრაფი ცხენი, ხელმაშხლიანთა გასწვრივ მიჰქროდა, და მანუელოს რომ მიუახლოვდებოდა, მხარუკუღმა გამოხედავდა მხიარული მწყემსი, სირბილით გავარდებოდა წინ და ცხენი გადასწრებას რომ დაუწყებდა, ხელებს ღონივრად დაიქნევდა, სკუპ ერთი! - და იჯდა, - ქარივით ულაყს ზედ უნაგირზე დაახტებოდა და, საკვირველებავ, სიხარულისაგან ერთ-ორს ქალივით შეჰკივლებდა კიდეც. მერე სიცილითვე ბრუნდებოდა გიზგიზა ხესთან. ჟოაოს გარდა, გაღიმებულნი შესცქეროდნენ, ასე განსაჯეთ, მარიამიც კი უჭვრიტინებდა - ან რა სიცილი იცოდა მაინც, როგორი თეთრი კბილები ჰქონდა! და მოლოდინით ივსებოდა, მთვარეს ნატრობდა, უკეთ რომ დაენახა სუყველაფერი - ბოლოს და ბოლოს, ზეს გული ვერ უთმენდა და, განრისხებულ დოლს აყოლილი, ისიც კი, ისიც, დიდი მწყემსი, ურთულესი ილეთის შესასრულებლად ემზადებოდა - სულწასული, დინჯად, ღირსეულად ჩამოქვეითდებოდა. ცხენს მანუელოს ჩააბარებდა და გასუსულ ხელმაშხლიანთა მწკრივში მიაბიჯებდა, მერე გამართული, ამაყი, მომლოდინე, იდგა. ცხენის გამოჭენებას უცდიდა ერთიანად აკრეფილი დიდი მწყემსი, და მანუელოც ზეს ხელის აწევისთანავე კაი მაგარ სილას უბოროტოდ მიაწებებდა გავაზე ფაშატს, და გაჭენდებოდა ცხენი. თავდავიწყებული გრეგორიო

პაჩეკოც კი შეწყვეტდა ხოლმე დოლის ბაგაბუგს და იმ სიჩუმეში მხოლოდ ფლოქვების ყრუ სხაპასხუპი და აალებული ხის ტკაცანი ისმოდა, ზე კი მოსხლეტილად აედევნებოდა ცხენს, გვერდიგვერდ გარბოდნენ, ზეს ხელებიც კი ზურგსუკან, ქამარში მაჯებამდე ჩაეყო, აჰ, ირთულებდა ამ ილეთს უფრო, გარბოდა როგორ, მაინც რამსიმაღლე ფეხები ჰქონდა, მერე კი, უცებ სკუპ ერთი! - და ფაშატის გავაზე იდგა დიდი მწყემსი, ისევ ქამარში თითებჩაყოფილი, ვაკეიროთგან უპირველესი, ზე მორეირა, და მოხიბლული უმზერდა ცოლი, ღაწვებს სიწითლე დაუბუჟებდა და არხეინად იდგა გაფრენილ ფაშატზე დიდი მწყემსი, ზე, კოხტად კი იდგა, მაგრამ ისევ ის, ძველი, ჩვეული დარდი მრთელ გულს უღრღნიდა - თავისუფალი არ იყო, არა... ლაგამს დასწვდებოდა, ოდნავ მოიზიდავდა და გახევდებოდა ცხენი, უნებური სიამაყით ჩამოქვეითდებოდა ზე, თვალებში ღონივრად უკიაფებდა აალებული, გაავებულად სულთმობრძავი ხის ახტუნავებული ცეცხლი, და იქით, ძალიან შორს, კამორაში, ცეცხლივე უკიაფებდა უეცრად სახვევჩამოგლეჯილ, კაეტანოს ვიწრო გალიაში მდგარ ვინმე დემეტრიოს - დაბნეული და გაკვირვებული, თორმეტ ხელმაშხლიანს შესცქეროდა, მდუმარე წრედ რომ შემორტყმოდნენ გალიას ირგვლივ, და ერთ-ერთი კი ღამის გოროზი დარაჯი, კაეტანო გახლდათ, ცბიერად იღიმებოდა. გრანდჰალლეს ბაღში, ძვირფას, საზარელ, კი, ბაღში იდგა ვინმე დემეტრიო, გაყიდული, და იდუმალ მეგზურს მიუბრუნდა - იქამომდე კაეტანო ეგონა... იმან კი, მეგზურმა, ჯერ ხელთათმანები დაყარა, მერე - ხის მოსასხამი და ბოლოს ნიღაბიც რომ მოიცილა,შიშით გამწვანდა დემეტრიო - ვიწრო გალიაში კადიმა იდგა, თვით ბეტანკურის უშუალო აღმსრულებელი, დიდი ჯალათი... შიში იყო თუ ბრმა გამწარება, სწრაფად მოუქნია დანიანი ხელი, მაგრამ ავად გაღიმებული კადიმა გრძელი, უძვლო თითებით მაჯაში სწვდა და ვიწრო დანა მაშინვე, წამში გააგდებინა, მერე კისერზე ორჯერ შემოაგრაგნა ცივი, მოქნილი, დაქერცლილი მკლავები და მეორე ხელის კლაკნილი თითები ხორხში ჩაავლო და მოუჭირა. თვალები ამოებურცა განწირულს, სქელი მურაბით გაწებილი, საზარელი თითებით ჩაფრენოდა ყელში, და სიამოვნება რომ გამოეზოგა, კადიმა მსხვერპლს წვალების გასაგრძელებლად კრუნჩხვად დაღებულ პირში ნივრით აყროლებულ სულს უბერავდა და, მერე კი ვეღარ მოითმინა, იმ ორად-ორი ყვითელი კბილით, ტუჩზე უკბინა! ერთი კი ასავსავდა და მაშინვე მოდუნდა მსხვერპლი, ხელებჩამოყრილს, კადიმამ ერთხელაც გამოზოგილი სიამოვნებით ჩაასუნთქა, მერე კლაკვნადქცეული თითები შეუშვა, ორმაგად შემოსალტული ხელიც მოაცილა და იქვე, პირქვე ჩაემხო დიდი მარშალის მაგინებელი. ნაცრისფერი თვალები უელავდა მიჩინიოს, ჯუჯა უმბერტომ კადიმას რძით გაპიპინებული დიდი ჯამი მიურბენინა, პოლკოვნიკმა მთელი ამ დროის განმავლობაში გულზე ამაყად გადაჭდობილი

ხელები ჩამოუშვა, დომენიკოსკენ გადაიხარა, „ხომ კარგად ხედავ, რასაც უშვრება, - ჯერ ასე ჩასჩურჩულებდა დომენიკოს, ისე, რომ გადანასკვულ წყვილს თვალს არ აშორებდა, - სად არის, აბა, სადაა მამა...“ დომენიკოს კი გულს აზიდებდა, ნერწყვმოძალებულს, მაგრად მოეკუმა პირი და, შიგანამომჯდარი, სიმწრის ცრემლებად იღვრებოდა, თვალები ჩაუსისხლიანდა, - „მამა რომ იყოს... - გახარებული ჩასჩურჩულებდა პოლკოვნიკი, - ამას დაუშვებდა?! ამას იზამდა?! სადაა, აბა, სად არის მამა... მამა არა, ის...“ კადიმამ მაღლა ასწია რკინის ბადე, გამოალაჯა, ჯამისაკენ წაიგრძელა ხელები, ვარდებში ჩარჩა დემეტრიო და იმისი დანა. და, გულისრევა რომ შეეკავებინა, ბაღის შორეული კუთხისაკენ გავარდა მგზავრი, ჭინჭარ-გვიმრაში სახით ჩაემხო, მსუსხავ, ცეცხლოვან ფოთლებს გააფთრებული გლეჯდა და მაგრად იხახუნებდა სახეზე, ცხვირ-პირს ჭინჭრის ფოთლებით დაუზოგავად იხურვებდა და იმ სიბნელეში რაღაც ეგრილა... ეს - გვიმრა იყო, გაოგნებული დასცქეროდა უბადრუკ მცენარეს, თანამგრძნობი, გვიმრა... რაღაცნაირად, მჭახედ მშვიდი სუნი ჰქონდა, გამალებული ყნოსავდა ათვალწუნებულ მცენარეს, და გულმა სიყვარულის რეჩხი რომ უყო, ნაზად მოისვა დათუთქულ სახეზე, ყურადღებას ვეღარ აქცევდა თავთით წამოჭიმული პოლკოვნიკის ხარხარს - „ეს ვინა ყოფილა, ეს რა ყოფილა, პირს ჭინჭრით იბანს, არ გამაცინა ამხელა კაცი?“ - როგორ ლაღობდა პოლკოვნიკი სეზარ, იცინოდა როგორ, - უჰ, მოვკვდი, მოვკვდი, ვაი, მუცელი, საპონიც ხომ არ გინდა, აგურის საპონი?

ზე წინ მიუძღოდა ცხენს, დაღლილ ფაშატზე მარიამი იჯდა. სადღაც ზურგსუკან ხრჩოლავდა აკვამლებული, ჩანახშირებული ხე, და გაკვირვებით უმზერდა დიდ, სევდიან ვაკეიროს რძით გაჭყეპილი ცალფეხა ჭინკა, სასი, - თავისუფალი არ იყო ვაკეიროთგან უპირველესი, თავისუფალი არ იყო, არა... და ჟოაო აბადო ცოლს უმძრახად რომ მიიყვანდა შინ და თავს დაიმარტოხელებდა, შორს, სერტანის სიღრმეში გაჰყავდა ცხენი, და მანუელო კოსტას ხრიკებს გულაჩქროლებული, და მაინც წარბშეყრილი იმეორებდა - დიდი უჟმურიც ჭეშმარიტი ვაკეირო გახლდათ... და, მოწყენილი, შინ ბრუნდებოდა, სევდიანად გასცქეროდა ღამეულ სერტანას უბირი ქოხის წინ ჩამომჯდარი მანუელო კოსტა, მხიარული მწყემსი, მთად დასწოლოდა ეს ბნელი ღამე, უძრავად იჯდა. კალაბრიაში იწვა სანტოსი, და რკინის გლეხი ძილში ბორგავდა - არა, არ იყვნენ თავისუფლები, თავისუფლები არ იყვნენ.

მაგრამ შავტანსაცმელაფრიალებული მენდეს მასიელი მალე დიდ კასრზე შედგებოდა და ჭრელაჭრულა ბრბოს დიდის ხმით ასე შეუძახებდა:

- ძმებო! ძმებო, შორსაა ჩვენგან დიდი მიწები - რომი, ბაბილონი, პომპეა და რიო დე ჟანეირო, მაგრამ...

კამორაში კი მძლავრად ისმოდა: - ღა-ამის ოთხი საათიაა და ყველაფერი გეენიიალურაადااااა!

* * *

- დღეს ისეთივე ლამაზი ხარ, როგორც ყოველთვის, და კიდევ უფრო, სულო, - ხელზე ემთხვია ნაშუადღევს გაღვიძებულ მეუღლეს, სტელლას, პოლკოვნიკი სეზარ, - როგორ გეძინა ძვირფასო, ღამით, თეთრი ღრუბლების ქულაში იწექ თუ გაწუხებდა ავი სიზმრები?

- რომელი საათი იქნება... - იკითხა სტელლამ, და გაიკვირვა, - რა დრო გასულა?

- ძალიანაც კარგი, დიდხანს რომ გეძინა - საღამოს ხომ შენი მაღალი ბიცოლაშენის დაბადების დღეობაა და მშვენივრად უნდა გამოიყურებოდე, სულო, რატომ გიყვარვარ?

- რა უნდა ვაჩუქოთ?

- რაღაც-რაღაცა მაქვს შენახული: ბრილიანტის ბეჭდები და პლატინის ერთიც სიმბოლური დანა.

მაინცდამაინც დალაგებულად ვერ საუბრობდა ყოჩაღი პოლკოვნიკი, ღელავდა ალბათ.

- ხომ კარგებია... - დუნედ იკითხა სტელლამ და ღილაკს თითი რომ დააჭირა, ნაზი შრიალით ატივტივდა ძვირფასი ფარდა.

- ას-ასიანი. რატომ გიყვარვარ?

- წვიმს.

- ფუჰ...

- რატომ - ფუჰ... - დაინტერესდა სტელლა.

- რადგან წვიმს, სულო.

„წინამძღოლი, ეჰ“ - თაროზე სახედალაქული დომენიკო იჯდა.

- როდის წავიდეთ.

- შვიდისთვის, ასე...

- გვირაბით გავალთ?

- რა ვიცი... შენ როგორც ინებებ, სულო, გენატრებოდი?

- ეს როდის...

- ღამით.

- აეს ვინაა?

- სათამაშოა, ძვირფასო, სტელლა, გაგიჟდები, ისეთი კარგი რაღაცაა - დილდილაობით პირს ჭინჭრით იბანს და მერე გვიმრით იმშრალებს ხოლმე, ნახე, რასა ჰგავს, ასე დალაქავებული როგორ წამოვიძღვანიო დაბადების დღეზე, თუმც, საღამომდე ალბათ გადაუვლის და მუსიკაო, თუ ეტყვი, ტირის. ჰო, მართლა, სტელლა, იქ ხომ დაუკრავ?

- თუკი ბიცოლა მერსედესი მთხოვს...

- მოგთხოვს, აბა რა, და არ უნდა წაივარჯიშო?

- მართლა, ხო იცი... - ჩაფიქრდა სტელლა.

- მასწავლებელი არ გინდა მერე?

- კი, როგორ არა.

- ახლავე მოგგვრი, - მტკიცედ აღუთქვა პოლკოვნიკმა და კოხტა ზარი გააწკარუნა.

კაპრალი ელიოდორო ზღრუბლზე რომ გაიჭიმა, პოლკოვნიკმა დომენიკოს შეხედა და თქვა: - სულ ათ წუთს გაძლევ - სრულიად კამორას რომელიმე უპირველესი მასწავლებელი უნდა მომგვარო, მუსიკის დარგში. ათ წუთში-მეთქი - ან ცოცხალი, ან მკვდარი.

- მკვდარი რათ მინდა... - გაიკვირვა სტელლამ.

- ჰო, არა, არა, აუცილებლად ცოცხალი იყოს, ეს რა ვთქვი?! - გამოასწორა პოლკოვნიკმა, და მორჩილ კაპრალს წამით სახეზე მოუცურა მზერა, - ოცდაშვიდი ოთხია.

- მესმის, გრანდჰალლე, - თავი ჩაღუნა ელიოდორომ, - წავიდე?

- წადი.

გაშპა.

- ყური დამიგდე, ძვირფასო, სტელლა, - წამოიწყო პოლკოვნიკმა, აღელვებული ჩანდა, - ეგღა მაკლია, ძვირფასო სულო, ვიღაც მასწავლებელს პირდაპირ დახვდე. წადი, ჩაიცვი... არა, ეე, სხვა ტანსაცმელი გადაიცვი, როგორ გიხდება, აჰ - ვარდისფერი, წაისაუზმე და კარგად იცოდე, შენ, სწორუპოვრად დიდი მარშალის მკვიდრ დისშვილსა და მისი მარჯვენა ხელის ქმრის ცოლს, არა, პირდაპირ ცოლს, არ გეკადრება, ვიღაც ვიგინდარას სამეცადინოდ აი ეგრევე, გამზადებული დახვდე, გრეგ რიკიოც ხომ არ უარყოფს ამას. სამი.

- რااო?

- ეეე, არა... ჰო, ის გითხარი, ჯერ ერთი, შენ არ გეკადრება-მეთქი, მეორეც-მე არ მეკადრება და მესამეც - გრეგ რიკიო არ უარყოფს-მეთქი - სამი-მეთქი. გამიგე?

- არა.

- სტელლა, სტელლიტა, ჭუკ-ჭუკ, - დაუყვავა პოლკოვნიკმა, - ყური დამიგდე, შენ, ჩემმა ცოლმა ჩვეულებრივ მოქალაქეს ოციოდ წუთი მაინც უნდა აცდევინო. ახლა გამიგე?

- ახლა ჰო.

და ქალი როგორც კი გავიდა, ფიქრს გაყოლილმა პოლკოვნიკმა ასე იკითხა:

- ხომ დიდი მკერდი აქვს?

- დიახ.

- ვენაცვალე.

დიდი სარკის წინ ბოლთასა სცემდა. თმაზე ფაქიზად გადაისვა ხელი.

- ოცდაშვიდი ოთხია? - თავი შემოჰყო კაპრალმა ელიოდორომ.

- შემოიყვანე, შემოიყვანე, - აფორიაქდა პოლკოვნიკი სეზარ და ხავერდის ნიღბიან-მოსასხამიანი ქალი ისე მიზანსწრაფულად გამოემართა მისკენ, წამით თვალებაციმციმებულ პოლკოვნიკს ფერი ეცვალა და კაპრალს მიუგდო: „გად-დაიკარგე, ჩემო კაპრალო“, სამნიღა დარჩნენ, ქალმა გზადაგზა ნიღაბი მოიცილა, „ჩამოდი, ბიჭი, - თქვა პოლკოვნიკმა, სუზანნას ხელისგულით ანიშნა შეჩერება,

აღფრთოვანებული შესცქეროდა - აიმ კართან დადექ, ბიჭი, და კარგი სტელლა როგორც გამოჩნდება, ჩვენკენ მობრუნდი და წამოიტირე - მშიაა, მშიااااა... გამიგე?“

- დიახ.

და დომენიკო ჯერ კართანაც არ იყო მისული, პოლკოვნიკი სუზანნას რომ შემოეხვია, მაგრად მიიკრა მამაცურ მკერდზე, ყურზე ჰკოცნიდა. „აჰ, ფედერიკო, - ძლიერ ღონივრად ჩურჩულებდა თავგადაგდებული ქალი, - მე სახიფათო სიყვარული მწამს...“ „სუზზი, მსხმოიარევ...“ „როგორ მიყვარხარ... შენ თუ გიყვარვარ?“ „აბა ეგ განა საკითხავია? - გაიმართა პოლკოვნიკი და თვალებში დამანამუსებლად ჩახედა, - აბა, რას ამბობ, ჰა, სუზზი?“ „რატომ გიყვარვარ?“ - აცელქდა ქალი, „კარგი რა, სუზზი, - გუნება წაუხდა პოლკოვნიკს - აბა, როგორ შეიძლება მაგისი ახსნა? მიყვარხარ და მორჩა, ეს შეიხსენი...“ „რომ შემოვიდეს?“ „ნუ გეშინია, ეს აბღავლდება.“ „მე მეშინია? - ღირსეულად გაიოცა ქალმა და პაწია ღილზე წაივლო ხელი, - მე ხომ სახიფათო სიყვარული მწამს...“ „რატომ, ჭუკი-ჭუკ?!“ „აბა, რა ვიცი, მწამს, მწამს და მორჩა, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი...“

აქ პოლკოვნიკმა წარბი აზიდა: - ერთი მოსასხამი მაჩვენე შენი...

- რად გინდა, ფედერიკო?

- ვაჰ, რას გადავრჩით?! - მსუბუქად გაიკვირვა პოლკოვნიკმა, - შუა კამორადან ამოგიყვანეს ვითომ და - წვეთიც არ დაგცემია?

- რატომ უნდა დამცემოდა.

- გაიხედე... წვიმს.

- აბა, მე რა ვიცი, ფედერიკო, ისეთ ოთახში დამამწყვდიეთ და გამათევინეთ ღამე, არც ფანჯარა ჰქონდა, არც კარი და რანაირად უნდა გამეგო... და კიდევ კარგი, ის მაინც რომ დამიდგით.

- ჭერზე მაინც არ აკაკუნდა?

- აბა, რა ვიცი, გული მიცემდა. თანაც, სახვევი ყურებზედაც მქონდა შემოვლებული... და ეგებ ლანდოთი მოვედი თქვენთან?

- და ძვირფას ბაღში, ვარდებზეც ლანდოს გადააატარებდნენ, არა?

- ჰო, არ გამოდის, - დათანხმდა სუზზი, - იმან რაიმე ხომ არ იყიდა?

- არა, მთელი ღამე ვამორიგევე და საღამომდეც ვარდებში იწვება. აბა, გაშალე...

და პოლკოვნიკმა ნოხზე გაფენილ მოსასხამს მრავლად აპკურა წყალი, სკამზე თვალშისაცემად გადაფინა მერე. „მოდი აქ, სუზზი...“ „რა-ატომ?“ - ისევ გაცელქდა ქალი, „იიი-მიტოომ“, - ცელქადვე უპასუხა ყოჩაღმა პოლკოვნიკმა, მაგრამ აქ დომენიკომ ფრთხილად წამოიტირა: „მშია, მშიაა...?“ - პოლკოვნიკი მომცრო მაგიდას გადაახტა და პირდაპირ რბილ სავარძელში გაადინა მსუბუქი ბრაგვანი, აწეწილ თმაზე გადაისვა ხელი, სუზზიმ კი სასწრაფოდ შეიბნია ღილი, კდემამოსილად აისვეტა ძვირფას საკრავთან და თავი ჩაქინდრა.

- სად ხარ აქამდე, ძვირფასო, სტელლა, - ზეწამოიჭრა პოლკოვნიკი, მეუღლეს ხელზე აკოცა და ქვეშ-ქვეშ მომზირალმა სუზანნამ კი მსუბუქად მოიკვნიტა ტუჩი, - თუმცა ჰო... დიახ... ერთი თხოვნა მაქვს - გიყურო-მინდა.

- მიყურე რა...

- მე ისე მიყვარს, როცა შენ უკრავ... ფიანდაზ ხმაზედ... კარგად ამეცადინეთ, ქალო, თორემ ჩემთან გექნებათ საქმე.

- ცდას არ დაგაკლებთ, გრანდჰალლე, - მიუგო სუზზიმ, კაბაზე წაივლო თითები, ოდნავ გაშალა და წამით ჩაიმუხლა.

- შენ კიდევ, ბიჭი, თუ გშია, აგერ, ნამცხვრები და მიირთვი, მარგებელია სიტკბო.

- ამან სიარულიც იცის?! - დუნედ დაინტერესდა სტელლა.

- კი, როგორ არა... კი. თავისუფლად... რა მშვენიერი სათამაშოა, ხომ?! - დაქოქვაც არ უნდა და არაფერი.

- ხომ არ დაგვეწყო? - იკითხა სტელლამ.

და, დატრიალდა: ლაპლაპა საკრავს მიუსხდნენ ორნი, პოლკოვნიკი რბილ სავარძელში გადაეფლო, დომენიკო - თაროზე აძვრა „ერთიორისამიოთხი, ერთიორი... - ხმამაღლა ითვლიდა სუზანნა, სტელლა კი თუმცა უგულოდ, მაგრამ საკმაოდ მოხერხებულად ათამაშებდა თითებს საკრავზე, - სამოთხ... ეს ბგერა - პამ - მესამე თითით უნდა აგეღოთ, მოხერხებულია უფრო, მაღალო ქალბატონო“ - ურჩია სუზზიმ, სტელლამაც სცადა, და მოეწონა, - „აჰ, რა კარგია? როგორ ვერ მივხვდი...“ დიდად მხიარული რამ მარში გახლდათ, მაგრამ გულცივად უკრავდა სტელლა, მოშვებულადაც იჯდა... თაროზე შესკუპული, ყელში გორგალგაჩრილი დომენიკო კი ამ სულელურ მუსიკაზეც ძლივს იკავებდა მსხვილ, მძიმე ცრემლებს - საბრალო

მგზავრი... ფედერიკო სეზარ კი ძალიან გრძელ და ჩახლართულ ფიქრებს მისცემოდა - რატომღაც ეგონა, რომ ეს ყველაფერი, ყოველივე ეს - როდესღაც უკვე იყო. და დაკვირვებით ათვალიერებდა იატაკს, სკამებს. კი, კი, კი, იყო, ნამდვილად იყო, ვერ იხსენებდა თუმცა და რაღაც ჩასაბღაუჭებელი იზიდავდა, მიუწვდომელი და უხილავი, ისეთი უცხო, ისე სლიპინა, აჰ, შორეული ისეთი რაღაც, და მაინც მისი, თავისეული, სულის სიღრმიდან ამომდინარი, ნაცნობი ისე, - შეშინდა კიდეც და უფრო ადვილ, მსუბუქ ფიქრებზე გადავიდა. „უცნაურია, - ასე მსჯელობდა პოლკოვნიკი სეზარ, - სად ჩაისახა ეს ორი ქალი, ვინ რანაირად გავიცანი, როგორ აღმოვჩნდით აქ ახლა, ერთად, ანდა ეს როგორ გამომყვა ცოლად, ლამაზი კი ვარ, მაგრამ არც არასოდეს არ ვყვარებივარ, როგორ გამომყვა, ან ამას რატომ შევუყვარდი, თან სახიფათოდ. მე რომ საერთოდ არ დავბადებულიყავ, რაღას იზამდნენ მაშინ, თუმცა, რაიმეს მაშინაც ალბათ იზამდნენ, ქალების დედა, სად იქნებოდნენ უჩემოდ ახლა, უცნაურია, ჩვენ სამნი ახლა აქ რომ ვართ“, - დომენიკოს არა თვლიდა, აი, სწორედ მას, ვის გულისთვისაც მთელი ეს აწეწილი ამბები ხდებოდა, მართლაც რომ უცნაურია, არა? ხომ ისევ აქ ხართ... „ანდა, ვინ იცის ნეტა, რამდენი წინაპარი გვყავდა, - განაგრძობდა რთულად ახლართულ მარტივ ფიქრებს პოლკოვნიკი სეზარ, - და იმ წინაპართაგან რომელიმეს ნაადრევად რაიმე რომ მოსვლოდა, - აჰ, რა შემთხვევით იბადება თუნდ ერთი კაციც, ჰეიი, ჰეჰეე - საიდან მოდის, და აუარება წინაპრებში ვინმეს რაიმე რომ მოსვლოდა, სიკვდილის მეტი რაა, აქ აღარც ერთი არ ვიქნებოდით, ჩემთვის უცნობი რომელიმე წინაპრისაკენ ნასროლი შუბი უცნაურია, ათას კაცს აგვცდა, რა არის მაინც, რა იღბალია, ახლა, ამ წუთას ჩვენ სამივენი აქ რომ ვყოფილიყავით, რამდენ რაღაცას გადავრჩით ალბათ, სრულებითაც რომ არ ვიცოდით, ისე, დაბადებამდე რამდენად ადრე, ხიფათი გვდევდა, და გაგვიმართლა, გაგვიმართლდა როგორ, აუარება რამ ხიფათს რომ ავცდენოდით, ახლა აქ, ახლა, სამივენი რომ ვყოფილიყავით ერთად და სამნი რადგან ვართ, სამჯერ აუარება გამართლება გამოდის და, თუმცა, ეს ყველაფერი ხომ უკვე იყო! ეს თანაც... აჰ, - და აქ კი ასეთი რთული, უცხო სიღრმეებში მობოდიალე ფიქრი ისე მარტივად გააწყვეტინეს - სუზანნამ უკან გააჩოჩა ფეხი, მაღალი ქალბატონის შეუმჩნევლად ფრთხილად აიცურა კაბა და პოლკოვნიკს თითქმის მუხლამდე დაანახა წვივი. და ბედისწერა-გენეალოგიაძიებადავიწყებულმა პოლკოვნიკმა უნებურად თვალგაქცეულსა და მერე მზერაგაშტერებულ დომენიკოს მუქარით დაუქნია თითი, და ახლა ჭერში იყურებოდა კამორაში გაჩხერილი მგზავრი... პოლკოვნიკს კი მთელი სხეული, ორად გაეყო - ცალ მხარეს მხოლოდ საქმეგაჩენილი თვალები გახლდათ, მეორე მხრივ კი - მზერაწართმეული სხვა დანარჩენი, თვალების შურით დაბრმავებული სხვა ნაწილები, თითებს, ლოყებს, ნეკნებს და ტუჩებს, აჰ, ლამაზ

მსხვილ ტუჩებს მხვრეპავი თვალებისა შურდათ, იმათაც მოუნდათ საქმე, თან - გემრიელი, სახიფათო და ცალი წვივით აღელვებულ პოლკოვნიკს იქვე მოუნდა უფრო რამ მეტი, და მოიფიქრა:

- სტელლა, სტელლიტა, ჭუკი-ჭუკ... ახლა კი მშვენივრად უკრავ, მაგრამ აქ სხვაა, სხვა გარემოებაა. მშვიდად ხარ რადგან, იქ კი, სტუმრებში, დაკვრისას უფრო დაიძაბები, იღელვებ ალბათ, სულ ასე თავჩარგულიც ხომ ვერ დაუკრავ, და ხანდახან ვინმე რომ გაგიღიმებს, ღიმილიც უნდა ხომ დაუბრუნო და მე თუ მკითხავ თვალდახუჭულსაც უნდა შეგეძლოს დაკვრა... ყოველი შემთხვევისათვის, სტელლიტა...

- კი შემიძლიან, - გათამამდა სტელლა.

და სანამ სტელლა თვალებდახუჭული უკრავდა, სუზანნამ ფარულ სიყვარულს ორი სახიფათო ჰაეროვანი კოცნა შეუთვალა.

- აკი დავუკარ? - იკითხა სტელლამ.

- შენ ალბათ ბოლომდე არა გქონდა ეგ ყოვლად ლამაზი თვალები დახუჭული, სულო, - შეეთამაშა ყოჩაღი პოლკოვნიკი, - ალბათ ჩუმ-ჩუმად იჭყიტებოდი.

- არა, რას ამბობ... კი, როგორ არა...

- აბა ეგრე როგორ დაუკრავდი, სულო.

- თუ არა გჯერა, მაშინ...

- აი, მე მხოლოდ ასე დავიჯერებ, - შავი თავსაფარი შემოახვია სტელლას პოლკოვნიკმა, მაგრად განასკვა და გაიხუმრა, - თუკი დაუკრავ, რაღა თქმა უნდა.

სტელლა მშვენივრად შეუდგა დაკვრას, პოლკოვნიკმა კი სუზის ყელზე აკოცა, და მბზინავ თმაში შეუცურა ხელი.

- ხომ ვუკრავ, ვუკრავ? - იკითხა თვალებდალუქულმა სტელლამ.

- კი, როგორ არა, - თქვა პოლკოვნიკმა, სუზანნა ცხვირზე ეფერებოდა, - განაგრძე, მიდი...

დომენიკო მაღალი თაროდან პირდაფჩენილი იყურებოდა.

- ჩემ მიერ შემოთავაზებულ რიტმში თუ შეძლებთ, მაღალო ქალბატონო, დაკვრას? - მოწიწებით დაეკითხა სუზზი და თანაც პოლკოვნიკს საყელოში ღრმად ჩაუყო ხელი.

- შეძლებ, სტელლიტა, მჰჰჰუ? - იკითხა პოლკოვნიკმა, ეღიტინებოდა.

- შევძლებ, აბა რა, - გაყოყოჩდა სტელლა.

- ააბა, მიდით, მაღალო ქალბატონო, აბა ჰე! - შეაგულიანა სუზზიმ, თანაბარ ტაშისცემას მოჰყვა, თანაც პოლკოვნიკს მსუბუქად უკბინა ყურზე და დომენიკოს ისევ ზიზღიანი ნერწყვით აევსო პირი.

დიდ მწყემსს, ზე მორეირას, ცოლთან ერთად ცხენზე შეჯდომისა რცხვენო და.

ტაშ-ტაშ, „ძალიან კარგი“, - ჩაურთო სუზზიმ, ვისაც სახიფათო სიყვარული ძლიერა სწამდა, ტაშ-ტაშ, - და წამოდგა, პოლკოვნიკს სწრაფად შეუცურა იღლიებქვეშ ხელები, მკერდზე მიეხუტა, პოლკოვნიკის ზურგს უკან კი ჟრჟოლადავლილი ხელისგულებით თანაბარ ტაშსა სცემდა და ყოჩაღად უკრავდა თვალებახვეული სტელლა. მერე სუზზიმ ძლივას მოსწყვიტა პოლკოვნიკის მსხვილ ტუჩებს ბაგე და ნაზად წარმოთქვა - „ახლა არათანაბარ რიტმში თუ ამყვებით, მთლად საუცხოო იქნება, მაღალო ქალბატონო“, - პოლკოვნიკი დომენიკოსკენ გაახედა, ანიშნა რაღაც და პოლკოვნიკმაც დომენიკოს მყისვე მიუთითა - „შენ დაუკარი... ტაში...“ „მე?“ - გულზე თითი მიიდო დომენიკომ, ვერაფერს მიხვდა. პოლკოვნიკი კი მიწებებულ სუზანნაიანად ფეხისწვერებზე მიუახლოვდა, სკამზეც ერთად შედგნენ, და თავდახრილ დომენიკოს ჩასჩურჩულა - „ტაში დაუკარ, თორემ მიჩინიოსთან შეგაგდებ, ლეკვო...“ აჰ, მუსიკალური საათები, რა დიდებული კვარტეტი იყო - პოლკოვნიკი და სუზზი პირველ-მეორე ხმასა ჰგალობდნენ, თაროზე შემჯდარი, დიდი ბითური არათანაბარ ტაშ-პიჩიკატოს ალტზე ასრულებდა და მეოთხე, სტელლა, ეს ნაზი ქალი, თავისი ჭკუით უმთავრესი ხმა, უმოწყალოდ აშლილ კონტრაბასზე თუ უკრავდა მხოლოდ, მაგრამ პოლკოვნიკს მაინც ჩაშხამდა - ეს ყველაფერი კი, იყო, იყო... საიდან გაჩნდნენ, როგორ მოვიდნენ და განმეორდნენ, და აუარება წინაპრებში რომ... რომელიმეს რაიმე რომ მოსვლოდა, იქნებოდნენ კი? უცნაურია, სად ჩაისახნენ, - ფიქრობდა სეზარ, - ან ამას ნეტავ რად შევუყვარდი, ან იმას რატომ არ ვენაღვლები, სად გავიცანი, როგორ აღმოვჩნდით აქ, ამ ოთახში სამივე ერთად, ანდა ვინ იყო პაპათა პაპა, შებერტყილი თუ დიდი ბითური, რას იფიქრებდა, როგორ გადარჩა... ჩვენც აგვიკიდა... და ვინმე უტვინო, გაბანჯგვლული პირველყოფილის ფერხთა მტვერიც რომ გამოვდივართ სამთავე, ფუჰუჰ...

შორი გზიდან მოდიოდნენ სუზანნა და სტელლა.

ალექსანდროს ძმა! -

და დომენიკო თავის მდიდრულ საკანში რომ დაბრუნდა, ვერცხლის ვიწროყელიან სურაში ჩაჩხერილი ბარათი დახვდა: „პოლკოვნიკის, მიჩინიოს, კადიმასი და მისთანანის ნუ გეშინია - დიდი-დიდი, მოგკლან, მარშალ ბეტანკურს მოერიდე - შეიძლება წარგწყმიდოს“.

ალექსანდროს ძმა...

აქვე მთავრდება თავი მეორე - „დროსტარებანი“.

თავი მესამე

დაბადების დღეები

იმ სამ მხლებელთაგან, მარშალ ბეტანკურს ყველაზე ძვირფას, მოსარკულ დარბაზში სტუმრებთან რომ უნდა შეჰყოლოდა, პირველი - ჯუჯა უმბერტო იყო. მომცრო სენაკში იდგა, იცდიდა. უხმაუროდ, მცირედ გაიღებოდა კარი და ვიწრო ღრიჭოდან საჩვენებელი თითით იხმობდნენ. მარშლისა გახლდათ - მსგავსი ალმასი სხვას ვის ეკეთა... და პატივისცემითა და აღმაფრენით გაპიპინებული ჯუჯა მსწრაფლ მიირბენდა კართან, გამოაღებდა, მოსასხამის კალთაზე ემთხვეოდა ვრცელ ნავთსაყუდარს. მარშალიც მიეფერებოდა - ჯერ ხელთათმანში გაჭიმავდა თითებს, მერე ხელისგულს თავზე ადებდა, ვიწრო დერეფანს გაუყვებოდნენ, აქ - დროებითი საკნები იყო, გამორჩეულთა ღირსი, და ერთ-ერთ საკანში მორჩილად იცდიდა თვით გრეგ რიკიო, კამორელთა პირქუში კერპი. ჯუჯა უმბერტოს - ხელისგულის მკაცრი ჩვენებით დერეფანში გაახევებდა დიდი მარშალი, თავად - ფრთხილად დააკაკუნებდა კარზე, თავაზიანად იკითხავდა: „ხომ არ შეგაწუხებთ, რომ შემოვიდე, ჩემო გრეგ?“ „რახან მობრძანდით... რა გაეწყობა“ - პასუხი იყო, ზრდილობითა და კადნიერებით თანაბრად სავსე, მდიდრულ სენაკში შედიოდა დიდი მარშალი და სანამ კარი მიიხურებოდა, ღირსეულად გამოიყურებოდა ფერთა დიდოსტატი, კარის მიხურვისთანავე კი, მისი გაუგონარი სიგოროზის ერთადერთი მოწმე, ჯუჯა უმბერტო მიღმა რომ დარჩებოდა, ორსავ მუხლზე დავარდებოდა. ნოხში ჩარგავდა ვიწრო, მაღალ შუბლს, - აჰ, ჩემო განუყრელო მუზზავ, და ოლიმპო, გრანდიოზულო დიად-მარშალო, სამფენ...“ მაგრამ მარშალი აწყვეტინებდა: „ჯერ ტაში შემოჰკარ, მერე შეხტი და ხელებგაშლილმა დაიძახე: „ჰოპ!“ და გრეგ რიკიოც ჯერ მონდომებულ ტაშს შემოჰკრავდა, მერე ღონივრად შეხტებოდა და ხელებგაშლილი დაიძახებდა: „ჰოპ“! „უფრო მძლავრი ჰოპ!“ - შეიჭმუხნებოდა დიდი მარშალი და სავარძელში ჩაეფლობოდა. „ჰჰოპპ“! - მთელის არსებით შეჰღრიალებდა ფერად მუზათა ნავთსაყუდარი და მოლოდინად გადაიქცეოდა, მარშალი კი ვერცხლის მცირე ჩაქუჩით თხილს გატეხავდა, ნაჭუჭს შემოაცლიდა და, კვლავ ორსავ მუხლზე დავარდნილს, ხელთათმანიანი თითებით პირში უდებდა. წინა კბილებით იღეჭებოდა მუზათ მეგობარი გრეგ, მადლიერებისგან ცრემლმომდგარი თვალებით აჰყურებდა, დიდი მარშალი ედმონდო ბეტანკური კი ზედ კინკრიხოზე მსუბუქად უკაკუნებდა ძვირფას ტყავში გამოხვეულ თითებს, ხმამაღლა ფიქრობდა: „შენ ხალხის თვალში გოროზი და ქედმაღალი უნდა იყო, რიკიო, გესმის? ამ დაშინებულ ხალხს შენ, მუზათა ეგრეთწოდებული მეგობარი, ჰმ, ჰეჰ... - ჰაერივით სჭირდები და სწორედ

შენში იმ სითამამესა და შეუპოვრობას უნდა ხედავდნენ, რაზედაც ღამღამობით იშვიათად, შეუგნებლად ოცნებობენ და შენს იმ ქედმაღლობაში, ჩემი წაქეზებით რომ გამომდინარეობს, იმ ოცნებათა დაკმაყოფილებას ხედავენ, და რადგან ყველას უნდა თავისი მოჩვენებითი ნამცხვარი, რიკიო-ჩემო, ჰეჰ, ვარდისფერი კრემით გაჟღენთილი და დალბილებული, პირველ თოვლივით მსუბუქი და შემოდგომასავით ნოყიერი, შეზავებული ნიგვზითა და მარწყვით, ნაღებითა და კვერცხით, ვანილნაპკურები, ჩემო, და მოხატული ათასგვარი სულელური ცხიმოვანი ხაზითა და ფერით, რადგან სჭირდებათ ესე ნამცხვარი, შენ, გრეგ რიკიოს, მე, დიდმა მარშალმა მოგეც პალიტრა, ფუნჯი და ტილო, მოგეც ქონება, აჰ, მარმარილოს რა ჭიშკარი შემოარტყი შენს მდიდრულ ბინას, ეზოში ავი ძაღლებიც გივის, და ქონებასთან ერთად მოგეც პატივისცემა, და შენს სიტყვებსაც მეტი ფასი რომ მისცემოდა, შენი გულისთვის სულ სხვა ქალაქში ექსპერიმენტულად ავალაპარაკე ფსევდოკეთილმოუბარი დუილიო, რათა მის ბაგეთაგან გადმომდინარი მთხლედან შემერჩია იშვიათად გამორეული ნაღები და ყოველივე ეს შენ მოგეც, რათა ხატო და ხატო, რიკიო, გესმის?“ „როგორ არ მესმის, დიდო მარშალო, სამფენ...“ „ჩემთან არ გინდა ტკბილმოუბრობა, - აწყვეტინებდა დიდი მარშალი, - ჩვენ ერთმანეთი მშვენივრად ვიცით. და ქედმაღლობას თუ დაივიწყებ, - ახლა კი არა - ხალხისა თვალში, თვით მიჩინიოს, ანდა კადიმას ცალი თვალით ვანიშნებ შენზე...“ „რა დამავიწყებს, დიდო მარშალო, სამფენ...“ „ძალიან კარგი, - ამბობდა ედმონდო ბეტანკური და ხელთათმანიან-თხილიან თითებს პირში უდებდა, - რადგან მონურად ერთიანად მორჩილ და მაინც ჩემს განსხვავებულ, სამფენოვან ხალხს შენდამი რწმენა დაეკარგება, და ვაითუ რომ, საკუთარი რწმენის ძებნას შეუდგნენ, შენში ხედავენ თავიანთ სიამაყეს, და შენი ქედმაღლობის ხარჯზე უნდა მოდუნდნენ... დიდი ფუნქცია გაძევს კისერზე, დიდი ფუნქცია, გრეგ, აბა, წამოდექ, და გაიბღინძე“. ჰოჰო, რა თვალებს აკვარკვარებდა? „ახლა გაწექი“. მორჩილად იწვა. „აბა, ეს თხილი გამომართვი და მოისროლე...“ ხელუკუღმა ისროდა ნუგბარს მუზათმპყრობელი. „ახლა მოძებნე და ჩაიტკბარუნე პირი“. და დიდი ტახტის ქვეშ შეგორებული თხილის მოსაძებნად რომ წაიკუზებოდა ქედმოხრილი გრეგ, თხილი თავისით გამოგორდებოდა. აჰ, იმ ტახტის ქვეშ ალბათ ვიღაცა იწვა! და სანამ აკანკალებული, იღეჭებოდა, დიდი მარშალი დაუყვავებდა: „ახლა კი წადი, რიკიო ჩემო, სტუმრებში გაერიე და, მშვენივრად იცი იმ ბრიყვთა აღფრთოვანებული, მოწიწებული მზერა სულ რომ გაგიქარვებს ამ პაწია შიშს, თავს კაცად იგრძნობ. ჩემს გამოჩენას ამაყად შეხვდი“, „მესმის, მარშალო“. „იქიდან გადი. დერეფნის ბოლოს შვიდი მსახური იდგება მარცხნივ, მეორეს უთხარ, რომ ოცდაშვიდი ზუსტად ექვსია“... „მესმის, მარშალო“, - და გასწორუპოვრებული გრეგ რიკიო, ვინაც მშვენივრად იცოდა რაკურსის ფასი, სულ სხვა კარიდან გადიოდა და

მერე მარშალი, მცირე ხნის შემდეგ, მაგიდაზე მიგდებულ ხის მრგვალ, ვიწრო საკრავს აიღებდა და თვალთმაქცურად ჩაჰბერავდა სულს. და სიფრიფანა, გამჭვირვალე ხმაზე ტახტის ქვემოდან მოხოხავდა კადიმა, ერთიანად გამოძვრებოდა, მთელი ტანით აიმართებოდა მერე და გაყინულ მზერას სადღაც მარშალის გვერდით ავი ნაღველით გაახევებდა. მარშალი კი ფეხისწვერით ფრთხილად მიუჩოჩებდა რძით სავსე ჯამს, დაკვრას არ სწყვეტდა, და მადააშლილი კადიმა თავს ჯერ გვერდზე შეაბრუნებდა და ერთხანს ზემოდან ასე დასცქეროდა მონატრებულ სითხეს, მერე ერთბაშად წაიხრებოდა და, მორკალული, რძიან ჯამში სახეჩამხობილი, იმ გრძელი ენით სვრეპდა და სვრეპდა. იზმორებოდა თან... დერეფანში ჯერ ბეტანკური გამოდიოდა, რწევით მოსდევდა უძვლო კადიმა და მის დანახვაზე საბრალო ჯუჯას ბალანი აეშლებოდა, ორიოდ კარს უმძრახად ჩაუვლიდნენ და დერეფანში ტოვებდა მხლებლებს დიდი მარშალი, თავად, - მდიდრულ ოთახში იდგა. დაბალ მაგიდას ოთხი გენერალი უჯდა, ქაღალდს თამაშობდნენ. მარშალის გამოჩენისთანავე ალყაშემორტყმულ მაგიდაზე მიაგდებდნენ კარტს და ისე სწრაფად ზეწამოიჭრებოდნენ, რომელიმე უნებურად შუშხუნასაც კი წააქცევდა და, გაჭიმულები, სამხედრო ყაიდაზე იდგნენ, მარშალი კი შუშხუნას მცირე, ათასგან ახამხამებულ გუბეს დააცქერდებოდა, იტყოდა მერე: „დაბრძანებას გთხოვთ, ბატონო გენერლებო... „აჰ, არა, არა, ასე ვიდგებით, გრანდისს...“ მაგრამ მარშალი იმეორებდა: „დაბრძანდით-მეთქი“. გაჭიმულები ისხდნენ, დიდი მარშალი ბოლთასა სცემდა, ეჭვიანობდა: „ჰმ, ფეხზე დგომაც რომ მოინდომეს... ფეხზე რომ დადგნენ, ჩემს შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ხომ ვერ წამოხტებიან და...“ ბოლთასა უცემდა, „სხვა, როგორ მიდის ცხოვრება, ჩემო?“ - ლამაზ გენერალს ეკითხებოდა. „გმადლობთ, მარშალო, - წამოიჭრებოდა გენერალი, - მოგეხსენებათ, სამხედროთა ცხოვრების... მკაცრი, საკეთილდღეო წესი...“ „დაჯექი, დაჯექ, დონნა გუმერსინდა როგორ ბრძანდება?“ „გმადლობთ, გრანდ... - ისევ წამოიჭრებოდა ლამაზი გენერალი, - ისსიმოჰალლე...“ „შენ რაღასა იქმ, კეთილო რამოს?“ „გმადლობთ, გრანდ...“ - პასუხობდა დამსჯელი რაზმის გენერალი რამოს. „დაჯექ, კეთილო და ქალბატონი არტიდორა, გენერალო ხორხე?“ „კარგად, მარშალო, დიეტაზე გვყავს...“ „ძალიან კარგი, დაჯექ. ცელქი მარგიჩა?“ „აჰ, ისევ ცელქობს...“ „დაჯექი, დაჯექ... რჩეულ ლაშქარში რა ამბებია?“ „კარგი, მარშალო, - წამოფრინდებოდა ლამაზი გენერალი, - თქვენის შეწევნით, კარგად არიან... კრიალ-კრიალი გაუდით ტანზე“ „ძალიან კარგი, დაჯექ, რადგან რჩეული - გამორჩეული უნდა იყოს და დისციპლინას თუ მოადუნებ, ჩემო გენერალო, კბილებში გადაგჭრი, როგორ ბრძანდება მომხიბვლელი დონა გუმერსინდა?“ „გმადლობთ, გრანდისს... - წამოხტებოდა გენერალი,-იმოჰჰალლე...“ „ძალიან კარგი, დაჯექ, დაა, ქალბატონი არტიდორა, გენერალო ხორხე?“ „დიდი

მადლობა, სწორუპოვარო, - ზეწამოიჭრებოდა გენერალი, - დიეტაზედ გვყავს“. „ძალიან კარგი, დაჯექი, ხორხე. და როგორაა ცელქი მარგიჩა?“ „კვლავ, ისევ ცელქობს, - კვლავ ახტებოდა გენერალი ხორხე, - ვერცხლისწყალივითაა, გრანდ...“ „ძალიან კარგი, სხვა, როგორა ხართ?“ „გმადლობთ, მარშალო, - ოთხთავე ფეხზე იდგა, - თქვენის შეწევნით...“ „დაბრძანდით, ჩემო გენერლებო, ახლა კი წადით, დარბაზში დამხვდით“. მხედრულ ყაიდაზე სტოვებდნენ ოთახს, დიდი მარშალი შუშხუნას ბოთლს შეაჯანჯღარებდა, მფეთქავ ბუშტუკებს აკვირდებოდა, „ჯარი, კი, ჯარი... ლაშქარი, ჯარი... ბევრ რამეს ნიშნავს...“ ზედაპირისკენ გასასკდომად მიტივტივებდა აუარება წვრილი ბუშტი, ქრებოდნენ მერე, და ისევ ისე აჯანჯღარებდა ბოთლს, ისევ ჩნდებოდა ურიცხვი ნაწილაკი, შუშხუნას ბოთლით მცირედ დაღლილ თავს ირთობდა ედმონდო ბეტანკური... დინჯად გამოდიოდა, დერეფანში კადიმა და კადიმას შიშით გადამწვანებული უმბერტო უცდიდნენ, მსუბუქად აკაკუნებდა ძალიან სქელ კარზე და ტიტლიკანა ანისეტოც უზარმაზარი ცარიელი ტომრით მაშინვე გამოდიოდა, და ოდნავ სახეცვლილი გამოიყურებოდა - დიდი მარშლისა პატივისცემისა გამო ლეღვის ფოთოლი მიეკრა ორგან. და ღირსეულად, ამაყად უახლოვდებოდნენ უზარმაზარ კარს, წელსზემოთ შიშველი, დაკუნთული გოლიათი უმძიმეს უროს შემართავდა, ოქროსფერ თოკზე ჩამოკიდებულ რკინის უზარმაზარ თეფშს დაარტყამდა და ძალუმ ჟღრიალზე განიხვნებოდა მოსარკული დარბაზის ვეება კარი.

- ძმებო! ძმებო, შორსაა ჩვენგან დიდი მიწები - რომი, ბაბილონი, პომპეა და რიო დე ჟანეირო, - ბრბოს მოუხმობდა ბაზრობათა ქალაქში დიდ კასრზე მდგარი შავტანსაცმელაფრიალებული კონსელეირო - მენდეს მასიელი - მაგრამ სიმყრალემ აქამომდისაც კი მოაღწია! ლაჩრებო, ბრიყვნო, ნუთუ ვერა გრძნობთ, ღრმად შეისუნთქეთ, სუნთქვა ხომ მაინც არ დაუშლიათ, ჯერჯერობით და, ბოლოს მაგასაც მოესწრებოდით... მაგრამ მოვედი!

მუსიკა შეწყდა, და მთელი დარბაზი გასუსული მიაჩერდა მარშალ ბეტანკურს. ის ზღრუბლზე იდგა, თვალმოჭუტული, მცირე ღიმილით, გაშეშებულ სტუმრებს ბეჯითად ათვალიერებდა. სამად-სამი მხლებელი ამოსდგომოდა: ორი ზურგს უკან - დრაჰკანთამკრეფი შიშველი ანისეტო და პირადი ჯალათი, გრილსისხლიანი კადიმა, და ერთიც, ჯუჯა უმბერტო - გვერდიგვერდ - არა, თეძოგვერდ ედგა - თვალსაჩინოებისათვის, ჰალე... ცეკვაშეწყვეტილ, გაქვავებულ სტუმრებს უმზერდა დიდი მარშალი, - ბრწყინვალე მამაკაცებს ხელი შერჩენოდათ მომხიბვლელი ქალების წელზე, და მოცეკვავეთაგან გაქვავებისას ვინც ზურგით აღმოჩნდა ვერცხლით მოჭედილ კარისადმი, თავი ღონივრად შემოებრუნებინა და მხარუკუღმა მოწიწებით

შესცქეროდა დიდ მარშალს. ვრცელი მარშალი, ედმონდო ბეტანკური კი სტუმრებს ათვალიერებდა - აგერ, მარჯვენა ხელი პოლკოვნიკი სეზარ და მისი მეუღლე, თავად მარშალის დისწული სტელლა, ლამაზი გენერალი და მისი მშვენიერი მეუღლე გუმერსინდა; მსხვილფეხა პირუტყვის მეფე, წესრიგთდამცველთა თავკაცი დონ რიგო, ძალიან დიდი ნახირი ჰყავდა; დამსჯელი რაზმის კეთილ-გენერალი რამოს, ხნიერთა დასის უხუცესი პორფირიო და მისი ქალიშვილი, დონა ჩადო და იმისი ქმარი - ულამაზესი ჭაბუკი რამირეს კისპე, ქვედა კამორადან სწორედ გარეგნობისა გამო ამომზეურებული, ახლო წარსულში ბრჭყალიანი კატით ნოხებზე ნადირობის დიდოსტატი და გამჟღავნების შედეგად მკლავმოკვეთამისჯილი, მაგრამ შეუხედავი დონა ჩადოს უსაშველო ხვეწნა-მუდარის წყალობით გამართლებული და ქმრადდასმული, ღირსეული - აწ; მისი განუყოფელი ძმაკაცი, ისიც მშვენიერი გარეგნობისა ჭაბუკი მასიმო, მასიმო, სანტოსი გახსოოვთ?.. გენერალი ხორხე და მისი მეუღლე, მოდიეტე არტიდორა და იმათი ქალიშვილი - მარგიჩა-ცელქი, სავარძლებიდან წამომხტარი და გალურსული კამორელები, ლამაზ-ქალაქელი სერვილიო, გრაგნილით ხელში, ლოყებჩამოკიდებული დიდვაჭარი არტემიო ვასკეს; ქვედაკამორელ ავაზაკთა შორის პირველი - ხილად მოწვეული - თავსულზეხელაღებული რიგობერტო, გადაცმულ ოფიცერთა შეუმჩნეველ რკალში; გასაიდუმლოებული დიდი გამომგონებელი რემიხიო დასა ვაჭრის ტანსაცმლითა და ნაღვლიანად უტყვი თვალებით, პირგამშრალი, როგორც ყოველთვის ახლაც წვალებით იყლაპებოდა ნერწყვს; ანისეტოს, მასიმოს, და მისთანანის - აუარება ამკრეფ მოხელეთა მთავარ შემმოწმებლად აღზევებული ყოფილი ჯიბის ქურდი პედრო კარდენასი, რატომღაც საოცრად მოკლეთითება და ნაზი; დიდგვაროვანი არისტოკრატი გერმოგენ კარრასკო და თავისი საქმის უბადლო ოსტატი, მარშალის გასაიდუმლოებული მექისე ალფრედო ევია; წვრილ-კოკლოზინაყელიანი კარის ლირიული ტენორი ეზეკიელ ლუნა; მთავარი პროკურორი, პირშიმთქმელი ნოელ; ცოცხალი სათამაშო, ფერკმრთალი მგზავრი დომენიკო და მიჩინიო, ჭრილით-ჭრილამდე ნაცრისფერთვალება, მბჟუტავი ნაღვერდალით ამაყ გამოხედვაში, საზარელი მიჩინიო, ვისაც თავად კადიმაც კი ჰყავდა ერთხელ დაჭრილი. მაგრამ აპატიეს - საჭირო კამორელი იყო; მთელ სამფენოვან ქალაქში სიკეთითა და უშუალობით ცნობილი ოთო-ექიმი, მაგრამ არავინ ღიზიანდებოდა - ექიმი გახლდათ, მთელი კამორა უჩვეულო ალერსით ოთო-ბიძიას ეძახდა, ხანდაზმულნიც კი. წყლიან თვალებში იმედიანად შესცქეროდა მგზავრი, ეს რა იხილა, კეთილი სახე - ალექსანდროს ძმა? თავმდაბლობის დასადასტურებლად მოწვეული წვრილმანი გამომვლენი - ჩიჩიო და ჭეშმარიტი გამომვლენი, ბავშვობიდანვე ყრუ-მუნჯად შერაცხილი აბსოლუტურსმენიანი ესტებან პეპე; ნამოწმ-ერთგული მსახურები და

ზემოთ, ქანდარაში ბარტყივით ჩამჯდარი სასულე ინსტრუმენტთა ყოჩაღი ორკესტრი და მარშალისაკენ შემობრუნებული, ხელებშემართული, გასუსულ მუსიკოსთა მცირე განმგებელი; და მხოლოდ ერთი - პირქუში კაცი, სავარძელში ისევ არხეინად მჯდარი, ჰოიი, თავხედი - ქედმოუხრელი გრეგ რიკიო და დიდმა მარშალმა ქანდარისაკენ ოდნავ აიქნია თითი - მაესტრინო, გთხოვთ... - და კვლავ გაისმა შეწყვეტილი მუსიკა, მდიდრულ დარბაზში დატრიალდნენ წყვილები და ჭრელ კაბათა მცირედმა სიომ აუარება ფერადი სანთლის მოქნილი ალი აატორტმანა, და ხან სად, ხან სად, და ხანაც აჰ, სად გაიჟრიალებდა ეპოლეტებზე, ალმასისა თუ თვალ-მარგალიტის ბეჭედ-საყურეებზე ციმციმა სხივი. და ყოველივე ხომ უთვალავჯერ მეორდებოდა - კედლებიან-იატაკით-ჭერამდე სარკეებიანი დარბაზი გახლდათ.

- ბრიყვებო, ძმებო! - ბრბოს მოუხმობდა თმაწვერაბურდული მენდეს მასიელი, კასრიდან კასრზე გადადიოდა, და მიწა-მიწად მიჰყვებოდა ჯერ ორი მწყემსი - გრეგორიო პაჩეკო და სენობიო ლდოსა, სხვები უძრავად, თავშემართულნი იდგნენ, - დიდი ხნის წინათ, უგუნურებო, ასურეთის ფხვიერ მიწაზე კერპი მოლოქე ამოიზარდა, ყური დამიგდეთ! - ჯერ კაცი იყო, სპილენძად იქცა... ღვინო იყო თუ დამდგარი წყალი, პური იყო თუ გამომშრალი ძნა, სუყველაფრიდან თავის წილს ითხოვდა! კაცი იყო, და სპილენძად იქცა... ჯერ ხნულში იდგა, კაცი რომ იყო, მერე შეძულდა მოლოქეს მიწა და აღმართ-აღმართ იარა თითქოს, კლდეზე ავიდა, მართლა ავიდა მოლოქე კლდეზე, სინამდვილეში კი დაღმართს ჩაუყვა, ჯოჯოხეთისკენ ჩაცურდა ნელა - კლდის თავზე დადგა! და თქვენისთანა უგუნურები წყალს უზიდავდნენ მხრებით, ურმებით...

აჰ, რა წყვილები დატრიალებდნენ, თვალმოჭუტული შესცქეროდა სამფენოვანი მრევლის ნაღებს დიდი მარშალი. და, ბზრიალისას დიდ სწორუპოვარს წამით ვედრებით თუ გაუსწორებდნენ თვალს, დიდი მარშალი რომელიმე აღფრთოვანებულს თითით იხმობდა: „აქ მო...“ მღელვარებისგან მხრების ზედმეტი რხევით, რატომღაც დარდიმანდულად უახლოვდებოდა ერთთავად მომჩვარული დიდვაჭარი არტემიო ვასკეს, „რასა იქმ, ჩემო?“ - ეკითხებოდა დიდი მარშალი. „თქვენის შეწევნით, გმადლობთ, გრანდისსიმოჰალლე... ჭალაში გახლდით, სწორუპოვარო, თქვენს მაღალ თანამეცხედრეს ბეჭედი რომ დაუკარგავს, ის ადგილები მიმოვიარე, გრანდისსიმოჰალლე, და ვინც ეძიებს, მოგეხსენებათ, ჰპოვებს კიდეც და... ეს ხომ არ არის?“ „სწორედ ესაა, არტემიო-ჩემო, მაშინვე ვიცან მისი ალმასი...“ „ანისეტოს, ხომ?“ „ანისეტოს, კი... წადი, იცეკვე“ „რაღა დროს ჩემი... - მორცხვად გაიღიმა არტემიო ვასკესმა და შეეშინდა, - ვისთან მიბრძანებთ, დიდო მარშალო? ოღონდ მიმითითეთ და...“ „არავისთან, ჰალე... წადი, დაჯექი“. და ახლა

ლამაზ გენერალს იხმობდა თითით - „სხვა, როგორა ხარ, ჩემო?“ „მოგეხსენებათ, გრანდისსიმოჰალლე, სამხედროთა ცხოვრების მკაცრი, პირუთვნელი წესი... შესვენებისას ჭალაში გახლდით, ჰაერზე გავიარ-გამოვიარე... დავიხედე და, რას ვხედავ, იცით? - თქვენი მაღალი თანამეცხედრის დიდი ბეჭედი ბალახში გდია... ხომ კი ესაა, დიდო მარშალო?“ „ეგ გახლავს, ჩემო, - უთხრა მარშალმა, - სწორედ ის წმინდა მარგალიტია“. „ანისეტოს, ხომ?“ „ანისეტოს, კი, ახლა წადი და დროს ნუ დაკარგავ, ქალბატონი გუმერსინდა მომიკითხე და გენერალი ხორხე გამოაგზავნე ჩემთან“. „როგორ ბრძანდებით, გრანდ...“ „კარგად, კი, ჩემო გენერალო, სხვა, როგორა ხარ, სულ წვრთნა-წვრთნაში თუ...“ თვალში შეხედა. „საღამო იდგა, და ძილისწინა მიყუჩებისას, დაღლილობის ჟამს, ჭალაში გავიარ-გამოვიარე. ყვავილნარს კარგად დავაცქერდი და...“ „ეგებ სხვისია?“ „არა, მარშალო, ამგვარ ბრილიანტს ვინ დაკარგავდა, დედოფლის მეტი...“ „სწორედ ისაა“. „ანისეტოს, ხომ?“ „ანისეტოს კი, მარგიჩა-ცელქი მომიკითხე და, აბა ერთი პორფირიო მიხმე...“

- ჯერ ხნულში იდგა მოლოქე იგი, ისიც სხვასავით ჯერ გლეხი გახლდათ, იმის მეზობელს კი იანე ერქვა - ერთი თქვენსავით ჩვეულებრივი კაცი იყო... მაგრამ მოლოქემ ერთ დაწყევლილ დღეს თვალში შეხედა. საღამო იდგა და ძილისწინა მიყუჩებისას, დაღლილ იანეს სოხანეზე დაგებულ ცხვრის ტყავებისკენ რომ ეზიდებოდა ნამუშევარი, დგომით დაღლილი წვრილი ფეხები, თითქოს ახლახან გამოღვიძებულ მოლოქეს თვალებს წააწყდა, და შეეშინდა! და რადგან ჯერაც არ გაჩენილა ამქვეყნად ისეთი ბზარი, სადმე სხვაგან რაიმე რომ არ გაემაგრებინოს, იმ ყურებისას მოლოქე იგი - გოროზდებოდა, ღონეს იკრეფდა, უმაგრდებოდა წყეული გული, ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ და საცოდავი იანე კიდევ - პატარავდებოდა მთლად... ფუჰ, ლაწირაკი, და, უგუნურნო, თქვენ ყველას გგავდათ!

„თქვენი მაღალი თანამეცხედრის საუკეთესო ბეჭდის დაკარგვის ხმა რომ დაირხა, სამწუხარო ხმა, გრანდისსიმოჰალლე, სხვა საქმეები რა მოსახსენებელია და, ხნიერთა დასიდან პირდაპირ ჭალაში წაველ, - თქვა პორფირიომ, თავდადრეკილი აჰღიმოდა. - ჩავიჩოქე და ის ყვავილნარი სულ გადავვარცხნე ჩემივ თითებით და უცებ, ნეკზე არ წამომეგო? გრანდისსიმოჰალლე?“ „ძალიან კარგი“. „მსგავსი ფირუზი ჯერ არც მენახა, ანისეტოს, ხომ?“ „ანისეტოს, კი“. „აჰ, რა მძიმე იყო, რა მძიმე, - და პორფირიომ ხუმრობაც სცადა, - კინაღამ ანისეტოს ტომარაც ჩახია...“ „ანისეტოს ტომარას ვერაფერი ჩახევს - მკაცრად თქვა მარშალმა და თვალი გაუყარა თვალში, - თუ არა გჯერა, შენი ბეჭედიც მოიძრე და ჩააყოლე...“ „როგორ არ მჯერა, დიდო მარშალო, და მაგრამ, მაინც, კი ჩავაყოლებ...“ „ძალიან კარგი. აკი ხომ გითხარ, ვერ ჩახევს-მეთქი. რაღაცის თხოვნა გინდოდა წეღან... პორფირიო.“ „რა და, მარშალო, სიძე მყავს ერთი.

მოგეხსენებათ, შვილივითაა ისიც და... თუ არ მიწყენთ და...“ „თქვი, ამოშაქრე.“ „ლიცენზიას გთხოვთ, დიდი მარშალო“. „რომელ ნაწილში“. „რაღა თქმა უნდა, შუა ქალაქში, გრანდისსიმოჰალლე: თქვენს უბანს ვინ უგუნური კადრებს აუგს, ქვედა ქალაქში - ვინ გიჟი ავა. არკი მიწყინოთ - ძალიან მთხოვა. მოგეხსენებათ, ახლა იმას არც ჩაცმა-დახურვა აკლია, და არც სასმელ-საჭმელი, მაგრამ ნოხებზე კატით ნადირობა მოენატრა და... როგორც მოგახსენეთ, ვერც გამომითქვამს, მოენატრა და... ნოსტალგიასავითაა ესეც, გრანდისსიმოჰალლე“. „კარგი. სანადირონოხიან მოქალაქეთა სიას მხოლოდ პოლკოვნიკი სეზარ მოგცემს“. „დიდი მადლობა ლიცენზიისთვის, გრანდ...“ „პროკურორს მიხმე“.

- საღამოვდებოდა, ძმებო, და ქანცგაწყვეტილ იანეს თავის ქოხამდე რომ მიეღწია, ვახშამი დაწნულ კალათში ედო, მისავათებული, გზადაგზა უნდა შექცეოდა, მაგრამ ახლა, დაშინებულს, მცირე კალათი აღარ ახსოვდა, ისე ეჭირა, იდგა და იჩუტებოდა საბრალო, ბრიყვი, მოლოქემ კი ისე, რომ იანეს თვალთაგან დაჟინებული მზერა არც მოუცილებია, კალათში ჩაუძვრინა ხელი, მაჯამდე ჩაყო და, მოაფათურა, ცივად მოხარშულ რაღაც პირუტყვის გულ-ღვიძლს წააწყდა, ამოიღო, და, ერთხელაც არ დაუხამხამებია - უმზერდა ისევ - იანეს ვახშამს ასე შეექცა, დიდი და ფართო კბილები ჰქონდა... ეს გულ-ღვიძლი კი უცნაური ხორცია, ძმებო - მუქად მომწვანო, სიშავემდეც კი დაბურული მწვანე, და თანაც ხაომოკიდებული - შედედებული სისხლი... იღეჭებოდა მძლავრად მოლოქე, შემცბარ იანეს - მკერდქვეშ, მუცელში რაღაც სტკიოდა.

„პირდაპირ გეტყვით, - ეუბნებოდა მარშალ ბეტანკურს მთავარი პროკურორი - პირში მთქმელი ნოელ, - მაღალია თანამეცხედრე თქვენი და მისი ბეჭდის დაკარგვის სიგნალი რომ შემოვიდა, მაშინვე ჭალას გავეშურე და თითებს ყვავილნარი გავაჩხრეკინე საგულდაგულოდ, და თუმცა ძალიან ბევრი ძიება ჩავატარე, მაინც ვიპოვე, გრანდისსიმოჰალლე, ხომ კი ესაა?“ „ეგაა, ნოელ. აბა მაჩვენე...“ „ხომ მშვენიერი ლალია, გრანდისსიმოჰალლე?“ „მართლა კარგია, ყოჩაღ შენ, ნოელ... ანისეტოს, კი... იმ ყმაწვილს მიხმე“. და მორიდებულად, ფეხისწვერებზე მომავალმა კარის ტენორმა უცებ ზურგს უკან სიმძიმე იგრძნო, გახევდა, გაშრა, მარშალიც შენიღბული დაკვირვებით, ცალთვალმოჭუტული იმზირებოდა მის მიღმა - ხუთივე გადაცმული ოფიცერი კეფას იფხანდა, ასე უფრო უპრიანი იყო - რადგან ქვედა კამორის პირველმა თავზეხელაღებულმა, რიგობერტომ, ჯიბეში ჩაიცურა დაძარღვული ხელი და რაიმე რომ დაეპირებინა, ოფიცრებს ხელის აქნევა აღარ დასჭირდებოდათ, ქვედა კამორელისკენ ეგრევე გააფრენდნენ სახელოში შემალულ დანას. თავ-თავიანთი ქალბატონები ცეკვა-ცეკვით და კეფის ფხანით განზე გაიყვანეს,

დიდი მარშალი და რიგობერტო ერთ სწორ ხაზზე ნამდვილად რომ არ აღმოჩენილიყვნენ, ცალმხარაზიდულმა რიგობერტომ კი ჯიბიდან მხოლოდ აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოაძვრინა, ენძელებმოხატული, ნაზი, წარბზე მოისვა, ჯიბეში ჩააბრუნა, ისევ ამოიღო ცარიელა ხელი და გადაცმულმა ოფიცრებმაც ორივე ხელი შემოხვიეს თავიანთ ქალბატონებს წელზე, დიდ მარშალს მოჭუტული თვალი მშვიდად გაუფართოვდა და ადგილზე გაქვავებულ კარის ტენორსაც გულზე მოეშვა დიდი მარშლისკენ ფრთხილად, ფეხისწვერებზე შემდგარი გაეშურა, თანაც ფაქიზად ჩაახველა, ოდნავ ჩაიწმინდა ბროლისა ყელი.

- და გაძღა, გაძღა, ზედმეტად გაძღა მოლოქე იგი, მკლავებში ძალა ჩაებუდა, პირში - სიმყრალე, და მეორე დღეს ვეღარ იკმარა იანეს ხორცი. და ახლა სხვისას წაეპოტინა, ღონიერისას უფრო, რადგან მოლოქეს ახლა სხვა ძალაც ეგულებოდა - ბეჩავ იანეს თვალებიდან რომ ამოუწოვა, ის... ქვეყნად არარა არ იკარგება, ოღონდ ხანდახან გვავიწყდება ხოლმე და, ძმებო, იანეს დონეც შემოიმატა ბინძურ სხეულში მოლოქემ, მომავალმა კერპმა, და სხვაც დაჩაგრა. ისინი, ბრიყვნო, ცალ-ცალკე იყვნენ, თავის ოჯახში, თავიანთ შემოღობილში, თავ-თავიანთ სოროში, სწორედ თქვენსავით - და რარიგ კოხტად ცხენს აჭენებდეთ, მაინც სოროში დაბობღავთ, ძმებო!.. მერე შეძულდა მოლოქეს მიწა, მიწაზე დგომა, და მიწის სუნი, ამყრალებული კლდისაკენ წავიდა, მაღლა დადგომა მოუნდა, ოხერს, თავისი ჭკუით კლდეს აუყვა, და, და ვინ ბრიყვმა დასძინა ნეტავ პირველად რომ ქვეყნად სწორედ იმდენი დაღმართია, რამდენიც აღმართი - არა, აღმართი ცოტაა, ძმებო! დაღმართი - ბევრი...

„ყვა-ავილეების ქვეყანაა, ჩოოქ-ვით შეემოვიააარეეე, - ალერსიანად უმღერდა მარშალს წვრილკოკლოზინაყელიანი კარის ლირიული ტენორი ეზეკიელ ლუნა, - იის ბეჭედი ვიიპოვე დაა, ხოომ არ დაავიგვიაანეე...“ „არა, ჩემო ეზეკიელ, არ დაგიგვიანია, არა, - მცირე ალერსი გაირია მარშალმა ხმაში, - აბა მაჩვენე ერთი, - როგორი...“ - და უცებ აღფრთოვანებისგან გაშრა, გახევდა, სარკეებიანი დარბაზის შორეულ კუთხეს მიაპყრო თვალი - ყველა სტუმარი მოწიწებით, სასოებისგან თავჩაქინდრული იდგა, გოროზად ამპარტავანი გრეგ რიკიოც კი - აჰ, რა ლამაზად, რა დიდებულად მოაბიჯებდა თავად მარშალის თანამეცხედრე, მაღალი ქალბატონი მერსედეს ბოსტონი!

- კლდის თავზე შედგა მოლოქე იგი, მრისხანებით დაჰყურებდა მობუზულ სოფელს. უზომოდ გამძღარს, და სიამაყით გამომტყვრალს, ოხერს, დიდი თვალები გადმოეკარკლა, და ღონივრად სუნთქავდა, ნიავს მიჰქონდა მძიმე სიმყრალე, ძმებო და სოფლად ჰფენდა - არა, არარა არ იკარგება! და თქვენისთანა იანეები წილს უზიდავდნენ მხრებით, ურმებით, ვისაც რა ჰქონდა - ღრუბლებში იდგა მოლოქე იგი,

თვალებში ცეცხლი უელავდა და, რადგან არარა არ იკარგება, და ნიავის გზას ვინ გამოიცნობს, დიდრონ-დიდრონი ქალაქებიც გაშენდა ქვეყნად - რომი, ბაბილონი...

მაღალი ქალბატონი, მერსედეს ბოსტონი, სარკეებიან დარბაზში მოაბიჯებდა. შორეულ კედელს წამით ბურღავდა ელვარე სხივი, უუძვირფასეს საყურე-ქამარ-დიადემა-ყელსაბამ-სამაჯურ-ბეჭდებიდან ირიბად გამოსხლეტილი, ოჰ, რა ბრწყინვალედ - აჰ, რა გოროზად აბრწყინებული მოდიოდა სტუმრებიან დარბაზში დიადი მარშლის თანამეცხედრე, კაშკაშა სხივებით ერთიანად აჟივჟივებული, უშველებელი ქალი კი იყო, მაგრამ საოცრად სწორად ასხმული, როგორი მკვრივი, დიდი და მძიმე, მაინც მსუბუქად, შემპარავად მოაბიჯებდა, მუშტისოდენა ყავისფერ თვალებს ავად, კეკლუცად აელვარებდა, მაინც რა იყო, რაღანაირად არ ეცვლებოდა სახე, ყველას შეავლო ელამი მზერა, და რაღაცებს თუ ფიქრობდა გულში - სახე ხან ავად ეჭმუხნებოდა, ცბიერად ჩაეღიმებოდა მერე, კოპებს შეჰყრიდა. იბუტებოდა თითქოს, გაეხსნებოდა შუბლი, თვალმოჭუტული, რაღაც მზაკვრულს ჩაიფიქრებდა, მერე მრისხანედ ააბრიალებდა ფართოდ დახელილ, ბრჭყვიალა თვალებს. ყველას რაღაცას ჰპირდებოდა, სიხარულსა თუ ძაძას, და უხილავ სამკაულად მისდევდა უცხო სუნამოთა გამჭვირვალე მოსქო ღრუბელი, მოდიოდა და აღფრთოვანებულ სტელლას არც კი შეხედა, მაგრამ ჩავლისას ფაფუკ ლოყაზე ნაზად მოუთათუნა ფირუზისფერი გრილი ტორი და ორად გაპობილ სამფენოვანი ქალაქის ნაღებს ისე გამოსცდა, წამითაც არ შეჩერებულა, ის ერთადერთი მოძრაობდა იმოდენა გაშეშებულ ხალხში და, რა იყო მაინც, რამოდენა იყო - პირდაფჩენილი შესცქეროდა გამჭვირვალე კაბაში ღონივრად გამოკვართულ უზარმაზარ, ჩამოქნილ ბარძაყებს ყრუმუნჯად შერაცხილი გამომვლენი ესტებან პეპე და სამაგიეროდ იგივ ბარძაყებს გასაიდუმლოებული დიდი გამომგონებელი რემიხიო დასა - პირმოკუმული მისჩერებოდა და დროდადრო წვალებით ყლაპავდა მოძალებულ ნერწყვს; ამობურცულ, ჩაკირულ თეძოებს უმზერდა ქვედაკამორელი პირველი თავზეხელაღებული რიგობერტო და ქვედა ტუჩი კბილებშუა გამოემწყვდია, ღრმად ამოეჭრა ძალიან კაბა და ამოთქვირული მკერდი მოუჩანდა, ისეთი თეთრი, შეგცივდებოდა კიდეც და ბუსუსებდაყრილი უმზერდა დამსჯელი რაზმის კეთილ-გენერალი რამოს, შიშველ, ღონიერ, ვერცხლისფერ მკლავებს ოდნავ არხევდა, ორ-ორ მოწიფულ ვაჟკაცს ამოიდებდა იღლიაში, რამე ყოფილიყო... დიდი ზურმუხტი შუბლზე ეკიდა, რატომღაც წითლად შეეღება ყელი და ყვითელი თმა ზვინად აეხოხოლავებინა თავზე, მთლად აიწურა ტანში კადიმა, მარშალს ეახლა თანამეცხედრე, ტუჩები მწვანედ მოეხატა, პირში უცქერდა დიდი მარშალი, იმან კი ოდნავ გაუღიმა, კბილთა სითეთრემ გამოუპო ბაგე, დაიხარა, მარშალს ზედ ყურთან მიუტანა პირი და ეზეკიელ ლუნა საჩქაროდ რომ გაღოღდა განზე, ხმადაბლა ჰკითხა:

„ვინმეს რაიმე არ უთხოვია?“ „მერსედეს კი, - უთხრა მარშალმა, აწრიალებული ჩანდა, - პორფირიომ ერთადერთი სიძისთვის ნოხზე ნადირობის ნებართვა მთხოვა“. „მერე, მიეცი?“ - ისევე ჩაორთქლა დიდ მარშალს ყურში. „მერსედეს, კი“. აქ მერსედეს ბოსტონი ამაყად გაიმართა, მარშალ ედმონდო ბეტანკურს სახეზე დამცინავად მოუცურა ელამი მზერა და უთხრა: „კიდევ კარგი რომ, ქალად არ გაჩნდი, უარს ვერავის ეტყოდი, დავსხდეთ“.

- დიდრონ-დიდრონი ქალაქები გაშენდა ქვეყნად - რომი, ბაბილონი, პომპეა და რიო დე ჟანეირო, და ქალაქებში ისე ცხოვრობდა ახალი ხალხი, უკეთ ცხოვრებას რომ ეძახიან რატომღაც, ძმებო, ხოლო ქალაქში, კოხტად მოკირწყლულ ქუჩაბანდებში ჯეჯილი რომ ვერ ათავთავდება, - მოგეხსენებათ; და პურის გარდა, სხვა რამ, კოპწია ნივთებიც სურდათ, მეზობლისაზე უკეთესი, და ქალაქების გაშენებამდე მტაცებლებმა და გაუმაძღრებმა, მოლოქეს სუნით მოწამლულებმა, კლდეზე იპოვეს მიხრწნილი კერპი. კლდეზე აფოფხდნენ, და რომ ყოველთვის მცველად ჰყოლოდათ, მიხრწნილი ლეში წამოაყენეს, სპილენძით კარგად მოჭედეს, საგულდაგულოდ აპრიალებდნენ, და აბრჭყვიალდა მოლოქე მზეზე, და ხელოვნური, ბროლის თვალებით სადღაცას კუშტად იმზირებოდა, კაცი იყო და - სპილენძად იქცა, მისი ხალხი კი დაბლობისაკენ ჩამობობღდა, მრავალ იანეს - ქალაქები აშენებინეს, მოტყუებით და მუქარით, ძმებო, ენაც - დაიტკბეს და ოთხი ბრიყვი იანეთი მეხუთეს - ჭკვიანს, სიკვდილით სჯიდნენ, და თქვენგნით ძალა ემატებოდათ, და მოლოქესგან აყოლილი ბინძური სუნი რომ მიეჩქმალათ, სუნამოებს ისხამდნენ თავზე, კოხტა ეტლებით დასეირნობდნენ, გაივსეს სახლი, და ამის ღირსნი რომ ყოფილიყვნენ - იანეების დაბინდულ თვალში - სუყველამ თავ-თავისი ზღაპარი შეთხზა, და მოუკირწყლავ, ვრცელ მიწაზე დარჩენილებს შორიდან კოხტად ანუგეშებდნენ, სწორედ თქვენსავით უგუნურთ, ძმებო, და კერპი პრიალისგან რომ გაცვდა, მერე ბრინჯაოდ ჩამოასხეს - უფრო დამძიმდა... ერთ მოლოქეთა იანეები მეორეების იანეებს ებრძოდნენ ხანდახან, ძმებო, და ქალაქებში მძლავრად იქნევდნენ მჭედლები უროს, იანეთათვის ნამგლებსა და ხმლებს სჭედდნენ, ისინიც კარგა გვარიანად იღლებოდნენ და საღამოობით - ზღაპრებს ისმენდნენ და თქვენც, ბრიყვებო, დიდი ხნის უკან დღევანდელივით წელში წყდებოდით, ხანდახან ცხენსაც აჭენებდით, ხომ? - ნამდვილად დიდი შეღავათია... მოლოქეები გითხზავდნენ ზღაპრებს, და მხარ-თეძოზე წამოწოლილებს, ანდა - გაჯგიმულებს საბრძოლო ეტლში, ახალ-ახალი მუზა იპყრობდათ - წინა მუზაზე უფრო მოქნილი, და შეფერილი ჰაერთან გველი; ძვირფას-ძვირფასი ლარნაკებითა და თასებით გაივსეს სახლი, ვერცხლით მოჭედეს ბედაურები, და მოლოქესაც ვერცხლის სამოსი გადააცვეს, როგორ ბზინავდა... თქვენ, წელში გამწყდართ, რაღაც-რაღაცის უფლება მაინც მოგენიჭათ, მხოლოდ იმისათვის,

უგუნური თავი რომ გაგეტანათ, და რამდენიმე შვებაც, ბრიყვებო, ზეიმად მოგცეს: მცირე ქორწილი და ქორწინება, რომ არ გადაშენებულიყავით და ვრცელ ღამეებში ჩახუტებულებს, თქვენ სიყვარული გეგონათ. ძმებო, მცირეოდენი თამაშობანი - იმ სიმკვირცხლისთვის, მუშაობა რომ შეგეძლოთ, და თქვენ, ბეჩავნი, სილაღედ თვლიდით, ბედნიერადაც რომ ჩაგეთვალათ უტვინო თავი, ცეკვა-სიმღერაც არ აუკრძალავთ და თქვენი ყოფის სამადლობელი ყალბი სიმღერის შეთხზვისათვის - ო, გარეწარნო - თქვენთვის თავზეც კი გადაუსვამთ ვარდისა წყალში განბანილი ბინძური ხელი, აჰ, როგორ თრთოდით, იანეს სული გიკაწკაწებდათ, და მოლოქესკენ ნაბიჯი წარსდგით, შინ კი, თაროზე, შემოგემატათ ერთი ქოთანი... და, უგუნურნო, ბუნიობისას მთვარის მოქცევას, ანდა ახალ წელს როცა ზეიმობთ, არავინ იცით, თქვენთვის მუდამ რომ ძველი წელია და უფრო მეტიც - ის დაწყევლილი იანეს ბინდი, იგივ საღამო... მაგრამ, გამხნევდით, ძმებო - ვინც გამომყვება, ნამდვილ, დიდებულ, დიდ ქალაქს ნახავს... შენ რაღა გქვია?

- მე...

- რა გქვია!

- როხას.

- თავს რითი ირჩენ?

- მწყემსი ვარ, ვაკეირო.

- დიდი ფარა გყავს?

- საშუალოდ, ისე.

- ვისა მსახურობ?

აქ კი როხასმა თავი ჩაღუნა, ხმადაბლა უთხრა:

- კამორელ სერჟანტს.

- გარეწარი ხარ, შენ რაღა გქვია.

„ნუ გამიწყრები, რაა, მერსედეს, - ეუბნებოდა ვრცელი მარშალი, დიდ მუხლზე ნაზად ეფერებოდა, - სამაგიეროდ, შვიდი ბეჭედი მოვაცემინე“, „ბეჭედი, თორემ... არ გამაკვირვო, დაუკარ სტელლა, კარგები თუა, აჰ, რიგობერტოც მოგიყვანია? შენი არ იყოს, მასაც ვუყვარვარ, გერმოგენ, გმადლობ... შენც ჭალაში, ხომ? ძალიან კარგი, ანისეტოს, კი“.

დიდი მარშალი, აფორიაქებული ედმონდო ბეტანკური მერსედესისთვის შემონახულ მახინჯებს თითით იხმობდა - თვალსაჩინოებისათვის, ჰალე - „მოგვიახლოვდი, პედრო კარდენას... სწორედ ისაა, კი... ანისეტოს, ჰო, ერთი დონ რიგოს ჩემკენ ანიშნე...“ ჯუჯა უმბერტო წინ დაიყენა, მეორედ იხმო სტუმართაგან ყველაზე მეტად შეუხედავი - დიდ-ვაჭარი არტემიო ვასკეს, მაგრამ მობეზრდა მერსედეს ბოსტონს მაიმახები, დარბაზს მოავლო ელამი მზერა, ავი ღიმილით შეათვალიერა ლამაზი გენერალი, მასიმო, რამირეს კისპე, და უცებ ელამი თვალები გაუსწორდა, დაკვირვებით მიაჩერდა ვიღაცას: „აის, ვინაა?..“ „რომელი, სულო...“ - ნაზად დაეკითხა დიდი მარშალი. „აის, ფერმკრთალი, ხელტომრიანი...“ „აჰ, ეგ სეზარის სათამაშოა“. „ერთი აქ მიხმე“.

- მე... აველინო.

- ვისა ჰმსახურებ?

- პედრო კარდენასს.

- სადაურია?

- კამორელია.

- ნაძირალა ხარ. მერე, რას იღებ?

- დადგენილ ჯილდოს - ნამატის მეოთხედი ჩემია, კონსელეირო.

- ჯილდოს ეძახის... - ტუჩზე იკბინა მენდეს მასიელმა, და დაეკითხა: - რამე სახადმა რომ იმსხვერპლოს ძროხა?

- ეგ არ ითვლება.

- შარი რომ მოგდოს - მოიპარეო?

- ეგ არ მომხდარა-ვაკეიროთა პატიოსნება ეჭვმიუტანელია, კონსელეირო.

- გესმით, ბრიყვებო! - იქუხა უცებ მენდეს მასიელმა, ბარძაყზე ღონივრად დაირტყა გაძვალტყავებული, დაგრეხილი, ღონიერი ხელი, - ახალი ჯურის არამზადებიც მომრავლდით ქვეყნად, იანეობამ რა გიყოთ, ხედავთ? - პატიოსანი არამზადებიც მომრავლდით ქვეყნად!

- კონსელეირო...

- ხმა ჩაიწყვიტე! იცოდეთ, ბრიყვნო, იცოდეთ, ძმებო, მოლოქეცა და მხდალი იანეც - ორთავე ერთად დამნაშავეა, და თუმც მოლოქე - უფრო, ეგ ვერაფერი შეღავათია, რადგან სიმხდალე და უტვინობა - თქვენ გემატებათ. შენ რაღა... - და უცებ შეცბა მენდეს მასიელი, ორ მეტისმეტად მოხდენილ ვაკეიროს შეაშტერდა, და, ვეღარ მოსწყვიტა მრისხანე მზერა, მერე რისხვაში რაღაც გაებზარა და, მაინც ფარული აღტაცებით ათვალიერებდა ორ მოხდენილ მწყემსს, გვერდიგვერდ რომ იდგნენ, ერთი - უფრო მაღალი, დაბერილყვრიმალებიანი, აჰ, შემართული, მოსხლეტილი ისე, უფრო მოსწონდა, ხმადაბლა უთხრა:

- შენ რომელი ხარ.

- ზე მორეირა.

„ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი... - ჰკითხა მერსედეს ბოსტონმა და პირში შეაცქერდა, - რა გქვია, ბიჭი...“ „მე... დომენიკო“. კაარგი ბიჭია, ძაალიან კარგი, - თქვა მერსედეს ბოსტონმა, ახლა ხელებში მისჩერებოდა, - მძიმე ტომარა ხომ არაა, პატარავ, ბიჭი?“ „არა, არც ისე“, „სრული პასუხი“. „მაღალო ქალბატონო...“ - ასჩურჩულა ჯუჯა უმბერტომ. „არა, არც ისე, მაღალო ქალბატონო...“ „ძაალიან კარგი, ერთი ჩემი ტომარა მომეც ანისეტო, მთაში ირემი აყვირდა, ბღავილი უფრო იყო, შენ ამ ქალაქში რა გინდა, პატარა დომენიკო, საიდან მოსულხარ, ბიჭი?“ „მაღალ სოფლიდან...“ „მაღალო ქალბატონო!“ - ბრაზიანად შეუსისინა ჯუჯამ და დომენიკომაც გამოასწორა, - „ზემო სოფლიდან, მაღალო ქალბატონო“. „შენისთანები გვინახია, - თვალები ისევ გაუელამდა მერსედეს ბოსტონს, მუხლებზე დადებულ თავის ტომარაში ხელს ჩაჰყოფდა, თავგადაწეული, თითებს მოაფათურებდა შიგ, რომელიმე ბეჭედს თვალდახუჭული, მხოლოდ შეხებით ამოარჩევდა, მწვანედ მოხატულ პირთან მიჰქონდა, ძვირფას თვალს კბილებს მსუბუქად დააჭერდა და ამოაგდებდა, აკნატუნებდა, სწორად გამომზირალი თვალებით შესცქეროდა მგზავრს, დომენიკოს, ნაფშხვენს მსუბუქად ყლაპავდა მერე, უუძვირფასთვლო ბეჭედს არხეინად ისევ ტომარაში აგდებდა და, თვალებგაელამებული, ახალ ძვირფას თვალს ეძებდა ისევ, - შენს ტომარაში რაღაა, ბიჭი?“ „დრაჰკანებია, მაღალო ქალბატონო“.

- დიდი ჯოგი გყავს, ზე?

- კი.

- ვისა მსახურობ.

- პოლკოვნიკ სეზარს.

და მენდეს მასიელმა ისევ მოითოკა აღტაცება, ათვალწუნებით შეაცქერდა, ხმადაბლა უთხრა:

- შენ ლაჩარი ხარ, ზე.

დიდ მწყემსს, ზეს უთხრა.

ყოველ სერტანელს სილა გააწნეს და დიდ ვაკეიროს - ზეს, რაღა თქმა უნდა, ყველაზე მეტად აეწვა ორთავე ლოყა. თითები რისხვით მოემუშტა და თითქოს გადადგა მცირე ნაბიჯი, მაგრამ მის მხარდამხარ მდგარი მწყემსი თამამად გამოვიდა წინ და თვალებანთებულ მენდეს მასიელს თამამადვე უთხრა:

- ზე ლაჩარი არ გახლავს, კონსელეირო.

- შენ რაღა გქვია?

- მანუელო კოსტა.

იმასაც რისხვით შენიღბული მოწონებით უმზერდა, ვის თვალს არ გაახარებდა მხიარული მწყემსი.

- საიდან იცი!

- ზე მორეირას, კონსელეირო, გაავებული ხარის დამორჩილება ცალი ხელით ძალუძს და თუკი სერტანაში კამეჩი გაცოფდება, სხვა ვინ შებედავს, პირველ ვაკეიროდ აღიარებულის გარდა.

გულის სიღრმეში ნასიამოვნებმა მენდეს მასიელმა მაინც აგდებით შეანათა დიდ მწყემსს თვალები, და დაიგრგვინა:

- ხედავთ? ხომ ხედავთ! - უმამაცესი ლაჩრებიც კი მომრავლდით ქვეყნად, იანეობამ რა გიყოთ, ხედავთ?

კონსელეიროსკენ მრისხანედ მიაბიჯებდა თავშემართული, ბრაზით აცახცახებული ზე, მაჩეტე მაგრად ჩაებღუჯა, რა ტარი ჰქონდა მაინც, როგორ უძლებდა, და კონსელეიროს ძალიან რომ მიუახლოვდა, მაღლა, კასრზე მდგარს, მძიმედ ახედა და ნახტომისათვის მოემზადა, მაგრამ მენდეს მასიელი ოდნავადაც არ შემკრთალა, პირიქით, მისკენ დაიხარა, თვალში ჯიუტად ჩააცქერდა და ვაკეიროთა წინ მდგარ ზე მორეირას რაღაცნაირად ზურგზეც შეეტყო, სახე რომ გაებზარა, კონსელეირომ კი ძაან ხმადაბლა, მოწყენით ჰკითხა:

- შენ თავისუფალი ხარ, ზე?

- არა.

„დრაჰკანებიო, პატარა ბიჭი?“ - დაეკითხა მერსედეს ბოსტონი, მკლავში ჩაავლო რკინის თითები, მიიზიდა და მუხლზე დაისვა, რატომღაც განზე იქცია პირი, ძვირფას თვლებს ისევ აკნატუნებდა, „რა, ფული გქონდა?“ „დიახ, მაღალო ქალბატონო“, - ძლივას მიუგო დამორცხვებულმა დომენიკომ, უცხო სუნამოთა გამაბრუებელი ეშხი ძალუმად სცემდა. „რამდენი, ბიჭი?“ „ექვსი ათასი დრაჰკანი, მაღალო ქალბატონო“. აქ მერსედეს ბოსტონმა თავი მოაბრუნა, გაელამებული მზერით აათვალიერა მუხლზე დასკუპებული მგზავრი, წვრილი, მოქნილი, ენისწვერით აიღო ქვედა ტუჩიდან მანამდე შეუმჩნეველი, შეღებილ სიმწვანესთან შეხამებული დიდი ზურმუხტი, ძალიან მსხვილი ბაგეები გემრიელად მომუწა, თვალი მილულა და დაფშხვნილი ზურმუხტის სუსტი ხრაშუნი მოესმა დომენიკოს, გააზრიალა, მერსედეს ბოსტონმა კი ისევ გაახილა თვალი, კეფაზე შემოაჭდო მოქნილი მარწუხები, ძალიან ახლოს მიიზიდა ფერმკრთალი სახე და შიგ ტუჩებში საზარელი ალერსით უთხრა: „ჩემი ძუძუ გიწოვია“. სიმყრალე ეცა მგზავრს, დომენიკოს, მიხრწნილი სუნი და, კიდევ კარგი, მაღალ ქალბატონს ერთი ხელის მკვეთრი მტევანი მის კეფაზე რომ შემოეჭდო, მეორე ხელის ავი თითები კი იდაყვში ჩაფრენოდა; თორემ მუხლიდან გადმოვარდებოდა, იატაკზე დაეცემოდა საბრალო მგზავრი, თუმც, დაცემაც კი ამაღლებას დაემსგავსებოდა, ოღონდ ის სუნი, ის საზარელი უცხო სიმყრალე რომ აღარ ეგრძნო, „მაშ, სოფლელი ხარ, პატარავ, ბიჭი? - თითქოსდა ნაზად დაეკითხა მაღალი ქალბატონი, მერსედეს ბოსტონი, ოღონდაც თითებს ისე უჭერდა, - ნუ გერიდება, აქ ვისაც ხედავ, ყველა სოფლელია და, მეც სოფლელი ვარ, პატარავ, ბიჭი, ძალიან ადრე - ხოსეფა მერქვა“, სუსტად, უმწეოდ ფართქალებდა რკინის მკლავებში მოქცეული საბრალო მგზავრი. ოღონდ ის სუნი, ის სუნი ნუ, ნუ, და მერე, უცებ, შეძრწუნებული მიაჩერდა და ერთბაშად მიხვდა: ნამდვილი არ იყო!!. და სუზზის მიერ ნასწავლ ამაყ მარშს მხნედ და ლამაზად უკრავდა სადღაც დარბაზის სიღრმეში სტელლა.

აქ მენდეს მასიელმა თავზე ხელი დაადო დიდ მწყემსს და უთხრა:

- ნუ გეწყინება, ზე... ოღონდ იცოდე - ჭეშმარიტად გულადი კაცი რომ გახდე, რაღაცა უფრო ღირებულისთვის უნდა იბრძოდე, ვიდრე ეს გაავებული ხარი თუ გაცოფებული კამეჩია...

თავაპყრობილი, დამდუღრული შესცქეროდა პირველი მწყემსი, დიდი ვაკეირო, და როგორც იქნა, ბოლოს გაბედა... „თავისუფლება?“ - მხოლოდ თვალებით იკითხა,

მხოლოდ, უტყვად იკითხა ზე მორეირამ, „თავისუფლება?“ - ასე იკითხა თვალებით მხოლოდ, და ენის წვერით ხარბად აილოკა ზედა ტუჩი და შეაცქერდა.

- ხო.

გახევებულნი იდგნენ მწყემსები, ფრთხილად სუნთქავდნენ. თითქოს მოესმათ ზეს უტყვი კითხვა, ტევადი სულის მორჩილ კუნჭულში იანეები ეხოცებოდათ... ხო... არ იცოდნენ კი, ჯერ ისევ ფრთხილად, მოკლედ სუნთქავდნენ.

- აის, ბრეზენტი მომიტანეთ.

და ვრცელი ბაზრის ოთხ მაღალ ბოძზე ოთხი ყოჩაღი ვაკეირო ყოჩაღად აძვრა, ყულფები შეხსნეს, ერთდროულად შეუშვეს ხელი და უშველებელი ბრეზენტი სანამ მიწაზე გატყლაშუნდებოდა, თავად ჩამოხტნენ, ეჩქარებოდათ რაღაც...

- შემჭიდროვდით და ისე დასხედით.

სუყველა დაჯდა, ვიწროდ იყვნენ და ზე მორეირამ ძლივს მოკაკვა გრძელი ფეხები.

მენდეს მასიელი კი კასრიდან ჩამოვიდა, ბრეზენტის ბოლო დაითრია, უკან-უკან იხევდა, მიწაზე დამჯდარ, მომლოდინე ვაკეიროებში ასე ჩაიარა და ფართო ბრეზენტი გადააფარა ყველას. მერე თავადაც სიბნელეში შეაბიჯა, შუაში დადგა; ვაკეიროთა თავზე გარდამავალი მცირე, უძრავი ტალღები ამობურცოდა ბრეზენტს. სიჩუმესა და წყვდიადში ისხდნენ და აზიდული ერთადერთი ტალღა - თავდახრილი მენდეს მასიელი, ფსკერისკენ ჩურჩულით ალაპარაკდა: - ყური დამიგდეთ, ჩემებო, ძმებო...

„ბიჭი ეძახე, - ნელა წარმოთქვა მარშალმა ბეტანკურმა, დომენიკოს მიაბჯინა მზერა, - და ყველაფერზე ძვირფასი საჩუქარი ამან მოგვართვა“. დრაჰკანებიანი ტომარა! ხელიდან საბოლოოდ ეცლებოდა... „მე მაინც მგონი, სრულად მოგვართვა, კარგი ბიჭი ჩანს“... და გაოგნებული დომენიკოს შემყურემ, მხარუკუღმა გადააგდო: „შენ როგორ ფიქრობ, აა, კადიმა, სრულად მოგვართვა?“ იმას კი ჟრიალი აუყვა ქვედატანიდან ჩაყვითლებულ კბილებამდე, გაიკლაკნა და მერე, შემართული, გაყინული, წინგადახრილი, მგზავრს თვალში ჩააცქერდა, „სრულად, კი, სრულად, - წამოიძახა დომენიკომ, კანკალებდა, და სარკეებში როგორ ციოდა... „ძალიან კარგი, ყოჩაღ, - გაამხნევა ოდნავ ტუჩგაწელილმა, დიდმა მარშალმა, სანაცვლოდ უწყალობა მცირე ღიმილი, ოღონდაც, სხვაგან იყურებოდა - დარბაზის სიღრმეში დაბადებიდან ყრუ-მუნჯად შერაცხილ, აბსოლუტურსმენიან გამომვლენს, ესტებან პეპეს შესცქეროდა, - სულ აღარ დაგრჩა?“ „არა“. „იმ სოფლიდან ხარ?“ „კი“. „რომ არ არსებობს?!“

ესტებან პეპეს ყრუ-მუნჯის გამოთიშული, მიძინებული ნაღველი ამოეტივტივებინა სახეზე, მარჯვნივ ექცია თავი და, მხარმარცხნივ მოკალათებული ლამაზი გენერლის საუბარს ისმენდა, „სუფთად მუშაობს, - გაიფიქრა მარშალმა ბეტანკურმა, - ყოჩაღ...“ და მერე შიშველ ანისეტოს ოდნავ მიუბრუნდა, გააწყვეტინა ასეთი ფიქრი - „წელიწადის ყველაზე კარგი დროა ზაფხული, ზამთარში ცივა“, - და დაეკითხა: „ამას რამდენი ვუწყალობოთ, ჩემო?“ „მე მგონია, რომ, - თქვა აწრიალებულმა ანისეტომ, შეცდომისა დიდად ეშინოდა, - ორმოცდათხუთმეტი დრაჰკანი სავსებით საკმარისი იქნებოდა“. „აბა, რას ამბობ, ანისეტო, - უგულოდ გაიკვირვა დიდმა მარშალმა, - ძალზედ ცოტაა, - და უწყალობა, - სამოცი დრაჰკანი გადაუთვალე“. საბრალო მგზავრი, როგორ გაუხარდა... „მაგრამ ამ თანხით ზედა ქალაქში ვერ გავაჩერებთ, უხერხულია, შუა ქალაქში გავუშვათ უნდა. იქ ვინმეს იცნობ?“ „კი, სკარპიოზოს“. „გრანდისსიმოჰალლე!“ - იუკადრისა ჯუჯა უმბერტომ. „სკარპიოზოს, გრანდისს იმოჰალე“. „ერთი ლ და ერთი ს მაინც დაგაკლოთ, დიდო მარშალო“, - აღშფოთდა ისევ უმბერტო, მაგრამ დიდ მარშალს არაფერი შეუმჩნევია, - „იმასთან - გინდა?“ „არა, გრანდისსიმოჰალლე“. აქ მარშალმა ბეტანკურმა ანისეტოს შეხედა და ისიც მაშინვე ალაპარაკდა: „აბა, სად წახვალ? ამ ქალაქიდან ვეღარ გაგიშვებთ - საკმარისზე მეტი რამ იცი. ვერც გაგასაღებთ - ეგება კიდევ გაგიჩნდეს ფული...“ „ჩემს სტუმართაგან თუ მოგწონს ვინმე? - იკითხა მარშალმა ბეტანკურმა, მუხლებზე თითებს ითამაშებდა, - იმას მიგამაგრებთ“. „დიახ, გრანდისსიმოჰალლე“. „მართლა? რომელი...“ - გაუკვირდა მარშალ ბეტანკურს, წარბი აზიდა. „აი, ის კაცი, სულ მარტო რომ დგას...“ „მართლა? ძალიან კარგი, ძალიან კარგი... მაინც იძახდა თურმე, დამხმარე მესაჭიროებაო. ანისეტო, ოთო-ექიმს გამოელაპარაკე შენებურად ერთი...“ და გაიფიქრა: „კარგია, ყოჩაღ...“ - თქვენი თვალები, ესტებან პეპე, თქვენი თვალები - გაყურსული მიმინო... მაგრამ ლამაზი გენერალი არაფერს ისეთს ჯერ არ იძახდა: „რამდენი ხანია მამიდაჩემი აღარ გვინახავს, ხვალვე ვეწვიოთ, რა, გუმერსინდა...“ თქვენი თვალები, ესტებან პეპე, გაყინული და შიგნი-შიგან კი ფარულად აფრთხიალებული, ნისკარტს ილესდა ავი მიმინო, მაგრამ არ ჩანდა არსაით მსხვერპლი - „აის, ნამცხვარი მივუტანოთ, ნუშის ნაღებით, ძალიან უყვარს...“ „მამიდაშენის ძალიან... - გულჯავრიანად ფიქრობდა პეპე, - თქვი, რაღა რამე...“ მაგრამ გენერალს აქ დეიდაც გაახსენდა და ესტებან პეპე წამოხტა, ცელქ მარგიჩას მოსარკულ იატაკზე დავარდნილი ძვირფასი ცხვირსახოცი მიაწოდა, მუნჯურ თვალებში ცრემლმოწოლილმა, სიხარულისაგან აღტაცებულმა, მადლიერად შეისრუტა მისი ალერსიანი თავის დაკვრა და, გენერალ ხორხეს მიუჯდა გვერდით, ბუნებრივად გადაადგილებული, ახლა სხვა გენერლის გამოვლენას შეუდგა - განზე უგულოდ იქცია პირი; თქვენი თვალები, ესტებან პეპე, მზაკვრულად როგორ შენიღბული,

თქვენი თვალები, გრილ ფიტულად გახევებული ცოცხალი, ავი, და მაინც ბრიყვი, ბრიყვი მიმინო.

- ჩემებო, ძმებო... - აჩურჩულდა ბრეზენტგადაფარებულ, მოკუნტულ სერტანელებში მდგარი მენდეს მასიელი, როგორ ბნელოდა, - გამომყევით და დიდ ქალაქს ნახავთ... ჯერ არ არსებობს და ჩვენი ხელით უნდა აშენდეს, სხვა ვინ გვიბოძებს სანუკვარ ქალაქს, ჩემებო, ძმებო, შორსაა ჩვენგან დიდი მიწები - რომი, ბაბილონი, პომპეა და რიო დე ჟანეირო, მაგრამ სიმყრალემ აქამომდისაც კი მოაღწია, და გავიჟღინთეთ, თავი დავიხსნათ, ჩემებო, ძმებო, უნდა დავიხსნათ ბეჩავი თავი, იანეებო, მე გამომყევით... და თუმცა ბრძოლას არვის ავუტეხთ, და წესით თითქოს ამის ნებაც გვაქვს - განრიდებისა, - მაინც იცოდეთ, თავდასასხმელად აგვიხირდებიან, და შარს მოგვდებენ რაღაცას, რასმე, - ბრძოლა მოგველის... ისიც იცოდეთ, რომ დავმარცხდებით, მაგრამ სილაღეს იგემებთ, ძმებო - თავისუფლებას გაჩვენებთ, რაა. ოღონდ, დროებით, იცოდეთ ესეც, და ნუ შეკრთებით, რადგან ისედაც დროებითა ვართ, აქ, ამ მიწაზე... და სიკვდილისაც ნუ გეშინიათ, ნურც - არყოფნისა, ნუ გგონიათ, რომ უცხო ხილია - დაბადებამდეც, ხომ არ ვიყავით... რა არ მომხდარა ჩვენს გაჩენამდე, დიდრონ ქალაქებს იღებდნენ ერთნი და მეორენი - თაყვანსა სცემდნენ... ბნელში ტიროდა პატარა ბიჭი... ზღვის პირას გრძელ ნავს უცდიდა ქალი... ვიღაცეები - ვიღაცეებს კლავდნენ... ხომ არ გტკენიათ? და მერეც, მერე, სიკვდილის შემდეგ, თქვენს მოქნილ სხეულს აღარაფერი არ ეტკინება, და გაჩენამდეც გაყუჩებულებს - მინდვრად, ბალახსა თუ გრილ ნაყოფში, მერედაც ასე დაგებედებათ - და განწირული თქვენი სხეული, სიკვდილის შემდეგ - კვლავ სიგრილეში იყუჩებს მშვიდად, და, ოთხ ფიცარში გახევება-მისჯილებს, ძმებო, აქ, სიცოცხლეში, თვალახელილებს, გულაძგერებულთ, ნუთუ სიცოცხლე, ანუ ტკივილი, არ გენატრებათ, ნუთუ არ გსურთ თავისუფლება - სილამაზეში დაბადებულებს... უგნურნო, ბრიყვნო, სულ ერთადერთხელ გაჩნდეს ქვეყნად ადამიანი და ისიც - სხვისთვის? - გამოეთრიეთ ყველანი გარეთ! - და ისევ ჩუმი, შემპარავი ჩურჩულითა თქვა: - ჩემებო, ძმებო, მიმოიხედეთ...

კონსელეირო უკვე მზის გულზე ამაყად იდგა, ბრეზენტიდან მოხოხავდნენ სერტანელები, წყვდიადს შეჩვეული თვალები ღონიერ შუქზე ეხუჭებოდათ, და, წამომდგარნი, დაბნეულნი, აფორიაქებულნი, პირველაღმომჩენის სიგოროზეგარეული გაკვირვებით შესცქეროდნენ მთებსა და ღრუბლებს... რა - რა ყოფილა და - რა ეგონათ... „ეს ყველაფერი, კონსელეირო, ნუთუ ჩვენია...“ - რიდით იკითხა გრეგორიო პაჩეკომ და ძლივს მოსწყვიტა მაღალ მთას თვალი. „შენია, თქვენი, - უთხრა მენდეს მასიელმა, შავ სამოსს ქარი უფრიალებდა, სხვაგან არ ჰქროდა

მცირედი სიოც, - თუ მოინდომებთ...“ „კი, როგორ არა... - წამოიძახა შეშფოთებულმა სენობიო ლდოსამ, - მაგრამ ამისთვის საჭირო რაა...“

- მე გამომყევით.

- მე თუ წამიყვანთ... - მაშინვე მორცხვად თქვა თავჩაღუნულმა ვაკეირომ, მიწას ჯიუტად ჩასცქეროდა. ის, ერთადერთი, არ შეჰყურებდა ზეცასა და ღრუბლებს.

- შენ რომელი ხარ...

- ჟოაო აბადო.

- ყველას წაგიყვანთ, ვინც მოისურვებთ.

პირქუშ ვაკეიროს შესცქეროდა მენდეს მასიელი, აუჩქარებლად შემოუარა.

- გინდა თანაშემწე იყო ჩემი, ჟოაო?

- ძალიან ძლიერ, კონსელეირო, - უთხრა იმან და მერე განზე გაიხედა, ჯიუტად მოინაცვლა ფეხი, - უჟმური რომ ვარ?

- ეგ არაფერი. ძალიანაც კარგი.

„- ვინ რას გახდება ქვეყნად,-წამოიწყო შიშველმა ანისეტომ, ორგან მიეკრა დიდი ფოთოლი, - თუ არ ექნება ბედი, კვატი გასცურავს ხელად, ჩაიძირება გედი, აეს ყმაწვილი შენ უნდა ჩაიბარო, ოთო-ექიმო“. და კეთილ სახეს აქ, ამ მოწამლულ დარბაზში პირველად შეეჩეხა მგზავრი, ერთმანეთს ნდობით შეჰყურებდნენ და ჭროღა თვალებით უღიმოდა მსუქანი კაცი, ისეთი ლაღი სიხარულით, თვალში სისოვლე მოეძალა, და სიყვარულის გამხელისა თითქოს რცხვენოდა, ვითომც თამამად და საქმიანად და მხნედ იკითხა: „რა გქვია, ბიჭი!“ „მე... დომენიკო“, უთხრა და მიხვდა, აქ, კამორაში, წყეულ ქალაქში პირველად რომ გაიღიმა და ამან გააღიმა უფრო, და მათ მზერაში ვედრებაც იყო - არ შეცვლილიყვნენ, ერთმანეთს სთხოვდნენ... „სადაური ხარ...“ „უპატრონოა, - მჭახედ გაისმა ანისეტოს ხმა, ბზარი გაუჩნდა მათ ნაზ, ლბილ ბგერებს, - ხომ ჩაიბარებ“. და ისევ გალღვა ირგვლივ ყინული - „კი, კი, აბა რა... ფერმკრთალი რად ხარ“. „რა ვიცი, ისე“. „ეგ არაფერი, ჩემსას წავიდეთ, და კარგი პური ვჭამოთ, - თქვა და ხელები მოიფშვნიტა, - ხომ გინდა...“ „დიახ“. „ჯერ პოლკოვნიკთან უნდა მივიდეს, - გაღიზიანდა კვლავ ანისეტო, უცხო ბურუსში აღმოჩნდა რადგან, - გარეთ დაიცდი, ოთო-ექიმო“.

- ცოლ-შვილი მყავს და... - თავი ჩაღუნა, - კონსელეირო, ახლავე ალბათ ვერ წამოგყვებით.

- მერე მომაგნებ. გამეხარდება იცოდე, ზე. - კუშტი ღიმილით თავს დასცქეროდა.

- როგორ მოგაგნოთ...

- ყველამ მისმინეთ! ვისაც წამოსვლა ახლა არ ძალგიძთ, და გაბრუნებულთ, იქ, სერტანაში მოგენატრებათ თავისუფლება, ამ გზას მისდიეთ.

კაატინგასკენ გაფარჩხა ხელი.

- ჯერ იქ გაივლით, და იქ რომ გახვალთ, მიმოიხედეთ, და კაატინგას სხვა ბუჩქნარს რომ შენიშნავთ მერე, - იქით წამოდით. კაატინგაში იარეთ, ძმებო.

- კი მაგრამ, როგორ... - პირი დააღო აველინომ და კონსელეირომ ჯერ მას შეხედა, მერე სუყველას მოავლო თვალი.

- გამოგატარებთ კაატინგა. გადაიშლება.

გაოცებულნი იდგნენ მწყემსები.

- ზე, - ხმადაბლა თქვა ჟოაო აბადომ, განზე იბრუნა პირი - უჟმურს, გამოლაპარაკებისა რცხვენოდა, - როცა წამოხვალ, ჩემი ცოლ-შვილი წამოიყვანე, ორი ხბოცა მყავს და ჩემი ცხენიც ჩააბარე, ძალიანა გთხოვთ, პატრონს.

- კარგი... და მე რომ... ვთქვათ და...

- მე წამოვიყვან, ჟოაო ბიძია, - გაუღიმა მანუელო კოსტამ, - მე რა, ახლავეც წამოვიდოდი, ზეს რომ არ ვახლდე, ამხანაგია ჩემი.

- ვინაა შენი ბიძია, - მაშინვე ცხვირი აიბზუა ჟოაომ, - კი, როგორ არა, შენ ჩაგაბარებ ცოლ-შვილს, კი, როგორ არა, ძალიან, დიახ... ანდე ცხვარს ბატი... არა, მგელს კრავი თუ, როგორაა... ფიჰ! - და ხმას დაუდაბლა, - შენ თუ ვერ შეძლებ, ზე მორეირა, დავბრუნდები და მე წამოვიყვან...

- აბა, წავედი, - მძიმედ შებრუნდა კონსელეირო - მენდეს მასიელი, ხმელი გოლიათი; შორეულ სივრცეს პირქუში რწმენით გაჰყურებდა, და ზურგს უკან მყოფთ ესღა მიუგდო: - ვისაც სურს, მომყვეს.

გადადგა ფეხი.

„აბა, მიდიხარ? - თითქოს უგულოდ იკითხა ბრჭყვიალა პოლკოვნიკმა, მაგრამ რაღაცა მაინც აწუხებდა, სევდიანად შესცქეროდა დიდად ამაყი წინაპრის არანაკლებ სევდიან პორტრეტს, - უცნაურია... რაშია საქმე...“ „ჩემს ბედზე თუ წუხს... - მადლიერებით გაიფიქრა დომენიკომ, ოთო-ექიმის თვალების შემდეგ რწმენა აღუდგა თითქოსდა, თითქოს... - დიახ, გრანდჰალლე“. „უცნაურია“, - გაიმეორა პოლკოვნიკმა, თითს მაგიდაზე ჩაფიქრებული აკაკუნებდა, და დომენიკოს გულს მოეფონა - შემეჩვია თუ... რაშია საქმე... რომ ვტოვებ, ალბათ იმიტომ დარდობს... „მმმ, მმ... - სევდიანად ღიღინებდა პოლკოვნიკი, - მიდიხარ, აბა? ვინ უნდა იყოს... უცნაურია... ვინ უნდა იყოს“. „ვინ და მშვენიერი კაცია, ნუ დაიდარდებთ - ოთო-ექიმს მივყვები, გრანდჰალლე“. „ვის?“ - გამოფხიზლდა პოლკოვნიკი და წამით სახეზეც კი შეავლო მზერა. „ზედა ქალაქში აღარ გაგეჩერებაო და... ოთო-ექიმს გადამაბარეს“. „ვიცი, ეგ ვიცი, - ხელი ჩაიქნია პოლკოვნიკმა, - შენ ის თქვი, თორემ...“ „რა ვთქვა, გრანდჰალლე...“ „რა და, დომენიკო, ბიჭო, - უცებ სალაპარაკოდ აიღერღა პოლკოვნიკი და სხაპასხუპით მიაყარა, - ეს ქალი გამაგიჟებს პირდაპირ, სუზზი. ვერ გამიგია მაგისი საქმე, ქმრის შემდეგ შენს გარდა არავისთან ვყოფილვარო, მიმტკიცებს, მეფიცება, და არც ქმრამდეო არავისთანო, თქვენ ორის გარდა არავინ ვიციო და ძალიანაც კარგი, ასე თუა, ძალიან კარგი, მაგრამ ეს როგორ დავუჯერო, რადგან იმ დროს, აი... აი, იმ მომენტში... - აქ ოდნავ შეფერხდა, - აი, ლოგინში, საწოლში რაღა, ეშხში რომ შევა, სულ კვნესა-კვნესით გაიძახის - ოჰოჰოოო, ვასკო... როგორ დავუჯერო, ა, დომენიკო, მითხარი აბა - მე, კარგად იცი, ფედერიკო მქვია, იმის ქმარს - ნავოლე და სხვა თუ არავინ არ განუცდია, რაღას იძახის: ვასკოო, ვასკო...“

აი, პოლკოვნიკს რა აწუხებდა.

თურმე.

თვალმოჭუტულნი გასცქეროდნენ სერტანელები ქვიშა-ქვიშად მიმავალთ. მენდეს მასიელი კუშტად მიუძღოდა, ჟოაო აბადო ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, მერე - გრეგორიო პაჩეკო, აველინო, როხასი... თორმეტნი იყვნენ, სილაში მძიმედ ეფლობოდათ ფეხი... ძლივსღა მოჩანდნენ მერე, რუხი კაატინგა გადაეღობათ და, შეფერილები, აღარა ჩანდნენ. სუნთქვაშეკრულნი, დაძაბულნი შესცქეროდნენ შორეულ ბუჩქნარს, და ერთგან რაღაც გაიბზარა და, ძლივას გამოსხლტა დუნე სიყვითლე, ეს - კაატინგა გადაშლილიყო, და შორეული მოჩანდა სილა. მუშტებშეკრულნი გასცქეროდნენ სერტანელები, მოღრუბლულიყო, და ძნელად ჩანდა, და მერე, მერე, ცოტა ხნის მერე, შინ ბრუნდებოდნენ, ამხედრებულნი, მხრებჩამოყრილნი, ძლიერ აწვიმდათ... „შენ თავისუფალი ხარ, ზე? - ესღა ესმოდა. ძალიან წვიმდა, - მე, არა, არა... აჰ, არა, არა, - გაუთავებლად იმეორებდა ზე, დამბალი იჯდა, წვიმა ჩამოსდიოდა მჭმუნვარე

სახეზე, ტიროდა თითქოს, - აჰ, ვერა, ვერა...“ „და გინდა, იყო?“ „ძალიან ძლიერ, კი, კი, ჰო, დიახ...“ ზე მორეირა, ცოლ-შვილი გყავდათ, გიყვარდათ როგორ, აჰ, ისე ძლიერ... ერიდებოდით იმათთვის ხიფათს... და მაინც სული, თავისუფალი, თავისუფალი გერჩიათ სული... ხომ კი, ჰო გსურდათ? „ძალიან ძლიერ...“ -

იქ რომ გავიდნენ, თორმეტნი იყვნენ.

„უნდა დამითმოთ, მე უნდა დამითმოთ, ჩემო პოლკოვნიკო, - ეხვეწებოდა საზარელი მიჩინიო, თვალები ისევ ჭრილით-ჭრილამდე ნაცრისფრად, ავად უელავდა, - აკი შემპირდით, თუკი მომბეზრდა შენ დაგითმობო...“ კუთხეში თრთოდა საბრალო მგზავრი. „არ მომბეზრებია, მარცხენა ხელო, იმდენი მაცინაა... - დაფიქრებული ამბობდა ბრჭყვიალა პოლკოვნიკი, - ვინაა ნეტავ?..“ „როგორ თუ ვინაა... - გაიკვირვა მიჩინიომ, უბრალოდ ეცვა, - ვისა ჰგულისხმობთ...“ „შენ ხომ არ იცი, მარცხენა ხელო, - უეცრად გამოფხიზლდა პოლკოვნიკი სეზარ - აქ, ამ ქალაქში, სახელი ვასკო ვინმეს ხომ არა ჰქვიაა?“ „არავის, არა. დამითმეთ, რაა, - შემზარავად იხვეწებოდა მიჩინიო, რაღაცნაირად ერთიანად მოეღრიცა სახე, - სულაც, მომყიდეთ, თუ გნებავთ, ჰალე, ეს მოსაკლავად ყველას აჯობებს, ჩემს ცხოვრებაში არ მომიკლავს დიდი ბითური... რაღაც სხვა ეშხი ექნება მაგას...“ „დაა, მოფერებით ხომ არ ეძახიან ვისმე...“ „რას, პოლკოვნიკო?“ „რასა და - ვასკოს...“ „არა, არავის... მომყიდით, ჰალე?“ „ვერა, აჰ ვერა, მარცხენა ხელო. დიდი მარშალის გადაწყვეტილებაა... პატარა ხანს დააცლიან ალბათ და ფულს თუ ვერსად შეიძენს, დაუდარაჯდი და წაჭერი თავი სადმე“. „პატარა ხანში შეიძლება გამოიქექოს, თვალანთებული მოკვდება მერე. ახლა კი, ჰალე, სულ ერთიანად მიიბნიდება... - ახლა აქვს ფასი“. „და სულაც შეიძლება, რომ მოგონილი სახელი იყოს, არა?“ „რომელი, ჰალე!“ - „რომელი - ვასკო...“ „კი, როგორ არა... ეგებ მე ვთხოვო თავადვე მარშალს“. „რა უნდა სთხოვო...“ „ამისი ყელი“. „არ გირჩევ, ჰალე. ჯერ ერთი, გადაწყვეტილებას შენი სიამოვნებისათვის არ შეცვლის და ამას მერე ვინმემ შემთხვევით რომ გამოჭრას ყელი, მაშინვე შენზე იფიქრებენ და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდები, ჰალე...“ „მაშინ, გრანდჰალლე, ორ სიტყვას ვეტყვი, - თქვა მიჩინიომ, დომენიკოსკენ გამოემართა. განზე თავდახრილს, არიდებულ თვალებში ჩასცქეროდა, - სული წაგისწრებს, იცოდე, ლეკვო - ან სადმე, ქალთან შერჩები ალბათ, ან სულაც, სმაში ჩაიკლავ სევდას; უბრალოდ, გავლაც მოგენატრება მთვარიან ღამით და... ასწიე თავი!“ თავაპყრობილი, მორჩილად იდგა - „ემაგ კისერში ჩაგასობ დანას!“

თავაპყრობილი, იმედით იდგა - ისევ ის ლაქა...

და იმავე ღამით გუშაგებმა ზედა კამორას ალაყაფის კარი განახვნეს - ოცდაათი ცხენოსანი, გრძელი სერჟანტის მეთაურობით, თავად მარშალის უშუალო მითითებითა და დავალებით, ვიღაც თორმეტი კაცის მოსაძებნად გაეშურა... ბაზრობათა ქალაქში მცირედ შეისვენეს, სისხლში ამოსავლები ხელებით პური გატეხეს და, ისევ ჩაასეს დეზები ცხენს... თავის ფარღალალა ქოხში პირაღმა იწვა ზე მორეირა, დიდი მწყემსი, და, ჭერს მიჩერებული, მარიამს ეჩურჩულებოდა: „წავიდეთ, ქალო...“ „რომ დავიღუპოთ... ხომ კარგად იცი, არ დაგვინდობენ...“ „არც მე დავინდობ“. „ბევრნი არიან კამორელები“. „დიდი ამბავი - იყვნენ რა, მერე...“ „ვერ წამოგყვები... ბავშვებიანად, ვერ წამოგყვები... ამათ კი, იცი, არ მივატოვებ. - გამწარდა ქალი, - მარტოკა წადი, ასე თუ გინდა“. „ვინ გარჩენთ მერე...“

ოთო-ექიმმა კარი გააღო, შინ შეიყვანა, მერე, კიბეზე, თითქოს მობოდიშებით უთხრა: „სახლს არ ვკეტავდი ადრე, დომენიკო, მაგრამ მეც მნახეს რაღა, მზეთუნახავი ქალბატონი - წამდაუწუმ მიტაცებდნენ“. „თქვენ გიტაცებდნენ? - გაიოცა დომენიკომ, - რატომ...“ „იმიტომ რომ, ვინმე ძალიან ავად თუ გახდებოდა, დიდ ფულს ახდევინებდნენ, მე რომ გამოვეშვით.“ ჰეე, კამორა... „აქ დამიცადე, ახლავე მოვალ...“ - უთხრა ექიმმა, და გული ჩაწყდა მაშინვე დომენიკოს, - „ესეც ისაა, - აქაურია - რაღაცას მალავს“... მაგრამ ოთო-ექიმი სწრაფად გამობრუნდა ოთახიდან და აუხსნა: „ახლა, მიბრძანდით... არეულობა იყო ცოტათი... და მივალაგე... მოგეხსენება მარტოხელა კაცის ამბავი.“

და, როგორც იქნა, თორმეტ სერტანელს წამოეწია გრძელი სერჟანტი, გულმხიარული სტვენა-სტვენით და შეძახილებით წამოეწივნენ...

პირაღმა იწვა სადღაც, სილაზე, ზე მორეირა, აწ მომჩვარული დიდი ვაკეირო, სხვის ცას, სხვის ღრუბლებს აჰყურებდა, კარგად იცოდა, მეზობლობაში ზოგიერთები უკვე რომ აპირებდნენ კაატინგასკენ წასვლას - მცირე სარჩო-საბადებელს აგროვებდნენ და, პაწია ტომრებით სტაფილოსა და კომბოსტოს თესლი მიჰქონდათ... თვალს არიდებდა ზეს მანუელო, დარცხვენილი და გაბრუებული დააბოტებდა ისიც - კაატინგასკენ გული უწევდა. თავისი ქოხისკენ გამოემართა ზე, შემოაბიჯა, მარიამის წინ - საკვირველებავ! - ცალ მუხლზე დადგა - „წავიდეთ, წამო... ძალიანა გთხოვ...“ და მერამდენედ, კვლავ განმეორდა: „რომ ამოგვხოცონ... ხომ კარგად იცი, არ დაგვინდობენ“. „არც მე დავინდობ. - გულზე ხელი მიიდო ზემ, - არც მე დავინდობ არავის, ქალო“. „ბევრნი არიან კამორელები“. „მარიაამ, იყვნენ...“ „ბავშვებიანად, ვერ წამოგყვები, - თქვა მარიამმა, და, გულჩამწვარი, მუხლმოყრილ მწყემსს თვალს არიდებდა, - ამათ კი, იცი, არ მივატოვებ... მარტოკა წადი, ასე თუ გინდა“. „ვინ გარჩენთ მერე... - ხმადაბლა თქვა უსუსურმა ზემ, მხრებზე სიმძიმეჩამოწოლილი,

სოხანეზე უილაჯოდ მუხლმოყრილი იდგა. - ბავშვებიანადაც ხომ მიდიან და... სხვას რა - არ უყვარს თავისი შვილი?“

და, როგორც იქნა, შორს, კამორაში, მგზავრმა გაბედა - „თქვენ... ალექსანდროს უფროსი ძმა ხართ?“ ისეთი ნდობით შესცქეროდა, ვედრებით ისე, რომ ოთო-ექიმი ძაან დაიბნა: „ვისი, დომენიკო?“ „ალექსანდროსი... ალექსანდროს ძმა!“ „არა, გეთაყვა...“ „კი, როგორ არა, - შეევედრა დომენიკო, - თქვენ ალექსანდროს უფროსი ძმა ხართ“. „ერთი და მყავდა, სულ, დომენიკო...“ „ძმა - არც ერთი?“ „არა... არა-მეთქი, კაცო, - თითქოს ოდნავ განაწყენდა კიდეც ოთო-ექიმი, რადგან უნდობლად შესცქეროდა მგზავრი, - რატომ არ გჯერა?“ „იმიტომ, რომ - უთხრა დომენიკომ, - მაინც ვერ მიხვდებიო, ასე მითხრა“. „ვინ გითხრა, კაცო“. - მართლა დაიბნა ოთო-ექიმი. „თქვენმა ძმამ - ალექსანდრომ“. „ჰეე - ხელი შეაგდო მაღლა ექიმმა, - აი, შენ ახლა ცოოოტათი აურიე...“ „და სიტყვებს სწორედ ასე, აი ასე, თქვენსავით აგრძელებდა!“ „ვინ აგრძელებდა, შე კაი-კაცო?“ „თქვენი ძმა...“ მაგრამ აქ ოთო-ექიმმა ისე უბრალოდ ურჩია: „აი ეს ფხვნილი დალიე, ბიჭი“, რომ დომენიკო მაშინვე მიხვდა - ნაღდად სხვა იყო ალექსანდროს ძმა...

დიდი მარშალი, ედმონდო ბეტანკური კი გამომცდელად შეყურებდა უცნაურ სერჟანტს - ისეთი გაჭიმული შემოვიდა, და ისე მოკლე-მოკლედ ადგამდა ნაბიჯს, ცოტა არ იყოს, გაოცდა კიდეც: რამ გააამაყა ასე - თორმეტ უჯიშო მაწანწალაზე ოცდაათკაციანი რაზმით გამარჯვებამ? მაგრამ გრძელ სერჟანტს თავ-პირი ძლიერ ჩამოსტიროდა, და დიდი მარშალი, მრავლის მომსწრე ედმონდო ბეტანკურიც კი განცვიფრდა - ბევრი ენახა დამარცხებული, მაგრამ ისინი მომჩვარულნი და მოხრილნი იყვნენ, ხმელ სერჟანტს კი მანამდე მარად ჩავარდნილი, უხილავი მუცელი გამოეზნიქა ახლა, და მხრებიც უკან გადაეჭიმა: ხმელი და მუცელგამოზნექილი, წინმორკალული, მშვილდს ძლიერ ჰგავდა, და ბეტანკური ერთბაშად მიხვდა: ალბათ, გამომშვიდობებისას კაი მაგარი პანღური ამოარტყეს... და ეგრევე დარჩა.

და სერტანაში, ნახირისაკენ იპარებოდა მარიამი, თავმკვდარი ქმარი თვალწინ ედგა და, გულდამდუღრული, ნახირისაკენ მიიპარებოდა, გარინდებული იდგა ფაშატი, და ხესთან მიმჯდარ დიდ ვაკეიროს თვალს არიდებდა, მარიამი კი, მსუბუქი, ფეხშიშველი, ქმარს ზურგს უკნიდან თავს დასდგომოდა და, მერე, მერე, ვერ მოითმინა, გაებზარა გული და, თავჩაქინდრულ, მოკუნტულ ზეს ამა სიტყვებით გამოეცხადა: „ადე, წავიდეთ...“

პანღურმიბეჭდილი სერჟანტი კი ასე ჰყვებოდა: „კაიხანს ვერ წამოვეწიეთ, გრანდისსიმოჰალლე, რადგან კაატინგას გვერდს ვუვლიდით და ისინი არ ვიცი, როგორ გადიოდნენ...“ „საიდუმლო ხვრელი ხომ არ შეგინიშნავს სადმე“. „არა, გრანდ...“ „მერე!“ „და რომ წამოვეწიეთ, მხნედ მივვარდით და ისე უცნაურად გაჩერდნენ, გრან...“ „ეგ გრანდისსიმოჰალლე აღარ გამაგონო! - მუქარით შეხედა დიდმა მარშალმა, - საქმე! საქმეზე ილაპარაკე...“ „და ისე უცნაურად გაჩერდნენ ცოტა ხანს კიდეც დავიბენით: ხელჩამოშვებულნი იდგნენ და შემოგვცქეროდნენ. მერე მე ერთ-ერთს დანიანი ხელი მოვუქნიე, მაგრამ არც შერხეულა. მერე მე გავბრაზდი და კისერში რომ ჩავეცი დანა, მერე კარგად აღარ მახსოვს, გრ... და მერე გონს როცა მოვედი, ყელზე მარყუჟი მქონდა და ყველა სილაზე ეყარნენ, ესე იგი, ჩემი რაზმელები, ყველანი - გულში მაჩეტეჩაცემულები და ისინი კი ისევ თერთმეტნი იყვნენ“. „ნთუ ნთორმენტნიო? - ჩაერია საუბარში ლეიტენანტი ნავოლე და მაშინვე ენაზე იკბინა. „არა ლეიტენანტო, ჰალე, ერთი ხომ უკვე მე გავასაღე“ „და, ესე იგი, თავიდან ერთ-ერთის მოკვლას უცდიდნენ?“ - თვალები მოჭუტა მარშალმა ბეტანკურმა. „ასე გამოდის, თითქოს. გრ...“ „და ცხენები და თოფ-იარაღიც აგართვეს, არა?“ „დიახ... პატივცემულო“. „და ეგ პანღური ვინ მოგაჭედა?“ „ჩემს ჯოგს მწყემსავდა ადრე, გრ... - დაიმორცხვა სერჟანტმა, - როხასიო თუ რაღაც ჯანდაბა ერქვა“. „კაარგია, კარგი... - თქვა მარშალმა ბეტანკურმა, - თორმეტმა ჩამოძენძილმა მაწანწალამ ოცდაათი ცხენოსანი დაგამარცხათ, კაარგია, კარგი... და ისიც გამოიანგარიშეს, ყველას გაეგო, ჯერ თქვენ რომ გაასაღეთ იმათი კაცი... ყველას ერთბაშად რად არ ესროლეთ!“ „ვერ მოვითმინე. პატივცემულო. და თანაც, დანით, საინტერესოა უფრო...“„კაარგია, კარგი... პოლკოვნიკო სეზარ.“ „დიახ, გრანდისსიმოჰალლე!“ „ორასკაციანი ბრიგადა გაგზავნე. ახლავ, სასწრაფოდ“. „ვინ დავუნიშნო მეთაურად“. „ვინც გინდა... აგერ, ნავოლე გაგზავნე“. „ნგმანდლობ ნდობისთვის, ნგრ...“ „თუ ჰყავს ამას ვინმე, თავდებში დატოვების ღირსი“ „ცოლი ჰყავს, მგონი, - თქვა პოლკოვნიკმა, - მგონი, გყავს, არა?“ „ნდიახ, ნგრანდჰალლე... ნსუზანნა ქვია...“ „ძალიან კარგი, - თქვა ბეტანკურმა და პოლკოვნიკ სეზარს თვალში შეხედა - იცოდა ყოველივე, - თავდებად გყავდეს, - მერე ნავოლეს მიუბრუნდა: „ყველა გაჟლიტეთ... ორიოდ კაცი მოიყვანე მხოლოდ. მაინტერესებს, რისი იმედი ჰქონდათ. საიდუმლო ხვრელს ეგებ წააწყდეთ, ჩემო ლეიტენანტო, სადმე, ისე, ხომ იცი, კაატინგაში ვერ გავიდოდნენ“. და მერე ისევ პოლკოვნიკი ფედერიკო სეზარ მოიხმო, მორჩილი თავი დაახრევინა, და ყურში უთხრა: „აეს, სერჟანტი გაასაღეთ... გაჯგიმული ეგ კი არა, გრეგ რიკიოც კი მეზარება ხანდახან“. „ორივე გავასაღოთ გრანდისსიმოჰალლე?“ „ერთი, გრანდჰალლე. ეს“.

მცირე სახლ-კარში დააბიჯებდა ზე მორეირა და წვრილმან-წვრილმან ნივთებსა ჰკრებდა. მერე ჟოაო აბადოსას შეიარა, და მისიანებს - ცოლსა და ოთხ ქალიშვილს დაეხმარა მცირეოდენი ბარგის შეკვრაში და გაღიმებული დასდევდა ყველგან მხიარული მწყემსი. დიდ ვაკეიროს მაშინვე დაემგზავრა ათიოდ კაცი - ცხენი, ნახირი სრულად დატოვეს, მხოლოდ საკუთარ, ორიოდე სულ საქონელს ჩააბეს თოკი: და ერთიც, უცხო, ვიღაც ყრუ-მუნჯი შემოუერთდათ - ხან მომღიმარი, მომლოდინედ შესცქეროდა დაბნეულ მწყემსებს, უტყვი, კეთილი, ყველას დახმარებას მოუხეშავად ცდილობდა, კამორასაკენ გაიშვერდა ხელებს მერე და მუშტებს იქნევდა. ჯერ ეგონათ რომ, კამორელებმა ამოგლიჯეს ენა, მაგრამ იმ უცხომ ენა გამოჰყო, კამორელების მისამართით ღმუილ-ღმუილით იმუქრებოდა რაღაცას; სადაურობა გამოჰკითხეს, ისე, უბრალოდ, ზრდილობისათვის, და ვერაფერი გააგებინეს, რადგანაც პასუხად ის უცხო მხოლოდ და მხოლოდ გულზე ღონივრად იბაგუნებდა ხელს და, მერე, გრეგორიო პაჩეკოსთან წასაღებ დიდ დოლს კარგა მაგრად რომ შემოჰკრა მრგვალთავა ჯოხი მანუელო კოსტამ, ქვაზე ჩამომჯდარ, ზურგშექცეულ უცხოს თვალიც არ დაუხამხამებია - ყრუც კი ყოფილა...

ღამით დაადგნენ აღთქმული ქალაქისაკენ გზას.

მზიანი დღით კი შუა კამორაში არხეინად მიმავალ ექიმს მგზავრი, დომენიკო მიჰყვებოდა, წამლებიანი ჩანთით ხელში და, გაოცებული ისმენდა, რეებს უბედავდა ავთვალებიან კამორელებს ოთო-ექიმი: - „ოო, მთავარ ყურუმსაღს ვახლავართ, როგორ გიკითხოთ - აივანზე გადმოყუდებულ ვიღაც ამაზრზენ, წელსზევით შიშველ კაცს უყვიროდა, - რა ქენი გუშინღამ, მოინადირე რამე?“ „რომელი მონადირე მე მნახე, ოთო-ძია,- გულიანად უღიმოდა ისიც, გაბანჯგვლული კაცი, - არ ჩამივა ფეხი“. „კი, კი, საწყალი... ფეხი არ ჩაუვა, - რაღაცნაირად უბოროტოდ გამოაჯავრებდა ოთო-ექიმი და მერე დომენიკოს ხმადაბლა უხსნიდა, - ცნობილი კატით მონადირეა, - და უცებ ნაღვლიანად შეხედა მგზავრს, დომენიკოს. როგორც შეეძლო ამხნევებდა, - ნუ გეშინია, მიჩინიოც კი ვერას დაგაკლებს. დღისით და მზისით აკრძალულია დანის ხმარება, ღამით კი არსად გაგიშვებ, ბიჭი, ნუღარაფრისა გეშინია, გასაღები მაჩუქა ავადმყოფმა ერთმა ისეთიი, აჰ... შენ, მთავარია, საღამოთი არ გამოთვრე, ბიჭი... სმა ხომ არ გიყვარს? ძალიან კარგი, აი ეს კაცი, დომენიკო, კედელთან რომ დგას, ძალიანა მძულს, მძულს და ჰა, რა ვქნა... წუწკია, ძუნწი - ნუღარ იკითხავ... დრაჰკანები აქვს ძალიან ბევრი და, რომელიმე ნათესავ-ნაცნობი არ დამესესხოსო და, გაქურდვის შიშიც ხომ აკანკალებს და, წუწუნშია სულ - მიჭირს, მიჭირსო... მაგრამ ამბავი დაემართა ამას წინ? მტრისას... სამასდრაჰკანიანი ლანდო იყიდა და ერთ გაჭირვებულ მოქალაქეს, რომელსაც, პირიქით, მდიდრად მოჰქონდა თავი, გაურიგდა, რომ:

ორივეს გვაწყობს ესე ამბავი - ვითომ ეს ფული შენ მასესხე და მე ვისესხეო და მოდი, მთელ ქალაქს ასე ვუთხრათო და ყოვლად უადგილოდ, დომენიკო, ამას ჰყვებოდნენ, ის გაჭირვებული - ტრაბახობდა, ფული ვასესხეო, ეს წუწურაქი - თავს იზღვევდა, მერე, უცებ, დომენიკო, უცებ ის კაცი არ გადაბრუნდა და არ მოკვდა? აბა... ჰოდა, მიადგა ამას იმ კაცის ქვრივი - ჩვენი სამასი დრაჰკანი მომეო... ამასაც, ამ წუწკს, რაღა ეთქმოდა, რაღას იზამდა - მთელი კამორა დაადგებოდა პირზე... სულ გმინვა-გმინვით ჩაუთვალა; მგონი, დათვლისას მოატყუა ორი დრაჰკანი... ისე, დომენიკო, იმასაც იძახდნენ - აქ, ამ ქალაქში ნურაფერი გაგიკვირდება - იმ ქალმა ვითომ თავისი ქმარი ამ ფულის ასაღებად მოწამლაო და რა ვიცი აბა, ამათ გაუგებს ვინმე რაიმეს? - და ახლა სევდა მოეძალა წყლიან თვალებში. რაღაცნაირად გასაცოდავებული ჩაფიქრდა. მიმოიხედა, და გაუბრწყინდა მაშინვე სახე, - ოო, ქალაქის მთავარ გროსყალთაბანდმაისტერს ვახლავარ, ჰალე!.. მე არა მიშავს, როგორ იქნება კაცი თქვენს ხელში...“

კაატინგასთან შეჩერდა მწკრივი, სუყველაზე წინ მანუელო კოსტა იდგა, რიდით უმზერდა ბუჩქნარს... შემზარავად გახევებულიყო კაატინგა, და ყოველ ჭანგზე ემჩნეოდა, რომ არა თვლემდა - დაძაბული და გადახლართული, უტყვ მოლოდინად გადაქცეულიყო ისიც. მანუელო კოსტამ მწკრივის კუდში მდგარ ზეს გამოხედა. - აქ ვერ იპირველებდა დიდი ვაკეირო, რადგან ბავშვები აეყვანა - გოგო და ბიჭი... ზეს ამობურცულ ბეჭისთავებზე ლოყა მიედოთ, მშვიდად ეძინათ და ბავშვები რომ არ გაეღვიძებინა, პირველმა მწყემსმა მანუელო კოსტას ოდნავ დაუქნია თავი, კაატინგასკენ დაიძრა მანუელო, ზედ მიადგა და შეჩერდა მერე, კაატინგამ კი ერთი მოქნილი, ძალიან გრძელი ბრჭყალი ამოჰყო, სახესთან ნელა მიუტანა მწყემსს, თვალთან გაუსწორა, შემართულები იდგნენ - კაატინგას აუარება მარწუხებიდან - ერთი, და გაშეშებული მხიარული მწყემსი; და მერე ალესილი ბრჭყალი სხეულის გასწვრივ აუჩქარებლად, კუშტად ჩამოუყვა მანუელოს და, გადაიშალა ბუჩქი. აუჩქარებლად გაიარა მანუელო კოსტამ, ორიოდ საშიში ნაბიჯი დაძაბულმა გადადგა... მოიხედა მერე - უკვე სხვა მწყემსი შემოდიოდა გადაშლილ ბუჩქში. და განზე კი გადაწეულიყო კაატინგა, მაგრამ აშკარად ცახცახებდა, მაინც მორჩილად გართხმულიყო განზე ბრაზით ათრთოლებული ბუჩქი... მერე ქალებიც გამოვიდნენ - ჟოაოს ცოლ-შვილი, მარიამი, გრეგორიო პაჩეკოს ცოლი და სიდედრი, აველინოს საცოლე... ბრაზი, ცახცახი ემატებოდა კაატინგას, ბრჭყალებს აშკარად აჟრიალებდა, რვა ვაკეირო გავიდა კიდევ და ზეს წინ მდგარი ყრუ-მუნჯის ჯერიც რომ დადგა, დიდ ვაკეიროს დაბნეული, მორცხვი ღიმილით გამოხედა და ფეხი რომ შედგა, მყისვე წამოიმართა გართხმული კაატინგა, დიდი, ღვარჭნილი მარწუხები ყელში ჩაასო. მაგრად დაქაჩა, ჯერ დიდი მწყემსისკენ შეატრიალა საცოდავი მუნჯი, მერე ქვიშისკენ

მიიზიდა და, დასცა, გახევებულიყო ზე მორეირა, საკვირველებავ, მუნჯი აყვირდა: „მეტს აღარ ვიზაამ, მიშველე, ზეე, მიშველეთ, ხალხოო...“ კაატინგას იქითა მხრიდან საშველად მოიჭრა მაჩეტეამოღებული მანუელო, მაგრამ კუშტმა ბუჩქნარმა გასაფრთხილებლად მხოლოდ ერთი შედარებით უწყინარი მარწუხი გამოისროლა მისკენ. და ბარძაყიდან ააგლიჯა მცირედი ხორცი, და მანუელო გამოაფხიზლა, აყვირებულ მსხვერპლს კი კანი გადმოაფხოჭნა თავზე, ლოყებში ჩაესო, ყელს უკორტნიდა, „მიშველეთ თქვენი... - ძლივსღა იძახდა მუნჯი, თვალგაშტერებულნი დასცქეროდნენ გაღვიძებული, შეშინებული ბავშვები, - არა, არ ვიზამ, მეტს აღარ ვიზამ...“ გამწარებულმა, ამღვრეული თვალები დახუჭა, მაგრამ ქუთუთოებში ჩააფრინდა დაუნდობელი ბუჩქის ბრჭყალები, ქუთუთოები ჩამოაგლიჯა, და უნებურად თვალღია მუნჯი, აგიზგიზებული ტკივილისაგან გონებაწართმეული, ბრჭყალებში გამომჭვირვალ ცას შესცქეროდა, კაატინგა კი გფლეთდათ და გფლეთდათ, იკლაკნებოდით, ესტებან პეპე -კრუნჩხვით დამთავრდა თქვენი სიცოცხლე... თქვენი თვალები, ესტეპან პეპე, თქვენი თვალები - ავი მიმინო, აწ - უძრავი და გაქვავებული... ესტებან პეპე, გაყურსული მიმინოს ნაცვლად, ახლა, ამჟამად, ყვითლად უძრავი გაყინული შარდისფერი თვალები გქონდათ... მერე კი დინჯად, საქმიანად ამოაგლიჯა ყოფილ ესტებან პეპეს კაატინგამ ბასრი ბრჭყალები, განზე განერთხო, და მშვიდად დაელოდა ზეს, რომელმაც გრძელი ფეხებით გადაალაჯა ასე უმოწყალოდ გამოვლენილ დიდ გამომვლენს და თავისიანებისაკენ გავიდა... შორს, ძალიან შორს, სხვა კაატინგას კიდით კიდემდე გადაჭიმული ბუჩქნარი ჩანდა. და ახლა იქით წავიდა მწკრივი, მამისთვის კისერზე მაგრად შემოეხვიათ ხელი დაშინებულ ბავშვებს...

და თუმცა ესტებან პეპესგან - ვისაც საიდუმლოდ დავალებული ჰქონდა, აუცილებლად გაეგო სად იწყებოდა კაატინგას ქვეშ საიდუმლოდ გამავალი ხვრელი - არავითარი ცნობა მოსულა, და ორასკაციანი ლეიტენანტი ნავოლეც ჯერჯერობით ამაოდ დაძრწოდა აღმა-დაღმა, შორს, კამორაში, ბაზრობათა ქალაქის გავლით, მაინც დაირხა დიდად საეჭვო, უცნაური ხმები, რომ:

თურმე სადღაც, ძალიან შორს, სერტანის სიღრმეში, აყრილ ვაკეიროებს ქალაქი გაუშენებიათ;

რომ ის ქალაქი რომელიღაც მდინარის ნაპირთან ძევს;

რომ იქ სახლები თეთრი თიხისგანაა აგებული;

რომ იქ ადამიანები ძმებივით არიან და თანაბრად იყოფენ ყველაფერს;

და რომ იმ ქალაქს - „კანუდოსი“ ჰქვია.

ნაწილი მეოთხე

კანუდოსი

თავი პირველი

თითქმის მთლად აყრილ, მიტოვებულ სერტანას მშვიდად, გულგრილად, უქმად აწვიმდა.

შემოღობილში ნაღვლიანად მიმდგარიყო სისოვლით დაღარულბეწვიანი ნახირი, კუშტად, უგულოდ იცოხნებოდა, ჩამოძენძილი, დაბალი ღრუბლები ჩამოწოლილიყვნენ, ნაადრევი ბინდი უკვირდა ნასიამოვნებ ჭოტს, დიდ მუხაში რომ შეყუჟულიყო და იგივ ხის ფუღუროში ცოლშვილიანა მოკალათებულიყო რძით გაჭყეპილი ცალფეხა ჭინკა, სასი, და თუმცა ახლა, იმოდენა მიტოვებული ძროხების წყალობით, რძე და კარაქი სულ არ უჭირდა, მაინც დასევდიანებული გასცქეროდა დანაწვიმარ სერტანას, სადაც ჩაუქი მწყემსები ფეხმალი ცხენებით აღარ დანავარდობდნენ, წვიმდა სერტანაში, რაღაცნაირად, უგულოდ წვიმდა, მცირე წვეთებით ისერებოდა დამბალ ჰაერში მძიმედ ატივტივებული ნესტი, და სამად-სამი სევდამორეული, დაფიქრებული ვაკეირო ხის ძირას, ამოზნექილ ფესვებზე იჯდა, ხმას არ იღებდნენ. აღარცერთ ქოხში არ ბჟუტავდა უღონო ჭრაქი, საკვამურიდან მსუბუქი ბოლი არცვის სახლიდან ამოდიოდა. დუნედ, ზანტად აცახცახებდა წვეთები ჩამუქებულ ფოთლებს, უმძრახი დამღა სუყოველივეს ჯიუტად ედო, და მხოლოდ მიწა, ერთგული მიწა, ყოველივესი ერთიათად დამბრუნებელი, თავის დიდ საქმეს ჩვეული სიდინჯით აღასრულებდა - ხეებისათვის, ბალახისა და ყვავილებისთვის ისრუტავდა მაცოცხლებელ სისოვლეს, გაფუებული, გულმადლიანად შიშინებდა და მაინც, ახლა, ადამიანთაგან მიტოვებული, ისიც კი, ისიც, თავად მიწა, ალაგ-ალაგ რაღაც უცხოდ უჟმურად ატალახებული იყო და ზე მორეირას ეზოს კუთხეში ლაფში ამოსვრილი, ხიდან გამოჩორკნილი პაწია ცხვარი ეგდო - ბალღების მივიწყებული სათამაშო და მანუელოს ეზოში კი, იქვე ღობესთან, რომელიღაცა გულამოსკვნილი ქალის ნაჩუქარი, ყოვლად უმაქნისი, გადაგდებული ენძელაამოქარგული აბრეშუმის ცხვირსახოცი თითქოს ცრემლებით ინამებოდა, მხიარული მწყემსი კი გაკვირვებული ატუზულიყო იქ, შორეული კანუდოსის მისადგომებთან - გორაკს მოფარებულ,

უხილავ კანუდოსთან, სადაც ჯერ მხოლოდ ათად-ათი თიხის სახლი იდგა, გორაკის ძირას ეულად მიმჯდარ, მუხლზე გადაშლილ ქაღალდში ცხვირჩარგულ ბატისფრთამომარჯვებულ უჟმურს შესცქეროდა:

- მე ვარ, ჟოაო ბიძია, ვეღარ მიცანი?

- სახელი და გვარი მითხარი-მეთქი, ვის ვეუბნები, ვინაა შენი ბიძია.

- მამასხარავებთ, ჟოაო ბიძია? რა, ვეღარა მცნობ? - იკითხა უნებურად შეჭმუხვნილმა მხიარულმა მწყემსმა, - ჩამავალი მზე სცემდა თვალებში.

- შენთან სამასხარაოდ მცალია სწორედ, ვინაა შენთან მომასხარავე! - ბატის ფრთა დააგდო გულმოსულმა ჟოაომ და რისხვით ახედა, - აქ აღარ გაგივა ძველი ხრიკები და ტინგიცობა, წესი უნდა იცოდე აქაური და რიგი...

აქ მანუელომ რიდით შეხედა, თავი დახარა:

- ქალაქის ნახვა მეჩქარება. კი.

- თუ გეჩქარება, რად არ მპასუხობ... - და გაამაყდა, - ჩვენი ქალაქი ძლიერ ახლოა, აი, ამ გორაკს გადავივლით და...

- რა გიპასუხოთ...

- სახელი და გვარი როგორია თქვენი.

- მანუელო კოსტა, - თავაზიანად მიუგო მხიარულმა მწყემსმა და ვიღაცას შეუმჩნევლად ჩაუკრა თვალი.

- რამდენი წლის ხარ.

- ოცდაშვიდისა.

- საიდანა ხარ.

- კალაბრიიდან.

- თათ!! - გაგულისდა ისევ ჟოაო, - სერტანიდან ხარ! მოხარშულს გიცნობ...

- რაღას მეკითხებოდით მერე...

- ასეთია წესი!

- სერტანიდან ვარ...

- რა მოიტანე.

- ჯერ, რა თქმა უნდა, საკუთარი თავი და ტანი...

- დაიწყო ისევ!

- სამი ხბო მოვიყვანე, ჟოაო ბიძია, ჩემი კუთვნილი და ერთიც ზაქი.

- აღარ ახსენო ჩემი სახელი.

- ხბო და ზაქი ვთქვი, რამ გაგაბრაზათ.

ხომ ისევ აქ ხართ? ჰეჰ! - კაატინგაც გამოვიარეთ... სულ არ გაგფხაჭნათ? სულ, სულ, ცოტათი. ეგ არაფერი, ნუ გეწყინებათ... და აბა, ახლა, გორაკთან მდგარი, თუკი მიხვდებით ჩვენს მანუელოს თუ რა ახუმრებს, ძალიან ძლიერ გამეხარდება... არ იცით, არა? - ღელავს, ძვირფასო... და ისიც, კიდევ, ისიც ახუმრებს, რომ იმ გორაკის გადავლის შემდეგ ვეღარ იხუმრებს უწინდებურად, ამასაცა გრძნობს, რადგანაც, იქვე, კონსელეიროს მიერ აღქმული მცირე ქალაქი ჩვენი, დიდი კანუდოსი ელის... მხიარული მწყემსი კი არა, აგერ, მუდამ უთქმელი ეს ვაკეიროც სახუმაროდ გამზადებულა, ეს რა იკისრა, ყური დაუგდეთ...

- შენ რაღა გქვია.

- ინოსენსიო.

- საიდანა ხარ!

- სერტანელი ვარ.

- რამდენი წლის ხარ!

- მე?

- არა, - მე... - გამოაჯავრა ჟოაომ და თვალებში გამომწვევად შეხედა.

იმან კი არხეინად გაუსწორა მზერა და უთხრა:

- თქვენ? თქვენ იქნებით, ასე, ორმოცდაორი-ორმოცდახუთი წლისა.

- თათ!! - გაგულისდა ისევ ჟოაო, მაგრამ ნამდვილად მაშინ დაიბნა, შეუმჩნევლად, ფარულად აღტაცებულმა თავისი ცოლ-შვილი რომ შენიშნა მწკრივში. დროის

მოსაგებად დიდი გულმოდგინებით წვერს უსწორებდა ბატის ფრთას და თან გამალებული ფიქრობდა - არ ეკითხაა, შინაურობისა გამო თავისივე მიერ შემოღებული წესის დარღვევა გამოუვიდოდა, არადა, რომელი ჭკუათამყოფელი ჰკითხავდა ცოლს და შვილს სახელს... და მოიფიქრა:

- ქალები იქით... იქით მიდექით... მარიაამ, თქვენც.

აქ ჟოაო აბადოს პირველად გაუხარდა, რომ ოთხივე ქალიშვილი ჰყავდა.

და მერე, დიდ მწყემსსაც ვეღარ აკადრა ეს ყოვლად უმაქნისი გამოკითხვა და მცირე ბარათი ასე შეავსო: „ზე მორეირა, არა?“ „ოცდათოთხმეტისა, არა?“ „კი“. დიდის გულმოდგინებით გამოჰყავდა ასოები: „სე... ერ... ტა-ნე... ლი. მადლობთ“.

სერტანაში კი ის სამი მწყემსი დიდხანს უმძრახად, მოწყენით იჯდა. წვიმით დამბალი დიდი, ორკუთხა ქუდები დაუდევრად ეხურათ ეჭვებით დამძიმებულ თავებზე, მობუზულები ისხდნენ. მაინც უსმენდნენ წვიმის ჩუმ შიშინს და უკანასკნელი წვეთების უღონო ხმა მიწაში რბილად რომ ჩაილია ერთი მათგანი წამოდგა ფეხზე, შორს გაიხედა, და გაბრაზებულმა თქვა: „უნდა წავიდე!“ „სად უნდა წახვიდე...“ - თქვა ყურმოჭრილმა, მესამე ვაკეირო თავჩაღუნული, კრიჭაშეკრული იჯდა, ჯიუტად ჩასცქეროდა მიწას. „მერედა, ჩვენი მიწა რომ მაინც არაა ეს?“ „აბა ვისია - იწყინა მწყემსმა და ფეხზე მდგარს ახედა, - მე ვამუშავებ“. „თუ შენი ცოლი...“ „სულ ერთი არაა?“ „არა. მწყემსს მიწა არა აქვს, არა, - თქვა ფეხზე მდგარმა, - ბალახზე ცოცხლობს“. „ბალახი მერე - რაა, ცუდია?“ „მშვენიერია, - თქვა წამომდგარმა, - მაგრამ ფესვები არა აქვს გრძელი“. „აბა, სხვა რა გსურს... - თქვა ყურმოჭრილმა, - ხეებიც ხომ გვაქვს, გრძელფესვიანი...“ „ხე შენი მოყვანილი არაა, ტუგო, - თქვა ფეხზე მდგარმა, - ხოლო კომბოსტო, სტაფილო და ოხრახუშ-ქინძი ვერ დამაკავებს“. „მაშ რა დაგაკავებდა, პრუდენსიო...“ - ხმადაბლა იკითხა ფესვებზე მჯდარმა. „ჯერ, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ისიც მყოფნოდა, რამე მცენარე რომ გვქონოდა, ჩვენი გაზრდილი, ღრმაფესვიანი. მაგრამ ხეხილიც აგვიკრძალეს, ეს იმიტომ, რომ იმათ საქონელს მოვლა და ზრუნვა არ მოჰკლებოდა, სხვა რაიმეზე - ყურადღება არ გადაგვეტანა, მაგრამ ხეხილი კიდევ ჯანდაბას, ჩემი ფესვები არა მაქვს, საკუთარი, ჩემი, სიარულისას მიწას ვერცა ვგრძნობ, ვერ დავაბიჯე ვერაფრით ფეხი, რადგან - სხვისია, და თუმცა გულს გატკენ, ტუგო, მაინც უნდა გიამბო ის ცალი ყური თუ როგორ მოგჭრეს... როგორ და რისთვის...“

გორაკზე მძიმედ ადიოდა სერტანელთა გოროზი მწკრივი. სულ წინ - ჟოაო მიაბიჯებდა, დიდად ამაყი, თავშემართული... ძლივს სუნთქავდნენ, თითქოს კაატინგას მარწუხები შემოსალტოდათ ყელზე, ისე ღელავდნენ. ზე მორეირამ გოგო

და ბიჭი მიწაზე დასვა - არა, აჰ, არა, ზეს რა დაღლიდა - თავისი ფეხით უნდა ასულიყვნენ ბავშვები ბორცვზე, და თავიანთი სიმაღლიდან უნდა ენახათ უცხო ქალაქი - ზეს ასე სურდა. იქვე, მის უკან მიაბიჯებდა გაფითრებული მარიამი, და მაჩეტეზე თითებშეყინული ინოსენსიო, და ყვრიმალებდაბერილი, პირველად კუშტი - მანუელო კოსტა... ადიოდა მწკრივი. ფრთხილად სუნთქავდნენ, და ყველასთვის შეუმჩნევლად - აჰ, ქალის იშტა... - გაამპარტავნებულ ჟოაო აბადოს სხვებისთვის შეუმჩნევლად სახელოზე ჩამოქაჩა ცოლმა და მიაჩურჩულა: „არ მოგენატრე, აჰ, პუმპურიკა?“ რაღა დროს იმისი ცელქობაა... - გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავდა, და გაკვირვებისგან მთლად რეტდასხმულმა ჟოაომ მხოლოდ ხმადაბლა წაიზმუვლა რაღაც და ისევ გასწორდა, ისევ გადადგა მტკიცედ ნაბიჯი, და ბორცვის თავზე ამაყად შედგა. სერტანელები აიმ გორაკზე გვერდიგვერდ იდგნენ, ღრმად და ღონივრად სუნთქავდა ყველა, და ყოველივეს, გაოგნებულნი, თვალებით ჭამდნენ.

„კამორელები რომ ამოვიდნენ, შემმოწმებლები, სულ სამი კაცი - თქვა ფეხზე მდგარმა, პრუდენსიომ, ფესვებზე დამჯდარს არც უყურებდა, - აბა, რომელ ერთს გვესიამოვნებოდა, მაგრამ შენ მაინც, განსაკუთრებით შეძრწუნდი, ტუგო - ქათმები გყავდა. ვის რას უშლიდა ის ფრინველები, მაგრამ ესეც კი აკრძალული გვაქვს, ქათმების ყოლა - ასე ჰგონიათ, რომ იმ ჩვენს კუთვნილ ნამატის მეოთხედზე ისე ძალიან აღარ ვიზრუნებთ, ქათმის იმედიც თუკი გვექნება... რა მშვენიერი აზრია, არა? ჰოდა, შენ ერთი გამოდექ ჩვენში, ვინც მათი ბრძანება დაარღვია. სხვებმა არ ვიკადრეთ ეს, კი არ დავშინდით, უბრალოდ, ისე... და ვიდრე ის სამი კამორელი ნახირს შორის მიმოდიოდა, შენმა მამალმა იყივლა, ტუგო... და გაიგონეს. წამსვე ეცვალა სამთავეს სახე, შენი სახლიდან ჯერ შორს იყვნენ. და მორიგ, ახალ ყივილამდე გაშეშებულნი, სმენადქცეულნი, წინგადმოხრილნი, მამლის ხმობისას ოციოდ ნაბიჯს გამოირბენდნენ. ასე გიპოვეს ის აკრძალული ფრინველები, ტუგო. მერე იმ კაცმა, დანარჩენ ორს რომ თავკაცობდა, ძალიან დინჯად და საქმიანად იკითხა ასე: „აქ ვინა ცხოვრობს?“ შენ კი ბეჩავო იმის წინ წარსდექ, შემოგყურებდა ქედმაღალი, აჰ, რა სამოსი, რა დიდებული კურტაკი ეცვა, სულ ვერცხლის მბზინავღილებიანი... შენ კი, ბეჩავი, ჩამოძონძილი, იმის წინ იდექი... იმ ორს ანიშნა და კამორული წვრილი დანებით ქათმებს ალერსით გამოჭრეს ყელი - ტუჩი კბილებში გამოიმწყვდიეს, თვალი მილულეს, ქათმებს ასე უსვამდნენ დანას... მერე მესამემ, იმ თავკაცმა, ღილებიანმა, ერთხანს თვალებში გიყურა, ხელი ბრძანებით გამოგიშვირა და საკუთარი შენი მაჩეტე, იმ შემმოწმებელს ჩაუდე ხელში. ის აგდებულად შემოგცქეროდა- ეჰ, რა დაცინვით გიმზერდა, მერე ორი თითით ზიზღიანად გადაგიწია ყური, მეორე ხელი აღიმაღლა და, ჰოი, სირცხვილო, საკუთარი, შენივ მაჩეტეთი მარჯვენა ყური ჩამოგათალა, მე - პრუდენსიო, იქავე ვიდექ! და იქვე

იდგნენ სერტანელები. მაჩეტესაკენ წაუვიდა სუყველას ხელი, შენ კი, შემცბარი, გაოგნებული, უძრავად იდექ, სისხლი გდიოდა. უიარაღოდ იდექი, ტუგო, და მაშინ კიდევ - არაფერი, მაგრამ თავკაცმა შენი მაჩეტე, ვაი სირცხვილო! - დაგიგდო ფერხთით და მაშინაც კი არ დაიხარე, ერთხანს გიცადეთ, შენ კიდევ - არა, არაფერი, ვაი, სირცხვილო, მე - პრუდენსიო, შენი ღვიძლი ძმა, იქავე ვიდექ! მაგრამ შენს ნაცვლად რომ გამოეღო რომელიმე სერტანელს ხელი, მთლად თავის მოჭრა იქნებოდა შენი და, ჯანდაბას კიდევ, ჩამოთლილი - ყური... არაა, ტუგო? და შენისთანა მწყემსის წყალობით, იმავ დღეს ტუგო, ყოველ სერტანელს მოგვეჭრა თითქოს ცალ-ცალი ყური... ყურმოჭრილები გავხდით ყველანი... ახლა კი, ახლა, აის ქალაქი გვეძახის თურმე, სადაც საკუთარი თავის ბატონ-პატრონი იქნება ყველა და რად არ მოდიხარ, აქ რა გაკავებს! თქვი, რა გაკავებს, - წელში ორად მოიკეცა, ძმისკენ დახრილმა, ჩურჩულით ჰკითხა: „აადამ მიწაში ჩაფლული ყური?“ იმან კი თვალი აარიდა, ოფლმა დაასხა, სადღაც განზე თქვა: „ჰო“ და ფეხზე მდგარი კვლავ გაიმართა, სიბრალულით დახედა ერთი, უთხრა: „შენ შენს მიწაზე არ იდექ, ტუგო... და იმიტომაც - გალაჩრდი“.

აქ ფესვზე მჯდარი რაღაცნაირად ღონივრად, ნელა, ძალიან ნელა, თანდათანობით წამოიმართა, ძმას შეაცქერდა აალებული თვალებით, და მთელი სახეც ისე ეწვოდა, თავს ზემოთ ჰაერი აულივლივდა და ალმურის მიღმა შორეული ხეებიც ატივტივდნენ თითქოს.

„აი, სწორედ მაგ სიტყვას ვუცდიდი შენგან, - თქვა მწყემსმა, სახე უბრიალებდა, - მაგრამ ლაჩარი არ ვარ. კარგად მისმინე, ყოველივეს გეტყვი. ოდონდ შებრუნდი! აიი, ასე... - შეტრიალებულს მხარზე დაადო მარცხენა ხელი, - ერთი იცოდე - სიკვდილისა არ მეშინოდა. ყველაფერს აგიხსნი... აის ქათმები, პრუდენსიო, იმიტომ მყავდა, მინდოდა გამეგო, ამისთვის მართლა დამსჯიდნენ თუ არა, და ისიც მსურდა, ყველას გაეგო, რანი არიან კამორელები... რომ ამოვიდნენ, კი არ შევძრწუნდი, პრუდენსიო, არა - ვღელავდი... მერე რაც მოხდა, კარგად იცი და ისიც იცოდე, პრუდენსიო, თუმცა შენსავით შეუპოვარი არ ვარ, სიკვდილის შიშმა არ მაიძულა ის საოცარი მოთმინება... მე მაინც მოვკვდი სერტანის თვალში - ეს იმიტომ რომ თქვენ, თქვენ დაგინდეთ. მშვენივრად იცი, მთელი ჯარი ამოვიდოდა და დედაბუდიანა ყელს გამოგვჭრიდნენ. ჩემი სიკვდილის არ მეშინოდა, პრუდენსიო... ისედაც მოვკვდი. მაგრამ იმ ჩემი უზომო დამცირებით ყველანი საბოლოოდ ხომ მიგახვედრეთ, ვისთანაც გქონდათ საქმე. და ახლა, რომ არ მოგყვები, ესეც არაა სიკვდილის შიში, პირიქით - ნაადრევი სიკვდილის სურვილია, პრუდენსიო... - აქ რომ ამოვლენ, მოგეხსენება, მაინც მომკლავენ - ვის რად არგია ერთადერთი მწყემსი. ჯავრს კი იყრიან... ისიც იცოდე, ხელს არ გავანძრევ, თითსაც კი არავის დავაკარებ, და ეს შიში კი არ იქნება,

პრუდენსიო, არა, - მინდა, რომ იქ თქვენს ქალაქში, აქედან შორს, ყველამ იცოდეს, ცხენები და საქონელი უკლებლივ რომ ჩავაბარე კამორელებს და არც წყენის საბაბი მიმიცია რაიმე და მერე, მაინც, მაინც რომ წამოვლენ თქვენზე, გეცოდინებათ, რომ მართლები ხართ, შემოტრიალდით“.

- ძალიან კარგი, თქვა პრუდენსიომ, - ასეც მეგონა. მაგრამ შენი პირიდან მსურდა გამეგო ყველაფერი და იმიტომაც განგარისხე და გათქმევინე. ძლივას დავმშვიდდი.

- წადი.

- გახარებული მივდივარ შენგან.

- წადი. ჩემი ცოლ-შვილიც წაიყვანე.

აქ მესამე ძმაც წამოდგა, ხმა ამოიღო:

- მეც აქ დავრჩები. ცოდოა მარტო.

- მეც დავრჩებოდი, - თქვა პრუდენსიომ, - მაგრამ სირცხვილია, ჩვენი გვარიდან იქ არც ერთი რომ არ იყოს და, სირცხვილიც რომ არა, მაინც მიგატოვებდით - დიდად ვეცდები, ერთი ათ-ოცი კამორელი მოგაყოლოთ გზაზე.

- კეთილად გევლოს.

- აბა, წავედი.

და პრუდენსიომ ორკუთხა ქუდი მოიხადა, ღრმად თაყვანი სცა ორივეს და თქვა:

- მშვიდობით, ძმებო.

არა ტიროდა.

სერტანელები უცხო გორაკზე გვერდიგვერდ იდგნენ. აფერადებულ თვალსაწიერზე ჯერ ქვიშნარი იყო, მზის გულზე ყვითლად აკიაფებული, თვალისმომჭრელი... უსიცოცხლო და მიუსაფარი, მაინც ბზინავდა და ლივლივებდა, რაღაც მოძრავი რამ ფერი ედო - სუფთა, ყვითელი... ქვიშრობის იქით ყვავილოვანი ველი ღვიოდა, ათასნაირად დაწინწკლული, წყნარად, უჩუმრად, თავისთვის ხარობდა და მკრთალი ბილიკი ეტყობოდა, დაუჩაგრავი. იმ ველს მიღმა კი ჭალა იყო, ატივტივებული, მეჩხერი, რაღაცნაირად, მსუყედ გამჭვირვალე და ტოტებშუა სერტანელთათვის უცხო რამ შვება, მდინარე ჩანდა - პირველად სჭვრეტდნენ ამ აბრჭყვიალებულ მიმოკლაკნილ წყალს, უხვად რომ მოაგორებდა ზვირთებს, რბილად ჩასდევდა

თიხოვან ნაპირს და ნაპირთან კი, გვერდიგვერდ, ერთად, თიხის ათიოდ სახლი იდგა. ახალი, თეთრი... კანუდოსი, ჰეჰ! არც გაუგიათ, როგორ დაიძრნენ, როგორ გადადგეს პირველად ფეხი, და, გორაკიდან რომ ჩადიოდნენ, არ შესცქეროდნენ მინდორსა და ქვიშნარს და არც იცოდნენ სად აბიჯებდნენ, რაზე, მხოლოდ მდინარეს, მდინარეს, ცოცხალს, შეჰყურებდნენ და მიაბიჯებდნენ. დაღმართში ჩამავალთ, ყოველი ნაბიჯი ნეკნებზე აწვებოდათ, მერე ქვიშაზე მიაბოტებდნენ სუნთქვაშეკრული სერტანელები, ბილიკს დაადგნენ გრძელ მწკრივად მერე, გადაიარეს ფერადი ველი, კვლავ გაიშალნენ, ჭალა ეგრილათ და თიხის სახლებთან მისიანები დახვდნენ. უღონოდ, მორცხვად წაუღიმილეს, სხვა რამ ელფერი ედოთ სახეზე გრეგორიო პაჩეკოს, აველინოს, როხასს სენობიო ლდოსას... კონსელეირო ჯერ არსად ჩანდა. წამით შეავლეს ერთმანეთს თვალი, კრინტი ვერ დაძრეს - ყველა, სუყველა მდინარეს ჭვრეტდა, ოღონდ, ფარულად იცქირებოდნენ, ერიდებოდათ - თითქოს მდინარე ცოცხალი იყოს! ის კი, მდინარე, უხვი, მდიდარი, ამოზნექილი, ფერად კენჭებზე გადადიოდა და ათასხმოვან მარტივ სიმღერას აჩხრიალებდა, აჩურჩულებდა, აბრჭყვიალებულ გლუვ კუნთებად ამოსდიოდა ნაზი კუნთები, მოდიოდა და სულ, სულ, ყოველ წამს - ახალი იყო!

შუბლზე ხელი მოისვა გაბრუებულმა ზემ, თვალები მოისრისა, ეზიდებოდა რბილი ტალდები, მზის გულზე დამდგარს, უხმობდა როგორ, და მაინც ვერ გადადგა ფეხი, თავისუფალი ჯერ კიდევ არ იყო, არა, და მდინარე კი, უხვი, ცოცხალი თითქოს თავისთვის მიედინებოდა, მაგრამ რაღა იყო ის იდუმალი, რბილი ჩხრიალი, მდინარე ყველას ჯიუტი ჩურჩულით უხმობდა... მაღალი ფეხი მოინაცვლა ზემ, უხვ წყალში მზერააბჯენილს, პირი გაუშრა, და მდინარისკენ როგორც გადადგა უნებური, გრძელი ნაბიჯი, მაშინვე ჩაუქროლა მანუელო კოსტამ, ნაპირთან ღონივრად დაჰკრა ფეხი, ისკუპა და მდინარეში მოადინა ზღართანი. და წამსვე აგუგუნდა ნაპირი - მდინარისაკენ გარბოდა ყველა, თავით, ფეხებით, მუცლით ხტებოდნენ მამაკაცები, ქალები კი ყელამდე წყალში შედიოდნენ და, ახმიანებულთ, მდინარეში მდგართ, მდინარე სურდათ, ვერა ძღებოდნენ და დიდმა მწყემსმაც დააღირა თავი და ისეთი ზღართანი გაადინა, ნაპირზე დარჩენილ ბავშვებს მიეშხეფა წყალი. დინჯი მწყემსები უჩვეულოდ ცელქობდნენ და ჭყუმპალაობდნენ - გრეგორიო პაჩეკო, სენობიო ლდოსა, სახეს ურტყამდა ზვირთებს როხასი, თვალებდახუჭული და განაბული იდგა ყელამდე წყალში მარიამი, ჟოაოს ცოლი და ქალიშვილები, ინოსენსიო ჩაბუქნავდა და მერე ახტებოდა მაღლა, ძალიან მაღლა და ტანსაცმლიდან გრძელი წვეთები სცვიოდა, ხტოდა და ხტოდა, ზე მორეირა წყალში თავს ჰყოფდა, ბუნდოვან ფსკერს თვალგახელილი ჩასცქეროდა, მერე მაღლა შემართავდა თავს, გემრიელად კბეჩდა მოშიებულ ჰაერს, და, ერთხელაც რომ აღაღო თავი, სველ წამწამებში მზემ იფეთქა და

ხელისგული რომ ჩამოისვა, გორაკისაკენ გაიხედა, წამოიმართა - შორეულ ბორცვზე სერტანელთა ახალი ჯგუფი იდგა. გახევებულნი, მდინარეს სჭვრეტდნენ, მწემსთა ცელქობით მრავალგან აფეთქებულს, და ზეს, ზეს გარდა ვერავინ ამჩნევდა მათ, დაძაბულებს და გახევებულებს და მწყემსი მიხვდა, რომ აგერ, ახლა, ამ მდინარეში, მათგან განსხვავებით ცოტათი უფრო, სულ, სულ ცოტათი უფრო, თითქოს როგორღაც თავისუფალია და იქ გაახსენდა თავისი თავი, მომცრო გორაკზე. დაღმართში მძიმედ ჩამოდიოდნენ... მანუელომ კი აქ, მდინარეში, ერთ-ერთ ქალიშვილს შორიდანვე აპკურა წყალი, იმანაც კოხტად შემოჰღიმილა, მამამისი კი, დიდი უჟმური, მთლად მოიქუფრა, მაგრამ ჟოაო ნამდვილად მაშინ გაცეცხლდა, სახეზე მძიმედ სველთმაჩამოშლილმა მანუელომ თავი მკვეთრად რომ გაიქნია, და რომ ურჩია: „თქვენც ჩამოდით, რა, ჟოაო ძია, იცით, რა კარგია?“ აქ დიდმა უჟმურმა გაცლა დააპირა, შემობრუნდა და უცებ, ერთბაშად დაინახა სერტანელთა ახალი ჯგუფი - მდინარისაკენ თავქუდმოგლეჯილნი გამორბოდნენ და ჟოაო, ერთხანს დაბნეული, გამოერკვა და მაშინვე გზაზე გადაეღობა - „ჯერ არა, არა, ჯერ ქაღალდი უნდა შეივსოს“, - აქ რომელიღაცამ სწრაფად აურბინა და ჟოაომ იქუხა: „ჯერ სახელი მითხარ, სახელი მითხარი-მეთქი, არ შეიძლება ასე, გესმის, ნიკასიო!“ და როცა იმან მდინარეში გაადინა გემრიელი ზღართანი, სხვას მიაძახა: „შენ რაღა გქვია, ჩემო გაბრიელ!“ მაგრამ იმანაც იქით ისკუპა, გაბრაზებული ჩვენი ჟოაო ჭალას შეეფარა, ზურგი აუქცია უხვ, გრილ მდინარეს, მაგრამ ხანდახან მალულად მოაბრუნებდა თავს...

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი მდინარე, მაგრამ ხანდახან არც ვიცით ხოლმე... - და წყალში ხტოდნენ ტანსაცმლიანი სერტანელები, მარიამს გოგო-ბიჭი ნაპირთან დაეყენებინა და სველ ხელისგულებს ნაზად უსვამდა მუხლებზე, თავზე, და მერე უცებ გაყუჩდა ყველა - თიხის ნაპირზე შავტანსაცმლიანი კონსელეირო - მენდეს მასიელი იდგა. გახევებულ სერტანელებს ათვალიერებდა და, სადღაც, ტუჩის კუთხეებსა თუ შორს, ღრმად თვალებში, თვალების მიღმა, მაინც ეტყობოდა ღიმილი და კუშტი ალერსი. „ძალიან კარგი, - თქვა მერე კონსელეირომ, გაწუწული მრევლი რომ შეათვალიერა, - როცა ამოხვალთ, თიხის მოზელას შეუდექით. ყველანი ერთად იმუშავებთ. ჯერ ბავშვებისათვის ააგეთ სახლი, მერე - ვისაც ქალები და მოხუცები ჰყავს, დანარჩენები ჯერჯერობით სხვას შეეხიზნეთ. დღე ჯერ დიდია. ამოდით, ძმებო“.

და, ამოსულნი, ყველანი მიხვდნენ - იმ მდინარეში სერტანელებად ჩავიდნენ და ახლა კი, ახლა, განბანილები, გრილნი, ძლიერნი - კანუდოსელები იყვნენ.

ჟოაო აბადომ ცოტათი მოგვიანებით გაიგო ეს - იმავე გრძელ დღეს, როცა ყველამ დაიძინა და მთვარიან ღამით იქ მდინარეში ჭყუმპალაობით იჯერა გული.

* * *

- აეს ვიღაა, ოთო-ექიმო?

- მაგას კიდევ არა უშავს, მაგრამ იქით რომ დგას, დაბალი, უჰ - უბედურის ერთია, უბედური...

შუა კამორაში მიაბიჯებდნენ, აქა-იქ საეჭვოდ ირხეოდა ფარდები. ნაცრისფერ სახლთან ზორბა მუსიკოსები იდგნენ, ღონივრად აზმუვლებდნენ რაღაც ჩასაბერ საკრავებს, მედოლეც გამწარებული იქნევდა მრგვალთავა ჯოხს, აზიდული ღრიანცელი იდგა, მაგრამ სახლიდან შიგადაშიგ მაინც გამოსხლტებოდა კვნესა-ყვირილის ნაფლეთი...

- არ შეიმჩნიო არაფერი, ფანჯრისკენ არ აიხედო, ჩჩუუ, გაიღიმე, - გადაულაპარაკა ოთო-ექიმმა, - გაიღიმე-მეთქი.

თავგადახრილმა დომენიკომაც გაიღიმა, როგორც შეეძლო - ღაწვით-ღაწვამდე მშრალი, ირიბი ნაიარევი გადაესერა.

- რა... რა ხდებოდა იმ სახლში ძია?

- ვიღაცას სცემდნენ.

- რატომ?

- რა ვიცი, ისე კი, იმიტომ უკრავენ ხოლმე, ყვირილის ხმა არ მოედოს ქალაქს.

- რატომ?

- ვითომ კამორაში ცემა არ არსებობს. ასეთია წესი.

- და ისე აბნეულად რატომ უკრავდნენ?

- არ იციან და იმიტომ. ისე კი, იძახიან, მომავლის მუსიკააო.

- ძალიან სცემენ?

- არა, არც ისე, მხოლოდ ცხვირ-პირში. რაშია იცი, საქმე, დომენიკო? ამ ყვირილს განგებ გვასმენინებენ.

- როგორ... ეს როგორ...

- როგორ და, სინამდვილეში, დამნაშავეებს სადღაც მიწის ქვეშ აწამებენ, მაგრამ ეს რომ მიიჩქმალოს, ვითომ ცემაც კი აკრძალულია და ვითომ მაინც ჩუმად სცემენ და ცემაც რომ ვითომ გასაიდუმლოებულია დაკვრის წყალობით, ვითომ მხოლოდ ცემაა კამორაში, იფ, იფ, რა დალაგებულად ვლაპარაკობ? - ფუჰ, რამდენჯერ ვახსენე ეს ერთი სიტყვა... გაიგე რამე?

- ვერა, ვერაფერი.

- ეჰ, შენ კი არა, - მოიწყინა ოთო-ექიმმა, - მეც ვერ ავიგე ვერაფერი. არადა, ამ ქალაქში დავბერდი კაცი...

ერთხანს უმძრახად მიდიოდნენ, დომენიკოს წამლებიანი ყუთი მიჰქონდა.

- და იმ სახლში ვინ ცხოვრობს?

- სადა, ცხვირ-პირში რომ სცემენ?

- დიახ.

- არავინ, დომენიკო. დაწესებულებაა.

- ეგ რასა ნიშნავს?

- ეეჰ, - ამოიოხრა ოთო-ექიმმა, - აუხსენი ახლა ამას ერთ წუთში, კამორაში რა როგორაა... - და გამოცოცხლდა, - აქ შეგიძლია აიხედო, ყველაზე ხნიერი კამორელი ქალია, მაგრამ იქით გვეძახის ყველას ბებიას. აი, ნახავ, თავისი შვილიშვილის ამბები თუ არ გამოგვკითხოს...

ნოხგადმოფენილ აივანზე მოძრავი, ცქრიალა დედაბერი მიმოდიოდა, ხელით მოიჩრდილა, შედგა:

- შენა ხარ, ოთო, ბებია?

- მე ვარ, ბებია.

- ჩემი რამუნჩო ხომ არ გინახავს, ბებია?

- არა, ბებია.

- რას ამბობს ხალხი, აღარ მოყავსო რამუნჩოს ცოლი, ბებია?

- არაფერი მსმენია, ქალბატონო.

- კარგი ქალია, - თქვა მერე ოთო-ექიმმა, აივანს რომ გამოსცდნენ, - მხოლოდ მაგას და მე არ გვერჩიან მთელ ამ უბანში. მე იმიტომ რომ - ექიმი ვარ, მაგას იმიტომ - რომ ასეთ ხანდაზმულობამდე მიღწევის იმედი ჰქონდეს ყველას.

- ქალებსაც ერჩიან?

- ქალი რაა ამათთვის ვითომ... - გაიკვირვა ოთო-ექიმმა, - ისე, რომ იცოდე, ბავშვებს მართლა არ ერჩიან არაფერს, თორმეტ წლამდე, - და დააყოლა, - თუკი იმათმა ახლობლებმა არ დააშავეს რაიმე, ნუ შემომცქერი ასე, გაიღიმე...

წინ მოკირწყლული აღმართი ჩანდა; ვიწრო, დაკლაკნილი ქუჩა მძიმედ მიბობღავდა მაღლა. თუჯის ჭიშკართან მცველების უფროსს რაღაც წასჩურჩულა ოთო-ექიმმა და იმანაც მაშინვე ხის ორი მოსასხამი გამოატანინა ხელქვეითებს, დომენიკოს დიდის ყურადღებით უმზერდა. ხის უხეშ სამოსს ვიდრემდე მხრებზე მოირგებდნენ, და რკინის ნიღაბს საიმედოდ აიფარებდნენ, მცველთა უფროსმა ნელა ასწია ხელი და ქვედა კამორაში შესასვლელი თუჯის ჭიშკარი ზლაზვნით, ღრჭიალით განიხვნა. ქვედა კამორასკენ აცოცებულ აღმართს მძიმედ შეუყვნენ, რკინის ნიღაბში როგორ ცხელოდა, ოფლად გაიწურა საბრალო მგზავრი, სველი რკინის სუნი უჟმურად სცემდა, ძლივს ადგამდა დამძიმებულ ფეხს, - „გაიღიმე, დომენიკო, გაიღიმე... - უჩურჩულებდა ოთო-ექიმი, - ეგ არაფერი, ნიღაბში რომ ხარ, გაიღიმე, მაინც გაიღიმე...“ მოკირწყლული აღმართი ტერფებსა სტკენდა, ეზიზღებოდა გაოფლილი ხელისგულები, ვიწრო ჭრილიდან სულ ნაირ-ნაირფრად შეღებილ, თითქოს მხიარულ, მაგრამ ავ, უნდო, ყრუ, პირქუშ სახლებს შეძრწუნებული მისჩერებოდა, და უცებ, ზურგში, ხის მოსასხამზე, რაღაც მოკლედ ეძგერა და ჩაელურსმა - „ნუ გეშინია, დომენიკო, - წაიჩურჩულა ოთო-ექიმმა,- ეგ არაფერი, ხუმრობა იყო“. „რა იყო...“ „დანა“. „როგორ თუ დანა!...“ „ხუმრობის ნიშნად, მოსასხამში დანა ჩაგასეს.“

დომენიკოს, მობუზულს, ცივი ოფლი სდიოდა. აქ საოცრად ღირსეულად მორთული კაცი ნაზის ღიმილით მიუახლოვდათ, მოწიწებით დაუკრა ოთო-ექიმს თავი:

- როგორ ბრძანდებით, ბატონო ოთო, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი?

- კარგად, ჩემო გაბრიელ, თავად როგორ ხართ, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი?

- რა მიშავს, გმადლობთ, ვართ ნელა-ნელა, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი. ფრთხილად ვზრდი ბავშვებს, გულისყურითა, როგორც იტყვიან, რადგან ამდენი ტრაღიკულობის შემხედვარეთ, ნაღველი არ გაუჯდეთ ნორჩ გულში, დიდადა

ვშიშობ. მიუხედავად ნიღაბ-მოსასხამისა, მეყვსეულადვე შეგიცანით. აეს ჭაბუკი, ხელყუთიანი, რაღა თქმა უნდა, თანაშემწეა კეთილი თქვენი, არა ბატონო?

- დიახ, გაბრიელ.

- ბატონო ოთო, თუ ნებას მომცემთ, მოსასხამები დამიტოვეთ, შეგაწუხებდათ, აქ უკვე ნაკლებ სახიფათოა.

- კი, კი, გაბრიელ, აქვე დავტოვოთ?

- რაღა თქმა უნდა, მე ვუდარაჯებ, თუკი მენდობით.

- კი, როგორ არა, და შენ თუ არა - სხვას ვის ვენდობი, დიახ, გაბრიელ.

ერთიანად სველ, ალაგ აწითლებულ, ალაგ - გაფითრებულ, შიშით დაფორაჯებულ სახეზე ხელი ჩამოისვა დამშვიდებულმა დომენიკომ, ესიამოვნა უცნობის ზრდილი, თავდაჭერილი საუბარი და როგორც კი გასცდნენ, ხმადაბლა ჰკითხა:

- ეს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე კარგი ქვედა-კამორელია, არა, ოთო-ექიმო?

ექიმმა უბრად იარა ერთხანს, მერე კი თავი მიაბრუნა, შორით ჩამოტოვებულ გაბრიელს მეგობრულად დაუქნია ხელი და სხაპასხუპით მიაჩურჩულა:

- გაგიჟდი, დომენიკო? რიგით მეორე თავზეხელაღებულად ითვლება ქვედა კამორაში, რიგობერტოს შემდეგ. მაგისმა ლაპარაკმა არ შეგაცდინოს, და ისიც იცოდე, დომენიკო, რომ მით უფრო თავზეხელაღებულია ქვედა კამორელი, რამდენადაც უფრო ზრდილობიანად გებაასება.

- როგორ... ეს როგორ...

- როგორ და, ბიჭო, თავზეხელაღებულებს მშვენივრად აქვთ მოწყობილი ცხოვრება და, კმაყოფილნი, თავაზიანად საუბრობენ. აქ მართლა წესიერი კაცია რამდენიმე, ინტელიგენტები, არისტოკრატული ოჯახიდან გამოსულნი, რომლებიც ჯერ ზედა კამორაში, მერე კი აქ, გაყვლიფეს და, რაღა თქმა უნდა, ძალიან უჭირთ და, განათლებისა და აღზრდის მიუხედავად, სულ დედის გინებაში არიან. ამისმა თავაზიანობამ დაგაბნია, არა? აბა ერთი მოსასხამი მაშინვე არ მოგვეცილებინა, წამში წაგვიჭერდა ყელში ხელს. მერე გენახა მაგის გინება.

- როგორ, ეგ კაცი და... იგინება?

- ვაი, ჩემი ბრალი... - მუხლზე დაირტყა ოთო-ექიმმა, - თუკი დასჭირდა? აჰ, მტრისას, მტრისას...

- ესე იგი, ბიძია ოთო, ჩვეულებრივი საუბრისას ვინც ზრდილობიანად ლაპარაკობს, უფრო ცუდი კაცია და ვინც იგინება, ის კიდევ - კარგი?

- ასეა, ასე... - და ხუმრობით შეიგინა ოთო-ექიმმა, მოუწყლიანდა ნაცრისფერი, სველი თვალები, - აი, ეს რომ ვთქვი, მეც ახლა კარგი გამოვედი, ამათი წესით.

- და, ესე იგი, ბიძია ოთო, ტყუილ-უბრალოდ ვინც იგინება, ყველას მივენდო?

- არა, რას ამბობ, რას, დომენიკო... ზოგი ოხერი ხანდახან განგებ იგინება - ვითომ ინტელიგენტია...

- აა...

სულ ის თავაზიანობით აღსავსე კაცი ედგა თვალწინ, ვერ იჯერებდა.

- და... მაგან ხომ არ ჩამასო დანა?

- არა, რას ამბობ... ეგ ეგეთ წვრილმანს არ იკადრებდა, მსხვილი ჩიტია... - და დაიძაბა, - აეს სახლია, აი, მოვედით, გაიღიმე, დომენიკო, ჰა, გაიღიმე... - და წაუმღერა, - შვიიდასჯერ ოთხიი შვიიდას ერთიაა...

გვიანი ღამით, კანუდოსელებმა თიხის კიდევ ერთი სახლი რომ ააგეს და, ბნელში ყუჩად მდგარს, მოხიბლულები შეაცქერდნენ, კონსელეირომ დიდი მწყემსისკენ გაიშვირა მწყალობელი ხელი და ლიცლიცა სანთელი მიაწოდა - აჰა, ზე, შედი... - და, სანთლით ხელში, მცირე სინათლით, სუყოველივეს იდუმლად, მძიმედ რომ ამჟღავნებდა, ზემ ჩაუარა გაღიმებულ მანუელო კოსტას, კუშტად კმაყოფილ ჟოაოსა და ინოსენსიოს, მოხიბლულ როხასს, ბნელში გატრუნულ გრეგორიო პაჩეკოსა და სენობიო ლდოსას, აველინოსა და კიდევ სხვას, ბევრს. ყველას სახეზე მოცურდა შუქი, მშვიდად აფრუტუნდა ჭალაში მდგარი თორმეტი ცხენი, იმ კამორელებს რომ აართვეს და ხელსანთლიანი დიდი მწყემსი, ცოლ-შვილიანი, ბნელში სინათლით მიაბიჯებდა. ბნელში ყუჩად მდგარ, თეთრად მბჟუტავ სახლს მორიდებით მიუახლოვდა, ერთხანს შეჩერდა, ჟრჟოლადავლილი, და მცირე ალი მისი სუნთქვისგან ოდნავ წაწვრილდა, შორეულ კედელს წამით მიებჯინა მქრქალი სხივი და ქვემოთკენ დასხლტა, და დიდმა მწყემსმაც შინისკენ წარსდგა მაღალი ფეხი. შვილთა შუა ჩამდგარ მარიამს ხელისგულები ედო ბავშვებზე, ოდნავ უბიძგა...

როგორ შეივსო თიხის სახლი და, თქვენი შენობა, თეთრი და მშვიდი, მცირე სინათლით აბჟუტებული თქვენი სპეტაკი, გრილი სახლი, ზე...

ბავშვებს ეძინათ და ოდნავი ფშვინვა ისმოდა ოთახში, კედელზე მიმაგრებული სანთლის წვას საოცრად შეხამებული... ალივლივებულ მცირე სინათლეს შესცქეროდნენ ზე და მარიამი; მარიამი და ზე... სუნთქვაშეკრული დიდი მწყემსი გაოგნებული მისჩერებოდა კონსელეიროს ნაბოძებ შუქს და თავადაც, სულში, რაღაც ეწვოდა. და ნეკნებზედაც გრძნობდა დიდ, უზარმაზარ ხელისგულებს, ვიღაცას ჰყავდა გამომწყვდეული დიდი მწყემსი, ზე, რბილად ეჭირა, გრილი მდინარის მოგუდული ხმით გაჟღენთილიყო მისი ოთახი, მისი შენობა, ის უცნაური ხელისგულებიც - როგორ ათბობდა... და სანთლის ალი რომ მიილია, აჰ, ეს რა მოხდა - თავად პირველი ვაკეირო, დიდი ზე შეკრთა - მობუზულიყო იმ კუნაპეტში, მდინარის ხმაღა ესმოდა მხოლოდ, არა, არ სურდა ეს სიმარტოვე და კუნაპეტი, შეტრიალდა და, ხელგაშვერილმა, გადადგა ფეხი - რაღაც ცოცხალს და თბილს ეძებდა. თავისი სახლის მდუმარებასა და წყვდიადში ბრმასავით თრთოლვით დაძაბული დაიარებოდა ზე, მოკლე ნაბიჯებს ფრთხილად ადგამდა, თანაც ესმოდა სხვა ნაბიჯთა ხმა, და ის სუსტად აშრიალებული სხვისი ფეხის ხმაც ჯიუტად მაძიებელი და მოსურვილე იყო. ხელგაშვერილნი, ხელის ცეცებით დაძრწოდნენ ბნელში, იბოდიალეს, და მხარზე მოხვდა ნაცნობი ხელი, გაიტრუნა და მერე კი, მერე, სახლსავით გრილი მარიამი მკერდზე მიიკრა და ჩაიხუტა... სული თბებოდა, ვაკეიროს ტევადი სული, მარიამი კი, ფეხისწვერებზე შემდგარი, გასუსული, მხოლოდ ამასღა ჩაჩურჩულებდა: „ზე... ჩემი ქმარი, ზე“, უთქმელი მწყემსი კი ვერ ბედავდა ვერაფრის თქმას და, რაღა დროს „გვირილა“ იყო, უმღერდა სული - სულ, სულ, ცოტათი, სულ ოდნავ, ცოტა - ამ გრილ კედლებში, მაღალ კედლებში - თავისუფალი იყო!..

- დიდი ხანია, რაც ავად გახდა? - იკითხა ოთო-ექიმმა, წამლების ყუთი გამოართვა დომენიკოს და მაგიდაზე დადო.

აქ ყოველ კედელს სქელი ფარდა დაუყვებოდა, თვალებამოქარგული. ოთახის შუაში ტახტი იდგა, და ავადმყოფი გაწოლილიყო ზედ. თხელი ზეწარი ეფინა მხოლოდ, შუბლზე სველი ტილო ედო და დროგამოშვებით სუსტად, უღონოდ კვნესოდა. ჭირისუფლები იდგნენ ოთახში, ხუთი აწურული კაცი, ხაზგასმული სევდით დასცქეროდნენ ავადმყოფს და მაინც, ყველას, რაღაცნაირად თითქოს სულ სხვაგან ჰქონდა გულისყური, რომელიღაც გაურკვეველ, მაგრამ აშკარად ერთ ადგილს მილურსმოდა მთელი მათი არსება და ისიც კი, ვინც ექიმს პასუხობდა, გულზე თითქოსდა ნაზად თითებმიხუტებული კაცი, სულ სხვაგან იყო:

- წუხელის, ღამით, ბატონო ოთო. გუშინ, მთელი დღე, ჩემო ბატონო, ისეთი საღ-სალამათი იყო, შურიან ადამიანსაც კი დაეთუთქებოდა გული და მერე, უცებ, გავიხედე და, კვნესის, მოწყალეო ხელმწიფევ!

აჰ, აეს კაციც ზრდილობიანად ლაპარაკობდა...

- ვკითხე, რა მოგივიდა, რა გტკივა, რა გაწუხებს-მეთქი, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი-მეთქი, - სიტყვა ჩამოართვა მეორემ, ელამმა ქვედა-კამორელმა და გაურკვეველი მზერა ოთო-ექიმზე მოაცურა, - გაგიგონიათ?! - ხმას ვეღარ იღებს. უმორჩილესად ვევედრებოდით კრინტის დაცდენას, მაგრამ არა ქნა - არ შეეძლო და... ვერც გავამტყუნებ. ახლა კიდევ რა უჭირს, თეთრად გადაფითრებული მაინცაა და მაშინ კი, გუშინ, წუხელ, ესე იგი, ისე გამწვანდა, ჩემო ბატონო - სულ მდელოსფერი გახდა. ბუნების ფასი რაა ამქვეყნად, მაგრამ სახეზე? - აჰ, არა, ვერა... ჩემო ბატონო...

ოჰ, აეს კაციც ზრდილობიანად ლაპარაკობდა...

- ოღონდ კი ეგ გადაგვირჩინეთ, ბატონო ოთო, - თქვა მესამემ და, სადღაც ზურგსუკან გაფაციცებით მიეპყრო მთელი თავისი ყალბი არსება, რაღაცნაირად, ზეპირად ლაპარაკობდა, - თან სტუმრად იყო და, მოგეხსენებათ, ჩვენი ქალაქის ეგზომი ამბავი - ვის დააჯერებ, არ მოწამლესო, და ეგ რომ მიიცვალოს თუნდაც ძალიან მშვიდი გარდაცვალებით, ხომ დაგვჭრეს ყველას კეთილი თავი, მოგვაშთობენ და, გვიშველეთ რამე, ოთო-ექიმო, გთხოვთ გვიწყალობოთ ყოველნაირი განსწავლულება და ცოდნანი აურაცხელნი თქვენნი.

უჰ, აეს კაციც ზრდილობიანად ლაპარაკობდა... ოთო-ექიმმა მაჯა გაუსინჯა ავადმყოფს, რაღაცა დიდად გაუკვირდა და, პირი რომ დააღო, ელამმა მყისვე აჩვენა მუშტი, მრისხანე მზერა უნებურად განზე ააცდინა და, დიდის თავაზიანობით დაეკითხა:

- ვითომ, არაა იმედი, ბატონო ოთო?

- რა ვიცი, აბა, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია...

- ოღონდაც მაგას უშველეთ რამე, ბატონო ოთო, - თქვა აქ მეოთხემ, ტახტს ირგვლივ უვლიდა, - და ფერხთა თქვენთა ნოხად გვიგულეთ. და უღრმეს ბოდიშს კი მოგახსენებთ გამოთქმისათვის, მაგრამ წვეთი არ გვიძინია, მაგას რომ რაიმე მოუვიდეს...

ეეჰ, აის კაციც ზრდილობიანად ლაპარაკობდა... ერთს მაინც ნეტავ შეეგინა.

- ამ წამალს მისცემთ ორ საათში ერთხელ და... - წამოიწყო ოთო-ექიმმა, მაგრამ ძაან ღონივრად, გაბმით დასტვინა უცებ ელამმა. ფარდა ჭერისკენ ავარდა და ხელშემართული კაცი გამოსხლტა, ავადმყოფს მიეჭრა, მაგრამ ყელში ეძგერა ხუთი წვრილი, ალესილი დანა - ზუსტად ესროლეს. ჩაიკეცა და ჯერ კიდევ შუქშერჩენილი, საოცრად გაოგნებული და დამანამუსებელი მზერა აღაპყრო ერთ-ერთს, ისინი კი, საქმიანად წაკუზული ქვედაკამორელები, დანას უხმო გააფრთებით სცემდნენ. და ელამმა ერთხელაც რომ ჩაასო მუცელში დანა, ამოღებისას, სანამ ხელს შემართავდა, გზად ერთ-ერთ ამფსონს ყელში შეუმჩნევლად ამოჰკრა, მერე ისევ ჩასცხო წაქცეულს და მისი ამფსონიც გვერდზე მძიმედ, მორჩილად გადაგორდა.

- კაცი მოგვიკლა! - იყვირა ელამმა და შიგ თვალებში ჩაასო წვრილი დანა პირველს, - ამ ოხერ-ტიალმა, კაცი მოგვიკლა!..

შურისძიებით ანთებულნი, მკვდარს გამეტებით სჩხვლეტდნენ, დროდადრო ამფსონისაკენ აპარებდნენ თვალს. ეგდო, ჰყინავდა... ისევ ურტყამდნენ წვრილ დანებს პირველს და, ოთო-ექიმმა მორიდებით თქვა: „რატომ იღლებით ტყვილა, კმარა, მკვდარია...“

- ეგ არაფერი, - მოისმა უცებ, და ავადმყოფი ტახტზე წამოჯდა, - ძალიანაც სწორად იქცევიან, ბატონო ოთო - თუ ცოცხალია, უნდა მოიშთოს, კაცი მოგვიკლა, თუ მკვდარია და, რა უჭირს მერე - სულ არაფერი არ ეტკინება.

- დედით ცნობილმა, კაცი მოგვიკლა, - მორიდებით შესჩივლა ელამმა.

ავადმყოფი წამოდგა და ამფსონს დიდის სინანულით დააცქერდა, მაგრამ აჰ, არა, არა, ტყუოდა...

- უუძვირფასეს ადამიანებს ვკარგავთ... - ნაღვლიანად თქვა.

ქვედაკამორელი პირველი თავზეხელაღებული, რიგობერტო გახლდათ.

ბნელ და დაგუდულ, გაბმულ ჟრიალში... ნეტავი როგორ გამომძვრალიყო... ვიწრო ხვრელი ამოდიოდა კლდიდან, იქით ქვეყანა იყო, განათებული, მაგრამ შვებისთვის ჯერ არ ეცალა - როგორმე უნდა ამომძვრალიყო... ჯერ ხელი გაყო, დიდ, გრძელ, დაგრეხილ კუნთს ლოყით მიეხუტა, მხარიც მიაყოლა, და დაიძაბა, დაიჭიმა ზე, მაგრამ, აჰ, არა - იმ ვიწრო ხვრელში ვერ ეტეოდა... დაიხია და ესეც გაუჭირდა, უმოწყალოდ გაჩხერილს, მხარი გადაუყვლიფა შემოსალტულმა კლდემ, სივიწროვეში მოიკუნტა ზე, მძიმედ ჩახოხდა დაბლა, და დიდად უცხო რამ იისფერი - აწრიალებული იისფერი შემობურვოდა და უკანვე მიაჩოჩებდა, დაბლა, მაგრამ

ხვრელს მიღმა ქვეყანა ჩანდა - უშველებელი, მწყალობელი სინათლით შუქჩამდგარი და განათებული... ისევ გახოხდა ზევით, და მაღლა; მრგვალ ცას ხედავდა მცირე ნასვრეტში კლდით შებოჭილი დიდი მწყემსი, ზე, და რა სიმძიმე, რა სულისხუთვა რა კუშტად ედო... თავი ჩაღუნა, როგორ ბნელოდა... შეკუმშულ სხეულს ასვენებდა ზე, მაინც ბორგავდა - თვალდახუჭული, რადგან სინათლე ადიდებდა და აფართოვებდა... და, თავჩარგული, ისევ გაღოღდა, ფეხის თითებით ებჯინებოდა მისი სხეულით ამოქოლილ ხვრელს, მძიმედ მიახახუნებდა ფერდზე მიწებებულ იდაყვებს, და რა ტკივილით აცურდა მაღლა... მაგრად დახუჭულ ქუთუთოებში შუქი ჩაუდგა, გარიჟრაჟივით ნაცრისფრად თეთრი... და ცალი მხრით რომ აუტანელ ტკივილამდე მიებჯინა დაუნდობელ ხვრელს, მეორე ხელი დიდის წვალებით იქ, გარეთ გაჰყო... და თავისუფალ ჰაერს, გარეთა ჰაერს დაბუჟებულ თითებს უპოტინებდა ზე, შვებით აღვსილი, ჰაერს, უხილავს, ეფერებოდა, თვალდახუჭული, ბედნიერი თითებით მთელ სხეულს შვებას აგრძნობინებდა, და როგორ სურდა, თავით-ფეხებამდე, გარეთ, სულ ზევით, სულ მაღლა, მაღლა, ძალიან შეკრთა, წამოიკვნესა და გაახილა დიდმა ზემ თვალი, ხელაწეული, გრილ სახლში იწვა - თქვენი სპეტაკი, თიხის ქოხი, ზე - ერთთავად ღია, ამოუშენებელ კარში კი მდინარე ჩანდა, მარადახალი, მდორე, წყალუხვი, და დიდ მწყემსს ხელი არ დაუშვია, ისე წამოდგა, ხელგაშვერილი გავიდა გარეთ, და დილა იყო... დილა იყო მშვენიერი, ზე...

- სულ ვერ გავიგე ვეღარაფერი, გაიღიმე, დომენიკო, გაიღიმე, - მიაჩურჩულა ოთო-ექიმმა, სახლს რომ გამოსცდნენ, - არა, რაღაცა რომ მზადდებოდა, მაშინვე მივხვდი, ავადმყოფს მაჯა რომ გავუსინჯე... უცნაურია, დიდი უცნაური...

- რა, ოთო-ძია...

- რიგობერტო რომ მაგ საქმეში ერია.

- რატომ...

- არა კადრულობს ეგეთ წვრილმანებს. თუმცა, ხანდახან, ეგეც ანცია...

- ოთო-ექიმო, - შეაცქერდა დომენიკო, თვალებში ხვეწნით უყურებდა, - ანცობა იყო?

- არა მგონია. ჩქარა, გაიღიმე...

დიდად თავაზიანი გაბრიელი უახლოვდებოდათ, აჰ, როგორ ეცვა, „რაა ახალი, ბატონო ოთო, როგორ მოიარეთ უბადრუკი ადგილსამყოფელი ჩვენი?“ „კარგად, ჩემო გაბრიელ“. „ძალიან კარგი, - თქვა გაბრიელმა, - ენაჭარტალა ხომ არ არის კეთილი თანამგზავრი თქვენი?“ „არა, რას ბრძანებთ“, წამოიძახა ოთო-ექიმმა, დომენიკომ კი

გაიღიმა - ეცინებოდა, როგორ არა, აბა, კი... „სიტყვა ფრინველი კი არაა, - აღნიშნა შავტუხა გაბრიელმა, და ძალიან გრძელი ოქროსფერი თმის ღერი ფაქიზად მოიცილა მხრიდან, - ოჯახსა ვფიცავ, ერთხელ გაშვებულს ვეღარ დაიჭერთ“. „რაღა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ჩემო გაბრიელ...“ „და ის ანდაზაც არაა სწორი, - თქვა გაბრიელმა, - ორმა იცისო, ღორმაც იცისო. არაა ასე - ბატონო ოთო?“ „სიმართლეს ბრძანებთ“.

- ვერაფერს მივხვდი, - წაისისინა მერე ოთო-ექიმმა, ნიღაბმოსასხამი რომ მოირგეს და გაბრიელს გასცდნენ, - ვის რად უნდოდა იმის სიცოცხლე...

- ვისი, ოთო-ძია...

- პირველად რომ მოკლეს. უპატრონო იყო, საცოდავი, სამადლოდ ვზრდიდით, დამტირებელიც არავინა ჰყავს... როგორ გაბედა რიგობერტოზე ხელის შემართვა... თუმცა, ეგება არც იცოდა, ტახტზე ვინ იწვა... მეც ვერ ვიცანი, წვერ-ულვაში დაეკრა და შუბლიც არ უჩანდა, ნაჭრილობევი... ცივი ტილო ედო.

- და ის... მეორე...

- გასაღებული? ოო, იმას დიდი ნათესაობა ჰყავს, მთელი კამორა იქ შეიყრება. ისე კი, ძაან უცნაურია, ყელში ხუთგან დანაგარჭობილმა კაცმა როგორღა შეძლო ვისიმე მოკვლა.

- თქვენ... - გაიოცა დომენიკომ, ფრთხილად გადაყლაპა ნერწყვი, - ვერ დაინახეთ?!

- რა, დომენიკო... - შედგა ექიმი.

ორი უმეტყველო ნიღაბი ბრიყვულად მისჩერებოდა ერთურთს.

- აიმ მეორეს აიმ ელამმა ამოჰკრა დანა!

აქ ოთო ძიამ ნაბიჯები სწრაფად გადადგა, და ადევნებულ დომენიკოს დროდადრო ასე ეუბნებოდა: - არაფერი გამიგია, დომენიკო, არაფერი გამიგია... გაიღიმე, მე არაფერი გამიგია...

მერე კი, მოსასხამები და ნიღბები რომ ჩააბარეს თუჯის გახვნილ ჭიშკართან მცველების უფროსს, და პატარა ხანს უბრად იარეს, ოთო-ძიამ თქვა:

- აი, ახლა კი, დომენიკო, ყველაფერს არა, მაგრამ რაღაც-რაღაცას კი მივხვდი. მეორის გასაღებას მაინც უსიამოვნების მოტანა შეეძლო და, ამისთვის ის პირველი შეაცდინეს, რომ ვითომცდა რიგობერტოს ან ჩვენი გაბრიელის დავალებით ვინმე ავადმყოფი მოეკლა. გაიღიმე.

- და ეგ რაღა შუაში იყო?

- იმ შუაში რომ დომენიკო, ამ ჩვენს ქალაქში, ყველგან, საერთოდ, არავინ არავის ენდობა და ჩვენი მისვლა ალბათ ორგვარად გამოიყენეს - ერთი, რომ ჩვენს დანახვაზე ის საცოდავი მართლა დაიჯერებდა, რომ ნამდვილ ავადმყოფს ადვილად გაასაღებდა, და, მეორეც, რამე იყოს, მოწმეებად დაგვიყენებენ, რომ ის მეორე პირველმა მოკლა.

- მოწმეებად?

- აბა.

- და სიმართლე რომ ვთქვათ, მერე?

- აჰ, დომენიკო, - შეკრთა ექიმი,- აღარ ახსენო სერიოზულად აქ, კამორაში სხვა დროს ეგ სიტყვა. გაიღიმე.

დაფიქრებულნი მიდიოდნენ და, უკვე აღწევდა ჯანმრთელ მუსიკოსთა საკრავების ხმა, დიდად აღრეული... მომავლის მუსიკა... შორს, აივანზე, რამუნჩოს ცქვიტი ბებია ჩანდა, ხელით იჩრდილებდა სახეს, გამვლელ-გამომვლელს დაეძებდა, „გააჭირა, დომენიკო, საქმე..." - თქვა ოთო-ძიამ.

- აქ, კამორაში... როგორ მარხავენ...

- ააქ? ორნაირად. იმ უპატრონოს, მაგალითად, ნაღდად დასწვავენ, როგორც დამნაშავეს და მეორეს კი მუხის კუბოთი მიაბარებენ მიწას.

- და... მე რომ მომკლან...

- შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ, არავის, დომენიკო, - ნაღვლიანად შეაცქერდა ოთო-ექიმი, ნაცრისფერი თვალები მოუწყლიანდა, - შვილივით მყავხარ... და ამ ქალაქში ყველას ვჭირდები, დღევანდელივით კი არა. მართლა ხდებიან ხანდახან ავად. დიიიდად ვჭირდები...

- თქვენ... - შეაცქერდა დომენიკო, ვედრებით სჭვრეტდა, - თქვენ ალექსანდროს უფროსი ძმა ხართ?

- ვინ ალექსანდრო...- შეცბა ექიმი.

- არ იცით, არა? - რიდით გაუღიმა დომენიკომ.

- ჟაგუნსოებში ჩამაგდონ, თუკი ვიცოდე. ძმა არასოდეს მყოლია, და თავის დროზე მამაჩემს თუ უყოჩაღნია ჩუმად სადმე, ეგ აღარ ვიცი.

- ჟაგუნსოები რა არის, ძია?

- ერთად დამწყვდეული, განსაკუთრებით საშიში, ქვედა კამორელებია.

- რატომ ამწყვდევენ...

- არ გაიშვებიან ჟაგუნსოები გარეთ.

- როგორ, ამათზე უარესები არიან?

- გაცილებით, მაშ.

- და დამწყვდეულნი რაში არგიათ?

- ხალხს რომ იმათი შიში ჰქონდეს, ბრრ, დომენიკო...

- და სულ დამწყვდეულები არიან?

- არა, ხანდახან გამოიყენებენ ხოლმე. არცთუ იშვიათად...

- და, რით ცოცხლობენ... დამწყვდეულები...

ოთო-ექიმმა ნაღვლიანად შეხედა, უთხრა:

- დროდადრო ვინმეს შეუგდებენ ხოლმე.

დილა იყო... დილა იყო მშვენიერი, ზე. და ჭალა-ჭალად მიაბიჯებდა მხრებაწურული დიდი ვაკეირო, უცნაურად გაიტრუნენ ცხენები, დილის ჰაერი, საამოდ მჭახე, იწიწკნებოდა, სულს ერთვოდა და თავისუფალ, ამჟამად მომცრო ჯერ კანუდოსში მიაბიჯებდა სუულ ცოტათი თავისუფალი ზე, იქაურობის ერთი რიგითი პატრონთაგანი, მდინარეც ჰქონდა! მიუახლოვდა, დაიხარა და ხელები ჩაჰყო, მერე პეშვები შეატყუპა, შვებით შეისხა სახეზე წყალი, წამოიმართა, შვებამოგვრილი, მდინარენაპკურები, და საცა თვალი მიუწვდებოდა, ხარბად ისუნთქავდა ყველაფერს, ფილტვებდაბერილი - ტლანქი სიზმრის შემორჩენილი ნაფლეთები მაინც ისევ მძიმედ ექიჩავებოდა სადღაც ზეს, დაბლა, და დიდ ხესთან მივიდა მწყემსი, რკინის ხელები შემოაჭდო, აცოცდა მაღლა. მერე ტოტები შემოხვდა ამამაღლებელ გზაზე, თითები ჩაასო, აიზიდა, მწყურვალი აფათურებდა ახალი ტოტის მოსაძებნად ხელებს, და ერთი-ორჯერ ახტა კიდევაც, სიმაღლეს ჩაებღაუჭა, და კენწეროს რომ მიუახლოვდა, თავი ჩაღუნა, გაწითლდა, შერცხვა - ზემოთა ტოტზე მხიარული მწყემსი, მანუელო კოსტა იდგა და ისიც დიდად დამორცხვებული ჩამოსცქეროდა. მერე მაინც ამოუდგა გვერდით ძმაკაცს ზე. და ერთმანეთი როგორღაც მიავიწყდათ -

სიმაღლე სურდათ, და, მაღლა მდგარი, რა თავისუფლად, როგორ სუნთქავდა დიდი მწყემსი, ზე, წვრილ რტოებს განზე სწევდნენ და ოთხსავე მხარეს ლაღად, ამაყად იმზირებოდნენ. თავისი სახლის თეთრად აბზინებულ სახურავს დაჰყურებდა მწყემსი, სხვათა სახურავებსაც იგივ ახალი, უცხო ალერსით დასცქეროდა მერე, თვალი მოავლო გადათიბულ ველს, ზურგმორკალული მათი ქალები კომბოსტოსა და სტაფილოს სთესდნენ. შორს, იმ გორაკზე, ვიღაცა იდგა, დააკვირდნენ და, პრუდენსიო იცნეს. უძმებოდ იყო... ბავშვებიანი რძლებიღა ახლდნენ. და სხვა მხრიდანაც შემოდიოდა კანუდოსში ხალხი. სხვაგვარად ეცვათ, ესენი სერტანელები არ იყვნენ, არა, ერთს გრძელი, ფართო ხმალი ეჭირა. კოჟრებამობურცული ხელისგულებით იზილებოდა დამყოლი თიხა, მდინარის პირას კი კუშტად მგლოვიარე კონსელეირო, შავტანსაცმლიანი მენდეს მასიელი მოდიოდა, და სერტანელთათვის უცხო რამ ნივთი - ბადე მოჰქონდა. ნაპირთან შედგა, თიხის სახლებიდან გამოდიოდა ხალხი, ზეს გულში გაჰკრა, ცოლ-შვილი რომ დალანდა ფოთლებშუა, ახლოვდებოდა მრისხანე პრუდენსიო, ყვრიმალებდაბერილი, მაჩეტეჩაბღუჯული, და შორს დარჩენილ ძმებზე ფიქრობდა, ხალხი იკრიბებოდა კონსელეიროს ზურგს უკან, დიდად რამ უცხო სასწაულის მოლოდინში, და მის უცხო ნივთს ძრწოლითა და იმედით შესცქეროდნენ. მენდეს მასიელმა კი ბადე მოისროლა, თქვა: „აქ ერთმა კაცმა შვიდი თევზი გაუშვა ადრე... და დამძიმებულ ბადეს ღონივრად ჩაებღაუჭა, მაშინვე მიეშველნენ გრეგორიო პაჩეკო და სენობიო ლადოსა, იმ უცხო გამჭვირვალე ქსელში შორიდან ვერცხლი ბზინავდა თითქოს, „სულ რამდენნი ხართ...“ „ოცდაათი...“ - წამოიძახა ჟოაომ და მყისვე შეჩერდა - ახალი დასტა შემატებოდათ, და იქით, ბორცვზე, სხვებიცა ჩანდნენ... „სამოცდარვანი, კონსელეირო,“ უთხრა ჟოაომ, ამაყად აღმართა თავი. და კონსელეირომ კიდევ ორჯერ ისროლა ბადე, მერე თევზები გადათვალა, და რამდენიმე უკანვე ისროლა, წყალში. „თითო გერგებათ სუყველას, - უთხრა, - ამიერიდან, კარგად იცოდეთ - ბავშვი იქნება თუ ზორბა კაცი, ყველა თანაბრად განიყოფთ ყოველს“.

- და იმ შეგდებულს... ჟაგუნსოები რას უშვრებიან?

- ჯერ მოჰკვლენ ხოლმე.

- და მერე, მერე... ოთო-ძია?

- არ ვიცი... არაფერი ვიცი, დომენიკო, - თვალი აარიდა ოთო-ექიმმა, - ისე კი, ხალხი რას არ იტყვის, უძვლოა ენა.

- რა, რას ამბობენ, ოთო-ძია? - დაეკითხა დომენიკო, ხელში ჩასჭიდა ათრთოლებული ხელი.

- არ ვიცი, არა... სხვა რამეზე ვილაპარაკოთ... ვიღაცა გვლანძღავს.

- და, ოთო-ძია... იმ ჟაგუნსოებს უფროსი თუ ჰყავთ.

დანაღვლიანდა ოთო-ექიმი, ხმადაბლა უთხრა:

- კი, დომენიკო... მიჩინიოა.

- სალამ-გამარჯობათ, ბებია, - აივანზე გადმომდგარიყო ცქვიტი დედაბერი, უჰ, მერამდენედ ესალმებოდათ, - საით ყოფილხართ, ბებია?

- სალამ-გამარჯობათ, ბებია, ისე, გავისეირნეთ ჰაერზე ტყვილა...

- ჩემი რამუნჩო ხომ არ გინახავთ, ბებია?

- არა, ბებია.

- რას ამბობს ხალხი, არ მოჰყავსო რამუნჩოს ცოლი, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი, ბებია?

- არაფერი მსმენია, დღეგრძელი იყო დიდი მარშალი, ბებია.

- ეგ საძაგელი გლახა ქალებში დაიარება ალბათ ხშირხშირად, არა, ბებია?

- არა, რას ბრძანებთ, არ ეკარება გლახა ქალებს ახლოს, ბებია...

თავისი ჭკუით ანუგეშა ოთო-ექიმმა, მაგრამ აქ მოხუცებულმა მოიწყინა, თავი ჩაჰკიდა და თქვა:

- აბა, თლად დავღუპულვარ, შვილო.

თავი მეორე

წაკუზულ ადამიანთა მობოდიალე ჯგრო სილაზე რაღაცის ამოკითხვას ამაოდ ცდილობდა, ორასნი იყვნენ. დუნედ მაძებარნი, ბლანტედ მოფუსფუსენი, ორად მოხრილნი, წელატკიებულნი, ოთხით დაიარებოდნენ და ხელები სილაში მაჯებამდე ეფლობოდათ, ხანდახან თავებით ეჯახებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ვერც გრძნობდნენ, ოჰ, ამისთვის ვიღას ეცალა - მრისხანე ლეიტენანტი, ზედამხედველი ნავოლე, მცხუნვარე მზისგან თავდაღწეული, ფერად კარავში წამოწოლილიყო და იქიდან მკაცრად იმზირებოდა. კაპრალი ელიოდორო კი, დიდი, ჭრელი ქოლგით ხელში, კარვის შესასვლელთან, ოდნავ განზე ატუზულიყო და დაოთხილ ბრიგადას გულდასმით შესცქეროდა. „ნსულ ვერ ნგავიგე ვერანფერი, - თქვა ზედამხედველმა ნავოლემ და დიდი ტოლჩა პირზე მიიყუდა, რა ენაღვლებოდა რა - მაინც ცხვირში ლაპარაკობდა, - სულ განმოვცალეთ თინთქმის ნპრონდუქტი და იმათ ნკვალს მაინც ვერ მივანგენით“. „ჭეშმარიტება ღაღადებს თქვენი პირით, ჩემო ლეიტენანტო, - მაშინვე დაეთანხმა კაპრალი ელიოდორო და ქოლგა გაიშვირა, - იმ ნაწვიმარზეც ხომ სწორედ რომ აი აქ, კაატინგასთან დავკარგეთ კვალი. აქ კი, უფროსო, ისე-უბრალოდ ხომ ვერ გაივლიდნენ და...“ „რას ნფიქრობ მერე...“ „საიდუმლო ხვრელი უნდა იყოს სადმე, - აღნიშნა კაპრალმა ელიოდორომ და თავმოწონების ეშხით ვრცლად ლაპარაკის იშტაზე დადგა, - რომ ხვრელი არა, რაღა აქ დაიკარგებოდა კვალი, კაცმა რომ თქვას და, მით უმეტეს, კაატინგაში ძვლებიც არსად ჩანს და ის ერთი უცნაური ტყვეც ხომ სწორედ კაატინგასთან დაგვეკარგა, - აქ ძაან სხაპასხუპით მიაყარა, - მაგრამ სილაში ყველგან ერთიანად ეფლობა ჭოკი და თუმცა ჯერ ხვრელი ვერ ვიპოვნეთ, მე მაინც მჯერა, ჩემო ლეიტენანტო...“ „ნცონტათი მნელა ილაპარაკე, - შეიჭმუხნა ლეიტენანტი ნავოლე, - ნსულ ნვერ გავიგე სულნ ვერაფერი“. „ხვრელია-მეთქი, ჩემო ლეიტენანტო, სადღაც, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი“. „ნდღეგრძელი იყოოს... - ისურვა ნავოლემაც, ფიქრში წავიდა, - ნვინ იცის, ნჰაა, ჩემს კოხტა ნსუზის ნროგორ ვენატრები?“ სუზზის კი ქმარი, შორს, კამორაში, მართლა ძალიან ენატრებოდა - მოწყენით იჯდა, ამთქნარებდა, ასე ამბობდა: „ეჰ, ჩემი დუდღუნა ნავოლე მაინც იყოს აქ...“ „რა ჯანდაბად და ოხრობად გინდა სულო?“ - სუზანნას ნაცვლად ამაყი წინაპრის სევდიან პორტრეტს დაეკითხა პოლკოვნიკი სეზარ. „მე სახიფათო სიყვარული მწამს, - აღნიშნა ქალმა, დიდ თეთრ ვარდს ფურცლებს ნაზად აფცქვნიდა, - აბა, რაღა ხიფათია ეს ჩვენი ტრფობა და სიყვარული, როდესაც ქმარი სადღაც გადაკარგულში დაძრწის“. „და, ჩემო სუზზი, სტელა ხომ აქ გვყავს?“ მომხიბლავად ახლა ჭაღს დაეკითხა ყოჩაღი პოლკოვნიკი. „იჰ, სტელა,

სტელა... - ხელი ჩაიქნია სუზზიმ, - სტელა - ბრიყვია, ვერ-სახიფათო“. „ხო - ნავოლე მყავს დიდი ჭკვიანი“, - შორს, კამორაში, ასე იწყინა ყოჩაღმა პოლკოვნიკმა, აქ კი, კაატინგას მისადგომებთან, ჩვენი ზედამხედველი ნავოლე, ერთგული ლეიტენანტი, თავის ხალხს ოთხით დაარონინებდა და, ჭოკს ღრმად ასობინებდა სილაში, - „ინს ორი ნმუნჯი ნროგორ დავბრიდეთ?“. „ვინა, მწყემსები? - გამხიარულდა კაპრალი ელიოდორო, - ძაან ყოჩაღად მივაბრიდეთ, ჩემო ლეიტენანტო. როგორ დაშინდნენ, ჰააჰა, ჰაჰა, ვერ გაანძრია ვერც ერთმა ხელი“. „ნმერედა, ჩემო, ინსე კანკალებდნენ, ინსე, გეგონებოდა, განბრაზებულნი არიანო ნჰარა?“ „აბა, აბა, - მუხლზე ხელი დაირტყა კაპრალმა ელიოდორომ, - ძაან შეშინდნენ. იმათი ძმა კი, რა ქვია, ფუი, აგერ, ცხრილშია... ჰო, პრუდენსიო, სხვებს გაჰყოლია...“ „ნყველას დავბრიდავთ, - მხიარულად აღნიშნა ნავოლემ და, კვლავ მოიწყინა, - ენჰხ, ჩემი სუნზი ალნბათ როგორ მელის?“.

* * *

კანუდოსს ხალხი ემატებოდა, მდინარის ნაპირს - თეთრი სახლები, ატატებული ბავშვებით ხელში, პირქუში რწმენით, და დაბნეულნი შემოდიოდნენ - ძაან უცხო რამ ქალაქში ჩანდა, და - სასურველი. მოდიოდა ხალხი ბაზრობათა ქალაქიდან, გულისთქმას მინდობილი, აყოლილი; მოდიოდა ხალხი ტბიან სოფლებიდან. დაფიქრებულნი, უთქმელნი იყვნენ. სერტანელთათვის უცხო საკვები - კარტოფილი დიდი, მხარზე მძიმედ დადებული ტომრებით მოჰქონდათ, შემოდიოდნენ თითო-თითოდაც, მიტოვებულნი, მიმტოვებელნი... მჭედელიც ჰყავდათ. ფართოვდებოდა კანუდოსი, სახლებისათვის თიხასა ზელდნენ, გარუჯული მკლავები თეთრად მოთხვრილი ჰქონდათ, ყველას ჟოაო ეგებებოდა, თავისი საქმის დიდად ერთგული, მუხლზე ქაღალდგაშლილი, და, მოსულნი რომ გადაებირებინა, უაღრესად მოქუფრული ხვდებოდა ყველას, თუმც საამისო არაფერი სჭირდა - თიხის ქალაქში გაოგნებულნი, გახევებულნი შემოდიოდნენ... მაგრამ იქ ერთხელ ვიღაცა ერთი დილაადრიან ისე მოვიდა!..

ჟოაო აბადომ ამპარტავნად მომავალს შორიდანვე რომ მოჰკრა თვალი, გაოცებულმა წამოიძახა: „ვინაა ეს საფრთხობელა...“

ხმელი, ძალიან მაღალი ახალგაზრდა კაცი გახლდათ, ყანჩასავით, ამაყად მოადგამდა ფეხს; აიმ სიცხეში ყვითელი ხავერდის მძიმედ ალაპლაპებული მოსასხამი უქარქაშო, შიშველ სატევარს მოხდენილად გამოებზიკა. ისეთი კრიალა ჩექმები ეცვა, სულ ათინათი გადასდიოდა; ფართოფარფლებიანი, დიდად განიერი ქუდი ეხურა,

ფარშავანგის მბზინავი კუდი ქუდში გაერჭო, და რაღაც ზედმეტად ბრჭყვიალა სამი მცირე ქვა მიებნია მკერდზე.

გაოცებულნი მისჩერებოდნენ, ამგვარი უცხო რამ ფრინველი ჯერ არ ენახათ, ის კი არხეინად, ოდნავ შესამჩნევი მოწონებით ათვალიერებდა გარემოს. ჩვენი მთავარი უჟმური ამრეზილი მისჩერებოდა და, პირი რომ დააღო, უცნობმა დაასწრო, დაიქუხა:

- ერთი საბუთი მაჩვენეთ თქვენი!

და, პირდაღებულ ჟოაოს მოულოდნელად ისე შესცინა... - გეხუმრეთ, ძია... კანუდოსში ვარ?

- აბა სადა ხარ!!

- კეთილი იყოს ჩემი აქ მოსვლა... ერთმანეთს როგორ მიმართავთ ხოლმე?

- კონსელეირო ძმებოს გვეძახის.

გრეგორიომ უთხრა.

- კეთილი იყოს ჩემი აქ მოსვლა, - ძმებო, - დაშნის ტარს ჩამოადო მარცხენა ხელი, მარჯვენათი - ქუდი მოიხადა, ჯერ ლამაზად დაიქნია მუხლებამდე, მერე ჰაერში უხილავი წრე შემოავლებინა, და ცალფეხწარდგმული, ოდნავ მოიხარა, - მიმიღეთ, ძმებო.

- რა ხელობა გაქვს რო... - ათვალწუნებით ახედ-დახედა ჟოაომ.

- კაბალიერო ვარ.

- ვინ ხარ?!

- კაბალიერო.

- ჯანდაბა შენს თავს, - ჩაიბურტყუნა ჟოაომ, ყური მიუშვირა, - რა ვარო.

- კაბალიერო.

- კაბალიეროები აქ არ გვჭირდება! - მკვახედ მიუგო ჟოაომ, - ვისაც გვიყურებ, სულ მწყემსები ვართ... დაა, გლეხები.

- მერე, არ გინდათ ერთი სხვაგვარი?

- არა, არ გვინდა.

ეს უკვე პრუდენსიო გახლდათ, ძმათა დამკარგავი, მდიდრულ სამოსში გამოწყობილ კაცს მტრულად უმზერდა. ახალმოსულიც სულ ერთიანად აიკრიფა, რაღაცა ავი გაუკრთა თვალში.

- უნდა მივიღოთ, - გაისმა იქვე, მენდეს მასიელი სადღაც, განზე იყურებოდა, ისე ამბობდა: - ვინც კი აქ მოვა, ყველა, ყველანი უნდა მივიღოთ, ჟოაო. დაიმახსოვრე.

- აი... ასეთიც? - დიდად განცვიფრდა ჟოაო.

- ეგეთიც, ჰო.

ახალმოსულმა ცალი მუხლი მოიყარა, იმანაც განზე გაიხედა, თქვა:

- დიდადა გმადლობთ, კონსელეირო.

თვალს არიდებდნენ ერთურთს.

იმისმა მუხლმოყრამ კი ჟოაო ოდნავ კეთილად განაწყო, ამაყად ჰკითხა:

- ხელობა იცი რამე?

- კი, როგორ არა, - სხარტად წამოდგა უცნობი, - მაგრამ თქვენობით მელაპარაკეთ, თანდათან, მერე შეიძლება დაგრთოთ კიდევაც შენობით მომართვის უფლება.

- არ გვინდა, არა! - მენდეს მასიელს შესძახა ჟოაომ, - ეს გაპრანჭული, ეს საფრთხობელა ჩვენ აბა რაში გამოგვადგება...

- არა უშავს რა, - მძიმედ წარმოთქვა კონსელეირომ, ყველას ისევ არიდებდა თვალს, - მიდი, განაგრძე.

- ხელობა იცი-თ?

- კაბალიერო გახლავართ, ძმებო.

- კომბოსტოს თესვა თუ იცით, ეე...

- აჰ, არა, არა.

- ხვნა-თესვა?

- აჰ, აჰ. - ხელი გაასავსავა მოსულმა.

- ცხენზე ჯდომა თუ მაინც შეგიძლია...

- ოოო, ცხეენზე... - სიამოვნებით გაჭიმა უცხომ, - გაჭენებულ ცხენზე შემიძლია წამოვწვე და დავიძინო.

- სახელი თქვენი.

- დონ დიეგო.

- რაო?

- დონ, ესე იგი - ბატონი დიეგო. უცხოური სიტყვიდან - დომინუს...

- აჰა, ხომ ვამბობ! - იმედიანად შეჰყვირა გამწარებულმა ჟოაომ, - არ გამოდგება- მეთქი, ბატონი და ოხრობა გვინდა?

მაგრამ მენდეს მასიელი დაფიქრებული იყურებოდა განზე.

- მთავარსაც გეტყვით, - მშვიდად განაგრძო დონ დიეგომ, - კარგად ვიცი რომ, ბრძოლა მოგელით. მაგრამ ჩემი იმედი იქ ნუ გექნებათ. არ შემიძლია, მტერს ერთ-ერთ მებრძოლად რომ შევერკინო. დიდ ბოდიშს ვიხდი, ახალო ძმებო, მაგრამ, ვერ ამოგიდგებით მხარში. ჩემისთანა შესაძლებლობების კაცს არ ეკადრება, ოთხ კამორელს რომ ერთად ებრძოლოს და უცებ კი ზურგში ბრმა ტყვია მოხვდეს, რომელიმე თქვენგანისკენ დამიზნებული. სამაგიეროდ, მოწყალეო ძმებო, ურთულესი რამ შეგიძლიათ დამავალოთ - ვთქვათ, მინდვრად მოხეტიალე რაზმის გაჟლეტა. სიამოვნებით გავეშურები, რადგან მხოლოდ მე და ჩემი კეთილშობილი თავი ვიქნებით პასუხისმგებელნი.

- რამე თუ იცით... - ხმადაბლა იკითხა ჟოაომ, ცოტათი დაბნეული ჩანდა.

დონ დიეგო კი უფრო გაიმართა, თქვა:

- ყველა ჩიტის ენა ვიცი.

- ჰა! - შეკრთა ჟოაო, - მასხარაობაც აქ მოიტანე?

- არა, რას ბრძანებთ, სხვა რამეები, აი, თუნდაც ეს. - თოფებს იყიდით, - ერთ-ერთი ბრჭყვიალა ქვა შეიხსნა, თვალარიდებულ კონსელეიროს მოწიწებით დაუდო ფერხთით, - და კიდევ სულ სხვა უცხო რამ.

- რა... - ქაღალდი მოიმარჯვა ჟოაომ.

- არტისტიზმი.

- რაა?

- არტისტიზმი, მოწყალეო ძმაო, - დინჯად გაუმეორა დონ დიეგომ, - ნემსის ყუნწში შემიძლია გავძვრე, - და გაიკვირვა, - ჰოიი, რამდენი ვილაპარაკე, ახლა კი შეგიძლიათ, შენობით მომმართოთ, უკვე საკმარისად დავუახლოვდით ერთმანეთს რადგან.

- წადი მაშინ და კარტოფილი გათალე, კარგი. - ამაყად დართო ნება ჟოაომ.

დონ დიეგოს სახე საწყლად მოებრიცა, თქვა: - ეგებ სხვა რამე დამავალოთ, ეგ არ შემიძლია.

- რა გნებავს მაინც!

- შეშას დავჩეხავ, წყალს ამოვიტან, თიხას მოვზელავ...

- არა, - გამკაცრდა ჟოაო, - კარტოფილი გათალე-მეთქი.

- კარგით რა, ძია... კაბალიერო და - კარტოფილის თლა?

- არ გამაგონო აღარაფერი! მე ძია არ ვარ, ჟოაო მქვია...

დონ დიეგო ერთხანს მხრებჩამოყრილი იდგა, მერე ითხოვა:

- ძონძი მომეცით... ჟოაო ძია...

- თუ დანა...

- დანა შვიდი მაქვს. ძონძი მომეცით...

- რა ოხრობად და ჯანდაბად გინდა!

- რაა - ძნელია?!

და თითქოს მორჩილად გაეშურა კარტოფილის გროვისაკენ, ორი თითით ზიზღიანად ეჭირა ძონძი. მერე კი, როცა მოიკითხეს, არსად აღმოჩნდა. გამწარებულნი ეცნენ აქეთ-იქით, იქაურობა მოირბინეს, არსად ჩანდა და ჟოაომ, განრისხებულმა, ასე იფეთქა:

- აკი ვამბობდი, გავაგდოთ-მეთქი, პირველსავე დღეს ვინ გაპარულა! მოგვეკლა უნდა! წავა ახლა და... ამბავს წაიღებს...

მაგრამ დონ დიეგო ორიოდ საათში მობრუნდა, ოდნავ მძიმედ მოაბიჯებდა, იღლიაში კი პირში ძონძგაჩრილი კაპრალი ელიოდორო ჰქონდა.

- აი, ეს გათლის, - უთხრა პირდაფჩენილ ჟოაოს და კაპრალისათვის არც დაუხედავს, ისე დააგდო მიწაზე, - სულ ერთი არაა? გადაჭარბებით შევასრულებინებ გეგმას.

* * *

მგზავრს, დომენიკოს, რაღაც უნდოდა, რაღაცა სურდა...

აი, იმ შიშში, და ავ ფიქრებში, აწეწილ ბინდში გაუელვებდა ხოლმე სურვილი, რა - არ იცოდა, და პირქვე იწვა. იმ მონაცრისფროდ საზარელი თვალების სუსხიც ზურგში კლანჭებად ესობოდა და გულაღმა ამოტრიალდებოდა ყმაწვილი მგზავრი, ახსენდებოდა წყალი, ბალახი, სადღაც, კი, სადღაც... და იმ სურვილთან მიახლოებულს, ისევ საზარელი მიჩინიოს თვალები წარმოუდგებოდა, ღვარძლიანად მბჟუტავი, ჭრილით-ჭრილამდე ერთიანად ნაცრისფერი... ქვედაქალაქელ ჟაგუნსოების უფროსი, მთელ კამორაში ნებაზე გაშვებული! გადამტერებული... ყელი სადანოდ აექავებოდა, შეშფოთებული იკეცავდა ნიკაპქვეშ საბანს, და იმ სურვილთან მისაახლოებლად თვალებს ხუჭავდა, მაგრამ ფეხის ხმა ესმოდა თითქოს - რბილი, მსუბუქი, ამაზრზენი, მიჩინიოსი... შეშფოთებული წამოჯდებოდა, თვალებგაფართოებული ისე, თითქოს მზერით სურდა ამ საშინელი ხმის აღმოჩენა, - არავინ იყო... იქითა ოთახში ოთო-ექიმი ხანდახან უნებურად თუ აახმიანებდა ჭურჭელს, შვილობილის ძილს უფრთხილდებოდა... ადრიანი დილა იდგა კამორაში, ომახიანმა კაეტანომ წეღან იყვირა: „დი-ილის რვა საათია და...“ კი, სუყველაფერი გეენიიაალურააადააააა-დ იყო, კი, როგორ არა. დიახ. კი... ისემც!... აფორიაქებული, ტანსაცმელს დასწვდა, მიიფარა და ისე შეიხედა ტახტქვეშ - არავინ იყო... მაგრამ კარადა ავად გასუსულიყო, მაღალი, შავი... - გამალებული იცვამდა ჩექმას, ამ ოთხკედლობას, ისევ ქუჩაში სიკვდილი სჯობდა.

მაგრამ დომენიკომ წამით ისევ აირბინა შინ, აფორიაქებულმა, ოთო-ექიმს ჭურჭელი სთხოვა: „ოღონდ თიხისა, რა, ოთო-ძია...“ „რად გინდა, ბიჭი“. „რა ვიცი, მინდა...“ - ქუჩის კუთხეში რძესა ყიდდნენ.

ქუჩის კუთხეში რძეს ყიდდნენ და, თიხის კოკით ხელში, კამორელებს ამოუდგა დომენიკო, ხორციც ეკიდა ბასრ კაუჭებზე მძიმე, ჩახუნებულსისხლიან ნაჭრებად, ყასაბი ხან ნაჯახს მოიმარჯვებდა, ხანაც კი, ბინძურ ტილოზე ხელშეხოცილი, ჩამჩას წაავლებდა მოლურჯო თითებს და ქალებს ჭურჭელში რძეს ჩაულვრიდა. კაცები ხორცს ყიდულობდნენ, არ ეპიტნავა დომენიკოს ქალების ხვედრი, მაგრამ ცხელი რძე ძაან უნდოდა... მის წინ კი, რიგში სისხამ დილით, შუა ზამთარში ისე შილიფად ჩაცმული ქალი იდგა! და მოსასხამში შეფუთვნილ დომენიკოს იქით შესცივდა, მისი შიშველი მხრების დანახვაზე. გაბრუებულმა ნაბიჯი წარსდგა, და, ჩაფიქრებულს,

გვერდიდან სჭვრეტდა. ქალი კი თავისთვის იდგა, ხორცსავსე, ნოყიერი, ისეთი თბილი, რბილი და სათნო, ვერც შეატყობდა ვერავინ ასაკს, არიან ხოლმე ასეთი ქალები; მით უმეტეს ახლა, სისხამი დილით ახალგაღვიძებული, უფერუმარილო, სახელდახელოდ შეზვინული თმითა და მიმზიდველნაოჭებიანი, ჯაფისაგან მსუბუქად სახედაღარული, ლოგინის სითბოგამოყოლილი - ნამდვილი იყო, და მოჯადოებული დასცქეროდა იმის შიშველ მხრებს ყმაწვილი მგზავრი, ეხიბლებოდა დიდი თვალები, და ერთი სული თუმცა კი ჰქონდა, შემოეხვია ცივი ხელები, დიდ, ფაფუკ მკერდზე მიედო გამხდარი ლოყა, ჩახუტებოდა მაგრად, ძალიან მაგრად, ამასთან ერთად აიმ სურვილის ნატამალიც კი არა ჩანდა მგზავრის თვალებში, ჩვეულებრივ დედაკაცზე მეტი იყო ახლა იმისთვის ეს თბილი ქალი - დედა მოუნდა, დედა უნდოდა... და ჩაფიქრებულმა ქალმაც იგრძნო ეს დაჟინებული, ლამაზად მათხოვრული მზერა, თავი ასწია და მერე მძიმედ შემოტრიალდა. ჯერ დაკვირვებით ახედ-დახედა, კარგი სამოსი თვალთ მოუვიდა. და მგზავრის სახეც - თლილი, ფერმკრთალი, ვედრებით სავსე, და ვერაფერი გაუგო ალბათ, რადგან მაშინვე ისე ბილწად, ისე ბინძურად შეაღიმილა... მგზავრი - საბრალო, და გველნაკბენი, „რამ დაგაღონა, ლამაზო ბიჭო?“ - დაეკითხა ქალი და დომენიკომაც ძლივას გაბედა: „მე... დედა არ მყავს...“ და შეაცქერდა, რაღაც თბილ სიტყვებს, ნუგეშს ელოდა, ქალმა კი უთხრა: „დიდი ამბავი... მშობელი მიდის და შვილი რჩება“. საბრალო, მგზავრი... და როცა ქალი სავსე ქვაბიანა მახლობელი სახლისაკენ ქვედატანის ღონივრად დატენილი რხევით გაეშურა, და გამარჯვების მომლოდინე თვალებით გამოხედა, შეცბა - თავჩაღუნული იდგა დომენიკო... ყასაბმა კი უთხრა: „მომეცით, ჰალე...“ და სისხლშემხმარი, საზარლად ჩაყვითლებული ხელის დანახვაზე შემკრთალმა დომენიკომ უცებ კინაღამ მოსასხამის ქვეშ შემალა კოკა, მერე კი მაინც გაუწოდა და, შეძრწუნებული უყურებდა, ყასაბმა როგორ მიიხუტა უცოდველი თიხის ჭურჭელი სისხლიან წინსაფარზე, მეორეთი კი დიდი ჩამჩით მარჯვედ გაავსო - „სამოცი გროში...“ ოთო-ექიმის კიბეზე ადიოდა, შერყვნილი კოკა თითებსა სწვავდა, მაგრამ რა ექნა, რძე სურდა ბეჩავს... დაფშვნილი აგური იქამდე უხახუნა ჭურჭელს, ხელისგულები სანამ არ გაუთხელდა და მერეღა გადაასხა რძე ქვაბში, ცეცხლზე შემოდგა... ბალახი, წყალი, კი, ესეც სურდა... ცეცხლს შესცქეროდა - როგორი უცხო, თავის თავისა გულგრილი იყო... სიმხურვალე კი, იცოცხლე, ჰქონდა - ძლივას მოასწრო დომენიკომ ქვაბის გადმოდგმა, ატივტივებული თაკარა სითხე სვენებ-სვენებით ჩაშოშმინდა, თაროს შეავლო ობოლმა თვალი, მოზრდილი ტოლჩა გააპიპინა... ეჩქარებოდა პირველი ყლუპი, სულს უბერავდა, ხელისგულითაც უნიავებდა, და როგორც კი მოსვა, ხელიდან გაუვარდა ტოლჩა, ფანჯარას მივარდა, გამოაღო, გადაეყუდა - ამ ქალაქის რძეს სისხლით აჭრილი გემო დაჰკრავდა...

უცოდველ თიხაში მაინც გაატანა ალბათ სისხლმა და იკრუნჩხებოდა უმოწყალოდ გულარეული მგზავრი, გადმოცვენაზე ჰქონდა თვალები, მუცლიდან ყელში ხაოიანი დანა ურტყამდა, დედის რძე აღარ შეარჩინა და გამოვარდნილი ოთო-ექიმიც განცვიფრდა, შეკრთა: „ხომ არ მოგწამლეს...“ დომენიკომ ძლივს გაიქნია თავი, ხელისგულითაც არა, არაო, უთხრა... „რა, რძე დალიე?“ - იატაკს დააჩერდა ოთო-ექიმი, თავი ორჯერ დაიქნია ფანჯარაში გადაყუდებულმა მგზავრმა, აჟრიალებდა. „შემოგთავაზეს?“ - გადაფითრდა ოთო-ექიმი. „არა, ქუჩაში... - თქვა დომენიკომ, ძლივს გაიმართა, სიმწრის ცრემლებით დასველებოდა ლოყები, ნიკაპი, ყბა... - ქუჩაში ვიყიდე“. „ქუჩის რძეს არ მოწამლავდნენ, ნუ გეშინია, - ამოისუნთქა ოთო-ექიმმა, - აქ წამოწექი...“ „არა, არ მინდა... - თქვა დომენიკომ, ის შესაზიზღი, ავმოტკბო გემო ისევ ამღვრევდა, და მერე, უცებ, ასე ითხოვა: - პური მომეცით“. „აჰა, დომენიკო...“ რბილ პურს ღეჭავდა და ყოველი ლუკმა უქარვებდა იმ საზარელ გემოს, მადლიერმა, პური სველ ლოყაზედაც კი მიიხუტა... „რძე მოგინდა, არა, დომენიკო?“ - წყნარად დაეკითხა ოთო-ექიმი, სისოვლემოძალებული თვალებით ნაღვლიანად დასცქეროდა, და დომენიკომ როგორც კი შეხედა, იმისი თვალებით პირთამდე ნაწყალობევმა, ორივე ხელი შემოხვია, მხარზე დაადო საბრალო თავი, ატირდა მერე... „ეგ არაფერი, დომენიკო, ეგ არაფერი, - ანუგეშებდა ოთო-ექიმი - რა ვუყოთ მერე, თუ არ მოგიხდა... - მგზავრის თმას ჯერ კიდევ ბავშვის სურნელი ჰქონდა, თავზე აკოცა ოთო-ექიმმა, - სამაგიეროდ, პური ხომ გეამა?“ „დედა არა მყავს - სადღაც, მკერდში ჩასჩურჩულა მგზავრმა, - მამაც დავკარგე... არავინა მყავს“. „ნუ გეშინია, დომენიკო, - უთხრა ექიმმა, მიუალერსა, - მე ხომ აქ გყავარ, ნუ გეშინია“.

ჭერიდან კუშტად იმზირებოდა ნაცნობი ლაქა. ალალ ჩემი, ალალ მისი, დომენიკო, ეჰ...

* * *

და დილაადრიან მენდეს მასიელი ჟოაოს თანხლებით იმ სახლისაკენ გაეშურა, დონ დიეგოს რომ უწყალობეს და, შიგ შესულნი, ცოტა არ იყოს, შეკრთნენ: გათლილი კარტოფილის უშველებელი ზვინი იდგა ოთახში, თვალებამოღამებული კაპრალი ელიოდორო მაშხალის შუქზე დიდის გულმოდგინებით, განაგრძობდა თლას, კედლისაკენ გადატრიალებულ დონ დიეგოს კი არხეინად ეძინა, მაგრამ როგორც კი დააცქერდნენ, მაშინვე იგრძნო, სხარტად წამოხტა, ქუდი დაიქნია: „თავკაცთ ვახლავარ... ტყუილ-უბრალოდ არ მოხვიდოდით, გისმენთ“. „მართლა გეძინა?“ - კითხა ჟოაომ. „მეძინა, დიახ... - და გაიკვირვა, - აბა, ღამით, უსაქმო კაცს სხვა რა უნდა მექნა?“ „კი მაგრამ... როგორ... ეს - დანით ხელში და... შენ კი გეძინა?“ აჰ, ეგ ვერაფერს გაბედავდა, - ჩაეცინა დონ დიეგოს, - მაგან ისეთი შიში ჭამა რომ... ერთ ორ-სამ კვირას

მაინც, ვეღარ ივარგებს კაცად“. „ასეთი რა უყავ...“ - მცირე ღიმილი გაუკრთა მენდეს მასიელს. „ეგ მე და მაგან ვიცით, კონსელეირო, - მოწიწებით დახარა თავი დონ დიეგომ, - მთელი ჩემი ქებული არტისტიზმი თავს დავატეხე“. „გარეთ გავიდეთ ყველანი, ეგეც, - კუშტად თქვა მენდეს მასიელმა, მობუზულ კაპრალს ზიზღნარევი სიბრალულით დასცქეროდა, - გრეგორიოს უთხარ, ჟოაო, თავისი დოლი აახმიანოს“. - „ჯერ თქვენ გაბრძანდით, - თავაზიანად გაიშვირა დონ დიეგომ კარისკენ ხელი, - სულ რომ არა იყოს რა, სტუმრები ბრძანდებით და... - მერე თვითონაც გავიდა, ზურგს უკან კი ეს გადააგდო: - წამო, ჩემი ბიჭი“, - და თავჩაქინდრული, მხრებჩამოყრილი კაპრალიც მიჰყვათ.

გაბმით, ღონივრად აგუგუნდა გრეგორიო პაჩეკოს დოლი, სამი დიდი ხის ჩრდილქვეშ იკრიბებოდნენ კანუდოსელები; მენდეს მასიელი ქალაქისაკენ ჯერ ზურგშექცევით იდგა, შორეულ სივრცეს გაჰყურებდა, მუშტებშეკრული. გრილი სახლებიდან გამოდიოდა ხალხი; დოლის ხმით ოდნავ შეშფოთებულნი, მაინც ხალისიანად უღიმოდნენ ერთმანეთს, და მთელ კანუდოსს, მზის გულზე გაშლილ თიხის თეთრ ქალაქს, ერთიანი ღიმილი გადაკვროდა თითქოს, იმათ თვალწინ კი ავაზაკთა ქალაქის მკვიდრი, კაპრალად დაწინაურებული ელიოდორო მოკუნტული იდგა. მძიმედ შემობრუნდა მენდეს მასიელი, ერთ-ერთ ძმას თვალი გაუსწორა, უთხრა: „თავშეკავება გმართებს, იცოდე“, და პრუდენსიომაც მყისვე შეუშვა ხელი მაჩეტეს, მორჩილად ჩამოუშვა. იმ სისხამ დილით დონ დიეგომ პირველად დაინახა მანუელო და ზე, თვალში მოუვიდა ორივე მწყემსი, ხალისიანად გაუცინა მხიარულ ვაკეიროს, ზე მორეირას კი აღტაცებული შურით ათვალიერებდა. მაგრამ იმათ ვერაფერი შეამჩნიეს - ყველანი ავაზაკთა ქალაქის სულიან-სისხლხორცეულ პირმშოს ათვალიერებდნენ და შავად ამაყმა კონსელეირომ ნაბიჯი წარსდგა, თავს დაადგა და უთხრა: „ჯერ, რა თქმა უნდა, სერტანაში გამოივლიდით“. „დიახ, გრანდჰალლე“, - თავიც ძალიან მონდომებულად დაუქნია ელიოდორომ. „გრანდჰალე არ ვარ“. „მაპატიეთ გრანდისსიმოჰალლე“... „აქ ჰალეები არა გვყავს, ვაჟკაც, - უთხრა მომტაცებელმა, - მხოლოდ მე შეგიძლია მომმართო პატივსაცემი წინსართით - „დონ“. „მერე, თუ დაგხვდათ სერტანაში ვინმე“. „დიახ, კი დაგვხვდა...“ „ვინ!“ „ორი მწყემსი“. პრუდენსიოსკენ გაემართა მენდეს მასიელი, ხელი დაადო თავზე, „მერე, დახოცეთ?“ „მე არა, სხვებმა...“ „რატომ დახოცეთ, ხომ თქვენკენ დარჩნენ“. „რა ვიცი, ისე...“ „ისე, არა, ხომ?“ - თქვა პრუდენსიომ, თავდავიწყებით, ერთიანად აკანკალებდა, „ყური დამიგდე, პრუდენსიო, - მკაცრად შეაცქერდა მენდეს მასიელი, - ეს კაცი უნდა გამოვიყენო, გატყობ რომ, მოკვლას დაუპირებ და, თუმც მესმის შენი, ძალიან გთხოვ მე შენი კონსელეირო, ბადე აიღო და მდინარისაკენ წახვიდე, ძმაო...“ „უნდა გაუშვათ?“ „კი, პრუდენსიო“. „მე არ დამითმობთ?“ „უნდა გავუშვა, საქმე მოითხოვს“.

მორჩილად გასცდა.

„ყური დამიგდე, კამორელო, - თქვა მენდეს მასიელმა, მდინარისაკენ იყურებოდა, - ერთი მითხარი, რა დაგიშავეთ...“ „არაფერი, პატივცემულო“. „მერე, რას გვერჩით“. „არაფერს, ჰალე...“ - გაიოცა ელიოდორომ. „ეს ძმა ყოფილა არტისტიზმში ჩემი“. - გაიცინა დონ დიეგომ და კაპრალს მხარზე ისე დაკრა ხელი, იქვე ჩაკეცა. „აბა რა გვექნა, - საწყლად ასჩივლა მენდეს მასიელს ელიოდორომ, - სამსახურში ვდგევართ“. „ჯერ ეს ეგ ერთი, - ჩაიბუზღუნა ჟოაომ, - ვდგე-ე-ვართ კი არა, არამედ - ვდგ-ა-ვართ, და მეორეც რომ, ეგ ვერაფერი შეღავათია, სამსახურში დგომა - ის ორი მწყემსი რატომ მოკალით“. „მე არ მომიკლავს...“ „იმან ხომ მოკლა, ვინც... - თქვა მენდეს მასიელმა და ისე დააცქერდა, დაპატარავებულმა კაპრალმა თავზე შემოიხვია ორთავე ხელი, - ვინც შენს სამსახურში იდგა...“ „დიახ, გრანდჰალლე...“ „მერედა, რატომ...“ „ლეიტენანტი ნავოლე არის ჩვენი უფროსი!“ - გაუნათდა სახე ელიოდოროს. „ემორჩილებით?“ „იმისი სიტყვა აქ კანონია... ეე, აქ კი არა, ბოდიშით, ჰალე - იქ...“ „და უფრო იქით, შორს, კამორაში?“ „იქ გრანდის... იქ ბეტანკურის“. „ნავოლემ ბრძანა იმათი მოკვლა?“ „დიახ, პატივცემულო“. „იმისი სიტყვა კანონია, ხომ?“ „აბა რა, პატივც...“ „შენ რომ გაგიშვათ იმ პირობით რომ, იმ დამნაშავე ნავოლეს მოკლავ, რას იზამ?“ „ყოფას ვუტირებ წამში, გრან...“ „როგორ, - თვალთმაქცურად გაიოცა დონ დიეგომ, სინანულით გადააქნია თავი, - იმას დაბრიდავ, ვისი სიტყვაც შენთვის კანონია, ჰალე?“

თავჩაქინდრული, დაბნეული იდგა კაპრალი.

- ყური დამიგდე, კამორელო, - მძიმედ წარმოთქვა მენდეს მასიელმა, შორს, მდინარეში სიმწრით მოთევზავე პრუდენსიოს გასცქეროდა, - იმ თქვენს დიდ მარშალს ყბადაღებულ კანონთა წიგნში ჯერ არსად კრინტიც არ დასცდენია, რომ სერტანელებს, დაქირავებულ მწყემსთ, სხვაგან ცხოვრების უფლება არ აქვთ. აეს ადგილიც, საცა შენ დგახარ, კარგად იცი რომ, თქვენ არ გეკუთვნით - კაატინგასთან იღველფება თქვენი საზღვარი. როგორ ბავშვივით ვტიტინებ, კაპრალო, არა? - ვის გაუგია თქვენი კანონი, ქაღალდის გარდა, და რუკაზედაც კლაკნილი ხაზის გადასწორებას ნეტა რა დიდი ამბავი უნდა - ორიოდ წამში გაიზმორება, გაფართოვდება, ხახაში კუდჩაჩრილი, მორკალული გველი... მაგრამ ქვეყანა კიდევ ერთხელ გაიგებს, რანიც ხართ. გაიყიდებით უფრო!

პატივისცემით მისჩერებოდა კონსელეიროს ზე მორეირა - ვაკეიროთაგან უპირველესი.

- აი ესენიც, ვისაც აქ ხედავთ, თქვენ გმსახურებდნენ. და ყოველივე, კამორელო, კარგად იცოდე, წონასწორდება - ჯერ ის იყო და, რომ აღარ შეგრჩათ აღარც ერთს ნამუსი, იქ, სერტანაში, ამ ღარიბ-ღატაკთ შემოემატათ - ვის გაუგია ამ მწყემსთა რაიმე ძვირი... და ერთურთს უმოწყალოდ რომ ხოცავდით ქონებისათვის, ნივთების გამო, აი ესენი, გაჭირვებულნი, მშიერნი, ძმებივით იყვნენ...

მალვით მოავლო ზე მორეირამ თანამოძმეებს მოყვარული თვალი. ყველა, ყოველი გაიხსენა და - კონსელეირო სწორად ბრძანებდა...

- მაგრამ ესენი, კამორელო, ბრიყვები იყვნენ და მონებიც კი არ ეთქმოდათ, არა, მთლად უარესი - მოტყუებული ბრიყვები იყვნენ! თქვენი სტომაქის ამოსავსებად - აჰ, რა ხვედრია? - ძროხებს მწყემსავდნენ ჩაუქი ცხვრები.

თავი დახარა ზე მორეირამ, მანუელომაც თავი დახარა...

- აი, ამ ხალხმა, კამორელო, მამაპაპითგან ნაქირავები დატოვა სახლ-კარი, მიხვდები, რატომ? - მე ამ ხალხს მივეც თავისუფლება, და შორეული სერტანის დათმობის ფასად აქ, უცხო მხარეს წამოვიყვანე და დავასახლე. მე გავუღვიძე მთვლემარე სულში ყველაფერზე მეტად სანუკვარი რამ, სულისმიერი უცხო ყვავილი - თავისუფლება აღმოვუცენე, რასაც შენ, კამორელი კაპრალი, ვერასოდეს მიხვდები და ახლაც კი, ემაგ საცოდავ გამოხედვაში მაინც გეტყობა - თავით-ფეხამდე სამუდამოდ მოწამლული ხარ, წამოვიყვანე ნამუსის ხალხი, რათა აქ, აღთქმულ მიწაზე, ახალი ქოხი თავისუფალი ხელით აეგოთ, უხვი მდინარის პირას დავასახლე და კამორელებო, ახლა გვიფრთხილდით - თავისუფლება, სულის ყვავილი, სულზე ტკბილია... შენ ვერ მიხვდები თავისუფლებას, წარმოიდგინე, ვერც ის შენი დიდი მარშალი - თქვენ ერთმანეთში ახლართულნი ხართ.

დილის ჰაერში მოციმციმე ქოხს რა მადლიერი შესცქეროდა პირველი მწყემსი - თავისუფლებით, სული ეწვოდა.

- ყური დამიგდე, კამორელო, რაღა გსურს ახლა? ხომ შეგრჩათ ამათგან გამოწოვილი ქონება, სისხლი, ხომ ჩაიბარეთ უკლებლივ ჯოგი, და გასამრჯელოდ იმ ორ ვაკეიროს ღიმილ-ღიმილით გამოჭერით ყელი; თქვენივ კანონით უფლება ხომ გვქონდა, გაგშორებოდით, მაგრამ, კაპრალო, თავგანებებულთ, რად დაგვადევნეთ უცხო მხარეში პირველ თერთმეტ კაცს ის წარწყმედილი ოცდაათი ცხენოსანი, თქვენივ კანონით-მეთქი, კაპრალო, ხომ კი გაგვაჩნდა ამის უფლება, მორჩილად მდგარი ერთ-ერთი მწყემსი, კამორელო, რად მოგვიკალით...

რისხვად აღივსო ზე მორეირა, მუშტებშეკრული, კუშტად უმზერდა კაპრალს.

- წადი ახლა და, კამორელო, ყველას უთხარი, თუმცა კანონი ჩვენს მხარეზეა, თქვენსავე მიერ ყალბად შეთხზულ ლამაზი ხელით ძვირფას ქაღალდზე მიმოთითხნილი, კარგად ვიცით, რომ მაინც გამოილაშქრებთ - ამ მცირე ცოდვას - თავისუფლებას თუ მოგვითმენს დიდი მარშალი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მის სახეზე მიტყაპნილ სილას, მშვენივრად იცის, სხვანიც რომ წაუთამამდებიან - თუნდაც, შენგვარნი, ბნელ-ბნელ საქმეებში - და ამის გამო, ჩვენ არ დაგვზოგავს. ისე, კაპრალო, მოსამსახურეც კარგია, არა? და თუ შერიგებას შემოგვთავაზებს, კარგად იცოდე, რომ იმისი სიტყვის არავის სჯერა, და რომ მზადმყოფნი გვიგულოს მუდამ - ჩვენზე თავდასხმას ძალიან ძვირად დაგისვამთ. კარგად იცოდე. არც მტრობა გვინდა, კაპრალო, თქვენი, და, მით უმეტეს - არც მეგობრობა. გზად კი, გახსოვდეს, აის ნავოლე გააფრთხილე, უკან გაბრუნდეს, და კამორაში წაათრიოს ორასავაზაკიანი ბრიგადა. ასაბარგებლად მთელ სამ დღეს გაძლევთ. თუ არ წავა და, თავს დააბრალეთ, რაც მოხდება მერე, იცოდე.

დაფიქრებულმა გახედა სივრცეს, ცას მიაჩერდა და ძალიან ჩუმად თქვა:

- ჩვენ ჩვენს ნებაზე ვიცოცხლოთ გვინდა... გვეძლევა ერთხელ.

მდუმარედ იდგა ერთხანს, მერე სითბო გაუჯდა ხმაში:

- შენ გააცილებ და გადაიყვან.

დონ დიეგოს უთხრა.

- გმადლობთ ნდობისთვის, კონსელეირო, - თავი დაუკრა დონ დიეგომ, და ერთიანად აკრეფილი, დაძაბული შესცქეროდა კანუდოსელებს, განრისხებულნი, ძალიან მძიმედ, ძალიან ნელა რომ მოიწევდნენ ათრთოლებული კაპრალისაკენ, მაჩეტეებით ღონიერ ხელში. დონ დიეგოს კი გამომცდელად დაჰყურებდა კონსელეირო, ხმას არ იღებდა; ვიწროვდებოდა კაპრალის ირგვლივ მრისხანე ალყა, და დონ დიეგომ რაღაც იაზრა, უდარდელად თქვა: „ჰალე-კაპრალო, თქვენის ნებართვით, სახეს აგიხვევთ, მზემ რომ არ მოგჭრათ ნათელი თვალი...“ ჯვალოს ტომარა სახეზე სამგზის შემოახვია, მყისვე შეფერხდნენ კანუდოსელები - ვერ იკადრებდნენ თვალახვეული კაცის მოკვლას და, შემცბარნი იდგნენ. დონ დიეგომ კი არტისტიზმიდან ხუმარაობა მოიშველია: „ახლა კი, ჰალე, ხელკავი გამიყარეთ თუ შეიძლებოდეს, ძვირფასო ელიოდორა, ხეელ-კავი-მეთქი, აიი, ასე... - და ჯერ კიდევ ძალიან კუშტად გამომზირალ ჟოაოს თვალი ჩაუკრა, - აჰ, რა ბარიშნა ჩავიგდე ხელში?“ ღიმი

გაუკრთათ კანუდოსელებს, დონ დიეგო კი ხელკავიან კაპრალს ეთვალთმაქცებოდა: - ფრთხილად, ძვირფასო, აქ კენჭი გდია, ძალიან ფრთხილად გადაალაჯეთ, ელიოდორა, აიი, ასე, აჰ, ქალბატონო, ეს რამოდონა გქონიათ ტერფი...

და ასე მასხარ-მასხარაობით წაარონინა... გააშორა წრეს.

და უცნაური თანამგზავრებით დაბრუნდა მერე.

- შენი დებია? - როგორც იქნა, იკითხა გაოცებულმა ჟოაომ.

- დები კი არა... პირველად ვნახე, კაატინგასთან დაბორიალებდნენ და აქამდე მოყვანა ძალიან მთხოვეს, და მეც, როგორც ჭეშმარიტმა კაბალიერომ...

შვიდივე ქალი გულმოდგინედ ფარავდა სიმორცხვეს და, სწორედ ამიტომ, სიმორცხვის ჯინზე, ზედმიწევნით ამაყად, მკაცრად გამოიყურებოდნენ.

- თქვენ... ჩვენთან გინდათ? - დაეკითხა ქალებს ჟოაო.

- არა, მცირე ხნით... - განაცხადა ყველაზე მდიდრულად ჩაცმულმა ქალმა, იდუმალად გამჭვირვალე შავი პირბადე ჩოეფარებინა, ხელთათმანზე ბეჭდები უციმციმებდა, მაღალი საყელო ნიკაპამდე სწვდებოდა, ასე რომ, ძალიან მკაცრად ეცვა, მაგრამ კოჭებამდე კაბა ცალმხარეზე ძალიან გრძლად ჩაჭრილი ჰქონდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას თეთრად უელავდა ქათქათა ფეხი, - სტუმრად მოვედით.

- სტუმრად მოხვედით?

- აიი, ეე... ჰო, როგორ გითხრათ, ერთი რაღაც გვაინტერესებს ყველას და თუკი შესაძლებლობა იქნება... არა, ისე კი არ გაგვიგოთ, მაგრამ ჩვენ ძალიან გვინდა და ამიტომაც მოვედით, დიახ.

- რა გინდათ, ქალო! - ვერაფერს მიხვდა ჟოაო აბადო.

- ერთი ადამიანის ნახვა გვაინტერესებს ყველას, და რომ იცოდეთ, - სხაპასხუპით მიაყარა მეორე ქალმა, რატომღაც მხოლოდ ცალი საყურე ეკეთა, - როგორ ცხელოდა და საერთოდაც სულ არ ვარგა აქაური გზები და ლოლიტას ხვლიკი გამოუხტა უცებ და საწყალს ალბათ იქით შეეშინდა, მაგრამ ლოლიტასაც ძალიან შეეშინდა, რადგან უარესი ეგონა.

- ხვლიკის და თაგვის თუ გეშინიათ, ვერ დაჯდებოდით სახლში?

- სახლში რომ დავმჯდარიყავით ის ადამიანი ბაზრობათა ქალაქში აღარ მოდის და ამიტომ ავდექით და ჩვენ წამოვედით აქეთ, რადგან ჩვენ ვინც გვაინტერესებს ის ჩვენთან აღარ მოდის და აქეთაა.

- ვინ ადამიანია...

აქ კი შვიდივემ დაიმორცხვა, ის ერთი მაინც მთლად გადაწითლდა. მხოლოდ პირბადიანი ქალიღა ამაყად სცემდა ბოლთას, და აქ ჟოაოც ვითომ გაგულგრილდა და გაამაყდა, რადგან მკაცრად ჩაცმული ქალის ფეხმა ძალიან მოსჭრა თვალი.

- ვინ გინდოდათ-მეთქი.

ცალსაყურიანმა ქალმა ჯერ ისევ მიეთ-მოეთი სცადა:

- ჩვენ, არა? ჩვენ აი... აიი... ეე... - და მოულოდნელად ძალიან მტკიცედ განაცხადა: - ჩვენ მანუელოს დობილები ვართ.

და პირბადიანმაც დაუმტკიცა:

- დიახ.

- ააა, - სახე მოეღრიცა ჟოაოს, - ააა...

მაგრამ აქ საკინძეძალზედამოჭრილი ქალიც ჩაერთო მომეტებულ აღიარებაში: - მაგრამ მე არ შემიძლია თქვენსავით პირფერობა და სულაც არ მრცხვენია განვაცხადო, რომ მიყვარს იგი.

- და, ესე იგი, ჩვენ ვტყუით, არა? ვცრუობთ, არა, ხომ, როცა ვაღიარებთ, დობილები ვართ-მეთქი? თქვენი არ ვიცი მოწყალეო ქალბატონო, მაგრამ ჩემთვის მანუელოს თითიც არ დაუკარებია არასოდეს! - გაცხარდა მკაცრად ჩაცმული ქალი და სწორედ ის ფეხი მიწაზე გაბრაზებულმა დაჰკრა.

- კი, კი, საწყალი, - გამოაჯავრა თამამგულისპირიანმა, - შენ არ იყავი, ფანჯრიდან კიბე...

და ატყდა, მაგრამ რა ატყდა, გაბრუებული იდგა ჟოაო...

- დაწყნარდით, დაწყნარდით ქალიშვილებო, - დაშოშმინება სცადა მათი მომღიმარე დონ დიეგომ, მაგრამ ვიღა უგდებდა ყურს, სულ ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაისმოდა: - შენ რომ ჭალაში, ნამცხვარ-ყვავილა... მე მიყვარს იგი... მეც დობილი ვარ... კიბე არცა მაქვს... კი, კი, საწყალი...

მხოლოდ ის ერთი, თავდახრილი, ძალიან მორცხვი, უჩუმრად იდგა.

- შენ რომ შენს ფარანს... ღამის პირველზე... ნემსი და ცოცხი... - ყველა ერთმანეთს დაესია, იმ ერთის გარდა, - ვითომ ჰაერი რომ მოგენატრა... აბგა რად დადე... დობილი ვარ მე... მე შემეძლო, რომ ბავშვიც მყოლოდა... დღეს რა რიცხვია... დობილი კი არა, დებილი... ეს ქუჩის ქალი... სულ არ ბნელოდა... ლოგინის ქალო... არც ერთი ხელი... შე ჭალის ქალო... არც ერთი თითი... ჭალაში ვითომ ქოლგა რომ დაგრჩა... მეც დობილი ვარ...

- რაშია საქმე, - მკაცრად გაისმა.

რიდით ახედეს კონსელეიროს, წამსვე ჩაშოშმინდნენ.

- რა გნებავთ-მეთქი...

- რა ნებავთ და მანუელო მოუნდათ, ყმაწვილი, ძმობილი... აკი ვიძახდი, კონსელეირო, იმ ქარაფშუტა მანუელოს ჩვენთან რა ესაქმება-მეთქი, აგერ, ხომ ხედავთ, ბაზრობათა ქალაქიდან რაღანაირი ქალი არ მოადგა, და სწორედ ამ გადაპრანჭულმა დონმა მოჰგვარა, ხომ ხედავთ, რომ სწორედ იმ ორმა კაცმა, ვის წინააღმდეგაც თავიდანვე გავილაშქრე, არივ-დარია კანუდოსი.

- კანუდოსს აეგ ქალები ვერ არევ-დარევენ, ჟოაო, - უცნაურ სტუმრებს ახედ-დახედა, - მანუელოსთან საუბარი სურთ?

- საუბარი არაა...

- კარგი, დაწყნარდი, თავი შეიკავე, ჟოაო. როხას!

- გისმენთ, კონსელეირო.

- მანუელო მოძებნე სადმე.

მანუელომ კი ჯერ არაფერიც არ იცოდა, მის თავს რა იყო. შორს, მდინარის პირას იწვა მოხდენილი, გაგრილებული მწყემსი და მზის გულზე ნებივრობღა, შრებოდა.

- როგორ იარეთ აქეთობისას, დონ დიეგო.

- კონსელერიო, კარგად. თავ-გზა რომ არეოდა, საიდუმლო ხვრელის შთაბეჭდილება არტისტიზმით შევუქმენ: სილა-სილა ვაბობღე და თავს ოდნავ თუ წამოსწევდა, მაშინვე იდაყვით ჩავუკაკუნებდი, - ვითომ გვირაბის კედელს ურტყამდა თავს.

დავარწმუნე, რომ ხვრელით გამოვდივართ კანუდოსისკენ - კარგია, ეძებონ... დროდადრო, სილას ვაყრიდი თავზე.

- აეს ქალები სადღა იპოვე...

- კაატინგაში ხოხვა-ხოხვით რომ გავიყვანე ჰალე-კაპრალი, თვალახვეული იქვე მივაგდე, და დავიცადე, სანამ ბრიგადის რომელიმე ავაზაკი გადააწყდებოდა. რაღა თქმა უნდა, მე არა ვჩანდი. მერე წამოვედი და, მოშორებით ესენი შევნიშნე, ძალიან უთავბოლოდ დაბოდიალობდნენ. მივედი და, რა ვქნა, მაპატიეთ თუ დავაშავე, კონსელეირო - უარი ვეღარ ვუთხარ, სულ ხვეწნა-ვედრებით გამოიწიწკნეს ყელი, რაღა თქმა უნდა, თვალები ყველას ავუხვიე და, თანაც, ერთ-ერთი მომეწონა და... მხოლოდ კაპრალის ხელკავი მეყოფოდა, ჭეშმარიტ კაბალიეროს?

მაგრამ ქალები ყურს არ უგდებდნენ, ყველას თვალები უციმციმებდა, და მკაცრად გამოწყობილმა მანდილოსანმა ორივე ხელით აიწია ნაზი პირბადე - თვით მანუელო, მხიარული მწყემსი, მოაბიჯებდა. ის მოდიოდა ლაღი, უდარდელი, მდინარის გამოყოლილი მადლი - სიგრილე მთელი იმ თავისი მოხდენილი სხეულით მოჰქონდა, იღიმებოდა ქვეყნის პატრონი მანუელო კოსტა, და როგორ ემსუბუქებოდა ღატაკი მწყემსი კანუდოსის მიწას... კოხტა ღიღინით, ხელების ქნევით კონსელეიროსაკენ მოეშურებ... მაგრამ აქ შვიდივე ქალი ერთად შენიშნა და, წამსვე რომ იცნო, შედგა, დაბნეული - შვიდივე ერთად, ასე გვერდიგვერდ, ჯერ არ ენახა, ცალ-ცალკე კიი, ჰეეი, იცოცხლე, მაგრამ ასე, შვიდივე, ერთად... - ისე გაოგნდა, და ისე შეკრთა, ერთი პირობა მდინარისაკენ კინაღამ იბრუნა პირი, კიღამ გაიქცა, მაგრამ მიხვდა, რომ, არ იქნებოდა ეს... სულ რომ არაფერი, დაედევნებოდნენ ალბათ კიდეც... და თავსა სძლია, მხრებჩამოყრილი, აჭარხლებული, ნაბიჯათრევით მიუახლოვდა ძაან ძნელ სტუმრებს, თავჩაღუნული შეჩერდა მერე, დროდადრო თუ გამოაპარებდა თვალს, და მშვენივრად გრძნობდა, როგორ აშკარად აკნინებდა ის სიმორცხვე და დაბნეულობა, და ყველასათვის მოულოდნელად, ლაღად შემართა ლამაზი თავი, ცელქმა ღიმილმა გადაუბრწყინა სახე, - სხვები, ქალებო, სადღა არიან? - ასე იკითხა.

იღიმებოდნენ კანუდოსელები, მძიმედ შებრუნდა მენდეს მასიელი, მდინარისაკენ წავიდა ნელა, ჟოაომაც ჩაიბურტყუნა რაღაც, გაერიდა ისიც, ყველა, ყველანი შემოეცალნენ უცნაურ სტუმრებს, და მათ წინაშე, ერთადერთი, სასურველი მანუელოღა დარჩა. ის კი, მხიარული მწყემსი, თვალებით ისრუტავდა იმ შვიდასნაირ მონატრებულ მადლს, ახსენდებოდა რაღაც-რაღაცეები. „დავსხდეთ, ქალებო, - გაიღიმა მანუელომ, - შინაურულად ვიქნებით უფრო, სკამები ხომ არ მოგართვათ?“ „არა, არა, სავარძლები რად გვინდა, - იუარა მკაცრად ჩაცმულმა, იქვე, მიწაზე

მოირთხა ფეხი, - მე ცხოვრებაში ისეთი უბრალო ვაარ...“ მერე სიჩუმე ჩამოვარდა, ოღონდ - საოცრად დატენილი, ექვსი ქალი დაუფარავი ალერსით შესცქეროდა, მეშვიდეს კი, მორცხვს, თავჩაღუნულს, თითი დაებჯინა მიწაზე, იჩიჩქნებოდა - ღღ, ღღ, ღ... - წამით შეავლებდა მანუელოს თვალს, და მერე ისევ ააწვალებდა თითს - ღღ, ღ, ღღ... - და ასე ისხდნენ, შვიდნი - ქალი და ერთიც - პირიქით...

შორიდან კი ჟოაო ამრეზილი იჭყიტებოდა, „ჰოჰო, ყმაწვილი, დამიხედეთ, ფიჰ...“ დონ დიეგოს კი იმისი გაჯავრებული სახის დანახვა მოესურვილა და ფრიად გულუბრყვილოდ იკითხა:

- რა იცით, ჟოაო ძია, ეგება მართლა დობილები არიან?

- კი, კი, დობილები, როგორ არა, დიახ! - მყისვე აღშფოთდა ჟოაო, - დობილი კი არა, ფოცხვერს არ გაუშვებს ტყეში!

მანუელომ კი, როგორც იქნა, ღიმილიანად ასე იკითხა: „კი მაგრამ, ქალებო, თითო-თითოდ ვერ წამოხვედით?“ „ჩვენ... თითო-თითოს გვეშინოდა, - გაკეკლუცდა მკაცრად ჩაცმული, - თანაც კი, აბა, რა განსხვავებაა, შენ ხომ ჩემთვის მაინც ჯერ თითიც არ დაგიკარებია, - და ძლიერ მრავლისმეტყველად შეაცქერდა, - ა, ხომ ასეა, არა, მანუელო“. „რაღა თქმა უნდა ასეა, მატილდა, - დაემოწმა მანუელო, - მხოლოდ ერთხელ, სამშაბათი იყო მახსოვს, თქვენს იდაყვზე შემთხვევით მომიხვდა უსახელო თითი“. „ეგ არ ითვლება, შემთხვევითობა, - აღნიშნა ქალმა და გაიფიქრა, - კარგი ბიჭია, აჰ, ვენაცვალე...“ მანუელომ კი ეს გაიფიქრა: „რაში სჭირდება ვიცოდე, ნეტავ...“ თან მკაცრი ქალის სხვადასხვა... ეე... თავისებურებანი ახსენდებოდა. „ყური დამიგდე, მანუელო, - ნაზად მიმართა მაქმანებით ერთიანად მოჩითულმა ქალმა, ზომიერად უთრთოდა მშეენიერი ხმა, - ვერ წამოგვყვები?“ „საად, ლოლიტა...“ - გაიოცა მანუელომ. „ბაზრობათა ქალაქში...“ „ვერა, ბლანკიტა, ვერ წამოგყვებით“. „რატომ, მანუელო, რატომ?“ - მწარედ დაეკითხა საკინძეამოჭრილი. „ნუ გეწყინებათ... - თქვა მანუელომ, მჩატედ წამოდგა - სულ რომ არაფერი, იქ აუცილებლად გამასაღებენ, როგორც ვაკეიროს, და მეორეც ის...“ „ჩვენ, ჩვენ დაგმალავთ...“ „და მეორეც ის, - ყური არ ათხოვა მანუელომ, - გინდაც ვიცოდე, რომ თითს მართლა არავინ დამაკარებს, მაინც ვერ წამოვალ, რადგან ეს მიწა... აი ეს მიწა, რომელზედაც ვდგავარ, კანუდოსია“. „დიდი ამბავი, - ტუჩი აიბზუა ვერონიკამ, კაცივით ეცვა, ოღონდ მელას ფუმფულა ბეწვი შემოეხვია ყელზე, - დიდი ამბავი...“ „ჩემთვის დიდია... ძალიან დიდი“. „აი ეს მიწა? - მკვეთრად მიმოიხედა ცალ თვალ-ლოყაზე განგებ თმაჩამოშლილმა ქალმა, - წამოდი, რაა, ძალიანა გთხოვთ“. „გათავდა, მორჩა, - თქვა მანუელომ, უცნობი სუსხი გაერია ხმაში, - ძალიან კი მსურხართ, მაგრამ მაინც ვერ გამოგეკიდებით“ „სულ არ

გიყვარვარ?“ - გულდაწყვეტილი დაეკითხა ნაზი, ლამაზი, ზორბა ქალი. მართლაც, ის ქალი მანუელოს ყველაზე მეტად ხიბლავდა - სულ სხვა სხეულზე სხვა თავი ედგა - ნაზსახიანს და ცისფერთვალებას, თხელნაკვთებიანს, მერე ისეთი ჩამოსდევდა ძლიერი ტანი, და მანუელოს, მისი სხეულის მსუყე სიმკვრივით პირთამდე სავსეს, იმ ლურჯ, დიდ მუქლურჯ ორსავ თვალში ცქერა უყვარდა, „თავს მირჩევნიხარ, - თქვა მანუელომ, - მაგრამ ეს მიწა, ეს კანუდოსი, რაც კი ქალია დედამიწაზე სუყველას ერთად მირჩევნია და...“ „რატომ, მანუელო, გვითხარი, რატომ, რაა მაინც ასეთი...“ - შესჩივლა მაქმანებიანმა და მანუელომ შორს გაიხედა, ცას შეჰღიმილა, თქვა: „თავისუფალი მიწაა ესე... თავი ვიპოვე“. „და რა, დაკარგული გქონდა აქამდე?“ „მატილდა, კი... და კიდევ, უფრო... ვიპოვე სული“.

თავისთვის ჩუმად იცრემლებოდა თავჩაღუნული, მორცხვი ქალი და ცალი თითი კი აღარ უჩანდა - მღელვარებისას, თითის სიღრმეზე ამოეღრუტნა მიწა.

მერე კი იქით, ნაღვლიან გზაში, ჭეშმარიტი კაბალიერო გულდასმით ანუგეშებდა ატირებულ, თვალ-სველსახვევიან ქალებს:

- დამშვიდდით, დონნა... თქვენ რომ ქვითინებთ, გული მიკვდება... დამშვიდდით, დონნა.

* * *

სავარძელზე მშვიდად, ღირსეულად იჯდა დიდი მარშალი ედმონდო ბეტანკური, სახელურზე დარბაისლურად დაელაგებინა მოკლე ხელები და თუმცა სახეზე სულ არარა ემჩნეოდა ღირსების მეტი, მაინც, თითქოს, რაღაცნაირად, ერთგვარად დაძაბული გამოიყურებოდა, რიდით შესცქეროდა ახალშემოსული, სასწრაფოდ გამოძახებული გამჭრიახი ადმირალი ციცკა. შორიახლოს პოლკოვნიკი სეზარ გაჭიმული იდგა. და თვით კადიმაც გასუსულიყო მარშლის ფერხთით, შიშნაკრავ ადმირალს უმოძრაო, ცივად მბჟუტავი თვალებით მისჩერებოდა. მშვიდად უმზერდა დიდი მარშალი ნაცრისფრად მოჭიქულ კედელს, სიტყვის წარმოთქმას აგვიანებდა, მოლოდინით გული გადაელია ადმირალ ციცკას, იდგა, უსუსურად გაჯგიმული „ელიოდოროს პატრონი დედა... - ბოღმიანად ფიქრობდა თავაზიანი ღიმილით სახეზე პოლკოვნიკი სეზარ, - რაღა სწორედ ახლა მოუნდა დაბრუნება და ამბების ჩამოკარკვლა, აჰ, ალბათ როგორ მიცდის, არ გააჭირეს იმ მათხოვარი მწყემსებით საქმე, რა მკერდი ჰქონდა?.. როგორი წელი, ალბათ კორსეტის ხელოვნებაა, მაგასაც ჩქარა ვნახავთ... ის კონსელეირო ნეტა ვიღა ოხერი გდია... თუმცა ძალიან რომ შემოეჭირა, მაშინ ხომ ისეთი ლაღი, ცელქი სიცილი აღარ ექნებოდა, დაძაბული იქნებოდა მაშინ... ბრიყვებმა, კაატინგაც კი ვერ გაჩეხეს, გავუშვი, რაღა, მეც, ნაღდი

კ�ცი... იჰ, სუზის დედაც, ეს ბევრადა სჯობს, წინასწარ მაინც არ უნდა მიმეცა ფული, ისე, ნაღდია, როგორ ათრთოლდა როცა მკერდზე...“ მაგრამ აქ აწეწილი ფიქრი მყისვე შეუწყდა - ფეხზე წამოდგა დიდი მარშალი, კიდევ უფრო გაიჭიმნენ ადმირალი და პოლკოვნიკი სეზარ, გრილი კადიმაც მაშინვე რხევით წამოისვეტა. დიდი მარშალი აუჩქარებელ ბოლთასა სცემდა, მიმოდიოდა, მხედრული წესით, ცალ ქუსლსა და მეორე ფეხის წვერზე ტრიალებდნენ მისკენ სამხედრო პირნი და საპატიო ყარაულად მისდევდა მარშალ ბეტანკურს მოწიწებული, მზადმყოფი ყოვლად, მზერა. მერე შეჩერდა დიდი მარშალი, გააჟრიალა და წითურბალანაშლილ ციცკასაც ასე დაეკითხა: „ის სამანევრო ხომალდები, მხოლოდ ჩვენ რომ ვიცით, რიგზეა ყველა?“ „უწესივრობა დაუშვებელია, გრანდისსიმოჰალლე“. „რიგზეა-მეთქი?“ - აიმრიზა დიდი მარშალი. „რიგზეა, დიახ“. - მოიკუნტა წყალთა განმრიგე. „ასე, ოცდაათ წყრთამდე სიგანის მდინარეზე თუ შეძლებენ ლაღად მიმოსვლას?“ „ვერა, გრანდისსიმოჰალლე“. „შინ როგორა ხართ, ჩემო ადმირალო, რასა იქამენ ჩემი თქვენები?“ „დიდადა გმადლობთ, გრანდსსიმოჰალლე, - აღფრთოვანდა ყურადღებანასხურევი ადმირალი, - ვაჟმა დანიშნა ზუსტად ახლახან ერთი ისეთი შესანიშნავი...“ „რამდენი წყრთისა უნდა იყოს მდინარე, იმ ხომალდებმა ლაღად მიმოსვლა რომ შეძლონ?“ „ორმოცდაათამდე მაინც, გრანდ...“ „ნავები ხომ გვაქვს“. „ქვეყნის, გარნდისსიმოჰალლე“. „როგორ ბრძანდება თქვენი მომხიბვლელი მეუღლე, რამდენკაციანია?“ - „ვინ... გრანდ...“ „ჩერჩეტო! ნავი...“ „ცხრა, თორმეტ, თხუთმეტ, და ოცდაორკაციანი, გრანდისსიმოჰალლე“. „აიმ ოთხმოცამდე დიდი ნავით ფეხოსნებს ხომ ვერ შეებმეოდით, რამე იყოს, ჰალე?“ „ნაპირ-ნაპირ თუ...“ „კი“. „ის გვირჩევნია, დიდო მარშალო, - აწრიალდა გამჭრიახი ადმირალი ციცკა, - იმათგან მოშორებით, შენიღბული მანევრით რომ გადავსხა ნაპირზე ხალხი და ისე შევებრძოლოთ, მყარ ხმელეთზე, გრანდისსიმოჰალლე. რადგან ნავიდან, მოგეხსენებათ, ტორტმანა წყალზე, ვერც ხეირიანად დავუმიზნებთ ვერავის და სანამ ხმელეთზე იმათ თვალწინ გადავალთ და ნაპირის ფორსირებას მოვახდენთ, ცარიელა ქვებითაც კი შეიძლება ზიანი მოგვაყენონ და სამჯერ მცირე ხალხიც კი შეიძლება მოგვერიოს სტრატეგიულად, რადგან...“ „წადი“. „რა ბრძანეთ, გრანდისსიმოჰალლე...“ „არაფერი სხვა. წადი“.

ისევე, როგორც მარშალ ბეტანკურის მისაღებ ოთახთა ყოველი არასაიდუმლო, ძვირფასად მოოჭვილი გამჟღავნებული კარი, ისიც საგანგებოდ გათვალისწინებული ჭრიალით მიიხურა, ახლა პოლკოვნიკ სეზარს შესცქეროდნენ კადიმა და დიდი მარშალი, „ჩემო პოლკოვნიკო, - მძიმედ წარმოთქვა გრანდისსიმოჰალლემ, თვალები ავად უბრჭვიალებდა, - შენ ალბათ ორადგილიანი ნავი გირჩევნია ყველაფერს, არა? - მიჯნურთათვის ხომ დიდად მარგია“. კვლავაც ყოჩაღად გაჭიმულიყო პოლკოვნიკი

სეზარ, თუმც ვრცელი შიშით ყურებიც კი ლამის უთრთოდა. „როგორ მყავს ჩემი მკვიდრი დისშვილი, შენი სათუთი მეუღლე, სტელლა? აჰ, კარგად, არა? ოოო, კარგი, ძალიან კარგი... აქ დამიცადეთ, და სანამ მოვალ, ჩემო გრანდჰალლე, შენს თანამშრომელთაგან ყველაზე მეტად მოხერხებული მეთვალყურე შემირჩიე, აუღელვებელი ხელის პატრონი და დიდად გამოცდილი, სიარულიც რომ ემარჯვებოდეს და დაბალი იყოს ტანად“. „მესმის, გრანდისსიმოჰალლე“. „აქ, კადიმასთან დამიცადე, და მოიფიქრე. როცა საჭირო იქნება, მოვალ“.

* * *

ავად ხრაშუნებდა მიწისქვეშეთში ფრთხილ ნაბიჯთა ხმა, საფეხურებზე დაპოტინებდა ბაცი, ტლანქად ჩაბობღებული სინათლე, მძიმე ჩრდილები დატორტმანებდნენ, იძვროდა ნესტი - ქვის ხვეული კიბით მიწისქვეშეთში ღრმავდებოდა დიდი მარშალი, ძვირფასი, წითელი ხის ტარიანი მაშხალა ეპყრა ხელთ, დამადაბლებელ სვეტს გარს უვლიდა. ოღროჩოღრო, კლაკნილ ზოლებად ამოჭრილი მიწის კედლიდან ჯიუტი ღეჭვის ხმა მოისმოდა, შეჭმუხვნილიყო დიდი მარშალი, მიწის კედელზე მიმოხლართულ ხაზებს თვალმოჭუტული აკვირდებოდა. რაღაც ეხატა ამ ყრუ კედლებზე, ღვარჭნილი ზმორებით რაღაცები ეხატა... მკრთალად დაძრწოდა მარშლის სინათლე, და უკუნეთთან ჩახლართულ ჭიდილში იძაბებოდა მიწისქვეშეთი, უნდილი სინათლით გამჟღავნებული, და მძიმე სითხედ მიცურდა მარშლის ჩრდილი კიბეზე, დაბლა. ამოღამებულ ფართო ხვრელში გატრუნულიყო მარშლის პატრონი, მოწიწებული გრანდისსიმოჰალლე ფრთხილად იმზირებოდა ხვრელში, იღიმებოდნენ, მარშალი - ბაცად და შიშნეულად, ხვრელი კი - ფართოდ, ამაყად, შავად, და ცალი, მარტოკინა, მომნუსხველი ბნელი თვალით კუთვნილს, თავისას, აბრჭყვიალებულ მძიმე სიყვითლეს მკაცრად ითხოვდა... ჯიბეში ხელი ააფათურა მარშალმა ბეტანკურმა, ოქროს ნატეხები ამოაძვრინა, ხვრელში ფრთხილად ჩადო. მაშინვე კუშტად მოიკუმა პირქუში ხახა, სამაგიეროდ იქითკენ, ბნელში, ზლაზვნით განიხვნა დიდი და მძიმე, პრიალა კარი. „შენ ხარ?“ - იკითხა მინის მრგვალ ვიწროყელიან ჭურჭელს შეშტერებულმა კაცმა, თავიც არ მიუბრუნებია. „მე ვარ, რემიხიო“, - გაეპასუხა დიდი მარშალი. „ახლავე ერთი წუთით, - მოიბოდიშა დიდმა გამომგონებელმა, გასაიდუმლოებულმა რემიხიო დასამ, - გრძელ ცდას ვამთავრებ“, „მიდი, კი, მიდი, განაგრძე, ჩემო, - დაუყვავა გრანდისსიმოჰალლემ,- შენ შენს საქმეს ნუ გააფუჭებ და...“

აუარება სინჯარის ქვემოთ ყველგან ბჟუტავდა მიმქრალი ცეცხლი, არეკლილი სხივები უნდოდ კვესავდა ყოველ ჭურჭელზე, მწვანესითხიან კოხტა სინჯარას უჭვრიტინებდა მიწისქვეშეთში ჩასაიდუმლოებული დიდი სპეციალისტი რემიხიო

დასა, „ეს ძაან სითხე გამომივიდა, - წასჩურჩულა გრანდისსიმოჰალლეს, - ერთი დიეტური კოვზი ორმოცდაორ მეგალიტრ წყალს მშენივრად ეყოფა, ვინც პირს დააკარებს, იქვე დაკარგავს სასიცოცხლო უნარს“. „მართლა? - ესიამოვნა დიდ მარშალს, - როგორ მიიღე..“ „მიღებით, მოგეხსენება, დიდი ხანია მიღებული მაქვს, მაგრამ ამჯერად ძლიერ გავაუმჯობესე, რადგან ნელ ცეცხლზე ვაყენებ, დიდი სიმხურვალე გარკეეულ ღირსებებს უქვეითებდა, ნელი ცეცხლით კი ყოველივე საჭიროს თანდათან გამოვწოვ“. „ბრავო, - ჩუმად თქვა დიდმა მარშალმა, - სანაქებო ხარ“. „თანაც, ხომ იცი მასალა კარგად მოიპოვება ბუნებაში და შედარებით იაფიც ჯდება“. „შენ ფულის დარდი ნუ გექნება, რემიხიო, - კვლავაც ხმადაბლა წარმოთქვა მარშალმა, ორთავ სულიერი სინჯარას შესცქეროდა, ერთმანეთს არ უყურებდნენ, ისე ჩურჩულებდნენ და ის მწვანე ხსნარიც, მკრთალ ცეცხლზე მდგარი, ფრთხილად იძვროდა, აჩურჩულებულიყო ისიც, - შენ ოღონდ ეგეთი შესანიშნავი სითხეები მიიღე და, ხარჯთაღრიცხვაში ფულს რამდენსაც მომთხოვ, იმდენს მიიღებ, ნუ მოგერიდება, რემიხიო, რადგან...“ „აი, უყურეთ, - გააწყვეტინა დიდმა გამომგონებელმა, - სწორედ ამ მრავალკუთხა ბუშტუკის გაჩენა ცდის დამთავრებას უტყუარად მოწმობს“.

წელში გასწორდნენ გამომგონებელი და დიდი მარშალი, მაგრამ რემიხიო დასა ასეც, გამართული, მაინც რაღაცნაირად მოკუნტული ჩანდა, სუფთად გაპარსულ პირისახეზე უხილავი აბლაბუდა ედო, ცუდი გზით მოარული ჭკუის ნაყოფი; გაჭირვებით ყლაპავდა ნერწყვს, მისთვის ყველაზე მძიმე სითხის ამ გაჭირვებულ ყლუპს, რომელსაც სხეულის გარეთ სხვა სიტყვა ჰქვია; და გაზინტლული, სარჩულში საიდუმლოდ ჩაკერებულორდენებიანი ქურთუკისკენ დიდად უცნაურად გაეშურა: რაღაცნაირად, შეფერხებით ადგამდა გრძელ ნაბიჯს, მუხლი ძლიერ მაღლა აჰქონდა და რომელ ფეხსაც ყოვნით წასწევდა იმავე გვერდის დაძაბულ ხელს მიაყოლებდა, და წინ უსწრებდა იგივე მხარი. შებორკილივით მიალაჯებდა.

- მე, რემიხიო, - დინჯად წარმოთქვა გრანდისსიმოჰალლემ, გახუნებულ თვალებში შესცქეროდა - იმ ხვრელში ხარკი შენგანაც ჩავდე. მშვენივრად იცი, პურს ვინც გვაჭმევს და, მე, რემიხიო, ისეთი სითხე მინდა, მდინარის სათავეში რომ ჩავაგდო და ერთი დღის მერე შუაწელამდე ჩააღწიოს და არც-ერთი თევზი აღარ დატოვოს.

- როგორ, სულ გააქროს თუ...

- არა, დახოცოს.

- მხოლოდ? - წამით გაიღიმა რემიხიომ, ისევ შეიჭმუხნა, კარადას ზურგით ეხახუნებოდა, ექავებოდა ზურგი, - მაგას რა უნდა... აგერ, თუნდაც ამ სითხეს

ვერცხლისწყალში ამოვავლებ და მშვენივრად ჩააღწევს, თანდათანობით გაიხსნება, გრანდისსიმოჰალლე...

- ძალიან კარგი, - თქვა ბეტანკურმა, - ახლავე გამიმზადე, - და გაიფიქრა: „რასაც ვერ შეძლებდა ადმირალი ციცკა, აღჭურვილი ფლოტით, ეს ერთი კაცი თავისი ნიჭით... აი, ამისი ხელობა - მესმის... ასეთი ნაღდი, და უჩინარი... და ამასთან ერთად გრეგ რიკიოც რომ საჭიროა, უცნაურია ძალზე... განა რა ყრია გრეგ რიკიოს ჯღაბნილობაში და მაინც... ისიც რომ საჭიროა?! ბრბო რა ბრიყვია...“

მერე ხმადაბლა, პატივისცემით, იმედით უთხრა:

- რემიხიო დასა, მოგიგონებს ხალხი.

* * *

ხის კენწეროზე მანუელო გატრუნულიყო, ჯერ არნანახი, უცხო თამაშის უნებური მოწმე.

ჯერ იყო და, აქედან, მაღლიდან, თავის ვრცელ ლამაზ ქვეყანას სჭვრეტდა; ლაღს, თავისუფალს, ებერებოდა კოშკივით სული და შორით მოფუსფუსე კანუდოსელებს, ახალ ძმათათვის თიხის სახლებს რომ აგებდნენ, ცოტათი დარცხვენილი კი უმზერდა, მაგრამ რა ექნა - ასე, ხანდახან, სიმაღლისა და ჭვრეტის სურვილი თუ წამოუვლიდა, ვეღარაფერი შეაკავებდა, ზედ კენწეროზე მოექცეოდა ყველაზე მეტად აზიდულ ხეს და იდგა, ტკბებოდა ოთხსავ მხარის თვალით დამპყრობი, ყოველი ჯურის დამპყრობელთაგან გამორჩეული, უბოროტო და ვრცელსულოვანი - მხიარული მწყემსო მანუელო კოსტა, მაგრამ იქ, დაბლა, სწორედ ხის ძირას, დიდ ტოტებს ქვემოთ, თვრამეტი წლის გოგომ ფარა მოდენა.

ჯერ ის იყო და, იმ სიმაღლეზე მცირე ბაკუნი რამ შემოესმა მანუელოს, დაიხედა და სულ თეთრი, თეთრი, თოვლივით ცხვრები მობაკუნობდნენ, შუა ფარაში კი თვრამეტი წლის მწყემსი გოგონა, მსუბუქი წკეპლით, ისე მსუბუქით, თვინიერ ცხვართა მოფერებას თუ შეძლებდა მხოლოდ, მოაბიჯებდა. თეთრები ეცვა... თმა აეზიდა, მაღლა შეეკრა, და ჩალისფერ ზვინს დასცქეროდა განაბული მანუელო, ჯერ ვერა სცნობდა, იმ უხვ ფოთლებში ძლივას ატანდა გაფაციცებულ მზერას, მწყემსმა კი, იქვე მიაგდო წკეპლა, ხისქვეშა მოლზე ცხვრებიც შეჩერდნენ, მშვიდად ცოხნიდნენ კანუდოსის ბალახს, მიმოიხედა თეთრმა მწყემსმა, და შორიახლოს რომ ვერავინ დალანდა, მდინარისაკენ გაეშურა, მთელი სხეულის უჩვეულოდ ლამაზი, მომეტებული რხევით ნაპირთან ისევ მიმოიხედა, თავზე წაივლო ორივე ხელი,

სათუთი ზვინი რომ არ ჩამოშლოდა, და ტანსაცმლიანა შევიდა წყალში. გაბრუებული დასცქეროდა მანუელო კოსტა, სულ მიავიწყდა ოთხსავე მხარეს გატყორცნილი ვრცელი სამეფო, რადგანაც დღისით, მზისით, მარტოობაში დარწმუნებული თეთრი მწყემსი, თავისთავს ლაღად აყოლილი და ამჩატებული, ყოველივეს სჯობდა - წელამდე შესულიყო კანუდოსის მიმოზნექილ წყალში და ძალიან ფრთხილად, ფაქიზად ხტოდა, მძიმედ აზვინული თმა რომ არ ჩამოშლოდა; თავგადაწეულს, ნატიფი ხელი კეფაზე მიებჯინა და მეორეთი კი მდინარის ცვალებად ზურგს მსუბუქად ელოლიავებოდა, და სახისკენ რომ წაიღო სავსე, გამჭვირვალე პეშვი, წყვეტილ ბილიკად დააჩნდა თეთრ გულისპირზე ბაცი წვეთები; დილის მზით გაღვივებულ სახეზე იპკურა მადლიანი მდინარის ნამცეცი, სულ ერთი მცირე პეშვი და, გაბრუებული, ადგილზე ნელა, მძიმედ დატრიალდა, მცხუნვარებითა და სინათლით აფუებული ზედატანი მცხუნვარე მზისთვის შეეშვირა, წელსქვევით კი, ისედაც გრილი და მკვრივი თეძოებით, ნაზი სიავით ჩამოქნილი ფეხებით, უხვი მდინარის გამჭოლ სიგრილესა გრძნობდა, და მდინარითა და მანათობლით ერთიანად გაბრუებული, იმ მდოვრედ ჩამომავალ წყალში მოხიბლული ნელა ბრუნავდა კანუდოსელი თვრამეტი წლის გოგო.

გახევებული, სუნთქვაშეკრული შემოხვეოდა მაღალი ხის კენწეროს მანუელო კოსტა; თავგადაწეული თეთრი მწყემსი მშვენივრად იცნო და ხანდახან გულში მწარედ გაჰკრავდა, ავად კენწლავდა: „რაღა იმისი... რაღა იმისი შვილი“, და გაკვირვებული ჩამოსცქეროდა, რადგან აქამდე მხოლოდ ქალებთან ეჭირა საქმე და იმათ კი სულ სხვა, სულ სხვანაირი მიმოხრა ჰქონდათ, სხვა ელფერი ედოთ, ეს კი, გოგონა, უცხო მღვიმესავით იდუმალი და თან - სიოზე უფრო ჩვეულებრივი და ბუნებრივი, უკვე ნაპირზე მოაბიჯებდა, ისევე, მზისთვის შეეშვირა ახურებული ზედატანი, იგივ მდინარის გრილი მისხალი წელსქვემოთ მჭიდროდ შემოტმასნილი თეთრი სამოსით მოჰქონდა...

და გოგონა რომ შემოვიდა დიდი ხის ჩრდილში, შეკრთა მანუელო, გაოცებისაგან პირი მოკუმა, კიღამ შეუშვა იმ შემობღუჯულ კენწეროს ხელი - დიდად უცნაურად ირჯებოდა თეთრი მწყემსი: შეოკებული, მოკლე ბიძგით წარსდგა სოველი ფეხი, ხელი მოწყვეტით აიქნია და უცებ, ჰაერში გააქვავა... ერთხანს ასე იდგა, მერე კი მკვეთრად შემოტრიალდა, ფრთასავით სწრაფად დაიქნია ორივე ხელი, ისე ღონივრად, რომ უნებურად ფეხისწვერებზე შედგა, გახევდა, თვალებგაფართოებული, თითქოს რაღაცას უსმენდა... სურვილისაგან გააჟრიალა და გამოერკვა, მყისვე შებრუნდა, და ყოვლისმძლე ლტოლვას აყოლილი, ადგილზე როკავდა, ღონივრად უტყაპუნებდა პაწია ფეხისგულებს კანუდოსის მიწას, და

მანუელო კოსტა, ხეზე გატრუნული, უეცრად მიხვდა თეთრ მწყემსს რაც სურდა... თვრამეტი წლის კანუდოსელი გოგო კი შედგა, ცისკენ იშვერდა ხელებს, შეყოვნებული, მერე ადგილზე ტრიალებდა, ფრთხილად ჩამოცოცდა ხიდან მანუელო კოსტა, გამალებული ფიქრობდა თანაც: ასე, უეცრად რომ არ შეიძლებოდა სურვილისაგან გაბრუებული გოგოს წინაშე გამოცხადება, მშვენივრდ გრძნობდა - ისე შეაცბუნებდა, თვალის დასანახად აღარ ენდობოდა უჩვეულო ცელქობაში წასწრებულ გოგოს; ისიც იფიქრა, ვითომ შორიდან ღიღინ-ღიღინით მოემართებოდა და სულაც ვერ ამჩნევდა, მაგრამ ცივ იერს მიიღებდა ქათქათა მწემსი... და მანუელომ, ხეს ამოფარებულმა, მოიფიქრა და მოლზე გამოხტა, და მანაც, ზუსტად იმ გოგოსავით აიქნია ცისაკენ ხელი, გაფითრებული შესცქეროდა მწყემსი გოგონა, ფეხებზე სამოსშემოტმასნილი, დაბნეული იდგა, უნებურად ხელგაშვერილი მანუელოსაკენ, რომელიც კიდევ უფრო მკვეთრი, უფრო ტეხილი მოძრაობებით მიაპობდა უჩინარ ჰაერს, მშვიდად ძოვდნენ ბალახს მორჩილი ცხვრები, მანუელო კი გულგაღეღილი, შემართული, თავაწყვეტილი, რასაც უნდოდა, მთელი სხეულით იმას შვრებოდა, ოღონდაც - მკვეთრად, ტეხილად, და თეთრი მწყემსის იდუმალ სურვილს, იდუმალ ლტოლვას იმეორებდა - ორივეს, იმათ თავისუფლების პირველი ყლუპი აიძულებდა უცნაურ თამაშს, და ახირებულ სურვილს შეოკებული მოძრაობისა, შეუჩვეველი, მცირე თავისუფლების შარავანდედი ედგათ რადგანაც თავზე, და თავისუფლებას, სულის ყვავილს, უცოცხალადამიანოდ და უახლობელოდ, თავისივე ყოვლისმომცველი დიადი ყვავილი - სიყვარული აკლდა, ორივე გრძნობდა, უამყვავილოდ თავისუფლებას ის დიდი ფასი მაინც არ ჰქონდა, და ამ სახელდახელოდ მოგონილი, უფრო ტეხილი, უფრო ღონივრად გამეორებული მოძრაობებით უახლოვდობოდა თვრამეტი წლის დაბნეულ გოგოს მოხდენილი მწყემსი, მანუელო კოსტა, და იმისაკენ გაიშვირა ორივე ამოტრიალებული პეშვი, ასე მიაპყრო ორივე ხელი, ერთი - უფრო გრძლად, და შეაცქერდა, და თეთრმა მწყემსმაც, თეთრმა მწყემსმაც სწორედ იგივე გაიმეორა!.. და ახლა დინჯად, მძიმედ გაშალა მანუელომ ლაღი ხელები, მძიმედვე წარსდგა ორიოდ ნაბიჯი, თვალებში ჩახედა, რა მადლიერი ამოსცქეროდა კანუდოსელი გოგო, და მანუელომ მხრებში ჩაასო გრძელი, ღონიერი თითები - მოალერსე მარწუხები, მიიზიდა და აკოცა.

ჟოაო ამ დროს თიხასა ზელდა.

დიდის გულმოდგინებით მუშაობდა, იდაყვებამდე ამოთხვრილი, იმ დალოცვილ, რბილ სიგრილეს ღონივრად ჭყლეტდა და ჭყლეტდა, დაკოჟრებულ თითებს თითქოს გამწარებულად აღეჭინებდა თიხას; მეზობლებისაკენ გააპარებდა ხანდახან გამომცდელ მზერას, დროდადრო კი მოწიწებით ახედავდა მარადკუშტ მენდეს

მასიელს, კანუდოსელ ძმებს შორის რომ მიმოდიოდა. ჟამიჟამ - ამაყ, თავმომწონე მზერას შეავლებდა თეთრად გაშენებულ, ჯერ კიდევ ნედლ ქალაქს, და ერთხელაც რომ მიიხედა, თიხაში ჩაჯდა; თვალებდაჭყეტილი, პირდაღებული, გაოგნებული შესცქეროდა ხელიხელჩაკიდულებს - თავის უფროს ქალიშვილსა და მხიარულ მწყემსს მანუელო კოსტას, რომლებიც მენდეს მასიელს თავჩაქინდრული უახლოვდებოდნენ.

„ცოტა მომშივდა, ჰალეებო, მაგრად მომშივდა, - ლაქუცით განაცხადა ჩიჩიომ, მაგიდასთან დაჯდა, - თუმცა, ჯერ სალამ-გამარჯვება უნდა ითქვას, სალამ-გაგიმარჯოთ, ჰალე, რაიმე კბილის გასაკრავი ხომ არ გაქვთ, ოთო-ძია?“ ოთო-ექიმი ტახტზე იჯდა, შარვალი გადაეფინა მუხლებზე, ღილს გულმოდგინედ აკერებდა, „იმ ოთახიდან გამოიტანე, ცხვრის ხორცია კარგი, შეათბე და ისე“. „შეთბობა რად უნდა, - გაიკრიჭა ჩიჩიო, მკვირცხლად წამოდგა, - ცივ ხორცს რა სჯობია, ქონი პირში იგლისება და დიდხანს სძლებს უფრო“. ფარდას აჰკვროდა გასუსული დომენიკო, ერთ-ერთი ამოქარგული თვალიდან ქუჩაში იჭვრიტებოდა. არავინ ჩანდა, „ვითომ, მართლა ის გამოგზავნიდა, ოთო-ძია?“ „კი, დომენიკო, - უთხრა ექიმმა, - შუა ქალაქში იმისი მარჯვენა ხელი და შიკრიკია ეს ვაჟბატონი“. კარი გაიღო, ჩიჩიომ შემოჰყო კოხტად გადავარცხნილი თავი, „პური სადა გაქვთ?“ „კიდობანშია“. „ნეტავი რატომ გამოგზავნიდა...“ „ნუ გეშინია, დომენიკო, ნუ გეშინია, - ძაფი გადაკვნიტა ოთო-ექიმმა, პატარა ყუთში ახალი ღილის ძებნას შეუდგა - შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ, ნუ გეშინია“. ჩიჩიომ ისევ შემოჰყო სუნამონაპკურევი თავი, „მარილი არ გაქვთ? ვერსად ვიპოვე...“ „აქაა, მაგიდაზე“, გაეპასუხა ოთო-ექიმი, და ხანამ ჩიჩიო გაქონილ საჭმელს შემოიტანდა, დომენიკოს მიაჩურჩულა: „სანამ დარჩება, რაიმეზე მშვიდად მებაასე, მთავარია, შიში არ შეგეტყოს, დომენიკო, გაიგე, შიში...“ ღიღინ-ღიღინით შემობრუნდა ჩიჩიო, ტაფაზე დაყინული ხორცი მოჰქონდა, იღლიით-პური, მაგიდას მიუჯდა. სამივე ფანჯრის თვალებმოქარგული ფარდებიდან ვიწროდ შემოდიოდა მტვრით ანამცეცებული სინათლე, ირიბი სვეტებით გადახაზული ოთახის შუაგულში ჩიჩიო იჯდა, იაფი სუნამოს სქლად მოტკბო სიმყრალე იდგა ოთახში, გულისამრევი, შორს, სადღაც, ალბათ ნაღდი ტყე იყო; ჩიჩიომ მადიანად ამოუსვა პური ქონში, ხორცი ჩაკბიჩა, თავი გადასწია, თვალი მილულა - მმ, მმუუ... მერე ერთბაშად ტაფისაკენ გადაიხარა, ლოყებგამოტენილი, ღონივრად იყლაპებოდა, „ოთო-ექიმო, - თვალი აარიდა ჩიჩიოს დომენიკომ, - აი, თქვენ როცა ავადმყოფს სინჯავთ, მაჯაზე თითებს წაავლებთ ხოლმე, და რატომ?“ „როგორ თუ რატომ, - ვითომ გაიოცა ოთო-ექიმმა და ლაპარაკის წამოწყებისათვის თვალი ჩაუკრა, მოწონების ნიშნად, - გულის ცემას ვუმოწმებ ხოლმე“. „ავად როცა ხდებიან, - თქვა დომენიკომ, ტახტისაკენ გამოემართა, - გულის ცემაზედ ეტყობათ ხოლმე?“ „კი, აბა“,

„ამბრა, - დაუდასტურა პირგამოტენილმა ჩიჩიომაც, - გუი აამიაში ყვეაფეია“. „ოთო-ექიმო, - შეაცქერდა დომენიკო, - გული - მთავარია?“ „სხეულისათვის - კი“. „ხეი რა, ააა საირო?“ „რა თქვი, ჩიჩიო?“ იმან კი მძლავრი, დაძაბული ყლუპით შთანთქა დიდი ლუკმა და ამჯერად მკაფიოდ წარმოთქვა: „ხელი რა, არაა საჭირო?“ „კი, როგორ არა, კი“, - უგულოდ დაეთანხმა ოთო-ექიმი. ჩიჩიო ახლა აუჩქარებლად იღეჭებოდა, სიამის გაქონილი ტალღა მდორედ ჩამოსდიოდა სახეზე, „ოთო-ძია, აეგ ღილები სად აგაგლიჯეს?“ „ხათაბალაში მოვხვდი, ეეჰ, - ამოიოხრა ოთო-ექიმმა, - რამდენიმე ინტელიგენტი ერთმანეთს დაესია, მე ჩემი ჭკუით ვითომ ვაშველებდი და ზედახორაში კი მოვხვდი“. „ოო, - თავი გაიქნია ჩიჩიომ, ურჩ ძვალს ცალთვალდახუჭული ტკვირავდა, - იგინებიან, ერთი მაგათი პატრონი დედა“. და ძვალს ახედა, დახედა, მიაგდო, ისევ ხორცს ჩააფრინდა, სიმაძღრით გაპირქვავებული, ხუმრობის გუნებაზე დადგა: „მე კი მეგონა, ოთო-ძიას ვიღაცა შეყვარებული ქალი დაებრდღვნა-მეთქი“. „ფუჰ, ბრიყვი, ბრიყვი, - შეიჭმუხნა ოთო-ექიმი, გულმოსულმა ჩაილაპარაკა, - კარგად კი ესმის სიყვარული, რაც მართალია, მართალია...“ მერე ათვალწუნებით შეათვალიერა უსიამო სტუმარი, უთხრა: „მე რომ წოდებების მინიჭება შემეძლოს, ჩიჩიო-ჩემო, ქალაქის მთავარ სალახანად გამოგაცხადებდი“. „ხი-ჰი... ხი-ჰიჰი...“ გაიკრიჭა ისევ ჩიჩიო და ოთო-ექიმმაც დაფიქრებულმა თქვა: „თავია მაინც, დომენიკო, თავი, მთავარი...“

მკაცრად დასცქეროდა თავჩაქინდრულებს მენდეს მასიელი, მიწას ჩასჩერებოდა გაფითრებული გოგო, მანუელომ კი პატარა ხნის მერე ვეღარ მოითმინა, ცალი თვალით აიხედა და გულზე მოეშვა - პირქუში სახე გაებზარა კონსელეიროს, აგიზგიზებულ თვალებში ჯერ არნახული, უჩვეულო სითბო ჩაუდგა, ალბათ ცოტაც და, გაიღიმებდა, და მარად კუშტად აჟღერებულ ხმაშიც ალერსი გაერია:

- ძალიან გიყვარს?

- კი, - თქვა მანუელო კოსტამ და მხნედ მოინაცვლა ფეხი.

- და შენა, ქალო?

- დიახ.

- თქვენი ჭირიმეთ! - წამოიძახა კოლომბინამ, ქალის ბებიამ.

- ძალიან კარგი, - თქვა მენდეს მასიელმა, - დღესვე, ახლავე დაგაქორწინებთ შენ და... შენს ქალს რა ჰქვია?..

ჰოიი, სირცხვილო... აქ მანუელო ძლიერ დაიბნა, რადგან თავისი ქალის სახელი ჯერ არც იცოდა, მაგრამ გამოსავალი უცებ იპოვა:

- ძალიან მინდა, დღეის ამას იქით მანუელა ერქვას, რადგან ჩემია...

- ძალიან კარგი, თუკი ისურვებს...

და გოგომ მყისვე წამოიძახა:

- დიახ.

უცხო რამ შუქი დასთამაშებდა მენდეს მასიელს; რწმენით, იმედით შესცქეროდა გაღიმებულ კონსელეიროს ყველა კანუდოსელი, იმ ერთის გარდა... და კონსელეირომ იკითხა:

- მშობლების ნებართვა თუ გაქვს, მანუელა...

- ჯერ არა...

მანუელომ კი ერთბაშად გაბედა და მხნედ, თამამად მიუახლოვდა დაბნეულობისაგან შიგ თიხაში ჩამჯდარ, აქამდე კვლავაც თვალებდაჭყეტილ, პირდაღებულ, გაოგნებულ ჟოაო აბადოს:

- დაგვლოცეთ, მამა...

- ვინაა შენი მამა! - ისე წამოხტა ზეზე ჟოაო, თვალი ვერავინ შეასწრო, - ვინაა მაგისი მამა! შენი მაგისი მამა კი არა, არც იმისი მამა ვარ... მამაო! მამა! წადი ახლავე კონსესიონ სახლში! სადაა ჩემი ქამარი! ბავშვი შემიცდინა და, მამაო! ვინაა...

ძლივს აკავებდნენ როხასი და ინოსენსიო; დაბნეულები იდგნენ კანუდოსელები, გადაფითრებულ სახეზე ხელებაფარებულ თეთრ მწყემსს მიწა გასკდომოდა, ერჩია.

- წადი-მეთქი, ახლავე-მეთქი! კონსესიონ! სულ დედაშენის ბრალი იქნება, დაგხოცავთ ყველას!..

- გაგიჟდი, ჟოაო, შვილო? - დაეკითხა მეუღლის დედა.

- ვინაა შენი შვილი! ვინაა მაგისი მამა! ვინაა ამისი შვილი! ვინა ხართ... - გაცოფებული ღრიალებდა ჟოაო, მაგრამ მენდეს მასიელი დინჯად მიუახლოვდა, მხარზე დაადო მძიმე, დაძარღვული ხელი, თვალებში ჩახედა, მაშინვე ჩაუქრა ჟოაოს რისხვა, ისე აშკარად, ისე თვალნათლივ, კანუდოსელებს ცეცხლზე დასხმული წყლის შიშინიც მოესმათ თითქოს.

- მდინარის პირას დაგაქორწინებთ, - თქვა შემობრუნებულმა მენდეს მასიელმა, ჯერ მანუელოს გაუღიმა, მერე მდინარეს გახედა და უეცრად შეკრთა, ხშირ ტალღებად გადასდიოდა სახეზე მრისხანება, ყოველ ჯერზე უფრო და უფრო მძლავრი, უფრო ულმობელი და, განრისხებულმა, აცახცახებულმა, ძლივას წარმოთქვა: ყველა წავიდეთ... პრუდენსიო, გამაგრდი... მომყევით, ძმებო.

„რა ვქნა? გავძეხი... - საბრალოდ თქვა ჩიჩიომ. სახე მოღრიცა. - მე მგონი, ნამდვილად მეტი მომივიდა, ჰალე... ოთო-ექიმი ტახტიდან წამოდგა, შარვალი კოხტად ჩამოკიდა, „რა ვქნა? - იკითხა ისევ ჩიჩიომ, - მეტი მომივიდა, რა ვუყო? აა? - მუცელზე ფრთხილად მიიდო ხელები, სახემობრეცილმა, თვალები სიმწრით მილულა, „წყალი, დამალევინე... დომენიკო, რა... ოღონდ გამჭვირვალე ჭიქით... ოთო-ძია, შეიძლება, ტახტზე წამოვწვე?“ „კი, კი“. სანამ დომენიკოს ჭიქას გამოართმევდა, ეჭვით მოუთვალიერა სახე, მერე თითები ჩაჰყო მიწოდებულ წყალში, თვალმოჭუტულმა, გულდასმით დაყნოსა, სინათლის ერთ-ერთ ირიბ სვეტზე გახედა ჭიქას, და დომენიკოს მაინცა სთხოვა: „ჯერ შენ მოსვი, რა...“ შეჭმუხვნილიყო ოთო-ექიმი, ჩიჩიოს შემყურე, ისიც ზედმეტად გამაძღარივით შეჭმუხვნილიყო, სიმწრით კრუსუნებდა ტახტზე მიწოლილი ჩიჩიო. „ცხელი წყალი მომიტანეთ, რა... პირს გამოვივლებ... სულ ვერ ვლაპარაკობ... პირი გამეგლისა... ენას მიბორკავს... ის ტაფა გაიტანეთ, რა... ვეღარ ვუყურებ...“ „ზეთისხილი მიატანე, - ურჩია ოთო-ექიმმა, - ზედმეტ ქონს შეიწოვს...“ „აჰ, არა... არა... - ძლივს იუარა ჩიჩიომ, ზეთისხილს ვერ ვიტან... ზეთისხილზე... მაჟრიალებს. ტაშტი მომეცით...“ ცხელი წყლით გამოივლო პირი; ცოტას მოსვამდა, თავს გადასწევდა - ღრღრღღღ... უოპ! ფუჰ... - ცოტა მოეშვა, პირაღმა გადაწვა, ჯერ მაინც სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა: - მე თუკი მკითხავთ, ჰალეებო... სულელი იყო ის ძველი ხალხი... რომ გამოიგონეს... ზეთისხილის რტო სიკეთეს ნიშნავსო... აგერ ნაცნობისას, შარშან... ქეიფზე... ზეთისხილიც ჰქონდათ სუფრაზე და სამნაირი ხიზილალაც და და ყველაფერი, მაგრამ მაინც შვიდი კაცი დაიბრიდა, ჰალე“, „რამდენი“? „ოთხი... და მჟავე კიტრი ხომ არ გაქვთ, ჰალე? ეგებ მიშველოს...“

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი მდინარე, კანუდოსელებს ხომ ჰქონდათ და ჰქონდათ, სიწმინდითა და ალერსით სავსე, თევზით - მდიდარი, დამპურებელი, დამარწყულებელი, შვებისმომგვრელიც, მარად ახალი, სათუთი, გრილი, იმის ნაპირთან შეგროვილიყვნენ გაბრუებული კანუდოსელები, შეძრწუნებულნი დასჩერებოდნენ რაღაცა სასტიკ, უცნაურ ავადმყოფობაშეყრილ მდინარეს - უცხო სითეთრე დაუყვებოდა მის უხილავ, პაწია ზვირთებად აქა-იქ ამობურცულ ზედაპირს, წყალი არც ჩანდა - აურაცხელი თევზის მუცლით დაფარულიყო, თავიდან

ვერც მიხვდნენ რა აკაშკაშებდა ისეთნაირი ავი ბრწყინვალებით იმათ მდინარეს, მერე კი, რისხვით აღივსნენ, დაიბერნენ, ააცახცახათ, პრუდენსიოს თავს კი რაღაც საშინელება ხდებოდა - მხრებაწურული, გაოგნებული დასჩერებოდა სილაში ჩამხობილ ძმისწულს, მოკრუნჩხულ გოგონას აი იმ ძმისა, უთქმელის, ტოგოსთან რომ დარჩა: უსუსურად იგრიხებოდა კანდათუთქული ბავშვი, პატარა ხნის უკან მდინარეში უდარდელად მოჭყუმპალავე, მენდეს მასიელისკენ მიაბრუნა ყველამ სიმწრით მოკრუნჩხული სახე, კონსელეირომაც, თეთრად ალმოდებულმა, თქვა:

- მდინარე მოგვიწამლეს, ძმებო. პრუდენსიო, შენი დროც - შურისძიების დრო დადგა.

აღარ უჩანდა თავი და ბოლო მუცლით ამოტრიალებულ, მძიმედ დაცურებულ აუარება თევზს, ხელი შეუშვა მანუელას თვალებჩამქრალმა მხიარულმა მწყემსმა, ცალი თვალ-წარბი ისე აუთამაშდა ზეს, თითები მიიჭირა; დაბერილ ყელზე სქელი ძარღვები გადაეწნა ინოსენსიოს, ფრჩხილები ჩაესო ხელისგულებში როხასს, მოკვნეტილი ტუჩიდან სისხლი სდიოდა გრეგორიო პაჩეკოს, სენობიო ლდოსას გულისპირზე ღილი ააწყდა... მოქუფრულიყვნენ ტბიანი სოფლებიდან ჩამოსული კანუდოსელები; შუბლი ისე მწარედ ჩამოიხოკა ჟოაო აბადომ, ორი ფრჩხილი გადაუტყდა, და თვალებზე ჩამოიფხატა ორკუთხა ქუდი, ახალთახალ, ოდნავ გაღუნულ ხმალს რკინის თითებით ჩაფრენოდა მჭედელი, სუნთქვა შეკვროდათ ჟრჟოლადავლილ ქალებს. იმ ერთს კი, შეძრწუნებისგან მთლად გაოგნებულს, კონსელერიომ უთხრა:

- ნუ გეშინია, მე მოგირჩენ. შენ და შენ - თიხა მოიტანეთ... ჩქარა...

დაიხარა და ფრთხილად აიყვანა ბავშვი, პაწია, ალმოდებული თავით მკერდზე მიისვენა, სწრაფად მკაფიოდ ალაპარაკდა:

- ეს ჟამიც დადგა. ყური დამიგდეთ, მოაშორეთ მდინარეს თვალი. სამი დღე მივეც, წათრეულიყვნენ, კვირა გავიდა, თუმც ათას ოთხასივე კანუდოსელს, კაცსაც და ქალსაც ერთნაირად გსურთ შური იძიოთ საკუთარი ხელით, იმ ორასკაციანი ბრიგადის ამოსაჟლეტად მხოლოდ თორმეტი კაცი წავა - ჯერჯერობით მეტი ცხენი არ გვყავს. იმათ უფროსად შენ იქნები, ზე. ყური დამიგდე, პრუდენსიო, გამოიხედე, - რადგან ყველაზე გამწარებული ამჟამად მაინც შენ ხარ, იმ მონაცრისფრო ცხენზე შეჯდები, ყველაზე მეტად ჯაგლაგზე, ვიცი, გული ვერ მოგითმენს და სხვებს რომ ვერ გადაასწრო, ამიტომ გადავწყვიტე ასე. ასე რომ არა, თავსაც ტყუილად დაიღუპავ და, შენი ნაჩქარევი გამოჩენის მერე, დანარჩენებსაც, მზადმყოფნი დახვდებიან. ჯერჯერობით იმ ცხენზე შეჯექ, იქ კი, კაატინგასთან, ვინმეს გაუცვლი ყველაზე ფეხმარდ, აიმ თეთრშუბლა ცხენში. ეს - ორი კაცი, კიდევ ვინ წახვალთ...

ყველა მიაწყდა კონსელეიროს, ისე მიცვივდნენ, კინაღამ გადაჰქელეს, ძლივას შეიკავეს თავი, ძლივს დაიოკეს ფეხი, უცნაური სახეებით - რისხვით და მუდარით აღსავსენი მისჩერებოდნენ. მერე ერთბაშად შემოეცალნენ, რადგან სოველი თიხა მოარბენინეს. კონსელეირომ დაიჩოქა, ცალი ხელით ბავშვი ეკავა, მეორეთი თიხას სულს უბერავდა და დათუთქულ სხეულზე ფაქიზად ადებდა. ლაპარაკობდა თან:

- მე ამოგარჩევთ. შენ - გრეგორიო პაჩეკო, - წამით იმისკენ გაიშვირა თიხიანი ხელი, - სამი, შენ - სენობიო ლდოსა, ინოსენსიო - შენ, ხუთი...

წამით შეჩერდა. აღტაცებული შესცქეროდა საოცრად ლამაზად, თანდაყოლილი სიამაყით მოახლოებულ დიდ მწყემსს, მოხდენილ ზე მორეირას; იმას შუბი და ხმალი მოჰქონდა, ორი ქამანდი კისერზე ჩამოეკიდნა, ქამარში გაერჭო ორი მაჩეტე.

- მეც გამიშვით რა, კონსელეირო... - ითხოვა მანუელომ, და ყველა მიხვდა, როგორ ძალიან შეეკუმშა მანუელას გული.

- შენ? - წამით დაფიქრდა კონსელეირო, სუსტად აკვნესებულ ბავშვს თიხით მოსავდა; ისევ ფოლადი გაუჯდა ხმაში - ძალიან კარგი, მანუელო - ექვსი...

ფლოქვების თქარათქური შემოესმათ, შეცბნენ - ჯაგლაგ ცხენს შორეული კაატინგასკენ მიაჩქარებდა უკვე, ხმლიან-შუბიანი პრუდენსიო.

- ეგ არაფერი, მაინც დაეწევით, - თქვა კონსელეირომ, - იქამდე კარგა დიდი გზაა, შენ, როხას, შვიდი... მხოლოდ ვაკეიროები რომ არ იყვნეთ, ტბიან სოფლიდან მოსულთაგან სამი კაცი წავა. - შენ... შენ... და შენა... ათი.

- რა დავაშავე მე უბედურმა, - გულზე მჯიღი დაირტყა ჟოაომ - ეს მაინც რა დღე გამითენდა მაინც, მე რა - არ მიშვებთ?

- ჟოაო - თერთმეტი...

აქ დონ დიეგომ ფრთაგარჭობილი ძალიან ფართო ქუდი მოიხადა, მკერდზე მიბნეულ ძვირფას ქვაზე მიიფარა, თავი მდაბლად დახარა მერე და სთხოვა: - მეც გამიშვით რა, კონსელეირო... თუმცა ბრძოლაში... ვერ ჩავებმები... ძალიან ძლიერ თუ არ გაუჭირდათ... აიმ საუკეთესო ცხენზე მე შევჯდები, ხომ ხედავთ, მაინც არავინ ეკარება და... მე გადავუცვლი იქ პრუდენსიოს.

- კარგი.

თიხის გრილი, სუფთა ქოხებიდან სწრაფად ბრუნდებოდნენ იარაღასხმული გამორჩეულები.

- ეგ არაფერი, თორმეტნი რომ ხართ - რაც მთავარია, არ მოგელიან. მერე და მერე უფრო ძნელი საქმეები მოგელით, ძმებო, ამბის წამღები შეგიძლიათ არ დატოვოთ - ისედაც გაიგებენ, როცა იქნება. დროსაც მოვიგებთ. თოფები სადმე ერთად ექნებათ მიწყობილი. თავს რომ დაატყდებით, ყველანი იქით გაიქცევიან, და არამც და არამც იარაღამდე არ მიუშვათ, გზა გადაუჭერით. თოფები და ტყვიები იმათსავე ცხენებს აჰკიდეთ მერე. სხვა - არაფერი წამოიღოთ. სულ არაფერი. ტყვია გინახავთ? არ იცით, რაა?

რამდენიმე კანუდოსელი უხერხულად შეტოკდა ცხენზე. თავი მიაბრუნა ზემ.

- მე ვცნობ მშვენივრად და ზედმიწევნით, კონსელეირო, - თქვა დონ დიეგომ.

- ძალიან კარგი. რა გადაწყვიტე, ზე...

- დიდად ვეცდები, პრუდენსიოს რაც შეიძლება, მეტად გადავასწროთ, და იმის მოსვლამდე ცხენებს დავასვენებთ ცოტა. მერე ყოველი შემთხვევისათვის პრუდენსიოს პირს მაგრად ავუკრავ, შორიდანვე რომ არ მიაყვიროს კამორელებს, კონსელეირო.

- ძალიან კარგი, - ფეხზე წამოდგა მენდეს მასიელი, იმედით, რწმენით შესცქეროდა ამხედრებულებს, - კანუდოსელო ძმებო, - თქვა და მაღლა ასწია მთლად, ერთიანად თიხით შემოსილი, მხოლოდ პაწია ნესტოებგამოჩენილი ბავშვი, - ძმებო, ამისი საცოდაობა გფარავდეთ...

ხალხს მიუბრუნდა მერე: - არავითარი დამშვიდობება და თვალის გაყოლა ამათ არ სჭირდებათ, - და ხმას აუწია, რადგან ღონივრად გაისმა თქარათქური, - წამოდით, ძმებო, და, საქმე განაგრძეთ, გაშრება თიხა... ამ ბავშვს მოგირჩენ, ნუ გეშინია, დაო, დამშვიდდი...

გულზე მიხუტებული გოგონათი ხელში, ხალხს მხნედ წარუძღვა სამუშაოსკენ, თითქმის ყველანი მორჩილად მიჰყვნენ, და უკვე ძალიან შორით ავარდნილ მტვერს მხედრების ცოლებიღა მისჩერებოდნენ, სნეული მდინარის ნაპირთან შერჩნილები... იმათ შორის კი ყველაზე მეტად გაფითრებული მარიამი... და სუყველაზე უფრო მობუზული მანუელა - აბადო-კოსტა.

- „ორი ქოთანი ვიყიდე - ჰიყ, ყურიანი და უყურო - პიყ. ორვე ქოთანი დავბრიდე - ჰიყ, ყურიანიც და უყუროც - პიყ, მე რითმიანი ლექსები მიყვარს, - ალიარა ჩიჩიომ, - ცოტა გადამიარა, ხო იცი, ჰალე, რა არის ქვეყნად სიმშვიდის ფასი, თქვენ რომ დრაჰკანიანი მაჩუქეთ მაშინ, არა? ვიღაცამ მომპარა... ცოდო არა ვარ? მე კიდევ რაიმეს მომპარავს კაცი, დო-ჰალე?“ „მაგისთვის მოხვედი?“ - გულზე მოეშვა დომენიკოს, ტახტზე ჩამოჯდა, „არა, აჰ, არა, - შეცბა ჩიჩიო, - ეს ისე ვახსენე, გაკვრით. ჰოდაა, მისმინეთ - მიჩინიომ დამაბარა, ჩემმა უფროსმა, ის ბიჭი როაო, დიდი ბითურიო, კისრის ზომა აუღე და მოიტანეო, ჰალეო, აბა?!“ მაშინვე წამოხტა შეძრწუნებული დომენიკო, ის ორი თვალი, ავი ნაღვერდლები გაახსენდა - რისხვით მბჟუტავი, ჭრილით-ჭრილამდე მონაცრისფროდ აჩურჩულებული, წამომჯდარი ჩიჩიო კი არხეინად განაგრძობდა: „დიდი კაცია მიჩინიო, დიდი კაცია, თვით კადიმაც კი ჰყავს დაჭრილი ერთხელ... ეგ რომ მოვიდა ჩვენს ძვირფას კამორაში, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი, მოძველებული მეთოდებით ვმუშაობდით მაშინ - დაძმობილებისას, გასასაღებელი უნდობლობისა გამო ჯერ მე თუ დამალევინებდა წყალს, მე ვითომ გულდაწყვეტილი, ნაღვლიანად მოვსვამდი და მერე, ბოლოს, პირის კუნჭულში კოხტად შენახულ პაწია ბურთუკას ენის დახვეწილი, გავარჯიშებული მოძრაობით სიფრიფანა ქაღალდს მარჯვედ მოვაშორებდი და იმ საძმადნაფიცო ჯამში - წკაპ! - და ალალ-მართალი ღიმილით გავუწოდებდი... ცუდი ხერხი კი იყო ძაან ის მეთოდი - საწამლავი ცოტათი პირშიაც მეხსნებოდა და თავბრუსხვევები მქონდა სულ, ქრონიკულად, ჰალე. ძნელი დარგია ის ჩვენი დარგი“. „ახლა გაუმჯობესებული მეთოდები გაქვთ?“ - დაინტერესდა ოთო-ექიმი; „აბა!“ - გაამაყდა ჩიჩიო. „როგორი, - მაინც...“ „გაგიჟდით, ოთო-ძია, იი? - გადანცვიფრდა ჩიჩიო, - მაგას როგორ გავთქვამ. მე ვინ გგონივართ. სამთელქალაქო საიდუმლოებაა... ისე კი არ არის ის... ხელი მაქვს მოწერილი, ჰალე“. „კარგი, ნუ მეტყვი, - უგულოდ უთხრა ოთო-ექიმმა და მერე ისევ დაინტერესდა, - და ის ახალი მეთოდები თვით მიჩინიომ შემოიღო?“ „მაშ, - თქვა ჩიჩიომ, - უმრავლესობა... ჯერ ის იყო და, სულ პირველად როგორ გადარჩა... დიდი კაცია ნამდვილად, ჰალე, აქ რომ მოვიდა, დიდი ხნის წინათ, სხვის სისხლში ამოთხვრილი, თვითონ მარშალმა ბეტანკურმა თვალით შეამოწმა ძვირფასი ფარდიდან და არ მოუვიდა, ნათელ თვალში, ჰალეებო, თურმე და ჩვენს ტკბილ გრანდჰალეს მიანიშნა თურმე, გაგვესაღებინა ხელათ და ჩვენმა ძვირფასმა პოლკოვნიკმა სეზარმა, შედარებით დამწყები უცოლშვილო ლეიტენანტი იყო მაშინ, მე დამავალა, დაძმობილების ნიშნად იმასთან ერთად შემესვა თასი და როგორც შევედი იმის ოთახში, მიჩინიოსთან ესე იგი, ჰალე, ერთი კი ამხედ-დამხედა მკაცრად, რომ იცის, ისე, და მაშინათვე ისქესა და ღრანჭში წამწვდა და მომიჭირა და სეკუნდში გადმომაგდებინა ჩემი ბურთუკა, აბა?! დიდი კაცია, ძალიან დიდი...“ „და მერე რატომ

აღარ გაასაღეს...“ „თქვენ რა, გინდათ ხომ, ასე ყოფილიყო?“ - თვალები მოჭუტა ჩიჩიომ. „აჰ, არა, არა, - ორივე ხელი გაასავსავა ოთო-ექიმმა, - უბრალოდ, მიკვირს...“ „ჯერ ეს ერთი რომ, რაღანაირად გაასაღებდნენ. დამცინით, ჰალე? - იწყინა ჩიჩიომ, - ხომ ცოცხალია ახლაც კამორაში სადღაც, და, მეორეც, რატომ უნდა დაებრიდათ, მადლობის მეტი სხვა რა ეთქმოდათ - ჟაგუნსოების უფროსად დადგა - ჟაგუნსოები მოთოკა, ჰალე! და პოლკოვნიკიც დიდად აფასებს... აფასებდეს იქნება, რა იქნება აბა, - გამოცოცხლდა ჩიჩიო, - ყველაზე ძნელად გასასაღებლებს მაგისი ხელით ბრიდავენ, ჰალე, თანაც, კეთილო, ჩაცმა-დახურვა იმას არ აინტერესებს, ქონება და არაფერი - საქმისთვისაა მოწოდებული მხოლოდ... მოწი აქეთ ყელი“. „არა, - ძლივას წარმოთქვა ხმაჩამწყდარმა დომენიკომ, და, ყელგამშრალი, წყურვილმა აიტანა, მაგრამ ცახცახგადადებული თუნგიდან ყელით-მუცლამდე ჩაეღვარა ცივი, უსიამო წყალი, - არ აგაღებინებ ზომას...“ „როგორც გენებოს, - მაშინვე დათანხმდა ჩიჩიო, და მიაყოლა: - ისე კი, გადაწყვეტილების შეცვლა არ უყვარს და თვითონ მოვა და თავისი ხელით აგიღებს ზომას, ასეა, ჰალე“, მყისვე წამოდგა საბრალო მგზავრი, ყელი მოიღეღა. ჩიჩიომ კი კოხტად შემოავლო მბზინავი თოკი, წამში შემოხსნა, მარჯვედ გაკვანძა, გულის ჯიბეში შეინახა, დანაღვლიანდა მერე: „ძაანკაი, კია ერთი დრაჰკანი, მაგრამ ორი აჯობებდა ნამდვილად - ორი დრაჰკანი რითმასავით იქნებოდა ერთმანეთთან, ჰალე“.

* * *

ბრიგადაში თავდასხმას არავინ ელოდა.

დედიშობილა ლეიტენანტი ნავოლე მძიმე ნაჭრისგან გამზადებულ ფერად კარავში იჯდა, მოხატული ზურგით კარვის დაქანებულ კედელს მიყრდნობოდა, გამოებერა. სიცხით გათანგული, სვენებ-სვენებით წრუპავდა მურაბიან წყალს, ტიტველა მუცელზე თითებს ითამაშებდა და სათაყვანებელი ცოლი სუნზი ენატრებოდა. მეორე კარვის შესასვლელთან, სადაც თოფები ინახებოდა ორი კამორელი ჩაცუცქულიყო; გაფაციცებულნი, თეთრ, რვაკუთხა ძვლებს სილაზე რიგრიგობით ჰყრიდნენ. ხელის ყოველი გაქნევის შემდეგ ერთ-ერთი გულზე მოხდენილად იდებდა ხუთივე თითისწვერს, მეორე - ხელისგულს ბარძაყზე ირტყამდა. დანარჩენები, ქვედა საცვლის ამარანი, კაატინგას შორიახლოს დაძრწოდნენ - უმრავლესობა ფეხებს ატყაპუნებდა სილაზე, უფრო მონდომებულნი - დაოთხილიყვნენ, ზოგიერთს კი გრძელი ჭოკი მოემარჯვებინა და რამდენადაც შეეძლო, სილაში ღრმად ასობდა - თავიანთი ჭკუით კაატინგას ქვეშ გამავალ საიდუმლო ხვრელს ეძებდნენ. ერთგან ჭოკს, სილაში კარგა მაგრად ჩაფლულს, ორნი დასჭიდებოდნენ, კიდევ უფრო ჩაღრმავებას თითქოს დიდადა ცდილობდნენ და იმ ქოშინ-ქოშინში ერთ-ერთი

ძმობილი ქვედა საცვლის საიდუმლო ჯიბიდან საკბილოს ოსტატურად აცლიდა მეორე ძმობილს, რომელიც ვითომ ვერ ამჩნევდა ამას - ჯიბეში ყალბი დრაჰკანიანი ედო და გაქურდვის შემდეგ, იმავ საღამოს, ძმობილს ზედამხედველ ნავოლესთან დააბეზღებდა, როგორც ყალბი ფულის მჭრელს... ორივე ისე რა, ზომიერად ღელავდა. სილაში ჩამჯდარ, ზურგამოკორტნილ კამორელთან, რომელიც დაუდევრობით სახიფათო მანძილზე მიახლოებოდა კაატინგას, რამდენიმე ძმობილი შეკრებილიყო და ჭრილობის გადახვევის საფასურზე ევაჭრებოდნენ, „ოთხმოც გროშს გაძლევთ, წუთის საქმეა, მეტი რა გინდათ, მე თქვენი დედა, ვაი“, კვნესოდა და თანაც თვალებს აბრიალებდა დაზარალებული და პირი ღონივრად დააღო, უცებ, ჭროღა თვალები გაუფართოვდა... და მყისვე ის და შორიახლოს მოფუსფუსე ათი კამორელი საშინელი ძალით მიელურსმა მიწას - ეს გადაწეულ კაატინგაში ცხენები გამოაგელვეს კანუდოსელებმა, და თერთმეტი შუბი გამეტებით ტყორცნეს.

ღვთის რისხვას ჰგავდნენ - უმოწყალო, შურისმაძიებელი ხმლები დაატყდათ თავს ჭოკიანებსაც და უჭოკოებს, დაოთხილ მაძებართ, ფერადი კარვისკენ მიაჭენებდა თეთრშუბლა ცხენს ხმალშემართული პრუდენსიო, მაშინვე იაზრა, კამორელთა ბრიგადის მეთაურისა რომ იქნებოდა გამორჩეული საცხოვრისი, და გზადაგზა ვინმეს თუ ჩაუქროლებდა, ხელის დაქნევა მხოლოდ ერთი... მეორე კარავთან მიიჭრა ზე მორეირა, გულზე თითებმიდებული მოთამაშე წელამდე ჩასხიპა, მეორე კი, კამათლებგაცვენილი, ყელში გადასჭრა. ფერად კარავთან ისე მოთოკა ცხენი პრუდენსიომ, ყალყზე შემართა, კარგა ხანს შეყოვნდა ორ ფეხზე ბედაური, პრუდენსიომ კი იმასობაში სახვევი ჩამოიგლიჯა პირიდან, საზარელი ხმით დასძახა და იმ შემკრთალ ბორცვს, კარვის კედელი რომ გამოეზნიქა, ცხენის ჩამოოთხებისთანავე დაუშვა ხმალი. მეორე კარვისკენ გარბოდნენ კამორელები, იქ - იარაღი ეგულებოდათ, მაგრამ გზაშივე, ხმალდატეხილნი, სილაზე პირქვე ენარცხებოდნენ. და ხოხვა-ხოხვით გაცურებული, განზე ფრთხილად მღოღავი კამორელიც შეამჩნია ინოსენსიოს მარჯვე თვალმა და, სხვებზე მეტად მახვილგონიერ კამორელსაც სხვებსავით ხმალმა მოუღო ბოლო - კეფაგადახსნილს, პირქვეჩამხობილს, იმასაც ხმალი სჭირდა... ვიღაცა ცხენზე შემოახტა როხასს, კისერში კბილებით ჩააფრინდა, ვაკეიროს კი მიხედვაც არ უცდია, ისე გადაიქნია თავსუკან ხმალი - დიდად უცნაურად გაასაღა... მერეც, ერთხელ არ დაინტერესებულა, ვინ იყო, რა იყო, ახალ-ახალ კამორელებს ხოცავდა და მეორე ხელით ნაკბენს იზელდა... ორივე ტორით ჩაებღუჯა ხმალი ჟოაოს, ვაი იმისი ბრალი, ვისაც... და ხელების ყოველ დაქნევას მძლავრად აყოლებდა: „ჰახ!“ და თუმცა ზოგიერთმა კამორელმა მაინც მიაღწია კარვამდე, ამა საქმეში იმდენი არაფერი ეყარა - იქ დიდი მწყემსი, ზე მორეირა შავ ცხენზე იჯდა და ალესილი ხმალი ეპყრა ხელთ. ჯაგლაგზე

შესკუპებული დონ დიეგო კი შორიდან საქმიანად უთვალთვალებდა კამორელთა ჟლეტას - ყოჩაღ, გრეგორიო... მანუელო, იფ... ეს ტბიანი სოფლელებიც, ბრავო... აჰ, პრუდენსიო, ნამეტანია... ჰეჰ, სენობიო რა ყოფილა და...“ შორეულ ტყეში რაღაც დალანდა პრუდენსიომ, მიმოიხედა და, სილაზე მილურსმული კამორელი, ჯერ კიდევ ბოლომდე ჩაუმქრალი, გველის თვალებით რომ იმზირებოდა, შუბიანად ასწია, ღონივრად დაიქნია მერე და შუბიღა რომ შერჩა ხელთ, ტყისკენ გაჭენდა, იქ კი საბალახოდ მიშვებული ცხენების ორი მოდარაჯე, თავით-ფეხამდე შეიარაღებული კამორელი ხეს ეფარებოდა და პირველი ტყვია პრუდენსიოს კი ასცდა, მაგრამ მის მიღმა, შორს, უკვე საქმეგამოლეულ როხასს მხარში ეძგერა და მოკუნტა, მეორე კამორელის ტყვიამ კი - საოცარია - იგივ როხასის ცხენი წააქცია და დაჭრილ მხედარს ფეხი ქვეშ მოჰყვა. გახევებულნი გასცქეროდნენ კანუდოსელები პრუდენსიოს, მიშველებას აღარ ჰქონდა აზრი, წამში უნდა დასრულებულიყო ყველაფერი, და ერთ-ერთმა კამორელმა, ვინც იაზრა, რომ, თოფის გატენას ვეღარ მოასწრებდა და დანასაც ძნელად თუ მოახვედრებდა ამ ღვთისდამტყდარ რისხვას, იმ თავის ძმობილს მოახლოებული პრუდენსიოს დასანახად კისერში ჩასცა გრძელი, ვიწრო დანა და თავად კი, რამდენადაც შეეძლო, მომღიმარე, ხელებაწეული შეეგება და დასაძმობილებლად უღიმოდა პრუდენსიოს, იმან კი, მოქუფრულმა, კამორელის დაკრეჭილ ხახაში შუბი გაატარა და ღონივრად ჩააჭედა ხეში.

ცხენები გაექვავებინათ კანუდოსელებს, მზე აცხუნებდა, საზარლად მოთბო-მოტკბოდ ორთქლდებოდა კამორელების მოწამლული, დაღვრილი სისხლი და თვალნათლივი, შემზარავი ვარდისფერი დატივტივებდა... უძრავად ეყარნენ დაჩეხილები - ძმათა გამყიდველნი, დამბეზღებლები, მომხვეჭელნი... ვეღარაფერს დააშავებდნენ აწი... ეჰ, უბედურნი, კამორაში ჩამოყალიბდნენ, შეჭმუხვნილიყვნენ კანუდოსელი ძმები... მოლოქეს ნეკა თითი წააჭრეს ფეხზე, მაინც რა იყო ამდენი სისხლი, ვეღარ ისრუტავდა გაწებილი სილა სხეულებიდან გამოცოცებულ მოყავისფრო გველს, და ისეც ჩანდა, ის მუქი გველი სილიდან ამოცოცებულიყო თითქოს და, კუდით თავისკენ უფრო და უფრო გამაძღარი, ჭრილობაში თავჩაყოფილი, გრილ სისხლს წუწნიდა, და სუქდებოდა... ნელი ნაბიჯით მოარონინებდა ტყისპირიდან ცხენს პრუდენსიო, მეორე მხრიდან, კაატინგადან, დონ დიეგოს ჯაგლაგი მოაქნევდა თავს... ჩამოქვეითდა ზე, გრძელი ქამანდი სამგან გადაჭრა... როხასის ცხენი განზე გადააჩოჩა დონ დიეგომ, ჩაიმუხლა:

- მაჩვენე ერთი... ძალიან გტკივა?

- ძალიან არა.

- ცოტა შებრუნდი... აიი, ასე... არაფერია, გამოსულა ტყვია.

- რაიმე ხომ არ იტკინეთ, მამა? - გულუბრყვილოდ იკითხა იქით მანუელო კოსტამ და ჟოაომ ერთხანს კინაღამ იფეთქა, მაგრამ გადაიფიქრა: - არა.

შიგ სულში ურტყამდათ ის მწკლარტე, მოავვარდისფროდ აორთქლებული სიმყრალე... როხასს ჭრილობა გადაუხვია დონ დიეგომ, მკვდარ ცხენს გადახედა: - უცნაურია, დიდად უცნაური...

- რა... - მკვახედ იკითხა ჟოაომ, - რომ არ იბრძოდი?

- არა, - უშფოთველად მიუგო დონ დიეგომ, - ორად-ორი გასროლა, ორი ბრმა ტყვია და ერთი - ამას და მეორე - ამის ცხენს... უცნაურია. ვერ წამოდგები?

- ფეხიც ვიღრძე ცოტა.

- მაჩვენე, დაგიჭიმავ.

ცხენების მოსარეკად ტყისპირისკენ გაეშურნენ გრეგორიო პაჩეკო და სენობიო ლდოსა. როხასს კრინტიც არ დასცდენია და, დონ დიეგომ, გაკვირვებულმა, ჰკითხა:

- სულ არ გეტკინა?

- რა...

- ფეხი, ან მხარი...

- ეგენი არა... კისერზე მალამო წამისვი რა, ერთი...

- კისერზე რაღა დაგემართა... - განცვიფრდა დონ დიეგო.

- რა ვიცი, აი...

ნაკბილარებიდან სისხლი სდიოდა.

- რაა... ეს რაღაა...

- რა ვიცი, ვიღაცამ მიკბინა მგონი...

- რა ქნა?

- მიკბინა.

აქ დონ დიეგოს ისეთი სიცილ-კისკისი მოაწვა, ძლივას შეიმაგრა თავი, დაძაბულს სახე აუცახცახდა, მაინც შეძლო და საქმიანად იკითხა მერე: - კი მაგრამ, ყველაფერი - შენ?

ძლივს იკავებდა უადგილო სიცილს, ძაან უჭირდა, მაგრამ თავად როხასმაც გაიღიმა:

- რაღაც სულელივით გამოვდივარ, არა?

- არა, არა, კაცო, რატომ... - საგანგებოდ შეჭმუხვნილი სახე გაებადრა დონ დიეგოს და კინაღამ მხარზე დაჰკრა ხელი, - ისე კი, რა დააშავე მაინც ამისთანა ჩვენში...

ქამანდები დაეჭრათ მოღრუბლულ კანუდოსელებს, კამორელთა ცხენებზე კამორელთა თოფებს და ტყვიის ყუთებს ამაგრებდნენ

* * *

„სუფთად მუშაობს, - აღნიშნა შორს, კამორაში, პორფირიომ. - რაც მართალია, მართალია, და სუფთად მუშაობს“. და მაშინვე დაეთანხმა ლოყებჩამოკიდებული არტემიო ვასკეს - „ნაღდად მუშაობს, მშვიდობის საათები გაგგრძელებოდეთ, აუგს ვერ ვიტყვი, გამოზომილად, სუფთად მუშაობს“. „ბრავო, ბრავისსიმო, მარცხენა ხელო“, - შესძახა პოლკოვნიკმა და ამჯერად ერთ-ერთ გენერალს მიაპყრო გამომცდელი თვალი, ხოლო გრანდჰალლეს ცაციაობისა გამო მის მარცხენა ხელად აღიარებული მიჩინიო უზარმაზარ, რკინის რიკულებიან გალიაში იდგა, გრძელი შოლტით ხელში და პირისპირ შეყრილ ექვს დედიშობილა ჟაგუნსოს რასაც უნდოდა, იმას აკეთებინებდა. თუმც გარკვეული სიძნელეები, როგორც ყოველ საქმეს, ამასაც ახლდა - გაფითრებული, თმააშლილი, ალესილკბილებდაღრჭენილი, ჟაგუნსოები დროდადრო აფეთქებული სიძულვილით მკვეთრად გაიწევდნენ მისკენ, მიჩინიო კი ხან გრძელი შოლტის ენისწვერს მეხივით მიატკაცუნებდა რომელიმეს სახეზე და სიმწრის ცრემლებს ადენდა, ხანაც - გროშებს და უმ ხორცს სამოწყალოდ უგდებდა ფერხთით. გალიის ირგვლივ კი ზედა ქალაქის რჩეულ მამაკაცთა მთელი ნაღები სეირის ჭვრეტად შეკრებილიყო - ხნიერთა დასის უხუცესი პორფირიო და დიდვაჭარი არტემიო ვასკეს, გენერალი ხორხე და დამსჯელი რაზმის კეთილ-გენერალი რამოს, ლამაზგენერალი და გამჭრიახი ადმირალი ციცკა, ყელშეფუთვნილი კარის ტენორი ეზეკიელ ლუნა, საჩუქართსაქმისმწარმოებელი შიშველი ანისეტო და დიდი მარშალის პირადი აღმსრულებელი უძვლო კადიმა, გასაიდუმლოებული მექისე ლეიტენანტი ალფრედო ევია და ყოვლად გამომზეურებული ყალმის დიდოსტატი გრეგ რიკიო, სრულიად კამორას მთავარ შემმოწმებლად აღზევებული ყოფილი ჯიბის ქურდი პედრო კარდენასი და

ბრჭყვიალა პოლკოვნიკი გრანდჰალლე სეზარ, ხოლო ძვირფასი შენობის საიდუმლო ფარდის ერთ-ერთი ამოქარგული თვალიდან თვით გრანდისსიმოჰალლე - სამფეროვანი ქალაქის კლაკნილ გზაზე სწორუპოვარი წარმმართველი, დიდი მარშალი ედმონდო ბეტანკური იჭვრიტებოდა. შუა ქალაქიდან კი მხოლოდ ორნი ამოეყვანათ, ისინიც - საჭიროებისდაგამო: მიჩინიოს რაიმე გაუთვალისწინებელი რომ შემთხვეოდა, ოთო-ექიმიც იქავე იდგა, და განუყრელი თანაშემწე - ყმაწვილი მგზავრი დომენიკო, მალამოებიანი ჩანთით ხელში, ახლდა. თუმც მიჩინიოს სამალამო არა სჭირდა-რა, სუფთად მუშაობდა - მრისხანე მზერით წამოწოლა უბრძანა ერთ-ერთ ჟაგუნსოს, და იმანაც ღრენა-ღრენით ჩაიჩოქა და გროშიანიც რომ დაეცა იქვე, გულდაღმა დაწვა, ოღონდ ისევ შემართული ჰქონდა თავი, დაჭიმულ ყელზე დიდი ძარღვები შეოკებული რისხვით ებერებოდა. მერე მეორეც, გააწვინა მიჩინიომ, მესამე - კარგა მაგრად გაუჯიუტდა, მაგრამ ლოყაზე ლურჯად დაემჩნა შოლტის ნაკვალევი და მეოთხე ჟაგუნსო, ამის შემყურე, თავისით დაწვა, „სუფთად მუშაობს, ბარაქალა“, აღნიშნა პედრო კარდენასმა და ლამაზ-გენერალიც იქვე დაეთანხმა - „დიდებულია“. ხოლო ექვს, გვერდიგვერდ გაწოლილ ჟაგუნსოზე ბოლოს თავად მიჩინიო წამოწვა, შოლტი მოისროლა, თითქოსდა უიარაღოდ გახლდათ, მაგრამ ყველამ იცოდა სახელოში დანები რომ ჰქონდა შემალული; ჟაგუნსოთა კისერზე სიგრძივ მოკალათდა მიჩინიო, ზოგს მუხლი დააჭირა თავზე, სხვას - იდაყვი და წვივი, და ყოველ მათგანს ხახაში რომ შესჩარა ხორცი, პირქვე ჩაემხო ყველა და ისე იღეჭებოდნენ, მოსეირეებმა ზომიერი ტაში შემოჰკრეს, მიჩინიომ კი, საზარლად მომღიმარემ, გაფითრებული დომენიკო გამოარჩია გალიის ირგვლივ შემოჯარულ ხალხში, ყელზე მოისვა სასტიკი ხელი, და გაოგნებულს, ავი ღიმილით, ხმადაბლა დაემუქრა: „სულ ბოლოს ჩემი გახდები, ბიჭი...“

საღამოვდებოდა, ბინდით იჟღინთებოდა კანუდოსი და, გახევებულ მომლოდინეთ, როგორც იქნა, იმ მძიმედ ჩამოწოლილ სიჩუმეში შორეული, წყნარი გუგუნი შემოესმათ თითქოს, მერე და მერე, უცხოდ ნაღვლიანი ბინდის მოძალებასთან ერთად, ის მოგუდული ხმაურიც გამკაფიოვნდა, მთლად ჩამობნელდა, მთვარით განათდა მიდამო მერე, დამხვდურებს თოფებითა და ტყვია-წამლით დატვირთული აუარება ცხენი რომ მიაყენეს უცნაურად დადარდიანებულმა კანუდოსელებმა, უმაშხალებოდაც კარგად მოჩანდა იმათი სახეები. მთვარე იყო ისეთი დაბალი და სავსე... ძალიან მძიმედ, უჩვეულოდ ჩამოქვეითდნენ, როხასს ცხენიდან გადმოსვლაში მიეხმარა დონ დიეგო... დაღონებული, განზე მზირალი ქმრის ხელებს თვალს ვერ აშორებდა შეძრწუნებული მარიამი, თუმც დიდ მწყემსს სისხლის ნასახიც არა ეცხო რა... რაღაცნაირად დაუდევრად, ბლანტედ იდგნენ დაბრუნებულნი, მხრებჩამოყრილებს, ჩაფიქრებულებს, მთვარის შუქზეც კი ემჩნეოდათ ის

უპირველესი ჭმუნვა, და მღრღნელი სევდა, თანდათანობით იქუფრებოდა მათი შემყურე მენდეს მასიელი, ერთადერთი დონ დიეგო გამოიყურებოდა ძველებურად ცოცხლად - ქუდი მოიხადა, კოხტად მოინიავა, თქვა კიდევაც: „დავიღალე, ჰეჰ“, სხვები კი დუმდნენ, აღარ იცოდნენ რა ეთქვათ, რა ექნათ, ან სად წაეღოთ იმდღევანდელი ამაზრზენი ჯაფით მოქანცული ხელები... მანუელასკენ გახედვას ვერცა ბედავდა მანუელო კოსტა; ინოსენსიომ, თავჩაღუნულმა, უშნოდ მოინაცვლა ფეხი, მაგრამ სხვათაგან განსხვავებით, ცხენზე ჯიუტად გაქვავებულიყო კვლავაც ამხედრებული პრუდენსიო, ამაყად შეემართა თავი. ხეს მიყრდნობოდა ქანცგაწყვეტილი როხასი. მლაშე ტკივილი სამგან ლოღნიდა... ვეღარ გაძლო ზემ, გაუბედავად წარსდგა ფეხი, მარიამს მიუახლოვდა და თუმცა სხვათა წინაშე ცოლთან გამოლაპარაკებისაც კი ერიდებოდა, ახლა უღონოდ ასწია ხელი, მარიამის მხარზე დაედო უნდა, ყველა, ყველანი მიჩერებოდნენ გარდა მზერაარიდებული მარიამისა და ზეს კი უცებ ჩამოუვარდა ხელი - სირცხვილისა არ იყო ეს, სულ სხვა რამისა გახლდათ, და უილაჯოდ დაბნეულს, ზურგსუკან მდგარი მენდეს მასიელის რისხვით აღვსილი ხმა შემოესმა:

- დაადე ხელი.

დამორჩილდა ზე.

მობრუნებულებს უახლოვდებოდა კონსელეირო, მტკიცედ ადგამდა ნელ, მუქარით დატენილ ნაბიჯს, და პირველსავეს თვალებში წყრომით ჩააცქერდა.

- იქ, სერტანაში, ხომ ყველაფერს ვითმენდით, გრეგორიო.

- დიახ.

- როგორ გგონია, რატომ?

- სხვის მიწაზე ვცხოვრობდით, კონსელეირო... ფესვი არ გვქონდა...

სამი ნაბიჯი გადადგა მენდეს მასიელმა.

- ეს კანუდოსი ჩვენამდე ხომ არავისი მიწა არ იყო, სენობიო?

- არა.

- ხომ ჩვენივე ხელით, საკუთარი ხელით ავიშენეთ ჩვენი სამშობლო.

- კი.

ხეს მიყუდებულს მიუახლოვდა მენდეს მასიელი, წელში გაიმართა ვაკეირო.

- ხომ გვქონდა, როხას, ამის უფლება!

- დიახ.

- და წინასწარ მაინც ხომ ვიცოდით, თავს რომ არ გაგვანებებდნენ.

- დიახ, ვიცოდით.

- ტბიან სოფლელებმა, საკუთარი მიწა დატოვეთ. ბევრად ვრცელი და ნოყიერი. არ დაგენანათ?

- არა.

- არც დღეის შემდეგ დაგენანებათ?

- არა, კონსელეირო, არა.

- იქ ხომ გყოფნიდათ ყველაფერი. ის მადლიანი მიწა დატოვეთ და აქ, განსაცდელში ჩაიგდეთ თავი. გააგებინეთ ამათაც - რატომ...

- მოეხსენებათ.

ორი ნაბიჯი წარსდგა კონსელეირომ, თავჩაქინდრულ მწყემსს ნიკაპქვეშ ამოსდო ხელი, თავი აუწია:

- დაგვიშავებია იქ, სერტანაში, ინოსენსიო, იმათთვის რამე?

- არა.

- შენ როგორ ფიქრობ, პრუდენსიო, რაღად მოგვდევდნენ.

- ეს დღე უნდოდათ.

- და უარესიც ხომ არ ეკუთვნით, პრუდენსიო?

- გაცილებით უარესი, კონსელეირო. ესენი წვრილი ნაძირალები იყვნენ.

კუშტად მზირალ მწყემსს შეაცქერდა მენდეს მასიელი:

- ძალიან ნანობ, ჟოაო, ადამიანი რომ შემოგაკვდა?

- ვინ?

- კამორელები რომ შემოგაკვდნენ.

- თავიდან ცოტა ვინანე, ჩემი სისუსტით, - თქვა ჟოაომ და მერე თვალებში შეხედა, - მაგრამ ეგება იმათთვისაც უკეთესი იყო...

- რა...

- ჩვენი წყალობით, ვეღარაფერს დააშავებენ. სულს უფრო მეტად ვეღარ დაიმძიმებენ აწი.

ესიამოვნა მენდეს მასიელს ჟოაოს სიტყვა. ხალხს მიუბრუნდა მერე, ძალიან მშვიდად ლაპარაკობდა:

- ბევრს ვერაფერს გეტყვით, ყველამ ვიცით, რომ ბოლოს მაინც დაგვამარცხებენ. და ისიც მშვენივრად ვიცით, ისედაც რომ დამთავრდება, როცა იქნება დედამიწაზე ჩვენი სიცოცხლე - უიმათოდაც. შორით მოსულნი, უფრო შორს წავალთ, და მხოლოდ ერთხელ ნაბოძებ სიცოცხლეში, ვიცოცხლოთ ერთხელ, კაცურად, ძმებო, ვიცოცხლოთ უნდა. სხვის მიწაზე მშვიდად მიცვალებას, საკუთარი ხელით ანაგები სამშობლოსათვის დაცემა გვიჯობს - საამაყო... სიხარულია... თავად დაგვესხნენ, თავად წამოიწყეს, არავის მოკვლა ჩვენ არა გვსურდა, მოგეხსენებათ, ძმებო. და სხვა გზა არა გვაქვს - უნდა დავუხვდეთ, თქვენი იქ წასვლაც დახვედრა იყო. რა გვექნა, აბა - იმათ ჩვენ ვეღარ გადმოვაგვარებდით, ასე რომ, ძმებო, სანამდეც შევძლებთ, იქამდე დავიცვათ ჩვენი სამშობლო.

და დააყოლა:

- უსინანულოდ.

გამართულიყვნენ კანუდოსელები, ამაყებს, მოხდენილებს, თავისუფლების ეშხი ემოსათ. თავი გადახარა მარიამმა, მხარზე შეყინულ ხელს ნაზად ჩამოადო ლოყა. დატვირთული ცხენებიდან თოფები და ტყვიაწამალი ჩამოხსნეს ვაკეიროებმა. მიხრა-მოხრაში ძველებური შემართება ეტყობოდათ, ჩამოქვეითდა პრუდენსიო, ხმადაბლა გაიკითხა ბავშვის ამბავი.

- როგორ მოიარეთ... - მშვიდად წარმოთქვა მენდეს მასიელმა.

- კონსელეირო, კარგად, - წამსვე გაეპასუხა დონ დიეგო, - მშვენივრად აღასრულეს...

- შენ რა, იბრძოდი?! - ჩაიბუზღუნა ჟოაომ, მაგრამ დონ დიეგოს აინუნშიაც არ ჩაუგდია მისი ნათქვამი, სხაპასხუპით განაგრძობდა: - მშვენივრად აღასრულეს

ყოველივე, თუმც მე, როგორც დაგპირდით, თითიც არ გამინძრევია. ორასი ცხენი წამოვდენეთ, და იარაღიც გამოვიძღვანიეთ. სხვა არაფრისთვის დაგვიკარებია თითი, უი, ჰო, მართლა, ფათერაკი შეგვემთხვა ოთხი, - ხმა გაუცელქდა, - ოთხი მცირე რამ უსიამოვნება შეგვამთხვიეს, კონსელეირო, მხოლოდ. - ისევ ამჩატდა, ძლივს იკავებდა სიცილს, - ცხენი მოგვიკლეს ერთი - როხასს, ფეხი გვაღრძობინეს ცალი - როხასს, მხარში გვაძგერეს ერთი ტყვია - როხასს, და ერთხელაც გვიკბინეს, ოღონდ კისერზე - ისევ და ისევ როხასს, უცნაურია, არა?

თავჩაქინდრული როხასი დამნაშავესავით, უილაჯოდ იღიმებოდა.

ანთებული მაშხალები გამოიტანეს, როხასს ფაქიზად მობანეს ჭრილობა. ხის ძირას დასვეს, ნაღრძობი ფეხი ცივ წყალში ჩაადებინეს, მთელ კანუდოსში ყველაზე კარგი, ჩითის ზოლებიანი კაბა მოარბენინა ინოსენსიოს მარჯვე ცოლმა და კოხტად დაფხრიწა, ჭრილობა რომ გადაეხვიათ, თუმცა ასეთ დიდ ყურადღებას სიკვდილი ერჩია როხასს, მორიდებულ მწყემსს. მხნედ, გამართულნი დააბიჯებდნენ კანუდოსელები, „პუმპურიკ, რამე ხომ არ იტკინე?“ - ჟოაო აბადოს მიაჩურჩულა ცოლმა და იმან კი განზე გაიწია, კონსელეიროსკენ დაადო თავი - იმის გვერდით მდგარს, რაღა თქმა უნდა, ვეღარავინ შეაწუხებდა, მაგრამ იქაც კი შეშფოთება ელოდა ერთი... მენდეს მასიელმა ბრძანა:

- მანუელო, მოდი.

დიდად აღელვებული წარუდგა კონსელეიროს მხიარული მწყემსი.

- მანუელა, შენც.

თავჩაღუნული, მაგრამ აჰ, რა სწრაფად მიაბიჯებდა ფეხშიშველა კონსესიონი. გული შეეკუმშა ჟოაოს.

- მდინარის პირას დაგაქორწინებთ, მეჯვარეებად... შენ იქნები, ინოსენსიო, და პრუდენსიო, შენ, ზე, არ გეწყინოს - ისედაც კარგი ძმაბიჭები ხართ.

აქ კი ჟოაომ უკანასკნელად გაიბრძოლა.

- ინოსენსიო და პრუდენსიო არ შეიძლება.

- რატომ... - გაუკვირდა მენდეს მასიელს.

- ორივე ნსიო-ზე მთავრდება.

- ეგ არაფერი, - გაეღიმა კონსელეიროს, - ჩემი ქოხიდან სანთლებია მოსატანი.

ყველა მუდარით შეაცქერდა, ყველას უნდოდა მისი დავალების შესრულება, სულწასულები შესცქეროდნენ, განსაკუთრებით კანუდოსში დარჩენილ მამაკაცებს უციმციმებდათ მაშხალის შუქზე მომლოდინე სახე, მაგრამ მენდეს მასიელმა ისეთი რამ თქვა, თავიდან ყურსაც არ დაუჯერეს:

- შენ წახვალ და შენ მოიტან, როხას.

...და ყველა მიხვდა - კანუდოსი ძნელი ყოფილა.

დონ დიეგომ კი მეორე დილით კარგა ხანს იწრიალა მენდეს მასიელის შორიახლოს, მიდგა, მოდგა და, როგორც იქნა დაუმარტოხელდა, ცას ახედა და თქვა:

- რა მშვენიერი დღეა, კონსელეირო, არა?

- კარგია, კი. მითხარ, რა გინდა.

- კონსელეირო, - ყოყმანით წამოიწყო დონ დიეგომ, თვალებში მორიდებით შესცქეროდა, - ჩემის ღრმა რწმენით, მდინარის მოწამვლა დიდი უნამუსობა იყო.

მდუმარედ შესცქეროდა მენდეს მასიელი.

- კონსელეირო, რაღა თქმა უნდა, ასეთ ძლიერ საწამლავს ალბათ თავის საქმეში დიდად დახელოვნებული ოსტატი ამზადებს.

ხმას არ იღებდა მენდეს მასიელი.

- კონსელეირო, - ჯიუტად განაგრძობდა დონ დიეგო, - თუმც საწამლავმა მდინარეში უკვე ჩაიარა, მაინც ალბათ ძალიან კარგი იქნებოდა, ჩემი აზრით, იმ კაცის სახელოსნო რომ არ არსებობდეს. მით უმეტეს რომ, თამამად მოსალოდნელია, ისევ მოგვიწამლონ ჩვენი მდინარე, რომელიც, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, კანუდოსელთა სასმელი წყალიცაა.

კრინტს არა სძრავდა მოქუფრული მენდეს მასიელი.

- კონსელეირო, - გულზე მიბნეულ ძვირფას ქვასთან ხელისგული მიიდო დონ დიეგომ, - ამ ამბავმა ძალიან ცუდად იმოქმედა ჩემზე და, თუ ნებას მომცემთ, ზუსტად ორი დღით წავალ და გავივლ-გამოვივლი ერთი, იქნება სადმე გადავაყოლო გული. წავალ.

- წადი.

დონ დიეგო მართლაც ზუსტად ორი დღის შემდეგ მობრუნდა, ოღონდაც გულზე ის ძვირფასი ქვა აღარ ებნია, მილეწილ-მოლეწილ ლაბორატორიაში კი დიდ გამომგონებელს - ყელგამოღადრულ, ნამდვილ გაუვარგისებულ რემიხიო დასას მძიმედანაკარგიან მარშალ ბეტანკურის საიდუმლო ბრძანებით სარჩულში ჩაკერებული ორდენები ააგლიჯეს და კამორას ფარგლებს გარეთ, გასაიდუმლოებულ ჭაში თავით გადაუძახეს.

აქვე მთავრდება „კანუდოსი“-ს მეორე თავი

თავი მესამე

მოხუც სანტოსს განზე ღონივრად განეზიდა ხელები, დიდ ტახტზე პირქვე იწვა. ბოლო დროს ცოლ-შვილის გახსენებას ვეღარ ბედავდა, რადგან ყინულად ედებოდა დაფლეთილ სულზე მათი ხატება, ყველაზე ავი სიცივით სციოდა ანატკივარ სულში მოხუც სანტოსს. და იმ მაღალი კამორელის გახსენებისთანავე შეჩვეული ცეცხლი მოედებოდა, ჩამტვრეულ ყბაზე - უფრო, მუდამ იმისი სახე ედგა თვალწინ, ყალბი ღიმილი, ცრუ თანაგრძნობა და გამაუბედურებლის წამებისა და ტანჯვის წარმოდგენით რომ დაიქანცებოდა, ისევ უბედური ცოლ-შვილი ამოუტივტივდებოდა თვალწინ; ახლოს, ბორცვებქვეშ, სოველ მიწაში, ცოლ-შვილი სტკიოდა და, სულშეყინული, ისევ შურისგების ცეცხლს იშველიებდა. ტახტთან მიგდებულ კუნძს, რომელსაც მასიმო დაარქვა, თითებს წაუჭერდა და ახრჩობდა, გუდავდა, მუქ წრედ ემჩნეოდა ნაჯიჯგნ კუნძს ღონიერი ნათითარები, თვალები გადმოცვენამდე ებერებოდა შეძრწუნებულ კამორელს, გადალურჯებული, იმ საზარელი თვალებით იხვეწებოდა - „არა, რა, არა!“ სანტოსი კი, შურისძიებით ავარვარებული, უმოწყალო ალერსით ჩასჩურჩულებდა - „კი, მასიმო, კი“. მერე ბუხარში დიდ ცეცხლს ანთებდა კვლავაც ტახტზე პირქვემიგდებული სანტოსი, ნედლ შეშას არჩევდა, მკაფიო კვამლით რომ ახრჩოლებულიყო, და თავის ქოხის სახურავზე, ქეჩოში თითებჩავლებული მასიმოს ცხვირ-პირი ზედ საკვამურის თავზე ეჭირა, იგუდებოდა ძალისძალათი წაკუზული კამორელი, დაუნდობელი ხველა ახრჩობდა, ცრემლში აზელილი ჭვარტლით მიმოთხაპნოდა სახე, დროდადრო თითებს მოადუნებდა სანტოსი, და თვალებჩასისხლიანებული, სიმწრით ცრემლდადენილი მსხვერპლიც უხმოდ აბღავლებული ვედრებით მიჩერებოდა - „არა, რა, არა!“ მოხუცი სანტოსი კი ისევ ისე ჯიუტად, ისე ერთგულად ჩასჩურჩულებდა - „კი, მასიმო, კი“, და დაბინდულ საკვამურში ისევ ჩაარგვევინებდა თავს. ჩვენს მასიმოს კი, სწორედ ამ დროს, თავის ქალაქში, კამორაში, ერთი დარდიღა ჰქონდა - წვერის პარსვისას ლოყაზე მცირე რამ განაკაწრი, და სანაქებო მალამოთი გაჟღენთილი ბამბა მიედო სათუთად გაპარსულ ლოყაზე, დროდადრო თითებს მოიცილებდა და დიდის ყურადღებით ითვალიერებდა იმ მცირე ნაკაწრს, მეორე ლოყას კი წრფელი ალერსით ეფერებოდა - რა ექნა აბა, მართლა ძაან უყვარდა საკუთარი თავი, მაგრამ ზიანმიყენებული ღაწვის საბოლოოდ მოშუშება - ბედი არ გინდა? - ვეღარ დასცალდა, რადგან საგანგებო შემთხვევისა გამო მოკრძალებული მაცნეს პირით დამსჯელი რაზმის, კეთილ-გენერალ რამოსთან სასწრაფოდ იხმეს. მოსაცდელში, სხვა რჩეულ დამსჯელებთან ერთად ხუთიოდ საათს მაინც მოუწია ყურყუტმა. მაგრამ კეთილ-გენერლის ბრალი არ იყო ეს - ისიც, სხვა გენერლების ხან

მხარდამხარ და ხანაც საპირისპიროდ, პოლკოვნიკ ფედერიკო სეზარის ძვირფასად გაწყობილ მისაღებ ოთახში ნერვიულ ბოლთას სცემდა, პოლკოვნიკი კი უუძვირფასეს კაბინეტში, თავად გრანდისსიმოჰალლეს წინაშე დიდის გულმოდგინებით გაჯგიმულიყო და კუთხეში მოკუნტულ კაპრალ ელიოდოროსთან ერთად საყურადღებო ამონათქვამს მღელვარებით შეპყრობილი ელოდებოდა.

- ხომ არაფერი გაგიგია, ჩემო პოლკოვნიკო? - იკითხა მარშალმა ბეტანკურმა, გაფითრებოდა სახე.

- როდის, გრანდ...

მაგრამ მარშალმა გააწყვეტინა:

- ჩემო კაპრალო, არც შენ?

- არა, გრანდისსიმოჰალლე.

შუა ოთახში გრძელი სკივრი იდგა, ბეტანკურმა თითით იხმო ელიოდორო.

- ჩემო კაპრალო, თავი ახადე და შიგ მოთავსდი. როცა დაგიკაკუნებ, სახურავი ასწიე და ყური დამიგდე. ჩქარა.

- ორსავ ყურით გისმენთ, გრანდისს...

- ჩაძვერი-მეთქი, ბრიყვო!

სკივრი რომ დაიხურა, მარშალმა სამიოდ ნაბიჯი გადადგა, მერე ცერად გამოხედა პოლკოვნიკ სეზარს, გააჟრჟოლა და თავით-ფეხამდე ბუსუსებაშლილ სეზარსაც ასე უთხრა:

- მთელი ბრიგადა თურმე დახოცილი ყრია.

- რა ბრიგადა... გრანდ...

- შენი ცოლისძმა ნავოლესი.

- ვეღარაფრის თქმას ახერხებდა პოლკონიკი, სიტყვა-პასუხში ფრიად ალღოიანს, ამჯერად ორი ზედიზედ მიხლილი მოულოდნელობა ბორკავდა, ხელს უშლიდა: ერთი - ბრიგადა!.. მეორე - „იცის, სცოდნია, ყველაფერი იცის!..“ და სისულელე წამოროშა:

- ნამდვილად იცით, გრანდისსიმოჰალლე?

და თუმცა მაშინვე ენაზე იკბინა, გვიანღა იყო - მოკუნტულს, დამცინავად გადმოხედა ედმონდო ბეტანკურმა:

- შენი და სუზზის ამბავი, პოლკოვნიკო?

თავი ჩაღუნა, ძლივს ამოღერღა: - ბრიგადის ამბავი, გრანდისს...

- კი.

და ფარდას მიუახლოვდა დიდი მარშალი, გადაიხარა, ეზო-კარს სჭვრეტდა. წელში გასწორდა, მძიმედ შემობრუნდა მერე:

- დახოცილები ზედ კაატინგასთან ყრიან. როგორ გგონია, რა ოხრობიდან და ჯანდაბიდან გამოტყვრებოდნენ ის მათხოვრები?

- ეგებ ძალიან შორიდან მოუარეს, გრანდ...

- არა. კლდეებიდან ვერ გამოვიდოდნენ, იქით კი მხოლოდ ველია და ორასი კაციდან რომელიმე მაინც შეამჩნევდა. თანაც, დღისით უნდა მომხდარიყო ეს ამბავი. ღამით ერთი კაცი მაინც დაუსხლტებოდათ. უტვინოები - საცვლებისამარანი გდიან.

- ეგებ გახადეს, ჩემო მარშა...

- არა. თითი არაფრისთვის დაუკარებიათ, ცხენებისა და თოფ-იარაღის გარდა, მაგრამ არვისთან დაგცდეს.

- ვისთან უნდა დამცდეს, გრანდის...

- ძალიან კარგი. თორემ კადიმასთან შეგდებას, რაღა თქმა უნდა, სუზზისთან ყოფნა სჯობია. არა? მიპასუხე.

- დიახ.

- როგორ გგონია, - თქვა ბეტანკურმა, ოთახში დინჯად გაიარ-გამოიარა, - როგორ გამოსცდებოდნენ კაატინგას...

- ეგებ ზემოდან გადმოახტნენ როგორმე... ჭოკით.

- ვერ გაბედავდნენ. თანაც, ჩემო ასკეტო პოლკოვნიკო, თოფით არავინაა მკვდარი...

- აბა?

- სულ შუბებით და ხმლებით.

- რა ველურობაა, აჰ...

- და ცხენებით იქნებოდნენ ალბათ. ასე რომ არა, ჩვენთაგანები იარაღის კარვამდე მიაღწევდნენ და, მოგეხსენება, პოლკოვნიკო, შუბითა და ხმლით შეიარაღებულ ბრბოს მუდამ აჯობებს თოფიანი ბრიგადა. არაა ასე?

- ჭეშმარიტება ღაღადებს თქვენი პირით, დიდო მარშალო.

- ხოლო ცხენს, რაგინდ მარჯვე იყოს, ჭოკით მაინც ვერ გადაახტუნებ. არა?

თავი ჩაღუნა დარცხვენილმა პოლკოვნიკმა. დიდი მარშალი აგდებული ღიმილით ათვალიერებდა ერთხანს, მერე სკივრთან მივიდა, დააკაკუნა და წამსვე ამოჰყო თავი ელიოდორომ: - გისმენთ, გრანდ...

- ხომ არ გესმოდა ჩვენი საუბარი?

- არა, აჰ... ისე ბნელოდა, გრანდისს...

- როგორ გგონია, იმ გარეწარმა რანაირად გამოგიყვანა.

- კარგა ხანს ფეხით მოვდიოდით, გრანდისსიმოჰალლე. გზა სრულებით ვერ დავიმახსოვრე, რადგან თვალები ახვეული მქონდა, მაგრამაც მერე, დიდი მარშალო, დიდხანს ვხოხავდით - საიდუმლო ხვრელი აქვთ ნამდვილად, გრან...

- კარგი, ჩაძვერი.

დახურულ სკივრზე ჩამოჯდა დიდი მარშალი. დაფიქრებული, ხმადაბლა მსჯელობდა: - იმ მათხოვრებმა მთელი ბრიგადა ამომიჟლიტეს... აქამდე მხოლოდ თორმეტი ცხენი ჰყავდათ, ისინიც - ჩვენი... ორას ერთმა ხეპრემ იმოდენა ხვრელი, ცხენიც კი რომ გამოეტია, ვერ იპოვა... თორმეტმა მაწანწალამ სანაქებოდ გაწვრთნილი ბრიგადა დამიხოცა. რანაირად, როგორ...

მკაცრად შესცქეროდა მობუზულ პოლკოვნიკს, ხმა აიმაღლა:

- ახლა ორასი თოფი და ცხენი დაემატათ, უწესიერესო. აღზრდილ-გაწვრთნილი ხალხის დაკარგვა სულაც არ მეპიტნავება. სამათასიანი კორპუსი უნდა მოვამზადოთ, პოლკოვნიკო. იმ გლახაკებს აქამდეც ნაკუწ-ნაკუწ აქნას რომ ვუპირებდი, იცი, ახლა რაღა ვუყოთ!

- სამაგალითოდ უნდა დავსაჯოთ, გრანდისსიმოჰალლე, - და გახალისდა, - მოვიფიქრებ რაიმეს, ჭეშმარიტად თქვენს მოსაწონარს.

- გენერალთაგან, ვის დავავალოთ?

მცირე ხნით თვალები ჭერისკენ აღაპყრო პოლკოვნიკმა, და მოიფიქრა:

- გენერალ ხორხეს გაგზავნა აჯობებს, გრანდ...

- სწორი ხარ. და კეთილ-გენერალ რამოსის - არა?

ოდნავ შეყოვნდა ბრჭყვიალა პოლკოვნიკი:

- მე მგონი... არა. დამსჯელი რაზმი, მაინც, როგორღაც... მუდამ აქ უნდა გვყავდეს.

- ვინიცობაა, რამე იყოს, არა?

ერთი სიკვდილი გაათავა პოლკოვნიკმა სეზარმა, ძლივას წარმოთქვა:

- დიახ.

- ყოჩაღ, ფედერიკო. როცა საჭიროება მოითხოვს, პირში მთქმელიც ხარ.

ქუსლი ქუსლს მარჯვედ მიარტყა ნასიამოვნებმა პოლკოვნიკმა, ხალისიანად გაიჭიმა.

სკივრიდან მძიმედ წამოდგა მოკლეხელება დიდი მარშალი, საიდუმლო უჯრიდან ძვირფასი სურა გამოიღო, უუძვირფასეს ჭიქას ავსებდა, თანაც, თვალს არ აშორებდა პოლკოვნიკ სეზარს. გულისპირში ჩაიყო ხელი, მაშინვე მწარედ გააჟრიალა; ჩხირი გაერჭო კბილებშუა, აელვარებულ ჭიქისკენ გადახრილი, პოლკოვნიკისკენ თვალებაპყრობილი, ავად აჟრიალებული, იმ მუქტკბილ სითხეს ისე სასტიკად იწოვდა, გულ-ღვიძლი ეცლებოდა შიგანიდან პოლკოვნიკ სეზარს. და, როგორც იქნა და ფსკერამდე რომ ამოწოვა, გულის ჯიბეში ღრმად შეინახა ჩხირი:

- როგორ გგონია, ეყოფათ ოხრებს ერთი გენერლის კორპუსი?

- კი, როგორ არა...

- კი, როგორ არა!! - გამოაჯავრა დიდად განრისხებულმა გრანდისსიმოჰალლემ, - ჯერ ის იყო და, იმ თორმეტ კაცს ოცდაათი ცხენოსანი ხომ ამყოფინე? მერე იყო და, ორასკაციანი ბრიგადა გულარხეინად გააგზავნე და ახლა კი, ისევ და ისევ როგორარაებს იძახი, არა? კბილებში გადასაჭრელი ხარ, ბრიყვო...

- სისულელით წამომცდა, მაპატიეთ, გრანდისსიმოჰალლე... ზუსტად არ ვიცი იმათი რიცხვი...

მძიმედ წამოდგა მარშალი ბეტანკური, სკივრზე იმ უძვირფასესი ჭიქით დააკაკუნა. მყისვე აიწია სახურავი:

- გისმენთ, გრანდ...

- რამდენნი იყვნენ, როგორ გგონია?..

- კაცები, ასე... შვიდას-ხუთასი...

- ათას ორასი?

- არა, შვიდასი.

- ქალები, ბავშვები, მოხუცები, ბრიყვო?

- ეგენიც ეგრე, მაგდენივენი იქნებოდნენ, გრან...

- როგორ გაგკოჭეს მაინც, შე ბოთე...

- თხუთმეტნი იყვნენ, გრან...

- აჰა, რამდენი, ჩემო კაპრალო?

- შვიდნი მაინც იქნებოდნენ, სულ კბილებამდე...

- კარგი, ჩაძვერი. ყური დამიგდე, ჩემო პოლკოვნიკო, სკივრზე ჩამოჯექ, და ისე, - თქვა ბეტანკურმა, დაიხარა და, დამჯდარს, ყურთან მიუახლოვა სახე, გაფაციცებულს, ხმადაბლა უთხრა: - სამი ჩამოსაწერი თანამშრომელი შეარჩიე თანამშრომლებიდან, ძაან ალესილი სამართებლები გაატანე და დაავალე, დახოცილ ბრიგადელებს რაც ადვილად მოსაჭრელია, მოჭრან - ცხვირი, ყური, და რამე. თვალებიც დათხარონ - მაინც აღარაფერი ეტკინებათ, და ჯიბეებიც გაუსუფთაონ და ამოუტრიალონ. მერე მობრუნდნენ, პირდაპირ შენთან, ოღონდ შორი გზა მოიარონ, ჩემს გაგზავნილ ურმებს რომ არ შეხვდნენ. როგორც კი შენთან შემოვლენ, დასაძმადნაფიცებო თასი შეასვი, ის მწვანე სითხე, მე რომ გაჩუქე, ალბათ კიდევ გაქვს.

- დიახ, გრანდ...

- ჩემო პოლკოვნიკო, ეს მათხოვარი მწყემსები სამაგალითო სიკვდილით რომ დაისაჯონ, ჩვენი ხალხი, დიდი კამორა, ძლიერ უნდა შევაგულიანოთ. - და დააყოლა: - არაფერი მითქვამს. შენ შენი ჭკუით უნდა მოიქცე, ბავშვი აღარ ხარ. წადი ახლა და, გრეგ რიკიოს მიხმე.

- ვის, გრანდისსიმოჰალლე? - გაოცდა პოლკოვნიკი სეზარ.

- მშვენივრად გაიგე, წადი.

* * *

საბრალო მგზავრი... ყმაწვილი მგზავრი... „ხომ ჩქარა მოხვალთ, ოთო-ძია?“ „კი, დომენიკო“. „ჩქარა დაბრუნდით, რა, ოთო-ძია...“ „ხელათ მოვირბენ“. „მე... მაპატიეთ რომ ვეღარ დაგყვებით, - თვალი აარიდა დომენიკომ, ძირს დაიხედა, - მაგრამ ქუჩაში, გარეთ... არ შემიძლია“. „ეგ არაფერი, დომენიკო, ეგ არაფერი, - უთხრა ექიმმა, - შინ ყოფნას რა სჯობს“. „ოთო-ექიმო, - ძლივას ახედა, ღელავდა, წვალობდა, პერანგის ღილი შერჩა ხელთ, - ერთი თხოვნა მაქვს“. „მითხარი, ბიჭი...“ „უხერხულია“. „რა, დომენიკო“. „ღვინო მომინდა“. „მაგას რა უნდა, - თქვა ექიმმა და მიუახლოვდა, ჩაქინდრულ თავზე ხელი დაადო, ხმადაბლა, თანაგრძნობით დაეკითხა: ღვინო მოგინდა?“ „დიახ. მაპატიეთ, რომ... თქვენ ექიმი ხართ, ღვინო ცუდია და... თქვენ რომ ამას გთხოვთ“. „რას ამბობ, ბიჭი, ძალიანაც კარგი, - გაუღიმა ოთო-ექიმმა, - შენ ღვინო კი არა, თრობა მოგინდა და თრობაზე უფრო, რაღაცნაირად, თავდავიწყება და გამოთიშვა, არა?“ „დიახ, - გახარებულმა შეხედა დომენიკომ და იქვე მოიწყინა, - ოღონდ მოწამლული რომ შემოგაპარონ...“ „რა უნდა შემომაპარონ, რას ამბობ, - გაიკვირვა ოთო-ექიმმა, - აგერ, აქვე მაქვს, სარდაფში, ავადმყოფმა მომცა“. „და ალბათ... მართლა სანდოა, არა?“ „აბა რა, ბიჭი, ავადმყოფი ცუდ ღვინოს არასოდეს მოგცემს... მადლიერია, თანაც სჭირდები“.

ისევ შეწუხდა ყმაწვილი მგზავრი, დამორცხვებულმა, თვალი აარიდა: „ოღონდ... ძალიანა გთხოვთ, ოთო-ექიმო, - სირცხვილით იწვოდა - თქვენ ამოიტანეთ... რა. სარდაფში... ვერ ჩავალ. იქ გრილა... ბნელა“. „მე ჩავალ, აბა რა, აბა არა, ბიჭი, მაგას რაღა თქმა უნდა, - შეეშველა ოთო-ექიმი, - შენ, ჯერ ეს ერთი, მაინც ვერ მიაგნებ და...“ „ძალიანა გთხოვთ“.

ოთახში იდგა, ხელებჩამოყრილი, უმწეოდ აფორიაქებული. ღვინო მოუნდა, ღვინო უნდოდა, და დრო რომ არ გასცდენოდა, კარადიდან ჭიქა გამოიღო, დაბალი, განიერი, წასახემსებელიც მოიმზადა - პურს ყუა წაატეხა, მცირე ნაჭერი ჩამოათალა ყველს და უცებ, ერთბაშად, ხელიდან გააგდო დანა - იმის თვალები გაახსენდა, მიჩინიოსი... და კისრის ზომა. ფარდას ძალიან ფრთხილად, ფეხაკრეფით მიუახლოვდა, გაიჭვრიტა და - არავინ იყო, მაგრამ ხმაურზე ელდა ეცა, შემობრუნდა და გულზე მოეშვა - ზღურბლზე შეჩერებულიყო უხერხულად მომღიმარე ექიმი, ორივე ხელში დოქი ეჭირა, ის კარი, ალბათ, ფეხით შემოაღო, ცოტათი მაგრად მოუვიდა და...

„აჰა, დომენიკო, - დოქები მაგიდაზე დადგა, - ისიამოვნე, შეექეცი, როგორც გენებოს, მე ავადმყოფთან წავალ... იცოდე, გარედან ჩაგკეტავ, ნასვამს, გასეირნება რომ არ მოგინდეს“. „კარგი, ოთო-ძია“. ჭიქა შეივსო, ექიმისა მაინც ერიდებოდა და გვერდულად დადგა, პირველი ყლუპი... რაღაცა სითბო, გამჟღენთავი, თითქოსდა - მადლი, არადა - უნდო... ყელი მოეწკურა, გაკვირდა, კბილებშუა ისრუტავდა აბჟუტებულ სითბოს... ჭიქა ჩამოდგა, ისევ შეივსო, ცოტათი მაგიდაზე გადაეღვარა, ოთო-ძიას გახედა - ის არც უყურებდა, იმ თავის ჩანთაში წამლებს ალაგებდა. კვლავ მიიყუდა და მეორე ჭიქა ისე ძალიან აღარ გაკვირვებია - ნაცნობს შემოხვდა ცრიატა გზაზე, სასიამოვნოდ ჩაეწვა ყელი... დაბინდული ქვეყნისკენ მიმავალს გამომაფხიზლებელი რული ეტაკა წამით, მხოლოდ წამით, ჯერ, რა თქმა უნდა, წინ დიდი გზა ედო, მოკლედ, ადვილად გასავლელი... ჭიქა დადგა და პურს დასწვდა მგზავრი, პირთან მიიტანა, შეჩერდა... გამართულიყო ოთო-ექიმი, ხელჩანთიანმა, ჯერ გაუღიმა შვილობილს, უცნაურად შეაცქერდა მერე: „შენ, დომენიკო...“ უჭირდა ექიმს სიტყვის ჩამოგდება, ვეღარ ამბობდა. „რა, ოთო-ძია?“ „არა, უბრალოდ... - სოველ თვალებში ნაღველმა გაჰკრა, მერე გაბედა, თითქოს მხნედ უთხრა: - დილის ქალი ხომ არ გინდა, ბიჭი?“ „ჰა! - შეკრთა დომენიკო, - რა დილის... არა, არ მინდა... არა, რათ მინდა...“ „რა ვიცი, ისე...“ „არა, არ მინდა...“ - უფრო ნელა წარმოსთქვა ახლა, როგორღაც ყალბად გამოუვიდა, აწითლებულმა, სურვილმოგვრილმა, უკვე კარის სახელურს თითებშევლებულ ექიმს შეცვლილი ხმით მიაძახა: „თქვენ... რატომ მკთხეთ?“ მაშინვე მიუხვდა ოთო-ექიმი, გაუღიმა: „მამაკაცი ხარ და იმიტომ, ბიჭი“. „და... უხერხული ხომ არ... არაა?“ „არაა, არა, ანუგეშა ოთო-ექიმმა, - რომელიმეს მოგიყვან, არადა, ისე, უდილისქალოდ, მთელი ქალაქი მასხრად აგიგდებს, - და გაეხუმრა, - თუ მოგეწონა, როცა დავბრუნდები, ლაპარაკში მსხალი ახსენე, არადა - ვაშლი, - და დააყოლა, - ცოდო ხარ... ისე“. „ხომ ჩქარა მოხვალთ?“ „კი. მხოლოდ ერთგან დამიბარეს და... წავედი აბა“.

ამჩატებული, ბოლთასა სცემდა. ახალი ჭიქაც რომ გამოსცალა, თითქოს ემწარა, საჩქაროდ მიიტანა პური და ყველი და საჭმლით გართულს, თან რაღაც, რაღაც სულ უხაროდა, ჰო, - დილის ქალი... ერთიც შესვა და, ტახტზე წამოწვა, კოხტად მოთავსდა, ხელები თავქვეშ ამოიდო - აჰ, დილის ქალი... მოვა მორჩილი, საქმიანი, მზადმყოფი... თან სადაური! ჰმ, კამორელი... ექნება მკერდი, ხელები, რამე... ოდნავად შემთვრალს, კამორელთა დაჯიჯგვნის უცხო, ბოროტი სურვილი ღრღნიდა, თუნდაც იმ ერთის, ვიღაცა ქალის, მობრძანდეს, ველით, მოოობრძანდეს, ვეელით, აგდებულად იმეორებდა... მოსწყურდა ყმაწვილს, მარჯვედ წამოდგა, დაისხა ერთიც... კინაღამ ფეხი შეეშალა, ფანჯრისკენ რომ მიეშურებოდა, არხეინად გადასწია ფარდა, ვიღაც თავწახრილ გამვლელ კამორელს კინაღამ ცელქად შეუძახა - ჰეეეი, ფიტ! - მაგრამ

გადაიფიქრა. იმიტომ კი არა, რომ შეეშინდა, აარა - დაეზარა უბრალოდ... ფარდა ხელის ისეთი აგდებული გაქნევით დახურა კვლავაც, თითქოს ხელუკუღმა წაუთაქა და მიაყოლა: - გადი იქით, შენი... თითოც დაისხა, მაგრამ დალევა აღარ დასცალდა შეყინულღიმილიანი, სმენად გადაიქცა - დიდ კარს აღებდნენ. გააღეს კიდეც... მთლად გაიტრუნა... ნაბიჯების ხმა... ერთი - ნაცნობი... ვიღაცაც იყო... მეეორეც, ჰა-თათ! - გამხიარულდა... მაინც ღელავდა... მისი ოთახის კარიც გაიღო - მხოლოდ ექიმი! მაგრამ ექიმმა ხმადაბლა უთხრა: „აჰა, ღრიჭოდან გაიხედე... შეხედე? ხედავ?“ ჭუჭრუტანას შეეყინა დომენიკო, ის ცალი თვალი გაუფართოვდა - ქვემოთ კიბეზე, ქალი რამ იდგა, მართლა ნამდვილი, ხელშესახები... სწორედ ისეთი, ახლა რომ სურდა - ოდნავ მომსუქნო, გაიმართა და „რა, დომენიკო, - ჰკითხა ექიმმა, - ვაშლი თუ მსხალი? რა მექნა აბა, სხვები ყველანი გასულები იყვნენ...“ „მსხალი, კი, მსხალი, ძაანაც კაია, - ამაყად გაიღიმა დომენიკომ, - მსხალი, გულაბი“. „ხომ არ შეთვერი, - შეაცქერდა ოთო-ექიმი. - ა, ჩემი ბიჭი?“ „არაა, კაცო, - ხელი აიქნია დომენიკომ, - მე რას მიზამდა თოთხმეტიოდ ჭიქა“. „კარგი, მე წავალ, ჩაგკეტავ ისევ... როდის მოვიდე“. „რა ვიცი... ხვალ, ზეგ“. „მაგდებ, დომენიკო? - გულიანად გაეცინა ოთო-ძიას, თვალები კეთილად მოეჭუტა, მხრები მსუბუქად აუთამაშდა, - საღამოს მოვალ და, თუ ისევ აქ გეყოლება, გვერდით ოთახში დავიძინებ. კარგი?“ „კარქი, - ნება დართო დომენიკომ, - ოღონც რომ ამოხვალ, მე გამოვალ, თქვენ არ შემოხვიდეთ, კარქი?“, „კარგი“.

კიბეს ჩაუყვა ოთო-ექიმი, ღია დატოვა კარი. მისი ფეხის ხმა ქვემოთკენ მიწყდა, სამაგივროდ, აქეთ, ზემოთკენ, სხვა ნაბიჯთა ხმა ამოიზარდა, ამოჩნდა - ქალი. მოსასხამში იყო. ძალიან ჯიქურ კი შემოვიდა - არც შეუხედავს დომენიკოსთვის, მთელ ოთახს ისე შემოუარა. პირველი წრე ძალიან აჩქარებული, სწრაფი ნაბიჯით შემოარტყა; მზერაგაციებული, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა; მეორე წრის შემოვლას კი სულ სხვანაირად შეუდგა - ნაბიჯს წარსდგამდა, რაიმე ნივთზე შეაჩერებდა მზერას, კიდობანზე, ვთქვათ, ნაბიჯსაც ოდნავ აყოვნებდა, ისევ გაეშურებოდა წინ, კვლავ ყოვნდებოდა და დაახლოებით ასე მიდიოდა: ეერთი, ორისამი, ოოოოთხი, ერთი, ორსამოთხერთოოორიი.... უცებ შეჩერდა, ძალიან მკვეთრად შემოტრიალდა და დომენიკოს ძაან თამამად, გამომწვევად მიაჩერდა და უცებ გაიკვირვა: „აჰ, ეს შენ?“ „რა?“ „როგორ ხარ, ა? ეე...“ „ვინ, მე?“ „როგორ ხარ, ეე... სულ დამავიწყდა“. „რა...“ „შენი სახელი“. „მე დომენიკო!“ „როგორ ხარ, დომენიკო, ა?“ „კარგად“. „ეს მოსასხამი მოვიხსნა თუ არა? - და მოიწყინა, - თუ არ მოგწონვარ, თუ არ მოგწონვარ, რა უჭირს, წავალ“, - და ძალიან გამოზნიქა მკერდი. „როგორ არა, კი.“ „მომეხმარები?“ - ყალბად, კეკლუცად იკითხა ქალმა და უცებ შეკრთა - ნასვამი იდგა მის წინ ყმაწვილი. „მომეცით, დავკიდებ“. „აჰ, არა, არა, რა საჭიროა, - შეშინდა ქალი, - ძალიანა გთხოვთ,

ძალიანა გთხოვთ...“, „რას, ქალბატონო?“ - გაოცებისგან ლამაზ-ქალაქურ ყაიდაზე ჰკითხა. „მე ერთხელ... ასე... - ძაან დამფრთხალი კი ჩანდა ქალი, - ასე ზრდილობიანად და ვითომ დაბნეულად მპასუხობდა ერთი და უცებ ისეთი მთხლიშა... თქვენ ხომ არ... აა? ძალიანა გთხოვთ...“ „არა, როგორ გეკადრებათ, არა“. ქალი კი ფრთხილად მიუახლოვდა, თვალებში ააცქერდა და მიხვდა, დომენიკო რომ არა ტყუოდა და წამსვე გამხნევდა, გადიდგულდა, დიდის უპირატესობით ჰკითხა: „შენ, ბიჭო, ხომ არ გრცხვენია ჩემი?“ - ეჰ, ისიც დიდი ოხერი ჩანდა. „მე არა... - და თვალი აარიდა, - მე რა, რისა უნდა მრცხვენოდეს, ქურდი კი არ ვარ“. დაბნეულობამ! - სოფლელივით აალაპარაკა. „მოკლედ, ჩვენი ამბავი ასეა, - საქმიანად წამოიწყო ქალმა, თან მოსასხამი ჩამოკიდა, ტახტს მოწყვეტით დაასკდა, ალბათ სიმაგრე თუ გაუსინჯა; კოხტად წამოდგა, ფარდას გახედა, და დომენიკოს ისე შეუძახა, არც გამოუხედია, - რა კარგი ხარ, კაცო, რა კარგი, ფოსტლები არა გაქვს? ძალიან მომიჭირა, ჰო, ჩვენი საქმე ასეა: დღე - ნახევარი დრაჰკანი, დღე-ღამე - ერთი. ძალიან თუ მოვინდომებ და ძალიან გაგახარებ, ცინ-ცრიკ! - ორი. და თუ ოთხ დრაჰკანს მომცემ, როგორც დაუსტვენ, შენთან გავჩნდები მთელ ამ ერთ თვეში, ოღონდ დღეის ჩათვლით. კარგი?“ და, შეხედა და, შეცბა - დაბნეულობისგან დროებით მიყუჩებული თრობა კვლავაც შემობურვოდა დომენიკოს, იდგა, დამცინავი ღიმილით, აგდებულად შეჰყურებდა. ოღონდ ირწეოდა ფეხიდან ფეხზე, და ქალისათვის უტიფარი მზერა არ მოუშორებია, ერთიც დაისხა, მორიგიც შესვა.

მძიმე, ამაყი ნაბიჯით მიუახლოვდა, ოთხი დრაჰკანი ჯიბეშივე გადათვალა, ხელში ჩასჭიდა ხელი, პეშვი ამოატრიალებინა, ფული ჩაუდო და უფრო მედიდურმა, უფრო დიდგულამ, მობუზული ქალი, საბოლოოდ ნაყიდი და დასაკუთრებული, ამპარტავნულად აათვალიერ-ჩაათვალიერა. შეშინებული ამოჰყურებდა დილის ქალი, მერე დრაჰკანები მაგიდაზე დამფრთხალმა მიჰყარა:

- ჯერ არა... ჯერ მე... არ დამიმსახურებია.

- დაიმსახურებ, - თქვა დომენიკომ. - აბა, სხვა რა გზა გაქვს...

- არა, არაფერი, - მორჩილად დაეთანხმა ქალი.

აჰ, რა ქედმაღლად უთვალიერებდა უბადრუკ სახეს - საცოდავს, წარბები მეტისმეტობით სულ ამოეპუტა, ნაწარბალზე კი ნახშირი წვრილად გადაესვა. ამოლურჯებული თვალის უპეები ჩასცვენოდა, აგდებულად დაეკითხა შემთვრალი მგზავრი:

- რაღაც, ქალბატონო, ვერ გამოიყურებით კარგად.

- რა ვქნა, - თქვა ქალმა, თავი ჩაღუნა, - ღამე, წუხელის, ორი მთვრალი შემხვდა... ძალიან მაწვალეს. კინადამ მომკლეს...

- რა გიქნეს?

- მომკლეს. კინაღამ... ისე გამტანჯეს.

- მა რა გგონია, - განსაჯა დომენიკომ, - ფული თუ გნებავს, უნდა გაუძლო.

- ფულიც არ მომცეს, იქით წამართვეს, - წყნარად დაიჩივლა თავდახრილმა ქალმა, - აღარაფერი არ მაბადია. მხოლოდ ორმოცი... ორმოცი-გროში.

- ახლა გექნება. ოთხი დრაჰკანი, - ამაყად წარმოთქვა დომენიკომ და სუსტად გაუღიმა ქალმა:

- შენ ისეთი ძალიან კარგი... იცი რა, - ოდნავ გაცელქდა, დოქისკენ გაიშვირა თითი, - შეიძლება, მეც შევსვა? არა, საერთოდ, მე ჯერ სულაც არ გამისინჯავს ღვინო, მაგრამ ძალიან მაინტერესებს როგორია და...

- არ გაგისინჯავს? - მკაცრად დაეკითხა დომენიკო.

თავი ისევ ჩაღუნა შემცბარმა ქალმა:

- კი, როგორ არა... ყოველდღე მიწევს... თითქმის.

- რამდენი მაინც.

- ჩემი სამყოფი.

- რაღას მატყუებ.

- არ ვიცი, ისე... უცაბედად.

- და მაშინ ღვინოც არ შეიძლება უცაბედად, - თავისი ჭკუით, სიტყვა მოუჭრა.

- თქვენი ნებაა.

ოთახში ამაყი ბოლთა დასცა დომენიკომ, გაიარა, გამოიარა და ორი თითი - საჩვენებელი და ცერი, აგდებულად მიაშვირა.

- ეგ რაღაც ზედა გაიხადე.

- კი.

კვლავ დამცინავად შესცქეროდა, მაგრამ ქალი წელს ზემოთ ისეთი სწრაფი და მარჯვე მოძრაობით გაშიშვლდა, მაშინვე დაიბოღმა დომენიკო. გულმა კი რეჩხი მაინც, მაინც უყო.

- ერთი აქ მოდი.

მივიდა ქალი.

დიდი, მუცლისკენ ჩამძიმებული მკერდი ჰქონდა.

- რას გიგავს, ქალო, - თქვა დომენიკომ. - რამდენი წლის ხარ.

- რა მნიშვნელობა აქვს, - ჩუმად თქვა ქალმა, განზე გაიხედა, - რაცა ვარ, ეს ვარ.

ვერ შეეცოდა, პირიქით, ყმაწვილს, მთელი კამორას ბოღმა მოაწვა - მასხრად აგდება, გაბითურება, დამცირება და შიში, შიში, ახლა კი, ნასვამს, გადიდგულებულს, ერთი დასაჩაგრი კამორელი წინ ცხვარივით ედგა და ღვინონასვამს, შურისძიებამ მხარში უბიძგა - მიდი... ჰა, მიდი, და თითები ღონივრად ჩასჭიდა მარცხენა ძუძუში, თანაც, საწყალს თვალებში უყურებდა, მაგრად მოუჭირა ხელი, დაეკითხა:

- გტკივა?

- ჯერ არა.

- და ასე... ქალო?

- ისე... ცოტათი...

მთელი ძალ-ღონით უჭერდა თითებს: - და ახხლა? ა-ასსე? მითხარი, ჩქარა...

- თქვენ როგორც გინდათ, ისე გეტყვით.

- მართალი მითხარ.

- მტკივა... ძალიან. ძალიან მტკივა.

- ძალიან კარგი, - თქვა დომენიკომ, ნასიამოვნებმა, ხელი შეუშვა, - მიდი ახლა და ტახტზე დაწექი, ლოგინი იქით აი, სკივრშია. კარგად გაშალე, ეგ შენი კაბა და რამერუმე სკამზე არ დადო. იატაკზე დააგდე. გესმის?

- კი მესმის. დიახ...

ზურგი ამაყად შეაქცია, და ის ღრჭიალი, მანამდე შორიდან, ბუნდოვნად რომ მოესმოდა, რაღა თქმა უნდა, ქუჩიდან იყო - უშნოდ ღრჭიალებდა რაღაც. ფარდას არეული ნაბიჯით მიუახლოვდა, მედიდურად გადასწია; გადაიხედა და რაღაცა დიდი, მონაცრისფრო კი ეცა თვალში, თავიდან მაინც ვერაფერი გაარჩია, იმდენად უცხო რამ იყო სანახავი, წყნარი ღიღინით, არხეინად დააცქერდა და უცებ სქელ გისოსს სტაცა ხელები: დიდი ურმებით, შუა კამორაში, დახოცილი ბრიგადელები შემოჰქონდათ.

ერთმანეთში არეულ, გადახლართულ, გაციებულ სხეულებს მუქ მონაცრისფროდ შეპარვოდათ ჭკნობა, აჰ, საზარელი ფერი იყო, თავზარდამცემი, ავ სილურჯეში გადადიოდა... ფართო ურმებზე ახოხოლავებულნი ეყარნენ, უღელში შებმულ ყოველ წყვილ კამეჩს მოუხეშავი, მძლავრი სხეულით, უზარმაზარი უტყვი თვალებით მოჰქონდა ყრუ, ტლანქი სევდა. აგლოვებულნი, მძიმედ შემოდიოდნენ შუა ქალაქში და ურმის თვალი ისე ღონივრად და უნამუსოდ ღრჭიალებდა, ნაიარევზე სამართებლის დასმასა ჰგავდა... გისოსს ჩაფრენოდა თითებშეყინული, შეძრწუნებული დომენიკო, მიცვალებულთა სახეს ვერ არჩევდა - დაუნდობლად ამოსცქეროდა წარბებქვეშ ამოთხრილი ორი ღრმა ორმო, და ცხვირის ნაცვლად, სინაცრისფრიდან, ორი ამოღამებული ნასვრეტი უმზერდა... ლურჯად ჩაკლაკნილი სქელი ხაზი იქ, სადაც ადრე ყურები ებათ... ურმიდან წელამდე გადმოკიდებულ, თმაჩამოშლილ ცხედარს ზემოდან დაყრილთა სიმძიმე აჩერებდა, ცალხელჩამოგდებული, თითისწვერებით ეხებოდა მშობლიური ქალაქის - სამფენოვანი კამორას მოკირწყლულ ქუჩას, წელამდე ჩასხეპილს, ჩაჟანგებული შიგნეულიდან შედედებული, მოყავისფრო სიცივე ამოსდიოდა და უთანაბრო, უცნაურ ხმას გამოსცემდა ცახცახგადადებული გისოსი, მერე სხვა ურმებს შესწვდა თვალით საცოდავი, გამწვანებული მგზავრი, ვიღაცის თავი სულ ცალკე იდო... ჩამოძენძილი ყელით! და უცნაური რამ დაემართა დომენიკოს - გაოგნებული, შეძრწუნებამ ბოლოს და ბოლოს მაინც რომ გამოარკვია, ძაან ცდილობდა, როგორმე ფანჯარას მოშორებოდა, და ვერ შესწევდა ამის უნარი - ჯერ ის იყო და, შეყინულ თითებს ვეღარ შლიდა, შუბლზე ოფლგადამსკდარი, პირიქით, უფრო და უფრო ღონივრად ჩაფრენოდა გისოს, და თავიც ვეღარ შეატრიალა - ვიღაცა ძლიერს, ძალუმს, ღონიერს, უკნიდან ქეჩოში ჰყავდა ჩავლებული, ის კი არა და, გისოსზე სოველ შუბლს ახლევინებდა, და თვალიც კი ვერ დახუჭა - ქუთუთოებშუა რკინის გამჭვირვალე თითი ჩაედო ვიდაცას და თანაც კუშტად ჩასჩურჩულებდა: შეხედე, ნახე... შეხედე, დომენიკო, ნახე... სანახავი კი - გაპობილი მკერდი, გადაჭრილი ყელი... დათხრილი თვალები, მუცელი - გამოფატრული... მძიმედ დატვირთული ურმები კი ღრჭიალით მოდიოდნენ, და უცებ ძრწოლას უარესი რამ - სიბრალული შეერია...

უფრო სასტიკი, უფრორე ძნელად ასატანი, გვამებს დაჰყურებდა დაბეჩავებული, მოკუნტული დომენიკო, შიგ ყელში მძლავრად, დაუნობლად ურტყამდა ამოკორტნილი გული, ყელში გაჩხერილ ეკლიან გორგალს გამეტებით ესობოდა და დომენიკოს აღარ ახსოვდა, რომ ეს გვამები ყოფილი დიდი ავაზაკები იყვნენ, არა, დომენიკო დასცქეროდა ადამიანთა საოცრებას - იმათსავე სხეულს, მოძრაობისთვის დიდებულად აწყობილთ, მომართულთ, ბოროტი ჭკუით ნაკარნახევი საქციელისთვის ამ დიდებულად აწყობილ სხეულს რად უნდა ეგო ასე პასუხი, ნეტავ; აუარება სიკეთის შემძლე, ასე დაუნდობლად რად უნდა შემჭკნარიყო, აი, სწორედ ისეთი თითებით, ახლა კამორას ქვაფენილზე უღონოდ რომ მიჩოჩიალებდა. გაზაფხულობით ახლად გადახნულ მიწაზე რწევით მიმომავალი კოჭლი ყმა ხორბლის, სიმინდის მარცვლებსა ჰყრიდა, და ვაზს ფურჩვნიდა, და ცრემლებწამსკდარ დომენიკოს ებრალებოდა თვალები, აუარება სიკეთისა და სილამაზის გამომრჩევი; ფეხები, გული - ვეღარ ხედავდნენ, ვერ დადიოდნენ, და აღარარა მკერდში არ ფეთქდა... ჟრჟოლადავლილი, შემცივნებული, გამწვანებული დასცქეროდა ამ გაუვარგისებულ საოცრებათ, ყელში უჭერდა ვიღაცის ხელი, ვეღარ სუნთქავდა საბრალო მგზავრი და, ცრემლებშუა გაბუნდოვანებული ღამის ყვავილი - დიადი შიში ამოეზარდა და გულუბრყვილო, გულისმომკვლელი - ცოდო არაა?.. და უცებ ნემსი აეჩხვლიტა ქვემოდან გულში, ძალიან წვრილი - სადღაც იკივლეს! - შუა კამორაში ჭირისუფალმა ახლობლის გვამი გამოარჩია... და შემკრთალი გულის ნემსზე აგებით თითებს ეშველათ - მაშინვე მოსცილდნენ გისოსს, ფანჯარა მაგრად ჩარაზა მდუღარეგადავლებულმა დომენიკომ, ფარდა გასწია, და თვალწინ მაინც საშინელება ედგა - იმ გადახლართულ სხეულებში როგორ ეძებდნენ ქმრებს, მამებს, შვილებს... დასახიჩრებული სხეულები კვლავ თვალებსა სჩხვლეტდა, ფანჯრისკენ სასწრაფოდ იქცია ზურგი, და უცებ, მაინც, ელდა ეცა და შეჰყვირა კიდეც, სახეზე აიკრა ცივი თითები - ტახტზე შიშველი სხეული იდო...

თვალებზე თითებმიფარებული, უძრავად იდგა, მერე ბუნდოვნად გაახსენდა რაღაც და ძლივს გაბედა, ცალი თვალით გამოხედა. აიმ სხეულზეც დაუნდობელ იარებს ეძებდა თითქოს, და კიდევ კარგი, არა, არა, ცოცხალი იყო, კი, კი, ცოცხალი - ტახტზე დაგებულ ფართო ლოგინზე მორჩილად გაწოლილიყო დილის ქალი და - ცოცხალი იყო... დაწუნებულ მკერდზე აეფარებინა ხელები, თვალდახუჭული, გვემას და ჯიჯგნას, დამცირებას, მასხრად აგდებას - სუყოველივეს მორჩილად, შიშველი ელოდებოდა... მაგიდაზე მიყრილი ოთხი დრაჰკანის ფასად. ცოცხალი ჩანდა, თბილი და რბილი, წყნარად სუნთქავდა, და იმ გვამების დანახვაზე თრობაგამონელებულ დომენიკოს თავისი თავი გაახსენდა, ამ ცოცხალ ქალთან მოლაპარაკება, ურცხვი, უხამსი, თავხედი, და მარჯვენა ხელის ხუთივე თითზე ცეცხლი წაეკიდა - ქალს რომ

ატკინა... ძალიან ფრთხილად, ფანჯრიდან შემოწოვილ დაგუდულ კივილში, დაძაბული უახლოვდებოდა; თვალდახუჭული, შეშფოთებული ქალი მაინც გრძნოდა მის ნაბიჯებს და კვლავაც ტკივილის მოლოდინში, ისე გატვრინდა, ისე გაფითრდა და გაისუსა, სუნთქვასაც კი ვეღარ ბედავდა ახლა და დომენიკომ კი, ეჭვმორეულმა, ორსავე მუხლზე დაიჩოქა, მკერდიდან ფრთხილად მოაშორებინა ხელი და აი სწორედ იქ, წეღან რომ ატკინა, ყური დაადო... კი, კი, ფეთქავდა, სიამოვნებით ისმენდა დომენიკო თანაბარ ბაგბუგს, ქალმა კი ცალი თვალით გამოჭვრიტა, და განცვიფრებული, დომენიკოს კეფაზე დაჰყურებდა, მერე სასწრაფოდ დახუჭა თვალი - თავი აღაღო დომენიკომ, სახეზე ხარბად დასცქეროდა, და ის ყველაზე მეტად გასაცოდავებული ადგილი, - ნაწარბალი შეარჩია და იქ აკოცა. ორთავე თვალი დააჭყიტა გაოცებულმა ქალმა, და მისკენ დახრილ უცნაურ მგზავრს შეშინებულმა ამოხედა, დაიბნა, გაშრა - ძაან უცხო რამ, მისთვის ჯერ ვერნანახი უცხო რამ სითბო ჩასდგომოდა თვალებში დომენიკოს, ღრმა რამ ალერსი... დაიბნა ქალი, დომენიკო კი, სითბოდავლილი, ქალს მხრებზე, ყელზე ადებდა ხელისგულს, თავზე ფაქიზად ეფერებოდა. აი ეს ქალი, აეს ქალიც ადამანი, კი, ადამიანი იყო და დომენიკომ გარინდებულსა და გახევებულს, თვალებში სული ძალიან ფრთხილად, ნაზად შთაბერა, და აახამხამა თვალები ქალმა, და, მადლიერმა, გულში ჩაიკრა. როგორ სათუთად ეფერებოდნენ მის ნაჯიჯგნ სხეულს, და ეს მომსუქნო, მოკლეფეხება დილის ქალი შვებით ტიროდა, აუხდენელი რამ სიყვარული ახლა, მოტეხილს, გასაცოდავებულს ასე ფაქიზად რომ დაატყდა და ტიროდა ქალი, „რა გქვია...“ „როსა, შენ...“ „დომენიკო“, „დომენიკო, გმადლობ“ - თქვა ქალმა და მხრიდან ხელი გააშვებინა, ათივე თითით მაგრად ჩაუბღუჯა, პირთან მიიტანა, აკოცა, დომენიკომ კი ხელი გამოსტაცა, ლოყებზე მაგრად შემოაჭდო თითები და თვალის სოველ უპეებზე წყნარად ემთხვია. მაგრად ჩაეკრა მაშინვე ქალი, იხვეწებოდა: „დომენიკო, ნუ, ნუ წახვალ, კარგი, ნუღარასოდეს ნუ წახვალ, კარგი, აღარასოდეს არ წახვალ, არა?“

...რომ გაეღვიძა, მგზავრს ყოველივე ეს ეგებ სიზმრადაც მოჩვენებოდა, რადგან ლოგინში მარტოკა იწვა, მაგრამ მაგიდაზე ოთხი დრაჰკანი სხვადასხვაგვარად ეწყო - სიმაღლეზე, ერთიმეორეზე ელაგა, და უცებ, ელდანაცემი, სულ სხვა რაღაცას დააშტერდა - ოთხი დრაჰკანი ხომ იდო და იდო... - და იქვე, კიდევ, ორმოცი გროში.

* * *

თქვენი არ ვიცი, მე კი, დროდადრო, ეს კანუდოსი ისე ძალიან მომენატრება ხოლმე... გამორჩეული ქალაქი ჩემი, გათენების ჟამს მაინც... და მოდით, ჩამჭიდეთ ეგ უნდო ხელი, და, კანუდოსი მიმოვიაროთ, მოდით, ამ ქოხში შევიპაროთ, ეს ზეს სახლია, შეხე, შეხედეთ, როგორა სძინავს ვაკეიროთაგან უპირველესს, როგორ გაიღვიძებს;

გულაღმა გაწოლილს, თავსზემოთ ბავშვივით ლაღად ხელებგადაგდებულს, აი სულ ოდნავ შეუკრთა სახე, ჯერაც თვალაუდგმელი, იღიმება ზე - გაგიღვიძნიათ კია როდესმე ასე, პირზე ღიმილით, როცა წინ დღეა, სინათლითა და სიმართლით სავსე. როდესაც იცი, შენი ყოველი ნაბიჯი რომ - სწორი იქნება, და ძილ-ღვიძილში იღიმები... უცხო სიმართლე რომ გიხარია. ჯერაც შეუჩვევი... აქეთ გამომყეთ, ფეხისწვერებზე... - როგორ იღვიძებს მანუელა, თეთრი მწყემსი და ძილისგან ოდნავ, მსუბუქად დაბუჟებული, ბურანის ლურჯად მოალერსე მარწუხებით მძიმე სილბოთი შემოსალტული, გრძელი, ლამაზად გაწვდილი ხელით მეზობელ ბალიშზე მანუელო კოსტას ქოჩორსა თუ ღაწვებს თითების როგორი ზანტი სიჯიუტით, ფათურით ეძებს... როგორ იღვიძებს კენტი როხასი, მოშუშებულ ნაიარევებს მსუბუქად იზელს, და ისიც, ბურანში, როგორი შვებით იღიმება - ეს კანუდოსი, ჰაერი, წყალი, და თავად მიწა, სულ იმისია... როგორც ყველასი, ისე. წამოდით, მამყე... რა ჰაერია, მსუბუქად მჩხვლეტავი, რაღაცნაირად ფხიზელი, მართალი, გონიერი, ან რა მიწაა, როგორი მკვრივი - იყავი, იდექ, რამდენიც გინდა, ვინ დაგამადლებს. ჭალაში მარდი ცხენები დგანან, ემსუბუქებათ თხელი და მარჯვე კანუდოსელები, კაკუნი, გესმით? იმ ხმებს ვერა გრძნობთ? დაიმახსოვრეთ აეს კაკუნი, სწორედ ამ ხმაზე იღვიძებს კანუდოსი, ეს - მკაცრი ხმაა, გამაფრთხილებელი, და მაინც მხნედ, მხიარულად იღიმებიან. სულ სხვანაირი კაკუნის ხმაზე ეღვიძება მშვენიერ დილით გენერალ ხორხეს, თუმცა, რა დილა-მშვენიერი კამორაში უნდა იყოს, შუბლშეჭმუხვნილი, თვალებს ახელს და წითელი ხის კარზე მკვეთრ დაკაკუნებას მხედრული რიხით, ხმაჩახლეჩილი პასუხობს ასე: - ახლავე! გისმენთ... - თურმე სწორედ იქ, ყველაზე მეტად დიდმნიშვნელოვან მარმარილოს სახლში იხმობენ, და სამხედრო ყაიდაზე გაჭიმული გენერალი ხორხე, უფლებამოსილი პოლკოვნიკის პირით უზენაეს დანაბარებს ორსავ წაჭიმული ყურით ისმენს. აქ კი, კანუდოსში, ყოველ დილით თანაბარი და მკაცრი კაკუნი ისმის, ეს - ხმლებს ამზადებს კანუდოსელი დიდი მჭედელი, აბა, - მიხვდით ვინ? ჩვიდმეტჯერ მაინც მყავს ნახსენები... რაღა თქმა უნდა, ვერ მივხვდებოდით, რადგან არაფრით გამორჩეული არა მყავდა, და, მეორეს მხრივ, სწორედ ამით უნდა ამოგეცნოთ, ჩემო: კანუდოსელთა მჭედელი - სენობიო ლჲოსა გახლდათ, აი, სწორედ ის, გრეგორიო პაჩეკოსთან ერთად კონსელეიროს სულ თავიდანვე რომ აედევნა. და აი, ასეთი დიდად საჭირო კაცი მენდეს მასიელმა პირველსავე შეტაკებაში უყოყმანოდ რომ გაგზავნა, უცნაურია, არა? ოდავადაც არა - საკუთარი ხელით შექმნილი რამ ნივთი, დოქი იქნება ეს თუ ნაჯახი, ყველამ ჯერ თვითონ უნდა იხმაროს, უნდა იწვნიოს თავისი ნახელავის ფასი და სენობიო ლჲოსა, დინჯი, უთქმელი, იმ ბრძოლის მერეც თავის კუშტ საქმეს სინდისიერად აგრძელებდა, და ახლა, იქნებ, ისე ბუნდოვნად აღარ წარმოგესახებათ, რომ - კონსელეიროს ყველაზე ადრე ეს ორი

ვაკეირო აედევნა: გრეგორიო პაჩეკო და სენობიო ლიოსა, ერთი - გუგუნა დოლის ჯადოქარი, მეორე - მჭედელი... და სწორედ მისი ჩაქუჩის ხმაზე ეღვიძებოდათ კანუდოსელებს, ყურებში ეღვრებოდათ ხმალგარეული მომავალი, და მაინც პირზე ღიმილით, გახარებული იღვიძებდნენ - მართალნი იყვნენ... გენერალ ხორხეს ერთდროულად მხნე და მოწყენილი კორპუსი კი დატკეპნილ ველზე მხედრული წესით მიმოდიოდა: ეთ, ორ, სამი, ეთ, ორ... და ბიჭი იყო და ვინმე აქეთ, კანუდოსში, დონ დიეგოს თავის ჭკუაზე გაატარებდა - აჰ, მხარ-თეძოზე ბლანტედ იწვა და მაგრამ, მაინც, ყოველთვის ეტყობოდა, ხელად რომ შეეძლო წამოფრენა... დიდი მარშალი კი ფრიად საიდუმლო ოთახში მრისხანედ შესცქეროდა საღებავებში ამოთხაპნილ, აცახცახებულ გრეგ რიკიოს:. „მე რა გითხარი, შე ვიგინდარა, ხუთნი უნდა იყვნენ-მეთქი“. „კომპოზიციაში მეხუთე კაცი ვეღარ ჩაეტია, გრანდისს...“ „კომპოზიციის პატრონი დედაც, ჩაგტევ მე შენ იქ... - წამოიძახა დიდად აღელვებულმა მარშალმა, იშვიათად, წონასწორობიდან რომ გამოსულიყო, - და მეორეც რომ, ეგ არამზადები კაცად არ უნდა მოიხსენიო. ყურუმსაღო, გესმის?“ „როგორ არ მესსმის, დიდ-დო მარშალო, - თვალს ვერა სწყვეტდა ფუნჯის დიდოსტატი იქვე, სკივრზე აზმორებულ კადიმას, აცახცახებდა, - ახლავვე მივახატავ“. ფერწერულ ტილოზე კი ერთადერთ კამორელ ბრიგადელს ოთხი ვაკეირო შემოხვეოდა, ერთს თოფი მოემარჯვებინა, მეორეს - ხმალი, სხვებს - შუბი და მაჩეტე, ქმნილების გაჯორილი ავტორი კი ისე გადაფითრებულიყო, მარშალმა ოდნავ დაუყვავა: „ჰო, კარგი, კარგი, ეგ არაფერი, - საჭირო ხელოსანი იყო მისთვის გრეგ რიკიო, ვაითუ, ამოდენა შიშით პაწია გული გახეთქოდა, - ეს სურათი კი კარგად დაგიხატავს, შეიძლება ითქვას, რომ ოსტატურია“. - მეორე სურათზე მკვდარ, დასახიჩრებულ კამორელს ჯიბეში ხელს უყოფდა ორი ვაკეირო, ერთი ზურგით იყო მნახველისაკენ, მეორე - სახით, და წუწკი თვალები ისე უელავდა, რომ: „კანუდოსელი ავაზაკის თვალებიც რა შთამბეჭდავად დაგიხატავს, - გაამხნევა დიდმა მარშალმა, - ვისგან აიღე, ცხოვრებაში“. „ხომ არ გამიწყრებით, დიდო...“ „რადგან გეკითხებიან, თქვი“. „თქვენი მთავარი შემმოწმებლის, პედრო კარდენასისაა“. „აჰა, - თქვა მარშალმა ბეტანკურმა, გაიარ-გამოიარა, - ვგონებ, ზედმეტი იქნება იმის თქმა, თუ გაგაფრთხილებ, ეგ არავისთან დაგცდეს-მეთქი“. „აჰ, არა, არა, ვისთან უნდა დამცდეს, თუ გნებავთ, გადავუსწორებ თვალებს“... „არა, იყოს. მაგ სურათს რომ მოატანინებ ჩემთან რჩეულ სტუმართა თანდასწრებით, ძალიან ამაყად დაიჭირე, იცოდე, თავი, თორემ გაგაქრობ, აღგგვი. და როცა შეგაქებ, ეგ გაზინტლული ცხვირ-პირიც ამაყად მიაბრუნე გაწზე. გესმის?“ „მესსმის, გრანდისს...“ პოლკოვნიკი სეზარ კი დიდი მოუცლელობის მიუხედავად, უქმად არა კარგავდა ალაგ-ალაგ გამოჩხრეკილ დროს - ახალდაქვრივებულ სუზზის, რომელსაც მხოლოდ სახიფათო სიყვარული სწამდა, დაჟინებული თხოვნის შედეგად

ღამის დარაჯი, კაეტანო, სასწრაფოდ განაშორა ცოლს, და სუზზიზე დააქორწინა. ვაჟურად გამოწყობილი სუზანნა გახარებული (ღამის დარაჯს ნავოლეზე მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ჩაევლო), ფეხაკრეფით მიიპარებოდა გრანდჰალლეს ძვირფასი სახლისაკენ. გაფრთხილებულ კარისკაცს ყურში უჩურჩულებდა: „ოთხჯერ ჩვიდმეტი ერთია“, და მეორე კარისკაცს საქმიანად მიჰყვებოდა ერთ-ერთი გასაიდუმლოებული ოთახისკენ, სადაც პოლკოვნიკი სეზარ, შავ ტახტზე წამოგორებული, ქვედატანმშვენიერ სუზის მოუთმენლად ელოდა, ხოლო სამიოდ ოთახის იქით მის მომხიბვლელ მეუღლეს, საკრავთან მიმჯდარ დონდლო, უცხვირპირო სტელლას მხიარული ჰანგები ძალიან გულგრილად გამოჰყავდა. ხოლო ძალიან იქით, შუა კამორაში, გალიაშემოვლებული კაეტანო ახალშეუღლებული მეუღლის სარეცელს, რომელზეც ორი მუთაქა სიგრძეზე იდო და ზედ საბანი გადაეფარებინათ, გამწარებული დასცქეროდა და მერე მაინც მთელ კამორაში გაისმოდა მისი მხნე, ომახიანი შეძახილი: „ღა-ამის სამი საათიაა და... (აქ შეისუნთქავდა, გაიფიქრებდა - ოხ, პოლკოვნიკო, მე შენი სუყველაფერი...) სუყველაფერი გეენიიაალურაადააააა!!!“ კანუდოსში კი ძალიან რბილი, ლამაზი სევდა გაისმოდა ყოველ ამა დროს - მუშაობით დაღლილი სენობიო ლიოსა ხის ძირას ჯდებოდა, კეფას ადებდა გრილ, ხორკლიან მერქანს, თვალებს ხუჭავდა და დიდრონ ხელებში გამომწყვდეულ შვიდსიმა სევდას - ძალიან დაბალი ხმით ააჟღერებდა. შრომით მოქანცული კანუდოსელების სიზმრები რომ არ შეეწუხებინა. სულ სხვა ხმა ჰქონდა მჭედლის თითებში სხვათა წყალობით ხანდახან ისეთ უვიც გიტარას; გეგონებოდათ, სამი თუ არა, ორი კაცი მაინც ერთდროულად უკრავდა და სენობიო, დიდი მჭედელი, ათას ჩახლართულ ამბავსა და ხატებას ერთდროულად როგორ გადმოსცემდა, ეჰ, ვინ იცოდა... დახუჭული თვალების გარდა.

მგზავრსაც მივხედოთ, იგია მაინც ჩვენთვის მთავარი. ხედავთ, მოკუნტულს, შემცივნებულს, მცირე ზღვასავით რომ გადასდის შიშის ტალღები... მიჩინიოს წინ იდგა. თვალმოჭუტული შესცქეროდა ჟაგუნსოების ერთპიროვნული თავკაცი, ნაცარწაყრილი ნაღვერდლები ავად, ცბიერად უელავდა:

- შენ ფული ნუთუ აღარ გაქვს, გენაცვა, ჩვენი ბიჭი?

- არა, - ძლივას თქვა დომენიკომ, სახე ეწვოდა, ნეკნებზე სციოდა, - თუმცა კი, კი მაქვს, ორმოცი დრაჰკანი და რამდენიმე გროში.

- ეგ არა, ბიჭი, აეგ საკენკი შენს მცირე ჩიტებს დაუყარე... მე სხვა ფრინველი გახლავარ, ვაჟკაც.

და დაუნდობელმა სიმხურვალემ იფეთქა საზარელ თვალებში:

- სხვა ფული... არ გაქვს?

- არა, ღმერთმანი... - და გაახსენდა! - კი, როგორ არა, მართლა კი, კი მაქვს, კი... - აღელდა მგზავრი, აქამდე ერთხელ მაინც როგორ არ გაახსენდა, - ლამაზ-ქალაქში... გადაჭრილ ხესთან, ათასი დრაჰკანი!

და მიჩინიო იმ თავისი ამაზრზენი ნაბიჯით მიუახლოვდა - თან მძიმედ, თანაც მსუბუქი ფეხაკრეფით, საკინძეში ჩაავლო კაატინგასმაგვარი ხელი, მაგრად ჩაბღუჯა. მიიახლოვა გადაფითრებული მგზავრი და, უსუსურად თავგადაგდებულს, საზარლად ახლოს გადააყოლა სახე, და შიგ ცხვირ-პირში ჩაეკითხა:

- აქამდე რატომ არ გაგახსენდა... - და უცებ შეკრთა, მიაგდო მგზავრი, მიჩინიო შეკრთა! ოთახს მოავლო ბოროტი მზერა, კარადას ფრთხილად მიუახლოვდა. დანა იშიშვლა, ერთბაშად, მძლავრად გამოაღო და - არავინ იყო. სწრაფად შებრუნდა, ტახტს მიაბჯინა ალმოდებული თვალები, დაძაბული, უხმაუროდ მიეპარა, სწრაფად ასწია ჭრელი ფარდაგი და ტახტქვეშ დანა მარჯვედ ისროლა - მჭახე ხმაზე შეატყო, არავინ იყო, მაინც შეიხედა ტახტქვეშ, მერე მძიმედ გაიმართა წელში. ახლა სკივრისკენ მიიპარებოდა, სახელურს მაგრად ჩასჭიდა ცალი ხელი და, მოხრილმა, დანაშემართულმა, ძალიან ნელა, გაფაციცებულმა ახადა მოჩუქურთმებული სახურავი - არავინ იყო იქაც.

„ალექსანდროს ძმა! - გაუელვა დომენიკოს, - ალექსანდროს ძმას ეძებს...“

გამხნევდა მგზავრი, თან შეშინდა, ის ერთადერთი მისი იმედი აქ რომ წაეკლა სასტიკ კამორელს, მაგრამ სხვა ნივთი რამ, სამალავი, ოთახში აღარ იყო, მიჩინიომ კი, ერთხანს მაინც შეეჭვებულმა, ვიწრო კარი გამოაღო: თქვა: „ჩიჩიოს დამიძახეთ ერთი“, და სადღაც, განზე, დაფიქრებული იყურებოდა, ჭერს ასცქეროდა დომენიკო - ნაცნობი ლაქა!... - და ჩიჩიო რომ შემოიქლესა, ღრმა თაყვანისცემითა და მოწიწებით აღვსილი, ჟაგუნსოების თავკაცმა ძალიან უგულოდ თქვა:

- ახლა ომია, დიად კამორას თანხა სჭირდება, - თვალდანისლული, თუმცა ალბათ სულ სხვას ფიქრობდა კია, საქმიანად ლაპარაკობდა მაინც, - ლამაზ-ქალაქში ერთად წახვალთ, ჰალეკოებო, ფეხით. საგზალი ამაღამ მოიმზადეთ, გათენებისას შუა კამორას დიდ კართან მოხვალთ, გაგატარებენ. დანებს არც ერთი არ წაიღებთ. მეხუთე ღამით ფულს რომ ამოთხრით, მაშინვე აქეთ წამოდით, არავის შეუჩერდეთ გზაში. ერთმანეთს თითი რომ დააკაროთ, ან ფულის გამო, ანდაც, საერთოდ, მერე მე ვიცი... შენ ზედმიწევნით მოგეხსენება, ჩიჩიო, რაც მოგელის. შენ კი, ყმაწვილო, იმ ფულიანად სადმე გადაკარგვას თუ დააპირებ... - და ისევ აუელვარდა თვალები, აჰ,

რა მრისხანედ შესცქეროდა, ნემსივით შეესო დამფრთხალ თვალის გუგებში დომენიკოს იმისი მზერა, - ქვესკნელიდან ამოგიღებ, იცოდე და წყალშიც გიპოვი.

გათენებისას, შუა ქალაქის დიდი კარისკენ გაემართა, ნელინელ მჟღავნდებოდა ბნელში კამორა, ოთო-ექიმი მიაცილებდა, საგზალით ხელში, ხის წამოსასხამ-ნიღბებში იყვნენ, ნაადრევად მოუვიდათ მისვლა, რადგან ჩიჩიო ჯერ არ მობრძანებულიყო, ყმაწვილი, მაგრამ გუშაგმა მაინც განახვნა მძიმე, ღრჭიალა კარი, კამორადან გამოვიდა დომენიკო! მოსასხამი საგუშაგოში ჩააბარა; ოთო-ექიმი ისევ ხის სამოსში იდგა, წელზე მსხვილი თოკი ერტყა, რომლის ბოლოც ოციოდ ნაბიჯს იქით, კამორაში, ხელზე მაგრად გადაეხვია გუშაგს. კიდევ კარგი რომ, ოთო-ექიმი აცილებდა, და ნიღბის ვიწრო ჭრილიდან რაღაცნაირად მაინც ეტყობოდა, ალერსით რომ უმზერდა.

- რამდენი დრაჰკანი უნდა მოიტანო?

- ათასი.

უხმო ზმუილით იწელებოდა დაგუდული ბინდი.

- მერე, თუ იცი, რაში უნდა მოიხმარონ.

- იმ კანუდოსელთა წინააღმდეგ, ოთო-ძია, - და უცებ ციცქნა სიბრძნე მოუნდა, - ისინი ხომ ძალიან ცუდი ხალხია, როგორ დაუსახიჩრებიათ მკვდრები.

ოთო-ექიმმა ნიღაბი მოიხსნა, ფრთხილად, უცნაურად ათვალიერებდა, მიმოიხედა და კეფაზე თითები შემოაჭდო დომენიკოს, მიიზიდა, შიგ ყურში უთხრა:

- ცხვირი, ყურები, იმ საცოდავებს სიკვდილიდან ხუთიოდ დღის შემდეგ აქვთ ჩამოჭრილი, დომენიკო. მე ექიმი ვარ, არ შემეშლება.

- როგორ... - სუნთქვა შეეკრა დომენიკოს, - თვალებიც მერე დათხარეს, ძია?

- თვალებიც, კი.

- ვინ...

- აი, ამათმა... - თითი გაიშვირა ოთო-ექიმმა.

ბინდიდან გამოცრეცილიყო კამორა.

- რატომ.

და მიხვდა.

- ამათი მტრები... - მიაჩურჩულა ოთო-ექიმმა, და ყურში ჰკითხა: - გაინტერესებს?

ყური შემკრთალმა მოაცილა დომენიკომ, თვალებში შეხედა, დანაღვლიანდა მერე, ძალიან ჩაღუნა თავი:

- ქვესკნელიდან ამომიღებს, ოთო-ექიმო, და წყალშიც მიპოვის...

- ვინ, მიჩინიო?

- დიახ.

- როგორც გენებოს.

თვალი აეწვა დომენიკოს, რაღაც ნამცეცი ჩაუვარდა, ძალიან სტანჯავდა. მაგრად იზელდა ქუთუთოებს, წვალებით ახელდა მერე, და ცრემლებშუა ძლივს ბჟუტავდა მარმარილოს სამფენოვანი ქალაქი.

- თვალში რაღაცა ჩაგივარდა? - ჰკითხა ექიმმა, აიწურა.

- კი.

- მოდი, მოგაცილებ.

მაგრამ თავად მიუახლოვდა, სახეზე ნაზად შემოაჭდო თითები, ქუთუთოები გადაუწია, ფრთხილად, გამოზოგილი სიამოვნებით ჩაჰბერა, სული დაუამდა მგზავრს და, უცებ, იმ უჩვეულო სილისგაწვნის მოლოდინში, შეიფრთხიალა, მაგრამ ისე ღონივრად ჩაებღუჯა ექიმს... მერე მოეშვა ოთო-ძია, ხელები შეუშვა, და, რაღაცნაირად გაბრუებულმა, მოწყენილმა, უთხრა:

- ვინმემ როდესმე თუ გკითხოს, კამორა როგორ დატოვეო, ასე უპასუხე, ვითომ ოთო-ექიმმა ერთი კაი-მაგარი ალიყური გტკიცა. გამიგე?

- ვერა!

- მაინც ასე თქვი...

ლოყაზე აკოცა და გაბრაზებული დომენიკო გალხვა, ვედრებით ახედა, შეაცქერდა:

- ოთო-ძია, ძალიან გთხოვთ, მართალი მითხრათ... - თქვენ ალექსანდროს უფროსი ძმა ხართ?

- ვინ ალექსანდრო, რა ალექსანდრო... - გაღიზიანდა ოთო-ექიმი, - მერამდენედ დაგიფიცო, დომენიკო, ეგეთს არავის ვიცნობ-მეთქი, სსუ...

ჩიჩიო უახლოვდებოდა, ყმაწვილი: - სალამ-გაგიმარჯოთ, ჰალეებო, დდეელიიოს დიდი მარშალი, ხომ არ გავდგომოდით გზას?!

დღისით შეჭმუხვნილი ისმენდა ხოლმე ჩიჩიოს ბჟუტურს („ამდენს ვჭამ, ჰალე, და არ ვსუქდები, რაშია ნეტავ საქმე, ალბათ ჭიები თუ მყავს მუცელში, მაგათი დედა, თუმცა აჰ, არა, მაგათი დედა მე გამოვდივარ...“), ღამით ფხიზლობდა - გატყავებული გველი იწვა მის შორიახლოს, შხამამოცლილი - დანა არ ჰქონდა. თენდებოდა და ერთად საუზმობდნენ, დომენიკო სევდამოგვრილი, ერთ-ორს თუ წაიკიკნიდა, ჩიჩიო მაძღრისად, დამძიმებული წამოდგებოდა და გზას მიჰყვებოდნენ. დიდხანს იარეს... ხანდახან რაღაცას წამოიძახებდა ხოლმე ძილში ჩიჩიო. ლამაზ-ქალაქის მისადგომებთან მოსაღამოვებულს იყვნენ, ერთი მოსახვევიც და, ანა-მარიას ქალაქი გამოჩნდებოდა, სუნთქვა შეეკრა დომენიკოს, სხვაგვარად აძგერებული გული შიგ გორგალგაჩრილ ყელში სცემდა, ხეს ამოეფარა და, თავზე მოსასხამშემოხვეული ძალიან ტიროდა, კარგად იცოდა, რომ არ შეეძლო ცისფერ, ვარდისფერ სახლებშუა ჩავლა, თუმც ის ქალაქი ყველაზე მეტად, ალბათ, ტულიოსი იყო. მოსასხამითვე შეიმშრალა სახე, თვალებდასიებული, ჩიჩიოს მიუახლოვდა, ნოყიერი ვახშმობანა მოემთავრებინა ყმაწვილს, შვიდპირად გამაძღარი, მთქნარებაატეხილი უცდიდა. აღარ იცოდა დომენიკომ, როგორ გადაედგა ნაბიჯი, აყოვნებდა და მოსახვევიდან კი ხის ნიღბოსანი გამოვიდა, ცალ ხელში დანა ჩაებღუჯა, მეორეთი მომცრო ტომარა გაუწოდა, დრაჰკანებიანი - ალექსანდროს ძმა!.. სისინით უთხრა.. - აეს წაუღე იმას, გამომართვი... ასე. რაღას მომჩერებიხართ, შეტრიალდი, ჩქარა...

გამობრუნებულნი, მოძალებულ ბინდში დროდადრო გაკვირვებით შეაჩერდებოდნენ ერთმანეთს, ჩიჩიოს დრაჰკანებიან ტომარაზე ეწებებოდა მზერა. ღამღამობით, მოსასხამში რომ შეიფუთნებოდნენ და სილიან ადგილს ამოარჩევდნენ დასაძინებლად წამოწოლილნი, ერთიმეორის შიშით ჯერ ძალიან ფრთხილად, უხმაუროდ მიჩოჩავდნენ განზე, მერე წამოხტებოდნენ და, წაკუზულნი, საპირისპირო მხარეს გარბოდნენ ბნელში. დილ-დილაობით, ღამენათევნი, მიახლოებისას ერთმანეთს თითქოს მღელვარედ, ყასიდად ეკითხებოდნენ: „რა ქენი, შენც ვერ იპოვნე წყალი?“- ესე შეკითხვა, რაღა თქმა უნდა, ჩიჩიომ გამოიგონა, ისე კი, ჭები და წყარო ბლომად იყო ირგვლივ. გზად სადმე მოზრდილი ქვა თუ ეგდო, სანამ ჩაუვლიდნენ, ურთიერთშიშით ფეხისწვერებზე აიკრიფებოდნენ ხოლმე: ჩიჩიო მაინც, ახლა ორმაგად იტანჯებოდა - გამოელიათ საგზალი, ვეღარც ნატრობდა შემწვარ-მოხრაკულს, მოძალებული ნერწყვი უშლიდა, თვალები ეხუჭებოდა დომენიკოს, ეს

მერამდენე ღამე იყო, ყვინთვა-ყვინთვაში რომ ათენებდა და ერთხელ, დილით, ათრთოლებულმა ჩიჩიომ უცებ სადღაცას გაახედა; მერე უბიძგა და, გზისპირა ხეს მიეფარნენ.

კამეჩებშებმულ ვეება ურემზე ჭაღარა, ლოდივით კაცი იჯდა, წინ ფარა მიუძღოდა, უკანა ჭალზე ხარი გამოება. ურემზე კი, დიდ გალიებში, შინაური ფრინველები იდგნენ - მამალ-ქათმები, ინდაური, ბატი. ნელინელ ახლოვდებოდა და ჩიჩიო სწრაფად ალაპარაკდა, მუცელზე იხახუნებდა თითებს, გეგმას აწყობდა, იქით, ურმისკენ გამალებული იცქირებოდა და ასე არიგებდა:

- ყური დამიგდე, დომენიკო, ვითომ ცხვრის ყიდვა გვინდა და ერთი დრაჰკანი დროებით მივცეთ. სალამ-ვაჭრობაში თავს შევაყვარებ, ხომ იცი, ჰალე, ჩემი ტკბილი ენა... მერე ურემზე რომ დაგვსვას, ვთხოვოთ, ფეხს ავიტკივებ კარგოსტატურად, ჰალე... გლეხი კაცი ჩანს, უარს არ გვეტყვის, დაგვეხმარება...

- მაგას ვერ ვიზამ, - თქვა დომენიკომ, ეძინებოდა, - ამ ათას დრაჰკანს არც ერთი არ უნდა აკლდეს.

წამით შეავლო თვალი ჩიჩიომ, მოკლედ ჩაიცინა:

- როდის გითხარი მოვაკლოთ-მეთქი, დროებით მივცეთ...

- იმან ხომ გვითხრა, გზაში არავის გაუჩერდეთო... - და გაიკვირვა, - როგორ, დროებით...

- როგორ და, ჰალე, გვენდობა, ჰალე და იმ ურემზე რომ დაგვსვამს, ჯერ რაიმე ბეწვს ავაცლი მოყვრულად მხრიდან, პატარა ხანს ტკბილად ვემუსაიფოთ, ყურადღებას მოვუდუნებთ, ჰალე, და ქვას ჩავარტყამთ მერე თავში და მივახრჩობთ კოხტად. ის დრაჰკანიც ხომ ჩვენი და ჩვენი იქნება და ეს საქონელი? - აჰ, ხმელ ტოტებს დავკრეფთ, კაი ცხვრის მწვადებს აგიშიშხინებ, ტკბილო. და მიჩინიო ბიძიაც ამ ერთი შეჩერებისთვის რად გაგვიწყრება - დიდ ძღვენს მივართმევთ, და ეამება, ყველას აქვს ჯიბე და კუჭი, იცოდე, ჰალე, - და უცებ გაახსენდა, შეწუხდა, - დანა რომ არ გვაქვს? როგორღა გავატყაოთ ცხვარი... - და მყისვე დამშვიდდა, - არაფერია, იმას ექნება, - კვლავ აღფრთოვანდა, - აი ნახავ შენ, ნახავ შენ აგერ, თუ არ გვენდობა...

- კი მაგრამ, როგორ... - შეკრთა დომენიკო, ოდნავად აღარ ეძინებოდა, ბინძური წყალი დაასხეს თითქოს, - თუკი გვენდობა, უნდა დავახრჩოთ?

- მააშ, ჰალე.

- კი მაგრამ, როგორ... - დაიბნა მგზავრი, - თუ გვენდობა და ხელს მოგვიმართავს, მადლობის ნაცვლად - უნდა დავახრჩოთ?

- ახლა აგიხსნა ცხოვრების წესი?! - გაიკვირვა ჩიჩიომ, შორიახლოს მოზრდილ ქვას დაეძებდა, - სულ რომ არაფერი, აჰ, ისე ძალიან ამიხურდა კუჭი...

იქ, კამორაში, არაფერი გაუკვირდებოდა დომენიკოს, რადგან ყოველი, ყველაფერი, უნდობლობითა და სისხლით იყო გაჟღენთილი, მაგრამ აქ, ხესთან, ჰაერზე, ტყეში, განცვიფრებული, დაბნეული, გაუთავებლად იმეორებდა:

- კი მაგრამ, როგორ...

- როგორ და ჰალე, ასეა ჩემო, ცხოვრების წესი. თუკი გვენდობა და შავბნელია, სულელი თუა, სულელს დანდობა რაღად უნდა, ჰალე, უნდა ჩამოიცილო გზიდან, გავწმინდოთ უნდა გზა, წინ-წინ მივდივართ ყველანი ჩვენ და მგელი რომ მგელია, უენო მხეცი, ჩამორჩენილ ირემს ჭამს ისიც... ჰოდაა, ჰალე, სულელ-სისულელეს ჯერ რა გამოლევს ქვეყნად და ნდობას, ჯერ კაიძალი დრო, სანამ დაიხვეწება ჯიში, ამჟამად კი მე, - აქ გაიპრანჭა, - გამოცდილი გამომვლენი, დიდი მარშალის ერთგული კაცი, ვიღას ავალაპარაკებდი სუფრასთან თუ სხვაგან სადმე, თუ არა სულელების ნდობა, ნდობას რა სჯობია, ტკბილო. - და გაუკვირდა, - ნდობა რომ არ იყოს ამქვეყნად, რაღა მაჭმევდა პურს?!

- გამოიხედე, - თქვა დომენიკომ.

ჯერ გაკვირვებით შესცქეროდნენ ერთმანეთს, თავ-თავიანთ სიმართლეში დაჯერებულნი და დომენიკომ, შეძრწუნებულმა, ჩიჩიოს თვალში საკუთარი თავი დალანდა, წაგრძელებული და უსიამო, უშნო. გააჟრჟოლა - ამ კამორელშიც ცხოვრობდა თითქოს; ძრწოლადავლილი მისჩერებოდა და გაახსენდა, რომ კამორელთა სამფენოვან ქალაქს ეკუთვნოდა მართლა, რომ იქაურად ითვლებოდა აქ, ამ წმინდა ჰაერზე ახლაც, ამ წუთას, და კვლავაც ასე იქნებოდა, და საკუთარ თავს, ჩიჩიოს თვალში ამობჟუტებულს, კვლავ ჩაეკითხა:

- თუკი გენდობა... მოვკლათ?

- აბაა, ჰალე.

გაუქანა და შიგ თვალში ლეწა. სახეზე ხელები აიფარა ჩიჩიომ, მოიკუნტა, და ცხვირპირში რომ საშინელი ამოჰკრეს წიხლი, იქვე ჩაჯდა, გაბრუებულმა, მხოლოდ ესღა თქვა: „გაგიჟდი, ჰალე...“ დომენიკო კი ისევ ურტყამდა - კეფაზე, მკერდში,

წამოაყენა, მუცელში მძლავრად ამოჰკრა მუშტი და ჩიჩიომ მოშიებულ კუჭზე რომ გადაიტანა ხელები, გადმოხრილს, ახლა ტუჩებში ამოსცხო დომენიკომ, და, გამართული, პირაღმა, გადააქცია, გამწარებული სცემდა და სცემდა, ურტყამდა, სცემდა, „ეს იმიტომ რომ, - იძახდა მგზავრი, - რომ გამომიტყდი, რომ მენდე, მენდე... კარგი ყოფილაა? კარგია არა?“ მთლად მომჩვარულს და თვალებამოტრიალებულს, თმაში სწვდა და მაგრად ჩაბღუჯა, თმით ასწია, ფეხი მოხარა, და გამეტებით ირტყამდა იმის ცხვირ-პირს მუხლებზე. მერე კვლავ სცემდა, ხელით, წიხლებით, აჰ, დაგროვილი დიდი ხნის ბოღმა - იქამდე ურტყა, ქანცგაწყვეტილი, სანამ თვითონაც არ ჩაიკეცა, ზედ გადაემხო, მძიმედ სუნთქავდა, მუშტს ვეღარ შლიდა, გვერდზე გადაგორდა მერე, მწარედ აქოშინებული, ძლივას წამოჯდა - იქვე, მიწაზე, ტომარა ეგდო! ათასი დრაჰკანი... და მიჩინიო გაახსენდა - „ერთმანეთს თითი რომ დააკაროთ...“ რა, რაღა ექნა... და მაინც მშვიდად, კაცურად იყო... მძიმედ წამოდგა, ტომარა მიიხუტა, ძლივს გაალაჯა, გზაზე... დინჯად შეჩერდა ვეება ურემი. სისხლში ამოთხვრილს კუშტად უმზერდა კაცი.

- თქვენ... კანუდოსში მიდიხართ, ძია?

- ჰო, - თქვა სანტოსმა.

- მე ვერ წამიყვანთ?

- კამორელი ხარ? ვისი სისხლია... - თვალი მოჭუტა მოხუცმა სანტოსმა.

- კამორელსა ვცემე.

- დაჯექ.

ძლივს აფოფხდა, ძალზე უცემდა გული. ზურგით ბრძანდებოდა მისკენ ბერიკაცი, რაღაცნაირად ღონივრად, ამაყად იჯდა და დომენიკომ მფარველი იგრძნო; მაგრამ შიგანში ესობოდა იმ სისხლის სუნი, თავბრუ დაეხვა.

- შეიძლება, რომ... - თქვა დომენიკომ, დინჯად მოაბრუნა მოხუცმა ყბაჩატეხილი სახე, - შეიძლება, რომ წამოვწვე, ძია?

- დაწექ.

- არა, უზრდელი რომ არ გეგონოთ... დავიღალე და...

- დაწექ...

და, როგორც დაწვა, იმ შინაური ფრინველების ისეთი ნაცნობი, ისეთი შორეული ეტაკა სუნი... გახარებაც კი ვეღარ მოასწრო, მოთბო ძილქუში დააწვა თავზე, მაგრამ, ბედნიერს, აქ გული აუჩუყდა და, ძლივას მოიკრიფა ღონე, უთხრა:

- გზაში თუ მოვკვდები, ძია, აეს ტომარა კანუდოსელებს გადაეცით, გამოადგებათ...

და, ჩაძირვამდე, ორიოდ წამს მაინც შეეჭვდა ამ ზურგშექცეულ მოხუცებულში, მაგრამ იმა კაცს ახალგამომცხვარი შავი პურის სურნელი ჰქონდა, და ენდო, ენდო!

- ძიავ, ათასი დრაჰკანია, ძია...

-კარგი, გადავცემ.

დაამებული ფშვინავდა მგზავრი.

ძალიან დიდხანს, ბევრი ეძინა, სიზმართა ტევად, მოიისფრო სარდაფებში დახეტიალობდა მგზავრი, ხან ვინ ამოუტივტივდებოდა, ხან ვინ გადააწყდებოდა, ხანაც რომელი შემოხვდებოდა რბილ, ფლობად გზაზე... ოდნავ არწევდა დიდი ურემი, იწვა, ეძინა. შუადღის მზეზე უღვივდებოდა მოღლილი სახე, საღამოობით გრძელი, ირიბი, იდუმალი სხივი გალიებიდან ებჯინებოდა დომენიკოს და მთელ სხეულზე გისოსებს ჰფენდა, და რომ მოწვიმა, არ გაუგია ისიც - სანტოსმა ფართო, შავი ნაბადი გადააფარა თავით-ფეხამდე, და კუნაპეტში მორჩილად იწვა, სხვის სისხლში ერთიანად ამოთხვრილი. და რამდენი რამ, ვრცელ ქვეყანას სულაც რომ თავი გავანებოთ, იქვე შორიახლოს, ირგვლივ ხდებოდა: დიაღაც რომ ბეჯითად მუშაობდა ფუნჯის დიდოსტატი გრეგ რიკიო, და შეკვეთილ ნახატქმნილებას კამორას ქუჩებში გამოსამზეურებლად რომ გაიტანდნენ, ახალ შეკვეთას დაეძგერებოდა, დიდი დამკვეთის ნაკარნახებ მუზაზე იმყოფებოდა აღტყინებული გრეგ, ღამეს ათევდა, იმავ ღამით კი დაღლილი მჭედელი სენობიო ლდოსა დიდ ხესთან იჯდა და სწორედ იმას უკრავდა, რისი ხოშიც ჰქონდა; მოსაღამოებულს, მდინარის პირას უცნაურად მიმოდიოდა განსხვავებული კანუდოსელი - დონ დიეგო, და მდინარეზე რხევით დაფენილ, რბილად ათრთოლებულ საკუთარ ჩრდილს, წაგრძელებულს, დიდის გულმოდგინებით აკვირდებოდა, უთვალთვალებდა, და რა ამაყად მიმოდიოდა, გამორჩეულ იარაღს - არტისტიზმს აყოლილი... ხალხისა სულაც არ ერიდებოდა, ასე ვარჯიშობდა; განპირობებულ-მინდობილ კორპუსს კი სულ სხვანაირად, საგანგებოდ ავარჯიშებდა უფლებამოსილი გენერალი ხორხე - ოთხი ჯარისკაცი დიდ ლეიბს, რომელზედაც მეხუთე კამორელი იწვა, გააქან-გამოაქანებდა და მერე, მძლავრად რომ აიქნევდნენ, ლეიბზე გაწოლილი კორპუსელი მაღალ, სახელდახელოდ აღმართულ ღობეს სულ ფრენა-ფრენით გადაევლებოდა და იქით კი რბილ, საგანგებოდ

გაწყობილ ფუმფულა ბალიშებზე ყოჩაღად ეცემოდა - თვით ბეტანკურის დავალებით, საჭირო იყო ვარჯში ესე; მანუელო და მანუელა კოსტა კი, მდინარეს მაღლა აყოლილნი, თვალსაწიერზე განმარტოებულნი, თავითფეხამდე გაწუწულები, ბედნიერები, სილაზე იწვნენ და დიდი მზის გულზე ეფერებოდნენ ერთმანეთს; საბანში გახვეულ ორ მუთაქას გამწარებული დასცქეროდა გალიაშემოვლებული კაეტანო; ავი თვალებით მიჩერებოდა მესამეს, მძინარესა თუ თავმოკატუნებულს, ორი ჟაგუნსო; საყვარელი კატის - არუფას წვრილ კბილებშუა გაჩრილი თითი ექავებოდა მარშალ ბეტანკურს, გეგმებს აწყობდა; ტუჩებშეღებილ ქალბატონებში წენგოთი თითებგათხაპნილი, სოფლელი გოგო ენატრებოდა პოლკოვნიკ სეზარს, და ვერ ხვდებოდა; ანატკივარ ფეხს სხვებისდაშეუმჩნევლად იზელდა უთქმელი როხასი; ხმლის სიბასრეს ცერა თითით ამოწმებდა დაფიქრებული ინოსენსიო; ღვინიან ჯამში ფხვნილს აზავებდა სქელი, წარბებგადაბმული კამორელი, და კიდევ სადღაც ფანტს თამაშობდნენ...

* * *

ძალიან შეკრთა, მოლურჯო ცა ჩაუდგა თვალში, დაიძაბა და ციცქნა ღრუბელი გამოარჩია... როგორ წყუროდა! მყისვე წამოჯდა, და ირგვლივ შემოჯარულ ხალხს გაკვირვებული შეაცქერდა - „სადა ვარ?“ ამდაგვარები ჯერ არ ენახა - ხმელნი, მაღლები, დაძარღვულნი იყვნენ, დიდი ორკუთხა ქუდი ეხურათ... კიდევ კარგი რომ, მოხუცის ზურგი ეცნო, მიუჩოჩდა და ხმადაბლა ჰკითხა:

- სადა ვართ, ძია...

- კანუდოსში ვართ, - უთხრა სანტოსმა.

ჟოაო აბადო უახლოვდებოდათ, დიდად მოჭმუხვნილი, მაგრამ, რაღაცნაირად, არ დაეჯერებოდა. ურმიდან ჩამოვიდნენ სანტოსი და ტომარამიხუტებული დომენიკო, ცხვრებშუა იდგნენ.

- თქვენი შვილია? - იკითხა ჟოაომ.

- შვილი არა მყავს, - ხმადაბლა სთქვა სანტოსმა.

- მაშ რა ხართ ერთმანეთის, მეზობლები?

- არა. ცალ-ცალკე წამოვედით.

- გზაში შეხვდით თუ ადრეც იცნობდით ერთმანეთს... - ქაღალდი მოიმარჯვა ჟოაომ.

- გზაში შემომხვდა.

- რამდენი დღეა, რაც სათითაოდ გამოხვედით და ერთად რაც იარეთ; რამდენი დღე იქნება?

- თავი გამანებე, თუ კაცი ხარ, ერთი.

გაბრაზდა ჟოაო:

- აქ ვინმე თუ გყავთ!

- არა.

- და მაშინ... ვინ გამოგიშვათ ასე მოხუცი.

- მოხუცი არ ვარ.

- როგორ არა ხარ...

- უბრალოდ, თმა მაქვს თეთრი.

- როგორ არა ხარ... - არ თმობდა ჟოაო.

აქ სანტოსი ურმის ჭალზე გამობმულ ხარს მიუახლოვდა, თოკი შეხსნა, ხელები ამოსდო და მაღლა ასწია.

- ბეჰ! - გადანცვიფრდა ჟოაო, - იი, იიე...

მოხუცმა სანტოსმა კი ხარი ფრთხილად დასვა, გალიებთან მივიდა, მომცრო კაუჭები ამოაგდო; თვალები აემღვრა ფრთებაფართქუნებული, კანუდოსის მიწაზე დამხტარი შინაური ფრინველების დანახვაზე პრუდენსიოს, ვერა, ვერ იყო ჯერ გამაძღარი შურისძიებით.

- შენც აქ მოხვედი? - მოისმა უცებ.

კონსელეირომ ბრძანა. მყისვე მოსწყვიტა თიხის თეთრ სახლებს, და მთელ კანუდოსს მოჯადოებული თვალი დომენიკომ, რიდით ასცქეროდა შავ სამოსაფრიალებულ მენდეს მასიელს.

- დიახ...

- რატომ.

- იქ, კამორაში, აღარ მიმესვლება. კამორელსა ვცემე... - და გამხნევდა. - აი აქ... ათასი დრაჰკანია.

- საიდანა ხარ.

- მაღალ სოფლიდან. მაგრამ იქ აღარ მიმიღებენ.

დაფიქრებული შესცქეროდა მენდეს მასიელი, მერე მოხუცზე გადაიტანა მზერა:

- რა გქვია, ძმაო.

- სანტოსი.

- აი ის ქოხი შენი იქნება, სანტოს. გაუძეხ, ჟოაო. ეს საქონელი დააბინავეთ, გრეგორიო, ზე მოძებნე და, ვინმე ერთიც წამოიყვანოს, საგზალი კარგად მოიმარაგონ. მდინარესთან ჩამოვიდნენ, ვუცდი.

მგზავრს შეაცქერდა. გაფითრებულიყო თავდახრილი დომენიკო, შემხმარი სისხლი გულს ურევდა და შემოიხევდა კიდეც ტანსაცმელს, ეს ხალხი რომ არა, შეგარბაცდა და კამეჩს ჩამოეყრდნო.

- ცუდად ხომ არ ხარ... - ჰკითხა მენდეს მასიელმა.

- დიახ.

- გაწუხებს რამე?

- აი ეს... სისხლი.

საზარლად მოტკბო, დანაფშხვენებული სუნი მხოლოდ ცხვირში კი არა, მთელ სხეულშიაც ესრუტებოდა. ავ ფერსა და სხვათათვის შეუმჩნეველ წებოვან ოხშივარს გაეყვითლებინა საბრალო მგზავრი, მეორე ხელიც შემოხვია მორჩილად მდგარ კამეჩს, ძლივსღა იდგა, მხოლოდ ის აძლებინებდა, რომ არ უნდოდა აქ, ამ უცხო ქალაქში წაქცევა.

- მოდი, გამომყე... მე მოგარჩენ, ნუ გეშინია. აეგ ტომარაც წამოიღე.

გამხნევდასავით. მცირე დაღმართში, მდინარისაკენ ჩადიოდნენ. უცნაური რამ კაცი შემოხვდათ გზაზე, გაკვირვებით შეაცქერდა მგზავრი. იმას კი მოჭუტული თვალები ძალიან ცელქად უბრჭყვიალებდა:

- აჰ, ახალია? მეტნი გავმხდარვართ... ერთი სახელი მიბოძეთ თქვენი.

- მე დომენიკო...

- აჰ, მშვენიერი სახელია, სიტყვებიდან - დომინუს და დომენ... - შეჰღიმილა დონ დიეგომ და, ერთხანს ხუმრობის იშტაზე დამდგარი, უცებ გამკაცრდა; ჯერ დომენიკოს დიდის გულისყურით შეაცქერდა, მერე კონსელეიროს მიაბჯინა მომლოდინე თვალი და, მენდეს მასიელმაც, მზერაარიდებულმა, თავი შეუმჩნევლად, ოდნავ დახარა.

ჩაფიქრებულ დონ დიეგოს გვერდი აუარეს, გზა განაგრძეს და მდინარის პირას შედგნენ, მსუყედ შრიალებდა წყალი.

- რაო, რა მქვიაო...

- დომენიკო.

- დომენიკო, მდინარეში ჩადექ.

დაბნეულმა, ღილზე წაივლო ხელი, მაგრამ მენდეს მასიელმა თავი გაიქნია:

- ტანსაცმლიანად შედი, დომენიკო, ყელამდე ჩადექ, და გაგრეცხავს... - მერე მოკლე ღიმილი აუბჟუტდა თითქოს: - შენისთანები გაურეცხია?

ყელამდე წყალში, მარადახალ მდინარეში მორჩილად ჩამდგარიყო მგზავრი, იწმინდებოდა. უბეში ხელი შეიყო მენდეს მასიელმა, პურის ყუა გამოაძვრინა: - დაიჭერ?

- დიახ.

რკალად გამოსროლილ ყუას თითები სტაცა დომენიკომ, მერამდენე დღის მშიერი, გაცხარებით ილუკმებოდა; სუფთავდებოდა თანაც... გრილ, ამო ზვირთებს მისხალ-მისხალ მიჰქონდათ კამორაში აყოლილი ჭუჭყი... თავი მდინარის სათავისაკენ გადახარა, სისხლგაურეველ წყლისკენ, პურიანი ხელი მაღლა აეშვირა, და იმ ახალი მდინარიდან სვამდა და სვამდა; გაიმართა და ორი ვაკეირო დაინახა, ერთიმეორეზე მოხდენილები, აშოლტილები, შემართულნი - ზე მორეირა და მანუელო კოსტა. განსაკუთრებით, მხიარულ მწყემსს მოხიბლული შესცქეროდა დომენიკო - ასეთი ლაღი, ასე თამამი და თანაც ზრდილი, ჯერ არავინ ენახა.

- ამ ტომარაში ათასი დრაჰკანია, - უთხრა ვაკეიროებს მენდეს მასიელმა, - კამეჩებს კარგად რომ დაასვენებთ, იმ ახალი ურმით წადით, კაატინგასთან გამოღმა დატოვეთ და ბაზრობათა ქალაქში მთელი ამ ფულით თოფები და ტყვია-წამალი იყიდეთ.

ძალიან შეკრთა დომენიკო - ტყვია ახსენეს...

- ის მოხუცი რომ გამოიძინებს, კაატინგასთან გამოვგზავნი. აქეთ, გამოღმა დაგიცდით, ურემთან, თქვენ კი, ყოველ ჯერზე რასაც მოერევით, იმდენი ტვირთი მოზიდეთ ხოლმე და კაატინგაზე გადმოისროლეთ. თქვენ ნუ გამოხვალთ, სანამ ამ ფულს სულ არ დახარჯავთ, რამდენიმე გზა მოგიწევთ და იმ მოხუცს მაინცდამაინც ხმამაღლა ნუ გამოსძახებთ. გამიგეთ?

- დიახ, კონსელეირო.

თიხის ქალაქში მამალმა იყივლა.

- კონსელეირო, - წამოიძახა მდინარიდან დომენიკომ, - თუ შეიძლება, მაგ ათას დრაჰკანს თოფებში და ტყვია-წამალში ნუ დახარჯავთ, რა...

- აბა რა ვუყოთ... - მკაცრად დააცქერდა მენდეს მასიელი.

- სხვა რამ იყიდეთ, რა ვიცი, რაც გნებავთ - სასმელ-საჭმელი, პური და ფქვილი... თოფი სისხლია!

- პური და თოფი... - დინჯად წარმოთქვა კონსელეირომ, - აქ, ახლა, ჩვენთვის, სულ ერთი რომაა, დომენიკო?

- როგორ - სულ ერთი...

- ასეა, ასე... ორივემ ერთად უნდა გვარჩინოს. - და ისევ ვაკეიროებს მიუბრუნდა, - ფრთხილად იყავით. ორკუთხა ქუდს ნუ დაიხურავთ. მთელი ქალაქი ჯაშუშებით იქნება სავსე. ღამით ივაჭრეთ.

„როგორ - სულ ერთი. - ფიქრობდა დაბნეული დომენიკო, - პური და ტყვია... სულ ერთიაო... ა?“

მცირე აღმართში ამავალ ვაკეიროებს შესცქეროდა მენდეს მასიელი. ერთ-ერთ იმათგანს - უკანასკნელად. მძიმედ შემობრუნდა მერე:

- ახლა როგორ ხარ... ცოტა მოგეშვა?

- დიახ, ძალიან. კიდევ დიდხანს უნდა ვიდგე თუ... სანამ საბოლოოდ გაქრება სისხლი.

- ქვეყნად არაფერი ქრება, დომენიკო, - თქვა მენდეს მასიელმა, - მით უმეტეს - სისხლი... შენ მოგშორდება მხოლოდ...

- მერე, სად წავა.

- სად წავა, ჯერ ზღვაში.

- მერე, იქიდან...

- სადმე ყოველთვის, მუდამ იქნება.

- კონსელეირო, - აფორიაქდა დომენიკო, - სულ არაფერი არ იკარგება? ქვეყნად...

- არა.

- არც კვამლი?

- არა. - და გამომცდელად შეაცქერდა, - რამ გაგახსენა კვამლი...

თავი ჩაღუნა დომენიკომ.

- მითხარ.

ისევ იყივლა მამალმა კანუდოსში, გამხნევდა წყალში ჩამდგარი მგზავრი.

- ჩვენთან, სოფელში, - რაღაცნაირად ხვეწნით უამბობდა დომენიკო, ვედრებით ასცქეროდა, - ერთი დღესასწაული ვიცოდით, გაზაფხულობით, მთელი სოფელი აიყრებოდა... - შეფერხდა, თვალი აარიდა, - ერთი კაცის გარდა და ბორცვს გადაღმა ერთი ღამით ვბანაკდებოდით. ავადმყოფებიც გაგვყავდა ხოლმე... და გარიჟრაჟზე ვბრუნდებოდით, რტოებითა და ნაჯახებით ხელში, მზე შიგ სახეში გვირტყამდა, შორიდანვე ალბათ კარგად ვჩანდით და ის ერთი კაცი, ლოდზე შემდგარი გველოდებოდა. ბორცვს ჩავივლიდით, მერე ის ერთი კაცი მაინც გვკითხავდა: ვინმე ხომ არ დარჩა... არა, არავინ - ვპასუხობდით და ის კი მაინც თვალს შეავლებდა იმ ბორცვს, იმ ველს, მიდამოს ირგვლივ და მერეღა ამბობდა: დამილოცნიხართ, კეთილი იყოს თქვენი შემოსვლა... საღამოობით კოცონს ვაჩაღებდით, კონსელეირო, - ისევ შეაცქერდა დომენიკო, ყელამდე წყალში, იწმინდებოდა, - წრეს შემოვარტყამდით და ჯერ უძრავად ვიდექით, სანამ კარგად არ აალდებოდა, მერე კი, რომ ატკაცუნდებოდა და აგუგუნდებოდა ცეცხლი, რიგრიგობით ვუახლოვდებოდით, ტანსაცმლის კალთიდან მომცრო ნაჭერს ჩამოვიხევდით და კოცონზე ვყრიდით - ასე ამბობდნენ, თითქოს ჩვენ, იმსოფლელები, დიდი ხნის წინათ ციდან ჩამოვედით და წინაპრები კი იქ დარჩნენ და ტანსაცმლის ნაგლეჯს ჩვენი ამბებიც სხეულიდან შეჰყვებაო და სხეულის სითბოგამოყოლილი ნაგლეჯის კვამლიც ხომ მაღლა ადის და ვითომ

ცადდარჩენილებს ჩვენი ამბავიც კვამლად აუვათო, ასე ამბობდნენ... კონსელეირო, - ძალიან ღელავდა, - მართლა არაფერი არ იკარგება?

- არა.

- მართლა ასეა, კონსელეირო? ნამდვილად იცით?

მშვიდად და მკაცრად დასცქეროდა კონსელეირო; იმედით უთხრა:

- კი.

აქვე მთავრდება „კანუდოსი“-ს მესამე თავი.

თავი მეოთხე

თუ როგორ გახდა მანუელო კოსტა პირველი დიდი კანუდოსელი

თავს ვეღარ სწევდა ბურანდატეხილი მანუელო, მოპირდაპირედ მჯდარ ზეს დუნედ, გაოგნებული ამოსცქეროდა - დამძიმებოდა ქუთუთოები იმასაც, თავი წამდაუწუმ უვარდებოდა, მერე ნიკაპით მკერდს დაეყრდნო ზე, ისღა მოასწრო, წვნიანი ჯამი განზე გასწია და მაგიდაზე შუბლი ჩამოდო, მწარედ ჩასთვლიმა. იძირებოდა მანუელოც, თვალის გახელის არაქათიც აღარა ჰქონდა, არადა, ბუნდოვნად მიხვდა, ვიღაცამ წელზე რომ შეავლო ხელი, მაჩეტე ამოუძვრინა, თავი... გამ... ნე... ბე... თუ არა“... - ვეღარ აბამდა სიტყვებს, ზედ თეფშზე დაუვარდა თავი, და ხახვის მჭახე სუნიც კი სუსტად, მიძინებულივით სცემდა; ის ათად-ათი დრაჰკანიც მარჯვედ ამოუცოცეს, ვინ, რანი იყვნენ... მერე ჯანჯღარი მოეჩვენა თითქოს, ყელი, მუცელი, მუხლები სტკიოდა - ცხენზე დაეკრათ, სამგან გადაეჭიმათ მანუელოზე თოკი.

- როგორ გააბით... - დინჯად იკითხა დიდმა მარშალმა, სიამის მცირე რამ ნატამალი დასთამაშებდა სახეზე.

- ჩემმა რჩეულმა მეთვალყურეებმა თავიდანვე საეჭვოებად მიიჩნიეს, გრანდისსიმოჰალლე, - ყოჩაღად გაიჭიმა პოლკოვნიკი სეზარ, - ღამით დაძრწოდნენ ბაზრობათა ქალაქში, მერე კი ორი ყუთი ტყვია-წამალი მხრებზე დაიდეს და კაატინგასკენ წავიდნენ. იქ - ერთი, ორი და ის მძიმე ყუთები რიგრიგობით გადაისროლეს, თვითონ კი აქეთ გამოეშურნენ, და ღამის სასადილოში შევიდნენ. იქ კი მთავარ მესასადილოეს ჩემმა კაცმა თვალი უყო და დიდძალი ფხვნილი ჩააყრევინა ამათ კერძებში, ძილისმომგვრელი.

- ფული რამდენი აღმოაჩნდათ.

- ათი დრაჰკანი, გრანდ...

- და აიმ ვაჭარს...

- ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი, გრანდისსიმოჰალლე. აქედან, რვაო, ჩემი იყოო...

- ბრიყვო! ის ორი მწყემსი იქამდე ავაჭრეთ, სანამ მხოლოდ ეგ დარჩათ, არა? ნუთუ ვერ ხვდები, ეს იმ ყმაწვილის ფული იქნება, ბითურად რომ თვლიდით და ჩვენი... ჩვენი კაცი რომ გაგვილახა, ფუჰ, დამავიწყდა იმისი სახელი...

- ჩიჩიო, გრანდ...

- ის დოყლაპია ჩიჩიო რომ გალახა... შენ გააყოლე ვგონებ, არა?

- აჰ, არა, არა, გრანდისსიმოჰალლე, მე მაგისთანა სისულელეს როგორ ვიზამდი, სამიოდ გამოცდილ კაცს მაინც გავაყოლებდი, მიჩინიოს ადგილზე რომ ვყოფილიყავ.

- და... მიჩინიოს მოუვიდა აეგ შეცდომა? მხოლოდ ერთი რომ გააყოლა...

- დიახ, გრანდისსიმოჰალლე. სულ მაჯეებს იკბენს...

- შენი მარცხენა ხელია, მგონი.

თავი ჩაღუნა პოლკოვნიკმა.

- და ხელის უმსგავს მოქმედებაზე ხომ კარგად იცი, პოლკოვნიკო, პასუხს რაც აგებს?

უფრო ჩაღუნა პოლკოვნიკმა ტყვიადამიზნებული თავი.

- რეგვენო, ბრიყვო! - დიდად განრისხდა მარშალი ბეტანკური, - ჯერ ეს ეგ ერთი, იმ ოხერ მწყემსებს რად არ აედევნეთ შეუმჩნევლად, მაგ ათ დრაჰკანსაც ტყვიაწამალში რომ დახარჯავდნენ, სხვა რა გზა რჩებოდათ, ისევ თავიანთ საიდუმლო ხვრელს მიადგებოდნენ და ახლა კი, ასე, მძინარენი, რა ჯანდაბად და ოხრობად მინდა... კარგად იციან, საიდუმლო რომ გინდაც გასცენ, მაინც რომ მივაბრიდავთ და კაატინგასკენ წინ რომ გავუშვათ, ხელად ჩაყურყუმელავდებიან და ხვრელის ბოლოში მაგათი ერთი კაციც რომ იდგეს, თოფიანი, მთელ ჩვენს კორპუსსაც შეაჩერებს, დაჭრილებიც - გაეჩხირებიან, მაგათი დედა, თუმცა ცხენიც ეტევა იმ ხვრელში თუმცა... - აქ კი დაფიქრდა, - და ერთდროულად სამნი რომ გახტნენ... - მთლად დალაგებულად არ ლაპარაკობდა. კვლავ პოლკოვნიკი გაახსენდა, მისი შეცდომა, წყრომით მოეჭმუხნა სახე, - და კიდევ, თანაც, სანამ გაეღვიძებათ, იქით ისინი იყიდიან, ჩვენ რომ აქ გავაბით და გაამახვილებენ ყურადღებას, ყურადღება კი ფხიზლად ყოფნის საწინდარია, მათი სიფხიზლე კი სულაც არ მაწყობს, სრულიად არა, გესმის, შე ბრიყვო!?

- დიდო მარშალო, მე არ ვიცოდი, მხოლოდ ათი დრაჰკანი რომ ჰქონდათ. ასე მეგონა, იმ ბითურის... ეე, ყმაწვილის მთელი ათასი დრაჰკანი აქვთ-მეთქი და მთელი იმ ფულით ნაყიდი იარაღი თანდათანობით რომ გადაეყარათ კაატინგაზე, სად წავა-მეთქი საქმე, ვფიქრობდი...

- მეც მაგას ვამბობ, შე უგუნურო, ის ფული როგორ დაახარჯინეთ, როგორ მიიყვანეთ აქამდე საქმე!.. ჯერ ის ვაჭარი უნდა აგეწიათ და გამოგეკითხათ...

- იყიდიდნენ და თავს შეგვაკლავდნენ, აღარაფერი ექნებოდათ დასაკარგი, გრანდისს...

- იყიდიანო! კაატინგასკენ როცა წავიდნენ, უტვინო, ბრიყვო, იმ ვაჭრისთვის მაშინ უნდა გეტაცათ ხელი.

- აის ვაჭარი მაშინ სულაც არ ვიცოდით, გრანდისსიმოჰალლე, სულ არ ვიცოდით, რომელ ვაჭართან ჰქონდათ საქმე...

- მერე ხომ ნახეთ!

- მერე რომ ვნახეთ, გვიანღა იყო, გრანდისსიმოჰალლე, უკვე ჩაყრილი ჰქონდათ ის ფხვნილი, მერე მიუჯდათ მხოლოდ ვაჭარი.

- ვერ დააცადეთ იმ ვაჭარს მისვლა? შე ტუტუცო, შენ! ანდა იმ ფულის დახარჯვამდე როგორ ვერ აღნუსხეთ ქალაქად შემოსული უცხო ელემენტები, სანამ იმდენი დრაჰკანის თოფ, ტყვია-წამალს გადაზიდავდნენ, რამდენი გზობა დასჭირდებოდათ... თავი იმართლე!

- ეგება ბევრნი იყვნენ თავიდან და ცოტა გზობა გააკეთეს, გრანდისსიმოჰალლე...

- ახხჰ... შტერო, ბრიყვი! - და ბევრნი ერთად უფრო არ უნდა შეგენიშნათ?

იატაკს საწყლად ჩაჩერებოდა მხრებაძურწული პოლკოვნიკი.

გააჟრიალა მარშალ ბეტანკურს, უბეში ფრთხილად შეიყო ხელი, ოთახში გაიარ-გამოიარა.

- ამ ბოლო დროს რაღაც არ მომწონხარ, ჩემო ფედერიკო, - ოდნავ დაუყვავა დიდმა მარშალმა, ძაღლის თვალებით შეაცქერდა სიტყვიერი ლუკმის მოლოდინში ბრჭყვიალა პოლკოვნიკი, - იმდენი ქალის გადამკიდეს, სულ გამოგეწრიტა ჭკუა. ახლა კი, ხედავ, თავსაც ვეღარ იმართლებ, როცა ეს თავისუფლად შესაძლებელია. აი, ხომ შეგეძლო გეთქვა, რომ სამი კაცის თანწარგზავნა ბითურთან ერთად უფრო სახიფათო იყო - ერთ-ერთი რომ გაწუპაკებულიყო, ჭკუა-გონებას თუ დაუბნელებდა ფული, მაშინ ხომ დანარჩენ ორს, ბითურიანად, ძილისას თავში ქვის ჩარტყმით გაასაღებდა, ხოლო ერთ კაცში, სამკაციან ჯგუფთან შედარებით, ხიფათი აშკარად ნაკლებია, სამჯერ ნაკლები. არაა ასე, ჩემო პოლკოვნიკო?

- დიახ, გრანდისსიმოჰალლე! - წამოიძახა გახარებულმა პოლკოვნიკმა, ოდნავ გაიჭიმა.

- შე ყეყეჩო, შენ, მერედა, იმოდენა ხალხში სამი ერთგული თანამშრომელი აღარ მოგეძევება, ბრიყვო?

ისევ ძალიან ჩაიფუშა პოლკოვნიკი სეზარ.

კვლავ ბოლთა დასცა დიდმა მარშალმა, თვალმოჭუტული, თავისას ფიქრობდა.

- კარგი, დამშვიდდი, ფედერიკო, - თქვა მერე, ბოლოს, - როგორც ძველები დიდსულოვნად იტყოდნენ, რაც იყო, იყო. ახლა ესენი სამაგალითოდ უნდა ვაწამოთ, რომ ვათქმევინოთ სუყველაფერი. ჯერ კი მანამდე, ტკბილი სიტყვები, მუქარა და დაპირება სჯობს. წამება ხანდახან ადამიანს აბოროტებს ხოლმე და კრინტსაც აღარ სძრავს. აეგ მწყემსები მაინც ბრიყვები იქნებიან, ასე მგონია... ალბათ წავაბამთ. ის კაციც ხომ აქვე გყავთ, ის იარაღის გადამყიდველი...

- რა თქმა უნდა, დიახ, რა თქმა უნდა, ისიც აქა გვყავს და ვათქმევინე, რომ სულ სხვადასხვა ადგილას ხვდებოდნენ თურმე ერთმანეთს ღამით, და, ერთიც კარგი ამბავი, გრანდისსიმოჰალლე - სულ ჩამოწერილი, უვარგისი თოფები მიუყიდნია...

- აკრძალული ვაჭრობისათვის ჩემი ნებართვა ნეტავ თუ ჰქონდა, რაღაც არ მახსოვს...

- დიახ, გრანდისსიმოჰალლე, - დაირცხვინა პოლკოვნიკმა, თვალი აარიდა.

- რაარ? ჰქონდა თუ არა!

- არა, არ ჰქონდა, გრანდისსიმოჰალლე...

- ჰოდა, ფედერიკო, დამნაშავეა ისიც, და აი იმ ორს დაპირებებით თუ ვერ წავაბამთ, სწორედ აის ვაჭარი თვალწინ სამაგალითოდ უნდა ვუწამოთ. და არა ვინმე სხვა...

- დიახ, გრანდ...

- ვაჭარს იცნობენ, უსაუბრიათ, გარიგებულან, ნაცნობის წამების ხილვა კი უფრო მეტად შთამბეჭდავია - რადგან ჩვეულებრივ მდგომარეობაშიც ახსოვთ, როგორი იყო და წამებით შექმნილი განსხვავება უფრო დიდად ხვდება გულს. არაა ასე?

- დიახ, გრანდ...

- იმ ორ ავაზაკს, ვაკეიროებს, გამოსაფხიზლებლად ხსნარი ასუნთქეთ, დრო აღარ ითმენს.

- დიახ, გრანდის...

- ჯერჯერობით კი ის ორი მწყემსი მდიდრულ ოთახში, ნუმერ რვაში გადაიყვანეთ. ერთი კარგადაც ვასადილოთ ჯერ, რაიმე ნივთი დროებით ვაჩუქოთ, უნდა გავასინჯოთ ცხოვრების გემო, და თუ არ წაებმებიან, ქვედა ოთახში მერე ჩავაგდოთ. უფრო იგრძნობენ დიდ განსხვავებას, და მოტყდებიან. თითოს სამ-სამი მარჯვე დანასროლია დააყენე თავზე. აშკარად. გესმის?

- დიახ, გრანდისსიმოჰალლე...

- რადგან სიკვდილის საფრთხეს ტკბილსაუბრისასაც უნდა გრძნობდნენ, ნუ დააყოვნებ, ბარემ ახლავე გადაატანინე ორივენი ნუმერ რვაში, და გამოსაფხიზლებელს ბლომად რომ ასუნთქებთ, და გონზე მოვლენ, სადილობისას, ცოტა ქალებმაც წაუცეკვონ, აღმოსავლურად. დაპირებებით აუთრთოლონ ზედ ცხვირწინ ტანი, თუმცა, არ უნდა... - ძველი ხერხია. ენა დაიტკბე, ჩემო პოლკოვნიკო, აჩვენე ღონეც და შემძლეობა. სუყოველივე ზომაზე, იცოდე. და თუ ვერ შეძლებ იმათ მოტეხვას, შემატყობინე და საწამებელში რომ შეაბრძანებ, მე საიდუმლო ჭუჭრუტანიდან ყველაფერს მოვისმენ და ვნახავ, იცოდე, ბრძნულად მოიქცე უნდა, ფედერიკო, აბა, შენ იცი, ნუმერ რვაშივე თუ ათქმევინებ... ანდა, როგორმე, ისევ ყოჩაღად გაიჭიმა პოლკოვნიკი სეზარ, მუზაზე დადგა:

- არის როგორმე ვათქმევინო, გრანდისსიმოჰალლე.

კანუდოსის განაპირას, ბორცვზე, მოსაღამოვებულს ორი ქალი იდგა - მანუელა და მარიამი, ვრცელ მინდორს გასცქეროდნენ. არავინ ჩანდა. მოხუცი სანტოსი დატვირთულ ურმიანად რომ მოაყვანინა ინოსენსიოს მენდეს მასიელმა, ბაზრობათა ქალაქის მხრიდან, კაატინგადან, აღარავინ გამოჩენილა მერე. ორი მომლოდინე ქალი იდგა ბორცვზე, საღამოვდებოდა. გული ეწურებოდა მანუელას, მაგრამ ასე, მარიამის გვერდიგვერდ, დაჩივლებასა და ამოოხვრას ერიდებოდა. იმას, მარიამს, შვილებისათვის გადაეხვია ხელი, ზე მორიერას - ოჯახიდან სამნი უცდიდნენ.

ძლივს შემოიძურწა უუძვირფასეს, ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში პოლკოვნიკი სეზარ. დაშინებული, დამორცხვებული, თავდახრილი იდგა. ერთი კი შეავლო თვალი მარშალმა ედმონდო ბეტანკურმა, ფაფუკი სავარძლის სახელურებზე აუთამაშდა გრილი თითები - მიხვედრილობისას უკრავდა თითქოს:

- უარზე დგანან?

- დიახ, გრანდ...

- სულ ოდნავ მაინც ვერ მოარყიე?

- მე მგონი, ვერა, დიდო...

- სულ ვერაფერი ათქმევინე?

- მთლად ვერაფერი ვათქმევინე გრანდისსიმოჰალლე. რეგვენებია.

ოდნავ უხეშად უბიძგა დიდმა მარშალმა მის ბარძაყებში მოკალათებულ არუფას, მძიმედ წამოდგა.

- სადილი მაინც თუ ეგემრიელათ...

- არც დააკარეს პირი, გრანდის...

- ეგებ მოწამლული ეგონათ.

- არა, გრანდისსიმოჰალლე, ყოველი ლანგრიდან იმათ თვალწინ ჯერ მე გიახელით თითო-თითო ლუკმა.

ფარდის შორიახლო მძიმედ შეჩერდა დიდი მარშალი, ერთ-ერთი ამოქარგული თვალიდან პაწია სივრცეს დინჯად გახედა.

- საიდუმლო ხვრელის ხსენებაზე, ძალიან შეეცვალათ სახე?!

- ძალიან, გრანდისსიმოჰალლე - ვითომ სიცილი აუტყდათ... თვალთმაქცებია.

- კედლისკენ შებრუნდი.

მაგიდის უჯრა გამოსწია დიდმა მარშალმა, მცირე ბოთლიდან რაღაც მოყავისფრო სითხე დაისხა კოვზზე, ერთი ყლუპით შესვა, დინჯად წარმოთქვა მერე:

- საწამებელში გადაიყვანეთ, გამოიხედე, მეც იქ ვიქნები, როგორც ერთი მუშაკთაგანი. რბილ სავარძლებში დასვით და ისე აყურებინეთ ვაჭრის წამება. სამაგალითოდ უნდა აბღავლოთ. გამიგე?

- მესმის, გრანდ...

- შეუდექ, წადი.

ორი ბალღის შუა იწვა თვალგახელილი მარიამი, ზეზე ფიქრობდა. მანუელო კოსტას ბალიშზე ხელისგული დაედო იმის ცოლს, მანუელას, რა ექნა, მაინც ჩასძინებოდა - თვრამეტი წლისა იყო მხოლოდ. იმ შუაღამით აალმასებულ მაჩეტეს ლესავდა პრუდენსიო. ღამეულ სიჩუმეში იმისი გაუმაძღარი იარაღი თანაბრად, მკაფიოდ,

ავისმომასწავებლად შხიოდა, ეჭვები ღრღნიდა ჟოაო აბადოს, ძილში კრთებოდნენ კანუდოსელები. თანწამოღებულ კუნძს ჩაფრენოდა ისევ სანტოსი, და ერთადერთი, ვისაც არხეინად ეძინა, დონ დიეგო იყო. თიხის სახლებშუა ძალიან მძიმედ, აუჩქარებლად მიმოდიოდა მენდეს მასიელი, ღამეზე მეტად მოქუფრული, კანუდოსელთა კონსელეირო.

ვაჭრის ნარჩენები რომ გაიტანეს, პოლკოვნიკმა კედელთან მიდგმულ უზურგო, გრძელ სკამზე ჩამომჯდარი სამი კაპრალისკენ გადაიტანა მზერა და ვითომ სასხვათაშორისოდ, დუნედ იკითხა: „ხომ არ დაგვეწყო, ვაკეიროებო, თქვენთან ბაასი, ჰა?“ - და სკამზე ჩამომსხდართაგან მარჯვნიდან პირველმა, კაპრალად გადაცმულმა მარშალმა ბეტანკურმა ოდნავ დახარა თავი. ფერხთით კადიმა ეწვა, იმ დანარჩენ ორს, გადაფითრებულ ნამდვილ კაპრალებს, წებოვან მზერას არ აშორებდა. გამართულნი ისხდნენ სავარძლის კიდეზე ზე მორეირა და მანუელო კოსტა, იმათ წინ კი, ორიოდ ნაბიჯზე ვითომც შემთხვევით დარჩენილი, ვაჭრის თვალი ეგდო. ხელსაწყოებთან ფეხზე დგომელა ისვენებდა ოთხი ჯალათი. კეფასთან ხელი მიეტანა დიდი მარშალის ათ რჩეულ დამცველს, ყველა იქ მყოფი - რაღა თქმა უნდა, მარშალ ბეტანკურის გარდა - განაწილებულ-აყვანილნი ჰყავდათ.

- კი ბატონო, ბრძანეთ, - თქვა მანუელო კოსტამ.

გაოცებულმა გადახედა ზემ: ჯერ არ იცოდა არაფერი და კარგა ხანსაც ვერ გაიგებდა, მანუელოს თუ რა ედო გულში. და კიდევ უფრო განცვიფრდა, რადგან:

- ისე კი, გვიჯობს, ჯერ მე მოგახსენოთ ჩემი სათქმელი, - შესთავაზა პოლკოვნიკს მანუელომ.

კვლავაც დახარა თავი მარჯვნითა კაპრალმა, ამჯერად გაცილებით სწრაფად, და პოლკოვნიკმაც წამოიძახა:

- ბრძანეთ!

- მაგრამ ამასთან ვერაფერს გეტყვით, სანამ უფრო კარგად არ გაკოჭავთ.

სისხლი აუვარდა თავში ზეს, უახლოესი ძმაკაცისაგან ასე მოულოდნელად შეურაცხყოფილმა, განრისხებულმა, მიახლოებულ ჯალათებზე დააპირა ხელის შემართვა, მაგრამ იმ ჯაჭვმა არ დაანება, იდაყვიდან იდაყვამდე ზურგს უკან რომ ჰქონდა გადატარებული.

- თქვენ, რა თქმა უნდა, კანუდოსის აღება და იქ თავშეყრილთა გაჟლეტა გაინტერესებთ, არა? - გულუბრყვილოდ იკითხა მანუელომ, მაგრამ გაცილებით გულუბრყვილოდ ჟღერდა პოლკოვნიკის პასუხი:

- არა, რას ბრძანებთ, ჩვენ თქვენი მხოლოდ სწორ გზაზე დაყენება და გამოსწორება გვსურს მხოლოდ, დიახ, მხოლოდ...

- ძალიან კარგი, - თქვა მანუელომ, - მაგრამ მე თქვენი სულაც არ მჯერა.

გული მიეცა თავით-ფეხებამდე გაკოჭილ ზეს.

- აჰ, როგორ არა, აჰ, რასა ბრძანებთ, რატომ არ გჯერათ... - გულდაწყვეტილივით მიაყარა პოლკოვნიკმა, მაგრამ მანუელომ გააწყვეტინა:

- ყური დამიგდეთ. თუ დამიჯერებთ, კანუდოსი თქვენი იქნება. იმ უბედურის წამებამ გასჭრა. მაგრამ საიდუმლოს ამდენი ხალხის თანდასწრებით ვერ გაგიმხელთ და, ძალიანა გთხოვთ, აი ეს ხალხი მომაცილეთ. თქვენთან პირისპირ საუბარი მსურს, და ესეც, ჩემთან ერთად შეპყრობილი, აქვე იყოს, ოღონდ ვერაფერი რომ ვერ გაიგონოს, ისე...

- ძალიან კარგი, პირისპირ დავრჩეთ, - აღფრთოვანდა პოლკოვნიკი ფედერიკო სეზარ, და უცებ: - ეე, როგორ გითხრათ... - შეფიქრიანდა მოულოდნელად და გამოცოცხლდა, - ორ კანუდოსელთან მარტოდმარტო მე ვერ დავრჩები. თუმცაღა ერთი გაკოჭილია, მეორეს კი, ესე იგი თქვენ, იმდენად გაქვთ შებორკილი ხელები, მხოლოდ სადილის მირთმევასა და წერას თუ შეძლებთ, მაინც, რა ვიცი, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, ხომ გაგიგიათ... თქვენმა თორმეტმა ცხენოსანმა ორასი კაცი გამიჟლიტა და ასე... ორთან... არ მსიამოვნებს მარტოდ დარჩენა. ერთ კაპრალს მაინც დავიტოვებ.

- კეთილი. ამ კანუდოსელს კი, ახლავე თუ არ დაუხშობთ სმენას, გადავიფიქრებ.

- სმენას კი არა, მთლად თავს მოვჭრი ახლავე, ჰალე.

- არა, ეგ კაცი შემდგომ დაგვჭირდება. დროებით უნდა დავუხშოთ სმენა.

- არიქათ, ცვილი! - იყვირა პოლკოვნიკმა სეზარმა.

- ჯერ ცვილი ძალიან ცხელი არის, - თქვა ერთ-ერთმა ჯალათმა.

- მერე, შე... მერედა, მიდი, რაღას უდგეხარ, სამუელინო.

ჯალათის სულის შენაბერი, წაბილწული ცვილით ამოუგლისეს ყურები ზეს, და რა მძულვარედ, როგორი ზიზღით შესცქეროდა პირველი მწყემსი ატლიკინებულ ნაძმაკაცარს - პირობა ჰქონდათ, კამორელები თუ შეიპყრობდნენ, არ დასცდენოდათ სიტყვა.

ოთხნიღა დარჩნენ საწამებელში, თვალს არიდებდა მანუელო ზეს, აინუნშიაც არ აგდებდა გატრუნულ კაპრალს, და მხოლოდ პოლკოვნიკ სეზარს მისჩერებოდა.

- მაშ ასე, გისმენთ, - თქვა მანუელომ, - ჩემგან რა გნებავთ...

- მოდით, ერთი რამ თავიდანვე დავთქვათ, - მომხიბვლელი ღიმილით შესთავაზა პოლკოვნიკმა. - მოდით, პირდაპირ ვილაპარაკოთ, კარგი?

- რა თქმა უნდა, - სიამოვნებით დათანხმდა მანუელო, - მიუკიბავ-მოუკიბავად, და თანაც - მოკლედ. რა გნებავთ ჩემგან.

- საიდუმლო ხვრელი.

თითქოს დაფიქრდა მანუელო, თავი დახარა. მერე ერთბაშად გაიმართა, თამამად გაუსწორა თვალი.

- კარგით, მიგიყვანთ. სწორედ რომ გამართლებული სანახაობა წარმომიდგინეთ - იმ უბედურის წამებამ და ბღავილმა გასჭრა და, მაგის გარდაც, კანუდოსს ისე, უბრალოდ, დასაღუპავად არ გავიმეტებდი, მაგრამ ვიცი, რომ საბოლოოდ მაინც განწირულია, ადრე თუ გვიან, როცა იქნება, მაინც დაგვაქცევთ, და მეორეც რომ, ამგვარ წამებას ალბათ ვერ ავიტანდი. და თუმც ისიც მშვენივრად ვიცი, მაინც რომ მომკლავთ, მოდით, ჯერ რამდენიმე პირობა დავდოთ.

- მიდი ჰო, თქვი... გეთაყვათ, ბრძანეთ.

- ჭეშმარიტი ვაკეიროს სიტყვას გაძლევთ, რომ კანუდოსს ხვრელის წყალობით აგაღებინებთ. თქვენ კი, პოლკოვნიკო, სიტყვა დადეთ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ოღონდ ამ საშინელი იარაღებით ნუ მაწამებთ და, ისე მომკალით.

- თქვენი სიკვდილი რა საკადრისია, როგორ გე...

- არ მაძლევთ სიტყვას?

თავი მრისხანედ დაიქნია მანუელოს უკან მდგარმა დიდმა მარშალმა.

- მეც ჭეშმარიტი პოლკოვნიკის სიტყვას გაძლევთ, ჰალე.

- ძალიან კარგი, გრანდჰალე, მე მჯერა თქვენი... და მაგრამ, მაინც, ნუ გეწყინებათ და, შემომფიცეთ კიდეც.

- ჩემს უსათნოეს მეუღლეს, გრანდჰალლა სტელლას გეფიცებით,-აღუთქვა პოლკოვნიკმა და მყისვე გაწითლდა - თავდახრილი, ისევ მშვენივრად გრძნობდა, როგორც უმზერდა დროებითი კაპრალი.

აქ მანუელოც ძალიან შეცბა - ისეთი ზიზღით შესცქეროდა გაკოჭილი მწყემსი...

- ძალიან კარგი, დიახ... - თქვა არეულმა მანუელომ, თავს ძლივს მოერია, - იმ ჩვენს საიდუმლო ხვრელზე რაიმე ცნობა მოგეპოვებათ?

- ცხენი ეტევა! - მოყოჩაღდა პოლკოვნიკიც.

- და მერე, განა, ერთი და ორი?! - ამაყად წარმოთქვა მანუელომ, თავი შემართა, - ახლა მეორე გარიგებაზეც გადავიდეთ, პოლკოვნიკო... თქვენი სახელი?

- ჩიკოპოტამო, - თქვა პოლკოვნიკმა, ცოლის სახელის სწორად ხსენებამ რა ხეირი დააყარა და... ყოველ შემთხვევისათვის, მარჯვედ იცრუა.

- მოგეხსენებათ, ჩიკოპოტამო, ცოლი და შვილი რა ძვირფასია, - ნაღვლიანად წამოიწყო მანუელომ, - შვილი სამი მყავს, მარგალიტივით... ორი ბიჭი და ერთიც - გოგო. მხოლოდ ჩემი უბადრუკი თავისა გამო მშობლიურ ქალაქს არ გავწირავდი, მაგრამ ცოლ-შვილი, მოგეხსენებათ... ახლა კი კარგად მისმინეთ, გრანდჰალე - მე თუ დავრწმუნდები, რომ ჩემს პატარა ბარათს ნამდვილად გადასცემენ ერთ კანუდოსელს, მერე დამშვიდებული გავამჟღავნებ თქვენთვის ესოდენ დიდმნიშვნელოვან საიდუმლოს.

- ვინ კანუდოსელია, რა ბარათი...

- ცოლის ძმა მყავს ძალიან მოლაყბე ერთი და, ყველას მუდამ რაღაცას გვარიგებს ვითომ, თავისი ჭკუით და მეტსახელად კონსელეირო შევარქვით, - მოგეხსენებათ, მრჩეველსა ნიშნავს.

- როგორ გადავცეთ... აქეთ გამოვა?

- არა, იქ მიცდის. მე... ანდა ბარათს. გული მიგრძნობდა, ბაზრობათა ქალაქში გავებმეოდით და აქ, კამორაშიც თავს ამომაყოფინებენ-მეთქი, ვფიქრობდი და იმას, ცოლისძმას, წამოსვლისას მოვეთათბირე - თუ დამიჭერენ, შეიძლება საიდუმლოც

გამომძალონ და მაშინ როგორმე შენიღბულ ბარათს მოგაწვდი და ჩემი ცოლ-შვილი კანუდოსიდან როგორმე გააპარე...მეთქი.

- კი მაგრამ, როგორ... - ახლა კი დიდად შეეჭვდა პოლკოვნიკი სეზარ, უმოწყალოდ სუსხი შეეპარა ხმაში, - ბარათის მიწვდენის იმედი საიდანღა გქონდა... ჩქარა მითხარი!

- თქვენთვის დიდმნიშვნელოვანი საიდუმლოს გამჟღავნება უკანასკნელ იმედად მქონდა, გრანდჰალე.

კაპრალს გახედა ბრჭყვიალა პოლკოვნიკმა. შეჭოჭმანებულიყო ისიც... მშვიდად განაგრძო მანუელომ.

- წინასწარ იმიტომ დავაწყე ეს გეგმა, დარწმუნებული ვიყავ, ჩიკოპოტამო, თავიდანვე ჩაგვავლებდით, რას წარმოვიდგენდი, კაატინგასთან ისეთი ბითური გუშაგები თუ გედგათ. ჩემი ღალატის მიზეზებსაც აგიხსნით - სანამდე გავძლებთ, ადრე თუ გვიან უჩემოდაც ხომ მაინც იპოვით იმ საიდუმლო ხვრელს, და ბარეღამ ცოლ-შვილს ახლავე გადავარჩენ. თანაც, იმ უბედური ვაჭრის წამება რომ ვნახე, სიჯიუტე და ამაო ვაჟკაცობა არ ღირს, დავრწმუნდი.

ძალიან დუმდა პოლკოვნიკი სეზარ, მერე იკითხა:

- კი მაგრამ, როგორ შევატყობინოთ.

- აი, ამაშია მთელი დავიდარაბა, გრანდჰალე. ახლა რომ გითხრათ, მე წავალ და შევატყობინებ და მაშინვე მოვბრუნდები-მეთქი, რაც არ უნდა ვიფიცო და დარწმუნებებით თავი ვიკლა, მაინც არ დამიჯერებთ, არაა ასე?

- კი. - და პოლკოვნიკს მაცდური აზრი მოუვიდა: - ჩვენს კაცს რომ გავატანოთ...

- ეს რა მითხარით, ჩიკოპოტამო, აჰ, - ჩაეცინა მანუელოს - ხვრელი რომ მიგასწავლოთ, მერე სულ ჩემი ცოლ-შვილის დარდი არ გექნებათ? მაშინვე შეცვივდებით კანუდოსში, ჩემიანები გაპარვას როგორღა მოახერხებენ... ეს როგორა თქვით, არ მოველოდი ამ სიტყვას თქვენგან. ჰმ, ჩვენს კაცსაო... - მწარედ ჩაეღიმა მანუელოს, თავისთვის ჩაილაპარაკა: - ხვრელის ამბავი რომ გაიგონ, ხომ მაშინვე წამაგდებინეს თავი?!

- და თქვენ ხომ გვთხოვეთ, ოღონდ წამებით ნუ მომკლავთო და... - ვითომც სიტყვა მოუჭრა, მაგრამ მაშინვე ენაზე იკბინა პოლკოვნიკმა - აჰ, როგორი რისხვით, და ეჰ,

თან რა დამცინავად შესცქეროდა მარშალი ედმონდო ბეტანკური... არხეინად იღიმებოდა მანუელოც, მხიარული მწყემსი.

- „ეს რა ჯანდაბა მომდის, მარშალთან როგორ ვიბნევი მაინც, ასეთ შეცდომებს... ნებისმიერი სერჟანტიც კი არ ჩაიდენდა, რა ოხრობაა ამის გვერდით ჩემს თავს“... - ნაღვლიანად გაიფიქრა პოლკოვნიკმა.

- შეიძლება სწორი არ ვიყო, - აღნიშნა მანუელომ, - მაგრამ ხომ მაქვს ამგვარი ეჭვების საფუძველი...

- კი მაგრამ, რა ვქნათ, - ფიქრებიდან გამოერკვა პოლკოვნიკი, - როგორ მოვიქცეთ...

- გამოსავალი, ვგონებ არსებობს.

- რომელი... ბრძანეთ!

- თქვენ ჯერ ვერ მიხვდით?

- ვერა.

- მართლა ვერ მიხვდით?

- ვერა.

- ამას გავატანოთ.

ზეს დააცქერდნენ პოლკოვნიკი და დროებითი კაპრალი.

- აი ეგ კაცი, - თქვა მანუელომ, - ნამდვილი ხეპრეა, მაგრამ გარკვეული ღირსებები, როგორც ყოველ ადამიანს, მაგასაცა აქვს. მშვენივრად დააჭენებს ცხენს, მაგალითად... ადვილად მოსატყუებელიცაა. ახლა მოღალატე ვგონივარ, მაგრამ რამენაირად წავაბამ, ცვილს როცა გამოუღებთ ყურებიდან. მაგას თუ გავატანთ ბარათს, და სიტყვას მომცემთ, რომ არაფერს დაუშავებთ გზაში, დღესვე საღამოს საიდუმლო ხვრელი თქვენი იქნება.

თავი სასწრაფოდ დაიქნია მარშალმა ბეტანკურმა.

- კარგით. ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენა გსურთ, - აღუთქვა პოლკოვნიკმა, - სადაა ბარათი. იმედია, ჩვენც გვაჩვენებთ...

- რა თქმა უნდა, - დათანხმდა მანუელო, - მაგრამ ამისთვის ქაღალდი უნდა მომცეთ, და თუ შეიძლება ცოტათი იქითაც მიიწით, გრანდჰალე, არ მიყვარს როცა წერისას ვინმე დამდგომია თავს.

მაგიდაზე მიმოყრილი უცნაური, სისხლშემხმარი ხელსაწყოები სავარძელზე გადაახვავა პოლკოვნიკმა. მაგიდას მიუჯდა მანუელო. იდაყვიდან იდაყვამდე გადაჭიმული სქელი ჯაჭვი ძალიან უშლიდა ხელს, მაგიდისაკენ გადაიხარა და ვერ გამოზომა, იატაკზე დაფრიალდა ქაღალდი. მყისვე ყოჩაღად დაიხარა პოლკოვნიკი, ქაღალდი თავაზიანად მიაწოდა და კაპრალის გვერდით, ისევ განზე გადგა. მანუელომ კი მადლობა უთხრა, პატარა ხანს იჩალიჩა, ოთხად გაკეცა მერე, წამოდგა:

- აი, ესაა.

- ხომ კი გვაჩვენებთ.

- ინებეთ, ნახეთ. ოღონდ ამ კაცმა არ მოჰკრას თვალი.

ფურცელს გაკვირვებული დასცქეროდა პოლკოვნიკი, ვერაფერს მიხვდა:

- რაა... ეს რაა.

- გაგიკვირდათ, ხომ? - გაეღიმა მანუელოს, - ეგ ნიშანია სწორედ იმისა, რომ გზა ხსნილი აქვთ. აბა, რომ დამეწერა, თქვენ იცით ახლა, გაიპარეთ-თქო, ძაან საქმე არ გამომივიდოდა? - ეს ყმაწვილი მარტოკა რომ დაბრუნდება კანუდოსში, თქმა აღარ უნდა, გარკვეულ ეჭვს გამოიწვევს და კარგადაც გაჩხრეკენ. და ეს ბარათი, კონსელეიროს ნაცვლად, მენდეს მასიელს ჩაუვარდება ხელში, ის ვერაფერსაც ვერ მიხვდება, კონსელეირო კი ვითომც რჩევისათვის ჩაიჭყიტავს და ყველაფერს გაიგებს. ეჰ, პოლკოვნიკო, პოლკოვნიკო, - სევდანარევი ღიმილით შეაცქერდა მანუელო კოსტა, - როგორ გგონიათ, ასეთ უბრალო ამბავსაც კი ვერ გავითვალისწინებდი? ბრიყვი გგონივართ... ჰა, როგორა ვქნათ, გავუშვათ ეს კაცი, თუ არა...

- მე... მე მგონია... ხომ არ... იქნება... - უშნოდ აბლუკუნდა პოლკოვნიკი, და მოიფიქრა, - ვნახოთ, მარშალი რა პასუხს გაგვცემს. აი, ამ კაპრალს გავაგზავნი და... კაპრალო, წადით და მოიტანეთ მარშლის პასუხი.

- ტყუილ-უბრალოდ ნუ შეაწუხებთ, - თქვა მანუელომ, - ნუთუ ვერა სცნობთ, ბეტანკურია კაპრალი ესე.

- რაო?.. - ელდა ეცა პოლკოვნიკს, - რაებსა ჩმახავ! საიდან მოიტანე...

- ჯერ ერთი რომ, ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, თქვენს სიტყვა-პასუხში და საქციელშიც იგრძნობოდა, აქ რომ უფროსი გყავდათ - რაღაცნაირად, შებოჭილად მოქმედებდით. ის არსებაც, მაგის ფეხებთან გაწოლილი, მხოლოდ დანარჩენ ორ კაპრალს უბღვერდა, და თვალის კუთხით მაგისი თავის დაქნევანი გინდაც არ შემენიშნა, ჩემ მიერ განგებ დაგდებულ ქაღალდს თქვენ დასწვდით ასაღებად და არა უბრალო კაპრალი, პოლკოვნიკო.

- ეგებ გენერალია რომელიმე, ჩემზე უფროსი... - ერთხელაც გასხმარტალდა პოლკოვნიკი სეზარ.

- ქვეყანამ იცის, კამორაში მეორე კაცი რომ ხართ, გრანდჰალე.

- ძალიან კარგი, - მძიმედ წარმოთქვა დიდმა მარშალმა, - სწორი ხარ, შვილო, ბეტანკური ვარ. ჩემი ნუ მოგერიდებათ, ისაუბრეთ, განაგრძეთ, - და გაიფიქრა: „გველის წიწილი, კარგად მუშაობს...“

- ვგონებ, უკვე შევთანხმდით, გრანდისსიმოჰალლე, - გაიჭიმა პოლკოვნიკი სეზარ, - თქვენი ნებართვაც თუ იქნება და...

- კარგით, გავუშვათ ეგ კაცი, მარდი ბიჭი ჩანს, - ალერსიანათ დათანხმდა მანუელოს დიდი მარშალი, - მაგრამ ხომ ხედავ, როგორი ზიზღით მოგჩერებია, შვილო. ვითომ, დაგიჯერებს?

- როგორმე მოვთაფლავ, გრანდისსიმოჰალლე, ხმას სულ შარბათად გადავიქცევ, ენას დავიტკბობ და რეგვენს სხვა რა უნდა.

- კარგი, შენ იცი.

- და სულ უკანასკნელი გარიგება, მარშალო - რომ დამთანხმდება, მაგ კაცთან ერთად, ოთხივენი, თქვენს თავლაში წავალთ. ამ ყმაწვილს ყველაზე კარგი ცხენის ამორჩევა არ გაუჭირდება, თქვენი ქალაქის კარი გაუღეთ, და რომ გაქუსლავს, ათიოდ წუთის შემდეგ თავით-ფეხამდე თქვენი ვიქნები, გრანდისსიმოჰალლე. მაგას, კარგ ცხენზე ვეღარავინ მიეწევა. მაჩეტეც გაატანოთ უნდა.

აშკარად არ ესიამოვნათ უკანასკნელი პირობა პოლკოვნიკსა და მარშალს, შეიჭმუხნენ.

- თქვენი იმედი და პატივისცემა რომ არ მქონდეს, - განმარტა მანუელომ, - ერთ გამორჩეულ მტრედსაც მოგთხოვდით, მაგას გავატანდი და იქამდე არ გავთქვამდი საიდუმლოს, სანამ ის მტრედი კანუდოსიდან დაბრუნდებოდა. მაგრამ ეს სრულიად

ზედმეტია, ის თქვენი ბოთე გუშაგები ამას ვერ შეაჩერებენ - მთელი ჭკუა ხელ-ფეხში აქვს წასული, გრანდისსიმოჰალლე.

- არა, არა, - თავი გაიქნია პოლკოვნიკმა, - ჯერ ის...

- ხმა ჩაიწყვიტე, - მკაცრად წარმოთქვა დიდმა მარშალმა და მანუელოს მიუბრუნდა, - დრო რომ არ დავკარგოთ, მტრედი გავატანოთ, შვილო.

- ეგრე უფრო დავკარგავთ დროს, გრანდისსიმოჰალლე, - მშვიდად შეაცქერდა მანუელო კოსტა, - ვიცი, რაცა გაქვთ გულში - მაგას მოკლავთ და მტრედს რამდენიმე ხნის შემდეგ აუშვებთ, მაგრამ არ გამოვა - სამგზავროდ გამზადებულს, ჩემ თვალწინ ხელები ხომ უნდა აუხსნათ, და გზად თუკი ვინმე მიუახლოვდება, და თუნდაც სასიკვდილოდ დასჭრის, მაინც მოასწრებს და იმ თქვენ გამორჩეულ მტრედს თავს წააწყვეტს, ჰალე. უკაცრავად - გრანდისსიმოჰალლე. ველოდოთ მერე იმ მტრედის გამოჩენას.

უმძრახად იდგნენ პოლკოვნიკი და დიდი მარშალი.

- ერთი რაღაცა ვერ გამიგია, - გაიკვირვა მანუელომ, - ამოდენა საიდუმლო უნდა შეიტყოთ და აი ამ ერთ რეგვეწზე გეთანაღრებათ გული... კანუდოსს რომ აიღებთ, სადღა წაგივათ, ეგეც თქვენი არ იქნება და ცხენიც?

- ეგ იმ თქვენ ქალაქში მარტოკა რომ დაბრუნდება, - გაბრაზდა პოლკოვნიკი სეზარ, - ყველა მიხვდება, თქვენს საიდუმლოს დიდი დღე რომ აღარ უწერია და გაამახვილებენ ყურადღებას, ხვრელის ამოსასვლელთან აუარება დარაჯს დააყენებენ და ხვრელიდან თავამოყოფილ ჩვენიანებს, გინდაც ათასნი ვიყვნეთ სულ მუსრს გაგვავლებს ათიოდ კაცი!

დააინტერესა დიდი მარშალი პოლკოვნიკის გამონათქვამმა, მანუელოზე გადაიტანა გამომცდელი მზერა.

- ჩემგან არ უნდა გესწავლებოდეთ, პოლკოვნიკო, - ოდნავ გაბრაზდა მანუელოც, - ხვრელის თავთან ღამით შეუმჩნევლად მიხოხდებით, და პირდაპირ კაატინგაში გაისროლეთ, ათასივე კაცმა. მოგეხსენებათ, ტყვიას კაატინგა ვერ შეაჩერებს და იმის მიღმა ყველა გუშაგი განიგმირება. თანაც, ის ხვრელი არც ისე ვიწროა, თქვენ რომ გგონიათ - ექვსი ცხენოსანი ერთდროულად ეტევა. დადგებით იმ ხვრელთან, გაიშვერთ თოფებს და, მე შენ გეტყვი, უვარგისი იარაღი გექნებათ - ერთი ზალპი და იმისი ჯანი.

კრინტს არა სძრავდა გრანდისსიმოჰალლე.

- კარგით, მარშალო, - თქვა მანუელომ, - არ გინდათ, ნუ გინდათ, მოდით, წამებას შეუდექით, ამ კაცს სიტყვას კი არა, ბგერასაც რომ ვერ წამოაცდევინებთ, მშვენივრად ვიცი, და ისიც ვიცი, მე თუ გავმწარდები, ვერც ჩემგან მოისმენს თქვენი ყურები რასმე ღირებულს, ჰალე. წეღან გითხარით, ტანჯვას ვერ ავიტან-მეთქი, და სიმართლეც გითხარით, მაგრამ თქვენის მხრიდან ისეთი წვრილმანის ვერგამეტება, როგორიც ჩემი ცოლ-შვილია, აუცილებლად გამამწარებს და რასაც გეტყვით, იმასაც ვნახავთ. ვნაახოთ... - თვალები აუბრიალდა მანუელოს, - და ემაგ ტანჯვის ატანას რომ შევძლებ, ახლავე დაგიმტკიცებთ...

და მანუელო, იდაყვებშებოჭილი, სავარძელზე დახვავებული ხელსაწყოებისაკენ გვერდულად გადაიხარა, ერთ მათგანს დასწვდა, მოიმარჯვა და მეორე ხელის შუათანა თითში ჩაისო, მოკლედ, ღონივრად გამოსწია და პოლკოვნიკსა და გრანდისსიმოჰალლეს ამოძრობილი ფრჩხილი აჩვენა.

გაკვირვებისაგან ოდნავ გაუბაცდა თვალებში ჩამჯდარი ზიზღი გათოკილ ზეს; კვლავ ჭოჭმანებდნენ პოლკოვნიკი და დიდი მარშალი.

- რაღას უდგეხართ, ჩიკოპოტამო, - თქვა მანუელომ, ამაყად გაიმართა, - ჯალათებს უხმეთ. იმასაც ვნახავთ, რა საიდუმლოს გაგიმხელთ წამებისას... სულ ვერცხლის ლანგრით მოგართმევთ, დიახ.

„საწამებლიდან საღ-სალამათი კანუდოსელი როგორ გავუშვა - ფიქრობდა მარშალი ედმონდო ბეტანკური, - ვის გაუგია მტრის ასე გაშვება, უკანასკნელი ბითური ხომ არ ვარ... მაგრამ საიდუმლო... გვიანი მოქმედების საწამლავი რომ... თუმცა, პირს არაფერს აკარებენ და... ეს ენადქცეული ვაჟბატონი, წამებისას, ვითომ არ იტყვის? შებერტყილი ჩანს, შეიძლება მართლა არა თქვას... როგორ ადვილად გამოიძრო თვითონვე ფრჩხილი... ეს გაკოჭილიც მაგაზე უარესი ყოფილა... მაგრამ გაშვება როგორი... და იარაღიც უნდა დავუბრუნო?...“

- სანამ თქვენ აქ გუნებაში ბჭობთ, დიდო მარშალო, - დამცინავად მიაჩერდა მანუელო კოსტა, - ნეტა განახათ, კანუდოსში როგორ დროს ვატარებთ - სიმღერებს ვმღერით, და ლექსებს ვამბობთ, მდინარეშიაც ვხვანჩალებთ, ჰალე, თუ მოგვეხასიათება... საღამოობით გიტარაზე არხეინად ვუკრავთ, და დიდი, გუგუნა დოლის ხმაზე ცეკვებსა ვცეკვავთ...

სისხლმა აასხა თავში ბეტანკურს:

- თავლაში წადით, პოლკოვნიკო, ახლავე წადით, თუმცა ჯერ არა, ამას როგორც კი დაიყოლიებს, მაშინვე წადით. ყურებიდან ცვილი შენ გამოუღე, არ ჩასჩურჩულოს შეუმჩნევლად რამე, - კარისკენ მძიმედ მიეშურებოდა გაფითრებული მარშალი, მითითებებს გზადაგზა იძლეოდა, - და შენ კი, ბიჭო, ტილიანი ოჯახის მოყვარულო, მუნიანო მწყემსო, - მხარუკუღმა რისხვით გამოხედა, - კარგად იცოდე, ემაგ გაკოჭილთან საუბრისას ფარდის უკან იდგება პოლკოვნიკი და სხვადასხვა სამალავიდან რამდენიმე კაციც გითვალთვალებს სხვა, და რაიმე ნიშანი რომ მისცე მაგ ნაგავს, არც შენი ხვრელი მინდა და არაფერი, ყველაფერს ფეხებზე დავიკიდებ, იცოდე, და უსასტიკესი წამებით ამოგხდი სულს, კარგად იცოდე...

- ასე არა სჯობს, გრანდისსიმოჰალლე? - გაიღიმა მანუელომ, მხიარულმა მწყემსმა, - ცოლ-შვილის დარდი აღარ მექნება.

- რომ ვერ დაიყოლიოს, - შეშფოთდა პოლკოვნიკი სეზარ, გაიჭიმა, - გრანდისსიმოჰალლე?

წამით შეჩერდა კარის სახელურზე თითებშევლებული ედმონდო ბეტანკური და მანუელოს ერთხელაც გახედა.

- დაიყოლიებს, - უგემურად თქვა დიდმა მარშალმა, შეიჭმუხნა, - დაიყოლიებს, ისეთი ოხერი ჩანს...

მთვარიანი ღამით თავაწყვეტილ ცხენს დაუზოგავად მიაჭენებდა ზე, და სუსტად აციაგებულ მდუმარებაში მძლავრი, სიჩუმის ღონივრად დამფლეთი თქარათქური შეჰქონდა, იშმუშნებოდნენ ფოთლებშუა შეყუჟული, ძილგამკრთალი ფრინველები, დაფეთებული სიჩუმე გაურბოდა ზეს, მაგრამ ფლოქვებით მაინც მიწაზე ილურსმებოდა ადგილის მდუმარება, ისე სწრაფად ჩაუქროლებდა ათრთოლებულ მიდამოს პირველი მწყემსი, და ხმაურმიღწეული შორეთი იძაბებოდა, ცხენზე იჯდა ზე, გაგიხარია... ქვიან ბილიკზე ფლოქვებქვეშ მჭახე, ირიბი ნაპერწკლები სხლტოდნენ, ქვიშაზე მძიმედ მიჭენაობდა ცხენი, ყრუ დაგადუგი გაისმოდა ღამეული სიცივით გამკვრივებულ მიწაზე, კანუდოსისკენ მიიჩქაროდა უცნაურად განთავისუფლებული მწყემსი, ეჭვები ღრღნიდა, და დიდის ამბით გამოტანილი საიდუმლო ბარათი უბეში ედო და მკერდს უხურებდა... ჩექმის ჯიბეში შიშველი მაჩეტე იმედად ეგულებოდა წინგადახრილს, ჯაჭვშემოცლილი, დაძარღვული ხელები აღარ უბჟუოდა, სადავეცა და წკეპლაც ერთნაირად მსუბუქად ეჭირა, ჭენებისას დაღლის ნაცვლად ისვენებდა ცხენზე გაზრდილი მწყემსი, მაგრამ ძალიან მოჭმუხვნოდა ყვრიმალებდაბერილი სახე, მთვარის უნდო ნათელით აბჟუტებულ სივრცეს კუშტად გასცქეროდა... გზად ცხენი ორჯერ გამოიცვალა, მაინცდამაინც არც

შეფერხებულა, ისე - ბაზრობათა ქალაქთან ამხედრებულ კამორელთა ჯგუფი იდგა და, უკვე დღე იყო, შორიდანვე შეირჩია ცხენთაგან უკეთესი და ყველაზე მეტად დასვენებული, მეხივით მიეჭრა, ეგრევე აიწია და დაახტა, იმის განცვიფრებულ და შიშნაჭამ პატრონს კი კარგა მაგარი ბრაგვანი გაადენინა; მერე იყო და, კაატინგას მისადგომებთან, სილაში, მისკენ ზურგით მჯდარ, სასტიკ მცენარეში მთელის გულისყურით მომზირალ გუშაგს უხმაუროდ მიეპარა, უკანიდან თავში ჩააფარა და წამსვე დაიკავა დიდხანს ჯდომისაგან ჩათბუნებული იმისი უნაგირი, გადაიწია კაატინგა და, შორს ჩამოიტოვა წვალება-ტანჯვით ძლივს წამომდგარი, ადგილზე დაბარბაცებული გუშაგი.

კანუდოსში გვიანი ღამით იყო, და მოერიდა ასე, ცხენდაცხენ ჭენებითა და ხმაურით შესვლა მიძინებულ თიხის ქალაქში, ჩამოქვეითდა, მიატოვა დაღლილი ცხენი და კანუდოსში ფეხით შევიდა. მდინარის წყნარად ნაქსოვი ხმა შემოესმა, მონაცრისფროდ მთვლემარე თეთრ კანუდოსში ფეხაკრეფით მიდიოდა ზე, რადგან გზა ყოველნაირ საცხოვრებელთა შორის ყველაზე მეტად გატრუნულ - თიხის ქოხებშუა ედო...

თავისი სუფთა, მომლოდინე სახლისკენ ცალი თვალითაც კი ვერ ბედავდა გახედვას, კონსელეიროს ქოხისაკენ მიაბიჯებდა. კარი არ ებათ სახლებს კანუდოსში. ზღრუბლთან შედგა და მორიდებით ჩაახველა. „შენ ხარ, ზე?“ - მშვიდად გაისმა. „მე ვარ... კი“, „შემოდი“. ძალიან ბნელოდა ოთახში, ჭრაქი აანთო მენდეს მასიელმა, და ყოველივე სუსტად ალიცლიცდა, ფარფატა ჩრდილებით ილოკებოდა ბუნდოვანი ოთახი. ისევ ზღრუბლისკენ შეაბრუნა თავი მენდეს მასიელმა, ხელით მოიჩრდილა, „რომელი ხარ მანდ...“ „მე გახლავართ - დონ დიეგო“. „რამ შეგაწუხა“. „აჰ, ეს ზე ყოფილა?.. აღარ ველოდი. თვალი მოვკარი, ამ შუაღამით აქ რომ ვიღაცა შემოიპარა და... რა ვიცოდი, თუ დაუსხლტებოდა, - და შემპარავად, ფრთხილად ითხოვა: - ხელს ძალიან თუ არ შეგიშლით, მაინტერესებს მაგათი ამბავი...“ „კარგი, შემოდი, - ნება დართო მენდეს მასიელმა და ზეს მიუბრუნდა: - რა გადაგხდათ თავს, სადაა მანუელო, წვრილად მიამბე სუყველაფერი...“

მანუელო კი, ზე თვალს რომ მიეფარა, გაარხეინდა და სულწასულ პოლკოვნიკს ამშვიდებდა: „კარგი, მოიცა, ჩიკოპოტამო, სად გვეჩქარება, გავიდეს ათი წუთი“. პოლკოვნიკი კი მაინც ჩქარობდა, და როგორც იქნა და სილის ათწუთიანი საათი რომ ჩამოიცალა, სახელოზე დაქაჩა მოუთმენელი ხელით:

- წამო, წავიდეთ.

- სად წავიდეთ.

- როგორ თუ სად, კაატინგასთან...

- ფეხით? - იკითხა მანუელომ, - ძაან შორია.

- ფეხით კი არა... აი აქ დგანან ცხენები, აი.

- ცხენი რად გვინდა...

- აბა რითი წავიდეთ, ჰალე...

- სად უნდა წავიდეთ რო...

- როგორ თუ სად, კაატინგასთან...

- კაატინგასთან რაღა გვინდა...

- აბა სადაა საიდუმლო ხვრელი...

- რა ხვრელი... - თქვა მანუელომ.

„მერე ერთი რამ გამიკვირდა, - განაგრძობდა ზე, - ის კაპრალი საუბარში რომ ჩაერია, არ ვიცი, ისეთი რა უნდა ეთქვა, მაგრამ ძალიან გაჭიმული და გაფითრებული იდგა მის წინაშე პოლკოვნიკი. მანუელოზეც ცოტათი გამინელდა ბრაზი, რადგან კაპრალი აშკარად განაწყენებული გავიდა. მერე პოლკოვნიკმა ყურებიდან ცვილი ამომიღო, თოკი შემომხსნა, და სანამ კარს მიიჯახუნებდა, მანუელომ თვალი ჩამიკრა, რატომღაც გახარებული ჩანდა. მე მაინც უნდოდ შევცქეროდი - პირობა გვქონდა, კრინტი არ დაგვეძრა. ის კი მთლად ენად გადაიქცა კამორელებთან. ალაპარაკებული, იქამდე თუ სულ თვალს მარიდებდა, ორნი რომ დავრჩით, ისეთნაირად შემომაცქერდა, დავიბენი და ახლა მე ავარიდე თვალი, ვერ ვენდობოდი მაინც, მაგრამ ფეხი რომ უნდა ამომერტყა ყბაში, გადავიფიქრე, ისეთნაირად იღიმებოდა, კანუდოსისთვის სიკეთე თუ გინდა, მითხრა მანუელომ და ის გაკეცილი ბარათი მომცა, ძალიან რომ ათვალიერებდნენ პოლკოვნიკი და კაპრალი - ეს ბარათი კონსელეიროს გადაეცი და პასუხსაც ის გამოგატანსო. ისე გულღიად შემომყურებდა, დავუჯერე... თქვენი სახელიც ახსენა და... ისიც წამოგვყვა. და დიდ თავლაში ამომარჩევინა პოლკოვნიკმა ცხენი. დავაჯექ და წამოვედი, არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა... ბარათში რაიმე ხრიკი არ იყოს“. „სადაა, მაჩვენე“, - მიუახლოვდა მენდეს მასიელი. ზემ ფრთხილად ჩაიყო უბეში ხელი, ოთხად გაკეცილი ბარათი გამოაძვრინა. კონსელეიროს ჭრაქთან მივიდა, სუსტი შუქით გამჟღავნებულ ბარათს დააცქერდა, გადაატრიალა, გადმოატრიალა, ათვალიერა ერთხანს, და დონ დიეგო მიიხმო მერე: „მოდი, შენც ნახე...“ დონ დიეგომ კი ბარათს ერთი დახედა და უცნაურად შეაცქერდა ზეს, თვალში

სისოვლე მოეძალა, რაღაცნაირად, თანაუგრძნობდა. ამაყად გახევებულიყო ზღურბლთან მისული კონსელეირო, ღამეს გასცქეროდა. „აი ის კაპრალი, ლაპარაკისას, ხელებს იფშვნეტდა?“ - იკითხა დონ დიეგომ. „კი“. „უბეში ხომ არ იყოფდა წამდაუწუმ ხელს...“ „კი. და აჟრჟოლებდა“. ერთმანეთს წამით გაუსწორეს თვალი დონ დიეგომ და შემობრუნებულმა კონსელეირომ, „საიდუმლო ხვრელი ორჯერ ახსენესო, არა?“. „ორჯერ, კი“. „ასეც ვიფიქრე, კონსელეირო, - ხმადაბლა უთხრა დონ დიეგომ, - არარსებული ხვრელის ჩვენებას დაპირდებოდა, თანაც, როგორი საქმეა ორი ისეთი ავაზაკის საწამებელში მოტყუება, იქით ისინი წაუბია, აქეთ - ეს, მეც კი გამიჭირდებოდა მსგავსი არტისტიზმი... - და ზეს შეაცქერდა, - შენ არ გინახავს, ბარათი, არა?“ „არა, - კუშტად თქვა ზემ, - საწამებელში არ მაჩვენეს და წამოსვლის წინ კი მანუელოს სიტყვა მივეცი, რომ არ ვნახავდი. ძალიან დამიჩემა... - და ისევ ბოღმა შემოაწვა, - იმათ კი, ორივეს, ისეთი დიდი სიამოვნებით აჩვენა!“ ისევ გაუსწორეს ერთმანეთს პატარა ხნით თვალი დონ დიეგომ და კონსელეირომ, და ზე გაცხარდა: „ბოლოს და ბოლოს, რა ბარათია, ხომ უნდა ვიცოდე, დროებით რისთვის გამომიშვეს!“ „დროებით არ ხარ გამოშვებული, დაწყნარდი, კარგი... - ხმა დაურბილდა დონ დიეგოს, - მალე გაიგებ ყველაფერს, მაგრამ ჯერ ერთი რამ უნდა გკითხო - როგორ დაშორდი...“ „ვის, იმას?“ - ვერ ახსენებდა ძმაკაცის სახელს. „მანუელოს, კი“. „ცივად, ცოტათი... - განზე გაიხედა ზემ - სანამ იმ გამორჩეულ ცხენზე შევჯდებოდი, მომიახლოვდა და გამიღიმა“. „ურცხვად ხომ არა...“ - ძალიან დაინტერესდა დონ დიეგო, ერთიანად აიწურა. „მე მგონი, ურცხვად... და ესეც არ მაკმარა - იდაყვები რადგან შებოჭილი ჰქონდა, ცალი ხელი ზურგს უკან წაიღო, რამდენადაც შეეძლო, ისე, ამით მეორეს მეტი თავისუფლება მისცა, და მაინც გვერდზე ძალიან დასჭირდა გადახრა, გადაიხარა და როგორღაც შეძლო, მხარზე დამადო ხელი, მკითხა: გახსოვს, ხანდახან ღამღამობით ერთად რომ ვსვამდით?“ „და, გიღიმოდა?“ „კი. მაგრამ მერე, არც ისე ურცხვად...“ „შენ რაღა ჰქენი, ზე... გაუღიმე?“ „არა. მე მხარი ავუკარი, და ხელი ავაღებინე, რადგან ბოლომდე დარწმუნებული ახლაც არა ვარ მასში“. „მერე, ეწყინა?“ „წყენით არ ვიცი, ისე კი, ნაღვლიანად და თან სიხარულით შემომცქეროდა... - და უცებ რისხვა შემოაწვა ეჭვებაშლილ ზეს, - აღარ მაჩვენებთ იმ ოხერ ბარათს!?“.

კონსელეირო ჭრაქიანად მიუახლოვდა, მომეტებულად აცახცახდნენ ქოხში ჩრდილები, სევდანარევი სიამაყით შესცქეროდა ზეს, და წყნარად უთხრა: „ბარათს გაჩვენებ, ოღონდ გამაგრდი, ზე...“ ხმისამოუღებლად გაიშვირა ხელი შემკრთალმა მწყემსმა, სწრაფად გაშალა დაკეცილი ბარათი, ჭრაქს მიუახლოვდა და გაშრა - საკვირველებავ, ქათქათა ფურცელს ერთი წერტილიც კი არსად აჩნდა. მთლად სუფთა იყო! „რაა... ეს რაა!“ - წამოიძახა გაფითრებულმა პირველმა მწყემსმა, და

სუყველაფერს ერთბაშად მიხვდა, დონ დიეგომ კი მაინც აუხსნა: „გადაურჩენიხარ, ზე“.

მანუელო კი იქ, კამორაში, გაუთავებლად იმეორებდა:

- რა ხვრელი, რის ხვრელი...

- როგორ თუ რა ხვრელი... - თმა აბურძგნოდა პოლკოვნიკ სეზარს, - რეებს მიქარავ, სადაა ხვრელი...

- რომელი ხვრელი... - ლაღად ჩერჩეტობდა მანუელო, - ხვრელი ძალიან ბევრნაირია... თქვენ რომელი გაინტერესებთ?

„სად უნდა დაბრუნდე, რას ამბობ, ზე, - წინ გადაუდგა და ხელისგული მიაშვირა დონ დიეგომ, - კამორაში შესვლისას ისევ ჩაგაბამენ ჯაჭვს და იმ პოლკოვნიკს თითსაც ვერ დააკარებ...“ „უნდა წავიდე მაინც. ჩამომეცალე“, - მკაცრად შეხედა ზემ. „ჯერ მომისმინე, ზე, და მერე წადი“, „ჩქარა მითხარი“, - გაღიზიანდა პირველი მწყემსი, მოუთმენლად მოინაცვლა ფეხი. „კარგად დამიგდე ოღონდ, ზე, ყური, - გაბრაზებულსა და თვალარიდებულს, დონ დიეგო ჯიუტად შესცქეროდა, - ჯერ ეს ერთი, რომ მაინც წამებით ამოგხდიან ორთავეს სულს, რადგან ის ხვრელი, კარგად იცი, სულ არ არსებობს, მეორეც ის, რომ მანუელომ იცოდა ყველაზე მეტად შენ რომ გვჭირდები აქ, კანუდოსში, რადგანაც დიდი ბრძოლები გველის, შენ კი პირველი მეომარი ხარ. ჩემს შემდეგ“. აბუჩად შეავლო თვალი ზე მორეირამ, მაგრამ დონ დიეგომ უშფოთველად განაგრძო: „მესამეც ის, ზე, რომ შეიძლება მანუელოს იმედი აქვს, ვითომ ხვრელისკენ რომ წაიყვანს კამორელებს, აიღებს და კაატინგაში გამოვა, ეძებონ მერე, - და შეუმჩნევლად დაიმორცხვა აქ დონ დიეგომ - მშვენივრად იცოდა, კაატინგას სიახლოვეს ორ-სამ თოკს მაინც შემოახვევდნენ მანუელოს წელზე, - მეოთხე ის, რომ იქ თუ დაბრუნდები, ისევ შენს გადარჩენაზე დაიწყებს ფიქრს და ამით ძალიან ცუდ სამსახურს გაუწევ, თავისი თავის გადასარჩენად ძალიან შეუშლი ხელს, ზე, რადგან ორივეს ერთად, კაატინგასთან არ მიგიშვებენ, აქვთ იმ ნაგავებს იმდენი ჭკუა, და მეხუთეც ის, - მიუახლოვდა დონ დიეგო, მხარზე ნუგეშად დაადო ხელი, - ცოცხალი აღარც იქნება მანუელო, და იმ ნაძირალების გახარების მეტს ვერაფერს მიაღწევ, და ის გიჯობს, ზე, აქ რომ დარჩე და შური იძიო. დიდი ბრძოლები გველის. აგერ პრუდენსიომ, ძმები იმისთვის მიატოვა, შური რომ ეძია...“ აწურული მხრები ჩამოეყარა პირველ მწყემსს, გაიბზარა... მენდეს მასიელისკენ გააპარა უმწეო მზერა. იმანაც მძიმედ, დამაჯერებლად დახარა თავი, დინჯად აუხსნა: „როდესაც ჭირში ადამიანს გვერდით ჰყავს ვინმე, ისიც მასავით განწირული, უმსუბუქდება ხვედრი... მანუელომ კი, როგორც ხედავ, ზე, თავს სძლია და სასტიკი ტანჯვის

მოლოდინში, შენზე ფიქრობდა. და იმიტომაც მოგატყუა, იცოდა, ზე, რომ ქედმაღალი ხარ, მის დატოვებას არ იკადრებდი. ძალიანა გთხოვ, ნუ ჩაუყრი ამ დიდ სიკეთეს წყალში, ცოდოა...“ ფრთხილად მოიშორა დონ დიეგოს ხელი ზემ, თავჩაქინდრული, ქოხიდან გავიდა, ძლივს აითრია ფეხი...

- ასე არ ხდება, არა, არა, არ ხდება-მეთქი, - გაცხარებული იმეორებდა დიდი მარშალი, - ფეხებზე დაიკიდებდა იმ ამხანაგს თუ რა ჯანდაბა ერქვა, ცოლ-შვილსაც ზედ არ მიაფურთხებდა, ჩვენგან შეწყნარების იმედი რომ არ ჰქონოდა, ასეთია ადამიანის ბუნება და წესი...

- არ ვიტყვიო და, გრანდისსიმოჰალლე...

- ისე იტყვის რომ, ძალიან კოხტად... შენი მოწონებული... მზე მაღლა იქნება, - თავს იმშვიდებდა დიდი მარშალი, - სამაგალითოდ უნდა ვაწამოთ, და თუ ოთხივე სანაქებო ჯალათის ხელოვნებამ არ გასჭრა, არუფას გაგატან და კარგად მოვაშიებ მანამდე...

- პირს არ აკარებს მაინც საჭმელს, გრანდ...

- არუფას მოვაშიებ-მეთქი, მაგას კი არა, ბრიყვო... - კვლავ ბოლთა დასცა დიდმა მარშალმა, ხელებს იფშვნეტდა, - მაშ, ასე გითხრა?

- დიახ, სწორედ ეგრე მითხრა, გრანდისსიმოჰალლე - ამხანაგი ხომ გადავარჩინე და ახლა არაფერს არ გეტყვითო ...

- ტყუილია ეგ. ადამიანია, ბოლოს და ბოლოს... და, რადგან ყოველ ადამიანს, სხვისი ჭირი უფრო ამხნევებს, ასე, უბრალოდ, მხოლოდ იმისი გადარჩენისთვის გვერდიდან არ მოიცილებდა. რაღაც სხვაშია, პოლკოვნიკო, საქმე...

- ასე კი იძახდა და... ხანდახან იმასაც ამბობს, რა ხვრელი, რის ხვრელიო...

- ძალიან კარგი, - გაღიზიანდა დიდი მარშალი, - იმასაც ვნახავთ, წამებისას როგორი ხუმარაობის ხასიათზე იქნება. მეც წამოგყვები. გასასვლელები ხომ საიმედოდ ჩაკეტილია...

- დიახ, გრანდ...

- წამო, წავიდეთ.

ტანსაცმლიანად გაწოლილიყო ქვეშაგებში მწარედ ფიქრებაშლილი მწყემსი, ხელები თავქვეშ ამოედო, ბნელ ჭერს შესცქეროდა; არ სიამოვნებდა მარიამის ნაზი

ხელისგული, მკერდზე რომ ედო; კედლისკენ გადაბრუნდა. „რა შენი ბრალია, გამოიხედე, ზე... - ხმადაბლა უთხრა მარიამმა, ახლოს მიუჩოჩდა, აეკრო, - მაინც ორივე დაიღუპებოდით... რას შემატებდა შენი სიკვდილი. გამოიხედე... იმას კი მართლა შეემატა, რა ვიცი, როგორ ეძახიან... ვაჟკაცობაო, თავდადება. გამოიხედე...“ „დამანებე თავი...“ - თქვა ზემ, მძიმედ წამოდგა, მთელი ოთახი გადაიარა, მოპირდაპირე კუნჭულში მიწვა, მოიკუნტა.

- იმ კაცის გაშვება მოგვთხოვე, შვილო და, გავუშვით, - ამბობდა მარშალი ბეტანკური, - ცხენი თვითონ ამოირჩიოსო და ამოვარჩევინეთ, ათ წუთს ნურავინ დაედევნებითო და, ვინ ოხერი, ვინ გადგა ნახევარ საათს ფეხი... ის რაღაც ბარათი უნდა გავატანოო და, ხომ გავატანეთ, მაჩეტე უნდა დაუბრუნოთო, დაიჟინე და, აკი დავუბრუნეთ, მანამდე კარგად გაგვაკოჭინე და ცვილით ამოგვაგლესინე იმ კაცის ყურები, შენი სურვილით, და, ესეც არ იყოს ჭეშმარიტი ვაკეიროს სიტყვა ხომ კი მოგვეცი, და ახლა აღარ იძახი არაფერს, შვილო?

- რა უნდა ვთქვა რო... - ხმადაბლა იკითხა მანუელომ, ცოტათი მართლა დამორცხვებული ჩანდა.

- სადაა ხვრელი...

- რა ხვრელი... - წამოიძახა მანუელომ და გაწითლდა.

თვალთ დაუბნელდა მარშალ ბეტანკურს, განრისხებისგან სულ აერ-დაერია გონება, და, სასწაულით, მაინც შეიკავა თავი:

- ეგაა ჭეშმარიტი ვაკეიროს სიტყვა? - გულდათუთქული პატიოსნებით დაეკითხა, - ასე უნდა მოგეტყუებინე, შვილო?

- მაგისი ბრალია, - პოლკოვნიკისკენ, განზე, ორჯერ მკვეთრად გაიქნია ცერი მანუელომ, - მაგან დაიწყო თავიდან ტყუილები, მე კი არა... და ამიყოლია. აქ არ იყავით თქვენც?

- რა მოგატყუა? მითხარი და, დავსჯი...

- რა მომატყუა და, ჯერ ერთი, ჩიკოპოტამო მქვიაო, მითხრა. ადამიანურად ვკითხე სახელი და... სულ არ დამინდო, გამამასხარავა, - საწყლად ჩიოდა ვითომ მანუელო, - ესაა საქმე? რა დავუშავე, რას მატყუებდა...

- მართლა ჩიკოპოტამო მქვია. - არ დაიბნა პოლკოვნიკი, - შინაურობაში ასე მეძახიან, ღმერთმანი.

- კი, როგორ არა, დიახ, - დამცინავად შეაცქერდა მანუელო, - შინაც და გარეთ ფედერიკოს გეძახიან, გრანდჰალე.

- საიდან იცი ჩემი სახელი... - განცვიფრდა პოლკოვნიკი.

- მითხრა ერთმა ქალმა... შინაურობაში მაგას თუ გეძახიან, იმ ქალს აღარ ეცოდინებოდა? საკმაოდ ახლოს ყოფილა თქვენთან. ზედმიწევნით ახლოს, გრანდჰალე, თქვენი გადახრანიც კი მიამბო, ასე, რომ, იმ ქალის წყალობით, მოხარშულს გიცნობთ. ისე, ცოტათი ჩვენც ახლობლები გამოვდივართ, იმ ქალის გამოისობით, შენ და მე...

- ვინ, რა ქალია! - გადანრისხდა პოლკოვნიკი, - ახლავე მითხარი!!!

- ჰეჰ, - კოხტად ჩაეცინა მანუელოს, - ხვრელს არ გიმხელ და, იმ ქალის სახელს გეტყვი, ჰალე? - და დააყოლა, - უთხარით, რა, დიდო მარშალო, ეგრე ძალიან ნუ მიბრიალებს თვალებს, მეშინია... - მთლად მოისაწყლა თავი მანუელომ.

- ენა ჩაიგდე, ფედერიკო, და განზე გადექ! - ხმა აღიმაღლა დიდმა მარშალმა.

კუთხეში მიიყუჟა დატუქსული პოლკოვნიკი, ნაცემი ძაღლივით გამოხედა მანუელოს, მაგრამ მზერაში ღრენაც ერია. მანუელომ კი ნიშნით მიუგო:

- ახია შენზე, - უთხრა პოლკოვნიკს, - აბა რა გეჩიკოპოტამოებოდა?

- მომხედე, შვილო, - დაუყვავა მარშალმა ბეტანკურმა, - ნუ აქცევ მაგას ამდენ ყურადღებას, არაა ღირსი, თუკი გვეტყვი ან მიგვანიშნებ, სადაა ხვრელი, ცოცხალსაც გაგიშვებთ და იმ ათ დრაჰკანსაც ერთი-სამმაგად დაგიბრუნებთ, შენიანებსაც...

მაგრამ მანუელოს უცებ მობეზრდა თვალთმაქცობა და თამაში, გააწყვეტინა:

- ჩემგან ერთ სიტყვასაც ვეღარ გაიგებ, და შვილოსაც ნუ დამიძახებ, მამაჩემი გარეწარი არ იყო. მიდით, შეუდექით.

და, სავარძელზე დახვავებულ, აკრიალებულ ხელსაწყოებს, ზიზღით დახედა - რაღაცნაირი დაგრეხილი ნემსები, მარწუხები, მაკრატელი, სქელი მავთული, დაკლაკნილი რკინა...

- აბა, ვნახოთ თუ ვერ გათქმევინებ, ძაღლიშვილო.

- ძაღლთაპირო, ვნახოთ, - ყვრიმალები დაებერა მანუელოს, - შენ მხოლოდ იმას ნახავ, დამონებული ავაზაკების თავო და თავო, როგორ მოკვდება თავისუფალი მწყემსი.

- გამოდით, ჩქარა, - შესძახა მარშალმა ბეტანკურმა და თავისი ხელით გადასწია ფარდა. ოთხივე გატრუნული ჯალათი იქ იდგა თურმე, ცვილი გამოიჩიჩქნეს ყურებიდან, - ძალიან უცებ არ შემოგაკვდეთ, მაესტროებო, ნელა, ნელინელ აწამეთ, ძალიან ნელინელა... და არუფაზე თუ მიდგა საქმე, შენ მომახსენებ, პოლკოვნიკო, ნუმერ მეხუთეში ვიქნები. ყოფა უტირეთ...

სახელოები დაიკაპიწეს ჯალათებმა და, ერთმა პერანგიც კი გადაიძრო; ხელებში ჩასჭიდეს ხელი.

- შვიდი არუფა რომ დამახვიო, მაინც არაფერს გეტყვი, ვირიშვილო შენ.... - თქვა მანუელომ.

- არუფა კაცი ggონია, არა? - ზედ კართან შედგა დიდი მარშალი, თვალმოჭუტულმა გამოხედა, გააჟრჟოლა.

- აბა, ქალია? ამისი თუა, კარგი იქნება, - პოლკოვნიკისკენ ნიკაპი გაიშვირა მანუელომ, - ქალების ჭკუა...

- ნახავ, რაც არის...

- შენნაირი ოხერის მერე აღარაფერი გამაკვირვებს, ნაძირალების ჭკუა-gონების სალაფავო, შენ... იმასაც ნახავ, რასაც გაიgებ.

- ვნაახოთ, ვნაახავთ, - მთლად აკანკალდა დიდი მარშალი. თითებს იმტვრევდა.

- ვნახავთ, კი, ვნახავთ, - ზიზღით გამოაჯავრა მანუელომ და იმ საშინელ ხელსაწყოებს ისევ რომ გადახედა, ერთხანს თითქოს შეკრთა, მაგრამ მაშინვე გაახსენდა: „რა უნდა ვთქვა რო... ძალიანაც რომ მოვინდომო, ვთქვათ, რაც არ ვიცი, იმას როგორ ვიტყვი, - და აქ ძალიან გამხიარულდა, - ვაჰ, ეს რა კარგი რამ მოვიgონე... ვაჰ, ეს რა ძალიან კარგი რამე მოვიgონე, მინდა-არმინდა, მაინც gმირი ვარ...“

ეს სიტყვა, gმირი, რაღა თქმა უნდა, ხუმრობით გაიფიქრა...

ღამე გაბაცდა, გათენებისა ეშინოდა კუთხეში საწყლად მოკუნტულ ზეს, სიბნელის მოსურნეს, თვალები მაგრად დაეხუჭა, მაგრამ დროს, დილას, რომელი შიში შეაჩერებდა - ოთახიდანაც გარეთ იწოვებოდა დანამცეცებული, მძიმედ მოტივტივე ბინდი, და ზეს gულმოსაკლავად, ისე თვალნათლივ მსუბუქდებოდა... გატრუნული იწვა პირველი მწყემსი, და სუნთქვისაც კი ერიდებოდა - სხვის წილს, სხვის ჰაერს, მანუელოს წილ ჰაერს ისუნთქავდა თითქოს, ეჩვენებოდა ასე... და ვერც გაიgო, უნებურად ისე ჩათვლიმა. ბურანმა წაართვა გაბეჩავებული თავი, და მაშინვე ისევ

ძმაკაცის სახე წარმოუდგა, მშვიდი, მართალი, სევდიანად მომღიმარი, თურმედა ზეს მომავალი თავისუფლებით გახარებული, ეჰ, რა იცოდა, და მკვეთრი ბიძგით წამოიწია ზემ, მიმოიხედა - შეშფოთებული შესცქეროდა ეს მერამდენე ღამენათევი მარიამი, დილის ბინდბუნდში განაცრისფერებოდა მოღლილი სახე. უპეები ამოლურჯებოდა. „არ დაიძინებ? ლოგინზე დაწექი, გთხოვ“, შეევედრა მარიამი, ზე კი არც შერხეულა, და, ხმაწამხდარმა, მხოლოდ ესა თქვა: „კარზე საბანი ჩამოკიდე, ფანჯრებსაც ააფარე რამე“. ისევ ჩამობნელდა ზეს ქოხში, ვითომც - დაღამდა, სიამოვნებდა წყვდიადი, მაგრამ იქვე, მის სახლთან გულმოდგინედ კრიახობდნენ ქათმები და კამორული ცვილი ინატრა - არც აღარაფრის მოსმენა სურდა, არავის დანახვა, შვილებისაც კი, არც ჭამა, სუნთქვა, არც ხმის გაღება, „ეს რა მიყავი, მანუელო, - მწარედ გაიფიქრა, - ვითომ გამანთავისუფლე და, ვაი ასეთ თავისუფლებას... ამ ტანჯვის ნაცვლად, მოვკვდებოდი და ის იქნებოდა, გავნთავისუფლდებოდი მართლა, - დამწუხრებული ფიქრობდა მოკუნტული დიდი მწემსი, ზე, - ეს რა მიყავი, მანუელო, რა დღეში ჩამაგდე...“ „არ მოგშივდა, ზე?“ - მორიდებით დაეკითხა მარიამი. „არა. წყალი დამალევინე“. მხარი რომ აუკრა!.. ყველაფერზე სასტიკი მაინც ეს გახსენება იყო, ყელი ამოეწვა, და თიხის მოზრდილი თასი ხარბად რომ გამოსცალა, უფრო მოსწყურდა, ისევ გაუშვირა მარიამს თასიანი პეშვი, შეავსებინა, პირთან მიიტანა და, შეცბუნებულმა გადაიფიქრა - მანუელოსი მოეჩვენა წყალი, თასი იატაკზე ცივად დადგა, ბნელ კუთხეში მიიყუჟა ისევ.

მანუელოს კი წყალს ასხურებდნენ, და შხეფებმა რომ ვერაფერი უშველა, სამმა ჯალათმა წყალი უზარმაზარი კასრით დააქცია თავზე, მეოთხე განზე იდგა, ხელში მანუელოს თვალი ეჭირა. ატალახებულ სოხანეზე გულაღმა წაქცეულიყო მანუელო, გონებადაკარგულს, თავი უმწეოდ უცახცახებდა, აჯანჯღარებდნენ, ორგან ამოკორტნილ მუცელზეღა შერჩენოდა თვალის ფოსოდან გადმომდინარე სისხლი, სხვა ნაკვალევი გადაერეცხა წყალს. და ერთ-ერთ ჯალათს უნებურად მის ჩატეხილ ნეკნზე რომ მოუხვდა სქელი მოქნილი თითი, ისევ ტკივილმა გამოაფხიზლა მანუელო - დასიებულ ტუჩებზე ენისწვერით წყლის ორიოდ წვეთი მოიძია, და კენტად შერჩენილი თვალი გაახილა - ზედა ქალაქის ნაღების თვალსაჩინო უმეტესობა შეკრებილიყო - მარშალი კადიმათი, პოლკოვნიკი და მიჩინიო, დამსჯელი რაზმის კეთილ-გენერალი რამოს, გასაიდუმლოებული მექისე ალფრედო ევია - წამების დარგში, ყველასა ჰქონდა თითო-ოროლა აღმოჩენა, უმრავლესობა გამოიყენეს... და მთავარი რამ საშინელება, დიდი მარშალის კატა, არუფა მშვენიერ გალიაში იჯდა, ახლა იმაზე მიმდგარიყო ჯერი. წამოიწია მანუელომ, არა, არ სურდა იმათ წინაშე მიწაზე გდება, ფრჩხილებდაძრობილი თითებით დაეყრდნო სისხლნარევ მიწას. დამსწრეთა გასაკვირად, მაინც შეძლო და წამოდგა ფეხზე,

დაბარბაცდა, მაგრამ შეიკავა თავი. ირწეოდა, და იდგა. თავი მკვეთრად დაიქნია მარშალმა ედმონდო ბეტანკურმა, გალიის კარი გაუღეს არუფას და იმ ჯალათმაც ახლოს მიუგდო თვალი. საშინელებას დასცქეროდა მანუელო - მსუნაგად, ფეხაკრეფით უახლოვდებოდა რბილ თათებში ჭანგებშემალული არუფა ნუგბარს...

ნუ გამირბიხარ, ვიცი, ძნელია, მაგრამ მანუელო ხომ სხვადროსაც გახსოვთ... იქ, სერტანაში, უცნაურად იღვიძებდა ვაკეიროთგან უმხიარულესი - თვალს გაახელდა თუ არა, იღიმებოდა. სულელის ღიმილს არ წააგავდა მისი სიხარული, უცნაური რამ ბედნიერება სჭირდა მანუელო კოსტას - ყოველივეთი აღფრთოვანებულს, კოშკივით სული ევსებოდა და მხიარულად დასდევდა დუჟმორეულ ხარებს, გახსოვთ? როგორც ყოველმა ვაკეირომ, იმანაც მშვენივრად იცოდა თავისი საქმე და სულ ცოტათი - უფრო. თვით დიდ მწყემსს, ზე მორეირასაც კი უახლოვდებოდა მამაცობითა და ღონით. მანუელასთანა ცოლი მაშინ არ ჰყავდა და ბაზრობათა ქალაქში ხშირად დაიძურწებოდა ხოლმე, სიხარულს წინასწარატანილი - ორი თითით ყელს მოიწიწკნიდა და ასე სთხოვდა თავის მეზობელს, ზე მორეირას, ნახირისათვის ერთი დღე ეპატრონა. გარეგნობითაც ყმაწვილი გახლდათ, ჰეე... როგორ უყვარდა თავისი ცხენი... და თუ ყოველი ხე, უკანასკნელ ფოთლიანა, ჟრუანტელს ჰგვრიდა, უდაბნოში პეშვით აღებულ სილასაც იმავ სიყვარულით დასცქეროდა, ვინ რას გაუგებდა - მაშინ მარტოკინა იყო. მანუელო კოსტამ იცოდა ყოველივესი დაფარული ფასი და იქ, სერტანაში, უცნაური სიყვარული სჭირდა - მისი ორი ლამაზი თვალიდან გამომჭვირვალი მზერის შეხებისას რომელიმე უბირი ბუჩქი მაშინვე მანუელო კოსტას ბუჩქად გადაიქცეოდა - ბაობაბივით დიადდებოდა - ლამაზდებოდა, იფურჩქნებოდა, რა უცნაური მწვანე ეფინებოდა, რას არა ჰგავდა, ცად აზიდული მანუელო კოსტა ცხენიდან მსუბუქად ჩამოხტებოდა და შუაგულ ბუჩქში გულაღმა წვებოდა - ცამდე ამაღლებდა. მთელი ქვეყანა - ღატაკ მანუელოსი გახლდათ, ისეთი ცქერა იცოდა, ალბათ თქვენც გახსოვთ - საცა კი თვალი მიუწვდებოდა, სუყოველივეს ითვისებდა. ყოველივეთი იჟღინთებოდა ვაკეიროს ტევადი სული და, ბედნიერად აღზევებული, სილამაზეში გაღიმებული დააქროლებდა მშვენიერ ულაყს ერთცხენიანი მეფე - მანუელო კოსტა, ლაღად აციმციმებული თვალებით მიდამოს სჭვრეტდა, იხიბლებოდა, და იმ წყვილად ნაბოძებ წყალობათაგან ერთს, სოხანეზე ჯალათის ხელით დაგდებულს, ახლა მარშალ ედმონდო ბეტანკურის განებივრებული კატა - არუფა ჭამდა!

- დედამიწაზე არ არსებობს იმაზე მეტი სიკეთე, რაც თვალია, - თქვა მარშალმა ბეტანკურმა, მიუახლოვდა, - რამდენი ფერის, საგნის, ნივთის გამორჩევა შეუძლია.

თვალი ყველაფერს საინტერესოს ხდის, თუკი შეიძლება ასე გამოითქვას, ყველაფერს ასაინტერესოებს...

მანუელოს უხსნიდა.

- როცა რაიმე დიდი ღირებულება გვაქვს ხოლმე, ჯეროვნად ვერ ვაფასებთ და ვერ ვამჩნევთ, და მხოლოდ მაშინ ვწუხვართ, როცა დავკარგავთ, თვალი კი ამქვეყნად უძვირფასესია. თვალი ყველასათვის საჭიროა - უბრალო მეწაღისთვისაც და ისეთი დიდი შემოქმედისათვისაც, როგორც გრეგ რიკიოა. სადაა ხვრელი...

პირმოკუმული შესცქეროდა მანუელო კოსტა.

- ახლა ცუდ ოთახში ვართ და თვალებს... ეე, თვალსა გვტკენს ეს ყველაფერი, მაგრამ აქ შენი წყალობით ვართ, ჩემს გამო კი არა, არამედ შენი სიჯიუტის წყალობით, მაგრამ თუ მოინდომებ და კარგად მოიქცევი, ეგ ცალი თვალიც შეგრჩება და დაზიანებულ ეე... დაზიანებულ ადგილებსაც დახელოვნებული ექიმები გიმკურნალებენ. სადაა ხვრელი...

აღარ ბარბაცებდა მანუელო, გაქვავებული იდგა, ყოველი ნაკვთი გახევებოდა, სისხლი სდიოდა მხოლოდ.

- თუ არ გჯერა თვალის შენარჩუნების უპირატესობა, ჩემს ბაღში გაგატარებ, იქ შესანიშნავი მცენარეები და ნარგავებია, სუფთა ჰაერის მომცემი, თავისი საქმის მცოდნე მებაღეები ძალიან გულისყურით უვლიან, ისინი ნამდვილი ბუნების მეგობრებია. ბუნება არ გიყვარს? ოღონდ მითხარი, სადაა ხვრელი, და კარგად დაგათვალიერებინებ ბუნებას. ანდა, თუ გინდა, ჯერ ბუნებას დაგათვალიერებინებ და მერე მითხარი.

კარისკენ შებრუნდა მანუელო, ფეხი გადადგა. მაშინვე გადაეღობა ორი ჯალათი, მაგრამ მარშალმა ბეტანკურმა ხალისიანად შესძახა: რად უშლით ხელს, განა დასაძრახისია, ადამიანმა კარგი ბაღის ნახვა რომ მოინდომოს?.. - და აედევნენ, - აქეთკენ წადი... ახლა იქ... ასე. ახლა ეს კიბე აიარე... აი იქ შედი. შვიდჯერ თერთმეტი ოცდაოთხია, გაუღეთ კარი... ახლა, იქ... აქეთ.

რომ არ წაქცეულიყო, კედელს მიუყვებოდა მანუელო კოსტა, ნაჯიჯგნი სხეული სურვილითღა მიჰქონდა, სხვა რამ ძალისგან დაცლილი იყო... მზემ ერთადერთი თვალი მოსჭრა, თავი დახარა. შეკრეჭილი ბალახი დაინახა, ცოტათი იქით - შეკრეჭილივე ბუჩქები, შეიჭმუხნა - ეზიზღებოდა, ბუნების საქმეში როცა ერეოდნენ. მაღალი ხისკენ წაბარბაცდა, ტოტისკენ ძლივს ასწია თითებდამტვრეული ხელი.

- აჰ, ხეზე ასვლა სურს, - მიხვდა ბეტანკური, - ძალიანაც სწორია, მაღლიდან კარგად, ზედმიწევნით ჩანს ლამაზი სანახები. მიეშველენით... არ ჩამოვარდეს.

ოთხ ჯალათს მაღალ ჭადარზე აჰყავდა მანუელო, ხანდახან გრძნობას კარგავდა და მაშინ - აჰქონდათ, ერთიმეორეს აწვდიდნენ. ახლად დანაწვიმარი იყო ხე, ნესტი შერჩენოდა, მწვანედ კრიალებდა, მერე გაწვრილდა სქელი ჭადარი, ძლივსღა უძლებდა ხუთი კაცის სიმძიმეს, და უფრო ზევით მანუელოს მხოლოდ ორნი მიაცილებდნენ. მერე მარტოკამ შედგა ფეხი მაღლითა ტოტზე, მუხლი გამართა. მკლავები მაგრად შემოხვია ხეს, ქანცგაწყვეტილი, მაგრად ჩაეხუტა. გადამტვრეულ თითებს ვერ იშველიებდა, შემოსალტული იდაყვებით ჩაკვროდა ხეს. ზედ კენწეროსთან იდგა მანუელო, და ცალი თვალით ძალიან დინჯად, საგულდაგულოდ, რიგრიგობით, ოთხსავე მხარეს იხედებოდა. ბევრი რამ ჩანდა. როგორც იქნა და, გააძღო თვალი. მაცდური აზრი წამოეპარა - იმსიმაღლიდან რომ გადმომხტარიყო, მიწამდე სულიც არ დაჰყვებოდა, აღარ შეეძლო იქ, იმ ოთახში მეტის ატანა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა - ეს, ჯერ ერთი რომ, ლაჩრობას დაემსგავსებოდა, და მეორეც ის, მარშლისათვის უკანასკნელი სიტყვა უნდა ეთქვა. იმსიმაღლიდან, ერთხელაც მოავლო ქვეყანას თვალი, ცისკენ აიხედა.

ძირს მძიმედ დაეშვა მანუელო, ჯალათების ხელიდან ხელში გადადიოდა. მიწას შეახო, როგორც იქნა, ფრჩხილდაძრობილი ფეხის თითები, შებარბაცდა და ამჯერადაც შეიკავა თავი, გაიმართა, ფეხები განზე გადგა.

- სადაა ხვრელი... - დაეკითხა სულწასული დიდი მარშალი, - აუარება ფულს მიიღებ, თუ...

- ახლა კი შეგიძლია მეორე თვალიც ამომთხარო, - გააწყვეტინა სიტყვა მანუელომ, გამარჯვებული შესცქეროდა, თავი შემართა, - სუყველაფერი დავიმახსოვრე.

მანუელო კოსტა პირველი იყო იმ რჩეულ ხუთთაგან, ვინც დიდი კანუდოსელი გახდა.

ბზარი

დილაადრიან, დომენიკო და მოხუცი სანტოსი მდინარის ნაპირთან თიხასა ზელდნენ. სიამოვნებდა დომენიკოს დამყოლი თიხა, ხელის მტევნები ეგრილებოდა, მალიმალ ახედავდა კანუდოსის ცას - კი, ლურჯი იყო, მუქად მჭვირვალებდა, დახარბებული ნამდვილ, საღ ჰაერს, თავს უკან გადააგდებდა დროდადრო მგზავრი, ფართოდ თვალგაღებული, ცასაც ისუნთქავდა თითქოს. ცას რა, - კრიალებდა... მერე, მზის

გულზე რომ დასცხებოდა, უხვ მდინარეში ტანსაცმლიანად, წელამდე შედიოდა მგზავრი, მჭახე სიგრილისგან ზედ ყელთან ამოეწეოდა და ეზღუდებოდა სუნთქვა, გაყუჩებული ეჩვეოდა ცივ, ჯიუტ ტალღებს, მერე თანდათან რბილდებოდა წყალი, საამოდ თბებოდა და, მთელი სხეულიც სრულ შვებას რომ მოსთხოვდა, ერთბაშად გალაღებული, თავით გადაეშვებოდა. მზეზე ბრჭყვიალებდნენ დაფეთებული შხეფები, მდინარეს ცურვით მიუყვებოდა დომენიკო, ხალისიანად ჭყუმპალაობდა; სამფენოვანი ქალაქით დაღლილს, დაძაბულს, თავმოძულებულს, აქ, ამ ზვირთებში, თიხის ქალაქთან, ცელქობა სურდა... მდინარისაკენ ზურგით იჯდა მოხუცი სანტოსი, თიხას უმოწყალოდ ჭყლეტდა, როგორც ყოველთვის თავისას ფიქრობდა, ვერა და ვერ გამოეგონებინა მასიმოს ღირსი, ყველაზე მეტად საზარელი სიკვდილი; მოქუფრულიყო, თეთრი, უხეში წარბები თვალებზე ჩამოსწოლოდა... მდინარიდან გაღიმებული ამოდიოდა სიგრილითა და შვებით პირთამდე სავსე დომენიკო, მზეზე დგებოდა, შრებოდა მზეზე, ჯერ სიფრიფანა ნისლი ასდიოდა. მერე ღრუბელში ჩამდგარიყო თითქოს - როგორ ღონივრად ორთქლდებოდა მდინარის წყალი... ცვარშერჩენილს და ჯერაც გაუმშრალს, კანუდოსის ქუჩებში ხეტიალი მოსწონდა, კანუდოსელთა ხილვა - თითქმის სუყველას მშვიდი, მართალი სახე ჰქონდა. უნებურად თვალს თუ გაუსწორებდნენ ერთმანეთს, სიამოვნებდათ, თან - უილაჯოდ იღიმებოდნენ... სისხამი დილით უხაროდა თავისი ახალი, ნედლი ქოხიდან გამობიჯება დომენიკოს, გზად თანაქალაქელებს ესალმებოდა, ყოველივეთი იხიბლებოდა - სხვა წყალი იყო აქ, კანუდოსში, სხვა გემო ჰქონდა, სულ სხვა ჰაერით სუნთქავდა მგზავრი, სხვანაირ სახლებს შვებით უმზერდა, სხვაგვარ მიწაზე ბედნიერი დააბიჯებდა და უცნაური რამ დაემართა, ადამიანი შეუყვარდა - უცნაურობა სჭირდა! ინოსენსიოს შესცქეროდა, ვთქვათ... შეშას აპობდა მწყემსი, აუჩქარებლად ირჯებოდა - დიდ კუნძს მოსწორებულ ადგილზე დადებდა, ნაჯახს შემართავდა, ღონივრად დაიქნევდა, მერე ისევ მაღლა ასწევდა კუნძაყოლილ ნაჯახს. შეისუნთქავდა და დიდ მორზე ყუით დაანარცხებდა, ორად ცალკევდებოდა კუნძი, აი, ამა საქმეში ხომ ისეთი დიდი არაფერი ერია, არა? - მაინც როგორი მადლიერი, რა სიყვარულით უჭვრიტინებდა დომენიკო...

ადამიანი - ქალი თუ კაცი, ჩვილი, მოხუცი - ადამიანი, როგორც ასეთი, ნებისმიერი ამ ქალაქისა, ყველა უყვარდა... ან, ვთქვათ, სენობიო ლიმოსას შორიდან უთვალთვალებდა, გვიანი ღამით როგორ ჯდებოდა გამორჩეულ ხესთან, როგორ მომართავდა შვიდსიმა საკრავს, და როგორი შეყოვნებული სიდინჯით კენკავდნენ მჭედლის თითები ნაღვლიან მარცვლებს; ან გრეგორიო პაჩეკო გათენებისას დიდ, გუგუნა დოლს როგორ აახმიანებდა, თიხის სახლებიდან გამოდიოდა ხალხი და უხვფოთლება ხეში შემალული დომენიკო შინიდან გამოსულ, ძილისგან ჯერაც

საბოლოოდ თავდაუღწეველ, ოდნავ დაუდევრად მიმომავალ კანუდოსელებს რა სიყვარულით, როგორი ლხენით დასცქეროდა, ეწიწკნებოდა თითქოს სხეული, ოჰო, კაქტუსი... შუაგულ სულში, სიყვარულის მჩხვლეტავ მცენარეს გაედგა ფესვი... ასეთი ოთხი დღე ჰქონდა მხოლოდ, პირველ ხანებში დაბნეული აკვირდებოდა ყველას, ყველაფერს, მერე მოვიდა ეს ოთხი უცნაური, აღმაზევებელი დღე, სულ ოთხად ოთხი, ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი და მაგრამ, მაინც, ზოგისას - მთელ სიცოცხლეს სჯობდა... და საკვირველი მაინც ის იყო, ამ სიყვარულისა რომ ერიდებოდა, ერცხვინებოდა, როგორც შეეძლო, ისე ნიღბავდა... პაწია, უცოდველი ქურდი, დომენიკო - სამუშაოს რომ მოამთავრებდა, თიხის გუნდას გულისპირში მალულად ჩაიგდებდა და ვითომც არხეინად, ჯიბეებში ხელჩაწყობილი, ხმადაბალი ღიღინით შედიოდა ჭალაში, იქ კი, სადმე მყუდროში, დიდის ხის ჩრდილში შეიყუჟებოდა და თავკომბალა ადამიანს გამოუცდელი ხელით ძერწავდა, ცხვირს უწვეტებდა, ჩხირით თვალებს ამოუღრმავებდა, ირიბად გადაუხაზავდა პირს, ხელ-ფეხს შეაბამდა, და იმ უმწეო ნაჩალიჩარს მერე, რომ გამოერკვეოდა და უცხო, ბურუსმოსილი ქვეყნიდან ქვემოთ, მიწაზე დაეშვებოდა, გულდაწყვეტილი დასცქეროდა - აჰ, არა, არა, სად ესა და ეჰ, სად ნამდვილი ადამიანი, მას რომ უყვარდა; ადამიანი მაინც სხვა იყო, სულ ძალიან სხვა - ნაღდი, ცოცხალი, და თუმცა ძალიან სურდა, სულიერი რამ, მრავალთვისება, მისთვის ჯერ უცხო ადამიანი მიემატებინა ამა ქვეყნად, მხოლოდ თავისი მაძებარი გონებით ჩაფიქრებული და საკუთარი, დაუღლელი ხელით შექმნილი, ვრცელ, ტევად ქვეყანაზე საიმედოდ დაესახლებინა, ამ აჩემებას მხოლოდ სურვილით ვერ გასწვდებოდა, რაღაც სხვა ხერხი, რაღაცის ცოდნა, სხვა რამ უნარი იყო საჭირო... გრძელ გზაზე იდგა, ამა საქმეში ჯერ თოთო ბავშვი, ვერ გადაედგა ფეხი... თიხა შრებოდა, იბზარებოდა, მომცრო ნაპრალებდაჩენილი, ხელებგაჩაჩხული, მიწაზე ეგდო... ვერ ელეოდა მაინც ნახელავს, თავის გრილ ქოხში ფრთხილად მიჰქონდა და მიფარებულში, ცოცხის ქვეშ დებდა.

და უჩვეულო განცდის მოსურნემ, ვეღარ დაიძინა მეოთხე ღამით, წამდაუწუმ გვერდს იცვლიდა, თივაზე წრიალებდა, რაღაცა სურდა!.. ოთხკედელშუა ვეღარ გაძლო და მდინარისაკენ ფეხაკრეფით დაუყვა ბილიკს, მთვარის ნათელი სქლად ეფინა გზაზე, მერე მცირე აღმართში, მდინარის სათავისაკენ გაეშურა, კარგა მანძილი აიარა, რომ მიიხედა, აღარ მოჩანდა კანუდოსი. ტანთ გაიხადა, ცალი ხელით მაღლა ეჭირა დახვეული ტანსაცმელი, მდინარე ისე გადასცურა, გაღმა ნაპირზე შემცივნებული ავიდა, აძიგძიგებდა მგზავრს, მაგრამ ძლიერი იყო ის უცნაური „ვითომ“, ბავშვობისდროინდელი თამაში... ოდნავ რომ შეშრა, ტანსაცმელი სწრაფად ჩაიცვა, მერე მოდუნდა, მიწაზე გაწვა, ძლივს წამოიწია ვითომ, ფეხათრევით მივიდა წყალთან, ძალისძალათი ბორძიკობდა, რა ახირება იყო მაინც... ტანსაცმლიანად

შევიდა მდინარეში. კანუდოსისკენ მიცურავდა დომენიკო, ვითომ დაღლილს და დაოსებულს, ზლაზვნით მიაქანებდა დამძიმებული წყალი, თვალს ვერ ახელდა ქანცგაწყვეტილი, ვითომ... მდინარეში სახეჩარგული, ხანდახან უღონოდ ასწევდა თავს, და მონაცრისფროდ ჩათვლემილი კანუდოსიც რომ დაინახა, ვითომ გამხნევდა და, მართლა გამხნევდა - მაინც რა კარგი ქალაქი იყო... მოიკატუნა ისევ თავი, მდინარის ნაპირს არაქათგამოცლილი, სუსტად მიეხალა თითქოს, თიხაზე გაცოცდა, ძლივს მიფორთხავდა მგზავრი - ვითომ ბრუნდება, ბრუნდება დიდი განშორების შემდეგ... აჰა, ის სახლიც, მთვარის მქრქალ შუქზე გახევებული, ყუჩად მდგარი და მომლოდინე, როგორ უცდიან! არ იციან კი, ის, დომენიკო, შინ რომ ბრუნდება... წამოიწია, როგორ არ სურდა გარდაცვალება სახლთან, კერასთან ასე ახლოს. ხელისგულებით დაეყრდნო თიხას, სველი თითებით აატალახა. და წამოდგომას შეეცადა, აი, თუ ადგა, თუ აიტანა როგორმე მაღლა დამძიმებული ისე სხეული, ვითომ... სული ეცლება, სულსა ღაფავს... გაწამებული, მაინც დგება და მიტორტმანებს; რომ არ წაიქცეს, საცოდავად იძაბება და უცებ ისე ძალიან სწრაფად გაიმართა, კინაღამ შეხტა - დიდ, ჩამუქებულ ხესთან ზე მორეირა იდგა, გულზე ხელებგადაჭდობილი, დაკვირვებით შესცქეროდა ატინგიცებულს, იცნო, თავი ჩაღუნა დომენიკომ, ისე გაწითლდა, სახე აეწვა, თითებს იგრიხავდა, ხელისგულებზე აიკორკოშა თიხა, არც გაუგია, ისე მოიცილა. სახლისკენ მთლად წამხდარი გაეშურა, ნირშეცვლილი, ფრთხილად მიწვა, სირცხვილისაგან თავზე გადაიფარა თივა. გახევებული იდგა ისევ ხესთან ზე მორეირა, ოდნავ, სულ მცირედ გაიკვირვა მგზავრის ახირება, იმისთვის ძაან კი არ ეცალა, რადგან თავისი ვეებერთელა რამ სადარდებელი აწუხებდა, თავისა სჭირდა...

- ვითომ ეგრე აჯობებს? - შეეჭვებულიყო დიდი მარშალი.

- კი, როგორ არა, მე მგონი, დიახ, გრანდისსიმოჰალლე, - ალალმართალი ღიმილით შეაცქერდა ფუნჯის დიდოსტატი გრეგ რიკიო, კამორელი ხელოვანი, - ყურები მგონი უნდა დავუტოვოთ, დიდო მარშალო, რადგან გარკვეული პროპორციით შემოიზღუდება სახე, თვით სახეს კი სამაგალითოდ გადავუსწორებთ, რაკურსობრივად, ეს უფრო დიდ ეფექტს მოგვცემს. ერთი თვალის ფოსოში, მაგალითად, ხელის შუათითი ჩავჩაროთ, გრანდისსიმოჰალლე, მეორეში კი - ფეხის ცერი, და ეს გარემოება თვალსაჩინო დისპროპორციას შეიტანს, გვერდითა ხელუხლები პროპორცია კი, ამ შემთხვევაში ყურების სახით, უფრო ხაზს გაუსვამს სახის შიდა შეუსაბამობას, ტუჩების მოჭრა-ლიკვიდაციაც სასურველია, კბილების გაშიშვლება სასურველ ეფექტს გამოიღებს ნატურალურად, გრანდისსიმოჰალლე, რადგან გარკვეულ ასოციაციას იწვევს.

„ნიჭიერია, ვირიშვილი," - გაიფიქრა მარშალმა ბეტანკურმა.

- თუ მაპატიებთ, დიდო მარშალო, ერთი შენიშვნაც უნდა გამოვთქვა, თუ ნებას მომცემთ. ვთქვა?

- მიდი!

- თავი ბოლომდე არ უნდა მოგეჭრევინებინათ... წკიპზე დაკიდებული უფრო წარუშლელ შთაბეჭდილებას დაიმსახურებდა. თუმცა, შეგვიძლია ახლაც მივაკეროთ ოდნავ და ნაწლავებით მაგრად რომ გადაახვევინოთ და მიამაგრებინოთ ამ ადგილას ტორსთან, აჯობებს ნამდვილად, გრანდისსიმოჰალლე.

- კარგი.

გვამს ვერ იტანდა გრეგ რიკიო, აზიზი გული ჰქონდა, მაკეტზე მუშაობდნენ.

- და კიდევ ერთი რამ, გრანდისსიმოჰალლე - მე მგონი, ჩემი აზრით, იმ შეჩვენებულ კაატინგაზე ტომარაში გამოხვეული უნდა გადავაგდოთ, რადგან თუ სხეულს შორიდანვე დაინახავენ, სანამ მიუახლოვდებიან, გრანდისსიმოჰალლე, თანდათან შეაჩვევენ თვალს და მოულოდნელობის ელემენტი დაიკარგება, ეს კი ცუდია, - თან მაკეტზე მუშაობდა წაკუზული გრეგ რიკიო, თანაც თავაზიანად ლაპარაკობდა, ორ საქმეს ერთდროულად აუდიოდა, მაღალნიჭიერად ითვლებოდა, - ხოლო როცა ტომარას შემოაცლიან და უეცრად დაინახავენ, ელდა ეცემათ და სასურველ ნაყოფსაც გამოიღებს ეს უკანასკნელი გარემოება. აი, ეს ხაზიც უნდა გადავაგვაროთ... აიი, ასე. იქაც, ი, აი...

გამართულიყო გრეგ რიკიო, წელს ასვენებდა, ნამუშევარს კმაყოფილი დააცქერდა: - რა უშნო ყოფილა, არა, გრანდისსიმოჰალლე?

მოხუცი სანტოსი კაატინგასთან წააწყდა ტომარას, გულგასივებულმა ნახა, შიგ რაც იყო და რადგან ისედაც არ იცნობდა მანუელოს, ვერაფერს მიხვდებოდა, ტომარაში ჩატანებული ორკუთხა, ვაკეიროთა ქუდი რომ არა. ფრთხილად დაიდო მხრებზე ტვირთი, მოშხამული გაუყვა გზას, კანუდოსში აიტანა. მთელი ქალაქი შემოიკრიბა სანტოსთან, გაირინდნენ, კარგს არაფერს უქადდათ სანტოსის კიდევ მეტად მოქუფრული სახე; იმან კი მიწაზე ფრთხილად ჩამოდო ტვირთი, ტომარა გაფხრიწა, შემოაცალა და განზე გაიხედა. უჩვეულოდ მძიმე სიჩუმე ჩამოწვა კანუდოსში, დედებს ამოეფარნენ ბავშვები, ბალღამჩაღვრილი მამაკაცები ძლიერ დამწუხრდნენ, ანატკივარი სული ეფლითებოდათ, და სიბრალულით დასცქეროდნენ მწყემსს - ვინ რა იცოდა, მანუელო თუ როგორ მოკვდა... მთელი კანუდოსი ცხედართან უზარმაზარ

წრედ იდგა, ერთადერთი ზე კვლავინდებურად ვერ ბედავდა დღისით გამოსვლას, მაგრამ იმ უჩვეულო სიჩუმემ ყველაფერს მიახვედრა, ნაცრისფერი დაედო. წრე გაარღვია მოხუცმა სანტოსმა, ხალხს გაერიდა, წერაქვი, ბარი, ნიჩაბი მოიძია. სუნთქვაშეკრული მთლად გახევებული იდგა მანუელა, ოღონდ მოკვნეტილი ტუჩიდან სისხლი სდიოდა. კივილით არავის შეუცხადებია, არც არავინ ატირებულა. ტირილით მერე, გვიანი ღამით მოიოხეს გული, განმარტოვდნენ და ისე; მთელ კანუდოსში მოგუდული, უცნობი თანხმოვნები ისმოდა. ახლა კი მდუმარედ დასცქეროდნენ მხოლოდ, და ვერ გამართლდა მარშალ ბეტანკურის ჩანაფიქრი - შეძრწუნებასთან ერთად, მეორეს მხრივ, საოცარია, მაგრამ, მუდამ ბრძოლისა და სიკვდილის მომლოდინეთ, თვალმოშხამულებს, სამაგიეროდ ერთი ამბავი გულზე მოეშვათ. აი როხასი, თუნდაც... ასე ფიქრობდა: „მე რა, მე გინდაც მოვკვდე, მერე რა... აგერ, ასეთი მანუელოც კი რა ცუდად მოუკლავთ. იმასთან შედარებით მე ვინა ვარ, რო...“ „თანაც, ბრძოლაში - თითქოს იმის ფიქრს განაგრძობდა ინოსენსიო, - სიკვდილი ალბათ რამდენად უფრო ადვილია... ყოფას გიტირებთ!“ მეტისმეტობით, ვერ გამოზომა მარშალმა ედმონდო ბეტანკურმა განზრახვა, კამორულმა გამოცდილებამ უკარნახა ამგვარი საქციელი, მაგრამ სხვა წყობის, სულ სხვანაირ ხალხს რომ გადააწყდა, ეს არ იცოდა, ვერ წარმოედგინა - არ გაუმართლდა. შიშის ნასახიც გულში არავის გაუვლია, დამწუხრებით კი, დიდად დამწუხრდნენ. შემოჯარულთაგან ყველაზე მეტად მაინც ჟოაო იტანჯებოდა - ხმას არა სცემდა მხიარულ სიძეს, რაღაცნაირად ლამაზს, მოხდენილს. აქამდე ერთთავად პირს არიდებდა და ახლა კი, უმოწყალოდ დასახიჩრებულს, თვალს ვერა სწყვეტდა... ვეღარ მოითმინა. მიუახლოვდა, დაღონებული დააცქერდა, გადააქნია თავი, მერე ოდნავ მოიხარა, ბარძაყზე ღონივრად დაირტყა ხელი, და უცნაური წამღერებით თქვა: „ეჰ, მანუელო კოსტა, მანუეელ...“ - და წრიდან თავჩაქინდრული გავიდა, მერე სენობიო ლიოსა მივიდა ცხედართან, იმანაც ბარძაყზე დაირტყა ხელი, იმანაც კუშტად წაუმღერა: „მანუელო კოსტაა, მანუეელ...“ და, რიგრიგობით, ყოველი მამაკაცი ასე გამოეთხოვა დაფლეთილ ცხედარს, თივაში პირქვე ჩამხობილ ზე მორეირას გარდა. და როცა ყველა გამოიკრიბა, გაუბზარავმა მენდეს მასიელმა თვალის ფოსოები დინჯად ამოუცარიელა მანუელოს გვამს, გადახვეული ნაწლავები შემოაცალა, ასე თუ ისე მოაწესრიგა ცოტა, გულზე დაადო ვაკეიროთა ქუდი, მოხუც სანტოსს კი კარგა ხნის გათხრილი ჰქონდა სამარე. ფრთხილად ჩააწვინეს შიგ მანუელო, და თითო-ოროლა მუჭა მიწით საფლავი ამოავსეს, და ასე, მუჭა-მუჭად. მსუბუქი იყო კანუდოსის ასეთი სიღრმიდან პირველად ამოთხრილი მიწა.

ეჰ, მანუელო კოსტა, მანუელ...

* * *

გენერალი ხორხე კი, საგანგებოდ გაწვრთნილი კორპუსით, კაატინგას მისადგომებთან, მოფარებულში, კუნაპეტ ღამეს უცდიდა. „აჰ, ეს როსკიპი, - მთვარეს გულისხმობდა გაბრაზებული გენერალი, - როგორ ანათებს, აღარ მოშორდება!“ - ეჩქარებოდა გენერალ ხორხეს იმა მანევრის განხორციელება, დიდი მარშალის პირადი დავალებით რომ შეიმუშავა. კორპუსელთაგან ესე მანევრი არავინ იცოდა, არც რიგითებმა, არც ოფიცრობამ, და, როგორც იქნა, და კუნაპეტი ღამე რომ ჩამოწვა, გენერალმა ხორხემ ასამდე ყველაზე მარჯვე მსროლელი და რვა ძალიან ჯანიანი რიგითი შეარჩია, საიდუმლოდ შემოიკრიბა და ხმადაბლა ასე დაარიგა: „ყური დამიგდეთ. ლეიბების და ერთმანეთის დიდ კედელზე გადასროლაში ტყუილად არ გავარჯიშებდით. კაატინგასთან მიცოცდებით და დაბრედილი, საფლავიდან წამომდგარი ნათესავებიც რომ შემოგხვდნენ გზაში, ხმა არავინ გაიღოთ, იქ, შესაძლოა, იმ გათახსირებულებს გუშაგები ედგნენ და ჯერ მიაყურადეთ. და ჩქამსაც თუ ვერ გაიგონებთ, ჯერ რამდენიმე აი, ეს ფუმფულა ლეიბი გადაისროლეთ კაატინგაზე, იქითა მხარეს ერთიმეორეზე რომ დაცვივდნენ, ისე, შემდეგ კი რიგრიგობით გადაისროლეთ თითო კორპუსელი, და თოფიც ზედ გქონდეთ, - თავს აქეთ-იქით აბრუნებდა გენერალი ხორხე, ხან ჯანიანებს მიმართავდა, ხან - გადასაგდებებს, - თორემ ცალკე რომ გადაუგდოთ თოფი, შესაძლოა, თავში მოახვედროთ და ეს არ ივარგებს - ძალიან საჭირონი ხართ დედა-კამორასთვის ახლა... არა გიშავთ რა, ლეიბზე რბილად დაეცემით, და მაინც, შემთხვევით ხელს ან ფეხს თუ მოიტეხთ, რომ არ შეჰყვიროთ, გადასასროლებმა პირში თეთრი გორგალი ჩაიჩარეთ და იმის ნიშნად, რომ ყველაფერი რიგზეა, გორგალი უკან გადმოისროლეთ, შემდეგ კი ლეიბიდან გადახოხდით და იქვე გაიტრუნეთ - სხვა დასალეიბებელს გაუნთავისუფლეთ ადგილი. მუდამ გახსოვდეთ, რომ გუშაგების შორიახლოს არსებობა დასაშვებია და ჩქამიც არ უნდა გაიღოთ, გესმით? და იმ ერთ პატარა მონაკვეთში უხმაუროდ გადალახულმა ზღუდემ თუ გაგვიმართლა, ძალიან კარგი იქნება, მერე რა გვიჭირს - ყველანი იქით რომ აღმოჩნდებით, რვა გადამსროლელის გარდა, თავი დაადეთ და იმ წყეულ, გაუფორმებელ ქალაქამდე ძალიან ფრთხილად, სწრაფად და უხმაუროდ იარეთ, გათენებამდე გარს შემოერტყით, კარგად ჩასაფრდით ხეებზე და შემაღლებულზე, და როგორც კი ვინმე შინიდან გამოვა, მიზანში კარგად ამოიღეთ, არ გესწავლებათ ეგ და აბა, თქვენ იცით, იმ შეჩვენებულებს როგორ წარმატებით დასცხებთ - პოზიცია და მოულოდნელობის ელემენტი თქვენს მხარეზე იქნება, ზედმიწევნით უნდა გამოიყენოთ, მეგობრებო! არადა, კბილებში გადაგჭრით. იმ მუდრეგ ქალაქში ხუთიოდ შინიდან გამოსულ ერთეულს რომ მიასაღებთ, ცხვირის გამოყოფასაც ვეღარ გაბედავენ სხვები და ამასობაში ჩვენ ერთდროულად ოც-ოც კაცს

გადმოვისვრით თითო ჯერზე, გარეწრები თქვენი წყალობით მიჯაჭვულნი იქნებიან სოროებში და რაღა შეგვაფერხებს, ორ-სამ საათში მთელი კორპუსი თქვენს პოზიციასთან მოგროვდება. კალორიულ პროვიანტსაც ამოგიტანთ და მერე მძლავრი იერიშით იმ მურდალ ქალაქს მსწრაფლ ავიღებთ. ჩვენს ამოსვლამდე შეგიძლიათ დანებება შესთავაზოთ, ხმამაღლა გასძახეთ, რომ შეიწყალებთ, სიცოცხლის შენარჩუნება აღუთქვით და თუ ხელებაწეულნი გამოვლენ, დედაკაცებსა და ბავშვებს მართლა ნურაფერს დაუშავებთ - ჟაგუნსოებს უნდა ჩავუგდოთ. ლამაზი ქალი თუ გამოერევათ, უნდა ცალკე გადაინახოთ - მერე განაწილდებიან, როგორც საჭიროა. აბა, ჰათ, წადით, დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი!..“

და თუმცა რჩეულმა კორპუსელებმა პირნათლად შეასრულეს დავალების საწყისი ნაწილი, ამა მანევრიდან დიდი ვერაფერი გამოვიდა, რადგან კაატინგას იქით მოქუფრული პრუდენსიო იდგა, მაჩეტეთი ხელში. პირველ კამორელს ჯერ დააცადა, თუ რას იზამდა; კატისთვალება, ყოველივეს არჩევდა ბნელში, იმან კი გორგალი პირიდან რომ გამოიღო და უკან გადაისროლა, მაშინვე ტუჩ-ცხვირზე ააფარა ხელი და მიაკლა, მეორე გადმოფრენილ კორპუსელს კი, ჰაერშივე მაჩეტეგამოსმულს, თავად ამოაცალა გახევებული, დაღრჭენილი პირიდან გორგალი; ორი თითით ზიზღიანად გადისროლა კაატინგაზე და მაშინვე მესამეც გასხმარტალდა ჰაერში... მერე და მერე, ძალიან თუ დაიღლებოდა, გორგალის დაბრუნებას აგვიანებდა პრუდენსიო, მცირე ხნით გაიშოტებოდა, ისვენებდა - საათივით ააწყო საქმე... და კაატინგასთან, გადაღმა რვა გადამსროლელიღა რომ დარჩა, დავალების უხმაუროდ, წარმატებული აღსრულების შესატყობინებლად გენერალ ხორხესთან გაგზავნეს შედარებით მსუბუქი ჯანიანი, მერე თანდათან ირიჟრაჟა და, დაბურულ კაატინგაში შორიდან წვალებით რომ გააძვრინეს მზერა, გაიჭყიტეს და რა დაინახეს, ელდა ეცათ - ასიოდევე კორპუსელი, სულ საგანგებოდ გაწვრთნილ-გამოკვებილი მსროლელები, იქითკენ, მიღმა, ყელგამოღადრულნი ერთმანეთზე ეყარნენ... და მშვენიერ გუნება-განწყობაზე დამდგარი, ყოჩაღად მოახლოებული გენერალი ხორხე სანამ ამ მეტად უსიამო ამბავს შეიტყობდა კაატინგადან გამოსროლილი ერთადერთი ტყვია მხარში ეძგერა. კორპუსელებმა კაატინგასკენ ზალპი დასცხეს და უკუიქცნენ, ისევ მახლობელ ტყეს შეაფარეს თავი, კამორასაკენ ფიცხლად გაქანდა სამი მალემსრბოლი, მოგვიანებით კი იმათ ნაკვალევზე მომცრო ურიკაც წაჩაქჩაქდა, მხარგადახვეულ გენერალ ხორხეთი.

დილაადრიან, უკმაყოფილოდ წამოჯდა ისევ თივაში სახეჩარგული ზე, ოთახში უხერხულად შემოძურწულ სტუმრებს ამრეზილმა გახედა - ინოსენსიო და როხასი

იყვნენ. „რა კარგია, რომ მოხვედით, - გაეხარდა მარიამს, თავმიბრუნებულ ზეს მალულად შეავლო თვალი, - აგერ, დასხედით, ახლავე ავადუღებ რძეს.“

იატაკზე უმძრახად იჯდა მოღუშული მწყემსი, განზე ჯიუტად იყურებოდა; ძალიან დაბალ სამფეხა სკამზე უშნოდ წამოჭიმულიყო ინოსენსიო, როხასი მობუზული იდგა, აღარ იცოდა, სად წაეღო ხელები, ფეხსაც მალიმალ ინაცვლებდა. „ჰოოო...“ - ძალიან სულელურად წამოიწყო ინოსენსიომ და თავადვე სხვებზე ადრე მიხვდა ამას, პირი მოკუმა. უნამუსოდ დადუმებულიყო ზეც, უცხვირპირო, გაბეზრებული მასპინძელი - თავისი დარდი ჰქონდა, აღარავისი დანახვა სურდა. მარიამი ეზოში ფიჩხს აყრიდა ცეცხლს, ფარფატით მაღლდებოდა კვამლი, დროდადრო ნიავით იფლითებოდა. ოთახში ძალიან უხერხულად გაყუჩებულიყვნენ, სამიოდ გრძელი წუთი რომ გავიდა, უცებ ინოსენსიომ მოიფიქრა, თქვა: „გამარჯობა, ზე“. „გამარჯობა...“ - თავი არ მოუბრუნებია ზეს. „გამარჯობა“, - თქვა პატარა ხნის შემდეგ როხასმაც. „ხომ არ გამოხვალ გარეთ, - შემპარავად წამოიწყო ინოსენსიომ, - ჩვენთან ერთად სამუშაოზე თუ წამოხ...“ „არა,“ - გააწყვეტინა ზემ. დუმდნენ. მერე ინოსენსიომ მუხლზე რაღაც ლაქა გახარებულმა აღმოიჩინა, უხახუნა და უხახუნა ხელისგული, შარვალი ძალიან გაცრიცა და მუხლიც კინაღამ გადაიყვლიფა. მერე დუმილმა საბოლოოდ გააღიზიანა, წამოდგა: „აბა, კარგად იყავი, ზე.“ „კარგად იყავი...“ „კარგად იყავი, ზე...“ - ძლივს ამოღერღა როხასმაც და გავიდნენ. „სად გეჩქარებათ, - შეწუხდა მარიამი, - აგერ, უკვე ადუღდა რძე“. „მადლობთ, არ გვინდა, წეღან დავლიეთ.“ - თავაზიანად მიუგო ინოსენსიომ, მოგვიანებით კი გაბრაზებულმა გაიფიქრა: „რძე არა, ისა...“ სახლს როგორც გასცდა, თუმცა მისივე წადილით იყო, ზეს რომ ეწვივნენ, როხასს ამ ჩაშლილ სტუმრობაზე კრინტიც არ დასცდენია - უბრალოდ, ხათრი ვერ გაუტეხა და ამიტომ წაჰყვა, ინოსენსიომ, ამ საქმის ერთპიროვნულმა მოთავემ, მაინც უშარა, ასე უსაყვედურა თანამგზავრს: „რა იყო, რას ამტეხე, ვერ დაჯდებოდი შინ?“ მაგრამ როხასს სიტყვა არ შეუბრუნებია, უთქმელი იყო, მხრები უილაჯოდ აიჩეჩა.

ისევ თივაში ჩაერგო თავი ზეს, დამდუღრული სული ეწვოდა... მხარი რომ აუკრა!

განრისხებული დასცქეროდა პრუდენსიო გვამებს; გენერალიც რომ ჩაკეცა, მაინც ვერ მოიოხა გული, რაღაცა კიდევ სურდა, ვერ მიმხვდარიყო, რა... ტყვიებმა ახლოს ჩაუზუზუნეს, წარბიც არ შეუხრია. სიბნელეში აღსრულებულ, ჩქარიჩქარ მკვლელობებს ვერ ჩაატანა გემო, მეტი რამ მოუნდა, სხვა... და ნაჯიჯგნი მანუელო კოსტა თვალნათლივ რომ წარმოუდგა, ძმებიც გაახსენდა, იქ, სერტანაში, წვრილ დანებქვეშ მაშინ ალბათ მორჩილად მდგარნი, და გონება აერია, ჩამოებინდა - „თქვენი ჯილაგი... ყველაფრის ღირსი...“ - გამწარებულმა გაიფიქრა და იქვე მიგდებულ კამორელს ფეხებში სწვდა, კაატინგასკენ წაახოხიალა, დამძიმებული ცხედარი იყო,

სილაზე კეფით აშკარა ნაკვალევს ტოვებდა. მოიქნია და შიგ კაატინგაში შეაგდო. მაშინვე შემოეგრიხა გვამს მოშიებული ბუჩქი, უამრავგან ჩაესო ბასრი, აურაცხელი კლანჭით, სწრაფად შეიწოვა, შესანსლა, ხარბად ათრთოლდა, შორითა ბუჩქებიც, მადაატეხილნი, ჟრჟოლადავლილნი, წვრილ, დაგრეხილ ბრჭყალებს კამორელებისკენ მოუთმენლად იწვდიდნენ. საზარელი რამ სანახავი იყო, და სულ მცირე ხნით შეყოვნდა პრუდენსიო, ხელები ჩამოეყარა, გულმა რეჩხი უყო, შეფიქრიანდა, და სინანულისდამაგვარი რაღაც რომ შემოაწვა, ისევ გაიხსენა მანუელო და ძმები, ერთბაშად გაცეცხლდა საკუთარ თავზე, სხვა გვამებს გადახედა და იმ ძვლებგამოხრული კამორელის ხვედრი - „ამათაც რატომ არა?“ - გაიფიქრა და ახლა მეორეს სწვდა ფეხებში, მოლოდინით ცახცახდავლილი კაატინგა შორიდანვე დააიმედა: „ყოველ ფესვს გაგიძღობ... ყველას შეგხვდებათ, ნუ გეშინიათ, - ჩურჩულებდა ველურ სიხარულატანილი პრუდენსიო, - ჰა შენ... ჰა, შენაც...“ - კაატინგაში ახალ-ახალ გვამებს ღონივრად ისროდა, მთელ სიმაღლეზე წამომართულიყო ჯერაც დაუნაყრებელი, მომლოდინე, სასტიკი ბუჩქნარი, ყოველი კლანჭით თავის წილს უცდიდა, და რომ მიიღებდა, მაშინვე დაბლა ჩაიგრიხებოდა, გრძელ, ღვარჭნილ ღეროებს ყელში მარწუხებად ასობდა ცხედარს, კანს აფხოჭნიდა თავზე, ლოყებს უძიძგნიდა, გულ-ღვიძლისაკენ ჯიუტად, ფლეთვით მიძვრებოდა, ჯერაც მოთბო ხორცსა და სისხლს მადიანად, ხარბად იწოვდა, და პრუდენსიოც გამალებული აწვდიდა ახალ-ახალ ძღვენს. მიცვალებული კამორელებით გაიჟღინთა მთელი კაატინგა, წვრილი, მოქნილი ღეროები დაუსქელდა, ერთმანეთს რბილად ჩაეხლართა, მიწვნენ; გადამძიმებული ბუჩქები ფესვიან-კლანჭებიანად ძალიან დაძღნენ, მერე და მერე ეზარებოდათ თითქოს სისხლის გამოწოვა; ბლანტედ უცაცუნებდნენ ჯერ კიდევ გამოსადეგ ნარჩენებს თვლემამორეულ ბრჭყალებს, ძალიან ზანტად იშმუშნებოდნენ, წითლად ფერმიცემულნი, იქ კი, კანუდოსში, მენდეს მასიელმა ყელზე იტაცა ხელი, სულმთლად გადაფითრდა, ღონემიხდილი ჩაჯდა, ხელისგულებით დაეყრდნო თიხის იატაკს. „რა დაგემართათ, კონსელეირო. - შეშფოთდა ჟოაო აბადო, - ჩქარა, გრეგორიო, წყალი!“ „არა, არ მინდა, - ჩაქინდრული თავი გაიქნია მენდეს მასიელმა, - ყველანი აქ არიან? კანუდოსში...“ „მგონი ყველანი, კონსელეირო“. „გუშინ, საღამო ხანს, პრუდენსიო სადღაც წავიდა, - თქვა გრეგორიომ, - კაატინგასკენ, მგონი...“ „კი, პრუდენსიო თუ დამმართებდა ამას, - დანაღვლიანდა მენდეს მასიელი, მერე წამოწევა უშედეგოდ სცადა, - გარეთ გამიყვანეთ, სწრაფად შეკრიბეთ ხალხი...“

მძლავრად, ღონივრად აგუგუნდა გრეგორიო პაჩეკოს დოლი, კონსელეიროს ფრთხილად ამოუდეს იღლიებში ხელი, მხარში შეუდგნენ. ჭალიდან მოირბინა დომენიკომ, ხალხს შეერია - მთელი კანუდოსი მენდეს მასიელის წინაშე

მოგროვილიყო, შეშფოთებულნი მისჩერებოდნენ, მიყუჩებულიყო დოლი. „ძმებო, გამხნევდით! - ძლივას წარმოსთქვა მენდეს მასიელმა, თავი აღაღო, - შიშს ნუ აჰყვებით, გამაგრდით, ძმებო, - კაატინგა, ჩვენი იმედი, გაბზარულია...“

გადაგვარებულ ბუჩქნარს შემრწუნებული დასცქეროდა პრუდენსიო, სადღა იყო ძველი, სასტიკი, მრისხანედ შემართული კაატინგა, - გამძღარი და დასიებული, მიწაზე უღონოდ თვლემდა, სულს ღაფავდა თუ რა, წამოწევის არაქათი აღარ ჰქონდა, ამაოდ დააყარა შემორჩენილი გვამები პრუდესიომ - ზიზღით მიხოხავდა ლეშისგან შორს, განზე, სისხლმოყირჭებული კაატინგა.

ზურგი შეექცია ხელქვეითთათვის ჯერაც ამაოდ სისხლმოწყურებულ მარშალ ბეტანკურს, ფრჩხილებს იკვნეტდა, მისით წაქეზებული პოლკოვნიკი სეზარ კი თავჩაქინდრულ, საკაცეზე უღონოდ წამომჯდარ გენერალ ხორხეს თავს დასდგომოდა და, როგორც შეეძლო, აბურთავებდა: „ასეა, ასე, ჩემო გენერალო, იმდენს სხვა ვერავინ დაგიშავებს, რასაც შენი საკუთარი გასიებული, ტუტუცი თავი, - მორიგი ახსნა-განმარტება წარუდგინა და, გაბრაზდა, - შე ჩერჩეტო, შენ, საუკეთესო მიზნოსნები ასე ბრიყვულად მაინც როგორ დააბრედ... - მარშლისა მოერიდა, - როგორ დაახოცინე, გეკითხები, ელემენტარული ხერხი ვეღარ გამოიყენე, შე ტუტუცების ყურუმსაღო, შენ? დაგემწყვდია ვინმე ორი დღით სიბნელეში, გამოგეყვანა ღამით და მაშინ კაატინგას მიღმა ყველაფერს წმინდად დაინახავდა“.

- ყური დამიგდეთ, ძმებო, - კანუდოსელებს მოღლილი თვალი მიაპყრო მენდეს მასიელმა, - ბევრს ვერას გეტყვით, ლაპარაკი მიჭირს... ისე კი, ვიცხოვრეთ რამდენიმე ხანი... ახლა ერთ-ერთი გზა უნდა ამოირჩიოთ - მტრებს ან აქ, ჩვენს ქალაქში უნდა დავხვდეთ და თავი შევაკლათ, ანდა ოჯახებიანად უნდა დაიქსაქსოთ მდინარის გაღმა, ტყეში, და ნამდვილ ნადირობას გამართავენ თქვენზე. რომელი გიჯობთ, ძმებო?..

- ქალაქის დაცვა გვირჩევნია, კონსელეირო! - წამოიძახა უცებ როხასმა, გაწითლდა.

და დონ დიეგოც მაშინვე წამოეშველა:

- რაღა თქმა უნდა, სხვაგვარად ალბათ ტყეში გამოიჭერენ თანდათან ყველას, კონსელეირო, და ყოველ მათგანს გემოზე აწამებენ, ისე კი, ბრძოლაში, მანუელოზე ადვილი სიკვდილი ელით. ქალაქის დაცვა ურჩევნიათ, კონსელეირო, რაღა თქმა უნდა.

არ მოეწონა ჟოაო აბადოს, თავის თავს რომ არ ათვლიდა კანუდოსელებში დონ დიეგო, მენდეს მასიელს დიდმნიშვნელოვნად გადახედა, მაგრამ იმას ყურადღება არ მიუქცევია, ხალხს წყნარად უთხრა:

- სამი ნაბიჯით განზე გადექით, ვისაც ასე გსურთ!

დიდიან-პატარიანად სამი ნაბიჯით გადაინაცვლა ხალხმა. დომენიკოც მიჰყვა... და ყველამ უკან, სახლებისაკენ მიიხედა - პირველი მწყემსი, ზე მოდიოდა. მძიმედ მოახლოვდა, ხალხს არ შერევია, შორიახლოს დადგა.

ენანებოდა მოტეხილი დიდი მწყემსი მენდეს მასიელს, თავი ასწია, შეათვალიერა. რაღაც მოიფიქრა და ტანჯულ სახეზეც კი შეეტყო, რომ ეამა; ისევ ხალხზე გადაიტანა მოღლილი მზერა.

- დროს ნუ დავკარგავთ. ბოლოს მაინც დავმარცხდებით, ბევრნი არიან, და ქალებს და ბავშვებს ნუ ჩავუგდებთ ხელში. დიდი ხეების ჭრას შეუდექით, ტივები შევკრათ, და რომ დაბნელდება, მდინარით ქვემოთკენ გაუყევით გზას. გათენებისას სადმე გადახვალთ, და რომ ვერ მოგაგნონ, ტივებს ნაპირზე ნუ დატოვებთ, ისევ ქვემოთ დააცურეთ, იქ კარგა ფართო იქნება მდინარე, ზღვამდე ჩაიტანს. ტყეს შეერიეთ. რაც შეიძლება, ღრმად... გეძებონ მერე. ნაჯახს რომელი ხმარობთ კარგად, გამოდით.

ყველამ გადმოდგა თითო ნაბიჯი.

- არა, ასე არ გამოდგება, - ძლივს ჩაეღიმა კონსელეიროს, - მხოლოდ ათი კაცია საჭირო... დანარჩენებს სხვა საქმე გელით.

- ხეებს მე მოვჭრი... - კუშტად წარუდგა მოხუცი სანტოსი, - ოღონდ ფეხებში ნურავინ მომედება... დამხმარე არა მჭირდება. დანარჩენებმა მოჭრილ ხეებს ტოტები დაასხიპონ, გამოაჩინონ და ტივებად შეკრან.

- აუხვალ კია მარტო? - დააცქერდა მენდეს მასიელი, - იმოდენა ხალხის სამყოფი ტივები...

- დარდი ნუ გექნება, კონსელეირო.

- კარგი. გრეგორიო, ნაჯახის ხმამ შორს რომ არ გააღწიოს, ახლოს დაუდექ და შენი დოლი ააგუგუნე. თორემ მაშინვე მიხვდებიან, და გადაკეტავენ სადმე მდინარეს.

ჭალისკენ გაეშურა მოხუცი სანტოსი, გზაშივე ლესავდა ნაჯახს. გრეგორიოც, დოლიანა, გაჰყვა.

- დანარჩენები, მამაკაცები, კაატინგასკენ წახვალთ. ცოტა ხანს ალბათ ვერ შემობედავენ, მაგრამ მაინც უნდა იჩქაროთ. შორიახლოს ჩასაფრდით ბორცვებზე. შენ აქ დარჩი, ზე. შინ დაბრუნდი და კარგად იფიქრე. არავინ გემდურის, იცოდე, არავის სწყდება შენს გადარჩენაზე გული, და რახან ასეთი ეჭვიანი ხარ, გამოსავალი დამშვიდებისა შენვე უნდა იპოვნო. მუდამ არსებობს.

ნაჯახის ღონიერი ხმა გაისმა კანუდოსში და მაშინვე აგუგუნდა დოლი.

- ახლა კი, ძმებო, - ხალხი მოათვალიერა მენდეს მასიელმა, - ვიდრემდე წახვალთ, ერთს კიდევ გეტყვით. ნუ გგონიათ, რომ ცუდ და უბედურ დროს დაიბადეთ. იქნება მართლა კარგი რამ იყო ის ოქროს ხანა, ზღაპარ-ზღაპარ რომ გვსმენია ხოლმე, მაგრამ მტერს, ძმებო, სულ მოლზე წოლა, სალამურის დაკვრა და წყაროს ჩუხჩუხი... და რომ იცოდით, უბედნიერეს დროებაში ხართ გაჩენილი ყველანი, ძმებო, - სიბინძურეში, ამაღლების საშუალება უფრო არსებობს, და, თქვენ მოგეცათ. წადით ახლა და, თქვენ იცით, როგორ იბრძოლებთ, თუ გამოჩნდებიან. საღამო ხანს შემოიარეთ, ერთმანეთს უნდა დავემშვიდობოთ.

ჭალაში მძიმე შხუილით გადაწვა პირველი ხე.

- ჩვენ გავიმარჯვებთ კონსელეირო, აი ნახავთ, თუ არა! - წამოიძახა აღელვებულმა ჟოაო აბადომ, - თითო ჩვენგანი აუარება იმათს ვუდრივართ, და აი, ნახავთ, თუ არ გავიმარჯვებთ, მზე მაღლა იქნება. თოფებიც გვაქვს და ტყვია-წამალიც, ყველაფერი, აუცილებლად გავიმარჯვებთ, კონსელეირო!

მაგრამ აქ მენდეს მასიელმა ყოვლად გაუგებარი რამ ჩაილაპარაკა:

- ღმერთმა დაგვიფაროს...

- კარგი ამბავი, დიდო მარშალო, კეთილი ამბავი, ჩიტი-გვრიტი, - სახე უციმციმებდა ოთახში სირბილით შემობრუნებულ პოლკოვნიკ სეზარს, - ამასთან გითხრათ?

- არა, მოაშორე.

და გაჯორილი გენერალი ციმციმ რომ გაიყვანეს, პოლკოვნიკმა ბედნიერად შეჰღიმილა:

- კაატინგა გადაწეულა, გრანდისსიმოჰალლე, და გზა ხსნილია!

- რაო? რას ამბობ...

- ახლახან მოიჭრა მაცნე, გრანდ...

- ძალიან კარგი... ძაალიან კარგი, ჩემო პოლკოვნიკო, - სიხარულით დაბურძგლა მარშალ ბეტანკურს, ბოლთა დასცა და გააჟრიალა, ხელებს იფშვნეტდა, - როგორ მომხდარა?

- ჩვენი ძვირფასი გარდაცვლილების ნეშტს იქიდან აყრიდა თურმე ვიღაცა, ვინმე, - მხიარულად უხსნიდა პოლკოვნიკი, - და კაატინგა თანდათანობით, დამძიმებული, დანაყრებული, ქვევით იწევდა და ახლა ისეა მოდუნებული თურმე, გადი-გამოდი ვისაც გინდა, რამდენიც გინდა...

- აიმ ვიღაცას ნეტავი არ გამოედევნენ?

- პირიქით, გრანდისსიმოჰალლე, თვითონ გიჟივით გამოქცეულა აქეთ და ძალიანაც ყვიროდა თურმე. ჯერ ეგონათ, რომ ჩვენი ორიენტაციისა იყო და ამიტომ მოიგონა კაატინგაში გამოსასვლელი ხერხი, მაგრამ პირველსავე კორპუსელს ყელში კბილებით ჩაფრენია და ვერასდიდებით ვერ აუგლეჯიათ, დიდხანს ურტყეს კონდახები თურმე.

- მოკლეს?

- კი... დიახ!

შენაღვლიანდა მარშალი ბეტანკური, იშვიათად თუ განაწყენებულა საკუთარ თავზე - „როგორ ვერ მოვიფიქრე კაატინგაში ხალხის ჩაყრა... რა ადვილად გადასავლელი ყოფილა და, თავს როგორ ვიტეხდი“. და აჩქარებით რაიმე კიდევ რომ არ შეშლოდა, ძლიერ ჩაფიქრდა, გაიარ-გამოიარა. პოლკოვნიკს შეაცქერდა მერე:

- აქ, კამორაში, ან გზად, ეგ ამბავი ვინმესთან ხომ არ დასცდენია...

- არა, გრანდისსიმოჰალლე.

- ეგ მაცნე ახლავე დაამწყვდიე. კორპუსისაკენ კი ვინმე გაგზავნე და ჩემი სახელით უბრძანოს, ფეხი არ მოიცვალონ. დიდი ზარალი მოგვაყენეს იმ ოხრებმა და გათახსირებულებმა, ჩემო პოლკოვნიკო, დიდი ზარალი, - დაფიქრებული მიმოდიოდა მარშალი ბეტანკური, - და მთელი ამ ხათაბალიდან რაიმე ხეირიც უნდა ვნახოთ. ამიტომ ახლავე, სანამ დღეა, შინისკენ ღიაა საკაცით წაიყვანეთ გენერალი ხორხე, და იმის დაჭრას მთელი ქალაქი რომ შეიტყობს, ეგონებათ, რომ ცუდად გვაქვს საქმე, და ვისაც გულში ჩვენზე რაიმე ცუდი უძევს, დრო დაგვიდგაო, ეგონებათ და აყრანტალდებიან. მთელი შენი გადაცმული ოფიცრიონი ქალაქში დაქსაქსე, ასი ყური და თვალი გამოიბან, და ჩემით უკმაყოფილოთა სიები დილითვე მომართვი. იმ დაბაა

თუ რაღაც ჯანდაბას მიწასთან რომ გავასწორებთ, მერე საეჭვო ელემენტებისგან უნდა განიწმინდოს დიადი კამორა. გასაგებია?

- ჩემგან შექება როგორ გეკუთვნით, როგორ გაკადროთ, დიდო მარშალო, - გული ისე აუჩქროლდა პოლკოვნიკს, მაინცდამაინც ვერ დაალაგა წინადადება, - მაგრამ გენიოსი ხართ და, რა ვქნა, როგორ შევიკავო ამ გამოთქმისაგან თავი, გრანდისსიმოჰალლე.

- და კაეტანომაც ასე იყვიროს - საღამოს ამდენი და ამდენი საათია და ყველაფერი არც თუ ისე გენიალურადაა.

- რომ ვერ გაბედოს?..

- რიღასთვის მყავხარ.

- აუცილებლად ეგრე იყვირებს, გრანდისსიმოჰალლე.

- სხვა... თუ მიიღე რაიმე ზომები.

- ერთი ვცადე და მაინცდამაინც ვერ გამიმართლდა, დიდო მარშალო... - დაირცხვინა პოლკოვნიკმა სეზარმა.

- რა სცადე... გისმენ.

- მეც მოვინდომე უკმაყოფილოთა მიგნება, სასიამოვნო სიურპრიზს გიმზადებდით, გრანდისსიმოჰალლე, და რადგან ჩემს გადაცმულებს, უმრავლესობას, პარიკიან-ულვაშიან-სათვალიანადაც სცნობენ, ახალი კადრი გამოვიყენე - ლამაზ-გენერალს ქალურად ჩავაცვი, მატყლი ჩავუდე მკერდში, სხვაგან არ დასჭირდა და ღამის სასადილოში შევუშვი... ძალიან შევცდი.

- რატომ.

- მეტისმეტობით, ისე ძალიან შევალამაზე, ისეთი დავასწავლე გამომწვევი სიარული, პირის კანიც ისეთი ნაზი აქვს, გრანდისსიმოჰალლე, ისეთნაირად ჩავაცვი კოხტად... გადავამლაშე - მოგეხსენებათ, დიდო მარშალო, ლამაზ ქალებთან პოლიტიკაზე არ საუბრობენ.

- აბა?!

- სულ ერთიანად დაბზკენილია.

სახე შეჭმუხნა დიდმა მარშალმა, მაგრამ გართულ პოლკოვნიკს არ შეუმჩნევია. ესეც არ ესიამოვნა მარშალ ბეტანკურს, უხეშად უთხრა:

- მაშ, ესე იგი, ჩემი დავალება გაიგე, არა?

- კი, როგორ არა, - მხიარულად მიუგო პოლკოვნიკმა სეზარმა, - ვინც თქვენზე ცუდი რამა თქვას, გული გაუპოს დანამა, არა?

- ძალიან გათამამდი შენ, ფედერიკო, - სუსხიანად მიაჩერდა დიდი მარშალი, - უსაქმურობამ იცის ეგ. და, სხვათა შორის, კაატინგას გადახსნაში არავითარი წვლილი არ გიძევს.

- კი... - ძალიან შეცბა გალაღებული პოლკოვნიკი, თავი ჩაღუნა, - დიახ, როგორ არა, სწორი ბრძანდებით, გრანდ...

- იმ კორპუსს შენვე უმეთაურებ. წადი.

მზე ჩასულიც არ იყო, მდინარესთან მიჩოჩიალებული აუარება მორი ტივებად რომ შეკრეს, ხელისგული გადაისვა გახვითქულ შუბლზე მოხუცმა სანტოსმა, მერეღა დადუმდა გრეგორიო პაჩეკოს დოლი. ჯირკვზე ჩამოჯდა დაქანცული დომენიკო, ყურებში ისევ გუგუნი ედგა, ხელ-ფეხი, ბეჭები, წელიც ძალიან სტეხდა და მაინც, მწარედ სიამოვნებდა; თავი გადასწია, ტკივილით გაიზმორა და, როგორც კი თვალი გაახილა, შეკრთა, წამოდგა - თოფჩაბღუჯული ვაკეიროები დინჯად ბრუნდებოდნენ კანუდოსში, ჟოაო კი ჯგუფს გამოეყო და გაცხარებულმა მიირბინა მენდეს მასიელთან, აღშფოთებისგან სიტყვა უწყდებოდა, სუნთქვა ეკვროდა:

- აკი ვამბობდი, კონსელეირო, ნუ მივიღებთ-მეთქი... ძალიან, რადგან... როგორ!.. ისეთი დაპრანჭულ-გამოპრანჭული... ისღა გვაკლდა სწორედ, ოოხ, მაგისი!..

- რა დააშავა, - წყნარად იკითხა კონსელეირომ, დაბრუნებულებს რომ გადაავლო თვალი - დონ დიეგო აკლდათ.

- რა და... ჯერ ის იყო და, მასხარაობა მომინდომა... მხოლოდ ის მყავდა არასაიმედო, და ამიტომაც ჩემთან ახლოს ჩავასაფრე... - კაატინგასთან, სადარაჯოდ. პატარა ხანი რომ გავიდა, სსსუო, დამისისინა და რომ შევხედე, ისეთი შეშფოთებული ჩანდა, ფუჰ, ვიგინდარა, მეც შევშფოთდი, ალბათ კამორელები თუ შენიშნა-მეთქი და რა არი-მეთქი, ხელით რომ დავეკითხე, აქ მოდიო, მანიშნა... ძალიან ფრთხილად, სულ ხოხვა-ხოხვით მივუჩოჩდი და ქეიფში როგორ ბრძანდებით, ჟოაოო, მკითხა! კაატინგასთან კი არავინ ჩანდა... ახ, ის მასხარა, ვიგინდარა ის! ძალზედ გავბრაზდი, კონსელეირო, გავეცალე, აღარ ვიყურებოდი იმისკენ, დასანახად მეზარებოდა, მერე კი, წამოსვლის დრო რომ დაგვიდგა, მოვიკითხეთ და... სადღა იყო! მოღალატე,

ლაჩარი, გამყიდველი, მშიშარა!.. რად გვინდოდა, ა, კონსელეირო, ისეთი უცხო, ისეთი გადაპრანჭული...

- კარგი, დაწყნარდი, ჟოაო, - მშვიდად ახედა მენდეს მასიელმა, - ყველამ თავისი საქმე იცის.

დიდ ხესთან მიმჯდარ კონსელეიროს მიუახლოვდნენ მწყესები, შედგნენ; მთელი ქალაქიც იქვე მოგროვდა, კვლავ მოშორებით გამდგარიყო ზე. გრეგორიო პაჩეკომ და სენობიო ლდოსამ ფრთხილად წამოაყენეს კონსელეირო, მხარში შეუდგნენ, წელზე შემოხვიეს ხელი, ღონე მოიკრიბა მენდეს მასიელმა, სუსტი ხმით, მტკიცედ ალაპარაკდა, კიდევ კარგი, რომ საღამოსპირი იდგა, შებინდების დასაწყისი, მიყუჩების დრო, სიტყვა კარგად ისმოდა.

- ერთი რამ ახლავე უნდა გადავწყვიტოთ, ძმებო. ქალებს და ბავშვებს ორი თქვენგანი უნდა გაჰყვეს.

გაკვირვებულნი უმზერდნენ კანუდოსელები, რა დიდი გადასაწყვეტი ეს იყო...

- და სამუდამოდ იმათთან უნდა დარჩნენ.

აქ კი სუყველამ განზე იბრუნა პირი, კონსელეიროს სახეს არიდებდნენ, რომ არ მოხვედროდნენ თვალში. ერთადერთი, დომენიკო მისჩერებოდა... ვერ მიმხვდარიყო, რა რას ნიშნავდა. და კონსელეირომაც ახსნა:

- ვიცი, ძალიან რომ გერიდებათ განწირული ქალაქის მიტოვება, მაგრამ აუცილებელია ეს, ძმებო, - ტივების მართვას მაგარი ხელი სჭირდება, ქალი ვერ შეძლებს და მეორეც ის, ჩვენი შვილები მამაკაცმაც უნდა გაზარდოს - ცხენოსნობაო, ნადირობა, ათასნაირი ხერხი... რომლები წახვალთ?

არც კი გამოუჭვრეტია არავის, და ზეს კეფაში ჩაალურსმა მზერა მენდეს მასიელმა, და იმანაც მაშინვე იგრძნო, მკვეთრად მოაბრუნა თავი. რა დაძაბულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს კონსელეირო და ზე მორეირა, პირველი მწყემსი... თვალებით როგორ ლაპარაკობდნენ! მერე თავიც კი ოდნავ დახარა მენდეს მასიელმა - რაღაცაზე შეთანხმდნენ, და მხოლოდ წამით, შვებით გაიღიმა ზემ... დომენიკოღა მისჩერებოდა რიგრიგობით ორივეს; სხვებს, თავმიბრუნებულთ, არაფერი შეუტყვიათ. წელში გასწორდა ზე, მხრები გამართა, გადაწყვეტილი ჰქონდა უკვე, როგორ მოქცეულიყო სიცოცხლის ბოლომდე. ძველი იერი უბრუნდებოდა, ძველებური ლაზათი და თანდაყოლილი სიამაყე, ეშხი... და მერე განგებ ისევ საწყლად ჩაღუნა თავი.

- კენჭისყრის დრო არა გვაქვს, - თქვა მენდეს მასიელმა, - მხოლოდ საღამო უნდა ვიკმაროთ, რადგან ან დღისით გადასწყვეტენ ხოლმე შეტევას, ან - ბნელი ღამით. საღამოობით - არასოდეს. რომელი წახვალთ...

- მე, მე წავყვები, კონსელეირო!

სუყველამ ზესკენ მიაბრუნა თავი, დაბნეულები შეაცქერდნენ. თავისით როგორ იკისრა გაცლა!.. ის კი, ოდნავ აწითლებული, იხტიბარს არ იტეხდა თითქოს, მენდეს მასიელთან საქმიანად ალაპარაკდა:

- ორი კაციო, კონსელეირო, არა?

- კი, ორი კაცი.

- როხასს წავიყვან.

- ძალიან კარგი.

- როდის წავიდეთ?

ძველებურად მხნედ შემართულიყო პირველი მწყემსი, მაღალ ფეხებზე არხეინად იდგა, კანუდოსელების გაკვირვებას არად აგდებდა.

- როგორც დაღამდება.

- ეს რთული და საპატიო საქმე უნდა იყოს, წესით, ჩემზე უკეთესად ალბათ ვერავინ გამოზრდის ბიჭებს, კონსელეირო, არა?

- კი.

- და, ამიტომაც, სწორედ მე წავალ.

ეუხამუშათ პირველი მწყემსის საქციელი კანუდოსელებს. ზედ გარდუვალი ბრძოლის წინ, ასე უდარდელად გაცლა... მარიამიც კი დაბნეულიყო.

მაგრამ ზე ერთ-ერთი გახლდათ იმ რჩეულ ხუთთაგან...

- კი მაგრამ, მე რა დაგიშავეთ, კონსელეირო, - ხმა აუკანკალდა როხასს, და აღშფოთებამ სიცოცხლეში პირველად ძალიან გრძელი წინადადება ათქმევინა: - რითი მიწუნებთ მაინც, ცუდად ვმუშაობდი, ცუდად ვიბრძოდი თუ რა, ის ჭრილობებიც კარგა ხანია მომიშუშდა და სხვებსავით არც ცოლი მყავს და ძირი, რომ გავეკიდო.

- უნდა წამომყვე, - უთხრა გაფითრებულმა ზემ, და მერე თითქოს წაეხუმრა, - მე რა, რითი ვარ შენზე ნაკლები, ჭრილობები რომ არ მაქვს? მეც კი შეიძლებოდა მქონოდა და რომ მივდივარ ახლა...

მაგრამ როხასმა ზიზღით შეხედა, და დაუნდობლად გააწყვეტინა:

- შენ ნაჩუქარი სიცოცხლე გაქვს, და როგორც გინდა, ისე მოიხმარ.

მაჩეტესაკენ გაექცა ხელი ზეს, მაგრამ დროულად შეიკავა თავი, ტუჩი მოიკვნიტა.

- შენ რომ გგონია, არც ისეა საქმე, როხას, - ძლივსღა ლაპარაკობდა მენდეს მასიელი, ყოველი სიტყვა ძალიან უჭირდა, - დიდად მოსალოდნელია, გზაშიაც დაგხვდნენ კამორელები და სხვებზე სასტიკი ბრძოლა ეგებ შენ გელის...

- მით უმეტეს, კანუდოსში მინდა მოვკვდე.

- გრცხვენოდეს, როხას! - დაანამუსა მენდეს მასიელმა და მწყემსმაც მაშინვე თავი ჩაღუნა.

მოსაღამოვდა, დაბალ ხეებზე მიძვრებოდნენ თვლემამორეული ქათმები.

- ეგ ფრინველები აუცილებლად წაიყვანეთ. იმ ახალ ადგილას, სისხამ დილით, - სუსტად გაიღიმა კონსელეირომ, - მამალმა აუცილებლად უნდა იყივლოს. და მთელი ნახირიც გაიყოლიეთ, ორ ტივზე მოთავსდებიან. ათიოდე ცხენიც წაიყვანეთ.

- ახლა კი ყველანი დავსხდეთ, და გავყუჩდეთ, - თქვა მენდეს მასიელმა, შეშფოთებული ქათმების კრიახი რომ მიწყდა, განშორების წინ, ასე იციან. დამშვიდობებით კი ერთმანეთს სიბნელეში დავემშვიდობოთ, ვისაც როგორ გვინდა...

დაღამებამდე, თვალს არიდებდნენ დედას, ცოლს, შვილებს, საბრალოდ ისხდნენ; წამოდგნენ მერე, გახევებულნი, ისე თვალნათლივ მკვრივდებოდნენ მოძალებულ ბინდში... მერე კი, მაგრად რომ ჩამობნელდა, თითქოს ძალიან ამოძრავდა ყველა, თითქოს ერთმანეთს ეფერებოდნენ, ტიროდნენ, ქვითინებდნენ ზოგან, ხელისგულს ნაზად უსვამდნენ ერთმანეთს ლოყებზე, თავზე, გატრუნულ ბავშვებს შუბლზე ჰკოცნიდნენ, ძაან ახლობელს თუ მიაგნებდნენ, ჩახუტებულნი, შეჩვეულ სითბოს სუნთქვაშეკრულნი უგდებდნენ ყურს... ნაჯაფ, ხესავით გრილ, დაკოჟრილ ხელებს ყელზე სათუთად უსვამდნენ ბავშვებს, ზოგი მალულად იმშრალებდა ცრემლს, და ბნელ ღამეში ძალიან აითქვიფნენ, ყველა ერთმანეთს ეფერებოდა თითქოს. დამრჩენებიც კი, ხელისგულს რწმენით ადებდნენ ერთიმეორეს მხარზე, იმ კუნაპეტში თანაქალაქელებს აღელვებულნი, იმედით შესცქეროდნენ,

დაბორიალებდნენ ბნელში, წყნარი მდინარე ვერ ფარავდა იმათ ფეხის ხმას, საყოველთაო, შეკავებული ალერსი სჭირდათ, წყვდიადში მხარს თუ უნებურად გაჰკრავდნენ ვინმეს, მაშინვე ალერსით იღიმებოდნენ, ასე ეგონა დომენიკოს, იმ სიბნელეში ნამდვილად ასე ეჩვენებოდა.

...მსგავსი არაფერი მომხდარა, უძრავად იდგნენ.

და, ტივები რომ ჩასცდა კანუდოსს, კონსელეიროსკენ იბრუნეს პირი, კვარი სახეზე დაანათეს - ვეღარ სუნთქავდა.

გაბრუებულები, მხრებჩამოყრილნი იდგნენ: დედა, ცოლშვილი - უსუსურად მდინარეს მინდობილნი და სამუდამოდ, ალბათ, მათთვის დაკარგულნი... ის საკვირველი უცხო, დონ დიეგო, სამარცხვინოდ გაპარული... პირველი მწყემსი, ამ ბოლო დრომდე მისაბაძი და ხერხით, ძალ-ღონით, მთავარი იმედი, ზე მორეირა - მთლად გამოცვლილი, თავარიდებული ბრძოლას... და კაატინგაც - გადაწეული... მანუელო კოსტა - მკვდარი... ყველაზე ნამდვილი ვაკეირო, როხასი, უთქმელი და საქმისმოყვარე, მშვიდად მართალი - კანუდოსიდან ძალისძალათი გადახვეწილი... და სიტყვიერი მათი ერთობა, იმათი რწმენა, კონსელეირო მენდეს მასიელი, ვეღარ სუნთქავდა... თავისი ქალაქის მიწაზე, პირაღმა გადაქცეული იწვა.

კანუდოსელები მაინც კარგად იბრძოდნენ

როგორც ეს მოგვიანებით გაიფიქრა პოლკოვნიკმა სეზარმა, კორპუსი დღისით, მზისით, მთლიანად არ უნდა გაეყვანა კაატინგას მიღმა. ასე ეგონა, მრავალრიცხოვნებითა და სანაქებო შეიარაღებით თავზარს დასცემდა მოწინააღმდეგეს, მეთაურთა გაცემას მოსთხოვდა, სამაგიეროდ რიგითებს სიცოცხლის შენარჩუნებას აღუთქვამდა და იარაღს ფერხთით დაუყრიდნენ. მაგრამ მოლაპარაკება ვინ აცალა - მთელი კორპუსი რომ შექუჩდა, მწყობრად განლაგდნენ და უხილავი ქალაქისაკენ ყოჩაღი მარშით გასწიეს, გორაკებზე ჩასაფრებულ კანუდოსელთა თოფებიც გრილი ლულებით ჩააცქერდნენ მომხვდურებს და უმრავლესობას თუმცა უვარგისი, მიზანმოშლილი იარაღი ჰქონდა, ეგ არაფერი - ერთს რომ გულმოდგინედ დაუმიზნებდნენ და ჩახმახს გამოჰკრავდნენ, სულ სხვა კორპუსელი გაგორდებოდა - ძალიან მჭიდროდ მოდიოდნენ დამხობილი კაატინგათი გაარხეინებული კამორელები. პოლკოვნიკის ბრძანებამდეც კი მთელი კორპუსი გაიფანტა, გაწვნენ, ზოგნიც კანტიკუნტ ხეს ამოეფარა, და არ იძვროდნენ; ფრთხილად თავაწეულნი, გაყინული, ხვლიკის თვალებით იყურებოდნენ ბორცვებისაკენ. ვერ დავუკარგავთ - არ დაშინებულან. ხანდახან იმათ გვერდით მიწაში ესობოდა ტყვია, თავს ჩარგავდნენ ხოლმე. მერე სიჩუმე დააწვათ და

გაიკვირვეს, დაინტერესდნენ, წამოწეულნი დიდის იმედით უცდიდნენ ღამეს, რა იცოდნენ რომ, კანუდოსელებსაც ღამის იმედი ჰქონდათ. აქა-იქ, ბორცვებზე, ხანდახან ვაკეიროთა ოთხკუთხა ქუდი ამოიწვერებოდა, და მაშინვე იქით მიაშვერდნენ თოფს. მერე გაუტკბათ ცალმხრივი სროლა, ცოტა უკვირდათ, კანუდოსელები რომ არ პასუხობდნენ. მაინც დიდის სიფრთხილით, სუნთქვაშეკრულნი ეფარებოდნენ არიერგარდიდან მოყვანილ, საგანგებოდ გაწვრთნილ, გაყუჩებულ ცხენებს, და უცებ მოულოდნელმა თქარათქურმა შეაკრთოთ - ბორცვების თავზე ჭენებით გადადიოდნენ კანუდოსელები, მიეფარნენ თვალს. სწრაფად წამოხტა პოლკოვნიკი, კორპუსს ამხედრება უბრძანა და ვაკეიროებს გაედევნენ. მაგრამ მანძილი არ მოკლდებოდა, მხოლოდ პოლკოვნიკის სიფეხმარდით განთქმული ცხენი უახლოვდებოდა ჩამორჩენილ ვაკეიროებს და ისიც შედგა - სულაც არ შემკრთალა პოლკოვნიკი სეზარ, მაგრამ ერთი კაცის შებმა იმოდენა რაზმთან სისულელე იყო. იდგა, კორპუსს უცდიდა. მერე ოფიცრებს მოკლე ანგარიში მკაცრად, საქმიანად მოსთხოვა - მაინცდამაინც ბევრნი არ აკლდათ, დამსჯელი რაზმიდან წამოყვანილ, მომვლელებად გადაცმულ რამდენიმე ადამიანს თოფნაკრავებთან დარჩენა უბრძანა, რადგან კაატინგას აღორძინების გამოსარიცხად - ასე დაარიგა დიდმა მარშალმა - ბუჩქნარში დროდადრო უნდა ჩაეგდოთ უდისციპლინონი ან დაჭრილები. შებინდებისას ტყეს მიადგნენ და პოლკოვნიკმა ვახშმობა ბრძანა, მაგრამ სურსათით დატვირთული ურმები აღარსად ჩანდა. პროვიანტის მოსაძებნად რამდენიმე ამხედრებული კორპუსელი გაგზავნეს, მაგრამ აღარც ერთი დაბრუნებულა - ბნელში, მაჩეტე... შორითა ტყეში კი უხვად დაძღნენ ტურები. იმ რამდენიმე ვაკეირომ, ინოსენსიოს მეთაურობით ურმები რომ ჩაიგდო, არ იკადრა მტრის ლუკმა, მხოლოდ ერთი ციკანი - პოლკოვნიკის კუჭით საყვარელი შინაური ცხოველი - დაუთმეს უცნაური ნადირობის ხასიათზე დამდგარ სანტოსს. მთელი დღის უსმელ-უჭმელი, მანამდე კი ათასგვარი სურსათ-სანოვაგით ერთთავად განებივრებული პოლკოვნიკი სეზარ ახლა, ამ ტყეში, ხმელა პურზედაც არ იტყოდა უარს - მუცელი გვრემდა. აწრიალებული მიმოდიოდა ოფიცრიონში, შენიშვნას შენიშვნაზე იძლეოდა, ვერ ისვენებდა; ორიოდ ყლუპმა ნაზად ცეცხლოვანმა, მოალისფრო სითხემ უფრო აუღერღა მადა, კუჭი ეწვოდა. იმ სიბნელეში რომელიღაც არხეინ ლეიტენანტს თავზე დააბიჯა, მის წამოყვირებაზე კინაღამ გული გაუსკდა, ძალიან განრისხდა და უადგილო დროს ძილისათვის წოდება ფიცხლად აჰყარა. მერე გუშაგები მიმოაყენა, და ძილი ისურვა; თვალდახუჭული კი იწვა, მაგრამ კარგა ხანს არ ეკარებოდა რული - დიდად მოგვიშივდა პოლკოვნიკ სეზარს. გამორჩეული საჭმელები ენატრებოდა, და ისე ცხადად წარმოედგინა, სუნიც კი სცემდა - ხახვმოყრილი შემწვარი სუკი, მაგალითად, ვთქვათ; ღვიძლი, ბასთურმა, და დედის

მუცლიდან ამოყვანილი ჯერაც დაუბადებელი ხბო, რძეში მოხარშული - აჰ... ოდნავ ჩასთვლიმა, და ნიკაპზე ნერწყვი გადმოსდინდა, ზმანება ნახა მაშინვე ისეთი - შავ პურზე თხლად წასმული ღორის გადამდნარი ქონი და წითელი ხიზილალა ბარაქიანად ზედ, მსხვილმარცვლოვანი - რა სანუკვარი შესაჭმელი იყო, სამი საოცნებოდ განსხვავებული რამ ერთდროულად, ერთად: ხაოიანი შავი პურის გამომწვევი სიველურე, ქონის მძიმედ ნატიფი, ამაზრზენი ცხიმიანობა და მთავარი რამ - შორეულად მწკლარტე, ნერწყვდამდენი წითელი ბუშტუკები ენამიჭერილ აქავებულ სასაზე როგორ სკდებოდნენ... აჰ?! სწრაფად წამოჯდა პოლკოვნიკი, მიმოიხედა - ბნელოდა ძაან, რა იქნებოდა აბა უმთვარო ღამით დაბურულ ტყეში, და ციკნის უმწეო, ბაცი კიკინი მოესმა თითქოს. რა, მომეჩვენა? - გაიფიქრა პოლკოვნიკმა, მთელის არსებით მიაყურადა, მოესმა კვლავაც - სხარტად წამოდგა; იმ სიზმრის მერე, გამგელებულმა, აღარ იცოდა, სად იყო, ვისთან, სანუკვარი ხილვებით შემობურულს, კორპუსელები კი არა, ქალიც აღარ ახსოვდა, მაგრამ სიბნელეუჩვევს წყვდიადი მაინც უსიამო აზრებს ჰგვრიდა და გასამხნევებლად ისევ მიიყუდა კონიაკიანი მათარა, სული აეწო... მერე გამხნევდა, და საოცნებო კიკინისაკენ, დროდადრო რომ გაისმოდა, ყურმიშვერილმა, ოდნავ გვერდულად გასწია, ვეღარა გრძნობდა სახეზე წაცაცუნებულ ფოთოლს, წვრილად მოდებულ აბლაბუდას, ხოლო წინ, იქით, საფუძვლიანი ქსელი ელოდა - დაბალ ტოტზე იჯდა მოხუცი სანტოსი, ქამარში ნაჯახი გაეჩარა და იმავე ხეზე გამობმულ ციკანს გრძელი, წვეტიანი ჯოხით ფერდში სჩხვლეტდა და აკიკინებდა. კისერწაგრძელებულ, მსუნაგად მიახლოებულ ადამიანს შორიდანვე მოჰკრა თვალი, არა, მასიმო ეს არ იყო, მაგრამ მხრებზე კარგა ბრჭყვიალა ეპოლეტები კი ესვა; ფეხისგულებით მიებჯინა მოხუცი სანტოსი წინა ტოტს, გამაგრდა ადგილზე, გაიტრუნა... უჩხვლიტა ისევ ციკანს და გახარებულმა განაგრძო საბოლოო გზა სეზარმა. ხელის ცეცებით, გულაჩქროლებული უახლოვდებოდა სანტოსიან ხეს, კარგი ჭამა და კარგი სვა პოლკოვნიკმა იქამომდე, ბევრიც იარა, რაღა უნდოდა, რაღა გინდოდა. ჰოი, ბეჩავო, ბეჩავო, ბეჩავო პოლკოვნიკო, სად მიხვალ, პოლკოვნიკო, სად... რას დაგიდევდათ, ციკნის ხორცი ესურვილებოდა, უკაწკაწებდა მოშიებული სული, როგორც ყოველთვის, მთავარი ის იყო, ახლა, ამწუთას ჰქონოდა საზრდო, ადრინდელ ნუგბართა - „დედა არ ვატირე?“ - გაიფიქრა პოლკოვნიკმა, უფრო სულსწრაფად გასწია, და არ იცოდა, ვერა ხვდებოდა, ამა კიკინის წყალობით რომ იქ, ჩასაფრებულში, ცეცხლია მაღალი, იქ, ჩასაფრებულში, მაღალი ცეცხლია და კვლავინდებურად ხელგაშვერილი მიიკვლევდა გზას, მშვენივრად იცოდა, რაც უნდა ექნა - თავს ნაზად გადაუწევდა ღონივრად თითებჩაბღუჯულ ციკანს, ალერსიანად გამოუსვამდა ყელში დანას და იქვე კოხტად გაატყავებდა, მოკლედ, იცოდა, რაც უნდა ექნა და ბნელში ნაცრისფრად ამობჟუტულ ციკანსაც ჰკიდა თვალი, ერთი, ორი და

იქავე იყო, და სანამ დახრას მოასწრებდა, მოხუცი სანტოსი გადმოიზიდა; ქეჩოში სწვდა და ლეკვივით ასწია, ფეხებიც კი აკეცა მოულოდნელობისაგან მთლად წამხდარმა სეზარმა, ჰაერში უსუსურად კონწიალობდა, მოხუცმა სანტოსმა კი მეორე ხელით წელში გაჩრილი ნაჯახი დააძრო, მოიმარჯვა, გვერდიდან შეხედა ვედრებით თვალებაპყრობილ, შეძრწუნებულ ნადავლს და ნაჯახიანი ხელი მოკლედ, ღონივრად დაიქნია... ზიზღით შეუშვა თითები მერე.

უბრალოდ მოხდა - იყო და არა იყო რა, იყო ერთი ყოჩაღი პოლკოვნიკი ფედერიკო სეზარ.

* * *

დაეჭვებული ეფერებოდა დიდი მარშალი აკრუტუნებულ, სიამით თვალებმილულულ კატა არუფას - გამარჯვების მაუწყებელი მაცნე იგვიანებდა რაღაც...

* * *

გათენებამდე გრძელდებოდა მოქუფრულ კანუდოსელთა თავგზააბნეულ კამორელებზე ეს დაუნდობელი, ჯიუტი ნადირობა. გამწარებულნი დაეძებდნენ თავშესაფარს ბნელსუჩვევი კორპუსელები, მაგრამ ყოველი ხის უკან ყვრიმალებდაბერილი, მაჩეტეჩაბღუჯული ვაკეირო - თავად ბედისწერის მსახვრელი - იდგა. ვერ წაუვიდოდნენ, უმეტესობათაგანნი, მაინც: ფეხისწვერებზე დიდხანს მოარულს და უკვე გადარჩენის იმედჩაღვრილს - უცებ, ანაზდად, ფერდში ქვემოდან ნაძგერები დანა... ტოტზე გაჭირვებით ამძვრალს, ზემო ტოტიდან - ყელში, მაჩეტე... ხეს ამოფარებულს - თითქოსდა გადამრჩენელ ხეზე მიმლურსმნელი შუბი... წაკლული თანაკორპუსელის ხვედრით შეძრწუნებულ მორბენალს, უკან-უკან შიშით მზირალს - წინიდან, კეფაში, სენობიოს გამოჭედილი ხმალი... ტყიდან თავდაღწეულსა და გაკვირვებით მდგარს, ავი წინათგრძნობით გახევებულს - ყელზე ქამანდი და მერე სწორედ ცხენის სისწრაფით მიწაზე მწარე ხახუნით თრევა... რომელიღაცა საზარლად, გავეშებული ბღაოდა და სულ გინებით იხვეწებოდა ხან შველას, ხან სიკვდილს, და არც შველიდნენ და არცა ჰკლავდნენ, ბღაოდა როგორ, ყურები ხელისგულებით დაიცო სანტოსის გვერდით ტოტზე მჯდარმა დომენიკომ, დაბლა, მიწაზე, რა ჩაიყვანდა - ვაკეიროს ჯერ არა ჰგავდა მიხრა-მოხრით, და იმ ღამეში სულ სისხლი, სისხლი ელანდებოდა, სისხლისავე სცემდა აუტანელი სუნი, ყრუ დარტყმების ხმა მაინც სწვდებოდა და თვალდახუჭულიც კი მშვენივრად ხედავდა, როგორ უხვედრებდა გამოქცეულ კამორელს გადაზნექილი მოხუცი სანტოსი დიდ, კალაბრიულ ხანჯალს ზედ ყელთან, მერე კი, წამოცმულს, მკერდზე

ფეხს აჭერდა და ხანჯალს ასე აშიშვლებდა. და დომენიკომ უცებ საწყლად რომ ამოიკნავლა: „აღარ გინდათ, რა...“ - ძალიან შერცხვა, გულს იმაგრებდა, როგორც შეეძლო, და ხოცვა-ჟლეტას ძალისძალათი აკვირდებოდა: ერთი პატარა კანუდოსელი ხომ იყო ისიც და რომ არავის ჰკლავდა, ეგ კარგი, კარგი, კიდევ ჯანდაბას, მაგრამ მთლად თვალგაუხელობაც არ იქნებოდა - თაროზე შესკუპული სათამაშო ხომ აღარ იყო - დაბალ ტოტზე სანტოსის გვერდით იჯდა. გათენებისას კი, სხვებთან ერთად რომ მიუახლოვდა განაპირა ხეებს, ფრთხილად გაიჭვრიტა და შეკრთა - თუმცა გამესამედებულიყვნენ კორპუსელები, მაინც ღონივრად ფეხგადგმულნი იდგნენ, თოფი ეკავათ. და ტყისკენ თვალმოწკურულნი იმზირებოდნენ რაღაცნაირად ალბათ, შორიდანაც კი ასე ეჩვენებოდა დომენიკოს. და კანუდოსელები თუმცა ამ გამესამედებული კორპუსის ნახევარნიც არ იყვნენ, მოგვიანებით ლამაზ-გენერლის კორპუსიც რომ ამოვიდა, ეგ არაფერი, და მერე კეთილ-გენერალ რამოსის სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი დამსჯელი რაზმიც რომ ამობრძანდა, ეგეც კი არაფერი - თვით მიჩინიო მოუძღოდა ჟაგუნსოების აშვებულ ხროვას! მუხლები მოეკვეთა დომენიკოს, მთლად გაეყინა დაბუჟებული თითები, კი, სრულდებოდა - „წყალშიც რომ დაიმალო, იქაც გიპოვნი!..“ შეძრწუნებულმა, ძლივას აითრია ფეხი, შემცივნებული გონებით ველარაფერს გრძნობდა, მხოლოდღა სხეულს ეშინოდა რაღაცნაირად ბრმად და სასტიკად, და კამორელებმა მხარზე რომ მიიბჯინეს თოფი, დომენიკომ კანუდოსელებთან ერთად ტყის სიღრმისაკენ დაიხია, შეგროვდნენ და შორეული კვამლის სუნი ჯერ ძალიან ბაცად, ბუნდოვნად იგრძნეს, მერე ძალუმად, მრისხანედ ეცათ, ეს - ტყე იწვოდა... თავიანთ ქალაქს, კანუდოსს მიაშურეს; საღამოვდებოდა, თავთავიანთი ქოხის სარკმელთან გამაგრდნენ ვაკეიროები, თოფები დატენეს, მოიმარჯვეს, უბრალოდ, იცდიდნენ, კორპუსელები კი მეთოდურად, გაწვრთნილ-დამუშავებული ხერხებით ნელინელ არტყამდნენ ალყას, იმათი მთავარი ძალა - დამსჯელი რაზმი საგულდაგულოდ ახლოვდებოდა, ნასწავლ-დახვეწილი სიარული ჰქონდათ, ძალიან ყალბად მოძრაობდნენ და თოფის სასროლ მანძილზე შედგნენ. საღამოსპირი იდგა, დიდი მიყუჩების დრო, თიხის მშვიდ, თეთრ სახლებში გამაგრებულიყვნენ კანუდოსელები და დარდი ღრღნიდათ: სული სულია, სული - ტკბილია... სხვა დროს არც იდარდებდნენ მაინცდამაინც ამას, მაგრამ შებინდების ჟამი, საღამოსპირი იდგა, მიყუჩების დრო და ყოველ ჩქამსაც უჩვეულო ფასი ედო და იმ მძიმედ მოწოლილ სიჩუმეში ნაღვლიან ფიქრებს მისცემოდნენ. ჰეეი, ქვეყანა, დალოცვილია, კარგია, დიდია, ფერადია და მოუბეზრებელი, მაგრამ უკანასკნელი დღე ედგა ყველას, აღარ იცოდნენ, როგორ მოსწყვეტოდნენ მდუმარებაში წამოშლილ დარდს, ის ოხერი კამორელებიც არ ისროდნენ, ლოდად დააწვათ, თავზე მდუმარება და უცებ მჭახე, სიჩუმის სულ ნაკუწ-ნაკუწ დამფლეთი თქარათქური მოესმათ,

გაკვირვებულებმა მიიხედეს - იმათი მდინარის ნაპირს ლაღი ჭენებით მოუყვებოდა ზე მორეირა, პირველი მწყემსი, საკვირველებავ, რა უცნაურად - ცხენის ზურგზე გამართული იდგა! სანამ რაიმეს მიხვდებოდნენ, მხედრის უჩვეულო ხელოვნებამ მაინც მოსჭრათ თვალი, მოხიბლულები შესცქეროდნენ და იმან კი რომ ჩაიქროლა და, ზედ კამორელებისკენ გაფრინდა, კანუდოსელებმა იმასაც ჰკიდეს თვალი, პირველ მწყემსს ზურგსუკან წაღებულ ხელებში ორი ხმალი რომ ეჭირა, ტანზე აკრული, მტერს თუ უმალავდა, ალბათ, და კამორელებიც არ ესროდნენ, დესპანი ან გამოქცეული თუ ეგონათ ზე, და გინდაც არ ჰგონებოდათ, ვინ წარმოიდგენდა ერთი კაცის იმოდენა ლაშქართან შებმას და ზემ კი, კამორელებს რომ მიეხალა, ხელები ფიცხლად შემართა და ორი მეწინავის თავზე აჰ, რა სასტიკად დაუშვა ხმალი... მერე მაღალი ფეხები ოდნავ გაშალა და ცხენზე დახტა, და სანამ გაოგნებული კორპუსელები გაიაზრებდნენ, თუ რა მოხდა, ან როგორ მოხდა, ან თოფს მოიმარჯვებდნენ, იმათ შორის რისხვად დაბზრიალდა ზე მორეირა, პირველი მწყემსი, ორივე ხელით ბასრ ხმლებს იქნევდა, ცხენს კი შემოსალტული მუხლებით იქით მიმართავდა, საითკენაც სურდა და მისი შემყურე კანუდოსელები ყველაფერს ერთბაშად მიხვდნენ: რატომაც გაეცალათ სულ მცირე ხნით ზე - ერთხელ დახსნილს, სამოწყალოდ რომ არ ეგრძნო თავი, მეორედ თითქოს საკუთარი ნებით გაეცალა ხიფათს და ახლა ამ ამოსვლით, ამ დაუძალებელი უშიშრობით, ორივე დახსნა ასე, ამგვარად გააბათილა; რომ ამობრუნდა, ამით ბავშვებისა და ქალების სამშვიდობოზე გაყვანის ამბავიც ამოაჭენა, შვება მოჰგვარა კანუდოსელებს; და მესამეც რომ, ახლა, ამ მჭმუნვარების ჟამს, მოძმეებს იმას აჩვენებდა, თუ როგორ უნდა მომკვდარიყო ჭეშმარიტი კანუდოსელი და იმ ჭენება-ჭენებაში სხარტად, ლაღად იქნევდა ორ ხმალს, და რა ამაყად შემართული იჯდა იმ მორჩილად აყოლილ ცხენზე, მრავლისმნახველ კანუდოსელებსაც უმაგალითო სიჩაუქეს ახილვინებდა, თქვენ მანამდეც ტყუილად კი არ ბრძანდებოდით სრულიად სერტანის პირველი მწყემსი, სხვათათვის უცნობი, მიკარგული გმირი, ძლიერ უბრალო სახელი გერქვათ - ზე... და მუდამ უთქმელი, რაღაცნაირად განსხვავებით მორიდებული, სულ იმის დარდში - თავისუფალი რომ არ იყავით, ახლა რა თამამად, რა ომახიანად დასძახოდით გაოგნებულ კამორელებს და რა მოწყვეტით იქნევდით ორ ხმალს, რა ლაღად - ყოველმხრივ, ყოვლად თავისუფალი ბრძანდებოდით სიკვდილის წინ, ზე!

რწმენასაცა აქვს თავისი ქსელი, მხოლოდ ობობას და ბადეს კი არა, და რწმენის უხილავი ქსელით გადაიბნენ კანუდოსელები; უცხენოები, შინ გამაგრებულნი, თვალნათლივ მიხვდნენ, სიკვდილიც რომ შეიძლება ასე ამაყად ლამაზი იყოს და მიჩინიოს ხილვით თავზარდაცემულ დომენიკოსაც წამით ყველაფერი მიავიწყდა, ისიც სხვებსავით შეჰყურებდა, ეს ლაღად განრისხებული, ეს სხარტად მძვინვარე

დიდი მეომარი, ტყვიით დაცხრილული, ბოლოს, ცხენიდან გადმოვარდნისას, ჰაერში მოკვდა, რა უცნაურად - ღიმილით პირზე, თავისუფალი! და იმოდენა სისხლისღვრით შეძრწუნებული აქამდე დომენიკო მაშინ, იმ წუთას, მოხიბლული შესცქეროდა იმასაც, სხვები თუ როგორ დახოცა ზემ და იმასაც, თუ თავად როგორ მოკვდა, რადგან ზე მორეირა, პირველი მწყემსი - ერთ-ერთი იყო იმ რჩეულ ხუთთაგან, ვინც დიდი კანუდოსელი გახდა.

* * *

იმ ბოლო ღამით, თვალს აბა ვინ მოხუჭავდა, მაგრამ ორი კაცი განსაკუთრებით წრიალებდა მაინც - იქით მასიმო, აქეთ - მოხუცი სანტოსი. ერთმანეთთან შეხვედრას დაჟინებით უგრძნობდათ გული და თუ სანტოსმა მშვენივრად იცოდა, ვისი გამოჭერაც სწადდა, მასიმოს, ცოდვილს, ცოდვებნაჭამს, ცოდვებმორეულს, გამოუცნობი შიში კაწრავდა, მინაზე უსვამდნენ სამართებელს თითქოს, აჟრიალებდა... დამსჯელ რაზმში კი დიახაც რომ არ შეიძლებოდა შიშის გამხელა - ჩამოაქვეითებდნენ, მასიმო კი ისე-უბრალო, რიგითი მოღვაწე კი არ იყო, მთელი ჩვიდმეტი კაცი ებარა. კეთილ-გენერალ რამოსსაც ეამაყებოდა რაზმელად ასე ლამაზი, ასეთი მოხდენილი ყმაწვილი. პეწიანიც გახლდათ მასიმო, თავისმომვლელი, კვირ-კვირაობით დაბარებულ ცნობილ დალაქს აკრეჭინებდა თმას, ნელსაცხებლები, კანის გამასათუთებელი მალამოები და ამისთანები ულევად ჰქონდა, სიტყვა-პასუხი კარგი შეეძლო, საღი კბილების გამომჩენი ღიმილიც სჭირდა, იცოდა ქიციც და ქიცმაცურიც, დასვენების ჟამს კარის ტენორის, ეზეკიელ ლუნას შეგირდთა მოსმენა ნამდვილ სიამეს ჰგვრიდა... ბოროტი იყო. მრავალი ცოდვა ედო სუფთად გაპარსულ კისერზე, თავისუფლად და მოხდენილად დააბიჯებდა. რა გაუჭირდებოდა, როგორღანაირ გასართობზე არ მიუწვდებოდა ხელი; უხუცესთა დასის მეთაურის, პორფირიოს, ერთადერთი სიძის - რამირეს კისპეს ყველაზე მეტად ახლო ძმაკაცი იყო და მესაიდუმლე. წრიალებდა ახლა... შორიახლოს, კანუდოსში კი, სანტოსის ქოხში, ის მორი ეგდო, მისი სახელი რომ შეარქვა მოხუცმა სანტოსმა და ახლა, ამ უკანასკნელი ღამით, მორისთვის აღარ ეცალა - თავად მასიმო უნდა მოეხელთებინა, მაგრამ სად, როგორ... ხომ ისევ აქ ხართ, ჩემი თანმდგომი, ვითომ მორჩილი, ჯიუტი, უნდო, მოდით, შევხედოთ ორივეს ერთად, აჰ, ერთდროულად როგორ წამოდგნენ - ეს ბედია, ბედი, ბედისწერაა, ჩემო, მათი ბედია... იქვე, ქოხშივე წაიხარა სანტოსი, ჯიბეში მატყლის გორგალი ედო, წელზე თოკი შემოეხვია, მოკლე ნაჯახი ეპყრა ხელთ - ღამეულ ნადირობაზე მიდიოდა, ფეხთ გაიხადა, უხმაურო და მთლად აკრეფილი მონადირე ქოხიდანვე წაკუზული გავიდა, მხრებზე კუნთები უჩუმეს რისხვად გადასდიოდა... უმწეოდ იდგა იქით, კოცონთან, დამსჯელრაზმელი; აი აქ, ასე,

განათებულში ყოფნა სულაც არ სურდა - ნაჯახისა არა უწყოდა რა და, ავ წინაგრძნობა ატანილს, შიგ თვალში დამიზნებული თოფის ლულა ელანდებოდა... შავები ეცვა მოხუც სანტოსს, კოცონისკენ მიიპარებოდა, ჭაღარა თავზეც შავი თავსაფარი მოეხვია, მირცას ნაქონი... მირცა მთელი იმ სოფლის თვალი იყო და ყველას უკვირდა, რამ მოაწონა ყოვლად გამოურჩევი - არც მდიდარი და არც ღარიბი, არც ლამაზი და არც გონჯი, უთქმელი და მუდამ ჩრდილში მდგარი სანტოსი, აი ეს ღონეც კი არა ჰქონდა მაშინ... - მაგრამ მირცა ის ქალი იყო, წინასწარ რომ შეეძლო კაცის დაფასება და სწორედ იმ საქციელისთვის, ახლა, ამ უკანასკნელი ღამით რომ უნდა ჩაედინა მოხუც სანტოსს, სწორედ ამიტომ შეიყვარა... როგორ გაუღიმა მაშინ, პირველად... აწურული უახლოვდებოდა მსხვერპლს სანტოსი... მირცამ პირველად რომ დაინახა, ჯერ დაკვირვებით, გვერდზე ოდნავ თავგადაწეული შეაცქერდა, მერე გაუღიმა... ვერაფერს მიხვდა მაშინ სანტოსი, ლამაზ ქალებთან რა ესაქმებოდა, უკან მიიხედა, მაგრამ არავინ იდგა და განცვიფრებული შეაცქერდა მირცას. ის კი მიუახლოვდა და სოფლელი გოგოს პირობაზე, ისე უდარდელად, ყოველგვარი მორიდებისა და დარცხვენ-გაწითლების გარეშე უთხრა: თუ გინდა, მოსაღამოებულს, ხელისგულზე ხაზებს რომ ვეღარ გაარჩევ, ცაცხვებთან მოდი... „რას წამოპლაკულხარ, - გაუბრაზდა უცებ ერთ ჩვიდმეტთაგანს მასიმო, უცნაური ჭია ღრღნიდა, - რა დროს წოლაა...“ სანტოსს ჯერ ეგონა რაიმე ხრიკს უწყობდნენ, თავგზა აებნა, მაგრამ საღამო ხანს მაინც ცაცხვებთან იდგა და ჯიუტად დაჩერებოდა ხელისგულს... „მე გავალ ერთი, - ხმამაღლა თქვა მასიმომ, კოცონის წრიალა შუქზე ვეღარა ძლებდა,- რაღაც მომინდა... აჰაჰა, ჰა-ჰა...“ მოვიდა მირცა და დაბნეულ სანტოსს სხვა არაფერი დარჩენოდა - სულო ცოდვილო - საიდუმლოშენახული გლახა ქალი რომ არ ჰგონებოდა მირცა, მაგრამ აჰ, არა... ბნელში ხეს ამოფარებოდა ახლა, ნაჯახი მოიმარჯვა და ის-ის იყო, კამარა უნდა შეეკრა, თავად მასიმო, აი, სწორედ ის, სწორედ მასიმო! - მისკენ წამოვიდა... მთლად გაიტრუნა მოხუცი სანტოსი, გაოგნებულმა, გვერდით ჩავლილს თვალი გააყოლა და მერე უჩუმრად, ფეხშიშველი, მიჰყვა... ხან საითკენ გასწევდა მსხვერპლი და ხან საითკენ, საიმედო ადგილს ეძებდა, თავისი ჭკუით... ერთხანს შედგა და ხეს ააყოლა დაშინებული მზერა, ტოტზე აძრომა მოუნდა თითქოს, მაგრამ გადაიფიქრა... ფეხარეულმა გასწია ისევ, ორად მოხრილი, შურისძიებით ავარვარებული, მისკენ თვალებაპყრობილი, უჩუმრად მიჰყვებოდა სანტოსი... უზარმაზარ, ფუღურროიან ხისკენ გაეშურა მასიმო, ერთხანს ფეხიც კი ასწია, მაგრამ არა, არა - უნდო ფუღურო ჩანდა რაღაცნაირი, რაღაც, გადაიფიქრა... და იქვე, შორიახლოს, ჯაგებში შეძვრა, მხრებს აფართხუნებდა. დინჯად გაიმართა სანტოსი, აცოდვილებულ მსხვერპლს კუშტად დასცქეროდა... და მასიმო რომ შეიყუჟა ჯაგნარში, დაიხარა, შარვლის ტოტზე ორი თითი ზიზღიანად ჩაავლო და იმოდენა

გავლენიანი ვაჟკაცი, მასიმო, მთელ ჩვიდმეტ კაცთა ზედა მდგომი, ორი თითით გამოათრია... საკვირველი ხავილი შემოესმა, ფეხისწვერით გულაღმა გადააგორა - მატყლის გორგალი აღარ იყო საჭირო, ხმა ჩაწყვეტოდა მასიმოს, ყმაწვილს, სუსტად ხაოდა... გვერდით მიუწვა სანტოსი ნადავლს, გადაეფოფრა, და იმ თავისი ტლანქი იდაყვებით ისე ღონივრად დაეყრდნო ჩვიდმეტმეთაურს მკლავებზე, ადგილზევე ჩაუჭედა, მოღუნული ფეხი გადასდო ორთავე ფეხზე, მძლავრად დააწვა, გაუკავა, მხრებზე დააბჯინა კოჟრიანი ხელისგულები, მიწას მიალურსმა. იმის ბილწ სახეს ვერა ხედავდა - უმთვარო ღამით, ძალიან ბნელოდა ტყეში; და შურისგებით მოცახცახე, სიხარულით აცეტებული სანტოსი კიდევ უფრო რომ დარწმუნებულიყო მსხვერპლის ნამდვილად არსებობაში, ლოყაზედაც კი - აჰ! - მიეფერა, რა დრო დაუდგა, მერამდენე ღამის ოცნება, რა ჟამი დადგა... ერთი ის იყო მხოლოდ ცუდი, რომ ვერა ხედავდა გამომწყვდეულს, როგორ უნდოდა ახლა სანტოსს, შიშით ამოკარკლული თვალები ეხილა, კარგად ეცქირნა და დამტკბარიყო... ლოყებზე შემოაჭდო თითები, გამაუბედურებელს დაჟინებით ჩასცქეროდა და, გაფითრებული, ერთხანს კინაღამ გამოარჩია სიშავიდან, მაგრამ კვლავ გალღვა ამობჟუტული სახე - ალბათ, თუ გამწვანდა... ცხვირ-პირზე მაგრად მოუჭირა რკინის თითები სანტოსმა, ნიკაპით სადღაც ტუჩთან დაებჯინა და შიგ თვალებში ჩასჩურჩულებდა საგულდაგულოდ ხან იმას, თუ რანაირი სიკვდილით აღასრულებდა, ხან იმას, როგორ გაუბედურდა, მირცა ახსენა რამდენჯერმე, შვილს არა, არა, არ იგონებდა, ვერა ბედავდა... თანაბრად სუსტად ცახცახებდა მსხვერპლი. მოხუც სანტოსს კი, ახდენილი საწადლისგან გონებაარეულს, ბალღამნარევი ბედნიერების ველური მღერა ჩაესმოდა და მიზანმიღწეული, ქოჩორს ცხელი თითებით ფრთხილად უწეწდა, მოფერებიდან სურდა დაეწყო უმაგალითო, ჯერ არსმენილი ქვეყნად წამება - სულ ასე, ფერება-ფერებაში ამოხდიდა სულს, რის კვამლით გაგუდვა და ნელ ცეცხლზე დაწვა, ან ჩამოხრჩობა, მსხვერპლს ვის, ანდა რას უწილადებდა, ასე, მოფერებით, ყველაფერს სჯობდა. ნელა, ნელინელ, მაგრამ ხანდახან რომელიმე განრისხებული თითი უკითხავად გაექცეოდა, და ისე სწრაფად იფლობოდა ყელში, სანტოსი მეორე ხელით ძლივს ააგლეჯდა - აჰ, არა, არა, უცებ მიხრჩობას რა გემო ჰქონდა, ასე არა სჯობდა? - ნელინელ, ნელა... ცხვირპირში ჩასცინოდა შეგუბებულად სანტოსი, სიცილი რაა, ჯერ იმასაც კი იზოგავდა და იოკებდა, ეს იმიტომ რომ - ნადავლისაგან სულის ამოხდა ხარხარით სურდა დაემთავრებინა. ქშუტუნებდა და განცხრომისგან თვალი მილულა, აძიგძიგებულ ყელზე ეფერებოდა ცალი ხელით. მეორეთი კი, რამ მოაფიქრა - უხიცინებდა... ნეტარებისგან თვალებმილულულს, დამწვარ სულზე ისე საამოდ ესალბუნებოდა მსხვერპლის ამოწკავწკავება, და შიგ სახეში ისევ ჩასცინა, ზემოდან აწვა. „ჩემი ბიჭი, ჩეემი კარგი ბიჭი, - თვალდახუჭული დასჩურჩულებდა

სანტოსი, - ჭკვიანი ბიიჭი, დამჯერი ბიიჭი, რა ჭკვიიიანურად წევს... - ფუჰუჰ, რა ავად ეფერებოდა: - ჩეემი მასიმო, ცელქი კამოორელი...“ და მერე, ენაც კი მოუჩლიქა! თვალდახუჭული ეფერებოდა, და როგორც იქნა, ზანტად რომ შეავლო მილულული მზერა, შეკრთა სანტოსი - მთვარე დანათოდათ, და მსხვერპლის სახე ფარფატა შუქზე ლიცლიცებდა... აჰ, ადამიანს აღარა ჰგავდა, და გვერდზე ზიზღიანად გადაგორდა სანტოსი, მძიმედ წამოდგა, დააცქერდა... რაღაცის თქმა უნდოდა მასიმოს და თუმცა გამალებით ეკლაკნებოდა ტუჩები, კრინტს ვეღარ სძრავდა... ხასიათი წაუხდა სანტოსს, ნაჯახს დახედა... თვალმოჭუტული, პატარა ხანს მთვარეს შეაცქერდა მერე - ამ მცირე შუქმაც კი... კი, სხვა სიმართლეს მიახვედრა. ისევ დაწოლილს დასჩერებოდა, არარაობას, და არამცთუ რისხვას, ზიზღსაც კი ვეღარ გრძნობდა - სულ სხვა რაღაცას, ამისთანებზე გაცილებით დიდს, მთავარს მიხვდა... მაინც გულდასმით, გლეხის სიდინჯით ფიქრობდა ერთხანს და ამ უეცარი, დიდი მიხვედრის სისწორეში საბოლოოდ რომ დარწმუნდა, მაინც ისევ ფიქრობდა და ცალი ხელით საყელოში სწვდა მერე, მაღლა ასწია, დაძაბუნებულ ფეხებზე დააყენა და რომ შეატყო, ხელშეშვებული, კვლავ რომ წაიქცეოდა, ერთი ისეთი შეაჯანჯღარა, გონს მოიყვანა, უთხრა: „ახლა რომ მოგკლა, შური ვიძიო... - მშვიდად სუნთქავდა, - ჩემდაუნებურად, ჩემიანებთან გაგატოლებ ამით... ამის ღირსი კი, მასიმო, არ ხარ“. ვერაფერს მიხვდა ჩვიდმეტმეთაური, თავზარდაცემული შესცქეროდა. „ისევ მორმა ზღოს, ის მირჩევნია...“ - ჩაილაპარაკა სანტოსმა, დაფიქრებულმა, ერთიც ახედ-დახედა მერე, შეაბრუნა და, პანღურიც კი არ ამოურტყამს, ოდნავ უბიძგა, უთხრა:

- ახლა კი გიშვებ, როგორც ნაბიჭვარს. წადი.

მოხუცი სანტოსი ერთ-ერთი იყო იმ რჩეულ ხუთთაგან, ვინც დიდი კანუდოსელი გახდა.

და არა პრუდენსიო.

* * *

კვამლადენილი ქალაქი, კანუდოსი, ნაშუადღევს დაიქცა.

ოთხსავე მხრიდან ალყაშემორტყმულ თიხის ქალაქს ჭურვებს ახლიდნენ უნამუსოდ დამიზნებული, ბილწი დაყეფების შემდეგ დუნედ ახრჩოლებული ზარბაზნები, ტყვიით დაცხრილული თიხის სახლები ჩაწვნენ, ჩაინთქნენ ცეცხლსა და კვამლში; ჯერ ნავთს ასხამდნენ ღია კარებში მრავალრიცხოვნებით გალაღებული კამორელები, მერე - მაშხალას შეაგდებდნენ და თივის ბულულსაც მიაყოლებდნენ, და თუმცა ყოველი კარ-ფანჯარა ათამდე რიგითს მიზანში ამოღებული ჰქონდა, იმ მძიმედ

შედედებული კვამლის წყალობით მაინც ახერხებდნენ გამოპარვას ვაკეიროები და ბევრი უნებურად ცრემლდადენილი კამორელი ბოლში მაჩეტეს გადააწყდა. ისე, უბრალოდ, ვაკეიროთგან თითქმის არავინ წასულა... ზეს საქციელით გამხნევებულნი, კანუდოსელები წყვდიადიდან საიერიშოდ გამორბოდნენ თითქოს, ერთგული მაჩეტეთი მრისხანე ხელში, ვერა და ვერ იგუეს თოფი, თავად - ტყვიით კვდებოდნენ, ცივსისხლიანი, მოწყურებული ჟაგუნსოებიც კი ვერ გაეკარებოდნენ სხვაფრივ შორიახლოს... არამცთუ სახლებს, ქალაქგარე მთელ ჭალას, მანამდე ჰაერში მწვანე სიმსუბუქით მოტივტივეს, უცოდველსა და ნატიფს, მჭვირვალს, დაასხეს ნავთი და ცეცხლს მისცეს - სრულიად კანუდოსი, ძმათა თეთრი ბინა, ავაზაკთა ხელით ავი გუგუნით იწვოდა, და ნაშუადღევს დაიქცა თიხის ქალაქი, ვინ იფიქრებდა, ამ შერუჯული, გამურული ნანგრევების ნაცვლად მხოლოდ ერთი ღამის წინ ქათქათა, სპეტაკი სახლები თუ იდგა, თქვენი ქალაქი დააქციეს, გრილი და მშვიდი, მჭვარტლით შებღალეს თქვენი სახლები, ყველა დახოცეს...

ორი კანუდოსელის გარდა. ერთი - დომენიკო იყო... კვამლით გულწასული, ვიღაცის ღონიერმა ხელმა ჩაბღუჯა, გაიტანა გარეთ, ერთხანს ზიდა და მდინარის პირას დააგდო მერე. გონს რომ მოვიდა, განაწამებ თვალებს ვეღარ ახელდა მაინც, და საზარლად გამჭოლი ქირქილი შემოესმა, აიხედა და - კამორელები იყვნენ. და იქვე ჟოაო აბადოც იდგა, ტანსაცმელშემოხეული, წარბებშეტრუსული, კუშტი. „ა, ნუთუ ამან გამომიყვანა?.. - განცვიფრდა დომენიკო, - ალექსანდროს ძმა? - და მაშინვე მიხვდა შეცდომას, - ამას კამორაში ფეხიც არ დაუდგამს და...“ მაგრამ ამ ხროვაში, მაინც მხსნელი ეგულებოდა, რიგრიგობით, ფარული იმედით შესცქეროდა ყველას, მაგრამ ზიზღისა თუ დაცინვის გარდა, ვერაფერი ამოიკითხა და გამწარებული, იმათ ჯინზე, საკვირველებავ, გამხნევდა კიდეც, მძიმედ, ამაყად წამოიმართა, მხრები გაშალა, და ის-ის იყო, რაღაც თამამი და ამაღლებული რომ უნდა ეთქვა, მყისვე მუხლები მოეკვეთა, უღონოდ ჩაიკეცა მდინარის პირას და შეძრწუნებულ მზერას მაინც ვერ აშორებდა იმას, შორიდანვე რომ დაინახა და იცნო - ღიღინ-ღიღინით, ავის ნაბიჯით, დიდად მზაკვარი ღიმილით მომუწულ პირზე, თვალანთებული, უახლოვდებოდა თავად მიჩინიო... და შორიდანვე მიაძახა: „აჰ, ჩემი ბიჭიც აქა ყოფილა?! აკი დაგპირდი, გიპოვნი-მეთქი... რა, არ გჯეროდა?“ თვალებზე ხელი აიფარა დომენიკომ, და, შეძრწუნებულმა, მაჯაზე რომ იგრძნო თვით ჟაგუნსოთა ნებაზედ მიშვებული უფროსის თითები, მაშინვე მკლავი ჩამოუვარდა, მიჩინიომ კი მცირე ხნით ზურგი შეაქცია, ჟოაოს ახედ-დახედა, იკითხა:

- ეს საფრთხობელა ვიღაა...

- ეგეც მაგათი გახლავთ, ჰალე.

ოდნავ შეიჭმუხნა მიჩინიო.

- და... ჩვენ დაგვნებდა?

- კი. დიახ, ჰალე.

იმ თავისი უხმაუროდ მძიმე ნაბიჯით შემოუარა:

- შეწყალება გსურს, პატარავ, ბრიყვო?

- ბრიყვის ხმა მესმის, - უპასუხა ჟოაომ, ზიზღისგან დამანჭული შესცქეროდა.

- ოჰ, ეს სულელიც ყოფილა, ნაძირალა!.. - მსუბუქად გაიკვირვა მიჩინიომ, - რაღად დაგვნებდი?..

- ახლავ გაიგებთ, - თქვა ჟოაომ და უცებ შეხტა, დაიძახა: - ჰოპ!

- გაგიჟებულა, ტუტუცი, კვამლში, - თითქოს შეიბრალა ტყვე მიჩინიომ, მაგრამ იქავე დააყოლა: - მაინც დაგბრიდავთ, რაც არ უნდა გიჟად მოგვაჩვენო თავი.

- არა, ავაზაკო, - ხმა გაუმკაცრდა ჟოაოს, - შენი შეწყალება რა ჯანდაბად და ოხრობად მინდა, უბრალოდ, ძნელი სიკვდილი ავირჩიე, თანაც, მომინდა, ჩემს ცხოვრებაში ერთხელ მეცელქა.

- და ამისთვის ჩვენ აგვირჩიე? მაყურებლებად? - თვალი მოჭუტა მიჩინიომ. - შენი დამბრედ-გამსაღებელი ხალხი?

- მაშ, - ხალისით დაეთანხმა ჟოაო, - ადამიანების წინაშე ერთხელ მაინც საჭირო იყო ჩემი ცელქობა და, მიუხედავად იმისა, გარეწრები და (აქ დიდად უხამსი სიტყვა იხმარა)... რომ ხართ, მაინც ნამდვილად ადამიანის გარკვეულ ნაირსახეობას წარმოადგენთ და იმ პატიოსან ხალხში, ვაკეიროებში ერთთავად მოქუფრულს, ახლა, რატომღაც, ზედ სიკვდილის წინ, ავაზაკების დასანახად მხიარულება და ცეკვა-თამაში მომინდა.

- დაა... სიმღერაც?

- რატომაც არა, - მხიარულად მიუგო ჟოაომ და ომახიანად წამოიწყო. - ნე-ეტავ, რა უნდა ბეეენს...

რაღაც საშინლად წარმოუდგენელი სმენა აღმოაჩნდა, ტანსაცმელშემოფლეთილი, წარბებშეტრუსული, გამურული, ზედ მდინარის პირას ხტოდა, ბუქნავდა,

მიმოდიოდა, ხელებს შლიდა და მაინც უცნაურად შვენოდა ამ სისულელის უნიჭოდ მღერა...

- კარგი, გაჩერდი... - თვალები აუკიაფდა მიჩინიოს, - ქალები და ბავშვები რაღა უყავით, ტკბილო... - და დომენიკო გაახსენდა, მხარუკუღმა გადაუგდო, - შენ პატარა ხანს არ მოიწყინო, ჩემი ბიჭი...

- კი, როგორ არა, დაგახვედრებდით... - დაემანჭა ჟოაო, - ლანგრით მოგართმევდით ცოლ-შვილს, დიახ... ჟაგუნსოებში რომ ჩაგეგდოთ, არა?

- და, გააპარეთ? - აიწურა მიჩინიო, მიმოიხედა.

- კი, როგორ არა, სულ მაგის იმედით ვიყავით, - ინადით გაეპასუხა ჟოაო, - თქვენი ხელობა სხვა რაა, თუ არ ლტოლვილების მოძებნა. ძაღლის გეში გაქვთ.

- მაშ, რა უყავით... - შეცბა მიჩინიო.

- ჩვენით დავხოცეთ... - საზარელ თვალებში უდარდელად მიაჩერდა ჟოაო, - ჩემიანები, მაგალითად, აი, ამ ხელებით...

დაძაბული უცქერდა მიჩინიო, მაინც ყოყმანობდა.

- რაღაც არ მჯერა... ჩემი ჟაგუნსოებიც კი არ იზამდნენ მაგას.

- ჩვენ კი აი, - ლაღად წამოიწყო ჟოაომ და ისევ შეხტა, დახტომისას კი ხელები მხირულად გაშალა, თავი სასაცილოდ გადასწია, - ავიღეთ და - ვქენით! არც თქვენ, არც ჩვენ...

ძლივს გამოერკვა თავზარდაცემული, ზედ მდინარის პირას ჩაკეცილი დომენიკო, ჟოაოს ხტუნვა-თამაშმა ისე გააოცა, გონზე მოვიდა.

- და შეწყნარების იმედი მაგ საქციელით გაგიჩნდა? მაგიტომ დამნებდი, ცოლ-შვილის მკვლელო? ბავშვზე უკეთესი...

- თქვენი და თქვენი შეწყალების... - ჩაეღიმა ჟოაოს, - შეწყალებაო, ჰეჰ... მაგისთვის არა.

- აბა, რიღასთვის?!

- მინდოდა კარგად დავრწმუნებულიყავ, ადამიანთა წინაშე მაინც რომ არ ვნანობ. თქვენს პირისპირ კი, კაცისმკვლელების, ყოვლად გაოხრებულების შემხედვარეს, ეს

გაცილებით მეადვილა. თანაც, შეთავსებით, ვიცელქე კიდეც, გული მოვიოხე... სხვა დროს, ნაღდ ხალხში, მასხარაობისთვის სად მეცალა...

ლოყაზე ღონივრად დაისვა მოკეცილი თითი მიჩინიომ; აღარ ეჭვობდა თითქოს, მაინც იკითხა:

- და როდის მოხდა... ეგ?

- კაატინგა როგორც კი გადაიწია.

სიმართლეს ჰგავდა ჟოაოს პასუხი, და მის შემყურე დომენიკოს დამზრალი სული თითქოს გაუთბა - აი ამ კაცმა, პირველმა უჟმურმა, იმის გამო რომ კანუდოსელთა ცოლ-შვილისათვის მდევარი აეშორებინა, რა არ იკადრა - ტყვედ დანებება, ცეკვა-თამაში, ხტუნვა, სიმღერა... და ალბათ საშინელი წამებით სიკვდილი, ავაზაკთა რკალში.

- მერედა, გვამებს რა უყავით... გვამებს რაღა უყავით, ბრიყვო! - ისევ შეეჭვდა მიჩინიო, განრისხდა.

- რას ვუზამდით... - მხრები აიჩეჩა ჟოაომ, - ბრძოლა გველოდა და საფლავების თხრას ხომ არ შევუდგებოდით...

- აბა?

- დავწვით. ხომ ნახეთ, აქვე, რამდენიმე გადაჭრილი ხე. დიდიან-პატარიანად, ეყოთ.

ერთხანს ჩაფიქრდა მიჩინიო. თავისიანებს მიუბრუნდა მერე, ბრძანება გასცა:

- თუმცა სიმართლეს ჰგავს ამ ნაძირალა ხეპრეს ნაამბობი, მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, რამდენიმე კაცმა მდინარე გადალახეთ და შორიახლოს კარგად მოჩხრიკეთ მიდამო, ცხენებით წადით, ქალები და ბავშვები შორს ვერ წავიდოდნენ. ტყეს თუ გაივლით, ტირილს კარგად მიუგდეთ ყური. როგორც კი ვინმეს დაინახავთ, ორმა თქვენგანმა შემატყობინოს. სამ საათს გაძლევთ. ქალაქში ერთად უნდა დავბრუნდეთ, ზეიმით. აბა, ყოჩაღად, გაეშურეთ, ნუ აგვიანებთ!

- ახლა, კეთილო, შენც ნუღარ აგვიანებ, - თავი გადასწია ჟოაომ, ყელი დაჭიმა, - აბა ჰათ, დანა... ან თოკი, ხმალი, საწამლავი, ჩემთვის სულ ერთია. და ტყვედ ჩაბარების მესამე მიზეზსაც მოგახსენებთ - ხომ შემიძლია, ახლა რომელიმეს ყანყრატოში გწვდეთ და ძიძგილაობაში ალბათ შედარებით იოლია სიკვდილი, მაგრამ მინდა რომ, თქვენისთანებიც კი გავაკვირვო - დანის მოქნევასთან ერთად, სილაც რომ შემაყაროთ,

თვალს მაინც არ დავახამხამებ. რაღას მიყურებთ, არიქათ, ჩქარა, რამდენი ხანია, კეთილებო, კაცი არ მოგიკლავთ. უხერხულია... თუ გინდა, შენ თვითონ სცადე, შენისთანა გამოცდილ ჭოტსაც კი განვაცვიფრებ - ისე მოვკვდები, თვალს ერთხელაც არ დავახამხამებ, ჰალე.

- ვითომ? - წამით გამსუნაგდა მიჩინიო, და კამორული დანა მაშინვე ხელში აღმოაჩნდა - ვერავინ ჰკიდა თვალი, საიდან და როგორ დააძრო.

- ვითომ კი არა, მართლა არ დავახამხამებ. ვერა ხედავ, როგორ მაგრა ვარ?! - თქვა ჟოაომ და, ისევ დაამღერა: - ლამაზი ენატრებაა ბეეენს...

ეჰ, სმენა ჰქონდა? მტრისას, აჰ, მტრისას...

- გიჟების მოკვლა არა მჩვევია, - შეიჭმუხნა მიჩინიო, - მე აი, ასეთ გონიერთ, სიცოცხლე ძალიან რომ უყვართ, სწორედ იმათ ვკლავ, - დომენიკოსკენ გაიშვირა კაუჭა თითი, - ერთი შეხედეთ, როგორა გდია... მე ამას განზე გავიყვან, ცალკე, და მოწმეები არა მჭირდება, სულ მისხალ-მისხალ უნდა ამოვხადო სული, და ახლა კი ეს ტუტუცი მომღერალი რომ წავაკლა, მერე ამ ქორფა ურჩს, ერთგული კაცი რომ გამილახა, სასურველ გემოს ვეღარ ჩავატან. მთელი ჩემი ოსტატობა და რისხვა მხოლოდ ამ ერთზე უნდა გადავიტანო, - და შემოკრებილთ მოავლო თვალი, - მოდი აქ, რიგობერტო, ყოველმხრივ დაიმსახურე შენ ეს, ნიძლავსაც დაგიდებ, თუ გსურს, ერთი მოქნევით, შენი ცნობილი ხერხით, ყურიდან ყურამდე თუ გადაჭრი... მე მგონი, ვერა, ხედავ, როგორი კისერი აქვს, როგორი დაძარღვული... და ალბათ თვალსაც ვერ დაახამხამებინებ. კარგა გიჟი ჩანს.

- რვა დრაჰკანსა ვდებ, - თქვა შეურაცხყოფილმა რიგობერტომ, ჩექმის ყელიდან ლაპლაპა დანა ამოაძვრინა.

- დაენიძლავე ჩქარა, სულელო, - შეაგულიანა მიჩინიო ჟოაომ, - ნაღდად მოიგებ.

- მოვიდა, კარგი, - თქვა მიჩინიომ.

და სანაძლეო მართლა მოიგო. ჟოაოს, რა თქმა უნდა, თვალი არ დაუხამხამებია და ყელიც მხოლოდ სანახევროდ გამოუღადრა დანამ - ხედ ქცეულიყო კაცი. და სისხლიც ბევრი არ გამოსვლია, როგორც ერთ-ერთმა იქ მყოფთაგანმა აღნიშნა - ორიოდ ყლუპი. სიკვდილისთვის კი, ესეც კმაროდა.

ჟოაო აბადო, დიდხანს უჟმური, მეოთხე იყო იმ რჩეულ ხუთთაგან, ვინც დიდი კანუდოსელი გახდა.

მთლად უცხო ბილიკს დადგომოდა დომენიკო, მგზავრი.

სასტიკმა მზერამ მაინც აიძულა წამოდგომა და ცხვარივით მორჩილად გადაიარა ახრჩოლებული კანუდოსი, და გზად არავინ დასცინოდა - ამ შემთხვევაში მისი პატრონის, მიჩინიოსი, რიგითებსაც ერიდებოდა და ოფიცრიონსაც, კეფაში ჩასობოდა მრისხანე მზერა და ნაქალაქარს რომ გასცდნენ, ოდნავ უბიძგა მიჩინიომ, უცნობ ბილიკზე დააყენა. ერთხანს ვეღარაფერს გრძნობდა მგზავრი, იმდენი გვამი შემოხვდა გზაზე, თითქოს გამხნევდა, ეჩვეულებრივა... მაგრამ მცირე ხნით - სხვა იყო მაინც, საკუთარი თავი... დაქცეულ სახლებს როგორც კი გასცდა, დაინახა ბუჩქი, ხე, შემჭკნარი ბალახი, და ძაან მოუნდა ბეჩავს, სიცოცხლე... ამან კვლავ დასცა, ძალუმი შიშით მეხდამტყდარი, იმ მზიანი დღით მრუმე ბურუსში მიაბიჯებდა და, თავჩაქინდრულმა, შიშველი ფეხი, საკუთარი, ბურუსიდან წამით რომ გამოარჩია, ძალიან შეკრთა - აღარ უნდოდა თავისი სხეულის დანახვა, კარგად იცოდა, სიმწრით რომ მოეკრუნჩხებოდა პატარა ხანში და მაღლა აიხედა... რაღაც ღრუბელი კი დაინახა, ლაქასა ჰგავდა... მცირედ გამხნევდა, ხავსს მოეჭიდა - რა იქნებოდა, ალექსანდრეს ძმა საიდანმე რომ გამომტყვრალიყო, მიჩინიოსთვის ესროლა დანა, მისთვის, მგზავრისთვის, ცხენი მიეცა; სულაც, რად უნდოდა ცხენი, ისე ირბენდაა...

ირგვლივ აღარავინ ჭაჭანებდა ალბათ, თვალსაწიერზე არავინ ჩანდა, და უკანაც რომ სცადა მიხედვა, მაშინვე ზურგში ღონივრად უბიძგეს. მთლად ჩაიფერფლა, გული მოუკვდა - რა ალექსანდრო, ანდა რისი ძმა, ის ალბათ, სულაც ბრძოლაში მოჰკლეს... უკაცრიელ ველზე მარტოკანი იყვნენ. ისევ ბურუსი რამ ჩამოაწვა, მახინჯი, მრუმე და მაღალი ცისკენ აღაპყრო სახე, იმ ღრუბლისაკენ, მაგრამ გადაწეული ყელისა შეეშინდა და წინ გაიხედა. გამოქვაბული მოჩანდა რაღაც, დიდ, გოროზ კლდეს დათხრილ თვალად აჩნდა.

შეშინდა, შედგა. იქ, სიბნელეში, უფრო საზარელი იქნებოდა ალბათ სიკვდილი, ისევ აქ ერჩია, ამ შეჩვეული დიდი მზის გულზე, იმას ნატრობდა, ოღონდაც ზურგში ჩაეცათ დანა, მაგრამ მოესმა:

- შემოტრიალდი!

უცხო ხმა იყო; გახარებული, სწრაფად შებრუნდა და მაშინვე ელდა ეცა, ყოველნაირი იმედი გადაუწყდა - ისევ ის კაცი, ჟაგუნსოების უფროსი, პირისპირ მარტოდმარტო ედგა, იმ ბასრ თვალებში ვერ შეხედავდა, თავი დახარა.

- ყური დამიგდე, დომენიკო, - თქვა მიჩინიომ და მხარზე დაადო ხელი, - მე ალექსანდროს უფროსი ძმა ვარ.

თუ როგორ მოკვდა მეხუთე დიდი კანუდოსელი

ხოლო როდესაც მარშალი ბეტანკური ცხვირსახოცს მიიდებდა პირზე, კარის ტენორი ეზეკიელ ლუნა ჩვეული ოსტატობით მღეროდა კარგ და ლამაზ და ფერადსიტყვოვან სიმღერებს -

დიდი მარშალის ვრცელ მისაღებში ზედა კამორას მთელი ნაღები შეკრებილიყო: დიდვაჭარი არტემიო ვასკეს და ხნიერთა დასის უხუცესი პორფირიო, დამსჯელი რაზმის კეთილ-გენერალი რამოს და გასაიდუმლოებული მექისე ალფრედო ევია, ლამაზ-გენერალი და დიდგვაროვანი არისტოკრატი გერმოგენ კარრასკო, მთავარი შემმოწმებელი, ყოფილი ჯიბის ქურდი პედრო კარდენასი და ჯუჯა უმბერტო, მარშალის პირადი ჯალათი კადიმა და ფუნჯის ქედუხრელი დიდოსტატი გრეგ რიკიო, პირში მთქმელი პროკურორი ნოელ, წინარე ნახსენები ეზეკიელ ლუნა და ასე შემდეგ, მშვენივრად იყვნენ ჩაცმულ-დახურულნი, ოღონდ ფეხთ სუყველას ფაჩუჩები ემოსა, პირწმინდად შიშველი ანისეტოს გარდა. მათი ძვირფასად გამოყვანილ-შეკერილი ჩექმები კი ვერცხლით მოოჭვილ კარს უკან ელაგა, ყველამ იცოდა დიდი მარშალის აღიარებული სისუსტე: კრიალა იატაკისა და ნოხებისადმი ფაქიზი სიყვარული, თავად მარშალს კი ამ ფაჩუჩობანაში სხვა რამ აზრი ედო - შეუძლებელი იყო ფეხზე მსგავსი უმწეობა გცმოდა, და გეტერორისტა.

დაძაბულნი ისხდნენ სტუმრები, რადგან თავად დიდი მარშალი დინჯ ბოლთას სცემდა, შემოკრებილთ კი წამოდგომის ნებას არ რთავდა. მკერდზე ხელები გადაიჭდო გრანდისსიმოჰალლემ, გამარჯვების აღმნიშვნელი სადღეგრძელოების შემდეგ, მოიღრუბლა და ახლა მწუხარედ დაფიქრებული ჩანდა, მერე რამდენჯერმე სევდიანად, დინჯად დაიქნია თავი, მძიმედ წარმოთქვა: „ეჰა... რა ხალხი დავკარგეთ...“ მსწრაფლ წამოიწიეს სტუმრებმა, გარდაცვლილთადმი პატივისცემის ნიშნად, მაგრამ მარშალმა ხელისგული წამით გაიშვირა მათკენ და კვლავაც სავარძლის კიდეზე ფრთხილად ჩამოსხდნენ. „საბრალო ქვრივ-ობლები ბევრნი აღმოჩნდნენ? - იკითხა დიდმა მარშალმა და პედრო კარდენასს მიაპყრო მზერა: - იჯექ.“ „დიახ, გრანდისსიმოჰალლე“. „ერთნაირი შეძლებისანი არიან ქონებრივად თუ...“ „არა, გრანდ...“ „აეს ცუდია, - აღნიშნა მარშალმა ბეტანკურმა, მისაღებში გაიარ-გამოიარა, - მე რომ ადამიანის ბუნება ვიცი, მდიდარ ქვრივებს ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდება ალბათ და ანგარებას კი კამორაში, როგორც ყოველთვის, ადგილი არ უნდა ჰქონდეს“. „დიახ... აჰ, დიახ... დიახ, როგორ არა“, - ხალისიანად აყაყანდნენ სტუმრები, მაგრამ მარშალმა ისევ აჩვენა ყველას მოკლე ხელისგული. და თუმც ხასიათზე მაინცდამაინც ვერ იყო - დილიდანვე გამოუცნობი შიში წიწკნიდა - მაინც მშვენივრად ანვითარებდა ჩანაფიქრს: „და ანგარებას ადგილი რომ არ ჰქონდეს,

ყველაზე ქესატი ქვრივების ავლა-დიდება კარგად აღწერე, ჩემო კეთილ-გენერალო რამოს, და დანარჩენი ოჯახებიც იმათ შემოსავალსა და ქონებაზე დაიყვანე - გაწონასწორდებიან. ყოველი სხვაობა კი ანისეტოს ჩააბარე, თანაბარშეძლებიანი გახდება ყველა, და ანგარებას აღარ ექნება ადგილი ძველებურად. ცუდი აზრია?“ „დიდებულია, დიდო მარშალო, აჰ, დიდე... სილამაზე გაიმარჯვებს, გრანდის...“ მაგრამ კვლავაც ხელისგული იხილეს სტუმრებმა. „ქვრივ-ობოლთა კეთილდღეობისათვის კი, ჩემო გენერალო, ლამაზ-ქალაქელებს ხარკი საჭიროებისამებრ გაუდიდე, ნუ მოგერიდება“. „სულ ტყავს...“ - წამოიძახა კეთილ-გენერალმა და მყისვე გაჩუმდა.

პატარა ხანს დუმდნენ, და ბეტანკურმა გამომცდელი მზერა ერთადერთხელ შეავლო სტუმრებს, მერე ისევ ღრმად დაფიქრებული იყურებოდა განზე. სხვებს უხუცესმა პორფირიომ დაასწრო, ყველაზე ადრე მიხვდა: „ერთი თხოვნა მაქვს, დიდო მარშალო, ერთი რამ ძალიან უნდა გთხოვოთ“. „თქვი, ჩემო პორფირიო, გისმენ“, - დაუყვავა მარშალმა ედმონდო ბეტანკურმა. „დიდო მარშალო! გრანდისსიმოჰალლე!! - თითები გულზე აიკრა პორფირიომ, - ჩემს თვალწინაა გაზრდილი ცქრიალა სტელლა, და ძალიან გთხოვთ, სახელოვანი ქმარ-პოლკოვნიკის, ჩვენთვის ყველასათვის უსაყვარლესად მოსაგონარი ფედერიკო სეზარის თავდადებული შრომისა და ღვაწლის მონაგარს ნუ ჩამოვართმევთ... ფედერიკოზე დარდ-გლოვა გვაკმარეთ!“ „აჰ, არა, არა, ჩემო პორფირიო, უხერხულია, - სულ რაღაც წვეთით გაკეკლუცდა დიდი მარშალი, - სტელლა ხომ ჩემი მკვიდრი დისწულია და, ხალხმა სხვაგვარად არ ჩამომართვას“. „აჰ, რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ, დიდო მარშალო, ნაგროვი თანხა სულაც ალბათ სახელოვანი ქმარ-პოლკოვნიკის საცხოვრებლის სასახლე-მუზეუმად გადაკეთებისათვის დასჭირდება ცქრიალა სტელლას, და, ბავშვებისთვის, ახალი თავშესაფარი განაღა არ დასჭირდება? ბავშვზე უკეთესი...“ და აღგზნებულ პორფირიოს დანარჩენებიც ერთხმად რომ აჰყვნენ: „აჰ, ძალიან გთხოვთ, ოჰ, შეგვიბრალეთ...“, „კარგით, აგრე იყოს“, - თქვა დიდმა მარშალმა. და ხელქვეითთა საზრიანობა თუმცა საკმაოდ ესიამოვნა, კვლავ შეიჭმუხნა - რაღაცა შიში ჯიუტად წიწკნიდა.

ეჭვით, უნდობლად შესცქეროდა ყველას, აფორიაქდა, რაღაცა უცხო საჩეჩელი სულს უწეწდა, ბასრ ჭანგებს გრძნობდა, და კედლისაკენ პირით შებრუნდა - „არ შემამჩნიონ!“ და მყისვე მკვეთრად მოტრიალდა, დაშინებულ ხელქვეითებს ძალად მრისხანე მზერა სტყორცნა. და ისე უბრალოდ, უცებ დაწყნარდა მერე... „მაინც რა იყო, - გაიფიქრა, - რა დამემართა?..“ და სულ ცოტათი მაინც დაბნეულს, რაიმე ბუნებრივი მოძრაობა მოეხასიათა და, უნებურად, ცხვირსახოცი სახესთან რომ მიიტანა,

„ზაამთარ-ზაფხუულ მივაბიიჯებთ...“ - ყოჩაღად წამოიწყო ეზეკიელ ლუნამ და დიდმა მარშალმაც იფეთქა: „დასჩუმდი, ბრიყვო! - და ელდანაცემ, შიშით კინაღამ გულგამსკდარ კარის ტენორთან ერთად სხვა წვეულთაც მკაცრად მიმართა: - ყველანი წადით. მარტო დამტოვეთ. თქვენც გთხოვთ, მიბრძანდეთ, ჩემო გრეგ რიკიო... - თანდათან ისევ მშვიდდებოდა, - ჩემო კეთილ-გენერალო, რომ გახვალ, ამ კარის დარაჯს ჩემგან გადაეცი, თუკი არ დავუძახებ, არ შემოჭაჭანდეს“. სისულელე თქვა - გრანდისსიმოს ოთახში უნებართვოდ ვინ შემობედავდა... „წადი, წა შენც, კადიმა...“ მოჭუტული თვალი გააყოლა არეულად მიმავალთ, და, მარტოდ დარჩენილმა, მაშინვე მჭიდროდ მიხურა ძვირფასად მოოჭვილი კარი, ათასნაირი საკეტით მაგრად ჩარაზა.

შუა მისაღებში, დაფიქრებული იდგა, რა იყო მაინც, ეს რა შეუჯდა... საძინებელშიც აღარ შეეძლო გასვლა, ფორიაქი რამ სჭირდა! დიდად უცნაური ბზიკი შეჩენოდა, ხან ყურებში ოდნავ უწუოდა, სულაც ქრებოდა მერე, და უცებ! - სული ეფლითებოდა... კედელთან მიაჩოჩა გადატყლარჭული სავარძელი, ჩაჯდა, ჩაეფლო, ფეხები გაშალა, „იმ უპატრონო ნახირის მწყემსებად... ჰო, კალაბრიელებს ვაიძულებ... - გეგმებს აწყობდა, საქმიან ფიქრსა ცდილობდა, - ანდაა, სულაც, ლამაზ-ქალაქელებს გავავაკეიროებ... ეყოფათ ხტუნვა და ღრეჭა-კისკისი... ხელოსნებს არ წამოვიყვან... უსაქმურები მაინც ბევრნი ჰყავთ... ისეე, საბოლოო ჯამში, კაცმა რომ თქვას, ძალიანაც კარგი, ომი რომ შემემთხვა, - მოესალბუნა ეს გაფიქრება, - გასაცხრილები მყავდნენ მაინც და ბუნებრივად გაიცხრილა კამორა... ხალხი კარგია, საკმარისად როცა გყავს, საკმარისზე მეტი - უკვე ცუდია... ზედმეტი ბარგია... ძალიანაც, კარგად მოხდა. ხაზინაც... მშვენივრად მომემატება...“ ისევ აწივლდა ირგვლივ რაღაცა, სავარძელს ზურგი სწრაფად მოაშორა, რა ჯანდაბა და ოხრობა იყო! ყრუდ, დაგუდულად მოისმა შორიდან: „ღაამის თერთმეტი საათია და ყველაფერი გენიაااალურაااადااااა!“ ოდნავ ეამა - ეს ხომ მისი ერთ-ერთი კაცი, ომახიანი კაეტანო გაჰყვიროდა უნდოდ გატრუნულ კამორაში... კვლავ აწრიალდა - რაღაცა სურდა მარშალ ბეტანკურს, რაღაცა თბილი, სულიერი... მართლა, არუფა! აქამდე როგორ არ გაახსენდა... აქ, ამ ოთახში ეგულებოდა, რამ დაავიწყა გამორჩეული, ნებიერი კატა, „არუფა, სად ხარ, - ალერსიანად წამოიძახა დიდმა მარშალმა, - გძინავს? ა, ფისო! ფის-ფის-ფის...“ ისე გამხნევდა და გათამამდა, სულ მიავიწყდა ყველაფერი, ერთიღა ჰქონდა ახლა სურვილი, არუფა როგორმე ჩქარა ჩაეწვინა კალთაში, მოფერებოდა, აეკრუტუნებინა, წვრილ, ბასრ კბილებშუა ჩაეყო თითი და თვალები მიელულა, „არუფა, სადა, ხარ, შე ცელქო, ფის-ფის-ფისო-ფის... - მოფერებით უხმობდა დიდი მარშალი, დაიხარა და მაგიდის ქვეშ შეიჭვრიტა, მერე სავარძლები გადააადგილა, - სად დამემალე, იცოდე, ჩქარა გამოდი, თორემ... - ცოტათი გული მოუვიდა, ამდენ ხანს რატომ ემალებოდა,

სწყინდა, - თორემ იმ ნუგბარს ააღარ გაჭმევ, შენ რომ ყველაფერზე მეტად გიიყვარს...“ და უებარი ხერხი იხმარა, კატასავით დაიკნავლა დიდმა მარშალმა, აჰ, გრძნობებს აჰყვა, ისე მოუნდა გამორჩეული, დიდბეწვა, მსუყედ ფუმფულა ცხოველი, და ამან გასჭრა, როგორც იყო, მძიმედ შეირხა კუთხეში ფარდა... „აა, სად ყოფილხარ, - გაიხარა დიდმა მარშალმა, ჯერ ვერ ხედავდა, - ახლა კი გიჩვენებ სეირს, იმასაც ნახავ, როგორაც დააგსჯი... - ფარდას მსუბუქად, ფეხაკრეფით უახლოვდებოდა, - არ გამოდიხარ მაინც ხომ, არა?..“ ხელი ჩასჭიდა სქელ, მძიმე ქსოვილს, ერთხანს მაინც გაბუტულივით იცდიდა, მაგრამ არუფა აგვიანებდა, და ბეტანკურმა უცებ, ერთბაშად, მკვეთრად, ღონივრად რომ გადასწია ფარდა, შეძრწუნებული, თავზარდაცემული, დაიბღავლებდა კიდეც, ხმა რომ არ წართმეოდა. -

ფარდის უკან დონ დიეგო იდგა, მაჩეტეთი ხელში.

- და დიდად გასაკვირველი მაინცდამაინც არაფერია, - განაგრძობდა მიჩინიო, - იქაც, ჭალაში, ის დანები მართლა ცალ-ცალკე კი არ ვისროლე, ერთმანეთში შედუღებული სამი დანა - ერთი რამ ნივთი იყო.

- აა... - ძლივს მიხვდა დომენიკო, გამოქვაბულის სიღრმეში, წყვდიადში იდგნენ, და მიჩინიოს, გადამრჩენელს, ჩამუქებულ ლანდად აღიქვამდა მხოლოდ; ქვისასა ჰგავდა, მყარად, ამაყად, საოცრად მძიმედ შემართულიყო, დომენიკოს კი, ზღვაგანცდაგამოვლილს, გამოლეოდა არაქათი, მუხლები ეკეცებოდა, მაგრამ იმდენი რამის გაგება სურდა... აფორიაქდა, და მხსნელს სადღაც, მკერდთან, მადლიერად შეაცქერდა: - ისე, წესით კი უნდა გამომეცანით... თქვენს გარდა, ღამით, კამორაში, სხვა ვინ გაბედავდა სიარულს.

- ვერ მიხვდებოდი, - თქვა მიჩინიომ, მაინც სიმკაცრე ეტყობოდა ხმაში, - რადგან მე ასე მსურდა. რომ მიმხვდარიყავ, გათამამდებოდი, და არ ივარგებდა ეს. ახლა კი, რაიმე ხინჯი რომ არ ჩაგრჩეს, რაც გინდა მკითხე, ბევრი დრო არ გვაქვს.

- არ გეწყინებათ?

- არა.

- სიკეთე თუ ხართ... - გაუბედავად წამოიწყო დომენიკომ, და სიბნელის იმედით, აიმ ოდნავ აბჟუტებულ თვალებში შეაცქერდა! - ხალხს როგორღა ჰკლავთ...

- მაინც რომელი დაგენანა ? - მშვიდად დაეკითხა მიჩინიო.

- აი, ვთქვათ... თუნდაც... - მართლა ვერავინ გაიხსენა, გაოცდა, - არავისა ჰკლავთ?

- არა.

- და მაშინ... და რომ იძახიან, ცალკე გაჰყავს და საშინელი წამებით ჰკლავსო...

- ცალკე ისინი გამყავს, ვისაც სიკვდილი უჩემოდ მართლა ვერ ასცდება, და რადგან ყველას ვერ გავწვდები, მხოლოდ იმათ ვარჩევ, ვინც ნაკლებადაა სიკვდილის ღირსი. მოკვლის სიამეს ვითომც მე დავიჩემებ, მოშორებით გამყავს და მერე ვუშვებ ხოლმე, ქვეყნად მიდიან, - და წყნარად უთხრა, - შენი ლტოლვილიც ერთ-ერთი იყო. შენც, სხვათა შორის.

- ჩემი ლტოლვილი... საიდან იცით! - აირია დომენიკო.

- ის სულ სხვა მხარეს გავაქციე, შენ ამ გამოქვაბულით წახვალ. კარგი კი იყო, ერთი დრაჰკანი მაინც დაგეტოვებინა სოფლად, მაგრამ რას იზამ, რაც მოხდა, მოხდა. დიდხანს ივლი და, არ შეგეშინდეს, ბნელში იმედი არ გადაიწურო, - მიუახლოვდა და მძიმე აბგა კისერზე ჩამოჰკიდა, მაინც შეეშინდა მისი ხელებისა დომენიკოს, ოდნავ მოიბუზა, - ბევრი პურია, გამოიზოგე. წყალი კი მრავლად შეგხვდება გზაში, ხანდახან მუხლამდეც კი ჩააბიჯებ. და სინათლეს რომ დაინახავ, გამოქვაბულიდან ფეხი არ გადგა, სანამ კარგად არ დაღამდება. მერეღა გადი და დიდ საღორეს დაინახავ იქვე; თუ უმთვარობა იქნება, სუნითაც მიხვდები. ჩაუარე და სადმე მოშორებით დაიძინე. დილაადრიან კი, ჭყვირილი როცა გაგაღვიძებს, იქითა მხრიდან მოადექი, ღორების პატრონს, ვიცი, მწყემსი სჭირდება.

- მე კი მეგონა... - თქვა დომენიკომ, თავი დახარა, - სოფლად მიშვებდით. მაღალ სოფელში... ძალიან მინდა.

- კი, გაგიშვებდი, ის ერთადერთი დრაჰკანი რომ დაგეტოვებინა. რომ მიგესვლებოდეს, - გაუმკაცრდა ხმა, - რა პირით ახვალ, გინდაც იქითკენ გაგიშვა.

- ჰო, - დაიჩურჩულა დომენიკომ, თავდახრილი იდგა.

- ერთ-ერთი გზა ეგა გაქვს, ღორების მწყემსად უნდა დაბერდე.

- დაა... მეორე? - მცირე იმედი აუკიაფდა.

- მეორე უკან, ნანგრევებისკენ. ვითომ გამექეცი.

- აჰ, არა, არა, - შეკრთა დომენიკო.

- ეგებ, გერჩიოს კიდეც, ნუ აჩქარდები. იმ კაცის ხელში, შიმშილით კუჭი ამოგიხმება, იცოდე. და ის საჭმელიც გენატრებოდეს იქნება, ღორებს რომ დაუყრი.

- რატომ...

- გაიცნობ, ნახავ.

- ვინაა, ეგეთი...

- გაიცნობ-მეთქი, - და შემპარავად დაეკითხა, - გერჩია სოფლად?

- დიახ. ძალიან... როგორ არა, კი!

- ერთი დრაჰკანი რად არ დატოვე!.. - და საზარელი ნაღვერდლები აუმოძრავდა, კვლავაც ჩაღუნა მგზავრმა, საბრალომ, თავი - ისევ მოესმა დაუნდობელი:

- რამდენი გქონდა!

- ექვსი... - მთლად დასაცოდავდა დომენიკო, მოიბუზა, - ათასი...

შეებრალა თუ რა იყო, სულ სხვა რამ ჰკითხა:

- იმ კაცს რა ერქვა, რომ მღეროდა...

- ჟოაო აბადო.

- ის მართლა დიდი კანუდოსელი იყო.

- როგორ შეატყეთ... - განცვიფრდა მგზავრი.

- ისიც მიმიხვდა.

- რას...

- ვინც ვიყავი.

- საიდან, როგორ... - მთლად აირია მგზავრი.

- ისეთი შეკითხვები დავაყარე, დამაჯერებელი პასუხები რომ გაეცა. შენ ალბათ იმან დაგაბნია, ძალიან რომ მლანძღავდა...

- დიახ.

- თვალი ჩამიკრა, სამაგიეროდ. მადლობის ნიშნად... ისე კი, სწორად მოქცეულხართ, ტივით რომ დაგიცურებიათ ქალები და ბავშვები.

- საიდან იცით!

- მოჭრილმა ხეებმა მიმანიშნეს. კანუდოსში კი მაღალი კვამლი არ აწელილა.

ერთბაშად შეძრწუნდა დომენიკო, და უკან გახტა:

- და... მდევარი რომ დაადევნეთ! თქვენ!..

აქ მიჩინიოს ბნელშიც შეეტყო, მოკლედ რომ ჩაიღიმა: - როგორ გგონია, სამ საათში შესძლებენ იქამდე ჩასვლას და ამობრუნებას? თან, ძებნა-ძებნით...

ისევ მიენდო. და უცხო ალერსით ხმაში - მერე ვის, თავად მიჩინიოს! - ჰკითხა:

- სიკეთე თუ ხართ, იქ, იმ ქალაქში... რა გაძლებინებთ...

- ჩამოვსხდეთ, გეტყვი.

რბილ სავრძელში გადაწოლილიყო დონ დიეგო, და პირში გორგალგაჩრილ, ზურგსუკან ხელებგაკრულ ბეტანკურს ზიზღით ათვალიერებდა. ვაკეიროების გაღუნული დანა, მაჩეტე, მსუბუქად ეპყრა ხელთ, სწორედ ამნაირი იარაღით სურდა დიდი მარშალის დაკვლა, ვისი ფერხთითაც - ჯერ კიდევ გათენებისას ორი თითით მიმხრჩვალი კატა-არუფა ეგდო. მთელი დღე აკრეფილი იდგა ფარდის უკან დონ დიეგო და ახლა ფაფუკ სავარძელში ჩაფლულიყო, დაბუჟებულ ფეხებს ასვენებდა, სამაგიეროდ, მარშალს სულ სხვა რამ უბუჟებდა შეძრწუნებულ ნაწილაკებად დაშლილ მთელ სხეულს, დაღლაზე გაცილებით სასტიკი - მაჩეტეიანი ხელი. ზიზღით დავიწროებულ თვალებს არ აშორებდა ბეტანკურს დონ დიეგო, და მონუსხული მარშალიც ვერა სწყვეტდა გაოგნებულ მზერას. თვალის კაკლები უზომოდ გაფართოებოდა და, თავზარდაცემულს, ნესტოები ძალიან უთრთოდა. ჰეე, რამდენი რამის თქმა სურდა დონ დიეგოს, მისთვის ჩვეული არტისტიზმით; წინ მთელი ღამე მარაგად ჰქონდა, როგორ უნდოდა რიგრიგობით: მისი გინება, მასხრად აგდება, და ისევ ლანძღვა მერე, და ისიც ეთქვა, განრისხებულს, აქ შემოპარვის ფასად რომ მიატოვა სანუკვარი ქალაქი და აი, სწორედ ამ დღის საფასურად, ალბათ მოღალატედ რომ ჩასთვლიდნენ კანუდოსელები; როგორ უნდოდა, სილა გაეწნა, მერე ჩვეული არტისტიზმით ეთქვა, რომ: „კარგი ქონება კი დააგროვე, ძალიან ყოჩაღ, აჰ, რა სახლი გაქვს... - და დაეყოლებინა, - ისე, გერჩია, სადმე, მინდორში, ბალახი გეთიბა - ხვალაც ცოცხალი იქნებოდი...“ მაგრამ ვერ შესძლო - წინ შესაზიზღი რამ არსება ედგა, ლორწოვანი, მისთვის ერთ სიტყვასაც ვერ იმეტებდა. ის სავარძელიც შეეზარა, სხარტად წამოდგა, ოთახს მიმოავლო თვალი. კუთხეში მიდგმულ სილის ძვირფას საათებს მიუახლოვდა, დაიხარა და ხუთწუთიანი ამოარჩია, აუჩქარებლად გაიმართა, და ერთადერთი მხოლოდ ეს უთხრა: „რომ ჩამოიცლება, მოგკლავ“. და საათი

გადააბრუნა, ხელისგულზე დაიდო და მაღლა შემართა, მარჯვენაში კი, მაჩეტე ეპყრა. სამიოდ ნაბიჯზე, პირისპირ იდგნენ. თვალები ამოებურცა შეძრწუნებულ ბეტანკურს, მოკლედ, მალიმალ ქშინავდა, რაღაც ზმუილიც იწოვებოდა იმ გორგალიდან, დონ დიეგომ ჯერ ჩექმები რომ გაიწმინდა და მერეღა ჩასჩარა პირში; რა უნამუსოდ - მარშალისათვის - და რა სწრაფად იღვრებოდა ვერაგი სილა, იქით აღეპყრო ბეტანკურს ყოფაანატირები მზერა, ხანაც მაჩეტეს მიაწყდებოდა დიდი მარშალის დაბინდული თვალთა სინათლე, მერე - კვლავ მაღლა აუხტებოდა; ტანსაცმლიანა აცახცახა მარშალ ბეტანკურს, ეს ყველაფერზე საშინელი წამება იყო - ეს ხუთი წუთი, მარშალის ჯინაზე ისე ხალისით ჩამოფშვნადი, ლაღად მომჩქეფარე - არა, ეს უფრო მის უგვანო ცხოვრებას ჰგავდა... დონ დიეგოს კი ერთხელაც კინაღამ წასძლია ენამ, უნდოდა თვალთმაქცურად აღენიშნა, რომ სიცოცხლეში პირველად ხედავდა მარშალს, თანაც, უბრალოს კი არა, - თეთრ შარვალში ჩასველებულს, მაგრამ აქაც შეიკავა თავი, და ბეტანკურის სიმწრით დახუჭულ თვალებზე მიხვდა, რომ ჩამოიწურა სილა... და ის საათი ისე დააგდო რბილ, ფერადოვან ნოხზე, არც დაუხედავს, მძიმედ გადადგა ერთი ნაბიჯი და ბეტანკურმა უცებ თვალები გაახილა, იქით, კედლისკენ, მკვეთრად გააქნია თავი. დაკვირვებით შეაცქერდა დონ დიეგო, ყოველივესი გაგება, წვდომა - სისუსტედ სჭირდა და მინიშნებულ კედელს მიუახლოვდა, თითი დაადო, და თვალებით იკითხა: „აქ?“ „არა, არა“, - გაიქნია მარშალმა თავი, და ნიკაპი წინ გაიშვირა. „აქეთ? აქეთ, ხომ...“ - ისევ შეაცქერდა დონ დიეგო, ჯიუტად უტყვი, და მარშალმაც გახარებულმა დაუქნია თავი. რას ანიშნებდა მაინც, ჯერ ვერაფერს ხვდებოდა დონ დიეგო, და, როგორც იქნა, კედელზე რომელიღაც ფილას მსუბუქად რომ მიადო თითი, იმედმოცემულმა ბეტანკურმა სწრაფად ააკანტურა თავი, თვალები მაგრად დახუჭა და შუბლით ვითომ ღონივრად მიაწვა რაღაცას. „მცველთათვის რაიმე ნიშანი არ ჰქონდეს სადმე, გამოსაძახებელი, - შეეჭვდა დონ დიეგო, - არა მგონია. კარი როგორც კი გაიღება, იცის ალბათ რომ, დაბნეულ მცველებს მაინც დავასწრებ, მაშინვე მოვკლავ. რაღაც სხვაშია აქ საქმე... გადარჩენისთვის, ნეტავ რისი იმედი უნდა ჰქონდეს... უცნაურია“. და, ყოველივეს გაგების ჟინით შეპყრობილმა, ფილას ღონივრად მიაჭირა ხელისგული, და ოდნავ მაღლა, ორი ფილა გადაიწია. ერთი კი გახედა მარშალს დონ დიეგომ და სავარძელი მიაჩოჩა კედელთან, საიდუმლო უჯრა გამოსწია, დიდის ინტერესით დააცქერდა - აუწონავი განძით იყო სავსე. აქ ჩაეღიმა დონ დიეგოს და, მარშალს გახედა. იმან ხალისით, რამდენადაც ახლა ეს შეეძლო, ვითომ მხიარულად დაუქნია თავი, მაგრამ მაშინვე ნირი ეცვალა, რადგან დონ დიეგომ მოსასხამი გადაიწია, ერთადერთი ძვირფასი თვალი, მკერდზე რომ ებნია, მოიგლიჯა და იმ განძზე დააგდო, სავარძლიდან ფეხი ჩამოდგა მერე, და ბეტანკურისკენ მძიმედ გაეშურა.

მივიდა, მოკლა.

- და უზარმაზარ ფანჯრებდაგმანულ ეტლში აღმოვჩნდი მაშინ, სხვა ქალაქისკენ მიდიოდა, - განაგრძობდა მიჩინიო, გამოქვაბულში, გრილად მოჭიქულ წვდიადში ისხდნენ, - ოცნი ვმგზავრობდით, და სუყველანი გამორჩეული ავაზაკები იყვნენ, ვიღაცა ერთის გარდა, იმას არ ვიცნობდი, თავისთვის იჯდა კუთხეში, წყნარად. ნიღაბი მხოლოდ მე მეკეთა, და საგანგებო დავალებაზე მიმავალი ვეგონე ყველას, არავინ უწყოდა, რომელი კამორელი ვიყავ, მერიდებოდნენ. ვიწრო ჭრილიდან შევცქეროდი მათ, ავაზაკებს, კარგად ვიცოდი ყოველი მათგანის ასავალ-დასავალი და სურვილისაგან მაჟრიალებდა - მე ხომ სწორედ იმიტომ მივედი კამორაში, ასე მეგონა, თუკი სიკეთის მთესველი ვარ, ბოროტება უნდა მოვსპო-მეთქი და იმ დიდი ეტლის უფსკრულში გადაჩეხა მყარად მქონდა გადაწყვეტილი. ხანდახან იმ უცნობსაც შევავლებდი თვალს - რაღაც ძალიან უცნაური იერსახისა იყო, დაფიქრებული; ვერც შეატყობდი, გულში რა ედო. მხოლოდ ის მგზავრი არ ვიცოდი, დანარჩენების მოსასპობად კი კაცი უკეთეს დროს ვერ ინატრებდა. და მეეტლემ წინასწარ დათქმულ ადგილას რომ შეაჩერა ეტლი, მძიმედ გადმოვედი, კარი მივხურე და ვითომ ფულის მისაცემად დინჯად მივუახლოვდი მეეტლეს, მერე ვისკუპე, გადმოვაგდე და კოფოზე ჯერაც დამჯდარი არ ვიყავ, ცხენებს რომ გადავუჭირე წართმეული შოლტი, ეტლში მსხდომთ არაფერი გაუგიათ. მივჭენაობდით, თოთხმეტი ცხენის სადავე მეპყრა ხელთ, კარგად ვიცოდი - უფსკრულს როგორც კი მივუახლოვდებოდით, განზე ჩაქროლების ნაცვლად სწორედ იქითკენ გავაჭენებდი ცხენებს, ერთსაც ღონივრად დავიქნევდი შოლტს და მე კი უვნებლად გადმოვხტებოდი. მოუთმენლობისგან ავწრიალდი, ზეზე დგომელა მივერეკებოდი ცხენებს, ერთი სული მქონდა, სანამ იქამდე მივაღწევდი, ასე მეგონა, მართალი ვიყავ; სულო ცოდვილო - ვზეიმობდი წინასწარ კიდეც, მაგრამ უეცრად ის კაცი გამახსენდა, აის უცნობი და ხასიათი წამიხდა; რაღაცნაირად, შევიბოჭე, სულ მისი სახე მიტივტივებდა, გამოუცნობი. „დიდი ამბავი“, - გავიფიქრე, მინდოდა თავი მემართლებინა, - ვინც გინდა იყოს, სამაგიეროდ თვრამეტ ავაზაკს მოვაცილებ ქვეყანას და ამით რამდენ კაცს გადავარჩენ-მეთქი... მაგრამ ის კაცი, თავისთავად, ისევე როგორც ყველანი ჩვენ, დომენიკო, თავისი თავისთვის ერთი, ერთადერთი იყო, და როგორც ყოველს, იმასაც მარტოკინად ჰყავდა უძვირფასესი რამ ქვეყანაზე - საკუთარი თავი, მხოლოდ მისეულ, მთელ სამყაროს რომ იტევდა და მისი ქვეყანა მხოლოდ მისით ცოცხლობდა, მხოლოდ... და იმ კაცისთვის რა იყო, აბა, ის თვრამეტი ავაზაკი, რა? - არაფერი, თუკი სიცოცხლე წაერთმეოდა... თან, არც ვიცოდი, ავაზაკი იყო თუ არა, გინდაც ყოფილიყო, „რა უფლება მაქვს!“ -შევუწყერი თავს და კვლავ შევყოყმანდი; მერე ისიც კი გავიფიქრე, ეტლს თავადაც რომ გადავყოლოდი, იმ კაცისადმი დანაშაული

თითქოსდა ამით გამომესყიდა; მაშინვე მივხვდი, ესეც რომ არ იქნებოდა სწორი - იმ კაცისათვის, მეც სულერთი ვიყავი, რა მე და რაღა ის ავაზაკები, ძაან არ ვენდომებოდი? თუ მოკვდებოდა... და ღონივრად მოვზიდე სადავე, გავაჩერე ეტლი, მეწინავე ცხენისკენ გავიქეცი, სწრაფად გამოვხსენი, მოვახტი და უკანვე, კამორასკენ გავაჭენე. ამასობაში ეტლიდან გამოცვივდნენ, რაღანაირი ლანძღვა-გინება არ დამადევნეს, დაწევით რაღას დამეწეოდნენ, განაგრძნობდნენ ალბათ მერე გზას, ამას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარი ისაა, რომ ავაზაკთაგან დღესაც არავის ეცოდინება, იმ კაცმა მისდაუნებურად ყველანი სიკვდილს რომ გადაარჩინა.

და დომენიკოს თუმცა კრინტი არ დაუძრავს, მიჩინიომ მაინც იკითხა:

- რატომ გიამბე? თუ გინდა, გეტყვი...

- დიახ...

- ერთი იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი, სუყველანი, ადამიანები, უხილავი ქსელით ერთმანეთზე გადაბმულნი ვართ - არც ვიცით, ისე. შენც, მაგალითად, ვერასოდეს წარმოიდგენდი, მანუელო კოსტამ დიდი ზეს გარდა შენც რომ სიკვდილს გადაგარჩინა.

- მე არა, არა, - თავი გაიქნია სიბნელეში დომენიკომ, - მე კანუდოსიდან არც გამოვსულვარ და მხოლოდ...

- მე, როგორც ერთ-ერთი ეგრეთ წოდებული ღირსეული კამორელთაგანი, - გააწყვეტინა მიჩინიომ, - იმის წამებას ვესწრებოდი და მანუელოს საქციელით აღფრთოვანებულს, ერთთავად სული მიკაწკაწებდა, გადამერჩინა, და როგორმენაირად შევძლებდი კიდეც, მაგრამ იმჯერად ისეთ ძვირფას ტყვეს, ვითომც საიდუმლო ხვრელი რომ იცოდა, ცალკე არ გამაყვანინებდნენ და სხვაგვარად კი, გავიყიდებოდი. მეც უნდა გადავკარგულიყავი.

- მერე რა... - წამოიძახა დომენიკომ, - დიდი ამბავი... გადაკარგულიყავით, თუკი შეგეძლოთ მისი დახსნა... ის ხომ ნამდ...

- მერე შენ ვეღარ გადაგარჩენდი, დომენიკო, - კვლავ გააწყვეტინა მიჩინიომ, - შენი თავი მებარა. მანუელომ კი, როგორც ხედავ, შენც დაგდო მადლი.

შუბლზე ხელი მოისვა დაბნეულმა მგზავრმა.

- მაგრამ იმ ეტლის ამბავი მხოლოდ ამისთვის არ მიამბნია, კარგად დამიგდე ახლა ყური. იმ ღამით ბევრი ვიფიქრე, ძალიან ბევრი, რაღაცნაირად, ღრმა და მაღალი ფიქრი იყო; განთიადისას, ერთ რამეს მივხვდი!

- რას...

- რომ დედამიწას სიყვარული ატრიალებს, დომენიკო.

მთლად გაიტრუნა წყვდიადში მგზავრი.

- ასე რომ არა, დაიქცეოდა, - მკაფიოდ გაისმოდა ბნელში, - ამდენი ცოდვა დაამძიმებდა, დომენიკო, ვეღარ შესძლებდა ბრუნვას, ზოგ-ზოგებისადმი სიყვარული რომ არა. მე ვინ ვიყავი მაშინ, სულ ერთი ბღუჯა ხალხი მებარა, რაღაც ცხრამეტი კაცი, და ჩემისთანა ღარიბ-ღატაკსაც კი გაუჩნდა სადარდებელი; მთლად უცხო კაცმა ავაზაკები გადამირჩინა, დედამიწას კი, სხვებთან ერთად მანუელოს და ზე მორეირას, ჟოაო აბადოს, და მასიმო რომ უვნებლად გაუშვა, იმ ბერიკაცის პატრონს, სწორედ რომ მხოლოდ სიყვარული ატრიალებს, იცოდე.

- და იმიტომაც სწორედ ისინი დაიღუპნენ, არა? - გამწარდა დომენიკო.

- დაიზრდებიან.

- ვინ...

- სხვები.

- როდის...

- დაიზრდებიან, როცა იქნება. ისიც იცოდე, დომენიკო, ძალიან დიდი განსხვავება არა აქვს იმას, ადრე მოკვდები თუ შედარებით გვიან, რადგანაც ბოლო - მაინც ეგ არის. მთავარია თუ, როგორ მოკვდები. და რის ჩადენას მოასწრებ.

- ახლებს, რა დაზრდით...

არა სჯეროდა მაინც დომენიკოს, და აქ სუნთქვა შეეკრა, მაშინვე იგრძნო, როგორი დაუნდობელი სიჯიუტით შესცქეროდა მიჩინიო. რაღაცა იგრძნო, ჯერ აუხსნელი... ადამიანი რომ გამოძერწა? აჰ, არა, არა...

- ზეზე აეგდე. - მოესმა უცებ და წყვილ კიაფს თვალი ააყოლა - ფეხზე წამოდგა მიჩინიო.

- რა... მე მითხარით?

- აეგდე-მეთქი.

და ისევ შიშით, ძრწოლადავლილი იდგა.

- მე კი, ესეც იცოდე, იმიტომ გამოვიყურები ყველაზე სასტიკ კაცად მთელ კამორაში, მინდა ვიფიქრო, ეგებ სხვებსაც ნიღაბი აქვთ-მეთქი. ასე რომ არა, გამიძნელდებოდა. შენ კი, უნიღბოვ, ჯერ ისევ მხოლოდ ცომი ხარ, ცომი... - და შეებრალა, - ერთი დრაჰკანი რად არ დატოვე...

- მე მინდოდა და...

- ენა ჩაიგდე! ერთი დრაჰკანი მაღალ სოფელში რომ დაგეტოვებინა, ეგება კაცი გამხდარიყავ - უცებ იმედი შეერია სიძულვილნარევ ხმაში, - კარგად მისმინე - მუდამ არსებობს გამოსავალი, ღორებშიაც კი.

წყვილი კიაფი თვალებსა სჭრიდა, ისევ თავი დახარა მგზავრმა.

- ისიც იცოდე, ვერანაირ ტყუილს ვერ მოიგონებ, სადმე სხვაგან რომ არ არსებობდეს, თუნდაც, ის საიდუმლო ხვრელი, არავინ რომ არ იცოდა, თვით მენდეს მასიელმაც კი...

- რა... არსებობდა?

- იმ ხვრელში დგახარ. ფრთხილად იარე, კედელს ხელის ფათურით გაჰყე. პური გეყოფა, ნუ გამოიზოგავ. გზად წაძინება არც გაიფიქრო, თორემ სამუდამოდ ამ სიბნელეში ჩარჩები, მხარი გეცვლება. მღვიძარე იყავ. გამიგე?

- კარგით...

- იქ ვერავინ გიპოვნის, შენი დარდი კამორელებს არ ექნებათ, რადგან მთელი ქალაქი აიწეწება - გუშინდელს აქეთ, დიდი მარშალი თავის მისაღებ ოთახში ალბათ ყელგამოჭრილი გდია.

- თქვენ... - სუნთქვა შეეკრა დომენიკოს, - ნამდვილად იცით?

- წესით კი ასე უნდა იყოს და... როგორ გგონია, დონ დიეგო მართლა გაგექცეოდათ, რაიმე საქმე რომ არ ჰქონოდა?

- კი... არა!

- სწორედ მაგიტომ გაიქცეოდა, ასე რომ, მსხვილმან-მსხვილმანი ავაზაკებიც იღუპებიან ვისიმე ხელით... და მაგ საქმეში მეც ვურევივარ. ცოდო კი იყო - ბევრი

ქონება დააგროვა, მეტი უნდოდა. რას იზამ, ასეა... შენც, ვაჟბატონო, ერთი, ერთადერთი დრაჰკანი მაინც რომ დაგეტოვებინა... ვითომ სიძუნწით მოგივიდა ეს? არა მგონია, ალბათ უფრო სისულელით იყო... - ოდნავ დაუცხრა ანაღვერდლებული მზერა და, მერე ისევ აუკიაფდა, - ვიდრემდე წახვალ, ერთსაც გკითხავ - თვალი ხომ არ გეწვის...

ეწვოდა.

- არა.

- ნუ გეშინია, ოთო-ექიმისა არ იყოს, არც მე მიგაწებებ სილას. მაგრამ იმან თუ თავისი გულჩვილობით არ გაკადრა ეს, მე სხვა რამ საჩუქარი მაქვს გაშვებულთათვის შემონახული, უფრო საგრძნობი. შებრუნდი.

შეტრიალდა და მაშინვე ღონივრად აეწვა მხარი, დაიგმინა კიდეც; ბეჭიდან ხორცი ამოეფლითა, რაღაც კაშკაშა ტკივილი იყო, მცირედი ელვა დასცემოდეს თითქოს, მერე მოთბო, მძიმე სისოვლე რამ გამოეჟონა, იგრძნო, ზურგზე დაუცურდა, მუხლამდე ჩაეღვარა...

- აეგ მცირედი ჭრილობა, - გაისმა ბნელში, - მოკვლით არ მოგკლავს, სამაგიეროდ, მუდმივ სახსოვრად გექნება ჩემგან. აჰა, ეს ტილო მიიჭირე... გზად დაასველე ხოლმე და ცივი კარგია, სისხლს შეაჩერებს. ახლა კი, წადი.

აქ დომენიკომ ვეღარ მოითმინა, განზე მიაბრუნა თავი, და მხარუკუღმა დაუღრიალა:

- ადამიანის სიკვდილს რაღად მაყურებინეთ!

მაშინვე მშვიდად უპასუხეს:

- ადამიანი რომ გყვარებოდა.

მთლად მოიბუზა შეკუმშული მანამდეც მგზავრი. და გზას გაუდგა - მარცხენა მხარზე მარჯვენა ხელისგულით ტილო მიედო, ნიკაპს მორკალული იდაყვი უგრძელებდა, განზე გაშვერილი მარცხენათი კი გამოქვაბულის პირქუშ კედლებს ფათურით მიუყვებოდა, სხეულზე წყნარად ეხლებოდა კისერზე თასმით ჩამოკიდებული პური... სად მიდიოდა! წინ რა ელოდა! და სიბნელეში თეთრი ფრინველივით მსუბუქად მიეწია, იმედად ჩასწვდა მიჩინიოს უცნაურად გამოცვლილი, მჭახე ალერსით გაჟღენთილი ხმა:

- მშვიდობით იყავ, დომენიკო. კეთილად გევლოს...

მეორე დღეს, გათენებისას, უკაცრიელ კანუდოსში დონ დიეგო ავიდა, მოსასხამის ქვეშ ფრთხილად ამოედო თიხის მომცრო ქილა. უჩვევი სევდა ედგა თვალებში, და არ ეხამებოდა ძველებური, მაინც ამაყი მიხრა-მოხრა და ფრთებგაჩრილი ქუდი. დამწუხრებული გასცქეროდა გაპარტახებულ ქალაქს. პირველსავე ცხედართან შედგა, დააცქერდა, მაგრამ ვერ იცნო - ცეცხლით იყო შეჭმული. მერე პირქვეჩამხობილ კანუდოსელთან შედგა, ჩაიმუხლა, ქილა ფრთხილად დადო, ფაქიზად გადააბრუნა ცხედარი, სახე შეეჭმუხნა - ეჰ, გრეგორიო პაჩეკო, გრეგორიო... - ბარძაყზე დინჯად დაირტყა ხელი. დამწუხრებული, მიმოდიოდა, ორსავ მუხლზე ჩაიჩოქებდა, - ეჰ, ინოსენსიო, ინოსენსიო, ეჰ... ეჰ, სენობიო ლიდოსა, სენობიო... - და დიდ მჭედელს ხელზე დაადო ხელი. მძიმედ წამოდგა, მიმოიხედა, ბინდ-ბუნდში ღია ნაცრისფრად ბზინავდა ჭაღარა თავი, - ეჰა, მოხუცო სანტოს, ეჰ... მგლოვიარედ, ჩაფიქრებული იდგა, მერე ღიმილმა მკრთალად აუციაგა სახე, და ქილას დასწვდა, მდინარისაკენ გაეშურა, და ლოდივით კუშტად გახევებულ კანუდოსელთან ისევ შეჩერდა, ადრეული ნაოჭებით ისევ დაესერა სახე - ეჰ, ჟოაო აბადო, ჟოაო... მერე იმედით ჩახედა ქილას - შიგ წყალი იდგა, და ექვსი ლიფსიტა უთავბოლოდ დაბორიალებდა. ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი მდინარე... და იმ თავის მდინარეში ფრთხილად ჩაღვარა ქილიდან ლიფსიტებიანი წყალი, გულზე მოეშვა, გაიმართა. მერე დინჯად, აუღელვებლად ირჯებოდა: სქელი ფიცრები იპოვნა, მაგრად გადააბა თოკით, ორი ტოტი აასხიპა გადარჩენილ ხეს, ფიცარზე მიაჭედა, და პაწია ეჟვნები ჩამოკიდა ზედ. ეს მცირე ტივი მდინარეში შეაცურა, ნაპირზე ჩასობილ პალოს თოკით მიუბა. მერე ერთხელაც გახედა კანუდოსს, მშვიდად, მორჩილად თქვა: ეჰ, მენდეს მასიელ, კონსელეირო... ცრემლი მოადგა მომწვანოდ შეფერილ თვალებზე, - ეჰ, მანუელო კოსტა, მანუელ... - და დიდის კრძალვით წარმოსთქვა მერე - ეჰ, ზე მორეირა, ზე... ფრთიანი ქუდი მოიხადა, განზე ისროლა, მდაბლად დაუკრა კანუდოსს თავი, მერე მუხლამდე შეაბიჯა მდინარეში, ფიცრებზე გაწვა, რვად დაკეცილი მოსასხამი თავქვეშ ამოიდო, ჩექმის ჯიბიდან მაჩეტე ამოიღო, თოკზე არც დაუხედია, ისე გადაჭრა, და მდინარესავით ნელა დაიძრა მცირე ტივი, ეჟვნები მორიდებით აწკარუნდნენ - უკანასკნელი არტისტიზმი, და დონ დიეგომ აუჩქარებლად, საქმიანად გადაისერა ორთავე მაჯა, მაჩეტე გააგდო, ხელები ჩაჰყო მდინარეში. ნელინელ მიუყვებოდა ზვირთებს ეს უცნაური, ეჟვნებიანი არტისტული კუბო, და მდინარეში ორ მოვარდისფროდ მკრთალ ზოლს სტოვებდა, დონ დიეგო კი ყუჩად იწვა, უყურებდა ცას.

ა, ასე მშვიდად მიიცვალა სხვა დროს დიდ აყალმაყალთა ამტეხი, მეხუთე დიდი კანუდოსელი. ეს თვითმკვლელობა არ იყო, ეს - ძმათა ხათრით სიკვდილი გახლდათ, ეჰ, დონ დიეგო, დონ...

აქვე მთავრდება „კანუდოსი“-ს უკანასკნელი, მეოთხე თავი.

ნაწილი მეხუთე

აღმართი

იმან კი დომენიკო ღორების მწყემსად წარავლინა. დიდი კომბალი მისცეს, ველად გაჰყავდა კოლტი. გამალებულნი დაეძგერებოდნენ ღორები ბალახს, მაგრამ საკვებად მხოლოდ ეს არ ჰყოფნიდათ, შებინდებისას, დიდად მომთხოვნი ჭყვირილი ატყდებოდა ხოლმე; ერთი ველური მცენარე იყო რაღაც, ლობიოს ჰგავდა, დილა-საღამოს ნასუფრალს იმ მცენარესთან ერთად აზელდნენ დიდ გობებში, ღორებს უყრიდნენ. გომურის კედელს მიყრდნობოდა დომენიკო, და ნერწყვმომდგარი მისჩერებოდა, როგორ თქვლეფდნენ ღორები სალაფავს, შიმშილისაგან სციოდა დომენიკოს, აკანკალებდა, ძალიან გახდა, შორიახლოდან გომურზე მიყუდებულ ფიჩხის მცირე რამ შეკვრასა ჰგავდა. რომ დამჯდარიყო, გადაქანცულს, მაშინვე კისერს მოსწყვეტდა ძილი და, მისუსტებული, ფეხზე იდგა, გამწარებული უცდიდა, როდის მოასუფთავებდა მადააშლილი კოლტი გობების აქერცლილ ფსკერს. გომურში შედენიდა მერე ღორებს, კარს ჩარაზავდა, კუთხეში მიგდებულ ჯვალოს დაფლეთილ ტომარაზე მოიკუნტებოდა, ზედაც ტომარას გადაიფარებდა, ამყაყებულ სუნს ვეღარა გრძნობდა - შეეჩვია, და მაშინვე ყელზე ლოდშებმულივით, იძირებოდა - ჩაძინება არ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც ეს, გულის წასლას უფრო ჰგავდა. ვერც წრიალებდა... გათენებისას მოუთმენელი ღრუტუნი გამოაღვიძებდა ხოლმე, გარეთ გამოსული, დილის საღ ჰაერზე კანკალებდა, თითებს ამობურცულ ნეკნებზე შემოიჭდობდა, ძვალს და ტყავს იზელდა. მიღველფილს, ჭვარტლი ბინდისფერ ლაქებად უტივტივებდა თვალწინ, რა იყო მაინც, რა უცნაური სისუსტე სჭირდა, ჩამოძენძილი, თავჩაქინდრული, მიდენიდა კოლტს. დილდილაობით, ხელისგულისოდენა პურს მიუგდებდნენ ხოლმე, ხანდახან ჰაერშივე იჭერდა, ხან - გულაძგერებული დასწვდებოდა და სასოებით უბერავდა სულს. ორიოდ ლუკმას იქვე ჩაკბეჩდა, და დაღეჭვასაც ვერ ასწრებდა კარგად - უცაბედობით, ეყლაპებოდა. ველად გასული, შეტყუპებულ პეშვებზე დაიდებდა პურს, სახესთან მიჰქონდა და, თვალდახუჭული, გამოზოგილი სიამოვნებით, ფრთხილად ყნოსავდა. და მერე, უცებ, ვეღარ ითმენდა - პირში მალიმალ იტენიდა, დაუღეჭავად ყლაპავდა ლუკმას, ერთი, ორი და აღარა

ჰქონდა, მთელ დღეს და ღამეს, გათენებამდე უნდა ეთმინა. საღამოობით, ნაღვლიანად დახარბებული დასცქეროდა სალაფავს, ვაშლისა და კიტრის ნაფცქვენებზე უარს იტყოდა კი არა, სურვილისაგან აჟრიალებდა. მაგრამ არავინ მიუგდებდა მას.

ისე კი, შემოდგომა წელიწადის ყველა დროს სჯობდა - შემოდგომით, ტყისპირას რომ მიდენიდა კოლტს, მაჟალოსა და პანტას, კვრინჩხს, ზღმარტლს, ძახველას აგროვებდა და ადამიანს რომ მიეცა მისთვის ეს ხილი, გააღმერთებდა, ხეს კი არაფრად აგდებდა, მხოლოდ ნაყოფი მოსწონდა და ესურვილებოდა მისი... და ზამთრისთვისაც იმარაგებდა ხეთა მოწყალებას, მაგრამ პოულობდნენ, ართმევდნენ და ღორებს უყრიდნენ. ზამთრობით, ჭირდა... ფეხზე კანაფით ჯვალოშემოხვეული, შემცივნებული, კანკალებდა და წყლის დალევის ნაცვლად თოვლის გუნდას კბეჩდა, ყინულს აკნაწუნებდა - ეს უფრო ჰგავდა საჭმელს, და სპეტაკად ჩამომდგარ მჭახე ჰაერში ახსენდებოდა, რომ ახლა, საღამოობით, მამა ოთახში, ბუხართან იჯდა. მამა ყოველდღე მუშაობდა და ყველას უკვირდა, ასეთი მდიდარია და ნეტავ რა ძალა ადგასო, იგი კი, მოღლილი, საღამოობით ბრუნდებოდა შინ, როცა სახლებისა და ხეების წაგრძელებული ჩრდილი თვალნათლივ ბაცდებოდა. ასე, მუშაობაში გადიოდა წელიწადის სამი დრო. ზამთრობით კი, როცა სალუქი თოვლი უშნოდ დაიტკეპნებოდა სოფლის გზაზე, მთებში კი რბილად ბრჭყვიალებდა მზეზე, მამა მრგვალ ბუხართან იჯდა და, თვალებმოჭუტული, ფიქრობდა ხოლმე. მამასთან ხშირად დაიარებოდნენ ყმები, ზოგი რჩევას ეკითხებოდა, ხან რას ეუბნებოდნენ, ხან რას, ხანდახან დანაშაულშიც გაუტყდებოდნენ და თუ ძალიან გაუჭირდებოდათ, ფქვილს ხმადაბლა სთხოვდნენ და არავინ მოიძევებოდა მთელ სოფელში, მამის უმადური რომ ყოფილიყო, ეჰ! - სოფლად ასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო... ერთი, ერთად-ერთი დრაჰკანი რომ დაეტოვებინა... გაზაფხულობით უფრო ახსენდებოდა ეს, გაზაფხულობით, ნაზამთრალ მიწას სახნისით გადაუსერავდნენ მკერდს, გაზაფხულობით, სოფლად, ძალუმი ოხშივარი ავარდებოდა ჰაერში, საკინძეს შეიხსნიდნენ ხოლმე გაბრუებული გლეხები, გაზაფხულობით, კალთააკრეფილი კოჭლი გლეხი რწევით მიმოდიოდა ხნულში და ხელის ყოველ მოქნევაზე თითო პეშვ ხორბალს აპნევდა... ბალისა და ალუბლის კენჭივით მაგარ, ციცქნა ბურთულებს სითეთრე ეძალებოდა, ლეღვის ხაოიანი ფოთლების მიღმაც ალაგ-ალაგ შეიმჩნეოდა ნაყოფი, წითლად ასაჩახჩახებელი ბროწეულის ხეები ჩამწკრივებულიყვნენ ღობეების გასწვრივ, წვიმდა... ჯვალოს ტომარაზე წრიალებდა დომენიკო, და აქაც, ამ საღორეთშიც წვიმდა და, გამხნევებული ახელდა თვალს, მაგრამ ეჰ, არა - იქ რა უნდოდა, აქ, ქვემოთ იყო... ენანებოდა ეს გახლეჩილი, ნაღველნარევი სიამით გაჟღენთილი სიზმარი და, წვიმის ერთენოვანი ხმაურით აღვსილს, ახსენდებოდა,

იქაც, სოფელში, თუ როგორ წვიმდა... წვიმდა, თბილი წვეთები ეცემოდათ გლეხებს, ზურგზე ეტმასნებოდათ ნაცრისფერი, გახუნებული ხალათები, ხის ძირას დგებოდნენ, ზოგი ამოზნექილ ფესვებზე ჯდებოდა, იცდიდნენ, ამდენი წვიმა არ გამიგია, ამბობდა პირველი ყმა, ბიბო. მიწა იჟღინთებოდა, ლბებოდა, მერე თანაბარი, ჩუმი გუგუნი ცალკეული წვეთების ხმამდე დადიოდა, ნათდებოდა, მზე გამოდიოდა ცაზე, თავ-თავიანთ ყანას უბრუნდებოდნენ შარვალაკარწახებული გლეხები, მძიმედ აბიჯებდნენ და ხანმოკლე დამღად აჩნდებოდა დამბალ მიწას მათი ფართო ნაფეხურები. მზე აცხუნებდა, ორთქლი ასდიოდა ბელტებს, უფრო მძიმდებოდა ისედაც გამაბრუებელი ჰაერი, მოკლე ბალახი ამოიზიდა, დამჭლევებულ საქონელს მზეზე ულაპლაპებდა მიწისკენ დახრილი კისრები, გამოგაზაფხულდა, ცხენები აჭიხვინდნენ - და ტომარაზე წამოჯდა დომენიკო, აჰ, არა, არა, ცხენს რა უნდოდა აქ, ამ ჯაგარაშლილ, სალაფავის ხათრით მოშინაურებულ ცხოველებში, წამოწვა ისევ, თვალი მილულა... მუცელი გვრემდა. მოიისფრო ბინდში ბრუნდებოდნენ სოფლად ნამუშევარი, მადააშლილი გლეხები, წვნიანით სავსე ჯამებში ხმელა პურს ჰყრიდნენ და პურითვე გულდაგულ ასუფთავებდნენ ჯამების გაცრეცილ ფსკერს, თავბრუ დაეხვა დომენიკოს, მაგრამ გადაწოლის ნაცვლად, შეშინებულმა - იკარგებოდა თითქოს! - წამოიწია, მუხლებზე დადგა... სოფლად დაბრუნებაზე ფიქრი ეგებ არ იყო სულაც ზედმეტი, და არა, არა, შვილად მიღების იმედი სრულებითაც არ ჰქონდა, მაგრამ რა იქნებოდა, ყმად რომ შესდგომოდა მას, მამას, რა იქნებოდა, თავად მამას სამუშაო რომ მიეცა მისთვის და მხოლოდ იმდენი საკვები, იმ სამუშაოს კეთილად შესრულების თავი რომ ჰქონოდა... „და რომ ავდგე, და წავიდე, და ვუთხრა მას, - გაფაციცებული ფიქრობდა დომენიკო, - დავაშავე შენს წინაშე და წინაშე კიდევ მრავალთა სხვათა, და არღარა ვარ ღირსი შენი შვილი რომ მერქვას, არამედ მიმიღე მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი...“ მიიღებდა კი?

ზაფხულობით, ველად გასული, ძონძებს მოიშორებდა და მზის გულზე შიშველი იჯდა. ეხეთქებოდა კანი, იარებიდან ბაცი სისხლი სდიოდა. დიდი, მძიმე ლოდი ჩამოეკიდნა გულზე; გაზაფხულობით, მოწყურებული, წყაროსთან იჯდა, მარილს ლოკავდა. სეტყვაში მორჩილად დგებოდა, თეთრ, ბეჯით წერტილებს გასაცოდავებულ სხეულს უხვედრებდა. ზამთრობით, თოვლზე, ფეხშიშველი დაიარებოდა, ქვებზე ეძინა და ვერ მოიცილა მაინც ვერაფრით, მაინც ჯიუტად ამოუტივტივდებოდა ხოლმე: „რომ ავდგე და... და რომ აღვდგე და წარვიდე მამისა ჩემისა და ვჰრქუა მას: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა, და არღარა ვარ მე წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი. ვითარცა, ერთი, მუშაკთაგანი“, - იმეორებდა... ცხელოდა, წვიმდა. და მის დროებით, მცირე პატრონსაც, ძუნწს, ხარბს, წუწურაქს, რა ჭირი ეტაკა, რა იყო, რა მოეჩვენა მაინც,

ბოლო დროს შინ, საღორეში მობრუნებულს, ცხელ კერძს, ხორციანს, უხვედრებდა და სპილენძის ჯამი ნაკელიან სოხანეზე კი იდო, მაგრამ მაინც დუღდა, მძიმედ თუხთუხებდა და დამატყვევებელ, რკინის აბლაბუდასავით სუნს გამოსცემდა, აჟრიალებდა დომენიკოს, მოიკუნტებოდა, ნერწყვი სდიოდა, აძაგძაგებდა, მაგრამ იცოდა, კერძის შეთქვლეფა და - სოფლად ასვლაზე ფიქრი მოშორდებოდა; და ამა ფიქრის ასარიდებლად თუმც ზამთარ-ზაფხულ თავს იწამებდა, აიქ ასვლაზე მტანჯველ ოცნებას მაინც, მაინც რომ ელოლიავებოდა, ამ ავაზაკურად აორთქლებულ კერძზედა მიხვდა... რაღაც სხვა იყო მაღალ სოფლად ისეთი რაღაც, საჭმელზე მეტად რომ ეზიდებოდა, მაგრამ იქ ასვლა... „არამედ მყავ მე... ვითარცა ერთი... მუშაკთაგნი...“ - ლაქა უნდოდა! მიიღებდნენ კი?.. და იქამდე აღწევას, შორეულ ბილიკს გინდაც დასდგომოდა, შესძლებდა კია? - ქანცგაწყვეტილი, დავრდომილი... დაღმართზე, ცხენით, იმდენი იარა და იჭენა, იქაც კი დაიღალა და ახლა, აღმართში, მისუსტებული, ღონემიხდილი, სულ ფორთხვით მიდის, და თანაც, გზად, ბილიკებზე, ზეზუხბაიები დაძრწოდნენ, ლტოლვილთა მტერნი, ეს ბავშვობისდროინდელი თამაში იყო, სადღაციდან დაბრუნება - ვითომ ბრუნდება, ბრუნდება დიდი განშორების შემდეგ... ოთხზე დამდგარა, ადის, მიჩოჩავს, მიხოხიალებს, ამოშვერილ ფესვებზე ძლივას გადააქვს დამზრალი ტანი, მაღლა, ტოტებზე, სვავები და ყორნები სხედან, იცდიან - გაძვალტყავებულს, მაინც ექნება ცოტაოდენი ხორცი და სისხლი... როგორ მიფორთხავს, მიხოხავს როგორ... რომ არ დაცურდეს, ფესვს კბილებით ჩასჭიდებია, სიმწრით ათრთოლებული ნესტოებით მოშიებული ისუნთქავს ჰაერს, და რა ძნელია, რა მძიმეა თუნდაც ასეთი გამხდარი ტანი, რა არ ერევა, რა არ აწუხებს, ციცქნა ეკალი რომ ეკალია, ვთქვათ... მაგრამ ჯანდაბას, ეს კიდევ არაფერი - გვერდით, შორიახლოს, დიდი გველი მისდევდა, უტყვად გაყინული თვალებით აკვირდებოდა, ვინ გაიგებდა, რა ედო ცივ გულში, უთვალთვალებდა... ერთი დრაჰკანი რომ დაეტოვა... ფოთლებს ღეჭავდა დომენიკო, მისავათებული, თავს მიწაში ჩარგავდა თუ არა, კეფაზე გველის მზერა ეწვოდა, საბრალო, მგზავრი... გაფითრებული, შეძრწუნებული მიიკვლევდა ფესვთაშუა გზას, გადაჰყვლეფოდა იდაყვები, მკერდი, მუხლები, ეს დომენიკოს ბალღობისდროინდელი თამაში იყო, გლოვად ქცეული ახლა - სადღაციდან დაბრუნება... რა იყო მაინც, იმოდენა და იმდენი ეკლოვანი ბუჩქი... გაზაფხულობით სუყოველივე, ეს ეკლებიც კი, მწვანედ ბზინავდა, და მუქდებოდა მერე - საღამოვდებოდა, ისევ ის გატრუნული, ჩაშავებული ჩრდილები, ხანდახან ავად რომ შეირხეოდნენ... ისევ ის სიჩუმე, ჭრიჭინათა სუსტად გაბზარული... კვლავინდებურად, მონაცრისფრო გველის გაყინული თვალი, და სხეულში ჟღრიალით დარწეული სუსხი... ვიღაცა შავი, დიდთითება, ზანტი მუქარით

მომავალი - ადრიანი გაზაფხულის ღამე... წელიწადის დრო, ყოველივესი ჩამსახველი, სუყოველივე თვალნათლივ როგორ სხვაფერდებოდა!.. გაზაფხულობით, როცა ხეთა ფერადი კვირტები პაწია ნაყოფად გადაიქცეოდა, ხალხი ერთ ღამით სტოვებდა სოფელს. ჩაფიქრებულნი, მორჩილად აიკრავდნენ გუდა- ნაბადს, ჩვილებს თბილად გაახვევდნენ, საქონელსაც მიერეკებოდნენ და ჯგუფ-ჯგუფად გადიოდნენ, სნეულნიც კი გაჰყავდათ ჩარდახიანი, უხალისოდ აღრჭიალებული ურმებით. რაღაც უცნაური წუხილი კი მიჰქონდათ, მაინც უფრო დიდი სევდა ბანაკდებოდა დაცარიელებულ, უადამიანებო სოფელში. ხორციელის ჭაჭანება აღარ იყო, ერთადერთი მამა რჩებოდა შინ, ქვის გალავანს მსუბუქად მიყრდნობილი. იგი გასცქეროდა სოფლელებს, მძიმედ რომ ადიოდნენ აღმართში და მერე ბორცვს მიღმა უჩინარდებოდნენ. იქით, ბორცვს მიღმა უნდა გაეთიათ დღესასწაულისწინა ღამე, კაცებს უნდა ეფხიზლათ და ვეება კოცონთან უხმოდ მსხდარიყვნენ, მამა მარტოდმარტო რჩებოდა იმ უჩვეულო სიჩუმეში, უძრავად იდგა, სანამ არ დაბინდდებოდა. შებინდებისას, გაბრუებული ჩიტების ჟრიამული რბილად იკარგებოდა ჰაერში, საღამო ხანს თითო-ოროლა ფოთოლი წამით აფრთხიალდებოდა ხეზე, მერე ისევ სიჩუმე, სიჩუმე, სიჩუმე ტლანქ, მძიმე სიშავედ იღვრებოდა სახლებსა და ეზოებში, გზებზე; თითქოს თვალნათლივ აორთქლებულ კუპრში დინჯად იძირებოდა ყველაფერი და როცა შავად გაჟღენთილი, დამძიმებული ჰაერი ყოველივეს წაშლიდა, მამა კვარს ანთებდა და გზაზე გამოდიოდა ხოლმე. მიაბიჯებდა წყნარად, უხმაუროდ, ღამენარევი იდუმალებით მოცული, და კვარის სუსტი, ოდნავ მოკიაფე სინათლე თანაბრად ირწეოდა ირგვლივ. მიწაზე მოცახცახე რკალი, წინ რომ მიუძღოდა მამას, ღობეზე სწრაფად აცოცდებოდა და ისევ მორჩილად მიცურავდა ბალახზე, მამის ფერხთით, კიბეზე ტალღად გადადიოდა და მერე სუსტი ციმციმით ირწეოდა ოთახში - მამა დედაბოძთან ჩერდებოდა და მეზობლის სახლს ათვალიერებდა. კვარი მქრქალ სინათლეს ჰფენდა კუთხეში მიყრილ ქალამნებსა და ფერად წინდებს, ჭრელ ფარდაგს, თიხის ჭურჭელს, ხიდან გამოჩორკნილ კოვზებს, ყველაფერს აკვირდებოდა მამა, კუნჭულებში აბლაბუდასაც კი ამჩნევდა იმ დალეულ სინათლეში და ხელისგულს ადებდა კედლებს, სკამებს, მაგიდას, თითქოს ნივთების მდუმარებასაც კი უგდებდა ყურს. მთელ ოთახს მოივლიდა და მერე, სანამ გავიდოდა, ერთხანს უძრავად იდგა, კედელზე კი მისი წაგრძელებული, კუთხესთან თითქოს გადატეხილი ხელი ბარბაცებდა, კვარის სუსტ ციმციმს აყოლილი, მაგრამ თავად მამას მტკიცე, დაჭიმული მარჯვენით ეპყრა კვარი და რაღაცას ფიქრობდა. გასცქეროდა გზას...

დინჯად, მძიმედ გადიოდა შავად დაგუდული ღამე, თითქოს ყოველივეს ეძინა, მაგრამ ღამესაც ჰქონდა თავისი ხმები, საიდუმლონარევი, შიშისმომგვრელი - სადღაც ეცემოდა წვეთი, ერთი ციცქნა და უკუნეთის წყალობით მაინც საოცრად

მნიშვნელოვანი, კედელს ავად ეხახუნებოდა გამხმარი მიხაკის გვირგვინი, სუსტად გაიჭრიალებდა ღობე და ხანდახან ძილგამკრთალი მწერიც გაიხმიანებდა, მაგრამ მამას ეს ხმები სულაც არ უშლიდა ხელს - სახლებში დაიარებოდა და დიდხანს, დაფიქრებული ათვალიერებდა ყველაფერს. მერე კი, ოდნავ რომ შემსუბუქდებოდა ცა, დასალიერზე ოდნავ რომ გაიბზარებოდა სიშავე, მამა კვარს აქრობდა და დიდ ლოდზე დგებოდა: ნელა, ძალიან ნელა თენდებოდა, მაგრამ ისე აშკარად მატულობდა სინათლე... ყოველივე იწოვდა ბინდს, საიდანღაც ნიავი წამოუბერავდა, ხეზე დაიჭიმებოდნენ ფოთლები, სახლებიც დინჯად ამოტივტივდებოდნენ მიწიდან და რომელიღაც პატარა, სულელი, ყოჩაღი ჩიტი გალობას იწყებდა, ბუნდოვან ჰაერს მკვეთრად აპობდა ეს უზომოდ გახარებული ხმა, და მამა მღელვარებით უყურებდა შორეულ ბორცვს, იქიდან კი, უთენია, ხალხი მოდიოდა! მოდიოდნენ ფეხით, ჯერ კიდევ მოლურჯო ჰაერში აბრდღვიალებული ჩირაღდნებით, ჩვილებით ხელში, ჩარდახიანი ურმებით მოდიოდა ხალხი - დიდები, პატარები, მოხუცები, კეთილნი და ბოროტნი, გულგრილნი, მაცდურნი, შეცდენილნი, - ხალხი მოდიოდა!

ისინი ქვემოთ მოაბიჯებდნენ, ერთმანეთის ახლობელნი, ნათესავნი, მძიმედ ჩამოდიოდნენ დაღმართში და ყოველი ნაბიჯი ნეკნებზე აწვებოდათ, მთელი სოფელი მოდიოდა - ზოგი დაბერილ ყვრიმალებში დაგუბებული, უთქმელი მტრობით, სხვა - გულგრილობის ჭიით გამოფიტული, მაგრამ იმ დღესასწაულით მაინც ოდნავ დაძაბული, ზოგიერთი რაღაც აუხსნელი, აუწერელი სიკეთით გულში, საბრალო და მართალი ღიმილით სახეზე, ხელიხელჩაკიდებული ბავშვები, დარიგებისას თავისას რომ ფიქრობდნენ, მორჩილი, ყავისფერხელება მოხუცები, რომლებმაც როდის ჩაუარეს რაღაც დიდსა და მნიშვნელოვანს გვერდი, არც კი იცოდნენ და ახლა მაინც საოცრად მშვიდნი, რაღაცა უმნიშვნელოს შეგუებულნი, ფრთხილად მოაბიჯებდნენ; საკუთარი თავით უზომოდ აღტაცებული ქალიშვილები და ადრე მოტეხილი ქალები, მაინც ჭრელა-ჭრელა თავსაფრებითა და მძივებით, ბრმები, საოცრად დაძაბული სიმშვიდით სახეზე, ბიბო, პირველი ყმა, აუღელვებელი, დალაგებული, სხვისი პურის მჭამელი და მაინც გულის კუნჭულში მიმალული მტრობით, გვეგვე, უხალისოდ მომავალი, მისთვის უმიზნო დღესასწაულზე დუნედ, უგულოდ გაბრაზებული, გამოუცდელი ყმაწვილები, გოგო-ბიჭები, რესას შავოსანი დედა... ხალხი მოდიოდა!

ისინი დაღმართში მოაბიჯებდნენ, ლოდზე შემდგარ მამას უკვე ესმოდა მათი ფეხის ხმა, მოდიოდნენ ჯგროდ, არეულნი ნაჯახებითა და ნედლი, დრეკადი რტოებით ხელში, ბღაოდა საქონელი, ურმებს გამობმული ძაღლები ჰყეფდნენ, ისინი კი ხმაგაკმენდილნი ჩამოდიოდნენ ბორცვზე და როცა დილის სუსტი და თვალისმომჭრელი მზე ირიბი სხივებით გაანათებდა ფერმკრთალ, ღამენათევ

სახეებს, ყველანი მაღლა სწევდნენ ხელებს: უცნაური ტყე მოდიოდა მამისაკენ, არეული ტყე - რტოები, ხმლები, ნამგლები, ყვავილები, თოხები, ბარები, ჩვილები, ნაჯახები... და ვიღაც ერთი, სახელოში ბატის ფრთას მალავდა, -

ხალხი, ხალხი მოდიოდა!

მძლავრად, ღონივრად ახლოვდებოდნენ, შედგნენ, მამას მიაპყრეს თვალი- მომლოდინე; ის ლოდზე იდგა, ლოდივით კუშტად შემართული, გახევებული: - ყველანი აქ ხართ? - იკითხა მამამ.

- ყველანი, დიახ, - გაეპასუხა პირველი ყმა, ლოყაზე მიიდო მაჯა და სახელოში მორიდებით ჩაახველა.

- ყველანი აქ ხართ? - გაიმეორა მამამ, - ვინმე ხომ არ დარჩა...

წესი იყო ასეთი, ორჯერ მაინც უნდა ეკითხა ეს, და ბიბომაც არხეინად მიუგო: „არავინ, არა“, და დაქიჩმაჩდა, რადგან მამამ თქვა:

- აის ვიღაა... მაშინ

- სადაა... აბა...

- აი იქ, იქით...

სულ სხვა მხარეს, კოშკისკენ წაეღო გაშვერილი ხელი მამას, პირი იბრუნა ხალხმა, თვალი მოჭუტა ბიბომ:

- ვინა, აისა? - შეფიქრიანდა, - ისა, ლოდია...

- ლოდი კი არა... - შეიჭმუხნა ცალთვალა გლეხი, - ლოდი, პირიქით, გულზე ჰკიდია...

- ასე დაბალი? ალბათ ბავშვია... - თქვა დიდმა გლეხმა.

- ეგებ ჯუჯაა...

- ლოდი კი არა, ჯუჯაა, ხალხო და კუზი ადევს გულზე!..

- მგონი, ბელია...

პირმოკუმული იმზირებოდა იქით, კოშკისკენ, ლოდზე შემდგარი მამა. კრინტს არა სძრავდა, და შექუჩებულ, უცნაურად აღგზნებულ ყმათა წამოძახილებს შუბლშეჭმუხვნილი უსმენდა.

- ეგებ, ქურდია...

- ეგეთი ჯუჯა?

- გიჟი იქნება.

- დილაადრიან?

- თუ ბავშვია და...

- ბავშვი არაა! - წამოიძახა კოჭლმა ყმამ, ძაან აღელდა, - არაა ბავშვი!

- აბა, ჯუჯაა?

- არა, არც ჯუჯა... მუხლებზე დგანა!

გაფაციცებით აკვირდებოდნენ.

- აგე, შეირხა...

- სადაა, აბა...

- აგეე, იქა... უფრო დადაბლდა.

- პირქვე დაემხო!

...და გარბოდა იგი, დომენიკოსკენ გარბოდა ყვრიმალებდაბერილი მამა. ჯერაც ნამშეუმშრალ, გაზაფხულით დარბილებული მიწიდან ყრუდ და ღონივრად ამოისმოდა მისი შიშველი ფეხისგულების ბაგბუგი, და იქაურობის, იმ არემარის - მაღალი სოფლის გული სცემდა ძალუმად თითქოს, შორიდანვე თვალმოკრული და შებრალებული დომენიკოსკენ გარბოდა მამა, და მის მორკალულ - ნეკნებ, ხერხემალამობურცულ ზურგზე დავარდა, ეხვეოდა და, ეფერებოდა, გაზინტლულ თმაზე ნაზად და ხარბად უსვამდა გრილ, ხეშეშ თითებს, ძალიან გამხდარ, სიფრიფანა, საცოდავ მხრებზე ეამბორებოდა მას... გონს მოდიოდა ღრმად დაძირული, ლამში რბილად დაფლული დომენიკო, თავისი სოფლის მიწას სუნთქავდა, შეკრთა და თვალი გაახილა, ოდნავ გადახარა მოფერებული თავი, ლოყით დაეყრდნო მიწას, და ამოხედა - თვალში სინათლეგამოცლილი, მძიმედ მოტივტივე ლაქად აღიქვამდა სპეტაკ სახეს და „ისაა... ის...“ - რომ გაიფიქრა, გამხნევებული, დაიძაბა, თვალებად იქცა, ღელავდა როგორ, და იმ ლაქიდან მამის სახე გამოარჩია. წამოიწია დომენიკომ, მუხლებზე დადგა, ხელები მამისკენ აღაპყრო; ერთბაშად შემდგარნი, ადგილზევე ყუჩდებოდნენ სირბილით მოქოშინებული ყმები -

რაღაცა უნდა მომხდარიყო და, თავად მამაც, მუდარადქცეულ თვალებში ჯიუტად ჩასცქეროდა დომენიკოს, იმის ლოყებზე თითები მაგრად შემოეჭდო და ისე... მგზავრმა კი სასწაულით შერჩენილი, ღონის პაწია ნამცეცი მოიკრიფა, დახეთქილ ტუჩებზე გაიხახუნა მშრალი ენა და, მისუსტებული შეევედრა: „მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა... და არღარა ვარ მე ღირს წოდებად ძედ შენდა... - სულს ძლივს ითქვამდა და, თავდახრილმა, დააყოლა, - არამედ მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი“. თავჩაქინდრული, მუხლებზე იდგა, ყოვლად უმწეო, უსუსური, განაჩენს უცდიდა - თითები შეუშვა მამამ. მაგრამ ჯერ ისევ წინგადახრილი, გახევებული იდგა, დაკაწრულ მხრებზე ჯიუტად დასცქეროდა.

- მაგან შეჭამა საცხოვრებელი შენი მეძავთა თანა...

გაისმა იქვე. ეს - გვეგვე იყო, მამა კი წელში გაიმართა, ძლივას მოსწყვიტა დომენიკოს გამკაცრებული თვალი, პირი იბრუნა, კოშკისკენ ხელი გაიშვირა, თქვა:

- გამოიღეთ სამოსელი პირველი, და შეჰმოსეთ მას.

* * *

ბურანში იყო. უბედნიერესს, მშიერ-მწყურვალსა და გადაქანცულს ისე, თავის აწევაც ვეღარ შეეძლო, ფეხები ეკეცებოდა... მისავათებულსა და წელმოწყვეტილს, იმ მზიან დილით უდროო ბინდი ეძალებოდა, და ძილ-ღვიძილში ბუნდოვნად გრძნობდა, მხარში რომ შეუდგნენ, ფრთხილად მიაჩოჩიალებდნენ სადღაც. აა ჰ - მამის ხათრით, სხვებსაც უყვარდათ... და უცნაურმა ელვარებამ მაგრად დახუჭული თვალებიც კი მოსჭრა - მოირწეოდა კოჭლი ყმა, ცალ მხარეს ყურით უნისკარტებდა ჰაერს, სასოებით გამოწვდილ ხელებზე უძვირფასესი კაბა გადაეფინა, და კოჭლის ყოველ გადაზნექაზე ღონივრად, ფერადოვნად იფეთქებდა ხოლმე, მჩხვლეტავი სიკაშკაშე გადასდიოდა, და მიახლოებული ყმა რომ შედგა, მაინც ადგილზე ელვარებდა, დილის ამღერებულ მზეზე ხიფათიანად ჟივჟივებდა, იწელებოდა სამოსელი პირველი... ისევ ჩაექინდრა მგზავრს, დომენიკოს, თავი, და მკრთალად იგრძნო, ძვირფასი თვლებით დამძიმებული სამოსი დაკაწრულ მხრებზე ფაქიზად რომ მოარგეს, მერე კი, სადღაც, სკამზე დასვეს და ალერსიანად გადაუწიეს თავი, დიდ, უზარმაზარ პეშვზე დაიდო ვიღაცამ იმისი კეფა, და ორიოდ ყლუპი წყალგარეული, წითელი ღვინო ფრთხილად შეასვეს... შვებით გმინავდა საბრალო, მგზავრი - მრგვლად უშველებელ სპილენძის გობზე იდგა, და გაზინტლულ, წვირიან სხეულს გულდასმით ჰბანდნენ, ეკლებს უღებდნენ; ნაიარევთან, მხარზე, მთლად განაზებულ ხელისგულს მორიდებით უსვამდა კოჭლი... ჩაიკეცებოდა დომენიკო, დიდ გლეხს რომ არ სჭეროდა, ეძინებოდა ისე... ტილოს შარვალ-ხალათი ჩააცვეს, ადგილზე

ბარბაცებდა და, კვლავაც თვალდახუჭული, სისუფთავის გრილად მშვიდ სურნელს მთელ სხეულზე მალიმალ გრძნობდა; განბანილი და რულდატეხილი, მადლობის სიტყვებს უღონოდ, დუნედ ლუღლუღებდა და, მაგიდას მძიმედ დაყრდნობოდა ორთავე ხელით, მაჯის ფრთხილი, გახსენებული მოძრაობით თიხის ჯამიდან ხის მადლიანი, მსუბუქი კოვზით იღებდა მომჟავო წვნიანს - ცეცხლიდან ახლად გადმოდგმულ, ორთქლადენილ მაწვნის შეჭამანდს, ხმიადჩაყრილსა და პიტნით შეკაზმულს, თვალდახუჭული, სულს უბერავდა; და რბილ ლოგინში ჩააწვინეს, საბრალოს, ისე უხაროდა, რომ ვერც იძინებდა ერთხანს, ბურანში ასე და ამგვარად - თავზე საბანგადაფარებულს ერჩია ყოფნა, ძილი არ სურდა, და უცებ ბლანტედ იქაც წამოწვა - სიზმარში იყო... იმ მოიისფრო, უცხო სარდაფებში, იქაც კი, იქაც - დაღლილს, ეძინა...

და რომ შებინდდა, შუაგულ სოფელში დიდი, მაღალი ცეცხლი დაანთეს, ლოდების უზარმაზარ გროვაზე დაეხვავებინათ შეშა, მცირე რამ წკირით აალეს ფიჩხი, და სქელ მორებშუა ჯერ იყო და, დინჯად დატრიალდა სითბო, რადგან ახალი ცეცხლი აუჩქარებლად ირჯებოდა, წყნარად იწვოდა, მსუბუქად მიხოხავდა, მერე ხმელ შეშას ადვილად მოედო, თრთოლვით მიეწება, შიგანში გაუჯდა, და ჯერ ალაგ-ალაგ აატკაცუნა, გაფიცხდა მერე და ნედლ კუნძებზეც ააშიშხინა ხეთა ნატიფად გრილი წიაღიდან ცრემლებად გამონადენი სისოვლე, და ცეცხლის ირგვლივ განათებული ჰაერი მძიმედ ალივლივდა, კოცონსიქითა ხალხს გულზე ხელებგადაჭდობილი შესცქეროდა მამა. მისი სოფლიდან, მისიანები იყვნენ... ცეცხლს შესცქეროდა ხალხი, მოწიწებულ მზერას ვერ აშორებდნენ, და ფართოდ დახელილ თვალებში თუმცაღა ახტუნავებული ცეცხლი უელავდათ, სახეზე მაინც მორჩილება გამოსახოდათ, უჩვეულო სანახავები იყვნენ, აგიზგიზებული, ძალამოკრეფილი, ცისკენ აწელილი ცეცხლი კი მუქარიანი გუგუნით ნთქავდა დიდ მორებს, კუნძებს, ავარვარებული, დაბზარული ნაკვერჩხლები ლოდებშუა ცვიოდნენ, სახე აწითლებოდა ხალხს, მკვეთრი ჩრდილები გადასდიოდათ, სუნთქვაშეკრულნი უმზერდნენ ცისკენ აპოტინებულ როკვას - რა გაბედულად, და რა სისხარტით იწელებოდა ალი, და ავი თამაშის იშტაზე დამდგარ ცეცხლს თავისივე გუგუნი იდუმალი, წამქეზებლური დოლის ხმად ახლდა, რა ცეკვა იყო! შემოჯარულ ხალხს მკვეთრად გამსხლტარი, წაწვეტებული აჩრდილები დაუზოგავად ეხლებოდა, და შორს კი, იქით, გაცრეცილი და დაბლაგვებული, ზმანებასავით მოლიცლიცე რამ, აიმ კედელზე, ახლად გამოღვიძებული მგზავრი დაუდევრად რომ შესცქეროდა, მკრთალად ფართხალებდა და - სად ვარ! - ერთბაშად წამოჯდა დომენიკო, ფანჯრისკენ სწრაფად იბრუნა პირი - აიქ, სოფელში, დღესასწაულის კოცონი ხტოდა, მონატრებულ ცეცხლს ხარბად, იმედით შესცქეროდა მგზავრი, მაგრამ იქვე, ოთახში, უცხოდ გრძნეულმა ელვარებამ

თვალი წაართვა - სუსტად მოკიაფე სანთელქვეშ, ტახტზე გადაეფინათ მისი კუთვნილება - სამოსელი პირველი. დაძაბული და წინგადახრილი, სწორედ იქითკენ გაეშურა, ფრთხილად ადგამდა შიშველ ფეხისგულებს, სამოსელ პირველს მორიდებით ეპარებოდა - რა კაბა იყო მაინც, რამდენი ოქრო, ცხვარი, შუშხუნა, რამდენი ქალი იმალებოდა ამ აბჟუტებულ, ყინულოვან ციალში, სამოსელ პირველს - აჰ, რაოდენი რამ ეკუთვნოდა, რას არ იყიდდა... მოჯადოებული დასცქეროდა ამ გასაოცარ, ლამაზად აკინძულ განძს, რა თვლები იყო ასეთი მაინც, რა და რა ფერი გადასდიოდა... შემცივნებული, მხრებში მოკუნტული დასჩერებოდა და მერე შიშით მიმოიხედა, მაგრამ სხვა რამ შესამოსი ოთახში არაფერი იყო და, გამხნევებულმა, ფრთხილად, სასოებით, მოკრძალებულმა წაავლო ხელი... იქ კი, კოცონთან, გლეხები თავიანთ სამოსს - ხალათსა და დაბამბულ ჯუბას ღონიერი თითებით აგლეჯდნენ უსახურ ნაჭრებს, თვალებს ხელისგულით იჩრდილებდნენ, ფრთხილად უახლოვდებოდნენ ცეცხლს და თავიანთი სხეულის სითბოშეყოლილ ნაგლეჯს ალში ისროდნენ - ასე ამბობდნენ, თითქოს ისინი, ამსოფლელები, დიდი ხნის წინათ ციდან ჩამოვიდნენ და წინაპრები იქ დარჩნენ და ტანსაცმლის ნაგლეჯს აქაური ამბებიც სხეულიდან შეჰყვებაო, ასე ეგონათ, ასე ამბობდნენ, და სხეულის სითბოშეყოლილი ნაგლეჯის კვამლიც ხომ მაღლა ადიოდა, ცაში, და ცადდარჩენილებს მათი ამბავიც ვითომ კვამლად აუვიდოდათ, ასე ამბობდნენ, სჯეროდათ ასე, და განათებული ცისკენ მიფარფატებდა აის ამბავი, დიდი, სევდიანი გლეხი თუ როგორ შრომობდა, საქათმეს შეჩვეული მელა ხაფანგში როგორ გააბეს, პურსა სთესდნენ და, დანაწვიმარზე როგორ ამოასუფთავეს წყარო, რომ დღით - მიწას ხნავდნენ, ეძინათ ღამით, და თავდახრილი გატრუნულიყო გვეგვეს ცოლი - ქმარი არ უყვარდა, და ეჩქარებოდა თავის ნაჭრიდან კვამლის აფანტვა; ვიღაცას შვილი ავადა ჰყავდა, და ნაღვლიანად იწეწებოდა კვამლი, გაბმულად, რწევით ადიოდა მათი ამბები იქ, მაღლა, ცაში - თუ როგორ დააგუბეს წყალი, დამჯერი ძაღლი მეტისმეტობით როგორ გაცოფდა, რომ ზამთარს ყველა ხე გადაურჩა, თეთრშუბლა ცხენი როგორ დაჭედეს, ძაძას აგდებდა ცეცხლის განაპირას რესას შავოსანი დედა, მგლებმა ფარეხში ძროხა დაგლიჯეს, და რომ ქათმები კინაღამ ერთიანად გაწყვიტა ჭირმა, ცას შესცქეროდა სევდიანი, მაღალი გლეხი - ნეტა იქ, ცაში, ფრთოსნები ჰყავდათ? ყიოდა რამე?

გამართული და თავაწეული, უნებურად გაამაყებული, მძიმედ ახლოვდებოდა დომენიკო, და უცნაური სანახავი იყო: ფეხშიშველს, ტანთ უძვირფასესი კაბა - სამოსელი პირველი ემოსა, და შორსვე, ბნელში უამრავი კაშკაშა სხივი ავი ჟღრიალით იწელებოდა... იისფრად ციაგებდა დიდი ამეთვისტო, მინანქრით მოჭედილ საყელოსთან მიბნეული, მწვანედ ლივლივებდნენ ზურმუხტები, მთელი კაბის სიგრძეზე მწყობრად დატანებულნი, ყოველ ზურმუხტს შორის ლურჯად

კამკამებდნენ საფირონები, წითლად ღვიოდა, აშუქებულიყო ლალი, გვერდით კი ყოველ ქვას წყვილი მარგალიტი ებნია; მთელი კაბა ოქრომკერდით იყო მოქარგული, ცივი, ყინულოვანი ციმციმით ერთმანეთში ხრაჭუნით იფშხვნებოდა უამრავი ყვითელი ნამცეცი, კოცონის ახტუნავებული ალი უწესრიგოდ ფეთქავდა მთელ სამოსელზე, ალმასებიდან კაშკაშით ისხლიტებოდა, სისხლისფრად იშმუშნებოდა ძოწი, ყვითლად შემოჯარულ ოქროში ავად კიაფობდა თლილი ბრილიანტი, ეს - დომენიკო ახლოვდებოდა, ფერადი ელვა მიუძღოდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმისთანავე ელვარება ემატებოდა, უფრო და უფრო თვალისმომჭრელი ხდებოდა სხარტად დაკლაკნილი, გამჭვირვალე და თან დაბინდული, ფერადოვანი გრძნეული შუქი, და ზედ კოცონთან შედგა დომენიკო, ცეცხლით დაჭმუჭვნილ, დაკრუნჩხულ ნაფლეთებს შუბლმოღრუბლული დასცქეროდა, რა იყო ნეტავ, ნეტა რა ამბებს გზავნიდნენ ძალიან მაღლა, ზემოთკენ, ცაში, და ძვირფასი კაბით უნებურად გაამაყებული, ამ ახტუნავებულ შიკრიკს - კვამლადენილ ცეცხლს ეჭვით შეპყრობილი მიჩერებოდა. ირწეოდა და იკლაკნებოდა დაუნდობელი, ფაქიზი ალი, ხან ნატიფი, თხელ ფარდასავით ცახცახებდა, ათასგან იბზარებოდა და მსუბუქად, მშრალად კოწიწდებოდა მერე, და ისევ დაფლეთილ ენად აიკლაკნებოდა, ამბებს ჰყვებოდა, როგორი რისხვით იძენძებოდა, და ცეცხლის წამიერ ბზარებს მიღმა გაოგნებული იცქირებოდა დომენიკო - კოცონის იქით თავად მამა, თვით მამა იდგა!

კოცონის მიღმა, გავარვარებულ, ატორტმანებულ ჰაერში ულივლივებდა მთელი სხეული, ზმანებასავით ეწელებოდა და ეცვლებოდა; დროდადრო ცეცხლით იფარებოდა, ეწეწებოდა ნიადაგ მშვიდი, მკაცრად მართალი, სევდიანი სახე, ახლაც შემართული და მოუღლელი, ღამენათევი, იმ სწრაფი კლაკვნით აძენძილ ცეცხლში განატარებ, მცხუნვარე მზერას შვილს, დომენიკოს, ვინაც უყვარდა, ცნობისწადილით შეპყრობილი, არ აშორებდა - რაღაცა სურდა დომენიკოსგან თავად მამას, რაღაცა სურდა... აწრიალებული, ამას კი მიხვდა დომენიკო, მაგრამ რა უნდა მოემოქმედა, ვერაფრით ჩასწვდა, დაძაბულსა და წინგადახრილს, ორად მოკუნტულს მერე, მამისკენ ვედრებით აღეპყრო მზერა, ოფლით გახვითქულ, ცეცხლით დროდადრო ალაპლაპებულ სახეზე ყალბ პირსახოცად ეხახუნებოდა კოცონით ახტუნავებული ჩრდილები, მამისკენ ხელები გაეშვირა, გაფარჩხული თითებით ემუდარებოდა რაღაცას - თუნდ მცირე ნიშანს, ან რაიმეს თქმას, მაგრამ აჰ, არა - ხალხს შესცქეროდა ახლა მამა და, დომენიკომაც, ზედ კოცონთან შემდგარმა მგზავრმა, თავისი სოფლის სიტყვაძვირ ხალხზე გადაიტანა თვალი-მაძებარი - ისინი, ყმები, თავიანთ უბრალო, წყნარ და მიმოუკიბავ ამბებს ცეცხლის წყალობით იქ აგზავნიდნენ - ძალიან მაღლა, ზემოთკენ, ცაში, და მაწანწალა კვამლის მეშვეობით, ზემოთ ამბავი მიტივტივებდა, ისევ მიაბჯინა სიხარულით მიკარგულმა დომენიკომ ცეცხლით განწმენდილი მზერა

მამას, და სამოსელი შემოიძრო, მაგრად ჩაბღუჯა, მოიქნია და შიგ იმ ცეცხლში, სამოსელი პირველი... სამოსელი პირველი ბადესავით მოისროლა! დინჯად დახარა მამამ თავი, რა შემართული, და რა ვალმოხდილი თითქოს, ისე იდგა, მთელი ხალხი კი, პირდაღებული, ამ უცხოდ ამაღლებულ, აღზევებულ სეირს თვალდახუჭული შესცქეროდა - ცეცხლი ალერსით ედებოდა სამოსელს პირველს, ქვემოდან ნაზად შეუჯდა, ზემოდან თრთოლვით დასცახცახებდა, პირველი კვამლიც მსუბუქი ტანჯვით აიზნიქა სამოსლიდან და - ეს, დომენიკოს ჭრელი ამბავი, გრძელიც და მოკლეც, ახლა ფიორა კვამლად ადიოდა ზემოთკენ, ცაში, ეს - დომენიკოს ნებსითა თუ უნებლიეთ თანამგზავრნი, ჰოი, რა მკვეთრად განსხვავებული, ხალხი იწვოდა!

და ჯერ იყო და, სწორედ იმათ, შორიშორ ნაცნობთ, მოედო ცეცხლი, ეს - ოქრომკერდი სწრაფად იწვოდა, ერთი თვალისგადავლება, შორეული ხალხი - მოკირწყლულ ქუჩებში არხეინად მიმომავალი ლამაზ-ქალაქელები, დროდადრო - გრილ შადრევნებთან ჩამომსხდარნი; პირბადიანი ქალები, ჩახუჭუჭებულ ძაღლთა კოხტა საბელით გამასეირნებელნი, ხელქოლგიანნი, ვარდისფერსა თუ ცისფერ კაბებზე კოხტად დასკუპებული დიდი ბაფთებით; უსაქმურობისა გამო იქაური ჭორიკანა მამაკაცები, კაი სმა-ჭამის, ძილის, გართობისა და ძალად ხარხარის, ფანტის თამაშის, ჭუჭრუტანაში წაკუზულად ცქერის მოყვარულნი; იმათთან ერთად, კამორელებსაც მოეღოთ ალი - იქ, კამორაში, მარმარილოს კედლებს მიყრდნობილნი, მთვლემარენი ვითომ და როგორ დაძაბულნი, აკრეფილნი როგორ, თვალს არიდებდნენ ერთმანეთს, ფრთხილად ჩავლილებს კი ცივად ანთებული მზერით შეაცქერდებოდნენ კეფაზე, ზურგზე... შენიღბულები, თვალებამოქარგული ფარდებიდან იმზირებოდნენ, ხოლო იქით, შორს, სერტანელები დააჭენებდნენ მოსხლეტილ ცხენებს, რა ხალხი იყო... - ყველა იწვოდა. და ბაზრობათა ქალაქის უფერულნი და ერთნაირები დაახლოებით, მცხოვრებნი, - მატყუარა და შიშის გამო ზომიერად ფლიდი ვაჭრები, ვაჭრუკანები, მოგების ეშხით დიდში, მთავარში მუდამ წაგებული, საცოდავი ხალხი... და პირველად სწორედ იმ ნაცნობს, ყოვლად მიჩქმალულს, გამოურჩევს, აიმ მიქელეს მოედო ცეცხლი, ყმაწვილ კუმეოს ოქროს ძეწკვისა გამო თავი რომ სდრუზა, იწვოდა კუმეოს წილი ოქრომკერდიც, გახსოვთ ალბათ ის - ღორმუცელობისა გამო უშუალო ჭაბუკად აღქმულ-შეყვარებული ნაზი კონჩეტინას მიერ, იწვოდა თვითონ კონჩეტინა და წამდაუწუმ მხიარული ქალიშვილებიც, იმათი ამბავი ძალიან მსუბუქ, სიფრიფანა კვამლად ადიოდა ცაში, ასევე მიფარფატებდა სილვია, ვინაც არ იცოდა ამხანაგობა, რადგან მიჯნური წაართვა დაქალს და მიჯნურწაგვრილი როზინა, აი სწორედ ის, ჭალაში რომ იყო, ჭალაში ყოფნას ვერ დავუკარგავთ, ძალიან ვერა, და მისი მეტრფე, თმაგაპრიალებული ცილიო, ქალების წუწკი, იმისი ძმაკაცი ტულიო, ლამაზ-ქალაქელთა აღიარებული ახალგაზრდა სასიამოვნო კაცი - თავგადაგდებით

ახარხარებული, დროსმტარებელი, თავშესაქცევ ამბავთა კოხტად მოყოლაში გაწაფული, მრავალ სახელოვან ოჯახად პირველ წყებაში მიპატიჟებული, მხნეობით აღსავსე, ხალისიანი და ბოლო-ბოლო - მათხოვარი მაინც, და იმის გვერდით შემთხვევით მოხვედრილი უწყინარი მღებავი ანტონიო, ვისაც დიდი თვალები ერთთავად ზრუნვით მიებჯინა სიძე ვინსენტეზე, რომლის გუნება-განწყობა, საქციელიცა და სიტყვა-პასუხი დიდად იყო დამოკიდებული იმაზე, საყელო შებნეული ჰქონდა თუ არა, სიძე-ცოლისძმის გამამწარებელი, ვეება ახვარი ჯუზეპე, ვისაც სანაქებო კუნთები ფიქრისას ძალიან ებერებოდა და იმისი გამლახავი დინო - პატარა, ღირსეული და ცქვიტი... მართლა, არტურო - ძლივს გამოირჩა ჟრჟოლადავლილი სამოსლიდან ლამაზ-ქალაქელი ცბიერი, ხარბი მასპინძელი, ჯანმრთელი ცოლ-შვილით - ეულალია-ჯანჯაკომოთი და იქვე იყო დედამისიც, ყოჩაღი მოხუცი სივილლა, და სათათბიროდ მიწვეული სისხლით ნათესავ-ახლობლები, რომელთა შორის გამოირჩეოდა კაცი, ვინც გრამატიკის სიღრმეებს წარმატებით ვერ ფლობდა... და თვით ამ სამოსელს, სამოსელ პირველსაც კი ჰქონია თურმე ყალბი თვლები, და როგორც კი ოდნავ წაეპოტინა ცეცხლი, მაშინვე დაიბზარა და დასჯდა ჭყეტელა ქვები, ეს - ორჭოფულ კვამლად მიჩინდრიკობდნენ ზევით მითომ დარბაისელი სენიორ ჯულიო, და ლამაზ-ქალაქელთა მრჩეველი, დიდებულ მოსაუბრედ აღიარებული დუილიო, როგორიც იყო და მისი ყველაზე ერთგული მსმენელი, უშნოდ აცუნდრუკებული დედაბერი, მამიდა არიადნა, ვისაც ბედმა თუ ცხოველმა წარმოდგენამ ცხოვრებაში ნამდვილ მამაკაცს, ვასკოს შეახვედრა, და სამივესი ყალბი განცდები ახლა, აქედან, მაღალი სოფლიდან, ზეცაში, კიდევ უფრო მაღლა, კოცონს აჰქონდა... და რინალდოც კი ამობჟუტდა, ალბათ არ გახსოვთ - საუბრისას მხოლოდ დროდადრო გაყიდული, დახვეწილი გაიძვერა, ლამაზ-ქალაქის ბაღში მესამე კაცად ნამყოფი, ვისაც თერთმეტი წლის მკვლელის ამბავი სულ უშედეგოდ უამბეს; მწარედ იგრიხებოდა ყოვლად გამოუცნობი, თავდაჭერილი სერვილიოც, დუილიოს-ძე, ვისაც კამორელებთან რაღაც ფარული საქმეები აკავშირებდა... იწვოდა ის უთქმელი, მამიდა არიადნასთან სტუმრად მისული უკბილო კაცი, რომლის თვალთმაქც საკრავსაც სულად უცხო, ცვალებადი ფრინველი ჰყავდა, და მის ძვირფას ქვას, ერთ-ერთ საფირონს, ძვირფას ქვათაგან პირველს გაუჯდა მაძებარი ალი, და ერთი, ყველაზე მაღალი ქვის გარდა, დანარჩენები უკლებლივ რომ აავარვარა ცეცხლმა, სიმხურვალისგან წამოიმართა სამოსელი პირველი, განცვიფრებისგან, მოგუდული გმინვა დასცდათ ამ უცნაური სანახაობით ისედაც გაოგნებულ ყმებს - სამოსელი პირველი შუაგულ ცეცხლში, ატორტმანებულ, მხტუნავ ჰაერში სულ უარაფროდ, თვითონ, თავისით, შუაგულ ცეცხლში წამომართულიყო და იდგა, ეკიდა!.. ძალიან ძნელად, და ზომიერი თანდათანობით

იფერფლებოდა ძვირფასი კაბა, ქვედა თვლებს მაგრად გაუჯდა ცეცხლი და, ერთ ადგილას, განსაკუთრებით ძნელად იწვოდა - ეს ახალგაზრდა გიჟი, უგო, ნამდვილი დანით ოფლიან ხელში, გარინდებული იმზირებოდა და ყინულოვან თვალებში ხანდახან დონდლო, ნაცრისფერი თევზები ეკლაკნებოდა, ჩაბინდული სიწითლე შემობურვოდა, ძოწისა იყო; იწვოდა ალექსანდრო, ქადაგად დავარდნილი, გიჟად წოდებული, ლამაზ-ქალაქში ყველაზე ნაღდი, კაქტუსოვანი, კეთილი კაცი... მისი ამბებიც - ამბავი თერთმეტი წლის მკვლელზე, ზღაპარი ბალახისფერ კაცზე, უცნაურად აღტყინებული საუბრები სცენიდან, ქუჩაში, ბუნების წიაღსა თუ ოჯახად, წამოძახილ-შეცხადებანი და სხვა, და სხვა, ერთ-ერთ საფირონში იწვოდა, და საფირონშივე ციაგებდა პატრიცია, სასაცილო ქალი, ვისაც ქმარი ინტელიგენტი ეგონა და ის კი თურმე გლახა ქალებში დადიოდა, წარმოგიდგენიათ? იწვოდნენ თვით გლახა ქალებიც - ლაურა და ტანგო, და ნამდვილი ქალი ტერეზა, თლილ ბრილიანტში კაშკაშებდა, ყვითლად შემოჯარვოდა ოქრო, საღამოობით აიქ, თავის ოთახში, თბილი წყლით სავსე დიდ კასრში იჯდა ხოლმე ქალი, ტერეზა, და გასაპნული მხრები უბზინავდა, ახლად დაბანილი, ჯერ კიდევ სველი თმა ლურჯი თავსაფრით მაღლა აეკრა და ღიმილისას მხოლოდ ცალ ლოყაზე ეჭუტებოდა პაწია ფოსო, რა ქალი იყო, ან რა ხმა ჰქონდა, დოინჯშემოყრილი, როგორ იდგა და იღიმებოდა, როგორ დადიოდა, იქ მაინც, ბურუსში... და გრძელი, ვრცელი ზამთრის ღამის მწვავე თამაშები, დიდი იისფერი საბანი, იქ დომენიკოს მკლავზე ეძინა, რა მკლავზე მერე, ეჰ, ტერეზა კი არა, ხელბოხჩიანი ქალიც კი, ლანდოს მოლოდინში უთავბოლოდ ალაპარაკებული, ლამაზ-ქალაქის მისადგომებთან პირველი რომ ნახა, ისიც კი ჩანდა წამომართულ სამოსელზე, ოქრომკედში, და სევდიანად, ყრუდ მწუხარებით აელვარდა კიდევ ერთი ქვა - ედმონდო იყო, დაძაბული, მუდამ ტანჯული ამხანაგთმაძიებელი, - კიდევ კარგი, რომ ამაყად მოკვდა, მწვანედ, ზურმუხტად მიიღველფა და, საკვირველებავ, აის ქალიც კი გაახსენდა, საყელოჩამოგლეჯილმა ვინსენტემ, მთვრალმა, ერთ-ერთ ქორწილში დაუნდობლად რომ უბწკინა - ვინმე გრაციაზა მატირელლი, და ორი კინკილა ქართველი მოგზაურიც - ჰაინრიხი და დრაგომირო, ტყუპად იწვოდნენ, ყველანი იყვნენ სამოსელზე თითქოს, ის უბედური ქალებიც - უგოს ბებია, ედმონდოს დედა, „და ყველაფერი რიგზეაა“, მორცხვად მოისმა ცეცხლიდან თითქოს, ეს - თვინიერი ლეპოლდინო, ლამაზ-ქალაქში ღამღამობით რომ დააბიჯებდა, ღარიბი, საცოდავი, ხახვსა და პურზე რომ გადადიოდა, რაღაცა ფაჩუნს ყურმოკრული, ფრთხილად შემდგარიყო, ძირს დაშვებული ფარნით ხელში, და შიშველი, დაგვემილი, ნატანჯი ფეხები თითქოს იაფ შარავანდედში ედგა... და სულ სხვა ხმაზედ დასძახოდა შეწერილ სიტყვას - „გეენიიაალურააადااااა“ - კამორელი ღამის დარაჯი, გოროზი კაეტანო, თვით

მარშალ ბეტანკურს, ტანხვლიკიანს, კატა-არუფიანს, საიმედოდ დახშულ-დალუქულ ოთახშიაც კი სწვდებოდა მისი ხმა, ოღონდ მინამ ცოცხალი იყო... იქვე იწვოდა გრანდისსიმოჰალლეს უახლოესი დამქაში, ყოჩაღი გრანდჰალლე პოლკოვნიკი ფედერიკო სეზარ, და ცხვირში მოდუდღუნე ზედამხედველი ნავოლე, და ერთთავად სულ სხვა, არა საჭირო ადგილებში აღმოცენებული კაპრალი ელიოდორო და ბალიშით მუცელგამობერილი მისი ცოლი, შიშველი ანისეტო, წელიწადის დროთაგან ძალიან რომ უყვარდა ზაფხული და პირიქით - ზამთარი, კამორელ წარჩინებულთა მცველები, სერჟანტები, მემასსაჟენი, შიკრიკები და დილის ქალები, მალემსრბოლები, სმენადახშული მუსიკოსები - საწამებლის კართან პირზე საკრავმიდებულნი, გამზადებულნი რომ იდგნენ, ცოტათი მუდო გენერალი ხორხე, გამჭრიახი ადმირალი ციცკა, ლამაზ-გენერალი, ვისაც ქალად გადაცმისას მხოლოდ მკერდის არეში სჭირდებოდა ბამბის დამატება, დამსჯელი რაზმის კეთილ-გენერალი - მსხვილმანი ავაზაკი ორფეხი რამოს, პირველი თავზეხელაღებული რიგობერტო, ვისი ნაყოფიც ძალისძალათი შეანარჩუნებინეს საიდუმლოდ გადაბირებულ დილის ქალს და რიგით მეორე თავზეხელაღებული - გაბრიელი, მეტისმეტად, ზედმიწევნით თავაზიანად რომ საუბრობდა; ცალი ღამით მასპინძელი სკარპიოზო, ეშმაკი, ბრიყვი, ყველა ისინი, ყველანი იწვოდნენ - ბრიგადელები, კორპუსელები, ინტელიგენტი ქალები, ინტელიგენტურად რომ ევაჭრებოდნენ პოლკოვნიკ სეზარს, სუსხიანი დილით შილიფად გამოსული, რძის რიგში მდგარი მხრებშიშველი ქალი, დილეგში ჩამწყვდეული ჟაგუნსოები, ოთხი სახელოებდაკაპიწებული ჯალათი, ელამი კამორელი - ამფსონი შეუმჩნევლად რომ დაბრიდა, გალიაში სულამოხდილი დემეტრიო, და იმისი სულთამხუთავი, მარშალის პირადი აღმსრულებელი - უძვლო კადიმა, მორიგეები, წვრილმანი გამომვლენები - თავის თავში შეყვარებული ჯუჯა უმბერტო და წრიპინა ჩიჩიო, რომ არ სუქდებოდა და ჭამით კი ძალიან ბევრს ჭამდა, და მსხვილმანი გამომვლენი, ბავშვობიდანვე ყრუ-მუნჯად შერაცხილი აბსოლუტურსმენიანი ესტებან პეპე, ვინაც ძალიან სუფთად კი მუშაობდა, მაგრამ კაატინგაში მაინც ყოფა ეტირა. იწვოდა დიდი მარშალის თანამეცხედრე - მერსედეს ბოსტონი, ლურჯად და წითლად შეღებილი ცივი, ფერადი ქალბატონი, ვინაც ნამდვილი სულ არ იყო და იმ კერპს, მოლოქეს ჩამოჰგავდა, და იმისი ხათრით საკრავთან მიმჯდარი დონდლო სტელლა - პოლკოვნიკის გაუსულგულოებული მეუღლე და ენერგიული სუზანნა-სუზზი, ვისაც სახიფათო სიყვარული ძალიან სწამდა... იწვოდნენ მერსედეს ბოსტონის ბინძურ დღეობაზე ფასიანი საჩუქრებით მისული სტუმრები, ათასნაირი განხრისა და მიდრეკილების ავაზაკნი, მოწამლული ხალხი, რომელთაგანაც გამოირჩეოდა ზედა კამორას დაწინაურებული ნაღები, მარშალთან დაახლოებული თანამდებობის ბედნიერ-დაძაბული პირნი - ხნიერთა

დასის მეთაური პორფირიო სიძიანა, - ღამღამობით ნოხებზე მონადირე რამირეს კისპეთი, ლოყებჩამოკიდებული დიდვაჭარი არტემიო ვასკეს, მთავარ შემმოწმებლად აღზევებული ყოფილი ჯიბის ქურდი მოკლეხელება პედრო კარდენასი, გასაიდუმლოებული მექისე ალფრედო ევია, ფუნჯის დიდოსტატი, ქედუხრელი გრეგ რიკიო, პირში მთქმელი პროკურორი ნოელ, საქმიანად მომხიბვლელ ჭაბუკად აღიარებული გადაცმულ ჩვიდმეტთამეთაური მასიმო, კარის ტენორი ეზეკიელ ლუნა და სხვები. სხვები, სხვანი და სხვანი, მათხოვრებად გადაცმული ჩინოსანნი და ძვირფასად გამოწყობილი მათხოვრები - ზიზღითა და ცეცხლით ამღვრეული, აჭრილი თვალებით ბოროტ, უბედურ კამორელთა წვას შესცქეროდა დომენიკო, და აიმ იმდენ ბოროტ ელვარებაში სამი ქვა მაინც სათნოდ იწვოდა, და იმდენნაირი ჯურის ხარისხოვან ავაზაკთაგან იმედად გამოარჩია ლურჯი იაგუნდი, ეს - ოთო-ექიმი იყო, მისი კამორელი მამობილი, კეთილი ძია, თვალში სისოვლე წამდაუწუმ რომ ეძალებოდა, და საცოდავად იკრუნჩხებოდა ქარვა, ნახევრად ძვირფასი ქვა - დილის უმწეო ქალი, როსა, უკანასკნელი ორმოცი გროში რომ დაუტოვა სიყვარულისთვის, მადლობის ნიშნად, და კიდევ ერთი, შავად აციაგებული, ყველაზე ღრმა და იდუმალი ქვა - ორ გიშერთაგან ერთ-ერთი, ალექსანდროს უფროსი ძმის, მიჩინიოს ავად პატიოსანი ძვირფასი თვალი ცეცხლში იწვოდა... მაგრამ იმდენი ავაზაკის ცივ ელვარებას რას ეყოფოდა მხოლოდ სამი ქვა, იმოდენა ბრბოს სად გასწვდებოდა და აუარება ძვირფასი, ნახევრად ძვირფასი და ყალბი თვალის ატკაცუნებულ წვას მოკუნტული და გაოფლილი მისჩერებოდა დომენიკო, მგზავრი, და, აწრიალებულმა, მეორე გიშერს რომ დაადგა მოწყალების მაძიებელი, ჯიუტად გაფაციცებული თვალი, ჰეე, რა მწარედ ესიამტკბილა, რომ მასაც, მგზავრსაც, მშობლიური სოფლის გარდა, თავისი ქალაქი, თეთრი კანუდოსი, ჰქონდა - ჩვენ ხომ... - ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი ქალაქი, ოღონდ ხანდახან არც ვიცით ხოლმე, როგორ არა გვაქვს, ანდა, გვექნება თიხის სპეტაკი, მომცრო სახლები მდინარის პირას, მცირე აღმართს თეთრად ამოყოლილნი, აბზინებულნი დილის გრძელ, ირიბსხივება მზეზე... და მთვარის ბაცად სიფრიფანა შუქზე რბილად აბრჭყვიალებული, მცირედ დაბუჟებული კანოდუსი... იწვოდნენ უჩვეულო ბედნიერებით გაჟღენთილი - თავისუფლებით პირთამდე სავსე ვაკეიროები, და დიდ, პირქუშსა და შავად ლამაზ ქვას, მეორე გიშერს მოედო ცეცხლი - ეს კანუდოსელთა თავკაცი, კუშტად შემართული კონსელეირო მენდეს მასიელი, იწვოდა... და მთელ ძვირფას ქვებს, იმ ერთის გარდა, მყისვე მოედო ცეცხლი - მწვანედ ბჟუტავდნენ ზურმუხტები, ლურჯად, მოცისფროდ იკლაკნებოდნენ ფირუზები და საფირონები, ყვითლად იღვენთებოდა ქარვა, წითლად ბრიალებდა ლალი, იქვე კრთებოდნენ მარგალიტები, ზღვათა უცხო, ღრმა წიაღიდან ამოსულნი და შეუმჩნეველ დაღმართს მიუყვებოდა

კანუდოსელთა გრილი, მარად ახალი მდინარე, და განბანილი კანუდოსელების ამბავი ოკეანეში ჩაჰქონდა, აქ კი, მაღალ სოფელში, რა ფერადოვნად, რა ღირსეულად იწვოდა მთელი სამოსელი, სამოსელი პირველი ახლა, და მუქ ლურჯ კვამლად აჰქონდა ჩაუქი მწყემსების ამბავი კოცონს, იწვოდნენ გრეგორიო პაჩეკო - დოლის ჯადოქარი და დიდი მჭედელი სენობიო ლიოსა, იწვოდა სერტანაში დარჩენილი, ყურმოჭრილი ტოგო, ვაჟკაცი; იღველფებოდა მასთან დარჩენილი უთქმელი ძმა, გარდაუვალ სიკვდილზე ხათრით წასული, ვინ რა იცოდა, მდუმარებისას გულში რა ედო, და მესამე ძმა მათი, შურისძიებით გაუმაძღარი პრუდენსიო... იწვოდნენ ნაღდი ვაკეიროები - ინოსენსიო, რაღაც-რაღაცებით გამორჩეული და აველინო, მიკარგული და შეუმჩნეველი; იწვოდნენ მათი ცოლები, დები, დედები, შვილები, სტუმრად ამოკუნტრუშებული შვიდი სხვადასხვანაირად შეყვარებული და ჩაცმულ-დახურული ქალიც იწვოდა ოქრომკედში და აალებულიყო კენტი როხასი, ვისაც ერთადერთს, მამაკაცთაგან, გადარჩენა მიესაჯა... ტივზე შემდგარნი, გაყუჩებულნი, მოყვარულ თვალთაგან მძიმედ შორიშორდებოდნენ გასახიზნები - მოხუცები და ქალები, ბავშვები... ბავშვები... ნაღვერდლდებოდნენ დაქვრივებულნი - ჟოაოს ცოლი, მარიამი, და მანუელა, თეთრი მწყემსი... კალაბრიაში კი, შორს, მიწაში იწვა უცნაური ქალი, მირცა, ვისაც წინასწარ შეეძლო კაცის დაფასება... იაგუნდებად ელვარებდნენ აეს ქალები, და ალმასებიც რომ წამოალდნენ, სუნთქვა შეეკრა დომენიკოს, ნაბიჯი წარსდგა, და მონუსხული მიაჩერდა ცეცხლს - რადგან ეს დიდი, დიდი, დიდი კანუდოსელები - ზე მორეირა, მანუელო კოსტა, ჟოაო აბადო, მოხუცი სანტოსი და დონ დიეგო - დიდი კანუდოსელები იწვოდნენ!

და მხოლოდ ერთ ქვას - დიდ ამეთვისტოს ვერ ედებოდა მრისხანე როკვით შეპოტინებული ცეცხლი, სხვები-იწვოდნენ: ლტოლვილი, მაღალ სოფლად ღამით ამოხვეწილი, და მისმიერი უცხო ამბები - მასაი როგორ გახდა და წვიმებიანი ამბავი წინამძღოლზე, და მტაცებელი მცენარეების ზნე; იწვოდა ლტოლვილის ცინცხალფერება, ბუნდოვნად დამახსოვრებული სამშობლოს, იმ კლდის, ბუნებასა თუ ვიღაც ახირებულ მოქანდაკეს პეშვისთვის რომ დაემსგავსებინა და ზედ პატარა ობოლი იდგა, და იქაური ქალიშვილების, დოლის გუგუნში გრილტანა ხეებს რომ ეტრფოდნენ, ამბავი, იწვოდნენ სოფლად მხოლოდ ერთი ღამით დაბანაკებული ჯამბაზები, კუნაპეტში ჩირაღდნებათამაშებული, ცალშიშველფეხმოდუნებული ქალი და მისი შემყურე ნერწყვგამშრალი, წოწოლაქუდიანი, თეთრად სახემოთხაპნილი ბნელი ჯამბაზი - ზეზუხბაია, და იქვე, კოცონთან მდგარი ხალხიც კი, მაღალსოფლელები, რომელთა სახეებზეც აგერ, ა, აქვე, ცეცხლი რიალებდა, ისინიც კი თითქოს იწვოდნენ მიღველფილ, იმოდენა სიმხურვალით ჩამომდნარ სამოსელში - ბიბო და გვეგვე, მათი ცოლები, ნანდუ და რესას შავოსანი დედა, კოჭლი ყმა, დიდი,

სევდიანი გლეხი, ყველა ისინი, მიწის ხალხი, მიწის კაცები, - მხვნელ-მთესველები, მეგუთნეები, მთიბავები, დროდადრო გაკალატოზებულნი, გამწყემსებულნი - ყველა იწვოდა სამოსელში, იქაურებიც, აქეთურებიც, და მხოლოდ იმ ერთს, ერთადერთს, იმ ჯიუტად მოელვარე ქვას, მაინც რამდენი უწრიალა და, ვეღარ მოედო ვერასდიდებით ცეცხლი, იცოდა მგზავრმა, ვისი ქვაც იყო დიდი ამეთვისტო, კარგად იცოდა, და ყელში მარწუხებწაჭერილი, სუნთქვაშეკრული, ცრემლებმომდგარი გავარდა წრიდან. ჯერ, განათებულს, ზურგით მიჰქონდა თითქოს ცეცხლი და მერე, გლეხთა თვალს რომ მიეფარა, გულზე ჯვარედინად მიედო ორთავე ხელი, მიწისკენ ძალიან გადახრილიყო და, მოკუნტული, ისე გარბოდა, თითქოს ეცემოდა და შესაჩერებლადაც ვეღარ იოკებდა თავს, იმ მდინარისკენ, შუაგულ ტყეში რომ ჩადიოდა, მიილტვოდა და გულში ზლუქუნებდა - ანა... მარია... აანა-მარიაა!

ღამეულ ტყეში მიბარბაცებდა, აქოშინებული, გატრუნულ ხეებს ეჯახებოდა, გმინვა-გმინვით და ხელის ფათურით მიიკვლევდა გზას, ჰოი, ბეჩავი... სახეზე მსუბუქ სილად გადასდიოდა გაზაფხულობით ძალიან რბილი, მოქნილი ფოთლის გრილი შეხება, ფეხქვეშ კი შარშანდელი და შარშანწინდელი, და კიდევ უფრო შორეული, ჯერ - დამჭკნარნი და ტყის სისოვლეშეყოლილნი მერე, ძველი ფურცლები მსუყედ და მძიმედ შარიშურობდნენ. მდინარისაკენ ალალბედზე მიაბიჯებდა დომენიკო, მეგზურად მხოლოდ შორეული მდინარის ჩუხჩუხი ჰქონდა, სად მიდიოდა დაბნეული მგზავრი, რას დაეძებდა, რამ არივ-დარია, რაღა უნდოდა, ვიღა სურდა, ნუთუ სოფელშიც, მაღალ სოფელში ღამღამობითაც კი არ ეწერა სიმშვიდე, წოლა და მოსვენება, დღით - დინჯად თესვა და ხვნა, სულ ასე უნდა ევლო და ევლო? კი, რა თქმა უნდა, და მდინარისკენ ჩაუყვა იმ სიბნელიდან ძლივსღა გამორჩეულ, ზმანებასავით ატივტივებულ ბილიკს, ჩაიმუხლა და ცივ მდინარეში ხელი ჩაჰყო... გაირინდა. გატრუნულიყო და რაღაც შორეულს, მარად ახალი მდინარით ჩამოტანილს, მიუგდებდა ყურს... ასე იყო და, უცებ, ერთბაშად ამოძრავდა - გადაიხარა, ფსკერიდან ლამი ამოიღო, პეშვში მოწურა, წყალი გაადინა და ღონივრად მოზილა მერე, მიწა შეურია, გაამაგრა და ისევ მდინარეში ამოავლო, აატალახა. სათუთად ეპყრა ხელთ ეს უცნაური რამ შეხამება, დალბილებული თიხა: თან - ტალახი და თანაც - როგორი ვრცელი, ყოველივესი შესაძლებლობა, თან - მორჩილი და ჯიუტიც როგორ... დასცქეროდა და თუმც ვერა ხედავდა, გაჯიუტებული დასჩერებოდა აიმ თავისას, ერთადერთ პეშვს, დარბილებულსა და ვიღაცის ხელით უკვე ნაჯიჯგნს, ნაგვემს, თითქოს ადვილად დასამორჩილებელსა და დამყოლს, მაგრამ აჰ, აჰ, ვერა... გამწარებულმა, მაგრად მოსრისა, დააგუნდავა, და ჯერ სხეული გამოძერწა, სასაცილო და ამაზრზენი ალბათ, სულ ვერა ჩანდა... ეს მიწის ქალი იმედად სურდა, თუ როგორ, რატომ, აღარ იცოდა, განრისხებული, ჩამუხლული,

კუშტად ძერწავდა, მიახლოებით გამოჰყავდა თავი და ხელი, და ისე შეკრთა! - ღამის ფრინველმა დაიწივლა ღამეულ ტყეში... წასწრებულივით შეშინებულმა, ისეთნაირი გამეტებით მოისროლა მიწის ქალი, თითქოს იმისი ბრალი ყოფილიყოს ის საზარელი შეწივლება და იქ, მდინარეში, სადაც ჩავარდა ის მცირე ქალი, განათდა ვითომ, და ისე გადაფითრდა საბრალო, მგზავრი, რომ აქეთ ახლა ის გამოირჩა კუნაპეტში და, ერთიმეორეს რა უცნაურად, და სხვადასხვანაირად როგორ, შეჰყურებდნენ: თავზარდაცემული, გაშეშებული დომენიკო ადგილზე ძრწოდა, ვერ აშორებდა დაბრიყვებულ თვალს - ფესვებგაჩაჩხულ კუნძზე, თავმომწონე მაჯლაჯუნასავით რომ გაეშვირა ნაზად დარხეული მახინჯი მკლავები, შეღებილი ქალი იჯდა, ყვითლად აბზინებულ ტანზე იისფერი გადასდიოდა, მძიმედ ჩამოშლილ თმას გრძელი, ავი ფრჩხილებით ივარცხნიდა და რაც ყოველივეზე საშიში იყო, თვალებში უნდო ღიმილით შესცქეროდა დომენიკოს, მდინარის პირას ჩახეტიალებულ მგზავრს, იქ რა უნდოდა, რა ძალა ადგა... თუმცა, რა მისი ბრალი იყო ეს - ჩვენ ყველას გვადგას ჩვენ-ჩვენი სხვისი ძალა, ოღონდ ძალიან ხშირად არც ვიცით ხოლმე და ფეხზე წამოდგა, გაირინდა დომენიკო, აღარ იცოდა, პირი ებრუნა თუ არა, საშინელებისადმი ზურგის შექცევას ისევ მისკენ ყურება სჯობდა, იდგა, გახევებული, სუნთქვაშეკრული, ტყის მდუმარებაც - ეხამებოდა, მაგრამ ნიავმა წამოუბერა და მკრთალი ლანდები ოდნავ შეირხა ტყეში... ხეზე ჩამოცურებული ჩრდილი... თითქოს შებარბაცდა დომენიკო, მაგრამ სხეული შეიმაგრა და მიმოიხედა, ბნელოდა, ბნელოდა, როგორ ბნელოდა, და მაინც იმდენნაირი რამ საოცრება გატრუნულიყო ღამეულ ტყეში... თვალები მოისრისა და, წეღანდელზე მეტად დაზრინა - სიჩუმე იდგა, უშველებელი, ერთიანი... სიჩუმეში კი, რამდენი რამ, რაოდენი რამ, აურაცხელი, იყო - იყო მდინარის ავად მოშრიალე ხმა და იყო ნიავი, ფართო და უზარმაზარი, გაუვალ ტყეში მაინც მსუბუქი და მოსხლეტილი გველივით რომ დაძვრებოდა ტოტებშუა; იყო ქუხილი, ყველაფრისმძლე, მგრგვინავი, გამაყრუებელი; იყო მუქარაც, უხმო სიშავედ მხრებს დაწოლილი, მაგრამ ყველაფერზე მეტად ამაზრზენი იყო სიჩუმის გულგრილობა - საზარელი, ამორჩეული არცოდნა. ხეს მიეყრდნო და ერთხანს ასე იყო, მოღონიერდა თითქოს, და მერამდენედ, ისევ შეკრთა - ხის უკან ვიღაცა იდგა... ჯიუტად მომლოდინე! - აჰაა, აჰა, ხომ მიეახლა ბოლობოლო, თავისი ფეხით, ყმაწვილი მგზავრი?.. - რა გულიანად, უსიტყვებოდ იქადნებოდა, მაგრამ ვინ იყო - ვეღარ გაბედა დომენიკომ, დაენახა და, შეძრწუნებული, ფრთხილად იხევდა, ფეხისგულებს შიშით ვეღარ აცილებდა მიწას, ისე მიჩოჩდა უკან, სხვა ხესთან, ზურგით მიეყრდნო, შეტრიალდა და გაშრა - იმ ხის უკანაც იდგა ვიღაც - ყოველი ხის უკან ვიღაცა იდგა! ალყაშემორტყმული, თავზე ხელებშემოხვეული, წინგადახრილი, ერთიანად ცახცახებდა, მხრები, ხელები,

თითები, მუხლები უთრთოდა, ყველაზე მეტად კი მორკალულ ხერხემალს ეშინოდა... ჩაშავებული კენწეროებიდან რაღაცეები დასცქეროდნენ და მძიმედ მოიწევდნენ დაბლა; ვეღარ გაძლო და ადგილს მოსწყდა, მდინარისაკენ გაიქცა ისევ, წყალში შეტოპა, ფსკერზე თეთრი ქვა გამოარჩია, ეამა და სანამ გახარებას მოასწრებდა, ისევ ის შეღებილი ქალი! - კვლავაც თვალებში შემოჰყურებდა, საოცრად მკაფიოდ და ბუნდოვნად მოუჩანდა გაღიმებული, ოდნავ განზე მიქცეული ტუჩები და თვალებიდან მომწვანო-მოყვითალო მზერა გაყინული შუქივით უკამკამებდა. და, ესღა აკლდა - გაოგნებულს, ზურგზე ვიღაცამ ცივი თითები ჯერ მსუბუქად დაჰკრა და ისე დაზრინა, თითქოს ვიღაცამვე გაყინული ხელები სტაცა და აყვანა დაუპირა. გაუძალიანდა და ერთხანს გაუსხლტა, მერე კი ის ყინულოვანი თითები უზარმაზარ, საკუთარ ნეკნებად გადაექცა და ისე შემოეჭდო, ისე შემოესალტა, ისე ხუთავდა... ნაპირზე ამოხტა, ფეხი დაუსხლტა, კინაღამ წაიქცა, პირველსავე ხეს მივარდა, და ჩაეხუტა, ფეხებიც შემოხვია, გრილოდა ტყეში, უფრო აგრილდა, ეყინულოვნა და ისევ გახტა - აის ვიღაცა იქაც იდგა... ყოველი ხის უკან იდგა ვიღაც! მოლის შუაგულში გავარდა, და მაინც იქვე შორიახლოს, ირგვლივ, რაღაც საზარელი ამოდიოდა, მოდიოდა, იზრდებოდა, ხეებს მიეყრდნო, მიეძალა და გაფართოვდა, გაიბერა, შეიკრა, ამოიზარდა, ეს შიში იყო - ღამის ყვავილი. მუხლებზე დაეცა, გადაიხარა, სახე მაღალ ბალახში ჩარგო, ფეხები გაშალა და პირქვე გაწვა თუ არა, გამწარებულმა მოგლიჯა გვიმრა, მერე ნედლ მიწაში ჩაასო თითები. ღონივრად მოფხოჭნა და შორს მოისროლა; მიწას გახელებული თხრიდა, ორმო უნდოდა ამოეთხარა და ჩამალულიყო, და მათრახგადაჭერილივით შემართა ზედატანი - შორიდან, ტყიდან, მისკენ სინათლე მოირწეოდა, „ის მოდის, მოდის...“ - გამწარებული, ლოყით გაეხახუნა მიწას, ისევ გამალებული თხრიდა, ეგებ მოესწრო, მაგრამ დაშინებული თვალი განზე რომ გააპარა, უფრო ახლოს დაინახა სინათლე - „მოდის... ის მოდის...“ ვინ ის, არც იცოდა, მანამდე არნახული, საზარელი რამ არსება ალბათ, „მოდის, ის მოდის!“ პირქვე განერთხო და თავზე ხელები შემოიხვია, ახლა ყველაზე მეტად კეფას ეშინოდა და ნაბიჯების ყრუ, მოგუდული, ღონიერი ხმა - „მოდის, მოვიდა, ისიც მოვიდა!..“ გასრისა შიშმა, ხელები მიწაზე ჩამოუვარდა, და მთელმა სხეულმა შეწყვიტა ცახცახი, მკრთალადღა ჩაესმოდა ნაბიჯების ხმა; დამძიმებული და მომჩვარული, პირქვე იწვა სასტიკი, გამათავებელი დარტყმის მოლოდინში და ეს მოლოდინიც კი გაქრა, მიილია ერთხანს, მერე მაინც შიში დაეხმარა და ისევ იგრძნო კეფა, მაგრამ მცირე ხნით, კვლავაც ბურანი ჩამოაწვა და მიდიოდა, მიდიოდა, იპარებოდა, ადგილზევე უცნაურად ლღვებოდა - უმწეოდ მიგდებული სხეული აჩიჩქნილ მიწაზე რჩებოდა, თავად კი, თვითონ, სადღაც ძალიან შორს, გადაკარგულში მიდიოდა... ტკბილი იყო ეს წასვლა და შვებისმომგვრელი, მაგრამ მაინც გონს მოეგო და შიშმა ისევ რკინად

უქცია მთელი სხეული, - რომელზედაც ორად ორი სიტყვა ჟღრიალით გადასდიოდა - „მოვიდა, მოვიდა, ისიც მოვიდა...“ თავის აწევა უნდოდა და ვერა ბედავდა, მიწაზე იწვა, მიწის მანუგეშებელსა და შემზარავსაც ერთდროულად, ძალუმ სუნს გრძნობდა, და აიკრიფა, აიწურა, მთლად გაფაციცდა - ვიღაცამ, სადღაც, სულ სხვა ადგილას, აჲამ მიწაზეც, რაღაცა კარგი და სანდო უთხრა... ვერ იხსენებდა და დაიძაბა, მაგრად დახუჭა თვალი, და იმ მისულმა როგორც კი ხელი დაადო მხარზე, ნაიარევი აუხურდა და მიჩინიო და მისი ნათქვამი - რომ დედამიწას სიყვარული ატრიალებდა - გაახსენდა და იმედით, რწმენით შემართა თავი - კი, მამა იყო, იმ კუნაპეტში თალხ ლაქად ადგა. მყისვე წამოჯდა დომენიკო, დაწრეტილ ძარღვებში სიხარულმა დაუარა, გაბრუვდა, და მხარზე დაუვარდა თავი. ერთხანს თვალდახუჭული იჯდა, ღონეს იკრებდა. და მერე ისევ აფორიაქდა - ორიოდ ნაბიჯზე გაეცალა მამა, და, შორიახლოდან, გამომცდელად თავს დაჰყურებდა. და დომენიკოს კიდევ რაღაც, რაღაც აუცილებლის მოსმენაც მოუნდა, რომ დამშვიდებულიყო - სიტყვა უნდოდა, ორიოდ ღერი სიტყვა სწყუროდა, და მამისაკენ გახოხდა. მუხლებით მიწასა და ფოთლებს ეხახუნებოდა, და ტყე ღონივრად ისრუტავდა ამ ჯიუტ შხარუნს, მერე კი, სიჩუმე რომ ჩამოდგა, დაჩოქილმა დომენიკომ ხელისგული მიადო მამას მუხლზე, ახედა და შეევედრა:

- ნურაფრის მეშინოდეს?

მამა დაფიქრებული დასცქეროდა, მერე თავზე დაადო ხელი და უთხრა: - ნურაფრის გეშინია.

და მუხლმოყრილმა დომენიკომ, შვებამოგვრილმა, განთავისუფლებულმა, ერთიც ახედა, აფორიაქდა, და ყველაფრის თქმა დააპირა, თავს რაც გადახდა დაკლაკნილ გზებზე, მაგრამ იქვე გაშრა - ყოველივე კარგად იცოდა მამამ, მშვენივრად მოეხსენებოდა ყოველი, ისე დასცქეროდა და დომენიკომ, დაბნეულმა, თავი ჩაღუნა; რაღაცა უნდა მომხდარიყო, რაღაცას ელოდა, ფრთხილად, შეპარვით ააყოლა მოწიწებული თვალი, და დაძაბული შეაცქერდა - რა ღონივრად, როგორ მკაფიოდ დასცქეროდა მამა... და უცნაური, საჭოჭმანო განაჩენის მოლოდინში კვლავ მიწას დასწვდა, ფრთხილად მოფხოჭნა, წყლით გაჟღენთილი პერანგის სახელოები ჩამოიწურა, აატალახა მცირე მიწა და ისევ, კვლავაც, ეს მერამდენედ ცოდვილობდა, უსუსური და უცხო, მიწის უბრალოდ გამონაგონი ადამიანი რომ გამოეძერწა, ცოდვილობდა და ვერაფერი გამოსდიოდა, მხოლოდ ხელები მოეთხვარა მაღალი სოფლის კუთვნილი მიწით, და ესეც, ესეც კი საქმე იყო და, ერთბაშად აწრიალებული, არეული, სულაწეწილი, მამის განაჩენს, დამჭკნარ ფოთლებზე განერთხო და ისე უცდიდა, იმანაც, უთხრა: - ორჯერ გიბოძეს სამოსელი პირველი, დომენიკო, - თქვა

მამამ, დინჯად ჩამოსცქეროდა, - და მესამედაც გიწყალობებ - მე მოგცემ სიტყვას შენ, დომენიკო.

რა, ეს რა უთხრეს, გაბრუებული წამოჯდა მგზავრი.

- კარგად იცოდე, დომენიკო, სამოსელი პირველია სიტყვა. შენი ამბავი ცად კი ავიდა, მაგრამ ჩვენთანაც, შენიანებთან, უნდა დატოვო.

თავჩაქინდრული იჯდა, უსმენდა.

- მრავალ ქვეყანას აგაშენებინებს, და უცნაური მეფე დადგები - ბევრი ყმა თუმცა კი გეყოლება, შენ მაინც ყველას მონა იქნები. და სული -შენით ედგომებათ. გამიგე?

- დიახ.

- და მაგ სამოსელს რაც უფრო მეტ ხალხს გადააწვდენ და გადააფარებ, უფრო მდიდარი შეიქმნები, უფრო ტანჯუ ლი... გაწამდები და, გაიხარებ... სიტყვის თამაშად ნუ ჩამომართმევ - უბედნიერესი უბედური იქნები... და დატანჯული. თუ გესმის...

- დიახ.

- და სახელადაც უცხო სახელს, დომენიკოს გარქმევ, სიტყვებიდან დომინუს, დომინიონ, და დომენ... ყურს ხომ არა გჭრის?

- არა. ცოტათი...

- არა უშავს რა, შეეჩვევი... და სიძულვილიც თუმცა კარგად უნდა შეგეძლოს, ისიც ყოველთვის, განუყრელად უნდა გახსოვდეს, თუ დედამაწას რაც ატრიალებს. გამიგე?

- დიახ.

- და აი ამ ქვას, დომენიკო, აღარასოდეს მოიშორებ.

გულზე კანაფით ჩამოჰკიდა დიდი ამეთვისტო - ცეცხლმოუდები, მეუფიანი, ანა-მარიას მოციაგე ქვა.

- ეს ლოდზე მძიმე იქნება, შვილო.

აჟრიალებდა მგზავრს.

- ძალიან ბნელა? - იკითხა მამამ.

- ძალიან, დიახ.

- მაგრამ მე - მხედავ?

- ძალიან გხედავ.

- დამიმახსოვრე.

მდინარის პირას ჩამომჯდარიყო გაბრუებული, აღზევებაშემდგარი მგზავრი, და ტუჩზე რაღაც უცხო განზრახვა, რაღაცის წვდომა ბალღამნარევ თაფლად ეცხო და, ხან მოურგები და ჭრელაჭრელა, ხანაც - ძლიერი, სავსე, ჟღერადი, ფერადოვანი სიტყვები ფუტკრებივით გუნდად, ზუზუნით დასტრიალებდნენ, რაოდენი რა გამოერჩია, აღარ იცოდა, თავად კი, მგზავრი, თვალნათლივ სჭვრეტდა ცეცხლში წამომართულ, აგიზგიზებულ სამოსელ პირველს, რომლის ყოველი, ოქრომკედით შემოქარგული უძვირფასესი თუ ყალბი თვლიდან, კამორული თვლებამოქარგული ფარდის მსგავსად, ათასი ვინმე უჭვრიტინებდა, ზოგი - გონჯი და სულით მდაბალი, ზოგიც - სხვაგვარი, და მხარზე გრძნობდა მოხუცებული, ბრმა გოლიათის მოუთმენელ ხელისგულს, ზურგსუკან ედგა, იგი, სწორედ ის უნდა წაეყვანა თავის უცნაურ სამფლობელოში და ჯერ თავადაც არ იცოდა, რანაირად დაძრულიყო და, ან სად მიდიოდა, რა როგორ ეთქვა, საიდან დაეწყო - რომ დაიბადა? აჰ, არა, არა... გვეგვედან, ძმიდან? არა, იჰ, არა... და თვით მამასაც, ყველგან რომ იყო, ასე ადვილად, დასაწყისშივე, ვერ შებედავდა... სიტყვებს ეძებდა მარადახალი მდინარის პირას, იტანჯებოდა ღამეულ ტყეში, და შორს, ცისკიდურს დიდის იმედით, ავედრებული მიაჩერდა და - ჰეე, თენდებოდა... გათენებიდან უნდა დაეწყო, კი, ასე სჯობდა, ხომ ისევ აქ ხართ, მოდით, ჩამჭიდეთ უკანასკნელად ეგ უნდო ხელი, ხომ კი სჯობს ასე, მშვიდად დაწყება დამთავრებისას, აჰ, შევეჩვიეთ ერთმანეთს, მგონი, გზადაგზა რასაც კი გპირდებოდით, შეძლებისამებრ ვასრულებდი და სწორედ ახლა, დამთავრებისას, ერთი რამ უნდა შეგახსენოთ - ალბათ არ გახსოვთ, მე რომ გითხარით, რომ არ არსებობს ქვეყნად ამბავი, რომ ჰქონებოდეს ოდესმე ბოლო-მეთქი, და არ იფიქროთ, ნუ გეგონებათ რომ აი ახლა, დამთავრებისას, გამომიჭირეთ - თუმც სისულელით ისიც წამომცდა, გამოსავალი არსებობს-მეთქი, და - მივაგენი, რა, არა გჯერათ? აგერ არა ვარ, როდის რა მომიტყუებია, და ახლაც, კეთილო, მოთ, მოდით, მივდგეთ და ეს ამბავი სუულ თავიდან დავატრიალოთ, გათენებიდან, ვაბრუნოთ ასე - ჯერ კიდევ ძალიან ბნელოდა, მხოლოდ ერთგან, დასალიერზე, თითქოს ოდნავ გაბაცდა ცა. წვიმას ახლახან გადაეღო, წვეთები უხმაუროდ სხლტებოდა ერთი ფოთლიდან მეორეზე და აკანკალებული, გალუმპული, ერთიანად სმენადქცეული ლტოლვილი ყურს უგდებდა ამ ილაჯგამოცლილ ჩქამს. ყოველნაირ ხმაურს აიტანდა იგი, გარდა ფლოქვების თქარათქურისა. წამდაუწუმ მდევარი ელანდებოდა და, ღონემიხდილი, ორივე ხელით ჩაჰბღაუჭებოდა სველ ტოტებს. აქამდე ვერავინ შენიშნავდა, ისე

გატრუნულიყო, ხეს ჩახუტებული; ახლა კი, გათენებისას, როცა ძალიან აცივდა და შეწუხებული ლტოლვილი აწრიალდა, იმ გაბზარულ სიბნელეში აშკარად გამოირჩა მისი ჩაშავებული, მოძრავი სახება. საშინლად ეძინებოდა, ძლივს იმაგრებდა დამძიმებულ თავს. კიდევ კარგი, რომ იჯდა მაინც - იმოდენა აღმართის შემდეგ დაღლილ, გადატყავებულ ფეხებს ასვენებდა. აქ, ხეზე ამძვრალს, ძაღლებიც ვერ შესწვდებოდნენ, თუმცა ყეფა არც გაუგონია. ცოტათი გამხნევდა და იქვე მოშივდა. უბეში ჩაიყო შეციებული თითები და პურის ყუა ამოაძვრინა. ნელა, აუჩქარებლად იღეჭებოდა, მაგრამ ერთი ბეწო პური იყო და ჩქარა შემოეჭამა. უფრო აეშალა საღერღელი, სოფელს მიაჩერდა, სადაც საჭმელი უნდა ეშოვა. ოდნავ გამოიკვეთა სახლები, ისევ შეათვალიერა მიდამო და უცნაურმა შიშმა შეიპყრო: მდევრებისა კი არ ეშინოდა, სულ სხვა რაღაცის - მაინც რა საოცრად, როგორ თენდებოდა!.. უნახავს კია როდესმე ისეთი უცნაური, მკვეთრად გამოხატული ფოთლები, ანდა ისეთი მყარი მესერი თუ უნახავს, იმ ბინდბუნდში თვალნათლივ რომ იკრეფდა ძალას... როგორ მოცურავდნენ სახლები ძალიან შორიდან, ლოდებიც რა დინჯად ამოდიოდნენ მიწიდან, ისეთი საშიში სიოც თუ უნახავს სადმე, გამთენიისას რომ სცოდნია და იმ სიოსაყოლილი მკრთალი ჩრდილების მიწაზე ბოგინიც რა უცნაური და შემაშფოთ...

და შემაშფოთ... და შემაშფოთ.... და შემაშფოთ...

„ნუთუ ყოველივე, - გაიფიქრა დომენიკომ, მარადახალი მდინარის პირას იჯდა, - ნუთუ ყოველივე ეს?..“

1966-1978 წ.